

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური  
ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

**კაატა ცხადია**

**ნაღენჯიხის**

**მუნიციპალიტეტის**

**გეოგრაფიული**

**სახელწოდებანი**

(შევისაბული გამოცემა)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2015

2004 წელს გამოცემული „ნალენჯიხის რაიონის ტოპონიმია“ ძირითადად მოიცავს 1969-1970 წლებში მოპოვებული მასალის მხოლოდ ერთ ნაწილს. ამასთანავე, სალექსიკონო ერთეულები მხოლოდ შიდაენობრივი ასპექტით არის გაანალიზებული. განვილილ ათწლეულში ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება გამდიდრდა ახალ-ახალი გამოკვლევებით ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოგრაფიის დარგებში, გამოიცა ფუნდამენტური მეგრული ლექსიკონები. ყოველივე ამან ტოპონიმის მკვლევარს დამატებითი შესაძლებლობა მისცა გეოგრაფიულ სახელწოდებათა გარეენობრივი ანალიზისა.

ამჯერად ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონში შევიდა 1969 წელს მოპოვებული 5 ათასამდე სიტყვა-სტატია, რომელიც შემდგომში შეივსო, მათ შორის 2015 წლის გამოცემიდან დღემდე. მკითხველს ვთავაზობთ ნაშრომის ბოლო რედაქციას, რომელსაც სისრულის პრეტენზია აქვს.

## **რედაქტორი – მერაბ ჩუხუა**

### **სარედაქციო ჯგუფი:**

**გვანჯი მანია**

**ოლეგ სალია**

**ზაურ ფიფია**

### **რეცენზენტები:**

**ზუქია აფრიღონიკა**

**მანანა ბუკია**

**იგორ კეკელია**

© პ. ცხადია, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015


თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge); [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com)

ISBN 978-9941-22-649-6

ვუკლავნი გელიტონ ქანთარიას სახელობის ქ.  
ჯვარის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგებს,  
რომელთაც არ დაიშურეს ქალა და ენერგია, ცოდნა  
და გამოცდილება, რათა ჩაენერგათ ჩვენთვის გა-  
დაღწენობრიობა, კაცურკაცობა, სამშობლოს სიყ-  
ვარული, ადამიანის პატივისცემა და დღეს კი იმ-  
ქვეყნიურ საუფლოში განისვენებენ ვალგოხდილნი.  
მათი ხსოვნა უკვდავია ჩვენს გულეებში.

# წალენჯიხის მუნიციპალიტეტი



## წინასიტყვაობა

გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელობა ძალზე დიდია: იგი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს ქვეყნისა და ხალხის ისტორიის, მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, სამეურნეო საქმიანობის შესასწავლად, მაგრამ მაინც ტოპონიმია (გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობა), უპირველეს ყოვლისა, ენობრივი ფაქტია და მისი ანალიზის შედეგები ამდიდრებს ლექსიკოლოგიას, გამოავლენს ახალ-ახალ ფონეტიკურ ფაქტებს, ენობრივ ნასესხობებს, სუბსტრატსა თუ სუპერსტრატს... ისტორია და ეთნოგრაფია სწორედ ტოპონიმთა ენათმეცნიერული ანალიზის შედეგებს ეყრდნობა უკვე არსებული სამეცნიერო დებულებების კორექტირებისა თუ ახალ-ახალი ვარაუდების წამოყენებისას.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველური ტომები ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანობის სათავეში იდგნენ. კოლხეთის ბუნებრივი სიმდიდრეები უხსოვარი დროიდან იზიდავდა ახლოს თუ შორს მცხოვრებ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ ხალხებს. ისინი მითებს თხზავდნენ კავკასიის მთას მიჯაჭვულ ამირანზე, კოლხ მედეაზე, არგონავტებსა თუ ოქროს საწმისზე. სწორედ კოლხიდას, შემდგომი დროის ლაზიკას, უწოდეს ბერძნებმა „ოქრომრავალი ქვეყანა“, ხოლო მდინარე, რომლის ქვიშაშიც ოქროს მარცვლები ბრჭყვიალებდნენ, იყო ენგური, სვანეთიდან რომ მოზობოქრობს, ჯვართან დაივაკებს და, შედარებით დამშვიდებული, ანაკლიასთან ჩაიკარგება შავ ზღვაში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით და მეგრელთა წარმოდგენითაც, სამეგრელოში სამი ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონა განირჩევა: 1. **რზენი** „ვაკე, ბარი, ზეგანი“ – ზღვისპირეთი, რომელსაც გეოგრაფები ოდიშის დაბლობს უწოდებენ; 2. **ლაკადა** – ოდიშის პლატო, ანუ „ნახევრად ვაკე, სამეგრელოს შუა ნაწილი ეგრისის ქედის ძირიდან კოლხეთის დაბლობის ჩრდ. კიდემდე“ (ქსე, ტ. 7, გვ. 509. აქვე უნდა აღინიშნოს: ოდიშის პლატოზე მცხოვრებნი ლაკადას უწოდებენ მხოლოდ ეგრისის ქედის წინა მხარის კალთებს, რომლებიც ჩამოდის მთისძირა სოფლებამდე); 3. **გვალა//გოლა** (მ.-ბ. თქმაში: **გოდა**) „მთა“ – ეგრისის (ოდიშის) ქედი და მისი განშტოებანი, ანუ „კავკასიონის სისტემის სამხრ. კალთის გასწვრივი გვერდითი ქედი, მდებარე ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფი. სიგრძე 62 კმ, სიგანე 37 კმ“ (ქსე, ტ. 4, გვ. 26).

თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სამეგრელო, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ძირითადად ენგურისა და რიონ-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარეობს (ჩრდ.-დასავლეთით მას აგრძელებს სამურზაყანო). დაყოფის თანახმად, სამეგრელო შეიცავს 7 რაიონს (წალენჯიხის, ჩხორონყუს, მარტვილის, აბაშის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის) და ქ. ფოთს. წალენჯიხის რაიონის ტერიტორია შეადგენს 647,1 კვ.კმ-ს (მეოთხე ადგილი რეგიონში მარტვილის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების შემდეგ). 1987 წელს ამ რაიონში იყო 14 ადმინისტრაციული ერთეული (ორი საქალაქო და 12 სასოფლო საბჭო) და 39 დასახლებული პუნქტი (ორი ქალაქი – წალენჯიხა და ჯვარი, 37 სოფელი). მათგან სამი საკრებულო – ჭალის, მუჟავისა და ფახულანის (და მათში შემავალი 10 სოფელი) – მდებარეობს ენგურის მარჯვ. მხარეს მდ. ერისწყლის ზემო წელამდე, ხოლო დანარჩენი საკრებულოები – ენგურის მარცხენა მხარესა და აღწევს სქურჩამდე, რომელიც ხობისწყლის მარჯვ. შენაკადია.

წინამდებარე ლექსიკონში სოფლების ადგილმდებარეობა მითითებულია ადმინისტრაციული ერთეულების, ხოლო სხვა ობიექტებისა – სოფლებისა და სატყეოების მიხედვით. საკრებულო (უწინდელი თემი, საბჭოთა პერიოდის სასოფლო საბჭო) სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, ხოლო სოფელი (ქალაქი) – დასახლებული პუნქტი. საკრებულოსა თუ სოფელს (ქალაქს) სათანადო სტატუსს ანიჭებს, მართლწერას ამტკიცებს და ტერიტორიას ადგენს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ჩვენ ვეყრდნობით ოფიციალურ ცნობარს – „საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“ (თბ., 1987 წ. მეხუთე გადამუშა-

ვებული და შევსებული გამოცემა). სოფლები ამავე ლექსიკონში არის დასახელებული და ლოკალიზებული საკრებულოების მიხედვით, ხოლო საკრებულოები – რაიონების მიხედვით (ქსე-ს ტომეულებში კი ბუნებრივ-გეოგრაფიული პარამეტრების მიხედვითაც).

რაც შეეხება სატყეოებს:

„სატყეო“ პირობით აღნიშნავს გარკვეულ (მთის დაუსახლებელ) ტერიტორიას. როგორც ცნობილია, ქვეყნის ტყიან ტერიტორიას მთასა თუ ბარში (სოფლების მიმდებარე ტყეებს თუ არ ჩავთვლით) განაგებდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც რაიონებში ჰქონდა შესაბამისი განყოფილებანი. რაიონის სატყეო მეურნეობა კი შეიძლება დაყოფილი ყოფილიყო რამდენიმე სატყეო უბნად. თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა. ძირითადად ჩვენც ამ დაყოფას ვეყრდნობით. ვიმეორებთ: წინამდებარე ლექსიკონში „სატყეო“ პირობითი ტერმინია მთის დაუსახლებელი ტერიტორიის აღსანიშნავად, სადაც შეიძლება იყოს ტყეებიც, ალპური საძოვრებიც და ნასოფლარებიც.

წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე 5 სატყეო ზონა იყო:

1. **ჭალეს სატყეო** მდებარეობს მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს, სოფ. ფოცხოენერიდან დასავლეთით, სამურზაყანოს საზღვრამდე. ჩრდილოეთით ესაზღვრება ხუდონის სატყეო, ხოლო სამხრეთით – სოფლები ნაშამგუ და მუჟავა. ჭალე იმ თემის სახელია, რომელშიც ფოცხოენერი შედის.

2. **ხუდონის სატყეო** მოიცავს ტერიტორიას მდ. ენგურიდან (ენგურჰესის წყალსაცავიდან) აკიბოს ქედამდე, რომელიც იმავე დროს საზღვარია სამურზაყანოსთან. ჩრდილოეთით ესაზღვრება მესტიის რ-ნი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ჭალეს სატყეო. ხუდონის სატყეოში შედის ნასოფლარი ფურაში და ნასოფლარ ხუდონის ის ნაწილი, რაც ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს (ამჟამად მოქცეულია ენგურჰესის წყალსაცავის ფსკერზე).

3. **მაგანას სატყეო** ძირითადად მოიცავს ეგრისის ქედის სამხრ. კალთებს, მდ. მაგანას ხეობის ზემო ნაწილს და ნასოფლარ ხუდონის ნაწილს. ჩრდ-ით ესაზღვრება მესტიის რაიონს, ხოლო აღმ-ით აღწევს ჩხორონყუს რ-ნის საზღვრამდე. სამხრ-ით ეკვრის სოფ. ლექარდე, ჯვარისა და სქურის სატყეოები.

4. **ჯვარის სატყეო** მოიცავს მდინარეების – ინწირასა და მოროყას ზემოთებს (ყვირასა და ბარხას), მდებარეობს მაგანასა (ჩრდილო-დასავლეთით) და სქურის (აღმოსავლეთით) სატყეოებს შორის, სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება სოფლები ჩქვალერი და ლეშამუგე, რომლებიც უწინ ჯვარის სასოფლო (შემდეგ სადაბო და ბოლოს საქალაქო) საბჭოში შედიოდა.

5. **სქურის სატყეო** მოიცავს კურორტ სქურს და მთლიანად მდ. ჭანისწყლის ზემოთს. აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩხორონყუს რ-ნი, ჩრდილოეთით — მდ. მაგანა, დასავლეთით – ჯვარის სატყეო, სამხრეთით — სოფლები ლეთკანთი, ჯგალი, ლარა, მედანი.

1969-1989 წლებში ფეხდაფეხ დავიარე სამეგრელო-სამურზაყანოს ყველა სოფლის ყველა უბანი, მდინარეთა ხეობები, მთები და ჩავინერე 50 ათასამდე გეოგრაფიული სახელწოდება. მუშაობის სტილთან დაკავშირებით მომყავს 1970 წლის 30 აპრილს სამუშაო რეგულში გაკეთებული შემაჯამებელი ჩანაწერი: „ნაგურუსა და კუხეშში ვიმუშავე ოთხი დღე. უბნების მიხედვით მარშრუტი ასეთი იყო: 27.04 – ლეჩიქვანე ლეგვილე ლეშეროზიე ლეაბრალე; 28.04 – ლეჯღანჯღლე ლეჭიჭალუე ლეხვიჩე ლემორგომე; 29.04 – ლენწულაიე ბურღეფი ლემალაზონიე ლეგობეჩიე; 30.04 – ლეარდიე ლეიჩიე ლეფიფიე ლებუე ლებოხუე. შევხვდი 40-მდე ინფორმატორს. დამრჩა ორი უბანი – ნოჟალა და ლეკაკალე“.

მოპოვებული მასალა მეტად ფასეულია პირველ რიგში ენათმეცნიერული თვალსაზრისით და კარგა ხანია გამზადებულიცაა დასაბეჭდად („ზემო სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოკლე ლექსიკონი“) და ჩაბარდა გამომცემლობას 1988 წელს. რედაქტორები იყვნენ კორნელი დანელია და ოთარ ურიდია. გაიარა საგამომცემლო რედაქტირებაც, მაგრამ შეცვლილ ვითარებათა გამო, რაც საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტით გამოიხატა, შემომთავაზეს, მომეძებნა სტამბა და წიგნი დამებეჭდა ჩემი ხარჯით, რაც ვერ

შევძელი. აქედან გამომდინარე, 15 წლის შემდეგ გადავწყვიტე, ჩემ მიერ მოპოვებული მასალის ძირითადი ნაწილი გამოვაქვეყნო რაიონების მიხედვით. თავდაპირველად მკითხველს ვთავაზობ ნალენჯიხის რაიონის ტოპონიმიურ მასალას.

ნალენჯიხის რ-ნში აღნუსხულია 5 ათასამდე ტოპონიმი. წინამდებარე ლექსიკონისათვის შეირჩა მხოლოდ ის სახელწოდებანი, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ლექსიკოლოგიის, სიტყვანარმოების, ფონეტიკის, ტოპონიმთა მოტივირების, საისტორიო გეოგრაფიის, რელიგიური წარსულის, ეთნოლოგიის საკითხების შესასწავლად. აქ წარმოდგენილ ზოგ ტოპონიმებს მკითხველი იხილავს ალექსანდრე ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ I ტომშიც (თბ., 1971), ან გაანალიზებულია ჩვენსავე „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიში“ (თბ., 1985). არქეოლოგ აკაკი ჭანტურისა XX ს. 20-იან წლებში შეუდგენია იმდროინდელი ჯვარის სას. საბჭოს არქეოლოგიურ-ისტორიული რუკა, რაც დაბეჭდილია თსუ შრომების 223-ე ტომში (1989 წ.). მისი ფრაგმენტი, აგრეთვე გვანჯი მანისა და ბორის გერგედავას რუკები, ჩართულია წინამდებარე ლექსიკონში.

წიგნის ერთ-ერთი დანართის სახით წარმოდგენილია ინფორმანტთა სია სოფლების მიხედვით და ასაკის დასახელებით. მშობლიური სოფლისა და მისი შემოგარენის ადგილთა სახელები განსაკუთრებით კარგად ახსოვთ ხანდაზმულებს. ამიტომაც პირველ რიგში მათ მივმართავდი დახმარებისათვის. ჩვენს რესპონდენტთა შორის საუკუნეს გადაცილებულნიც კი იყვნენ. შეგვხვედრია მოზარდებიც, კერძოდ, 11-15 წლისანი, რომელთაც აგრეთვე კარგად იცოდნენ, თუ რას უწოდებენ (ან უწოდებდნენ) მათი მამა-პაპანი ახლომახლო ადგილებს. ინფორმანტთა განმარტებანი უცვლელადაა წარმოდგენილი (მაშინაც კი, როცა აშკარად გადაზრებასთან და, აქედან გამომდინარე, ე.წ. ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიასთან გვაქვს საქმე) და მოქცეულია ბრჭყალებში (წინ აქვს მინიშნება: **ინფ.**). ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობანი ძირითადად ავტორის მიერაა დადგენილი ისევე და ისევე ინფორმანტებთან საუბრის გზით. იშვიათ შემთხვევაში ვუთითებთ პეტრე ჭარაიას, გივი ელიავას, ბეჟან კილანავას ლექსიკონებს და ამ ბოლო დროს გამოსულ ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“. ტოპონიმისათვის ამოსავალ გვარსახელთან მითითებული სულთა რაოდენობა ამოღებულია აპოლონ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის ცნობარიდან „გვარსახელები საქართველოში“, ხოლო კომლთა რაოდენობის შესახებ მონაცემები ეყრდნობა იმ მასალას, რაც ჩვენი თოხვნით გამოგვიგზავნეს საკრებულოებმა (თბ., 1997).

ავტორი

10 აპრილი, 2004 წ., თბილისი

ნალენჯიხის რაიონში 1969-1970 წლებში, როგორც უკვე აღნიშნულია წიგნის 2004 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ტყე-ხეობათა თუ ალპურ საძოვართა ნაბიჯ-ნაბიჯ დავლით გზით და, რაც შეიძლებოდა, მეტი და მეტი რესპონდენტის გამოკითხვით, როგორც უკვე აღინიშნა 2004 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, აღინუსხა 5000-მდე ტოპონიმი – ბუნებრივი თუ ხელოვნური, დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებანი.

წიგნის ხელახალი გამოცემა რამდენიმე ნიშნითაა განსხვავებული:

ა. სრულადაა წარმოდგენილი თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ აღნუსხული მასალა;

ბ. უფრო ღრმა და, შეძლებისდაგვარად, სრულია ენობრივი ანალიზი უკანასკნელ ათწლეულში დაბეჭდილი სამეცნიერო სტატიებისა და ლექსიკონების გამოყენებით.

გ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გარეენობრივ ანალიზს, რაც უფრო ფართოდ და ღრმად წარმოგვიდგენს ჩვენი წინაპრების რწმენა-წარმოდგენებს, ჩაგვახედებს სამეურნეო საქმიანობაში, ყოველდღიური ცხოვრების წირსა და ლხინში.

ავტორი

21 ოქტომბერი, 2015 წ., თბილისი



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შემომთავაზა, წინამდებარე ტოპონიმიკური ლექსიკონი განხილულიყო ქ. წალენჯიხაში. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტე:

1. მუნიციპალიტეტის სოფლებში დარიგებულიყო 2015 წელს გამოცემული „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“, რათა დასახელებული ტოპონიმთა ლექსიკონი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო (იხ. დანართი XI, „ძვირფასო მკითხველო!“).

2. შევეცადე, უფრო შთამბეჭდავი და სრულყოფილი ყოფილიყო საისტორიო, რელიგიური, საყოფაცხოვრებო წარსულის გამომხატველი ტოპონიმების გარეუბრივი ანალიზი.

25 აპრილი, 2016 წ., თბილისი

**P.S. -ა და -ე** ხმოვანფუძიან სახელთა ნათესაობით ბრუნვაში კვეცა-არკვეცის საკითხი:

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ 1987 წლის გამოცემაში ოფიციალურადაა დაფიქსირებული (და ჩვენთვისაც მისაღები და სავალდებულოა) ქვემოთ დასახელებული ფორმები:

**წალენჯიხა** წალენჯიხის საქალაქო საბჭო; **ლია** ლიის სასოფლო საბჭო; **მუყავა** მუყავის სას. საბჭო; **ჭალე** ჭალის სას. საბჭო... ყველა სხვა შემთხვევაში **ა** და **ე** დაბოლოებანი ნათ. ბრუნვის ფორმებში შენარჩუნებული გვაქვს: **ინწგრა** ინწგრამ გაბარი (ბექობი); **ნისქვილარა** ნისქვილარამდუდი (საძოვარი); **მაგანა** მაგანას სატყეო; **ოისგრე** ოისგრემ სუკი (გორა); **ონძილე** ონძილემ ჭალე (ჭალა, მინდორი); **ოცხედელა** ოცხედელამ ჯურე (ხევი); **ოხვამე** ოხვამემ ტობა (მორევი); **ჭითა გვალა** ჭითა გვალამ გინალგ (უღელტეხილი)...

ცალკე უნდა დავსვათ საკითხი **ჯვარ-** ფუძის (ტოპონიმისა თუ ლექსემის) ნათ. ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებით. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თვალსაზრისით ერთგვარი არეულობაა:

**ქსე** (ტ. 11) გვაუწყებს, რომ ჯვარი არის „ჯვრის საქალაქო საბჭოს ცენტრი“, მაგრამ სხვა კონტექსტებში დაფიქსირებულია **ჯვარ-ის** (ტოპონიმისა თუ ლექსემის) სრულფუძიანი ან ფუძეშეკუმშული ფორმები: ჯვარისუბანი, ჯვარიქედი, ჯვარისმამა, ჯვარისები, ჯვარიანა, ჯვრის მონასტერი, ჯვრის უღელტეხილი, ჯვრის წარწერები... ასეთივე სურათი გვაქვს **ქეგლ-ის მე-8 ტომშიც**: ჯვარის მამა, ჯვარის მტვირთველი... მაგრამ ჯვრის სახე, ჯვრისწერა...

უნდა დამკვიდრდეს ასეთი წესი: **ჯვარი**, როგორც ტოპონიმი ან ტოპონიმის შემადგენელი ნაწილი, ნათესაობით ბრუნვაში ფუძისეულ **ა** ხმოვანს არ კარგავს, ხოლო **ჯვარი**, როგორც საზოგადო სახელი, აუცილებლად უნდა შეიკუმშოს.

პ. ცხადაია  
6.06. 2017



# ნანილი პირველი

## (ადმინისტრაციული ერთეულები და სოფლები)

### ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი

თითოეული გეოგრაფიული სახელწოდება (დიდი თუ მცირე ობიექტისა) წარსულის მეტრიკული მოწმობაა. მასში ჩაუნჯებულია სახელმძღვანელო ეთნიკური ჯგუფის ისტორიის, კულტურის, რელიგიურ შეხედულებათა, მეზობელ ხალხებთან მშვიდობიანი თუ საომარი ურთიერთობის, წეს-ჩვეულებათა, ყოველდღიური შრომითი საქმიანობის უტყუარი ინფორმაცია. ყოველივე ამის მიკროდასაბუთებაა ნიგში შესული თითოეული სალექსიკონო ერთეული.

**ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი** მდებარეობს სამეგრელოს ჩრდ.-დას. ნანილში, ძირითადად ენგურისა და ქანისწყლის ხეობებში. სვანეთისაგან, კერძოდ, მესტიის რაიონისაგან, გამოყოფს ეგრისის ქედი (სახელწოდება დამკვიდრებულია საგეოგრაფიო ლიტერატურაში. საკუთრივ მეგრელები ამ ქედს აღნიშნავენ ზოგადი სახელით **გვალა** „მთა“. შდრ. **გვალაობუა** – საქონლის წასხმა გვალას საზაფხულო საძოვრებისაკენ). ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში და, საერთოდაც, ეგრისის ქედის უმაღლესი მწვერვალია **ჭითავალა** (სიმაღლე 3226 მ). ლანდშაფტური თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ზონა: ა) **დაბალი მთები** ფართოფოთლოვანი მცენარეულობით (1200 მ სიმაღლემდე); ბ) **მაღალი მთები** წიწვოვანი მცენარეულობით (1200 მ-დან 2100 მ სიმაღლემდე); გ) **ალპური და სუბალპური მდელოები**. დაბალ მთებს, რომლის ფერდობებიც უშუალოდ ეშვება დასახლებული პუნქტებისაკენ, ეწოდება **ლაკადა** (**ლაკადუა** – საქონლის ძოვება ორი-სამი კვირით **გაზაფხულზე**, როცა საქონელს მიერეკებიან მთისაკენ, და **შემოდგომაზე**, კერძოდ, სექტემბერში, როცა საქონელს მთიდან ბარში აბრუნებენ).

ზოგი მკვლევარი აგროკლიმატური მაჩვენებლების მიხედვით სამეგრელოს ტერიტორიას ყოფს 4 ზონად: 1. შავი ზღვის სანაპირო; 2. დაბლობი; 3. მთისძირეთი; 4. მაღალმთიანი. ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი შედის მესამე-მეოთხე ზონებში. აქ ვაზის ადგილობრივი ჯიშებიდან საყურადღებოა ცოლიკოური, ოჯალეში, პანეში, ნოვა... ვენახები გავრცელებულია ენგურისა და ქანისწყლის ხეობათა ყველა სოფელში.

ი. ყიფშიძე ენგურის ხეობაში სვანეთ-სამეგრელოს საზღვართან დაკავშირებით წერს: **სვანეთის მხარეს მდ. ეციმდე** (ენგურის მარჯვ. შენაკადი – პ.ც.) **მეგრელთა დასახლება მჭიდროა, ხოლო იქით – ხუბერამდე და თოთენამდე – სპორადული** (ყიფშიძე, 1994, გვ. XVII (29). 1930 წელს გამოცემული „დაყოფის“ თანახმად, ხუბერი (11 კომლი, 57 სული) შედის ხუდონის სას. საბჭოში (აქვე ენგურს მარცხ. მხრიდან ერთვის ხუბერალა. იხ. ნიგნის II ნანილში), ხოლო ხუდონი (109 კომლი, 601 სული) ჯვარის სას. საბჭოშია მოქცეული (შემდგომ „დაყოფებში“ ხუბერი, როგორც სოფელი, მესტიის რაიონშია და არა ნალენჯიხისაში). იგივე ცნობარი გვაუწყებს, რომ **თოთანი** სოფელია მესტიის რ-ნის ხაიშის სოფსაბჭოში (მეზობელ მეგრულ სოფლებში ჩაგვანერინეს როგორც „თოთენა“). ს. ჩარკვიანი ნიგნში „სვანეთი“ წერს: „მესტიის რაიონის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილია უშგული, ხოლო უკიდურესი სამხრეთი – სოფელი თოთენი“. სამართალმცოდნე ევტიხი ბენდელიანმა მოგვანოდა საგულისხმო ინფორმაცია: ქვემო სვანეთში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი) პოპულარული სადღეგრძელო ასეთია: **„გაუმარჯოს დიდ სვანეთს თოთენის ხიდიდან მურის ხიდამდე“**.

ენგურის მარჯვ. მხარეს ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩრდ. საზღვარი წვდება აკიბომდე, რაც კოდორის ქედის განშტოებაა. ქსე-ს მიხედვით (11, 1987, გვ. 286), ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ეგრისის ქედის ერთ-ერთი მთავარი განშტოებაა „ღვამანდრა“ (რომელიც ყვირასა და გაუჩას კარსტული მასივებით მთავრდება), მაგრამ ლაკადასა და ლაკადისძირა სოფლებში ეგრისის ქედის იმ შტოქედს, რომელშიც შედის ყვირა და

გაუჩა (ნალენჯიხისა და ჩხორონყუს მუნიციპალიტეტების საზღვარზე), ეწოდება **გვამარ-და** (და არა ღვამანდრა). აქაა ჭანისწყლის ზემოთი.

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ღრმა და ფართოხეობიანი მდინარეებია ენგური და ჭანისწყალი, რომელთაც ერთვის ღრმახევეებიანი შენაკადები: ჩხინა, ეცი, ოლორი (ენგურის მარჯვ. შენაკადები), ხუბერალა და მაგანა (ენგურის მარცხ. შენაკადები), ხოლო ჭანისწყალს მიერთვის ინგრა, სქურდილა და სხვ. ენგურ-ჭანისწყლის გამყოფი ვაკე-ზეგნიდან გაედინება **აღმოსავლეთი ჩხოუშია** (ჭიჭე, ანუ პატარა ჩხოუშია) და **დასავლეთი ჩხოუშია** (დიდი ჩხოუშია). ამ ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფი ზეგნის დას. საზღვარზეა ჯუმის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) სათავეც. ჭანისწყლის ზემოთში არის კურორტი სქური, რომელიც ცნობილია სამკურნალო მინერალური წყლით.

ენგური, რომელიც დიდი კავკასიონის ქედიდან, კერძოდ, შხარიდან, საქართველოს უმაღლესი მწვერვალიდან, იღებს სათავეს, ქვემო წელზე რამდენიმე კმ მანძილზე წარმოადგენს ნალენჯიხა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საზღვარს სამურზაყანოსთან. ჯვარს ზემოთ რამდენიმე კმ-ზე ენგური დაგუბებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი თაღოვანი კაშხლით (271,5 მ). აქედან წყალი გაედინება მთებსქვეშა გვირაბით და სამურზაყანოში ამუშავებს რამდენიმე ჰესს. მდ. ჭანისწყალი კი იწყება ეგრისის ქედის პარალელურ სამხრეთის განშტოებაზე, შუაზე ყოფს ქ. ნალენჯიხას, გადის ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში და მიერთვის ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან. ქსე-ს მიხედვით, ნალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე „მიედინებიან აგრეთვე მდინარეები ჯუმი და ოჩხომური (ზემო დინება)“ (ქსე, ტ. 11, თბ., 1987), საქმე ისაა, რომ მდინარე, რომელსაც ჯუმი ეწოდება, მიედინება ზუგდიდის რ-ში, ხოლო ნალენჯიხის რ-ის ტერიტორიაზე მისი მხოლოდ ორიოდ სათავე-მდგენელია (იხ. ზღვაია, ლიარსანი). ოჩხომური კი ხობისწყლის მარცხ. შენაკადია (ქსე, 7, თბ., 1984, გვ. 823) და ყოვლად შეუძლებელია მისი ზემო დინება ნალენჯიხის რ-ში იყოს. როგორც ჩანს, საენციკლოპედიო სტატიის ავტორები გულისხმობენ მდ. ჩხოუშიას, რომელიც მართლაც იწყება ზეგან ენერში (ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფზე).

აქვე უნდა აღინიშნოს: XIX ს-ში დასავლეთ სვანეთისათვის საქართველოს ცენტრთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც ენგურის ხეობას ჩამოუყვებოდა, ხაიშის ქვემოთ იყოფოდა ორ ტოტად: 1. ჯვარი-ლიას მიმართულებით; 2. სქურის ხეობის გავლით. ეს ორი გზა ერთდებოდა ნალენჯიხაში და ბოლოს უკავშირდებოდა შუა სამეგრელოს გზას ჭაქვინჯთან (ბერაძე, 1970, გვ. 181-182).

იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა საქართველოში იმოგზაურა 1772 წელს. სამეგრელოში არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის შესახებ ცნობები მოიპოვა სანდო ინფორმატორებისაგან. კერძოდ, დღევანდელი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჰიდრონიმთაგან დასახელებულია მდინარეები ხობისწყალი, ჭანისწყალი და ენგური, ხოლო სოფელთაგან – ჯგალი, ჯვარი, ჭალენჯიხა (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 323).

რუსეთის ელჩები ელჩინი და ზახარიევი სამეგრელოში ჩამოვიდნენ ლევან დადიანთან შესახვედრად (1639-1640). მათ მოინახულეს სოფლები ხუდონი, ჯვარი, ჯგალი ( ), ნალენჯიხა ( ). (იხ. ელჩობა, 1888, გვ. 340-348).

დღევანდელი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორია ასეთია:

დავით დადიანის მიერ XIX ს-ის 40-იან წლებში განხორციელებული ოდიშ-ლეჩხუმის რვა მაზრად დაყოფის ცნობარი (იხ.: მეუნარგია, თბ., 1939, გვ. 112) გვაუწყებს, რომ ნალენჯიხა სოფელია ჯვარის მაზრაში. 1886 წელს შეიქმნა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის ნალენჯიხის საბოქაულო (უბანი), სადაც შევიდა ახუთის, კირცხის, ლესიჭინეს, ლეწურნუმეს, ლიის, მუხურის, ფახულანის, ჩხორონყუს, ნალენჯიხის, ჭალის, ჭოლის, ჯგალის, ჯვარის სასოფლო თემები. ამ 13 თემის 31 სოფელში ცხოვრობდა 6513 კომლი (41950 სული). მათგან ნალენჯიხის უბნის (საბოქაულოს) ტერიტორიაზე 6 თემი (ჯგალის, ჯვარის, ლიის, ფახულანის, ნალენჯიხისა და ჭალის სოფლის საკრებულოები) და 9 სოფელია (2901 კომლითა და 18766 სულით. მათგან მხოლოდ ორიოდ კომლია სხვა ეროვნების

წარმომადგენელი). საკუთრივ სოფ. წალენჯიხაში ცხოვრობდა 799 კომლი (4922 სული). ამ პერიოდში ობუჯი შედიოდა ზუგდიდის უბანში.



**წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი (X-XI საუკუნე)  
A Temple of Transfiguration of Our Saviour in Tsalenjikha (X-XI Century)**

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის (ტფილისი, 1930 წ.) მიხედვით, შექმნილია ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რ-ნი (ცენტრი – სოფ. წალენჯიხა), რომელშიც შედის 8 სასოფლო საბჭო (ლიის, ობუჯის, საჩინოს, ფახულანის, წალენჯიხის, ჭალის, ჯგალისა და ჯვარის) და 37 სოფელი. წალენჯიხის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფლები: წალენჯიხა (330 კომლი, 1435 სული), მაზანდარა (300 კომლი, 1423 სული), ნაკიფუ (302 კომლი, 1440 სული) და ფუქი (313 კომლი, 1531 სული). ამ დროისათვის წალენჯიხის რ-ნში ცხოვრობდა 4960 კომლი (23934 სული. მათგან მხოლოდ 29 იყო არაქართველი: რუსი, აფხაზი, სომეხი და სხვ.). 1949 წელს წალენჯიხის რ-ნში 13 სას. საბჭო და 41 სოფელია, 1987 წელს კი – 14 ადმინისტრაციული ერთეული (ორი საქალაქო საბჭო – წალენჯიხისა და ჯვარისა) და 12 სასოფლო საბჭო (ლიის, მედანის, მიქავას, მუჟავას, ნაკიფუს, ობუჯის, ორჯონიკიძის, საჩინოს, ფახულანის, ჩქვალერის, ჭალის, ჯგალის) და 39 დასახლებული პუნქტი. 1987 წელს წალენჯიხის რ-ნში მკვიდრობს 38643 სული, ხოლო 2002 წელს – 34958 (თითქმის 11%-ით ნაკლები). ამათგან ქალაქების (წალენჯიხა და ჯვარი) მოსახლეობა 1987 წელს შეადგენდა 14274 სულს, 2002 წელს წალენჯიხის რაიონის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 29442-ს (თითქმის ორჯერ მეტს). 2002 წელს წალენჯიხის რაიონის ორ ქალაქში ცხოვრობს 13750 მოსახლე. მათგან ქ. წალენჯიხაში – 8956, ხოლო ქ. ჯვარში – 4794. ამავე პერიოდში სოფლის მოსახლეობა თითქმის ერთი მეხუთედით შემცირდა (მონაცემთა წყარო: „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“, ტ. I, თბ.; 2002 წელი). ამასთანავე, სასოფლო საბჭოს უკვე ეწოდება თემის საკრებულო, მაგრამ სადღესოდ თემის საკრებულო შეიცვალა ტერმინით „ადმინისტრაციული ერთეული“. აქვე დამატებით წარმოვადგენ რამდენიმე საინტერესო მონაცემს: 2002 წელს წალენჯიხის რ-ში აღინუსხა 40133 მოსახლე. მათგან ქართველია 39764, აფხაზი – 42, ოსი – 5, სომეხი – 26, რუსი

—224, აზერბაიჯანელი — 7, ბერძენი — 7, უკრაინელი — 42 (იხ. „აღწერის შედეგები...“, ტ. I, 2003 წ., გვ. 114). ამასთანავე, ამავე (ე.ი. 2002) წელს ნალენჯიხის რაიონში მკვიდრობს 100 წლისა და უფროსი ასაკის 20 მცხოვრები (მათგან: კაცი — 2, ქალი — 18. იხ. „აღწერის შედეგები...“ 2003 წ., ტ. I, გვ. 101).

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 647,1 კვ.კმ. ძირითადი ნაწილი მდებარეობს ენგურის მარცხ. მხარეს, ხოლო სამი სასოფლო საბჭო (ჭალის, მუჟავის, ფახულანის) — ენგურის მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება: ჩრდ-ით — მესტიის მუნიციპალიტეტი, დას-ით — სამურზაყანო; სამხრ.-დას-ით — ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და სამხრ.-აღმ-ით და აღმ-ით — ჩხორონყუს მუნიციპალიტეტი.

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში 6 მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი: ნალენჯიხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ტერენტი გრანელის სახლ-მუზეუმი, ტარასი კვარაცხელიას სახლ-მუზეუმი, ლეო ქიაჩელის სახლ-მუზეუმი, ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი, კალისტრატე სალიას სახლ-მუზეუმი. აქვე აღვნიშნავთ, რომ აკადემიკოს ბიძინა ხუბუტიას (წარმომავლობით ჯვარელი, მოღვაწეობდა ქ. რიაზანში) სახელი დაერქვა თხის რქის ერთ-ერთ ვარსკვლავს.

„გვარ-სახელები საქართველოში“ (თბ., 1997) გვამცნობს 1995 წელს ნალენჯიხის რაიონის ყველაზე მეტად გავრცელებულ 50 გვარსახელს (მითითებულია მათი სულადობა)

- |                       |   |
|-----------------------|---|
| 1. კვარაცხელია — 4952 | 26. სალია — 472                               |
| 2. ფიფია — 2608       | 27. მესხია — 452                              |
| 3. ქარდავა — 1979     | 28. შამუგია — 452                             |
| 4. გოგობია — 1961     | 29. მოლაშხია — 424                            |
| 5. შონია — 1772       | 30. კაკაჩია — 412                             |
| 6. სამუშია — 1650     | 31. ციმინტია — 401                            |
| 7. მიქავა — 1571      | 32. ლუკავა — 382                              |
| 8. შანავა — 1036      | 33. შენგელია — 374                            |
| 9. ხარჩილავა — 707    | 34. ძაძამია — 370                             |
| 10. არქანია — 688 ს.  | 35. აბრალავა — 365                            |
| 11. გერგედავა — 676   | 36. ქუხილავა — 357                            |
| 12. შელია — 648       | 37. აქუბარდია — 346                           |
| 13. ქობალია — 630     | 38. ჩხაპელია — 333                            |
| 14. ჭანტურია — 610    | 39. ჩანგელია — 331                            |
| 15. უბილავა — 591     | 40. გულუა — 326                               |
| 16. ღვინჯილია — 577   | 41. კვირკვია — 322                            |
| 17. ხასაია — 530      | 42. ლურნკაია — 320                            |
| 18. მებონია — 514     | 43. აბულაძე — 284                             |
| 19. აკობია — 512      | 44. ჭანია — 284                               |
| 20. ბერიშვილი — 511   | 45. ქანთარია — 282                            |
| 21. ზარქუა — 506      | 46. მატუა — 280 (შეცდომით აღნიშნულია „მათუა“) |
| 22. ანთია — 593       | 47. მანია — 278                               |
| 23. ჯოლოხავა — 487    | 48. ჯახაია — 278                              |
| 24. კალანდია — 476    | 49. შეროზია — 276                             |
| 25. ბელქანია — 473    | 50. ლემონჯავა — 275                           |

## ნალენჯიხის საქალაქო ადმინისტრაციული ერთეული

**ნალენჯიხა** – ქალაქი (1964 წლიდან) ჭანისწყლის ხეობაში, მუნიციპალიტეტის ცენტრი (ნალენჯიხის მერიაში შედის სოფ. მაზანდარაც). ზ.დ. 222 მ, თბილისიდან 343 კმ, ზუგდიდიდან 25 კმ. ნალენჯიხა დასახელებულია „დადიანის მიწაზე“ რუსთა ელჩობის აღწერაში. კერძოდ, პავლე ზახარევი წერს, რომ ის და მისი ელჩობა 1639 წლის 26 ნოემბერს ჯგალიდან გადაიყვანეს „ (სადაც მაცხოვრის ეკლესიაში აღუნიშნავთ ქრისტეშობა), ხოლო „ 31 „. ეს „, რა თქმა უნდა, არის ნალენჯიხა. იგი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზეც“ (ორივე 1654 წ.).

XIX ს. შუა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) სოფელი ნალენჯიხა შედიოდა ჯვარის მაზრაში, 1886 წელს კი ეს სოფელი ნალენჯიხის საპოლიციო უბნის ცენტრია, ხოლო 1930 წლიდან – ნალენჯიხის რ-ნის ცენტრი. 1964 წელს ნალენჯიხას მიენიჭა ქალაქის სტატუსი.

ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე, „მთის მინდორზედ, არის აღმართული ძველი, ლამაზი გუმბათიანი ეკლესია, თლილის ქვისაგან ნაშენი. ეკლესიას უვლის გალავანი ქვისა კოშკებითურთ, ეხლა ბევრ ალაგას დაქცეული. დასავლეთის მხრით გალავანს უერთდება ნანგრევები დადიანების სახლისა. ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით ამართულია ქვის სამრეკლო“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 209). რა თქმა უნდა, საუბარია ნალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაზე. როგორც ცნობილია, მარი ბროსე ეკლესიის აშენებას მიაწერდა ვამეყ დადიანს. ე. თაყაიშვილი კი თვლის, რომ „ნალენჯიხის ეკლესია უფრო ძველია ხობისა და ცაიშის ეკლესიებზედ“ და X-XI სს-შია აშენებული. ვამეყ დადიანს კი ეკუთვნის ამ ეკლესიის განახლება, მისი კედლების მოხატვა და წარწერები (იქვე, გვ. 209). მაკარი ანტიოქიელი (ანტიოქიის პატრიარქი) XVII ს-ში ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, ძირითადად ნალენჯიხის მონასტერში და აქვე 1665 წელს დაუწერია თხზულება, რომელსაც პირობით უწოდეს „ცნობები საქართველოს შესახებ“. ერთგან ავტორი ასახელებს „ჭანისწყლის მონასტერს“ და აგრძელებს: ეს მონასტერი მეგრელთა ქვეყანაშია, ქართველთა ქვეყნის მეზობლად“ (მაკარი ანტიოქიელი, 1982, გვ. 122).

გადმოცემა ნალენჯიხის ეკლესიის აგებას თამარ მეფეს უკავშირებს. რესპ.: „სქურს აქეთ სამლოცველო არ ყოფილა. დაობდნენ, თუ სად აეშენებინათ. სვანეთიდან მობრუნებულ თამარ დედოფალს უბრძანებია, თვალახვეული ხარი და ფური გაუშვითო. ფური დაწოლილა ამ სერზე. დედოფალს უკითხავს, როგორი ადგილიაო. მოუხსენებიათ: „ჭე დიხა“ (მცირე მიწა) მინდორია, ხოლო ქვემოთ „ჭე წყარი“ (მცირე მდინარე) დისო. ამიტომაც დარქმევია ადგილს ჭედიხა ( წენდიხა), ხოლო მდინარეს – ჭე წყარი ( წენწყარი)“. ზოგ შემთხვევაში ჭანისწყალი დასახელებულია როგორც „ჭანთა წყალი“. სხვა თქმულება, რომელიც ჩანერილი და დაბეჭდილია 1913 წელს: ნალენჯიხა უდაბურ ტყეს წარმოადგენდა. ერთ მთავარს სქურის ეკლესიისათვის შეუწირავს თეთრი ხარი. წლების შემდეგ იგი დაბრმავებულია. რადგან სქურში ხალხი უკვე მომრავლდა, ეს ბრმა ხარი გაუშვიათ, რათა იქ გადასულიყვნენ საცხოვრებლად, სადაც იგი დაწვებოდა. გაჰყოლიან მზვერაგები. მათ მთავრისათვის მოუხსენებიათ, სადაც „ჭიჭე დიხა“ არის, იქ მოკალათდაო. ამ „ჭიჭე დიხაში“ დასახლებულან და იმ ადგილისათვის დაურქმევიათ ჭენჯიხა ( ჭე დიხა), ეკლესიაც აუშენებიათ. ბოლოს ყველა აქეთ გადმოსულა და სქური დაცარიელებულა. ეს მომხდარა V-VIII საუკუნეებში (იხ. გოგია, 1913), მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვარაუდობენ, რომ ნალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია მანამდეა აშენებული. კიდევ ერთი თქმულება: ნალენჯიხაში ბერძნები მოსულან, მაცხოვრის ეკლესიის კედლებზე წარწერები ნაუკითხავთ და სქურისაკენ გაუწევიან. იქ, ეკლესიის ეზოში, დიდ ქვაზე ყოფილა ბერძნული წარწერის

ნაშთები. ამ ქვის ქვეშ კი უპოვიათ ოქროსა და ვერცხლის ფულები და თან ნაუღიათ (იხ. გოგია, 1913).

სპეციალურ კალენდარში („ქართული კულტურის ძეგლები“, თბ., 2015) ნალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან დასახელებულია მხოლოდ მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია: „ნალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი დგას ქალაქის განაპირას, მაღალ გორაკზე. კომპლექსში შედის: სამრეკლო, სასახლე დადიანისა (ნანგრევები), გალავანი და სხვა ნაგებობანი. ტაძრის ფასადები მდიდრულადაა მოჩუქურთმებული, მაგრამ მთავარი ღირსება XIV ს. ინტერიერის მოხატულობაა, რაც შესრულებულია ბიზანტიურ (ე.წ. პალეოლოგოსთა) სტილში. ტაძარში არის ბერძნული და ქართული ერთნაირი შინაარსის წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ სამეგრელოს მთავარს ვამეყ დადიანს კონსტანტინეპოლიდან მოუწვევია მხატვარი კირ-მანუელ ეგენიკოსი ტაძრის მოსახატად: „აქ წარვეგზავნეთ მაცხოვრისა შენეენითა კონსტანტიპოლეს და მოვიყვანეთ მხატვარი ესე კირ-მანუელ ჩვენ... მახარობელი ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ვევედრებით მაცხოვარსა, რათა გვიხსნას ჩვენც დიდსა დღესა მას განკითხვისასა. ამინ, ამინ, ამინ...“ კირ-მანუელ ეგენიკოსს, როგორც ჩანს, ქვაბალია და გაბისულავაც ეხმარებოდნენ ეკლესიის კედლების მოხატვაში. სამკვეთლოს მხატვრობა სრული სახითაა მოღწეული. აქ წარმოდგენილია რვა სიუჟეტი წმ. ნიკოლოზის ცხოვრებიდან; სამხრეთ კედელზე ღვთისმშობლის ცხოვრების ციკლია წარმოდგენილი, ჩრდილო კედელზე კი – დიდი კომპოზიცია – „თომას რწმუნება“. ამავე კედელზე შემორჩენილია პორტრეტები ქტიტორებისა – ვამეყ დადიანისა და მისი მეუღლე მარებისა. XVII ს-ის მოხატულობა განაახლებინა ევდემონ ჯაიანმა. ეგეტერების სხვადასხვა დროის მოხატულობაში (XVI-XIX სს) არის სხვა ქტიტორთა და საერო პირთა პორტრეტებიც.

მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის საისტორიო-საეკლესიო და, საერთოდ, ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა და ჩახაზული ჯვრის გეგმაზეა აშენებული. ამ ეკლესიის აგების თარიღზე საეკლესიო წარწერებსა თუ სხვა სახის წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი, თუმცა კი ეკლესიის შიგნითა კედლები შემკულია ფრესკებითა და ქართულ-ბერძნული წარწერებით. ექვთიმე თაყაიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ეს ეკლესია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი აშენება ივარაუდა X-XI საუკუნეებით (სხვა მოსაზრებით – XII-XIII სს). ეკლესია გარშემორტყმულია მაღალი გალავნით, ეზოში კი ოდიშის მთავრების სამარხებია.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სამეგრელოს მთავარს – ვამეყ დადიანს (1384-1396 წწ) ტაძრის ინტერიერის მოსახატავად კონსტანტინოპოლიდან მოუწვევია მხატვარი კირ მანუელ ეგენიკოსი, რომლის ჩამოსაყვანად გაუგზავნია მახარებელ ქვაბალია და ანდრონიკე გაბისულავა. ეს წარწერა არის მეგრული გვარსახელების ქრონოლოგიურად მესამე ეპიგრაფიკული დადასტურება ილორისა (XI ს: გვარი ქოჩოლავა) და ნებელდის (XIII ს: გვარი მარტინავა) შემდეგ. როგორც ცნობილია, ნალენჯიხაში საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია ლევან II დადიანს XVII ს-ის 40-იან წლებში. ამასთანავე, XIV საუკუნიდან ნალენჯიხა დადიანთა საცხოვრებელი და დასაკრძალავი ადგილი ყოფილა.

არქანჯელო ლამბერტი, ჩამოთვლის რა ოდიშის საეპისკოპოსოებს, აღნიშნავს, რომ ნალენჯიხის ფერისცვალების ეკლესიაში მარხავენ მთავრებს და „მის ეპისკოპოსს ჰქვია ნალენჯიხელი“ (ლამბერტი, 1991, გვ. 107). ამავე საუკუნის საისტორიო წყაროებში დასახელებულია რამდენიმე მოძღვარი თუ ეპისკოპოსი. ექვთიმე თაყაიშვილმა შეისწავლა ამ ეკლესიის ფრესკები და ერთ მათგანზე ამოიკითხა: „მე ეპისკოპოსმან ნალენჯიხელმან ევდემონ ჯაიანმა დავახატვინე ეკლესიის კარი“. სხვა წარწერაში ევდემონ ჯაიანი, რომელსაც განუახლება ნალენჯიხის ეკლესია (XVII ს), თავის თავს მოიხსენიებს როგორც „ნალენჯიხელი“. ასევე მოიხსენიებიან ნალენჯიხის სხვა ეპისკოპოსებიც. 1678 წელს აფხაზმა დამპყრობლებმა გაძარცვეს ზუგდიდის, ცაიშისა და ხობის ტაძრები და, როგორც ვარაუდობენ, ნალენჯიხის ეკლესიაც. უეჭველია, ნალენჯიხის საეპისკოპოსომ XVII ს-ის დამლევისათვის შეწყვიტა არსებობა. 1655 წელს ერთ-ერთი კათოლიკე მისიონერის მიერ სამშობ-

ლოში გაგზავნილ წერილში მოხსენიებულია „ნალენჯიხელი ეპისკოპოზი“ და „ნალენჯიხის საეპისკოპოსო“ (თამარაშვილი, 1902, გვ. 199). მაგრამ რამდენიმე წელიწადში ოდიშის სამთავროში სიტუაცია შეიცვალა. 1674 წელს რომში გაგზავნილ წერილში პატრი ძამპი იუწყება: „სამეგრელო, სამეგრელო აღარ არის, რადგან ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკშია ჩავარდნილი, დაქცეული და აოხრებული“ (იქვე, გვ. 204) (იგულისხმება აფხაზთა თავდასხმები, რამაც მთელ სამეგრელოში მოშალა ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაცია).

ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო-საგეოგრაფიო ხასიათის ნაშრომი „აღწერა საქართველოსა“ ერთადერთია, სადაც ნალენჯიხა დასახელებულია „ჭელენჯიხი“ ფორმით: „ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდან ზღუამდე“ (სქოლიოს ვარიანტი: „ჭელენჯიხის ეკლესია“. იხ. ვახუშტი, 1973, გვ. 778). (სინამდვილეში ნალენჯიხის საეპისკოპოსოა და შავ ზღვას შუა იყო ცაიშის საეპისკოპოსო). ი. ყიფშიძე პირველია, რომელმაც **ნალენჯიხა**//ჭალენჯიხა წარმოადგინა როგორც სალიტერატურო-ოფიციალური ფორმა, ხოლო მის ადგილობრივ ვარიანტად ჩათვალა წენდიხა, რაც ნიშნავს „ჭანის ციხე (მინა)“. (ყიფშიძე, 1994, გვ. 581).

სხვა ეტიმოლოგიები ასეთია: ს. ჯანაშია თვლიდა, რომ სიტყვის პირველ ნაწილში დაცული **წენი** ანუ **წანი** „იყო ერთ-ერთი ტომთაგანი ჭანურ-მეგრული განშტოებისა“. სწორედ ამ **წანი**-საგან მიიღო სახელწოდება წენჯიხამ და წენწყარმა. შ. მესხია თვლის: „უდავოა, რომ „ჭენ-ჯიხა“, „ჭალენ-ჯიხა“ და „ჭან-წყალი“ არის დიალექტური ვარიანტები „წენ-დისისა“ (ნალენ-ჯიხა) და „წენ-წყარისა“... „ჭალენ-ჯიხა“ (→ ჭენ-ჯიხა) და „ჭან-წყალი“ არის დიალექტური ვარიანტი „ჭენ-დისისა“ (ნალენჯიხა) და „ჭენ-წყარისა“. ფონეტიკური პროცესი ჭ → წ ახსნილია რეგრესული ასიმილაციით (მესხია, 1989). აქედან გამომდინარე, სახელწოდება „ჭელენჯიხი“ მეგრული „ნალენჯიხის“ ზუსტი ქართული (ე.ი. ლიტერატურული) შესატყვისობაა (ბერაძე, სგიკ, IV, გვ. 60). კ. ჰანისეული „ეტიმოლოგია“ ამ ტოპონიმისა, როგორც უმეტეს შემთხვევაში, შორს დგას ჭეშმარიტებისაგან: „  
x ( . ) . ცალი = ჯიხა x ( ) = :  
“ (ჰანი, 1909, გვ. 149). ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია აგრეთვე ი. გოგიას ვარაუდი, რომ სახელწოდების პირველი ნაწილი დაკავშირებულია ლექსემა წელთან: წელამიმ ჯიხა „წელის ციხე“ (ე.ი. „საზურგო“, „შუათანა“) ნალენჯიხა (გოგია, 1913).

კიდევ ერთი ეტიმოლოგიის შესახებ: მარტვილელი პედაგოგი და მკვლევარი ომარ ხუხუა თავის სამეცნიერო ნარკვევში, რომელიც დაბეჭდილია მარტვილის ეროვნული მუზეუმის „48-ე სამეცნიერო სესიის მასალებში“ (მარტვილი, 2002 წ.) რამდენიმე სხვა ტოპონიმთა (თუ ნომენტა) გვერდით გვთავაზობს წენდიხა//ჭენჯიხას თავისებურ ეტიმოლოგიას: „ნალენჯიხა თითქოს ხელოვნური ფორმაა, მაგრამ... კომპოზიტიის პირველი ნაწილი წყალთანაა დაკავშირებული, მეორეში აშკარაა „დისა“... მეგრულში „დ“ ფონემას ხშირად ცვლის „ჯ“ ფონემა (სინდა სინჯა), რაც გვიდასტურებს, რომ **ნალენჯიხა**-საგან უნდა მიგველო **ჭალენჯიხა**, თანამედროვე გაგებით – წენწყარის ციხესიმაგრე. წენწყარიმ ჯიხა ჭენწყარის ჯიხაა“ (ხუხუა, 2003, გვ. 27). სინამდვილეში, ქართულ-ზანურ არქეტიპ ძიხე-ს ქართულში შეესატყვისება ციხე, ხოლო მეგრულ-ლაზურში – ჯიხა (ქეელ, 2000, გვ. 229). მაშასადამე, „ჯ“ ბგერამ კი არ მოგვცა „დ“, არამედ პირიქით (\*ძიხე ქართ. ციხე : მეგრ.-ლაზ. ჯიხა მეგრ. დისა; შდრ.: ქართ. სიძე : მეგრ. სინჯა სინდა).

დაბოლოს, ნალენჯიხის სოფლებში ნალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიას ხშირად „დიდ ოხვამეს“ ან „ფერცველობაშ ოხვამეს“ უწოდებენ. XIX ს-ის საარქივო მასალების მიხედვით (იხ.: დ. ჭითანავა, 2010, გვ.: 58, 80), XX ს-ში ამ „დიდ ოხვამეში“ საეკლესიო თანამდებობანი ეჭირათ თვალთვადებებს.

ჟურნალისტი გვანჯი მანია ჩამოთვლის ნალენჯიხის რაიონის ცნობილ ადამიანებს: „დიდი ქართველების“ შესახებ სატელევიზიო დებატებში, გარდა დასახელებული სამი ჯვარელისა (იხ. ჯვარის საქალაქო ადმ. ერთეული — პ.ც.), წარმოდგენილი იყვნენ



წალენჯიხის რაიონის საამაყო შვილები: პოეტი ტერენტი გრანელი (წალენჯიხა), ქართველოლოგი, აკადემიკოსი კალისტრატე სალია (ჯგალი), აგრონომი, აკადემიკოსი ტარას კვარაცხელია (ნაკიფუ), მწერალი ლეო ქიაჩელი და კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია (ორივე ობუჯიდან), ლოტბარი კირილე პაჭკორია (ლია), სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, რომელიც მეუღლესთან და შვილთან ერთად წალენჯიხის ათასწლოვან ტაძარშია დაკრძალული. წალენჯიხელთა საამაყო რძლები — ქართველოლოგი ნინო ქურციკაშვილი-სალია და კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე-შენგელაია (მანია, 2015, გვ. 41).

წალენჯიხასა და მაზანდარაში მრავალკომლიანი გვარებია: კვარაცხელია – 208 კ., შანავა – 194 კ., კალანდია – 118 კ., მიქავა – 113 კ., სალია – 62 კ., ეფსია – 52 კ., ჯოლოხავა – 52 კ., ხარჩილავა – 51 კ., სარია – 49 კ., ღვინჯილია – 43 კ., გულუა – 41 კ., აბულაძე – 38 კ., ლუკავა – 38 კ., სახოკია – 35 კ., მებონია – 29 კ., შელია – 29 კ., არახამია – 26 კ., ბელქანია – 26 კ., შენგელია – 26 კ., ქარდავა – 24 კ., ქუჩულორია – 24 კ., ჩალიგავა – 22 კ. და სხვ.

ქ. წალენჯიხის ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969-1970 წლებში.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**მაზანდარა.** 2002 წელს მაზანდარა სოფელია წალენჯიხის მერიაში და მდებარეობს ჭანისწყლის ორივე ნაპირზე (მდრ. ქსე: „მდ. ჭანისწყლის მარცხ. მხარეს“). ზ.დ. 230 მ, წალენჯიხიდან 4 კმ. იყოფა: **ზედა მაზანდარა** (ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს: უნინ ენწერი ენოდებოდა) და **ქვედა მაზანდარა** (ჭანისწყლის მარცხ. მხარეს). ზედა მაზანდარაში, კაცხარის ბორცვზე, ოტოფუესა და გვრძე ლალის შესართავთან შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნაშთი, კერძოდ, გალავნის ფრაგმენტები სათოფურეებით (იხ. **კაცხარა** მეორე ნაწილში).

მაზანდარის, როგორც სოფლის სტატუსის მქონე ერთეულის, ისტორია იწყება საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემით: სოფელი შედის წალენჯიხის სას. საბჭოში (მოსახლეობა 700 კომლი, 1423 სული). ხოლო XX ს-ის დამლევსა და XXI ს-ში მაზანდარა წალენჯიხის მერიაში შედის. რესპ.: „მაზანდარა თევზია ერთგვარი, აქ იშვიათად იცის, ქვემო დინებიდან ამოჰყვება წყალს“. აღ. ქობალია: „**მაზანდარა** – ლორწოვანი; ბლანტი ჭაობიანი ნიადაგი... **მაზანდარა ჩხომი** – თევზია ერთგვარი, კობრის მსგავსი...“ სოფელში ხშირად მოისმენ ე.წ. „ენის მასალას: „მაზანდარა, მაზანდარა, სი ცხონტი დო მა ბზღვანდალა“.

მაზანდარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ დ. ყანდაშვილის ერთ-ერთ კურიოზს: „**მაზანდარა** — ს. წალენჯიხის რ-ში. „**მაზა-** — სანუკვარი“ (ქლ) (ყანდაშვილი, 2000). ასეც რომ იყოს, რაღაა სიტყვის მეორე ნაწილი **ნდარა** (??).

სოფ. მაზანდარის ტოპონიმური მასალა აღინუსხა 1969-1970 წლებში.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## ჯვარის საქალაქო ადმინისტრაციული ერთეული

**ჯვარი** – ქალაქი (1981 წლიდან) ენგურის მარცხ. მხარეს, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზაზე. ზ.დ. 280 მ, წალენჯიხიდან 20 კმ. ჯვარის საქალაქო-ადმინისტრაციულ ერთეულში შედის ქ. **ჯვარი** და სოფ. **ენერი** (სოფ. ლექარდე უკვე შეერთებულია ქ. ჯვართან). ჯვარს აღმ-ით ესაზღვრება სოფ. ლეშამუგე (ჩქვალერის ადმ. ერთეული), ხოლო სამხრ-ით, ენგურისპირა ვაკე-ზეგანზე – ზ. ლია (ლიის ადმ. ერთეული). ჯვარის (როგორც ლექსიკური ერთეულისა და ტოპონიმისა) მნიშვნელობაზე ვრცელი სტატიები ქსე-სა და ქეგლ-ზე. კერძოდ ქსე-ს მე-11 ნიგნში (გვ. 559) აღნიშნულია: „ჯვარი — ემბლემა ნიშანი, რომელსაც სხვადასხვა მითოლოგიურ-რელიგიური და კოსმოგონიური მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი აღმოცენდა ზედა პალეოლითის ეპოქაში, განსაკუთრებით ფართოდ

გავრცელდა ნეოლითში“. საბოლოოდ ჯვარი ქრისტიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოდ იქცა.

სახელწოდება **ჯვარის** წარმოშობასთან დაკავშირებით ჩვენს დრომდე მოღწეული ლეგენდა ი. ყიფშიძეს ასე აქვს გადმოცემული: ამ კუთხეში ქრისტიანობას ქადაგებდა ანდრია პირველწოდებული. მას აქ ჯვარი დაუსვამს და სახელწოდებაც აქედან წარმოშობილა. სხვა გადმოცემა: ჯვარი აღუმართავთ დღევანდელი ჯვარის ცენტრის (ენგურის მარცხ. ვაკეზე) აღმ-ით მდებარე ვაკე-ზეგანზე და **ჯვარზენიც** მას დარქმევია. ბუნებრივია, რომ „**ჯვარზენი**“ მეორეული სახელწოდებაა და გულისხმობს ჯვარის (როგორც დასახლების) ვაკეს (იხ. ჯვარზენი II ნაწილში). ქსე-სა (XI ტ.) და ქეგლ-ში ჯვარის წარმომავლობასა და დანიშნულებაზე რამდენიმე ვრცელი სტატიაა განთავსებული. როგორც ჩანს, ტერმინი „ჯვარი“ საქართველოში ადრინდელი ქრისტიანობის ხანაშივე არსებობდა. იგი უკვე ცნობილია იაკობ ხუცესისათვის (V ს), რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის ტერმინი „სახარება“ და მის ნაცვლად ხმარობს „ევანგელეს“ (ქსე, XI, გვ. 558).



**ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი**  
**Snowy dam of Engurhesi**

შუაფეოდალურ ხანაში ჯვარი სვანეთის საერისთავოს ოდიშის გავლით საქართველოს ცენტრთან აკავშირებდა. ეს გზა მიუყვებოდა ენგურის ხეობას და ხაიშის ქვემოთ ორად იყოფოდა: მთავარი გზა კვლავ ენგურის ხეობაზე გადიოდა, გავილიდა ჯვარს და აღწევდა სოფ. ლიამდე; მეორე გზა სამხრეთ-აღმოსავლეთით სქურისაკენ უხვევდა და ბოლოს ორივე გზა ერთიანდებოდა წალენჯიხის ჯიხასთან, შემდეგ კი მიემართებოდა შუა სამეგრელოს გზამდე (ბერაძე, 1967, გვ. 181-182).

1886 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, წალენჯიხის უბნის სოფ. ჯვარში მკვიდრობს 512 კომლი (3289 სული, ყველა ქართველი). „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის თანახმად, ჯვარის სასოფლო საბჭო მოიცავდა 7 სოფელს. ესენია: **ენერი პირველი** (93 კომლი, 422 სული. ამ პერიოდში ენერი მეორე შედის ლიის სას. საბჭოში), ლექარდე (101 კომლი, 490

სული), **ლემამუგე** (129 კომლი, 628 სული), **ჩქვალერი** (115 კომლი, 555 სული), **წყავაში** (20 კომლი, 108 სული), **ხუდონი** (109 კომლი, 601 სული) და **ჯვარზენი** (143 კომლი, 693 სული). ამ პერიოდში ჯვარი, როგორც ცალკე სოფელი, არაა გამოყოფილი. 1949 წელს პირველი ენერი და მეორე ენერი შედის ლიის სას. საბჭოში, ხოლო ტერიტორიას ოჭანესა (ქ. ჯვარის უბანი) და ლიის სას. საბჭოს შუა ენოდა „ენერი“. ამასთანავე, ჩქვალერი და ლემამუგე „დაყოფის“ 1987 წ. გამოცემაში შედის ჩქვალერის სას. საბჭოში. ხუდონი ენგურის წყალსაცავის ფსკერზე მოექცა. წყავაში ჯერ კიდევ 1949-50 წლებში დაცარიელდა (მთავრობის დადგენილებით გადასახლდნენ აფხაზეთში). ჯვარზენს გაუუქმდა სოფლის სტატუსი და ქალაქ ჯვარის უბნად იქცა, ხოლო პირველ ენერს (მეორე ენერთან ერთად) ეწოდა ორჯონიკიძე (ამჟამინდელი პირველი ენერი — სოფელი და ადმ.-ტერიტ. ორგანოს ცენტრი. თავდაპირველი სახელწოდება ენერი მეორე – ჯვარის სას. საბჭოში). ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ჯვარი ჯერ დაბად გადაიქცა, ხოლო 1981 წლის 31 ივლისს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

2002 წელს ჯვარის საქალაქო საკრებულოში შედის ქ. ჯვარი და ს. ენერი (ლექარდე ქალაქის ნაწილად იქცა). 2014 წლის დამლევს ჯვარის საქალაქო საბჭოში შედის ქალაქი ჯვარი, სოფ. ჯვარი, ოჭანე და ნაკა (ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაა 2631 კომლი; 9675 სული).

ჯვარი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. აქ აღმოაჩინეს გვიანბრინჯაოს ხანის განძი, რომელიც პეტერბურგშია დაცული, ხოლო 1964 წელს ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია მახსანიის გამოქვაბული... აღმოჩნდა, რომ ელინისტურ ხანაში ამ გამოქვაბულს სვანეთისაკენ მიმავალი ვაჭრები სადგომად იყენებდნენ. ენგურჰესის კაშხლის ზემოთ, მდინარე ეცის ხეობაში, არქეოლოგებმა ქვის ხანის (მუსტიეს ეპოქა) ადამიანთა გარე სადგომებს მიაკვლიეს (გაბისონია, 2009, გვ. 40).

წერილობით წყაროში (და ისიც რუსულში) სოფ. ჯვარი პირველად 1639 წელს არის მოხსენიებული: ამ წლის 17 ნოემბერს რუსეთის მეფის ელჩები – ელჩინი და ზახარიევი – სოფ. ხუდონიდან გადასულან სოფ. ჯვარში (დასახლებულია *Джвари* ფორმით) და აქ დარჩენილან 20 ნოემბრამდე (იხ. ელჩობა..., გვ. 341). „1873 წლის სტატისტიკური აღწერის მასალები“ გვაუწყებს, რომ სოფ. ჯვარში იყო შვიდი ეკლესია, ციხის ნანგრევები და ბიზანტიური სტილის აკლდამა, რომელიც მკვრივი ქვით იყო ამოშენებული (ჭითანავა, 2010, გვ. 78). მაგანასა და ენგურის შესართავთან შემონახულია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელსაც ყე(ი)ნიამ ჯიხას უწოდებენ. როგორც გადმოსცემენ, თავდაპირველად ჯვარი ერქვა დასახლებას ენგურისპირა ვაკეზე, ხოლო რამდენიმე ათეული მეტრით ამაღლებულ ფართო ვაკე-პლატოზე მდებარეობდა სოფელი ჯვარზენი ( ჯვარიშ რზენი „ჯვარის ვაკე“), სადაც ჯგეგეში – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში – ყოველი წლის 23 ნოემბერს იმართებოდა გიორგობა (იხ. **ჯგეგე**). სწორედ ჯვარზენში აშენდა ენგურჰესის მშენებელთა ქალაქი.

ჯვარი მე-19 საუკუნეშიც მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრია. სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა (1840-1853 წწ.) ოდიში ექვს მაზრად დაყო (ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის მაზრები). სოფელთა რაოდენობით გამოირჩეოდა ჯვარის მაზრა. მასში შედიოდა 34 სოფელი: ჯვარი, ხუდონი, ლია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი, ზუბი, ჯუმითი, ლენურნუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ყინოთა, ლეცავე, ნაჩხური, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ქოლა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯაგოუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაკი, კინია, მოიდანახე, ნოლა (სოფლები დასახლებულია იმ მართლწერიტა და თანამიმდევრობით, როგორითაც წარმოდგენილია იონა მეუნარგიას წიგნში „სამეგრელო დავით დადიანის დროს“).

ჯვარში გავრცელებული გადმოცემის თანახმად, აკაკი წერეთელი ამ სოფელში ორჯერ ჩამოსულა – პირველად 1872 წელს, მეორედ – 1874 წელს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. 1895 წლის გაზაფხულზე კი აკაკი ჩამო-

სულა სენაკში, სენაკიდან ზუგდიდში, ხოლო ზუგდიდიდან ჯვარში 30 ცხენოსნის თანხლებით. ჯვარზენში, დადიანების საგვარეულო მამულში, იგი სწვევია თავის დისშვილს – ანეტას. აკაკის პატივსაცემად სუფრა ასწლოვანი კაკლის ძირში, მოჩუხჩუხე წყაროსთან გაუშლიათ. აკაკი წყაროს წყალს დასწავებია... გადმოცემით, თავისი „ნათელაც“ წაუკითხავს. ამ წიგნის ავტორს მოწაფეობის პერიოდში (1950-1955 წლებში) ხშირად გაუვლია ამ კაკლის ხესთან და წყაროსთან, მაგრამ დღეს იქ არც დადიანთა ნასახლარია, არც წყარო, არც კაკლის ხე. P.S. აკაკი წერეთლის ცხოვრებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მხოლოდ ერთი წინადადებითაა აღნიშნული, რომ 1895 წელს სამეგრელოში მყოფი აკაკი წერეთელი ახალსენაკის შემდეგ ეწვია თავის დისშვილს, ანეტა დადეშქელიანს (ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 390).

ჯვარზენში, შქაშლალის მარცხ. ნაპირას, საგეთიოს პირდაპირ, სასაფლაოსთან ორი ძეგლის ნაშთებია შემორჩენილი. ერთი მათგანი მცირე ზომის ციხესიმაგრეა, ხოლო მეორე — ნაეკლესიარი, რომელსაც ეწოდება ჯგეგე (ე.ი. ჯგირი გიორგი „წმინდა გიორგი“. იხ. ჯგეგე ამ წიგნის მეორე ნაწილში). იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა 1888 წელს დაარსებულ სკოლის ეზოს. ჯგეგე თავისი მარტივი ფორმით ერთადერთი ტრიკონქია (ე.ი. სამაბსიდიანი ეკლესია ჯვარისებრი მოხაზულობისა) დას. საქართველოში (იხ. თ. კაპანაძე, ჯვარზენის ტრიკონქი, „ძეგლის მეგობარი“ 2, კრებ. № 84, თბ., 1989, გვ. 66-67). ჯვარში რამდენიმე ციხესიმაგრეა, აგებული შუა საუკუნეებში (ლაბარაში, ომუნემ ჯიხა, ყე(ი)ნიაშ ჯიხა და სხვ.).

1888 წელს ჟურნალ „მწყემსის“ სექტემბრის ნომერში აღნიშნული იყო, რომ ჯვარის მოსახლეობა გაუნათლებელი და ჩამორჩენილია. სწორედ ამავე (1888) წელს მღვდელ ზებედე გეთიას ინიციატივითა და მონდომებით გაიხსნა ერთკლასიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელსაც საკუთარი შენობა არც ჰქონდა, მაგრამ 1894 წლიდან უკვე ფლობდა ერთ პატარა ოთახს... დღეს კი ჯვარის საშუალო სკოლა, რომელიც მელიტონ ქანთარიას სახელს ატარებს, მოთავსებულია სამსართულიან შენობაში და აქ ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობს.

1886 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, წალენჯიხის უბნის სოფ. ჯვარში მკვიდრობს 512 კომლი (3289 სული. მათგან ყველა ქართველი იყო).

ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავის“ ერთი წინადადება ასეთია: „ოხაჩქუეს მთის ძირას, ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ჯვართან, დგას დროჟამისაგან გვერდებჩამონგრეული ციხე-კოშკი“. აქ ერთგვარი უზუსტობაა: შეუძლებელია ენგურის მარცხ. ნაპირი იყოს ოხაჩქუეს მთის ძირას: მთა ოხაჩქუე მდებარეობს ენგურის მარჯვ. მხარეს, 10-12 კმ-ზე, სამურზაყანოს საზღვართან. გვერდებჩამონგრეულ ციხე-კოშკში იგულისხმება ომუნეს ჯიხა, რომელიც ენგურ-მაგანის წყალგამყოფი ქედის სამხრ. დაბოლოებაზეა.

ჯვარს სახელი გაუთქვა საბჭოთა კავშირის გმირმა მელიტონ ქანთარიამ (რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე), რომელიც ჯვარის საშუალო სკოლის ეზოში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ობელისკის გახსნას თავად ესწრებოდა და სიტყვაც წარმოთქვა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ენგურზე აღმართა მსოფლიოში უმაღლესი თაღოვანი კაშხალი (სიმაღლე 271,5 მ), ხოლო 2015 წელს ჯვარში მელიტონ ქანთარიას ძეგლიც გაიხსნა. „პოლიტიკურ რუკაზე ჯვარი პანანინა წერტილითაა გამოხატული, მაგრამ მისი სამშვიდობო საქმეები ისეთი მასშტაბურია, დიდი წრეწირით გამოხატულ ნებისმიერ ქალაქს დაშვენდებოდა“ (მანია, 2015, გვ. 48).

2009 წელს საქართველოს მოსახლეობის სატელევიზიო გამოკითხვით გამოვლინდა ქვეყნის 420 ცნობილი ადამიანი. მათგან „სამი იყო ჯვარელი: აკადემიკოსი, „ქართული ქირურგიის მეფე“ **ევნატე ფიფია** (1901-1979), საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ეგოროვთან ერთად ფაშიზმზე გამარჯვების დროშის რაიხსტაგის გუმბათზე აღმმართველი **მელიტონ ქანთარია** (1920-1993) და მეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, დედამიწის გარშემო მოგზაური, ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი **აკაკი ჭანტურია** (1881-1949). საგულისხმოა რომ ერთ დროს ისინი ჯვარის პირველი საშუალოს სკოლის მოსწავლეები იყვნენ“ (მანია, 2015, გვ. 41).

დაბოლოს, ე.წ. „ჯვარული თქმის“ შესახებ: ალ. ცაგარელმა ზუგდიდურ-სამურზაყანულ დიალექტში გამოყო ე.წ. „ჯვარული თქმა“, რომლის თავისებურებად მიიჩნია დ. ჯ. რაგადი რაგაჯი, უბედური უბეჯური... (ხანდაზმულთაგან გამიგონია, რომ ხუდონელები „ჯუჯალანდეს“. ამისი გადმონაშთია, რომ ხუდონის პარალელურ ფორმად დღესაც გაიგონებთ „ხუჯონს“). ი. ყიფშიძემ ოდენ დ. ჯ. ფონეტიკური პროცესის საფუძველზე „ჯვარული თქმის“ გამოყოფა გაუმართებლად ჩათვალა. საბოლოოდ დადგინდა: „თანამედროვე ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ დიალექტში ე.წ. ჯვარული თქმის ცალკე გამოყოფის რაიმე ლინგვისტური საფუძველი არ არსებობს“ (მლა, 2010, გვ. 33-34). მაგრამ მ. ჩუხუა აღნიშნავს: „ჯვარული თქმა გამოყოფილია და გამოსაყოფია დღესაც მრავალი ინდივიდუალური თავისებურების გამო, რომელიც ხშირად ზანურთან ავლენს საერთოს“.

ქალაქ ჯვარის ძირძველი და შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: ქარდავა – 60 კ., აქუბარდია – 31 კ., ფიფია – 28 კ., ციმინტია – 27 კ., აკობია – 23 კ., სამუშია – 21 კ., ქანთარია – 21 კ., ყურუა – 20 კ., ჭკადუა – 19 კ., უბილავა – 13 კ., ჭანტურია – 13 კ., ქუხილავა – 13 კ., ხასაია – 10 კ., ხუბუტია – 10 კ., და სხვ.

იხ. რესპონდენტთა სია და მასალის ჩანერის თარიღი №-2 დანართში.

**ენერი** – სოფელი ჯვარის საქალაქო-ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯვარი-ნალენჯიხის გზაზე, ე(ნ)ერის ჩრდ. ნაწილში, ქ. ჯვარსა და ენერის ადმ. ერთეულს შორის. ესაზღვრება: საჩინო, ზ. ლია, მაზანდარა. ზ. დ. 320 მ. ნალენჯიხიდან 7 კმ. ენერში მკვიდრობს ორ ათეულზე მეტი გვარი. მათგან კომლმრავლობით გამოირჩევიან ფიფიები, მატუები, ქანთარიები, სალიები, ქარდავები. იხ. ენერი.

ენერი, როგორც ორონიმი, აღნიშნავდა ენგურ-ჭანისწყლის გამყოფ ფართო ვაკე-ზეგანს და ვრცელდებოდა ჯვარიდან (ზუსტად: ოჭანეს უბნიდან) ზუგდიდის რ-ნის საზღვრამდე. საქ. სსრ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემის თანახმად, ეს ენერი დაყოფილია ორ სოფლად: ა. ჩრდილოეთ ნაწილს ეწოდება **ენერი პირველი** და იგი შედის ჯვარის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 93 კომლი, 422 სული); ბ. **ენერი მეორე** – ენერის სამხრ. ნაწილი ენერი პირველიდან სოფ. ჭკადუაშამდე (ზუგდიდის რ.) შედის ლიის სას. საბჭოში (მოსახლეობა: 77 კომლი, 396 სული). „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემით, პირველი ენერი და მეორე ენერი შედის ჯვარის სას. საბჭოში, მაგრამ 1987 წლისათვის სულ სხვა სურათია: ჯვარის სას. საბჭოში შედის არა პირველი ენერი, არამედ „ენერი“, ხოლო მეორე ენერს დაერქვა ორჯონიკიძე და შეიქმნა ორჯონიკიძის სას. საბჭო. 2002 წლისათვის კი ნალენჯიხის რაიონში ორი სოფელია ერთნაირი სახელწოდებით: **ენერი** (ყოფილი პირველი ენერი) – ჯვარის საქალაქო საკრებულოში და **ენერი** (ყოფილი ორჯონიკიძე) – ენერის სოფლის საკრებულოს ერთადერთი სოფელი (მოსახლეობა: 1064 მუდმივი მოსახლე).

ენერში მკვიდრობს ორ ათეულზე მეტი გვარი. მათგან XX ს-ის დამლევს კომლმრავლობით გამოირჩეოდნენ ფიფიები, მატუები, ქანთარიები, სალიები, ქარდავები.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლექარდი** – ერქვა სოფელს ქ. ჯვარის სას. საბჭოში, მაგანას მარცხ. მხარეს. ესაზღვრება ჯვარს ჩრდილოეთიდან. ზ.დ. 200 მ. ნალენჯიხიდან 20 კმ. ძირითადი მაცხოვრებლები არიან ქარდავები – 35 კომლი (სხვა გვარები თითო-ოროლა კომლითაა წარმოდგენილი). რესპ.: „ენგური დამშრალა. ქალდანები და ფილფანები, აგრეთვე შონიების წინაპრები მშრალ მდინარეს გამოჰყოლიან და აქ, ლაყორიასთან, გუბე უნახავთ, ადგილიც მოსწონებიან და დარჩენილან. ქარდავები და ფიფიები მათი შთამომავლები არიან. ქარდავების ორ შტოს გამოყოფენ: **ჭუჭუმ ქარდეფი** – უფრო ფართოშუბლიანები და **ბაბაშ ქარდეფი** – ვიწროშუბლიანები (უცხო ბავშვი უშვილებიათ. კითხვაზე, ვისი შვილი ხარო, უპასუხებდა თურმე, „ბაბაში ვორექ“. ამიტომ შერქმევია ბაბაში). სხვა რესპ.: „ქარდეფი ცხუმარული შონეფი ვორეთ, გვარო ქალდანეფი. პატგნეფს ქემურთუმუნა სუმარო ქალდანიშა. პატი

ქუცემუნა, მარა ოშუმალი ვაბალებუნა. სუმარეფს ქუძირგნა, ლაგვანს ონტკა ინოდგნგ. ქიმურთუმუნა დო ბალანა ქინურაგუაფუნა ლაგვანიშა დო დუდი მოუჭაბუნა: გორეს ბალანა დო ბოლოს ქუძირგნა... პატგნეფი კგნე ქედუპატიჟებუნა, სამარგალოშე ონტკა მიდულაღნა დო დუმუმუაფუნა პატგნეფი დო ნაცალაშა ქიმშუჭუაფუნა... უკული აშო უნტებუნა დო დადიანს თაქი ქიმურჩამუ დახორინალი ადგილეფი“.

**ლექარდე,** როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლება, პირველად გამოჩნდა საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის წიგნში (გამოიცა 1930 წ.). იგი შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში (101 კომლი, 490 სული). ეს ადმინისტრაციული ვითარება შენარჩუნდა მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე, ხოლო 21-ე საუკუნეში ეს სოფელი ქ. ჯვარის უბნად იქცა.

მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.





დასავლეთის კავკასიის ანტიკონოგრაფიული რუკა. მუშავდა ი. ა. აბაშიძემ.



## ენერის ადმინისტრაციული ერთეული

**ენერი** – სოფელი და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფ მაღლობზე, ღია-ნალენჯიხის გზატკეცილზე, მდ. ჩხოუშის მდგენლების სათავეებთან, სააფაქიო ენწერში. ზ. დ. 320 მ, ნალენჯიხიდან 6 კმ. სამხრ-ით ესაზღვრება ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ჩრდ-ით – ენერი (ჯვარის საქალაქო საკრებულო).

1930 წელს გამოცემული „საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფის“ მიხედვით, ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფ ვაკე-ზეგანზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ენწერს, ოფიციალურად ორი სოფელი მდებარეობს: **ენერი პირველი** (ჯვარის სას. საბჭო. მოსახლეობა 93 კომლი, 422 სული) და **ენერი მეორე** (ლიის სას. საბჭო. მოსახლეობა 77 კომლი, 396 სული). მაგრამ „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემის თანახმად, სოფლები პირველი ენერი და მეორე ენერი შედის ღიის სას. საბჭოში. შემდგომში პირველ ენერს დაერქვა ენერი (შევიდა ჯვარის სას. საბჭოში), ხოლო მეორე ენერს 1943-1992 წლებში ერქვა ორჯონიკიძე. იგი იყო ორჯონიკიძის სას. საბჭოს ერთადერთი სოფელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ სააფაქიო ენწერში შეიქმნა ენერის სას. საბჭო, რომელშიც შევიდა ერთადერთი სოფელი ენერი. 2002 წელს ამ სოფელში დაფიქსირდა 1064 მუდმივი მოსახლე. დას. საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოსა და იმერეთში, ათიოდე სოფელს დარქმევია ენერი (და არა ენწერი). რას აღნიშნავს ლექსემა ენწერი, ენერი?

სიტყვა **ენერი** ასეა განმარტებული ქართველი ლექსიკოგრაფების მიერ: ს.-საბა: „**ენერი** — ისლოვან-გვიმროვანი ტყე ველოვანი“; ნ. ჩუბინაშვილი: „**ენერი** — ხშირი ჭალა ველოვან-ნისლოვანი“; დ. ჩუბინაშვილი: „**ენერი** — მცირე ბუჩქი, მორჩილი ტყე, მცირე ჭალა“. საენციკლოპედიო განმარტება: „**ენერი ნიადაგი** — მუავე ნიადაგის ტიპი. ვითარდება ჩარეცხვითი წყლის რეჟიმის პირობებში, როდესაც მოსული ნალექი ჭარბობს აორთქლებას“ (ქსე, IV). მეგრული ვარიანტია **ენწერი**. შდრ. ი. ყიფშიძე: „**ენწერი** — ენერი ა) Небольшой, маленький лесок, песчанник; б) Енцерь, Ецерь — название нескольких деревен в мингрелии; ო. ქაჯაია: „**ენერი** — მაღალი, მწირი და მცირეშემოსავლიანი ადგილი“; ალ. ქობალია: „**ენწერი** — მცირე ბუჩქნარით, ახალამონვერილი ტყით დაფარული ველი“. ენერი ქართული ფორმაა, მისი ზანური შესატყვისი უნდა იყოს აჭარ-ა, ხოლო ო-(ნ)წარი-ე „ჭაობიანი, ტალახიანი ადგილი“ უნდა მომდინარეობდეს სავარაუდო \*ო-აჭარ-ე-საგან (ჩუხუა, 2000-2003, გვ. 98).

სოფელში ცხოვრობენ: ფიფიები (52 კ.), ქარდავები (49 კ.), ციმინტიები (34 კ.), ძაძამიები (33 კ.), ჭანტურიები (13 კ.) და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართსი.

## ლიის ადმინისტრაციული ერთეული

**ღია** – სოფელი და ღიის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ენგურის მარცხ. მხარეს, ჯვარი-ზუგდიდის საავტომობილო მაგისტრალზე. ზ.დ. 250 მ, ნალენჯიხიდან 9 კმ. ამ ადმინისტრაციულ ერთეულს ჩრდილოეთით ესაზღვრება ქალაქი ჯვარი, სამხრეთით სოფ. ჩხორია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ხოლო აღმ-ით – ენერის ადმ.-ტერიტ. ერთეული. საკრებულოში შედის სოფლები: ღია, ზედა ღია, პალური. XIX ს. შუა ხანებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) ღია შედიოდა ჯვარის მაზრაში. 1886 წელს სოფელი ღია და ღიის თემი (სოფლები: ღია, ტყაია) შედიოდა ზუგდიდის მაზრის ნალენჯიხის უბანში. ამ წელს სოფ. ღიაში ცხოვრობდა 279 კომლი (1600 სული), ხოლო ტყაიაში (შემდგომ შედიოდა ზუგდიდის რ-ნში) – 93 კომლი (506 სული). 1930 წელს კი ღიის სასოფლო საბჭოში, საკუთ-

რივ ლიის გარდა, შედიოდა სოფელი მეორე ენერიც. ამ ორი სოფლის მოსახლეთა საერთო რიცხვი აღწევდა 481 კომლს (2359 სული). სოფლების მიხედვით ასეთი სურათი იყო: ლია – 413 კომლი (1962 სული), ენერი მეორე – 77 კომლი (396 სული). 1949 წლისათვის ლიის სას. საბჭოში უკვე ხუთი სოფელი შედის. ესენია: ლია, ზედა ლია, პირველი ენერი, მეორე ენერი და პალაური. 2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები გამოიცა 2003 წელს: ლიის თემის საკრებულოს სამივე სოფლის მოსახლეობა აღწევს 4302 სულს. სოფლების მიხედვით ასეთი მონაცემებია: ლია – 2081 მუდმივი მოსახლე, ზედა ლია – 1513 მუდმივი მოსახლე, პალაური – 708 მუდმივი მოსახლე. 2014 წლის შემოდგომაზე კი ლიის ადმ. ერთეულში ოთხი სოფელია: ლია – 700 კომლი (2415 სული), მახარია – 171 კომლი (408 სული), პალაური – 213 კომლი (882 სული), ზედა ლია – 186 კომლი (756 სული).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად თემის ტერიტორიაზე (პალაურში) აღმოჩნდა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის რიყის ქვით ნაგები შენობის ნაშთი და I-II სს. ხუთი სამარხი. სოფელში დგას ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე (იხ. ქსე, ტ. 6). საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულია ასეთი დასკვნა: სოფელი ლია (მასში შემავალი სოფლებით) ძვ.წ. პირველი ათასწლეულიდან მოყოლებული უწყვეტად იყო დასახლებული.

ლია თავდაპირველად ს.-საბას ლექსიკონშია განმარტებული: „**ლია** – საფლობი, ტლაპო“; დ. ჩუბინაშვილი: „**ლია** – ლამი, ტალახი, საფლობი“; ნ. ჩუბინაშვილი „ლია, ლამი ანუ ტალახი (ნახე საფლობთან)“; ი. ყიფშიძე სოფლის სახელწოდება **ლია**-სთან განმარტავს: „**ლიება** – შემცირება, გათავება“. თუმცა აქვე აღნიშნავს „**ლია** -

“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 477). ქეგლი იმეორებს ს.-საბასეულ განმარტებას. თითქმის ასეთივე სემანტიკით გვხვდება **ლია** ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში. ეს ნომენი ხშირია ზემო და ქვემო იმერეთის ტოპონიმიაში და მეგრულშიც იქიდან ჩანს შემოსული. აღ. ქობალიას განმარტება ამ ლექსემისა შეიცავს ორმაგ სემანტიკას: ა. მოვარდნილი და დაგუბებული წყალი; ლიამპალა; ბ. ლევა, აღსასრული, დასასრული. მართლაც, მეგრულში ლექსემა **ლიას** აქვს ორივე მნიშვნელობა. მაშასადამე, ქართ. **ლევა ლეა ლია**. საფიქრებელია: **ლია ლიო** (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. ილორში ლელეს ეწოდება ლიო). შდრ. აგრეთვე: გინძე ენერში ჭაობნარ-ისლნარს დარქმევია **ოლიე** (გალის მუნიციპ.). ამას ემყარება ხალხური ეტიმოლოგია: ერთხელ სოფელს თავს თურქები დასხმიან და თითქმის ყველა ამოუწყვეტიათ, სოფელში ხალხი არ **დარჩენილა, დალეულა, გამწყდარა**. ამიტომაც დარქმევია სიტყვა ლია (გვხვდება სამეგრელოსა და სამურზაყანოს ტოპონიმიაში). კ. ჰანისათვის სვანური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს გაუვალ, ტალახიან ადგილს (ჰანი, 1888, გვ. 98).

სოფელი ლია, როგორც ვაკეზე და საავტომობილო ტრასაზე მდებარე დასახლებულ პუნქტს შეეფერება, მრავალგვარიანი და მრავალკომლიანი დასახლებაა. გასული საუკუნის დამლევს ამ სოფელში მკვიდრობდა 533 კომლი. მათგან მრავალკომლიან ძირძველ მოსახლეთა გვარებია: სამუშია – 131 კ., ფიფია – 35 კ., ქარდავა – 30 კ., ანთია – 26 კ., გოგობია – 26 კ., კუხალიეშვილი – 25 კ., ბერიშვილი – 15 კ., აკობია – 13 კ., კვარაცხელია – 10 კ. და სხვ.

სოფლის ტოპონიმია ძირითადად 1969 წელსაა ჩანერილი.

იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

**ზედა ლია** (ყოფ. ლებოხა) – სოფელი ლიის ადმ. ერთეულში, ენგურის მარცხ. მხარეს, ზუგდიდ-ჯვარის საავტომობილო გზაზე. მდებარეობს სოფ. ლიის ჩრდ-ით (ქ. ჯვარის საზღვართან) და უფრო ამალღებულ ადგილას. ზ. დ. 320 მ. ნალენჯიხიდან 14 კმ. ზედა ლია, როგორც სოფელი, ლიის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში გვიან გამოჩნდა, კერძოდ, 1949 წელს. 2002 წლის აღწერის შედეგებით, ზედა ლიაში 1513 მოსახლეა. მათგან: კაცი — 738, ქალი — 775.

სოფელში ძირძველი და მრავალრიცხოვანი გვარებია: სამუშია – 45 კ., ქარდავა – 15 კ., გერგედავა – 14 კ., ფიფია – 14 კ., მარღია – 19 კ.

სოფლის ტოპონიმია 1969 წელსაა ჩანერილი.  
იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

**პალური** – სოფელი ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ენგურის მარცხ. ნაპირას, ლიასა და ტყიას (სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) შუა (აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი კაზუსი: ზოგ რუკაზე ნარწერა „პალური“ დატანილია სოფ. ზედა ლიასთან). ნალენჯიხიდან 16 კმ. პალური („პალოური“ ფორმით) პირველად ლიის სასოფლო საბჭოში 1949 წელს გამოჩნდა. 1987 წელს კი ლიის სას. საბჭოში შედის მხოლოდ სამი სოფელი: ლია, ზედა ლია და პალური. 2002 წელს პალურში მკვიდრობდა 708 მუდმივი მოსახლე (მათგან: კაცი – 328, ქალი – 380). ადგ. ვარიანტია პალოური.

რესპონდენტები: „გაუვალი, ანუ პალიასონი ტყე-ჭაობი ყოფილა. ამიტომაც დარქმევია პალოური“; „თქუანდეს, პალურს მუ გოკონია, უდამური ტყა რენია. ათე ტყას აფხაზი ყურსალეფი ტყობუდეს, მარგალეფს იხვამილუანდეს დო ინგგრიმ მელე გგმოჩანდესგ... ჩქეზნი ჯვემეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალეფს დო თაში გაიშურთუმუნა ინგირიშა. ეიშა ხალხი ხვალე სუკეფს მიკახორანდგ“. პალური სოფ. სარაქონშიც (ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში) ეწოდება ტყე-ჭაობს. შდრ.: **პალიური** – სახნავის სახელი გამოღმა ორპირში (გურია). იხ. ს.-საბა: „**პალაური** – სათევზე; **საპალური** ეწოდების ყოველთა საწყლისპიროსა ადგილთა თევზთა საპყრობელსა“. დ. ჩუბინაშვილი: „**პალაური** – სათევზე, садок“; **საპალური** – „თევზთ საჭერი ადგილი მდინარეში, სასალიკო“. მეგრულში პალურ- სიტყვამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელობა: ა. მდორე, მყუდრო, ღრმა წყალი, სადაც თევზს საკვებს უყრიან, რათა შემოიჩვიონ; ბ. გაუვალი ტყე-ჭაობი, „ურზუმი ტყა“, ანუ უღრანი ტყე; გ. ნაყოფიერი შავი მიწა მდინარისპირებზე (იხ. ცხადაია, 1999, გვ. 88-89; ალ. ქობალია, 2010, გვ. 561). დ. ყანდაშვილის „მოსაზრება“ ასეთია: ტოპონიმ პალოურისათვის ამოსავალია სიტყვა პალო, რაც ფრანგულია და ნიშნავს „მცირე მანას“. რა თქმა უნდა, არასერიოზულია დ. ყანდაშვილის ეს „მოსაზრება“ (ყანდაშვილი, 2000, გვ. 45).

პალურში, ჟირსუკის ბორცვზე, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ხუთი არქეოლოგიური ფენა: 1. **ნეოლითის** ხანისა (აღმოჩნდა 760 ერთეული ქვის იარაღი); 2. **გვიანბრინჯაოს** ხანისა (VIII-VII საუკუნეებისა); 3. **რკინის ხანისა** (ნაპოვნია სატევრისპირები, შუბის პირები, ისრისპირები, თოხები...); 4. **ელინისტური ხანისა** (როგორც ჩანს, აქ ჯარგვალური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები იდგა); 5. **ადრეფეოდალური ხანისა**. დასკვნა ასეთია: „ჟირსუკის ბორცვი ადამიანთა საცხოვრისად მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა“ (გაბისონია, 2009, გვ. 39).

პალურში ყველაზე მრავალკომლიანი გვარებია: სამუშია (30 კ.), კვარაცხელია (18 კ.), ქარდავა (15 კ.) და სხვ. (სულ 158 კომლი 1995 წლის აღწერის მონაცემებით).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## მედანის ადმინისტრაციული ერთეული

**მედანი** — სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ქანისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. ლარამდე. ზ.დ. 250 მ, ნალენჯიხიდან 10 კმ. სამხრ-ით ესაზღვრება სოფ. ლესალე. მედანი, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლება, პირველად „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში გამოჩნდა. შედიოდა ჯგალის სას. საბჭოში (68 კომლი, 313 სული). ამ სასოფლო საბჭოში 1949 წელსაც შედის როგორც ლარა, ისე მედანი. შემდგომში უკვე შეიქმნა მედანის სას. საბჭო და მასში მოექცა ორი სოფელი — მედანი (ც.) და ლარა. 2002 წლის შემოდგომაზე ჩატარებული საყოველთაო ეროვნული აღწერის შედეგები ასეთია: მედანი — 458 სული, ლარა — 376 სული (ჯამი სას. საბჭოს მასშტაბით: 834 სული). 2014 წლის დამლევს კი მედანში ცხოვრობდა 138 კომლი (540 სული), ხოლო ლარაში — 134 კ. (361 სული) ადგილობრივი თუ დევნილი (კაცი თუ ქალი).

ცნობილ ქართველ ლექსიკოლოგებს მოცემული აქვთ ასეთი განმარტებანი: ს.-საბა: „**მეედანი მეედანი** სხვათა ენაა, ქართულად მერე და მეედანი და ფორე ჰქვიან“; ნ. ჩუბინაშვილი: **მეედანი, მეედანი, მოედანი** – მინდორი, ფორე, მერუდე, საასპარეზო“; დ. ჩუბინაშვილი: „**მეედანი, მეედანი, მოედანი** (არაბ.) – მინდორი, ფორე, მერუდე, საასპარეზო, ასპარეზი“. ქეგლისეული განმარტება ასეთია: **მეედანი, მოედანი** – ფართო ვაკე-მინდორი; შენობებით შემოფარგლული ფართო და სწორი ადგილი ქალაქსა თუ სოფელში; სათამაშო, სავარჯიშო, სააღლუმო ასპარეზი...“ ამოსავალია არაბული ლექსემა **მაედან**, რაც არაბულ-რუსულ ლექსიკონში ასეა განმარტებული: „... ქართულში საკმაოდ ადრეა შემოსული (შდრ. „ვეფხისტყაოსანში“: „ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“). მეგრული ვარიანტებია და სამეგრელოს ტოპონიმიაშიც გვხვდება მაედანი, მეედანი, მეედანი და მოედანი.

ლარა-მედანში იწყებოდა ალპური საძოვრებისაკენ მიმავალი სამთო გზა: პირველ დღეს ბოგაშის, გედგრაკილის, ნაღეჯისა და ჭგდას გავლით მიაღწევდნენ კირნახონამდე, მეორე დღეს, ვეჭვესა და ქუაუჩას გავლით, მაგანაშდუდამდე, ხოლო მესამე დღეს ჯიქირის, ჭითაგვალას, ტობავარჩხილისა და საბაჟოს გავლით ჩააღწევდნენ ხობწყარდუდში. მთისკენ საქონლის გარეკვა იწყებოდა მაისის დამლევს, ხოლო უკან მობრუნება – მარია-მოხის შემდეგ.

**XX ს.** დამლევს მეედანში 162 კომლი იყო დამკვიდრებული. მათგან: ფიფია — 33 კ., ჭანტურია — 14 კ., მიქავა — 13 კ., კვარაცხელია — 12 კ., ძვაბავა — 10 კ. და სხვ.

სოფლის ტოპონიმური აღწერა ჩატარდა 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლარა** – სოფელი ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბოგაშის ძირას, მდ. ხურჩასა და სოფ. მეედანს შუა. ზ. დ. 360 მ, ნალენჯიხიდან 13 კმ. (გამოცემაში „გეოგრაფიული სახელწოდებანი“ აღნიშნულია: ლარა — სოფელი ოდიშის ვაკის ჩრდ. ნაწილში). საქ. სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პირველი ცნობარის (1930 წ.) მიხედვით, ლარა, როგორც „ლარა (მედანის ნან.)“, დასახლებულია ჯგალის სასოფლო საბჭოში (84 კომლი, 361 სული). „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში კი ჯგალის სას. საბჭოში მეედანთან ერთად შედის ლარაც. 1987 წლისათვის უკვე შექმნილია მეედანის სას. საბჭო ორი სოფლით: მეედანი და ლარა. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით, ლარას მუდმივი მოსახლეობა აღწევს 776 სულს (კაცი – 180, ქალი – 196). 2014 წლის დამლევს ჩატარებული აღწერის თანახმად, სოფ. ლარაში აღინუსხა 134 კომლი (821 სული) ადგილობრივი მოსახლე, ხოლო დევნილი მოსახლეობა ამ სოფელში აღარავინაა.

**ლარე** სვანური სიტყვაა: სვან. ლარა „სათიბი მინდორი“. ლარა ვაკე-საძოვარია ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ნახაპუს ქვემოთ, სოფ. ლესალეში. ეს ტოპოლექსემა გვხვდება მთიანი სამეგრელოს სხვა რაიონების ტოპონიმიაშიც. ამასთანავე, ქართ. **ლარი** მეგრულშიც სწორს, გაჭიმულს ნიშნავს. შდრ. აღ. ქობალია: „ლარა – სწორი, ვაკე ადგილი; გაშლილი სათიბი“. როგორც უკვე აღინიშნა, ლარე სვანური სიტყვაა და ნიშნავს სათიბ მინდორს. კუკური ფიფია კი თვლის, რომ ლარა მეგრული სიტყვაა და სვანურს შემორჩენია იბერიული ერთიანობის ხანიდან. მ. ჩუხუას მოსაზრებით, სვან. **ლარე** მიმღებური ფორმაა, მაშინ როდესაც მეგრ. ლარ-ა-ში ა მატოპონიმებელი სუფიქსია, ანუ სხვადასხვა წარმომავლობის ფუძეებია.

**XX ს.** დამლევს სოფელში აღირიცხებოდა 103 კომლი. მათგან: მიქავა – 63, ძაძამია – 15, ქარაია – 12. დანარჩენი გვარები წარმოდგენილი იყო თითო-ორი კომლით.

მედანისა და ლარას ტოპონიმური მასალა ჩაწერილია ძირითადად 1969 წელს და გადამონმებულია 1987 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## მიქავას (ფუქის) ადმინისტრაციული ერთეული

**მიქავა** – სოფელი და მიქავას ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი, ზ.დ. 230 მ, წალენჯიხიდან 6კმ. ესაზღვრება: ლეჯოლოხე, ნაკიფუ, ლეხარჩილე. სოფლის უწინდელი სახელწოდებაა ფუქი. ამ დასახლებამ სოფლის სტატუსი მიიღო 1930 წლისათვის: ამ პერიოდში ფუქი შედიოდა წალენჯიხის სასოფლო საბჭოში (მოსახლეობა: 313 კომლი, 1531 სული). 1939 წელს დაერქვა **მიქავა**, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების (1857) მეთაურის – უტუ მიქავას სახელის უკვდავსაყოფად. 1949 წელს მიქავას სას. საბჭოში შედიოდა საკუთრივ მიქავა და ლეჯოლოხე, 1987 წელს კი – სოფელი მიქავაც, ლელვინჯილეც და ლეჯოლოხეც. 2002 წელს მიქავას თემის საკრებულოში ისევ ორი სოფელია: მიქავა (576 მუდმივი მოსახლე) და ლეჯოლოხე (500 მოსახლე). მაგრამ ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის აღწერისას (2014 წ.) მიქავას ადმ. ერთეულში ისევ სამი სოფელი შედის: მიქავა, ლელვინჯილე, ლეჯოლოხე.

ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკონებში ეს ენობრივი ერთეული არ ჩანს, გამონაკლისია კახური დიალექტი: „**ფუქი** — ბექი, მტვერი“ (ალ. ლლონტი, 1984. მიუთითებს: ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი). სახელწოდება **ფუქის** წარმომავლობასთან დაკავშირებით რესპონდენტები განმარტავენ: „ფუქი ფურსი მინის სახეობაა: არც ძალზე მაგარია, არც ძალზე რბილი. ტკილი ახლავს“; „**ფუქი** ხავსია, იზრდება ხეებსა და კლდეებზე და ადვილადაც სცილდება მათ. ფერად მწვანეა, ეტანება ტენიან ადგილებს“. რესპ. ილარიონ კვარაცხელია: „როგორც წინაპართაგან გამიგონია, სიტყვა ფუქი თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს ყვავილნარს. თურმე ფუქში ბევრი იელი ხარობდა და გაზაფხულზე ყვითლად და იისფრად ყვავდა. ვაჭრებს ამის გამო დაურქმევიათ ფუქი“; სხვა რესპ.: „დადიანს მსახურები გაუგზავნია ამ კუთხის შესასწავლად, ყოფილა წვიმიანი ამინდი და უგზოობა. მსახურებს გასჭირვებიათ სიარული და „მთავართან მობრუნებულებს“ უთქვამთ: „ფუქი იქაო“. ასე წარმოიშვა სახელწოდება ფუქი“. შდრ. ო. ქაჯაია: „ფუქი ბალახია ერთგვარი“. ალ. ქობალია: „**ფუქი** – ბუტკო, კოკორი, ყვავილი; ხავსზეც იტყვიან“. აქვე წარმოვადგენთ გ. ყანდაშვილის „ეტიმოლოგიას“: „**მიქავა** – ს. წალენჯიხის რ-ში. **მიქა** – უცხ. გლახაკი“ (ქლ)“. ქლ ალბათ აღნიშნავს ნ. ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონს, მაგრამ ამ ლექსიკონში **მიქა** არაა შეტანილი. ეს სიტყვა არც დ. ჩუბინაშვილისა და ს.-საბას ლექსიკონებში ჩანს.

**XX ს.** დამლევს ფუქში (მიქავაში) აღირიცხა 12 გვარი. ძირითადი მაცხოვრებლები არიან კვარაცხელიები – 92 კომლი. სხვა გვართაგან: მიქავეები 31 კ., ლვინჯილიები – 20 კ., ლუკავეები – 10 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლელვინჯილე** – სოფელი მიქავას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სქურჩას მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება: ლეთკანთი, ლეხარჩილე, მიქავა. ლელვინჯილე, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლება, პირველად გამოჩნდა 1949 წელს მიქავას სას. საბჭოს შემადგენლობაში. 1987 წელს ლელვინჯილე ისევ მიქავას სას. საბჭოშია. 2002 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, ლელვინჯილე, როგორც სოფელი, არც ჩანს, მაგრამ მოსახლეობის ბოლო აღწერის (2014 წ.) ცნობარში ლელვინჯილე ისევ სოფელია მიქავას ადმ. ერთეულში და მისი ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა შეადგენს 127 კომლს (386 სული).

ლელვინჯილეში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი მაცხოვრებლები არიან ლვინჯილიები (58 კ.). სოფელში სახლობენ აგრეთვე: ჯოლოხავა – 20 კ., შენგელია – 11 კ. და რამდენიმე თითო-ორკომლიანი გვარი. ფუქში მცხოვრებ ლვინჯილებს დობერულ ლვინ-

ჯილიებს უწოდებენ. გასული საუკუნის დამლევისათვის საქართველოში მკვიდრობდა 2469 სული ღვინჯილია. მათგან წალენჯიხის რაიონში – 577 სული. სავარაუდოა: „ღვინჯუა – დამნიფება, მომნიფება“ ღვინჯილი „დამნიფებული, მომნიფებული, ჭკუადამდგარი“ ღვინჯილი (მეტსახელი) ღვინჯილია (გვარსახელი). განსხვავებული მოტივაციაა წარმოდგენილი რ. და დ. მორგომიების მიერ გამოგზავნილ გამოხმაურებაში: ღვინჯუას აქვს სხვა მნიშვნელობაც, კერძოდ, აღნიშნავს გამწყრალობას, გულგრილობას ღვინჯილი „გულგრილი, გამწყრალი, გაღიზიანებული“ ღვინჯილი (მეტსახელი) ღვინჯილია (გვარსახელი). შდრ. ალ. ქობალია: „ღვინჯუა „გაბრაზება, გაღიზიანება“ ღვინჯილი“ და ა.შ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969-70 წწ.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლეჯოლიხე//ლეჯოლოხე** – სოფელი მიქავას (ფუქის) ადმ. ერთეულში, სქურ-ჩას მარჯვ. მხარეს, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის საზღვართან. ზ.დ. 250 მ, წალენჯიხიდან 7კმ, ზუგდიდიდან 32 კმ. როგორც სოფელი, ლეჯოლიხე პირველად გამოჩნდა 1949 წელს გამოცემულ „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ ცნობარში: შედიოდა მიქავას სას. საბჭოში. 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებში ლეჯოლიხე ისევ მიქავას სას. საბჭოშია (კაცებისა და ქალების საერთო რაოდენობა აღწევდა 500 სულს). 2014 წლის აღწერის მასალაში სოფელი დასახელებულია „ლეჯოლოხე“ ფორმით. ქსე-შიც და ცნობარშიც „გვარ-სახელები საქართველოში“ შესულია ვარიანტი „ჯოლოხავა“. მაგრამ ადგილობრივ მეტყველებაში გავრცელებულია „ჯოლიხავა“. ლეჯოლოხეში 2014 წელს ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის ჯამი შეადგენდა 126 კომლს (418 სული).

სოფელი თითქმის მონოგვარიანია: 64 კომლიდან 61 კომლი ჯოლოხავას (ადგ. ვარიანტი: ჯოლიხავა) გვარისაა (დანარჩენი: კვარაცხელია – 2 კ., ქირია – 1 კ.). ეს მონაცემები გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულისაა. ამასთანავე „გვარ-სახელები საქართველოში“ გვამცნობს, რომ საქართველოში 875 სული ჯოლიხავაა (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 487). გადმოცემა გვარის წარმომავლობაზე: „ჯოლიხავების წინაპრები ყოფილან ჯოლიები ჭალადიდიდან. მკვლევლობისათვის გამოქცეულნი აქ აზნაურ თვართვაიებს (თვალთვაძეებს) შეუფარებიათ და ლეფაფეში დაუსახლებიათ. ახალმოსულებს გვარად მიუღიათ ჯოლიხავა/ჯოლოხავა“. საერთოდ, **ჯოლოხა კოჩი** დიდი ძალ-ღონის მქონე, დაუმარცხებელ კაცს გულისხმობს. ტოპონიმად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც მოვიხმობთ ალ. ქობალიასეულ განმარტებას: „ჯოლოხა — კომბალი; მძლავრი ხის სახნისი, მსხვილი ტოტი“ (მ. ჩუხუას შენიშვნა: მეგრ. **ჯოლო** : ქართ. **ძალა**). მაშასადამე, შესაძლებელია: ჯოლოხა (საზოგადო სახელი) ჯოლოხა (მეტსახელი) ჯოლოხავა (გვარსახელი).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წ.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## მუჟავის ადმინისტრაციული ერთეული

**მუჟავა** (ადგ. ვარიანტი: მუჟა) – სოფელი და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ოლორის ხეობაში, ოხაჩქუეს მასივის ძირას (შედის სოფლები მუჟავა, ნაშამ-გუ, ოლორი, ნასოფლარი ერისწყალი). ზ. დ. 360 მ, წალენჯიხიდან 30 კმ. უკავშირებენ სვანურ **მგჟალ** „მზიან“ სიტყვას (ქალდანი, 1986, გვ. 219-222). რესპ.: „მუჟა მუჟავე წყალია“. შდრ.: ქართ. „მუჟა: 1. ძვ. მლაშობი, მარილიანი ადგილი, სადაც ნადირი სალოკად მიდის; 2. (ფშ.) მლაშე წყარო, მინერალური წყალი, რომელსაც ნადირი ეტანება“ (ქეგლ, V, გვ. 1173). ალ. ქობალია: „**მუჟა** – მლაშობი, მუჟავე წყალი“.

არქეოლოგებისა და საისტორიო ძეგლების მკვლევართა დასკვნა ასეთია: მუყავასა და ფახულანის (და მასში შემავალი სოფლების) ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. მუყავა მდიდარია ისტორიული ძეგლებით, როგორცაა მუყავას საფორტიფიკაციო კომპლექსის ნანგრევები, დარბაზული ეკლესია და სხვ. შუა ფეოდალურ ხანაშიც ამ სოფელში მთელი რიგი ნაგებობები და ეკლესიები აუგიათ, რომელთა ძირითადი ნაწილი გვიან შუასაუკუნეებშიც ფუნქციონირებდა. გადმოცემით, მუყავაში ღმერთმა ძმებს – მწყემს არქანიებს – ანდო ნადირთა ბედი.

**მუჟაჟა**, როგორც სოფლის სტატუსის მქონე დასახლება (ისევე, როგორც მრავალი სხვა სოფელი) პირველად გამოჩნდა „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში და შედიოდა ჭალეს სას. საბჭოში (სოფელში მკვიდრობდა 138 კომლი, 739 სული). 1949 წლისათვის ნალენჯიხის რაიონში შექმნილია მუყავას სას. საბჭო, რომელშიც შედის ერთადერთი სოფელი **მუჟაჟა**. მაგრამ „დაყოფის“ 1987 წლის გამოცემაში მუყავას სასოფლო საბჭო მოიცავს მუყავას, ნაშამგუსა და ერისწყალს. ეს უკანასკნელი იყო ენგურჰესის მშენებელთა დასახლება, რომელიც ბოლოს დაცარიელდა კიდევ. 2003 წელს გამოცემული მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, მუყავას სასოფლო საბჭოში შედიოდა საკუთრივ მუჟაჟა (455 მუდმივი მოსახლე), ოლორი (355 მოსახლე) და ნაშამგუ (316 მოსახლე). 2014 წლის აღწერის მიხედვით კი ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის სულადობა ასეთია: მუჟაჟა – 104 კომლი (389 სული), ოლორი – 99 კომლი (378 სული), ნაშამგუ – 97 კომლი (296 სული).

ნალენჯიხის რაიონულ გაზეთში („კომუნისმის დროში“, 24 სექტ; 1985 წ. №112) მოსწავლე ნ. გაბულდანმა დაბეჭდა სტატია „ცოტა რამ სვანეთ-სამეგრელოს ერთ საერთო ტოპონიმზე“, სადაც ნათქვამია, რომ ნალენჯიხის რაიონის სოფელი მუჟაჟა და თეთნულდის მთის ძირას მდებარე **მუჟალ** (მულახის თემი) შეიცავს ერთ საერთო ფუძეს. ესაა **მუჟა**, რომელსაც ს.-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „ესე არს ადგილი მთის ძირას, სადაც ნადირი სალოკავად ჩამოდის“ (ერთ-ერთ ჩემს წერილზე დაყრდნობით ავტორი აღნიშნავს, რომ: მუჟა არის „მლაშობი, მარილიანი ადგილი, სადაც ნადირი სალოკავად მიდის“ და უარყოფს მ. ქალდანის მოსაზრებას, რომ ტოპონიმებისათვის მუჟაჟა და მუჟალი ამოსავალია სვანური ლექსემა მიჟ//მგჟ „მზე“). შდრ.: მუჟაჟა დასახლებულია იმ ტოპონიმთა შორის, რომლებიც საკუთარ სახელთაგან „სპეციალური მანარმოებლების გარეშე“ წარმოიქმნება (იხ. „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“, თბ., 2015, გვ. 190). ამ ვარაუდს ის უმლის ხელს, რომ არც ზეპირსიტყვიერებასა და არც საისტორიო-საეკლესიო ძეგლებში ანთროპონიმი მუჟაჟა (პირსახელი თუ გვარსახელი) არ ჩანს. რედაქტორ მ. ჩუხუას შენიშვნა: მუჟა-ჟა უნდა იყოს გუდა-ჟა ტიპის გვარსახელური წარმომავლობის ტოპონიმი: მუჟა-ყმა მუჟა-ყვა მუჟაჟა.

მუჟაჟას საკრებულოს მიერ 1994 წელს ჩვენი თხოვნით შედგენილი ცნობარის თანახმად, მუჟაჟასა და ნაშამგუში დამკვიდრებული იყო 24 გვარი. მათგან: არქანია – 70 კ., ფიფია – 38 კ., შამუგია – 37 კ., ჩხაპელია – 28 კ., ანთია – 19 კ., შონია – 13 კ., ლემონჯავა – 12 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ერისწყალი** – ერქვა ენგურჰესის მშენებელთა დასახლებას, ერისწყლის მარცხ. მხარეს, ნასოფლარ ლანჯიშის ტერიტორიაზე. ზ.დ. 350 მ, ნალენჯიხიდან 27 კმ. შეიქმნა 1962 წ. და დაცარიელდა 1979 წ. ამის მიუხედავად, 1987 და 2002 წლებში ერისწყალი შედიოდა მუჟაჟას სასოფლო საბჭოში. ადგ. ვარიანტი: ერწყარი.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ნაშამგუ** ( შამუგია) – მთისძირა სოფელი მუჟაჟას ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში, ოლორის მარჯვ. მხარეს. ესაზღვრება სოფ. ფახულანს. ზ.დ. 350 მ, ნალენჯიხიდან 26 კმ. გადმოცემა: აქ უნინ შამუგიები ესახლნენ. ისინი ყარაჩებს ამოუნყვე-



ტიათ. ერთი ორსული ქალი გადარჩენილა და მისგან ისევ მომრავლებულან. ამ მიზეზითაა, რომ ნაშამგუ ჰქვია, მაგრამ შამუგიები ცხოვრობენ. 1930 წელს ჭალეს სასოფლო საბჭოს სოფ. ნაშამგუში (შეტანილია **ნაშამგუ** ფორმით) მკვიდრობდა 118 კომლი (586 სული), მაგრამ „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში მუჟავას სას. საბჭოში მხოლოდ ერთადერთი სოფელი შედის – საკუთრივ მუჟავა. 1987 წელს კი ამ სასოფლო საბჭოში გაერთიანებულია როგორც საკუთრივ მუჟავა, ასევე ერისწყალი და ნაშამგუ. 2002 წელსაც იგივე ვითარებაა (იხ. ამ გვართან დაკავშირებით: ცხადაია, 2000). სხვათაშორის, აკ. ჭანტურიას განმარტებით, **შამგო** ვაზის ჯიშია, რომელიც ისხამს ყურძენს სახელწოდებით „ჩინჩი საფერიცვალო“.

მუჟავასა და მუჟავას ადმ. ერთეულში შესული სოფლების ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს და გადამონმდა 1987-ში.

იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

**ოლორი.** ოლორი მდინარეა, გამოივლის მუჟავას, ენერს, ენერფერდს, ჭველეს, ფახულანს და ერთვის ენგურს მარჯვ. მხრიდან. ტოპონიმი წარმოქმნილია ოდენ **ო-** პრეფიქსით. **ლორი** ეწოდება გრძლად ნაპობ ფართო ფიცარს, რომელიც გამოიყენებოდა მწყემსის ბინის სახურავად (დიდხანს ძლებდა). საამისოდ ჭრიდნენ თხმელას, რაც ამ მდინარის ხეობაში უხვად ხარობდა. ამიტომაც დაერქვა ოლორი „სამორე (ადგილი)“. ხალხური ეტიმოლოგია: ოლორი იმიტომ დაურქმევიათ, რომ მდინარეს ოლე-ოლე (ე.ი. გაღმა-გამოღმა) **ორო** „ჩრდილი“ ჰქონია. ამ მდინარის პირას წარმოქმნილმა ენგურჰესის მშენებელთა დასახლებამ მოგვიანებით მიიღო სოფლის სტატუსი და შევიდა მუჟავას სას. საბჭოში. 2002 წელს ჩატარებულ აღწერის ცნობარში (გამოიცა 2003 წ.) სოფელი ოლორი შედის მუჟავას თემის საკრებულოში. ამ პერიოდში მისი მოსახლეობა 355 სულს აღწევს; 2014 წლის დამლევს კი ოლორში ცხოვრობს ადგილობრივ და დევნილ მოსახლეთა 90 კომლი (378 სული). იხ. ოლორი წიგნის მეორე ნაწილშიც. იხ. აგრეთვე ალ. ქობალიას ლექსიკონში **ლორი**, ოლორე, ოლორი და ოლორუე.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

## ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეული

**ნაკიფუ** – სოფელი და სოფლის ადმინისტრაციული ცენტრი ხობისწყალ-ჭანისწყლის შუამდინარეთში, ოტოფუესა და სქურჩას შუა (მდრ. ქსე: „მდ. ჭანისწყლის ხეობა-ში“). ზ. დ. 230 მ, წალენჯიხიდან 8 კმ. საკრებულოში შედის სოფლები: ნაკიფუ, ულურია. აქ ორგან მიუთითებენ ადგილს, სადაც ეთესა **კიფი** „კანაფი“ **ნაკიფუ** „ნაკანაფარი“.

**ნაკიფუ**, როგორც სოფელი, პირველად საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში გამოჩნდა. იგი შედიოდა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის სას. საბჭოში (მოსახლეობა – 302 კომლი, 1440 სული). 1949 წლის „დაყოფაში“ უკვე გამოყოფილია ნაკიფუს სას. საბჭო ორი სოფლით (ნაკიფუ და ულურია). ასეთი ადმ.-ტერიტ. ერთეული დღემდე შენარჩუნებული.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის (გამოიცა 2003 წ.) მონაცემებით კი ნაკიფუს თემში (ნაკიფუ, ულურია) დაფიქსირდა 1970 მუდმივი მოსახლე (მათგან საკუთრივ ნაკიფუში — 1589, ხოლო ულურიაში — მხოლოდ 381 მოსახლე ორივე სქესისა). 2014 წლის დამლევს ჩატარებული აღწერის შედეგები კი ასეთია: ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა შეადგენს 640 კომლს (1628 სული).

თ. მიბჩუანის მოსაზრებით, ნაკიფუ სვანური სიტყვაა და ამოსავალია **ნაკ-** „ვაკე“, მაგრამ არც ისაა შეუძლებელი, ზემო სვანეთის სოფლის სახელწოდება **ნაკიფარი** სამეგრელოდან იყოს გადატანილი. „ტოპონიმის ახსნა შესაძლებელია მეგრული ენის საშუალებითაც, მაგ., **კიფუ** — მეგრ. კანაფი, **ნაკიფუ** — ნაკანაფარი“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 286).

როგორც ცნობილია, ქართველთა შორის მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებდა ბოჭკოვან მცენარეთა (კანაფი, სელი) კულტი. „სამეგრელოში დადასტურებულ ნეს-ჩვეულებაში კანაფის ან სელის (მეგრ. კიფი და სუ — პ. ც.) ცეცხლის ალის მიმართულებით მისნობა წარმოებდა ხალხის ბედ-ილბალზე და კეთილდღეობაზე“ (რუხაძე, 1975, გვ. 173).

პოეტს, ნაკიფუელ რინოს კვარაცხელიას, ეკუთვნის 9 აპრილისადმი მიძღვნილი ლექსი:

„ხარ ხმლის მოქნევა მთიდან ბარამდე  
და ცხელ ძარღვებში სისხლის კივილი,  
მახარებს შენი მზე და სიმაღლე  
და მტკივა ყველა შენი ტკივილი“.

1997 წელს ნაკიფუში ესახლა 44 გვარის მატარებელი 406 კომლი, კერძოდ: კვარაცხელია – 199 კ., მოლაშხია – 70 კ., ლუკავა – 26 კ., აბულაძე – 12 კ., ჩიქობავა – 12 კ., ბელქანია – 11 კ. და სხვ.

სოფელ ნაკიფუს ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

**ულურია** – სოფელი ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ლაჩხვასა და ულურიანყარის აუზებში (მდრ. ქსე: „მდ. ჭანისწყლის ხეობაში“, რაც უზუსტობაა: ლაჩხვასა და ულურიანყარის შეერთების შედეგად წარმოქმნილი მდინარე სქურჩა ხობისწყალს ერთვის). ზ.დ. 220 მ, წალენჯიხიდან 7 კმ.

„დაყოფის“ 1949 წლის გამოცემის თანახმად, ულურიას უკვე მიღებული აქვს სოფლის სტატუსი და შედის ნაკიფუს სას. საბჭოში. იგივე ვითარებაა 1987 წელსაც. 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მიხედვით, ნაკიფუს თემის საკრებულოს სოფ. ულურიაში მკვიდრობს 381 მოსახლე ორივე სქესისა. 2014 წლის აღწერის შედეგები კი გვამცნობს, რომ სოფლის ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის კომლთა რაოდენობა შეადგენს 126 კომლს (326 სული).

სოფლის სახელწოდების სემანტიკასა და მოტივაციასთან დაკავშირებით რესპონდენტთა და ლექსიკოლოგთა განმარტებანი ასეთია: ალ. ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ I ტომში დასახელებული ფორმა „ულურია“ კალმის შეცდომა ჩანს: რესპ.: „ულურია თავდაპირველად ერქვა ლელეს და ალბათ დაუძინებელს ნიშნავს“. პოეტი რინოს კვარაცხელიაც ერთ-ერთ ლექსში წერდა: „თვით ულურია ნიშნავს უძინარს“. მართლაც, მეგრულში: **ლური** „ძილი“ ულური „უძინარი“. მდრ. ალ. ქობალია: „ულურია – უძინარი, უძილო, ძილგატეხილი“. იგივე ავტორი: „ურული – ურბენი; უძინარი“. **ულურია** ფართო ვაკეა ორი ლელის შესართავს შიგნით. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრითაც, ოიკონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო **ორული** „სამარულო (ადგილი)“, რასაც ბგერათგადასმისა (რ-ლ) და ასიმილაციის (ო — უ უ—უ) შემდეგ სპეციალური მატოპონიმებელი -ა სუფიქსის დართვის შედეგად მოუცია ულურია. **XX** საუკუნის დამლევს ულურიაში ცხოვრობს 15 გვარის მატარებელი 118 კომლი. მათგან: კვარაცხელია – 49 კ., ჭანია – 43 კ., ბელქანია – 6 კ. და სხვ.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია №2 დანართში.

## ოზუჯის ადმინისტრაციული ერთეული

**ოზუჯი** – სოფელი და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ჭანისწყლის ხეობაში, ქ. წალენჯიხასა და ჯიხაშკარს (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) შუა (შედის სოფლები: ობუჯი, სამესხიო, ჯალირა). ზ.დ. 160 მ, წალენჯიხიდან 6 კმ. **XIX** ს. შუა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) ობუჯი შედიოდა ჯვარის მაზრაში. 1886 წელს სოფელი და თემი ობუჯი (248 კომლი, 1492 სული) შედიოდა ზუგდიდის მაზრის ზუგდიდის სა-

ბოქაულო უბანში. 1928 წელს კი ობუჯის სასოფლო საბჭო მოექცა ზუგდიდის მაზრის ნალენჯიხის რ-ნში ორი სოფლით: **ობუჯი** (329 კომლი, 1478 სული) და **ჯალრა** (103 კომლი, 472 სული).

საქ. სსრ 1949 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით, ნალენჯიხის რაიონში შექმნილია ობუჯის სას. საბჭო, რომელშიც შედის სამი სოფელი: ობუჯი (ც.), სამესხიო და ჯალირა. გასული საუკუნის დამლევს კი ობუჯში მკვიდრობდა 42 გვარი. მათგან: ფიფია – 29 კ. გიგიბერია – 14 კ. და სხვ. ხოლო 2002 წლის აღწერის თანახმად, ნალენჯიხის რ-ნის ობუჯის თემის საკრებულოს სამივე სოფელში 1873 მუდმივი მოსახლეა (917 კაცი, 956 ქალი). მათგან საკუთრივ ობუჯში – 1049 სული (სამესხიოში – 467 სული, ჯალირაში – 357). მართალია, 2014 წლის აღწერის შედეგები ჯერ არც დაბეჭდილა, მაგრამ ნალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან ჩვენი თხოვნით გამოგზავნილი აღწერის შედეგებიდან ჩანს, რომ ობუჯის ადმ. ერთეულის სამივე სოფელში აღინუსხა 537 კომლი (1588 მოსახლე).

ხალხური ეტიმოლოგიის ვარიანტები: 1. ობუჯი რობუჟი (ე.ი. „ხევს ზემოთი“); 2. ბურჯაფი „ომი“ ობურჯე „საომარი, საჩხუბარი ადგილი“; 3. ობუდი „საბუდარი“ ობუჯი; 4. ოფუჩი „საფიცარი“ ობუჯი. ობუჯში ერთ-ერთ ნასაყდრალს მართლაც ეწოდება ოფუჩი (იხ.). ი. ყიფშიძის მოსაზრებით, სახელწოდება ობუჯი

ბუჯა

სოფელში შემორჩენილია XIII-XIV სს. მონასტრის ნანგრევები (იხ. მეორე ნაწილში: ოფუჩი), სადაც, არქანჯელო ლამბერტის ცნობით (1654 წ.), ოდიშის მთავართა სამარხი ყოფილა. „სამეგრელოს აღწერაში“ ჩამოთვლილია ის საეპისკოპოსო ეკლესიები, „რომელთაც წინად ჰყვანდა თავისი ეპისკოპოსები, ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად: პირველია **ქიაჩის** მონასტერი, მთაზე აშენებული წმ. მიქაელის სახელობისა... მეორეა **ობუჯის** მონასტერი, რომლის ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული. აქ ძველად მთავრების სამარხი იყო, რომელიც ახლა ნალენჯიხაშია“ (ლამბერტი, 1991, გვ. 104). ანტიოქიის პატრიარქი მაკარი „ჭანისწყლის მონასტერში“ (იგულისხმება ნალენჯიხის მონასტერი) 1665 წელს დაწერილ შთაბეჭდილებათა წიგნში აღნიშნავს, რომ „ქართველებს წმინდა გიორგის დიდი რწმენა აქვთ. ამ წმინდანის სახელს ქართველთა ქვეყანაში ურიცხვი ეკლესია ატარებს. ამათგან სამში წმ. გიორგის დღესასწაულების დროს სასწაულები ხდება ხოლმე. ეს ეკლესიები მეგრელთა ქვეყანაშია“ და ჩამოთვლის: ილორი, სუჯუნა, ობუჯი. აქვეა აღნიშნული, რომ ობუჯში წმ. გიორგის დღესასწაული აღინიშნებოდა 23 აპრილს (მაკარი ანტიოქიელი, ცნობები... 1982, გვ. 120-122).

XVII ს. დამლევს აფხაზთა მოთარეშე რაზმების შიშით კაკაჩიებს წმინდა გიორგის ხატი ქიაჩის, ანუ წმინდა მიქაელის, მონასტრიდან (ორამჩირის რ-ნის სოფ. ჯგერდის მახლობლად, რომელსაც აფხაზები ამჟამად ქიაჩაბაას უწოდებენ) გადმოუსვენებიათ ობუჯში (იხ. „ქიაჩი“ წიგნის II ნაწილში). ამ ფაქტს ექვთიმე თაყაიშვილი ასე აღწერს: „XVII საუკუნეში აფხაზეთიდან (ქიაჩის ეკლესიიდან) ობუჯის მონასტერში გადმოსვენეს ვერცხლით ნაჭედი და ოქროთი დაფერილი ხატი „სამწერობელნი“, რომელიც XII-XIV საუკუნეებით თარიღდება. მასზე ამოტივრულია წარწერა: „სახელითა ღმრთისაითა მე, გიორგი მეფემან, დავხსენ ეს სამწერობელნი წმიდასა ამას ეკლესიასა ქიაჩს... ობუჯის ხატი „სამწერობელნი“ ძლიერ ხატად ითვლებოდა და მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევისას მოწმეებს მასზე აფიცებდნენ... თვით ნალენჯიხის ეკლესიაშიც კი არაერთგზის მოუსვენებიათ ეს ხატი „სამწერობელი“ ვერცხლისა ნაჭედი, ოქროთ დაფერილი...“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 238-240). რესპ.: „თამარ მეფის ბრძანებით ხარი და ფური კი არ გაუშვიათ, რათა ეკლესიები იქ აეშენებინათ, სადაც ისინი დაწვებოდნენ, არამედ სამი ხარი, რომელთაგან ერთი დაწოლილა **ჭედისასთან** (ნალენჯიხა), მეორე **ჯალულასთან** (ჯალირა), ხოლო მესამე – **რობუჟი** „ხევის თავზე“, საიდანაც შემდეგ მიგვიღია ობუჯი“. გასული საუკუნის დამლევს ობუჯში მკვიდრობდა 42 გვარი. მათგან: ფიფია – 29 კ., გიგიბერია – 14 კ. და სხვ.

ემყარება რა ობურჯე, ობუჯი ლექსემების ალ. ქობალიასეულ განმარტებებს, ი. კეკელია თვლის, რომ ობუჯის ეტიმოლოგია დასახელებულ მნიშვნელობათაგან შეიძლება დავეუკავშიროთ ერთ-ერთს: „საბუდარი; საბრძოლო ადგილი“ (კეკელია, მხარეთმცოდნე,

IV, გვ. 11). მ. ჩუხუას მოსაზრება: ლაზურში დასტურდება ნო-ბუჯი „ერთმანეთზე დანყობილი საგნები“. შდრ. მეგრ. ო-ბუჯი, ანუ დასაწყობი (ფიცრებისა?).

ობუჯის ტოპონიმია ჩანერილია 1969-1970 წლებში.

რესპონდენტთა სია იხ. №2 დანართში.

**სამესხიო** – სოფელი ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ჭანისწყლისა და ყულიშწყარის წყალგამყოფ მაღლობზე, ტარჩიას ორივე მხარეს (შდრ. ქსე: „სამესხიო „მდ. ჭანისწყლის ხეობაში“). ზ.დ. 150 მ, წალენჯიხიდან 9 კმ. იყოფა: **გგნძე სამესხიო** (ტარჩიას მარჯვ. ნაპირზე), **კუნტა სამესხიო** (ტარჩიას მარცხ. ნაპირზე), **ჟი-ნ(ი)სამესხიო//სამესხიო ენწერი** (წალენჯიხის ჩაის მეურნეობის საზღვართან) და **ჭიჭე სამესხიო//თუდონ(ი)სამესხიო**. „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემის თანახმად, ობუჯის საბჭოში შედის მხოლოდ ობუჯი (329 კომლი, 1478 სული) და ჯალრა („ჯალრა“ და არა „ჯალირა“). მაშასადამე, სამესხიომ სოფლის სტატუსი მოგვიანებით მიიღო.

1995 წლის 1 თებერვლის (მოსახლეობისათვის ვაუჩერების დარიგების) მონაცემებით, საქართველოში მკვიდრობდა 1637 სული მესხია. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 452. 2002 წელს ობუჯის თემის საკრებულოს სოფ. სამესხიოს მუდმივი მოსახლეობა აღწევდა 467 სულს (კაცი – 221, ქალი – 246). 2014 წლის დამლევს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სამესხიოს ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა შეადგენდა 124 კომლს (405 სული). გასული საუკუნის დამლევს სამესხიოში აღინუსხა 58 გვარი. მათგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა მესხიას გვარი (52 კ.). ასევე მრავალკომლიანი არიან: კონჯარიები – 29 კ., კაციები – 21 კ. და სხვ. საერთოდ, გვარი მესხია წარმოქმნილი ჩანს ეთნონიმ **მესხი**-საგან, რაც შემდგომში ეპონიმის ზედწოდებად ან მეტსახელად ქცეულა.

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969-1970 წლებში.

რესპონდენტთა სია იხ. №2 დანართში.

**ჯალირა** (ადგ. ვარ.: ჯალრა, ჯალგრა) – სოფელი ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 210 მ, წალენჯიხიდან – 12 კმ. პირველად მოიხსენიება XVII ს. შუა წლების წყაროებში. მაღალ ბორცვზე შემორჩენილია XV-XVI სს. კოშკისა და გალავნის, აგრეთვე ჯვარცმის სახელობის ეკლესიის ნანგრევები. სოფ. ობუჯის საზღვართან კი სარიტუალო ცაცხვის ხეს ეწოდებოდა **ბარბალობამ ცხაცხუ**, სადაც ბარბალობას აღნიშნავდნენ აბულაძეები (იხ. მეორე ნაწილში... „ბარბალობამ ცხაცხუ“). 1806 წლის 15 ნოემბერს შედგენილ წყალობის ნიგნში დასახელებულია „ობუჯი“ და „ჯალრა“ (კეკელია, კურდღელია, ხარებავა, 2012, გვ. 12). 1886 წელს განხორციელებული მოსახლეობის სტატისტიკური აღწერის მონაცემების (იხ. ... 1893) მიხედვით, შედის კირცხის (ამჟამად, ჩხორონეყუს მუნიციპალიტეტი) სოფლის საზოგადოებაში გამფერდთან და სარაქონთან ერთად (ამ წელს ჯალირაში მკვიდრობდა 73 კომლი, 493 სული).

1930 წელს „ჯალრა“ შედის ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონის ობუჯის სას. საბჭოში. ამ წელს მისი მოსახლეობა აღწევს 103 კომლს (472 სული). 2002 წელს ჩატარებული „საქართველოს პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის“ მასალები გვაუწყებს, რომ ჯალირაში 357 მუდმივი მოსახლეა (176 კაცი, 181 ქალი). 2014 წლის დამლევს მოსახლეობა აღინერა ორი ნიშნით; **ადგილობრივნი** და **დევნილნი**. მათი რაოდენობა ჯალირაში აღწევდა 93 კომლს.

ჯალირა პირველად რუსულენოვან წყაროშია მოხსენიებული ფორმით: რუსეთის ელჩები ელჩინი და ზახარიევი 1639 წლის 3 დეკემბერს სწვევიან ჯალრას და დაუტოვებიათ იგი 31 დეკემბერს. ვარაუდობენ, რომ ისინი დაბინავებულნი იყვნენ ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, მაღალ ბორცვზე, სადაც, როგორც ვარაუდობენ, XV-XVI საუკუნეების ნაგებობაა.

გადმოცემები: 1) სამი რჩეული ხარი გაუშვიათ, სადაც ისინი დაწვებოდნენ, იქ უნდა აეშენებინათ ეკლესიები. ერთი ხარი დაწოლილა იქ, სადაც იდგა „ჯალღრა“ („მრუდე, მოლუნული ხე“). სოფლის სახელწოდებაც აქედან წარმომდგარა; 2. აფხაზეთიდან ლტოლვილი ჩხეტიები ოდიშში გადმოსულან და ღამე აქ, ჯა ღერას, ე.ი. მოლუნული ხის, ქვეშ გაუთენებიათ. ამიტომაც ადგილისათვის **ჯალღრა** უწოდებიათ, ხოლო თვით ნახუბუს ციხე-სიმაგრეში დამკვიდრებულან. მეზონიები მათი შთამომავლები არიან (იხ. სამეზონიო); 3. ერთ კაცს ჰკითხეს, ნუხელ სად იყავიო, უპასუხა: ნვიმამ მომისწრო და თავი ჯა ღერეს შევაფარეო. ამ შემთხვევაში ჯა ღერე ნიშნავს ფულურო ხეს. კიდევ ერთი რესპონდენტი: „ჭანისწყალზე გადებული ყოფილა ჯალღლა, ანუ გალუნული ხე, რომელიც ხიდის მაგივრობას ეწეოდა. ამიტომ დარქმევია ჯალღრა“. ჯალღრაში შემორჩენილია თავდაცვითი კომპლექსი კოშკისა და გალავნის ნანგრევებით. ჯვარცმის ეკლესიაც აქვე ყოფილა. ალ. ქობალია: ა. „**ჯალირა** (ჯალღრა) — დაკვანჯღული ხე; ხეხვიარა; ტანბრეცილი ტყე; ტყიანი ხევი“; ბ. „**ღირა//ღერა** — დაღრეკილი, მრუდე, გამრუდებული; ღეროვანი“. მეგრულში **ჯალღრა** მაღალსა და აწონილსაც ნიშნავს თურმე (იხ. ელიავა, 1994, გვ. 397). მ. ჩუხუას შენიშვნა: ლაზურში ჯალღრა მაღალ ადგილს ნიშნავს (სოფელი ჯალირა მართლაც მაღლობზეა აშენებული — პ. ც.). შდრ.: „ლაზ. **ჯალღრა** — „მაღალი ადგილი“, მეგრ. ჯალღრა//ჯალირა „ტყეებიანი ხევი მაღლობში“; შდრ. მეგრ. **ჯალირა** (ტოპ.); **ჯა-ღირა** „ძელ-ღრე(?)“ (ლმგ, 2015, გვ. 894).

ჯალირაში XX ს. ბოლო ათწლეულში მხოლოდ 8 გვარი მკვიდრობდა (112 კომლით). მათგან: მეზონია — 72 კ., ხარჩილავა — 24 კ., ქებურია — 11 კ. აგრეთვე: ანთია, არახამია, კონჯარია, ჯალალონია, ჯაფარიძე (ეს გვარები წარმოდგენილია მხოლოდ თითო-ორი კომლით).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული

**საჩინო** — სოფელი და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იწინას ხეობაში. ზ.დ. 240 მ, ნალენჯიხიდან 8 კმ. სოფელს უწინ ეწოდებოდა ქვედა საჩინო (ზედა საჩინოდ ითვლებოდა დღევანდელი კუხეში). საჩინო მოიხსენიება 1733 წლის გუჯრებში „გრიგოლ კათალიკოზის ბიჭვინთის საბუთთაგან“ (ჭითანავა, 2010, გვ. 365). ამ სოფელში იყო თავად აფაქიძეების კარის ეკლესია (აფაქიძეები ფლობდნენ ენწერს — ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფ ვაკე-ზეგანს, რომელსაც სწორედ ამიტომ შეერქვა „სააფაქი(d)ო ენწერი“). ეს ეკლესია დარბაზულია და, როგორც ვარაუდობენ, შუა საუკუნეებშია აგებული, მაგრამ წყაროებში არ მოიხსენიება, არც კედლებს ამშვენებს წარწერები. სოფლის ხანდაზმულებსაც კი არაფერი სმენიათ, თუ ვინ ააშენა ეკლესია, ან რომელი წმინდანის სახელობისა იყო იგი.

XIX ს. შუა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) საჩინო შედიოდა ჯვარის მაზრაში. 1886 წელს საჩინო მოექცა ჯგალის თემში 179 კომლით (1182 სული). 1930 წლისათვის შეიქმნა საჩინოს სასოფლო საბჭო და მასში შევიდა: საჩინო (170 კომლი, 791 სული), ნაგურუ (113 კომლი, 565 სული) და კუხეში (110 კომლი, 490 სული). ამგვარი ადმ.-ტერიტ. დაყოფა შენარჩუნებულია XXI საუკუნეშიც. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით, საჩინოს თემის საკრებულოს სამივე სოფლის მუდმივი მოსახლეობა შეადგენს 2297 სულს. მათგან საკუთრივ სოფ. საჩინოში აღინუსხა 1334 მუდმივი მოსახლე.

**საჩინო** ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ცხადს, შესანიშნავს, ჩინებულს, გამოჩენილს და, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში იქცა ლამაზი, მშვენიერი, წარმტაცი, შემკული შენობისა თუ ადგილის, მხარის სინონიმად. საჩინო დაარქვეს დედოფალ დარეჯანის (ერეკლე მეორის მეუღლე) სასახლეს თბილისში, მეტეხის სიახლოვეს (აშენდა 1776

წ.). საჩინო ერქვა ისტორიულ მხარეს იმერეთში და სოფელს სამურზაყანოში, ლალიძგის მარცხ. მხარეს. ეს უკანასკნელი დაფიქსირებულია არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.). გადმოცემით, სამურზაყანოს საჩინო დაუარსებია ინწირას ხეობის საჩინოდან ლტოლვილ ოთხ ძმა ქუჩულორიას (რომელთაც გვარი ქუჩუბერიად გადაუკეთებიათ და მშობლიური სოფლის სახელწოდებაც გადაუტანიათ).

**ჩინ-** ფუძიანი ზმნა თუ ნაზმნარი ფორმები, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ ქართული ენის კუთვნილებაა. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში დაფიქსირებულია: „**საჩინო** – შესანიშნავი, ჩინებული, ცხადი, გამოჩენილი“ (აბულაძე, 1973, გვ. 379); „**საჩინო** – გამოჩენილი, ცხადი; მთავარი; მხედველობითი არე; საზღვარი; სხივი, გონება“ (სარჯველაძე, 2001, გვ. 190). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ მოიპოვება სანყისი ფორმა **ჩინა** „დაბარება; შემოთვლა“ (იჩინანს „იბარებს“; უჩინანს „უბარებს, უთვლის“; „**მაჩინერი** (და)მბარებელი, (შე)მთვლელი“; **ნაჩინა** „(შე)ნათვალი“, (და)ნაბარები...), მაგრამ მეგრულშივე **ჩინ** ძირი გვაქვს **ჩინება** სანყისთან, რასაც ო. ქაჯაია ასე განმარტავს: „**ჩინება** – ცნობა, ნაცნობობა“; **იჩინენს** „იცნობს“; **ნაჩინებუ** „ნაცნობი“; **მაჩინე** „მცნობელი“; **ჩინებული** „ცნობილი, გაცნობილი“; **უჩინებუ** „უცნობი“ და სხვ. ჩავიხედოთ ალ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“: „**ჩინა** – შეთვლა ამბისა (ქიმუჩინუ „შეუთვალა“); **ჩინება** – ცნობა; შეცნობა, ნაცნობობა; ცნობაზე ყოფნა; **ჩინელი** დაბარებული, შეთვლილი; კითხული; ცნობილი, გაცნობიერებული; **საჩინო** – საჩინო, ცნობილი, ცნობადი“.

ზმნურ ფუძეებთან სა—ო პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობის გამომხატველი ლექსემები მეგრულში იშვიათია. დავასახელებთ არსებულ მაგალითებს როგორც ო. ქაჯაიას, ისე ალ. ქობალიას ლექსიკონებიდან. ო. ქაჯაია: **საგაძიცო** „სასაცილო“ ( გაძიცანს „დასცინის“); **სამორდებო** „მოსარიდებელი“; **სარაგადო** „სალაპარაკო, სათქმელი“ ( რაგადი „თქმა, ლაპარაკი“); **სანყინო** „სანყენი“; **სახიოლო** „სასიხარულო“; ალ. ქობალია: **თანჯუა** – „საჭირო დაღის ამოკოდვა ხეზე“ **სათანჯო**; **სალაყაფო** „სათამაშო, სალალობო, სააღერსო“; **სანგარო** „სატირალი“ ( ნგარა „ტირილი, დატირება“); **სანძალო** – „ძალის დასატანებელი, დასაძლევია“ ( (და)ნძალება „დაძალება“) და სხვ.

დანიშნულების სახელები იწარმოება არსებითი და ზედსართავი სახელებისაგანაც: **საგერგეზო** „საგმირო“; **სავარდო** „საყვავილე“; **სათანაფო** „სააღდგომო“; **საოსურო** „საცოლე“; **საპატონო** „საბატონო“; **საჟინოსქუო** „სააზნაურო“; **სასინთო** „სასინათლო“; **საუნჩაშო** „საუფროსო“; **საურემო** „საურმე“; **საუხაფუ** „უშობელთა საძოვარი“; **საფაჭაჭო** „საქოჩრე“; **საჯგირო** „სასიკეთო“; **საჯიშო** „საჯიშე“; **საჯოგო** „საჯოგე“; **საფიცარო** „საფიცრე“; **საფულაქო** „სალილე“; **საქირსო** „სამობაო“; **საქომოლო** „საგაყვაცო, სამამაცო“; **საქორთუო** „საქართველო“ და სხვ მრ. ამის გარდა, მეგრული ლექსემა ქართულის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს: **სარსაფო** „სასწრაფო“; **სარქვიო** „საქერივო“; **სარწუმო** „სარწმუნო“; **სახენწიფო** „სახელმწიფო“; **სასოფელო** „სასოფლო“ და სხვ.

მაშასადამე, **ჩინ-** ფუძიანი ზმნა თუ ნაზმნარი ფორმები, უპირველეს ყოვლისა, საკუთრივ ქართული ენის კუთვნილებაა, რასაც ადასტურებს ზემოთ დასახელებული ძველი ქართული ენის ლექსიკონები. **ჩინ-** ძირი და მისგან წარმოქმნილი ლექსემები მეგრულშიცაა შესული. სამეგრელოში **საჩინო**, როგორც ჩანს, უძველესი სოფელია. ქვედა საჩინოს უბან ქვიშონაში, ერთ-ერთი მოსახლის ეზოში, ნაპოვნია ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც, აკ. ჭანტურიას მოსაზრებით, „აპოლონის“ ფიგურაა (ჭანტურია, 1989, გვ. 179). ო. ლორთქიფანიძის მტკიცებით, ფიგურა უნდა ყოფილიყო „არა აპოლონისა, არამედ დიოსკურების წყვილიდან ერთისა“ (ლორთქიფანიძე, 1980). ყოველივე ეს სადავოს ხდის კ. ოკუჯავას დასკვნას, რომ **საჩინო** წარმოდგება ზანური სიტყვიდან „**ჩინ**“, რაც ნიშნავს ცნობას, ე.ი. ნაცნობ ადგილს (ოკუჯავა, 1999, გვ. 234). გადმოცემა: აქაურები ომში ხშირად იმარჯვებდნენ და ამის გამო ჩინებს იღებდნენ. ამიტომ დარქმევია საჩინო.

გასული საუკუნის დამლევს საჩინოში მკვიდრობდა 46 გვარი. მათგან მრავალკომლიანი იყო: შელია – 115 კ., ფიფია – 76 კ., კვირკვია – 59 კ., შეროზია – 20 კ., მიქავა – 15 კ., ხულორდავა – 15 კ., ბელქანია – 8 კ., ბერიშვილი – 8 კ., ლომია – 8 კ., გობეჩია – 8 კ. და სხვ. შეიძლება დავასკვნათ: **საჩინო** (გამოჩინებული, საუკეთესო, სანიმუშო...) ქართულიდან

მზამზარეული ფორმითა და სემანტიკითაა ნასესხები მეგრულში. კ. ჰანიც სწორად მსჯელობდა, როცა თავის ლექსიკონში ასეთი განმარტება შეიტანა: საჩინო ქართულ-მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **видный** (ჰანი, 1909, გვ. 128).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**კუხეში** (ყოფ. ზედა საჩინო) – სოფელი საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, იწინიას მარცხ. ნაპირას, საჩინოსა და ნაგურუს შუა. ზ.დ. 220 მ, ნალენჯიხიდან 10 კმ. XIX ს-ის შუა წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, კუხეში შედიოდა ჯვარის მაზრაში. 1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარში კი იგი ცალკე სოფლად არც ჩანს. 1930 წელს სოფელი კუხეში საჩინოს სას. საბჭოში შედის 110 კომლით (490 სული). 2002 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, კუხეში 508 მუდმივი მოსახლეა. 2014 წლის დამლევს კი კუხეშის ადგილობრივ და დევნილ მოსახლეთა რაოდენობა მხოლოდ 36 კომლს (174 სულს) აღწევს.

ქართულსა (ქეგლ) და მეგრულში (ქაჯაია, ქობალია) **კუხი** ძირი აღნიშნავს კუხეს, უმნიფარს... ფაქტია, რომ სოფლის სემანტიკას უფრო მიესადაგება რესპონდენტისეული განმარტება: „როგორც გადმოსცემენ, თავდაპირველად „კუხემ კუნთხუ“ ერქვა მცირე ვაკეთხმელნარს იწინიასა და ნოჭალას შესართავთან. კუხი, ანუ უმზეო, ცივი ადგილი ყოფილა“. სხვა რესპ.: „ოლაკვეს ფერდობი ეფარა და მზე გვიანამდე არ ხვდებოდა. თხმელნარი იყო და ჭვიტლური ხარობდა. ორიოდე ჰექტარი იყო, კუხი ანუ უმზურული“. გეოლოგ დ. ყანდაშვილის „საშვილიშვილო წიგნში“ ვკითხულობთ: „**კუხეში** – ს. ნალენჯიხის რ-ში. **კუხენი** — ზღვის აღელვების დროს... ხმა ვით ქუხილი, ზღვის ყვირილი“ (ქლ). სამწუხაროდ, ისიც კი ვერ გავარკვეით, რას ნიშნავს „ქლ“.

გასული საუკუნის დამლევისათვის კუხეში მკვიდრობდა 26 გვარი. მათგან შედარებით მრავალკომლიანი იყო: ნულაია – 21 კ., ფიფია – 16 კ., არდია – 14 კ., ჭანტურია – 14 კ., ყურუა – 10 კ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ნაბურუ** – სოფელი საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, იწინიას ხეობაში, ჩქვალერსა და კუხეშს შუა. ზ.დ. 280 მ, ნალენჯიხიდან 11 კმ. XIX ს. შუა ხანებში შედიოდა ჯვარის მაზრაში „ნაგუროუ“ ფორმით. 1886 წელს „ნაგუროუ“ შედის ჯგალის სასოფლო თემში (68 კომლი, 469 სული). 1930 წელს გამოცემულ „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ მიხედვით, საჩინოს სას. საბჭოს სოფ. ნაგურუს მოსახლეთა რაოდენობა აღწევს 113 კომლს (791 სული). 2002 წელს კი ამ სოფელში ცხოვრობს 453 სული ორივე სქესისა. 2014 წლის დამლევს მოსახლეთა აღწერა მოხდა ორი ძირითადი ნიშნით: **ადგილობრივნი** და **დევნილნი**. ნაგურუში ამ ორი ნიშნით აღწერილი მოსახლეობის საერთო ჯამმა მიაღწია 136 კომლს.

ეტიმოლოგიისათვის: რესპ.: „გორდიდან მოსულან ჩიქოვანები, მოსწონებიათ ეს ადგილები და უთქვამთ: გური, ანუ ლამაზი, მრგვალი ადგილიაო და აქ დასახლებულან. ამიტომ დარქმევია ნაგურუ“. მეორე მხრივ, მიუთითებენ ადგილს, სადაც გურიელს უცხოვრია. შუა საუკუნეებში არსებულა გვარი **გურუაც** (იხ. პალ, I, გვ. 752). საისტორიო წყაროებში გვხვდება გვარები **გურიელი** და **გურიული**. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ოიკონიმ ნაგურუს ამოსავალია გვარსახელი. შდრ. მიკროტოპონიმი **ნაგურიელი** სოფ. ნაკიფუში და **ნაგურუ** სოფ. ხაბუმეში. ისიც უნდა აღინიშნოს: სოფლის სახელწოდების იშვიათი ადგილობრივი ვარიანტია ნაგურუუ. მ. ჩუხუას მოსაზრებით, ნაგურუუ ჯვარული მეტყველების — ნაგუროუს — ასიმილირებული ფორმაა.

XX ს. დამლევისათვის ნაგურუში შედარებით მრავალკომლიანი გვარები იყო: ჯანჯღავა – 19 კ., გვიღავა – 15 კ., ხვიჩავა – 13 კ., ჭიჭალუა – 12 კ., მორგოშია – 9 კ.



ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1970 წელს.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული

**ფახულანი** – სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ენგურის მარჯვ. ნაპირზე, ქალის ადმინისტრაციულ ერთეულსა და სამურზაყანოს შუა. შედის სოფლები: ფახულანი, ქალაღალი, წყოუში, ჭველე. ზ.დ. 200 მ, წალენჯიხიდან 15 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XIII ს-ში (იხ.: ქსე, ტ. 10). ლამბერტისა და დონ ქრისტოფორო დე კასტელის რუკებზე ეს სოფელი არაა აღნიშნული. 1886 წელს სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი ფახულანი შედის ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (385 კომლითა და 2189 სულით). 1930 წელს ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონში უკვე შექმნილია ფახულანის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის 6 სოფელი: ფახულანი (100 კომლი, 497 სული), ლანჯიში (73 კომლი, 388 სული), უბადოღალი (93 კომლი, 525 სული), ქალაღალი (95 კომლი, 479 სული), წყოუში (80 კომლი, 396 სული) და ჭველე (121 კომლი, 621 სული). 1949 წლისათვის კი უწინდელი ფახულანის სას. საბჭო დაყოფილია ორ სასოფლო საბჭოდ: 1. ფახულანის სას. საბჭო (სოფლები: ფახულანი, უბადოღალი, წყოუში, ჭველე) და 2. ქალაღალის სას. საბჭო (სოფლები: ქალაღალი, უბადოღალი, ლანჯიში).

როგორც ცნობილია, 1949-1950 წლებში მთავრობის დადგენილებით, ფახულანში მცხოვრები რამდენიმე ასეული ოჯახი გადასახლეს ოჩამჩირის რაიონში. ამან, რა თქმა უნდა, შეცვალა სასოფლო საბჭოებისა და მასში შემავალი სოფლების სურათი. 1987 წელს ფახულანის სას. საბჭოში შედის ფახულანი (ც.), ქალაღალი, წყოუში და ჭველე. 2002 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები ასეთია: ფახულანის თემის საკრებულოში მკვიდრობს 3828 მუდმივი მოსახლე, ამათგან სოფ. ფახულანში – 1342 სული. ჩვენი თხოვნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტიდან გამოგზავნილი 2014 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ფახულანის ადმ. ერთეულის ოთხივე (ფახულანი, ქალაღალი, წყოუში, ჭველე) სოფლის მუდმივი და დევნილი მოსახლეობის რაოდენობა აღწევს 1134 კომლს (3207 სული).

როგორც სხვადასხვა წყაროებიდანაა ცნობილი, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებს შემოუნახავთ სახელი ფახულანელი დეკანოზისა – მიქაელ ფახულანელისა, რომელიც ჯერ კიდევ XIV საუკუნეში სწვევია ამ წმინდა მიწას და შესაწირავი შეუწირავს ფახულანელი აფაქიების, შარაშიების, შონიების, გერგედავების და სხვათა სულის საოხად“ (ფიფია, 2006, გვ. 44). ოლორისა და ენგურის შესართავთან, ბორცვზე, რომელსაც სამ მხრივ ციცაბო ფერდობები აქვს, შემორჩენილია ციხესიმაგრისა და ეკლესიის ნაშთები.

სოფელ ფახულანის ეტიმოლოგიასა და მოტივაციაზე სამეცნიერო ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებაში გამოთქმულია გარკვეული მოსაზრებანი. რესპონდენტები: „**ფახუ** პირსახელია. **ლანი**, **ალანი** ნიშნავს უცხოს, შემოხიზნულს. მწყემსმა რომ თავის ჯოგში სხვისი საქონელი ნახოს, იტყვის, **ლანი** გამორევიანო“; „უნდა იყოს **ფახუმ ნალი**, ე.ი. ფახუს ნავალი ადგილი“. პროფესორ რევაზ გოგობიას ასეთი გადმოცემა ჩაუნერია: „ფახულანს თავდაპირველად ერქვა ფახუს ლანი. გადმოცემით, ამ ტერიტორიაზე უძველეს დროში გადიოდა საქარავნო გზა, სადაც ვინმე ფახუ ლანს (ანუ გადასახადს) ახდევინებდა ყველა ვაჭარს, ვინც კი ამ გზით ისარგებლებდა“. ალ. ქობალიას განმარტებაზე („ფახულა, ფახულანი – ფხვიერი, ფაშარი ნიადაგი“) დაყრდნობით ი. კეკელია სოფლის ეტიმოლოგიას ასე წარმოგვიდგენს: „გამორიცხული არაა, რომ სოფლის სახელწოდება ფახულანი ასახავდეს მიწის სახელწოდებას, კერძოდ, ფხვიერს, მსუბუქს, ფოროვანს, ადვილად დასამუშავებელს...“ (კეკელია, მასალები, ქუთაისი, 2014, გვ. 38). დაბოლოს: ფახულანი, როგორც გადმოსცემენ, თავდაპირველად ერქვა მცირე დავაკებას ამ სოფლის ცენტრში, ივანემ ღალსა და ოლორს შუა.

ფახულანსა და ფახულანის საკრებულოში შემავალ დანარჩენ სოფლებში XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ცხოვრობდნენ: გოგოხიები – 133 კ., გერგედავები – 118 კ., შონიები – 88 კ., კუკავები – 25 კ., გუჩუები – 16 კ., ქარდავები – 10 კ., ჭარაიები – 9 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

P.S. მკითხველს გავაცნობთ ფახულანში ფართოდ გავრცელებულ ერთსტროფიან ხალხურ ლექსს:

„ფახულანსე თხა ქულანსე,  
ლაყორიას — ოჩაგა.  
შუმილ ვორექ, რძლელი ვორექ  
ანნი ცუჩა ვოჩაგა“.

თარგმანი:

ფახულანში თხა კოჭლობს,  
ლაყორიაში — ვაცუკა,  
მთვრალი ვარ და გამაძლარი,  
ან სახლისკენ მივჩანჩალეზ.

**ქალაღალი** – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ღელე ქალაღალის (ერისწყლის შენაკადი) ხეობაში, ზ.დ. 350 მ, წალენჯიხიდან 35 კმ (ჯვარისა და ფახულანის გავლით).

ქალაღალი, როგორც სოფელი, პირველად დაფიქსირდა „დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში (შედიოდა ფახულანის სას. საბჭოში: მოსახლეობა – 85 კომლი, 479 სული). 1949 წელს უკვე შექმნილია ქალაღალის სას. საბჭო საკუთრივ ქალაღალისა და ლანჯიშის შემადგენლობით. 1950-1951 წლებში ქალაღალის სასოფლო საბჭოში მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი გადაასახლეს ოჩამჩირის რ-ში. ამის შემდეგ ქალაღალი შევიდა ფახულანის სას. საბჭოში. 1970 წელს სოფელში ცხოვრობდა 63 კომლი. 2002 წელს ქალაღალი შედის ისევ და ისევ ფახულანის თემის საკრებულოში (მოსახლეობა 626 სული). 2014 წლის აღწერით კი ქალაღალის ადგილობრივ და დევნილ მოსახლეთა რაოდენობა აღწევს 140 კომლს (488 სული).

ქალაღალში მიუთითებენ ძველი ციხისა და საყდრის საძირკვლის ნაშთებზე. ნასაყდრალთან XX ს. მეორე ნახევარშიც მოდიოდნენ მოსალოცავად. მიუთითებენ მდინარისპირა ადგილს, სადაც ძმებს – თოდუებს ჰქონიათ დუქნები. სწორედ ამის გამო ეწოდა მდინარეს ქალაღალი ( ქალაქიმ ღალი „ქალაქის ღელე“), რაც მოგვიანებით ოიკონიმადაც იქცა. სამეგრელოში არაა იშვიათი „ქალაქ“- ფუძიანი მიკროტოპონიმი. აქედან გამომდინარე, სიზუსტეს მოკლებულია ასეთი დასკვნა: „საკუთრივ ქალაღალიდან „ღალ“ ღელეს ნიშნავს „ქალას“ წარმომავლობა უცნობია“ (გაბისონია, 2009, გვ. 18). სხვა „მკვლევარი“: „**ქალაღალი** — ს. წალენჯიხის რ-ში. ქალაღაია (სპარს.). (ძვ.) თხელი აბრეშუმის თავზე მოსახვევი ქალებისა“ (ყანდაშვილი, 2000, გვ. 55). ამგვარი განმარტება ეჭვს იწვევს: ა. რა მოტივაციით შეიძლება ბორცვს დარქმეოდა თავზე მოსახვევი თხელი აბრეშუმის სახელი; ბ. რას წარმოდაგენს ტოპონიმის მეორე ნაწილი ღაია ამ შემთხვევაში.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**წყოუში** – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ენ-გურის მარჯვ. ნაპირის ვაკესა და მიმდებარე ბორცვებზე, საკუთრივ ფახულანსა და საბერიოს (გალის რ-ნი) შუა, წალენჯიხიდან 34 კმ (ჯვარისა და ფახულანის გავლით), ზ.დ. 250 მ. გადმოცემით, წყოუში თავდაპირველად ერქვა უბანს კკლის ხეობაში. სოფელში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია შემორჩენილი: ციხე-კოშკი ჯიხატყასა და ნაჯიხში (კირდე-ჯინჯის თავზე), ხოლო საყდრისა და აკლდამის ნაშთები — ჯგეგეჯინჯში. ყოველივე ამასთან დაკავშირებით დ. ჭითანავა აღნიშნავს: წყოუში რამდენიმე ნაეკლესიარი და ნაკოშკა-

რია, ხოლო მაღალ მთაზე მდგარა ციხესიმაგრე, რომელიც „რომაული ხანის ნაგებობაა და მას ჩვენ II-ს ს. ძეგლად მივიჩნევთ“ (ჭითანავა, 2010, გვ. 387-388).

„დაყოფის“ 1930 წლის გამოცემაში ნყოში (და ქალაქი) შედის ფახულანის სას. საბჭოში (85 კომლი, 396 მოსახლე), მაგრამ 1949 წლისათვის ცალკეა წარმოდგენილი ქალაქის სას. საბჭო და მასში შედის ნყოშიც. 1970 წელს ნყოშიში მკვიდრობს 104 კომლი, 1987 წლისათვის კი, მას შემდეგ, რაც ახლომახლო სოფლებიდან აფხაზეთში გადასახლდნენ, ნყოში (აგრეთვე ქალაქი, ჭველე და, რა თქმა უნდა, ფახულანი) ფახულანის სას. საბჭოშია გაერთიანებული. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის ცნობარში ნყოში ისევ და ისევ შედის ფახულანის თემის საკრებულოში (მოსახლეობის რაოდენობა ორივე სქესისა – 1139 სული). 2014 წლის დამლევს კი ფახულანის ადმ. ერთეულის სოფ. ნყოშის ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა ერთად შეადგენს 305 კომლს (1079 სული).

ნყოშის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით რესპონდენტები იუწყებიან: „ვაკეზე წყალი იდგა, ამიტომ დარქმევია“; „ფერდობები ხშირად იმენყრება, ალბათ ამიტომ უწოდეს“. ხალხური გადმოცემა: აქ, ვაკე-დაბლობზე, წყალი ჩამდგარა და 15 ოჯახი გახიზნულა. ამის შემდეგ დარქმევია ნყოში, რაც ბოლოს სოფლის სახელად გადაქცეულა. მეცნიერული ეტიმოლოგია: ქართ. **წყალ-** ფუძეს მეგრულში შეესატყვისება **წყუ**. გადმოცემა: „აქ, ვაკე-დაბლობში, წყალი ჩამდგარა და 15 ოჯახი გახიზნულა. ამის მერე დარქმევია ნყოში, რაც ბოლოს სოფლის სახელადაც ქცეულა. ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა ასეა წარმოდგენილი: ქართ. წყალ : მეგრ. წყაუ ნყოუ ნყუუ ნყუ (იხ. ქეელ, 2000, გვ. 657). მაშასადამე, ნყოში ერთ-ერთი ამ ფონეტიკური ეტაპის დადასტურებაა. მეორე მხრივ, მეგრულში ნყოუ აღნიშნავს შქერს (მცენარესა და ნაყოფს). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრ. ნყოუ-ში და სვან. წყაუ-შ ერთი და იმავე ძირისა და შინაარსის შემცველი ტოპონიმებია და ნიშნავს: „წყავისა“ ან „წყლისა“. შდრ. ალ ქობალია: „**ნყოუ** – წყავი; **ნყოში** – წყავიანი; წყაროვანი; წყლისპირა ზოლი“. XIV ს-ის ერთ-ერთ შეწირულების სიგელში აღნიშნულია, რომ სეტის (სვანეთი) ეკლესიისათვის უბოძებიათ **ნყოუშხევის** გლეხები გვარად ძიძია, შამუგია, გვაგვინია (ინგოროყვა, 1941, გვ. 113). ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ეს **ნყოუშხევი** იგივე **ნყოშია**, მაგრამ საქმე ისაა, რომ მეგრულში ლექსემა „ხევი“ არ მოიპოვება.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ჭველე** (ადგ. ვარიანტი: ჭველეში) – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ენგურის მარჯვ. ნაპირას, ფახულანსა და ჭალეს შუა. ზ.დ. 230 მ, ნალენჯიხიდან 24 კმ (ჯვარის გავლით). 1930 წლიდან დღემდე შედის ფახულანის ადმ.-ტერიტ. ერთეულში. 1930 წელს ჭველეში მკვიდრობს 121 კომლი (1621 სული), 1970 წელს – 155 კომლი, ხოლო 2002 წელს – 721 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა. 2014 წელს ჭველეში აღინუსხა ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის 340 კომლი (1068 სული).

სოფელი ჭველე იყოფა: **ჟინჭველე** – მთაგორიანი ნაწილი და **თუდონჭველე** – ენგურისპირა ვაკე. ეტიმოლოგია: ჭველა იგივე ჩქოლა, არის ნორჩი თხმელა, იგივე ჩქოლნარი. სავარაუდოა: ჭველა ჭველა-იმ-ი ჭველეში ჭველეში ჭველე. რესპ.: „ჯვემო ჭველეში ჯოხოდგ, მარა ასე ჭველეს ხოლო უძახგნა, უმოსი ქექე სახელი რე“. ამასთანავე, ჭველე (ჭველეთანა) არის „ახალამონვერილი, ეკალ-ბარდიანი ადგილი“ (ალ. ქობალია).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.


**უბადოლალი(ი)** „ავი ლელე“ – ერქვა სოფელს (და ხეობას) მდ. ქალაქის მარცხ. ნაპირას, ფახულანის სასოფლო საბჭოში, სამურზაყანოს საზღვართან. 1928 წლის აღწერის (გამოიცა 1930 წ.) მიხედვით, ამ სოფელში აღინუსხა 93 კომლი (525 სული). 1949 წელს უბადოლალი ისევ ფახულანის სას. საბჭოშია, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1949-1950 წლებში

სოფელი დაცარიელდა (მისი მოსახლეობა აფხაზეთში გადაასახლეს), უბადოლალმა სოფლის სტატუსი დაკარგა. მიუხედავად ამისა, 1970 წელს აქ ცხოვრობდა 30 კომლი.

ამჟამად უბადოლალი ეწოდება სოფლის კუთხეს, ხეობასა და ლელეს – მდ. ქალაქის მარცხ. მდგენელს (მარჯვ. მდგენელია ნარაგუ). იგი ჩაუვლის **უბადო მიკოლს** და უბადოლალიც ამიტომ დარქმევია. რესპ.: „გადმოცემით, უბადოლალ ამ ადგილებს უწოდა საბერიოელმა თავადმა მარშანიამ. მას შემდეგ, რაც მისმა ცხენმა უბადო მიკოლში ფეხი მოიტეხა“. ნარაგუსა და უბადოლალის შეერთების შემდეგ მდინარეს ეწოდება ქალაქალ(ი). იხ. უბადოლალი II ნაწილში.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.



## ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული

**ჩქვალერი** – სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ინწირასა და მოროჟას ხეობებში. ზ.დ. 320 მ, წალენჯიხიდან 18 კმ. სოფელში გახსნილია აკად. ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი. გადმოცემით, ჩქვალერი, ჩქვალორი უწინ ერქვა მცირე ადგილს ტკიბრასა და ინწირას შუა. ჩქვალერი „ჩქვალორი“ ფორმით (და ლეშამუგეც) პირველად საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში გამოჩნდა 1930 წელს: შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში (მოსახლეობა – 115 კომლი, 555 სული). 1949 წელს ჯვარის სას. საბჭოში შევიდა „ჩქვალერი“ ფორმით და ეს ოიკონიმი დღემდე ამ ვარიანტითაა დამკვიდრებული (იხ. ჩქვალერი, ქსე, XI, 1987, გვ. 172). 2002 წელს ჩქვალერის თემის საკრებულოში მკვიდრობდა 1092 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა (მათგან საკუთრივ ჩქვალერში – 702 სული), 2014 წლის დამლევს კი ჩქვალერის ადმ.-ტერიტორიულ ერთეულში ადგილობრივ და დევნილ მოსახლეთა რაოდენობა 251 კომლია (1108 სული). მათგან საკუთრივ ჩქვალერში – 127 კომლი (540 სული).

ეტიმოლოგიისათვის: „წალენჯიხის რ-ნის ტოპონიმის“ 2004 წლის გამოცემაში ჩვენეული განმარტება ასეთია: **ჩქვალუა** „ლორის მიერ დინგით მიწის თხრა“ **ჩქვალერი** „ლორის დინგით დათხრილი მიწა“; მეორე მხრივ, ჩქვალა, ჩქოლა აღნიშნავს ნორჩ მერხერ ბუჩქნარსაც (ხშირ ბუჩქნარს **ჭველონი** ეწოდება) და ასაკოვან ხესაც, რომელიც ტანად პატარაა და არ იზრდება. შდრ. ზ. ჭუმბურიძე: ჩქვალერი „თეთრქვიანი“. ხალხური ეტიმოლოგია კი ასეთია: „მთავარი ლერი ნადირობდა ამ ადგილებში. ერთმა მონადირემ მოკლა დიდი ტახი, მიუტანა მთავარს და უთხრა: „ა, ჩქვა, ლერი!“ (ესავა ქარდავა, 85 წ.). **ჩქვა** ეშვია. საყურადღებოა რესპონდენტთა განმარტებანი: „ჩქვალა ჯოხო ხვალახე დო ახალ ჯას. ბრელი ქიგედგდა, უკული ჭველონი ტყა რე. გვალო რეჩხე ჯას ვაჯოხო ჩქვალა“ (გაგულა მატუა); სხვა რესპ.: „ჩქვალა რე ხანი ულუ მარა ვერდუენ ფერი ჯა. კოჩიშე ხოლო თქუანა, ვერდუენ თინწკემა, ჩქვალა ჯაჯგურა რენია. ეხოშა ინომიდგე ლული, სუმენეჩი წანერი ქიციი, მარა ტანო ვერდგ. თინა ხოლო ჩქვალა რე. საერთოთ, მუში ჯიში ჯაშე ჭიჭე ჯა რე ჩქვალა“. მკვლევარ კუკური ფიფიას მოსაზრებით, ჩქვალერი აღნიშნავს თეთრი ქვის სავარდნ ადგილს. ამას ადასტურებს სოფლის ცენტრში გამავალი მდინარე მოროჟა, რომელიც თეთრი ქვებითაა მოფენილი.

ჩქვალერი ცნობილი იყო მეღარჭემეებით. XX ს.-ის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ უბადლო მეღარჭემეები **ვიცი ფიფია** და **კონია ქუხილავა**. სამწუხაროდ, ისინი, ფაქტობრივად, უკანასკნელი მოჰიკანები გახდნენ მეღარჭემეობაში. ვ. ა. სტემენკო-კუფტინას ცნობით, ლარჭემი მეგრულ მწყემსთა საკრავია, ჩქვალერი კი ოდითგან მეცხოველეთა სამკვიდრო იყო და ამიტომაც დაიბადა მის ნიაღში ხან სევდიანი, ხან კიდევ ტოროლასავით ცაში აფრენილი ჰანგებით ამეტყველებული ეს საკრავი“ (ფიფია, 2006, გვ. 106). ლარჭემი ფაქტობრივად თავისებური ლერწამია და აქ მხოლოდ ეგრისის მთების კალთაზე, უწინას გადასასვლელთან ხარობს. იგი ლერწამზე მსუბუქი და გამძლეა, ჭრიან სანამ ნედლია. ლარჭემი შეიძლება იყოს ექვსღეროვანი ან ხუთღეროვანი. როგორც ცნობილია, იყიდებოდა „ხობალაზე“ ე.ი. ხობის ბაზრობაზე აგვისტოს თვეში, მარიამობის დღესასწაულზე. ჩქვალერი, უბადლო მეღარჭემეების გარდა, ცნობილი იყო ნაბდით და ნაბდის ქუდით, ხალიჩებით, მეგრული სულუგუნით (ზ. ფიფია).

საისტორიო წყაროებში ჩქვალერი და ლეშამუგე არაა მოხსენიებული. ჩქვალერში შემორჩენილია ორი ციხის ნანგრევი. სპეციალისტთა ვარაუდით, ეს ციხე-სიმაგრეები ემსახურებოდა სვანეთიდან მომავალი გზების დაცვას, ორივე, ისევე როგორც ჯგალისა და ლიას ციხეები, რომლებიც ლევან II დადიანის ხანაშია აგებული (ბერაძე, 1970, გვ. 44-45).

**P.S.** ი. კეკელიამ და ჯ. წულაიამ ჩქვალერის ეტიმოლოგიას მიუძღვნეს მცირე ნარკვევი (იხ. მასალები... ქუთაისი, 2014, გვ. 42-43), რომელშიც არის მითითება ჩემს მოსაზრებაზე **„ჩქვალუა ჩქვალერი“**, მაგრამ არაა ნახსენები ჩემი მეორე ვარაუდი: „მეორე მხრივ, **ჩქვალა, ჩქოლა** აღნიშნავს ნორჩ მერხერ ბუჩქნარსაც (ხშირ ბუჩქნარს **ჭველონი**

ენოდება) და ასაკოვან ხესაც, რომელიც ტანად პატარაა და არ იზრდება“ (იხ.: ცხადაია, 2004, გვ. 190). მაშასადამე, დასახელებული ავტორები იშველიებენ ჩქვალა სიტყვის ისეთ-სავე მნიშვნელობას, როგორც მეც მაქვს აღნიშნული... ავტორებს უფრო მისაღებად მიაჩნიათ ალ. ქობალიასეული განმარტებანი (მოცემულია „მეგრულ ლექსიკონში“, 2010, 677): „**ჩქვალერი** – ამოლოჯებული ნარგაობა; ხშირი ტყე-ბუჩქნარი“; „**ჩქვალონი** – ნორჩი ნარგაობა, ბუჩქნარი, ჭალა“; „**ჩქვალა** – ხის, ბუჩქის ახალი ამონაყარი, ნორჩი, ქორფა ნეკერი“ „**ჩქვალუა** – ამოლოჯება ნარგაობისა“ (შევნიშნავთ: **ლოჯი** თუ **ამოლოჯება** ქართულ ლექსიკონებში არაა დასახელებული, თუმცა აქაც, როგორც ჩანს, ამოლოჯება მიწის ამოჩიქვნას ნიშნავს). ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება.

სოფელში ძირძველი და შედარებით მრავალკომლიანი გვარებია: ფიფია – 59 კ., ქუხილავა – 32 კ., ქარდავა – 18 კ., მატუა – 16 კ., ჭანტურია – 13 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969-70 წლებში.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლეშამუბა** (ადგ. ვარ.: ლეშამგე) – სოფელი ჩქვალერის ადმინისტრაციულ ერთეულში, მაგანასა და მოროჭას წყალგამყოფ მაღლობზე, ჯვარსა და ჩქვალერს შუა. ზ.დ. 360 მ, წალენჯიხიდან 19 კმ. სახელი შერჩა ტრადიციის ძალით: სოფელში შამუგების მხოლოდ 5 კომლია შემორჩენილი, ისევე როგორც ფიფიებისა და მანჯგალაძეებისა, ხოლო უფრო მრავალკომლიანი არიან გოგილავეები (18 კ.) და ჭანტურიები (13 კ.). მიუხედავად ამისა, სახელწოდება, როგორც ისტორიული ფაქტი, აგრძელებს არსებობასა და ფუნქციონირებას (ტოპონიმის მთავარი ფუნქცია ხომ ადგილის აღნიშვნაა და არა მისი სემანტიკის შესაბამისობა ამოსავალ ფუძესთან). საერთოდ კი, შამუგია არც თუ ისე მცირერიცხოვანი გვარია – 2623 სული (282-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით). წალენჯიხის რ-ში XX ს-ის დამლევს მკვიდრობდა 452 შამუგია (28-ე ადგილი რაიონში). გვარის ადგ. ვარიანტია **შამგია**. როგორც ცნობილია, აფხაზეთში (სოფ. აბჟუაში) 1837 წელს მონათლულან **შამაგუა** და **შამუგუა** გვარისანი. კოლხეთში დასტურდება პირსახელები **შამა, შამე, შამუ**, ხოლო სვანეთში **შამიგია** და **შამიგელია**. -გია დაბოლოება გვხვდება სხვა გვარებშიც: ხვინგია, უჩაგია...

სოფელში შემორჩენილია გადმოცემები არამხუტუზე, უზარმაზარი ძალ-ლონის პატრონზე. ხევიდან ხეზე შეეძლო გადახტომა ხის გრძელი ჯოხით, რასაც ლაბაშა ეწოდებოდა. არამხუტუს შესახებ რამდენიმე ლეგენდა აქვთ გამოქვეყნებული ს. ჯანაშიას, მ. ჩიქოვანს, რ. ერისთავს, ალ. ცაგარელს. ი. ყიფშიძეს... ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, იგი იყო ხალხის ქომაგი, ცხოვრობდა ჯვარში, ოხაჩქუესა და ლეშამუგეს შუა თავისუფლად დახტოდა ვეებერთელა გრძელტარიანი ლაბაშით. სხვა ვერსიის მიხედვით, არამხუტუ ჩერქეზია, რომელმაც ჯვარელებს ქალი მოსტაცა. ჯვარელებმა შემწეობა სთხოვეს ჯგეგეს – წმინდა გიორგის და ლეშამუგეს მაცხოვარს, სდიეს, დაენივნენ და მოკლეს ლეხერაში. არამხუტუს ლაბაშა და სხვა საჭურველი შესწირეს შემწე ხატებს. ლეშამუგელები XIX საუკუნეშიც კი უჩვენებდნენ არამხუტუს ნასროლ ქვას და მისეული ლაბაშის ნამსხვრევებს.

ლეშამუგესა და ჩქვალერში დამკვიდრებულ გვარებზე რესპონდენტები მოგვითხრობენ: პირველმოსახლენი იყვნენ შამუგეები (სოფ. ლეშამუგეში), ხოლო შემდეგ დამკვიდრებულან: შეროზიები (ლეშეროზიეში), ქანთარიები (ლექანთარეში), მატუები (ლემატუეში), ქარდავები (ლექარდესა და ლეკაკალეში) და ბოლოს – ფიფიები (ლეფიფიეში).

ლეშამუგეს, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორია იწყება 1930 წლიდან. ამ წელს გამოცემულ „დაყოფაში“ ლეშამუგე (და ჩქვალერიც) დასახელებულია როგორც ჯვარის სას. საბჭოში შემავალი სოფელი (მოსახლეობა – 129 კომლი, 628 მოსახლე). ლეშამუგე და ჩქვალერი 1949 წელსაც ჯვარის სას. საბჭოში შედის. 1987 წლისათვის კი შექმნილია ჩქვალერის სას. საბჭო და მასში ჩქვალერთან ერთად შედის ლეშამუგეც. იგივე სურათია 2002 წელსაც (ლეშამუგეში აღინუსხა 390 მუდმივი მოსახლე ორივე სქესისა); 2014 წლის

მოსახლეობის აღწერის ცნობარში სოფელი დასახელებულია **ლემამგე** ფორმით (129 კომლი, 568 სული ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობისა).

ლემამგეს ქირსე მანცხვარის (//„ქრისტე მაცხოვრის“) ეკლესია აგებული უნდა იყოს VI-VII საუკუნეებში. ს. მაკალათიას აზრით, ქრისტეს ხატს „ძლიერ ხატს“ უწოდებდნენ. აქ ხშირად ხდებოდა ხატზე გადაცემა და დაწყევლა... ხატზე გადაცემული ავად ხდებოდა და ამ დაწყევლისგან დახსნა მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუკი ხატზე გადაცემული (დაწყევლილი) გადაიხდიდა გარკვეულ თანხას, ან ეკლესიის კარზე დააბამდა ხარსა თუ ცხენს (იხ. ნაზარაკუ II ნაწილში).

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969-70 წლებში.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## ჭალეს ადმინისტრაციული ერთეული

**ჭალე** „ჭალა“ – სოფელი და ჭალეს ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ენგურის მარჯვ. ნაპირას (შედის სოფლები: ჭალე, ენერფერდი, ფოცხოენერი), ზ.დ. 240 მ, წალენჯიხიდან 24 კმ (ჯვარის გავლით). ჭალე, როგორც თემი და სოფელი, 1886 წელს შედიოდა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (382 კომლითა და 2388 სულით). 1928 წელს კი ჭალეს სასოფლო საბჭო შევიდა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის რაიონში და მოიცავდა 7 სოფელს: ჭალე (144 კომლი, 717 სული); „ენერი-ბინდი“ (ალბათ „ენერფერდი“) – 72 კომლი, 360 სული; ენერი (30 კომლი, 158 სული); თურაში (ალბათ „ფურაში“) – 60 კომლი, 297 სული; მუჟავა (138 კომლი, 739 სული); ნაშამუგუ (118 კომლი, 586 სული) და ხუბერი (11 კომლი, 57 სული).

„დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში ჭალეს სას. საბჭოში შედის მხოლოდ სამი სოფელი — ჭალე, ნაშამუგუ და ენერფერდი. 1987 წლისათვის ჭალეს სას. საბჭოში გაერთიანებულია: ჭალე, ენერფერდი და ფოცხოენერი („ნაშამუგუ“ უკვე მუჟავას სას. საბჭოს შემადგენლობაშია). „დაყოფის“ 2003 წლის გამოცემაში იგივე ვითარებაა. მოსახლეთა რაოდენობა კი ასეთია: ჭალე — 1244 სული; ენერფერდი — 433 სული და ფოცხოენერი — 399 სული. ჭალის თემის საკრებულოს მოსახლეთა საერთო რაოდენობაა 2076 სული. 2014 წლის დამლევს ჭალის ადმ. ერთეულში აღინუსხა 901 კომლი (2824 ერთეული დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობისა).

არქეოლოგებმა სოფ. ჭალეში ქვის ხანის ნამოსახლარები გამოავლინეს, კერძოდ, ხუმათიაში, მახასქურის მარცხ. ნაპირზე (გრიგოლია, 1979, გვ. 144). მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ „ჭალა“ რამდენიმეგზის არის დასახელებული. XVII ს-ის პირველი ნახევრის საისტორიო წყაროებში (გაბისონია, 2009, გვ. 31-32). მაგრამ იგულისხმება კი ამ „ჭალაში“ ენგურისპირა სოფელი ჭალე? ქართული **ჭალა**-სა და მეგრული **ჭალე**-ს ამომწურავი განმარტებანი ასეთია: ს.-საბა: „**ჭალა** — წყლის პირი ნაყოფიერი (//წყლის პირი ტყიანი“); დ. ჩუბინაშვილი: „**ჭალა** — ბუჩქნარი, ჯაგნარი, ჩირგვნარი ან მცირე ტყე წყლის ნაპირზედ“; ქეგლ: „**ჭალა** — ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას“; აღ. ქობალია: „**ჭალე** — ჭალა, მერე, წყლისპირა დაბლობი; ნაყოფიერი მიწა (სზოგ.)“.

გასული საუკუნის დამლევისათვის სოფ. ჭალეში აღირიცხებოდა 31 გვარი, მათგან მრავალკომლიანია: შონია — 56 კ., უბილავა — 45 კ., ხასაია — 26 კ., აკობია — 25 კ., შამუგია — 19 კ., მანია — 18 კ. და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ენერფერდი** – სოფელი ჭალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ენგურის მარჯვ. მხარეს (იხ. ქსე, ტ. 4: „მდ. ენგურის ხეობაში“). ზ. დ. 320 მ, წალენჯიხიდან 26 კმ. მდებარეობს ჭალესა და მუჟავას შუა. ჩრდ-ით ესაზღვრება მახასქური, სამხრ-ით –



ფახულანი. ე(ნ)წერი ეწოდება ვაკე-მაღლობს ოჭკემს ზემოთ, ხოლო ფერდი „ფერდობი“ მას დასცქერის. ამ ორი ოროგრაფიული ნომენის შეერთებით წარმოიქმნა „ენერფერდი“.

საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის 1930 წლის გამოცემაში ჭალეს სას. საბჭოში დასახელებული „ენერი-ბინდი“ სწორედ ამ ენერფერდს უნდა გულისხმობდეს (72 კომლი, 360 სული). დასახელებული სას. საბჭო ამ წელს ექვს სოფელს მოიცავდა. „დაყოფის“ 1949 წლის გამოცემაში კი ჭალის სას. საბჭოში შედიოდა მხოლოდ სამი სოფელი: საკუთრივ ჭალე, აგრეთვე ნაშამგუ და ენერფერდი. 1987 წლისათვის ნაშამგუ (ერისწყალთან ერთად) მუჟავას სას. საბჭოს შემადგენლობაშია (მას ჭალის სას. საბჭოში შეენაცვლა ფოცხოენერი). 2002 წელს ენერფერდში აღირიცხა 433 მუდმივი მოსახლე, 2014 წლის ბოლოს კი ამ სოფელში მკვიდრობდა 134 კომლი ადგილობრივი და დევნილი მოსახლე (429 სული).

კომლთა სიმრავლით გამოირჩევა გვარები: აქუბარდია – 22 კომლი, შონია – 22 კ., გოგობია – 6 კ.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ფოცხოენერი** – მუშათა დასახლება (1972 წლიდან) წალენჯიხის რ-ნში, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირზე, ზ.დ. 250 მ, წალენჯიხიდან 22 კმ. დაარსდა ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით (იხ. ქსე, 10, თბ., 1985, გვ. 387). უფრო ადრე ფოცხოენერი სოფ. ჭალის ერთ-ერთი დასახლებული უბანი იყო, მაგრამ დაცარიელდა 1949-1950 წლებში (საცხოვრებლად გადასახლდნენ ოჩამჩირის რაიონში). 1972 წლიდან კი იქცა ენგურჰესის მშენებელთა დასახლებად, მიიღო სოფლის სტატუსი და ტერიტორიულად დაუქვემდებარდა ჭალეს სას. საბჭოს. არაოფიციალურად პრაქტიკულად ბერეგსაც (რუს.: Правый берег) უწოდებდნენ (ჰესის მშენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვანი იყო). 1987 წელს ფოცხოენერი შედის ჭალეს სას. საბჭოში. 2002 წლის აღწერის პერიოდშიც ფოცხოენერი ჭალეს თემის საკრებულოშია 399 მუდმივი მოსახლით. 2014 წლის აღწერით კი აღმოჩნდა, რომ ფოცხოენერში ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა შეადგენს 829 სულს.

ტოპონიმი შედგება ორი ლექსემისაგან: **ფოცხო** ერქვა და დღესაც ჰქვია ტყიან უბე-ჭალას ენგურის მარჯვ. ნაპირას, მაღალი კლდის ძირას, ხოლო **ენერი**, სადაც აგებულია ჰესის მშენებელთა კორპუსები, სწორედ ფოცხოს თავზეა 60 - 70 მ სიმაღლეზე. ენერი ესაზღვრება მაღალ მთებს.

ტოპონიმური მასალა ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

## ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული

**ჯგალი** – სოფელი და ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, წალენჯიხა-სქურის გზაზე, ზ.დ. 230 მ, წალენჯიხიდან 7 კმ, ზუგდიდიდან 29 კმ. ჯგალის ციხე, რომელიც მოხსენიებულია XVII ს. I ნახევრის წყაროებში, მდებარეობს გორა ჯიხაფერდზე, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (ამჟამად სოფ. ლესალეს ტერიტორიაზე). 1616 - 1631 წლებში დაწერილ „საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ აღნიშნულია, რომ „ჯგალის სასახლის მიმდგამსა კაცებსა“ და „ჯგალის ციხის შემავალს კაცებს“, ე.ი. საეკლესიო გლეხებს, მართებთ გარკვეული სახის საეკლესიო ბეგარა (გოჭკომური, საკლავი და სხვ.). 1639 წლის 20 ნოემბერს სოფ. ჯგარიდან გამოსული რუსი ელჩები თეოდოტე ელჩინი და პავლე ზახარიევი 22 ნოემბერს ჩასულან ჯგალში (მოიხსენიება ფორმით) და 26 ნოემბერს გამგზავრებულან წალენჯიხაში. ჯგალი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.). ლევან II დადიანის მმართველობის ხანაში ჯგალში ჰქონდა სასახლე **ცაიშელს** (ცაიშის ეპისკოპოსს). ჯგალის მთავარი ხატი იყო **ძელი ქეშმარიტისა**, „მისი ჯგარი წინათ შექედ-

ლი ყოფილა ოქროთი, რომელზეც გამობერვით განჭედილი ყოფილან წმინდანები, მაგრამ უმეტესი მათგანი აღარ შენახულა“ (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 240). გიორგი კალანდიაც აღნიშნავს, რომ ექვთიმე თაყაიშვილს სოფ. ჯგალში უნახავს ძელი ჭემმარტის ხატიც (კალანდია, 1994, გვ. 17).

XIX ს. შუა წლებში დავით დადიანმა განახორციელა ოდიშ-ლეჩხუმის 8 მაზრად დაყოფა. ჯვარის მაზრაში მოხვდა 34 სოფელი. მათგან დღევანდელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის: ჯვარი, ხუდონი, ღია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, წალენჯიხა, ობუჯი. 1886 წელს ჯგალის თემი (სოფლები: ჯგალი, ნაგუროუ, საჩინო) მოექცა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (საბოქაულოში). ამ დროს სოფ. ჯგალში ცხოვრობდა 284 კომლი (2219 სული). 1930 წელს ჯგალის სასოფლო საბჭოში შედის 6 სოფელი: ჯგალი (148 კომლი, 712 სული), ლარა (რომელსაც სათანადო ცნობარში მრგვალ ფრჩხილებში მინერული აქვს: „მედანის ნაწილი“. აქ ცხოვრობს 84 კომლი, 361 სული), ლეთოფურიე-კანთი (69 კომლი, 295 სული), ლეკაკულე (112 კომლი, 559 სული), ლესალე (84 კომლი, 390 სული) და მედანი (68 კომლი, 313 სული). 1949 წლისათვის ჯგალის სას. საბჭოს შეემატა სოფ. ლეხარჩილე, ხოლო ლეთოფურიე-კანთი შემოკლდა და მიიღო ფორმა **ლეთკანთი**. 1987 წლისათვის ორი სოფელი – ლარა და მედანი გაერთიანდა მედანის სას. საბჭოში. ჯგალის ადმ. ერთეულში ამ წელს დარჩა ხუთი სოფელი: ჯგალი, ლეთკანთი, ლეკაკულე, ლესალე, ლეხარჩილე. ეს ვითარება დღემდე შენარჩუნებული. 2002 წლის დამლევს ჯგალის თემის საკრებულოს ამ ხუთ სოფელში აღირიცხა 2673 მუდმივი მოსახლე (საკუთრივ სოფ. ჯგალში – 975 სული). მოსახლეობის ბოლო აღწერის (2014 წ.) შედეგმა კი გამოავლინა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმ. ერთეულის ამ ხუთ სოფელში მკვიდრობდა 878 კომლი (2887 სული), ხოლო საკუთრივ ჯგალში – ადგილობრივ და დევნილ მოსახლეთა 465 კომლი (1541 სული).

2004 წელს გამოცემულ „წალენჯიხის რაიონის ტოპონიმიაში“ თავი ავარიდეთ ოიკონიმის სემანტიკასა და სახელდების მოტივაციებზე მსჯელობას (სათანადო, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი, ვარაუდისა თუ მტკიცებულების უქონლობის გამო). რესპონდენტებმაც ვერაფერი თქვეს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე და არც იმ დროისათვის არსებულ მეგრულ ლექსიკონებში იყო რაიმე, მეტად თუ ნაკლებად ხელმოსაჭიდი, ინფორმაცია. ალ. ქობალიას მეტად მნიშვნელოვან და საეტაპო დანიშნულების „მეგრულ ლექსიკონში“ (2010 წელი. 90 ათასი ლექსიკური ერთეული) ონომასტიკოსმა ი. კეკელიამ იპოვა საჭირო ლექსემა: „**ჯგალა** – ქვიანი, რომკიანი“; „**ჯგალი** – რომკი, ხრეთი; რიოში, მსხვილი რიყე“; „**ჯგალ-ჯგალი** – ნატეხ-ნატეხი, რიომ-რიოში; მსხვილი რიყე“. მართალია, ჭემმარტებისაგან შორს დგას, მაგრამ მაინც მოვიყვანთ ასეთ გადმოცემას: „სამეგრელოს მთავარს მოსწონებია ეს ადგილი და უთქვამს „მუ ჯგირი ადგილი რე“. დროთა განმავლობაში ჯგირი გადაქცეულა ჯგალად“. შეუძლებელი არაა, ჭანისწყლის ორივე ნაპირას მდებარე ობიექტის სახელდება მოტივირებული იყოს მდინარის რიყის ქვიანობით. დასახელებულ ლექსიკონში მოცემულ განმარტებაზე დაყრდნობით ი. კეკელია გვთავაზობს მისაღებ ეტიმოლოგიას: ოიკონიმი **ჯგალი** აღნიშნავს რიყეს, რეჭეკს, ქვა-ლორღიან ადგილს, გოროხს, კრიახს.

საეჭვოა ასეთი მოსაზრება: ტოპონიმ ჯგალისათვის ამოსავალი ფორმაა **ორგალი** „სარგავი“, სადაც თითქოს თავკიდური **ო** დაიკარგა (ფონეტიკური საფუძველი დაუდგენელია: პ. ც.), ხოლო **რგ ჯგ**, საეჭვოა, თუმცა ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, ეს მოხდა საკუთარ სახელში გიორგი ჯგეგე (იზორია, 2001). მკითხველს აქვე წარმოვუდგენთ ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიას: „სამეგრელოს მთავარს მოსწონებია ეს ადგილი და უთქვამს, მუ ჯგირი ადგილი ყოფენია“ (რა კარგი ადგილი ყოფილაო). სიტყვა ჯგირი გადაქცეულა ჯგალად, რაც დაერქვა სოფელს“.

1616-1621 წლებში შედგენილ „ჯგალის ციხის საკათალიკოსო გამოსავლის ნუსხაში“ დასახელებულია სხვადასხვა სახის საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სახელ-გვარები (იშვიათად, – ოდენ პირსახელი ან გვარსახელი). (იხ. ქსძ, III, გვ. 471, 472, 478-480). ჩამონათვალი ასეთია:

საკლია	მოირდია გიგიდავა	თოსკვამია გიგაა
ფაცხლია სავლიო	კუტავა გვახავა	ბაჭულია
ულვინია ოდიშარია	მორდილია ბულავა	შურიმიდგა ბულაა
თაიმაზა ფერთეხია	იმარცალია	წინილია
ჯგერგეკი ფერთეხია	ხერია სავლია	განარეჯია ბონია
ურაკორი შონია	უსკვამაბი გეგიდავა	შურიმიდგა გელუქანია
თოლია ბულავა	შუშანია გეგიდავა	ქვაჩილია ფართხავა
წყორია ბულავა	ამარცალია ქუცურავა	თომიხილა ფათხაა
ჯიმადი ბულავა	ულვინობა კერშილავა	ლომინია ფათხაა
ხუხულია შონია	ულვიმა მჭითავა	
ხუხულია მსუბუქია	ხახულია ფურთუხია	
ხუხუა მსუბუქა	გურმიხილია თუსმელია	
გვანიშია ტოტომინავა	გ(იო)რგი ფათხავა	
მამულია ხუბულია	ივანება ფათხავა	
შურიმიდგა ბელუქანია	ხვიხილია	
პტონობი მირაქა	მიქაი ფათხაა	
შამიგია ბუმბუვა	ოსავთარი ფათხავა	
მახუტოლია თოფურია	ბანუა ფათხაა	
ხვიჩელიავა ასმაგია	სკვამილა ფათხაა	
კოჩილია მიდორია	დედისმამა ფათხაა	
გომორთია ასმაგა	ახალვაჟი ბულავაჟი	

დასახელებულ გვართავან დღემდე მოაღწია მხოლოდ რამდენიმემ: ასმაგა, ბელქანია, თოფურია, კერშილავა, შონია, ხუხუა...

ჯგალის ტოპონიმი ჩანერილია 1969 წლის შემოდგომაზე.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლეთკანთი** – სოფელი ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, თარზენის ძირას, ხობისწყლისა და ჭანისწყლის შუამდინარეთში. ესაზღვრება ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტს. ზ.დ. 300 მ, ნალენჯიხიდან 12 კმ. 1930 წლის საქართველოს სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის მიხედვით, ამ სოფელს ეწოდება ლეთოფურიე-კანთი. ე.ი. ოიკონიმი წარმოიქმნა ორი მცირე დასახლებული პუნქტის (უბნის) სახელწოდებათა შერწყმით. შემდგომში მომხდარა პირველი სახელწოდების ბოლო ნაწილის მოკვეცვა, რის შედეგადაც საბოლოო ვარიანტად გაფორმდა ლეთკანთი, ხოლო ლეთოფურიე და კანთი დარჩა უბნების სახელებად. 1930 წელს ლეთოფურიე-კანთში მკვიდრობდა 69 კომლი (361 სული). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, ლეთკანთში მცხოვრებთა რაოდენობა აღწევს 519 სულს, ხოლო 2014 წლის აღწერამ გამოავლინა, რომ ლეთკანთის ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა შეადგენს 98 კომლს (335 სულს). აღ. ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ ტექსტში (გვ. 69) დასახლებული ლეთკანთი ბეჭდვის შეცდომაა.

XX ს. დამლევს ლეთკანთში მკვიდრობდა 229 კომლი. მათგან ძირძველია და კომლთა სიმრავლითაც გამოირჩევა: კვარაცხელია – 120 კ., შენგელია – 40 კ., ბელქანია – 20 კ., ხუბულია – 18 კ., ბობოხია – 9 კ.

სოფლის ტოპონიმი ჩანერილია 1969 წლის შემოდგომაზე.  
იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლეკაკული** – სოფელი ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭანისწყლის ორსავე ნაპირას, ჯგალი-ნალენჯიხის საავტ. გზაზე. ესაზღვრება ქ. ნალენჯიხა და სოფლები – მაზანდარა, ჯგალი. აქ კაკულიები ცხოვრობდნენ და სახელიც მაშინ დაერქვა. XX ს. ბოლოს კი, ჯგალის საკრებულოდან აღებული მონაცემების თანახმად, ლეკაკულეს ძირითა-

დი მაცხოვრებლები არიან კვარაცხელიები – 100 კომლი, ხოლო ფიფიები, ჩანგელიები, ხარჩილაგები ათ-ათი კომლით არიან წარმოდგენილნი. კაკულისა გვარისა კი სოფელში არავინაა. გურძემში (მარტვილის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები კაკულიები ხშირად ჩამოდიან ლეკაკულეში „გგთახვამუშა“, ე.ი. მოსალოცავად. მათგანაა ჩანერილი ასეთი გადმოცემა: „სვანები ხშირად ჩამოდიოდნენ ჯგალში კაკულიებისაგან ღვინის საყიდლად. ერთხელ მარანში დაანვინეს სტუმრები. პაპიროსის მოსაკიდებლად ცეცხლი დასჭირდათ და მასპინძელს სთხოვეს ბავშვის ხელით ცეცხლის გამოგზავნა. ეს ბავშვი ქვევრში ჩასვეს, ეთამაშებოდნენ და ჩაეხრჩოთ... მთვრალები იყვნენ... გაიქცნენ... რამდენიმე წლის შემდეგ სვანები ისევ გამოჩნდნენ. მასპინძლებმა ისინი დაათვრეს, დააძინეს და ცეცხლში დაწვეს. რა თქმა უნდა, სოფელში არ დაედგომებოდათ და გაიქცნენ, დაიფანტნენ დღევანდელი მარტვილის რაიონის სოფლებში. ლეკაკულეში კი არც ერთი კაკულია არ ცხოვრობს“.

კაკა, კაკული, კანკა, კიკა, კიკი, კიკო, კიკოლია ერთ-ერთი უძველესი აღმოსავლური ენიდან – ხურიტულიდან – მომდინარეობს. ამ სახელთაგან ზოგი ფირდოუსის „შაჰ-ნამე-შიც“ არის დადასტურებული (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 266). კაკულია პირსახელიცაა. 1568 წელს შედგენილი საეკლესიო საბუთის მიხედვით, ხობის ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ კაკულია სერგია (ქსძ, III, გვ. 275). რედაქტორის შენიშვნა: მეგრული **კაკა//კაკუ** შესაბამისად ქართ. კეკე და კეკელ-ის შესატყვისი ჩანს.

სოფლის ტოპონიმია ჩანერილია 1969 წელს.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

**ლესალე** – სოფელი ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის შემალღებაზე, ლარა-მედანისა და საჩინოს საზღვარზე, სადაც უწინ ქურსუების სამოსახლო ყოფილა. ზ.დ. 250 მ, ნალენჯიხიდან 8 კმ, ზუგდიდიდან 30 კმ. შემორჩენილია XV-XVI სს. ციხე-დარბაზი, რომელსაც ადგილობრივი **ჯიხას** უწოდებენ, ხოლო XVII ს. საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია როგორც ჯგალის ციხე (ლესალე იმ პერიოდში ჯგალის უბანი იყო). ამ ჯიხადან კარგად ჩანს მამუკიაშ ჯიხაც (სოფ. საჩინო) და დიდაქირსეც (სოფ. ლია).

ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარსახელი სალია. სალიებს ამჟამად ერთი უბანი უკავიათ ლაჩხვათრას ხეობაში. XX ს-ის დამლევს ლესალეში ცხოვრობდნენ: კვარაცხელიები – 25 კ., სალიები – 20 კ., ფიფიები – 17 კ. და სხვ. **სალ-**, **სალია** ფუძეების შემცველი სახელები გვხვდება სამეგრელოშიც და სვანეთშიც (იხ.: ქსს, 1986). საქართველოში გვარ **სალიას** XX ს-ის ბოლოში ატარებდა 1153 სული, ძირითადად ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში (472 სული, 26-ე ადგილი მუნიციპალიტეტში).

**ლესალე**, როგორც სოფლის სტატუსის მქონე ერთეული, პირველად დასახელდა საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული აღწერის 1930 წლის გამოცემაში (შედიოდა ჯგალის სას. საბჭოში. მოსახლეობა — 84 კომლი, 390 სული. ლესალე დღესაც ჯგალის ადმ. ერთეულშია მოქცეული). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, ლესალეში 326 მუდმივი მოსახლეა, ხოლო 2014 წლის დამლევს ამ სოფლის ადგილობრივი და დევნილი მოსახლის რაოდენობა აღწევდა 57 კომლს (185 სული).

სოფლის ტოპონიმია ჩანერილია 1969 წლის შემოდგომაზე.

იხ. რესპონდენტთა სია №: 2 დანართში.

**ლესარჩილე** – სოფელი ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ფუისქურის მარცხ. მხარეს, ჯგალსა და ლელვინჯილეს შუა (შდრ. ქსე: „მდ. ჭანისწყლის ხეობაში“). ზ.დ. 249 მ. ნალენჯიხიდან 7 კმ. იყოფა: **რზენი** (დას. ნანილი, ვაკე), **სუკი** (შუა ნანილი, მაღლობი) და **ტახილი** (აღმ. ნანილი, ხევსუფიანი). რზენში ცხოვრობენ **რზენაღეფი**, სუკში – **სუკარეფი**, ტახილში – **ტახილარეფი**.

ლესარჩილე, როგორც სოფელი, პირველად დადასტურდა საქ. სსრ ადმ.-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის გამოცემაში და საბოლოოდ დაიკავა ადგილი ჯგალის სას. საბჭოში. მოსახლეობის 2002 წლის აღწერისას ლესარჩილეში აღინუსხა 292 მუდმივი მოსახლე,

2014 წელს კი სოფ. ლეხარჩილეს ადგილობრივმა და დევნილმა მოსახლეობამ შეადგინა 98 კომლი (324 სული). ხარჩილავა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (2255 სული, 360-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში აღინუსხა ამ გვარის მატარებელი 707 სული (მე-9 ადგილი). მიუხედავად მრავალრიცხოვნობისა, გვარი ხარჩილავა საისტორიო წყაროებში არცაა დამონმეხული. გვარის ეტიმოლოგიას ვერ დაგვიდგენს ალ. ქობალიასეული განმარტება: „**ხარჩილა** — ჩხრიალა, ჩაჩხრიალა“.

XX ს-ის დამლევს ლეხარჩილეში ცხოვრობდნენ: ხარჩილავეები – 70 კ., კვარაცხელიები – 50 კ., მიქავეები – 40 კ. და სხვ. (სულ 172 კომლი).

სოფლის ტოპონიმია ჩანერილია 1969 წლის შემოდგომაზე.

იხ. რესპონდენტთა სია № 2 დანართში.

# ნანილი მეორე

## ლექსიკონი

– ა –

**აბაკელიამ ლალ(გ)** – ღელე. ერთვის სქულუბურს ქვემო წელზე. აბაკელია (გვარსახელია) ამ ღელის პირას ცხოვრობდა (ფახულანი).

**აბაკური** – ვაკე-ტყე ეცის სათავესთან, ტყაბედინერს ზემოთ. გადმოჰყურებს ბერიქუდი (ხუდონის სატყეო). სუფიქსი -ურ მიეთითებს, რომ ეს ადგილი უნინ აბაკოს ეკუთვნოდა.

**აბანა** „აბანო“ – 1. სამკ. წყალი საღელაში. წითლად ღებავს კლდეს, საიდანაც გადმოჩქეფს. ჩაედინება ნარაგუში. ცივი წყალია. რესპ.: „ზაფხულობით აქ ბანაობდნენ, სხეულს ამსუბუქებსო“; სხვა რესპ.: „მანგარიჟინი წყარი რე დო თექი ბონუა აქექენს კოც“ (ქალალალი); 2. გოგირდოვანი წყალი ოტოფუეს ხეობაში (მაზანდარა).

**აბანალეკერე** – ერქვა წყაროს ოხარკალეს ხიდს ზემოთ, ლეკერეს მარჯვ. ნაპირას ლესამუშიეში. გადმოცემით, აქ იყო სამკურნალო ცხელი აბანო, მაგრამ XX ს-ის დამდეგს, იმის შიშით, რომ ეს ადგილი ხელისუფლების დაინტერესების საგანი გახდებოდა (აქვე მცოვრებს სამუშიებს გაასახლებდნენ), ქვა-ლოდებით დაფარეს და წყალიც დაიკარგა (მთხრობელნი გაჯი სამუშია და გრიგოლ უბილავა, 1966 წ.). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა მითოლოგიური ლექსიკონის ავტორის ნოდარ გაფრინდამვილის ვერსია – რომელიც მან მიაწოდა მხარეთმცოდნე გვანჯი მანიას: lectus (ძირი lect) ლათინური სიტყვაა) და ნიშნავს საკაცეს, სკამლოგინს, წამოსანოლს... აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ აქ ავადმყოფები მოჰყავდათ საკაცით და მკურნალობდნენ.

**აბანალალ(გ)** „აბანოს ღელე“ – მოკლე ღელე სოფლის დას. ნანილში, ნაჯიხურსა და ჟინირზენს შუა. ერთვის წყურგილს, რაც ტებენეს შენაკადია. წყალს მძაფრი სუნი და გემო აქვს. ბავშვს რომ ტანზე გამოაყრის, წაუსვამენ და არჩენს (ნაშამგუ).

**აბანაწყარი** – ღელე. იგივე ლებიავახაშია//ლებიაუხაშუ (სქურის სატყეო).

**აბანო//მენჯი** – ერქვა სქურის მინერალურ წყალს და ღელეს, რომელიც მას ჩაუდის. ამჟამად წყალს ეწოდება სქური. ხოლო „აბანოში“ იგულისხმება ადგილი, სადაც სქური ამოდის და სააბაზანოა (სქურის სატყეო). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით, ქართ. **აბანო** უკავშირდება არაბულ **ჰამამ** ლექსემას. მ. ჩუხუას მოსაზრებით, შეუძლებელი არაა: ქართ. **ბან-** ა-**ბან-**ო.

**აბანოლალ(გ)** – ღელე, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი კურორტ სქურში. სათავეა აბანო//მენჯი (სქურის სატყეო). ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ქართ. **აბანო** დაკავშირებულია არაბულ **ჰამამ** სიტყვასთან.

**აბარაგა//ფიფიფი ნაკარუ//ყამუ ფიფიამ ნაკარუ** – სერი, ტყე-ბუჩქნარი ინწირას მარჯვ. ნაპირას, თხირიშის გვერდით (ჯვარის სატყეო). აღ. ქობალია „აბარაგა – მთიელის სახლ-კარის მიმდებარე სერი“. აქ ყამუ ფიფიას ჰქონია კარე ( კარავი) – მწყემსის ბინა. აბარაგა დატანილია აკაკი ჭანტურიას რუკაზე.

**აბრაგია//აბრაგიაშ ნოხორი** – სახნავი სააქბარდოში (ჯვარი). **აბრაგია** პირსახელია. საერთოდ, პირსახელი ტოპონიმის ფუნქციით არაა იშვიათი სამეგრელოს ტოპონიმი-ში. აბრაგ- სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა: „ „ (ყიფშიძე, 1994).

**აბრაგიაშ ნოხორი** – სახნავი. იგივე აბრაგია (ჯვარი).

**აბრაგიმ ნოხორი** – ფართო ველი ტებენეს ნაპირას, უჩა გოთეს სამხრ-ით. რესპ.: „აბრაგია მამაკაცს ერქვა, გვარად იყო გერგედავა. მისი ნასახლარია“. ვ. აბაევის მიხედვით, საზოგადო სახელი **აბრაგია** გავრცელებულია კავკასიურ ენებში, წარმოშობით ირანული სიტყვაა (ფახულანი).

**აბრაგიმ წყურგილი** – წყარო აბრაგიმ ნოხორის ტერიტორიაზე (ფახულანი).

**აბრაგ მესხიამ ნოცუნი** – საბალახო ფერდობზე, ნამინჯალუში. აბრაგ მესხიას აქ ყა-  
ნა ჰქონია (ობუჯი).

**აბრალეფიმ ნადიხ(გ)** – ბუჩქნარი ლეფიფიეში, ჩელალსა და უჩალალს შუა. სახელდე-  
ბული ობიექტი აბრალავეებისა იყო (კუხეში).

**აბრალეფიმ ნოხ(ი)ლე** „აბრალავეების წინ (მდებარე)“ – ჩაის ფართობი სოფლის ცენ-  
ტრის სამხრ.-აღმ-ით. კონტექსტი: „კოლმეურნობაშ თავმჯდომარეჲ მინუუ, აბრალეფიმ  
ნოხილე გონილია ჭუმე ჩაი“ (პ. ენერი).

**აბრონა** – ფერდობები ოლორის მარჯვ. მხარეს, მალლობზე, დობერაში (ენერფერ-  
დი). როგორც ჩანს, „დაცვა“ აბრონა.

**აგიამ ნაკარუ** – საძოვარი ნოლიმერში, სადაც აგიას საქონელი ეყენა და კარეც (სად-  
გომი) ედგა (სქურის სატყეო).

**აგრამ წყურგილი** – წყარო-ნაკადული ნაპერტულალის ნაპირას. ტოპონიმის ჩანერის  
პერიოდში (1969 წ.) აგრა ძიძარია აქვე ესახლა (მაზანდარა).

**ადაშ ღალ(გ)** – მცირე ღელე და ტყე-ბუჩქნარით დაფარული ხეობა. ღელე სათავეს  
იღებს ჭაჭახში და ერთვის ლეარსანეს მარცხ. მხრიდან. ადამურ მესხია ამ ხეობის მცველი  
იყო (სამესხიო).

**ადეცონი** – ვენახი, მიშახის ნაწილი ენგურისპირა ჭალაში, უთუთიამ ღალის ნაპირას.  
აქ გაშენებული იყო ადეცა, იგივე ადესა (შეიძლება იყოს თეთრი ან შავი. იცის მსხვილი  
მარცვალი და მტევანი. ფაქტობრივად, იზაბელას ბუნებრივი ჰიბრიდია). (ჭალე).

**ავთარა** – დავაკება. იგივე ავთარა (სამესხიო).

**ათანასაშ ნისქვილი** – ნანისქვილარი კინესქურზე, ლეციდეში. რესპ: „ამ ნისქვილის  
პატრონი ათანასა ამჟამადაც ცოცხალია“ (ნაკიფუ).

**ათაშ ღალ(გ)** – ღელე ჟინი სამესხიოს დას. ნაწილში. ერთვის ლეარსანეს. ათა ერთ  
დროს ამ ღელე-ხეობის მფლობელი ყოფილა (სამესხიო).

**აკაკათაფუ** „წყალთშესართავი, ხერთვისი“ – იწინარასა და ჭანისწყლის შესართავი  
(საჩინო). სამეგრელოში წყალთშესართავეს (ხერთვისებს) ხშირად ეწოდებოთ: **აკაკათა-  
ფუ, აკაკათაფური, ოკაკათაფუ(რი)** და სხვ. ამ მიმღეობური ტერმინებისათვის ამოსავა-  
ლია **აკოკათაფა** „შერთვა, შერევა, გარევა, შერწყმა, შეერთება“.

**აკაკი გოგოხიამ ნოხორი** – ბუჩქნარი ლანჯიშში, ერისწყლის მარცხ. ნაპირას (ფახუ-  
ლანი).

**აკაკიმ დიხა** – სახნავი. იგივე ჭალე (მედანი).

**აკარდამა** „აკლდამა; საერთო სასაფლაო“ – 1. ბორცვი ოტოფუეს მარცხ. მხარეს,  
ლულერაში. შემორჩენილია ცარიელი ქვითკირის სამარხები. აქ ხშირად პოულობდნენ ერთ  
მეტრამდე სიგრძის შახვარებს („ბარდაყის ძვლებს“). (ნაკიფუ); 2. ქვის გალავანშემორ-  
ტყმული დავაკება ჩინარეში, ლეჭამაკეს მარცხ. მხარეს (მუჟავა); 3. ბორცვი ლაჩახვას სა-  
თავესთან, სადაც ერთგან ქვით ამოშენებული ცარიელი სამარხია (ფუქი) და სხვ. შდრ.  
მოტივაცია: „ჭირით დახოცილებს ქვით ამოშენებულ საფლავში ყრიდნენ. ესაა აკარდამა“. მთიან  
სამეგრელოში შემორჩენილია უძველესი დროის ცარიელი ქვევრ-სამარხები, კლდე-  
ში ამოჭრილი. სწორედ მათ უწოდებენ აკარდამას. ქართულში **აკლდამა** აღნიშნავს: ა.  
ქვითკირის სამარეს, რომელშიც მიცვალებულს მარხავენ; ბ. ნაგებობას ამ სამარხზე  
(ქეგლ, I, გვ. 247). აღ. ქობალიასეული მოკლე განმარტება ასეთია: „**აკარდამა** – აკლდამა;  
საერთო სასაფლაო“.

**აკლდამა** ძველებრაულიდანაა შემოღწეული და იმხნავს სამარხ ნაგებობას.  
ვარაუდობენ, რომ ეს სიტყვა ქართულში უნდა შემოსულიყო IV-V საუკუნეებში. აკლდამას  
ჰქონდა ეზოც და სენაკიც (თუ სენაკებიც). აკლდამაში კრძალავდნენ ერთი საგვარეულოს  
წარმომადგენლებს. ამგვარი სამარხები რამდენიმეა აღმოჩენილი აღმოსავლეთ  
საქართველოში (იხ. ქსე, I, გვ. 231). ქეგლ-ში (I ტომი) განმარტებულია: აკლდამა არის  
ქვითკირის სამარე, სადაც მარხავდნენ მიცვალებულებს.

მაშასადამე, მეგრული **აკარდამა** ამ „აკლდამის“ მცირედ სახეცვლილი ვარიანტია.  
თავკიდური **აკლ-** კომპლექსში ჩართულია ა ხმოვანი, ხოლო **ლ რ** თანხმოვნის წინ.

მაშასადამე, ქართ. **აკლდამა** მეგრ. **აკარდამა**. მაგრამ ეს ლექსემა მეგრულში საერთო სასაფლაოსაც აღნიშნავს (ჭლექით, ცოფით გარდაცვლილთათვის ან თავდამსხმელ დალუპულ მტერთათვის). შდრ. ნ. ჩუბინაშვილი: „აკლდამა ებრაულად აგარაკი, ანუ დაბა სისხლისა; . ამისგან ნოდებულ არს აკლდამა მინაში შეკრული კამარა მკჷდართა გჷამთ დასადებად...“

**აკიბო//კიბო** – მთა-საძოვარი აფხაზეთის საზღვარზე (ხუდონის სატყეო). **აკიბო** – ტერასებიანი ფერდობი; კბოდე.

**აკიმ ნაკარ(გ)** – ვაკე-საძოვარი ბოგაშში. აკი მიქენაიას აქ ეყენა საქონელი და ჰქონდა კარე (ლარა).

**აკიმ წყარი//მიქენაიეფიმ წყურგილი** – წყარო სოფლის ჩრდ. ნაწილში, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. აკი მიქენაია სწორედ ამ წყაროსთან ესახლა (მედანი).

**აკობიეფიმ ფერდი** – ფერდობი სამელიეფიმ ფერდსა და მებონიეფიმ ფერდს შორის. აკობიეფი ამ ფერდობის ძირას ესახლენ (ლია).

**ალგგდგ** – ძაბრისებრი ჭა ბურღონაში (წყოუში). ალგგდგ „ძაბრისებური ჭა“ აფხაზეთის სიტყვა ჩანს. შდრ.: ალ. ქობალია: „**ალგიდი//ალაგიდი//ალაგიდა** – ძაბრი, ძაბრისებრი ორმო, კრატერი“. სინამდვილეში ესაა „**სათგრო ინჭა**“ - თოვლითა და ყინულით სავსე კრატერი. აქედან იღებს სათავეებს მოროჟა, ინწირა და ტკიბრა. რესპ.: „ოხაჩქუეში იდგა ოჩოკოჩი, ხოლო ყვირაში – არამხუტუ. ისინი ერთმანეთს ესროდნენ ლოდებს და, სადაც იგი დაეცემოდა, იქ ჩნდებოდა ალგგდგ. ოჩოკოჩი მოკვდა, არამხუტუ დაიჭრა და სისხლიანი ხელი ტობავარჩხილში ჩაიბანა“. ალგგდები ბევრია ოხაჩქუესა და ყვირას მთებზე. აკ. ჭანტურიას შრომებში აღნიშნულია როგორც ალიგგდგ და ასეა განმარტებული „ქვაბივით ჩავარდნილი ადგილი მთაში“ (ჭანტურია, 1996, გვ. 228).

**ალერტხარჩილე//გგნახვამუ** – ბორცვი, სალოცავი ადგილი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ქალაქის განაპირა ფერდობის დავაკებაზე, სადაც დასობილია რკინის ჯვარი და ბოძალი. აქვე მდგარა სამი ცაცხვი (წალენჯიხა). გადმოცემა: „ალერტხარჩილე ხატის სახელია. ჯინჯიხატი იყო. ხუთ წლამდე ბავშვებს ვნებდა. ამიტომ სპილენძის ქვაბში ჩადეს და აქვე ჩაფლეს. აქაური ქალები, სხვაგან გათხოვილები, ყოველ მესამე წელს მოდიან აქ მოსალოცავად, იხვეწებიან: „ალერტხარჩილე! შეენიე ჩემს ოჯახს, შვილებს, მოგვეცი ჯანმრთელობა, გაგვამრავლე“. მერე ტოვებენ გოჭის თავს, სანთელს, ხურდა ფულს, ხაჭაპურს... საერთოდ, ეს ალერტი ხარჩილავების სალოცავი ყოფილა. ამიტომ დარქმევია ალერტხარჩილე. ზუგდიდის რ-ნის სოფლებში გავრცელებულია ასეთი თქმულება: ერთ გამოქვაბულში დევი დამკვიდრდა. იგი ღამ-ღამობით გამოდიოდა და ადამიანებს მუსრს ავლებდა. ხალხმა მიმართა მზე-ლმერთს დახმარებისათვის. მან კი შეწუხებული ხალხი გააგზავნა **ალარტთან** – უფსკრულ-ბნელეთის ღმერთთან. ღვთაება ალარტმა დევისაგან ანიოკებულ ხალხს მისცა ხატი, რომელსაც მეგრელებმა „ალერტის ხატი“ უწოდეს. ამ ხატმა დევი მოკლა... სწორედ ეს ხატია დასვენებული სოფ. ალერტის (მარტვილის რ-ნი) ეკლესიაში (ცანავა, 1981, გვ. 103-104). ი. ყიფშიძის ვარაუდით, ალერტი შესაძლოა თურქულიდან შემოსული **ალაჰვერდის** („ღვთის მოცემული“) შემოკლებული ფორმა იყოს. არის ცდა, ალერტი დაუკავშირონ ნედლი თივის აღმნიშვნელ სიტყვა **ალერდს**. ალ. ქობალია: „**ალერტი** – ბნელეთის, ქვესკნელის ღმერთი, გამანედლებელი, სიცოცხლის მომნიჭებელი ძალა“ (იხ. აგრეთვე: ალ. ქობალია, „ალერტ-ხარჩილე“). დ. ჭითანავა მიმოიხილავს სათანადო სტატიებს და ასკვნის: „ალერტისა“ და „ალავერდის“ თურქულ სიტყვა „ალაჰ-ვერდთან“ გაიგივება დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია „ალერტ“-ის გაიგივება ნედლი თივის აღმნიშვნელი სიტყვა „ალერდ“-თან, რადგან ეს სიტყვა სალოცავის სახელს არ წარმოადგენს (ჭითანავა, 2001, გვ. 113). დ. ჭითანავას დასკვნა ასეთია: „ალ-ერტ-ს ქართველთა უძველეს სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაში მნათობთა თაყვანისცემის ფაქტთან მიყვაროთ“ (იხ. სრულად: ჭითანავა, 2001). **ალერტი** სამეგრელოში წარმართობისდროინდელ ხატ-სალოცავს წარმოადგენდა, რომელიც შემდგომში ქრისტიანულ სალოცავად იქცა. ო. ხუხუას ასეთი ვარიანტი აქვს შემოთავაზებული: „ალერტი შედგება **-ტი** სუფიქსისა და **ალერი** (ალეზური) „შენწყალებული“ სიტყვისაგან. ამ შემთხვევაში ალერი შეიძლება დავყოთ



ალ+ერ ელემენტებად. მაშასადამე, „ალერტი“ გვაქვს ორმაგი წარმოება“ (ხუბუა, 1966). ამასთან დაკავშირებით დ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ -ტი, -თი საქართველოში მხოლოდ გვარებში გვხვდება და ადგილის სახელის მანარმოებელს არ წარმოადგენს (ჭითანავა, 2001, გვ. 117). მ. ჩუხუა სვამს კითხვას, ხომ არ უდრის **ალერტი** (ალ+ერტი) ელ-იას ეტლ-ს!?! ს. მაკალათია აღნიშნავს: ალერტბარჩილე ეკლესიის ნანგრევია მაღალ გორაზე. საერთოდ, თვლიან, რომ ალერტი „დუდლორონთია“ (ე.ი., უფსკრულ-ბნეღეთის ღმერთია).

**ალესანდრემ ნააბან(გ)** – ქვით ამოკეთებული ძველი აუზი-აბაზანა ტარჩიისა და ნა-ოჩხვარღალის შესართავთან. ალექსანდრე მესხიას ევროპაში მიუღია განათლება. დაბრუნების შემდეგ ეწეოდა მებაბრეშუმეობასა და მეფუტკრეობას და ეს აუზი-აბანოც მას მოუნყვია (სამეხსიო).

**ალესიამ ნაცუდუ** ( უდუ „სახლი“) – საბალახო დავაკებაზე, ესქედის დას. კალთაზე. ალექსი სალიას ნასახლარია. ალესი, ალესია პირსახელ ალექსის ვარიანტია (ლესალე).

**ალესიამ წყურგილი** – წყარო ჩელაღის სათავესთან, ლაკადის ძირას. ალექსი ძაძამია აქვე ესახლა (ლარა).

**ალესიმ ლალ(გ)** – ღელე, ჩამოედინება ჯიხატყადან და ერთვის ოხვილიშს (ფახულანნი).

**ალესიმ წყარი** – წყარო ჯიხატყაში (წყოუში).

**ალექსანდრემ წყარი** – წყარო თხმელნარში, ძანძელის მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „ამ წყაროს უვლის ხანდაზმული კოლმეურნე ალექსანდრე ფიფია, შემოღობილი აქვს და სუფთად ინახავს“ (ლესალე).

**ალექსი ბოლქვაძემ ნოხორი** – ვაკე-ბორცვი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე. აქ დგას ერთი ცაცხვი და შეინიშნება ნაციხარი და სამარხის ნაშთი. გადმოცემით, აზნაური ალექსი ბოლქვაძე აქვე ცხოვრობდა (ჯალირა).

**ალექსი პაჭკორიამ ნოხორი** – მინდორი ოხარკალუშდუდის ტერიტორიაზე (ზედალია). სავარაუდოა: პაპამ ჭკორი „მღვდლის მონა“ პაპაჭკორი პაჭკორია.

**ალექსიმ ნოხორე** – სახნავი. იგივე წურუფემ ოჯამბე (კუხეში).

**ალექსიმ ნოხორი** – ჩაის ფართობი ბორცვზე, ოყაყალუს მარცხ. ნაპირას (ნაგურუ).

**ალემ წყურგილე** – წყარო სამებონიოში. იგივე ონძილე (ჯალირა).

**ალმასხანიმ ნაცვანუ** – სახნავი გგნაჭკვრასა და ორწყანდეს შუა. ამუშავებდა ალმასხან ბახტაძე (ულურია).

**ალმასხანიმ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა, ნოყალას შენაკადი. მოედინება ლეფიფიედან (კუხეში).

**ალოიამ წყურგილი** – წყარო ლაკადას ქვემო კალთაზე. ალოია კვარაცხელია აქვე ესახლა (მედანი).

**ამბაკომ ნოხორი** – ბორცვი, სახნავი ფუქარეს აღმ. ნაპირას. ამბაკო მიქავას ნასახლარია (ლარა).

**ანამ ნაკარუ** – ვაკე-საძოვარი ჩვინარეში, ოლორის ნაპირას. რესპ.: „ანა არქანია მწყემსი ქალი ყოფილა, ჰყოლია საკუთარი საქონელი და ამ ადგილას ჰქონია „კარე“, ანუ მწყემსის სადგომი. რძალიც იქვე იდგა და ეხმარებოდა“ (მუჟავა).

**ანგლიჩანეფიმ ნარეის** – ხევი ოხაჩქუეს კალთაზე (ჭალის სატყეო). რესპ.: „ინგლისელებს ჰქონდათ თურმე ოხაჩქუე იჯარით აღებული და წიფელი და წინვოვანი ხე-ტყე („უჩა ტყა“) რელსით ჩამოჰქონდათ ენგურამდე. დაჟანგული რკინის ძელები ახლაც ყრია ამ ხევში“.

**ანდრეამ დიხა** – დავაკება, საბალახო. იგივე გუჯუშ დიხა (ნალენჯიხა).

**ანდრეამ ნოხორი** – ერქვა ჩაის ფართობს სალუკაში, კვარჩხიღალის მარცხ. ნაპირას, ბორცვზე (ნაკიფუ).

**ანდრეამ ოლენჭყე** – ნაჭაობარი. იგივე ოლენჭყე (სამეხსიო).

**ანდრო მიქამ ნოხორე** – ვენახი შემადლებულზე, ჯიხაფერდის ძირას. მიქა მიქავა (მედანი).

**ანდრომ ოლენჭყე** – ნაჭაობარი. იგივე ოლენჭყე (სამეხსიო).

**ანდრომ ნყურგილი** – წყარო სოფლის ცენტრში (ობუჯი).

**ანდრუშქაშ ღალ(გ)** – ღელე, ოხარკალუწყარის მონაკვეთი ჯვარზენში (ჯვარი).

**ანთიაშ დისა** – ბუჩქნარი უჩაღალის მარცხ. ნაპირას, ფაფატიას დას-ით. ანთია გვარსახელია (პალური).

**ანთიეფიმ ოისგრე** „ანთიების საისლე“ – ჯაგნარი საცხადაიოს სამხრ.-აღმ. ნაწილში, ლია-ჯვარის გზატკეცილზე (ზ. ლია).

**ანთიეფიმ ფერდი** – ფერდობი ღელე ლეობხას მარცხ. ნაპირზე. ანთიები ამ ღელის ნაპირას ცხოვრობენ (ზ. ლია).

**ანტო ანთიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ენრის მაღლობის დავაკებაზე (ენერფერდი).

**ანტონ გოგობიაშ ნოხორი** – ბუჩქნარი ლანჯიშის დას. ნაწილში, ერისწყლის მარცხ. ნაპირას (ფახულანი).

**ანტონიაშ ეკალ(გ)//ანტონიაშ ფერდი** – გზა-აღმართი, რომელიც ლეარსანეს ხეობიდან მიემართება ჟინი სამესხიოსაკენ. **ეკალგ** „აღმართი“, **ფერდი** „ფერდობი“ (სამესხიო).

**ანტონიაშ ნაკარ(გ)** „ანტონიას ნასადგომარი“ – საძოვარი წისქვილარის ხეობის ზემო წელზე (სქურის სატყეო).

**ანტონიაშ ნოხორი** – 1. მინდორი. იგივე ბუცამ ნოხორი (ნაგურუ); 2. სახნავი ბორცვზე, კანთში (ლეთკანთი).

**ანტონიაშ ნოხორი//რომაშ ნოხორი** – ბუჩქნარი, ნოჟალას სათავე ხეობაში. **ანტონი** მამას ერქვა, **რომა** – შვილს (ლემამუგე).

**ანტონიაშ ტომბა** – ბორცვი ჭანისწყალზე, ქალაქის სამხრ. ნაწილში. ანტონ კალანდია ამ მორევთან ესახლა (ნალენჯიხა).

**ანტონიაშ ფერდი** – ფერდობი ანტონიაშ ეკალთან (სამესხიო).

**ანტომ ნანისქვილ//ანტომ ტომბა** – საბანაო მორევი ლაჩახვაზე, სამიქაოში. ანტო კვარაცხელია აქ ესახლა და ნისქვილიც ამ მორევთან ჰქონდა (ფუქი).

**ანტომ ნოხორი//ოლეჯე** – მინდორი ლეკოკიეს ტერასის ჩრდ. გაგრძელებაზე, სამარლიოსთან (ლია).

**ანტომ სუკი** – ბორცვი ლელვინჯილეში, ცურნასა და წკვიბლალს შუა. ანტონ ხარჩილავა ამ ბორცვის ძირას ესახლა (ლეჯოლიხე).

**ანტომ ტომბა** – საბანაო მორევი. იგივე ანტომ ნანისქვილ (ფუქი).

**ანტომ ნყურგილი** – წყარო ლაკადას ძირში. სოფლის წყალსადენის სათავეა (ლარა).

**არამხუტუმ ქუაღეფი** „არამხუტუს ქეები“ – სამი ქვა-ლოდი ყვირაში (ჯვარის სატყეო). იხ. ქვაქანცალია (იხ. დანელია, ცანავა 1991). რესპ.: „ერემხუტუ (და არა არამხუტუ — პ. ც.) ყარაჩი იყო, მდიდარი და ტანდიდი. სამეგრელოში გადმოდიოდა და იტაცებდა ხალხს. ამჯერად ქალი მოიტაცა ლანჯიშში. მამაკაცები ამ დროს უჩა ტყაში იყვნენ წასული სანადიროდ. მოტაცებული ქალი ერემხუტუს ილღის ქვეშ მოექცია და ისე მიჰყავდა. ქალი ტიროდა, მონადირეებს მოესმათ ტირილი და გზა გადაუღობეს ქალის მომტაცებელს. მონადირეებმა, რომლებიც ქალის ძმები იყვნენ, სთხოვეს წმინდა გიორგის დახმარება. მართლაც, ერემხუტუ მოკლეს, მისი თავი წამოაცვეს ლაბაშაზე და ილორის ეკლესიაში დატოვეს“ (იხ. ვრცლად არამხუტუზე: ყიფშიძე, 1994, გვ. 400).

**არგვანი** – ვაკე-სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში. 8-10 ჰა იქნება (ჯგალი). არგვანი მეტაფორული ნომენია. რესპ.: „არგვანივით („ქვასანაყი“) ჩავარდნილი ადგილია. ამიტომაც დაურქმევიათ“. არგვანი, არგუანი ბევრგან ენოდება სამეგრელოში მდინარეთა შესართავის შიგნით მდებარე მრგვალ ბორცვს, ან კიდევ მდინარის რკალში შეჭრილ შემადლებულ ვაკეს. შდრ.: ალ. ქობალია: „**არგვანი** – დიდი ჭურჭელი (საზოგ.); ასადულებელი ჭურჭელი, ჭური, ლაგვანი; ქვევრივით ჩავარდნილი ადგილი“.

**არგუანი** – კლდე-ფერდობები ენგურის მარჯვ. მხარეს, რჩინინასა და ჭველეთონას შუა. აქვეა გადასასვლელი ბილიკი **არგუანიშ გინოლგ**. აკ. ჭანტურია განმარტავს: „**არგუანი** – დიდი, ძველი, ხელუხლებელი ტყე; მდინარის დიდი მორევი სალ კლდეებთან, მდ. ენგურის აღმა დინებაზე, სვანეთისაკენ“ (ხულონის სატყეო).

**არგუანიმ გინოლგ** „არგვანის გადასასვლელი“ – გადასასვლელი ბილიკი არგუანში (ხუდონის სატყეო).

**არგუსიაშ ნოხორი** – ბუჩქნარი საჩინოში, ლემალაზონესა და ლეგობეჩიეს უბნების საზღვართან (კუხეში).

**არდიაშკარი** – მინდორი ლემორგოშიეს უბანში, არდიას (გვარსახელია) ჭიშკრის წინ (ნაგურუ).

**არდიეფიშ ნისქვილი** – ნისქვილი. იგივე ლეარდიეშ ნისქვილი (კუხეში).

**არველოდიშ ნყურგილი** – წყარო ლებუეში, ქუაჩამურთან (კუხეში).

**არიშ ნოხორი** – ვენახი ბორცვზე, ფეჩიეაშ ფერდის ჩრდ-ით. რესპ.: „არი დადიანის ნასახლარია“ (ნალენჯიხა).

**არკვანი//არკვანიშ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ლეჩიქვანეში. რესპ.: „არკვანიშ ტომბას ბრელი ჩხომი მიჭოფუ“. მორევის კლდოვან ფსკერზე აკვნისებური ორმოა (ნაგურუ). მაშასადამე, აკვანი, როგორც ვინრობის, კლდოვანი კანიონის აღმნიშვნელი სიტყვა, მეტაფორული ნომენია. სიტყვა **აკვანი** მონღოლურიდან შემოვიდა და განდევნა ქართული „სარწევი“. განმარტებანი: ს.-საბა: „აკვანი — სარწებელი“; ნ. და დ. ჩუბინაშვილები: „აკვანი — ჩჩვილთ სარეცელი, სარწებელი“. საერთოდ, მეგრულში ქართულიდან ნასესხები სიტყვის წინა თანხმოვანს (ან თანხმოვნებს) წინ ხშირად დაერთვის რ ან ნ: აკვანი „არკვანი“, შაქარი „შანქარი“...

**არკვანიში** – ოლორის კანიონი ლეკუკეში (ფახულანი). ქართველი ლექსიკოგრაფები აღნიშნავენ, რომ **სარწეველას** (მეგრ. ონწე) ქართველურ ენებში ჰქონდა და იშვიათად დღესაც აქვს მნიშვნელობა „ჭერიდან ჩამოშვებულ თოკზე ჩამოკიდებული კალათი — ბავშვის ჩასანოლი“. შემდგომში კი მას შენაცვლება მონღოლური სირტყვა აკვანი (მეგრ. არკვანი), რომელსაც აზია-ევროპის მრავალ ქვეყანაში შეუთვისებია მეტაფორული ოროგრაფიული მნიშვნელობანი: 1. აკვანისებურად ჩავარდნილი ადგილი; 2. კლდოვანი ვინრობი მდინარის კალაპოტში; 3. აკვნის ფორმის წაგრძელებული შემაღლება; 4. ვინრო გასასვლელი კლდეში.

**არკვანიშ ტომბა** – მორევი. იგივე არკვანი (ნაგურუ).

**არკვანტობა** – ქვაბული ტებენეს მარჯვ. ნაპირას, რღემის ხეობაში (ფახულანი). რესპ.: „რღემის ბილიკზე ქალი გადიოდა თურმე და აქ აკვანი ბავშვიანად ჩავარდნია“. სინამდვილეში ამ შემთხვევაში **ტობა** აღნიშნავს ქვაბულს, ჩავარდნილ ადგილს. აღ. ქობალია: „ტობა — ტბა; ღრმა, ადგილი მდინარეში, სადაც არის მორევი ან ქვაბული“.

**არმიანსკისორო** – შურო-ხევი. იგივე ქუანყარიშ სორო (ჭალეს სატყეო).

**არმიანსკიშ დენასქელედი** „არმიანსკის დანარჩომი“ – ხევი ცალიში (ჭალეს სატყეო). რესპ.: „არმიანსკი ხე-ტყის დამამზადებელი იყო. ამ ხევი ერთი დიდი მორი დარჩა. თავდაპირველად იმას ერქვა“. ტოპონიმი იმის ნიშნია, რომ მორის საკუთარი სახელიც კი შეიძლება გადაიქცეს გეოგრაფიული ობიექტის სახელად.

**არტემ ნოხორი** – 1. ჩაის ფართობი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მალლობზე. არტე კვარაცხელია აქ ესახლა და გადასახლდა ჩაის გაშენებასთან დაკავშირებით (ჯალირა); 2. სახნავი ოტოფუეს მარცხ ნაპირას, ფეფურში (ნაკიფუ).

**არტემ ნისქვილი** – ნანისქვილარი წკვიბლალზე, ლელვინჯილეში. ნისქვილი დაუდგამს არტე ლვინჯილიას (ლევოლიხე).

**არტემ წყარი** – წყარო სოფლის ცენტრში (წყოუში).

**არტემ წყურგილი** – წყარო ლელვინჯილეში, წკვიბლალის ნაპირას (ლევოლიხე).

**არტემ წყურგილი//კოტატიშ წყურგილი** – წყარო, ნამალანლალის სათავე. რესპ.: „კოტატი ქებურია მამა იყო. არაა ცოცხალი. არტე მისი შვილია და იქვე ცხოვრობს“ (ჯალირა).

**არქანია//საარქანო** – უბანი ბორცვზე, უბადოლალის სამხ.-აღმ. ნაწილში, სადაც უწინ გვარად არქანიები სახლებულან, ამჟამად კი გოგოხიები მკვიდრობენ (ფახულანი).

**არქანიაშ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა სქულუბურში, ერთვის უბადოლალს. არქანია გვარსახელია (ქალაღალი).

**არქანეფიშ ნანისქვილ(გ)** – მინდორი. იგივე რზენიშ ნისქვილი (მუჟავა).

**არჩილიშ ნადიხ(გ)** – ჩაის ფართობი ენწერიაში, ქორსუს ფერდობზე. მიწა არჩილს ეკუთვნოდა (ნაგურუ).

**არჩილიშ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ლეაბრაღეში (ნაგურუ).

**არჩილიშ ფოქვა** – მღვიმე ნორსელიის კალთაზე. ფოქვა, ანუ მღვიმე, კლდე-ფერდობზეა. ალ. ქობალია: „ფოქვა — დარანი, მღვიმე, გამოქვაბული“ (ქალაღალი).

**არჩილიშ წყურგილი** – წყარო ლეაბრაღეში, ფერდობზე (ნაგურუ).

**არხა** — მაღალი კლდოვანი გორა. იგივე ნორსელია//ნორცელია (ფახულანი, ქალაღალი, უბადოღალი). არაა გამორიცხული: არხა ახრა. ალ. ქობალია: „არხა — მიუვალი, მიუდგომელი კლდე; მყინვარი, გაყინული თოვლი, რომელზედაც სიარული შეიძლება, არხილი“. ალ. ქობალია თითქმის ასევე განმარტავს ახრა ლექსემასაც.

**ასლაშ ნოხორი** – სახნავი სამარღიოში, ხუფაიის მარცხ. ნაპირას, ტერასზე (პალური).

**ატამ(ბ)ეში** „ატმისი“ – ვაკე-ხეობა ოლორისა და ტებენეს შესართავს შიგნით, ნაშამ-გუს საზღვართან, ლეკუკეში, ყარასა და ნაჯიხურს შუა. გადმოცემით, აქ ატამი ხარობდა და კარგადაც ისხამდა. რესპ.: „რხენი რე, გვალო ტიოზი გეძე, ბრელი ვარე ვარა“ (ფახულანი).

**აფაქიფეშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ეწერში, სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (საჩინო).

**აფთარა//ავთარა//ნააფთარუ** – დავაკება ბორცვზე, ტარჩიის სათავის დას-ით, სამესხიო ეწერში (სამესხიო). მეგრულში აფთარა, ავთარა ეწოდება ქართას, საქონლის დასადგომად შემოღობილ ადგილს. „აფთარა — საქონლის დასაბანაკებელი ადგილი“ (ჭანტურია, 1996, 214). შდრ. აფხაზ.: ააფთარა „მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“. ალ. ქობალია: „აფთარა — მწყემსების საზამთრო სადგომი, ქართა, შემოღობილი საქონლისათვის“.

**აფხაზაშ ნოხორი** – ბორცვი სამიქაოში, ოტოფუესა და ლაჩახვას სათავეებთან. აფხაზა აფხაზავა (გვარსახელია). (ფუქი).

**აქბარღიაში** – ჩაის ფართობი ეწერში, ჯამპონაღალის სათავესთან (საჩინო). აქ(უ)ბარღია გვარსახელია.

**აქბარღიფეშ ლალ(გ)** – მდინარის ზემო წელი. იგივე ლეკერენყარი//ოხარკალუნყარი (ჯვარი).

**აქსენტიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მაღლობზე, სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. აქსენტი მეზონია ჩაის გაშენებასთან დაკავშირებით მეზობლებთან ერთად ჩამოსახლდა ჭანისწყლის დაბალ ფერდობებზე (ჯაღირა).

**აქსენტიშ ტომბა//პავლეშ ტომბა//როსტომ ტომბა** – მორევი ინწირაზე, სოფლის ცენტრში. პავლე მამას ერქვა. აქსენტი მისი შვილია (საჩინო).

**აღმოსავლეთი ჩხოუშია//ჭიჭე ჩხოუშია//მოლენ ჩხოუშია** – მდ. ჩხოუშიის აღმ. მდგენელი. იხ. ჩხოუშია (პ. ეწერი).

**აშთა** – ოკალმახეს მარცხ. შენაკადი (ჭალეს სატყეო) შდრ.: აფხ.: ა-შთა „მინდორი, მოედანი; ეზო, კარმიდამო“. შდრ. ალ. ქობალია: „აშთა – ვრცელი შემოღობილი ადგილი სახლის წინ; ეზოსთან მდებარე ფართო მდელობი“.

**ახალაიაშ ნოხორი** – დავაკება ბორცვზე, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას. გადმოცემით, აქ ესახლა გვარად ახალაია (ჯაღირა).

**ახალშარა** „ახალი გზა“ – ახალგაყვანილი სამანქანო გზა ეწერში (ლია).

**ახალშენი** – ჩაის ფართობი ზეგანზე, სასონგულიოში. პირველად აქ გაუშენებიათ ჩაი და ამიტომ დაურქმევიათ ახალშენი (ობუჯი).

**ახრუშ ნაკარუ** – ჩაის ფართობი ბელერში, ოლებეს გვერდით. აქ ესახლა მესაქონლე ახრუ კვარაცხელია (ლეღვინჯილე).

**ახრუშ ნადიხ(გ)** — სახნავი ბელერსა და კანთს შორის. ეკუთვნოდა ახრუ კვარაცხელიას (ჯგალი).

**ახურუშ ნაკარუ** – საძოვარი და ნასადგომევი ნოლიმერში (სქურის სატყეო). ახურუ პირსახელია.

**ახგკრა** – ფერდობი საგერგედაში, ჩხაპიაღალის მარჯვ. მხარეს (ფახულანი). ახგკრა, **ახკარა**, **ხეკარა** „საქონლის სადგომად შემოკავებული ადგილი“ შემოსულია აფხაზურიდან, სადაც **ახკაარა** ნიშნავს შემოღობილ ადგილს, რომელიც ეზოს აკრავს. რესპ.: „მარგალური საქონელიმ დასაბარგებელ ადგილს აგვარას, ვარა გოჭოფილს ხოლო უწინა“.

– ბ –

**ბაბაუშქური** – ტყე-ხილნარი საქებურიოში, მინაშ ღალის ხეობაში. ბაბაუშქური, ანუ ბამბემ უშქური, ვაშლის სახეობაა ერთგვარი. რესპ.: „ბამბემ უშქური მგკნოდგე აუარებელი, ჩე დო ჭითა უშქური, ცქიმტურცალო ცენდგნ ფერი. ასე ხოლო ბრელი ჩანს სხული დო უშქური, ტყარი დო ნაყონა“ (ჯალირა). აკ. ჭანტურიას განმარტება: **ბამბემი უშქური** — „ბამბის“ ვაშლი, თეთრი, რბილი, ტკბილი; კვეტელეს ზომისა; იჭმევა ივლისსა და აგვისტოში.

**ბაბლონა** – ტყე-ფერდობი მდ. ქალაღალის მარცხ. ნაპირას (ქალაღალი). **ბაბილო** თეთრყურძნიანი ვაზია, მალღარი. რესპ.: „ბაბილო ცურძენი რე, გვალო ამარდგემა ქოჩანდგ ათე ადგილს. ჩეყურზენი რე, ნაყონაჯგურა ტიანეფი უღუ, ჯაშა მეურცუ ეშე-ეშე ადესაცალო“ (ქართ. მტევანი მეგრ. ტევანი ტეანი ტიანი). შდრ. ს.-საბა: „ბაბილო – მაღალი ვენახი; ხის ვენახი, გინა გრძელი ვაზი“. ბაბილოს განმარტება მოცემული აქვთ ნ. და დ. ჩუბინაშვილებსაც. ქეგლ-ი: „**ბაბილო** – ტყის ვაზი, უსურვაზი“. იხ. აგრეთვე ალ. ლლონტის „სიტყვის კონა“. როგორც ჩანს, -ონა სუფიქსს შეუძლია ფუძის შეკვეცაც (ფუძიდან რედუცირებულია ი გ ხმოვანი).

**ბაბუმ ნაკარუ/ჭუკიაშ ნაკარუ** – მინდორი ტყეში, ცხიმურსაბარგოს ქვემოთ. აქ იდგა მწყემსი ჭუკია ფიფია. **ბაბუ** სიბერეში შეარქვეს მეტსახელად (მაგანას სატყეო).

**ბაბუმ ნოხორი** – სახნავი სასონგულიოში, ჭანისწყლის ნაპირას (ობუჯი). ბაბუს („ბაბუა“) ამ შემთხვევაში მეტსახელის ფუნქცია აქვს.

**ბაბუმ წყარი** – წყარო ცხიმურმონწყვილში, ნორსელიას სამხრ-ით. რესპ.: „ბაბუმ წყარი „ბაბუას წყარო“ შინაური სახელია (ე.ი. მეტსახელი) და მხოლოდ ახლო მეზობლებმა იციან“ (ქალაღალი).

**ბაგიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ქალაქის ჩრდ. ნაწილში. რესპ.: „ბაგი კვარაცხელია დღესაც ამ მორევთან ცხოვრობს“ (ნალენჯიხა).

**ბაგიშ წყურგილი** – წყარო საკალანდიოში (ნალენჯიხა).

**ბაგრატიშ ნოხორი** – 1. სახნავი მახასქურის მარცხ. ნაპირას, საარქანიოში, ყველიში-ასთან (მუჟავა); 2. ტყე ლექარდეში. ბაგრატი ქარდავას ნასახლარია (ჯვარის სატყეო).

**ბაგრატიშ ფერდი** – ფერდობი ხუფინას მარჯვ. ნაპირას, სადაც ობუჯ-სამესხოს გზა მისარონზე ადის (ობუჯი).

**ბადაშ ნადიხე** – საკარმიდამოები სოფლის ცენტრში, საავადმყოფოსთან. ბადა მამაკაცის პირსახელია (კუხეში).

**ბადაშ სუკი** – ბორცვი ჩხაპელკის სამხრ.-აღმ. ნაწილში. ამ ბორცვზე ესახლა ბადა აქუბარდია. ამჟამად ტყითაა დაფარული (ენერფერდი).

**ბადაშ ღალ(გ)** – ღელე, რომელიც სათავეს იღებს ბადაშ სუკთან მდებარე ჭანჭრობში და ერთვის ოკიბოიღალს (ენერფერდი).

**ბადუმ წყურგილი** – წყარო ფერდობზე, საცხადაიოს ჩრდ. ნაწილში (ზ. ლია).

**ბათაშ ნაისგრე** – თხმელნარი უსქერაფღალის ხეობაში. ბათა სარიას აქ ჰქონდა ოისგრე, ანუ საისლე (ნალენჯიხა)

**ბათაშ ნალაკადგ** – საშემოდგომო საძოვარი წისქვიღარის სათავესთან. რესპ.: „ლაკადუას უძახგნა დამორჩილს საქონელიმ დიარაფას. ათე დროს ჟი, შუშელს, რგილი ჰავა რე დო ვეგიცადინე“ (სქურის სატყეო). ალ. ქობალია: „**ლაკადა** — ფერდობი, მთიანეთი, კლდოვანი; მთიანი სამეგრელო; ალპურ ზონაზე დაბლა მდებარეობს“.

**ბათაშ ნაოისგრე** „ბათას ნასაისლარი“ – სახნავი ტაფობზე, მეჯოგეფიმ სუკსა და ბათაშ ტყას შუა (ნაკიფუ).

**ბათამ ტყა** – ნატყევეარი შემალღებაზე, მეჯოგეფიმ სუკის დას-ით, ენერში. აქ ბათა კვარაცხელიას შთამომავლები ცხოვრობენ, ტყე კი არ დარჩა (ნაკიფუ).

**ბათამ წყურგილი** – წყარო ბექობზე, ოწყარდეს მარჯვ. ნაპირას, ბათამ ტყას ტერიტორიაზე (ნაკიფუ).

**ბათ(უ)ნამ სუკი** – ბორცვი ტყე-ბუჩქნარით სქურჩის მარჯვ. ნაპირას, ლეჟაში (ნაკიფუ).

**ბათუმ ნადობორე** – საკარმიდამოები ინწერას მარჯვ. ნაპირას, შემალღებაზე. **დობორე** ენოდებოდა თავადისა თუ აზნაურის სახლ-კარს (კუხეში).

**ბათუმ ნობორი** – სახნავი ფერდობზე, ლაკადის ძირას (ლარა).

**ბაკიამ ტობა** – ხევი-ტაფობი ჟინი ხუმათიაში, გუჩარეს ხეობაში. ტობა ოროგრაფიული ნომენიცაა, აღნიშნავს ქვაბისებურად ჩალრმავებულ ადგილს (მუჟავა). შდრ. ო. ქაჯაია: „ტობა, ტომბა, ტონბა – 1. ტბა; 2. ღრმა; ღრმა ადგილი მდინარეში“. ალ ქობალია: „ტობა – ტბა; ღრმა; ადგილი მდინარეში, სადაც მორევი ან ქვაბული“.

**ბაკოიამ ფერდი** – ფერდობი ლებობას ზემო წელის მარცხ. ნაპირას, ოჭანეს სამხრით (ზ. ლია).

**ბაკომ ნაობინეხ(გ)** – ტყე კაკილში, ფერდობზე, სოფლის ჩრდ. ნანილში. ბაკოს აქ ბინეხი, ანუ ვენახი, ჰქონია გაშენებული (ლესალე). **ბინეხი** „ვაზი“ **ობინახე** „ვენახი“ **ნაობინეხე** „ნავენახარი“.

**ბაკომ ნაკარა** – საძოვარი კინჩხალლის მარცხ. მხარეს, ლეცუდესა და ნასორგას შუა (ჯვარის სატყეო. დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე).

**ბაკომ ღალე** – ღელე ლეარდიეში. ერთვის ხურჩას (კუხეში).

**ბაკუ(რ)ამ ღალ(გ)** – ღელე, ნოჟალის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ლებუედან (კუხეში, ნაგურუ).

**ბაკუმ ნობორი** – ჩაის ფართობი საარახამიოსა და სახარჩილოს შუა (ნალენჯიხა).

**ბარბალაში** – ენგურის მარჯვ. შენაკადი ფურაში, ლეგვეშარას ზემო წელი. სათავე აქვს ლახუნნარაში (ხუდონის სატყეო). უწინ იყო ჭალისა და ხუდონის სასოფლო საბჭოების საზღვარი. მდინარეს ჰქონდა 80 მ-მდე სიმაღლის წყალვარდნილი, რომელსაც ენოდებოდა **ბარბალაშიმ წყარგიმალაფუ**. დაფარა ენგურის წყალსატევმა. რესპონდენტებმა ჰიდრონიმის მოტივაციაზე ვერაფერი თქვეს. მაგრამ ეთნოლოგიურ-სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ბარბალობა წმ. ბარბარეს სახელობის დღესასწაულია. აღნიშნებოდა 4 დეკემბერს (ძვ. სტილით). წმ. ბარბალე სულით დაავადებულთა მფარველად ითვლებოდა. ბარბალობის შემდეგ დღე მატულობდა. ამ დღეს დათვი წვება ბუნაგში და გაზაფხულზე იღვიძებს. იხ. ვრცლად: ქობალია, 2010, გვ. 56.

**ბარბალაშ ნაოხვამ(გ)** – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში, მალალ გორაზე (მიქავა).

**ბარბალაშიმ წყარგიმალაფუ** – წყალვარდნილი ბარბალაშზე. იხ ბარბალაში (ხუდონის სატყეო).

**ბარბალეშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, საკალანდიოში. ბარბალე, მკითხავი ქალი, ამ მორევეთან ცხოვრობდა (ნალენჯიხა).

**ბარბალობაშ ცხაცხუ** – ერქვა სარიტუალო ცაცხვის ხეს ჯალირა-ობუჯის საზღვარზე, სადაც აბულაძეები ბარბალობას აღნიშნავდნენ (ობუჯი-ჯალირა). წარმართული ბარბალობა ასტრალური ხასიათის რიტუალია. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (IV ს-ში) იგი შეცვალა აღმოსავლური წმ. დიდმონამე ბარბარეს ხატებამ (იხ. დანვრილებით: ქელ, 2009, გვ. 273; ქობალია, 2010, გვ. 56; ქეგლ, I, გვ. 976).

**ბარდვიში** ( ბარდვი „ბარდი“) – ბუჩქნარი ქვაგნარ ფერდობზე, ენგურის მარჯვ. მხარეს, ქვემო ჭველეში (ჭველე). **ბარდვიში** – ბარდვისა, ბარდნალა. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მეგრ. ბარდვი, ბარდონი ქართ. ბარდის ვარიანტია და ასე განიმარტება: „**ბარდვი, ბარდონი** – , , “. ო. ქაჯაია: „**ბარდვი** იგივეა, რაც ბარდი“, ხოლო ბარდონი//ბარდონა არის „ბარდნარი, ბარდით დაფარული ადგილი“; ალ. ქობალია: „**ბარდვი** – ბარდნარი“ (ე.ი. ბუჩქი, ბუჩქნარი).

**ბარდღუში** „ბარდღუსი“ – ტყე-ფერდობი ესქედას კალთაზე, ნორსელიას გვერდით (ფახულანი). ბარდღუ პირსახელია. -ში სუფიქსი კუთვნილებას გამოხატავს (ჩვეულებრივ, ნანათესაობითარი მსაზღვრელია).

**ბარდღუშ ნერა** – უბე-საბანაო. იგივე ნერა (ჭალე).

**ბარდღუშ ომუნჩქვონი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით სასარიოში. ამ ტყეში, რომელიც ეკუთვნოდა ბარდღუ სარიას, ბევრი მუნჩქვი ბინადრობდა. **მუნჩქვი** „მაჩვი“ **ომუნჩქვე** „სამაჩვე“ **ომუნჩქვონი** (ორმაგი აფიქსაცია). (ნალენჯიხა).

**ბარცხანა//ბარცხონა** – ტყე-ბუჩქნარი ობუჯის საზღვართან, სახარჩილოსა და ყოფილ ნალენჯიხის ჩაის მეურნეობას შუა (ნალენჯიხა). **ბარცხი** მარადმწვანე ბუჩქოვანი მცენარეა, წითელ კენკრას იხამს, ეკლით დაბოლოებული ფოთლები აქვს, იხმარება ცოცხად, ბუხრის ან ქვევრის საწმენდად. იგივე ბაძგი, თაგვისარა. ამ ტყიდან გაედინება ორი ბარცხონალაღი. იხ. კუნტა ბარცხონა, გგრძე ბარცხონა. ო. ქაჯაია: „**ბარცხი** – თაგვისარა; ეკლიანი ბარდი“. „**ბარცხონი** – ბაძგნარი“; ალ. ქობალია: „**ბარცხი, ბარცხინია** – ჯაგი, ეკლიანი ჩირგვი იგივეა, რაც ბაძგი“. „**ბარცხონა** – ჯაგნარი, ეკლიანი ბუჩქნარი“.

**ბარცხვანღალ(გ)//ფარცხვანღალ(გ)** – ღელე-ხეობა, ტებენეს მარჯვ. შენაკადი. ტყითაა დაფარული (ნაშამგუ).

**ბარცხონა** – ტყე-ხევი. იგივე ბარცხანა (ნალენჯიხა).

**ბარცხონ(ა)ღალ(გ)** – ენოდება ორ ღელეს, რომლებიც იწყება ბარცხონაში (ნალენჯიხა) და ერთვიან სქურდილას მარჯვ. მხრიდან (ობუჯი). იხ.: გგრძე ბარცხონი, კუნტა ბარცხონი.

**ბარხა** – გორა, ტყე-საძოვრები მოროჟას ზემო წელის მარჯვ. ნაპირას, ლეჩაფულესა და მოროჟას ხეობას შუა (ჯვარის სატყეო). სიტყვას მეგრულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ღობის გასამაგრებელი გვერდითი ბიჯი, იგივე მიონთხაფუ. სჭირდება როგორც ხარხამ ღობეს, ისე ჭინუშ ღობესაც; 2. ორი მესერი, ერთმანეთის პირისპირ დასობილი, რომლებშიც ლაგდება **ხარხი** – ნაპობი ან მრგვალი ძელი. ამგვარად გაკეთებულ ღობეს ეწოდება ხარხამ ღობერი, ხოლო ორი მესერი ერთმანეთთან გადაბმულია ქართხანით – წნელის რგოლით. რესპ.: „ბარხას კლდეებზე ხშირად ისმოდა ქვების ცვენის ხმა, ანუ ბარხალი. ამიტომაც დარქმევია ბარხა“. რესპ.: „ჟი ბარხას გინუჟორდით არძა ართო. ლაკადას ექი-ექი ოხორანდეს. დობერა უმოსო დაბალი რე“. მეგრულის ლექსიკონებში ლექსემა **ბარხა** არაა დაფიქსირებული, ხოლო მეგრული ბარხალი ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას განმარტებით, ნიშნავს ბრახუნს, ბრავგანს, ჩხრიალს... ჟურნალისტი ზ. ფიფია ვარაუდობს: „აღნიშნული შემადღების ფერდობიდან ხშირად ისმის ქვათაცვენის ხმა. ამიტომ დარქმევია **ბარხა** ( ბარხალი ?). ა. ჭკადუა ტოპონიმ ბარხასთან დაკავშირებით ასახელებს სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებას **ბარხამ**-ი (სათიბი სოფ. კიჩხულდაში).

**ბარხამ ღალ(გ)** – ღელე. ასახელებს აკ. ჭანტურია (ჭანტურია, 1989).

**ბასამ გაკებული** – ბუჩქნარი კარელაღის მარჯვ. ნაპირას. **გაკებული** „შემოკავებული, შემოღობილი“. ბასა პირსახელია (ლექარჩე).

**ბასამ რხენი//ნაზავოდ(გ)** – წყლისპირა ვაკე ჩვინარეში, ოლორის ნაპირას. რესპ.: „ხის სახერხი ქარხანა იდგა 1926 წლამდე და ნაზავოდიც ამიტომ ეწოდა“ (მუჟავა).

**ბასილია** – საბალახო ფერდობები კილის სათავესთან (წყოუში, ფახულანი).

**ბატამ ტო(მ)ბა** – წყალტრიალა მორევი ხურჩაზე, ლეარდიეში, კლდის ძირას (კუხეში).

**ბატჟულამ ნოხორი** – მინდორი გერგვანიასა და ზღვას შუა (ნალენჯიხა). ბატა, ბატულა პირსახელებია.

**ბალრამ მინდორი** – ჩაის ფართობი ყოფილ საბურთაო მინდორზე, ჟიმოლენ სამეცხიოში. ბალრა პირსახელია (სამეცხიო).

**ბალურიაშ წყურგილი** – წყარო. იგივე ბალგრიაშ წყურგილი (ჯაღირა).

**ბალგრიაშ ნოხორი** – ბუჩქნარი სქურჩას მარჯვ. ნაპირას, ლეჯოლიხეშ სუკის კალთაზე (ლელვინჯილე, ლეჯოლიხე). ბალგრია მამაკაცის პირსახელია.

**ბაღერიაშ წყურგილი//ბაღურიაშ წყურგილი** – წყარო ნამალანში. რესპ.: „ამბობენ, რომ ბაღერია კაცს ერქვა. მეტი არაფერი ვიცი“ (ჯალირა).

**ბაჩაშ წყურგილი** – წყარო მიქავას სას. საბჭოში. ასახელებს და ასე განმარტავს თ. მიბჩუანი: „ბაჩა — სვანურად ქვას ჰქვია. მაშასადამე, ბაჩაშ წყურგილი იგივეა, რაც ქვიანეთის წყარო, ან უბრალოდ ქვის წყარო, ე.ი. ქვიდან გამომდინარე“ (მიბჩუანი, 1989, 252). რა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაში **ბაჩა** პირსახელია.

**ბაჩუაშ ნაყვანგ** „ბაჩუას ნაყანევი“ – სახნავი საქობალიოში. ბაჩუა კანკიას აქ მუხნარი გაუკაფავს და სასიმინდედ გადაუქცევია (ლია).

**ბაჩუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საარახამიოს ჩრდ. ნაწილში (ნალენჯიხა).

**ბაციაშ ჩაი** – ჩაის ფართობი სოფლის აღმ. ნაწილში, ენერში, ბაცია ქარდავას (ქვრივი ქალის), სახლის გვერდით (ლია).

**ბაძუშ წყურგილი** – წყარო ნასარკინში, ბაძუ აბლაძის სახლის წინ (ნაკიფუ).

**ბახვაშ ნადიხ(გ)** – სახნავი ატამეშში, ოლორის მარჯვ. ნაპირას. ამუშავებდა ბახვა გერგედავა (ფახულანი).

**ბახვაშ ნაყვანუ** – სახნავი ზედა ლეჟაში, ნაყუდუს გვერდით (ნაკიფუ).

**ბახვაშ ნოხორი** – ნასახლარი ლეხვიჩიში (ნაგურუ).

**ბახუიაშ ტყა** – ტყე. იგივე ცაცუნიაშ ტყა (ნაკიფუ).

**ბახუიაშ წყურგილი** – წყარო საჩანგელიოს უბანში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირის ფერდობზე. ბახუია ჩანგელია ამ წყაროსთან ესახლა (ჯგალი).

**ბახულია(ში)//ბახულიაშ ნოხორი** – სახნავი საშელიოში (საჩინო). ბახულია პირსახელია.

**ბახულიაშ ნოხორი** – სახნავი. იგივე ბახულია(ში) (საჩინო).

**ბახუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ბორცვზე, ენნერში (ნაგურუ).

**ბახუშ რზენი** – ვაკე ოლორის მარცხ. ნაპირას, სოფლის ცენტრში (მუჟავა).

**ბახუშ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, ნახუბუსთან (ჯალირა).

**ბახუშ ტომბა//ბეგიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ბონდის ხიდთან, ქალაქის სამხრ. ნაწილში. მამა-შვილი ბახუ და ბეგი გვაჯავები აქვე ესახლნენ (ნალენჯიხა).

**ბაჯგვიაშ ნაბარგვ** „სადაც ბაჯგვია იბარგებდა“ – საძოვარი წყავამ-ხობისწყლის გზაზე, მაგანის მარცხ. მხარეს, თორსას გვერდით. **დობარგუა** – ბარიდან მთაში მიმავალი მწყემსებისა და ნახირის დაბანაკება შესასვენებლად არჩეულ ადგილას (სქურის სატყეო).

**ბებელამიკოლ(გ)** – კლდე, ბილიკი ლანჯიშში (ფახულანი). **ბებელა** „ცუდი, მოუხერხებელი; სახიფათო, ბინძური“. ბებელა პირსახელიცაა. **მიკოლგ** „გასასვლელი (კლდეზე, ფერდობზე)“.

**ბებუშ წყარი** – წყარო სოფლის ცენტრში. ბებე მამაკაცს ერქვა (წყოუში).

**ბებუთუშ ფოქვა** – მღვიმე-გამოქვაბული დიდ ეკოხონში. აქ იმალებოდა აბრაგი ბებუთუ ფიფია (ჭალეს სატყეო).

**ბეგიშ ნაისგრი** – ტყე ფერდობზე, უბან ლესალეს ჩრდ. ნაწილში (ლესალე).

**ბეგიშ ნაკარ(გ)** – საძოვარი ბოგაშზე, ოისგრეს გვერდით. მეჯოგე ბეგი ფიფიას აქ ჰქონდა კარე – მწყემსის სადგომი (მედანი).

**ბეგიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლექურსუეში, ოხოჯურს ზემოთ. რესპ.: „აქ ესახლა ბეგი ჭანტურია და უცოლშვილოდ გადაეგო“ (ჩქვალერი).

**ბეგიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლექურსუეში, ოხოჯურს ზემოთ (ჩქვალერი).

**ბეგიშ ტომბა** – მორევი. იგივე ბახუშ ტომბა (ნალენჯიხა).

**ბეგიშ ღალ(გ)** – ღელე-ხევი ჟინ სამესხიოში, ლეარსანეს მარცხ. ნაპირას (სამესხიო).

**ბეგიშ წყურგილი** – 1. წყარო ბელერის მარჯვ. მხარეს, ბეგიშ ოჩაიესთან. წყარო გაიყვანეს სოფ. ჯგალში (ლეთკანთი); 2. წყარო ბოგაშში, ბეგიშ ნაკართან (მედანი).

**ბეგოშ წყურგილი** – წყარო ლეჩანგელეში, გზისპირას (ჯგალი).

**ბედიანაშენი//ბედიანაჩემი//დვირიშ საკარა** – ტყე-საძოვარი ყვირას კალთაზე, კინჩხას სათავესთან. შაყის სამხრ. გაგრძელებაა (ჯვარის სატყეო). ბედია პირსახელია. იხ. ნაშენი. მეორე ვარიანტი ნიშნავს: „(ადგილი), სადაც ბედია საქონელს მარილს აჭმევდა“. **ჩამა**



„ჭმევა, კვება“ ნაჩემი „რასაც ან ვისაც აჭამეს“. ალ. ქობალია: „ბედინაშენი — ნახატარის ტყე; ადგილი სადაც უნინ ხატის ტყე ყოფილა გაშენებული“.

**ბედინაშენიშ წყურგილი** – წყარო ბედინაშენში (ჯვარის სატყეო).

**ბედინაჩემი** – ტყე-საძოვარი. იგივე ბედინაშენი (ჯვარის სატყეო).

**ბედიამ წყურგილი** – წყარო ლემორგომიში, ხურჩას ხეობაში. ბედია ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირსახელია (ნაგურუ).

**ბეკუიამ ნამალაზ(გ)** – ბუჩქნარი ნამარანთან. ბეკუს აქ ჰქონია მალაზა „სასიმინდე“ (ჯალირა).

**ბეკუშ ნადოხორე** – თხმელნარი. იგივე ბეკუშ ნაყუდუ (ლარა).

**ბეკუშ ნაკარუ** – საძოვარი ფარს ქვემოთ, ლეჭამაკას მარჯვ. მხარეს (ლარა).

**ბეკუშ ნაყუდუ/ბეკუშ ნადოხორე** – თხმელნარი ფარს ქვემოთ, ბეკუშ ნაკართან (ლარა).

**ბეკუშ ნოხორი** – 1. სახნავი ლაჩახვისპირა ფერდობზე, სალუკასა და სამიქაოს შუა (ფუქი); 2. ბუჩქნარი. იხ. ნოხორეი (მაგანის სატყეო).

**ბელერი** – ფართო, ტყიანი ვაკე-ხეობა, სადაც გაედინება ბელერწყარი (ლეთკანთი, ლელვინჯილე). ალ. ქობალია: „ბელერი – ნაბელი, ნაკაფი (ახო)“.

**ბელერიშ ლალ(გ)** – ღელე. იგივე ბელერწყარი (ლელვინჯილე, ლეთკანთი).

**ბელერწყარი/ბელერიშ ლალ(გ)** – ღელე, სქურჩას მარჯვ. შენაკადი ლელვინჯილეში. გაივლის ლეთოფურეს, ქმნის საზღვარს მუხურთან (ლეთკანთი, ლელვინჯილე).

**ბელქანიაშ ნოხორე** – სახნავი. იგივე ქვაცაიაშ ნოხორე (ლესალე).

**ბეჟაშ ნოხორი** – საბალახო უჩაღალის ნაპირას (ნაგურუ).

**ბეჟაშ ლალ(გ)** – ღელე. ლეფიფიეს უბნიდან მიემართება ჩხორიასაკენ (პ. ენერი, ჩხო-რია). არქეოლოგ აკ. ჭანტურიას 1925 წელს ბეჟაშ ლალე დაუფიქსირებია როგორც „ბეჟაშ ღელე“.

**ბერიშ გინაცვილა** „სადაც ბერი მოკლეს“ – გზისპირი კილის ნაპირას, ღვაშგვერდის (გალის რ.) საზღვართან, კელის მარჯვ. ნაპირის ბორცვზე. ბერი სოფელ-სოფელ დადიოდა თურმე და აქ მოუკლავთ (წყოუში).

**ბერ(იშ)ქუდი** „ბერის ქუდი“ – მთის წვერი ენგურის მარჯვ. მხარეს, სვანეთის საზღვართან. შორიდან ბერის ქუდივით ასვეტილი მოჩანს (რესპ.: „ოციკინანს ბერიშ ქუდიცალო“), მამასადაამე, ტოპონიმი (ორონიმი) მეტაფორულია (ხუდონის სატყეო). ზოგიერთ რუკაზე აღნიშნულია როგორც „ბერიშ კუდში“ (?).

**ბერნოხორი** „ბერის ნასახლარი“ – დაბალი სერი ნკვიბლალსა და გაკებულღალს შუა. გადმოცემით, აქ ბერი ესახლა (ლელვინჯილე).

**ბერსქუაშ ნოხორი** – მინდორი ბირგულამისა და კვარჩხიღალის წყალგამყოფზე. გვარად ბერიშვილის ნასახლარია (ნაკიფუ).

**ბერქუდი** „ბერის ქუდი“ — მთის წვერი. იხ. ბერ(იშ) ქუდი (ხუდონის სატყეო).

**ბერძემიაშ ნაშქვიდ(უ)/ბერძენიაშ ნაშქვიდ(უ)** „სადაც ბერძემია (ბერძენია) დაიხრჩო“ – მორევი ჭანისწყალზე, მაღალი კლდის ძირში. გადმოცემა: აქ ვილაც ბერძენი დამხრჩვალა. ვინ იყო, არ იციან (ჯალირა).

**ბერძენიაშ ნაშქვიდ(უ)** – მორევი. იგივე ბერძემიაშ ნაშქვიდ(უ). (ჯალირა).

**ბესოშ ოცხიმურონი** – რცხილნარი სოფლის ცენტრის სამხრ-ით, გზისპირას. რესპ.: „ბესო ამჟამადაც ამ რცხილნართან სახლობს“ (პ. ენერი).

**ბექელაშ ნოხორი** – სახნავი ლეციმინტიეში. რესპ.: „ბექელა პირსახელია. ძველები იტყვიან, თორემ ახლებს მამის სახელიც არ ახსოვთ“ (პ. ენერი).

**ბეჩა** „მღვიმე, გამოქვაბული“ – 1. მღვიმეებიანი კლდე ენგურის მარჯვ. ნაპირას, საავტომობილო ხიდიდან 0,5 კმ-ზე (ჭალე); 2. წყალქვეშა მღვიმე-დარანი, თევზის საბუღარი კინესქურზე, მაღალი კლდის ძირას (ჯალირა); 3. ჩელალის შენაკადი. გამოედინება ღრმა გამოქვაბულიდან ლაკადას ძირას, კანთში (ლეთკანთი) და სხვ. შდრ.: ბეჩა, ბეჩო (იმერ., ლეჩხ.) „ღრუ მდინარეში, სადაც ბუდობს თევზი და კიბო; ჯილე“. სიტყვა გვხვდება სვა-

ნურშიც. ო. ქაჯაია: „**ბეჩა** – ბეჩო; გამოქვაბული; ღრუ მდინარეში, სადაც ბუდობს თევზი“. ალ. ქობალია: „**ბეჩა** — ბეჩო, მღვიმე, ბუნაგი, ძვირფასი, სანატრელი“. შდრ.: **დადბეჩა**.

**ბეჩა//ფოქვა** – მღვიმე ძანძელის ხეობაში (ლესალე). ბეჩას, ბეჩოსა და ფოქვას თანხვედრი მნიშვნელობა აქვთ: „გამოქვაბული, მღვიმე; შეღრმავება კლდის ძირას“.

**ბეჩაშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ბეჩაში, ჯიხაშკარის საზღვართან (ობუჯი).

**ბეჩუნა//ბეჩ(უ)ნაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მაღლობზე, ჯალრალალის მარჯვ. მხარეს, სადაც უნინ ბეჩუნა მეზონიას უცხოვრია (ჯალირა).

**ბეჩუნაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი. იგივე ბეჩუნა (ჯალირა).

**ბეჩუშ ნანისქვილ(გ)** – თხმელნარი ფუსქურის ნაპირას (ლეკაკულე).

**ბეჩუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ჟინ სამეხსიოში. რესპ.: „აქ ესახლა ჭის მთხრელი ბეჩუ მესხია“ (სამეხსიო).

**ბეცეში** „ვარცლისი“ ( ბეცე „ხის გეჯა, ვარცლი“) – მცირე ტბა და ტყე ონტყოლსა და ოჭაკეს შუა, მთის კალთაზე (ჭალეს სატყეო). ეს ტბა მოყვანილობით ვარცლს ჰგავს. მაშასადამე, ჰიდრონიმი წარმოქმნილია მიმსგავსების (მეტაფორიზაციის) საფუძველზე, ხოლო შემდეგ სახელწოდება გადასულა მეზობელ ობიექტზე – ტყეზე. ამას ეწოდება მეტონიმია.

**ბეხუშ გოჭოფილი** – სახნავი ონნიშის ფერდობზე. უნინ ტყე ყოფილა და ბეხუ ფიფიას ისე ჰქონია შემოლობილ-შემორაგული, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა (მუჟავა). ალ. ქობალია: „**გოჭოფუა** — შემოკავება, შემოლობვა...“ **„გოჭოფილი** — შეკრული, შეპყრობილი, ტაბუდადებული, აღკვეთილი...“

**ბეხუშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ლაჩახვაზე (ფუქი).

**ბეხუშ ნყურგილი** – ნყარო, გუჩარას სათავე (მუჟავა).

**ბზაკალგეშალ(გ)** „ბზანარის გასასვლელი“ – გადასასვლელი ბარხადან უნნამდე, ბზაკალონთან. ვარ.: ბზაკალმინოლ(გ) „ბზანარის შესასვლელი“ (ჯვარის სატყეო).

**ბზაკალმინოლ(გ)** – გზის მონაკვეთი. იგივე ბზაკალგეშალ(გ) (ჯვარის სატყეო).

**ბზაკალონა** „ბზანარი“ ( ბზაკალი „ბზა“) – 1. ტყე მოროჟა-მაგანას ნყალგამყოფზე (ჯვარის სატყეო); 2. ტყე-ხეობა ღურჯიასთან. ამჟამად აქ თხმელნარ-რცხილნარია, ხოლო ბზა ახლომახლო არ ჩანს (ნაშამგუ) და სხვ. მრ.

**ბზაკალონი** – 1. ბზანარი ოლორის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე, ოგურგინჯის სამხრით (ფახულანი); 2. ბზანარი ოლორის მარჯვ. ნაპირსა და ჭიჭე ეხელეს შუა.

**ბზაკალონიშ ინჭა** – კარსტული ჭა. იგივე ინჭა (ფახულანი).

**ბზაკალონიშ ლალ(გ)** – ღელე ლეთოფურეს აღმ. ნაწილში. ბზანარი ამ ღელის სათავესთანაა (ლეთკანთი).

**ბიბუშ ნადიხ(გ)** – ბორცვი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ჯგალი).

**ბიდაშ ოჩაიე** – ნატყევეარი. ჩაის ფართობი. იგივე ბიდაშ ტყა (ლია).

**ბიდაშ ტყა//ბიდაშ ოჩაიე** – ერქვა ტყეს გაძღარას აღმ. ნაწილში. რესპ.: „მწყემს ბიდა სამუშიას ამ ტყეში საქონელი ეყენა და კარეც ჰქონდა. შემდეგ კი სულაც აქ დასახლდა. ბოლოს კი ამ ნატყევეარზე ჩაი გააშენეს“ (ლია).

**ბირგულამი** „მუხლიანი“ – ღელე, ორწყანდის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს შინტომ ბულონთან (ნაკიფუ, ულურია). რესპ.: „ბირგულამი ნიშნავს ფეხმარდს, სწრაფს, გამძლეს, მარჯვეს (კაცს, ცხენს, ძაღლს...)“, მაგრამ ამ მდინარის წყალი სწრაფი დინებით არ გამოირჩევა). შდრ. ალ. ქობალია: „**ბირგულამი** – მუხლადი, ძლიერი“. უფრო სრულია ო. ქაჯაიას განმარტება: „**ბირგულამი** – მუხლიანი, მუხლის მქონე; გამძლე; მაგრად სირბილის შემძლე“.

**ბიტაიამ ნოხორე//ივანეშ ნოხორი** – სახნავი, ვენახი, ბორცვი ნაკარუზე, ლეკვარაცხელეში. აქ ესახლნენ მამა-შვილი ბიტაია და ივანე ღვინჯილიები (ფუქი).

**ბიტუშ ნაცუდ(უ)** – ჩაის ფართობი კუჭუხურაზე (ლარა).

**ბიქვიამ ნოხორი** – ნასახლარი ჩხაპელკის აღმ-ით, სააქუბარდიოში. ბიქვია გოგილა-ვა აქ ესახლა და მისი ნასახლარის ერთი ნაწილი ახალმოსახლემ დაიკავა (ენერფერდი).

**ბიქვიაშ ნყურგილი** – ნყარო სააქუბარდიოში. ბიქვია გოგილავა ამ ნყაროს ნყალს იყენებდა (ენერფერდი).

**ბიქტორიშ თხინა//ყარამანიშ თხინა** – ბუჩქნარი სამესხიო ენწერის აღმ. კალთაზე. ბიქტორ და ყარამან მესხიები ძმები იყვნენ (სამესხიო).

**ბიჭ(ი)კომ ნოხორი** – ნასახლარი ლემალაზონიეში (კუხეში).

**ბიჭკვია** – ტყე-ნასახლარები. იგივე ბიჭუკია (მაგანის სატყეო).

**ბიჭკომ ნყურგილი** – ნყარო ბორცვზე, ლეჯღანჯღეში (ნაგურუ).

**ბიჭუკია//ბიჭკვია** – ტყე-ნასახლარები ოხვამეგასა და ცალრას შუა, ლეფიეს ჩრდ-ით (მაგანას სატყეო).

**ბიჯგვიაშ სუკი** – გორა სოფლის ჩრდ. ნანილში, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. ბიჯგვია ფიფიას, მეჯოგეს, ამ გორაზე ჰქონდა სადგომი (მედანი).

**ბიჯგვიაშ ნყურგილი** – ნყარო ლებოხას მარცხ. ნაპირას. მთელ ენწერში ეს ნყაროა ერთადერთი, რომელიც ზაფხულობით არ შრება და ნყლის მსურველთა რიგი იმართება (ზ. ლია).

**ბოგაში** – 1. მთა-საძოვარი ჭანისწყალსა და ხურჩას ზემოთს შუა, ოდიშის ვაკისა და მთიანი ზონის საზღვარზე (ლარა, მედანი); 2. ტყე-ფერდობები სოფლის სამხრ. ნანილში (ნაშამგუ). რესპ.: „**ბოგა**, ბოგირი; მრგვალი მორი, ხიდად გადებული; ტალახიან გზაზე დაყრილი ჭოკები“. ი. ყიფშიძე **ბოგა**-სთან დაკავშირებით მოიხმობს აღ. ცაგარელის განმარტებას: „**ბოგა**, **ბოგილი** – ... “. აქვე ი. ყიფშიძე გამოთქვამს თავის მოსაზრებას: მეგრ. ბოგა სემასიოლოგიურად უტოლდება ქართ. ბაგას. აღ. ქობალია: „**ბოგა** – ხიდი, ბოგირი, ბოგურა, ბოსელი, ხის იატაკიანი სადგომი პირუტყვისათვის...“ ბოგა, ბოგირი ზანიზმია ქართულში (მ. ჩუხუა).

**ბოგილი** „ბოგირი, ძელხიდი“ – ნაგზაური ოტოფუეს ნაპირას, სადაც ციცაბოზე გასასვლელად მორებისაგან კიბეები იყო გაკეთებული (მაზანდარა). **ბოგა** არის ძელი, ხევზე ან მდინარეზე საცალფეხო ხიდად გადებული. ამგვარი ხიდის გადებას (ბოგირის აგებასაც) **გობოგუა** ეწოდება. ამ ზმნის წარსულდროიანი მიმღეობაა **გობოგილი**. ესაა ტალახზე ფეხით მოსიარულეთათვის ერთმანეთზე მიჯრით გარდიგარდმო ჩანყობილი მრგვალი ხეებიც. ბოგილი შეიძლება იყოს საურმე ხიდიც: მდინარის ნაპირების შემაერთებელ ძელებზე გარდიგარდმო (სიგანეზე) მიჯრით დალაგებულია მრგვალი ხეები და ზედ მინაა დაყრილი. შდრ. გოჭკადილი: ძირითადად სამანქანე ხიდი – სიგრძივ გადებული ძელები, რომლებზეც დაჭედებულია სქელი ფიცრები. აღ. ქობალია: „**გობოგუა** – გახიდვა, გადახიდვა **გობოგილი** – გადახიდული; **ბოგილი**, **ბოგირი** – ხის ვინრო ხიდი, მინაყრილი, გადახიდული“.

**ბოლქვაძემ ფერდი** – ფერდობი ნამალანში (ჯაღირა).

**ბონდომ ნოხორი** – მინდორი და ბუჩქნარი ლანჯიშში, ტებენეს მარჯვ. ნაპირას (ფახულანი).

**ბორბოლი** – სერი, გადაბმული ბორცვები ინწირას მარჯვ. მხარეს, სკურეფიას ხეობიდან სამხრ-ით (საჩინო, მაზანდარა). შდრ: აღ. ქობალია: „**ბორბოლი** – დანთქმული, ჩავარდნილი ადგილი; ე.წ. პარტახი მამული“.

**ბოური** – ფერდობები ხევებითა და ხეობებით უჩალალის მარჯვ. მხარეს, ჯვარზენის საზღვარზე (ლემამუგე).

**ბოშანე(ლ)ი//დოშაყე** – ბორცვი ლეღვინჯილეში, გაკებულღალის მარჯვ. მხარეს, ნაკარუს ჩრდ.-დას-ით (ლეღვინჯილე). „**დოშაყე**, **დოშაყე** – ... მრგვალი, გაუთლელი ხე ან გაშალაშინებული მორი, რომელთაც იატაკად აგებდნენ სადგომებში“ (აღ. ქობალია).

**ბოშილიაშ ნოხორე** – ტყე-ბუჩქნარი ლეფიფიეში, ნარსსა და ჩამურს შუა. ბოშილია მამაკაცის სახელია (კუხეში).

**ბოჩიაშ ნოყუნნი** – აკაციის ტყე ენგურისპირა ფერდობზე, ჩონოს ზემოთ. გადმოცემით, ბოჩია ქარდავას აქ ჰქონია ყანა (ფოცხოენერი).

**ბოჭკალა(ღ)** „ორტოტა ლელე“ – გენძელალის მარჯვ. შენაკადი. ორი ლელე მიედინება პარალელურად, ბოლოს ერთდება და უერთდება გენძელალს (საჩინო). შდრ.: გურ.: ბოჭი-

კო „თავტოტიანი ბოძი“. ო. ქაჯაია: „**ბოჭკა** – ორკაპი“. ალ. ქობალია: „**ბოჭკა** – ორკაპა, ბორჯღალა სარი; ღომის ჯიშისა“.

**ბოხუ** – მთა-ჭიუხები ოხაჩქუეს მასივში, ოჭაკეს დას-ით, აქვეა ბოხუმ გინოლ(გ) „ბო-ხუს გადასასვლელი“, რომლითაც ოჭაკედან გადადიან ოკალმახეს ხეობაში (ჭალეს სატყეო). **ბოხუ** მეგრულის ლექსიკონებში არ ჩანს, ხოლო ბოხო, ალ. ქობალიას განმარტებით, არის „დიდი, ბუხუნა“.

**ბოხუამ კარე//ბოხუამ ნაკარ(უ)** – საძოვარი სქურში, სადაც იდგა მწყემსი, გვარად ბოხუა (სქურის სატყეო).

**ბოხუამ ნაკარ(უ)** – საძოვარი. იგივე ბოხუამ კარე (სქურის სატყეო).

**ბოხუმ გინოლ(გ)** – გზა-გადასასვლელი. იხ. ბოხუ (ჭალეს სატყეო).

**ბჟენყარი//ფაფატიამ წყურგილი//ფაფალამ წყარი** – წყარო უჩალალის მარცხ. მხარეს, ფაფატიამ ფერდობზე. ფაფატიამ წყურგილიც ამიტომ დარქმევია. ფაფალამ წყარი გვიანდელი ვარიანტია: ამ სოფლის მცხოვრები ქალი ფაფალა შელია მხოლოდ ბჟენყარის წყალს სვამდა, თანაც სპეციალისტები ჩამოიყვანა და ანალიზი გააკეთებინა. ამიტომაც ფაფატიამ წყურგილიც დარქმევია. ბჟენყარი „მჟავე წყალი“ (ქართ. მჟავე : მეგრ. ბჟე) ვე-ძაწყალია და სამეგრელოში აღნიშნავს სამკურნალო მინერალურ წყალს. ამიტომაც დასა-ლევად ეტანებინა. ბჟენყარი ნახშირჟანგა მინერალური წყალია, აქვს სამკურნალო თვისე-ბები (პალური). ალ. ქობალია: „**ბჟენყარი** — მჟავე წყალი, ვეძა“.

**ბულათიამ ნანისქვილგ** „ბულათიას ნანისქვილარი“ – ნანისქვილარი სქურდილაზე, საფიფიოში. აუგია მჭედელ ბულათია ფიფიას – უტუ მიქავას თანამებრძოლს (ობუჯი).

**ბულათიამ სუკი** – ბორცვი სოფლის სამხრ. ნაწილში, ლექანთარეს (ჯვარი) სიახლო-ვეს. აქ ესახლა ბულათია ქანთარია. აქვეა ბულათიამ წყურგილი (ჩქვალერი).

**ბულათიამ წყურგილი** – წყარო. იხ. ბულათიამ სუკი (ჩქვალერი).

**ბულგა** „ბლის სერი“ – მაღალი სერი ტყე-საძოვრებით ტებენეს სათავესა და ოლორს შუა. რესპ.: „ბალნარი გასული საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი“. იხ. გა (ნაშამგუ).

**ბულიაში** – ტყე-ფერდობები უბადოლალში, ესქედას ჩრდ. გაგრძელებაზე, სახასაიომდე (ფახულანი). რესპ.: „უწინ ბულიები სახლებულან. ისინი აქ ახლაც მოდიან მოსალოცავად“.

**ბულიში** „ბლისა“ – ტყე-ფერდობი ლეკუკეში (ფახულანი). ბული აღნიშნავს ბალსაც (ხეხილსა და ნაყოფს) და არყის ხესაც (იგივე გვალამ ბული) (შდრ. რუს. береза), შდრ. გურ.: მთის ბალი. ბულიში ეწოდება ბლის ხის კანსაც, რომლისგანაც ქვევრის სარცხს აკეთებენ.

**ბულიში ხინჯი** „ბლის ხიდი“ – ლელე, ხევი საგუჩუოს ქვემოთ (ფახულანი).

**ბულონი** „ბალნარი“ – ტყე-ხევი ფაშტახირში (ხუდონის სატყეო).

**ბულ(რ)ზენი** „ბლის ვაკე“ – მინდორი ნოლიმერის ხეობაში (სქურის სატყეო).

**ბულშვან(დი)//ბულშონი** – ტყე-ფერდობები ტებენეს მარჯვ. მხარეს, ლეგერდეში (ფახულანი).

**ბულშვანდიმ ოჩხარჩხალაია** – წყარო ბულშვანდის ფერდობზე, ჭიჭე ტებენეს მარჯვ. ნაპირას. კლდეზე ამოჭრილ ღარს ჩამოჰყვება ამ წყაროს წყალი. ბოლოს კი ხის ღარ-რი უდგას და სწორედ იქიდან ჩამოჩხრიალებს წყალი რამდენიმე მეტრი სიმაღლიდან. **ოჩ-ხარჩხალაია** – ჩხრიალა, წყლის ჩხრიალის ადგილი (ფახულანი).

**ბულშონი** – ტყე-ფერდობი. იგივე ბულშვან(დი) (ფახულანი).

**ბურდლუიამ ნოხორეი** – ტყე ბაკუამ ღალის სათავესთან (კუხეში).

**ბურდლუმ ნოხორი** – ტყე ლეცინდეში, საცდელთან (ნაკიფუ).

**ბურდლუმ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ლეფიფიეში (კუხეში).

**ბურეხონა** – ტყე-ფერდობები ხურჩას სათავესთან, სადაც იზრდება ბურეხი, გარეუ-ლი ვაზი, ხვიარა და უნაყოფო (ნაგურუ). შდრ. ი. ყიფშიძე: „**ბურეხი** – უსურვაზი; გარეული ვენახი“: ა. მაყაშვილიც ბურეხს უსურვაზის მეგრ. სემანტიკურ ვარიანტად თვლის. აკ. ჭან-ტურია: „**ბურეხი** – უნაყოფო ვაზი“; ალ. ქობალია: „**ბურეხი** – უსურვაზი; ღვლერჭი“.

**ბურღეფი** ( ბურღი „ბურა“) – ვაკე, უბანი ინწირას მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენ-ტრში (კუხეში). ალ. ქობალია: „**ბურღა** – ბურა; ხვიარა თეთრყვავილა მცენარეა (იზრდება

ჭაობიან ადგილებში); ერთგვარი ფხვიერი ნიადაგი“; „ბურღი ბუერაა, ე.ი. მრავალწლოვანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. გავრცელებულია ტენიან ადგილებში“ (იხ. ქეგლ, ტ. I). ი. ყიფშიძე: „**ბურღი** – ტყის მრავალფოთლიანი მცენარე“; ნ. მარი: „ლაზ. **ბურღი** – ხშირფოთლიანი ტყის მცენარე“; ალ. მაყაშვილის ლექსიკონის მიხედვით, ბურღი იგივეა, რაც ქართული ბუერა“.

**ბურღეფიშ ნყურგილი** – წყარო ბურღეფში, გამოყვანილია სოფელში (კუხეში).

**ბურღონა** – 1. ბორცვი წკვიბლალის სათავესთან, სადაც უხვად იზრდება ბურღი „ბუერა“ (ლელვინჯილე); 2. თხმელნარი გას კალთაზე, წყუმლალის აუზში (ლესალე); 3. ვაკე-სახნავი მდ. ქალაღალის მარცხ. მხარეს (ქალაღალი); 4. ხეობა ჯოგომ ღალის სათავესთან, ნორსელიას კალთის ძირას (წყოუში) და სხვ. მრ.

**ბურღონაღალ(გ)** – ღელე და ხეობა, მოედინება ბურღონაღან, ჩამოივლის ყარას, გაღის ოხვილიშში და ერთვის ოლორს (წყოუში, ქალაღალი, ფახულანი).

**ბულურჯელი** – ერქვა მიკროუბანს ენგურის ნაპირას, დავაკებაზე, ტყვიშის ჩრდ-ით. ესახლა ხუთიოდე კომლი (მაგანას სატყეო).

**ბუცამ ნოხორი** – ბორცვი, საკარმიდამოები საჭანიოს ჩრდ. ნაწილში. ბუცა მამაკაცს ერქვა, გვარად იყო ჭანია (ულურია).

**ბუცამ ნოხორი//ანტონიამ ნოხორი** – მინდორი ლეჯღანჯღელში, ნაჭვიუს ქვემოთ. ანტონი მამას ერქვა, ბუცა – მის ქალიშვილს (ნაგურუ).

**(ბ)უცხერა** – ბორცვი ლაკადის ძირას, ბოსელთან (ლარა). შდრ. სვან. „**უცხრა** – მსხლის ხე“.

**ბუჭუემ ნადოხორე** – სახნავი ლეჭა(ნ)ტურეში. თავადსა და მეფის არმიის ოფიცერ ბუჭუე აფაქიძეს აქ ჰქონია დოხორე „სასახლე“ (პ. ენერი).

**ბუჭუემ ნაოხვამუ//ბუჭუემ ნაჯის(გ)** – ნაეკლესიარი ბექობზე, ლეჭანტურეში (პ. ენერი). ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, აუგია თავად ბუჭუე აფაქიძეს.. პირველი მღვდელი ყოფილა კონდრატე თათარიშვილი (უიარაღო), ხოლო ბოლო მღვდელი – სოლომონ გეთია (ჭითანავა, 2010, გვ. 390). შემორჩენილია ამ ეკლესიის საძირკვლის მხოლოდ ორიოდე ქვა.

**ბუჭუემ ნაჯის(გ)** – ნაეკლესიარი ლეჭანტურეში. იგივე ბუჭუემ ნაოხვამუ (პ. ენერი).

**ბუჭუემ ღალ(გ)** – ღელე ლეჭატურეში. ერთვის ჩხოუშიას ქოჩომ ტომბასთან (პ. ენერი).

**ბუჭუემ ნყურგილი** – წყარო ლეჭატურეში, ბუჭუემ ღალის სათავე (პ. ენერი).

**ბუჯგუმ ნოხორი** – საკარმიდამო ჭაშნაკარუსთან. რესპ.: „ბუჯგუ გოგობია აქ ესახლა. მერე ეს ადგილი ნასახლარად იქცა. მოგვიანებით სხვა ოჯახი ჩასახლდა“ (ფახულანი).

**ბუჯგუმ ტკილი//კვაჯიშ ტკილი** – სალი კლდე ენგურის მარჯვ. ნაპირას. ესახლენ ბუჯგუ შონია და მისი შვილიშვილი კვაჯი. ტოპონიმის პირველი ვარიანტი გავრცელებულია „ძველებში“, მეორე ვარიანტს მიმართავენ ახალგაზრდები (ჭალე). ალ. ქობალია: „**ტკილი** — მერგელი; ფიქალი, ტინი“

**ბუჯგუმ ფინჯი** – ენგურის უბე, მდოვრი საშონიოში, ბუჯგუმ ტკილის ძირას (ჭალე). რესპ.: „ბუჯგუ შონია კლდის თავზე ესახლა. ფინჯი ღრმა მდოვრია“. იხ. ფინჯი.

## — ბ —

**გა** „ბორცვი, დაბალი ვაკე-სერი“ – 1. სერი ნაძაგანუსა და ონახუელალს შუა. აქ შემოდის ნამოსინუც და ნაჯვარიც (ფუქი); 2. სერი ტყეებითა და მინდვრებით საკალანდიოში (ნალენჯიხა); 3. ვიწრო და გრძელი ვაკე-სერი ლაჩხვათრასა და ძანძელს შუა (ლესალე). ი. ყიფშიძე: „**გა** – ГОЛМ“; ო. ქაჯაია: „**გა** – ბორცვი, გორაკი, სერი; მხარე“. ალ. ქობალია: „**გა** – სერი, ქედი, თხემი“.

**გა//გაშფერდი** – სერი სკურეფიას მარცხ. ნაპირას (საჩინო).

**გა//ოხვამეშგა** – სერი ჭანისწყალ-ოტოფუეს წყალგამყოფზე, სადაც დგას შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი – ნალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია

ქალაქის აღმ. ნაწილში, რაც წაგრძელებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ლულერამდე. აქ ათიოდე მოსახლეა (წალენჯიხა). **ოხვამეშგა** „ეკლესიის სერი“.

**გაბარი** – 1. დაბალი სერი ენგურის მარცხ. მხარეს (პალური); 2. ინწგრას მაღალი ნაპირი ლეაბრალეში. ვარ.: **ინწგრამ გაბარი** (ნაგურუ) და სხვ. **გაბარი** „დაბალი ზეგანი; ვაკე-ტერასი, რომელიც გასდევს მდინარისპირებს და ქვემოდან მოჩანს როგორც სერი“. ი. ყიფშიძე: 1. **გაბარი** плоскогорье (გა+ბარი ровнина; 2. იქნებ: ქართ. **გაბარი** არაბ. ჯაბალ „მთა“. ო. ქაჯაია: „**გაბარი** – ზეგანი, სწორზედაპირიანი ბორცვი; მაღალი სერი“. ალ. ქობალია: „**გაბარი** – ზეგანი, გავაკება, სერი მთასა და ბარს შორის; გორაკის, ბორცვის სწორი ზედაპირი, თხემი“. რესპ.: „გაბარი არის მდინარისპირა დაბალი ვაკე-სერი, რომლის ფერდობები უშუალოდ ჩადის მდინარეში და მდინარეს კი ჭალა არა აქვს“.

**გაბარიშ წყურგილი** – წყარო გაბარში, უჩაღალის მარცხ. ნაპირზე. გამოედინება საარდიოშ ფერდიდან (პალური).

**გაბარხა** – ღელე-ხეობა. იგივე ლაბარხა (საჩინო).

**გაბიძღულა** – ბორცვი ოტოფუესა და კვარჩხილალს შუა (ნაკიფუ). რესპ.: „**გაბიძღულა** ეწოდება მწირ, ცუდმოსავლიან მიწას. აქაურ მოსახლეს კიდევ აჯავრებდნენ, „გაბიძღულაში კოჩი რექია“. მეგრულ ლექსიკონებში **გაბიძღულა** არ ჩანს, თუმცა კი, როგორც ცნობილია, **გაბიძღია** შეიძლება იყოს გაბლენძილი ჩია კაცის მეტსახელი.

**გაბრიელიშ ნოხორი** – ნასახლარი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მაღლობზე (ჯალირა).

**გაბრიელ შუკი** – ბორცვი ნაკიკუს სამხრ. გაგრძელებაზე. გადმოცემით, ამ ბორცვზე სადღაც მღვდელი გაბრიელ არის დამარხული (წყოშუში).

**გაბრიელ ტყა** – ტყე-ფერდობი ლაჩახვის მარცხ. ნაპირზე. უწინ აქ გაბრიელ ჩიქობავა ესახლა (უღურია).

**გაბრიელ წყურგილი** – წყარო ლეკაკულე-ლესალეს გზაზე, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (ლესალე).

**გაბუნიაში** „გაბუნიაში“ – ჩაის ფართობი რეკის მარჯვ. მხარეს, მაღლობზე (პ. ენერი).

**გაგაჩი** – შემალღება მაგანა-ენგურის წყალგამყოფ სერზე (ჯვარი-მესტიის გზის მარცხ. მხარეს). აქ ციხე-კოშკის ნანგრევს ეწოდება **გაგაჩიშ ჯიხა//გაგაჩიშ ნაჯიხ(გ)**. იგი, როგორც ჩანს, აკონტროლებდა ორივე დასახელებული მდინარის ხეობას. ამიტომაც ითვლება საფორტიფიკაციო-თავდაცვით ნაგებობად. გადმოცემით, ამ ციხიდან იყო გვირაბი გახსნილი როგორც ენგურის, ისე მაგანის ხეობისაკენ. ი. ყიფშიძე: „**გაგაჩი**, იგივე გორგალი „ „. ალ. ქობალია: „**გაგაჩი** – შიშველი ქედი“ (მაგანას სატყეო).

**გაგაჩიასუკი** – საქაროს (სერია) მთავარი ნაწილი (ენერფერდი, ჭალე).

**გაგაჩიშ ნაჯიხ(გ)** – ციხე-კოშკის ნანგრევები. იგივე გაგაჩიშ ჯიხა (მაგანას სატყეო).

**გაგაჩიშ ჯიხა//გაგაჩიშ ნაჯიხ(გ)** – ციხე-კოშკის ნანგრევები. იხ. გაგაჩი (მაგანას სატყეო).

**გაკეზულღალ(გ)** – ღელე დოშაყესა და ბერნოხორს შუა, ნკვიბლალის მარჯვ. შენაკადი (ლელვინჯილე). **გაკეზული** „შემოკავებული“ საქონლის ღია სადგომად ან საყანედ შემოზღუდული ადგილია. ო. ქაჯაია: „**გაკეზული** – შემოკავებული; ადგილი, სადაც ჩასვამენ ხოლმე ხბოებს, ციკნებს“; ალ. ქობალია: „**გაკეზული** – გაკავებული“.

**გალავანი** „გალავანი“ – კლდე-კედელი, რომელიც ლაკადას (მთის ქვედა კალთას) სარტყელივით გასდევს და ყოფს ზემო და ქვემო ნაწილებად (ლეთკანთი).

**გალური** – უბანი და ხეობა ლაფთარის ზემო ნელზე, საფიფიოში (ობუჯი).

**განაცუდ(გ)** „განაცუდები“ – ფერდობი კინესქურის მარცხ. მხარეს, სადაც ნათესი გასცუდებიან. სხვა გადმოცემა: აქ ხალხი ამომწყდარა (ჯალირა).

**გარაინჭა** – ფართო კარსტული ჭა ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ლაკადაში (ჯგალი). სავარაუდოა: გარაინჭა გარამიშ ინჭა „გარამის ჭა“. გარამი თავისთავადაც აღნიშნავს კარსტულ ჭას, ძაბრისებურ ორმოს მიწაში, უფსკრულს.

**გარამელა** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა კურორტ სქურში, სქურიშწყარსა და ლეზიავახაშიას შუა (სქურის სატყეო). **-ელა** ჰიდროფორმანტია და ფუნქციით იგივეა, რაც ქართ. -ურა: დაერთვის ადგილის სახელს და წარმოქმნის მიმდებარე ობიექტის ან გვერდით გამავალი მდინარის სახელს – ჰიდრონიმს. გარამი მღვიმეა, საიდანაც გარამელა გამოედინება. მღვიმიდანვე ისმის წყლის დინების ხმა. ალ. ქობალია: „**გარამელა** – მღვიმოვანი; მინისქვეშა, მღვიმის წყალი“.

**გარამი** – კარსტული ჭა გარამელას სათავესთან (სქურის სატყეო). ო. ქაჯაია მიუთითებს ჩემულ განმარტებაზე: „**გარამი** – უფსკრული; კარსტული ჭა საერთოდ“. ალ. ქობალია: „**გარამი** – ქვესკნელი, ჯურღმული, კარსტული ჭა; ბუნაგი (დათვისა); უღრანი“. სამეგრელოში ხშირია ტოპონიმები: გარამელა, გარამულა, გარამი, გარამია, გარამიში, გარამონა, გარამუდა და სხვ.

**გასხაპუ** – 1. ოლორის კანიონი ლეკუკეში, ოგურგინჯეს თავზე. სიგანე 1 მ (ფახულანი); 2. ჭანისწყლის მონაკვეთი ჰესთან. აქ მდინარე ვინრო კლდოვან კალაპოტში გაედინება (ჯგალი); 3. ინწირას ვინრობი ლეშეროხესა და ნალურათუს შუა (ჩქვალერი) და სხვ. **გასხაპუ** „გასახტომი“, ჩვეულებრივ, აღნიშნავს მდინარის მონაკვეთს, სადაც კლდოვანი ნაპირები ერთმანეთს უახლოვდება და გადახტომაც შეიძლება.

**გაუბედი** – ტყე-ბორცვი სოფლის სამხრ. ნაწილში, ლექანთარეს საზღვარზე (ჯვარი, ლეშამუგე). ხალხ. ეტიმოლოგია: „უღრანი, გაუვალი ტყეები იყო, ყაჩაღები იმალებოდნენ, ვერავინ ბედავდა შესვლას. ამიტომ თუ ეწოდა“. გაუბედი „უბედური სერი“.

**გაუბედიმ წყარი** – ღელე, ნოჟალას ერთ-ერთი მდგენელი. მოედინება გაუბედიდან. მეორე მდგენელია კვარიშიმ წყარი (ლეშამუგე).

**გაუჩა** „შავი სერი“ – მთა-სადოვარი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (სქურის სატყეო). მოტივაცია: სერზე წინვოვანი ტყეა. ამგვარ ტყეს უჩა ტყა ეწოდება. ეპითეტი უჩა „შავი“ სერზეც გადავიდა.

**გაშდული** „სერისთავი“ – სერი ინწირას მარცხ. მხარეს (საჩინო).

**გაშნაკვეთი** – სახნავი სერზე, ჭანისწყლის მარცხ. მხარეს. ნაკვეთი ზოგადად სახნავი ფართობია (ნალენჯიხა).

**გაშფერდი** – 1. სერი. იგივე გა (საჩინო); 2. ფერდობი ტყე-ბუჩქნარით გას კალთაზე (ლესალე).

**გაშფერდი//ოხვამემ ფერდი** – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სერზე, რომელზეც დგას მაცხოვრის ეკლესია (ნალენჯიხა). ფოლკლორისტი კ. სამუშია აღნიშნავს: არაა მართებული, ტოპონიმ გაშფერდის წარმომავლობას რომ უკავშირებენ მცხეთა-არმაზის წარმართულ ღვთაებათა სახელებს – გაცისა და გაის. სინამდვილეში გაშფერდი ამ ობიექტს დარქმევია იმ მიზეზით, რომ იგი ფორმით ჰგავს გა-ს, ე.ი. ურმის ძარას (სამუშია, 1990, გვ. 143). მეგრულის ლექსიკონებში **გა**- სიტყვას აქვს ორმაგი მნიშვნელობა: ალ. ქობალია: „**გა** – სერი; ქედი, თხემი; წინახედი ურმისა“; ო. ქაჯაია: „**გა** – 1. ბორცვი, გორაკი, სერი; მხარე; 2. ურმის ძირითადი ნაწილი, ზესადგარი, ხელნა (ურმისა)“; მამსასადამე, როგორც ოროგრაფიული ნომენი, გა აღნიშნავს დაბალ სერს, თხემს, ოდნავ წაგრძელებულ ბორცვს.

**გაძ(ი)ლორი//ნაქერგ** – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში. ერთ დროს აქ ქერი ითესებოდა (მედანი). რესპ.: „გაძილორი ისეთი ადგილია, სადაც ბევრია კიბორჩხალა“. სხვა განმარტება: „გაძილორი ლარევით სწორი კალაპოტია მდინარისა“.

**გაძლარა** – უბანი ბეჟაშ ღალის მარჯვ. მხარეს, ლიამგკოტახილიდან მახარამდე (ლია). რესპ.: „გაძლარა არის უნაყოფო წითელი მიწა, სადაც მხოლოდ ეკალ-ბარდი იზრდება. გეძღერი კი იგივეა, რაც ძგგერი, ანუ ეკალი“. ხალხ. ეტიმოლოგია: „გაძი იმ კაცის სახელია, ვინც აქ პირველი დასახლებულა“. მეგრულის ლექსიკონში გაძლარა არ ჩანს.

**გახაბანუ//გეხაბანუ** „ჩასახერგი“ – ვინრო გზა-გასასვლელი ლეშარბესა და წყავაშალას შუა, მაგანას მარცხ. მხარეს, სადაც ვინრო გზა ჩახერგილი იყო მთიდან ბარისაკენ დროზე ადრე დაძრული საქონლის შესაკავებლად (მაგანას სატყეო). **ეხაბანუა** „გზის გადახერგვა, გადაკეტვა გრძელი ლატანებისაგან გაკეთებული სიბაკარით“. შდრ. ალ. ქობალია: „**ეხაბანუა** – (თასმებით) აკვრა; **ეხაბანელი** – (თასმებით) აკრული“.



**გახაშ ნოხორი** – სახნავი სუმლალის ტერიტორიაზე, ჭკადუაშის საზღვართან (პ. ენერი).

**გედგრაკილი** „ჩადრეკილი, ჩაზნეკილი“ – 1. ტყიანი მთა, ყვირას განშტოება, რომელიც დიდლალიშდუდიდან ორ ტოტად ჩამოეშვება მაგანის ზემოთში. ერთია **დიდი გედგრაკილი** (ჯარალას მარცხ. მხარეს), ხოლო მეორე – **ჭიჭე გედგრაკილი** (ჯარალას მარჯვ. მხარეს). (მაგანას სატყეო); 2. უღელტეხილი ყვირასა და ცვანთს შუა (სქურის სატყეო); 3. ჩადრეკილი ადგილი ორ ბორცვს შუა, ინნგრას მარცხ. ნაპირზე (ჩქვალერი) და სხვ. **გედგრაკილი** „ჩადრეკილი“ ქცეულა ოროგრაფიულ ნომენად: აღნიშნავს უღელტეხილს, ჩადაბლებას სერზე, ბორცვზე. ალ. ქობალია: „**გედირაკილი** – ჩადრეკილი, დადრეკილი; ყელი მთისა, გადასასვლელი“.

**გედგრაკილიშ მიოხვამუ** – მინდორი. იგივე **მიოხვამუ//ცვანთიშ** მიოხვამუ (სქურის სატყეო).

**გელაშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ლეობხას მარცხ. ნაპირას, ქარდაშ ფერდთან (ზ. ლია).

**გერასიმეშ ტყა//სამუშიეფიშ ტყა** – ტყე ლეჭატურეში, ბეჭაშ ღალის ხეობაში (პ. ენერი).

**გერასიმეშ ნყურგილი** – ნყარო. იგივე ვარჩხილ(იშ)ნყარი (ფახულანი).

**გერასგემეშ ნაისგრე** – ვენახი გაძღარის ჩრდ. ნანილში (ლია).

**გერასგემეშ ნოხორი** – სახნავი, ხეხილნარი ფერდობზე, ღელე უბადოღალის სათავესთან (უბადოღალი).

**გერაშ ნოხორი** – 1. მინდორი უჩაგოთეს დას-ით, ჭამკარესთან (ფახულანი); 2. ჩაის ფართობი ნორსელიაში (უბადოღალი).

**გერგედეფიშ ნისქვილი** – ნანისქვილარი ჭიჭე ტებენეს ნაპირას, დიდ ტომბასთან. გერგედეფებს აქ ჰქონიათ ნისქვილი გამართული, სანამ გადასახლდებოდნენ (ფახულანი).

**გერგედეფიშ ნყურგილი** – ნყარო ესქედას აღმ. კალთაზე, მოსემ ნყურგილთან (ფახულანი).

**გერგვანია//გვერგვემია** – ტყე-ფერდობი რეკას მარცხ. მხარეს (მაზანდარა). რესპ.: „გერგვანია გვარია. გვერგვემი კი ნიშნავს უღრან ტყეს“. საერთოდ, გვერგვემი დიდ რამეს, მკვრივს აღნიშნავს. შდრ.: ალ. ქობალია: „**გერგვალა** – ჩამრგვალეული“; „**გვერგვემი** – დიდი გროვა თოვლისა“. შდრ. გერგვანიაშ ნოხორი.

**გერგვანიაშ ნოხორი//გერგვანიაშ სუკი** – ბორცვი ხუფინას ჩრდ.-აღმ. ნანილში. რესპ.: „გადმოცემით, ესახლნენ გერგვანიები და ამომწყდარან“ (ობუჯი).

**გერგვანიაშ სუკი** – ბორცვი. იგივე გერგვანიაშ ნოხორი (ობუჯი).

**გერგოშ გოჭოფილი** – ტყე-ბუჩქნარი ენერში, ენგურისპირა მაღლობზე. უნინ ეს ადგილი გერგო შონიას ჰქონია შემოლობილ-შემოკავებული (ენერფერდი).

**გესი** – ვაკე-დაბლობი. იგივე **ნოჯიხენი** (ჯგალი).

**გეყვაშ კარე** – საძოვარი ნისქვილარას ხეობაში. მწყემს გეყვა კვარაცხელიას სწორედ ამ ადგილას ჰქონია სადგომი (სქურის სატყეო).

**გეყვაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლეჭატურეში. შუა ყოფს ნაურემშარა (პ. ენერი).

**გეჩაშ გიოდგემუ** „ფაცერის დასადგმელი“ – ჩანჩქერი ოლორზე, საშონიოში (ჭველე). რესპ.: „ჩანჩქერს ქვეშ უდგამდნენ გეჩას – თევზის საჭერ ფართო ლასტს“. ალ. ქობალია: „**გეჩა** — ხის დიდი გობი; თევზის საჭერი მოწყობილობა. დიდი, რამდენიმე მეტრი სიგრძის ღარის ფორმის წნული, რომელსაც თავი ღია აქვს, ბოლო — ხშული...“

**გეხაბანუ** – ვინრო გზა. იგივე **გახაბანუ** (მაგანის სატყეო).

**გვადიშ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ბორბოლთან (საჩინო).

**გვადიშ ნყურ(გილი)** – ნყარო დიდქუაშ ღალის სათავესთან, ენერში. გვადი ამ ნყაროს უვლიდა (საჩინო).

**გვამარდა//ღვამანდრა//ღვანდრა//გვანდრა** – ეგრისის ქედის განშტოება ჭანისწყლის ზემოთში, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის საზღვართან. ბოლოვდება მთებით გაუ-

ჩა და ყვირა (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი). შდრ. ალ. ქობალია: „**გვანდრა** — მსუქანი, ნოყიერი (მინა); ჩასუქებული, ბუთხუზი“.

**გვამარდაშ დუდი** — გვამარდას (იხ.) მწვერვალი ჭანისწყლის ზემოთში (ნალენჯიხისა და ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტების საზღვარზე). ალ. ქობალია: „**დუდი** — თავი; სათავე; თავნი, სათაო, სათაური; მეთაური; მწვერვალი“. იხ. დუდი აგრეთვე ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“, I ტ., გვ. 507.

**გვანდრა** — ეგრისის ქედის განშტოება. იგივე გვამარდა (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი). შდრ.: **გვანდრა** აფხაზეთში ეწოდება მდ. კოდორის ერთ-ერთ მდგენელს და სოფელს ეშერის თემში. ალ. ქობალია: „**გვანდრა** — მსუქანი, ნოყიერი (მინა)“.

**გვანჭკა//ს...-აჩხაპელიო გვანჭკა** — სერი, უბანი. იგივე გვანჭკა (ნაშამგუ).

**გვარდლიშ ნაკარუ** — ტყე-ბუჩქნარი ჯოგომ ღალის მარჯვ. ნაპირას, ხასაიაშ ფერდზე. გვარდლი პირსახელია (წყოუში).

**გვატაშ ნოხორი** — ჩაის ფართობი ხუმლალის ტერიტორიაზე, ბორცვზე. ამ სოფელში ჩაი პირველად აქ გაუშენებიათ XX ს. ოცდაათიან წლებში. გვატა პირსახელია (პ. ენერი).

**გვატაშ ფოქვა** — გამოქვაბული წყავაში, რაც ნასოფლარია მაგანას ხეობაში (მაგანის სატყეო). გადმოცემით, ამ გამოქვაბულში მოტაცებულ ბავშვებს მალავდნენ და შემდეგ გაჰყავდათ გასაყიდად ანაკლიაში.

**გვატიშ ნოხორი** — ჩაის ფართობი ფერდობზე, ბოურში, უჩალალის მარჯვ. ნაპირას. გვატი ფიფიას ნასახლარია (ლეშამუგე).

**გვატიშ ნოხორი** — ტუნგის ნარგავები ბოურში (ლეშამუგე).

**გვატიშ ღალ(გ)** — ღელე. იგივე **მაკარიშ ღალ(გ)** (საჩინო).

**გვარჩაშ ნამარაკ(გ)** — დავაკება, საძოვარი ლეფიფიეს ჩრდ. ნაწილში. რესპ.: „გვარჩი ფიფიას აქ ტყე გაუჩხავს და **მარაკა** — თხის სამწყვდევი ნაგებობა დაუდგამს“ (ჩქვალერი). ი. ყიფშიძე: „**მარაკა** — გომური, ბოსელი თხებისათვის“; პ. ჭარაია: „**მარაკა** — სათხებო, ბაკი“. ო. ქაჯაია იმეორებს „მასალების“ განმარტებას: „**მარაკა** — თხის ან ცხვრის ღამის ბინა, მოღობილი და გადახურული“.

**გვარჩიშ ნოხორი** — ჩაის ფართობი ფერდობზე, ლეკვირკვიეში (საჩინო).

**გვარჩიშ ფერდი** — ფერდობი ლეკვიეში, რაც შქალიაშია. აქ გვარჩი სამუშია ესახლა (ლია).

**გვარჩიშ წყურგილი** — წყარო ლეკვიეში (ლია).

**გვაძაშ ნაქობალგ** — საბალახო ლეჭიჭალეში, ხურჩის მარჯვ. ბორცვზე. აქ ხორბალი ეთესა. გვაძა პირსახელია (ნაგურუ).

**გვაჭკა** — 1. დავაკება მთის ფერდობზე, ლეკაკილეს ჩრდ-ით, ღალხუმლასა და გვარჩაშ ნამარაკს შუა (ჩქვალერი); 2. სერი ოლორსა და ოყაყალაიას შუა, ჩხაპელკის პარალელურად. აქ გადიოდა გზა ლანჯიშიდან მუჟავაში. ვარ.: **გვანჭკა//საჩხაპელიო გვანჭკა** (ნაშამგუ). ტოპონიმი **გვაჭკა** გვხვდება სამურზაყანოშიც, სადაც მას განმარტავენ როგორც ცივ, ყინვიან ადგილს. რესპ.: „ბავშვობისას ჩვენი საბურთაო იყო. „აბა, გვაჭკაშა მიფშათია“, — ვიტყოდით, მაგრამ რას ნიშნავს, არავის უთქვამს“. მეგრულის ლექსიკონებში **გვაჭკა** არ ჩანს, ხოლო ჩხაპელია გვარსახელია: **საჩხაპელიო** — ჩხაპელიათა უბანი.

**გვაჭკაშ ტყა** — ტყე. იგივე ნაგვაჯუ (ნაკიფუ).

**გვაჭკაშ ქუჩურუა ნიფური** — ნიფლის ხე. იხ. ქუჩურუა ნიფური (ჩქვალერი).

**გვაჯაშ ტყა** — ტყე. იგივე **ნაგვაჯუ** (ნაკიფუ).

**გვეგვეშ გორჩაკალაფუ** „გვეგვეს საბორძიკო“ — დაღმართი წყავაში-ლექარდეს გზაზე, მაგანას მარცხ. ნაპირას. მგზავრი ამ დაღმართს ბორძიკით ჩადიოდა. რესპ. კუკური ფიფია: „ეთეიშა ქემურქუ დო მუდგარენი მაჩაკალინუაფუ. ამიტომ დარქმევია ეს სახელი. გვეგვე გვარად ფიფია იყო და ამ გზით ხშირად უხდებოდა სიარული“. ო. ქაჯაია: „**ჩაკალი, ჩაკალაფა, ჩაკალუა** — ბორძიკით სიარული, ბარბაცი, ტორტმანი...“; ალ. ქობალია: „**ჩაკალი** — ჩინდრიკი, ჩაკჩაქი, ბორძიკ-ბორძიკით სიარული, ბანცვალი, ბარბაცი“. იხ. აგრეთვე ი. ყიფშიძე (მაგანას სატყეო).

**გვერგვეშია** — ტყე-ფერდობი. იგივე გერგვანია (მაზანდარა).

**გვეჯეშ ნყურგილი** – ნყარო. ერთადერთია ბოგაშში. ერთვის ხურჩას. გვეჯეშ ძაძამიას, მეჯოგე-მესაქონლეს, აქ ჰქონია ნყარო (ლარა).

**გვილეფიშ რხენი** – დავაკება ლეგვილეში, ინწირას მარჯვ. ნაპირას (ნაგურუ).

**გვიმარა** „გვიმრა“ – ბუჩქნარ-გვიმრნარი ინწირიშის კალთაზე (მუჟავა).

**გვიმარონი** – დავაკება ლაყორიასა და ინწირიშს შუა (ჭალე).

**გვიმიშ ნყარი** – ნყარო. იგივე ქოლო//ქოლო(შ)ნყარი (ფახულანი)

**გვიტიშ ნყურგილი** – ნყარო ზედა ლეჟაში, ონყარდეს სათავე. გვიტის შთამომავლები დღესაც აქვე სახლობენ (ნაკიფუ).

**გიგოშ ნატომბე//გიგოშ ტობა** – მორევი ჩხოუშიაზე, ლექარდემი. გიგოს აქ 50 ჰა-მდე მინა ჰქონია შემოლობილი (პ. ენერი).

**გიგოშ ტობა** – მორევი. იგივე გიგოშ ნატომბე (პ. ენერი).

**გილაკელარი** – მინდორი. იხ. გილაკელარი.

**გილაკელარი** „ჩასაკეტი, ჩასახერგი, საჩეხი“ – მინდორი ყვირას დას. კალთაზე, ჩქვა-ლერი-ქართლაშიდან მთისაკენ მიმავალ მწყემსთა გზაზე. ორია: **დიდი გილაკელარი** და **ჭიჭე გილაკელარი** (ჯვარის სატყეო). რესპ.: „ბუნებრივი საჩეხია. შეამხანაგებული მეჯოგეები მთის საძოვრებიდან მობრუნებისას აქ დაამწყვდევენ საქონელს და თავ-თავისას გამოარჩევენ. ჩხოროწყული მწყემსები ამას გიშახუნაფას უწოდებენ“ (აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია როგორც გილაკელარი).

**გილარხენა** „დავაკება“ – მცირე ტერასი საშელიოში, ნაკარუს კალთაზე (საჩინო).

**გილაშქვაფილი** „თაროსებური შევაკება მთის კალთაზე, მცირე ტერასა“ – ლაკადისძირები კანთში (ლეთკანთი). ო. ქაჯაია მიუთითებს ჩემეულ განმარტებას: „გილაშქვაფილი – დავაკება მაღალი მთის კალთაზე“; ამასთანავე წარმოადგენს საკუთარ განმარტებასაც: „**გილაშქვაფა** – ჩამოშვება; **გილაშქვაფილი** – ჩამოშვებული“. შდრ. აღ. ქობალია: „**გილაშქვაფა** – დარჭობა, დასობა (გზაზე); დაქანება, დაშვება“. „**გილაშქვაფილი** – დარჭობილი, დასობილი (გზაზე); მცირე დავაკება მთის კალთაზე“.

**გილახვამუ//ჯეგეშ გილახვამუ** – სალოცავი ნიფლის ხე ჟინი ობუჯში. ბორცვზე, ნიფლის ძირას ესვენა ჯეგეს, ანუ წმინდა გიორგის, ხატი. ამოჰქონდათ ღვინო, ლობიონი მჭადი და ილოცებოდნენ. ამ ბორცვს ეწოდება **ჯეგეფერდი** (ნაკიფუ). გილახვამუ „(მო)სალოცავი“ გილახვამა „მოლოცვა: სანთლის დანთება, ხურდა ფულის შეწირვა, ლაღდება, ხვენწა-თხოვნის აღვლენა ღვთის, წმინდანის მიმართ“. იხ. გილახვამა აღ. ქობალიას ლექსიკონში.

**გილახვამალი** – საკულტო ცაცხვი ხვითერში (ნაკიფუ).

**გიმნახუა** – ტყე-ხევი. იგივე გემნახუა (ხუდონის სატყეო).

**გინალაფუ** „გადასავარდნი“ – კლდე და სქერღალის ნყალვარდნილი ლაკადაში. ამის ქვემოთ ღელეს ეწოდება გინალაფუშ ღალ(გ). **გინოლაფა** „გადავარდნა“ **გინალაფუ** (ლეთკანთი).

**გინალაფუშ ღალ(გ)** – ღელე, ბელერის შენაკადი. ზემო წელზე (გინალაფუმდე) მშრალია და ეწოდება სქერღალე (ლეთკანთი). იხ. გინალაფუ (ლეთკანთი).

**(გი)ნაღონა** „დანამყნობი“ – ღელე-ხევი, ულურისა შენაკადი. იქმნება ორწყანდესა და ბირგულამის შეერთებით (ულურია, ნაკიფუ). **გეღონუა** (ზოგადად) „დამყნობა“; (გადატანით) „ორი მდინარის შეერთება“. მაშასადამე, **(გი)ნაღონა** – „ორპირი; ორი მდინარის შეერთების ადგილი“ (გინაყონას ეს მნიშვნელობა ლექსიკონებში არ ჩანს).

**გინანონ(დ)ი** – ბორცვი ინწირას მარცხ. მხარეს (ნაგურუ). **გინანონა, გინანონი, გინანონუ** არის მაღალი ადგილი, გადასახედი, საიდანაც იშლება ფართო ხედი, შორი თვალსანიერი: ხეობა, დაბლობი, სოფელი (ო. ქაჯაია გვთავაზობს ჩვენეულ განმარტებას იხ. ო.ქ. I, გვ. 348). შდრ. აღ. ქობალია: „**გინონონუა** – გადანონა“.

**გინახვამა** „ნალოცვარი (ადგილი)“ – ტყე-ბორცვი ქალაღალსა და ერწყარს შუა. სერზე (ქალაღალი). რესპ.: „აქ, ტყეში, ყოფილა წმინდა გიორგის ხატის (ზოგის მტკიცებით, იგივე „ჟინი ღორონთის“, ან კიდევ „ღუდი ღორონთის“) ადგილსამყოფელი, ჯვარი ესო და ხურდა ფულს ყრიდნენ. ერთ წელს სწირავდნენ თიკანს, ორ მომდევნო წელს – ხოზოს,

ღმერთს შესთხოვდნენ კაცისა და საქონლის სიკეთეს, პირჯვარს მზის ამოსვლის მხარეს გადაინერდნენ, როგორც ეს სურდა იესო ქრისტეს. შემდეგ პურობდნენ. რიტუალს განაგებდა „უნჩაშ მახვამერი“. რესპ.: „ჟინს იბხვამანდით. ჟინი რე დუდილორონთი. თენა რე წიმდა გიორგი. ხატი რდგ ჯვეშო. ასე კოც ვაკო... ქაცარით იბხვამანდით ართი წანას დო უკული ჟგრი წანას ხოზოთ. მა ასე ხოლო იბხვამანქ. გოკონდა გემოძიცე, მუთუნი ვეგედგე თექი. ტყა რე. დოპილგნდით ქაცარს დო გუაკეთენდით ოჭკომალს. თექი ობჭკომუნდით. აშო ვამიბლანდით ცუჩა, ვაშინერსია თქუანდეს. პიჯვარს დიბნერდით ბჟაიოლგშე... ათგმახვამალეფი ღორონთს ბთხინდით ჯგვრობუას ჩქენი ოჯახშო. ჩქენი საქონელშო. მა ვორექე უნჩაშ ათმახვამერი. ასე ხოლო ხუთი კოჩიმ მახვამალი ვორექე“.

**გინაჯინსუკი** – ბორცვი ნაზმაკოჩუში (ფუქი). იხ. გინაჯინუ.

**გინაჯინუ** „გადასახედი, სამზერი“ – კონცხი ბოგაშის კალთაზე, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, სადაც ჭიაკოკონობა ღამეს ამოდიოდნენ ახლომახლო უბნების მცხოვრებნი და კოცონს ანთებდნენ. აქედან კარგად ჩანს ბარის სოფლები (ფუქი). შდრ. ალ. ქობალია: „**გინაჯინუ** – გადასახედი (ადგილი); ზედა ხედი“. მამასადამე, გინაჯინუ, ისევე როგორც გინანონუ, ოროგრაფიული ნომენია.

**გინორჩქილამ სუკი** – ტყე-ბორცვი. იგივე ოკარკაცუ (ნაკიფუ). **გინორჩქილა** „მიყურადება“. ალ. ქობალია: „**გინორჩქილა** – მიყურადება, გადაყურადება, გამოძახება, გარეთ გახედვა (ხომ არავინ იძახისო)“; იგივე ავტორი: „**გინორჩქილაფა** – მიყურადება (იცოდნენ ელიობის წინა ღამეს)“. სწამდათ: ვის ეზოშიც ხის პობის ხმას დააფიქსირებდნენ, იმ ოჯახში ერთი წლის შიგნით კაცი გარდაიცვლებოდა. სპეციალურ სამეცნიერო ნარკვევებში ნათქვამია: სამეგრელოსა და სამურზაყანოში ჭეჭეთობას (ე.ი. ჭიაკოკონობის ღამეს), რაც იმართებოდა მარიამობას, მთავარი იყო გინორჩქილა. ამისათვის სპეციალურად გამოყოფდნენ რამდენიმე კაცს, რომლებიც უნდა გასულიყვნენ კოცონიდან შორს, რათა მოესმინათ მძინარე ოჯახებისათვის. თუ რომელიმე ოჯახიდან გაიგონებდნენ შუშის პობის ხმას, თითქოს იმ წელს იმ ოჯახში მამაკაცი მოკვდებოდა, მაგრამ თუ ღომის საცხებველის ხმას გაიგონებდნენ — დედაკაცი მოკვდებოდა. სხვათაშორის, მათი რწმენა ხშირად მართლდებოდა (ჯვალალონია, 2011, გვ. 3). იხ. აგრეთვე: ყიფშიძე, ჭეჭეთობა (ყიფშიძე, 1994, გვ. 591).

**გიორგიშ ნაისგრე** – ჩაის ფართობი ნვარწვამ ენწერში, ფაფატიას სამხრ-ით (პალური).

**გიორგიშ ნაკარუ//დუმულიშ ნაკარუ** – თხმელნარი, დავაკება ბოგაშში. გიორგი (ანუ დუმული) ფიფიას აქ „კარე“ ჰქონია (ლარა).

**გიორგიშ ნაყუდუ** – სახნავი ბორცვზე, დობერაში (ფუქი).

**გიორგიშ ნანისქვილ(გ)** – მცირე ჭალა. იგივე ნანისქვილ(გ) (ლეკაკულე).

**გიორგიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მოროჟას მარჯვ. ნაპირას, დიხაფალუში. გადმოცემით, გიორგი ჟვანიას ნასახლარია (ჩქვალერი).

**გიოცოთამუ** „ჩასაყარი“ – 1. შურო ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, მშრალი ღელის კალაპოტი. ჩამოჰყვება ლაკადას. იყენებენ ხეების ჩამოსასრიალებლად (ჯგალი); 2. ფერდობი, ღარი ლაკადის კალთაზე, სოფლის ჩრდ-ით (მედანი). **გეცოთამა** „გადაგდება ფერდობზე“ გიოცოთამუ „გადასაგდები, გადასაყარი (ადგილი)“. ჩვეულებრივ, ესაა ხე-ტყის ჩამოსაყარი ღარი. ალ. ქობალია: „**გიოცოთამუ** — დაქანება, შურო, დასაცურებელი, დასაგორებელი (მორებისა)“.

**გიოცოთამუ//ჯამ გიოცოთამუ** – ბორცვი საფიფიოში, ხუჯლურსა და ლაფთარას შუა. რესპ.: „გიოცოთამუ არის ხის ჩამოსაცურებელი ღარი, სადაც წვიმის წყალიც ჩამოდის“ (ობუჯი).

**გიომ ნამარაკ(კ)** – ტყე-ბუჩქნარი ლანჯიშში, ფერდობზე (უბადოლალი).

**გიორჩარხალუ//გიორხარჩალუ** – მორევი, ჩანჩქერი სამართალაზე (ფუქი). **ჩარხალი** „ჩლახუნით სიარული“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს წყლის ჩანჩქერად დინებას ქვებსა და მცირე კლდეზე. **ხარჩალი** „წყლის ჩხრიალი, ჩუხჩუხი, ჩქაფუნი“. ო. ქაჯაია: „**ჩარხალი, ჩარხაფი, ჩარხუა** – მაგარლანჩებიანი ფეხსაცმლით ენერგიული სიარული (ხმას რომ გა-

მოსცემს), – ჩარხუნი“; იგივე ავტორი: „**ხარჩალი, ხარჩალუა** – წყლის ჩხრიალით, ჩუხჩუხით დინება“. ალ. ქობალია: „**ხარჩალი** — ჩხრიალი, ჩქეფა (წყლისა)“.

**გიოხარჩალუ** – მორევი, ჩანჩქერი. იგივე გიოჩარხალუ (ფუქი).

**გიოხვენჯი სუკი** „დასაჯდომი ბორცვი“ – ბორცვი, შესასვენებელი ადგილი ბოგამში, მთის გზაზე (მედანი).

**გირგოლიმ ნადიხ(გ)** – ტყე-ბუჩქნარი ჭაჭახის გვერდით. გირგოლი პირსახელ გრიგოლის ვარიანტია (სამესხიო).

**გირძეზენი** – ვაკე-უბანი. იგივე გგრძეზენი (წყოუში).

**გირძე სუკი/გგრძე სუკი** „გრძელი ბორცვი“ – ტყე-სერი სამატუოში, სქურდილას მარჯვ. ნაპირას, გგრძე ბარცხონისა და კუნტა ბარცხონის წყალგამყოფი (ობუჯი).

**გობეთე/გოვეთე** – მინდორი ტყეში, ხურჩას მარჯვ. მხარეს, ლეხვიჩეში (ნაგურუ). გობეთე „გამინდვრებული, სინათლიანი ადგილი ტყეში“. შდრ. ალ. ქობალია: „**გოთე, გონთე** – გასინათლება, ნათელი ადგილი, განათებული ტყისპირი, ველობი ტყეში...“; „**გოთე** – სწორი, თავისუფალი და ნათელი ადგილი; ტყისპირი“ (ფიფია, 1999).

**გობეჩიეფიმ სუკი** – გორა ლეგობეჩიეში (კუხეში).

**გობეჩიეფიმ ტყა** – ტყე ბორცვზე, ლემალაზონესა და ლეგობეჩიეს შუა. ეს ტყე ეკუთვნოდა გობეჩიებს (კუხეში).

**გობეჩიეფიმ ლალ(გ)** – ღელე. იგივე **ლაბარხა** (საჩინო).

**გობოგილი** „გაბოგილი, ბოგირგადებული, გახიდული“ – ღელე, ლიარსანეს მდგენელი (წალენჯიხა). **გობოგუა** „ხიდის გადება“ **გობოგილი** „ბოგირი ხე-ფიცრისა“ (შდრ.: ბონდიმ ხინჯი, ჯაჭვიმ ხინჯი...).

**გობოგილი/გობოგილლალ(გ)** – მცირე ღელე. ლარანყარის მარჯვ. შენაკადი (ლარა).

**გობოგილლალ(გ)** – ღელე. იგივე გობოგილი (ლარა).

**გობოგილლალ(გ)/სუსამ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. ჩაუვლის კუჭუხურას. ამ ღელეზე უნინ გობოგილი (ბოგირის ხიდი) ყოფილა გადებული. იგი სოფლის ცენტრიდან გადიოდა კუჭუხურამდე. რესპ.: „ჯღვარკალით რდგ გობოგილი შარა კუჭუხურაშა“. ქვრივი ქალი სუსა ამ ღელის სათავესთან ესახლა (ლარა).

**გობონჯილი/ოხარჩალაია გობონჯილი/გობონჯილიმ წყარი** – წყარო და ღელე დიდი ტებენეს მარჯვ. მხარეს, ფერდობზე, საგერგედაში (ფახულანი). სათავე წყაროს უდგას ხის ღარი, საიდანაც წყალი გადმოჩუხჩუხებს. რესპ.: „**გობონჯილი** გობონჯუა „გზის გადაკეტვა, ჩახერგვა მორებით ან სხვა საშუალებით“. შდრ.: **გობონდლუა** „დაქსელვა“. ალ. ქობალია: „**გობონდუა** – გაბანდვა, გაბონდვა“. შდრ. ალ. ლლონტი: „გობონჯილიში — ადგ. ფახულანი“.

**გობონჯილიმ სუკი** – ბორცვი საგერგედაში, ტებენესა და უბადოლალს შუა. ამ ბორცვზეა წყარო გობონჯილი (ფახულანი).

**გობონჯილიმ წყარი** – წყარო და ღელე. იხ. **გობონჯილი** (ფახულანი).

**გოგიაშ ნაკარუ** – 1. მცირე საძოვარი ნოლიმერში, ლევარდანესთან (სქურის სატყეო); 2. ჩაის ფართობი მაღლობზე, სადაც უნინ გოგია მებონიას ედგა „კარე“ – მწყემსის დროებითი სადგომი (ჯალირა).

**გოგიაშ ნაყუდუ** – დავაკება წკვიბლალის მარჯვ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში. გოგია ლუკავას აქ ედგა „ყუდე“, ანუ სახლი (ლეჯოლოხე).

**გოგიმ ბეჩა** – მცირე გამოქვაბული ჯალრალალის მარჯვ. ნაპირზე. სოფელში არც ახსოვთ, ვინ იყო გოგი (ჯალირა).

**გოგოიამ ნაკარუ** – სერი ენერში, გგრძე ლალსა და კუნტა ლალს შუა. დაფარულია ტყე-ბუჩქნარით (მაზანდარა).

**გოგოშელი** „გოგოს ზიარი“ – მინდორი ოლორისა და ჭიჭე ტებენის წყალგამყოფ გორაზე, იჯინიას სამხ.-დას. ფერდობზე (ენერფერდი). გოგო მამაკაცს ერქვა.

**გოგოხიამ რზენი/დიდი ჩაი** – ჩაის ფართობი გაძლარის ჩრდ. ნაწილში. ვაკე იყო და გოგოხიამ რზენი ერქვა. ჩაი შემდეგ გააშენეს (ლია).

**გოდგრაკილი** „გადრეკილი, გაღუნული“ – 1. უნაგირა სერი ჯამპანალა და გგრძე-  
ლალს შუა (საჩინო); 2. მთა ეცისა და ხობანის ხეობებს შუა (ხუდონის სატყეო) და სხვ.  
**გოდგრაკილი**, როგორც ოროგრაფიული ნომენი აღნიშნავს უღელტეხილს, ჩაზნექილ  
ადგილს სერზე.

**გოვეთე** – მინდორი ტყეში. იგივე გობეთე (ნაგურუ).

**გოიამ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა, მარჩხილის შენაკადი გორაკზე, სადაც ესახლა გოია  
აბლაძე (ნაკიფუ).

**გოლწო** „ვინრობი“ – დიდი ტებენეს კლდოვანი კანიონი კვინჩალესთან და ღელე,  
რომელიც მას მარცხნიდან ერთვის (ფახულანი). ლექსემა **გოლწო** არაა დაფიქსირებული  
მეგრულის ლექსიკონებში. შდრ.: გორწულე.

**გონდურე** – ფართო ჩაღრმავება ჟინი ობუჯსა და ჯეგემ ფერდს შუა (ნაკიფუ). გონ-  
დურე „ხევისებური ჩაღრმავება, ოღონდ ფართო და არა ღრმა“. იხ. ნდურე. ლექსემა გონ-  
დურე არაა დაფიქსირებული მეგრულის ლექსიკონებში.

**გონჯიამ ნოხორი** – სახნავი ლეგოგილეს დას. ნანილში. არ ახსოვთ, ვინ იყო გონჯია  
(ლეშამუგე).

**გორგალი** – დაბალი სერი, ქანისწყალ-ჯალრალალის წყალგამყოფი (ჯალირა). **გორ-  
გალი** „ზურგი, ხერხემალი“. ე.ი. ტოპონიმი წარმოქმნილია ადამიანის სხეულის ნანილთან  
ბუნებრივი ობიექტის მიმსგავსების საფუძველზე. ალ. ქობალია: „**გორგალი** — ქედი,  
ზურგის ზედა ნანილი მხარ-ბეჭის არეში“. მაშასადამე, გორგალი, როგორც მეტაფორულ-  
ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს, სერს, თხემს, ზურგს.

**გორგილი** „შემორგული“ – წყარო კანთში. ირგვლივ ხეებია შემორგული (ლეთკან-  
თი).

**გორდიმ გინალეფი** „გორდის გადანავარდნი“ – სალი კლდე ბოგაშის კალთაზე (მე-  
დანი). გორდი პირსახელია და მეგრულში ბაყაყსაც აღნიშნავს. ამან წარმოშვა ასეთი ცრუ  
ხალხური ეტიმოლოგია: „აქ, ხევში, ბაყაყი გადავარდნილა და სახელიც ამის მიხედვით  
დარქმევია“ (რა თქმა უნდა, კლდეზე ბაყაყის გადავარდნა არ არის ისეთი მოვლენა, რომ  
ადგილის სახელდებაში აისახოს).

**გორტყი(ი)ლი** – ღელე-ხეობა. სათავე აქვს საარახამიოში, გადის სახარჩილოში და  
ერთვის კიბომ ლალს (ნალენჯიხა). **გორტყულა** „ერთმანეთში გადაზრდა-გადახლართვა  
ბუჩქებისა და ეკალბარდისა“ **გორტყი(ი)ლი** (გადაქცეულა ლანდშაფტურ ტერმინად).  
იხ. ნარტყი. ალ. ქობალია: „**გორტყილი** – შემობარდული, ეკალ-ბარდებით შემოტყუ-  
ლი“.

**გორწულე** „ვინრობი, კანიონი“ – 1. მოროჟას კანიონი და მიმდებარე მინდორი ქყე-  
ბიშს ქვემოთ. ამ ადგილას მოროჟას კალაპოტი ძალზე ვიწროა (ლეშამუგე); 2. მაგანას მო-  
ნაკვეთი ნულიშს ქვემოთ. აქ წყალი ვიწრო კლდოვან კალაპოტში გაედინება (მაგანას სატ-  
ყეო). ალ. ქობალია: „**გორწულე** – ვინრობი, მოვინროებული, ჩაცვეთილი“. შდრ.: გოლწო.

**გოშგრილი** – სამანქანო გზა-გასასვლელი კანთში, სერზე (ლეთკანთი). **გოშგრილი**,  
**გიშაშირილი** „ჩაცვეთილი“, როგორც ლანდშაფტური ტერმინი, აღნიშნავს ვიწრო გასას-  
ვლელს ორ ბორცვს შუა, გადასასვლელს სერზე, სადაც დროთა განმავლობაში გზა ჩაჭრი-  
ლა, ჩაღრმავებულა, ჩაცვეთილა. შდრ.: გოხორხილი. ალ. ქობალია: „**გოშირილი** – გაცვე-  
თილი, სიარულით გაღეული, გაკვალული (ბილიკი), უღელტეხილი“.

**გოშგრილიმ ლალ(გ)** – ღელე. ჩაუვლის გოშგრილს (იხ. დიდქუამ ლალე). (ლეთკანთი).

**გოჩიამ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა ჟიმოლენ სამესხიოში. ლეარსანეს მარცხ. შენაკადი.  
რესპ: „გოჩია იყო ჭგფე მეორინჯე („წვრილი მესაქონლე“), რომელსაც ამ ხეობაში ჰქონია  
კარე“ (სამესხიო).

**გოჩიერი** – ფერდობი. იგივე გოჩიორი (მედანი, ლესალე).

**გოჩი(ლია)მ ლალ(გ)** – ღელე, უჩაღალის შენაკადი. იხ. გოჩიორი (მედანი, ლესალე).

**გოჩიორი//გოჩიერი** – ტყე-ფერდობები უჩაღალის მარცხ. მხარეს, ჯიხაფერდიდან  
ოლაკვემდე (მედანი, ლესალე). როგორც გადმოსცემენ, გოჩილია სალიას ნასახლარია. მა-  
შასადამე, -ორ, -ერ სუფიქსები, ისევე როგორც -ურ, გამოხატავს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს

ობიექტი უნინ. აქვეა **გოჩიორწყურგილი**, საიდანაც გადის და უჩაღალს ერთვის გოჩი(ლია)შ ლალგ.

**გოჩიორწყურგილი** – ნყარო. იხ. გოჩიორი//გოჩიერი (მედანი).

**გოჩიმ ნაკარუ** – ვაკე-საძოვარი დიდი ტებენეს დას. ნაპირზე (ფახულანი).

**გოჩიმ ნაცუდუ** – ტყე-ბუჩქნარი გოჩიორში (ლესალე).

**გოჩიმ სორო** – მცირე ხევი გოჩიმ ლალის სათავესთან (ლესალე).

**გოჩიმ ლალ(გ)** – 1. ღელე გოჩიორში. მიედინება ლაჩხვათრასაკენ (ლესალე); 2. ღელე-ხეობა ორი სოფლის – პ. ენერისა და ლიას – საზღვარზე (პ. ენერი, ლია).

**გოჩიმ წყურგილი** – ნყარო გორა დიდაქირსას ჩრდ.-აღმ-ით, გოჩიმ ლალის სათავესთან (ლია, პ. ენერი).

**გონკირილქუა** „გაპობილი, გაბზარული ქვა“ – ლოდი ნისქვილარას სათავესთან. ქვა გაპობილია და ნყალი ქვეშ გადის (სქურის სატყეო).

**გოჭვილნუზუ** „შემოტრუსული ნაძვი“ – ტყე ოთიფურესა და ნადალა ნუზუს შუა. ნაძვის ქვედა ნაწილს ატყვია ნახანძრალი (ჭალის სატყეო).

**გოჭკადილი** „გაჭედილი, შემოჭედილი“ – 1. სახნავი ენგურის მარჯვ. ნაპირას, სადაც უნინ ღელეზე ბონდის ხიდი ყოფილა გადებული (ფოცხოენერი); 2. ხიდი ინწირაზე, ქუცონასთან. ვარ.: **ხინჯიგოჭკადილი** (საჩინო) და სხვ. **გოჭკადუა** „ძელ-ფიცრის ხიდის გადება“

გოჭკადილი „ძელ-ფიცრის ხიდი“. აღ. ქობალია: „**გოჭკადუა** — გაჭედვა; შემოჭედვა; გახიდევა“.

**გოჭკადილმაგანა//მაგანაგოჭკადილი** — მაგანაშ ხინჯის (იხ.) იშვიათი ვარიანტი (ჯვარი).

**გოჭკერილი** „გაჭრილი“ – 1. გზა-გასასვლელი გაუჩაში (სქურის სატყეო); 2. ნაგზაური ოლარჭემეს სათავესთან (ფოცხოენერი). რესპ.: „გოჭკერილი//გოჭკერილი — აღნიშნავს ვინრო გასასვლელს, გადასასვლელს სერზე, მთაზე“.

**გოჭოფილი** „შემოკავებული, შემოლობილი“ – 1. სახნავი ონწიშში (მუჟავა); 2. ბუჩქნარი ლაჩხვას მარჯვ. ნაპირას, სამიქაოში, ოქაჯესთან (ფუქი) და სხვ. მთიან სამეგრელოში გოჭოფილი არის გარკვეული ფართობი: ტყე, მინდორი, სახნავი, საძოვარი. შდრ.: ო. ქაჯაია: „**გოჭოფილი** – შემოკავებული ადგილი საქონლის სადგომად; სამწყვდევი“.

**გოჭოფილიშ კუდელი** – ვაკე ლეარდიეში, ხურჩას მარცხ. მხარეს. შეჭრილია მდინარის რკალში (ნაგურუ). **კუდელი** „კუდი“ ზოგადად რისამე ბოლო ნაწილსაც აღნიშნავს. შდრ.: გოჭოფილი.

**გოხონი** – მცირე უღელტეხილი ვეჯინჯში (საჩინო). **გოხონი** „ფართოდ განეული ადგილი მთის კალთაზე ან სერის გარდიგარდმო; უღელტეხილი“ ორონიმული ნომენია. ო. ქაჯაიას ლექსიკონში მითითებულია ჩემეული განმარტება. აღ. ქობალია: „**გოხონი** – გაგაკეზა; ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის“.

**გოხორხილი** „გახერხილი“ ( **გოხორხუა** „გახერხვა“) – 1. კლდეში ჩაჭრილი გზა ოლორის მარცხ. მხარეს. ვარ. **გოხორხილი ქუა** (ჭველე); 2. გზა-გასასვლელი კვარიშში (ლეშამუგე); 3. საურმე გზა, დაბალ სერზე გადასასვლელად გაჭრილ-ჩაცვეთილი. ფუქს აკავშირებს ლეხარჩილესთან (ფუქი); 4. საცალფეხო გზა დიდი ტებენესა და ჭიჭე ტებენეს წყალგამყოფ გორაზე. ჩაჭრილ-ჩახერხილს ჰგავს (ფახულანი); 5. გზა-ჩაღმართი. ჟინი ობუჯიდან ჩადის კინესქურის ხეობაში და ისეა ჩაღრმავებული, რომ ჩაჭრილ-ჩახერხილს ჰგავს (ნაკიფუ); 6. გზა-გადასასვლელი ლაკადაში. ჩაცვეთილია და ჩაჭრილს ჰგავს (მედანი) და სხვ. მრ. **გოხორხილი** „გახერხილი“, ჩვეულებრივ, ერქვა ღრმა და ვინრო გასასვლელს სერზე და, რა თქმა უნდა, მეტაფორული ნომენია.

**გოხორხილი//ლეგობეჩიეშ გოხორხილი** – გზა-გადასასვლელი ლეგობეჩიეს ბორცვზე. გზა მიემართებოდა ჩაის ფართობებისაკენ (კუხეში).

**გოხორხილი//სკურეფიაშ გოხორხილი** – გზა. სკურეფიადან მიემართებოდა ენერი-საკენ და ერთგან ისე იყო კლდეში ჩაჭრილი, რომ ხელოვნურ უღელტეხილს ჰგავდა (კუხეში).

**გოხორხილი ქუა** „გახერხილი ქვა“ — გზა. იხ. გოხორხილი (ჭველე).



**გოხორხილიმ სუკი** – ბორცვი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, უბადოლალ-ლანჯიშის გზაზე (უბადოლალი).

**გოჯომ ნოხორი** – სახნავი ოტოფუეს ზემო დინების მარცხ. ნაპირზე (ფუქი).

**გრიგოლიამ ფერდი** – სახნავი ფერდობზე, ონახუელალის აღმ-ით (ფუქი).

**გრიგოლიმ ნოხორი** – 1. ჩაის ფართობი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (ობუჯი); 2. ჩაის ფართობი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ბორცვზე (ჯალირა).

**გრიგოლიმ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, გრიგოლიმ ნოხორთან. გრიგოლ შენგელაია ამ მორევთან ესახლა (ობუჯი).

**გრიგოლიმ ფერდი** – ფერდობი წალენჯიხა-ზუგდიდის საავტ. გზაზე, ბორცვ გგნახვამუს კალთაზე. რესპ.: „ხანდაზმული გრიგოლ ჩაჩავა ამ ფერდობის ძირას სახლობს“ (წალენჯიხა).

**გრიშამ ნოყუნი** „გრიშას ნაყანევი“ – ნაყანევი სამიქაოში, ლაჩახვას სათავესთან (ფუქი).

**გრიშამ ნოხორი** – ჩაის ფართობი ჭაჭახის გვერდით (სამესხიო).

**გუა** – დაბალი სერი რეკას მარცხ. მხარეს, ზედა მაზანდარაში (მაზანდარა). რესპ.: „მრგვალია და მოკლე. ამით ჰგავს გუას – ურმის მორგვს“. აღ. ქობალია: „გუა – გუნდი, გროვა; ურმის ბორბალზე ლერძის გასაყრელი ნახვრეტის ადგილზე მრგვალად, შემალღებულად ათლილი ნაწილი; შემალღებული გული რისიმე (საზოგ.)“.

**გუბანი** – უბანი ენგურ-მაგანის შესართავთან, ომუნეს ძირას. აქ, ქარდავების ეზოში, შემორჩენილია ძველი გუმბათიანი ეკლესიის მაღალი კედლები. აქვეა სხვა ნაეკლესიარიც. მათზე წერილობითი წყაროები დუმს. ისიც არაა ცნობილი, ეკლესია ვისი სახელობისა იყო. ნანგრევების მიხედვით ვარაუდობენ, რომ XI-XII საუკუნეებისაა. გადმოცემით, დიდი ეკლესია ღვთისმშობლის, ხოლო პატარა ანდრია პირველწოდებულის სახელობისა ყოფილა, ანუ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქრისტეს მონაფის ანდრია პირველწოდებულის ჩამოსვლას და აქ ჯვარის აღმართვას უკავშირდება. არსებობს გადმოცემა, რომ ამ სამონასტრო კომპლექსის დასავლეთის კედელი გვირგვინით ენგურში ჩადიოდა, ხოლო ჩრდილოეთ კარიბჭეში თითქოს გაჭრილი იყო გვირგვინი, რომელიც „ომუნემ ჯიხას“ უკავშირდებოდა (ჯვარი). აღ. ქობალია: „გუბანი, გუბანა – წყლიანი თხრილით შემორტყმული სიმაგრე; ტბორი; გუბე, დაგუბების ადგილი“. აღ. ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ პირველ ტომში დასახელებულია გურანი, როგორც ადგილი სოფ. ჯვარში (ამკარად კალმის შეცდომაა. უნდა იყოს გუბანი).

**გუბანიმ ნანისქვილ(გ)** – მინდორი მაგანას მარჯვ. ნაპირას, გუბანში (ჯვარი).

**გუბანიმ ჯიხა** – ციხესიმაგრის ნანგრევები გუბანში (ქ. ჯვარი).

**გუგუმ გა** – ვაკე-ბორცვი კუკლაიამ გას დას-ით. გადასცქერის ჯვარზენს (ლეშამუგე).

**გუგუმ ნოხორი** – სახნავი გუგუმ გას ტერიტორიაზე (ლეშამუგე).

**გუდანახუდ(გ)** „გუდას ნასახლი“ – ფერდობი კინესქურის მარჯვ. მხარეს (ჯალირა).

**გუდ(უ)ნამ წყურგილი** – წყარო ლეფიფიეს სამხრ. ნაწილში. ერთვის ქოლოლალს. გუდუნა ფიფია ამ წყაროს უვლიდა (ლეშამუგე).

**გუდუმ(ი) წყურგილი** (გუდუს წყარო) – წყ. გრიგოლიშში; წყ. წალენჯიხაში (ლლონტი, 1971, გვ. 58).

**გუდუმ ნოხორი** – ჩაის ფართობი საქუთელიოში, სქურდილას მარცხ. ნაწილის გავაკებაზე (ობუჯი).

**გუდუმ ოხარჩალაია** – წყარო ოფაკილეს დას-ით. კლდიდან გადმოჩხრიალებს სუფთა წყალი. ოხარჩალაია ნიშნავს ჩხრიალას. გუდუ მხეიძე ამ წყაროსთან ესახლა (სამესხიო).

**გუდუმ ტომბა** – მორევი სქურდილაზე (საჩინო).

**გუთარათფ(გ)** – საძოვარი ოკალმახეს მარჯვ. მხარეს, ოხარჩუეს ჩრდ. კალთაზე (ჭალეს სატყეო). გუთარა პირსახელია. თიფუ, თფფ „თეო. მწყემსის კარავი და საქონლის ღია სადგომი მის გარშემო“. შდრ. ო. ქაჯაია: „თიფუ – 1. თეო. შდრ. თფფ; 2. თივა, ბალახი“. მაშა-

სადამე, ოთიფურე იქნება „სათიბარი“ ( **თიფუა** „თიბვა“). ალ. ქობალია: „თიფუ — მწყემსების ბინა, საქონლის სადგომი, ბაკი“.

**გუკაიამ ნაკარუ** — საძოვარი ლაკადას თავზე, ღვეზელიას გვერდით. რესპ.: „კარე ეკუთვნოდა გუკაია მიქავას, ცნობილ მეფეოგეს“ (ლარა).

**გუკომ ნაყუდ(უ)** — ტყე-ბუჩქნარი სქურჩა-ნკვიბლალის წყალგამყოფზე (ლეჯოლი-ხე). **ყუდე** — სახლი, სამოსახლო ნაგებობა. შდრ. ქართ. სა-ყუდ-არ-ი (და-ყუდ-ებ-ა) „საცხოვრებელი, თავშესაფარი, დასაყუდარი“.

**გულაიამ ნოხორი** — გზისპირა საბალახო ლეჩიქვანეს სამხრ. ნაწილში. გულაია მამაკაცის პირსახელია (ნაგურუ).

**გუნაიმ წყურგილი** — წყარო ლემატუეში, მოროჟას მარჯვ. ნაპირას (ჩქვალერი).

**გუნანწყვი/გემნანწყვი** „ჩამონამწყვი“ — ფერდობი ჩხაპიალალის სათავესთან, ჟინეკვეს ჩრდ-ით (ფახულანი).

**გურგუმი/გურგუმსუკი** — მაღალი გორა კიკონიას ხეობის მარცხ. მხარეს. გადას-ცქერის კურორტ სქურს ჩრდ.-აღმ-დან. ამ გორის თხემზე შემორჩენილია მთავარანგელო-ზის ეკლესიის ნაშთი (სქურის სატყეო). ვარიანტი **გურუმსუკი** იხ. პ. გაბისონიას ნარკვევ-ში (გაბისონია, 2009, გვ. 16). **გურგუმი, გვერგვემი** „დიდი, მასიური“. შდრ. ალ. ქობალია: „**გვერგვემი** — დიდი გროვა თოვლისა“.

**გურგუმსუკი** — გორა. იგივე გურგუმი (სქურის სატყეო).

**გურიშიამ ნოხორი** — სახნავი საფიფიოში. გურიშია „გულისა“ პირსახელია. მამამისი ჯოლორია აფხაზი ყოფილა და მზითვად გამოუტანებიათ აფხაზეთიდან გამოთხოვილი ქა-ლისათვის. ყმობიდან განთავისუფლებული გურიშია აქვე დასახლებულა (ობუჯი).

**გურიშიამ წყურგილი** — წყარო საფიფიოში, გურიშიას ნასახლართან (ობუჯი).

**გურქუა** — 1. მინდორი ჩელალის მარცხ. მხარეს (ლემამუგე); 2. უზარმაზარი ქვა-ლოდი კაპარჭელას ნაპირას, ბორცვის თხემზე. ქვა-ლოდის სახელწოდება გადავიდა ამ ბორცვზეც (ლესალე). რესპ.: „მინდვრის შუაში დევს ქვა და გურქუა, ალბათ, შუა ქვას ნიშ-ნავს“. შდრ.: გურხუდონი, გურჩქვალერი. სხვა ვარაუდი: **გურქუა** გურუმქუა „ყრუ, მკვრივი, მაგარი ქვა“.

**გურჩქვალერი//დუღჩქვალერი** — სერი, ლეფიფიეს უბნის ნაწილი. ითვლება, რომ თავდაპირველად აქ, ტკიბრასა და ინწგრას შუა ადგილს, ნალურათუდან ოჩიტოლის ძირამ-დე, ერქვა ჩქვალერი (ჩქვალერი). მეგრულში გური („გული“) ლექსემის ერთ-ერთი მნიშვნე-ლობაა რისამე ცენტრალური ადგილი (ო. ქაჯაია). ალ. ქობალია: „**გური** — გული (კაცისა), ცენტრი... გვარის ბუდე... ნამდვილი, ძირძველი...“ დაახლოებით ამ მნიშვნელობისაა **დუდი** „თავი, მთავარი, სათაური, მეთაური, მწვერვალი“. **„დუდკოჩი** — თავკაცი, მეთაური, წარჩინებული“.

**გურხუდონი** „გული ხუდონი, ხუდონის ცენტრი“ — ერქვა სოფ. ხუდონის ცენტრს. შდრ. გურჩქვალერი//დუღჩქვალერი.

**გუსარიამ ტობა** — მორევი ლეჟაში, სქურჩასა და ქვაბლალის შესართავთან (ნაკი-ფუ).

**გუსარიმ გინალეფი** „გუსარის გადანავარდნი“ — კლდე-ფერდობი სოფლის ცენტრის სამხრ-ით, სასაფლაოსთან. გუსარი სამუშია აქ გადავარდნილა (ლია).

**გუსარიმ მინაძახებუ** — მცირე მინდორი ბორცვზე. იგივე **ტერენტიმ მინაძახებუ** (ფახულანი).

**გუსარიმ ნოხორი** — ნასახლარი. იხ. **გუსარიმ წყურგილი** (ენერფერდი).

**გუსარიმ ტომბა** — მორევი ინწირაზე, საფიფიოში (კუხეში).

**გუსარიმ წყურგილი** — წყარო ოკიბოიალალის სათავესთან. ერთვის ოქაჯელალს. გუსარ შონია ამ წყაროს წყალს იყენებდა. აქვეა გუსარიმ ნოხორიც (ენერფერდი).

**გუჩარა//გუჩარე** — ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ონწიშიში. ზემო წელზე ეწოდება **შქერონი**, ქვემო წელზე — **შქამლალე**. სათავეა წყარო გუჩარემ წყურგილი (ჭალე, მუჟავა). სამეგრელოს ტოპონიმიში არაა იშვიათი, როდესაც ტოპონიმი წარმოად-გენს ოდენ პირსახელს.

**გუჩარე** – ღელე. იგივე გუჩარა (ჭალე, მუჟავა).

**გუჩარემ წყურგილი** – წყარო, შქამლალის სათავე გუჩარეში (მუჟავა).

**გუჩამ ნაკარუ** – ბურქნარი ვეჯინჯის ჩრდ. ნაწილში (საჩინო).

**გუჩამ(ი) ღალი** (გუჩას ღელე) — ღელე წალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 58).

**გუჩოური** – სერი, იგივე **გუჩუური** (ფახულანი).

**გუჩუური//გუჩოური** „გუჩუასელი“ – სერი, გუჩუების უწინდელი უბანი სქულუბურის სათავესთან, ოლორსა და ოჯოლორედალს შუა (ფახულანი).

**გუძამ მამული** – ხეხილნარი ტობეშში, ფერდობზე (ფახულანი). **მამული, მამულონი** აღნიშნავს განაშენებულ ადგილს, სადაც უხვად ხარობს ვენახი, ხეხილი.

**გუძამ ნაყუდუ** – ნასახლარი კინესქურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „ტუნგის გაშენების შემდეგ ნასახლარის ნიშანი არ დარჩა“ (ჯალირა).

**გუძამ ღალ(გ)** – ღელე, კინესქურის მარცხ. შენაკადი. სათავეა გუძამ წყურგილი (ჯალირა).

**გუძამ წყურგილი** – წყარო გუძამ ნაყუდუსთან. გუძა პირსახელია (ჯალირა).

**გუძული** – ფერდობი ხობანელალის ნაპირას (ხუდონის სატყეო). შდრ. ალ. ქობალია: „გუძული – შემალღებული ადგილი, გორაკი“.

**გუჯამ ნაყუდ(გ)** – ბურქნარი ლეაბრალეში, ქორსუს ხეობაში (ნაგურუ).

**გუჯამ ნოხორი** – სახნავი სასონგულიოში, ჭანისწყლის ნაპირას (ობუჯი).

**გუჯამ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე (ჯალირა).

**გუჯამ ტომბა** – მორევი, იგივე ვენემ ტომბა (წალენჯიხა).

**გუჯუმ დიხა//ანდრიაშ დიხა** – საბალახო ფერდობზე, სასახოკოში. ნაკალანდუმ ფერდის ძირას. გუჯუმ მამას ერქვა, ანდრია – შვილს (წალენჯიხა).

**გუჯუმ ნადიხგ** – საკარმიდამოები ბურღეფში (კუხეში).

**გუჯუმ ნოხორე** – სახნავი სახუბულიოს ჩრდ. ნაწილში (ლეთკანთი).

**გუჯუმ(ი) ფერდი** (გუჯუს ფერდი) — ადგ. წალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 58).

**გუჯუმ ღალ(გ)** — ღელე, ერთვის ერისწყალს (ფახულანი).

**გუჰე** – სალი კლდეები. იგივე გუჰუ (მაგანის სატყეო).

**გუჰუ//გუჰე** – სალი კლდეები წყავაშელას სათავესთან (მაგანას სატყეო).

**გგდელონი** – ბორცვი ოწყარდეს მარცხ. მხარეს (ნაკიფუ). **გგდელია** ყურძნის ჯიშია (მტევანი გარეგნულად ჰგავს გიდელს).

**გგდემი ნოხორი** – ჩაის ფართობი ქვედა ჭველეში, ხუმლალალის ნაპირას. გგდემ პირსახელია (ჭველე).

**გგდემ ღალ(გ)** – ხევი-ხეობა ჟინი სამესხიოს დას. ნაწილში, ლეარსანეს მარცხ. ნაპირას (სამესხიო).

**გგთახვამალი** „გამოსალოცავი (ხე)“ — ნაეკლესიარი ქალაქის დას-ით, ნასაბუს ფერდობზე. იყო კალანდიებისა და შანავეების სალოცავი. საცხოვრებლად აფხაზეთში გადასული შანავეები დღესაც მოდიან აქ სალოცავად (წალენჯიხა).

**გგთახვამალი ურთხელი** – იხ. მიოხვამუ//ყვანთიმ მიოხვამუ (სქურის სატყეო).

**გგთახვამუ** – გორა საკალანდიოში, სატელევიზიო ანძასთან, ნასაბუს ფერდობზე (წალენჯიხა). აქ იდგა სამი ცაცხვი და იყო კალანდიებისა და შანავეების სალოცავი ჯინჯიხატი: ქვაზე ესვენა რკინის ჯვარი. წელიწადში ერთხელ, ნებისმიერ თვეში, გათხოვილი ქალები აქ მოდიოდნენ და აღავლენდნენ ლოცვას, შესწირავდნენ ცომისაგან გამოძერწილ-გამომცხვარ ძროხას, გოჭს, მამალს. აფხაზეთში დასახლებული შანავეები „გგთახვამუმ“ დღესაც მოდიან. ვარ.: გგთახვამალი. ალ. ქობალია: „**გგთახვამუ** – სალოცავი ხე, რომლის ქვეშაც სრულდებოდა საღვთო რიტუალი“.

**გგთოლგ** „რაიმეს ქვეშ გასასვლელი“ – გზის მონაკვეთი, კლდე ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ლაყორიაში (ჯგალი). აქ, ლაკადას ძირას, გზას კეტავდა კლდე-კედელი, რომელსაც კარი ჰქონდა დატანებული. გზა კლდის ქვეშ გადიოდა და გზის გაყვანისას ეს გზა დაინგრა. იხ. ლაყორია.

**გგმნახუა//გიმნახუა** „ჩამონარღვევი“ – ტყე-ხევი ფაშტახირში. ნყლისგანაა ჩამოღარული (ხუდონის სატყეო).

**გგმოღ(გ)** „გამოსასვლეღი“ – ოღორის ხეობის ყელი, საღაც მღინარე და გზა ხეობიდან სოფელში გამოღის (მუჟავა).

**გგმოხოწრზენი** „ქვევიტა (ქვემო) ვაკე“ – მინდორი ეწგურის მარჯვ. მხარეს, ფაშტახირს ქვემოტ (ხუდონის სატყეო). რესპ.: „გგმოხოწნი — 1. ქვემოტ მღებარე; 2. გაღმაური. გაღმა მღებარე.

**გგმოხ(გ)** „გა(ღა)ღმა; ქვემოტ“ – ბორცვი ნაპერტუს მარჯვ. მხარეს, ლეზარქუეში. მოსახლეობისათვის ხევის გაღმაა (მაზანღარა).

**გგნარსხევი** – ჩანჩქერი, ერისწყლის ვიწრო კღღოვანი კაღაპოტი **ერთიშს** ქვემოტ (ქაღაღალი).

**გგნაღობა** „განაღობი“ – ტყე-საძოვარი კურორტ სქურსა და ჭიტა წყურგის შუა, საღაც უწინ ვიწრო გზა-გასასვლეღი ყოფიღა გაღაღობიღი (სქურის სატყეო).

**გგნაჭკაღა** „განაჭეღი“ – მორევი ჭანისწყალზე, საღაც ერთ ღროს ძელ-ფიცრის ხიდი ყოფიღა გაღებუღი (წალენჯიხა). **გგნაჭკაღა** გოჭკაღუა „ძელებიტა და ფიცრებიტ ხიდის გამართვა (ღურსმწიტ გაჭეღვა)“. შღრ.: **გგბოგიღი** გობოგუა „ძელის გაღება ხიღაღ“. იხ. გოჭკაღიღი. უფრო გვიან აქ ლევიან კვარაცხელია დასახლებუღა და მორევისაც „ლევიანში ტომბა“ ეწოღა.

**გგნაჭკვრა** „განაჭერი“ – ტყე-ხევი, ნაგზაური უღურიაწყარისა და ოწყარღის წყაღ-გამყოფზე. ამ გზიტ დაღიოდწენ წალენჯიხისაკენ. **გგნაჭკვრა** — ა. განაჭერი (ტუ საუბარი გზას შეეხება); ბ. **განაკაფი** (ტუ საუბარი ტყეს შეეხება) (ნაკიფუ). ტოპონიშს ასახელებს აღ. ღღონტიც.

**გგწდე ბული//გგრძე ბული** – მთა-საძოვრები ჭანისწყლის სატავესა და ხობისწყლის ხეობას შუა (უფრო ზუსტაღ, ცაშკიბულსა და ჭიტა გვალას შუა). გვერღიტაა საძოვარი **კუნტა ბული** (სქურის სატყეო). ბული არყის ხეა. მაგრამ გგრძე „გგრძელი“ და კუნტა „მოკ-ღე“ მიემართება მწყემსტა და საქონღის გზას, რომელიც ჭანისწყლის სატავიღან (კონკრეტულაღ საძოვარი ჩხოროწყარიღან) მიემართება ხობისწყლის სატავისაკენ. მაშასაღამე, კუნტა ბული და გგრძე ბული აღწიშნავს არა ბაღს „მცენარეს“, არამეღ გზას. აქ უხვაღ ხარობს გარეული ბაღი, რასაც მწყემსები შეშაღაც ხმარობენ. მეგრუღის ტოპონიშურ სისტემაში არაა იშვიათი, როცა ფიტონიში მეტონიშიის გზიტ იქცევა მიმღებარე აღგიღის სახეღაღ.

**გგწდევა//გგრძევა** „გგრძელი სერი“ – ბორცვი კაკაურია-ღაჩახვას წყაღგამყოფზე. აქევა კუნტაგაც (ღელვინჯიღე). შღრ. გა.

**გგწდე სამესხიო** – მიკროუბანი სამესხიოში. უფრო გრძღაღ ღევს მღ. ტარჩიას მარჯვ. ნაპირას და მოსახლეობიტაც მეტია ვიღრე კუნტა სამესხიო (სამესხიო).

**გგწდე სუკი** „გგრძელი სერი“ – სერი ტყე-ბურქნარიტ ლეციწდეში, ინორზენასტან (ნაკიფუ).

**გგწდე ქუა** „გგრძელი ქვა“ – ქვა-სვეტი ჭიჭე ეხეღეში, ოღორის მარცხ. მხარეს, ბზაკა-ღონში (ჭვეღე).

**გგწდეღაღ(გ)//გგრძეღაღ(გ)** „გგრძელი ღეღე“ – 1. ოტოფუეს მარცხ. შენაკაღი ზეღა მაზანღარაში, ქერეყანტან (მაზანღარა); 2. სკურეფიას მარჯვ. შენაკაღი. მოეღინება მამუკიამ ჯიხაღან (საჩინო). ორივე შემტხვევაში ღაღ(გ) აღწიშნავს ხეობას. იხ. აგრეტევე: გგრძეღაღ(გ)/გგწდეღაღ(გ).

**გგრძე ბარცხოწნი//გგრძე ფარცხოწნი** „გგრძელი ბაძგნარი“ – ტყე-ხევი სქურღიღას მარჯვ. მხარეს. გვერღიტაა კუნტა ბარცხოწნიც (ობუჯი).

**გგრძე ბული** „მაღალი ბაღი“ – 1. ტყე-ხევი ლეშეროზეში, საღაც მაღალი, წვრიღნა-ყოფიანი ბაღი მღგარა (ნაგურუ); 2. მთა-საძოვრები. იგივე გგწდე ბული (სქურის სატყეო).

**გგრძევა** „გგრძელი დაბაღი სერი“ – 1. დაბაღი ნაგგრძეღებული გორაკი წკვიპღაღსა და ღაჩახვას შუა (ღეჯოღოღხე); 2. ბორცვი. იგივე გგწდევა (ღელვინჯიღე). შღრ. „გგრძე გა (გგრძელი ბორცვი) — ტყ., მაღღ. მიქავაში, წალენჯიხის რ.“ (იხ. ღღონტი, 1971, გვ. 58).

**გვრძეზენი//ვირძეზენი** „გრძელი ვაკე“ – ვაკე, უბანი ენგურის მარჯვ. მხარეს, სოფლის ცენტრიდან სოფ. საბერიომდე. რესპ.: „მახსოვს, დაუსახლებელი იყო და სამარულოდ იყენებდნენ“ (წყოუში).

**გვრძე ნოცუნი** „გრძელი ნაყანევი“ – სახნავი. გრძლად დევს ქალაქის მარცხ. ნაპირას (ქალაქი).

**გვრძე სუკი** – „გრძელი სერი“ – 1. სერი, თარზენის განშტოება ჭანისწყლის ხეობამდე (ჯგალი); 2. ტყე-სერი ლეჩაში (ნაკიფუ); 3. ტყე-სერი. იგივე გვრძე სუკი (ობუჯი) და სხვ.

**გვრძე ტობა** „გრძელი მორევი“ – მორევი. იგივე ლევაშ ნაშქვიდა (ნაკიფუ).

**გვრძე ტობა//ჭიგვამ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, უჩა ტობას ზემოთ. ლესალელ ჭიგვა კვარაცხელიას ამ მორევთან ჰქონია ყანა (ლეკაკულე).

**გვრძე ფარცხონი** – ტყე-ხევი. იგივე გვრძე ბარცხონი (ობუჯი).

**გვრძე ფოქვა** „გრძელი მღვიმე“ – მღვიმე ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, კლდე-ფერდობზე. გვერდითაა მღვიმე **კუნტა ფოქვა** (მედანი).

**გვრძელა(გ)//გვნძელა(გ)** „გრძელი ღელე“ – 1. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი საკალანდოში (ნალენჯიხა); 2. იხ. აგრეთვე: გვნძელა(გ)//გვრძელა(გ) – ღელეები მაზანდარასა და საჩინოში.

**გვრჯემიამ ნაკარუ** – სახნავი სქურში. აქ მდგარა მწყემსი გვრჯემია კვარაცხელია (სქურის სატყეო).

**გვშალგ** – გზის მონაკვეთი ბოგაშის კალთაზე. გზა ბუჩქნარიდან გადის საძოვარზე (მედანი). **გვშუულა** „გასვლა, გამოსვლა“ **გვშალ(უ)** „გასასვლელი; ადგილი, სადაც გზა ტყიდან გადის მინდორზე“.

**გვშახ(ონი)** – მიკროუბანი შქალიაში, სოფლის ცენტრსა და მიშახ(ონ)ს შუა. **გვშახ(გ)** საერთოდ ნიშნავს წინ გამონეულს (შდრ. მიშახგ). აქ ცხოვრობდნენ გვშახონარევი (ლია).

**გვშახ(გ)** – მიკროუბანი ლია-პალურის გზის ორივე მხარეს. **გვშახგ** „გამონეული; წინ მდებარე“. **გვშახ(გ)** მართლაც გამონეულია მიშახთან შედარებით (ლია).

**გვცერა** – ჯაგნარი თეთრ, უნაყოფო მინაზე, მაგანას მარცხ. მხარეს, წინინაშენის კალთაზე (ლექარდე).

**გვნახვამუ** – ვაკე-ბორცვი, სალოცავი ადგილი. იგივე ალერტხარჩილე (ნალენჯიხა).

## – დ –

**დაგავორი** – სახნავი ხუფაიას მარჯვ. მხარეს, ლიას საზღვართან (პალური). რესპ.: „აქაურ გლეხს, უდღუია სამუშიას, ეს მიწა „დაგავორით“ უყიდია ბახვა დგებუაძისაგან – დადიანის მოურავისაგან“ შდრ. რუს.: договор „ხელშეკრულება“. დარქმეულია წარმოთქმის მიხედვით.

**დადბეჩა** – ტყე-ხეობა კინჩხას სათავესთან, ქართლაშის გვერდით (ჯვარის სატყეო). ბეჩა მღვიმეა (არის კიდევ დადბეჩაში). დადი „დედის ბებია; გამზრდელი“. დადი პირსახელიცაა.

**დადბეჩაშ ფოქვა** – მღვიმე, საიდანაც გამოედინება კინჩხას ერთ-ერთი მდგენელი. აქვეა ინწირას ჩანჩქერი. **ინწირა** ერთვის **კინჩხას** ამ ჩანჩქერს ქვემოთ (ჯვარის სატყეო).

**დადიაშ ნოხორი** – სერი ჩაისა და ტუნგის პლანტაციებით ფუქის საზღვართან. გადმოცემით, ამ ბორცვზე დადიანი ესახლა (მაზანდარა).

**დადიაშ ტყა** – ტყე-ბუჩქნარი ფუქის საზღვართან. ეკუთვნოდა დადიანს (მაზანდარა, ფუქი).

**დადიაშ წყუ** „დადიანის წყარო“ – წყარო ჯვარზენში, დადიანის ყოფილ სასახლესთან (ჯვარი). როგორც ზ. ფიფია 1971 წელს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ნარკვევში „აკაკი და ჯვარი“ აღნიშნავს, 1895 წელს აკაკი ჯვარზენში დადიანის სასახლეში ჩამოსულა დისშვილის — ანეტას სანახავად და „აკაკის პატივსაცემად სუფრა ასწლოვანი კაკლის ძირში, მოჩუხჩუხე წყაროსთან გაუშლიათ“, მაგრამ „ახლა ერთი-ორის გარდა არავის ახსოვს, რომ აქ, ამ კაკლის ძირში, ამ წყაროს

პირას, თავისი ცხოვრების რამდენიმე ტკბილი საათი გაუტარებია „სულიკოსა“ და „განთიადის“ ავტორს“ (ფიფია, 2006, გვ. 92-93).

**დადიაშ წყურგილი** – ერქვა წყაროს ენგურის მარჯვ. ნაპირის რიყეზე. წყალდიდობისას ქვა-შლამით დაიფარა. გადმოცემა: აქ თავდებოდა სადადიანო და ინყებოდა სამურზაყანო. ამჟამად აქ ხალხი ცხოვრობს (წყოუში).

**დავიანტიშ ნოხორე** – სახნავი ნაბერაყის აღმ. ფერდობზე. დავიანტი გვარსახელია (ლესალე).

**დავითიშ სუკი** – მრგვალთავა გორაკი, ტყით დაფარული, ჭუბურონის სამხრ. ნაწილში. ეკუთვნოდა დავით ლუკავას (ულურია).

**დავითიშ ტყა** – ტყე დავითიშ სუკის ტერიტორიაზე (ულურია).

**დათაშ(ი) ტყა** (დათას ტყე) – ტყ. ჯვარში (ლონტი, 1971, გვ. 58).

**დათაშ ნამალაზ(გ)** – ბუჩქნარი ფერდობზე, ლანჯიშში, ტებენეს მარცხ. ნაპირას. დათას აქ ყანაში ედგა მალაზა „სასიმინდე“ (ფახულანი).

**დათაშ ნაფსკალე** – მინდორი. იგივე ნასკალე (ლეთკანთი).

**დათა ჩანგელიაშ ნაკარუ** – მცირე საძოვარი ჩელალის ხეობაში, თარზენის ჩრდ-ით (სქურის სატყეო).

**დათიკიაშ ტომბა** – საბანაო მორევი ღელე მახარიაზე (ლია).

**დათიკიაშ წყურგილი** – წყარო მახარიაში, პალურ-ჩხორიას გზაზე (ლია).

**დათიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ქალაქის ჩრდ. ნაწილში (ნალენჯიხა).

**დამაზონი** – სახნავი ოლუელალის სათავესთან, ნასვირაში (ჩქვალერი). **დამაზი** „დამასხი. თეთრი ქლიავი (ხე და ნაყოფი)“ დამაზონი. ო. ქაჯაია: „დამაზი – კორკიმელი, ქლიავის ნაირსახეობა, ჭანჭურის მსგავსი; დამასხი“. ამჟამად დამაზი აქ არსად ჩანს.

**დამაზონიშ წყურგილი** – წყარო დამაზონში. ოლუელალის სათავეა (ჩქვალერი).

**დამაშ ღალ(გ)** – ლეზიავახაშის შენაკადი ოლუელალის სათავესთან, ლეციმტეში. დამაშამაკაცს ერქვა (მაგანის სატყეო).

**დარზენა** „დავაკება“ – 1. დავაკება ხურჩას მარცხ. მხარეს (ლარა, ნაგურუ); 2. სახნავი ვაკე სქურჩის მარჯვ. ნაპირზე, კუტაშიას პირდაპირ, მცირე ფერდობის ძირას (ლევლოხიხე).

**დარიაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ფერდობის ძირას. დარია იმ ქალის სახელი ყოფილა, ვინც ამ მორევეთან ცხოვრობდა (მაზანდარა).

**დარიაშ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ფერდობზე, ღარი უდგას და სოფელი იყენებს (ჯგალი).

**დარკოშ ნაყუდუ** – ბუჩქნარი სალუკაში, ჭითა სუკზე. დარკო განთქმული მომღერალ-მეჭიანურე ქალი ყოფილა. აქ მარტოხელა ცხოვრობდა (ფუქი).

**დარკოშ ღალ(გ)** – მცირე ღელე, ლაჩახვას მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ჭითა სუკიდან (ფუქი).

**დარყვაშ რზენი** – დავაკება ლაკადის ძირში. დარყვა მამაკაცის სახელია (ლარა).

**დასავლეთი ჩხოუშია//დიდი ჩხოუშია//მელენ ჩხოუშია** – ჩხოუშიის დას. მდგენელი. იხ. ჩხოუშია (პ. ენერი).

**დედფალიშ მიკნაჭკვრა** – გზის მონაკვეთი ენგურის მარცხ. მხარეს, მახსანიასა და ლესვირეს შუა (მაგანას სატყეო). გადმოცემით, გზა გაჭრეს კლდეზე, როცა თამარ მეფე სვანეთისაკენ მიემგზავრებოდა.

**დესმაშ ნოხორი** – მინდორი ფერდობზე, ნაბადიშ გიოშქუმალარის სათავეს ჩრდ-ით. რესპ.: „დესმა შონია, ახალგაზრდა ქალი, აქ სახლობდა და ახალგაზრდობაშივე (25 წლისა) გარდაცვლილა (ფახულანი).

**დვირაშ საკარა** – ტყე-საძოვარი. იგივე ბედიანაშენი (ჯვარის სატყეო).

**დიანოზიშ ნადიხ(გ)** – ტყე კვარჩხილალის მარცხ. ნაპირის ფერდობზე, ბოსელთან (ნაკიფუ).

**დიდაქირსა//დიდაქირსე** „ღვთიშობელი“ – ბორცვი, ნაცხარ-ნაეკლესიარი მაღლობის კიდეზე, საბერსქუოში. დასცქერის მთელ სოფელს. გვერდითაა ჭიჭაქირსა – გზა და

ფერდობი (ლია). ბორცვზე ზოგიერთ ადგილას შემორჩენილი საძირკვლის ნაშთი მეტყველებს, რომ აქ ციხე-სიმაგრე, შესაძლოა, ჯერ კიდევ ანტიკური დროისაა (ჭითანავა, 2010, გვ. 378). აქვეა შემორჩენილი რომაული დროის სამარხები II-IV საუკუნეებისა. „დიდაქირსას“ ფერდობზე გათხრების შედეგად გამოვლენილ კერამიკას ძვ.წ. VII-VI საუკუნეებს მიაკუთვნებენ. ვარაუდობენ, რომ „დიდა ქირსას“ ბორცვზე ადამიანი ელინისტურ ხანაშიც კი ცხოვრობდა. ადრე შუა საუკუნეებში აქ აუშენებიათ ეკლესია და კოშკები, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში – ციხესიმაგრეც. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ასეთი დასკვნისა: „ლიის ციხესიმაგრე აკონტროლებდა სამეგრელოდან სვანეთისაკენ მიმავალ უძველეს გზას, რომელიც ენგურის ხეობას მიუყვება. ასევე ამ სიმაგრის კონტროლქვეშ იყო მეორე გზა, რომელიც ლიიდან წალენჯიხისაკენ მიემართება“ (გაბისონია, 2009, გვ. 37). თ. ბერაძეც დარწმუნებულია, რომ ამ შუაფეოდალური ხანის ნაგებობათა დანიშნულება იყო, გაეკონტროლებინა ზემო სვანეთიდან ჯვარისა და ლიის გავლით წალენჯიხისაკენ მიმავალი გზა. გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც: დიდაქირსას კომპლექსში შემავალი თავდაცვითი კოშკის კედლები შეკეთებულია ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში. ცხადია, დიდაქირსა აღნიშნავს ქრისტეს დედას, ღვთისმშობელს. შდრ. დიდაქირსე (ქირსე შობა) — მთა, ადგ. ლიაში (ღლონტი, 1971, გვ. 59).

**დიდაქირსე** – ბორცვი, ნაციხარი. იგივე **დიდაქირსა** (ლია).

**დიდაქირსეშ ეკოლ(გ)/დიდაქირსეშ შარა** – საურმე გზა. მლოცველებს აკავშირებდა სალოცავთან. **ეკოლგ** – „აღმართი“ (ლია).

**დიდაქირსეშ ნაჯიხ(გ)** – ციხესიმაგრის ნანგრევები დიდაქირსეს გორაზე (ლია).

**დიდაქირსეშ შარა** – საურმე გზა. იგივე დიდაქირსეშ ეკოლ (გ) (ლია).

**დიდბული** (დიდი ბალი) — მთა, საძ. წალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 59).

**დიდეკოხონიშდუდი** – ბორცვი დიდ(ი)ეკოხონის თავზე, ოხაჩქუეს აღმ. კალთაზე (ჭალეს სატყეო).

**დიდვე „დიდი ველი“** – ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში (მაზანდარა).

**დიდი გედგრაკილი** – მთა ყვირას განშტოება. იხ. გედგრაკილი (მაგანას სატყეო).

**დიდი გილაკვლარი** – საჩეხი. იხ. გილაკვლარი (ჯვარის სატყეო).

**დიდი დურე** – ტყიანი ჩაღრმავება ისნათიასა და ორულაფუს აღმ-ით (მაგანას სატყეო).

**დიდ(ი)ეკოხონი** „დიდი აღმართი“ – ტყე-ფერდობები ოხაჩქუეში, ნადალა ნუზუსა და ქუაშწყარს შუა. ამის თავზეა ბორცვი დიდეკოხონიშდუდი (ჭალეს სატყეო).

**დიდი ეხელე** – ხევი, ეხელეს ნაწილი ოლორის მარცხ. ნაპირას. მოედინება საქაროდან (ჭველე).

**დიდი კირდე//დიდი რასა** – კლდე ენგურის მარჯვ. მხარეს, კაშხალთან. უწინ აქ გადიოდა გზა ონჭეიშისა და ფოცხოს გავლით (ფოცხოენერი). **რასა** პიტალო კლდეა. კირდე „კლდე“.

**დიდი ლაყორია** – ენგურისპირა ვაკე. იხ. ლაყორია (ჭალე).

**დიდი მართუ** – მორევი ენგურზე (ენერფერდი). **მართუ** „წყალტრიალა (მორევი)“. ალ. ქობალაია: „**მართუ** – მაქცია, ბრუნვადი მორევი **რთაფა**, რთუაფა, ტრიალი ბრუნვა, ქცევა“.

**დიდი ნაკილუ** – ბორცვი. იხ. ნაკილუ (ნაგურუ).

**დიდი ნასვიმონ(გ)** – ფერდობი. იხ. ნასვიმონ(გ) (ფოცხოენერი).

**დიდი ნაქობალგ** – მინდორი, საძოვარი კვდას ფერდობზე, ჭიჭე ნაქობალის გვერდით (ჩქვალერი).

**დიდი ოგურგინჯი** „დიდი წყალტრიალა“ – ჩანჩქერი ოლორზე, საშონიოში. აქვეა **ჭიჭე ოგურგინჯიც** (ჭველე). შდრ.: ოგურგინჯი.

**დიდი ოჩაიე** – 1. ჩაის ფართობი ვეჯინჯში (საჩინო); 2. ჩაის ფართობი სოფლის ცენტრის აღმ-ით (პ. ენერი).

**დიდ(ი)ოხვამე//ფერცველობაშ ოხვამე** („დიდი ეკლესია“; „ფერისცვალების ეკლესია“) – მაცხოვრის სახელობის გუმბათიანი ეკლესია ჭანისწყალ-ოტოფუეს წყალგამყოფ



სერზე. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია (იგი 800 ან 1000 წლისაა: ქსე-ს მე-11 ტომში სტატიის „ნალენჯიხის რაიონი“ ბოლოს ნათქვამია, რომ ეს ეკლესია XIII საუკუნისაა, ხოლო ამავე ტომის ერთ-ერთ ჩანართში ამ ეკლესიის სურათის ქვეშ მინერილი აქვს: „ნალენჯიხის წმინდა მაცხოვრის ეკლესია X-XI სს.“). ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი უწოდებენ **მანცხვარს**. რესპ.: „კორცხელში რომ ეკლესია ააშენეს, მერე თქვეს, ამაზე უკეთესი ავაშენოთო. ხარს თვალები აუკრეს, გაუშვეს და იგი დანვა ნალენჯიხის განაპირას, მაღალ სერზე“ (ნალენჯიხა). იხ. **ოხვამეშგა, მანცხვარი**.

**დიდი რასა** – კლდე. იგივე დიდი კირდე (ფოცხოენერი).

**დიდ(ი)რობუ** „დიდხევი“ – ხევი ლეჭიჭალუეში, ერთვის ჩელალს (ნაგურუ).

**დიდი სორო** – ხევი ფაშტახირში (ხუდონის სატყეო). **სორო** „ხევისებური ღარი მთის კალთაზე; არაღრმა ხევი; თხრილი; ნადირის ბუნაგი“. ო. ქაჯაია მიუთითებს **სორო** ლექსემის ჩემეულ განმარტებაზე.

**დიდი სუკი** – ბორცვი ოსხაპუესუკის გვერდით (ფახულანი). **სუკი** – ბორცვი, გორა.

**დიდი ტებენე//ლანჯიში ტებენე** – ოლორის შენაკადი ლანჯიშიში (ფახულანი). იხ. ტებენე//ტებენა.

**დიდი ტობა** – მორევი ჩხოუშიაზე, ლემანიეში (პ. ენერი).

**დიდი ტობავარჩხილი** – ტბა ჭითა გვალაში, საიდანაც გაედინება **ნაშხურწყარი** – მაგანას მთავარი მდგენელი. იხ. ტობავარჩხილი (მაგანას სატყეო).

**დიდი ტომბა** – საბანაო მორევი ჭიჭე ტებენაზე, ოლორთან მისი შესართავის ზემოთ (ფახულანი, ენერფერდი).

**დიდი ფოქვა//მირღიმ ფოქვა** – მღვიმე ჟინი ჭველეში, ღულერიშის კალთაზე. აქვეა **ჭიჭე ფოქვაც** (ჭველე). მირღი კუკავა აქვე ესახლა. შდრ.: ფოქვა.

**დიდი ღალი** (დიდი ღელე) – ღელე ობუჯში, ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 59).

**დიდი ღალგ** – ფართო ხეობა მაგანას მარჯვ. მხარეს (მაგანას სატყეო).

**დიდი ყარა** – საძოვარი საქაროს ფერდობზე, ოლორის მარცხ. ნაპირას. სამხრ-ით არის **ჭიჭე ყარაც** (ჭველე). შდრ.: ყარა.

**დიდი ცვანა** „დიდი ყანა“ – სახნავი წითელოურის მარცხ. მხარეს (ნაშამგუ).

**დიდი ჩაი** – ჩაის ფართობი გაძღარაში. იგივე **გოგოხიაშ რხენი** (ლია).

**დი(დი)ცუ** „დიდი თელა“ – ტყე-ხეობა ხურჩას სათავესთან, ბოგაშის ჩრდ. ნაწილში. ხარობს წიფელი, თხმელა... თელა კი არ ჩანს (ლარა, მედანი). დიდი ცუ დიციუ ჰაპლოლოგიის შედეგია.

**დიდი წყურგილი//მიქამ წყურგილი** – წყარო ჯიხაფერდის დას. ფერდობზე, მიქამ ღალის სათავე. დიდი წყურგილი იმიტომ დარქმევია, რომ ამ ხეობაში უფრო დიდი და წყალუხვი წყარო არ მოიპოვება. მიქავეები აქვე ესახლნენ (ლესალე).

**დიდი ჭყონა** „დიდი მუხნარი“ – ნატყევარი ლიარსანეს სათავესთან (ნალენჯიხა).

**დიდი ჯიხა** – ნაციხარი. იგივე ჯიხა (წყოუში).

**დიდქუამ ღალ(გ)** – ოჯამპელალის მარჯვ. შენაკადი. ღელის კალაპოტში დიდრონი ქვები ყრია (საჩინო).

**დიდღალი(შ)დუდი** – ერთ-ერთი უმაღლესი მთა და მწვერვალი ეგრისის ქედზე, დიდღალის სათავესთან. სიმაღლე 3168 მ (მაგანას სატყეო). იხ. დიდღალიდუდი: (ქსე, ტ. 3, გვ. 543).

**დიდღალ(გ)** „დიდი ღელე“ – 1. ბელერწყარის ერთ-ერთი მდგენელი. სათავეს იღებს ლაკადის კლდე-ფერდობზე. ვარ.: **გოშგრილი ღალგ**. რესპ.: „ხეობაა დიდი და ფართო, მიუვალი. ჩაუვლის გოშგრილს“ (ლეთკანთი); 2. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. ღელე მოკლეა, მაგრამ ფართო აუზი აქვს და ადიდება იცის (ჯვალირა); 3. ღელე-ხეობა, ფართო, მოკლე და მშრალი, ოლორის მარჯვ. ნაპირას, საქაროს ფერდობზე. საპირისპირო „ჭიჭე ღალგ“ ახლომახლო აღარსადაა, მაგრამ არის „ღალგ“ (ჭალე); 4. მაგანის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ფართო ღალის გვერდით (მაგანას სატყეო); 5. ღელე-ხეობა ბარხას სამხრ. ნაწილში. ერთვის მოროჟას (ჯვარის სატყეო) და სხვ.

**დიმიტრიშ ნოხორი** – სახნავი ლეძაძამეს უბანში. დიმიტრი აქ ესახლა და ომში დაიღუპა (პ. ენერი).

**დიტოიამ ნაკარუ** – ტყე-საძოვარი სქურში, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (სქურის სატყეო).

**დიტოიამ ნოხორი** – სახნავი ლეძაძამეში. რესპ.: „დიმიტრი აქ ესახლა. შემდეგ ომში დაიღუპა“ (პ. ენერი).

**დიტოიამ ფერდი** – ფერდობი სქურჩა-ნკვიბლალის შესართავის დას-ით. დიტოია ჯო-ლოხავა აქვე ესახლა (ლეჯოლოხე).

**დიტომ ნადოხორე/დიტომ ნოხორი** – მცირე ბორცვი ინნგრას მარჯვ. ნაპირზე, კუხეშის საზღვართან. რესპ.: „აქ ესახლა სასტიკი თავადი დიტო აფაქიძე. სოფლის გზა მისი სახლის წინ გადიოდა და ქალამნიან გლეხს არ გაატარებდა თურმე, ფეხშიშველა უნდა დადიოდესო. გლეხები ყანას თოხნიდნენ და არ მოსწონებია, ჩემკენ ზურგი აქვთ შემოქცეულიო. უბრძანებია, ფერდობებზე თავდაღმა ეთოხნათ“ (საჩინო).

**დიტომ ნაკარუ//ჩახუმ ნაკარუ** – დავაკება თხირონას მარცხ. მხარეს. დიტო აქ იყო ჩასიძებული. ჩახუ მის სიმამრს ერქვა (მუჟავა).

**დიტომ ნანყურგილ(გ)** – წყარო დიტომ ნოხორის ტერიტორიაზე. მძიმე წყალიაო და სასმელად არ იყენებენ (ობუჯი).

**დიტომ ნოხორი** – მცირე ბორცვი. იგივე **დიტომ ნადოხორ(გ)** (საჩინო).

**დიშქამ გიორღვაფუ** „შეშის ჩასაყარი“ – შურო კანთში, თარზენის კალთაზე. იყენებდნენ შეშის ჩამოსაცურებლად (ლეთკანთი).

**დიხატყა** – ტყე-ბორცვი. იგივე **ჯიხატყა** (წყოუში, ფახულანი).

**დიხაფალი** – ფერდობი, ჩაის ფართობი მოროჟას მარჯვ. მხარეს, ნაგურუს საზღვართან. რესპ.: „მწირი, ფატარი მიწაა, უნაყოფო, არაფერი იზრდება. მხოლოდ თიხაა. ამიტომ ჰქვია დიხაფალი“ (ჩქვალერი). ალ. ქობალია: „**ფალო** — ეული; უნარეგო, მხოლოდ ცარიელი, ხმელა(პური), ამარა“.

**დიხაფალ(უ)** – ბორცვი, ჩაის ფართობი ფუქარის მარცხ. მხარეს. ჩაის გაშენებამდე მოტიტვლებული ადგილი ყოფილა. რესპ.: „ნიშნავს მხოლოდ მიწას, ოდენ მიწას. ქვა არ ურევია“ (ლარა). შდრ. ალ. ქობალია: „**დიხაფალო** – სუფთა უღორღო მიწა“.

**დიხაფალეში ჩაი** – ჩაის ფართობი ფუქარეს დას. ბორცვზე, რომელსაც ეწოდება დიხაფალუ (ლარა).

**დობერა** – 1. ვაკე-ფერდობები ლაკადის ძირას (ნაგურუ); 2. ვაკე-ფერდობები, რომელიც ენგურის მარჯვ. ნაპირს მიჰყვება რამდენიმე კმ-ზე (წყოუში); 3. ბორცვი ლაჩახვასა და სამართალას შუა, ლემოსიძეში (ლეჯოლოხე) და სხვ. მრ. **დობერა, დობერო, დობრა, დობირა, დობირო**, რაც ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში, ნიშნავს: 1. ლაკადისძირა ვაკე-ფერდობები, სადაც შეიძლება ხალხი ცხოვრობდეს ან სახნავ-სათესები იყოს; 2. დაბალი ნაყოფიერი ადგილი; დაფერდებული სახნავი ან ვენახი; 3. მდინარისპირა ამაღლებული ადგილი; 4. მთის ქვედა მეჩხერტყიანი ფერდობები; ნაშენი, ანუ ბაღვენახიანი ადგილი; ძელი, ანუ უქვო მიწა; 5. თბილი ადგილი; სავენახე ადგილი, სადაც ყურძენი უფრო ტკბილია; 6. შავი, ნაყოფიერი მიწა (დობერა და ლაკადა სემანტიკურად დაპირისპირებული ნომენებია); 7. დობერა მალლობია, სადაც მიწა შავია და ნოყიერი, სიმინდი და ხორბალი ითესებოდა. დობერა, დობირა, დობირო, დობილო გავრცელებულია რაჭულ-ლეჩხუმურში, გურულსა და იმერულში და შესულია სალიტერატურო ქართულში **დობილო** ფორმით (იხ. ქეგლ, ტ. III; ალ. ლლონტის „სიტყვის კონა“, თბ., 1984). რესპ.: „ჭიჭე დაფერდებას ჯოხო დობერა. დობერა მანგარი დიხა რე, ნანდული საყურძენო დიხა. ექიანი ყურძენი უმოსი ხარისხიანი რე. ჭალე უმოსო ქვიშა რე დო ყურძენი ნაკლები იყი, მარა სიმინდი ჯგგრო მუურცუ, ზარხულს ირო ბარხას გუნჟორდით“. დობერაში ხალხი ცხოვრობს და სახნავ-სათესებია. დობერას მერე ლაკადაა, მერე კი – გვალეფი, ე.ი. სამი საფეხურია. დობერაშა მეურქუ ნიშნავს „სოფელში მივდივარ“, გვალაშა ულა კი ნიშნავს მთაში წასვლას. დობირო სიტყვის თავდაპირველი განმარტება ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს: დობირო ჭანური სიტყვაა და ნავენახევს ნიშნავს. ო. ქაჯაია: „**დობერა, დობირა** – პატარა

ეული გორაკი. **დობილო** – ვაკე ადგილი, სახნავ-სათესად გამოსაყენებელი“; ალ. ქობალია: „**დობერა** – ბარი, დაბლობი, ნაყოფიერი მიწა (ენწრის ანტონიმი); წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე, სავენახე, მაღლარი, ხეზე ასაშვები ვაზი“. ავთ. ფაილოძე თვლის, რომ ზუსტი და მისაღებია გ. ელიავას ასეთი მოსაზრება: „დობირო ხეობაში გაშენებული მაღლარი, ხეზე მიშვებული ვაზია“ (ფაილოძე, 2011, გვ. 163). გ. ჩიტაიას დაკვირვებით, **დობირა**, **დობირია** გურიასა და იმერეთში აღნიშნავს მთისწინა ზოლის ნიადაგს. რესპ.: „დობერაშა გეგმაბრაყითია საქონელი, გვალამ ჯინჯიშა“. რესპ.. ხ. გოგობია: „ჭალა უშუალოდ ენგურის ნაპირია, მერეა რიყე, რაც ითესება, მერე კი იწყება დობერა-ფერდობები“. ისევ ჯავახიშვილს დავეყრდნობით: საერთოდ, დობილო ჯერ კიდევ „დაბადების“ ქართულ თარგმანში გვხვდება, სიტყვის მნიშვნელობას იგი ასე აკონკრეტებს: „მაღლარი, ანუ დობილო ეწოდება ხეზე აშვებულ ვაზს“ (ჯავახიშვილი, 1934, გვ. 309). არნ. ჩიქობავას კვლევის („სახელის ფუძის უძველესი აგებულება“) შედეგად მტკიცდება, რომ სვანური დაბ-//დაბ- — ყანა, ნათესი“, რასაც მოუცია მეგრული დობ- ( დობ-ერ-ა//დობ-ირ-ა „სახნავი მიწა“).

**დობ(ე)რა** – 1. ოლორის ხეობის მონაკვეთი მუყავასა და ფახულანს შუა. დასახლებულია (ენერფერდი); 2. დაბალი ფერდობები ენგურის მარჯვ. მხარეს (წყოუში).

**დობერალა(გ)//დობერანყარი** – ღელე არალრმა ხეობაში, ჯიხაფერდის დას-ით. ერთვის მიქამ ლალს, რომელიც შემდეგ ლაჩხვათრაში ჩაედინება. დობერა ის კონკრეტული ადგილია, სადაც ამ ღელეს სათავე აქვს (ლესალე).

**დობერამ ნახვამუ** – საძოვარი, მცირე ტაფობი ჯეგფაცხაში. აქ დიდი ქვაა, ორ ბორცვს შუა ჩარჭობილი მიწაში. დობერა ადგილის სახელია. ნახვამუ ნახვამუ ოხვამე „სალოცავი“. მაგრამ ხანდაზმულებს არ ახსოვთ, რომ აქ სალოცავი ყოფილიყო (ფუქი).

**დობერანყარი** – ლაჩხვათრის მდგენელი. მოედინება დობერადან (ლესალე). იხ. დობერა.

**დობრა** — ფერდობები. იგივე დობერა (წყოუში).

**დომენტიშ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა ლეცინდემში. ჩაედინება კინესქურში (ნაკიფუ).

**დონწყილი** „დამწყილი, დაქცეული, ნამწყერი“ – დაქანებული ვაკე ჩელალის სათავესთან. დროდადრო იმწყრება (ლარა).

**დორომ ნადიხგ** – საძოვარი დიდი ტებენეს მარცხ. ნაპირის ფერდობზე, საგერგედას პირდაპირ (ფახულანი).

**დორომ ტობა** – მორევი ოლორზე, საგერგედაში (ფახულანი).

**დომაყე** – ბორცვი. იხ. **ბომანე(ლ)ი** (ლელვინჯილე).

**დოხვილი** – ქვაბული, საძოვარი ჯარალას სათავესთან. ამ ქვაბულშივე არის მცირე ტბა **წყარგეხვილია** (სქურის სატყეო, მაგანას სატყეო). **დოხვილი** ( დოხვილუა) „დამწყვედული, ჩამწყვედული, ჩამხობილი“. რესპ.: „დოხვილი საერთოდ ჩავარდნილი ადგილია, სადაც ირგვლივ ახრებია“. ალ. ქობალია: „**ახრა//არხა** – მიუვალი კლდე, ციცაბო, ქარაფი, კორტოხი“.

**დოხორე//ნადოხორ(გ)** „სასახლე//ნასასახლარი“ – ჩაის ფართობი ჟინი სამესხიოში. **დოხორე** ეწოდება მხოლოდ თავადის, პატონსქუამ (პატონიშვილის) სახლს, სასახლეს (სამესხიო). რესპოდენტები ხშიორად იტყვიან: „დადიანის სახლი ქოხიცი რომ იყოს, მაინც დოხორედ მოიხსენიებენ“. იხ. ნადოხორ(გ)

**დუდაიამ მართუ** – ერქვა მორევს მაგანაზე (ლექარდე). **მართუ** „წყალტრიალა მორევი“. დუდაია პირსახელია.

**დუდაშკა** – ბორცვი, ოქაჯელალსა და პანემონალალს შუა. დაბალი და ნაგრძელებულია. რესპ.: „გა დაბალი სერია, დუდა კაცის სახელია. აქვე ესახლა“ (საჩინო).

**დუდი(შ)წყარი** – წყარო ოყამაიასთან (ფოცხოენერი). ნიშნავს თავწყალს, ე.ი. მთავარ წყალს: ღელის სათავეა, სასმელად იყენებენ და იცავენ.

**დუდრქვალერი** – სერი, ლეფიფიეს უბნის ნაწილი. იგივე გურჩქვალერი (ჩქვალერი).

**დუღნიფური** – 500-ნლოვანი ნიფელი ლექანთარეში, მალლობზე, რეიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმმართველი მელიტონ ქანთარიას ეზოში. სიმაღლე 42 მ., გარშემონერილობა 5.25 მ (ჯვარი). ნიფური ნიფელია, ხოლო **დუდი** მრავალ სემანტიკას შეიცავს: თავი; მთავარი; გამორჩენილი, გამორჩეული; წინამძღოლი, მეთაური; ცენტრალური; გუმბათი; მწვერვალი.

**დუდხანიმ ენარჩინა** „დუდხანის აღმონაჩენი“ – წყარო კურორტ სქურის ცენტრალურ ნაწილში. მინერალური წყალია. აღმოუჩენია დუდხან აკობიას (სქურის სატყეო).

**დუდხანიმ ნოხორი** – საკარმიდამო ნარზენაში, ტარჩის მარჯვ. ნაპირის შემადღე-ბაზე. რესპ.: „დუდხან ანთია, ქვრივი ქალი, აქ ცხოვრობდა. შემდგომში სხვა ჩასახლდა“ (სამეცხიო).

**დუმულიმ ნაკარუ** – ნაკრძალი, თხმელნარი. იგივე გიორგიმ ნაკარუ (ლარა).

**დურე** – ვაკე-ხევი ენგურის მარჯვ. მხარეს (ფოცხოენერი). **(ნ)დურე** „ხევი; ხევისებუ-რი ჩაღრმავება; შენეული ადგილი ფერდობზე“ (ამ ჩვენეულ განმარტებაზე მიუთითებს ო. ქაჯაია თავის „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“). შდრ. აღ. ქობალია: „**დურე** – ჩაღრმავე-ბული ადგილი“. რესპ.: „დურე რე ინონდურე, ინოკინელი, ინოლაფირი ადგილი“.

**დუტულიმ ნოხორი** – მინდორი გორაზე, უჩა გოთეს სამხრ-ით. დუტული მამაკაცის სახელია (ფახულანი).

**დუტუმ ნაცვანგ** – სახნავი ენგურის ქალაში, ონძილეს ჩრდ-ით (ზ. ლია).

**დუტუმ ქუა//კაბეტქუა** – სახლისოდენა და ხავსმოკიდებული ლოდი ჭანჭრობიან თხმელნარში, რომელსაც **ო(რ)შუაფეს** უწოდებენ. თარგმანი: „დუტუს ქვა//დიდი ქვა“ (ზ. ლია).

**დგკალ(გ)** „ჩაღმართი, ჩასასვლელი“ – დაღმართი დობერა-რიყეს გზაზე (წყოუში).

**დგკოხგ** „დაბლა, ქვემოთ მდებარე“ – სახნავი ინწირას მარჯვ. ნაპირის ვაკეზე, ლე-წულაიეში (კუხეში). შდრ.: ეკოხგ.

**დგნცხონი** – საძოვარი ხახშოყუნემ ღალის ზემოთში (ჯვარის სატყეო). **დგნცხგ** „ჯაგრცხილა; მწირი ჯაგიანი ადგილი; შერეული ფერის თმააბურძგნული საქონელი“. რესპ.: „**დგნცხონი** დიხა რე, ძლილონი, ურგებელი ჯა ჩანსგნ ფერი. **დგნცხგ** ფერს თქუანა საქონელშე ხოლო, ძიგვალ თუმა გოჩანს აკონყორილი ფერიშიდა“. პედაგოგი დ. ფიფია: „დგნცხგ დაბალი მცენარეა. ბუჩქად იზრდება“. ო. ქაჯაია თვლის, რომ **დინცხი//დგნცხგ** ჯაგრცხილაა. შდრ. აღ. ქობალია: „**დუცხუ** ხეა ერთგვარი; **დუცხონი** ერთგვარი ხის ნარ-გაობაა“, ხოლო **დინცხი//დგნცხგ** შავი, მონითალო თუ მოთეთრო-მონითალო ფერდობია. რესპ.: „დგნცხონი ძლილონი რე, ურგებელი ჯა ჩანს“. ლაზურში კი დუცხუ ცაცხვია.

**დგნცხონიმ წყურგილი** – წყარო დგნცხონში. ხახშოყუნემ ღალის სათავეა (ჯვარის სატყეო).

**დგნცხგშგა** – ბორცვი ლეგოგილეში (ლეშამუგე). რესპ.: „დგნცხგ დაბალი ტანის მცე-ნარეა ერთგვარი, ბუჩქად იზრდება“.

**დგრჩონი** – მინდორი წყავაშელას ხეობაში, თხინაიასა და წყავაშს შუა (მაგანას სატ-ყეო). **დგრჩე** ( ჯგრჩე ჯინჯი რჩე „ძირთეთრი“). ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკო-ნის“ მიხედვით, დგრჩე, ანუ ჯგრჩე, იგივე ლაჰავაჯაა. მეგრულში აღნიშნავს უცუნას (ე.ი. ძირბოლქვიან მცენარეს, რომელიც ხახვს ჰგავს). რესპ.: „**დგრჩე** პრასის მსგავსი ბალახია, საქონელს ვნებს“. სხვა რესპ.: „**დგრჩე** — მომწამლავი ბალახია; ხმარობენ ძაღლის მოსანამლავად“. გ. როგავას მოსაზრებით, ზანურს ახასიათებს დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია, რის გამოც ჯგრჩე ვერ მოგვცემდა დიორჩეს. მამასადამე, მეგრ. დურჩე\* დგრჩე დირჩე ჯირჩე (როგავა, იკე, XI, გვ. 68). შდრ. დგრჩე დუდი რჩე „თავთეთრა“.

**დგრცხონი** – საძოვარი, მინდორი ცხიმურსაბარგოდან ყვირასაკენ მიმავალ გზაზე, ვეჭფეს სიახლოვეს (მაგანას სატყეო). რესპ.: „**დგრცხგ** ეკლიანი ბალახია“; „ათაქი ირდუუ ქუცამ ტყა. ეთინა რე **დგრცხგ**“.

**ევიარზენი** „ევიას ვაკე“ – ვაკე ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ქალაქის ცენტრში. აქ უნინ ბაზარი და დუქნები ყოფილა (წალენჯიხა). ევია გვარსახელიცაა და პირსახელიც.

**ევიამ ნაკარუ** – საძოვარი სქურში (სქურის სატყეო).

**ეგნატე ფიფიამ წყურგილი** – საუბნო წყარო აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახლთან (ჩქვალერი). ზ. ფიფია: „მარუაშვილმა ყვირას ერთ-ერთ კარსტულ ჭაში სპეციალური ხსნარი ჩაასხა და ამ წყაროში იჩინა თავი“.

**ეგნატემ წყურგილი** – წყარო ნაშონში, 100 წლის ეგნატე შონიას ეზოში (კუხეში).

**ეგრისი** – სამეგრელოს ისტორიული სახელწოდება. „სატომო სახელ ეგრისაგან ეწოდა კოლხეთის გარკვეულ ტერიტორიას ეგრისი, ხოლო ეგრისის მაცხოვრებლებს – მეგრელი“ (ჯანჯღავა, 2009, გვ. 36); „მეტად სარწმუნოა ზვიად გამსახურდიას აზრი, ეგრისის სახელწოდება მომდინარეობდეს ორფეოსის მამის ეგრის სახელისაგან“ (იქვე, გვ. 37). 1989 წელს გამოცემულ გამოკვლევაში თ. მიბჩუანი წერს: „რაც შეეხება თვით გეოგრაფიულ სახელწოდებას „ეგრისი“, ჯერჯერობით მისი ეტიმოლოგია დადგენილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მასზე არა ერთ მეცნიერს გაუმახვილებია ყურადღება“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 157). მ. ჩუხუას შენიშვნა: **ეგრ**-ისი **ეგურ**-ისი. „ქართლის ცხოვრებაში“ ეგურ-ი იგივე ენგურია.

**ეგრისის ქედი//ოდიშის ქედი//სამეგრელოს ქედი** – კავკასიონის მთათა სისტემის სამხრეთი გვერდითი ქედი. გადაჭიმულია მდ. ენგურიდან მდ. ცხენისწყლამდე, სამეგრელო-სვანეთის ბუნებრივი საზღვარი. სიგრძე 62 კმ. სიგანე 37 კმ. ქედის უმაღლესი მწვერვალია ჭითა გვალა (3226 მ). ისაკ ქარდავამ ეგრისის ქედს სამართლიანად უწოდა „კოლხეთის ბუნებრივი შუქურა“ (ქარდავა, 2013, გვ. 96). სპეციალისტის მოსაზრება: იხ. ბ. გერგედავა, ეგრისის ქედი, აია, 7, 1999, გვ. 195-196.

**ევემ ნადიხ** – თხმელნარი ლეჩიეში, ნაოხვამუს დას. კალთაზე (კუხეში).

**ევემ ნაკარუ** – მწყემსის სადგომი და საძოვარი ნოქუჯინეში. ევემ ქარდავა, მწყემსი და მეჯოგე, მდგარა ამ ადგილას თავისი საქონლით (ჯვარის სატყეო).

**ეთემ ნაკარ(გ)** – საძოვარი წვეშის სათავესთან. ეთემ კვარაცხელიას აქ ედგა მწყემსის სადგომი, ე.ი. კარე (მაგანას სატყეო).

**ეთემ შონიამ ნოხორი** – ნასახლარი ჭაშკარეში (ფახულანი)

**ეიცი** – ენგურის შენაკადი. იგივე **ეცი** (ხუდონის სატყეო). რესპ.: „მდინარეს სინამდვილეში ეწოდება ეცი, ხოლო ეიცი იშვიათი ვარიანტია“.

**ეკოლ(გ)** „აღმართი, ასასვლელი“ – ნაგზაური ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ლენულაიეს ფერდობზე. ქვემო მაზანდარიდან მიემართებოდა ზემო მაზანდარისაკენ (მაზანდარა).

**ეკოლგში წყურგილი** – წყარო ეკოლში (მაზანდარა).

**ეკოხ** „აღმა, აღმართი, ზემოთ“ – ტყე-ფერდობი ინწირას მარჯვ. მხარეს, ლენულაიეს ჩრდ.-დას. ნაწილში (კუხეში). ალ. ქობალია: „ეკოხ — ზევით, აღმა“. შდრ. დეკოხგ.

**ეკურკუცია სუკი** – მრგვალთავა ბორცვი ლანჯიშში (ფახულანი). ეკურკუცია თავისთავადაც ნიშნავს ამობურცულს, მრგვლად ამალღებულ ადგილს. სუკი „ბორცვი“. რესპ.: „ეკურკუცია რე დო კურკუცია სუკი ჯოხო“. ო. ქაჯაია: „**ეკურკუცია** – კონუსისებური ადგილი; ფერდობი“. ალ. ქობალია: „**ეკურკუცელი** – აბურცული, აკოკოლავებული“; „**ეკურკუცია** – კონუსისებრი, შემალღებული ადგილი; ეული ბორცვი (ვაკეზე)“. შდრ.: კურკუცა.

**ელახონი//ელახ(გ)შე** – ცხენისწყლის მარჯვენა მხარის ტერიტორიას უწოდებენ ლაკადელები – წალენჯიხისა და ჩხორონყუს რაიონების მცხოვრებნი. **ელახგშე**, ე.ი. აღმოსავლეთით, მზის ამოსვლის მხარეს, მდებარეობს: სენაკი, ნოქალაქევი, ბანძა, მარტვილი, ცხენისწყალი, ტალერი და სხვ. (ჩანერილია სოფ. ნაგურუში). **ელახონი ბორია**, ანუ განიმ ბორია, მთიან სამეგრელოში ეწოდება აღმოსავლეთის ქარს. რესპ.: „ელახონარეფი დურდინს თქუნა აფხაზამ ძეგერიმ მანგიორო“. **ელახ(გ)** – აღმოსავლეთი, ზემოთი, მზის ამოსვლის მხარე; **ელახონი** – ზემოური, აღმოსავლური; **ელახ(გ)შე** – აღმოსავლეთიდან, აღმოსავლეთისა, აღმოსავლეთით. ი. ყიფშიძე: „**ელახუ, ელახგ** – აღმოსავლეთი“. ო. ქაჯაია: „**ელახონი**

– ზემოური, აღმოსავლური; **ელახონური** – ზემოური, აღმოსავლური“. აღ. ქობალია: „**ელახონი** – აღმოსავლეთი“.

**ელახონი ტყაბედინერი** – ტყაბედინერის აღმ. ნაწილი (ხუდონის სატყეო). **ელახონი** „იქითა, განზე მდებარე; აღმოსავლეთისა“.

**ელახშე** „აღმოსავლეთით, აღმოსავლეთისაკენ“ – აღმოსავლეთით მდებარე. იგივე ელახონი (ნაგურუ).

**ელიზბარიშ ნადის(გ)** – ვაკე-სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში (ლექაკულე).

**ელისპირიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ჟიმოლენ სამეცხიოში. ელისპირი ქალის სახელია (სამეცხიო).

**ელისპირიშ წყურგილი** – წყარო. ნაოჩხვარღალის სათავე (სამეცხიო).

**ენგური** (ადგ. ვარიანტი: ინგური, ინგირი) – ერთ-ერთი დიდი მდინარე დას. საქართველოში. სიგრძე 213 კმ. იწყება მესტიის მუნიციპალიტეტში (სვანეთი), გაივლის კოლხეთს წალენჯიხის, ზუგდიდისა და გალის რ-ნების ტერიტორიაზე. ერთვის შავ ზღვას ანაკლიასთან (იხ. ქსე, ტ. IV). არქანჯელო ლამბერტი კოლხეთის მდინარეებთან დაკავშირებით წერს: „ჩვენ ჩამოვთვლით აქ მხოლოდ იმ მდინარეებს, რომელნიც გამოდიან კავკასიის მთებიდან, გაივლიან კოლხეთს და შეერთვიან შავ ზღვას. უმთავრესი და ცნობილი არიან: **ფაზისი, ცხენისწყალი, აბაშა, ტეხური, ხოფი, ჭანისწყალი, ენგური, ხეთი, ოქუმი, ეგრისი, მოქვი და კოდორი...**“ (ლამბერტი, 1991, გვ. 158); „ჭანისწყლის შემდეგ მოსჩანს ენგური, რომელიც უნდა იყოს ძველთა ასტელეფოსი. აგრე ვფიქრობ ორი მოსაზრებით: ერთი – რომ არიანე უჩვენებს ასტელეფოსს სწორედ ჭანისწყლის სიახლოვეს და მეორე – რომ შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა, რასაც ბერძნულად ნიშნავს სიტყვა ასტელეფოსი. ენგური ჩამოდის დიდის სისწრაფით სვანეთის მთებიდან.“ (იქვე, გვ. 163).

როგორც ცნობილია, გეოგრაფიული სახელწოდებანი ეგრისი და ეგრისწყალი ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოშიც და საინგილოშიც, სადაც მდინარეს ეწოდება **ეგრიჩაი**. ს. ჯიქიას მოსაზრებით, ხომალდ „არგო“-ს სახელი უნდა მომდინარეობდეს კოლხთა სამკვიდროს **ეგრისი//ავრისი//ავრიში//ავრ** სახელიდან. ეს მოსაზრება გაიზიარეს შ. ნუცუბიძემ, აკ. ურუშაძემ, თ. გამყრელიძემ... არაა გამორიცხული, **ეგრ-, აგრ-, არგ-** ფუძესთან იყოს დაკავშირებული არაგვის სახელწოდებაც (იხ. აბაშიძე, 1986).

ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დასახელებულია **ეგური** და ნათქვამია, რომ იგი „გამოსდის... სუანეთსა და ოდიშს შორის კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მიერთვის ზღუას ანაკრიას“ (ასს, 1973, გვ. 799). მაგრამ აქვეა აღნიშნული, რომ „წალენჯიხის ჩრდილოთ დის მდინარე ეგური“, რაც მოკლებულია სიზუსტეს. ენგური მიედინება წალენჯიხის დასავლეთით (თუმცა კი სათავეს იღებს სამეგრელოს ჩრდილოეთით). ამ მდინარის მარჯვ. და მარცხ. მხარეს მდებარეობს მესტიის, წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების მრავალი სოფელი. ზოგი მკვლევარი ენგურს აიგივებს საისტორიო წყაროების ერისწყალთან, ეგრისწყალთან, ოხოჯასთან ან ლალიძგასთან. სხვა მოსაზრება: „ენგური ეწოდება“, რადგან მდინარე ჩამოედინება მაღალი და თოვლიანი მთებიდან და მთელი წლის განმავლობაში იკვებება ცივი და მღვრიე თოვლის წყლით... ამიტომ მას შეერქვა ცინგური „ცივი ნაქი, შრავი“. ასე გაუგია ამ მდინარის სახელწოდება ი. ყიფშიძეს. სხვა მოსაზრებით, ინგირისათვის ამოსავალია არა **ცინგური**, არამედ „**ცინ-რგილი**“. მ. კვირტია უფრო დამაჯერებელს უწოდებს შ. ნუცუბიძის მოსაზრებას, რომ „ბერძნულ და კოლხურ მითოლოგიაში იგრი იყო მდინარის ღვთაება“ (კვირტია, 2001, გვ. 254). მართლაც: შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, „ენგური“ მომდინარეობს წარმართული ღმერთის – იგრი-ს (ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთისა და სიცოცხლის საწყისის) სახელისგან (ნუცუბიძე, 1945, გვ. 90). საისტორიო წყაროებში დასახელებულ ეგურს მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის გარდამავალ ფორმად ეგრიდან ენგურამდე (ბერაძე, სიმკ, IV, № 17, გვ. 601). მკვლევართა მეორე ნაწილმა „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებული გეოგრაფიული სახელი „ეგრითგან“ არაგვად ჩათვალა. ამ გასწორებას ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანი უწოდა. სხვანი იმასაც ამტკიცებენ, რომ „ეგრი“ გავრცელებულია აღმ. საქართველოსა და საინგილოში როგორც ტოპო-

ნომენი. სერგი ჯიქიამ ხომალდ „არგოს“ სახელი კოლხური წარმომავლობის სიტყვად მიიჩნია. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს შ. ნუცუბიძემ, აკ. ურუშაძემ, თ. გამყრელიძემ. ი. ყიფშიძე ერთგან აღნიშნავს, რომ შარდენი ენგურის ნაცვლად ასახელებს „ლანგური“ ფორმას. მაგრამ სინამდვილეში შარდენის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში“ (თარგმანი ვასილ ბარნოვისა) დასახელებულია „ენგური“: ტექსტი ასეთია: „შუალამე იყო, როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედით. ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. ეს სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია“ (შარდენი, 1975, გვ. 7). ზ. კიკნაძე თვლის, რომ შუმერულ მითოლოგიაში ენგური მამრის სიმბოლოა, ფალოსური სანყისია, რომელიც მსჭვალავს ზღვას, ანაყოფიერებს ყოველივეს. აქვე მოგახსენებთ ერთი ჩებოქსარელი მკვლევრის „მიგნებასაც“: სახელწოდება **ინგური** წარმოქმნილია ძველთურქული სიტყვიდან **ანგ** „გასასვლელი, სიგანე, განიერი“ და -ურ// -ვარ „ლიობი, შესართავი, ბარი“ (კორნილოვი, 1984, გვ. 97-98). წარმოვადგენთ კიდევ ერთ მოსაზრებას: „შუმერულად **ქადინგირ** ნიშნავს „ღვთის ჭიშკარს“. სიტყვის მეორე კომპონენტი **ინგირ-**. ეს **ინგირ-//ენგურ-** შუმერულ მითოსში დამოუკიდებელი სახითაც გვხვდება“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 299).

მდინარე ენგური ქ. ჯვარის ზემოთ გადაკეტილია უმაღლესი კაშხლით, რაც ქმნის ჯვარის წყალსაცავს. ეს კაშხალი მსოფლიოს თაღოვან კაშხლებს შორის (271,5 მ) სიმაღლით ერთ-ერთი პირველია, სიგანე 728 მეტრი. ენგურჰესი შენდებოდა 1961-1978 წლებში. 2015 წელს ენგურჰესის თაღოვან კაშხალს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

**ენწერი** „ენწერი“ – ვაკე-ბორცვი, ჩაის ფართობი სქურჩას მარჯვ. მხარეს (ლეჯოლი-ხე). ენწერი მთიან სამეგრელოში ნიშნავს მწირ, უმოსავლო მიწას, როგორცაა, ჩვეულებრივ, მაღლობები, ხოლო ვაკე სამეგრელოში – დაბალ, წყლიან ადგილს, ან ისლნარ-ჭაობი-ანს. რესპ.: „ენწერი უნაყოფო, გვიმრიანი ადგილია, ხოლო დობერა – უხემცენარო დაფერდება ან ფერდობის ძირები“. შდრ.: ეწერი (ქეგლ, ტ. 3; ქსე, ტ. 4). ო. ქაჯაია: „**ენწერი** – ეწერი, მაღალი, მწირი და მცირეშემოსავლიანი ადგილი“; ალ. ქობალია: „**ენწერი** – ეწერი, მცირე ბუჩქნარით, ახალამონვერილი ტყით დაფარული ველი; უნაყოფო მიწა“.

**ენწერი** – ვაკე-მაღლობი, ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფი, სადაც მდებარეობს სოფლები ეწერი (ჯვარის საქალაქო ადმ.-ტერიტორიული ორგანო) და პირველი ეწერი (ყოფილი ორჯონიკიძე), აგრეთვე საჩინოსა და მაზანდარის ნაწილი. (ისტორიული სახელწოდება: „სააფაქიო ეწერი“). რესპ.: „ენწერი გვიმრიანი, მწირი, უნაყოფო ადგილია, ხოლო დობერა – ნოყიერ-უნაყოფიერი ფერდობები ან მთისძირები“. ზ. ჭუმბურიძე თვლის, რომ ეწერი გამოფიტულზედაპირიანი მწირი ნიადაგია. ალ. ქობალია: „**ენწერი** – ეწერი, მცირე ბუჩქნარით, ახალამონვერილი ტყით დაფარული ველი; უნაყოფო მიწა“.

**ენწერია** – 1. ბორცვი ოჭანეში (ჯვარი); 2. სახნავი ფუისქურის მარცხ. მხარეს, ფერდობის ძირში (ლეკაკულე); 3. ორგან ეწოდება სოფელში: ა) დასახლებულ ბორცვს წალენჯიხა-ლეჯოლიხეს საავტ. გზაზე, ოკიბოლღალსა და სამართალას შუა; ბ) ბორცვი ტყე-ბუჩქნარით კაკაურიასა და ნაკარუს შუა, ლელვინჯილეში. უწინ საძოვარი ყოფილა (ლეჯოლი-ხე) და სხვ. მრ.

**ენწერია//ენწერიაშ სუკი** – დაბალი ბორცვი ლებოხასა და საცხადაიოს შუა. რესპ.: „ენწერია არის უნაყოფო, გვიმრნარი ან ჭანჭრობიანი ადგილი“ (ზ. ლია).

**ენწერიაშ სუკი** – დაბალი ბორცვი. იგივე ეწერია (ზ. ლია).

**ენწერიშ ათოლ(გ)** – აღმართი სოფლის ვაკე ნაწილიდან ეწერში მიმავალ გზაზე. **ათოლ(გ)** – ფერდობის დასაწყისი, ბორცვის წინა, დაბალი კალთა, ასასვლელი, მცირე აღმართი (საჩინო). ალ. ქობალია: „**ათოლი** – აღმართის დასაწყისი; ქვემოდან მოსავლელი, ქვეშ შესასვლელი (იგივეა, რაც ათალი)“.

**ერასტოშ ღალ(გ)** – ღელე, გორტყილის მარჯვ. შენაკადი. ერასტო მიქავა ამ ღელის სათავესთან ესახლა (წალენჯიხა).

**ერასტუშ ნაკარუ** – მიტოვებული კარე „სადგომი“ და საძოვარი ნოყუჯინის სამხრით (ჯვარის სატყეო).

**ერაშ ნაკარუ** – საძოვარი ნოყუჯინეის ჩრდ-ით (ჯვარის სატყეო).

**ერაშ ნყურგილი** – წყარო გზისპირას, ლარანყარის მარჯვ. ნაპირას, ერა მიქავას ეზოს გვერდით (ლარა).

**ერვას წყარო** – წყ. ფახულანში (ლლონტი, 1971, გვ. 60).

**ერვამ ნყურგილი** – 1. წყარო ლეღვინჯილეში, ნკვიბლალის ნაპირას (ლეჯოლიხე); 2. წყარო და მცირე ლეღე სქულუბურის მარჯვ. ფერდობზე. ერთვის ჩვახემ ღალს (ფახულანი); 3. წყარო ლეჭანტურეში, ნახაჯსა და ნაისგრს შუა. წყარო ერვას – ქვრივი ქალის – ეზოში კლდიდან გადმოედინება (ჩქვალერი).

**ერთიში** – ტყე-ხეობა ერისწყლის სათავესთან, ოხაჩქუეს ჩრდ.-დას. კალთაზე (ფახულანი, ჭალეს სატყეო). სავარაუდოა: ერთიში „ერთისი“, სადაც ერთი (და ერიც) პირსახელ ქვეთიმეს (მეგრულში **ერთუმე, ერთიმე**) შემოკლებული ფორმაა, ხოლო **-იშ** (მდრ. ქართ.: -ის) გამოხატავს კუთვნილებას. **ერთიშიდან** გამდინარე მდინარეს სამურზაყანოში ეწოდა **ერთიშწყარი ერწყარი** (ქართ. ვარიანტი: ერისწყალი).

**ერთიშწყარი//ერწყარი** – მდინარე. იხ. ერთიში (ფახულანი).

**ერისტუმ ნაკარუ** – მიტოვებული სადგომი და საძოვარი ნოყუჯინეის ჩრდ-ით (ჯვარის სატყეო).

**ერისწყალი** (ადგ. ვარიანტი: **ერწყარი**) – მდინარე სამურზაყანოში. სიგრძე 75 კმ. გაედინება ერთიშიდან, რაც ტაფობია ოხაჩქუეს კალთაზე. ზემო წელზე ქმნის გალისა და ნალენჯიხის რ-ნების საზღვარს. ერთვის ოქუმს მარცხ. მხრიდან ზედ ზღვისპირას. სავარაუდოა: ერთიში ერთიშწყარი ერ(ი)წყარი ერისწყალი (გაქართულებული ვარიანტი). რედაქტორი სვამს ასეთ კითხვას: „ხომ არ ვიგულისხმობთ: ეგრ-წყარი ერწყარი“ (სათავე აქვს ფახულანის ადმ. ერთეულის ტერიტორიაზე).

**ერისწყალი//ხულოური** – ერქვა ენგურჰესის მშენებელთა სოფელს ერისწყლის ნაპირას, ხულოურში. ტერიტორიულად შედიოდა სოფ. ფახულანში, ადმინისტრაციულად კი - მუჟავას სოფსაბჭოში (მუჟავა).

**ერიშ კარე//ერიშ ნაკარ(გ)** – საძოვარი სქურში. აქ იდგა მწყემსი ერი ქარაია (სქურის სატყეო).

**ერიშ ნაკარ(გ)** – საძოვარი. იგივე ერიშ კარე (სქურის სატყეო).

**ერიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ლეზარქუეში. ერი ზარქუა ამ მორევის გვერდით ესახლა (მაზანდარა).

**ერი(ი)წყარი** – მდინარე. ერისწყლის ვარიანტი. იხ. **ერისწყალი** (ფახულანი).

**ერმინემ ნაკარუ** – ფერდობი ლეჭამაკას მარცხ. მხარეს. აქ იდგა მწყემსი ერმინე არქანია (მუჟავა).

**ერმინემ ნოხორი** – სახნავი საგერგედოში, შამგიაშ ნოხორისთან (ფახულანი).

**ესამ ნყურგილი** – წყარო, რთხინამ ღალის სათავე. წყარო **ესა** სალიას მიწაზე მდებარეობდა (ლესალე).

**ესკედა//ესქედა//ესქეცა** – სარიტუალო გორა ჭანისწყალსა და ინწირას შუა (ლარა, მეღანი). რესპონდენტთა განმარტებით, **ესქედა, ესკედა** საქონლის ღვთაებაა. მას შესთხოვდნენ საქონლის დაცვა-გამრავლებას: „აქ სალოცავი ურთხელი მდგარა. ძროხის პირველი ნაწველიდან ყველს ამოიყვანდნენ, აქ ამოიტანდნენ, ღმერთს, ესქედა ხორციელს, შესთხოვდნენ კაცისა და საქონლის სიჯანსაღეს, დაილოცებოდნენ და აქვე შეჭამდნენ... ამის შემდეგ შეიძლებოდა ოჯახში ამ ძროხის რძის გამოყენება“. აქვე ხდებოდა ე.წ. „დაფიცება“ (როცა ვინმეს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მართალია). აღ. ქობალია: „**ესკედა, ესქედა** – შვილიერების მომნიჭებელი ღვთაება“. იხ. აგრეთვე: ქობალია, **ისკიოდა**, გვ. 350).

**ესტატემ ნაყუღუ** – ნასახლარი. იგივე **ესტატემ ნოხორი** (ლესალე).

**ესტატემ ნოხორი//ესტატემ ნაყუღუ** – ნასახლარი დობერალალის ნაპირას. ესტატე სალიას ნასახლარია (ლესალე).

**ესტატემ ნყურგილი** – წყარო. იხ. საირემე (პ. ეწერი).

**ესქედა** – 1. წვრილთავა ბორცვი კაკილიშ ღალის სათავესთან (ლესალე); 2. მაღალი გორა, უბანი ოლორის მარჯვ. მხარეს. იშვიათი ვარიანტი : ისქედა (ფახულანი). რესპ.: „აქ



ყოფილა საქონლის სალოცავი. გორაზე მდგარა ძველთაძველი მუხა-ღვთაება, რომელსაც ერქვა **ჟინიმ ოხვამერი** „ზენას სალოცავი“. „ესქედა ხორციელი...“ – ასე იწყებდნენ მიმართვას ქალები და შესთხოვდნენ ვაჟიშვილის შეძენასა და საქონლის დაცვა-გამრავლებას. მომლოცველნი იყვნენ გოგონები, გერგედავები, გურუები, კუკავები, შონიები“ და სხვ. რესპ.: „ესქედაშ ხვამა ულუდეს ყველიერიშ დოპირუას, ფრევალიშ თანაფამ ნოხლე 48 დღას...“ საკლავს არ კლავდნენ, მუხაზე იყო ჯვარი მიჭედებული... გვარიდან უფროსები მოდიოდნენ და „იხვამანდეს“: „ესქედა ღორონთი, ქომ(უ)ჩითია სქანი ტიბინი საქონელი დო თერთიშე. თერთი ქონება რე“ (შდრ. აღ. ქობალია: „თერთი – თერთი, ვერცხლის ფული“). სხვა რესპ.: „ძროხა რომ მოიგებს ხბოს, პირველი ნანველიდან ყველს რომ ამოიღებენ, კვირა დღეს გამოაცხოებენ ხაჭაპურს, ავლენ ესქედას გორაზე, ფართო ბრტყელ ქვაზე აანთებენ სანთელს და იტყვიან: ღმერთი შეენიოს ჩვენს ოჯახსა და საქონელს, ზიანი არ მომხდარიყოს... ბოლოს იქვე შეჭამდნენ ხაჭაპურს. ამის შემდეგ თავისუფლად შეიძლება ძროხის რძისა და მანვნის გამოყენება“ (იხ. ვრცლად: აღ. ქობალია, 2010, გვ. 285, 350). შდრ. ტოპონიმი „ყველიერი“.

**ესქეტა//ესქედა** – სარიტუალო გორა. იგივე **ესკედა** (ლარა, მედანი).

**ეფსაიამ წყუ** – წყარო კუკლაიამ გასთან. აქაა ღელე ოხარკალუს სათავე. აქვე ესახლა გვარად ეფსაია (ღეშამუგე).

**ეფსიეფიმ ოჩაიე** – 1. ჩაის ფართობი ოტოფუეს ხეობაში. ეფსიები უნინ აქ ესახლნენ (ფუქი); 2. ჩაის ფართობი შქაგას სამხრ-ით (ღეჯოლიხე).

**ეფსიეფიმ ტომბა//ძღაბეფიმ ტომბა//ზაგულიშ ტომბა** – საბანაო მორევი ჭანის-წყალზე, საავადმყოფოსთან (ნალენჯიხა). ეფსიები აქვე ცხოვრობენ. ძღაბეფში, ე.ი. გოგონებში, ძირითადად იგულისხმება საავადმყოფოს თანამშრომელი ქალები. ზაგული ეფსია აქვე ესახლა.

**ეფსიეფიმ ღალ(გ)** – ღელე-ხევი. იგივე კალანდიეფიმ ღალ(გ) (ნალენჯიხა).

**ეშმაკიმ წისქვილი** – ნანისქვილარი. იგივე ოქაჯემ წისქვილი (უბადოლალი).

**ეშნაბოგა** – საძოვარი მაგანას მარცხ. მხარეს, ლეგთომლეს ზემოთ (ჯვარის სატყეო). **ეშაბოგუა** „ძელებისაგან ჯარგვლის აგება“ **ეშნაბოგა** (ნა - ა პრეფიქს-სუფიქსიანი ნამყოს მიმღობა).

**ეცი** – ღელე-ხეობა, ენგურის მარჯვ. შენაკადი ხუდონის ჩრდ-ით. მოედინება აბქვაცის მთიდან. იშვიათი ვარიანტი: **ეიცი** (ხუდონის სატყეო). შდრ. „ეცი — მდ. ჯვარის სს.“ (ღლონტი, 1971, გვ. 60).

**ეციშ ხინჯი** – ხიდი ენგურზე, ეცის შესართავს ქვემოთ. ეს ხიდი ნასოფლარ ხუდონს აკავშირებდა ეცის ხეობასთან. ამიტომ დარქმევია (ხუდონის სატყეო).

**ეცმემ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ნაგამინჯუში, ოტოფუეს ხეობაში. ეცმე (მამაკაცის სახელია) გაბელია აქვე ესახლა (ნაკიფუ).

**ენერი** – სოფელი ჯვარის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ჯვარი-ნალენჯიხის გზაზე. შედიოდა ვრცელ ვაკე-ზეგანში, რასაც ეწოდებოდა ენერი (ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფზე). შედიოდა ჯვარის სოფ. საბჭოში. შდრ. „ენერი — ს., ჯვარის სს., ნალენჯიხის რ.“ (ღლონტი, 1971, გვ. 60).

**ენერი მეორე** – ეწოდებოდა სოფელს, რომელიც 1930 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით შედიოდა ლიის სას. საბჭოში (იხ. პირველ ნაწილში „ენერის ადმინისტრაციული ერთეული“).

**ენერი პირველი** – ეწოდებოდა სოფელს, რომელიც 1930 წლის ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში (იხ. პირველ ნაწილში „ენერის ადმინისტრაციული ერთეული“).

**ენერფერდი** – სოფელი ჭალეს ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ეხაბანუ** – ჩასახერგი გზაზე. იგივე გეხაბანუ (ჯვარის სატყეო).

**ეხელე//ღეხელე** – ტყე-ღრანტეები ოლორის მარცხ. მხარეს, საქაროს დას. ფერდობზე. აქ ორი ხეგია: **ჭიჭე ეხელე** და **დიდი ეხელე** (ჭველე). რესპ.: „**მეხელე** ( „ხელოსანი, მოხელე...“) არაფერ შუაშია. აღმართი იყო და მხოლოდ ხელმოსაკიდით თუ ავიდოდნენ.

ამიტომ დარქმევია ეხელე“. საერთოდ, სახელდების მისაღები მოტივაცია და სემანტიკა ვერ გაირკვა.

**ეხელეშდული** – კლდე-ფერდობი დიდი ეხელესა და ჭიჭე ეხელეს სათავესთან, ერისწყლის მარცხ. ნაპირას (ჭველე).

– 3 –

**ვათამ რზენი** – ვაკე-სახნავი ლექურსუეს გორაზე (ლესალე).

**ვათამ ღორე** – წყარო. იხ. **ვარჩხილ(იშ)წყარი** (ფახულანი).

**ვათამ წყარი** – წყარო. იხ. **ვარჩხილ(იშ)წყარი** (ფახულანი).

**ვალთამ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, კოლიამ ტომბას ქვემოთ. აქვე ცხოვრობდა ექიმ-გინეკოლოგი ვალია ნაჭყებია (წალენჯიხა).

**ვალკომ ღალ(გ)** – ღელე ნარაგუში. ვალიკო (პირსახელია) აქვე ესახლა (ქალაღალი).

**ვალოდიაშ კარე** – საძოვარი ლეფიეში, მაგანას მარჯვ. ნაპირას (მაგანის სატყეო).

**ვალოდიაშ ნოხორი** – ბუჩქნარი ლეღვინჯილეში, ვალოდიაშ სუკზე (ლეჯოლიხე).

**ვალოდიაშ სუკი** – ბორცვი ლეღვინჯილეში, გუკიამ ნოხორის გვერდით (ლეჯოლიხე).

**ვანომ ღალ(გ)** – 1. მცირე ღელე-ნაკადული კანთში. ჩამოედინება ლაკადას ფერდობიდან და მიემართება ოხოჯურისაკენ. გაედინება ვანოს ეზოში (ლეთკანთი); 2. ღელე, მულურონღალის მონაკვეთი. გაედინებოდა ვანო ცხადაიას ეზოში (ჯვარი).

**ვაჟიაგა** – ბორცვი, სასაფლაო საარქანიოში, ოლორსა და ბოკისქურს შუა (მუჟავა). ვაჟია პირსახელი უნდა იყოს. შდრ. **ვაჟია** – სინნას შენაკადი ქ. ზუგდიდში.

**ვარლამიშ ნოხორი** – 1. ხეხილნარი მახასქურის მარცხ. მხარეს, ონწიშის კალთაზე (მუჟავა); 2. ნასახლარი უჩა გოთეს სამხრ. ფერდობზე (ფახულანი) და სხვ.

**ვარჩხილ(იშ)წყარი** „ვერცხლის წყალი“ – წყარო სქულუბურის სათავესთან (ფახულანი). რესპ.: „კლდიდან გადმოდის. ზამთარში თბილია, ზაფხულში – ძალზე ცივი. ამ ღარ-ქვეშ ტანს ვიბანდით, არ იმღვრევა. თანაც ძალზე სუფთა, კამკამა წყალია. ამიტომ ჰქვია ვერცხლის წყალი. მდებარეობს ვათას ეზოში და, შესაბამისად, დარქმევია ვათამ წყარი და ვათამ ღორე“; სხვა რესპ.: „ოკანკალაია წყარი რდგ, ველანდლუუდუ, თიშენი გივოდვით ვარჩხილ(იშ) წყარი. ღორე მემდგდეს დო ტანს იბომდით“. ანკარა წყარო კლდიდან გამოედინება გერასიმე გოგოხიას ეზოში. ამიტომ ზოგნი **გერასიმეშ წყურგილსაც** უწოდებენ. შდრ. ტობავარჩხილი.

**ვასილიშ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ნანისქვილარის პირდაპირ (კუხეში)

**ვასილიშ წგმეიანი** – ჩაის ფართობი ლეძაძამეში, ვასილ ძაძამიას ეზოს გვერდით. **წგმეიანი** „წინ მდებარე“ (პ. ენერი).

**ვასილიშ ნოცუნეი** – სახნავი ქორსუსთან (ჩქვალერი).

**ვასიშ ნაყვან(გ)** – მინდორი ნაჭარხალის გვერდით, მთის კალთის ტაფობზე (მედანი).

**ვატამ ნოხორი** – ჩაის ფართობი ოყაყალეს მარჯვ. მხარეს, ნაგურუს საზღვარზე (ჩქვალერი, ნაგურუ).

**ვატამ სხულონი** – მსხალნარი ვატამ ნოხორთან. ვატა მამაკაცის სახელია (ნაგურუ).

**ვალურიაშ წყურგილი** – წყარო და მცირე ღელე ლესალეს უბანში. ერთვის დობერაღალს. ვალურია („უკვდავა; სიკვდილს გადარჩენილი“) მამაკაცის პირსახელია (ლესალე).

**ვაჭარეფიშ ობონუე** „ვაჭრების საბანაო“ – მორევი ჭანისწყალზე (ჯგალი).

**ვახთამ(ი) სუკი** (ვახთას//ვახტანგის მალლობი) – მალლ. მიქავაში (ღლონტი, 1971, გვ. 61).

**ვახტამ ნოხორი** – სახნავი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, ბარცხვანღალის ხეობაში. ვახტა ვახტანგი (ნაშამგუ).

**ვე(ი)შჯინჯი** – ვაკე-ბორცვი. იხ. ვეჯინჯი (საჩინო, ლესალე).

**ვენეშ ნაოჭკად(გ)რ(გ)** – ერქვა ყოფილ სამჭედლოს წალენჯიხის პირველ ჩაის ფაბრიკასთან. ვენე ზარქუას აქ, საკუთარ სახლში, სამჭედლო ჰქონია. **ნაოჭკადგრე** ერქვა ნასამჭედლოვარებს საკალანდიოსა და სასარიოშიც (წალენჯიხა).

**ვენემ ტომბა//გუჯამ ტომბა** – მორევი ქანისწყალზე, საკალანდიოში. აქ ესახლნენ მამა-შვილი – გუჯა და ვენე თვალთვაძეები (წალენჯიხა).

**ვენემ წყურგილი** – წყარო ძაბეფიმ ტომბასთან. არ შრება. ცნობილია როგორც კარგი სასმელი წყალი. ვენე ჟვანია ამ წყაროსთან ესახლა (წალენჯიხა).

**ვერამ ნოხორი** – მინდორი და ბუჩქნარი ბორცვზე, ლანჯიშში, უჩა გოთეს სამხრ.-დას-ით. აქ ესახლა მარტოხელა ქვრივი ქალი ვერა (ფახულანი).

**ვერამ სუკი** – გორა. იგივე ნაკანტორიმ სუკი (ფახულანი).

**ვერამ წყურგილი** – წყარო. იგივე **ხუმლალგში წყურგილი** (პ. ენერი).

**ვერჩე** „ველთეთრი“ – 1. საძოვარი ბოგაშში, ხურჩას მარცხ. ნაპირას, ლაკადას თავზე. მოქცეულია სქინასქურისა და ჩოხომ ღალის შესართავს შუა (ლარა, ნაგურუ); 2. ტყე-საძოვრები ფურაშში, დიდსოროს სათავესთან (ხუდონის სატყეო); 3. საძოვარი. იგივე წელამონი (ჯგალი, ლეთკანთი) და სხვ. **ვერჩე** „ველთეთრი“ აღნიშნავს მცირე მინდორს ტყეში.

**ვე** (ველი) რესპონდენტთა განმარტებით, არის იგივე **ტალარი**, ე.ი. მზიანი მინდორი, სადაც ერთი ხეც არ დგას.

**ვერჩე//ღიდი ნაქობალგ** – მინდორი კვდას ფერდობზე, ჭიჭე ნაქობალის გვერდით (ჩქვალერი). რესპ.: „ვერჩე არის მცირე მდელო ტყეში, ნაქობალგ კი იმიტომაა, რომ ეთესა ქობალი „ხორბალი“. სხვა რესპ.: „ვერჩე უხონ ადგილი რე, ვაგიტახენ ფერი. გამიგონებუ: ვერჩეს ქიგმორაგუუა ი კორქე, მა ჯგგრი ოხონალი რდგნ მიჩქედუა“. აღ. ქობალია: „ვერჩე – თეთრი ველობი, სინათლიანი ადგილი ტყეში“.

**ვეჭგვე** „ვიწრო ველი“ – 1. საძოვარი ყვირას კალთაზე, კირნახონისაკენ მიმავალ გზაზე. აქ ერთგან ვიწრო და გრძელი ვაკეა (ჯვარის სატყეო); 2. საძოვარი წისქვილარას ზემოთში (სქურის სატყეო). რესპ.: „დაქანებული ვიწრო ველია ჩხვინდილულას კალთაზე, კლდის ძირას. მხოლოდ თხა-ცხვარი თუ ავა საბალახოდ. თავდაპირველად ალბათ ამ ვიწრო ველის სახელი იყო. აქვეა ბორცვი **ვეჭგვემ სუკი** და მღვიმე **ვეჭგვემ ფოქვა**“, ხოლო ვეჭგვემ ღალე წისქვილარას ერთ-ერთი მდგენელია. საერთოდ, ვე არის ველი; ღია, თავისუფალი ადგილი. უხეო ველობი ტყეში.

**ვეჭგვემ სუკი** – ბორცვი ვეჭგვესთან, ლღვაშიასა და წისქვილარას სათავეთა წყალგამყოფი (სქურის სატყეო).

**ვეჭგვემ ფოქვა** – მღვიმე ვეჭგვეს კლდეში (სქურის სატყეო).

**ვეჭგვემ ღალ(გ)** – წისქვილარას მდგენელი. ერთვის მიქამ კარესთან (სქურის სატყეო).

**ვეჯინჯი** „ველისძირი“ – 1. ვაკე-სახნავი სქინესქურის ნაპირას, ჯიმაგას ძირას (წალენჯიხა); 2. ვაკე-ბორცვი ინწირა-ლაჩხვათრას წყალგამყოფზე. უწინ აქ იმართებოდა ცეკვა-თამაშობანი, რაც შემდეგ ბორცვ ნასხაპუზე გადმოუტანიათ. ვარ.: ვე(ი)შჯინჯი (საჩინო, ლესალე).

**ვეჯინჯიმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი. იგივე ჯგალარეფიმ ოჩაიე (საჩინო, ჯგალი).

**ვიჩიმ გინალეფი** „ვიჩის გადანავარდნი (ადგილი)“ – კლდე-ფერდობი თხინას კალთაზე, პაპამ ცაცხვის გვერდით. აქ ყოფილა საცალფეხო გზა. „ვიჩი, ცხენოსანი, რომელიც თამაშებში მონაწილეობდა, ღამით კლდეზე დაცურებულა ცხენიანად. გადარჩენილან“ (ფახულანი).

**ვიციმ ნაკარუ** – ნაკარვალი ჩქვალერი-ქართლაშის გზაზე, ინწირას მარცხ. ნაპირას.. ვიცი ფიფია იყო მწყემსი სოფ. ჩქვალერიდან (ჯვარის სატყეო).

**ვლადიმერიმ(ი) ფერდი (ვლადიმერის ფერდი)** – ადგ. წალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 60).

**(ვ)ლადიმერიმ ჭანდარონი** – ერქვა ჭადრის ტყეს ოლებელალის სათავესთან. სახელწოდება გადავიდა აქ გაშენებულ ჩაის ფართობზე (სამესხიო). **ჭანდარი** ჭადარია.

**ზაგულიშ ტომბა** – მორევი. იგივე **ვესიფეიშ ტომბა** (ნალენჯიხა).

**ზაკალონა** „ზანარი“ – ბუჩქნარი ფუისქურის მარცხ. მხარეს, ზაკალონალის სათავესთან (მაზანდარა).

**ზაკალონი** – მცირე ხეობა ლაჩახვას მარჯვ. ნაპირას, უჩაქუას გვერდით (ფუქი).

**ზაკალონი** (საბზე) – ადგ. ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 61).

**ზაკალონფერდი//ნუზუმ ფერდი** – ტყე-ფერდობები ზაკალონალის სათავესთან (მაზანდარა).

**ზაკალ(ონ)ლალ(ე)** – ღრმა და ბნელი ხევი, ნოჟალას ერთ-ერთი მდგენელი. გაედინება ლექანთარესა და ლესამლეს შუა (ჯვარი, ლეშამუგე).

**ზანდალაკი** – კლდოვანი მთა ეგრისის ქედზე, დიდლალიშდუდის გვერდით, სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე (მაგანას სატყეო). აქვეა მთებით გარშემორტყმული ტბა **ტობავარჩხილი**, საიდანაც გამოედინება მცირე ლეღე, თუმცა კი ტბაში გარედან წყალი არ ჩაედინება. ზანდალაკში ამალღებულ ადგილს **ნაოხვამუს** უწოდებენ (ჭანტურია, 1989, გვ. 189-191). ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია ასეთი მსჯელობა: ზანდარაკი მიგვითითებს **ზან-** ფუძეზე, ე.ი. იმ ადგილებზე, სადაც „ზანების (ლაზების) და მეგრელების სამყოფელი იყო“ (სამუშია, 1990, გვ. 144). **ზან-**თან დაკავშირებული მოსაზრება კიდევ რომ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, რაღა დარჩენილი – **დარაკი?** შდრ. „**ზანდარაკი, რკინის ჯვარი** – უღელტეხილი ეგრისის ქედის დას. ნაწილში. სიმაღლე 2758 მ. ...შემოსილია სუბალპური და ალპური მდელოებით. ზანდარაკის უღელტეხილი აკავშირებს მდინარეების მაგანასა (ენგურის მარცხ. შენაკადი) და თხეიშის (ხაიშურას მარცხ. შენაკადი) ხეობებს“ (ქსე, 4, 1979, გვ. 481).

**ზანდარაკი//რკინის ჯვარი** – ზანდალაკის საენციკლოპედიო ვარიანტი. იხ. ზანდალაკი (მაგანას სატყეო).

**ზარანდიამ ქუა** – ლოდი ხუფაიას ნაპირას, საზარანდიოში (ლია).

**ზარანდიეფიშ ტომბა** – საბანაო მორევი ლეღე ხუფაიაზე, შქალიაში (ლია). რესპ.: „ბალანობას ტანიშ ობონგმა გილეფშითგ ათე ტომბაშა“.

**ზარქუეფიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ლეზარქუეში (ნალენჯიხა).

**ზარქუხემ წყურგილი//ზარხულიშ წყურგილი** – წყარო საბელქანიოში, ოკიბოლლალის მარცხ. ნაპირის ფერდობზე (ულურია). რესპ. კოსტა ბელქანიას გადმოცემით, „წყარო ქვრივ ქალ ზარქუხეს უპოვია დიდი ხნის წინათ და ამიტომ სწორი სახელწოდებაა ზარქუხემ წყურგილი, ხოლო ზარხულიშ წყურგილი „ზაფხულის წყარო“ გადააზრების შედეგია. იგი ზაფხულობით ხანდახან შრება კიდევ, რადგანაც ტყე გაკაფეს“.

**ზარხულიშ წყურგილი** „ზაფხულის წყარო“ – წყარო. იგივე ზარქუხემ წყურგილი (ულურია).

**ზედა ლეჟა//ჟინი ლეჟა** – ლეჟას ის ნაწილი, სადაც 1933 წელს ოთხწლიანი სკოლა გახსნეს. ამ სკოლას უწოდეს ლეჟას ოთხწლიანი სკოლა. ამის შემდეგ ტერიტორიასაც ზედა ლეჟა დაერქვა. ჟინი ლეჟა მეგრული ვარიანტია (ნაკიფუ).

**ზედა ლია** – სოფელი ლიას ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ზედა მაზანდარა//ჟინი მაზანდარა** – სოფლის ნაწილი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, ენერში, მაღლობზე. ჟინი „ზედა“ (მაზანდარა).

**ზედა ოზუჯი** – უბ. ნაკიფუს სს (ღლონტი, 1971, გვ. 61).

**ზედა ოჭკეში//ჟინი ოჭკეში** – უბნის ნაწილი. ოჭკეში საარჩევნო უბანს ეწოდებოდა. შემდეგ იგი ორ საარჩევნო უბნად დაიყო, ზედა ოჭკეშად და ქვედა ოჭკეშად. ზედა ოჭკეში ეწოდა ოჭკეშის ჩრდ. ნაწილს (ჭალე).

**ზედა საჩინო** – სოფ. საჩინოს ის ნაწილი, რომელიც ენერში, მაღლობზე, მდებარეობს. იხ. კუხეში (საჩინო).

**ზესქული** – ტყე-ფერდობი ზესქულიმ ღალის ხეობაში (ნაკიფუ).

**ზესქულიმ ღალ(გ)** – ღელე ინორზენაში, მეჯოგეთა სუკსა და გენძე სუკს შუა. ერ-თვის ინორზენაღალს (ნაკიფუ).

**ზინთკარი** – დავაკება ოჩიტოლის კალთაზე. ზედ 1 ჰა ქვიანი ადგილია (ჩქვალერი). რესპ. შ. ქარდავა: „როგორც ძველები გადმოსცემენ, აქ ყოფილა თემის სალოცავი და წმინ-და ადგილი. მახვამერები („მომლოცავნი“) იყვნენ ქუხილავები და ქარდავები. ერთგან ღი-დი ქვა დევს და მის ქვეშ, შეღრმავებაზე, აწყვია მაკრატელი, დანა და ჯვარი. გოლოფას (ე.ი. გვალვისას) ან ჭოროფას (ე.ი. გადაუღებელი წვიმიანობისას) აქ ტარდებოდა წვიმისა თუ ტაროსის გამოსანვევი რიტუალი. ამოდოდნენ სალოცავად, ხარსაც კი დაკლავდნენ შესაწირავად და ღმერთს შესთხოვდნენ წვიმას (თუ მზე აცხუნებდა) ან მზის სხივებს (თუ წვიმიანობა იყო)“. ზოგი რესპოდენტის გადმოცემით, ამ დავაკებას ეწოდება არა ზინთკარი, არამედ ჟინკარი „ზემოთა კარი“. საერთოდ, სოფელში ითვლებოდა, რომ ზინთკარი იყო „თემიმ ოხვამე“. შდრ. ალ. ქობალია: „**ზინდიკარი** – განსაჯრელი კარი; ადგილი, საიდანაც ჭაობები იწყება“. ეგნატე ფიფიას მონათხრობი: „აქ მოღვაწეობდა მღვდელი ბოდოკია როგავა. მისი ახლო ნათესავები იყვნენ ტერენტი გრანელის დისშვილები, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ. ზინთკარი კი თემის „ოხვამე“ იყო“.

**ზორყანიმ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ნოჟალაში. ზორყანი (პირსახელია) სამურზაყა-ნოდან ჩანს შემოსული და მეგრულში ზოგადად აღნიშნავს აყლაყუდა, ტლანქ, უბირ ადამიანს (ჩქვალერი).

**ზოსიმემ კვრდე** – კლდე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (საჩინო).

**ზოს(ი)მემ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, ნოლაში (ლექაკულე).

**ზოსიმემ ნაყუდ(უ)** – სახნავი ღარანყარის მარცხ. ნაპირას, გოჩიორს ქვემოთ (ლესა-ლე).

**ზოსიმემ ტობა** – მორევი ნოჟალაზე (ჩქვალერი).

**ზოსიმემ ტომბა** – მორევი ჩხოუშიაზე, სამიქაოში (ნალენჯიხა).

**ზოსიმემ რზენი** – დავაკება ღარანყარის მარჯვ. ნაპირას (ღარა).

**ზუბამ ფერდი** – ფერდობი. იგივე **ცხიმურონა** (პალური).

**ზუბამ წყურგილი** – წყარო სამარლიოში. ზუბა (მამაკაცის სახელია) ამ წყაროსთან ესახლა (პალური).

**ზურაბიმ მიკნატახა** – ერქვა საცალფეხო ბილიკს კლდეზე. მიემართებოდა საბერიოსაკენ. ბილიკი ზურაბს გაუჭრია. ამჟამად აქ სამანქანო გზა გადის (ფახულანი).

**ზურაბიმ ნოდინგ** – ჩაის ფართობი საჩხოულოს გვერდით. ზურაბ აფაქიას აქ ყანა ჰქონია (ჯვარი).

**ზღვია** „მცირე ზღვა; ტბა“ – ტაფობი, ნატბევარი ყოფილი ნალენჯიხის ჩაის მეურ-ნეობის ტერიტორიაზე. ლიარსანეს სათავეა. ალ. ქობალია: „**ზღვია** – ტბორი, გუბე ნანვიმარი, დამდგარი წყალი (საზოგ.)“ (ნალენჯიხა). ალ. ლლონტი ასახელებს: „**ზღვია** – ს. ნალენჯიხის სადაბო საბჭოში“.

**ზღვიაშდუდი** – ბორცვი ჩხოუშიასა და ნალენჯიხის ჩაის მეურნეობას შუა (ნალენ-ჯიხა).

**ზგზგონი/ოლებე** – ლენჭყი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (ლესალე). **ზგზგბი** ღრმა და გაუვალი ჭაობია. შდრ. ო. ქაჯაია: **ზიზიბუა** „დაჩირქება“; **ზიზიბერი** – „დაჩირქებული, ჩირქჩამდგარი“.

**ზყვამ ნოყუნეი** – ნაყანევი. იხ. ნოყუნეი (ნაგურუ).

– თ –

**თაბუე** – ვაკე-ტყე ლექარდეს ჩრდილოეთით, მაგანასა და სქურს (ოქაქალაისა და ხახმოყუნეს) შუა (ჯვარის სატყეო). შდრ. „**თაბუე** – გორა ჯვარში“ (ლლონტი, 1971, გვ. 62).

**თაბუემ ფოქვა** – გამოქვაბული თაბუეს კლდეში, წყავამის გზაზე. გამოედინება წყა-რო (ჯვარის სატყეო).

**თადაშ ნოხორო** – 1. სახნავი ფერდობზე, ნაკალანდუსა და ოტოფუეს შუა. აქ ესახლა თადა კალანდია, რომელმაც ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა საკალანდიო (ნალენჯიხა); 2. ჩაის ფართობი სოფლის აღმ. ნაწილში, ეწრის დასაწყისში (ლია) და სხვ.

**თადაშ წყურგილი** – წყარო ჩაის პლანტაციის, ეწერში (ლია).

**თადეშ ნოხოროი** – 1. სახნავი. იგივე ნოხოროი (ჭალე); 2. ნასახლარი ტებენეს ხეობაში. იხ. ტებენე//ტებენა (ფახულანი).

**თა(ვა)რანგელოზი** – დავაკება ლეუჩაგეში, მთის კალთაზე (მედანი). ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, მთავარანგელოზი მერვე საფეხურის სულია. ქართველთა შორის გამორჩეულია **მიქელი** (მძღვეელი ყველა მტრული ძალისა); **გაბრიელი** (ღვთის სიმაგრე და მისი საიდუმლოს კეთილი მაცნე); **რაფაელი** (ავადმყოფთა მკურნალი) და სხვ. საქართველოში ხშირია მიქელ-გაბრიელის სალოცავები. მეგრული ვარიანტები: თარანგელოზი, თარანგიოზი წარმოქმნილია ჰაპლოლოგიის გზით, ხოლო, თავის მხრივ თარანგელოზი თარანგეოზი თარანგიოზი.

**თათაოზიშ ნაკარუ** – საძოვარი სქურში (სქურის სატყეო).

**თათაშ ნოხორო** – სახნავი ტარჩიას მარცხ. ნაპირას, ნანულუს ჩრდ. ნაწილში (სამესხიო).

**თათიაშ ზაკალონი** – ბზანარი ნაკილუსა და ლაკადას შუა. ეკუთვნოდა მენამლე (ექიმბაშ) ქალ თათიას (ნაგურუ).

**თამანდურწყარი** – ლელე. გაედინება თამანდურედან. იხ. თამ(უ)ანდურე (ულურია).

**თამ(უ)ანდურე//თამუაშ რობუ** – ხევი თამანდურწყარის (ულურიაწყარის მარჯვ. მდგენელი) ზემოთში (ულურია). **ნდურე**, ანუ ხევი, ეკუთვნოდა თამუცვა კვარაცხელიას. აღ. ქობალია: „**დურე** – ჩალმავებული ადგილი“. მაშასადამე: თამუცვაშ ნდურე თამუანდურე თამანდურე. **რობუ** – ხევი, ხრამი. შდრ. „**თამუა დურე** – გორა ნაკიფუში“ (ღლონტი, 1971, გვ. 62).

**თამუაშ რობუ** – ხევი. იგივე თამ(უ)ანდურე (ულურია).

**თამუშ ნოცუნეი** „თამუს ნაყანევი“ – ერქვა სახნავს ჭყეპრზენში (ნაშამგუ).

**თარზენი** „მთა ვაკე; მთის ვაკე“ – ვაკემთა, საძოვარი ჭანისწყალ-ხობისწყლის წყალ-გამყოფის დაბოლოება (სქურის სატყეო, ჯგალი, ლეტკანთი, მუხური). შდრ. აღ. ქობალია: „**თარზენი** – გავაკებული; დიდი გავაკება; მთის ვაკე“. ქართ. **მთა** მეგრ. **თა**

**თარო** – შურო ბულგაში. იხ. ჯამ ოსხაპუე (ნაშამგუ).

**თატგბ(გ)** „თბილი მთა“ – ტყე-ფერდობები ინწირას მარცხ. მხარეს (ჩქვალერი). სახელდების მოტივი: ბუნებრივად თბილი ადგილია, უქარო, მზე ყოველთვის ადგას. თოვლი ადრე დნება, ადრე იფოთლება ხეც.

**თაფში** – ტყე-ფერდობები ხუდონში, ხოკოს თავზე (მაგანას სატყეო).

**თედოშ ნაყუდუ** – საკარმიდამო სქურში. აქ ამჟამად თედოს შვილი ცხოვრობს (სქურის სატყეო).

**თედოშ ნოხორო** – სახნავი ოჭკეშში. იგივე ნოხოროი (ჭალე).

**თედოშ ოჩაიე** – 1. ჩაის ფართობი ლეცინდეში. თედო იმ კაცს ერქვა, რომელმაც პირველმა გააშენა ჩაი ამ სოფელში (ნაკიფუ); 2. ჩაის ფართობი ნაკარუში. იხ. თედოშ ჩაი (ლესალე).

**თედოშ რზენი** – დავაკება ოჩამურეს ძირში (ლარა).

**თედოშ ლალ(გ)** – 1. მცირე ლელე საქუთელიოში. სქურდილაღალის მარჯვ. შენაკადი (ობუჯი); 2. ლელე, ჭიჭე ტებენეს შენაკადი (ჭალე, ფახულანი).

**თედოშ ჩაი//თედოშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ნაკარუში. თედო სალიას გაუშენებია და მერე კოლმეურნეობისათვის გადაუცია (ლესალე).

**თედოშ წყურგილი** – წყარო სამიქაოში. ლაჩახვას ერთ-ერთი სათავე (ფუქი).

**თეკანაში//თეკენაში** – მთა-საძოვარი ენგურის მარცხ. მხარეს, ორულაფუს ქვემოთ. ეგრისის ქედის კალთაზე. სააგარაკო ადგილად ითვლება (მაგანას სატყეო). შდრ. „**თეკენაში** – მთა ჯვარში“ (ღლონტი, 1971, გვ. 62). (მაგანას სატყეო). ჟურნალისტ ზაურ

ფიფიას ეტიმოლოგია ასეთია: „თე-ეკეში თენა ეკენაში „აღმართი გზა, რომელიც, რესპოდენტთა რწმენით, ღმერთთან მიდიოდა“.

**თეკენაში** – მთა-საძოვარი. იგივე თეკანაში (მაგანას სატყეო).

**თემარიშ ნაკარუ** – დავაკება ლეჭამაკეს მარჯვ. მხარეს. თემარ არქანია მწყემსი იყო და თავისი „კარე“ ჰქონდა (მუჟავა).

**თემლუკაშ ნაცუდუ** – მინდორი სალუკაში. აქ თემუ ლუკავას სახლი მდგარა. კონტექსტი: „თემლუკაშ ნაცუდუს იდიარს ჩქიმი ცხენი“ (ფუქი).

**თემრაზიშ ნაკარუ** – ვაკე-საძოვარი მთაში, ბოგაშსა და ლეუჩაგეს შუა (მედანი)

**თემრაზიშ ნანოხორ(გ)** – ვაკე-საბალახო სააბრალოში, ჩამურთან (ნაგურუ)

**თემრაზიშ ნყურგილი** – წყარო ოლაჭაჭიელალის ნაპირას (ფუქი).

**თეუფანემ ოხარჩალაია** – წყარო ლეციდეში, კინესქურის მარცხ. მხარეს. თეუფანემ ამ წყაროს ღარი მიუდგა, საიდანაც წყალი ჩხრიალით („ხარჩალი“) გადმოდის (ნაკიფუ).

**თვართვაიფიშ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე (ნალენჯიხა). თვართვაიები, ანუ თვალთვაძეები, ამ მორევეთან სახლობენ. მათი წინაპრები ნალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლები იყვნენ XIX საუკუნეში. გვარის ადგ. ვარიანტებია თვართვაია და თვართაია. შდრ. ნ. ჯომიდავას „განმარტება“: „თვართვაია თვარ „მთვარე“ (ჯომიდავა, 2000, გვ. 149).

**თიკერონი//თეკერონი** – ტყე-საძოვარი ენგურ-მაგანას წყალგამყოფზე (ხუდონის სატყეო). **თიკერი**, იგივე **ჩამჰვა**, მაღალმთის ბოკვია. შდრ. სვან.: თეკრა, თეკერ, „ბოკვი, ნეკერჩხალი“. ალ. ქობალია: „თიკერი ხემცენარეა ერთგვარი“.

**თინაშ ნაცუდუ** – ნასახლარი კაპარჭელაში (ლესალე). მასალის ჩანერის დასრულების შემდეგ 6 წლის ბავშვმა ბაბუას შეახსენა: ტყეში რომ ვაშლი დავკრიფეთ, იმ ადგილს ხომ **თინაშ ნაცუდუ** ერქვაო.

**თოთენა** – სოფელი ენგურის ნაპირას, საზღვარი სამეგრელოსა და სვანეთისა. 94 წლის ისაკ ქარდავა თავის წიგნში აღნიშნავს: „ჯვარის მაზრის გაუქმების შემდეგ ჯვარის ტერიტორიაში შედიოდა სოფელი ხუდონი 1932 წლამდე, ცალკე საბჭოდ გამოყოფამდე: მანამდე და შემდეგაც ნალენჯიხისა და მესტიის რაიონების საზღვარი იყო სვანებით დასახლებული სოფელი თოთენა, რომელიც დადასტურებულია საარქივო მასალებში, მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ვალდებულების მოხდასთან დაკავშირებით შექმნილი საბუთებით და წიგნებში და გაზეთებში არსებული ჩანაწერებით“ (ქარდავა, 2013, გვ. 16). ). სანდრო ჩარკვიანი წიგნში „სვანეთი“ ერთ თავს უძღვნის მესტიის რაიონის გეოგრაფიულ სახელებსა და საზღვრებს. აქვეა აღნიშნული, რომ **თოთენა** სვანეთისა და სამეგრელოს სასაზღვრო სოფელია. „საქ. სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის“ 1977 და 1987 წლების მონაცემებით, „თოთენი“ არის სოფელი მესტიის რაიონის ხაიშის საბჭოში, მაგრამ შემდგომში „თოთენა“ შედის ზემო სვანეთის ლენჩხერის სას. საბჭოში (4 კომლი, 21 სული).

**თოლკაში** – ბორცვი საგერგედოში, ოსხაპუესუკსა და ჩხაპიალალს შუა (ფახულანი).

**თომაშ ნოხორი** – ბუჩქნარი ჩხაპელკის ფერდობზე (ენერფერდი).

**თომაშ ჩაი** – ჩაის ფართობი. იგივე **ქარდაშ ჩაი** (ლია).

**თორდიაშ სუკი** – მაღალი გორა სქულუბურის სათავესთან, ფახულან-ქალაღალის წყალგამყოფ სერზე. აქ ცხოვრობდნენ თორდიები და სალოცავიც აქვე ჰქონდათ. რესპ.: „მათი შთამომავლები ახლაც აგზავნიან ხურდა ფულს, ან თვითონ ჩამოდიან, რათა ხურდა ფული აქ დაყარონ და „გამწიხვამანგ“ (ე.ი. გამოლოცვის რიტუალი შეასრულონ). რა თქმა უნდა, თორდიებს აქ სალოცავი ჰქონდათ (ფახულანი).

**თორსა** – დავაკება და ტყე-ფერდობები ჯარალას მარცხ. მხარეს (მაგანას სატყეო). თორსა „არაღრმა ტლაპო, სადაც ფეხი ეფლობა“. შდრ.: „**თორსა** – საფლობი, ტლაპო, ლაფი; ღრმა ტლახი“ (ქაჯაია, II, თბ., 2002); „**თორსა** – საფლობი“ (ალ. ქობალია, 2010, გვ. 319). თორსა სპარსულ-არაბულ სიტყვადაა მიჩნეული (ანდრონიკაშვილი, 1996, 306).

**თოსქვამია//თოსქვამიაშ ნყურგილი//ხურცილაშ ნყურგილი** – წყარო, ენგურის მარჯვ. შენაკადი. გამოედინება კლდიდან ხურცილავების სუკთან, დაჰკრავს იოდის გემო და კარგ სასმელ წყლად ითვლება. აქვე ესახლა თოსქვამია („თვალლამაზა“) ხურცილავაც

და ამ წყაროს წყლით სარგებლობდა (ჭალე). შდრ. „თოსქვამია (თვალლამაზა) — წყ. ჭალეში“ (ღლონტი, 1971, გვ. 63).

**თოსქვამიაშ სუკი** – გორა ენგურის მარჯვ. ნაპირას, სადაც ესახლა თოსქვამია. ამ გორის ფერდობზეა სახნავი „თოსქვამიაშ ფართობი“. თოსქვამია „თვალლამაზა“ მამაკაც-საც შვიძლება ერქვას და ქალსაც (ჭალე).

**თოსქვამიაშ ფართობი** – სახნავი. იხ. **თოსქვამიაშ სუკი** (ჭალე).

**თოსქვამიაშ წყურგილი** – წყარო. იგივე **თოსქვამია** (ჭალე).

**თოჩა(ლ)გა//საყარაულო** – ბორცვი ბელერის მარჯვ. მხარეს. ზედ გადადიოდა კან-თიდან ჯგალში მიმავალი გზა. აქედან ბევრი სოფელი და უბანი მოჩანდა. აქვე იყო საყარა-ულო, რათა ყურსალებს ადამიანი ან საქონელი არ მოეცაცათ (ლეთკანთი).

**თოჩალგაშ ოტუნგე** – ტუნგის ნარგავები თოჩალგაში (ლეთკანთი).

**თუდოლენი ლეკუკე** – უბნის ნაწილი ოლორის მარჯვ. ნაპირას. იხ. ლეკუკე (ფახუ-ლანი).

**თუდოლენი ლექანთარე//საქანთარიო** – ქანთარიების უბანი. იხ. **ლექანთარე** (ჯვარ-რი).

**თუდოლენ(ი) საბეკი** – ვაკე, ჩაის ფართობი. იხ. **საბეკი** (ჭალე, ენერფერდი).

**თუდოლენი საკალანდიო** – უბანი ობუჯის საზღვართან. იხ. საკალანდიო (ნალენჯი-ხა).

**თუდოლენ(ი)ფონი** „ქვემო ფონი“ – ფონი მაგანაზე, წყამელოსთან. აქ ერთ დროს ბონდის ხიდიც ყოფილა გადებული (მაგანას სატყეო).

**თუდონი ონტყოლაში** – ტლაპო-გუბურა. იხ. **ონტყოლაში** (ჯვარის სატყეო).

**თუდონი ხუმათია** – ვაკე-ტყე. იხ. **ხუმათია** (ჭალე).

**თუდონლეჟა//ქვედა ლეჟა** – უბან ლეჟას ნაწილი უშუალოდ სქურჩას ნაპირას. იხ. ლეჟა (ნაკიფუ).

**თუდონსაბეკი** – მინდორი. იხ. **საბეკი** (ჭალე, ენერფერდი).

**თუდონსამესხიო** „ქვემო სამესხიო“ – სოფლის ნაწილი: **კუნტა სამესხიო** და **გგნძე სამესხიო** ერთად აღებული ტარჩიას ზემოთის ხეობაში. აქაურ მცხოვრებთ ეწოდებათ დობერული მესხიეფი (სამესხიო).

**თუდონსამიქაო** – უბანი ფუისქურის მარცხ. მხარეს. იხ. სამიქაო (მაზანდარა).

**თუდონწყოუში** – სოფლის ქვემო ნაწილი (წყოუში). იხ. ყილენწყოუში.

**თუდონჭველე** – სოფლის ვაკე ნაწილი ენგურის მარჯვ. მხარეს, ენგურ-ოლორის წყალგამყოფ სერამდე. იხ. ჭველე.

**თუდონხუმათია** – ხუმათიას ქვემო ტერასა. იხ. ხუმათია (ჭალე, მუჟავა).

**თუმუსქური//თუმუშქური** – ღრმა და ფართო ტყე-ხევი ლეკუკეში, ყარასა და თხი-ნაიაშ სუკს შუა. ორმხრივ მაღალი კლდეებია. **თუმუსქურიშ ღალე** ერთვის დიდ ტებენეს მარცხნიდან (ფახულანი). **თუმუ** პირსახელი უნდა იყოს. იხ. **სქური**.

**თუმუსქურიშ ღალ(გ)** – ღელე, დიდი ტებენეს მარცხ. შენაკადი. გაედინება ყარასა და თხინაიაშ სუკს შუა. იხ. თუმუსქური//თუმუშქური (ფახულანი).

**თუმუშქური** – ტყე-ხევი. იგივე თუმუსქური (ფახულანი).

**თუნარეში** – ასეა აღნიშნული ხუნარეში//ქუნარეში (იხ.) აკ. ჭანტურიას რუკაზე.

**თუნთიაშ ჭალე** – სახნავი ინნგრას ჭალაში, საჩიქვანოში. თუნთია („დათუნა“) მამა-კაცის სახელია (ნაგურუ).

**თუნთიშ გინალეფი** „დათვის გადანავარდნი“ – ხევი, ხრამი ზედა მაზანდარაში, ოტოფუეს მარცხ. მხარეს (მაზანდარა).

**თუნთიშ მამული** – თხმელნარი ნაკარუსთან, უბან ლესალეს განაპირას (ლესალე). ერთ დროს აქ, თხმელებზე, იზაბელა იყო აშვებული. მამული მაშინ დაერქმეოდა. თუნთი პირსახელია. იხ. მამული.

**თუნთიშ ნაცვილა** „სადაც დათვი მოკლეს“ – ტყე-ხევი ხურჩას მარცხ. მხარეს, დარ-ზენას გვერდით (ნაგურუ).



**თუნთიმ ნაცვილამ ტობა** – მორვეი ხურჩაზე, სადაც ჩამოდის ხევი თუნთიმ ნაცვილა (ნაგურუ).

**თუნთიმ წყურგილი** „დათვის წყარო“ – წყარო ხურჩას მარჯვ. მხარეს. არ სვამენ (ლარა).

**თუნჩიამ ნაცვან(უ)** – სახნავი. იგივე თუნჩიამ ცვანა (ნაშამგუ).

**თუნჩიამ ცვანა//თუნჩიამ ნაცვან(უ)** – სახნავი დაფერდებაზე, ცუდნაკარში. თუნჩია მამაკაცის სახელია (ნაშამგუ).

**თურქიმ ნაოტყობინჯ(გ)** „თურქის სამალავი“ — ნაეკლესიარი ნალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიიდან სამხრეთით. **ტყობუა** (დამალვა) **ოტყობინჯე** „სამალავი“ ნაოტყობინჯ(გ) „ყოფილი სამალავი“.

**თურქიმ ნაჯიხ(გ)** – ბორცვი, ნაციხარი. იგივე ნაჯიხ(გ) (ნაკიფუ).

**თქოფონა** – ტყე-ჭეჭყობი ლაგვილაღალის სათავესთან, სამესხიო ენწერში (სამესხიო). **თქოფი** „თხელი ტალახი, გუბურა“ (ზმნური ფორმა: **ინითქვეფუუ** „ტალახში ჭყუმპა-ლაობს, ლაფაობს“). როგორც ჩანს: ქართ. \*თქაფ-ი : მეგრ. თქოფ-ი. კრებიტობის ონ-, ონა-სუფიქსები განსაკუთრებით და, ჩვეულებრივ, მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნის სათანადო ლექსიკურ ერთეულებს. მაგრამ ამ შემთხვევაში უშუალოდ კრებიტობის სუფიქსი დართვია სიტყვას, რომელიც სიმრავლეს არ გულისხმობს. მამ რას გამოხატავს თქოფონა? მსგავს შემთხვევაში, ჩვენი აზრით, წარმოქმნილი სახელი მიანიშნებს არა სიმრავლეს, რაოდენობას, არამედ ინტენსიურობას, სიღრმეს, ფართო ტერიტორიას. **თქოფი** არაა დაფიქსირებული მეგრულის ლექსიკონებში.

**თხაშ თიფუ** „თხის საძოვარი“ — საძოვარი ფერდობი მაგანას ზემო წელზე. რესპ.: „თხაშ თიფუ“ მხოლოდ თხისთვისაა დანიშნული, საქონელი ვერ ჩავა, ფეხი დაუსხლტება“.

**თხინა** ( თხირონა „თხილნარი“) – 1. ფერდობი კანთში, გალავნის თავზე (ლეთკანთი); 2. ბუჩქნარი ყარასა და ქამნას შუა (ფახულანი); 3. კლდე-ფერდობი გვაჭკასა და ჟინი რზენს შუა (ჩქვალერი) და სხვ. მრ. იხ. აგრეთვე: **რთხინა, თხირონი**.

**თხინა//თხირონი** – ფერდობი, თხილნარი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ლაკადასთან (ლარა).

**თხინა//რთხინა** – 1. ხეობა ძანძელის შუა წელზე. თხილი აქა-იქაა დარჩენილი (ლესა-ლე); 2. ტყე-ბუჩქნარი უბადოღალის სათავესთან, სადაც ოჩიტოლი ეწოდება (უბადოღალი). ფონეტიკური გზა: თხირი თხირ-ონ-ა (რ)თხინა.

**თხინაია** – ბუჩქნარი წყავამალას ხეობაში (მაგანას სატყეო). სუფიქსი -ია ობიექტის სიმცირეზე მიუთითებს.

**თხინაიამ სუკი** – ბორცვი ყარაში, ტებენესა და ილორის შესართავთან (ფახულანი).

**თხინამ ღალ(გ)** – ნაკადული თხინაში, შარამამულის ქვემოთ. დობერაღალის მარცხ. შენაკადი (ლესალე).

**თხინამ ღალ(გ)//ჩოხომ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა სქინასქურსა და ოტოფუეს შუა. ერთვის ჭანისწყალს (ნალენჯიხა).

**თხირიში** ( თხირი „თხილი“) – ტყე-ფერდობები ინწირას მარჯვ. მხარეს, ნაჯარ-გვალსა და ქართლაშს შუა (ჩქვალერი).

**თხირმენჯი** „თხილის ვეძა“ – ვაკე-ტყე ფერდობზე, ლაჩიდას მარცხ. ნაპირას, ვაჟიგას დას. კალთაზე. წყალი შავმინა ნიადაგიდან მოჟონავს (მუჟავა).

**თხირონი** „თხილნარი“ – 1. ბუჩქნარი ქარდაშ გვალაში (ჯვარის სატყეო); 2. ფერდობები. იგივე თხინა (ლარა) და სხვ.

**თხირონიშ ღალ(გ)** – ღელე და ხეობა ლეაფშილეში. ერთვის ჩელალს ოკათაფუსთან (ნაკიფუ).

**თხიხონწყარი** – ოლორის მარჯვ. შენაკადი ჩვინარეში (მუჟავა). რესპ.: „თხიხონი იგივე თხილნარია. ღელე თხილნარში გაედინება“.

**თხუმლონი** „თხმელნარი“ 1. ტყე წულიშის კალთაზე (მაგანას სატყეო); 2. მინდორი ბარხაში (ჯვარის სატყეო); 3. ბუჩქნარი ბულგასა და ჭყეპირზენს შუა (ნაშამგუ) და სხვ. მრ.

**თხუმლონიშ სუკი** – სერი ხოკოსა და ნეფემის ხეობებს შორის (მაგანას სატყეო).

**თხუმტობა** „თხმელის მორევი“ – მორევი მაგანაზე. უნინ მორევთან თხმელა მდგარა (ლექარდე).

**თხუმულონა** „თხმელნარი“ – 1. ტყე ერთიშში (ჭალის სატყეო); 2. ბუჩქნარი მოროჟას ზემოთში (ჩქვალერი) და სხვ.

**თკვერონი** – ტყე-საძოვარი. იგივე თიკვერონი (ხუდონის სატყეო).

**თფფე** – ბორცვი ლეჯიორში (ფახულანი). აკ. ჭანტურიას განმარტებით, **თიფუ//თფფე** არის პირუტყვის დასაბინავებელი ადგილი (ჭანტურია, 1996, გვ. 321).

**თყვამ ნოხორი** – ბორცვი ჯოგომ ღალის მარჯვ. ნაპირას. თყვა, თიყვა მამაკაცის სახელია (წყოუში).

**თყვამ წყურგილი** – წყარო ლეცი(ნ)დემი, ბორცვზე, კინესქურის სათავესთან (ნაკიფუ).

– ი –

**იაკობიმ კარე** – საძოვარი სქურში, ნაოხვამუსთან. რესპ.: „მწყემსი იაკობ მიქავა აქ იდგა. ომში დაილუპა“ (სქურის სატყეო“).

**იაკომ ნანისქვილ(გ)** – თხილნარი ფუსქურის ნაპირას, სოფლის აღმ. ნაწილში. იაკო კვარაცხელიას 30-იან წლებში აქ ედგა წისქვილი (ლეკაკულე).

**იაკომ ნოხორი** – სახნავი ლესალეს უბანში (კუხეში).

**იაკომ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, საკალანდიოში (წალენჯიხა).

**იაკომ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ლეკაკულე).

**იასონიმ ნადიხ(უ)** – 1. ბუჩქნარი ლელვინჯილეში (ლეჯოლიხე); 2. ტყე ლეფიფიეში (კუხეში) და სხვ.

**იასონიმ ნადუქან(უ)** – საკარმიდამო მოხაშში. იასონ ფიფია ვაჭარი იყო და აქ დუქანი ჰქონდა (ლია).

**იასონიმ ნანოხორ(უ)** – მინდორი ლეფიფიეში, ინწგრას მარცხ. ნაპირას (კუხეში).

**იასონიმ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ნაბუხართან. იასონ შენგელაია ამ მორევთან ესახლა. მისი სახლიდან მხოლოდ ბუხარია დარჩენილი (ობუჯი).

**იასონიმ ღალ(გ)** – მცირე ხეობა, უსქვრაფღალის მონაკვეთი ბათამ ნაისგრსა და კოსტამ ლუღეფს შუა (წალენჯიხა).

**იასონიმ წყურგილი** – წყარო ხუფაიაშ ღალის მარცხ. ნაპირას (ლია).

**იბლოშ ნაყვან(გ)** – მინდორი ნოყუჯინ(ე)ის სამხრ-ით, ბარხაში (ჯვარის სატყეო).

**იბლოშ ნოხორი** – მინდორი ლანჯიშში, ნაბადიმ გიომქუმალარის შუა წელის მარცხ. მხარეს (ფახულანი).

**იბლოშ ოისგრე** – ისლნარი სამარდიოში, ფერდობზე (პალური).

**იბლოშ ტობა** – მორევი ერისწყალზე, ჯოგომ ღალის შესართავთან (წყოუში).

**იბლოშ წყურგილი** – წყარო ლუღერაში. ეკუთვნოდა იბლო სალიას (ნაკიფუ).

**ივა დო ძიტომ კარე** – მწყემსის სადგომი (კარე) წისქვილარის ხეობაში (სქურის სატყეო).

**ივანემ ინნახუნა** „სადაც ივანე იჯდა“ – ლელე-ხევი, ხუფაიას მარცხ. შენაკადი. მოედინება ენერიდან. ვარ.: **ივანემ ინნახუნა ღალ(გ)** (ლია). რესპ.: „მღვდელს გაუჯობავს მოჯამაგირე ბიჭი ივანე, რომელიც ამის შემდეგ გაქცეულა და ამ ხევში დამალულა“.

**ივანემ ინნახუნა ღალ(გ)** – ლელე. იგივე **ივანემ ინნახუნა** (ლია).

**ივანემ ნოჭკადგრ(გ)** – ჩაის ფართობი ენგურის მარჯვ. ნაპირზე. ივანე უბილავა მჭედელი იყო და სამჭედლოც აქვე ედგა. ოჭკადგრე „სამჭედლო“ ნოჭკადგრე „ნასამჭედლოვარი“. სამჭედლოს ნაშთი არ ჩანს (ჭალე).

**ივანემ ნარულა** „ივანეს ნარბენი“ – ჩაის ფართობი ზღვაიასა და სქურდილას სათავეს შუა (წალენჯიხა). რესპ.: „ივანე კალანდია, ცხენოდი („ცხენოსანი“) კაცი, აქ ვარჯიშობდა“.

**ივანემ ნოხორი** – სახნავი, ვენახი. იგივე **ბიტაიაშ ნოხორი** (ფახულანი).

**ივანეშ ფერდი** – ბუჩქნარი ფერდობი ბორცვზე, ოტოფუეს აღმ-ით (საჩინო).

**ივანეშ ღალ(გ)** – ღელე ყარაში. ერთვის ოლორის სანისქვილე არხს (წყოუში).

**ივანეშ ნაინჭ(გ)** – ნაჭავარი ივანეშ ნაკარუსთან. მესაქონლე ივანეშ სამუშიას აქ „კარე“ ჰქონდა და ამ თავლია ჭაში არაერთხელ ჩავარდნილა მისი საქონელი. სოფელში გაიგონებ-დი წყევლას „ივანეშ ნაინჭეს ქინგორაგუასია“. ამჟამად ამოვსებულია (ლია).

**ივანეშ ნაკარუ** – მინდორი მახარიას ჩრდ. ნანილში. აქ, ჩაის პლანტაციით გარშემორტყმულ ტერიტორიაზე, დგას ცაცხვი, ჩაის ასანონი პუნქტი და ნისქვილი. ეს ცაცხვი ივანეშ დაურგავს. უნინ აქ ყოფილა ტყე და ერქვა **ურზუმი ტყა** (ლია).

**ივანეშ ნარგი ცხაცხუ** „ივანეშ დარგული ცაცხვი“ – ერქვა ძველთაძველ ცაცხვს მახარია-ას ჩრდ. ნანილში. იყო მაღალი და ნამეხარი. შორიდანაც მოჩანდა. იხ. ივანეშ ნაკარუ (ლია).

**იზდორეშ ნა(ო)ბინეს(გ)** – ჩაის ფართობი ნანჯარუში, კვარჩხილალის მარჯვ. ნაპირ-რას, ბორცვზე (ულურია). იზდორე შირსახელია (ოფიც. **ისიდორე**).

**იზდორეშ ნოხორი** – ბუჩქნარი ლანჯიში, ერისწყლის მარცხ. ნაპირზე (ფახულანი).

**იზდორეშ წყურგილი** – წყარო ხუფაიას სათავესთან, მეზონიეფიშ ფერდის ძირას. იზდორე ქარდავა აქვე ესახლა (ზ. ლია).

**იზდომ ნოხორი** – საკარმიდამო ჟინი სამესხიოს ფერდობზე. რესპ.: „იზდორე მესხია სოფლის ცენტრში გადასახლდა. ამას წინათ მის ნასახლარში სხვა ვილაცა დაფუძნდა“ (სა-მესხიო).

**ილარიონიშ ნოხორი** – საბალახო ნარაგუს ფერდობზე (ქალაღალი).

**ილარიონიშ ნოხორი//ჩიქვანიშ ნოხორი** – საკარმიდამოები ლეჩიქვანეში, ინჯერას მარცხ. ნაპირას. აქ ესახლა მღვდელი ილარიონ ჩიქოვანი (ნაგურუ).

**ილარიონიშ ღალ(გ)** – ღელე, ნარაგუს შენაკადი ქუზუშ ტომბასთან (ქალაღალი).

**ილაშ ტომბა** – მორევი მოროჟაზე (ლემამუგე).

**ილაშ ფერდი** – ფერდობი ქალაქის დას. ნანილში, ავტოსადგურის პირდაპირ (ნალენჯიხა). რესპ. ო. სალია: „ჭკადუაშელი ბავში ილა ჭითანავა აქაურმა კალანდიამ იშვილა. ორი შვილი ომში დაელუპა, ღრმა სიბერემდე გაძლო და მისი სახელი იმ ფერდობს დაერქვა, რომლის ქვემოთაც ესახლა“.

**ილაშ ღალ(გ)** „ილას ღელე“ – ღელე ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 69).

**ილიაშ ნაკარუ** – დავაკება საქაროს ფერდობზე. მეჯოგე ილია მანიას აქ ედგა „კარე“ (ენერფერდი).

**ილიაშ ტომბა** – 1. მორევი ლაჩახვაზე, სამიქაოში. ილია მიქავა გორაკზე ესახლა, აქ კი, მორევთან, სახნავი ჰქონდა (ფუქი); 2. მორევი ჭანისწყალზე, ფუისქურის შესართავის სამხრ-ით, ილია შანავას ეზოს გვერდით (მაზანდარა).

**ილიაშ ღალ(გ)** – ნოჟალას მარცხ. შენაკადი. იწყება ლეზოხუეში (ლემამუგე).

**ილიაშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი. იგივე ილიაშ ნისქვილი (ფუქი).

**ილიაშ ნისქვილი//ილიაშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ლაჩახვას სათავესთან, სა-მიქაოში. კონტექსტი: „ილიაშ ნანისქვილნკმა ბალანეფი უხიტორუანდესია სქებუს“ (ფუ-ქი).

**ინგერი** – მდ. ენგურის სახელწოდების მეგრული ვარიანტი. იხ. ენგური (მესტიის, ნა-ლენჯიხის, ზუგდიდისა და გალის რაიონები).

**ინგერპიჯი** „ენგურისპირი“ – სახნავი ენგურის ჭალაში, ოხვილსა და ნიჩვიამ რზენს შუა. ვარიანტი: რეყე (წყოუში).

**ინონწყვილი** – ჩავარდნილ-ჩაქცეული ადგილი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე (მედა-ნი). **ინონწყულა** „ჩაქცევა, ჩამენყვრა“ **ინონწყვილი** „ჩაქცეული, ჩამენყრილი, ჩან-თქმული“. აღ. ქობალია: „ინო- ზმნისნინი გამოხატავს მოქმედებას რისამე სიღრმეში... მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით (**ინონთხაფა** „ჩავარდნა“, **ინოთულა** „ჩათოვლა“)“. იხ. უფრო ვრცლად: ო. ქავაია (მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, გვ. 409).

**ინორზენა** „ჩავაკება“ – ფართო ვაკე-ხეობა სქურჩასა და მეჯოგეთა ღალს შუა (ნაკი-ფუ).

**ინორზენაშ გაბარი** – მდინარისძირა ვაკე-ბორცვი ინზერის მარჯვ. ნაპირას, ლეაბრალეში (ნაგურუ). **ინორზენა** „ჩავაკება“, **გაბარი** „დაბალი ვაკე-სერი“.

**ინორზენალ(გ)** – ლელე, სქურჩას მარჯვ. შენაკადი. გაედინება ინორზენადან. იქმნება წყიონღალის, სქვამსუკიმ ღალის და სხვ. შეერთებით (ნაკიფუ).

**ინოხონგვალა** – ტყე-ბორცვი ხურჩას აუზში (ნაგურუ). **ინოხონი** „ფართოდ ჩალრმავებული ადგილი, ხეობა“. **გვალა** „მთა“.

**ინჟინერიშ ქუა** „ინჟინრის ქვა“ – ცემენტის სვეტი, სატრიანგულაციო ნიშანი უბადოლალსა და ცხონოხორს შუა მდებარე მაღალ გორაზე. მსგავსი გეოლოგიური ნიშანია ნაბერაყშიც და საქაროშიც (ფახულანი).

**ინწრა** „ვინრო, ვინრობი“ – გუბე ნანჯარუში. იგივე ინწ(გ)რა (ნაკიფუ).

**ინწ(ი)რა//ინწგრა** – მდინარე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი საჩინოში. ყვირას კალთებზე, ბედიანაშენთან. აქვს ვინრო კალაპოტი. ო. ქაჯაია: „**ინწრა, ინწგრა, ინწრო** „ვინრო“. რესპ.: „ინწრა უქვინჯე **პალოტი** რდგ, მარა დოსქერგ“ (ჩქვალერი, ნაგურუ, კუხეში, საჩინო, ნაკიფუ). ინწირა და კინჩხა ერთმანეთს უერთდება უჩატობას ზემოთ.



**მდინარე ინწირას ჩანჩქერი**  
**A watertall of “Intsra”**

**ინწ(გ)რა//ინწრა** – 1. გუბე ნანჯარუში. ვინროა და გრძელი. აქედან გადის იოსემ ღალ(გ) (ნაკიფუ). რესპ.: „ინწგრა არის წვიმის შემდეგ გრძლად ჩალრმავებულ ადგილას ჩარჩენილი წყალი, რაც შემდეგ შრება. ჩვენთან წყაროები და ინწგრები ბევრია“; 2. მდინარე. იგივე ინწ(ი)რა (ჩქვალერი, ნაგურუ, კუხეში, საჩინო, ნაკიფუ). შდრ. „**ინწირა** — ლელე ჯვარში“ (ღლონტი, 1971, გვ. 63).

**ინწგრაშ გაბარი** – კბოდე-ბეკობი ინწგრას მარჯვ. ნაპირას, ლეაბრალეში. ი. ყიფშიძე: **გა** ; **გაბარი** „ (გა+ბარი )“ (ნაგურუ) და აქვე აღნიშნავს: შესაძლებე-

ლია სემიტური **ჯაბალ „მთა“** მეგრ. გაბარი; ო. ქაჯაია: „**გაბარი** – ზეგანი, მაღალი სერი; სწორზედაპირიანი ბორცვი“. ალ. ქობალია: „**გაბარი** – ზეგანი, გავაკება, სერი მთასა და ბარს შორის; გორაკის, ბორცვის, სწორი ზედაპირის თხემი“. რესპონდენტთა განმარტებანი: „გაბარი არის დაბალი გორა, წაგრძელებული და ბრტყელზურგიანი“.

**ინწგრამ მელენ ფართობი** „ინწგრას გაღმა ფართობი“ – სახნავი ინწგრას მარცხ. ნაპირას, ქვედა ლეაბრალეს პირდაპირ. კონტექსტი: „ინწგრამ მელენ ფართობიშა მინულებუ საქონელს დო ართო გუნადგურებუ ყვანა“ (ნაგურუ).

**ინწგრამ მკკენანწყვი** „ინწგრას ჩამონამენწყვი“ – კლდე-ფერდობი, ინწგრამ გაბარის ნაწილი. **მკკენანწყვი** „ჩამონაქცევი, ჩამონარღვევი“. წყლისპირა ფერდობი ვერტიკალურია (20-25 მ სიმაღლისა). წყალმა ძირი გამოუთხარა და ფერდობი მდინარეში ჩაიქცა (ნაგურუ).

**ინჭა//ზზაკალონიშ ინჭა** „ჭა//ზზანარის ჭა“ – კარსტული ჭა ბზაკალონიში, ოლორის მარჯვ. ნაპირას (ფახულანი).

**ინჭატობა** – ქვაბული და კარსტული ჭა ბულგას ქვემოთ, ტებენეს სათავესთან (ნაშამგუ). ნიშნავს: ჭა-ქვაბული, ან: ჭის ქვაბული.

**ინჭალალ(გ)** „ჭის ლელე“ – კინესქურის მარჯვ. შენაკადი ყინი ობუნჯში (ნაკიფუ).

**ინჭეში** „ჭისა“ – ბუჩქნარი ოისინდესთან. აქ ერთგან ფართო ორმოა (ჯვარი).

**ინჭირიში//ინჭერიში** „ანწლისი“ ( ინჭირი „ანწლი“) – მაღალი და ვრცელი გორა-საძოვარი ენგურ-ოლორის წყალგამყოფზე (ჭალე, მუჟავა). შდრ. „ინჭირიში (ანწლისი) – საძ. ჭალეში“ (ლლონტი, 1971, გვ. 63).

**ინჭერიში** – გორა-საძოვარი. იგივე ინჭირიში (ჭალე, მუჟავა).

**ინჭერიშ ნყურგილი** – წყარო მთის კალთაზე, სადაც სოფ. მუჟავადან გზა ადის ინჭერიშიში (მუჟავა).

**იონამ ნოხორი** – ტყე-თხმელნარი ფშქერღალის ხეობის სათავესთან (ფახულანი).

**იორდანემ ნანყურგილ(გ)//იორდანემ ნყურგილი** – წყარო ლაფარიის ჩრდ-ით, ისაკ ფიფიას ეზოში. რესპ.: „იორდანე ყოფილა თავად ტოტო აფაქიძის მოინალე (მსახური). მას აქ აღმოუჩენია წყარო და ორმოც ამოუთხარია. თავადს ამ წყაროსათვის დაცივნით იორდანემ ნყურგილი უწოდებია. კარგა ხანმა გაიარა, იორდანე გარდაიცვალა და წყაროსაც იორდანემ ნანყურგილგ დაერქვა“ (ჩქვალერი).

**იორდანემ ნყურგილი** – წყარო. იგივე იორდანემ ნანყურგილ(გ) (ჩქვალერი).

**იორდაშე** – მინდორი ენგურის მარცხ. მხარეს, ლაყორიასა და მახსანიას შუა, ფოცხოს პირდაპირ, სადაც კრავდნენ ტივს (ჯვარი).

**იოსებში ნაკარუ** – სახნავი თხინასა და ხვიმონას გვერდით. აქვეა **სპირიდონში ნაკარუ**. რესპ. რ. შელია: „მეზობლებმა – იოსებმა და სპირიდონმა — უარი თქვეს კოლმეურნეობაში გაერთიანებაზე. ამიტომაც მთაში მოუზომეს სახნავები. ღამის გასათევი კარეც აქვე ჰქონდათ. ამით ისინი თავისებურად დასაჯეს“ (მუჟავა).

**იოსებში ნოხორი** – ნასახლარი ლექორჩაქეს აღმ. ნაწილში (ლეშამუგე).

**იოსემ ტომბა** – მორევი სქურდილაზე, საქუთელიოში (ობუჯი).

**იოსემ ღალ(გ)** – ლელე, კინესქურის მდგენელი. ინყება გუბურა ინწგრამი (ნაკიფუ).

**ირემგინაცვილა** „სადაც ირემი მოკლეს“ – პატარა მინდორი კლდის თავზე, ლაჩიდას მარჯვ. ნაპირას (მუჟავა).

**ირემეფიმ ონტყოლაშე//ირემეფიმ ონჯირუუ** – გუბურა კუხეშიმ ოხვამესთან (კუხეში). ონტყოლაშე „სალაფაო“; ონჯირუუ „დასანოლი“. ირემი 2-3 საუკუნეა კოლხეთში არ უნახავთ, მაგრამ სახელწოდებაში შემორჩა.

**ირემეფიმ ონჯირუუ** – გუბურა. იგივე **ირემეფიმ ონტყოლაშე** (კუხეში).

**ირემიშ ნაშქვიდუ** „სადაც ირემი დაიხრჩო“ – ჭაობი კუნტა სამესხიოში. აქ, ჭაობში, დიდი ხნის წინათ, ჩამხრჩვალა ირემი უპოვიათ (სამესხიო).

**ისაკიმ ნადიხ(გ)** – ჩაის ფართობი ლეჩიეს ჩრდ. ნაწილში (კუხეში).

**ისაკიმ ნოხორი** – ნასახლარი მაგანას მარჯვ. ნაპირის გორაზე (მაგანას სატყეო).

**ისაკიმ ტობა** – 1. მორევი ჭანისწყალზე, გუჯამ ტობას ჩრდ-ით (ნალენჯიხა); 2. მორევი სქურჩაზე, ისაკომ ჭალესთან (ლევოლიხე).

**ისაკიმ ლალ(გ)** – მცირე ღელე საქუთელიოში. ერთვის თედომ ლალს (ობუჯი).

**ისაკიმ ჭალე** – ქვიან-ქვიშიანი ჭალა სქურჩას აღმ. ნაპირას (ლევოლიხე).

**ისლამიმ ნადუქან(გ)** – სახნავი გზისპირას, სოფლის სამხრ. ნაწილში. რესპ.: „ვაჭარ ისლამ კვარაცხელიას ნების ბოლომდე აქ დუქანი ჰქონია“ (ლევაკულე).

**ისლამ დიხა** – ბუჩქნარი სამიქაოში, ლაჩახვას მარჯვ. ნაპირას (ფუქი).

**ისნათია** – ტყე-საძოვარი ორულაფუს კალთაზე. ზემო ტერასს ეწოდება **ჟინი ისნათია**, ქვემოს – **თუდონი ისნათია** (მაგანას სატყეო).

**ისნამ ეკოლ(გ)** „ისნას აღმართი“ – აღმართი გზაზე, ხვიჩამ წყურგილთან. შქა ლიას აკავშირებს ლია-ზუგდიდის საავტ. გზასთან. ისნა კვირკვია ამ აღმართთან ესახლა (ლია).

**იტიატიმ ნოხორი** – ვაკე-ბორცვი ნორსელიას სამხრ-ით. იტიატი პირსახელია (ოლორი).

**იჯინია** – მაღალი, წვრილთავა გორა ოლორისა და ტებენეს წყალგამყოფზე (ნაშამ-გუ, ენერფერდი). **იჯინი** „უყურე, უცქირე; უთვალთვალე“. **იჯინია** უნდა აღნიშნავდეს მაღალ ადგილს, საიდანაც შეიძლება მზერა და შემოგარენის დათვალიერება. ბოლოკიდური - ა ტოპონიმად აქცევს ზმნურ ფორმას. რესპ.: „გორა ეკუთვნოდა კაცს, სახელად იჯინიას“. შდრ. „**იჯინია** (იყურეო) — სათ. მუჟავაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 63).

### – კ –

**კა** – სალი კლდეები ენგურის მარცხ. მხარეს, სვანეთ-სამეგრელოს საზღვარზე. აქედან ენგურს ერთვის კაშლალე (მაგანას სატყეო). სვან.: **კა** – ფიქალი ქვა. კა, ამასთანავე, მიემართება მეგრულ **კალუ** ლექსემას. შდრ. ო. ქაჯაია: „**კა** – წილი, ცალი“; აღ. ქობალია: „**კა** – კაკალი, ცალი“; აკა – ერთი, ერთი კაკალი, ცოტა; **აკაბურცხა** – ძალზე ცოტა, ფრჩხილისოდენა.

**კაბარჭელა//კაპარჭელა** – ლაჩხვათრას მარჯვ. მდგენელი და მისი ხეობა (ლესალე). რესპონდენტები თვლიან, რომ კაპარჭელა თევზია ერთგვარი, რომელიც ამ მდინარეში იცოდა. მართლაც: „**კაპარჭინა** თევზია ერთგვარი“ (ო. ქაჯაია), „**კაპარჭინა** – თევზი კობრისებრთა ოჯახისა...“ (ქეგლ, 5). „**კაპარჭინა** (გურ.) – თევზია, ბუდობს მდ. კაპარჭინაში“ (ს. ჟღენტი). კაპარჭინა დასახელებულია ს.-საბას, დ. და ნ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, აკ. ჭანტურიას სალექსიკონო მასალებში. როგორც ჩანს, კაპარჭელა, კაბარჭელა მეგრული ვარიანტებია. კაპარჭინა მდინარეა ქ. ფოთშიც. გადიოდა პალიასტომის ტბას და უერთდებოდა შავ ზღვას, მაგრამ 1924 წელს პირდაპირ ზღვას შეუერთეს.

**კაბეტგოჭკადილი** „დიდი ხიდი“ – ხიდი ინწირაზე (კუხეში). ამჟამად რკინა-ბეტონისაა. უწინ ძელ-ფიცრისა იყო და, როგორც ჩანს, მაშინდელი სახელი შემორჩა. კაბეტი „დიდი“. იხ. **გოჭკადილი**.

**კაბეტი ოჩაიე** „დიდი საჩაიე“ – ჩაის ფართობი სოფლის ცენტრთან. სხვა ჩაის ფართობზე ბევრად დიდი იყო (პ. ენერი).

**კაბეტნეძი** „დიდი კაკლის ხე“ – ძველთაძველი კაკალი კანთში და პატარა მინდორი, სადაც იგი დგას (ლეთკანთი).

**კაბეტქუა** – ლოდი. იგივე დუტუმ ქუა (ზ. ლია).

**კაბემ ნაკარ(გ)** – საძოვარი ნოლიმერის ხეობაში. კაბე პირსახელია (ზ. ლია).

**კაბემ წყურგილი** – წყარო სააბრალოს უბანში, ჩელალის ნაპირას (ნაგურუ).

**კადრეფიმ ტომბა** – მორევი ჯალრალაზე. კადრიბ მებონიას ამ მორევის გვერდით ჰქონდა ყანა. კადრეფი ოფიციალური სახელის – კადრიბის – არაოფიციალური ვარიანტია (ჯალირა).

**კადრეფიმ წყარი** – წყარო ნაგელუში (ჯალირა).

**კაზა//კაზამ ჭველონი** – ერქვა ტყეს უჩაღალის მარჯვ. ნაპირას, სადაც კაზა ფიფიას მაღალ თხმელებზე ადესა ჰქონდა აშვებული. მაგრამ საბჭოთა პერიოდში ეს ტყე გაკაფეს, ჩაი გააშენეს და სახელწოდებაც მასზე გადავიდა (ლემამუგე).

**კაზამ ნამალაზ(გ)** – ბუჩქნარი ყარაში. კაზა შონიას აქ ჰქონია ყანა, სადაც იდგა მა-  
ლაზა, ანუ სასიმიინდე (ფახულანი).

**კაზამ ნაყან(გ)** – ნაყანევი თაბუეში (ჯვარის სატყეო).

**კაზამ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ნგფეშის ხეობაში (მაგანას სატყეო).

**კაზამ ქველონი** – ერქვა ტყეს. იგივე **კაზა** (ლექსამუგე).

**კაზლონჯია** – ღელე. იგივე **კასლონჯია** (მაგანას სატყეო).

**კაიშ ნისქვილი** – ნისქვილი ხურჩაზე, ლეარდიში. კაი კალი კალისტრატე (კუ-  
ხეში).

**კაკაურია** – წკვიბლალის მარჯვ. შენაკადი (ლელვინჯილე). ზემო წელზე ეწოდება  
ონახუე (ლესარჩილე). რესპ.: „ღელისპირას სახლებულა კაკა (პირსახელია) ურია, ე.ი. ებ-  
რაელი“. შდრ. კაკაური-ძე (გვარსახელი იმერეთში). შდრ. „**კაკაურია** – ღელე მიქავაში  
(ღლონტი, 1971, გვ. 64).

**კაკამ ნადიხ(გ)** – ფერდობი ჟინ ლეაბრალესა და თუდონ ლეაბრალეს შუა (ნაგურუ).

**კაკამ რხენი** – ვაკე-სახნავი სალაფერდის სამხრ. ფერდობის ძირას (ლესალე).

**კაკამ წყურგილი** – წყარო ლელვინჯილეში, წკვიბლალის მარჯვ. ნაპირას, კაკას სახ-  
ლის წინ (ლელვინჯილე).

**კაკაჩიეფიშ ფერდი** – ფერდობი. იგივე საკაკაჩიოშ ფერდი (ობუჯი, სამესხიო).

**კაკიაშ ღალ(გ)/ეფსიეფიშ ღალ(გ)** – ღელე-ხევი, კალანდიეფიშ ღალის ზემო წელი.  
მის ორივე ნაპირას სახლობდნენ ეფსიები. ერთ მათგანს ერქვა კაკია. ქალაქში კი ამ ღელეს  
ეწოდება **კალანდიეფიშ ღალ(გ)/რუსეფიშ ღალ(გ)** (ნალენჯიხა).

**კაკილი** „ნაკოდი, ნაყვერი“ – 1. კაკილიშ ღალის (იხ. ლაჩხვათრა) ხეობა ტყე-ფერდო-  
ბებით, სახნავ-საძოვრებით, ნასახლარებით (ლესალე); 2. ტყე-ფერდობები თეკანაშის კალ-  
თაზე (მაგანას სატყეო). რესპ.: „კაკილი **კაკუა** სამანის ხის დაჭდევება; ხეთა შემოკოდ-  
ვა. დაყვერვა ტყის მოახოების მიზნით“. ალ. ქობალია: „**კაკუა** – ნაყვა, კოდვა; დაჭდევება;  
განქერქვა...“

**კაკილიშ ღალ(გ)/კაკილიშ წყარი** – ღელე. იწყება გორა ესქედასთან და გაივლის კა-  
კილის ტერიტორიას. ამ ღელეს ერთვის შქაშღალე, დობერაღალე, გაშღალე, კაპარჭელა და  
მერე ეწოდება ლაჩხვათრა (ლესალე).

**კაკილიშ წყარი** – ღელე. იგივე **კაკილიშ ღალე** (ლესალე).

**კაკილიშ წყურგილი** – წყარო. კაკილიშ ღალის მარცხ. ნაპირას გადმონანწკარებს  
კლდე-ფერდობიდან (ლესალე).

**კაკინიაშ ჩაი//კაკინიაშ ნოხლენი ოჩაიე** – ჩაის ფართობი ჭაჭახში. კაკინია პირსახე-  
ლია. ჩაის ფართობი მისი სახლის წინაა. **ნოხლენი** – წინ მდებარე (ობუჯი).

**კაკინიაშ ნოხლენი ოჩაიე** – ჩაის ფართობი. იგივე კაკინიაშ ჩაი (ობუჯი).

**კაკიმ დიხა** – სახნავი ენგურის მარცხ. ნაპირზე (პალური).

**კაკიმ ნოხორი** – 1. მინდორი ბორცვზე, სოფლის აღმ. ნაწილში (უბადოღალი); 2. ჩაის  
ფართობი წკვიბლალის ნაპირას, ლესარჩილეს საზღვართან (ლელვინჯილე).

**კაკიმ წყურგილი** – წყარო. იგივე **მეგრელიძეფიშ წყურგილი** (ზ. ლია).

**კაკლარონი//კორსანტელიშ ნადიხ(გ)** – ჯაგნარი ოყაყალუს ხეობაში (ნაგურუ). კაკ-  
ლარი „ეკალი, ეკალ-დიჭი“ კაკლარონი „ეკლნარი“; **კორსანტელიშ ნადიხ(გ)** „კორსან-  
ტელის ნამიწარი“.

**კაკლარონსუკი** „ეკლნარი ბორცვი“ – ბორცვი ლაკადაში, ხურჩას მარცხ. მხარეს  
(ნაგურუ).

**კაკლონი** ( კაკლარონი „ეკლნარი, შამბნარი“) – ბუჩქნარი სქვამსუკის კალთაზე  
(ნაკიფუ).

**კაკომ ფოქვა** – მღვიმე ონნიშის ფერდობზე, შქერონის სათავესთან (მუჟავა).

**კაკუფარონი** – სახნავი დობერაღალის ხეობაში (ლესალე). კაკუ პირსახელია. ფარო-  
ნი „ხშირი ტყე“. ალ. ქობალია: „**ფარონი** – წვრილთვალა ბადე; უღრანი, ნაბერალი ტყე...  
საბძელი, ფარდული (ერთგვარი ნალია)“. ო. ქაჯაიას ლექსიკონში ფარონი არაა შეტანილი.

**კაკუცხა** – მაღალი კლდე ლუღერაში, ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას (ნაკიფუ).



**კალამნიფური** – ცანამ ლალის მდგენელი და მისი ხეობა ლეცინდეში (ნაკიფუ). სათავე წყარო გამოდის წიფლის ძირიდან. გადმოცემით, წყალს კალამის (შალაფის) მილი ედგა და ამიტომ ეწოდა.

**კალანდიაშ სუკი//კალანდიაშ ფერდი** – ბორცვი, სახნავი ლაჩახვასა და ონახუელალს შუა, ფუქის საზღვართან. უწინ კალანდიები ესახლნენ (ლენხარჩილე).

**კალანდიაშ ტომბა** – მორევი ქანისწყალზე, გგნაჭკადას ჩრდ-ით (ნალენჯიხა). რესპ.: „მეთევზე, გვარად კალანდია, სალამოჟამს, როცა მზემ შეანათა, შევიდა ონძილეში, ე.ი. წყალქვეშა დარანში, თევზის დასაჭერად. მაგრამ ვერ გამოასწრო, დაღამდა. დარჩა შიგნით და დაჯდა ფესვზე. მეორე დღე ღრუბლიანი იყო. მესამე დღეს, ისევ სალამოჟამს, მზემ შეანათა დარანში, მეთევზე გამოჰყვა მის სინათლეს და სალ-სალამათი გამოვიდა. ამის მერე დაერქვა“.

**კალანდიაშ ფერდი** – ბორცვი. იგივე **კალანდიაშ სუკი** (ლენხარჩილე).

**კალანდიეფიშ ლალ(გ)//რუსეფიშ ლალ(გ)//ეფსიეფიშ ლალ(გ)** – ქანისწყლის მარჯვ. შენაკადი. იწყება ჟიმოლენ საკალანდიოში და გაივლის ქალაქის ცენტრს. კალანდიები ქვემო წელზე ცხოვრობენ. ზემო წელზე ეფსიების საკარმიდამოებია და ეფსიეფიშ ლალგ ეწოდება. მოგვიანებით ლელისპირებზე რუსები დასახლდნენ და მდინარის ამ მონაკვეთს რუსეფიშ ლალგ დაერქვა (ნალენჯიხა).

**კალ(ემ)ნაჭვი** – ბუჩქნარი ზედა ლეჟაში, მეჯოგეთა სუკის სამხრ. ნაწილში. აქვეა წყარო **კალნაჭვიშ წყურგილი** (ნაკიფუ). გადმოცემით, აქ ქალები წვაგდნენ კალეს, რომლისგანაც ამზადდებდნენ ომარულს – სახის საცხს (ქართ. უმარილი).

**კალნაჭვიშ წყურგილი** – წყარო. იხ. კალ(ემ)ნაჭვი (ნაკიფუ).

**კამფარონია** – ტყე წისქვილარას მარცხ. მხარეს (სქურის სატყეო). **კამფარი, კა(მ)პარი** „ჯონჯოლი (ხე)“ კამფარონი კამფარონია (-ია სუფიქსი სახელდებული ობიექტის სიმცირეზე მიუთითებს).

**კამჩატკა** – ერქვა ჯვარზენის მუშათა დასახლების განაპირა უბანს (ჯვარი). ცენტრიდან იყო მოშორებული, თანაც აქ პატიმართა (მუშაობდნენ ენგურჰესის მშენებლობაზე) კორპუსები იდგა. ამიტომ დაურქმევიათ.

**კანატიშდუდი//პრისტანი** – დავაკება ყვირას კალთაზე, მაგანა-მოროჟას წყალგამყოფ სერზე (ჯვარის სატყეო). რესპ.: „აქ იყო „პრისტანი“ – ხე-ტყის დასატვირთი ბაქანი. ხე-ტყე აქამდე „კანატი“, ე.ი. საბაგრო გზით, ჩამოჰქონდათ“. შდრ.: რუს.:

**კანთარეფიშ ნაკარუ** – მინდორი წისქვილარას ხეობაში (სქურის სატყეო). **კანთარი** ნიშნავს **კანთელს**. კანთელ მწყემსებს აქ ჰქონდათ საქონლის საზამთრო სადგომ-საძოვარი.

**კანთი** – სოფელ ლეთკანთის კუთხე მუხურის საზღვართან. რესპ.: „კანთი სინათლიანი ადგილია“. იხ. ლეთკანთი. ალ. ქობალია: „**კანთი** – ...სინათლე, ჭვირი“.

**კანჯარა** – დავაკება, საფიხვნო (სასაუბროდ სოფელელთა შეხვედრის ადგილი) მენჯრალალის (ნაკას) ზემოთში. კანჯარაშ ფოქვას ქვემოთ. სალამოობით მთელი სოფელი აქ ამოდიოდა გრილ ნიავეზე დასასვენებლად (ლექარდე). აქედან გაედინება **კანჯარაშ ლალ(გ)** – მაგანას მარცხ. შენაკადი. რესპ.: „კანჯარი ცხენის ფერია. ამ ფერდობებსაც კანჯარის ფერი აქვს“. შდრ.: ო ქაჯაია: „**კანჯარი, კანჯარა** – ზოლებიანი, ჭრელი, აჭრელებული“; პ. ჭარაია: „**კანჯარი** – მოთეთრო, ლურჯი ცხენი“; ალ. ქობალია: „**კანჯარი** – მოთეთრო, ლურჯა ცხენი“. იხ. ქეგლ, IV: კანჯარი, კანჯარა.

**კანჯარაშ ფოქვა** – მღვიმე კანჯარაში (ლექარდე).

**კანჯარაშ ლალ(გ)** – ღელე კანჯარაში. ერთვის მაგანას მარცხ. მხრიდან (ლექარდე).

**კაპარჭელა** – ღელე. იგივე **კაბარჭელა** (ლესალე).

**კაპტონიშ ნოხორი** – ბუჩქნარი დიდი ტებენესა და ჭიჭე ტებენეს წყალგამყოფზე, გოხორხილთან (ფახულანი).

**კაპტომ ტომბა** – მორევი ჩხოუშიაზე, სამიქაოში. კაპიტონ მიქავას აქ ჰქონდა საკოლმეურნეო ნაკვეთი (ნალენჯიხა).



**კაჟნაშ დიხა** – ბუჩქნარი მალლობზე, უსქერაფლალის ზემოთში. კოლმეურნე კაჟნა სარია აქ ამუშავებდა მინას (ნალენჯიხა).

**კაჟნაშ ნოხორო** – სახნავი ფერდობზე, ლეჩიქვანეში (ლესალე). კაჟნა პირსახელია.

**კაჟნაშ ნოხორი** – 1. ჩაის ფართობი წვეიბლალის მარჯვ. ნაპირას, ლეხარჩილეს საზღვართან (ლეჯოლიხე); 2. ბუჩქნარი ლებუეში, ფერდობზე, ყალმურას სათავესთან (ნაგურუ).

**კაჟნაშ ლალ(გ)** – 1. ღელე ფართო ხეობით. ფშქერლალის შენაკადი. სათავეს იღებს ნოფაცხენში (ჭველე); 2. ღელე-ხეობა, უსქერაფლალის შენაკადი. მოედინება კაჟნაშ დიხადან (ნალენჯიხა).

**კაჟნაშ წყურგილი** – წყარო-ნაკადული ლებუეში. ერთვის ქორსუს. კაჟნა სარია აქ მინა-წყალს ფლობდა (ნაგურუ).

**კაჟლალი** – ღელე და უბანი. იგივე კაშლალი (მაგანას სატყეო).

**კარგეშალ(გ)** – მინდორი. იგივე **ოკარე** (მაგანას სატყეო, სქურის სატყეო).

**კარდილაში** „ქვაბისა“ – მორევი ოლორზე, ლეკუკეში (ფახულანი). ფსკერი უგავს **კარდილას** – მცირე სპილენძის ქვაბს, რომლითაც არაყს ხდიან. მაშასადამე, ტოპონიმი მეტაფორულია.

**კარიერი** – კარიერი სოფლის სამხრ. ნაწილში, დოხოორეს ქვემოთ. აქ მოიპოვებდნენ ხრეშს და აქვე ჭრიდნენ სამშენებლო ბლოკებს (ლეხარჩილე). რუს. ქართ. კარიერი.

**კარმეედანი** – მინდორი. იგივე **ოკარე** (მაგანის სატყეო, სქურის სატყეო).

**კასლონჯია//კაზლონჯია** – მაგანის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ხეზილიმდუდიდან. გამოივლის რხენსა და საქაცაროს (მაგანის სატყეო). მოტივაცია და სემანტიკა უცნობია. ამიტომ დაუდგენელია, რომელი ფორმაა პირვანდელი. აქედან გამომდინარე, დასაშვებია ორგვარი ფონეტიკური პროცესები. პირველი: კ – ზ კ – ს ან კ – ს კ – ზ. ორივე შემთხვევაში ცვლილებათა მიზეზია ყრუ მკვეთრი **კ**. მაშასადამე: კ – ზ კ – ს ასიმილაციის შედეგია (ყრუ მკვეთრმა გააყრუა მკვეთრი მჟღერი ნაპრალოვანი ზ), ხოლო კ – ს კ ზ – დისიმილაციისა.

**კატიაშ ნადიხ(გ)** – სახნავი ინგრას მარცხ. ნაპირას, ლეჯურუეში (კუხეში).

**კატიაშ ლალ(გ)** – ღელე, ინგრას შენაკადი. მოედინება ლეარდიდან. კატია, მარტოხელა ქალი, ამ ღელისპირას ესახლა (კუხეში).

**კატ(უ)ლალ(გ)** – 1. ტარჩიას შენაკადი გენძე სამესხიოში (სამესხიო). რესპ.: „აქ, ტყეში, ბევრი გარეული კატა ყოფილა. ამიტომ თუ დაერქვა“; 2. ხევი სკურეფიას ხეობაში, ხუფინას მარცხ. შენაკადი (საჩინო). კატუ „კატა“ (შინაური თუ გარეული); კატო, კატუ ქალის სახელიცაა.

**კატ(უ)ლალიშ მგკნანწყვი** – ფლატე. იგივე **მგკნანწყვი** (სამესხიო).

**კალუშ გიმალ(გ)** „კავით ჩამოსასვლელი“ – კლდეები მოროჟას მარცხ. ნაპირას. აქ ჩამოდის გზა ჭკვრილიდან (ჩქვალერი). რესპ.: „ციცაბო კლდეზე საცალფეხო ბილიკი იყო. ჩამოდიოდნენ კავით, რაც თოკის მაგივრობას ეწეოდა. კავი, იგივე კალუ, გრძელი ჯოხია, რომელსაც თავში კაკვი აქვს“. შდრ. ალ. ქობალია: „**კალუ** – კაუჭი, კავი, კაკვი... ორკაპა ან სამკაპა ჯოხი. იყენებენ რტოს მოსაწვდენად“.

**კალუშ ინოლ(გ)** „კავით ჩასასვლელი“ – ნაგზაური. ჟინეკვედან საცალფეხო გზა ჩადიოდა ტებენეს ხეობაში (ფახულანი).

**კაშლალი//კაჟლალი//კაშხალი** – ენგურის მარცხ. შენაკადი და ყოფილი დასახლ. უბანი ბუღურჯელის ჩრდ-ით (მაგანის სატყეო). იწყება კაში (იხ. კა). მაშასადამე, სწორი ფორმაა კაშლალე. მისი ფონეტიკური ვარიანტია კაჟლალე, ხოლო კაშხალი გადააზრების შედეგია: ენგურის ამ მონაკვეთზე კაშხალი ააშენეს. ხალხური ეტიმოლოგია: „კაშლალი კაზე (ე.ი. კალუზე) არის ჩამოკიდებული და სათანადო სახელი ჰქვია“. შდრ. „კაშ(ი) ლალი (კაშის ღელე) – ღელე ჯვარში“ (დლონტი, 1971, გვ. 64).

**კაშხალი** – ღელე და უბანი. იგივე **კაშლალი** (მაგანის სატყეო).

**კაჩაჩი** – მინდორი ტყეში, წვეფის ხეობაში, მორდუს რზენსა და ენგურს შუა (მაგანის სატყეო).

**კაცხარა** – 1. ვაკე-კონცხი ოტოფუესა და გვრძე ღალის შესართავთან, ზედა მაზანდარაში (მაზანდარა). გადმოცემა: „აქ ეკლესიაც ყოფილა. თურქებს გაუნადგურებიათ და გავერანებულა. გამვლელს კაცის ხმა გაუგონია და შეხმინანებია: „კაცი ხარ?“. ამიტომ დარქმევია კაცხარა“ (ჩაუნერია მასწავლებელ ც. ბულიას). შენიშვნა: ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია. მეგრულ სოფელში კაცი სხვა კაცს არ მიმართავდა ქართულად („კაცი ხარ?“) რესპ.: „მართლაც კაცხარაა: მერგელის ქანია და ზედ იელი იზრდება“; 2. ბორცვი, სასაფლაო ჭანისწყლის დას-ით, მედანიისა და ღარას საზღვართან.. რესპ.: „კაცხარა ეწოდება უნაყოფო წითელ მინას, ხრიოკს, ქვიან-კლდიანს, ჯაგით დაფარულს. იგივე ცხგვ ადგილია“; სხვა რესპ.: „დასურო კაცხარა რე, ტკილი რე დო იბლი გეჩანს“ (მედანი). აღ. ქობალია: „**კაცხი** – წვეტი, კაუჭი, კლდის წვერი...“ შდრ. სვან.: „კაცხ (-იმ, კაცხარ) – წვერო, კენწერო. მწვერვალი, წვეტი“ (იხ. სვანური ლექსიკონი, 2000, გვ. 345). შდრ. „კაცხ“ ქართული სახელწოდებაა სვანურ ენაში და არა სვანურში იმერულ დიალექტში. ზ. ჭუმბურიძე თვლის რომ კაცხი სვანური სიტყვაა. მაშასადამე, კაცხარა სვანური სუბსტრატია (როგორც ტოპონიმი, ან როგორც ნომენი). დაბოლოს: „კაცხი ქართული სახელწოდებაა სვანურ ენაში და არა სვანურში იმერულში“ (მ. ალავეიძე, გელათური ხელნაწერი ამტკიცებს, გვ. 180) იხ. კაცხარაზე: ც. ბულია, გაზეთი „კომუნიზმის დროში“, 18. XII. №145, 1973. კაცხ (კაცხარ სვანურ ლექსიკონში (თბ., 2000) ასეა განმარტებული: „წვერი, წვეტი, კენწერო, მწვერვალი“. სვანეთში დასტურდება ტოპონიმები კაცხარ, კაცხგლდ...

**კაჭამ გიოლაფუ** „კაჭას გადასავარდნი“ – კლდე-ფერდობი, საიდანაც გაედინება კაჭამ გიოლაფუ ღალე. კაჭა პირსახელია (ჩქვალერი).

**კაჭამ გიოლაფუმ წყარი** – ღელე ღრმა და მოკლე ხევით. ჩამოედინება კვდას ფერდობიდან, რომელსაც კაჭამ გიოლაფუ ეწოდება. წყალი მხოლოდ ნანვიმარზე მოედინება“ (ჩქვალერი).

**კაჭამ ნაყვანუ** – ტყე-ბუჩქნარი ჩხოუშიას მარცხ. ნაპირას, ლემანიეში. კაჭია პირსახელია (პ. ენერი).

**კაჭუმ ეკალ(გ)** „კაჭუს აღმართი“ – ბილიკი უჩაგოთეს სამხრ-ით. გზა-ბილიკი კლდე-ფერდობზე ამოჭრა კაჭუ შონიამ. იშვიათი ვარიანტი „**სეკრეტი შარა**“ (ფახულანი).

**კახრა** – ტყე ეცის მარცხ. მხარეს (ხუდონის სატყეო). არაა გამორიცხული, კახრა სვანური სუბსტრატია იყოს.

**კაჯალიმ ნოხორი** – ბუჩქნარი ცხიმურმონწყვილთან. კაჯალი მამაკაცის სახელია (ქალაღალი).

**კაჯამ ნაყვან(გ)** – ბუჩქნარი ლემანიეში, ჩხოუშიას მარცხ. ნაპირას. კონტექსტი: „კაჯამ ნაყვანგს იბირდეს ოცონურს დო ბალანეფი გუაჭაჭუდით, ურჩქილედით“. **ოცონური**, ანუ ოდოია, არის სიმღერა ყანის თოხნისას; ნადური. კაჯა პირსახელია (პ. ენერი).

**კეგვამ ნადიხ(გ)** – სახნავი ღარანყარის მარჯვ. ნაპირას, სოფლის სამხრ. ნაწილში. ამჟამად ერთი ნაწილი ჭანჭრობად იქცა და ეწოდება **ღები** (ღარა).

**კეგვამ ღალ(გ)** – ღელე-ხევი ფიმოლენ სამესხოს დას. ნაწილში. ერთვის ლეარსანეს საროგაღალის გვერდით. კეგვა (კაცის სახელია) მოშორებით ესახლა, მაგრამ ამ ხეობაში ჰქონდა ყანები (სამესხო).

**კეკელამ ღალ(გ)** – 1. მცირე ღელე ლეჩიესა და ოჭკადგრეს შუა. ერთვის ხურჩას ბატამ ტობასთან. კეკელა ყოფილა შინაყმა, მოხუცი ქალი, რომელიც ამ ღელესთან ესახლა (კუხეში); 2. ღელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. აქვე იყო წყარო **კეკელამ წყურგილი**, რომლის წყალი წალენჯიხის საავადმყოფოს მიეწოდებოდა. ამ ობიექტის ახლომახლო ტერიტორიაზე ხშირად პოულობენ თიხის მილებს, ბრინჯაოს ხანის ცულებს, შუბის ბუნიკებს და სხვ. კეკელა გვარად კალანდია იყო (წალენჯიხა).

**კეკელამ წყურგილი** – წყარო. იხ. კეკელამ ღალ(გ) (წალენჯიხა).

**კერანდუხუმ ნოხორი** – საკარმიდამოები სოფლის სამხრ. ნაწილში. კერანდუხუ კაჩიას ნამოსახლარია (ობუჯი).

**კერიმ ნაცვილა** „ტახის ნაკლავი“ – ტყე-ხევი ლეაფშილეში, სადაც დიდი კერი („გარეული ტახი“) მოუკლავთ (ნაკიფუ).

**კერნახონა//კირნახონა** – ვაკე-ფერდობები ჯარალასა და ჭანისწყლის სათავეებს შორის, ყვირას ჩრდ. კალთაზე, ვერტიკალური კლდის ძირას (მაგანას სატყეო, სქურის სატყეო). ხალხური ეტიმოლოგია: „გარეულ ტახს („კერი“) გადაუთხრია დინგით“. **სონუა** „ხენა“ ნახონა „ნახნავი“. რესპ.: „კერნახონა ტახის ნაჩიჩქნს ნიშნავს“.

**კერცხი//კვრცხი** „კენჭოვანი, წვრილქვიანი ადგილი, ძნელი დასამუშავებელი“ – დაქანებული და თეთრქვაკენჭიანი ვაკე ჯვარზენსა და ოჭანეს შუა (ჯვარი). კერცხა, კერცხი, კვრცხი უნდა ნიშნავდეს კენჭოვან, წვრილქვიან ადგილს, ძნელ დასამუშავებელს. შდრ. ალ. ქობალია: „**კირცხი, კვრცხი** – სეტყვა; ქვიან-ლიჭიანი, ფიცხი, ფიცხელი, ძნელად დასამუშავებელი ნიადაგი, კრიახი“. კერცხი დასახელებული აქვს ალ. ლლონტსაც.

**კეხუცა გოგოხიაშ ნოხორი** – მინდორი გორა ჭანაკარუში (ფახულანი).

**კეხუცაშ წყარი** – წყარო ცანაშში, კუხანარის ჩრდ-ით. კეხუცა მამაკაცის სახელია (ქალაღალი).

**კვაზიმ წყურგილი** – წყარო ნაფაცხუში. კვაზი პირსახელია (ჯალირა).

**კვამზაჩიმ ნაკარუ//ქვამზაჩიმ ნაკარუ** – ტყე-ბუჩქნარი ფერდობზე, ხახურში (ფახულანი). კვამზაჩი, ქვამზაჩი მამაკაცის სახელია.

**კვარაცხელიაშ ნაკარუ** – საძოვარი ყვანთში (სქურის სატყეო).

**კვარაცხელიეფიმ კუნთხუ** „კვარაცხელიების კუნთხე“ – ერქვა ტყეს ზღვიასა და სქურდილას შუა. ერთი ნაწილი დაიკავა ჩაის პლანტაციამ (ნალენჯიხა).

**კვარიში** – ტყე-ბორცვი სოფლის სამხრ. ნაწილში, ნოჟალას სათავესთან (ლემამუგე). რესპ.: „აქ არავინ ცხოვრობს, მაგრამ სალოცავი იყო. კვარი ამოჰქონდათ და ხეებს სწირავდნენ. ამიტომაა კვარიში“. შდრ. ალ. ქობალია: „**კვარიშ ცოთამა** – კვერის სროლა. ახალი წლის მეორე დღეს, ფერხობას იცოდნენ...“. იხ. ვრცლად „კვარიშ ცოთამა“ (ალ. ქობალია).

**კვარიშიშ ნოჟალა** – ნოჟალანყარის მდგენელი. მოედინება კვარიშიდან (ლემამუგე).

**კვარკვალა ნუზონი//შქაშნუზონი** „მრგვალი ნაძვნარი//შუა ნაძვნარი“ – ნაძვნარი ოხაჩქუეს კალთაზე. ფართო შუშელს ქვემოთ (ჭალეს სატყეო).

**კვარკვალა სუკი** – ბორცვი კანთში, სახუბულიოს სამხრ-ით (ლეთკანთი).

**კვარკვალა ტომბა//ლევანტიაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, საკალანდიოში. ლევანტი სარიას აქვე ჰქონდა სახნავი. მორევი წყალი ტრიალებს. ამიტომ ეწოდა კვარკვალა ტომბაც (ნალენჯიხა).

**კვარჩ(ხი)ღალ(გ)** – ულურიანყარის ორი მდგენელი. ერთი იწყება სალუკაში, მეორე – ხვალახე ყყონში (ულურია, ნაკიფუ). კვარჩხიღალე „უკულმართი ღელე“ რამდენიმეა სამეგრელოში. მათი „უკულმართობა“ ისაა, რომ მიედინებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ზღვისპირეთიდან მთების მიმართულებით. რესპ.: „**კვარჩხი** — 1. მარცხენა (გამოთქმაში: კვარჩხანი); 2. მავნე, ზიანის მომტანი; 3. უხეირო, უვარგისი...“ ალ. ქობალია: „**კვარჩხი** — უკულმა პირი; უკულმართი, ცელქი“. სხვა მოსაზრება: შდრ. კვარჩხიღალე „მარცხიანი ღელე“ (ლლონტი, 1971, გვ. 65).

**კვაჭალარა//კვაჭალარე** – წყარო-ნაკადული სოფლის ცენტრში, ტკიბრას მარცხ. შენაკადი. გამოედინება ვინრო მღვიმიდან (ჩქვალერი). რესპ.: „მიკვაჭალე ქუალონს დო თიშენი ჯოხო“. **მიკვაჭალ(გ)** ნიშნავს ჩქარ, ცქვიტ სიარულს. ალ. ქობალია: „კვაჭალარა – ჩხრიალა, კენჭიანი“.

**კვაჭალარე** – წყარო-ნაკადული. იგივე კვაჭალარა (ჩქვალერი).

**კვაჯაშ მინდორი** – ერქვა კვაჯა კუხალეიშვილის ნასახლარს. შემდგომში აქ ჩაი გააშენეს და უწინდელი სახელწოდება ჩაის ფართობზე გადავიდა (ლია).

**კვაჯაშ ნაკარუ** – დავაკება ოლორის მარცხ. ნაპირას. კვაჯა არქანას ზამთრობით აქ ეყენა საქონელი (ფახულანი).

**კვაჯამ ნაცუდუ** – 1. საბალახო ნედრონას გვერდით, ბორცვზე. კვაჯა მიქავას სახლი სწორედ ამ ბორცვზე ედგა (მაზანდარა); 2. ჩაის ფართობი მახარის ჩრდ-ით. კვაჯა კუხა-ლეიშვილი აქ ესახლა (ლია).

**კვაჯამ ნოხორი** – ნასახლარი საარქანოში (მუჟავა).

**კვაჯიმ ტკილი** – სალი კლდე. იგივე ბუჯგუმ ტკილი (ჭალე).

**კვაჯიმ წყურგილი** – წყარო ენგურის მარჯვ. ნაპირას, კვაჯიმ ტკილთან. გამოედინება კლდიდან. კვაჯი შონია აქვე ესახლა (ჭალე).

**კვენნემ ნაკარ(გ)** – გამინდვრება ჭანისწყლის ნაპირას. აქ „კარე“ ჰქონდა კანთელ მწყემს კვენნე კვარაცხელიას (სქურის სატყეო).

**კვეცემ(ი) წყურგილი** (კვეცეს წყარო) – წყ. ჭალეში (ღლონტი, 1971, გვ. 65).

**კვიკვინამ ნოხორე** – ნასახლარი ნაკვიჭუში. კვიკვინა შულაია აქვე ესახლა (საჩინო).

**კვიკვიმ ნაკარუ** – 1. მინდორი მუჟავას საზღვართან (ჭალეს სატყეო); 2. საძოვარი და ბუჩქნარი სქურში, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (სქურის სატყეო).

**კვიკვიმ ნეძი** „კვიკვის კაკალი“ – კაკლის ხე კვიკვიმ ნაკარუსთან. ამ ხეზე იყო სასაზღვრო ნიშანი წალენჯიხის სატყეო მეურნეობისა და საკოლმეურნეო ტყეებისა. კვიკვი არქანის ამ კაკლის ძირას ჰქონდა მწყემსის საზაფხულო სადგომი (ჭალის სატყეო).

**კვიკვიმ ცომური** „კვიკვის ტყემალი“ – სათიბი ჭყებრზენში, სოფლის ჩრდ-ით. აქ, კვიკვი ლემონჯავას მიწაზე, ტყემალი მდგარა (ნაშამგუ).

**კვინჩალე//კვინჩალემ სუკი** – მაღალი გორა ტებენესა და მის შენაკად კვინჩალემ ღალს შუა, ლანჯიშში. არაა გამორიცხული, კვინჩალე მეტსახელი იყოს. შდრ. ალ. ქობალია: „კვინჩალი – ქორორა, ხოხოლიანი; კობტად მოყვანილი თავის მქონე“. რესპ.: „აქ რამდენიმე ჯიშის ყურძენი იცოდა და გუნდ-გუნდად შეესეოდა ხოლმე კვინჩა. ყურძნის საჭმელად იკრიბებოდნენ. ამიტომ თუ დაერქმეოდა“ (ფახულანი).

**კვინჩალემ სუკი** – მაღალი გორა. იგივე **კვინჩალე** (ფახულანი).

**კვინჩალემ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა, ტებენის მარჯვ. შენაკადი. ჩაუვლის გორა კვინჩალეს (ფახულანი).

**კვინჩამ გინალეფი** „კვინჩას გადანავარდნი“ – კლდე კვინჩალესთან (ფახულანი). რესპ.: „აქ გადანავარდნილა ცხენი, სახელად კვინჩა. იმასაც ამბობენ, გორასაც ამიტომ შეერქვა კვინჩალე“.

**კვინჩამ ნოხორი** – სახნავი შქაშსაფიფიოში. გადმოცემით, კვინჩა ქუხილავას ნასახლარია (ლემამუგე).

**კვინჩამ სუკი** – ბორცვი ქვიშონასა და ლეფიფიეს შუა (საჩინო).

**კვირიელი** – ბუჩქნარი ესქედას კალთაზე (ლესალე). შდრ. ალ. ქობალია: „კვირიონი – საკვირველი, კუდიანი, რომელიც ტაბაკონისაკენ მიფრინავს; საკვირველებათა ადგილი; ეულად ამოჩრილი ქვალოჯების ადგილი“.

**კვირკვიამ კუნთხუ** – კვირკვიების უბანი. იხ. **ლეფაცურე** (საჩინო).

**კვიცი(ნია)შ გა** – ბორცვი. იგივე კვიცინიამ ნოხორი (ფუქი).

**კვიცინიამ ნოხორი//კვიცი(ნია)შ გა** – ბორცვი სამართალას მარჯვ. ნაპირას, ლემოსიძეში. გადმოცემები: ა. ამ გორაზე კვიცინია კვარაცხელია ესახლა; ბ. აქ კვიცი მომკვდარა და ამიტომ დარქმევია (ფუქი).

**კვიჭილი** – ბორცვი სალუკასა და კაკაურიას შუა, სოფლის ჩრდ. ნაწილში (ლელვინჯილე). **კვიჭილი** „პატარა, მკვირცხლი, მკვრივი“ ადვილად გადაიქცეოდა მეტსახელად (შდრ. ალ. ქობალია: „კვიჭინი – სიმკვირცხლე, სიპატარავე“). გვერდითაა ნალურათუ. ალ. ღლონტი ასახელებს „კვიჭილი – ადგ. მიქავაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 65).

**კიბლაში** – გორა. იგივე **კიბლემში** (ჯვარის სატყეო).

**კიბლემში//კიბლაში** – მაღალი გორა მაგანასა და მოროყას წყალგამყოფ ქედზე, ლექარდემ ფერდსა და ლეფაჩულეს შუა (ჯვარის სატყეო). კიბული, კიბულერი, კიბლონი, კიბ(უ)ლე, კიბ(უ)ლემში, კიბო, კიბოლია, კიბუეში სამეგრელოში ბევრგან გვხვდება იმ კლდეების ან ფერდობების სახელებად, სადაც გზას კიბესავით აქვს საფეხურები, ან მერგელის ფილაქნები შორიდან ტერასებად მოჩანს.

**კიბო** – მთა. იგივე აკიბო (ხუდონის სატყეო).

**კიბოშ ღალ(გ)** – ღელე და ხეობა, სქურდილას მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „ძველად ამ პატარა ღელეში ბევრი ყოფილა **კიბო** „კიბო; კიბორჩხალა“ (ნალენჯიხა). შდრ. „კიბოიამ(ი) ღალ(გ) (კიბორჩხალის ღელე) — ნყ. ობუჯში“ (ღლონტი, 1971, გვ. 65).

**კიბ(უ)ლეთი//კიულეთი//კიულეტი** – მაღალი ვაკე-გორა ბორბოლში, გგრძელალისა და კუნტალალის შესართავთან. ეტყობა გალავანი, ნაგები ქვითა და გრძელი, ფართო, სქელი აგურით. ატყვია რამდენიმე ნააკლდამარიც. იქნებ ტოპონიმი დაკავშირებულია კიბულ სიტყვასთან, რაც აღნიშნავს „კიბე-ტერასიან გორას; ციცაბო კლდეს“ (საჩინო). აღ. ქობალია: „**კიბული** – კიბე, აკიბული, ტერასა, დატერასებული გორა, კბოდე, პიტალო“.

**კიდობანია** – ტყე-ფერდობი ნიფონასა და გარამელას შუა (სქურის სატყეო). კიდობანი მეგრულშიც კიდობანია. მაგრამ მოტივაცია?

**კიკონია//კიკონიამ ღალ(გ)** – ღელე. იწყება გვალაიაში. ერთვის ჭანისწყალს მარცხნიდან წისქვილარას შესართავს ზემოთ 1,5 კმ-ზე. კიკონიას ხევის მარჯვ. მხარეს შუა საუკუნეების ეკლესიის ნაშთი ჩანს (სქურის სატყეო). რესპ.: „**კიკონუა** ნიშნავს კენკვას, მცირედ ჭამას, ხოლო კიკონია იქნება მცირედ მჭამელი, ნამხემსებელი, ე.ი. ვინც კიკნის, ციცქნის, ძლივს ჭამს, იცმუცქნება. მეტსახელადაც გამიგონია“.

**კიკონიამ ღალ(გ)** – ღელე. იგივე **კიკონია** (სქურის სატყეო).

**კიკუმ ნოცუნი** – სახნავი საკონჯარიოში, ბორცვზე (სამესხიო).

**კილი** – ღელე. იგივე **კვლე** (წყოუში).

**კიმოშ დიხა** – ფერდობი სქურჩას მარჯვ. ნაპირას. აქვეა კიმოშ ტომბაც. კიმო ბელქანია ამ ადგილებს პატრონობდა (უღურია).

**კიმოშ ნადიხ(გ)** – საკარმიდამო დაბალ ბორცვზე, ლაკადას ძირში. ამჟამად აქ ახალმოსახლე ცხოვრობს (ლარა).

**კიმოშ ტომბა** „კიმოს მორევი“ – მორევი სქურჩაზე, კიმოშ დიხასთან. კიმო ერქვა გლეხკაცს, რომელსაც ფერდობებიც შემოღობილი ჰქონდა და მორევიც, რათა შიგ არავინ შესულიყო (უღურია).

**კინაკიონტაფუ//კვნაკიონტაფუ** – მორევი ინწირაზე, ნაბირთუში. წყალი კლდეს ეხლება, ტრიალებს და მარჯვნივ უხვევს (საჩინო). **კიონტი** „ადგილზე ტრიალი, თავბრუდახვევა **კინოკიონტაფა** „რაიმეს ძირას ტრიალი“. მორევი კლდისძირასაა. წყალი ამ კლდეს ეხლება და ადგილზე ტრიალებს. აღ. ქობალია: „**კინო** – ზმნისწინი, შეესაბამება ქართული **უკან, უკუ-, მი-**; გამოხატავს მოქმედებას, მიმართულს უკან, განზე (**კინოჯინა** – უკან მიხედვა; **კინოლაფა** – მივარდნა (კუთხეში); **კინოკინა** – უკან, განზე განევა, უკუქცევა)“. აღ. ქობალია: „**კიონტი** – ბრუნვა-ტრიალი, ბრუალი, შრიალი“; „**კინოკიონტი** – წრიალი, ტრიალი (მიმწყვედეულისა)“.

**კინესქური//კინისქური** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ყინობუჯში (ჯალირა, ნაკიფუ). რესპ.: „ვილაც კაცი მიდიოდა თურმე გზაზე და აქ რომ მოუღწევია, უთქვამს, კინე („ისევ“) სქური ყოფილაო“. სქური სამეგრელოს ტოპონიმიაში ხშირად გვხვდება ჰიდროგრაფიულ-ორონიმულ ნომენად. აღ. ქობალია: „**კინისქური** – რკინანაწლევი წყალი; შავწყალა“. თ. მიქელაძე თავის მონოგრაფიაში, რაც შავი ზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიას ეძღვნება, აღნიშნავს: ჭან-ფორმის უძველესი შესატყვისია კაენ-//კინ-. ამას ადასტურებს ტოპონიმი კინესქური: „სოფ. ჯალრასთან ჩამოდის ღელე, რომელსაც **კინასქური** ეწოდება. იგი ერთვის ჭანის წყალს და განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვეჩვენება...“ (მიქელაძე, 1974, გვ. 130). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მდინარე ტოპონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია კინიშქური ფორმითაც: შდრ. „კინიშქური — ღელე, გორი ნაკიფუში“ (ღლონტი, 1971, გვ. 65).

**კინისქური** – ღელე. იგივე **კინესქური** (ჯალირა, ნაკიფუ).

**კინტირიაშ წყურგილი** – წყარო. იგივე **ყოლბაიამ წყურგილი** (კუხეში).

**კინჩხა** – მაღალი წყალვარდნილი კინჩხაშ ღალზე, რაც ინწირას შენაკადია და მრავალგან აქვს წყალვარდნილი (ჩქვალერი, ჯვარის სატყეო). რესპ.: „კინჩხა, საერთოდ, მიუვალი ტყე-კლდეებია. უშნოდ მაღალ და ფიცხ კაცზეც იტყვიან „ოკინჩხინანს“. შდრ. აღ.

ქობალია: „**კინჩხა** – ქედა, ქედისა, ქედური“; „**კინჩხი** (კენჩხ) – კინჩი, კისრის მალა; ქედი, ქედანი“ აკ. ჭანტურიას განმარტება: „**კინჩხი** – ტყურაია ძიგვალი ტყა, ჯალონი; უბრალო ტყე“ (ჭანტურია, 1996, გვ. 228).

**კინჩხაშდუდი** – ციცაბო კლდეები კინჩხას თავზე (ჯვარის სატყეო).

**კინჩხაშ ტომბა** – მორევი ინჩირასა და კინჩხას შესართავთან (ჯვარის სატყეო).

**კინჩხაშ ღალ(გ)** – ლელე, ინწერას მარჯვ. შენაკადი. ინწერასა და კინჩხას შესართავთან მორევს „კინჩხაშ ტომბა“ ეწოდება (ჯვარის სატყეო).

**კირდეჯინჯი//კვრდეჯინჯი** „კლდისძირი“ – მიკროუბანი ნაჯიხის კლდის ძირას, გვრძეზენის გვერდით (წყოუში).

**კირნახონა** – ვაკე-საძოვრები. იგივე **კერნახონა** (ჯვარის სატყეო).

**კიულეთი** – მაღალი გორა. იგივე **კიბ(უ)ლეთი** (საჩინო, მაზანდარა).

**კიულეტი** – მაღალი გორა. იგივე **კიბ(უ)ლეთი** (საჩინო, მაზანდარა).

**კლასიმ ნაყვან(გ)** „სკოლის ნაყანევი“ – ჩაის ფართობი ლეჭანტურეში, ტკიბრალა-ლის მარჯვ. მხარეს, სადაც ომის დროს სოფლის სკოლა ყანას ამუშავებდა (ჩქვალერი).

**კოდიშ წყურგილი** – წყარო, ჩელალის სათავე ვეჯინჯში (საჩინო). კოდი არის წყალში ჩასადგმელი გულამოღებული მორი. საჭიროა, რათა წყალი ყოველთვის სუფთა იყოს. ქართულში კოდის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: „გულამოღებული მორი, უძირო, რომელიც მიწიდან მომდინარე წყაროშია შვეულად ჩადგმული წყლის შესაკრებად და გამოსადენად“ (ქეგლ, IV). მეგრულში კოდის მნიშვნელობაა: ა) ხის ჭურჭელი, წყაროსთან დადგმული საქონლის დასარწყულებლად; ბ) გულამოღებული უძირო მორი. მიწიდან ამომდინარე წყაროში შვეულად ჩადგმული. აუცილებელია დაჭაობებულ, თიხნარ ადგილებში, რათა წყალი ყოველთვის სუფთა იყოს. თლიან მუხის, თხმელის, თუთის ხისაგან. შდრ. ქოლო. იხ. აგრეთვე: კოდი და ქოლო ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას ლექსიკონებში. კოდი გვხვდება ალმ. და დას. საქართველოს რეგიონების ასობით ტოპონიმში.

**კოდრა მოსიძეშ ნადიხ(გ)** – სახნავი ოხოჯურში, ლელვინჯილეს უბანში (ლელვოლი-ხე).

**კოკაიაშ ნასხაპა** „სადაც კოკაია გადახტა“ – კლდე ლეზობალალის მარცხ. მხარეს, ანთიეფიშ ფერდის გვერდით. მთვრალი კოკაია აქ გადახტარა 25-30 მ. სიმაღლიდან და გადარჩენილა (ზ. ლია).

**კოკაიაშ ნატომბ(გ)** – მორევი ბირგულამზე, ონტყოლკუნთხუსთან. რესპ.: „ეკუთვნოდა კოკაიას (გვარია). შემდეგში გადასახლდა და მორევსაც კოკაიას ნამორევალი დაერქვა“ (ნაკიფუ).

**კოკაიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ბორცვზე, ონტყოლკუნთხუსთან (ნაკიფუ).

**კოკელაძეშ წყურგილი** – წყარო. იგივე ონძილე (ზ. ლია).

**კოკიაშ ნაისგრ(გ)** – დაფერდება კოჭომ ნოღუნის ზემოთ (იხ. ნაისგრე). (ნაგურუ).

**კოკიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, საშენგელიოში. კოკი მამაკაცის სახელია (ობუჯი). ამასთანავე, კოკი აღნიშნავს კუნძულს, ნახევარკუნძულს მდინარეში, ხერთვისი; წყალთაშუა დელტა, ჭალაკი...“ (ალ. ქობალია). ო. ქაჯაია: „**კო(ნ)კი** – კუნძული მდინარეზე, ბორცვი (მიუთითებს პ. ცხადაიას).

**კოკოიაშ ფერდი** – ტყე-ბუჩქნარი ფერდობზე, სამიქაოში, ნაპერტუს მარჯვ. ნაპირას (ფუქი).

**კოკუეფიშ ნაკარუ** – ტყე ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (სქურის სატყეო). კოკუეფი კვარაცხელიების ერთ-ერთი შტოს სახელია (კოკუ – ჩია, ტანდაბალი, მოკაკული, კიკნა). კოკუებს ამ ადგილას საქონლის საზამთრო სადგომი ჰქონდათ.

**კოლიაშ ნაბინეხ(გ)** – ბუჩქნარი აფთარაში (სამესხიო).

**კოლიაშ ომანე** – ტყე-ბუჩქნარი ფერდობზე, ქვედა მაზანდარაში, სადაც ბევრგანაა მელიის ბუნაგი. **ომანე** ბუნაგია (მაზანდარა). ალ. ქობალია: „**ომანე** – სორო, ხვრელი, ბუნაგი, სამალავი“.

**კოლიაშ ოჩაიე** – ბუჩქნარი ქვედა მაზანდარას ალმ. ნაწილში (მაზანდარა).

**კოლიამ რზენი** – დავაკება ოლორის მარჯვ. მხარეს. იყო სახნავი და სათიბი, მაგრამ წყალდიდობამ მოშალა (მუჟავა).

**კოლიამ ტომბა** – 1. მორევი ინწირაზე (კუხეში); 2. მორევი. იგივე ხვიჩეფიმ ტომბა (პ. ენერი).

**კოლიამ ტომბა//უთუთიამ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ქალაქის ცენტრში, ხიდთან. უთუთია და კოლია მამა-შვილია (გვარად კვარაცხელია). ახალგაზრდები უფრო პირველ ვარიანტს მიმართავენ, ხანდაზმულები – მეორეს (წალენჯიხა).

**კოლოსხული „მწარე მსხალი“** – ტყე ნაკვარაცხელში (ქალაღალი).

**კოლოფანა//ყოლოფანა** – საძოვარი სალაფერდის კალთაზე. მოტივაცია ვერ დადგინდა (ლესალე).

**კომინტერნი** – 1. ჩაის ფართობი ლექარდეში. ეკუთვნოდა კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობას (პ. ენერი); 2. ჩაის ფართობი ლეცინდეში. გააშენა ლუღერის კომინტერნის კოლმეურნეობამ (ნაკიფუ).

**კომკავშირიმ დისა** – ტყე-ბუჩქნარი ლეღვინჯილეს უბანში. რესპ.: „ომის დროს კომკავშირლებს სახნავ ნაკვეთად ჰქონდათ“ (ლეჯოლიხე).

**კონდრატემ ნაცვან(უ)** – საძოვარი ჟინი რზენის კალთაზე, ნაბერაყს ქვემოთ (ჩქვა-ლერი).

**კონდრატემ ნოხორი** – მინდორი ტებენეს ნაპირას (ფახულანი).

**კონკი** – მცირე კუნძული ენგურზე, ქვედა ჭველეში (ჭველე). კონკი, კოკი, რაც ხშირად გვხვდება სამეგრელოს მიკროტოპონიმიაში, აღნიშნავს კუნძულს, ნახევარკუნძულს ან შემადლებას, მწვერვალს ველზე. ი. ყიფშიძე: „კოკი – „; პ. ჭარაია: „კოკი – წყლისპირა ადგილი; წყალ და წყალშუა ადგილი, კუნძული, ჭალაკი“. „მასალებში“ (ტ. I, 379) განმარტებულია: „კონკი – მწვერვალი; კენწერო; ყველაზე მაღალი ადგილი“. იხ. აგრეთვე ალ. ქობალია.

**კონკია** – მცირე კუნძული ენგურზე (წყოუში). შდრ. კონკი.

**კორსანტელიმ ნადიხ(გ)** – ჯაგნარი. იგივე კაკლარონი (ნაგურუ).

**კორსანტელიმ ნოხორი** – ჩაის ფართობი დავაკებაზე, ბელერში (ლეღვინჯილე).

**კორსანტელიმ ტომბაია** – ღრმა და ფართო მორევი კლდის ძირას, სადაც ლებოხა-ლაღვ ერთვის ენგურს (ზ. ლია).

**კოსმანიმ ალალ(გ)** – დაღმართი სააფაქიო ენწერიდან ლიაში მიმავალ გზაზე (ლია). **ალალ(გ)** „ჩასავალი“. კოსმანი პირსახელია.

**კოსტაიაშ წისქვილი** – ჩანჩქერი. იხ. **კოსტაშ ღორე//კოსტაშ წყარი** (ნაკიფუ).

**კოსტაშ ლაკაციონი** – აკაციის ტყე ლეჯლანჯლეში, ნაკილუსთან. ტყე კოსტას ეკუთვნოდა (ნაგურუ).

**კოსტაშ ლუღეფი** „კოსტას ლეღვები“ – ნასახლარი. იგივე **ნანოხორი** (წალენჯიხა).

**კოსტაშ ნადიხ(გ)** – ჭყანტობი ოხოჯურში. კოსტა მოსიძე აქვე ახლოს ესახლა (ლეჯოლიხე).

**კოსტაშ ნაკარუ** – დავაკება ლეჭამაკას მარცხ. ფერდობზე. აქ „კარე“ ჰქონია კოსტა არქანას (მუჟავა).

**კოსტაშ ნოხორი** – საძოვარი საარქანიოში (მუჟავა).

**კოსტაშ ოხარჩალაია** – წყარო და ნაკადული. ერთვის ტარჩიას საკაციოში. ოხარჩალაია „ჩხრიალა“ წარმოადგენს მცირე ჩანჩქერს ან ღარით გამოყვანილ წყალს, რომელიც რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადმოჩხრიალებს. კოსტა კაციას სწორედ ასეთი ღარი გაუკეთებია (სამესხიო).

**კოსტაშ ტყა** – ტყე ფერდობზე, მარჩხილის სათავესთან. ეკუთვნოდა კოსტა მოლაშხიას (ნაკიფუ).

**კოსტაშ ღორე//კოსტაშ წყარი** „კოსტას ღარი//კოსტას წყალი“ – მარჩხილის მარცხ. მდგენელი. აქვეა ჩანჩქერი კოსტაიაშ წისქვილი (ნაკიფუ). კოსტა მოლაშხიას ამ ლელის წყალი სანისქვილე ღარზე მიუშვია. ამ მიზეზით წარმოქმნილა ეს სახელები.

**კოსტამ ნისქვილი** – ნანისქვილარი, მცირე წყალვარდნილი მარჩხილის სათავესთან. კოსტა მოლაშხიას სწორედ ამ წყალვარდნილთან ჰქონია ნისქვილი (ნაკიფუ).

**კოსტამ წყარი** – ღელე. იგივე **კოსტამ ღორე** (ნაკიფუ).

**კოტატიამ ნადიხ(გ)** – ერქვა ჩაის ფართობს ენგურისპირა ვაკეზე. კოტატი ჭანია აქვე ესახლა (ჭალე).

**კოტატიმ ტომბა** – მორევი ლაჩახვაზე (ულურია).

**კოტატიმ წყურგილი** – წყარო. იგივე **არტემ წყურგილი** (ჯალირა).

**კოტეჟი//კოტეში** – ენგურჰესის რუს მუშათა დასახლება დურეში (ფოცხოენერი).

**კოტეში** – მუშათა დასახლება. იგივე კოტეჟი (ფოცხოენერი).

**კოტემ ტომბა** – მორევი ნოჟალაზე, ლენულაიეში (კუხეში).

**კოტემ ღორე** – ღელის მონაკვეთი. იგივე **კოტოლალე** (სამესხიო).

**კოტომგკონწყვილი** – ხევი, ჩაქცეული ორმო ნანჯარუში, ოტოფუეს სათავესთან (ნაკიფუ). **მგკონწყვილი** „ნამენყრი, ჩამონაქცევი“. **კოტო** „ქოთანი“, როგორც ოროგრაფიული ტერმინი, აღნიშნავს ქოთნისებურ ჩაღრმავებას მიწაში ან მდინარის კლდოვან ფსკერზე.

**კოტოტიამ ფერდი** – ფერდობი ცხონოხორის გვერდით (ფახულანი).

**კოტოლალ(გ)//კოტემ ღორე** – ნემელალის მონაკვეთი, სადაც ჩანჩქერის ძირას ქოთნისებური ქვაბულია (ფახულანი). **კოტო** „ქოთანი“, **ღორე** „ღარი“ გაუკეთებია კოტე გუჩუას.

**კოტონყარი** „ქოთნის წყალი“ – 1. წყარო ძეგრონაში. ამოდის ქოთნისებური ორმოდან ქვა-კლდოვან ადგილას, ბილიკის პირას (ნაგურუ); 2. წყარო მოროჟას მარცხ. მხარეს. წყალი გუბდება კლდეში. კოტო „ქოთანი“ ამ შემთხვევაში მეტაფორული ლექსემაა (ჩქვა-ლერი).

**კოტონყუ** – საბანაო მორევი ჭალაყვანაზე. წყალი დგას კლდოვანი კალაპოტის ქოთნისებურ ღრმულში (ლესალე). ქართველურ ენა-კილოთა მასალის შედარების გზით მ. ჩუხუა ასკვნის: ს.-ქართვ. \***კუტ**- „ჭურჭელი, სასმისი“ ქართვ. **კუტ-ო-ი** : ზან. **კოტ-ო**//\***კუტ-ო** : სვან. **კუტ-აღ**//**კუტ-ალ** (ჩუხუა, 2002-2003, გვ. 131-132). თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვან წარწერებში ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის წაკითხვასთან დაკავშირებით ფართოდ მსჯელობს გია კვაშილავა და აღადგენს გვიანდელ საერთო-ქართვ. \***კუტ-აღ**//\***კუტ-ალ** არქეტიპს. მეგრ. კოტო-ს სემანტიკის კვლევას გ. კვაშილავა იწყებს კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვანი წარწერით წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის აღმნიშვნელი kati-ის ანალიზით. საბოლოო დასკვნა ასეთია: საერთო-ქართვ. \***კუტ-აღ**//\***კუტ-ალ** არქეტიპიდან მიიღება ისტორიულად დამონმებული ძირეული მორფემები: ქართ. კუტ-ალ-ი „პატარა ქოთანი“, სვანური კუტ-აღ-ი//კუტ-ალ-ი „ღვინის სასმელი, კულა, დოქი“ და მეგრ. კოტ-ოლ კოტო „თიხის ქოთანი, პატარა ქოთანი“... (იხ. ვრცლად: კვაშილავა, 2014, გვ. 31-39), მაგრამ სამეგრელოს ტოპონიმიაში დამონმებული **კოტო** ლექსემებს აღმოაჩნდა ოროგრაფიული (მეტაფორული) მნიშვნელობაც: ჩაღრმავებული ორმო მიწაში ან მდინარის კლდოვან ფსკერზე.

**კოლონა** – ტარჩიის მარჯვ. შენაკადი და ხეობა საკონჯარიოში. მოედინება ენრიდან, არის საზღვარი სოფ. ჯიხაშკართან (სამესხიო). რესპ.: „მცირე ღელეა, წყალი შედარებით თბილია და კოლო იცის“.

**კოჩარობუ** „კოჩას ხევი“ – ხევი ბოგაშის კალთაზე, ფარის აღმ-ით. აქ გადის ღელე ჩელალი. კოჩა პირსახელია (ლარა).

**კოჩამ ღალ(გ)** – ღელე. იგივე კურკამ ღალე (ლეშამუგე).

**კოჩიმ ორჩუალი** „კაცის საძარცვი“ – ერქვა უღრან ტყეს წალენჯიხის ჩაის მეურნეობის შესასვლელთან. ამ ტყეში აბრაგების სამალავი იყო (წალენჯიხა).

**კოჩიმ ფონი** „კაცის ფონი“ – ფონი ჭანისწყალზე, საიდანაც გზა მიდის როხონაში (სქურის სატყეო). რესპ.: „ფეხით გასასვლელი იყო, ურემი ვერ გადიოდა“.

**კოჩნამ ნაშქვიდა** – მორევი. იგივე ფინჯიში (ჭველე).

**კონიამ ნაკარუ** – მინდორი საქაროს ფერდობის ძირას (ჭველე).



**კონიაშ ტომბა** – მორევი ინწირაზე, ლეჩქიქვანეში, შეროზიეფიშ ოწისქვილესთან (ნა-გურუ). კონია, ჩვეულებრივ, პირსახელ კონსტანტინეს არაოფიციალური ვარიანტია.

**კონიაშ წყურგილი//ნიკომ წყურგილი** – წყარო ნამოსინუში. აქედან ღელე მიემართება ნაპერტუში (ფუქი).

**კონიაშ ცხიმურონა** – ერქვა ტყეს სოფლის ცენტრში. ეკუთვნოდა კონია მანიას. ტარდებოდა სოფლის კრება და სხვა ღონისძიებანი, საბჭოთა პერიოდში აქ აშენდა კლუბი (ჯვარი).

**კოჭოიაშ წყურგილი** – წყარო ქვედა ჭველეში, სადაც უწინ ჩაის ფაბრიკა იყო. უვლი-და კოჭოია აქუბარდია (ჭველე).

**კოჭომ ნაკარ(გ)** – მინდორი ჭანისწყლისა და ჩელალის შესართავთან. მწყემს კოჭო კვარაცხელიას აქ ჰქონია კარე ( კარავი) – მწყემსის სადგომი (ჯგალი).

**კოჭომ ნოხორი** – ბუჩქნარი საკვარაცხელიოში, სადაც უწინ მიმამულე კოჭო მო-ლაშხია ესახლა (ნაკიფუ).

**კოხორა** – ვრცელი ტყე-ბორცვი ოლორის მარცხ. მხარეს. აქვეა ტლაპო კოხორაშ ონტყოლგ (მუჟავა). აღ. ქობალია: „**კოხორა** – ქვა-ღორღიანი ადგილი, გოხნარი; შეძლებუ-ლი დასახლება; კარგი სამოსახლო ადგილი“. კოხორა სოფელია სამურზაყანოშიც, პირველი გალის თემში (გალის რ-ნი).

**კოხორაშ ონტყოლგ** – ტლაპო, საქონლის სალაფაო. ესაა რამდენიმე ათეული კვ.მ. ჩაღრმავება ბორცვზე, სადაც წვიმის წყალი დგება და საქონელი ეტანება ზაფხულის ცხელ დღეებში (მუჟავა).

**კოხტამ ნაკარუ** – ფერდობი ლეჭამაკეს მარცხ. ნაპირას, ოლორის ზემოთში (მუჟა-ვა).

**კრამიტომ ქარხანა** – ადგილი ტარჩიას ნაპირას, სადაც უწინ იდგა კრამიტის ქარხა-ნა, იგი გაუმართავს ლევან მესხიას, რომელიც ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპია. „დაზგა-ყალიბი“ პარიზიდან ჩამოუტანია პირველ ქართველ მფრინავ ქებურიას. მიწის ასაზელი აგრეგატი მუშაობდა ტარჩიას წყლით. აქ გამოჭრილი კრამიტი განსხვავდებოდა იმ კრამიტისგან, რაც კი სამეგრელოში მზადდებოდა. ამიტომ ამ განსხვავებული კრამიტისათვის შეურქმევიათ „მარსელია“. მიწის ასაზელი აგრეგატი ტარჩიას წყლით მუშაობდა თითქმის XX ს-ის სამოციან წლებამდე (სამესხიო).

**კუზაიაშ გინადინეფი** „სადაც კუზაია დაიკარგა“ – სახნავი ენგურის მარცხ. მხარეს (პალური). რესპ.: „კუზაია შელია აქედან მოუპარავთ და ენგურსგალმა გაუყიდიათ“. უწინ ერქვა **შელიაშ ნადიხგ**.

**კუკამ ნოხორი** – სახნავი დაფერდებულ ნასახლარზე, ტობეშში. კუკა(ვა) გვარია (ფახულანი).

**კუკლაია(შ)გა** – შემალლება ჯვარზენის გადასახედთან. აქვს მცირე დაქანება. კუკ-ლაია მამაკაცის სახელია (ლეშამუგე).

**კუკ(უ)რაშ ნოხორი** – სახნავი ლესალეს უბანში (კუხეში).

**კუკ(უ)რაშ ღალ(გ)** – ღელე. სათავეს იღებს ლეჩიეში. ერთვის ინწგრას ხვიჩიეფიშ რზენტან (კუხეში).

**კუნთხუ** „კუთხე“ – 1. სახნავი საქებურიოში, კინესქურის მარცხ ნაპირას, სადაც იქ-მნება კუთხე ღელესა და ბორცვის შორის. რესპ.: „დასურო კუნთხუ რე, ეურე ღალი ალაქუნს, აურე ტყა დო ფერდი რე“ (ჯალირა); 2. ბორცვი, უბანი ოტოფუესა და ომისორე-ღალის შესართავთან. სწორედ ამიტომაა კუნთხუ. ორია: ერთს ეწოდება პირველი კუნთხუ, მეორეს – მაჟია კუნთხუ (მაზანდარა).

**კუნთხუმ ღალ(გ)** – ღელე კუნთხუში. კინესქურის მარცხ. შენაკადი (ჯალირა).

**კუნტა** „მოკლე“ – სოფ. ჯვარის ნაწილი. ასახელებს ი. ყიფშიძე თავის „მეგრულ-რუ-სულ ლექსიკონში“. XX ს. 70-იან წლებში ეს ტოპონიმი ვერ დავადასტურეთ.

**კუნტა ბარცხონა//კუნტა ფარცხონა//კუნტა ქერცხონა** – ღელე და ხეობა ტყე-ბუჩქნარით, სქურდილას შენაკადი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში. გვერდითაა გვრძე ბარცხონი (ობუჯი). აღ მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონის“ მიხედვით, სალიტერატურო ქართუ-

ლი „თავისარას“ მეგრული ვარიანტებია: ბარცხი, ბარცხვინია, ბარნკვინია, მანკვინტია, ქოცხოცხო (შდრ. ქეგლისეული განმარტება: „თავისარა – ბურქბალახა ეკლიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა: ტოტები ფოთლის მსგავსად აქვს გაბრტყელებული და ეკლით დაბოლოებული, ნაყოფი წითელი მრგვალი კენკრაა“. ო. ქაჯაია ბარცხს განმარტავს როგორც ეკლიან ბარდს. ალ. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „**ბარცხი** – ჯაგი, ეკლიანი ჩირგვი იგივეა, რაც ბაძგი“. „**ბარცხონა** – ჯაგნარი, ეკლიანი ბურქნარი“ (ბ ფ ცნობილი ფონეტიკური პროცესია). შდრ. „კუნტა ფარცხონა (მოკლე ფარცხონა) — ადგ. ობუჯში“ (ლლონტი, 1971, გვ. 66).

**კუნტა ბული** – მთა-საძოვრები. იხ. **გენძე ბული** (სქურის სატყეო).

**კუნტა ბარცხონი** – ტყე-ხევი. იხ. **გვრძე ბარცხონი** (ობუჯი).

**კუნტაგა** – ბორცვი. იხ. **გენძეგა//გვრძეგა** (ლელვინჯილე).

**კუნტა სამესხიო** – სოფლის ნაწილი ტარჩიას სათავესთან. შდრ. გვრძე სამესხიო, რომელიც მდინარის დას. ნაპირზეა და გაცილებით დიდია კუნტა სამესხიოზე სიგრძითაც და მოსახლეთა რაოდენობითაც (სამესხიო). იხ. აგრეთვე **სამესხიო**.

**კუნტა ფარცხონა** – ლელე და ხეობა. იგივე **კუნტა ბარცხონა** (ობუჯი)

**კუნტა ფოქვა** „მოკლე მღვიმე“ – მეორე მღვიმე სოფლის ჩრდ. ნაწილში, ქანისწყლის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე. რესპ.: „მცირე მღვიმეა, ერთი კაცი ძლივს გადაინვიმებს“. გვერდითაა გვრძე ფოქვა (მედანი).

**კუნტა ქერცხონა** – ლელე-ხევი. იგივე **კუნტა ბარცხონი** (ობუჯი). ო. ქაჯაია: „ქერცხე – ქაცვი, ეკალ-ბარდი“. ალ. ქობალია: „ქერცხონა (ქერცხონა) – ეკალნარი. ჯაგი, ბარცხონი“.

**კუნტალალ(გ)** „მოკლე ლელე“ – 1. გვრძელალის მარცხ. შენაკადი. მოედინება კიბულეთიდან. სიგრძე 0,5 კმ (მაზანდარა); 2. ნოჟალანყარის მარჯვ. შენაკადი (კუხეში) და სხვ.

**კუნტამ ნოხორე** – სახნავი სამარლიოში, ხუფაიას მარცხ. ნაპირას, ლეკიკიესთან. კუნტა ერქვა კაცს, რომელიც შემდეგ ქვემოთ, ვაკეზე დასახლდა (პალური).

**კურკამ ღალ(გ)//კოჩამ ღალ(გ)** – მდ. ნოჟალას მარცხ. შენაკადი ნოჟალას უბანში. სათავე აქვს ლექუხილეში. კოჩა ერქვა ბაბუას, კურკა – შვილიშვილს (ლემამუგე).

**კურკუცა** – 1. მრგვალთავა ბორცვი ოხარკალეს თავზე (ჯვარი); 2. მთა-ბორცვი. იგივე კუჭუხურა (ლარა); 3. ბორცვი სქურდილის მარცხ. ნაპირას. კონუსისებურია. ჰგავს ხელოვნურს (ობუჯი) და სხვ. კუჭუხურა, კურკუცა, კურკუცია ბევრგან ეწოდება მცირე კონუსისებურ ბორცვს, მრგვალთავა შემადლებას ველზე. შდრ. ბ. კილანავა: „**კურკუცა** — ვაკეზე ეულად ამალლებული გორაკი“. ო. ქაჯაია: „მრგვალი ბორცვი (უთითებს პ. ცხადაიას)“.

**კურკუცია//ნახუბუმ კურკუცია** – მრგვალთავა შემადლება ნახუბუს სერის ჩრდ. ნაწილში (ჯალირა).

**კურკუცია სუკი** – 1. ბორცვი ოხვილიშის მარცხ. მხარეს (ფახულანი); 2. ბორცვი ზედა მაზანდარაში (მაზანდარა) და სხვ. რესპ.: „კურკუცია მრგვალთავა ბორცვის, შემადლებების საერთო სახელია“ (ფახულანი). ო. ქაჯაია: „კურკუცია — კონუსისებური ადგილი (მიუთითებს: ქსს, I, გვ. 316); ფერდობი“.

**კუტანია//კუტაშია** – ბორცვი სქურჩას მარჯვ. მხარეს. დაფარულია ბურქნარით და ტუნგის ნარგავებით (ლექოლოხე). რესპ.: „კუტანია, კუტაშია ტანმოკლე, დაბალ კაცს ერქვა“.

**კუტაშია** – ბორცვი. იგივე **კუტანია** (ლექოლოხე).

**კუტიაშ ნოხორი** – ჩირგვნარი სოფლის ცენტრალურ გორაზე, ლანჯიშში. კუტია შონია აქვე ესახლა (ფახულანი).

**კუტლეი** – ბზანარი ფერდობი ინწირის მარცხ. მხარეს (ნაგურუ). ალ. ქობალია: „კუტალია – მოკლე, პატარა“; „კუტაჭალე – პატარა ჭალა“.

**კუჭუ(ა)შ ნაგვაგვა** – საძოვარი მაგანის ხეობაში, ცეშინჯის ზემოთ (მაგანას სატყეო). **გვაგუა** „(და)ბეგვა“ ნაგვაგვა „ნაბეგვი“. შდრ. ალ. ქობალია: „**გვაგუა** – გვემა, ბეგ-

ვა, ბეჟვა, ბეგვით გაჩიქვა, განმარცვლა, დიდი ლუკმებით ჭამა“, გვაგუა ძირითადად მაგრად ცემას ნიშნავს. მაშასადამე, **კუჭუშ ნაგვავა** „სადაც კუჭუა მიბეგვეს“.

**კუჭული ნაშინ(გ)** – ტყე-ბუჩქნარი ლეგვილეში, ოყაყალეს ნაპირას. კუჭული კაცის სახელია (ნაგურუ).

**კუჭურუაშ ნყურგილი** – წყარო საკალანდიოს ჩრდ. ნანილში. წყარო და მის გარშემო მდებარე მიწა-წყალი ეკუთვნოდა კუჭურუა კალანდიას. **კუჭუ, კუჭურუა**, თავის მხრივ, საზოგადო სახელია და ნიშნავს პატარასა და ტანდაბალს (ნალენჯინა).

**კუჭუხურა** – 1. ბორცვი სამართალს სათავესთან (ლეღვინჯილე); რესპ.: „კუჭუხურა ენოდება წვრილთავა ბორცვს, მცირე ვაკე-ბორცვს, რომელიც ხელოვნურს ჰგავს. კუჭუხურას იტყვიან მიმწყვდეულ ადგილზეც, რომლის იქით გზა არ მიდის“; 2. მრგვალთავა ბორცვი ქვედა ლეჟაში, სქურჩის მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „კუჭუხურა მრგვალთავა, თავნვეტა ბორცვია“. გადმოცემები: ა. კუჭუხურა თურქებს აუშენებიათ, ბ. აქ პოულობენ კინანინდას და გამომწვარ თიხის ნამსხვრევებს (ნაკიფუ); 3. მრგვალთავა ბორცვი ლეღვინჯილეში, ბელერსა და ნკვიბდალს შუა (ლეჯოლიხე). ალ. ქობალია: „კუჭუხურა – წვრილთავა ბორცვი“.

**კუჭუხურა//კურკუცა** – მრგვალთავა ბორცვი ჩაის ფართობით სოფლის დას. ნანილში, ხურჩასა და გობოგილიშ ღალს შუა (ლარა). ო. ქაჯაია: „**კურკუცა** – მრგვალთავა ბორცვი. ვაკეზე ეულად ამალღებული გორაკი“; „**კუჭუხურა** (კუჭუხურას) – წვრილთავა ბორცვი“ (მიუთითებს: პ. ცხადაია). შდრ. ალ ქობალია: „**კურკუცია** – კონუსისებური შემალღებული ადგილი; ეული ბორცვი (ვაკეზე)“; „**კუჭუხი** – მწვერვალი, წვეროკინა, თავში მოვიწროებული“, „**კუჭუხურა** – წვრილთავა ბორცვი“.

**კუხანარა** – წყარო და ხევი. იგივე **კუხარნა** (ქალალალი).

**კუხარნა//კუხანარა** – წყარო და ხევი ცანაშში (ქალალალი). რესპ.: „წყალი მიწერა-ლურია, სპილენძის გემო აქვს, წითლად ღებავს, სასმელად ეტანებიან, თუმცა კი ზედ ბენზინივით მოიღებს რალაცას. რატომ დაერქვა ასეთი სახელი, ეს კი არ ვიცით“. სხვა რესპონდენტი: „წყარო აღმოუჩენია ბაბუაჩემს: თხრისას ამოუგდია ლომის („ძალაყინის“) სიგრძის ლენჯი („სპილენძი“) და მისგან მელენჯეს („სპილენძის ოსტატი“) კარდილა („მცირე ქვაბი“) გაუკეთებია“.

**კუხეში** – სოფელი საჩინოს ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნანილში).

**კუხეშიშ მიქამგარიო** – ეკლესია და სასაფლაო. იგივე **კუხეშიშ ოხვამე** (კუხეში).

**კუხეშიშ ოხვამე//კუხეშიშ მიქამგარიო** – ეკლესია და სასაფლაო სოფლის ცენტრში, ლენულაიეში, ინწერას მარჯვ. ნაპირის დავაკებაზე. აქ ესვენა მიქამგარიოს მთავარანგელოზის ხატი. ამ ხატს შესთხოვდნენ ვაჟიშვილის სიჯანსაღესა და მაღალი მოსავლიანობისათვის სასურველ ამინდს. ოჯახის უფროსი ანთებულ სანთელს ოჯახის წევრებს თავზე შემოავლებდა და ილოცებოდა: „სახელდალოცვილო ღმერთო მიქამგარიო, ოჯახში მოგვეცი ჯანმრთელობა, ვაჟის ძლიერება, მოზარდები გაგვიზარდე და მოგვეცი ბედნიერი ცხოვრება“ (შავიანიძე, 2015, გვ. 85). ეს ეკლესია საბჭოთა პერიოდში საწყობად იყო გამოყენებული (კუხეში). ალ. ქობალია: „**მიქამგარია, მიქანგარია, მიქამგარიო** – მიქელ-გაბრიელი; მიქელ-გაბრიელის სახელობის სალოცავი ქვევრი და სხვ.

**კვდა** „კედელი“ – ფერდობი ჟინი რზენის კალთაზე, ლეფიფიეს ჩრდ. ნანილში (ჩქვალერი). **კვდა**, როგორც ლანდშაფტური ნომენი, აღნიშნავს კედელივით აღმართულ და შიშველ კლდეს. ალ. ქობალია: „**კიდა** – კედელი, ჯებირი, ტიხარი“.

**კვზბუყი** – ჭიუხები. იგივე **კვცბუყი** (მაგანის სატყეო).

**კვლაკვათილი//ტკილკვლაკვათილი** – კლდე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას და მორევი მის ძირას (ლეკაკულე). **კვლაკვათილი** „გამოჭრილი“ დარქმევია იმის გამო, რომ ტკილში (მერგელის ქანში) სანისქვილე არხია გაჭრილი. **ტკილკვლაკვათილი** „კლდე გამოჭრილი“.

**კვლგ//კილი** – ღელე და ხეობა. იწყება ბასილიაში, ტაჰერიშ წყურგილთან. გადის საბერიოში. რესპ.: „კილს ჯოგიშ ღალსაც უწოდებენ“. ალ. ქობალია: „**კილი** – ნაკლი, ზადი, მცირე წუნი, ხელეური, კონა“ (წყოუში, ქალალალი).

**კნაკონტაფუ** – მორევი. იგივე **კინაკონტაფუ** (საჩინო).

**კნაფუაფუ** – წყალტრიალა მორევი ოლორზე, როხონთან, ლეკუკეში (ფახულანი).  
**ფუნს „დულს“ კნოფუნს „დულს რაიმეს ძირას ან კუთხეში“ კნაფუაფუ „რაიმეს ძირას დუღილის ადგილი“.** აქ წყალი კლდის ძირს ეხეთქება, „დულს“ და ტრიალებს.

**კნტგრიაშ ტობა** – მორევი ნოჟალაზე, ლენულაიეში (კუხეში). **კნტგრი** კიტრია, ხოლო **კნტგრია** – პირსახელი.

**კნტგრიაშ ტყა** – ტყე ლესარეში, ნალენჯიხა-ობუჯის გზაზე. ეკუთვნოდა კნტგრია ფიფიას (ნალენჯიხა).

**კნტგრიაშ ლალ(გ)** – დღე და ხეობა საკალანდიოში, კნტგრიაშ ტყასთან. ქვემო წელზე ენოდება უჩა ლალგ. ამჟამად ჩაედინება თევზსაშენში (ნალენჯიხა).

**კნტგრიაშ წყარი** – წყარო მამუკიაშ ჯიხასთან (საჩინო).

**კვპაშ მამული//სახუმ მამულონი** – თხმელნარი ფერდობი არქანიას ქვემო ნანილში. მამული ენოდება ყოველგვარ ნაშენს, უპირველეს ყოვლისა კი – ვენახს (ფახულანი).

**კვპაშ ნაცვანუ** – ჩაის ფართობი ჟინ სამესხიოში, კატულალის სათავესთან. კვპა მესხიას აქ ჰქონია ყანა (სამესხიო).

**კვრდეჯინჯი** – უბანი. იგივე **კირდეჯინჯი** (წყოუში).

**კვრგბიაშ ფერდი** – ფერდობი ოქაჯელალის მარცხ. ნაპირას. **კვრგბი** კრავია, ხოლო **კვრგბია** მამაკაცის სახელია ან მეტსახელი (საჩინო).

**კვრცხი** – ვაკე. იგივე **კერცხი** (ჯვარი).

**კვსერი „კისერი“** – სერი ხულუცვასა და ნუზონს შუა (ფახულანი). კისერი, როგორც მეტაფორული ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს ორი გორის შემაერთებელ ვიწრო და დაბალ სერს.

**კვტტიაშ ფერდი** – ფერდობი ბუჩქნარით საგერგედაში, ომუნჩქველალის მარცხ. ნაპირას. კვტტია შონია ამ ფერდობს ფლობდა (კვტტია, როგორც საზოგადო სახელი, აღნიშნავს ჩრჩილს). (ფახულანი).

**კვცბუყი//კვზბუყი//კვზბუკი** – ჭიუხები ორულაფუს ქედის გაგძელებაზე, სვანეთის საზღვართან. ხომ არ ნიშნავს **კვცბუკი** კერიაზე შეშის თავის დასადებ ლოდს? იხ. ი. ყიფშიძე: „ბუკი – ჯირკი, კუნძი; დიდი მორი, რომელიც ზამთარში შუაცეცხლს დაუდებენ და იწვის“. **კვცონა** (მაგანას სატყეო). ო. ქაჯაია: „**ბუკი** – ხის მორი, ქვა ან რკინა კერიაზე შეშის თავის დასადებად; სკა ანუ მორი ფუტკრისათვის“. იხ. ალ. ქობალიას ლექსიკონში: „**ბუკი, ბუცი, კიცი (კვც)**“. რესპ.: „კვც არის ლოდი ან კლდოვან-ლოდებიანი კლდე“.

**კვცონა** – კლდე ლეხვიჩეში, ხურჩის მარცხ. ნაპირას, სადაც ფილაქნები შრეებადაა დალაგებული (ნაკიფუ). როგორც ჩანს, **კვც(გ)** „კლდე, ლოდი; საერთოდ, მაგარი საგანი“. ალ. ქობალია: „**კიცი (კვც(გ))** – კეცი, თიხა, თიხის ჭურჭელი, კრამიტი“. ო. ქაჯაია: „**კიცი//კვცი** – კეცი“.

**კვცონაშ ტობა** – მორევი ხურჩაზე, კვცონას კლდის ძირში (ნაკიფუ).

**კვჭ(გ)** „მაგარი რამ; მკვრივი საგანი“ – საკარმიდამო ნაკვეთი, ქვებიან-კენჭებიანი ფერდობი უჩა ლალის სათავესთან, გზისპირზე. სამხრეთით უვლის ჯვარი-ჩქვალერის საავტ. გზა. რესპ.: „კვჭ, კიჭი ითქმის ბავშვის კბილზე. კიბირი უკიჭინანსია, იტყვიან. მაგრამ ადგილს რატომ ჰქვია კვჭ, არ ვიცი“ (ლემამუგე). ალ. ქობალია: „**კიჭი (კვჭ) – კიჭი**“. ქეგლში: „**კიჭი**–1. კბილი (ბავშვის ენაზე); 2. კბილი (ნიორი)“.

## — ლ —

**ლაბა** „გვერდობი, ფერდობი“ — ჩაფერდება ხვიმონას ქვემოთ (მუჟავა). შდრ. ო. ქაჯაია: „**ლაბა** – ფერდობი“. რესპ.: „თქუნან, ათაურენ ლაბას წყურგილე რენია“.

**ლაბარაში//ლაბერაში//ლაბორაში** – ვაკე-ტყე ენგურ-მაგანას წყალგამყოფ მალ-ლობზე, წულიშის სამხრ-ით, ჩადრეკილ-ჩაზნეკილ ადგილას, სვანეთისა და ჰესის გზების გასაყართან (ჯვარი). აქ შემორჩენილია ორი კოშკის ნაშთი და **ლაბარაშიშ ჯიხა**, რომელიც ომუნემ ჯიხას უკავშირდება საცალფეხო გზით. ორივე ერთმანეთს შეჰყურებს. ლა-

ბარაშის ციხესიმაგრე დანვრილებით აღწერა თ. ბერაძემ და იგი ადრეფეოდალური ხანი-სად მიიჩნია. აღ. ქობალია: „**ლაბარა** – მზიანი მიდამო“. აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია „ლაბარაშის ციხე-გალავანი“. შდრ. ლებარეში – ღელე და ხეობა ლეჩხუმში, ლაჯანურის მარჯვ. შენაკადი (სოფ. ხოჯი), ხოლო **ლაბარ** საძოვარია ცალდაშში და ლაბარაშ სოფ. ადიში (ორივე მესტიის მუნიციპ.).

**ლაბარაში ჯიხა** – ციხესიმაგრე. იხ. **ლაბარაში** (ჯვარი).

**ლაბაღვა** – ტყე-კლდეები მაგანას მარჯვ. მხარეს, ხოკო-ხეობის გზაზე (მაგანას სატყეო). რესპ.: „დაფერდება, ამიტომაა **ლაბა**. ხოლო **ღვა** ლოყაა. მივიღეთ „დაფერდება“ ლოყა“. სხვა რესპ.: „თქუნა, ლაბა ალაძენია ეთექი“. არაა გამორიცხული, ლაბაღვა სვანური ტოპონიმური სუბსტრატი იყოს. ო. ქაჯაია: „**ლაბა** – ფერდობი“.

**ლაბახა** – ღელე. იგივე ლაბარხა (კუხეში).

**ლაბგა** – სერი, უღელტეხილი ოლორ-ტებენეს წყალგამყოფზე, სადაც გზა გადის ტე-ბენისპირა ქალეში (ფახულანი). რესპ.: „აბგა ხურჯინია. ეს გზა-უღელტეხილიც ხურჯინი-ვითაა გადაკიდებული სერზე“. შდრ.: „**ლაბგა** სვანურად სამაგრ ადგილს ჰქვია“ (მიბრუნანი, 1989, გვ. 255).

**ლაბგაშ ეკოხონი** – აღმართი გზაზე, რომელიც ტებენეს ნაპირებიდან ადის ლაბგაში. **ეკოხონი** „აღმართი“ (ფახულანი).

**ლაბერაში** – ვაკე-ტყე. იგივე **ლაბარაში** (ჯვარი).

**ლაბორაში** – ვაკე-ტყე. იგივე **ლაბარაში** (ნაკიფუ).

**ლაგამინჯუ** – ტყე-ფერდობები. იგივე **ნაგამინჯუ** (ნაკიფუ).

**ლაგვაგვიონი** – 1. სათიბი ფაშტახირთან და ტყე-საძოვარი ტყაბედინერს ზემოთ (ხუდონის სატყეო); 2. ტყე-საძოვარი ჭანისწყლის ნაპირას, ცურონას შესართავთან (სქურის სატყეო); 3. მინდორი ნიფლნარში, წყავაშალას სათავესთან, ვეჭყფე-კირნახონას გზაზე (მაგანას სატყეო) და სხვ. **ლაგვაგვია**, ანუ **ლაგვიმარაია**, იგივე ლაგ(უ)მორია, არის გვიმ-რისნაირი მცენარე, ოლონდ უფრო მაღალი (ქართ.: ჩადუნა). ო. ქაჯაია: „**ლაგვაგვია** – გვიმრის ერთ-ერთი სახეობა“; აღ. ქობალია: „**ლაგვაგვია** – ერთგვარი გვიმრაა“.

**ლაგვილაღალ(ე)** „ლაგვილავას ღელე“ – ღელე-ხეობა, ტარჩიას მარჯვ. შენაკადი. სა-თავეს იღებს ენერში. ლაგვილავებიც იქვე ესახლნენ. ამჟამად ეს ხეობა კაციებს უკავიათ (სამესხიო). აღ. ლლონტი ასახელებს ფორმას „ლაგვილაღალი (ლაგვილავას ღელე) – ღელე (ობუჯი)“.

**ლადიმერიშ (ტანიშ) ობონუე** „ვლადიმერის საბანაო“ – მორევი ჭანისწყალზე. ვლა-დიმერი იქვე ესახლა და ამ მორევიში ხშირად ბანაობდა. **ტანიშ ობონუე** „ტანსაბანი (მორე-ვი)“. (მედანი).

**ლადიშ ნოხორეი** – ნასახლარი ოყაყალაიას დას. ფერდობზე, ლექარდეს გაგრძელებ-ზე. დარჩენილია ხეხილი (ნაშამგუ).

**ლადიშ(ი) ღალ** (ღადის, ვლადიმერის ღელე) – ღელე ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 66).

**ლაზარეშ(ი) ღალი** (ლაზარეს ღელე) – ღელე ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 67).

**ლაზარია//ლაზარიაშ ნოშქვიდური** – მორევი ინწირაზე. ლაზარია (გვარსახელია) დარაწში შესულა თევზის დასაჭერად და დამხრჩვალა (საჩინო).

**ლაზარიაშ ნოშქვიდური** „სადაც ლაზარია დაიხრჩო“ – მორევი. იგივე ლაზარია (სა-ჩინო).

**ლაზარიაშ ნოხორი** – სახნავი ბორცვზე, ბასილიაში. რესპონდენტები ვერ შეთან-ხმდნენ, ლაზარია გვარია თუ პირსახელი (ფახულანი).

**ლაზარიაშ ფერდი** – ფერდობები ტყე-ბუჩქნარით სოფლის ჩრდ. ნაწილში (წყოუში).

**ლაზაშ ნაყუდუ** – საბალახო ლესალეს უბანში, დობერასთან (ლესალე).

**ლაზაშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ნაკარუს ფერდობზე. მიწა ეკუთვნოდა ლაზა სალიას, რომელმაც გააშენა ჩაი და შემდეგ კოლმეურნეობას გადასცა (ლესალე).

**ლაიტურა//ლეიტურა** – წვიმისაგან ჩამოღარული ფერდობები მოროჟასა და ლეკერეს სათავეებს შუა. ჩაედინება მოროჟაში (ლეშამუგე). რესპ.: „გემოღარღანჩელი უღუ დო ჭვიმამ წყარი მუურცუ“.

**ლაკადა** – 1. ბოგაშის კალთები, რომელიც სოფლებამდე ჩამოდის (ნაგურუ, ლარა, მედანი); 2. ჭანისწყალ-ხობისწყლის წყალგამყოფი მასივის სამხრ.-დას. კალთა, რომლის ძირშიც სოფლებია (ლეთკანთი, მუხური, ჯგალი) და სხვ. ვაკე (ქვემო) სამეგრელოში ლაკადას უწოდებენ მთლიანად მთაგორიან (ე.წ. მთიან, ანუ ზემო) სამეგრელოს. მაგრამ საკუთრივ მთიან სამეგრელოში ლაკადა აღნიშნავს: ა) ეგრისის ქედის მთისწინეთს, რომელსაც მოსდევს გოლა, ანუ მთა; ბ) მთის კალთებს, რომელთა ძირას სოფლებია გაშენებული; გ) ზოგადად: მთის მზიან კალთას. პ. ჭარაია: „ლაკადა – მთაგორიანი მხარე; კლდოვან-მთიანი ადგილი“; ო. ქაჯაია მიუთითებს ჩემეულ განმარტებაზე: „ლაკადა – მთის სამხრეთი კალთები; ფერდობი; მზიანი მთიანეთი“; ალ. ქობალია: „ლაკადა – ფერდობი, მთიანეთი, კლდოვანი, მთიანი სამეგრელო... მთაგორიანია, მაგრამ ალპურ ზონაზე დაბლა მდებარეობს“. სოფლებსა და მთებს შორის არის ლაკადა, სადაც არავინ ცხოვრობს და სალაკადო საძოვარია მთიდან დაძრული საქონლისათვის. დობერაში ამ დროს არის „სიმინდიშ ეჭოფუა“ და ამის შემდეგ „ნაჩალიშა გეგმარაქუნა დობერაშა“. კურზუელი მწყემსის ორსიტყვიანი განმარტება ასეთია: „ლაკადა საშემოდგომო საძოვარია (იგულისხმება სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი), ამის შემდეგ საქონელს მიერეკებოდნენ ზღვისპირა სოფელ ჭალადიში“. მთიან სამეგრელოში არა იშვიათია **ლაკარდა** ვარიანტი (ბ.-მ. თქმაში: მაკარდა) შეიძლება ასე განვმარტოთ „მთისწინეთი ეგრისის ქედისა და მათი განშტოებების წინა მხარე — მზიანი ფერდობები გოლასა და რზენსამარგალოს საზღვარზე. აქვე მოგვყავს ამონარიდი თ. მიბჩუანის „ეტიმოლოგიიდან“: „ლაკადა სვანურად სანაჯახეს ნიშნავს. იგი ასე დაიშლება: ლა-კადა, სადაც ლა- სვანური პრეფიქსია, ხოლო კადა სვანურად ნაჯახს ჰქვია“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 135).

**ლაკადაშ დაღ(გ)** – ლელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ყორანიშ ოგვაჯედან, რაც ლაკადაშია (მედანი).

**ლაკაშიამ ნისქვილი** – ნისქვილი ენგურზე, საბერსქოუს ჩრდ.-დას. ნანილში. მღვდელს, გვარად ლაკაშიას, აქ ნისქვილი ჰქონია (ლია).

**ლაკახიე** – ლელე-ხეობა. იგივე **ლეკახიე** (ნალენჯიხა).

**ლაკუმურამ გინოლგ** – უღელტეხილი ეგრისის ქედზე, სამეგრელოდან (ხობისწყლის სათავიდან) გზა გადადის სვანეთში. იხ. ლაკუმურამდუდი (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**ლაკუმურამდუდი** „ლაკუმურისთავი“ – ეგრისის ქედის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი (3111 მ.) ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. მთასაც იგივე სახელი ჰქვია. ამ მთაზე რამდენიმე მყინვარია. ლაკუმურამდუდიდან სათავეს იღებს ხობისწყლისა და ვედისწყლის (სვანეთში) სათავეთა მდგენლები. აქვეა უღელტეხილი **ლაკუმურამ გინოლგ**, რომლითაც სამეგრელოდან სვანეთში შეიძლება გადასვლა. თვით ლაკუმურა მესტიის რ-ნის ტერიტორიაზეა.

**ლანჯიში** „იფნისი“ – ნასოფლარი ტებენეს ორივე მხარეს. უგზო და მივარდნილი სოფელი იყო. ცხოვრობდნენ გერგედავები, გოგოხიები, შონიები. მთლიანად დაცარიელდა 1949-50 წლებში (ფახულანი).

**ლანჯიშიშ სკოლა** – მინდორი. იგივე **ნასკოლ(გ)**. (ფახულანი).

**ლანჯიშიშ სუკი** – სერი ტებენეს ნაპირას (ფახულანი).

**ლანჯიშიშ ტებენე//დიდი ტებენე** – ოლორის შენაკადი ლეკუკეში. იხ. ტებენე//ტებენა (ფახულანი).

**ლარა** – სოფელი ლარა-მედანის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნანილში).

**ლარა** – მცირე მინდორი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, ნასხაპუს ქვემოთ (ლესალე). შდრ. ალ. ქობალია: „ლარა – სწორი ვაკე ადგილი; გაშლილი სათიბი“; შდრ. სვან. ლარა//ლარე „სათიბი, მინდორი“.

**ლარანყარი** – ღელე-ხეობა, ინწირას მარცხ. შენაკადი. ინყება ბოგაშის კალთებზე და გამოივლის სოფ. ლარას. გადმოცემით, ლარა ამ ღელის თავდაპირველი სახელია, ხოლო სოფელს მერე დაერქვა (ლარა).

**ლარჭემონი** ( ლარჭემი „ღერწამი“) – 1. ტყე ყვირას კალთაზე, წისქვილარის მარჯვ. მხარეს, სადაც ლარჭემი კარგა ხანია არ ხარობს. აქ ცნობილი მეღარჭემეები – ვიცი ფიფია და კონია ქუხილავა ჭრიდნენ „სალარჭემო კალამს“, აკეთებდნენ ლარჭემს და კარგადაც უკრავდნენ (ჯვარის სატყეო). **ლარჭემი** ეწოდება როგორც მცენარეს (ღერწამი, იგივე ჩალამ-კალამი), ისე მისგან გაკეთებულ ჩასაბერ საკრავსაც (სალამურს). როგორც ცნობილია, მეგრული ლარ-ჭემ ფონეტიკურად და სემანტიკურად ქართულ ღერწამ- ფუძეს შეესატყვისება (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 305-306). ი. ყიფშიძე: „ლარჭემი, ლარჭამი – ; . C . კალამი, ჩალამ-კალამი“; ო. ქაჯაია:

„**ლარჭემი** – 1. ღერწამი; 2. ამ მცენარისაგან გაკეთებული საკრავი“; ალ. ქობალია: „**ლარჭემი** – ღერწამი, კალამი; ჩასაბერი საკრავი. ერთგვარი მინიატურული ორღანი, რომელიც წარმოადგენს ღერწმის რამდენიმე ღერის შეკვრას, ე. წ. პანის სალამურს; ღერწმის სკივრი; ღერწმის ჭილოფი“ (ქობალია, 2010, გვ. 372).

ს. მაკალათიას ცნობით, ლარჭემი ხობის ბაზრობაზეც კი იყიდებოდა მარიამობის დღეებში. მეგრული ლარჭემი ექვსღეროვანი (იშვიათად ხუთღეროვანიც) საკრავია. ჩქვაღერელთა მესხიერებაში სამუდამოდ დარჩა ზემოთ უკვე დასახელებული ცნობილი მეღარჭემეების – ვიცი ფიფიასა და კონია ქუხილავას — სახელები. და ბოლოს: ვ.ა. სტემენკო-კუფტინა მკითხველს აუწყებს: „ლარჭემი ღერწმის ტყუპისცალია და მხოლოდ მთიან სამეგრელოში იზრდება. ჩქვაღერის ჩრდილოეთით, უწნას გადასასვლელთან დღესაც შეხვდებით მის „პლანტაციებს“. მწყემსები ივლისის ბოლოს ჭრიან ლარჭემს, სანამდე იგი ნედლია და საკრავიც ამო ხმის გამოდის“ (იხ. ფიფია, 2006, გვ. 104-107). აკ. ჭანტურია ასახელებს ლარჭემს განმარტების გარეშე.

**ლასარიატომბა** „სალი კლდის მორევი“ – მორევი ჭანისწყალზე, ჭაჭახთან (ობუჯი). ლასარი, ლასარია, ლასია, ლასორია, რაც ბევრგან გვხვდება ადგილის სახელად, აღნიშნავს სიჰს, პიტალო კლდეს, ან მდინარის ფსკერზე იატაკივით დაფენილ მერგელის ქანს. ო. ქაჯაია: „**ლასარი** – მაგარი; პიტალო, სალი, გლუვი; მჭრელი“. ძირითადად ასეთივეა ალ. ქობალიას განმარტებაც.

**ლასქვერა//სქვერიშ ოლოტკუე//სქვერიშ ნალოტკა** – კლდეები ენგურის მარჯვ. მხარეს, მახასქურსა და მერაშს შუა (ჭალე). **სქვერიშ ოლოტკუე** „შვლის სალოკი (სატლექი)“, **სქვერიშ ნალოტკა** „შვლის ნალოკი“; ლასქვერა საშვლეს უნდა ნიშნავდეს. სვანური ლა-, ლე- დანიშნულების სახელთა მანარმოებელი სუფიქსებია და წარმოადგენს სვანურ ენობრივ ნასესხობას მეგრულში.

**ლაუთარაღალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **ლაფთარა** (ობუჯი).

**ლაუმ დიხა** – სახნავი. იგივე **ქვაქვალამ ნადის** (ჩქვაღერი).

**ლაუმ ოჩაიე//ლაუმ ჩაი** – ჩაის ფართობი კაკილიშ ღალის მარჯვ. ნაპირას, ნაკარუს ფერდობზე. ლაუ ამ მინას ამუშავებდა ჩაის გამწმენბამდე (ლესალე).

**ლაუმ რხენი** – სახნავი ოლორის მარჯვ. ნაპირას. ლაუ ანთია ამუშავებდა (ნაშამგუ).

**ლაუმ ტო(მ)ბა** – ნამორევალი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, საფიფიოში (ობუჯი).

**ლაუმ ფერდი** – ფერდობი ოჭანეს სკოლასთან (ჯვარი).

**ლაუმ ჩაი** – ჩაის ფართობი. იგივე ლაუმ ოჩაიე (ლესალე).

**ლაფარია//ლაფარიაშ კუნთხუ** – უბანი, ბორცვი ტკიბრასა და მოროჟას შუა, სადაც ცაცხვთან მიქავეებისა და კვარაცხელიების სალოცავი (ნაოხვამუ) ყოფილა (ჩქვაღერი), ხოლო ფიფიებისა და ჭანტურიების სალოცავი იყო „ქირსემ ხატი“ ლეშამუგეში. ძველთაძველი ცაცხვის ძირას ესვენა ხატი ჯგეგე ლაფარია. იგი თურმე ბავშვებს ვნებდა, ამიტომაც ჩაუმწყდევიათ სპილენძის ქვაბში და მინაში ჩაუფლავთ. რესპ.: „ლაფარია, ლაფართია არის უმზეო მოფარებული ადგილი, ე.ი. საფარი, ამასთანავე, უქარო თბილი ადგილი, რასაც ზამთარში ცხენები ეტანებიან“. სხვა რესპოდენტი: „შეიძლება ლაფარია გვარი იყოს. ამის გარდა, ლაფარია დაქანებული ვაკეცაა“. თ. სახოკია: მეგრულში (ისევე

როგორც გურულსა და იმერულში), ლაფარა არის სახლის ირგვლივ ადგილი, რასაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს. აქვეა **ოლაჭვათრეც** – სახურავიდან ჩამონანვეთი წყლის სადინარი, ე.ი. სანვეთური. შდრ. ალ. ქობალია: „**ლაფარონი** – დაქანებული, დამრეცი ველი“.

**ლაფარიაშ კუნთხუ** – უბანი. იგივე ლაფარია (ჩქვალერი).

**ლაფთარა** – ღელე ობუჯში (ღლონტი, 1971, გვ. 67).

**ლაფთარა//ლაფთარალალ(გ)//ლაუთარალალ(გ)** – ღელე-ხეობა, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ნაცანდარუში (ობუჯი, სამესხიო). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს აფხაზურიდან შემოსული სიტყვა **აფთარა** (აფხ.: ა-აფთარა) „მწყემსისა და საქონლის საზამთრო სადგომი ადგილი ბარში“. შდრ. რესპონდენტისეული განმარტება: ლაფთარა ლაფის გამტანს ნიშნავს“ (მეგრულის ლექსიკონებში ლექსემა ლაფი არ მოიპოვება). „ლაფთარ“ სვანურად თმის საჩეჩ ადგილს ნიშნავს“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 253). (შეკითხვა: „თმის საჩეჩი ადგილი“ როგორ უნდა დაერქვას გეოგრაფიულ ობიექტს?).

**ლაფთარალალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **ლაფთარა** (ობუჯი).

**ლაქვათონა** – საძოვარი ყვირას კალთაზე, ალპურ ზონაში (ჯვარის სატყეო). **ლაქვათა** არის რბილი ქვა („ლექი ქუა“), რომელიც ადვილად ითლება. არის სხვადასხვა ფერისა. რესპ.: „ყვირას ხოლო ძე დო ირფელს წიმინდანს დო ფერგნს ქვლგბცალო“; „ლაქვათა ქუას ჯოხო, ითოლენფერი ქუას, ბოურს ხოლო ძე, ბალანფეი მიბლანდით, სქებუს ბთოლგნდით დო ოლაყაფინაია წისქვილს ვაკეთენდით. მოურე რე დო მოჭითეთე“. ო. ქაჯაია ეყრდნობა ჩემეულ განმარტებას (ლაქვათა არის რბილი ქვა, ითლება ადვილად. არის თეთრი ან სხვა ფერისა). ალ. ქობალია: „**ლაქვათა** – მფრთოვანი, თავთხელი ადგილი წყალში...“

**ლაქორელა** – 1. წისქვილარას მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა, საძოვარი. მდინარე სათავეს იღებს ჩხვირდილულაში (სქურის სატყეო); 2. საძოვარი ეცის ხეობაში (ხუდონი). ლაქორელა სვანური სუბსტრატია ჩანს.

**ლალვაჟია** – 1. ღელე-ხეობა. იგივე **ლალვაშია** (ჯვარი); 2. ღელე, წისქვილარის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ჩხვირდილულადან (სქურის სატყეო).

**ლალვაშია//ლალვაჟია** – საყოფნყარის ზემო წელი და მისი ხეობა. იწყება სახასაიოში (ჯვარი). შდრ.: სვან **ლჷაშ** „ხარჯიხვი“ (სლ, 2000). მაშასადამე, ლალვაშია, ლალვაჟია „სა-ჯიხვი“ სვანური ტოპონიმური სუბსტრატია, ე.ი. წარმოქმნილია მაშინ, როცა სვანები აქ მკვიდრობდნენ. რესპ.: ს. მატუა: „იშვიათი ვარიანტია **ხუმლა ლალ(გ)**. სახელდების მოტივი: შრება და თანაც თევზი და კიბო არ იცის“ (იხ. ცხადაია, 1999, გვ. 39). შდრ.: ლალვაშია – ადგილის სახელი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ლუხვანში.

**ლაყვამუშ ფუქი** – სოფ. ფუქის ნაწილი. 1903 წლის 24 სექტემბერს შედგენილ გაყიდვის საბუთში, რომელიც ბორჩო ხარჩილავას ოჯახში გაგვაცნეს 1976 წლის სექტემბერში, აღნიშნულია, რომ ძოკია ხუხის ძე ხარჩილავას უყიდა მინა „ლაყვამუშ ფუქში“ კვიკვინია, იოსებ, ივანე და ქუთუ კალანდიებისაგან. შვიდი ათეული წლის შემდეგ ეს ტოპონიმი უკვე დავინწყებული აღმოჩნდა და მხოლოდ მინის მყიდველის შვილიშვილის ოჯახში გამოთქვეს ვარაუდი, რომ ლაყვამუშ ფუქი უნდა ყოფილიყო ფუქის ნაწილი სოფ. ლეხარჩილეს საზღვართან (ფუქი). ალ. ქობალია: „**ლაყვამუ** – არამყარი, წყლით გაჟღენთილი ნიადაგი“. P.S. ისტორიის ინსტიტუტის 1959 წლის ექსპედიციის მასალებში, რომელიც მოგვანოდა ანზორ სიჭინავამ, სოფ. ლეშამუგეს ტოპონიმთა შორის დასახელებულია „ადგილი ლაყვამუ, სადაც სამჭედლო და ქვევრებია აღმოჩენილი“. სამწუხაროდ ლოკალიზაცია არაა მოცემული.

**ლაყორია** – 1. ორგან ენოდება ენგურისპირა მცირე დავაკებას ომუნეს პირდაპირ: ა. **დიდი ლაყორია**, სადაც წყლისპირა ვაკე უფრო ფართოა. იგი რკალივით იყო შეჭრილი კლდეში, მაგრამ ენგურმა გადაინაცვლა და ეს ვაკე და ქვედაგზა წალეკა (ჭალე); ბ. **ჭიჭე ლაყორია**, სადაც წყლისპირა ვაკე უფრო ვიწროა (ფოცხოენერი). ორივეგან გადიოდა გზა სვანეთისაკენ. აქვე ახლოსაა ნაეკლესიარი, სადაც, გადმოცემით, ხატს მოჰყავდა ირმები, რომელთა თავების მოსაჭრელი ნაჯახი აქვე, ეკლესიაში, ინახებოდა. უნინ აქ, ენგურზე, გადებული იყო ხიდი, რომელსაც ენოდებოდა **ლაყორიაშ ხინჯი//ჯაჭვიშ ხინჯი**; 2. ერქვა



კომპს მაღალ კლდესა და ჭანისწყლის ღრმა ხევის შუა, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ხეობის ვიწრო ყელთან. ამის შემდეგ მდინარე გაივსება (ჯგალი). კლდე-კედელს, რომელიც კეტავდა მთელ ხეობას, დატანებული ჰქონდა კარიბჭე, რომელსაც ეწოდებოდა **გეთოლ(გ)**. გადმოცემით, ლაყორია თავდაპირველად ამ კარიბჭეს ერქვა. კ. სამუშიას მიერ ჩანერილი ხალხური ლექსის სტრიქონებში „თე არდგილც ლაყორია ნენწყარც გინოკეთე“ სწორედ ეს „გეთოლ“, ანუ ლაყორია, იგულისხმება (შდრ. ამ სტრიქონების სხვაგვარი განმარტება: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 187. ლაყორია). ყველა შემთხვევაში ლაყორია//ლაყორია ისეთი ადგილია, სადაც მთა ეშვება მდინარისაკენ და არის ზეკარი, გზა-გასასვლელი ბარიდან მთისკენ. მართლაც, სვანური ლაყორია საკარეს, შესასვლელ ადგილს ნიშნავს. შდრ.: სვან. ყორ, ყორ „კარი“ (სლ., 2000). მაშასადამე, სვანური სუბსტრატული ლაყორია, ლაყორია იგივეა, რაც საკარე, შესასვლელი“. შდრ. ალ. ქობალია: „**ლაყორია, ლაყურია** – ღრმა ფსკერი წყლისა“ (?) როგორც ჩანს, ქვეყნის თავდაცვის საკითხი ყველა ეპოქაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო. „გამაგრებული იყო გზები, რომლებიც ენგურისა და ჭანისწყლის ხეობით სვანეთიდან ოდიშისაკენ მიემართებოდა. აქაც, ადრეფეოდალური ხანის ციხეთა ახლოს, აგებულ იქნა ახალი ციხეები. მათ შორის ენგურ-მაგანას წყალგამყოფზე – **ომუნეს ციხე**, ჭანისწყლის ხეობაში – **ლაყორიას საყარაულო კოშკი...** სვანეთიდან მომავალი გზების დაცვას ემსახურებოდა **ჯგალის ციხე** და ჩქვალერის პატარა ციხეც“ (ბერაძე, 1970, გვ. 44).

**დასკვნა:** ყველა შემთხვევაში **ლაყორია//ლაყორია** არის ხეობის ყელი, სადაც მდინარე ვიწრო ხეობიდან გამოდის ვაკეზე. ესაა ერთგვარი კარი, საზღვარი ხეობისა და ბარისა.

**ლაყორიაშ ხინჯი//ჯაჭვიშ ხინჯი//ტაგუმ ხინჯი** – ერქვა ბონდის ხიდს ენგურზე. ეს ხიდი გაუმართავთ XIX ს-ის 50-იან წლებში. იხ. **ლაყორია** (ჭალე).

**ლაშქედა** – მთა-საძოვარი. იგივე **ლაშქერდა** (სქურის სატყეო).

**ლაშქედაშ ლალ(გ)** – ლელე. წისქვილარას ერთ-ერთი მდგენელი (სქურის სატყეო).

**ლაშქერდა//ლაშქედა** – მთა-საძოვარი, ჩხვინდილულას განშტოება სამხრ-ით, ლალ-ვაჟიასა და წისქვილარას სათავეებთან (სქურის სატყეო). **შქე(რ)დი** არის მთის, ბორცვის ჩრდ. ექსპოზიცია, უმზეო და დაჩრდილული ფერდობი. შდრ. სვან. **შგედ** „უმზეო, ჩრდილიანი ადგილი“ (სლ., 2000, გვ. 812). როგორც ჩანს, ლაშქერდაც სვანური სუბსტრატია. ალ. ქობალია: „ლაშქერდა – ჩრდილო ფერდობი“.

**ლაჩახვა** – ლელე ღრმა ხეობით, სქურჩის მარცხ. მდგენელი. სათავეს იღებს ლეხარ-ჩილეში. გაივლის ფუქს და სოფ. ულურიაში იერთებს ულურიალას. ამის შემდეგ ეწოდება სქურჩა და ერთვის ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან ჩხორონწყუს პირდაპირ. გადააზრება: „ერთი კაცი ეძებდა დასასახლებელ ადგილს, ბევრი იარა და, თავის სოფელში დაბრუნებულს, უთქვამს, ჭიჭე ლალ მიჩახვალენ, თიქ მემენონუა დო თიშენი გეუდვალენა ლაჩახვა“; „წყარი მიჩახვალ“ (ე.ი. წყალი ჩხრიალით მიედინება) და ამიტომ დარქმევია ლაჩახვა“. სინამდვილეში ლაჩახვა სვანური სუბსტრატული ტოპონიმი: ლაჩახჟ//ლჩახჟ (სვან.) – „საძოვარი, საბალახო“ (სვანური ლექსიკონი, 2000, გვ. 374). შემდგომში მეტონიმის გზით მდინარის სახელად ქცეულა (ფუქი, ულურია). ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტში ეწოდება სქურჩა და ერთვის ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან (იხ. ცხადაია, 1999, გვ. 39). ალ. ქობალია: „**ჩახუა** – დღვება, შეჭანჭყარება, ათქვეფა“. ჩვენეული განმარტება ასეთია: „**ჩახუა** – 1. წყლის ჭურჭლის ნჯღრევა (ვთქვათ, გამორეცხვის მიზნით); 2. სითხის ლაყლაყი ჭურჭელში (როცა სავსე არაა და ვანჯღრევთ); 3. წყალში დგომა და აშხეფება“.

**ლაჩიდა** – ლელე (სიგრძე 2 კმ.), ოლორის მარცხ. შენაკადი. იწყება ინჭირიშის კალთაზე (მუჟავა). ლაჩიდას ასახელებს ალ. ლლონტიც (ლლონტი, 1971, გვ. 67).

**ლაჩხვათრა** – ლელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა ჩანჩქერ ოგვარ-გვალაიამდე, რასაც მიიჩნევდნენ ამ ლელის სათავედ. მდგენლებია: კაპარჭელა, შქაშ-ლალ(გ), დობერაღალ(გ), გაშღალ(გ), კაკილიშ ლალ(გ) (ლესალე).

**ლანყვანდარა** – ლელე. იგივე **ლაჭყვანდარა** (მაგანას სატყეო).

**ლაჭამატა** – ლელე. იგივე **ლეჭამატა** (მუჟავა).

**ლაჭყვანდარა//ლანყვანდარა** – მაგანას მარჯვ. შენაკადი ლეფიეში (მაგანას სატყეო). **ლა-** პრეფიქსიანი სახელწოდებანი, ჩვეულებრივ, სვანური სუბსტრატია და ზოგს კიდევ მოეპოვება პარალელი სვანეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმიაში. ამასთანავე, არაა გამორიცხული, მხოლოდ **ლა-** წარმოდგენდეს სვანური პრეფიქსის ნასესხობას.

**ლახუნწარა** – წყარო, საძოვარი ოხაჩქუეს ჩრდ. კალთაზე (ჭალეს სატყეო). ს.-საბა: „ხუნწი ერთი ხილია“; ი. ყიფშიძე: „ხუნწი – მოცხარი“; ო. ქაჯაია: „**ხუნწი** – მცენარეა“; ალ. ქობალია: „**ხუნწი** – მოცხარი; კენკროვანი“. შდრ. სვან. ლახუნწარ „ვინწობი“ (სოფ. ზ. მარლი).

**ლეაბრალე** – აბრალავების უბანი იწინრას მარჯვ. მხარეს, ქორსუსა და ოყაყალუს შუა (ნაგურუ). **ლე-** სვანურიდან შეთვისებული დანიშნულების პრეფიქსია. მეგრულში მას მიუღია ოიკოფორმანტის (დასახლ. პუნქტის სახელთა მანარმოებელი სპეციალური პრეფიქსის) ფუნქცია. ამ შემთხვევაში მისთვის ამოსავალია გვარსახელის ფუძე: **ლეაბრალე** შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ ადგილს, სადაც აბრალავები სახლობენ, ე.ი. აბრალავების უბანს, სოფელს. ლეაბრალეს სამხრეთით არის ლეჭანტურიე და ეკუთვნის კუხემს. საქართველოში 843 აბრალავა აღინუსხა (1995 წელს), მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 365.

**ლეაკობე** – ერქვა უბანს. იგივე **ლიაკობე** (ენერფერდი).

**ლეარდიე** – არდიების უბანი იწინრასა და ხურჩას შუა (კუხეში). საქართველოში 1995 წელს მკვიდრობდა ამ გვარის 532 წარმომადგენელი. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – მხოლოდ 86 სული.

**ლეარდიემ ნისქვილი//არდიეფიმ ნისქვილი** – ნისქვილი ხურჩაზე, ლეარდიეს უბანში. ააგეს არდიებმა (კუხეში).

**ლეარსანე//ლიარსანე** – ლელე-ხეობა, ჯუმის შენაკადი სოფ. გრიგოლიში. მოედინება ზღვაიას სამხრ. კიდიდან და სამესხიოდან. არსანია გვარსახელია, მაგრამ არაა წარმოდგენილი ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“ (როგორც ჩანს, არსანიების გვარის წარმომადგენლები ოც კაცზე ნაკლებია. იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997, გვ. 13). (წალენჯიხა, სამესხიო, გრიგოლიში).

**ლეარულე** – უბანი. იგივე **ლიარულე** (მუჟავა).

**ლეაფშილე** – უბანი ჯალირასა და ლენურწუმეს საზღვართან, სადაც ამჟამად კვარაცხელიები სახლობენ, უწინ კი აფშილავებს უცხოვრიათ (ნაკიფუ). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში XX ს-ში მკვიდრობდა მხოლოდ 22 აფშილავა. ალ. ლლონტი ასახელებს „ლეაბშილეს“, სადაც „აბშილავები ცხოვრობენ“ (ლლონტი, 1971, გვ. 67).

**ლებარდანე** – საძოვარი. იგივე **ლევარდანე** (სქურის სატყეო).

**ლებალე** – მიკროუბანი, ვაკე-მინდორი მოროჟას მარცხ. მხარეს. ცხოვრობს რამდენიმე კომლი. გადმოცემით, აქ ბალი („ბალი, ხეხილნარი“) ყოფილა (ჩქვალერი). **ბალ-** ფუძის შემცველი გვარსახელი არ მოგვეპოვება. თუმცა კი პრეფიქსი **ლე-** ძირითადად მხოლოდ გვარსახელებს ერთვის და ანთროპოოიკონიმებს წარმოქმნის.

**ლებელქანიე//საბელქანიო** – ბელქანიების უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ჯგალი-სქურის გზაზე (ჯგალი) და სოფ. ულურიში. საქართველოში XX ს. დამდეგს ცხოვრობდა 1381 სული ბელქანია. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 473. დასახელებულ პარალელურ მიკროტოპონიმებში განსხვავებული კონფიქსებია წარმოდგენილი. მაგრამ ფუნქცია განსხვავებული არ არის. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ სვანური პრეფიქსი **ლე-** ხშირად გამოიყენება მეგრულშიც, სადაც მისი სემანტიკური ეკვივალენტებია მეგრ. **ო-** და ქართ. **სა-**. ოლონდ ლე-ე უწინარესი პრეფიქს-სუფიქსია სამეგრელოში, ვინემ შემდგომში დამკვიდრდებოდა საკუთრივ ქართული **სა—ო**. მსგავსი შემთხვევა იშვიათი არაა. შდრ. ლეკვირკვიე//საკვირკვიო, ლემოსიძე//სამოსიძო... სხვათაშორის, ალ. ქობალიას განმარტებით, მეგრულში „ბელქანი“ ნიშნავს: „მეჩხერი თვალედი, შორიშორ ნაქსელი“.

**ლები** – ჭანჭრობი, თხმელნარი ლარანყარის მარჯვ. ნაპირას (ლარა); 2. ჭანჭრობი ეწერში, ხაფანას სათავესთან. ვარ.: **ოლებე** (სამესხიო). ლები „ლები, მიწალევი“ (იხ.: ქეგლ, ტ. 4; ქსე, ტ. 1). რესპონდენტთა განმარტებანი: „**ლები** არის შავი მიწა, წყლით გაჟღენთილი

და რბილი“; „ლები ფორონჯი მინაა, მოშაბიამნისფრო: არც შავი, არც თეთრი, არც მწვანე; **ლები** მერგელის სიპი ქანია, რომლის ზემოთ მინა ან ჭეჭყიანი ხდება, ან, თუ დაქანებულია, დაცურებას იწყებს; ლები არის იგივე ტკილი, ხანგუ“. რესპ.: „ლები ჯოხო მწვანე ლებ დიხას, ნაბადიმ ოლაფალს“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ლები** – ლია; ჭაობის მოლურჯო ფენის რბილი მინა, რომელსაც იყენებდნენ შინ მოქსოვილი შალეულის დასარბილებლად და შესაღებად“; ალ. ქობალია: „**ლები** – ლეიბი; ჭაობი; შავ-მტრედისფერი მინა და მისგან მიღებული საღებავი... მენამული, ჯიგრისფერი, ლურჯი“. იხ. აგრეთვე **ლებ**- ლექსემის ოთხ სემანტიკურ ჯგუფზე: ნ. ჭოხონელიძე, **-ლებ** და **ლიბრ** ფუძეთა ისტორიისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1986.

**ლებიავახაშია//ლებიაუხაშე//აბანანყარი** – ღელე კურორტ სქურის ტერიტორიაზე, ერთვის ქანისწყალს მარცხ. მხრიდან მდ. გარამელას ჩრდ-ით. წყალს არ სვამენ, ხამია და ჩიყვს აჩენსო, მაგრამ იყენებენ სააბაზანო-სამკურნალოდ (სქურის სატყეო).

**ლებიავახაშე** „ლობიოს რომ ვერ ხარშავს“ – ენგურის მარცხ. შენაკადი. გაედინება ხოკოდან (მაგანას სატყეო). რესპ.: „ხამი წყალია: ვერც ხარშავს, ვერც რეცხავს“.

**ლებიაუხაშე(გ)** – ღელე. იგივე **ლებიავახაშია** (სქურის სატყეო).

**ლებლე** – ტყე-ფერდობები ტებენის მარჯვ. მხარეს (ფახულანი). ახლო წარსულში შონიები ესახლნენ, მაგრამ შესაძლოა უნინ უბილავების საცხოვრისი ყოფილიყო. მაშასადამე, ვვარაუდობთ: უბილა ლეუბილე ლებლე ან ბულია (გვარსახელი) ლებულე ლებლე. რესპონდენტთა ვარაუდები: ა. ბული „ბალი“ ხარობდა აქ; ბ. ამოსავალი სიტყვაა **ლები**, ბუნებრივი საღებავი“.

**ლებობოხიე** – ბობოხიების უბანი ქანისწყლის მარცხ. მხარეს, სოფლის ცენტრის ჩათვლით (ჯგალი). ბობოხია მცირერიცხოვანი გვარია – 172 სული საქართველოში (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 87). გვარის წარმომავლობა: ბობო (პირსახელი) + ხ ბობოხი ბობოხია (ჭუმბურიძე, 1987).

**ლებობხა** – ერქვა დღევანდელ ზედა ლიას და საუბარში დღესაც ასე მოიხსენიება (იხ.). ჩაუვლის ლებობხალა – ენგურის მარცხ. შენაკადი, რომელიც ოჭანეში იწყება (ზედა ლია, ენერი). შდრ. ალ. ქობალია: „**ლებობხა** – ფეხით გადასასვლელი, არალრმა (წყალი)“. ო. ქაჯაია: „**ლებობხა** – ლატნის (ლარტყის) ღობე, ხარისხა“. შდრ. „**ლებობხა** – ღელე ჯვარში (ღლონტი, 1971, გვ. 67).

**ლებობხალ(გ)** – ღელე. იხ. **ლებობხა** (ზ. ლია, ენერი).

**ლებობხუე** – ბოხუების უბანი და ბორცვი ლეაბრალეს დას-ით, ქორსუსა და ნოჭალას შუა. ბოხუები ესახლნენ ყამლარის სათავესთან (კუხეში). საქართველოში მკვიდრობს 1064 სული ამ გვარისა. სავარაუდოა: **ბოხო** „მსხვილი“ ბოხო (მეტსახელი) ბოხოა ბოხუა (გვარსახელი).

**ლებუე** – სერი ნოჭალა-ქორსუს შუა, ყალმურას სათავესთან, სადაც, გადმოცემით, ბუავას გვარისანი ესახლნენ (ჩქვალერი). რესპ. (ლებუეში მცხოვრები რომა ბოხუა): „ლებუე და ლებობხუე ერთ სერზეა და ზოგი კიდეც აიგივებს მათ. სინამდვილეში ლებუე ჩქვალერშია, ხოლო ლებობხუე – კუხეში. მართალია, მათ ერთმანეთში ურევენ, მაგრამ სოფლებს შორის ზუსტი საზღვარი არც ჩვენ ვიცით“ (ჩქვალერი, კუხეში). 1995 წელს საქართველოში აღირიცხა 208 სული ბუავას გვარისა (მათგან წალენჯიხის რ-ში – მხოლოდ 31 სული). ბუს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დიდთავა“. შეიძლება ვივარაუდოთ: ბუ (მეტსახელი)

ბუავა//ბუაძე (გვარსახელი) ლებუე (ბუავათა უბანი).

**ლებუემ სუკი** – მაღალი გორა ნოჭალასა და ქორსუს შუა. თავდაპირველად აქ მოთოვს და მერე ბარში (ნაგურუ).

**ლეგაბედე** – გაბედავების უბანი სასამუშაოს ჩრდ. ნაწილში, ბეჟამ ღალის მარჯვ. ნაპირის ბორცვზე (ლია, პ. ენერი). გაბედავა შედარებით მრავალრიცხოვანი გვარია – 2039 სული საქართველოში (ძირითადად ჩხოროწყუსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ქ. თბილისში), მაგრამ ამ ლეგაბედეში **XX** ს-ის სამოციან წლებში ესახლა მხოლოდ 5 კომლი ამ გვარისა. ნ. ჯომიდავა **გაბედავა** გვარზე მსჯელობისას აღნიშნავს: „გაბე

შუმერული სიტყვაა და ნიშნავს ღამეს“ (ჯომიდავა, 2000, გვ. 65). გაბე, გაბო პირსახელებია.

**ლეგაბელე** – გაბელაიების უბანი ლუდერას ზემოთ, ოტოფუე-ჭანისწყლის წყალგამყოფზე. საქართველოში 1995 წელს მკვიდრობდა 1503 სული გაბელაია (ნაკიფუ). შდრ. სვანური გვარი გაბლიანი.

**ლეგერდე** – ერქვა გერგედავების უბანს ლანჯიშში, ჭიჭე ტებენის მარჯვ. ნაპირას (ფახულანი). აქაური გერგედავების შთამომავლები ამჟამად ამავე სოფელში სხვაგან მკვიდრობენ და მათს უბანს **საგერგედა** ეწოდება. პრეფიქსი სა- გვართაგან უბნისა თუ სოფლის სახელის საწარმოებლად დამკვიდრდა გვიან შუა საუკუნეებში. დასახელებული მაგალითები ლე- და სა- პრეფიქსების ქრონოლოგიური მონაცვლეობის უცყუარი ფაქტია. ამასთანავე: გერგედა(ვა) ლეგერგედე ლეგერდე (ჰაპლოლოგიით). შდრ. ხმოვანთა დაკარგვა: შამუგია ლემამგე; ხუბუტია//ლესუბტი... 1995 წელს საქართველოში აღინუსხა 2051 სული გერგედავა. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 676.

**ლეგეშარა** – ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა ნასოფლარ ფურაშში. ჰქონდა 100 მ. სიმაღლის წყალვარდნილი, რაც ენგურჰესის წყალსაცავმა დაფარა (ხუდონის სატყეო).

**ლეგილე** – გვილიების უბანი ინნგრას მარჯვ. მხარეს, ჩქვალერის საზღვართან (ნაგურუ). საქართველოში გვილავათა 623 სული მკვიდრობს (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 72).

**ლე(გ)თომლე** – ტყე-ფერდობები მაგანას მარცხ. მხარეს, წყამელონს ზემოთ. აქედან ერთი გზა წყავაშში მიდის, მეორე – უნწაში (მაგანის სატყეო).

**ლეგობეჩიე** – გობეჩიების უბნები სკურეფიას მარჯვ. მხარეს (საჩინო) და ნოჟალას ხეობაში, ლემალაზონესა და ლეკატუკიეს შუა (კუხეში). საქართველოში 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით ესახლა 590 სული გობეჩია (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 85). გობეჩი სამეგრელოში პირსახელია, ხოლო გობეჩიანი — გვარსახელი სვანეთში. შდრ. გვარი გობეჯიშვილი.

**ლეგოგ(ი)ლე** – გოგილავების უბანი მოროჟას მარჯვ. მხარეს, მალლობზე (ლემამუგე). რესპ.: „უნინ გოგილავები ბარხაში ესახლნენ, ერთმანეთისაგან მოშორებით. შემდეგ თურმე ქვემოთ ჩამოსულან, ხუბუტიები განუდევნიათ და თვითონ დასახლებულან“. რესპ. პ. გოგილავა (77 წ.): „არდა ჟი გუნუორდით ბარხაშ დობერეფს. ექი-ექი ვოხორანდით. ათაქი ხუბუტიეფი გეგნობრაჟით დო ჩქე ქედბხორით“. საქართველოში 527 სული გოგილავა აღნუსხული (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 186). ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1959 წელს ჩატარებული ექსპედიციის ჩანაწერების მიხედვით, ლეგოგილეში მკვიდრობდნენ: გოგილავა – 25 კ., ქარდავა – 4 კ., მანჯგალაძე – 3 კ., კანკია – 1 კ. (მასალა მოგვანოდა ანზორ სიჭინავამ). გვარისათვის ამოსავალია პირსახელი. გვარი დამონმებულია XVI-XVII საუკუნეების საისტორიო წყაროებში (იხ. პალ., I, 686; ქსდ, III, გვ. 420-421). შდრ. გოგილაძე, გოგილაშვილი (რა თქმა უნდა, გოგილა გოგი გიორგი).

**ლეგოგილემ სუკი** – ბორცვი. გადასცქერის სახასაოს, რაც ჯვარზენშია (ლემამუგე).

**ლეგულორდე** – გულორდავების უბანი ენწერში, მამუკიაშ ჯიხას დას-ით (საჩინო). საქართველოში 176 გულორდავა აღნუსხული (1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით). შდრ. ნ. ჯომიდავა: „გულიორდა „გული იყავი“ გულორდავა (ჯომიდავა, 2000, გვ. 104).

**ლევანიშ ნოხორი** – ვენახი ლეშეროზიეში, ხვიჩეფიშ ნადიხთან (ნაგურუ).

**ლევანიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, გენაჭკადასთან (წალენჯიხა).

**ლევანიშ ნისქვილი** – ნისქვილი ტარჩიაზე, გენძე სამესხიოში (სამესხიო). ნისქვილი აქაურთათვის უცხო კონსტრუქციისა იყო: წყლის აუზი ჭერზე ჰქონდა. წყალი წნევის ძალით ვიწრო ჭავლად ჩამოდიოდა და აბრუნებდა ნისქვილს. გაუკეთებია ლევან მესხიას, რომელსაც ამ სოფლის მცხოვრებნი ლევან გოლუას (ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ ერთ-ერთი პერსონაჟის) პროტოტიპად თვლიან.

**ლევანტიაშ ტომბა** – მორევი. იგივე **კვარკვალა ტომბა** (წალენჯიხა).

**ლევარდანი/ლებარდანი** – ტყე-ფერდობები და ვაკე-მინდვრები ნოლიმერის ზემოთში. ვარდანია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 178 სული. მათგან ნალენჯიხის რ-ნში – მხოლოდ 9). (სქურის სატყეო). გვარი დასახელებულია „აფხაზეთის საკათალიკოსო დავთარში“ (1621 წ.). ვარდანი, ვარდენ კოლხეთში გავრცელებული პირსახელება, მაგრამ „ვარდანია“ შეიძლება უფრო მრავალრიცხოვანი იმერული ვარდანიძის (879 სული) ვარიანტი იყოს.

**ლევარდანმდული** – ტყე-საძოვრები ლევარდანეს თავზე (სქურის სატყეო).

**ლევამ ნაშქვიდა** „სადაც ლევა დაიხრჩო“ – მორევი სქურჩაზე, ლეჟაში. ვარ.: **გვრძე ტობა** (ნაკიფუ) რესპ.: „სინამდვილეში ლევა არ დამხრჩვალა. გონდაკარგული ამოიყვანეს, უმღერეს „ჩონგური“, მეორე დღეს თვალი გაახილა და შემდეგ დიდხანს იცოცხლა, მაგრამ მორევს ასეთი სახელი მაინც შერჩა“.

**ლეზარქუე/საზარქუო** – უბანი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, მაზანდარას საზღვართან. ზარქუები აქ ძალზე ცოტანი დარჩნენ, თუმცა კი 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა 2802 სული (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 506). (ნალენჯიხა). XVII ს-ის საისტორიო საბუთების თანახმად, ზარქუები მოსახლეობენ ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში. ვარაუდობენ: ზაქარა ზარაქა ზარქ ზარქუა (მაისურაძე, 1981). რა თქმა უნდა, ლე-პრეფიქსიანი ოიკონიმი უწინდელია, სა-პრეფიქსიანი ვარიანტი კი შუა საუკუნეებშია შერქმეული.

**ლეთკანთი** – სოფელი ჯგალის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ლეთოფურ(ი)ე** – ერქვა თოფურიების უბანს სოფ. ჯგალის საზღვართან, თარზენის ძირას. შემდგომში შეუერთდა კანთს და შეიქმნა სოფელი ლეთკანთი. თოფურიები ამჟამად აქ უკვე არ ცხოვრობენ (ლეთკანთი). თოფურია მრავალსულიანი გვარია (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 88). თოფური „თაფლი“ მიემართება ენატკბილ პიროვნებასაც და მეტსახელადაც არაიშვიათად იქცევა. ამ მეტსახელიდან ჩანს მიღებული გვარი თოფურია. ეს გვარი იკითხება ეკლესიის ხუცურ წარწერაში (XVII ს.). უფრო ადრე კი, 1413-1444 წწ. საისტორიო წყაროში, დასახელებულია გვარი თოფურიძე (სოსელია, 1973, გვ. 285). გვარ თოფურიას იოანე ბაგრატიონიც ახსენებს ოდიშის აზნაურთა შორის (ბაგრატიონი, 1977, გვ. 132). ესეც უნდა აღინიშნოს: ქართველი მკვლევრები მეგრული გვარების ზუსტ ბგერობრივ პარალელებს პოულობენ ბასკურშიც, ხეთურშიც... მაგ., გიორგი ჩხეიძე ჩამოთვლის ხეთურ გვარებს, რომლებიც ბგერობრივად არც განსხვავდებიან მეგრული გვარებისაგან, მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიში დასტურდება: თოფურია ( ლეთოფურიე, ნათოფურუ), ფიფია ( ლეფიფიე, საფიფიო), პაჭკორია ( ლეპაჭკორიე) (ჩხეიძე, 2016).

**ლეიტურა** – ფერდობი. იგივე **ლაიტურა** (ლეშამუგე).

**ლე(ი)ჩიე** – ჩაის ფართობი ლეარდიეში, ინწვრასა და პანემონაშ ღალს შუა, კეკელიამ ღალის ნაპირას. გადმოცემით, უწინ აქ გვარად ჩინჩიებსა თუ ჩილავებს უცხოვრიათ. სერის ყველაზე მაღალი ადგილია ვაკე-ბორცვი **ნაოხვამუ** (კუხეში).

**ლეჩიემ სუკი/ნაოხვამუმ სუკი** – ვაკე-ბორცვი ნაგურუს საზღვარზე, ლეარდიეს უბანში. იხ. **ლე(ი)ჩიე** (კუხეში).

**ლეკაკალე** – 1. უბანი მოროჟას მარცხ. მხარეს. ნიშნავს კაკალიების უბანს, მაგრამ ეს გვარი ახლომახლო არ ჩანს. ცხოვრობენ ქარდავები და ჭანტურიები (ჩქვალერი); 2. უბანი სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, სერზე, სადაც ცხოვრობენ კაკალიები. საერთოდ კი საქართველოში **კაკალია** მცირერიცხოვანი გვარსახელია – სულ 117 სული. მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 38 (ნაგურუ). მაშასადამე, **კაკალი** „ერთი ცალი“ კაკალ კორი „განმარტოებული კაცი“ კაკალია (გვარსახელი).

**ლეკაკალემ ტყა** – ტყე ლეგულორდემი, სკურეფიას ხეობის მარჯვ. მხარეს. ტყე ეკუთვნოდა სოფ. კუხეში (ლეკაკალეში) მცხოვრებ კაკალიებს (საჩინო).

**ლეკაკია (საკაკიო)** – ადგ. ლიაში (ღლონტი, 1971, გვ. 68). ალბათ, ლეკიკიე (იხ.) იგულისხმება.

**ლეკლანდე** ( კალანდია) – 1. ყოფილი დასახლ. უბანი ლანჯიშში, ტებენეს მარჯვ. მხარეს. კალანდიები არ ახსოვთ. ცხოვრობდნენ გერგედავები 1950 წლამდე. შემდეგ კი ყველანი აფხაზეთში გადასახლდნენ (ფახულანი); 2. ყოფილი დასახლ. უბანი ჭიჭე ტებენეს მარჯვ. მხარეს. კალანდიებს არც აქ მოსწრებიან. ბოლოს ცხოვრობდნენ უბილავები (ენერფერდი); 3. ფერდობები ფარცხვანდალის ხეობაში (ნაშამგუ) და სხვ. 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 2780 სული კალანდია (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 476). ვარაუდები: ა. **კალანტარი** (აღმოსავლური სიტყვა) კალანდარია კალანდია; კალანდა ახალი წელია გურულში. აქედან: ბ. კალანდია შეიძლება დარქმეოდა კალანდობა დღეს (ახალ წელს) დაბადებულ ბავშვს. ვარაუდი: **კალანდა** (სახელი ან მეტსახელი ახალ წელს დაბადებულისა) კალანდია (გვარსახელი). შდრ.: კალანდაძე, კალანდარიშვილი.

**ლეკატუკი** – კატუკიების უბანი ნოჟალას ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ჯვარის საზღვართან (კუხეში). კატუკია მცირერიცხოვანი გვარია – 128 სული (მათგან ყველაზე მეტი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტშია – 54 სული). კატუკია მეგრულში ბავშვისთვის სასიყვარულოდ შერქმეული სახელია.

**ლეკახიე//ლაკახიე** – ღელე და ვაკე-ხეობა ქალაქის ჩრდ. ნაწილში. ჩამოედინება გორა ნასაბუდან. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადია (ნალენჯიხა). გვარი კახაია მცირერიცხოვანია: 131 სული საქართველოში. დასახელებულია 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში (ქსდ, III, გვ. 442). შდრ. იმერული კახაძე. საერთოდ, ლა- სხვა შემთხვევებში არ გვხვდება ლე-პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებში.

**ლეკერა** – ლეკერენყარის ქვემო წელი. იგივე **ლეკერე** (ჯვარი).

**ლეკერე//ლეკერა** – ლეკერენყარის ქვემო წელი და მისი მიმდებარე ვაკეები ოხარკალში (ჯვარი). ლეკერე სვანური სუბსტრატი ჩანს: **კაკ** „კაკლის ხე“ ლე-კაკ-ერ „კაკლიანი, ნიგვზნარი“ ლეკერე (-კა ამოვარდნილია ჰაპლოლოგიით). იხ. ცხადაია, 1999, გვ. 42. ი. ყიფშიძეც ასახელებს მდინარე ლეკერას, ოღონდ მის ვარინტად თვლის ოხატკალეს.

**ლეკერენყარი//ოხარკალუნყარი** – ენგურის მარცხ. შენაკადი ოხარკალში. ზემო წელზე, ჯვარზენის უბანში, ეწოდება **აქბარდიეფიშ ღალ//ქაციშ ღალ** (ჯვარი).

**ლეკვარაცხელე** – 1. უბანი ოლორის მარცხ. მხარეს, ჩხაპელკის ძირას. კვარაცხელიები ამჟამად აქ არ ჩანან. ცხოვრობენ აქუზარდიები და შონიები (მუჟავა); 2. უბანი ოტოფუეს ორივე მხარეს (ფუქი); 3. უბანი ჩხაპელკის აღმ. ფერდობის ძირას, ოღეჯელათან (ენერფერდი) და სხვ. 1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით (ვაუჩერების მიმღებთა სიეზის მიხედვით) ქართველურ გვარსახელთა შორის კვარაცხელიას სულთა რაოდენობით საქართველოში უკავია VI ადგილი (13618 სული, სამეგრელოში – I ადგილი – 10194 სული). მათგან ნალენჯიხის რ-ში – 4952 სული, ზუგდიდის რ-ში – 3533 სული, ქ. თბილისში – 1666 სული). სამეგრელოს ტოპონიმიაში ათიოდე უბანს დარქმევია ამ გვარისაგან ნაწარმოები სახელი (ლეკვარაცხელე, საკვარაცხელიო, ნაკვარაცხელუ, კვარაცხელიამ კუნთხუ და სხვ.). კვარაცხელია დამონმებულია 1634 წლის საბუთში (პალ, II, გვ. 439). იშვიათი საპასპორტო ვარიანტებია კვარანცხელია და კვარცხალია. ითვლება რომ ეს გვარი სვანეთის საისტორიო ძეგლებში დაფიქსირებული კვარაცხელიანი//კვარცხელიანი-ს ვარიანტია (თოფჩიშვილი, 1997). რესპ.: „გადმოცემით, რაჭაში **კვარა** სოფელი და ციხესიმაგრეა. ერთმა მეციხოვნემ დააშავა, გამოიქცა სამეგრელოში, კერძოდ, ნალენჯიხაში და თავისი ნამდვილი გვარის დაფარვის მიზნით განაცხადა, **კვარაცხელი** ვარო. აქედან წარმოიქმნა გვარი. კვარაცხელია ამჟამად გავრცელებული გვარია: ქუდი რომ ააგდო, კვარაცხელიას მოხვდება თავშიო, — იტყვიან სამეგრელოში“.

**ლეკვარაცხელიე** – კვარაცხელიების უბანი ღელე ძანძელის ორივე ნაპირას, უბან ლესალეს სამხრ-ით (ლესალე).

**ლეკვარაცხელ(ი)ე//საკვარაცხელიო** – უბანი რეკა-ჩხოუშიის ორივე მხარეს, პ. ენერის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ნალენჯიხა, პ. ენერი).

**ლეკვირკვიე//საკვირკვიო** – კვირკვიების მიკროუბანი ინწირას მარჯვ. ნაპირას, ვეჯინჯის ბორცვზე (საჩინო). საქართველოში ეს გვარი წარმოდგენილია 458 სულით (პირ-

ველ ადგილზეა ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი – 322 სული). (ვარაუდი: კვირკვე („კვირი-კობისთვე“) კვირკვე (კვირკვეში, ანუ „ივლისში დაბადებული“) კვირკვეა კვირკვია (გვარსახელი). როგორც გარკვეულია, ლე—ე წარმოება ძველია, სა—ო — ახალი. ორივე ტიპის წარმოების ამოსავალია გვარი, რომლითაც იყო დასახლებული სოფელი, უბანი.

**ლეკი** – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში, საკალანდიოში (ნალენჯიხა). ნალენჯიხისა და ჩხორონწყუს რ-ნებში ლეკი არის შავი მინა, ლამი, შლამი, წყლის დანალექი. რბილია და ლილისფერი. ზოგ შემთხვევაში ურევია ტკილი, ანუ მერგელი; იყენებდნენ შალეულის საღებავად, ან გაჰქონდათ ყანის გასანაყოფიერებლად. რესპ.: „ლეკი ქვიშა ვარე გვალო დო ადიხებული რე, ორტვინიშა მიშმულუნა, უმოსო ხვარხვიშა დო ნიორიშა“. ო. ქაჯაია: „ლეკი – 1. შლამი; 2. ლურჯი მინა; 3. ძლიერ მარილიანი“; ალ. ქობალია: „**ლეკი** – ლექი, შლამი; მიწერალური თიხა; კაჟის თოფიცაა ერთგვარი“.

**ლეკიკიე** – ფერდობები სამარლიოში. ითვლება კიკიანების ნასახლარებად. ამჟამად ცხოვრობენ სამუშიები (პალური, ლია). კიკიანი საქართველოში ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია – 98 სული. რესპოდენტთა განმარტებანი: კიკი (პირსახელი) კიკიანი (გვარსახელი).

**ლეკიკიემ ეკოლგ** – აღმართი საქონლის გზაზე (გზა ლეკიკიედან ადის ენერში) (ლია).

**ლეკობახე** – ბორცვი ნაკანნილუსა და ნაბირთუს შუა. ინწერას ნაპირას (საჩინო). უნინ აქ კობახიებს უცხოვრიათ, მაგრამ ნასახლარიც კი არ ჩანს. გვარი კობახია დასახელებულია ერთ-ერთი მისიონერის წერილში, რომელიც დაწერილია XVII ს-ის დამლევს (თამარაშვილი, 1902, გვ. 199). კობახია მცირერიცხოვანი გვარია – 153 სული (შდრ. კობახიძე – 7271, საქართველოში 31-ე ადგილი). ზოგი მკვლევრის მოსაზრებით, კობახია მომდინარეობს პირსახელ კობა-საგან, ხოლო ხ გარკვეული ფუნქციის მქონე ჩანართია. **კობახი**, როგორც „ფეხზე მყარად მდგარი“ (ალ. ქობალია), ადვილად გადაიქცეოდა მეტსახელად. არაა გამორიცხული: ქართ. კობახიძე მეგრ. კობახია.

**ლეკობახემ წყურგლი** – წყარო ლეკობახეში, ნაკანნილუს საზღვართან (საჩინო).

**ლეკობიე** – კვარაცხელიების უბანი ლეაფშილეს დას. ნანილში. ხუმრობით შერქმეული სახელია: აქაური კვარაცხელიები გარდაცვლილის „ტირილში“ ყოფილან მოშორებით მდებარე სოფელში. საქელეხო სუფრაზე მინვევა ხდებოდა გვარების მიხედვით. მიუწვევიათ ოჩხომურელი კობიები. კვარაცხელიებს ერქარებოდათ სახლში დაბრუნება და ამიტომ კობიებს შერევიან... ამის შემდეგ კვარაცხელიების უბნისათვის დაურქმევიათ ლეკობიე... პირველდამრქმევი ყოფილა შ. კვარაცხელია. იგი თავისთავს უწოდებს უბნის სახელწოდების მორდიას, ანუ მომნათლავს. კვარაცხელიებს არც ეხამუშებათ ეს სახელწოდება (ნაკიფუ).

**ლეკუკე** ( კუკავა) – უბანი ოლორის მარჯვ. ნაპირას. იყოფა: **ჟინეკვე** ( ჟინი ლეკუკე „ზემო ლეკუკე“) – სერზე, ოლორსა და ტებენეს შუა და **თუდოლენი ლეკუკე** „ქვემო ლეკუკე“ (ფახულანი). საქართველოში 1848 სული კუკავა ცხოვრობს (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 258). გვარი კუკავა (კუკა, კუკაა ფორმით) გვხვდება 1621 წლის საეკლესიო საბუთში (ქსდ, III, 431-432). ნ. ჯომიდავა: „გვარი კუკავა მომდინარეობს სოფლის სახელწოდება კუკასაგან“ (?).

**ლეკუკემ ხინჯი** – ბონდის ხიდი ოლორზე, ლეკუკეში (ფახულანი).

**ლეკუხონა** ( ლეკუხა „ხეჭრელი“) – 1. სახნავი ლეცინდეში (ნაკიფუ); 2. სახნავი სოფლის ცენტრში, ოკიბოლღალის სათავესთან (ლეჯოლიხე) და სხვ. საფუძვლებში აღნიშნულია, რომ ლეკუხონა წარმოქმნილია ლა- პრეფიქსით.

**ლემალაზონ(იე)** – ერქვა დასახლ. უბანს ლეგობეჩიესა და სოფ. საჩინოს შუა, ცხოვრობდნენ მალაზონიები, მაგრამ ჭირს გაუწყვეტია. 1969 წელს აქ მხოლოდ ერთი კომლი იყო დარჩენილი ამ გვარისა (კუხეში). საქართველოში მკვიდრობს 947 სული მალაზონია (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 109). როგორც ჩანს: ქართული მონაზონი მეგრ. მალაზონი მალაზონია (გვარსახელი).

**ლემალაზონ(იემ) ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლემალაზონ(იე)ში (კუხეში).

**ლემალაზონიუმ ღალ** – ღელე, ინწირას შენაკადი ლემალაზონიუმი (კუხეში).

**ლემანიე** – მანიების უბანი ენგურ-მაგანას მარცხ. ნაპირის ვაკეზე (ჯვარი).

**ლემანიე//სამანიო** – მანიების უბანი ლეფიფიეს გვერდით, რეკის მარჯვ. მხარეს (პ. ეწერი). 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში აღინუსხა 1213 სული ამ გვარისა (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 278 სული). ქართველურ ენებში **მან-** მრავალი პირსახელის ფუძეში გვხვდება. მანიები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი გვარი მომდინარეობს პირსახელისაგან მანი//მანია.

**ლემატუე** – 1. უბანი, ბორცვი მოროჟას მარცხ. მხარეს. რესპ.: „აფხაზეთში დიდი ომი ყოფილა და სამი ძმა მატუა ენგურს გადმოღმა გადმოხვენილა. ერთი აქ დარჩენილა და გამრავლებულა, მეორე ბანძაში წასულა, მესამე – დაღუპულა. მატუების გენეალოგიური ნუსხა ინახება პროკოპი მატუას ოჯახში“ (ჩქვალერი); 2. უბანი სქურდილას ხეობაში (ობუჯი). ცნობარში „გვარ-სახელები“ (1997 წ.) წარმოდგენილია მხოლოდ მათუა (კალმის შეცდომა ჩანს).

**ლემატუე//სამატუო** – მატუების უბანი ოჭანეს ჩრდ-ით (ენერი).

**ლემატუემ ღალ(გ)** – ღელე ლემატუეში (ენერი).

**ლემესხიე** – მესხიების უბანი ნოჟალაში, ქ. ჯვარის საზღვართან (კუხეში). არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.) წალენჯიხასა და ჯვალს შორის აღნიშნული სოფელი დღევანდელი უბანი ლემესხიეა. საქართველოში 1995 წელს აღინუსხა 1637 სული მესხია (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 752). ვარაუდი: მესხი (ეთნონიმი) მესხი (ზედწოდება ან მეტსახელი) მესხია (გვარსახელი).

**ლემესხიემ წყურგილი** – წყარო ლემესხიეში (კუხეში).

**ლემიქე** – მიქავების უბანი ხურჩას მარცხ. მხარეს, ნაგურუს საზღვართან (ლარა). საქართველოში მრავალრიცხოვანი გვარია – 4550 სული (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 452). მიქავა აფხაზეთში მიქამბად ქცეულა და აზნაურობაც მიუღია. მ. ქალღანის მტკიცებით, მეგრული მიქავა მომდინარეობს სვანური მიქაელი-ან-ისაგან (ქალღანი, 1980, გვ. 72). მაგრამ პირსახელი მიქა ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში და საისტორიო წყაროებშიც დასტურდება.

**ლემორგომი(ე)** – მორგომების უბანი ინწირას ხეობაში (ნაგურუ). საქართველოში ცხოვრობდა 1529 სული მორგომია (მათგან 189 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში) იშვიათი საპასპორტო ვარიანტი: მარგომია. ნ. ჯომიდავას „მოსაზრება“: მორგომიასათვის ამოსავალია ლაზური **მორგვი** „ურმის ბორბლის კუნძი...“ (ჯომიდავა, 2000, გვ. 252). შდრ. აღ. ქობალია: „**მორგომი** „მორგვის ძაფი“ და **მორგომია** „ბორგვა“ (ქობალია, 2010, გვ. 474), მაგრამ მოტივაცია?

**ლემორგომი(ე)მ სუკი** – სერი ხურჩას მარჯვ. მხარეს, მალლობზე (ნაგურუ).

**ლემოსიძე//სამოსიძე** – მოსიძეების უბანი სამართალა-წკვიბლალის წყალგამყოფზე (ლეჯოლიხე, ფუქი). იშვიათი საპასპორტო ვარიანტია **მოსინა** (ხონის რ-ში ცხოვრობს 25 სული).

**ლემოსიძემ რზენი** – ვაკე-სახნავი წკვიბლალსა და სამართალას შუა (ლეჯოლიხე).

**ლენჭყი** „ლენჭყი, ჭენჭყი“ – ღრმა და ფართო ხევი სახნავეებით კანთში, ხუბულიამ სუკთან. უწინ ლენჭყიანი ყოფილა (ლეთკანთი).

**ლენტიამ წყურგილი** – წყარო ფაფატიამში, უჩალალის მარცხ. ნაპირას (პალური).

**ლეჟა** – უბანი, სქურჩის ხეობის მონაკვეთი. იყოფა: **ჟინლეჟა//ზედა ლეჟა** და **თუ-დონლეჟა//ქვედა ლეჟა** (ნაკიფუ). **ლეჟა**, ისევე როგორც **ლეჟერი**, უნდა ნიშნავდეს წყლიან, ნესტიან ადგილს, სადაც გვალვისას სიმინდის კარგი მოსავალი მოდის. შდრ. სვან. ლეჟა „აღმა, ზევით, ზემოთ“. შდრ. აღ. ქობალია: „**ლეჟა** – ნესტი, სინოტივე; ნედლი, უმნიფარი“. რესპ.: „აქ ესახლა გვარად ლეჟავა. ამიტომ დარქმევია“. „**ლეჟა** — უბანი ნაკიფუს სს-ში“. წარმოდგენილია აღ. ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ I ტომში (1971). ცნობილი მკვლევარი გია კვაშილავა აღნიშნავს: „ლეჟას უბანში ნაპოვნია ე.წ. „ჯუმითის



სარიტუალო ქვა“ ნარწერით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ნაკითხულ-გაშიფრული“.

**ლეჟამ სუკი** – ერთმანეთზე გადაბმული ბორცვები და ხევ-ხეობები სქურჩას მარჯვ. ნაპირას, ზედა ლეჟაში, ქვაბლალიდან სოფ. ულურიამდე (ნაკიფუ).

**ლეჟამ (სუკიმ) ღალ(გ)** – ღელე და ხეობა, რომელიც ჩამოედინება ზედა ლეჟადან ქვედა ლეჟაში და ერთვის სქურჩას (ნაკიფუ).

**ლერწმანე** – ტყე-ფერდობი. იგივე **ლერწომანა** (ქალალალი).

**ლერწომანა//ლერწმანე** „ლერწმიანი“ – ტყე-ფერდობი ქალალალის მარცხ. მხარეს, საჭარაიოში (ქალალალი). **ლერწამი** (ქართ.) მარცვლოვანთა ოჯახის მცენარეა. მისი მეგრული ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია **ლარჭემი**. შდრ. მეგრული ლარჭემონი და ქართ. ლერწმონი „ლერწმიანი“. შდრ. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე: „ლერწამ ფუძეს შესატყვისება მეგრული ლარ-ჭამ. ამ ფუძის **ლარ-** ნარმოგვიდგენს ქართული **ლელ-** ძირის კანონზომიერ შესატყვისს. სამეგრელოში ძველად არსებულა საკრავი, რომელსაც ლარჭემს უწოდებენ (ს. მაკალათია)“.

**ლესალე** – 1. სალიების უბანი სოფ. ლესალეშივე, ლაჩახვის შუა წელზე (ლესალე); 2. სალიების უბანი ჯვარი-წალენჯიხის გზაზე, სადაც საბჭოთა პერიოდში ჯვარის ჩაის ფაბრიკა იდგა (ჯვარი); 3. უბანი ინწერას მარცხ. ნაპირას, ლეარდისა და ლეიჩის შუა (კუხე-ში). **სალია XX** ს. დამლევს ითვლიდა 1153 სულს (მათგან წალენჯიხის რ-ში – 427). **სალ-, სალა** ფუძეების შემცველი სახელები გვხვდება სვანეთსა და სამეგრელოში (იხ. ქსს, 1986). ნ. ჯომიდავა სვამს კითხვას: ხომ არაა **სალია** ნარმოქმნილი პირსახელ სავლია-საგან ან სალამ-ისაგან (ჯომიდავა, 2000, გვ. 284).

**ლესალემ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ვეჯინჯის მალლობზე (ლესალე).

**ლესამლე** – ტყე-საძოვრები მოროჟას მარჯვ. მხარეს, ლექანთარესა და ქაცომს შუა (ლექამლე). ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი **სამელია**. სამელიები ამჟამად აქ არ ცხოვრობენ და ისედაც ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (სულ 102 სული. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 62). გვარი დასახელებულია XVI ს. დამლევს შედგენილ საეკლესიო გლეხთა სიაში (ქსდ, III, გვ. 384).

**ლესანთე** – ვაკე-ბეჭობი ინწერას მარჯვ. მხარეს, ლეშეროზიეში (ჩქვალერი). რესპ.: „გოსანთუა ნიშნავს გაყინვას. აქ ზამთრობით დიდი ყინვები იცის“. ასეთ შემთხვევაში იტყვიან კიდევ, „ლესანთარეფს ამსერი ქიგლასანთანსია“. მაგრამ, როგორც წესი, რაც ლეპრეფიქსს მოსდევს, როგორც წესი გვარსახელია. მაშასადამე, უნდა არსებულებოდა გვარი სანთავა ან სანთია. **სანთა**, ანუ ომპა, სახლის თავზეა, რომელსაც ეყრდნობა სახურავი. ხომ არ იყო სანთა ძლიერი, ოჯახის ბურჯი მამაკაცის მეტსახელი?

**ლესარე** – უბანი. იგივე **სასარიო** (წალენჯიხა). შდრ. „ლესარე — ადგ. წალენჯიხაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 68).

**ლესვირე** – ტერასი. იგივე **ლესურე** (მაგანას სატყეო).

**ლესოს(ი)ლე//ლესოსგლე** – საძოვრები ფერდობებზე, ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, სქურჩას გზაზე (ჯგალი). ვარაუდობენ, რომ სოსელიების ნასახლარია. 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა 1736 სული სოსელია (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 125 სული). სოსი, სოსია, სოსო კოლხეთში პირსახელებია, ხოლო სოსელი – მათი კნინობითი ვარიანტი.

**ლესოსგლე** – საძოვრები. იგივე **ლესოს(ი)ლე** (ჯგალი).

**ლესუდე//ლეცუდე** – ბუჩქნარი ინწერას მარცხ. მხარეს, ლეძობეს ჩრდ-ით (ჩქვალერი). რესპ.: „უმზეო ადგილია. მწირი, მოუსავლიანი, ფატარი მიწაა და რაც დათესეს, სულ გაცუდდა თურმე“. სავარაუდოა, სუდე//ცუდე- ანთროპონიმული ფუძე იყოს (მაგრამ სიტყვა ცუდი მეგრულის ლექსიკაში არ გამოიყენება, თუმცა ლეჩხუმურში სუდე აღნიშნავს ბუჩქს, ჩირგვს).

**ლესურე//ლესვირე** – ტერასი წულიშის კალთაზე, შგრდენს ზევით, კაშხალთან, ხუდონში (მაგანას სატყეო). **სვირავა** მეტად მცირერიცხოვანი გვარია: ითვლის მხოლოდ 175-ოდე სულს (1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით). მათგან 143 სული ცხოვრობს ზუგდი-

დის მუნიციპალიტეტში, ხოლო წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – მხოლოდ 9 სული. სიტყვა **სვირა** მეგრულში აღნიშნავს წვრილსა და წაგრძელებულს (შდრ.: „ჩხვინდისვირა „წვრილცხვირიანი“). იხ. აგრეთვე აღ. ქობალია: „**სვირალი** — მოქნილი, ტანსარო, კენარი; წყნარი, სათნო“.

**ლეთაგშალ(გ)** – გზა, ტყე თეკანაშის კალთაზე. გზა მიემართება ფოსონისაკენ (მაგანას სატყეო). ნიშნავს ტალახის (ტალახში) გასასვლელს ან გასასვლელ ტალახს.

**ლეთანყი** – ტყე-ჭაობი, საფლობი სქურდილას მარჯვ. მხარეს, სამატუოს სამხრ-ით. რესპ.: „ლეთანყი ღრმა ტალახია, შეიძლება კაცი ჩაიძიროს“ (ობუჯი).

**ლეთკანტი** – ს. ჯგალის სს (ღლონტი, 1971, გვ. 69). სწორი ფორმაა ლეთკანთი (იხ.)

**ლეთონა** „ტალახნარი“ ( ლეთა „ტალახი“) – სახნავი ზაკალონღალის ხეობაში (მაზანდარა).

**ლეთურე** – ხეობა ჩეღალის მარცხ. მხარეს, ლეხვიჩესა და ლემორგომეს შუა (ნაგურუ). ამოსავალი ჩანს გვარი ტურავა (535 სული საქართველოში 1995 წელს). დაფიქსირებულია 1616-1621 წწ. საეკლესიო საბუთში (ქსდ, III, 451). ტურა, ტური, ტურუ კოლხეთში პირსახელებია.

**ლეუბილე** – უბილავების უბანი. იგივე **საუბილა** (ჯვარი).

**ლეურაგე** – ტყე-ფერდობები და ნასახლარები ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ბოგაშის აღმ. კალთაზე (მედანი). ამ ადგილას ბოლოს ცხოვრობდნენ კვარაცხელიები. ტოპონიმი აღადგენს გვარ უჩაგავას ან უჩაგიას.

**ლეფაკილე** – ლელე, ლიარსანეს მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა (წალენჯიხა).

**ლეფართხე** – მეფორიის ხეობა ქორსუს მარჯვ. ნაპირას (ნაგურუ). ფართუხია გვარი უნდა ყოფილიყო. პრეფიქსის დართვის შედეგად ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნა არაა უცხო მეგრულისათვის. შდრ.: **ფართხუ** — ძვალგაუმაგრებელი, დამყოლი; ფეთხუმი“ (აღ. ქობალია).

**ლეფაფე** – სერი სქურჩასა და სამართალას შორის, კუტაშის ჩრდ-ით (ლეჯოლიხე). რესპ.: „ფაფია გვარი უნდა იყოს. არ მოსწრებია. მინა ეკუთვნოდათ ჩიქოვანებს. მათგან ჯოლოხავებს უყიდათ“. ფაფია მართლაც გვარია. 1995 წ. საქართველოში სულ 50 სული ფაფია აღირიცხა (ძირითადად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. კომპაქტური დასახლება ამჟამად არ მოეპოვება). შდრ. ფაფიაშვილი, ფაფელაშვილი. ფაფია, საერთოდ, ნიშნავს მსუბუქ რამეს. აღ. ქობალია: „**ფაფია** — ტივტივა; მსუბუქი რამ“. ნ. ჯომიდავა კი წერს: „ფაფია წარმომდგარა შერქმეული სახელისაგან“. მაგრამ რას ნიშნავს შერქმეული სახელი ფაფია? რესპ.: „როგორც გამიგონია, ფაფიას რყევით მოსიარულე კაცზე იტყვიან“.

**ლეფაფეშ გა** – ფერდობი რახვინს ზემოთ (ლეჯოლიხე).

**ლეფაცულე** – ტყე-ბორცვი. იგივე **ლეფაცურე** (საჩინო).

**ლეფაცურე//ლეფაცულე** – ტყე-ბორცვი, ჩაის ფართობი ინწირას მარჯვ. მხარეს, რობულაღის სათავესთან (საჩინო). რესპ.: „ცხოვრობდნენ ფაცურიები. ასი წლის წინათ ოტობაიაში გადასახლებულან, მინა კი კვირკვიებისათვის მიუყიდათ. ამჟამად **კვირკვიამ კუნთხუც** ეწოდება“. სხვა რესპ.: „კუნთხუ ირო კუნთხვილირი ოკო რდას“. გვარ ფაცურიას ატარებს 602 სული (ძირითადად სამეგრელოსა და გურიაში). მეგრულში ფაცურა, ფაცურია ნიშნავს ფუსფუსას, ფაციფუცას და ხშირად მეტსახელადაც იქცევა. შდრ. აღ. ქობალია: „**ფაცურა** – ცქვიტი, მოძრავი, ხელჩქარი“; ო. ქაჯაია: „**ფაცური** – აჩქარებული მოძრაობა რამე საქმიანობისას, ფაცაფუცი“. მაშასადამე, ფაცურა, ფაცურია ნიშნავს ცქვიტს, ფუსფუსას და ხშირად მეტსახელადაც იქცევა. იხ. გვარები: ფაცია, ფაცაცია.

**ლეფიე** – ერქვა უბანს წყავაშში, მაგანას მარჯვ. მხარეს. ცხოვრობდნენ ფიფიები. გადასახლდნენ 1950 წ. (მაგანას სატყეო). მაშასადამე: ფიფია ლეფიფიე ლეფიე (ჰაპლოლოგია, ანუ მარცვლის ამოვარდნა).

**ლეფიფიე** – 1. ფიფიების უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, კვაჭალარეს ორივე ნაპირას. რესპ.: „ფიფიები გურჩქვალერის თავდაპირველი მცხოვრებნი ვართ, ჩვენი წინაპრები სვანები იყვნენ, გვარად ფილფანები“ (ჩქვალერი). 2. ფიფიების უბანი ინწრას მარჯვ. ნაპირას (კუხეში); 3. ფიფიების უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (ლეკაკულე); 4. ლეფიფიე უბნე-

ბია აგრეთვე ლეშამუგეში, ნაგურუში და სხვ. ფიფია მრავალრიცხოვანი გვარია – 7142 სული საქართველოში (ქვეყნის მასშტაბით 33-ე ადგილი. მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 5606 (მესამე ადგილი მუნიციპალიტეტში). გვარის ძირითადი სამკვიდროა სამი მეზობელი სოფელი: საჩინო – 93 კომლი, ჯვარი – 81 კომლი, ჩქვალერი – 59 კომლი. ლაკადაში მცხოვრები ფიფიების რწმენით, ისინი წარმოშობით სვანი ფილფანები არიან და მათი წინაპრები კიდევაც დადიოდნენ სვანეთში. ფიფი სვანეთში, ხოლო **ფიფა** გურიაში პირსახელიცაა (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 135). რედაქტორის შენიშვნა: ფიფა მეგრულში ფიფალ-ის მოკლე ფორმაა და პირსახელადაც გვხვდება.

**ლეფიფიუმ წყარი** — წყარო. იგივე ოლებე (ლესალე).

**ლეფიფიუმ ხიდე/ჯაჭვიმ ხიდი** – ბონდის ხიდი ჭანისწყალზე. ლეკაკულებს აკავშირებს ლეფიფიეს უბანთან, რომელიც მდინარის მარჯვ. მხარესაა (ლეკაკულები).

**ლეფონჯარა** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მოედინება სამიქაოდან და გაივლის ჯგალს. მდგენლებია ნაპერტულალ(გ) და ზაკალონლალ(გ). ლეფონი ლაფანია, მაგრამ... (წალენჯიხა). შდრ. ალ. ლლონტი: „ლეფონჯარა — ლელე წალენჯიხაში“.

**ლეფურთუხე** – უბანი სოფ. ლარას საზღვართან, ლეძვებს გვერდით. ცხოვრობენ ფურთუხიელები (მედანი). იხ. ნაფურთუხე. ფურთუხია მცირერიცხოვანი გვარია (61 სული). ფურთუხ, ფურდუხ სვანეთში პირსახელებია.

**ლეფშალე/სვიმომ ნაკარ(გ)** – ტყე-ფერდობები ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (სქურის სატყეო). რესპონდენტები სახელწოდებას უკავშირებენ ფშალს („სვია“), რაც აქ უხვად ხარობს. დანიშნულების პრეფიქსი **ლე-**, სვანური ენობრივი სუბსტრატი, როგორც წესი, დაერთვის გვარსახელს (ან, იშვიათად პირსახელს) და გვანვდის ინფორმაციას ამ გვარსახელის (ან დასახელებული პირის შთამომავალთა) საცხოვრებელი ადგილის სახელწოდებაზე. **მაგრამ საფიქრებელია, რომ ლე- უნინ დაერთოდა საზოგადო სახელსაც**, მაგალითად, ლე-ფშალ-ე ( ფშალი „სვია“), ლე-შქიშქილ-ე ( შქიშქილი „ნივრისებური წვნიანი ბალახი“)...

**ლექანთარე** – ქანთარიების უბნები მოროჟას სათავესთან (ლეშამუგე) და მოროჟას მარჯვ. მხარეს (ჯვარი). დაზუსტების საჭიროებისას პირველზე იტყვიან **ჟინი ლექანთარე**, ხოლო მეორეზე – **თუდოლენი ლექანთარე/საქანთარიო**. ას წელს მიღწეული სოლმო ქანთარიას გადმოცემით, აქაური ქანთარიები ჩამოსულნი არიან „ზემხარიდან“, რაც ქუთაისის მხარეს გულისხმობს“ („ზემხარი საქორთუოს რე, ქუთეშიმ მხარეს უწინა“). გადმოცემით, ქანთარიები ყოფილან ქავთარაძეები სვანეთიდან, მაგრამ არაა გამორიცხული, ამოსავალი იყოს სამოხელეო ტერმინი ქალანთარი (კალანთარი), რაც სომხურშია შესული აღმოსავლური ენებიდან და ნიშნავს ციხისთავს ან ქალაქის გამგებელს. ქალანთარი ქანთარი (ლა- კომპლექსის ამოვარდნით). სხვა მოსაზრება: კანთი (ერქვა სოფელს. იხ. ლეთ-კანთი) კანთარი „კანთელი“ ქანთარი ქანთარია. კიდევ ერთი მოსაზრება: ნ. ჯომიდავა: „ქანთარ (პირსახელი) ქანთარია (გვარსახელი) (ჯომიდავა, 2000, გვ. 334). ავტორს აქვე აქვს განმარტებული: **ქანდარია** — სიმწრისაგან გადარეული.

**ლექანთარემ სუკი** — სერი სოფ. კუხემის საზღვართან, ჯვარზენი-ოჭანეს გზის მარცხ. მხარეს. აქ დგას ხუთასწლოვანი ნიფლის ხე (ჯვარი).

**ლექარაიე** – ქარაიების უბანი ლარანყარის ზემოთში (ლარა). ქარაია გვარსახელია – 568 სული საქართველოში (მათგან 111 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში). „ქარა (მეგრ.) – გრძელი ეკალი, წვერწამახული სარი“ ადვილად იქცეოდა მეტსახელად და შემდეგ გვარსახელადაც.

**ლექარდე** – ქარდავების უბანი ოჭანესა და ლიას საზღვართან (პ. ეწერი). იხ. სოფელი ლექარდე ნიგნის I ნაწილში.

**ლექარდემ გამოქვაბული** – გამოქვაბული ლექარდემში, ნაკას ზემოთ, კლდემში. გადმოცემით, აქ დამარხულია ოქროს ქვაბი (ლექარდე). სიტყვა გამოქვაბული ქართულიდანაა გადმოტანილი და იშვიათად იხმარება. მეგრულში მისი სემანტიკური პარალელებია ქვაბი, ფოქვა...

**ლექარდემ გვალა** – მთა, რომელიც დასცქერის სოფელს (ლექარდე).

**ლექარდემ ტყა** – ტყე ლექარდეს მთაში (ლექარდე).

**ლექარცხე** – ქვარცხავების უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, სქურჩას გზაზე (ჯგალი). 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა 1639 სული ქვარცხავა (ძირითადად ზუგდიდის, მარტვილისა და სენაკის რ-ნებში). ქვარცხი, ანუ ჯაგი ველური ყვავილია ერთგვარი. ხომ არ იქცა ეს ლექსემა მეტსახელად?

**ლექორაგე** – ტყე-ხეხეები და ბორცვები. იგივე **ლექორაქე** (ლემამუგე).

**ლექორაქე//ლექორაგე** – ფართო ტერიტორია ტყე-ხეხეებითა და ბორცვებით დიხაფალუსა და ლექანთარეს შუა (ჩქვალერი). მეგრულში **ლე**-პრეფიქსი, როგორც წესი, იმ უბნის სახელს აწარმოებს, რომლებშიც ტოპონიმით აღნიშნული გვარი მკვიდრობს. მაგრამ ეს გვარი წალენჯიხის რაიონში არც დასტურდება. ლექორაგე//ლექორაქეში ამჟამად მხოლოდ ქუხილავები ცხოვრობენ. აქედან გაედინება ღელე ქორსი//ქორსუ.

როგორც ჩანს, ქორაქია//ქორაგია შუა საუკუნეებიდან ცნობილი ქორაკიძეა. ეს გვარი პირველად 1492 წლით დათარიღებულ საბუთში გვხვდება. XII-XVIII საუკუნეების საისტორიო წყაროებში ფიქსირდება ქორაკიძეც და ქორაქიძეც (იხ. თოფჩიშვილი, 2011, გვ. 345). საქორაქიო ყოფილი დასახლებული უბნის სახელია სენაკის რ-ნის თეკლათის თემის სოფ. გოლასკურში. ქსე-ში წარმოდგენილია ორი ქორაკიძე: **გიორგი ჭალადიდელი** (გიორგი ქორაკიძე – პოეტი XIX ს-ში. დაიბადა ბაღდათის რ-ნის სოფ. ფერსათში და დაკრძალულია ქ. სენაკში) და **ოლეგ ქორაკიძე** – XX ს-ის ცნობილი ქართველი მხატვარი (იხ. ქსე, 8, გვ. 719, „სამეული“).

ჩიქოვანთა გვარის გადადიანების შემდეგ (XVIII ს. პირველი ნახევარი) ქორაქიძეებმა დაკარგეს პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობდნენ ოდიშის სამთავროს კარზე (ჭითანავა, 2013, გვ. 325). ქორაქიძე პირველად ქართლის მეფე დავითის (XVI ს-ის პირველი მეოთხედი) სიგელშია ნახსენები, ხოლო საქორაქიძეო – 1616-1621 წლებით დათარიღებულ საეკლესიო გლეხთა ნუსხაში. ამ ნუსხის მიხედვით, საქორაქიძეო მდებარეობს სოფ. ჩქვალერში (დღეს ჩქვალერის ადმ.-ტერიტ. ერთეულში შემავალ სოფ. ლემამუგეში). ეს სწორედ იმის დასტურია, რომ ლევან II დადიანის დროს მთიანი სამეგრელოს ზოგი სოფლის საეკლესიო გლეხები და მინა-წყალი თავად ქორაქიძეებს ეკუთვნოდათ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩიქოვანთა გადადიანების (XVIII ს. დასაწყისი) შემდეგ მოხდა ოდიშის სამთავროში თავად ქორაქიძეთა პრივილეგიების დამცრობა (იხ. დანვრილებით და სათანადო ლიტერატურის მითითებით: 1. ჭითანავა, 2013, გვ. 325-330; 2. კეკელია, 2014, გვ. 36-38).

ქორაკიძეები სამეგრელოს თავადები იყვნენ. 1850-1854 წლებში განხორციელებული სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ოჯახების დეტალური აღწერის მასალებში საჭილასოს მაზრის თავადთაგან დასახლებულია ქორაკიძეც. იგი წარმოდგენილია 4 ოჯახით, ხოლო ბოლო გრაფაში აღნიშნულია „რომელსა საფუძველსა ზედა სარგებლობენ ღირსებითა“. ქორაკიძეებთან დაკავშირებით დაზუსტებულია: „სარგებლობენ თავადის გვაროვნობითა, რომელიც მტკიცდების საბუთისაგან, მთავრის კაცია დადიანის მეუღლის, დედოფლის ელისაბედის მიერ, მიცემულის 1765 წლიდგან“ (ჭუმბურიძე, 2013, გვ. 176). საერთოდ, აქ აღწერილია 19 თავადისა და 165 აზნაურის ოჯახის შემადგენლობა.

1904 წლის აღწერით, ქორაკიძეები ცხოვრობდნენ და ყმა-მამულს ფლობდნენ თეკლათში, ჯგალში, თაიაში, ეკში, ჭალადიდის მუხურში, სირიაჩქონში, პატარა ფოთსა და უშაფათში (თოფჩიშვილი, 2011, გვ. 345). იხ. აგრეთვე: კეკელია, 2014, გვ. 36-39). მკვლევრები გვარ ქორაკიძეს აკავშირებენ თურქულ სიტყვასთან ქორაკი „მამაცი, თამამი“ (გურგენიძე, ჯიქია, 1994, გვ. 20, 117). იხ. აგრეთვე: ჭითანავა, ქ. ო., VI, თბ., 2011. კიდევ ერთი ინფორმაცია: იოანე ბაგრატიონი (1768-1830) საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისადმი მიძღვნილ წიგნში ოდიშის თავადთა შორის ასახელებს ქორაქიძესაც: ქუშანგ ანუ ქორანგ, არის ადგილსა ხორასნის მხარეს, ხორაზმისასა და, ოდეს ზაქარია მხარგრძელმან ბრძო ხორასნელთა დროსა თამარ მეფისასა, მაშინ ქორანგელი მთავრის ძე მცირე ყრმა მოიყვანა მძევლად; ესე ყრმა მონათლეს ქრისტიანედ და დაასახლეს ოდიშში და იწოდა თავადად ქორაქიძედ (ბაგრატიონი, 1997, გვ. 131).

1995 წელს საპასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერების მიხედვით, საქართველოში გვარი ქორაკიძე ძალზე მცირერიცხოვანია – სულ 46 სული (მათგან თბილისში – 21, გარდაბანში – 7, რუსთავში – 5) (იხ. „გვარ-სახელები საქართველოში“, 1997, გვ. 201). 1904 წლის აღწერის მონაცემებით, თეკლათში, ბეთლემში, თაიაში, ჯგალში, ჭალადიძეში, სირიაჩქონში, პ. ფოთში მცხოვრები ქორაკიძეები აზნაურები იყვნენ (თუმცა უნინ თავადები ყოფილან). სადავოა: ქორაკია ქორაკიძე თუ ქორაკიძე ქორაკია? შდრ.: აფაქია აფაქიძე, დგებუია დგებუაძე, ანჩაბია ანჩაბაძე.

**ლექორაქემ სუკი** – სერი. იგივე **ლექუხილემ სუკი** (ჩქვალერი).

**ლექურსუე//ნაქურსუ სუკი** – სერი, უბანი ძანძელის მარჯვ. მხარეს. დარჩენილია ქურსუას გვარის ორი კომლი (ლესალე). 1995 წლის 1 იანვარს საქართველოში აღინუსხა 144 სული ქურსუა (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – მხოლოდ 8 სული). ამოსავალი ფუძე **ქურსუ** მეტსახელი ჩანს. ჩვენი ვარაუდი: ქურსუა „დანხვლა, დაქუსვლა“ \*მ-ქურს-უ „დამქუსლავი, ყოყლოჩინა“ ქურსუ (მეტსახელი) ქურსუა (გვარსახელი). ვარიანტი ქურცუა გვარსახელია იმერეთში. მ. ჩუხუა შენიშნავს: **რს რც** ფონეტიკური ალტერნაცია მხოლოდ მეგრულშია მოქმედი პროცესი. როგორც ცნობილია, ქურსუა ერთგვარი თამაშობაცაა. ამ სოფლის ცენტრში ხშირად იმართებოდა ხალხური თამაშობანი.

**ლექურსუე//ნაქურსუ//ლეჭანტურე** – გორა, უბანი მოროჟასა და ტკიბრას შუა. ჯიხაფერდის სამხრ-ით (ჩქვალერი). გორაზე სახნავ-სათესი ადგილებია და სასაფლაოც. სახელწოდების სამი ვარიანტი სამ სხვადასხვა ვითარებას ასახავს: **ლექურსუე** აღნიშნავს ქურსუების უბანს, ხოლო **ნაქურსუ** – ქურსუას (ან ქურსუების) ნაცხოვრებ ადგილს. ამჟამად ჭანტურიები სახლობენ და **ლეჭანტურეც** ამიტომ დარქმევია. საერთოდ, სამეგრელოში „არის სოფელთა ჯგუფი, რომელთა სახელწოდებანი არ ემთხვევა იქ მცხოვრებთა გვარსახელიდან წარმოქმნილ სახელებს... ლემითაგვარეს ადრე ლეხაზალე ეწოდებოდა. ლეკაკალე ამჟამად ქარდავების უბანია; ლექურსუეში ჭანტურიებიც ცხოვრობენ... როგორც ჩანს, ყოველი უბანი ამ სოფლებისა დამოუკიდებელ დასახლებას, სოფელს წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა თავისი სახნავი, საძოვარი და სათიბი მიწები, ტყე, ეკლესია, სასოფლო თავშეყრის ადგილი, სასაფლაო და სხვ.“ (გეგეჭკორი, 2004, გვ. 63).

**ლექურე//ლესვიჩე** – ტყე-ფერდობები ნოჟალას სათავე-ხეობაში, კუხეშის საზღვართან. გადმოცემით, ჯერ სახლებულან ქურავები, შემდეგ კი – ხვიჩავები (ჯვარი). ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“ გვარი ქურავა არ ჩანს, ხოლო ხვიჩავა წარმოდგენილია 321 სულით (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 194).

**ლექუხილე** – ქუხილავების უბანი მოროჟანყარის ხეობაში, ტკიბრალასა და ლესუ-ლეს შუა (ჩქვალერი). ამ უბანში XX ს-ის ბოლოს მკვიდრობდა 10 გვარის მატარებელი 43 კომლი. საერთოდ კი, საქართველოში 801 სული ქუხილავა ცხოვრობს (1995 წლის მომაცემებით). ქუხი (პირსახელი კოლხეთში) ქუხ-ილ-ავა (გვარსახელი). გადმოცემა: „ქუხილა მეგრულში ტანდაბალს ნიშნავს“.

**ლექუხილემ სუკი//ლექორაქემ სუკი** – სერი ლექორაქესა და ნოჟალას შუა (ჩქვალერი).

**ლექენიაშ ნაკარუ** – საძოვარი, ნასადგომევი წისკვილარას ზემო წელის ხეობაში. ლექენია კვარაცხელიას აქ ჰქონია „კარე“. რესპ.: „ლექენიას საერთოდ ტანმსუბუქ კაცს არქმევენ“ (სქურის სატყეო). შდრ. ალ. ქობალია: „**ლექინი** – მსუბუქი, მჩატე, ლექინია – ტანმსუბუქი“.

**ლეღვინჯილე** – სოფელი ფუქის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ლეღვინჯილემ სუკი** – სერი სქურჩასა და წკვიბლალის წყალგამყოფზე (ლეჯოლიხე).

**ლეჯურუე** – ყურეების უბნები ინწირას მარცხ. მხარეს (კუხეში) და მაგანას მარცხ. მხარეს (ჯვარი). ჭურუა ადგ. ვარიანტია გვარისა ყურუა. ალ. ქობალია: „**ღურუ** – ყრუ, უყურუ; უბირი, შეუსმინარი, ხამი, უჭკუო; ყრმა“ (მეტსახელადაც ხშირად გვხვდება).

**ლყურუმ ნისქილი** – ნისქილი მაგანას მარცხ. ნაპირზე (ჯვარი).

**ლემამგე** – სოფელი. იგივე **ლემამუგე** (ჩქვალერის ადმ. ერთეული).

**ლემამგემ წყურგილი** – წყარო შქაშლალის სათავესთან. გაყვანილია ჯვარზენში (ლემამუგე).

**ლემამუგე** – სოფელი ჩქვალერის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ლემანე** – შანაგების უბანი ქვედა მაზანდარას ცენტრში (მაზანდარა). საქართველოში მკვიდრობს 1887 სული შანაგა, მათ შორის ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 1036 (მე-8 ადგილი). ამოსავალია პირსახელი შანა (იხ. ქსს, 1986).

**ლემარბე** – ტყე-დავაკება მაგანას მარცხ. მხარეს, გახაბანუსა და ლეგთომლეს შუა, უნნის გზაზე (მაგანას სატყეო). შარაბია ან შარაბია ალბათ გვარი იყო. აჭარასა და იმერეთში დასტურდება გვარი შარაბიძე.

**ლემეროზ(ი)ე** – შეროზიების უბანი ინწირას ხეობაში, ლეგვილესა და ლეაბრალეს შუა, ნაგურუს საზღვართან (ჩქვალერი). აქ მდგარა ხის ეკლესია, სადაც თურმე ხატთან ერთად ინახებოდა ჯიხვის რქებიც. ხატს ერქვა **მოცინარე** და რაღაც კავშირში იყო ჯგეგე-ლაფარიასთან (იხ. ლაფარია). ორივე ხატი შეროზიების საგვარეულო სალოცავი ყოფილა. ხატი **მოცინარე** სვანებს მოუტაცებიათ და ამ სოფელში მცხოვრები ძვაბაც წაუყვანიათ. სოფლის მამასახლისი ქუთარია შეროზია გაჰკიდებია მათ, ჩხორონყუს მთაში, ნოლიმერთან, დასწევია და ხატი და თანასოფლელი დაუხსნია. სვანებს მაინც მოუპარავთ **მოცინარე** და ბეროს ეკლესიის კედელში ჩაუშენებიათ. ლემეროზიეში მდგარი ხის ეკლესია კი XX ს. 30-იან წლებში დაურღვევიათ და მისი მასალა სოფლის სკოლის ასაშენებლად გამოუყენებიათ (მთხრობელი იასონ შეროზია, 91 წ.). საქართველოში 1995 წელს მკვიდრობდა 1851 სული შეროზია (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 276 სული, ხოლო ჩქვალერში – 12 კომლი). ალ. ქობალია: „**შეროზი** – შმაგი“.

**ლემონიე** – ბორცვი ჭანისწყალ-დანძელის წყალგამყოფზე, სადაც ოდესღაც შონიები სახლებულან, მაგრამ განუდევნიათ, თუმც კი სახელი მაინც შერჩენია ბორცვს (ლესალე). საქართველოში XX ს. დამლევს ცხოვრობდა 7648 სული შონია (27-ე ადგილი), ხოლო ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 1722 სული (მე-5 ადგილი). გვარი დასტურდება XVI ს-ის საეკლესიო საბუთში (ქსდ, III, გვ. 350. იხ. აგრეთვე გვ. 433, 479). შონი მეგრულში იგივეა, რაც ქართული სვანი (ე.ი. სატომო სახელია), მაგრამ, როგორც საზოგადო სახელი, აღნიშნავს ბრაზიანს, უხეშს.

**ლემქიშქილე** – ტყე-საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ლეფშალეს ქვემოთ (სქურის სატყეო). რესპონდენტთა განმარტებით, სახელწოდება უკავშირდება შქიშქილს – ნორჩ, ლორთქო, ნივრისნაირ ბალახს. შდრ. ო. ქაჯაია: „**შქიშქილი** – ...ლორთქო ბალახი, ნორჩი ყლორტი; **შქიშქილა** – ნიორის მსგავსი მცენარეა, იზრდება ღელის პირას დაჩრდილულ ადგილზე“; ალ. ქობალია: „**შქიშქილა** – ჩვილი, ახალი, ლორთქო, ქორფა; ნივრის მსგავსი წვნიანი ბალახი“. ბ. კილანავა: „**შქიშქილია** – 1. ქორფა; 2. მცენარე, რომელიც ღელის პირას, უსათუოდ დაჩრდილულ ადგილზე იზრდება (კილანავა, 1998, გვ. 221). მაგრამ კონკრეტულად რა ფუნქცია აქვს ასეთ შემთხვევაში **ლე**- პრეფიქსს (?). გამოთქმულია ვარაუდი, რომ **ლე**—ე საზოგადო სახელებსაც ერთვოდა: ლე-ფშალ-იე, ლე-გვიმარ-ე, ლე-შქიშქილ-ე, ლე-ბაღ-ე... (ლმგ, 2015, გვ. 193).

**ლემანგელიე//საჩანგელიო** – ჩანგელიების უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ლაყორიის ქვემოთ (ჯგალი). გვარი დასტურდება XVI-XVII საუკუნეების საეკლესიო საბუთებში (მიბჩუანი, 1999, გვ. 68, 70). შდრ. სვანური პირსახელი **ჩამგელი** და გვარი **ჩამგელიანი**. როგორც მოსალოდნელი იყო, **ლე**- პრეფიქსიანი ვარიანტი უწინარესია, ხოლო **სა—ო** ფართოდ გავრცელდა შუა საუკუნეების შემდეგ. „ლე- და სა- პრეფიქსები მეგრულში იდენტური ფუნქციისანი არიან: ორივე გამოხატავს დანიშნულებას და ერთი და იმავე გვარისაგან აწარმოებს ამ გვარის დასახლების სახელს...“ (მლა, 2000, გვ. 507). სწორედ ამის ნიმუშებია ჩვენ მიერ ჩანერილი ანთროპონიმები: ლემანგელიე//საჩანგელიო, ლემჩქვანე//საჩქვანო, ლემიძარიე//საძიძარიო, ლენულაიე//სანულაიო... ამასთანავე,

სვანური **ლე-** გაბატონებულია მთიან სამეგრელოში, ხოლო ქართული **სა-** მეგრულში შემოვიდა შუა საუკუნეებიდან და უპირატესობს ქვემო სამეგრელოში.

**ლეჩაფ(უ)ლე** – ტყე-საძოვარი მაგანა-მოროჟას წყალგამყოფზე, ლექარდემ გვალაში, კიბლეთან (ჯვარის სატყეო). რესპ.: „ჩაფულა ხის კავის ის ნაწილია, რომელსაც სახნისი უნდა წამოეცვას. აქ თლიდნენ თხმელისაგან და სოფელში ჩამოჰქონდათ“. მაშასადამე, სავარაუდოა, რომ აქაც, როგორც ჩვეულებრივ, ის, რაც ლე-ს მოსდევს, გვარსახელის ფუძე უნდა იყოს. შდრ. ჩაფულუა, რაც გადატანით ნიშნავს საქმის მიფუჩეჩებას ან მოქრთამვას (აღლ. ქობალია). ჩაფულა, ჩაფლა ზოგადად ქალამნის ტიპის ხალვათ ფეხსაცმელს აღნიშნავდა და მეტსახელადაც შეიძლება ქცეულიყო.

**ლეჩიე** – სერი ლეარდიეში. იგივე ლე(ი)ჩიე. გადმოცემით, აქ ესახლნენ ჩინჩიები. ჩინჩი მეგრულში აღნიშნავს ძალზე წვრილს, ნამცეცვას და ჩიასაც (კუხეში).

**ლეჩიქვანე** – საბალახოები ყალმურას სათავესთან, ლებუეს უბანში (კუხეში).

**ლეჩიქვანე//საჩიქვანო** ( ჩიქ(ო)ვანი) – უბანი სოფლის ცენტრში, ინწირას ორივე ნაპირის ვაკე-ფერდობებზე. ჩიქოვანთა ორიოდ კომლი დარჩა. სხვა გვარისანი მეტნი არიან (ნაგურუ). ჩიქოვანი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (4358 სული). სამეგრელოში ამ გვარის სამკვიდროა მუხური (163 კომლი) და ხაბუმე (57 კომლი). ორივე სოფელი ჩხორონყუს რ-ნშია (იხ. ცხადაია, 2000). რესპ.: „აქაური ჩიქოვანები მოსულან გორდიდან: ლაკადებში ნადირობდნენ თურმე, ირემი მოუკლავთ და ღამე ნაოხვამუში გაუტარებიათ, მერე კი ეს ადგილი მოსწონებიათ და სულაც აქ დარჩენილან“. წარმოშობით სვანი ჩიქოვანები ლეჩხუმში „მდაბალი აზნაურები“ იყვნენ. გორდელი კაცია ჩიქოვანი ლევან III დადიანის კარზე დანიშნურდა და დადიანის ტიტულიც მიიღო... საისტორიო წყაროებში გვხვდება სამი ვარიანტი: ჩიქოვანი, ჩიქოვანი, ჩიქვანი. მოსაზრებანი: ჩიქა (პირსახელი) ჩიქოვანი (ი. მათსურაძე); ქართ. ციქ : მეგრ. ჩიქვ- ჩიქოვანი და ჩიქობავა (თ. გვანცელაძე).

**ლეციდემ ლალ(გ)** – ლელე, კინესქურის მარცხ. შენაკადი. მოედინება ლეცინდედან (ნაკიფუ).

**ლეციმინტიე** – 1. ციმინტიების უბანი ენწერში, რაც სოფლის დას. ნაწილია (საჩინო); 2. ერქვა ციმინტიების უბანს მაგანას მარჯვ. ნაპირას. დაცარიელდა ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით (ლექარდე); 3. უბანი. იხ. საციმინტიო//ლეციმინტიე (პ. ენერი). XX ს-ის დამლევს საქართველოში მკვიდრობდა 652 სული ციმინტია, მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 401. ადგ. ვარიანტები: ციმტია, ცემენტია. აღლ. ქობალია: „**ციმინტია** – ჭიჭყინა, ლიფსიტა; წვრიმალი, ცვარა“.

**ლეციმინტიემ გამოქვაბული** – გამოქვაბული ლეციმინტიეს უბანში, მაგანას მარჯვ. ნაპირის ფერდობზე (ლექარდე).

**ლეციმინტიემ ნაწისქვილ(გ)** – ნაწისქვილარი მაგანას ნაპირას (ლექარდე).

**ლეციმტე** ( ციმ(ინ)ტია) – ერქვა უბანს ლებიავახაშის მარჯვ. მხარეს, ხუდონში (მაგანის სატყეო).

**ლეცი(ნ)დე** – მიკროუბანი კინესქურის სათავესთან, ლეაფშილესა და მანცხვარტყას შუა. ცინდავა გვარია, ოღონდ აქ მხოლოდ მოლაშხიები ცხოვრობენ (ნაკიფუ). სვანური ცინდელ-იან და მეგრ. ცინდ-ავ-ა//ცირდ-ავ-ა (გვარსახელება) ერთმანეთს უკავშირდება (ქალდანი, 1980, გვ. 72). ლაზურში ცირდა, ცინდა ცოცხალი ლექსემებია და აღნიშნავს ხალისიანობას. სხვა მოსაზრებით ნაკიფუს ამ უბნის სახელწოდებისათვის ამოსავალია ლექსემა **ცინდა** „ციდა“ (ლლონტი, 1971, გვ. 69). შდრ. „ლეცინდე (ცინდა „ციდა“) — უბ. ნაკიფუს სს“ (ლლონტი, 1971, გვ. 69). მე-12 კლასის მოსწავლე სალომე მოლაშხიას „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანის“ 2015 წლის გამოცემის გაცნობის შემდეგ ხანდაზმულთაგან გამოუკითხავს და დაუდგენია: ლეცინდეში ცხოვრობდნენ ცირდავები. ისინი შავ ჭირს გაუწყვეტია. ამის შემდეგ იმ ადგილს არავინ ეკარებოდა და სამი საუკუნის შემდეგ დამკვიდრებულან მოლაშხიები. მაშასადამე, ოიკონიმის თავდაპირველი ფორმაა ლეცინდე“.

**ლეცინდემ გგრძე სუკი** – იგივე **გგნძე სუკი** (პ. ენერი).

**ლევცუდე** – ბურქნარი. იგივე **ლესუდე** (ჩქვალერი).

**ლექაძამ(ი)ე** – უბანი სუმლაღსა და ლემანიეს შუა, ჭკადუაშის საზღვართან (პ. ენერი). ძაძამიები სააფაქიო ენერში დასახლებულან XIX ს. II ნახევარში. სხვა გვარები შემდგომ გამოჩენილან. საქართველოში XX ს. დამლევს ცხოვრობდა 1697 სული ძაძამია (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 370). ძაძა მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, აღნიშნავს უხემ ქსოვილს, სამგლოვიარო სამოსელს. მამასადამე, ძაძამი ძაძიანს, შავი ძაძით მოსილს უნდა ნიშნავდეს.

**ლექვაბე** – ძვაბავების უბანი ჭანისწყლის მარჯვ ნაპირას, ბორცვზე, სოფ. ლარას საზღვართან, ლეფურთუხეს გვერდით (მედანი). **ძვაბა** კოლხეთში გავრცელებული პირსახელია, ხოლო გვარი მცირერიცხოვანია – მხოლოდ 90 სული საქართველოში. რესპ.: „ძვაბა შეუხედავი კაცია, გაბურძენული“. აღ. ქობალიას განმარტებით, ძვაბა, ძვაბრა ნიშნავს გაბურძენულს, გაჩეჩილს, ბანჯგვლიანს, ველურს.

**ლექიძარიე//საძიძარიო** – უბანი ნაპერტულაღის ნაპირებზე, ლეზარქუეს გვერდით (მაზანდარა). **ძიძარია** მცირერიცხოვანი გვარია – 146 სული საქართველოში (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 64). წარმოქმნის გზა: ძიძა (პირსახელი) + არ სუფიქსი ძიძარი „ძიძიშვილი“ ძიძარია (გვარსახელი). აუცილებელია აღინიშნოს: ამ უბანში ძიძარიები სახლობენ. მაგრამ ახალი თაობა უპირატესობას სა-პრეფიქსიან ვარიანტს ანიჭებს.

**ლექობე** – ფართო ტერასა ინწირას მარცხ. მხარეს, ოხორასა და ლევცუდეს შუა (ჩქვალერი). გადმოცემა: „ლექობეში ძვაბავებს უცხოვრიათ. აქ მდგარა ხის ეკლესია, სადაც ინახებოდა ხატი „მოცინარე“, რომელიც სვანებს მოუტაცნიათ. მოცინარე და ჯეგელაფარია შეროზიების საგვარეულო სალოცავი ყოფილა. აქ მოსალოცად უშეფათელი შეროზიები XX ს-ის 70-იან წლებშიც კი მოდიოდნენ“. ოიკონიმიისათვის ამოსავალია ძალზე მცირერიცხოვანი გვარი ძვაბავა (მხოლოდ 90 სული საქართველოში. ამათგან არც ერთი – ნალენჯიხის რ-ნში): **ძვაბა** (პირსახელი) ძვაბავა ლექვაბე ლექობე. შდრ. **ლექვაბე**.

**ლენულაიე** – წულაიების უბანი სოფლის ცენტრში (კუხეში).

**ლენულაიე//სანულაიო** – წულაიების უბანი ინწგრასა და ნოჟალას შესართავთან (ჩქვალერი). XX ს-ის დამლევს საქართველოში მკვიდრობდა 5091 სული ამ გვარისა (76-ე ადგილი), ხოლო სამეგრელოში – 3104 სული (მე-15 ადგილი). 1616-1621 წწ. შედგენილ საეკლესიო საბუთში აღნიშნულია, თუ რა სახის ბეგარა მართებთ წულაიებს (ქსდ, III, გვ. 443). **წული, წულა** მეგრულში არნიშნავს ვაჟს, ყრმას, შთამომავალს, გამხდარს და შეიძლება მეტსახელადაც ქცეულიყო (შდრ. გვარები: წულეისკირი (წულაისკირი) და წულაძე (ძირითადად გურია-აჭარაში).

**ლექამაკა** – ლელე. იგივე **ლექამატა** (მუჟავა).

**ლექამატა//ლაქამატა//ლექამაკა** – ოლორის მარცხ. შენაკადი ჩვინარეში, თხირონლაღის შესართავის პირდაპირ (მუჟავა). ტოპონიმი აღადგენს გვარს ჭამატავა, ჭამაკავა. რესპ.: „როგორც მომისმენია, ჭვამაკა შრომისმოყვარე კაცს აღნიშნავს“. აღ. ქობალია: „**ჭვამაკა** — გამრჯე, მონადინებული“.

**ლექანტურე** – უბანი. იგივე **ლექურსუე** (ჩქვალერი).

**ლექანტურეშ ტყა//ჭანტურიაშ ტყა** – ტყე-ბურქნარი. იგივე ჭანტურიეფიშ ტყა (პ. ენერი).

**ლექანტურ(ი)ე** – ჭანტურიების უბანი ნალენჯიხა-ლიის გზაზე, ჩხოუშიასა და ბეჟაშ ლაღს შუა (პ. ენერი). 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 6698 სული ჭანტურია (39-ე ადგილი), სამეგრელოში კი – 3839 (X ადგილი რეგიონში). გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება:

1. ამოსავალია სატომო სახელი ჭანი: **ჭანითური** (ე.ი. ჭანის შთამომავალი, ჭანის მოდგმა — შთამომავალი) ჭანითური ჭანტური ჭანტურია (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 310-311);

2. კონსტანტინე კაპანელს (ჭანტურიას), რომელსაც განათლება საფრანგეთში მიუღია და 1932 წლიდან თბილისის პედიანტიტუტში კათედრის გამგე იყო, XIX საუკუნის



30-იან წლებში ჩაუნერია ასეთი გადმოცემა: რომაელთა ჯარის **სანტურიონი** (ე.ი. ასისტავი), კოლხეთში დარჩენილა და დაოჯახებულა. მათი შთამომავლებისათვის უწოდებიათ სანტურია, საიდანაც წარმოქმნილა გვარი **ჭანტურია** (სხვათაშორის სანტურიანი გვარია სომხეთში).

3. მკვლევარ სოსო **ჭანტურიას** მოსაზრებით, ამოსავალია **ჭანური** ნინადადება „**ჭანტურენ**“ (= „ჭან ყოფილი რომ არის“) **ჭანტურ(ენ)ია** **ჭანტურია** (ან **ჭანტურაია**). ამ მოსაზრების ავტორი ამასაც აღნიშნავს: **ჭანტურიების ძირითადი არეალია ჯვარი, საიდანაც XVIII ს-ში მომხდარა მათი მიგრაცია ქვემო სამეგრელოს სოფლებში (ჭანტურია, 1999, გვ. 83).**

4. ხალხური გადმოცემა ასეთია: სამეგრელოში ცხოვრობდა **ებრაელი**, სახელად **ჭანტი**, აქედან წარმოქმნილა გვარი **ჭანტურია**.

გვარ **ჭანტურიას** წარმომავლობის საკითხი:

სამეგრელოს მთისნინეთში დამკვიდრებული ზოგი გვარი, გადმოცემების თანახმად, სვანური წარმომავლობისაა: მაგალითად: ფიფიები ირწმუნებიან, რომ მათი წინაპრები სვანი ფილფანები იყვნენ და კიდევაც დადიოდნენ სვანეთში მოსალოცავად; ქარდავები თვლიან, რომ მათი წინაპრები სვანი ქალდანები იყვნენ... რა ვითარებაა ამ მხრივ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში? პ. ინგოროყვა, რომელმაც გამოიკვლია სვანთა შუა საუკუნეების საისტორიო ძეგლები, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეგრული გვარები – აფაქია//აფაქიძე, ფანჯიკია, ლიპარტია, გვარამია, ჯამბურია და სხვ., მომდინარეობენ სვანური გვარებისაგან – აფაქიანი, ფანჯიკიანი, გუარამიანი, ჯამბურიანი და სხვ. (ინგოროყვა, 1941). რ. თოფჩიშვილი ასახელებს გვარებს რომლებიც სვანეთიდან დას. საქართველოში (სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი) არიან მიგრირებულნი და შენარჩუნებული აქვთ **-იან** დაბოლოება, ან შეცვლილი აქვთ იგი **-ძე** დაბოლოებით: ასათიანი, იოსელიანი, ჟორჯოლიანი, რატიანი... (თოფჩიშვილი, 2011, გვ., გვ.: 37, 39, 163, 274 და სხვ.). იგივე მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს: „საერთოდ, **ჭანტურიები** უნდა წარმომავლობდნენ **ჭანტურიანებისაგან**. ასეთი გვარსახელი დამონმებულია **XV-XVI** საუკუნეების სვანეთის საისტორიო საბუთებში“ (იქვე, გვ. 421). შეუძლებელი არც ისაა, რომ მეგრულ-ქართული გვარისათვის ამოსავალი იყოს სვანური სიტყვა. მაგალითად: **როგავა, როგაძე** გვარსახელის ფუძეა როგ- (კერცვი. შდრ. ქართული გვარსახელი ცერცვაძე. იხ.: ჭითანავა, 2002, გვ. 440-441).

დაბოლოს: სოსო **ჭანტურია** აქვეყნებს აკაკი **ჭანტურიას** მიერ 1930-იან წლებში შედგენილ **ჭანტურიათა საგვარეულოს 13** თაობის სქემას, რაც ადასტურებს, რომ: პირველ თაობებში **ჭარბობს** სვანური წარმოშობის პირსახელები, როგორცაა: ბაკუ, გისა, საკა, სორეხი, კაკი (კაკუ), ნემურზა, სორსან (სორხან) და ალბათ სხვაც (უთითებს: ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, 1967).

გვარი **ჭანტურია** დასტურდება **XVII-XVIII** სს. საეკლესიო სიგელ-გუჯრებში. **XVI** ს-ის საეკლესიო საბუთების მიხედვით, ხოფის ეკლესიის ბეგარა 15-15 თეთრი მართებთ იმარინდუ **ჭანტურიასა** და იოვანე **ჭანტურიას** (ქსძ, III, გვ. 349). გვარი სხვა სიგელ-გუჯრებშიც ფიგურირებს (**XVII-XVIII** სს.), ერთდროულად გვხვდება **ჭანტურია** და **ჭანტურეია** (სოსელია, 1960, გვ. 125). (იხ. გვარ **ჭანტურიასთან** დაკავშირებით: ცხადაია, 2000, გვ. 161-162).

**ლეჭვიტილე//ნაჭვიტილე** – ტყე-ფერდობი ნაპერტულალის მარცხ. მხარეს (მაზანდარა). რესპ.: „ჭვიტილოური ვაზის ჯიშია. აქ ხარობდა თურმე“. შდრ. ალ. ქობალია: „**ჭვიტილია** – ჭუტალა, წვრილთვალეა“, მაშასადამე, **ჭვიტილი** „ვინც თვალს ხშირად ჭუტავს“ **ჭვიტილი** „მეტსახელი“ **ჭვიტილია** (გვარსახელი). შდრ. „**ლეჭვიტირე** (ჭვიტიე „ჭუჭრუტანა, ხვრელი“) – ადგ. ნალენჯიხაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 6).

**ლეჭვიჭალუე** – ჭიჭალუების მიკროუბანი ლაკადას ძირას, ლეჯღანჯღესა და ლეხვიჩეს შუა (ნაგურუ). **-ლუა** დაბოლოებიანი გვარები უცხოური წარმომავლობისა უნდა იყოს (როგავა, 1955, გვ. 6). შდრ. ალ. ქობალია: „**ჭიჭალუა** – ჭიალუა“ (დამცირებითი მეტსახელია).

**ლეჭყი//ლეჭყონი** „ლენჭყი//ლენჭყიანი“ – ჭენჭყობი, თხმელნარი ლეჯიორში (ფახულანი).

**ლექციონი** – ჭენჭყობი. იგივე **ლექცი** (ფახულანი).

**ლექციოჭყო** (ჭყოჭყო — ჭონჭყო, სველი ჭაობიანი) – გორა თაიაში (ლლონტი, 1971, გვ. 69).

**ლესაზალე** – ვაკე-ზეგანი ჯვარზენის გადასახედთან, შქაშლალის მარჯვ. მხარეს (ლემამუგე). აქ ცხოვრობენ მითაგვარიები, ქარდავები, შამუგები, ხაზალიები კი არ ჩანან. XX ს. ბოლოს საქართველოში 600 სულზე მეტი ხაზალია ცხოვრობდა (ძირითადი ნაწილი – ზუგდიდის რ-ნში). სავარაუდოა: **ხარაზი** (ფეხსაცმლის მკერავი) ხარაზი (მეტსახელი) ხარაზია (გვარსახელია. იხ. ქსდ, III, 439, 470) ხაზარია ხაზალია (მონაცვლეობა რ-ზ ზ-რ). გვარი ხაზალიანი შუა საუკუნეების სვანეთის სულთა მათიანეებშია დადასტურებული.

**ლესაზალემ წყურგილი** – წყარო ლესაზალეში, შქაშლალის მარჯვ. შენაკადი (ლემამუგე).

**ლესამლა** – 1. ფერდობები ვეჯინჯში (საჩინო). რესპ.: „სახუმარო სახელია. სვანებ-ვით შორი-შორს ცხოვრობდნენ და ხშირად ჩხუბობდნენ. ლესამულა სოფელია სვანეთში, ჯვარი-მესტიის გზაზე“; 2. დასახლებული უბანი ლაჩიდის მარცხ. ნაპირას, საარქანოს დას. ნაწილში. რესპ.: „აქ ესახლნენ ანთიები და არქანიები, ისინი ერთმანეთთან ჩხუბსა და მეტოქეობაში იყვნენ. ამიტომ დაერქვა“ (მუჟავა). შდრ. „**ლესამულა** – ადგ. მუჟავაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 69). სიტყვის ძირითადი ნაწილი ლეს-ამ „სალორე“ სვანურის სუბსტრატი ხომ არ არის?

**ლესარჩილე** – 1. ფერდობები ტებენეს მარცხ. მხარეს, ყარას კალთაზე. ხარჩილავებს აქ არ მოსწრებიან (ფახულანი); 2. მჭიდროდ დასახლებული უბანი მაგანას მარცხ. მხარეს. აქ გვარი ხარჩილავა ამჟამად მხოლოდ ორიოდ კომლითაა წარმოდგენილი (ჯვარი); 3. უბანი სქურდილას ხეობაში. ხარჩილავას საჭყონდილოში კაცი მოუკლავს და გამოქცეულა. იგი შენგელიას შეუფარებია და აქ მიუცია სამოსახლო (წალენჯიხა) და სხვ. რესპ.: „ხარჩილა თურმე ბევრი ტყუილის მთქმელი კაცია“. ხომ არ ნიშნავს ხარჩილა ენერგიულ, სწრაფმოლაპარაკე და მოაზროვნე, ან სწრაფად მოსიარულე კაცს? შდრ. ალ. ქობალია: „ხარჩილა – ჩხრიალა, ჩაჩხრიალა“. იხ. ალერტხარჩილე.

**ლესხერა** – ენგურის ხეობა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). რესპ.: „შონემ სამალიო-ტი ირო ათე ლესხერას ინოქუნცუ“. ჯვარელი რესპონდენტი: „ხის მოჭრა რომ გვინდოდა, ვიტყოდით, ლესხერაში მივდივართო. მიგვქონდა ნაჯახი და საგზალი რამდენიმე დღისათვის“. პ. ჭარაია: „**ლესხერა** – ხეობა; მთებს შუა მდინარის გაყოლებზე ადგილები“. შდრ. ალ. ქობალია: „**ლესხერა** – ხევი, ტყიანი, კლდოვანი ნაწილი ხეობისა“. შდრ. კ. ჰანი თვლის, რომ ლესხერა სვანური სიტყვაა და ნიშნავს „ , , , „ (ჰანი, 1909). P.S. **ლესხერა** ტოპონიმი ლეჩხუმშიც. კერძოდ, მიემართება ლაშიჭალასაც და ლაჯანურის ხეობასაც ლაშიჭალიდან სათავეებამდე; ხოლო ლესხერულა ღელეა (ერთვის დიდ ლოკარეს). ვარიანტი: ლენხერა.

**ლესხელე** – კლდე-ღრანტეები. იგივე ეხელე (ჭველე).

**ლესვიტიე** – ტყე-ფერდობები გაძლარასთან (ლია) და ჩაის ფართობი ლეჭანტურეში (პ. ენერი). ხვიტია მცირერიცხოვანი გვარია. განსახლებულია ძირითადად ზუგდიდის რ-ნში. 1995 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში აღინუსხა მხოლოდ 13 სული ამ გვარისა. შდრ.: ხვიტი (კოლხეთში გავრცელებული პირსახელი) ხვიტია (გვარსახელი). რუხის ციხე (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) სწორედ ხვიტიების მამულში იქნა აგებული (ს. მაკალათია).

**ლესვიჩე** – 1. მცირე უბანი ლეარდიეში, ხურჩის ნაპირას. უნინ ერქვა **წურუფიშ კუნთხუ** (კუხეში). 2. ფერდობი. იგივე **ლექუჩე** (ჯვარი); 3. ხვიჩიების მიკროუბანი ხურჩას მარჯვ. ნაპირის ბორცვზე (ნაგურუ). 1995 წელს საქართველოში აღინუსხა 1886 სული ხვიჩია. საისტორიო წყაროში ხვიჩია დასტურდება როგორც პირსახელად, ისე გვარსახელადაც (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 168). მეგრ. **ხვიჩა** „სახეგაბადრული“ ადვილად გადაიქცეოდა მეტსახელად და შემდეგ – გვარსახელად.

**ლესოტუე** – ლაკადისძირები კანთში, ბელერწყარის სათავესთან. ამის ზემოთ იწყება ე.წ. გილაშქვაფილები (ლეთკანთი). ტოპონიმი ალადგენს გვარ ხოტუას. ხოტო, ხოტორა იგივეა, რაც თავგადატვლებილი, თავხოტორა. მაშასადამე: **ხოტო** (მეტსახელი) ხოტო-ა ხოტუა.

**ლესუბტე** – ერქვა ხუბუტიების მიკროუბანს მოროჟას მარჯვ. მხარეს, ლეგოგილეში. იშვიათი ვარიანტია ლესუბუტე (ლესამუტე). რესპ პ. გოგილავა (77 წ.): „ცხოვრობდნენ ხუბუტიები – აზნაურები. მათ სახელმწიფო გლეხების – გოგილავეების – „კოჩო გინორთინაფა“ (ყმად გადაქცევა) მოუნდომებიათ. გაბრაზებულ გოგილავეებს ისინი განუდევნიათ. ბოლოს ბარხიდან ჩამოსახლებულან ლესუბუტეში და უბანსაც **ლეგოგილე** დარქმევია, მაგრამ ხუბუტიას გვარის ორიოდ კომლი მაინც დარჩა ისევე, როგორც ადგილის სახელი ლესუბუტე“. რესპ. ი. შამუგია (80 წ.): „ხუბუტიები ყოფილან ხუბულავეები, ყარაჩიდან გამოქცეულნი. პირველი მათგანი ყოფილა უთუთია, რომლისთვისაც ქარდავებს მიუციათ სამოსახლო. გამრავლებულან. მაგრამ აქ ბავშვებს იპარავდნენ და ენგურს გაღმა გაჰყავდათ გასაყიდად“. გვარისთვის ამოსავალი უნდა იყოს **ხუბუ** (პირსახელი). -უტ აწარმოებს მოფერებით ვარიანტს: ხუბუ-უტ-ი ხუბუტია. შდრ. ლ. ლვინჯილია: ბუხუტია ხუბუტია.

**ლესუბ(უ)ლე** – ხუბულავეების უბანი ძანძელის ხეობაში, ნასხაპუსა და გას შუა (ლესალე). გვარი ხუბულავა დასტურდება 1616-1621 წლების საეკლესიო საბუთში: ჯგალის ციხის მებეგრეთა შორის დასახლებულია მამია ხუბულავა (ქსძ, III, გვ. 479). ამჟამად სოფ. ლეთკანთში (ჯგალის ადმ. ერთეული) მოსახლე ხუბულავეები, როგორც ჩანს, აქაურ ხუბულავათა შთამომავლები არიან. აქაც ხუბუ (პირსახელი, ან მეტსახელი) ხუბული ხუბულ-ავა.

**ლესუბულემ რობუ** – ხეობა, ძანძელის ხეობის მონაკვეთი (ლესალე).

**ლესულე//ოხულე** – წყარო და ფერდობები ტკიბრალალის მარცხ. მხარეს. წყარო გამოედინება კლდიდან (ჩქვალერი). შდრ. **ხული** „კეჟერა მხალი“ ოხულე. სამეგრელოს ტოპონიმიში იშვიათად ლე- პრეფიქსი საზოგადო სახელთანაც გვხვდება.

**ლესულორდე** – ხულორდავების უბანი ენწერში, საშეროზიოსა და ლეგულორდეს შუა (საჩინო). 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა 380 სული ხულორდავა (მათ შორის წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 78). გვარის დაბოლოება -ორდა-ვა დასტურდება გულორდავაშიც, თოლორდავაშიც...

**ლეჯოლიხე** – სოფელი ფუქის (მიქავა) ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ლეჯლანჯლე** – ჯლანჯლავების უბანი ლაკადისძირებში, ლეგვილესა და ლეხვიჩეს შუა (ნაგურუ). **ჯლანჯლ**- ზმნური ფუძე მეგრულში აღნიშნავს ჯლუნვასაც და დაბეგვასაც. აქედან წარმოიქმნა მეტსახელი ჯლანჯლა ( ჯლანჯლავა). შდრ. ალ. ქობალია: „**ჯლანჯლი** – ნაბეჟი, ნაბეგვი; უვარგისი, ძარღვიანი ხორცი“.

**ლია** – სოფელი. ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ლიაკობე//ლეაკობე** ( აკობია) – ერქვა უბანს ოლორის მარცხ. მხარეს, საქაროს ჩრდ.-აღმ-ით. დარჩა ორიოდ კომლი ამ გვარისა (ენწერფერდი). ეა ია მეგრულში ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესია. შდრ.: ლიარსანე//ლეარსანე, ლიარული//ლეარული...

**ლიამგოტახილი//ლიამ ეკოლ(გ)** – ნაგზაური აღმართი ჯვარი-ზუგდიდის საავტომობილო გზაზე (ლია). **მგოტახუა** „მოხვევა; მოტეხვა“ **მგოტახილი** „მოსახვევი: კლდეზე გაჭრილი გზა“. **ეკოლ(გ)** „აღმართი“.

**ლიარეფიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი პ. ენწერში. ამუშავებდა სოფ. ლია (ლია, პ. ენწერი).

**ლიარსანე** – ლელე-ხეობა. იგივე ლეარსანე (წალენჯიხა, გრიგოლიში). შდრ. ლიაკობე//ლეაკობე.

**ლიარულე//ლეარულე** – უბანი ოლორის მარცხ. მხარეს, ჩხაპელკას კალთაზე. ცხოვრობენ ფიფიები. სავარაუდოა, რომ არსებობდა გვარი არულია ან არულავა (მუჟავა). არაა გამორიცხული, მეგრული სიტყვა **არული** „არეული, გადარეული...“ (ალ. ქობალია) მეტსახელად, ხოლო შემდეგ გვარსახელად ქცეულიყო.

**ლიასგმე** ( ლეასგმე) – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი საჩანგელიოში. სათავე აქვს ლეთოფურეში (ჯგალი, ლეთკანთი). ასმავა ერთ-ერთი მეტად მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (სულ 40 სული). დასტურდება XVII ს. ოციანი წლების საეკლესიო საბუთში, სადაც აღნიშნულია, რომ გომორთია ასმავას ემართა ჯგალის ციხის ბეგარა (ქსდ, III, გვ. 479). სავარაუდოა, რომ ის ასმავა სწორედ აქ ცხოვრობდა და უბანსაც უკვე ერქვა ლეასგმე/ლიასგმე.

**ლიამ ეკოლ(გ)** – აღმართი. იგივე ლიამეკოტახილი (ლია).

**ლიამ საკარო** – საძოვარი ოხაჩქუეს კალთაზე, ჯაკონიას სამხრ-ით. აქ იყო ლიას კოლმეურნეობის საქონლის საზაფხულო საძოვარი. კონტექსტი: „ჯაკონიას იშვანდექ დო ვარ ლიამ საკარვეში“ (ჯაკონიაში ისვენებ თუ ლიას საკაროში). (ჭალე). **კარე** ( კარავი) – მწყემსის ბინა, ქოხი **საკარო** „ადგილი, სადაც დგას მწყემსის კარე, სადგომი“.

**ლიამ შორშე** – გზატკეცილი ენერში. ლექარდეს უბნიდან მიემართება სოფ. ლიასაკენ (პ. ენერი). შდრ. რუს. „გზატკეცილი“ მეგრ. შორშე.

**ლიპარტყა** – ჩაის ფართობი ლიარსანეს ზემოთში (წალენჯიხა). რესპ.: „უღრანი იყო და ლიპარ მესხიას მეტი ვერავინ ბედავდაო შესვლას“. მაშასადამე: ლიპარიშ ტყა ლიპარტყა.

**ლომაიეფიმ ნანისქვილ(გ)** – ჭალა-თუთნარი (იხ. ნანისქვილ(გ). (კუხეში).

**ლომიეფიმ დიხა** – 1. ბუჩქნარი ტკიბრას მარჯვ. ნაპირას, კვაჭალარეს შესართავთან. ლომია გვარსახელია (ჩქვალერი); 2. ტყე-ბუჩქნარი სოფლის შუა ნაწილში, უჩალალის ორივე ნაპირას, ფაფატიას ჩრდ.-აღმ-ით (პალური).

**ლუკა გოგუამ წყურგილი** – წყარო. იგივე საემხვარო წყურგილი (ლია, პალური).

**ლუკამგა//სალუკამ სუკი** – ბორცვი სამართალასა და ლაჩახვას შუა, სადაც სალოცავი მუხა მდგარა (ფუქი). ლუკა პირსახელია, ხოლო ლუკავა — გვარსახელი. შდრ. „ლუკასუკი (ლუკას ბორცვი) – ადგ. მიქავაში“ (ლლონტი, 1973, გვ. 70).

**ლუკეფიმ გა** – ბორცვი შქავას გაგრძელებაზე, ნაზმაკორჩუსთან (მიქავა).

**ლუნამ ნაყუდუ** – ნასახლარი დობერალალის ხეობაში. ლუნას, მარტოხელა ქვრივ ქალს, აქ ედგა ყუდე „სახლი“ (ლესალე).

**ლუსიმ ნაცხონტა წიფური** „ლუსის განასხეპი წიფელი“ – მაღალი, გამორჩეული წიფელი აფთარაში. რესპ.: „ლუსი 11 წლის ბიჭი იყო და ნიძლავზე გასხიპა ეს მაღალი ხე. ოცი წლის ამბავია“ (სამესხიო).

**ლულერა** – უბანი, ხეობა ოტოფუეს ქვემო წელზე, ქ. წალენჯიხასა და სოფ. ჯალირას შუა (ნაკიფუ). რესპ.: „ლული ლეღვია. ეს ხეობაც ლეღვნარი ყოფილა“. მაშასადამე, -ერა ფუნქციურად იგივეა, რაც -ონა.

**ლულიშ ღალე** „ლეღვის ღელე“ – ღელე ჭანისწყლის დას. ფერდობზე. ამ ღელის სათავესთან ახლაც მრავლადაა ტყის ღელვი (მაზანდარა).


## – მ –

**მაგანა** – ენგურის მარცხ. შენაკადი ქ. ჯვარში. სათავეს იღებს ჯიქერიდან, რაც ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზეა, ზ.დ. 2460 მ სიმაღლეზე (შდრ. ენგურის სათავე 2614 მ სიმაღლეზეა), სიგრძე 24 კმ (ჯვარი, მაგანას სატყეო). რესპ.: „მაგანა ნამგალია. ეს მდინარეც ნამგალივითაა მოხრილი, ამიტომ დარქმევია“. „მაგანის სათავეებში მდებარეობს მყინვარული წარმოშობის ორი ტბა: დიდი და პატარა ტობავარჩხილი“ (გერგედავა, აია, 7, გვ. 196). 1926-1927 წლებში სამეგრელო სვანეთს დაუკავშირდა სასაპალნე გზით, ხოლო საავტომობილო გზისთვის საჭირო ხიდი მდ. მაგანაზე (სსრ კავშირში პირველი „კიდული ხიდი“) გაიხსნა 1932 წლის ნოემბერში. ამ ხიდის 70 წლისთავთან დაკავშირებით 2002 წელს ჯვარში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე წამოაყენეს წინადადება, მაგანას კიდული ხიდისათვის მიენიჭებინათ ისტორიული ძეგლის სტატუსი. შდრ. „მაგანა (ნამგალი) — მდ. ჯვარის სს“ (ლლონტი, 1971, გვ. 70). ლექსემა მაგანას აკავშირებენ ირანულ მანგალთან“ (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 208).

**მაგანაგოჭკადილი//გოჭკადილ მაგანა** — რკინა-ბეტონის ხიდი მაგანაზე, კიდული ხიდის გვერდით. ენგურჰესის მშენებლებმა სწორედ ეს ტვირთგამძლე ხიდი ააგეს, მაგრამ იგი „არქიტექტურულ სილამაზესაა მოკლებული“. კიდული ხიდი „უპირველეს ყოვლისა, კულტურის ძეგლია, ჯვარის ემბლემაა, აღნიშნავს ჟურნალისტი გვანჯი მანია (იხ. გვანჯი მანია, „ჯვარის ხიდი“. გაზ. „ეგრისი“, 17 აგვისტო, 1965 წ.).

**მაგანაშ ხინჯი//ჯვარიშ ხინჯი//ჯვარიშ ხიდე** — კიდული ხიდი მაგანაზე. იხ. მაგანა (ჯვარი).





ავტორ-შემდგენლები: ბონდო მანია, ისაკ ქარდავა, ამირან ქარდავა (2006 წ).

**მაგანას სატყეო** – მდ. მაგანას ხეობა სოფ. ლექარდედან ჩრდ-ით (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**მაგულიაშ ტყა** – ტყე-შქერნალი თეკანაშის დას-ით. მაგულია პირსახელია (მაგანას სატყეო).

**მაზანდარა** – სოფელი ნალენჯიხის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**მაზანდარაშ ფოთქვი** — მღვიმე ქვედა მაზანდარაში, საჩინოს გზის დასაწყისთან. რესპ.: „ბევრმა სცადა, მაგრამ მღვიმეში ბოლომდე ვერ შეაღწიეს. ამ მღვიმეზე მოთხრობა შოთა ფიფიაშ დანერა“ (მაზანდარა). ალ. ქობალია: „**ფოთქვი, ფოთქი** — დარანი, ქვაბული, ღრმული; მივარდნილი ყრუ ადგილი“.

**მათემ ლალ(გ)** – ღელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი ქვედა მაზანდარაში, ბონდის ხიდთან. მოკლე ღელეა. სათავეს იღებს ფერდობისძირა წყაროდან. აქ მინა მათე შანავას ეკუთვნოდა (მაზანდარა).

**მაიაშ ოხარჩალაია//ოხარჩალაია** – ღელე, ნაპერტუნყარის შენაკადი (ფუქი). მოტივაცია: მაიას, ქვრივ ქალს, აქ უყვარდა ბანაობა. **ოხარჩალაია** ნიშნავს წყალჩხრიალას, ბუნებრივ ჩანჩქერს ან ღარიდან წყლის ჩამოდვრას ჩხრიალით.

**მაიაშ უშქურონა** – მინდორი ტარჩიის სათავესთან. აქ ესახლა ქვრივი ქალი მაია ფიფია. ვაშლის ხე ახლომახლო არ ჩანს (სამესხიო).

**მაიაშ წყურგილი** – 1. წყარო ნაპერტუს ხეობაში, ფერდობზე. მაია ამ წყაროს წყლით სარგებლობდა (მაზანდარა); 2. წყარო ონახუელალის ადმ. ნაპირზე. მაიაშ ოხარჩალაია აქედან მოედინება (ფუქი); 3. წყარო გალურში. ლავთარას სათავეა (ობუჯი).

**მაკარაშ ნადიხგ** – ტყე-ბუჩქნარი ქორსუს ხეობაში, ნარსს ქვემოთ (ნაგურუ).

**მაკარაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ხვითერში (ნაკიფუ).

**მაკარიშ ნოხორე** – სახნავი სამარლიოში, ტერასაზე (პალური).

**მაკარიშ ლალ(გ)//გვატიშ ლალ(გ)** – მცირე ღელე და ხეობა, ჯამპონალალის შენაკადი. გვატი ბაბუას ერქვა, მაკარი – შვილიშვილს (საჩინო).

**მაკოშ წყურგილი** – წყარო ყარაში. არ შრება. იყენებენ სასმელად. მაკო აქ მცხოვრებ მამაკაცს ერქვა (წყოუში).

**მალაზონიეფიშ ნადიხ(გ)** – 1. საკარმიდამოები ბურღეფში, ინნგრას მარჯვ. ნაპირზე (კუხეში); 2. საბალახო გორაკზე, ლეკობახეს უბანში (საჩინო).

**მალაზონიეფიშ ლალ(გ)** – ღელე, ღაბარხას მდგენელი ლემალაზონიეში. იხ. ღაბარხა (საჩინო).

**მალაქიაშ ნადიხ(გ)** – ვაკე-ტერასი ჭანისწყლის მარჯვ. მაღალ ნაპირზე. მინა უნინ ეკუთვნოდა მალაქია გურიელს (მედანი).

**მამაშიაშ სუკი** – ბორცვი ბორბოლში, რობლალსა და მამაშიაშ ღალს შუა (საჩინო).

**მამაშიაშ ლალ(გ)** – ღელე და ხევი ბორბოლში, რობლალის მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „მამაშია, პატარა ბავშვი, დაკარგულა და აქ, ხევში, უპოვიათ“ (საჩინო).

**მამლონი** ( მამულონი მამული) – 1. ტყე ვეჯინჯსა და ლეკობახეს შუა (საჩინო); 2. ბუჩქნარი ლექანთარეში, სადაც უნინ ადესა ყოფილა ხეებზე ასული (ჯვარი). იხ. მამული.

**მამ(უ)კიაშ ნოხორი** – ნასახლარი მამუკიაშ ჯიხასთან (საჩინო).

**მამუკიაშ ჯიხა** – ნაკოშკარი. იხ. ჯიხური (საჩინო).

**მამული** – ტყე-საძოვარი ლეხვიჩეში, მიოხვამუს კალთაზე (ნაგურუ). მამული „ბალვენახი; ვენახიან-ხეხილიანი ადგილი“. შდრ. იმერ.: **მამული** „ვენახი, ზვარი“. ო. ქაჯაია: „**მამული** – მამული (გადატ. ვენახი)“; ალ. ქობალია: „**მამული** – განაშენიანებული, ე.წ. სახასო ადგილი“. შდრ. ქეგლ-ი: „**მამული** – უძრავი ქონება საერთოდ (უპირატესად სოფელში)...“

**მამულ(ონ)ი** – ტყე-ბუჩქნარი და საძოვარი ჩელალის სათავესთან, ლაკადას კალთაზე (ნაგურუ). **მამული, მამულონი** მეგრულში აღნიშნავს განაშენებულ ადგილს, სადაც ხარობს ვენახი, ხეხილი...

**მამ(უ)ლონი** ( მამული) – 1. ლაკადისძირები ლეთოფურეში, ბელერის სათავესთან (ლეთკანთი); 2. ტყე-ფერდობები ლექანთარეში, სადაც უნინ ადესა ყოფილა ხეებზე აშვე-ბული (ჯვარი) და სხვ.

**მანგარსუკი** – ბორცვი ბურლონალის სათავესთან, ყარასა და ნაჯიხს შუა (ფახულანი). მანგარი „მაგარი“ ნიშნავს გაუვალ ქვეტყეს, კერძოდ, შქერნალს ან ულრან ტყეს კლდე-ღრეებში, სადაც ძნელი მისასვლელია. რესპ. გ. ხუბუა: „**მანგარი** – დიდი, მაგარი ტყე“. ალ. ქობალია: „**მანგარი** – მაგარი; გაუვალი (ტყე), შქერნალი“. რესპ.: „ძნელი ასასვლელია, ვერაფერი ავა. ამიტომაა „მანგარი“. მეგრულში მანგარ- ლექსემის ძირითადი მნიშვნელობაა „მაგარი“.

**მანიაშ ნაღიხ(გ)** – სახნავი ოჯოლორელალის ხეობაში. ქვრივი ქალი მანია გუჩუა აქ ესახლა (ფახულანი).

**მანიეფიში** „მანიებისა“ – ჩაის ფართობი სოფლის ცენტრის აღმ. ნაწილში (პ. ენერი).

**მანჩაშ კარე** – საძოვარი ყვირაში. ასახელებს აკ. ჭანტურია (ჯვარის სატყეო).

**მანჩაშ ნანისქვილ(გ)** – მცირე ღელე, ლეარსანეს შენაკადი (ნალენჯიხა).

**მანჩაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ვაკეზე, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. მანჩა მა-ნუჩარ (ობუჯი).

**მანჩაშ სუკი** – ტყე-ბორცვი ჭანისწყალსა და კინესქურს შუა. რესპ.: „მანჩაშ სუკის ხედგ ტურა-ნგერი დო თექი მიბშით ონადირუშა“ (ჯალირა).

**მანჩაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ნახუბუში (ჯალირა).

**მანჩაშ წყურგილი** – წყარო ფერდობზე. მანჩა ფიფიას ამ წყაროს წყალი გზისპირამდე ჩამოუყვანია (ჩქვალერი).

**მანცქოლი** – ტყე-ფერდობი დიდი ტებენეს მარცხ. მხარეს, ნაბაბაცთან (ფახულანი). რესპ.: „მანცქონი იქნებოდა უნინ. მანცქა წვრილი თეთრი ქლიავია. ცოტა ზემოთ ტყეს **ოხ-ვიმოლი** ეწოდება. ხვიმა ხურმაა“. ალ. ქობალია: „**მანცქა** – ციცქნა, პატარა; ქლიავიცაა ერთგვარი“. -ონ სუფიქსს, რომელიც კრებითობას გამოხატავს, მეგრულში არაიშვიათად ცვლის -ოლ. მანცქონი მანცქოლი (ნ – ნ ნ – ლ).

**მანცხვარი** – მაცხოვრის ეკლესია. იხ. დიდ(ი)ოხვამე (ნალენჯიხა).

**მანცხვარკარი** – სალოცავი ადგილი ლეცინდეს უბანში (ნაკიფუ).

**მანცხვარცყა** „მაცხოვრის ტყე“ – 1. ტყე-ნაკრძალი ბირგულამსა და კვარჩხილალს შუა (ნაკიფუ). ალბათ მაცხოვრის ეკლესიის საკუთრება იყო; 2. ჩაის ფართობი. იგივე ჭყონი//ხვალახე ჭყონი (პ. ენერი).

**მაჟია ენწერი** – ენრის ნაწილი პ. ენერის ცენტრიდან სოფ. ჭკადუაშამდე. ამის ჩრდი-ლოეთითაა პირველი ენწერი (პ. ენერი).

**მაჟია ნასკალე** „მეორე ნაფუტკრალი“ – მინდორი ტყეში, ნოლიმერის სათავესთან (სქურის სატყეო). მთისკენ მიმავალ გზაზე ეს იყო მეორე ნაფუტკრალი. **პირველი ნაფ-სკალე** არის მინდორი ჩელალის სათავესთან (ნაგურუ).

**მარანიშ უკახალე** „მარნის უკან“ – სახნავი რიყეში (ფახულანი). თანდებული იშვია-თად მონაწილეობს ტოპონიმის წარმოქმნაში. შდრ. ხინჯიშთუდო.

**მარანფერდი** „მარნის ფერდობი“ – დავაკება ლაკადაში, ფარის აღმ-ით. მარნის კვა-ლი არ ჩანს, თუმცა კი ხენისას ქვევრის ნამსხვრევებს პოულობენ (ლარა).

**მართაშ ნანყურგილ(გ)** – წყარო-ნაკადული, სამართალას მარცხ. შენაკადი. სათავე წყარო ლეფაფესა და ნაგუგულს შუა მდებარეობს. მართას ქმარი ადრე გარდაეცვალა, თვითონ კი დიდხანს იცოცხლა (ლეჯოლიხე).

**მართუუ** „წყალტრიალა მორევი“ – მორევი კვაჯიმ ტკილთან (ჭალე). **ირთუუ** „ბრუნავს, ტრიალებს“ **მართუუ** „ტრიალა, მბრუნავი (მორევი)“.

**მარინეშ ნაყუდ(უ)** – თხმელნარი ფერდობზე, ნოჯიხენს ქვემოთ. ქვრივ ქალს – მა-რინეს – აქ ედგა ცუდე „სახლი“ (ლესალე).

**მარიონიშ წყუ** – წყარო რზენში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირის ვაკეზე (ნალენჯიხა).

**მარკაშ ტომბა** – მორევი ინწერაზე, ლესალეს უბნის ჩრდ-ით. მარკა მარიკა (კუხე-ში).



**მარკოზიაშ წყარი** – წყარო ლეგულორდუმი (საჩინო).

**მარკოზიაშ წყურგილი** – წყარო და ღელე საცხადაიომი. ჩაედინება ენგურში (ზ. ლია).

**მარკოზიშ ნოხორი** – მინდორი დობერაში, ჯეგეფაცხის ბორცვზე (ფუქი).

**მარლიეფიშ ფერდი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით სამარლიოს აღმ. ნაწილში (პალური).

**მარჩხილი** „წყალმარჩხი“ – ოტოფუეს მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა ლუღერაში (ნაკიფუ). რესპ.: „მარჩხილი ალბათ ენოდება წყალმარჩხის ან 6-7 მ სიმაღლის წყალვარდნილის გამო“. რესპ.: „მარჩხა თხელი წყალია, ოღონდ არა მდორე, არამედ ჩხაპუნით მიმდინარე“. **მარჩხანს** „(წყალი) თხლად დის“, **გიომარჩხანს** „(წყალი) ზემოდან თხლად ეცემა“ მარჩხილი. შდრ. აღ. ქობალია: „**მარჩხაფონი** – თხელი ფონი: **მარჩხანწყარი** – წყალმარჩხი, თხელი წყალი“.

**მასვანჯებუ** „შესასვენებელი (ადგილი)“ – ფართო ლოდი აბარაგაში, მთის გზაზე. შესასვენებლად მოხერხებული ადგილია. ზედ ათიოდე კაცი დაეტევა (ჩქვალერი). შდრ. მაშვანდებუ.

**მასივცვანა** – სახნავი ფიფიეფიშ ჭყონასთან, რეკას მარჯვ. მხარეს (პ. ენერი). ცვანა „ყანა“. რესპ.: „თხუთმეტი ჰა ერთიანი ფართობია. ამიტომაა მასივი“. ქეგლ-ის მიხედვით, **მასივ** ლექსემის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა „გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე“.

**მატროშ წყურგილი** – წყარო მოსიძეფიშ ღალის სათავესთან. ჩამოყვანილია სოფელში. მატრო ქველმოქმედი ქალი ყოფილა (ფუქი).

**მატუეფიში** – ფერდობი ლეკერას მარცხ. მხარეს (ჯვარი).

**მატუეფიშ ღალ(გ)** – ღელე ოჭანეს ჩრდ. ნაწილში. ერთვის ლეკერას (ჯვარი).

**მაფარონი/ნაფარონი** – ტყე-ხევი, ლაჩახვას მარჯვ. შენაკადი (ულურია). **მ** და **ნ** ბგერების შენაცვლება იშვიათი არაა: ნაფარონი ფარონი „ხშირი ტყე“. რესპ.: „ოცდაათიან წლებში სოფელში არსებობდა „დიხა-ფარონ სქანჩილი“, ანუ „მინა-ტყის კავშირი“ და მისი მოლაგამე, ანუ თავმჯდომარე, ვიყავი“. **ფარონი** ფარდულს, სასიმინდის მსგავს ნაგებობასაც ეწოდება. აღ. ქობალია: „**ფარონი** – წვრილთავა ბადე; უღრანი, ნაბერალი ტყე; ტყის ღელე; თოხის დეტალი; ღომის საშრობი, გადახურული, ზოგჯერ უკედლო ნაგებობა, საბძელი, ფარდული, ერთგვარი ნალია (იგივეა, რაც ფარონია)“. შდრ. „მაფარონი — საჩაიე მიქავაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 71).

**მაფანყუ** – წყარო. იხ. **ნაფანყუ** (ჭველე). მაფანყუ საუკეთესო სასმელი წყალია, სამეფო წყალია. შდრ. ი. ყიფშიძე: „**მაფა** – მეფე, ტყაში მაფა“.

**მაღლოკი** – ტყე-ხეობა, ოკალმახეს მარჯვ. შენაკადი (ჭალეს სატყეო). მაღლოკი სამეგრელოში კიდევ რამდენიმე მდინარეს ეწოდება და თითოეული მათგანი არის მრუდე, დაღრეკილი, დაკლაკნილი, დაღვლარჭნილი. ამოსავალია **ღილოკუა**, **ღგლოკუა** „დაღრეკა, გაღრეკა“ მაღლოკი „დაღრეკილი, მრუდე“. აღ. ქობალია: „**მაღლოკი** – დაღრეკილი, ტეხილი, კლაკნილი“.

**მაშვანდებუ** „შესასვენებელი (ადგილი)“ – დავაკება ნაწიორას მარცხ. მხარეს, აღმართზე (ფოცხოენერი). რესპ.: „მოხერხებული ადგილია ჩონოდან ენერში ამომავალთათვის. ფართო ლოდი დევს. ენგურის ხეობაც კარგად ჩანს“.

**მაშქანდელი** – სახნავი ფერდობი მოროჟას მარჯვ. ნაპირას, ონისქვილეს ზემოთ (ჩქვალერი). შდრ. აღ. ქობალია: „**მაშქანდელა** – შუათანა“.

**მაციშ ნაბარგ(გ)** – დავაკება ყვირაში, იწირას სათავესთან, გილაკლარის გვერდით, სადაც ალპური საძოვრებიდან ბარისაკენ დაძრული მაცი საქონელს რამდენიმე დღით გააჩერებდა, ე.ი. დაიბარგებდა (ჯვარის სატყეო). **დობარგუა** „მთის გზაზე მწყემსებისა და ნახირის შესვენება, დროებითი დაბანაკება-შესვენება“ **ნაბარგე**.

**მაციშ ნაკარუ** – 1. მინდორი ცალიშში, ბარბალაშის სათავესთან (ჭალე); 2. დავაკება ოლორის მარჯვ. ნაპირას, მაღალ ფერდობზე. აქ მაცი ფიფიას ზამთრობით ეყენა

საქონელი (საერთოდ, კარე მოითხოვდა 10-15 ჰა საძოვარს). ზაფხულობით კი ეს დავაკება ითესებოდა (მუჟავა).

**მაციშ ნოხორი** – 1. ბუჩქნარი სამატუოში, ლეტანყისთან (საჩინო); 2. საბალახო კუნტა ფარცხონას გვერდით, სქურდილას ხეობაში (ობუჯი).

**მაციშ სუკი** – ბორცვი ლელვინჯილეს სამხრ. საზღვართან, დობერაში. მაცი ლვინჯილია ამ ბორცვზე ესახლა (ფუქი).

**მაციშ ტობა** – მორევი ოლორზე, ტობეშში (ფახულანი).

**მაციშ ფოქვა** – მღვიმე ჯარალას ხეობაში. აქ იმალებოდა აბრაგი მაცი ფიფია (მაგანას სატყეო).

**მაციშ წყურგილი** – წყარო ნაოჩის ტერიტორიაზე, ზაკალონის მარჯვ. ნაპირას. ზაფხულშიც არ შრებოდა და მთელი სოფელი დგებოდა რიგში კოკებითა და დოქებით (მაზანდარა).

**მაძინია(შ)ლეტა** – ჭაობნარ-თხმელნარი ჩხაპელკასა და ბადაშ სუკს შუა (ენერფერდი). ხალხური ეტიმოლოგია: „ეს ტლაპო მზეზე შრება, წვიმისას კი იძინანს („იმატებს“). ამიტომაც მაძინია ასე განიშარტება: „მატებადი, მომატების თვისების მქონე“. შდრ. აღ. ქობალია: „მაძინე – მზარდი, მოზარდი, მატებადი; მაძინია – მოზარდი, მზარდი“. მაძინია მეტსახელია.

**მაძინია(შ)ფოქვა** „მაძინიას მღვიმე“ – მღვიმე, საძოვარი მაგანას მარჯვ. მხარეს, მთის კალთაზე, ტყის ზონისა და „შუშელის“ საზღვარზე (მაგანას სატყეო). მაძინია გვარიც შეიძლება იყოს და პირსახელიც.

**მახაზიშ ნამალაზ(გ)//ოდაფე** – დაფნარი ნანულუში, ტარჩიას დას. ნაპირზე. პირველი ვარიანტი დავიწყებას ეძლევა. ხანდაზმულები მიუთითებენ ადგილს, სადაც იდგა მახაზის მალაზა, ანუ სასიმინდე. ოდაფე გვიანაა შერქმეული (სამესხიო).

**მახაზიშ ნოხორი** – 1. სახნავი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ნალაგვანთან (ზ. ლია); 2. მინდორი ტებენეს ნაპირას (ფახულანი).

**მახარია//სამახარიო** – უბანი და რუხწყარის ერთ-ერთი მდგენელი ჩხორიას საზღვართან (ლია). გადმოცემით, კელუცა მახარია ამ ადგილის პირველმოსახლე ყოფილა. ამჟამად ცხოვრობენ კუხალეიშვილები, რომლებიც სოფ. კინჩხადან ჩამოუყვანიათ დადიანებს. ამ უბანში გალავანშემორტყმულ ვაკე-ბორცვს ეწოდება „ნაოხვამუ“, სადაც თურმე იდგა ეკლესია და მომლოცველები ცხვარს სწირავდნენ. კუხალეიშვილებს აქ XIX ს-ის მეორე ნახევარში აუშენებიათ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. იგი კომუნისტებს დაუნგრევიათ და მისი მასალით კანტორა აუშენებიათ. ეკლესია 1984 წელს აღუდგენიათ (ჭითანავა, 2010, გვ. 277-278). გადმოცემით, ამ უბნის პირველ მოსახლეს მახარელა ერქვა, შვილს კი – მახარია. მაგრამ სამეგრელოში მახარია გვარსახელი უნდა ყოფილიყო: მახარე მახარეა მახარია. 1925 წელს მახარიაში მცხოვრებ ლუკა გოგიას უპოვია ქვის ნაჯახი და მუზეუმისათვის ჩაუბარებია.

**მახასქური** „მახას სქური“ – ენგურის მარჯვ. შენაკადი (ჭალე). იწყება საარქანოში (მუჟავა), ჩაუვლის ჩხაპელკას და ჩამოედინება სოფ. ჭალეში. მახა პირსახელია. იხ. სქური. შდრ. „მოხასქური – ღელე ჭალაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 72).

**მახასქურიშ ოგურგინჯი** – მორევი და ჩანჩქერი. იგივე ოგურგინე (ჭალა, მუჟავა).

**მახსანია** – ვაკე-ტერასი და გამოქვაბული ენგურის მარცხ. მხარეს, სადაც ოდესღაც კვიტატიანების დასახლება ყოფილა, ამჟამად კი ენგურჭესის კაშხალია აგებული (ჯვარი). 1964 წელს ეს გამოქვაბული გამოიკვლია არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის დასკვნის საფუძველზე თ. ბერაძემ ივარაუდა, რომ ელინისტურ ხანაში ამ გამოქვაბულს ბარინდან სვანეთისაკენ მიმავალი ვაჭრები სადგომად იყენებდნენ, ხოლო ეცის ხეობაში ქვის ხანის ადამიანის სადგომების ნაშთებია გამოვლენილი. ხალხური ეტიმოლოგია: „სვანეთში მიმავალ თამარ მეფეს, რომელსაც აქ ნიავი შეჰგებებია, უთქვამს: „მასხა ნიავმა“. ამიტომ შერქმევია მახსანია“.

**მახუიშ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, საბელქანოში, ლიასგემს გვერდით (ჯგალი).

**მახუმ წყურგილი** – წყარო ნორსელიაში, ნასქალიშ ღალის სათავესთან. მახუ, მახუ-ია პირსახელებია (უბადოლალი).

**მებონიეფიშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი. იხ. ნანისქვილ(გ) (ჯალირა).

**მებონიეფიშ რზენი** – ვაკე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სამებონიოში (ჯალირა).

**მებონიეფიშ ფერდი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით სამებონიოს აღმ-ით, ლეობხალა-ლის ნაპირას (ლია).

**მებონიეფიშ წყურგილი** – წყარო ნაოხვამურს ქვემოთ, უჩაღალის აღმ-ით. მებონიე-ბი აქ ჯალირადან ჩამოსულან (პალური).

**მეგონაშ კარე** – ერქვა მცირე საძოვარს ლეფიეში. მეგონა სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული პირსახელია (მაგანას სატყეო).

**მეგრელიძეფიშ წყურგილი//კაკიშ წყურგილი** – წყარო საცხადაიოს უბანში. მეგრე-ლიძეები ამ წყაროსთან ესახლნენ. შემდეგ აქ კაკი შანავა დამკვიდრდა (ზ. ლია).

**მედანი** – სოფელი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში (იხ. პირველ ნაწილში).

**მედანიშ ოჩაიე** – ბორცვი. იგივე **მედანიშ სუკი** (ლარა).

**მედანიშ სუკი//მედანიშ ოჩაიე** – ბორცვი ჩაის ფართობით მედანის საზღვართან. ჩაი მედანელებზე იყო გაპროვინებული მოსაველელად და მოსაკრეფად (ლარა).

**მეისარონი** – ბორცვი. იგივე **მისარონი** (ფუქი, ლეხარჩილე).

**მელენი რიყე** „გა(და)ღმა რიყე“ – საძოვარი ენგურის სანისქვილე ტოტის მარჯვ. მხარეს. მარცხ. მხარესაა **მოლენრიყე** „გა(დ)მოღმა რიყე“ (პალური).

**მელე(ნ)ნაშენი** – ბუჩქნარი ფერდობზე, ფარს ქვემოთ (ლარა).

**მელენრზენი** „გაღმა ვაკე“ – ვაკე ინწგრას მარჯვ. ნაპირას. სახელი დარქმეულია ინწგრას მარცხ. ნაპირის ბორცვზე მცხოვრებლების მიერ (საჩინო).

**მელენსაცხენო** – საძოვარი, საცხენოს ნაწილი (მაგანას სატყეო).

**მელენსუკი** – ბორცვი ლაჩახვა-ონახუეს წყალგამყოფზე, კალანდიაშ სუკის გვერ-დით (ლეხარჩილე).

**მელენღალ(გ)** „გა(და)ღმა ღელე“ – ნაკალმახის მარცხ. შენაკადი. მოედინება ყინი ჭველედან (ჭველე). სოფლის შემოგარენში ეგ მეორე (ღელის იქითა) ღელეა. ამიტომაა გა(და)ღმა, იქით მდებარე.

**მელენჭალე** „გაღმა ჭალა“ – ჭალა ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, შქაშქალეს პირდა-პირ (ნალენჯიხა).

**მელიტომ წყურგილი** – წყარო, ოლაჭაჭიეს სათავე. ზაფხულობით შრება (მაზანდა-რა).

**მელტონიაშ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე. რესპ.: „მელიტონ კვარაცხელია ამ მორევის ზემოთ, ბექობზე სახლობს“ (ლეკაკულე).

**მელტონიშ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა, სქურდილას მარჯვ. შენაკადი (ობუჯი).

**მელტომ ნახება** – საძოვარი. იგივე ნახიბა (ნაგურუ).

**მელტომ ნოცუნეი** – საბალახო ხურჩას მარცხ. ნაპირას, ლაკადაში (ნაგურუ).

**მელტომ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ბექობზე, ოლაჭაჭუს სა-თავესთან (ლეკაკულე).

**მელუშაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი საკვარაცხელიოში. მელუშა ქალის სახელია (ნა-კიფუ).

**მემფორიაშ სუკი** – ბორცვი ტყე-ბუჩქნარით ხენწკერში. აქ მემფორიები ესახლნენ (ფახულანი).

**მენწყერი** – დამენყერილი ფერდობი წგფემის ხეობაში (მაგანას სატყეო). აღ. ქობა-ლია: „მენწყერი – მენყერი; წყალმიძალებული“.

**მენჯი** „ვეძა, მუჯა“ – 1. წყარო, მინდორი ლაჩიდას სათავესთან. წყალი გამოიყენება სასმელად (მუჟავა); 2. წყარო დობერაში, ოლორის მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე. წყალი კლდიდან გადმოდის და წითლად ღებავს ღარსა და ქვებს (ენერფერდი); 3. მუჟავე წყალი ოყაყალუში. ძალზე მარილიანია, საქონელი აქ მინასაც ლოკავს (ნაგურუ); 4. ტლაპო ჯალ-რალალის ნაპირას. აქ ერთგან ამოდის ბყენყარი („მუჟავე წყალი“), რაც ქმნის ჭაობს. სიცხე-

ში საქონელი ამ წყალს ეტანება და აქვე ნვება ტლაპოში (ჯალირა); 5. ლენჭყობი. იგივე ხან-გუ (წყოუში) და სხვ. **მენჯი, მენჯი მენჯი** არის: ა) მინერალური წყალი, სასმელი ან სამკურნალო (სააბაზანო, წასასმელი); ბ) მლაშე წყალი, რომელსაც ეტანება გარეული თუ შინაური ცხოველი; გ) მჟავე წყალი; დ) მყრალი გოგირდოვანი წყალი, რომელიც არ ისმევა. იხ. ომენჯე. შდრ. ი. ყიფშიძე: „მენჯი – მჟავე, მინერალური წყალი“; ალ. ქობალია: „მენჯი – მლაშობი, მარილწყალი; მლაშე წყალი, ვეძა“. როგორც ცნობილია, ქართულ ვეძა-ას შეესატყვისება მეგრული მენჯ-ი (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 204).

**მენჯიმ ფერდი** – ფერდობი ცანაშიდან ფშქერალის ჩასასვლელ გზაზე. აქ ერთგან მენჯია და მისი წყალი ანითლებს მიწას (ქალაღალი).

**მენჯინყარი** „ვეძანყალი“ – 1. წყარო ნაკვარაცხელში, წყალი მღვრიეა. სვამს საქონელიც და ადამიანიც (წყოუში); 2. წყარო სარღელაში (ქალაღალი); 3. სამკურნალო წყალი უბადოღალის ხეობის დას. ფერდობზე, სადაც კლდიდან მოჟონავს „ბჟენყარი“. აქ ხალხი მოდიოდა სააბაზანოდ, კუჭის, თავის ტკივილისა თუ ქავილის სამკურნალოდ. ამ წყალს სასმელად საქონელიც ეტანება (უბადოღალი) და სხვ.

**მენჯრალალ(გ)** – მაგანას მარცხ. შენაკადი. იწყება ჭყებიშში. ამ ლელეში წყალი ყოველთვის თბილია (ლექარდე).

**მენჯრალალგშდუდი** – კლდე-ფერდობები. იგივე **ჩექვიშონა** (ლექარდე).

**მენჯფოქვა** – ვაკე-სადოვარი და გამოქვაბული მაგანას მარჯვ. მხარეს, ხგბილს ქვემოთ (მაგანას სატყეო). ქვემოთ ტყეა, ზემოთ – შუშელი. რესპ.: „ფოქვას მენჯიმ ნერი წყარი რე, საქონელი შუნსუნ ფერი“. იხ. ფოქვა.

**მეორე ენერი** – 1949 წლის დაყოფის მიხედვით, შედიოდა ლიის სას. საბჭოში როგორც მეორე ენერი. 1943-1992 წლებში ერქვა ორჯონიკიძე. საბოლოოდ სააფაქიო ენერის სოფ. პირველი ენერი და მეორე ენერი გაერთიანდა ერთ სოფლად და 2002 წლიდან შედის ენერის ადმ. ერთეულში.

**მეორინჯეფიმ შარა** „მესაქონლეთა გზა“ – მთის გზა ინწგრას ხეობის ზემოთში. გადის ძგგრონაში (ნაგურუ).

**მერაში//სახასაიო** – უბანი ენგურის მარჯვ. მხარეს, ფართო ვაკეზე, ენგურის ხიდსა და მახასქურს შუა (ჭალე). რესპ.: „აქ ნანვიმარზე წყალი დგებოდა და ამიტომ ერქვა მერაში. მერე დასახლებულან ხასაიები და სახასაიოდ გადაქცეულა“. ამ უბნის მაცხოვრებლებს ეწოდებათ მერაშალეფი. ი. ყიფშიძისა და ო. ქაჯაიას განმარტებით, **მერე** ტბაა. ალ. ქობალია: „მერა – ნელი“; „მერაას – ნელი, მდორე დინება“. შდრ. „მერაშ(ი) წყარი (მერას წყალი) – ლელე ჭალეში“ (ღლონტი, 1971, გვ. 72).

**მესხიამ ნოხორი** – ტყე საფიფიოში, ხუმლა ლალის სათავესთან (ობუჯი).

**მესხიეფიმ ტყა** – ტყე-ბუჩქნარი ლეგულორდეში (საჩინო).

**მესხიეფიმ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა, ნოჟალას მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „მესხიები სა-მეგრელოში ძირძველი მოსახლენი არიან, ხოლო ფიფიები, ქარდავები და შონიები ენგურის დამშრალ კალაპოტს ჩამოჰყოლიან სვანეთიდან და მხოლოდ ლაყორიასთან უნახავთ გუბურა“.

**მეურნობაშკარი** – კარი, შესასვლელი ყოფილ წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. გზა შემოდის ჟინი სამესხიოდან (სამესხიო).

**მეფორია//მეფორიაშ ლალ(გ)** – მოკლე ლელე-ხეობა, ქორსუს შენაკადი ლეაბრალეში. გამოედინება ლეფართხედან (ნაგურუ). რესპ.: „ერთი მღვდელი, გვარად მეფორია თუ მამფორია, სახლებულა ამ ლელის პირას“. მეფორია შეიძლება ყოფილიყო მეტსახელი ცუდი და ზარმაცი მთოხნელისა, რომელიც თოხნისას სარეველას ძირში კი არ მოჭრის, არამედ სულაც მიწას მიაყრის, ჩაფლავს. ალ. ქობალია: „**მეფორუა** – მიხურვა, მიფარვა“.

**მეფორიაშ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა. იგივე **მეფორია** (ნაგურუ).

**მეფორიაშ წყურგილი** – წყარო სამეფორიო სუკზე. ჩვახიმ ლალის სათავეა. მეფორიები ამ ბორცვზე ესახლნენ და წყაროც მათ ეკუთვნოდა (ფახულანი).

**მეჯოგეთა სუკი//მეჯოგეფიმ სუკი** – ვაკე-სერი, უბანი ინორზენალალსა და ორწყანდეს შუა (ნაკიფუ). სერზე ესახლენ ცნობილი მეჯოგე კვარაცხელიები. პირველი ვარიანტი სანახევროდ სალიტერატურო ენის მოდელითაა გამართული.

**მეჯოგეფიმ სუკი** – სერი. იგივე **მეჯოგეთა სუკი** (ნაკიფუ).

**მიზდომ ნადიხ(გ)** – თხმელნარი, ჭაობნარი. იგივე ანთიეფიმ ოისგრე (ზ. ლია).

**მითალაფუ** „შესავარდნი“ – მორევი ჭანისწყალზე (მაზანდარა). რესპ.: „კლდის ძირას არის მღვიმე, წყლით დაფარული. კაცი რომ შევიდეს, ველარ გამოვა“.

**მიკალგ** „გასასვლელი“ – კლდე-ფერდობები საცალფეხო ბილიკით ოლორის მარჯვ. ნაპირას (ენერფერდი, ჭველე). **მიკალგ** „ბილიკი, რომელიც კლდეზე ადის, ან კლდე, რომელზედაც საცალფეხო ბილიკი გადის“.

**მიკალგში ტობა** – მორევი ოლორზე, მიკალის ძირას (ჭველე, ენერფერდი).

**მიკანონი** „სათვალსანიერო; თვალთახედვის არეში მოსაქცევი; ხედი, რომელიც მგზავრის წინ გამორჩდება“ – გზის მონაკვეთი ლაკადაში, საიდანაც ბოგაშში მიმავალთათვის ხურჩას ზემოთი გამორჩდება (ნაგურუ). შდრ.: გინანონ(დი) ო. ქაჯაია: „**მიკანონუ** – მალალი ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს გაშლილი არე, ხეობა, დაბლობი“.

**მიკნაბოგა//მიკობოგილი** „ბოგირგადებული“ – სამანქანო გზის მონაკვეთი ყალიშიდან ნადალა ნუზუში მიმავალ გზაზე (ჭალეს სატყეო). კლდის ძირას, ხევის თავზე, გრძელი ხეებია გადებული და გზა ზედ გადადის. **მიკობოგუა** „კლდეზე ან კლდის ძირას ბოგირის გადება“ **მიკნაბოგა, მიკობოგილი**.

**მიკობოგილი** – გზა. იგივე **მიკნაბოგა** (ჭალის სატყეო).

**მიკოკაკილი//ტკილმიკოკაკილი** – კლდე და საკალმახე მორევი ჭანისწყლის ნაპირას (ლესალე). კლდეზე ბილიკისათვის საფეხურებია ამოჭრილი. **მიკოკაკუა** „კლდის ან ხის დაჭდევა, დაკოდვა“ მიკოკაკილი „დაჭდევებული“. კლდე იყო ტკილისა, ანუ მერგელის ქანისა. ალ. ქობალია: „**მიკოკაკაფა** – მიკაკუნება; **მიკოკაკილი** – ძუნწი, ხელმოჭერილი; პედანტი“.

**მიკოხონი წყურგილი** – წყარო, ლაჩახვას სათავე (ლახარჩილე). წყარო წინ წამონეული ფერდობის იქითაა, დასახლებიდან არ ჩანს. ამიტომაა **მიკოხონი** „იქითური, მიღმური, გადაღმური, მოსახვევს იქითა“. კონტექსტი: „მიკოხონ წყურგილიმ წყარი გამკუულია სუმარს“. მეგრულის ლექსიკონებში ეს სიტყვა არაა დაფიქსირებული.

**მინამ ლალ(გ)** – ღელე ჭანისწყლის მარცხ. ფერდობზე. ჩამოედინება ნაკარუსა და ნამანდარინს შუა. მინა ქალის სახელია (ჯალირა).

**მინამ წყურგილი//ტარასიმ წყურგილი** – წყარო, მინამ ლალის სათავე. და-ძმა მინა და ტარასი აქვე ესახლენ (ჯალირა).

**მინკინწყურგილი** – წყარო საცხენოსა და ჯოლორნაშუმამ გინალგს შუა. ქმნის ღელეს, რომელიც ნანეჩვას ერთვის. წყალი კლდის ვინრო ჭრილიდან გამოდის. სარგებლობენ მწყემსები. რესპ.: „ერთმა ქალბატონმა, ჩაუარა ამ სახელწოდების ობიექტს და მისი წაწვეტებული ნაწილი ჩამოამტვრია“ (მაგანას სატყეო).

**მინომქვაფილი** – ვაკე-ხევი ბარხაში, მოროყას სათავესთან (ჯვარის სატყეო). **მინომქვაფილი** თაროსებური შევაკებაა მთის კალთაზე. შდრ.: ალ. ქობალია: „**მინომქვაფა** – შეშვება, **მინომქვაფილი** – შეშვებული“.

**მიოხვამ(უ)** „სალოცავ-სახვეწარი“ – 1. ბორცვი ქვედა ჭველეში, ნაკალმახდალის მარჯვ. მხარეს (ჭველე). გადმოცემით, მიოხვამუ თავდაპირველად ერქვა ნამეხარ მუხას, რომელზეც ჯვარი ყოფილა მიყუდებული. იქ მიდიოდნენ გერგედავები და შონიები, მიანებებდნენ ანთებულ სანთლებს, შესწირავდნენ კალმახსა და ყველიან კვერს. ამ პროცესს ერქვა **მეხვამა**. **მიოხვამუ** მომავალდროიანი მიმღეობაა და აღნიშნავს ობიექტს, სადაც ხდება ღვთისადმი ლოცვის აღვლენა; 2. ურთხელი სქურში, იაკობამ კარესთან. მის ფულუროში ქვას ჩააგდებდნენ მთისაკენ მიმავალნი და დაილოცებოდნენ: ღმერთო, მშვიდობით დამაბრუნეო (სქურის სატყეო). ალ. ქობალია: „**მიოხვამუ** – სალოცავი (ხე)“.

**მიოხვამუ//ნაოხვამუ** – სალოცავი წიფელი და ბორცვი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ჟინი ობუჯის კიდეზე. ამ **წიფელს** ერქვა **ჯეგემ გილახვამუც** („წმინდა გიორგის სალოცავ-“

ვი“). ნირვა-ლოცვა მიმდინარეობდა „პიჩვანის“ (მარხვის) პერიოდში. ამიტომაც ხორცის მოტანა არ შეიძლებოდა. ამოჰქონდათ ღვინო, ლობიანი, მჭადი... ხანდაზმულები ახლაც ამოდიან ამ ხესთან (ნაკიფუ).

**მიოხვამუ//ტობემიშ მიოხვამუ** – ორი სალოცავი თხმელა ტობემის ტყეში, ცვანთის დას. კალთაზე. მწყემსები, რომლებიც მთაში მიერეკებოდნენ საქონელს, ამ თხმელების ძირში ღმერთს შესთხოვდნენ მფარველობას (რესპ.: „ორინც ახვამანდეს დო სანთელს მიკაჭუანდეს“), შესწირავდნენ ხორცს, კვერს, ღვინოს, ხეზე მიანებებდნენ სანთელს და ორისამი დღის შემდეგ, გულდაიმედებულნი, გააგრძელებდნენ გზას საზაფხულო საძოვრები-საკენ. ეს გზა გადიოდა ცვანთიშ მიოხვამუშიც (ნაგურუ).

**მიოხვამუ//გვანთიშ მიოხვამუ//გედგრაკილიშ მიოხვამუ//ძგგგრონაშ მიოხვამური** – სალოცავი ურთხელი ლაკადაში, ჭანისწყალ-ინწირას წყალგამყოფზე, ცვანთსა და გედგრაკილს შუა, სადაც გადის საქონლის გზა მთისაკენ (სქურის სატყეო). ამ ურთხელს აგრეთვე ერქვა **მიოხვამუ(რი)//გეთახვამალი ურთხელი**. მას ჰქონდა ფულურო, რომელშიც ყრიდნენ სოფლიდან წამოღებულ კენჭს, ხურდა ფულს, გადაინერდნენ პირჯვარს, ღმერთს შესთხოვდნენ „უზიანო გვალობუას“ (უზარალო მთობას) და ბარში მშვიდობით დაბრუნებას. ამ ადგილიდან კარგად ჩანს ბარიც და მთაც. უკან დაბრუნებისას კი აქ ბართან მისალმების რიტუალი სრულდებოდა და ღმერთს მადლობას შესწირავდნენ. რესპ.: „ვინც აქ პირველად მოვიდოდა, სახლიდან წამოღებული პატარა ქვა აუცილებლად უნდა ჩაეგდო ურთხლის ფულუროში“. აქედან მაგანას სათავეებისაკენ გადიოდა გზა: გოლობილი ჭითა წყურგილი ჩამვონი დიდი ფოქვა. იხ. ცვანთი. XX ს-ის ბოლოს მხოლოდ ურთხლის ძირი იყო შემორჩენილი.

**მიოხვამუ(რი) ურთხელი//გეთახვამალი ურთხელი** – საკულტო ურთხელი. იხ. მიოხვამუ//ცვანთიშ მიოხვამუ//გედგრაკილიშ მიოხვამუ (სქურის სატყეო). აღ. ქობალია: „**მიოხვამური** – საჩუქარი, მისალოცი, სალოცავი (რის წინაშეც ლოცულობენ)“. მიოხვამური ჯა – სალოცავი ხე (მუხა, ბალი და სხვ.). **გეთახვამალი ურთხელი** – ურთხელი, რომლის ძირშიც სრულდებოდა ლოცვის რიტუალი.

**მიოხვამუშ სუკი** – ბორცვი ენგურისა და ოლორის წყალგამყოფ სერზე. რესპ.: „აქ იდგა ნამეხარი მუხა. იგი გერგედავებისა და შონიების სალოცავი იყო. ჯვარმიჭედებულ მუხას სწირავდნენ კალმახს და ილოცებოდნენ“ (ჭველე).

**მირდიშ ფოქვა** – მღვიმე. იგივე **დიდი ფოქვა** (ჭველე).

**მირსობა//წირსობა** – ბორცვი, სადაც აღინიშნებოდა რელიგიური დღესასწაული მირსობა. იხ. ცხვიასუკი (ლეჯოლიხე, ლეღვინჯილე). საგაზეთო წერილში „სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში“ („ილორი“, 23-30 აგვისტო, 2011) აღნიშნულია: „კოლხეთში ნისლიანობა „წირსობა“ მარტ-აპრილში იცის. სწორედ ამიტომ ეს სალოცავი დიდმარხვამდე 24 დღით ადრე სრულდებოდა... ოჯახის უფროსი მუხის ხესთან აანთებდა სანთელს და ღმერთს ევედრებოდა, ნისლს არ გაენადგურებინა ხეხილის ბალი. იხ. აგრეთვე: ო. ქაჯაია, II, გვ. 283; აღ. ქობალია: 2010, გვ. 451-452. ი. ყიფშიძე, ეხება რა სათანადო წყაროს ( , II, . III, . 97-98), აღნიშნავს, რომ ზოგი მკვლევრის განმარტებით მირსობა გაუგებარი სიტყვაა, ხოლო წირსობა იგივეა, რაც ნისლიანობა. სინამდვილეში მირსობაში იგულისხმება დღესასწაული, რომელიც ტარდებოდა დიდმარხვამდე 24 დღით ადრე: „  
24 - მირსობა

“ (ყიფშიძე, 1994, გვ. 485). მირსობასთან წირსობის ლექსიკური გაიგივება ცრუ ხალხური ეტიმოლოგიაა. სინამდვილეში **მირსობა** – ღვთაება მირსას სახელობის დღეა. აღინიშნება დიდმარხვამდე 24 დღით ადრე, ზოგან ნააღდგომევს, ახალი კვირის სამშაბათს ან ხუთშაბათს (იხ. ლოცვის ტექსტი. ყიფშიძე, 1994, გვ. 390 და მირსობა გვ. 445). ირანულ-სპარსული სიტყვა **მითრა** მეგრ. მისრა მირსა. დამატებითი ინფორმაცია: „მითრა ძველი ინდო-ირანული წარმომავლობის ღვთაებაა წინაქრისტიანულ პერიოდში. იგი ფართოდ დომინირებდა სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებსა და რელიგიურ სისტემებში. მითრა თავისი გენეზისით **მზის ღვთაებაა**, მაგრამ მას წყლის სტიქიის გამგებლის ფუნქციასაც ანიჭებდნენ. ამ ორი

კომპონენტით მითრა გვევლინება ნაყოფიერება-გამრავლების მომტან ღვთაებად, ადამიანის მფარველად. ძველინდურად მითრა სიტყვასიტყვით „მეგობარს“ ნიშნავს (თანდილავა, 1996, გვ. 59). ამ რელიგიური ლექსემის ფონეტიკური გზა ასეთია: მითრა (ინდურ-სპარსული) მისრა მირსა. როგორც ჩანს, ნ. მარი სწორი იყო, როცა აღნიშნავდა: „ქართული პანთეონი, ისე როგორც იგი ქართულ მატრიანებსა და წმინდა ნინოს ცხოვრებაშია აღწერილი, არიულ და სემიტურ ღმერთებს მოიცავს, ხოლო, ჩვეულებრივ, ქართულ ღმერთებს კი – არა“ (მარი, 2001, გვ. 257). იხ. ვრცლად მირსობაზე: ქობალია, 2010, გვ. 451-452.; ცხადაია, 2011.

**მისარონი** – დაბალი სერი. იგივე **მისარონსუკი** (სამესხიო).

**მისარონი//მეისარონი** – ბორცვი ლაჩახვას სათავესთან (ფუქი, ლეხარჩილე). წმინდა გიორგი მეისარონი ხატის სახელია. მისარონს აიგივებენ მირსობასთან. იხ.: ო. ქაჯაია: „მისარონი იგივეა, რაც მირსობა“ (ქაჯაია, II, 283). სინამდვილეში მისრა//მირსა ინდურ-ირანული სამყაროდან შემოღწეული ღვთაებაა (მითრა მისრა მირსა). ხოლო მეისარონი//მისარონი „მოისარე“ წმინდა გიორგის ერთ-ერთი ეპითეტია. საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა 3-4 საუკუნე ებრძოდა მითრაიზმს და საბოლოოდ მხოლოდ V საუკუნისათვის გაიმარჯვა. გამოთქმულია ასეთი მოსაზრებაც: ადრეულ პერიოდში მისარონი ცნობილი იყო როგორც საქონლის ღვთაება. შემდგომში მისარონი „ზედნოდებად“ დაერთო ჯეგეს და მივიღეთ ჯეგე-მისარონი. შდრ. აღ. ქობალია: „...**მირსობა** ზოგან მისარონობად, ზოგან **ნირსობად** იხსენიება ისევე, როგორც მირსა – მისარიონად; სხვა თვალსაზრისით, მისარიონობა იგივე მეისარობაა, წმინდა გიორგი მოისარის დღე...“ (ქობალია, 2010, გვ. 451-452). ქართველ მკვლევართა ერთი ჯგუფის დასკვნა კი სრულიად სანინააღმდეგოა: „მითრას კულტი ქართული (კოლხური) ნარმოშობისა უნდა იყოს“ (იხ. ანალიზი: თ. მიბჩუანი, 1989, გვ. 348-356).

**მისარონსუკი//მისარონი** – დაბალი სერი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ტარჩიას მარცხ. მხარეს, ტარჩიასა და ხუჯულურს შუა, სადაც მდგარა წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია. სერზე ნაპოვნია შენობის საძირკვლის ნაშთი, ქვევრის ნამსხვრევები. გადმოცემით, აქ ბერძნებს უცხოვრიათ. აქ გადადის სამესხიო-ობუჯის გზა (სამესხიო).

**მისოიაშ ღალ(გ)** – ღელე, ტკიბრას შენაკადი. სათავე აქვს ბორცვ ნალურათუში. ოქრომჭედელი მისოია ფიფია ამ ღელესთან ესახლა (ჩქვალერი).

**მიქავა** – დაერქვა სოფ. ფუქს 1939 წელს გლეხთა აჯანყების მეთაურის – უტუ მიქავას – სახელის უკვდავსაყოფად. 1991 წელს სოფელს დაუბრუნდა ძირძველი სახელწოდება ფუქი, მაგრამ XXI ს-ის აღმ.-ტერიტ. დაყოფაში ისევ „მიქავა“ დომინირებს (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**მიქაშ კარე** – ტყე-ფერდობი. იხ. **ნისქვილარა** (სქურის სატყეო).

**მიქაშ კარეშდუდი** – ტყე-ფერდობები ნისქვილარას ხეობაში (სქურის სატყეო).

**მიქაშ ნაკარ(გ)** – საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (სქურის სატყეო).

**მიქაშ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა. მოედინება ჯიხაფერდიდან. ერთვის დობერალალს (ლესალე).

**მიქაშ წყურგილი** – წყარო. იგივე **დიდი წყურგილი** (ლესალე).

**მიქელიაშ ნაწყურგილ(გ)** – მიტოვებული წყარო ფუქარეს მარცხ. ნაპირას (ლარა).

**მიქენაიეფიშ წყურგილი** – წყარო. იგივე **აკიშ წყარი** (მედანი).

**მიქეშ ნადიხგ** – ჭანჭრობი, ბუჩქნარი საკალანდიოში, ოწყურგილეს ირგვლივ. რესპ.: „მიქეშ ნადიხგმა გილეფშით ქგლორიშ ოყვილგმა“ (მიქეს ნამინარზე დავდიოდით ქილორის (ხობობის) მოსაკლავად). (ნალენჯიხა).

**მიქეშ ნამალაზ(გ)** – ვაკე-სახნავი, ჩხაპელკის აღმ. ფერდობზე. მიქე შონია ამ ფართობს ამუშავებდა და სიმინდს აქვე მალაზაში (სასიმინდემი) ინახავდა (ენერფერდი).

**მიშაშ ნოხორე** – საძოვარი ლესალეს უბანში, დობერასთან (ლესალე).

**მიშაშ ჭუბურონი** „მიშას ნაბლნარი“ – ნაბლნარი საკვარაცხელიოს უბანში, ბირგულამის აღმ-ით. კოლექტივიზაციის პერიოდში აღნიშნული ტყე გაკაფვა-

გაჩეხვისაგან გადაურჩენია მიშა კვარაცხელიას, რადგანაც მისი წინაპრების მამული იყო. ეს ტყე დღემდე შემონახულია (ნაკიფუ).

**მიშახონი** — 1. ვენახი. იგივე **მიშახე** (ჭალე); 2. მიკროუბანი. იგივე **მიშახე** (ლია).

**მიშახე//მიშახონი** — 1. ვენახი უთუთიაშ ღალის მიდამოებში, ჭალე-ფახულანის სა-ავტ. გზასთან, ენგურისპირა ვაკეზე. რესპ.: „**მიშახე** ნიშნავს ტყეში ღრმად შეჭრილს, განცალკევებულს“. სხვა რესპ.: „ადრე აქ სამანქანო გზა გადიოდა. ვენახი მამაჩემს ეკუთვნოდა. ჩვენ კი ვესახლეთ ცოტა მოშორებით, ფერდობის ძირში. ამიტომ ვეძახდით ამ ვენახს „მიშახე//მიშახონი“ (ჭალე); 2. მიკროუბანი ენგურის მარცხ. ნაპირას. ფაქტობრივად, პარომისაკენ მიმავალი გზის ტერიტორიაა. რესპ.: „მიშახე არის გზისგან შენეული, განცალკევებული ტერიტორია. სახელდებული მიშახე ღია-პალურის ცენტრალური გზისგან განზეა, ენგურისაკენ“ (ლია); 3. ვენახი ენგურის მარჯვ. მხარეს (ჭალე). მაშასადამე, მიშახ(ე), მეშახ(ე)//მიშახონი აღნიშნავს: შიგ შენეული; რაიმეს შიგნით, სიღრმეში მდებარე, განცალკევებული. ო. ქაჯაია: „მიშახ — შიგ; მიშახალე — შიგნით“. ალ. ქობალია: „**მიშახალე** — შიგნით, ჰორიზონტალურ სიღრმეში. მიშახონილი — ტყეში შეჭრილი სახნავი“. მიშახე//მიშახონში მცხოვრებთ ეწოდებათ მიშახონარეფი (ხოლო გიშახ//გეშახონის მცხოვრებთ — გეშახონარეფი).

**მიხაკოშ ნოხორი** — ხეხილნარი ენგურის ნაპირზე (პალური).

**მიხაშ კარე** — საძოვარი ბოგაშში, დავაკებაზე (ლარა).

**მიხაშ ნაკარ(ე)** — დავაკება მთის კალთაზე, ნგფემის სათავესთან (მაგანას სატყეო).

**მიხაშ ნანისქვილე** — ჭალის ნანილი. იგივე ნანისქვილე (ლეკაკულე).

**მიხაშ ნოხორი** — 1. ნასახლარი დობერაში, ოლორისპირა ფერდობზე. მიხეილ უბილავას ნასახლარია (ენერფერდი); 2. სახნავი ნალურათუში. მიხა ფიფიას ნასახლარია (ჩქვალერი).

**მიხაშ რზენი** — მინდორი ტებენეს მარცხ. ნაპირას (ჭალე).

**მიხაშ სასაფლა** — ტყე-ბუჩქნარი ლეჩიეში, პანემონასა და ხურჩას წყალგამყოფ ბორცვზე, ქეთემ სასაფლას გვერდით (კუხეში).

**მიხაშ ტობა** — მორევი ჭანისწყალზე (ლეკაკულე).

**მიხელიშ ნოხორი** — ტყე-ბუჩქნარი ლებუესთან, ყამლარას ხეობაში (კუხეში).

**მიხემ წყურგილი** — წყარო ბირგულამის სათავესთან. გამოყვანილია სოფელში (ნაკიფუ).

**მოლენრიყე** „გამოდმა რიყე“ — რიყეს ნანილი ენგურის მარცხ. ნაპირას. გამოყოფილია მელენრიყესაგან საწისქვილე არხით (პალური).

**მოლენსაცხენო** — საძოვარი, საცხენოს ნანილი (მაგანას სატყეო).

**მოლენჭალე** „გამოდმა ჭალა“ — საძოვარი ჭანისწყლის ჭალაში, სასახოკიოში. უნინ ტყე ყოფილა (ნალენჯიხა).

**მონდომა ფერდი** — დაფერდება სოფლის აღმ. ნაწილში (მაზანდარა). მონდომა „ცოტათი, ოდნავი“. მონდომა ფერდი სწორედ ოდნავ დაფერდებული ადგილია. ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს.

**მონწყვა//მუნწყვა** — ვაკე-ფერდობები ენგურისა და ეცის მარჯვ. მხარეს (ხუდონის სატყეო). რესპ.: „ეცი ადიდებულა და ეს ადგილები ჩამოურღვევია, ჩამოუმენწყრავს“. შდრ.

„**მონწყულა** — მონყობა; ჩამოქცევა, მომზღვლევა, მოთხრა“ (ალ. ქობალია).

**მონჭაჭკერილი** — ტყე იწირას ზემოთში, ლოლნიფურთან (ჯვარის სატყეო). რესპ.: „**მონჭა** არის სათიბი, მომნიფებული ბალახი“. საერთოდ მონჭა მნიფეა (ო. ქაჯაია, ალ. ქობალია): „**ჭკერილი** — „მოჭრილი, მოთიბული“.

**მორგოშიეფიშ ლაკადა** — საძოვარი ლაკადაში, ხურჩას სათავესთან. ნაგურუში მცხოვრებ მორგოშიებს ეს ფერდობი ჰქონიათ „სალაკადოდ“, ანუ გაზაფხულისა და შემოდგომის მოკლევადიან საძოვრად (ნაგურუ).

**მორდუმ რზენი** — დავაკება ნგფემის ხეობაში. მორდუმ „გამზრდელი“ ხშირად მეტსახელიცაა (მაგანას სატყეო).



**მოროჟა** – ინწირას მარჯვ. შენაკადი. მოედინება ყვირას კალთებიდან. ანკარა და ცივი მდინარეა. სიგრძე 10-12 კმ (ჩქვალერი, ლეშამუგე). ალ. ქობალია: „**მოროჟა** – მღვრიე, ნისლიანი (იგივეა, რაც მურუჟი)“. თუმცა მურუჟი ასე აქვს განმარტებული: „მურუჟი – ბინდ-ბუნდი, ბურუსი, მირაჟი“. შდრ. ალ. ლლონტი: „მოროჟა – ლელე ჯვარში“ (?)

**მოროჟაშდუდი** – ტყე-საძოვარი და ხეობა-ფერდობები მოროჟას სათავესთან, უწნას დას-ით (ჯვარის სატყეო).

**მოსეშ ნყურგილი** – წყარო ესქედას აღმ-ით, ფერდობზე, გერგედეფიშ ნყურგილთან (ფახულანი).

**მოსიძეფიშ გა** „მოსიძეების სერი“ – დაბალი სერი მოსიძეების უბანში, კვიცინიაშ გას ჩრდ-ით. რა თქმა უნდა, გარეტოპონიშია, ე.ი. შერქმეულია არა თვით მოსიძეების მიერ (ფუქი).

**მოსიძეშ ლალ(გ)** – ლელე მცირე ხეობით, ლაჩახვას მარცხ. შენაკადი. მოედინება ლე-მოსიძედან. მოსიძეები ამ ლელის სათავესთან ესახლენ (ფუქი).

**მოლორონი** – ნაჭაობარი. იგივე **მულურონი** (ჯვარი).

**მოცინარე/ჯგერაგი** – ნაეკლესიარი ლედობეში (ჩქვალერი). გადმოცემა: **მოცინარე**, ანუ **ჯგერაგი**, ჯინჯი ხატი ყოფილა. ილოცებოდნენ შეროზიები და კვარაცხელიები. დაკავშირებული იყო ჯგეგელაფარიის ხატთან. გადმოცემით, ხატი გაიტაცეს სვანებმა. სოფლის მამასახლისი ქუთარია შეროზია გაეკიდა მათ და დაატოვებინა ხატი. მაგრამ სვანებმა ისევ მოიტაცეს იგი და ჩააშენეს ბეროს ეკლესიის კედელში. რესპ. ძუკა ფიფია (82 წ.): „ეს ხატი თხის მწყემსმა ბიჭმა იპოვა ტყეში და წამოასვენა. თხები არ გამოვიდნენ ტყიდან და დაიხოცნენ. ხატმა ისინი გააცოცხლა და ხალხმა ირწმუნა მისი ძალა“. ზოგი რესპოდენტის განმარტებით, მოცინარე იგივეა, რაც მომლიმარე, ხოლო ჯგერაგი წმინდა გიორგია. იხ. ლედობე, ლეშეროზე. შდრ. ი. ჯავახიშვილი: „გიორგობის დღესასწაული წარმართობის ხანიდან მომდინარეობს და შემდეგ მიიღო ქრისტიანული ელფერი“.

**მოხილი** „ჩამორღვეული, ჩამოშლილი“ – 1. მაღალი კლდე (სიმაღლე 100-120 მ) ჭანის-წყლის მარცხ. ნაპირას. ვარ.: **ტკილი**. ტოპონიმი გამოყენებულია სოფლის მცხოვრებთა განლაგების დასაზუსტებლად: **ტკილიშ ეშეიანეფი** „ტკილის ზემოთანი“ და **ტკილიშ დგკეიანეფი** „ტკილის ქვემოთანი“ (ჯალირა); 2. ტყე-ფერდობები. იგივე ჩექეიშონა (ლე-ქარდე).

**მუნტელალ(გ)** – ოკალმახეს მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა (ჭალეს სატყეო). სათავე წყალი გამოდის კლდის პერპენდიკულარული ჭრილიდან.

**მუნჩქონა//ომუნჩქე** ( მუნჩქე „მაჩვი“) – ტყე-ფერდობი კატულალის სათავესთან (სამესხიო). კრებითობის სუფიქსი -**ონა** იშვიათად დაერთვის ცოცხალი არსების სახელსაც.

**მუნწყვა** – ვაკე-ფერდობები. იგივე მონწყვა (ხუდონის სატყეო).

**მუჟავა** – სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**მურზაშ ქერქე//ურუშიაშ ქერქე** – ციცაბო კლდე ლაკუმურაშდუდის კალთაზე, სადაც დაიღუპა მწყემსი და მონადირე, მედანელი ურუშია მიქავა (სქურის სატყეო). ო. ქაჯაია: „**ქერქე, ქირქე** – ძლიერ დაქანებული ციცაბო ხევი, ღრანტე, უფსკრული“. ალ. ქობალია: „**ქირქე** – ქარაფი, ფლატე“.

**მურზაშ ლალ(გ)** – ლელე, მახასქურის მარცხ. შენაკადი. მოედინება ჩხაპელკიდან (მუჟავა).

**მურზაშ ნყურგილი** – წყარო სასამელიოს უბანში. გლეხი მურზა სამელია აქვე ესახლა (ლია).

**მულორონი** – ერქვა ჭაობს. იგივე **მულურონი** (ჯვარი).

**მულურონი//მულორონი//მოლორონი** – ერქვა ჭაობს ჯვარზენში. დააშრეს და ენ-გურჰესის მშენებელთა საცხოვრებელი კორპუსები ააშენეს (ჯვარი). ქვემო სამეგრელოში ცოცხალია სიტყვა **მულურია დიხა**, რაც ფხვიერ მიწას ნიშნავს. ამ ჭაობის ნაპირებზეც ასეთივე ნიადაგი იყო. შდრ. ქ. აბაშაში, ნოღელის მარჯვ. ნაპირას, სახნავს ეწოდება მულურული. რესპოდენტისეული განმარტება: „მულურული დიხა რე ფუშუტია დიხა, ტუტაცა-

ლი, წყარიმ მგნაღელი“. აღ. ქობალია: „**მულურონი** – სოროვანი; ფხვიერი ნიადაგი“. მულურონი წარწერილია აკ. ჭანტურიას ერთ-ერთ რუკაზეც. ფონეტიკური პროცესები: დისიმილაცია – ვინრო უ ბგერის ერთგვარი გაფართოება (უ-უ უ-ო); ასიმილაცია უ-ო ო-ო.

**მუხრანიმ წყურგილი** – წყარო. იგივე **ჩენყურგილი** (ობუჯი).

**მუჰალა** – კლდეები და საძოვრები სვანეთის საზღვართან, კვცბუყის გვერდით. რესპ.: „ჯვარელ ალიომა ქარდავას აქ უყვარდა ნადირობა და მეტსახელად მუჰალა დაარქვეს“ (მაგანას სატყეო). შდრ. მუჰა (სვან.) „ტბა“.

**მგკატახაფუ** „მკვეთრი მოსახვევი“ – 1. ფერდობი ლეთოფურეში. ლაკადას ასდევს ბილიკი, რომელიც მრავალგან უხვევს (ლეთკანთი); 2. ბორცვი ლეაფშილეში. ფერდობს დაკლაკნილი გზა მიუყვება (ნაკიფუ). **მგკოტახუა** – მკვეთრი მოხვევა გზაზე **მგკოტახილი** – ტეხილი; მიხვეულ-მოხვეული (გზა).

**მგკნანწყვი//კატჭლალიმ მგკნანწყვი** – ჩამომენწყრილი კლდე-ფერდობი მკვეთრი დაქანებისა კატჭლალის მარჯვ. ნაპირას (სამესხიო). **მგკნანწყვი** „ჩამონამენყრი“.

**მგკონწყვილი** „ჩამომენწყრილი, ჩამოქცეული“ – ციცაბო ფერდობები ლეაბრალეში, ინწგრას მარჯვ. ნაპირას (ნაგურუ).

**მგკონწყვილწყურგილი** – წყარო მგკონწყვილში, მენჯის გვერდით (ნაგურუ).

**მგკორხიორილი** „ჩამორღვეული, ჩამოშლილი, ჩამოზვავებული“ – კლდე ჩხოუშის მარცხ. ნაპირას (ნალენჯიხა).

## – 6 –

**ნააბრაგ(გ) ფოქვა** „ნააბრაგალი მღვიმე“ – გამოქვაბული ნადალა ნუზუში. ოდესლაც აბრაგების თავშესაფარი ყოფილა (ჭალეს სატყეო).

**ნააგვარ(გ)** – დავაკება ღურჯიაშ ტობასთან, სადაც ჰქონიათ **აგვარა**, ანუ საქონლის დასამწყვდევი ბაკი (ნაშამგუ). ი. ყიფშიძე აგვარას თვლის აფხაზურ აბოვრას ვარიანტად და განმარტავს: „... ; . ქართა“. ო. ქაჯაია: „**აგვარა**, **აგჭარა** – ბოსელი; ბაკი, საქონლის უსახურავო სამწყვდევი; აღ; ქობალია: „**აგვარა** – საჩეხი, ბაკი, წინაეზო გომურისა, საქონლის ჩასამწყვდევად შემორაგული ადგილი იალაღზე; მწყემსებისა და მონადირეთა (იშვიათად) საყარაულო ქოხი მთაში ან ტყეში. ნ. თოფურიას განმარტებით, „ზაფხულობით საკარმიდამო ეზოს გვერდით ან უკან, საქონლისათვის შემოღობილი ჰქონდათ საგაზაფხულო ან საშემოდგომო სადგომი. სწორედ ეს იყო აგვარა (თოფურია, 1970, გვ. 22). მ. ჩუხუას მოსაზრებით, ქართულ **აგარა**-ს შესატყვისად „ოგორა“ უნდა მოეცა. შემდგომში კი „ანლაუტური ო-/ა მონაცვლეობით აგურა მივიღეთ, საბოლოოდ კი – ზანურში (ო ვა გადაბგერებით) ა(ნ)გვარა (ჩუხუა, 2000-2003, გვ. 48-49).“

**ნააკარდამ(გ)** „ნააკლდამევი“ – 1. მინდორი უჩალალის დას. ნაპირზე, სოფლის სამხრ. ნაწილში (პალური). აქ არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებიათ. მოჩანს შენობის საძირკველი; 2. დავაკება ნოჟალაში (კუხეში). რესპ.: „გადმოცემით, ჭირით დახოცილებს ქვით ამოშენებულ საფლავში ყრიდნენ. ისაა აკარდამა“. აკარდამას მეგრულში მიუღია მნიშვნელობა „საერთო სასაფლაო“. იხ. აკარდამა. შდრ. ნახუტურუ.

**ნააკობ(გ)** – ფერდობი საქაროში, სადაც ომის დროს ამოუთხრიათ აკობი ( რუს. окоп) „სანგარი“ (ჭველე).

**ნაანგურ(გ)** – 1. სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ჭალაში, სადაც უწინ მოიპოვებდნენ თეთრ მინას აგურის გამოსაწვავად (ჯვალირა). 2. საკარმიდამოები საჩანგელიოში. იგივე **ნაკრამენტ(გ)** (ჯვალი).

**ნაანგურუ** „ნაანგურალი“ – 1. მინდორი ქვედა ჭველეში, რეყეს თავზე, სადაც აგურს წვავდნენ (ჭველე); 2. აღმართი ოჭანეში (ჯვარი) და სხვ. დ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ ქართული აგური მომდინარეობს სპარსულ **აჯურ** სიტყვისაგან. მ. ჩუხუას მოსაზრებით, აგურ- ფუძის კანონზომიერი ზანური ეკვივალენტი \*ოგურ უნდა ყოფილიყო. დასკვნა: ს.- ქართ. \***აგურ**- „აგური“ ქართ. **ა-გურ**- : ზან. **ო-გურ-ი/ა//ანგურ-ა**. ეს შეპირისპირება

გამორიცხავს ქართული აგურ-ი სიტყვის სპარსულიდან წარმომავლობას (ჩუხუა, 2000-2003, გვ. 49).

**ნააფთარუ** – დავაკება. იგივე **აფთარა** (სამესხიო).

**ნა(ა)ფშილუ** – ბორცვი ოტოფუეს სათავესთან (ფუქი). სახელწოდების სტრუქტურა მიგვანიშნებს, რომ იგი წარმოადგენს ანთროპოტოპონიმს, კერძოდ, აღნიშნავს აფშილავას (გვარია) ნამყოფ-ნაცხოვრებ ადგილს. აფშილავა მცირერიცხოვანი გვარია (სულ 206 სული, მათგან 22 – ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში). სამეგრელოში დაფიქსირებულია რამდენიმე **ნააფშილუ** და **ლუაფშილე**. ვარიანტები **ავშილავა** და **ამშილავა** დასტურდება XVII ს-ის პირველი ნახევრის საისტორიო წყაროებში (იხ. **ავშილავა**: ქსდ, III, გვ. 771 და **ამშილავა**: პალ. I, გვ. 142). **აბშილ-//აფშილ-** სატომო სახელია და სამეგრელოში პირსახელადაც გვხვდება.

**ნაბაბაჯე** „ნაბამბარი“ ( ბაბაჯი „ბამბა“) – ტყე-ფერდობი დიდი ტებენეს მარცხ. მხარეს (ფახულანი).

**ნაბადიმ გიოშქუმალ(არი)** „ნაბდის საცემური“ – დიდი ტებენეს მარჯვ. შენაკადი ჯამონწყვილთან (ფახულანი). როგორც გაირკვა, ღელე ერთგან დაგუბებული იყო. იქ მიჰქონდათ უკვე გამზადებული ნაბადი, ხელს ჩაავლებდნენ ორი მხრიდან და წყლის ზედაპირზე სცემდნენ, ურტყამდნენ, რათა ბალანი დახვეულიყო. ამ პროცესს ეწოდებოდა **ნაბადიმ გეშქუმალა** „გაშლილი ნაბდის დარტყმა წყლის ზედაპირზე“.

**ნაბაკურუ** – ფერდობი ნაზმაკორჩუში (ფუქი). ბაკურია მცირერიცხოვანი გვარია (96 სული საქართველოში). დადასტურებულია 1621 წლის საეკლესიო საბუთში (იხ. ქსდ, III, გვ. 419).

**ნაბამბუ** „ნაბამბარი“ – 1. ბორცვი იწირას მარჯვ. მხარეს, ლეფიფიეში, სადაც ძველად ბამბა მოჰყავდათ (კუხეში); 2. დაფერდება ლაჩახვას მარჯვ. მხარეს, შემალღებაზე (ფუქი); 3. ბორცვი ფუისქურის მარცხ. მხარეს (მაზანდარა); 4. ჯაგნარ-გვიმრნარი შემალღება მახარიაში, პალურ-ჩხორიის გზაზე (ლია) და სხვ. მრ.

**ნაბარაქუ** – სათ. მიქავაში (ლლონტი, 1971, გვ. 73).

**ნაბარგე** – საძოვარი თორსასა და ნაშხურუს შუა (მაგანის სატყეო). **ნაბარგ(ე)** (დო)ბარგუა „დაბარგება; ბარგის დადება შესვენების მიზნით; რამდენიმე დღით დაბინავება მწყემსისა და საქონლისა, რასაც მიმართავდნენ საზამთრო-საზაფხულო საძოვრების გარდამავალ ზონაში“. ალ. ქობალია: „**დობარგუა** – დაბანაკება“; **საბარგო** მწყემსებისა და საქონლის დასაბანაკებელი ადგილია.

**ნაბარჯგე** – ტყე-ფერდობი ოჩხომელალის სათავესთან (სქურის სატყეო). რესპ.: „ამ ადგილას, გადმოცემით, იდგა ბარჯგებზე (ე.ი. ბოძებზე) შეყენებული სასიმინდე“.

**ნაბალტარგ//ნაბახტარგ//ნაბალტურგ** – სერი, უბანი შქაშსუკზე, ბირგულამსა და ორწყანდეს შუა (ნაკიფუ). შდრ. ალ. ქობალია: „**ბალატური** – სადიდებელი, ბატონკაცური; **ბალატურო** – პატივით, განცხრომით, ფუფუნებით, ბატონკაცურად“.

**ნაბალტურგ** – სერი, უბანი. იგივე **ნაბალტარგ** (ნაკიფუ).

**ნაბალე** ( ბალი, ანუ ხულა; ხის ერთთვლიანი ნაგებობა) – 1. სახნავი ენგურის მარჯვ ნაპირას, სადაც შონიებს ჰქონიათ ბალი – ხის ერთთვლიანი სახლი (ჭალე); 2. ვაკე-ტყე ფერდობის თავზე, ტებენეს მარჯვ. ნაპირას, სადაც მდგარა ხულა (ფახულანი) და სხვ. შდრ. ო. ქაჯაია: „**ბალი** – 1. ბალი; 2. ხულა; 3. სარიტუალო ქოხი“. ალ. ქობალია: „**ბალი, ბალუ** – ბელელი; ბალი; საბელი, თასმა; ერთი შეკვრა ყავარი (200-300 ცალი)“. ი. ყიფშიძე: 1. **ბალი**, ბალე სპარსული სიტყვაა და აღნიშნავს садик. ამასვე ნიშნავს ბალჩაც; 2. ბალი იგივეა, რაც ხულა და სარიტუალო ქოხი.

**ნაბახტარგ** – სერი, უბანი. იგივე **ნაბალტარგ** (ნაკიფუ).

**ნაბახ(უ)ტუ** – სახნავი იწირას მარცხ. მხარეს, სოფლის ცენტრის დას-ით (საჩინო). ტოპონიმი აღადგენს ანთროპონიმულ ფუძეს (პირსახელი ბახუტი ან გვარი ბახუტია).

**ნაბერალი//ნაბერაყი** – 1. მაღალი გორა სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში. გადაჰყურებს მეზობელ კუხეშს (ლესალე); 2. ბორცვი კვარიშში (ლემამუგე).

**ნაბერალ(გ)** – 1. ბორცვი სქურხუმლას მარცხ. მხარეს (ნალენჯიხა); 2. ნაგრძელებული ბორცვი ლეჟამ ლალსა და სქვამსუკიშ ლალს შუა (ნაკიფუ); 3. მაღალი გორა ლეკვარაცხელიეში, ნამატკუს სამხრ-ით (ფუქი); 4. ბორცვი თარზენში (სქურის სატყეო). 5. მაღალი გორა, ჩხაპელკას წვერი. აქედან კარგად ჩანს რამდენიმე სოფელი და ენგურისა და ოლორის ხეობები (ენერფერდი, მუჟავა); 6. კონუსისებური მაღალი გორა კანთში, ჩელალის დას-ით (ლეთკანთი); 7. ბორცვი. იგივე **სალაფერდი** (ლესალე) და სხვ. მრ. **ბერალი, ბერაყი** (შდრ. ქართ.: ბაირალი „დროშა“) სამეგრელოში ენოდებოდა ეკლესიის დროშას, რომელიც სატირალში მიჰქონდათ. **ბერალი** დაერქვა ქვა-სვეტსაც, რომელსაც ბორცვებზე აღმართავდნენ „მეჟევანის“ დროს; უფრო ხშირად ეგაა სამკუთხედად დამდგარი სამი თავშეკრული ბოძი ან გრძელი ლატანი, რომელიც მაღალ ადგილზე იყო დასობილი და კენწეროზე შემოხვეული ქსოვილიც ქარზე ფრიალებდა, როგორც ფრიალებს საეკლესიო დროშა. მასასადამე, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების გადაზომვა დაიწყო, **ბერალი იქცა გეოდეზიურ ნომენად** და, როგორც ასეთი, აღნიშნავს სატრიანგულაციო სვეტსაც. შდრ. მეგრულ ლექსიკონებში **ბერალი, ბერაყი** განმარტებულია როგორც მხოლოდ ბაირალი, დროშა. დ. ჩუბინაშვილი: „**ბაირალი** (თათრ.) – დროშა, ალამი “. ასეთივეა ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაც. ს.-საბა: „**ბავრაყი** – ეკლესიის დროშა, საყდრის დროშა“. შდრ.: „ნაბერალ//ნაბერახ (ნაბაირალალი, ნაალმარი) – გორა... მიქავაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 73).

**ნაბერალგ//კურკუცია სუკი** – გორა, კონუსისებურად აზიდული სქურხუმლას სათავის დას-ით. გადაჰყურებს ქ. ნალენჯიხას. აქ აღმართული იყო გეოდეზიური წერტილის ნიშანი და ნაბერალგ ამიტომაც დარქმევია. კურკუცია სუკი „მრგვალთავა ბორცვი“ თავდაპირველი სახელია (ნალენჯიხა).

**ნაბერაყი** – 1. მაღალი გორა. იგივე ნაბერალი (ლესალე); 2. ბორცვი. იგივე ნაბერალ(გ) (ლემამუგე).

**ნაბერაყე** – 1. ვაკე-ბორცვი ლაკადას კალთაზე, ფართან, ბოგაშში (ლარა); 2. ოხაჩქუეს მწვერვალი (ჭალის სატყეო); 3. ბორცვი სამესხიო ენერში (სამესხიო) და სხვ. მრ. **ბერაყი** იგივეა, რაც ბერალი (ე.ი. ბაირალი) და სატრიანგულაციო ქვის სვეტებსაც ბერალი, ბერაყი უწოდეს.

**ნაბერაყ(გ)** – 1. საქაროს მწვერვალი. ძალზე მაღალია, ცამონმენდილ დღეს აქედან ზღვაც კი მოჩანს. გადმოცემით, თურქებს აქ აღმართული ჰქონიათ დროშა. დადიანმარუსის ჯარი მოიყვანა და დამპყრობლები განდევნა. ტყეში დამალულებს მოშივდათ და გამოსვლა დაიწყეს, ქალებმა კი მათ თავები გაუხეთეს კაკუცხითა და თოხით (ჭალე, ფახულანი); 2. გორა მოროჟას მარცხ. ნაპირას (ჩქვალერი) და სხვ.

**ნაბერაყსუკი** – გორა ოხვილიშისა და სქულუბურის სათავესთან (ფახულანი).

**ნაბერაყუ** – სერი ჭყებრზენში, ჩვინარესა და ოლორის გადასახედზე (ნაშამგუ).

**ნაბერთუ** – სერი. იგივე **ნაბირთუ** (საჩინო).

**ნაბ(ი)ლოულად(გ)** – მახასქურის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ჩხაპელკაში (ჭალე). სავარაუდოა, რომ ნაბილოუ არის უბილავას (გვარია) ნასახლარი: უბილა ნაუბილოუ ნაბილოუ.

**ნაბინეხ(გ)** „ნავენახარი“ – 1. სახნავი ფერდობზე, საგოგოხიოში (ქალაღალი); 2. სახნავი ნამალამში (ჯვალირა).

**ნაბირთუ//ნაბერთუ** – უბანი ინწერის მარცხ ნაპირის ვაკეზე. რესპ.: „აქ, ფართო ველზე, ფეხბურთს თამაშობდნენ. ამიტომ დარქმევია“ (?). (საჩინო). იქნებ: ნაბერთუ ბერთუა „ხვნა, ბელტებად მიწვენა მიწისა“ (ალ. ქობალია).

**ნაბირთუშ ფერდი** – ფერდობი ნაბირთუსთან (საჩინო).

**ნაბოკუჩუ//ნაბუკუჩუ** – ბოკუჩავას ნაქონი სახნავი მახარიაში, საკუხალეისქუოს აღმ. ფერდობზე (ლია, ჩხორია). ალ. ქობალია: „**ბოკუჩა** — ტანმოკლე, ჩაფსკვნილი“.

**ნაბორზალი** – ცყე-საძოვრები. იგივე **ნაბორძალი** (ხუდონის სატყეო).

**ნაბორძალი/ნაბორზალი** „ნამეხარი“ ( ბორძალი „მეხი“) – ტყე-საძოვრები ფურაშში, ეცის მარჯვ. მხარეს (ხუდონის სატყეო). ი. ყიფშიძე: „**ბორზალი** (ქართ. ბოძალი) – ...“ ო. ქაჯაია: „**ბორზალი** – ბოძალი; ორწვერა ისარი; შუბი... ბორძალი შარა „გზაჯვარედინი“. შდრ. ქართ: ბოძალი. როგორც ჩანს, მეგრულში ქართულმა ბოძალმა ( ბორძალი, ბიორზალი... რ-ს ჩართვა ქართულიდან ნასესხებ სიტყვაში იშვიათი არაა) მეხის მნიშვნელოვება მიიღო.

**ნაბოსელ/ნაბერაყ** – ბორცვი ენგურის მარჯვ. ნაპირზე, ნაკოლის ზემოთ (ჭალე). რესპ. „ნაბერაყ უწინდელი სახელია. ეს ბორცვი თურქებს დაუპყრიათ. დადიანს რუსის ჯარი მოუყვანია და დამპყრობლები დაუმარცხებიათ. ტყეში დამალული მშვიერი თურქები გა- მოდიოდნენ და ქალები თოხით თავს უჭეჭყავდნენ. აქ ბოსელი ჩვენს დროში ააშენეს“.

**ნაბოსელ(გ)** „ნაბოსლარი“ – 1. სახნავი ზედა მაზანდარაში. აქ კოლმეურნეობის ბოსელი მდგარა და დაურღვევიათ. შემდეგ ისევ აუშენებიათ, მაგრამ სახელად მაინც ნაბოსელ(გ) შერჩა (მაზანდარა); 2. ვაკე-ბორცვი ლეჩურსუეში, სადაც კოლმეურნეობის ბოსელი მდგარა (ჩქვალერი); 3. საძოვარი ლანჯიშის მაღალ გორაზე (ფახულანი) და სხვ. მრ.

**ნაბოკუჩუ** – სახნავი. იგივე **ნაბოკუჩუ** (ლია, ჩხორია).

**ნაბული(უ)** – ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში, მაღლობზე. იქნება 18-20 ჰა (მაზანდარა). გადმოცემით, აქ გარეული ბლის ტყე ყოფილა. შდრ. ქართ. ბალი : მეგრ. : ბოლი-ბული. ბულია გვარსახელიცაა.

**ნაბუხარ(გ)** „ნაბუხარლი“ – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, სადაც ნასახლარზე დიდხანს მდგარა ნახევრად დანგრეული ბუხარი (ობუჯი).

**ნაგამინჯუ[რი]/ლაგამინჯუ** – ტყე-ფერდობები ლუღერაში, ოტოფუეს მარჯვ. მხარეს. სახელწოდების შინაარსსა და მოტივაციაზე რესპონდენტები დუმან (ნაკიფუ).

**ნაგედუ** – ვაკე-ფერდობები ჯალრალალის სათავესთან, სადაც, გადმოცემით, გვარად გედია ესახლა. ამჟამად ამ ფუძის მქონე გვარსახელი არ დასტურდება (ჯალირა).

**ნაგელუ** – ფერდობები ჯალრალალის მარჯვ. მხარეს, სადაც, გადმოცემით, გელოვანს უცხოვრია. მაგრამ უფრო მოსალოდნელია: გელავა (მცირერიცხოვანი გვარსახელი საქართველოში – სულ 115 სული) ნაგელუ. გელა პირსახელიცაა (ჯალირა).

**ნაგეუ** – 1. ჩაის ფართობი სალუკაში, კვარჩხილალის დას. ბორცვზე (ნაკიფუ); სავარაუდოა: გეგია (გვარია) ნაგეგუ ნაგეუ (საისტორიო-საეკლესიო საბუთში, რომელიც შედგენილია 1642 წელს, დასახელებულია საეკლესიო გლეხი სოგიჯუმა გეგია. იხ. პალ, I, გვ. 613). გადმოცემით, აქ უწინ გეგეები ცხოვრობდნენ, მაგრამ ნალენჯიხაში გადავიდნენ.

**ნაგეუ/გერგეშ ნოხორი** – ტყე, ფერდობი წულიშის კალთაზე, ჩხიჭონას ჩრდ-ით. აქ ესახლა გერგე ცანავა (მაგანას სატყეო).

**ნაგერ(გ)/ჯოგოშ ნაგერ(გ)** – რიყე მაგანას მარჯვ. ნაპირას (ლექარდე). მეთევზე ჯოგოს აქ დადგმული ჰქონია **გერა** – წნელისგან მოწნული გრძელი ძარა, რომელზეც მიუშვებენ მდინარის ტოტს: წყალი წნულში გადის, თევზი კი ზედ რჩება. შდრ. ო. ქაჯაია: „გერა – ფაცერი. დიდი გობი; გეჯა“. ალ. ქობალია: „**გერა** – ხის დიდი გობი, თევზის საჭერი მოწყობილობა...“

**ნაგვაჯუ** ( გვაჯავა. გვარსახელია) – 1. ნასახლარი სერზე, სამართალას მარჯვ. მხარეს (ლეჯოლიხე); 2. ტყე მეჯოგეთა სერზე (ნაკიფუ) და სხვ. XX ს-ის დამლევს ნალენჯიხის რ-ში მკვიდრობდა 84 სული გვაჯავა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ნალენჯიხელი გვაჯავები საუფლისწულო აზნაურები იყვნენ (სოსელია, 1980, გვ. 97). რ. თოფჩიშვილი (2011, გვ. 81): 1904 წლის აღწერის თანახმად, დღევანდელ ნალენჯიხაში ცხოვრობდა მხოლოდ 3 კომლი აზნაური გვაჯავა. გვარისათვის ამოსავალია ლექსემა **გვაჯა** „ტანდაბალი, დაგვაჯული“. შდრ. **გვაჯალი** „უშნოდ სიარული“. ცრუ ხალხური ეტიმოლოგია: აქ ჩიტები აკეთებდნენ ოგვაჯეს (ბუდეს) და ამიტომ დაერქვა.

**ნაგვაჯუ/გვაჯაშ ტყა** – ტყე მეჯოგეფში სუკის ჩრდ.-დას. ნაწილში, უბადო მიკოლის გვერდით. ეკუთვნოდა ივანე გვაჯავას, რომელიც აქ ესახლა (ნაკიფუ). გადმოცემები: ა. აქ ჩიტები იკეთებდნენ ბუდეს, ანუ ოგვაჯეს. ამიტომ დარქმევია ნაგვაჯუ; ბ. ეგ ბორცვი და

მინა-წყალი ხარჩილავას უჩუქებია მისივე გაზრდილისათვის, რომლის გვარი ყოფილა გვაჯაია. გამზრდელის გარდაცვალების შემდეგ სოფელმა გააძევა უცხო კაცი და მინა დაიბრუნა. **გვაჯა, გვაჯაია** ბავშვის მოსაფერებელი სიტყვაა მეგრულში და მეტსახელადაც შერჩებოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, გვარსახელიც აქედან წარმოიქმნებოდა.

**ნა(გ)იგუ** – ტყე-ფერდობი უჩაღალის ზემო წელზე, ჯიხაფერდის ქვემოთ, სადაც პოულობენ ძველი ქვევრების ნაშთებს (მედანი). ტოპონიმისათვის ამოსავალი ჩანს მცირერიცხოვანი გვარი **გიგავა** (159 სული საქართველოში). 1616-1621 წლებში შედგენილი ერთი საეკლესიო საბუთის მიხედვით, ჯგალში მცხოვრებ თოსკვამია გიგავას ემართა ცაიშის საყდრის ბეგარა (იხ. ქსდ, III, გვ. 472). იმ დროს ჯგალში მედანიც იგულისხმებოდა. ამის გარდა, გიგა ფართოდ გავრცელებული პირსახელია.

**ნაგინორმო** „ნახბორალი ორმო“ – ჭისებრი ორმო ხენწკერში. ოდესღაც შიგ ბხორები ჩაცვენილან (ფახულანი).

**ნაგუ(გუ)ლუ** – სერი სამართალსა და სქურჩას შუა (ლეჯოლიხე). რესპ.: „გუგული თავდაპირველად აქ დაიძახებდა კაფე–თესეს“. რესპ.: „აქ სადღაც იმალებოდა ქურდი გული მოსიძე“. სინამდვილეში ტოპონიმისათვის ამოსავალია გვარი **გუგულავა** (ამჟამად მხოლოდ 30 სული საქართველოში). შდრ. „ნაგუგულუ (ნაგუგულარი) – ტყ. მიქავაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 74).

**ნაგუნუ** – ბორცვი ნაპერტულალისა და ლაჩახვას სათავეებს შუა (ფუქი). ტოპონიმის ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო როგორც **გუნავა**, ისე **გუნია**. საილუსტრაციო წყაროებში დამოწმებულია პირსახელი გუნა და ორივე დასახელებული გვარი.

**ნაგურიელ(ი)** – ბორცვი სალუკაში. გურიელის ნასახლარად ითვლება (ნაკიფუ). გურიელი გვარსახელად იქცა მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ გურიელების ხელისუფლება გააუქმა, ხოლო 1850 წელს გურიის ბატონიშვილების 4 ოჯახს თავადობის ხარისხი დაუმტკიცა.

**ნაგურუ** – სოფელი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში (იხ. პირველი ნაწილი).

**ნადალა ნუზუ** „ნადალარი ნაძვი“ – ტყე ოხაჩქუეს კალთაზე, ნაკაკასა და დიდეკოხონს შუა (ჭალეს სატყეო). გადმოცემით, ფახულანისა და მუჟავას ტყეების საზღვარზე მდგარა ნაძვი, რომელსაც, როგორც სასაზღვრო ორიენტირს, ჰქონია ნაჭდევი გამრავლების ნიშნის (X) ფორმისა.

**ნადიაშ ცობა//ნატამ ცობა** – მორევი ოლორზე, ცობეშში. გადმოცემით, მოხუცი ქალი ნადია ამ მორევეთან ესახლა (ფახულანი).

**ნადიაშ ფერდი//ნატამ ფერდი** – ფერდობი ოლორის მარცხ. მხარეს (ფახულანი).

**ნადოხორ(გ)** – 1. ტყე-ბუჩქნარი ვაკე-ბორცვზე სქურდილასა და სქუხუმლას შუა. აქ დარჩენილი სახლის ფუნდამენტი დადიანების ნასახლარია (ნალენჯიხა). რესპ.: „დოხორე არის სასახლე, თავადის სახლი. ჯინოსქუას სახლსაც, ქობიც რომ ყოფილიყო, მაინც დოხორე ერქვა“; 2. ერქვა „ჯარალობის“ მინდორს ლეფიფიეში. აქ აფხაზეთიდანაც ჩამოდიოდნენ. იმართებოდა მარულა და სხვ. (პალური); 3. ჩაის ფართობი. იგივე **დოხორე** (სამესხიო).

**ნადოხორ(გ)//დიტომ ნადოხორ(გ)** – თავად დიტო აფაქიას ნასახლარი ლაბარხას მარცხ. მხარეს (საჩინო).

**ნაემმარუ** – სათ. ობუჯში (ღლონტი, 1971, გვ. 7).

**ნაემხვარ(გ)** – ნაგზაური და ფერდობები მახარისა გზაზე. იგივე საემხვარო (პალური).

**ნავაგონ(გ)** – ნაგზაური ცალიშა და ნაჭკადურს შუა, სადაც ვაგონით ჩამოჰქონდათ ხე-ტყე ენგურში ჩასაყრელად (ჭალეს სატყეო).

**ნავაგოდ(გ)** – 1. მინდორი ოხარკალეში, ენგურის მარცხ. მხარეს, სადაც „ნიკოლოზის დროს“ მდგარა „ნავოდი“ (რუს. завод) – ორთქლისძრავიანი სახერხი ქარხანა (ჯვარი); 2. მინდორი ქუანწყილში, სადაც XX ს-ის 20-იან წლებში ტრაქტორით ამოუტანიათ სახერხი ქარხანა, მაგრამ მიუტოვებიათ (ჩქვალერი); 3. მინდორი. იგივე ნამემხურუ (ჭალეს სატყეო) და სხვ.

**ნაზავოდ(გ)/სისომ ზავოდი** – მინდორი შქალიაში, ენგურის ბორანთან. აქ იდგა სახერხი ქარხანა, რომელიც ენგურის წყლის ძალით მუშაობდა (ლია).

**ნაზავოდ(გ)/ჩონთომ ნაზავოდ(გ)** – დავაკება ოლორის ნაპირას. აქ კოლმეურნე ჩონთო ფიფიას კოლმეურნეობისათვის აუშენებია ხის სახერხი ქარხანა, რომელიც ენგურის ტოტზე მუშაობდა 1937-1952 წლებში. ამ ადგილს უწინ **ბასაშ რზენიც** (იხ.) ერქვა (მუჟავა).

**ნაზავოდ(გ)/ჯვემ ნაზავოდ(გ)** – საკარმიდამო ენგურის მარცხ. ნაპირას, ლაკაშიას ნისქვილის ჩრდ-ით. აქ სახერხი ქარხანა იდგა (ლია).

**ნაზარაკუ/ნაცი(რ)დუ** – ვაკე-ტაფობი მაცხოვრის ეკლესიის ჩრდ-ით (ლემამუგე). რესპ. ი. შამუგია: „აქ, მაცხოვრის ეკლესიის გვერდით, მაისსა და გიორგობისთვის იმართებოდა **ზარაკუა** – რელიგიური დღესასწაული, კერძოდ, საქონლის მსხვერპლად შეწირვა, რასაც თან ახლდა ვაჭრობა და თამაშობანი. **ნაცი(რ)დუ** ცირდავა. შდრ. ალ. ქობალია: „**ზვარაკუა** – ზვარაკად მიტანა, მსხვერპლად შეწირვა“. ქეგლ-ი: „**ზვარაკი** – მსხვერპლად შესაწირავი საქონელი“. ს. მაკალათია ყოველივე ამას ასე აღწერს: **ზვარაკუა** ტარდებოდა ამალღების მეორე კვირას, ხოლო გიორგობა – 10 ნოემბერს. ამ დღეს აქ მრავალი მლოცველი იყრიდა თავს. ვისაც დაპირება ჰქონდა მიცემული, ფეხშიშველა მიდიოდა, მიჰყავდა შესაწირავი ბატკნები, ციკნები... აქვე სცოდნიათ ხატზე გადაცემა და დაწყევლა. ხალხური რწმენით, ჯგეგესა და ქირსეს წელიწადში ერთხელ, გიორგობა დღეს, ხარი მოვიდოდა და საყდრის კარებთან დადგებოდა. მნათე მას დაიჭერდა და დაკლავდა“.

**ნაზაქარუ** ( ზაქარაია ) – ბორცვი სასონგულიოში (ობუჯი). ზაქარა, ზაქარია შუა საუკუნეებში გავრცელებული სახელებია. შდრ.: „ნაზაქარუში სუკი – ადგ. ობუჯში“ (ლლონტი, ა971 , გვ. 74)

**ნაზმაკორი/ნა(რ)ზმაკორი** – უბანი ოტოფუეს ზემოთში, სადაც ბორცვზე უძველესი სასაფლაო და გალავნის ნაშთებია, აქვეა სახნავები და ჩაის ფართობები (ფუქი). სავარაუდოა, რომ **ზმაკორი** „საშუალო ტანის კაცი“ იქცა მეტსახელად და შემდეგ გამოყენებულ იქნა ადგილის სახელდებისათვის. ხალხური ეტიმოლოგიები: ა. ტოპონიმი მომდინარეობს სიტყვიდან ნირზი, ანუ **რზმა** (დავა, განეც-გამონევა, ჩხუბი, ომი). შესაბამისად სწორი ფორმაა „**ნარზმაკორი**“ და არა ნაზმაკორი“; ბ. აქ ზომავდნენ კაცებს და ამიტომ უნდა ერქვას **ნაზმაკორი** „განაზომი კაცი“ (**ზმეა** – გაზომვა); გ. აქ ხალხი გამწყდარა („გოჭყვადე“) და ამიტომ ჰქვია; დ. ტოპონიმი დაკავშირებულია უტუ მიქავას ლაშქრობასთან. ნაზმაკორუში, ბორცვზე არის ნაეკლესიარი, სადაც სალოცავად დადიან გეგიები. შდრ. „ნაზმაკორი — უბ. მიქავაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 74).

**ნაზმატუ** – ვაკე-ბორცვი. იგივე ნაზმატუ (ნალენჯიხა). ალ. ლლონტი: „**ნაზმატუ** — გორა ნალენჯიხაში“.

**ნაზმატუ/ნაზმატუ/ნაცანუ** – ვაკე-ბორცვი ჩაის პლანტაციით ნაკენტგრალსა და ოსურეფიმ ლალს შუა. დასცქერის ქალაქს დასავლეთიდან (ნალენჯიხა). რესპ.: „ცანავებისა ყოფილა და კალანდიებს ნაურთმევიანთ დიდი ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ“. რესპ.: „ეს გორა დიდი ჩხუბისა და დავის შემდეგ ტუტუ კალანდიამ ნაართვა ცანავას და ამიტომ ჰქვია ნაცანუცა და ნაზმატუც“. შდრ. ალ. ლლონტი: „ნაზმატუ — გორ. ნალენჯიხაში“.

**ნათიფურ(უ)** – ალპური საძოვარი ცუონის სათავესთან. თიფი „თივა“ – ოთიფურე „სათიბარი, საძოვარი“ ნათიფურუ ნათიფურ(უ). (მაგანას სატყეო)..

**ნათოფურ(უ)** ( თოფურია ) – ბორცვი ინნგრას მარჯვ. მხარეს, ლემალაზონესა და ბურღეფს შუა. რესპ.: „აქ, ტყეში, სკა უპოვიათ და ამიტომ დარქმევიან ნათოფურუ“ (კუხეში). საქართველოში 1995 წელს აღინუსხა 3225 სული თოფურიას გვარისა. ეს გვარი პირველად დასტურდება 1616-1621 წწ. შედგენილ საბუთში (ქსძ, III, გვ. 479). თოფურიები XIX ს-ში აზნაურები იყვნენ და თოფურიძეებად იწოდებოდნენ.

**ნათოფურუშ ლალ(გ)** – ღელე, ერთვის ინნგრას ლაზარიაშ ნოშქვიდურთან. იხ. ნათოფურუ (კუხეში).

**ნათუთუმ(გ)** ( თუთუმი „თამბაქო“) – სახნავი ნათოფურუში, ნოჟალას მარჯვ. მხარეს, სადაც ერთ დროს თამბაქო ეთესათ (კუხეში).

**ნათუთუმუ** – ფერდობი სკურდილას მარცხ. მხარეს, ნარაგუსთან (ობუჯი).

**ნათუნთერა** „ნადათვარი“ – ვენახი ლეჩიქვანეში, გზისპირა დაბალ ფერდობზე. თავდაპირველად ტყე ყოფილა, შემდეგ სახნავი, ბოლოს კი ვენახი გაუშენებიათ. რესპ.: „გადმოცემით, აქ დათვი მოუკლავთ. სახელიც ამის გამო დაურქმევიათ“ (ნაგურუ).

**ნათგრე//ნიკომ ნათგრე** – ტყე, ბორცვი ლესალეს უბანში (ლესალე). რესპ.: „ნიკოს ეს ტყე სხვისთვის გაუცვლია“. **თგრუა** „გაცვლა, გადაცვლა“ **ნათგრე** „გა(და)ნაცვალი“.

**ნაიგუ** – ტყე-ფერდობი. იგივე **ნა(გ)იგუ** (ლარა, მედანი).

**ნაითგრე** – ჩაის ფართობი საქარდაში, ჭიჭე ტებენეს მარცხ. მხარეს (ნაშამგუ).

**ნაინგუ** – 1. ბორცვი ლაჩახვის მარცხ. მხარეს (ფუქი); 2. ბორცვი ლეღვინჯილეს ჩრდ. ნაწილში (ლევგოლიხე).

**ნაინჭ(გ)** ( ინჭა „ჭა“) – 1. ფერდობი ლეკვირკვიეში, სადაც კარსტული ჭაა (საჩინო); 2. კარსტული ჭა. იგივე ოხარკალაია (ჭველე).

**ნაირემ(უ)** „ნაირმალი“ – ტყე-ფერდობები ლაჩიდას მარჯვ. მხარეს, ირემგინაცვი-ლასთან. ოდესღაც ამ მიდამოებში ირემი ყოფილა მომრავლებული. ირმის რქებს ტყეში ახლაც პოულობენ (მუჟავა).

**ნაირემშარა** – ბილიკი დიდ რასაში, მაღალი კლდის ძირას, ენგურის მარჯვ. მხარეს (ფოცხოენერი). **ირემი** „ირემი“ **ოირემე** „საირმე“ **ნაოირემე** „ნაირმალი“ **ნაირემ**.

**ნაისირ(გ)** ( ისირი „ისლი“) – ღელე და ხევი, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მოედინება ნაკაკადან (ობუჯი).

**ნაისგრ(გ)** ( ისგრი „ისლი“) – 1. ჩაის ფართობი მახარიაში (ლია); 2. სახნავი ლეჭანტურეში, ნახაჯის სამხრ-ით (ჩქვალერი); 3. ბუჩქნარი სახასაიოში (ფახულანი); 4. მინდვრები ლეაბრალეში, ქორსუს ხეობაში. განარჩევენ: **სანდროშ ნაისგრ**, **კოკიაშ ნაისგრ**, **ძვად-ვაშ ნაისგრ** (ნაგურუ); 5. ბორცვი ქალაღალის მარცხ. სერზე (ქალაღალი) და სხვ. მრ.

**ნაისგრ(გ)//ნაისგრეში რობუ** – მცირე ხევი-ხეობა. იგივე რობუ//ნაისგრ//ნაისგრეში რობუ (კუხეში).

**ნაისგრღალ(გ)** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი სასონგულიოში. მოედინება ნაკვარაცხელუდან (ობუჯი).

**ნაისგრეში რობუ** – მცირე ხევი. იგივე **ნაისგრე** (კუხეში).

**ნაიშმარუ** ( ნაქიშმარუ ქიშმარია) – ფერდობი ჯაღრაღალის მარცხ. მხარეს, სადაც, გადმოცემით, ქიშმარიების ნასახლარია (ჯაღირა). ქიშმარია (ისევე როგორც ქიშმარაია, ქიშმარეია) მცირერიცხოვანი გვარია (სულ საქართველოში 196 სული). გადმოცემა: შარვან მეზონიას ნასახლარია, თუმცა კი სახლის ნაშთი არ ჩანს.

**ნაკა** – ვაკე მაგანას ხეობაში. უნინ აქ კონცხზე მდგარა ნაკას ნაკომკარი (ლექარდე). **ნაკ** სვანური სიტყვაა და ნიშნავს ვაკეს. ნაკა მთიან სამეგრელოში სხვაგანაც გვხვდება. შდრ. ი. ყიფშიძე: „ნაკა – სწორი ადგილი, მინდორი“; ალ. ქობალია: „ნაკა – ვრცელი, ნათელი მინდორი“. მ. ქალდანი: „ნაკა ცოცხალი სვანური სიტყვაა და წარმოქმნილია ქართ. ვაკე ლექსემისაგან“. მ. ჩუხუა: მეგრ. ნაკა// ნოკა : ქართ. ვაკე. შდრ. ქართ. ე : ზან. ა.

**ნაკაზარმ** – 1. დავაკება ფერდობზე, ლეაკობეში. აქ მოჰყავდათ თამბაქო და ჰქონდათ **კაზარმა** „თამბაქოს საშრობი“ (ენერფერდი); 2. ტყე ყვანთის თავზე (სქურის სატყეო).

**ნაკაზარმუ** – სახნავი ჭაჭახში (ობუჯი). **კაზარმა** მეგრულში არის ფარდული, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებებისათვის, მაგალითად, თამბაქოს ან აბრეშუმის პარკის საშრობად, ჩალის შესანახად, საქონლის უკედლო სადგომად და სხვ. შდრ. რუს.: казарма ყაზარმა მეგრ. კაზარმა. შდრ. ო. ქაჯაია: „**კაზარმა** – ბოსელი; ყაზარმა“; ალ. ქობალია: „**კაზარმა** – ყაზარმული ტიპის გრძელი გაუტიხრავი ერთსართულიანი ნაგებობა. იყენებენ სათავსოდ“.

**ნაკაზარმე** – 1. დავაკება მაგანას ნაპირას, სადაც ერთ დროს ბზის მჭრელთა ყაზარმა მდგარა (ლექარდე); 2. ტყე ყვანთში (სქურის სატყეო) და სხვ. იხ. ნაკაზარმუ.

**ნაკათი** „ნაერთი, ნარევი, ნაკრები“ – მაღლობი, ჩაის ფართობი სოფლების – ჯაღირას, სარაქონის, ნაგვაზუსა და ნაკიფუს – საზღვარზე (ნაგვაზუ, ნაკიფუ). რესპ.: „რელიგიური თუ სხვა სახის დღესასწაულებზე აქ იყრიდა თავს გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა. ამიტომ ამ მაღლობს უწოდეს **ნაკათი**, ხოლო 30-იან წლებში აქ საერთო ძალით აა-



გეს დაწყებითი სკოლა, რომელსაც „ნაკათიმ სკოლა“ ეწოდა. მანამდე კი ამ მაღლობს ერქვა „სადადიანო ენწერი“.

**ნაკათიმ სკოლა** – დაწყებითი სკოლა ნაკათში (ნაგვაზუ, ნაკიფუ)

**ნაკაკა** – 1. ნიფლნარი და ნაზლნარი ოლორის ზემოთში. აქ ტყე დაუჭდევებია ბადა არქანიას (ჭალეს სატყეო); 2. ბორცვი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (ობუჯი); 3. კლდეზე ასასვლელი საფეხურებიანი ბილიკი ლეაკობეში, საქაროს კალთაზე (ენერფერდი, ფახულანი) და სხვ. მრ. რესპონდენტთა განმარტებანი ასეთია: **კაკუა** „ხის დაჭდევება, დათარჯვა (გზის ან საზღვრის მისანიშნებლად); ხის შემოკოდვა (ტყის გაახოებისას); საფეხურების ამოჭრა კლდეზე; ლაფნის ან შხამიანი ბალახის ნაყვა ქვით (თევზის დასანამლად); ნისქვილის ქვის მოკოდვა; ხეების დაკოდვა ტყის დაუფლების მიზნით. იხ. კაკილი. შდრ. ალ. ქობალია: „კაკუა – ნაყვა; კოდვა; დაჭდევება; განქერქვა ხისა (რომ გამხმარიყო და ადვილად მოეჭრათ)“.

**ნაკაკა//გოხორხილი** – გზა კლდეზე, რაც საქაროს დას. კალთაზეა. ახალგაზრდები იტყვიან **ნაკაკას**, ხოლო ხანდაზმულები – **გოხორხილს** (ჭალე).

**ნაკაკასუკი** – ბორცვი სახნავ-სათესებით სქურჩას მარჯვ. მხარეს, ქვაბლასა და ნესტორიმ ლალს შუა (ნაკიფუ).

**ნაკალანდუ** (კალანდია) – ორგან ეწოდება ბორცვს ქალაქში: ა. ლესარეში; ბ. ოხვამეშვას ალმ. კალთაზე (ნალენჯიხა). შდრ. „ნაკალანდუ (ნაკალანდარი) – ადგ. ნალენჯიხაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 74).

**ნაკალანდუმ ფერდი** – ფერდობი ნაკალანდუს სამხრ.-აღმ. კალთაზე, ნალენჯიხა-ლესალეს გზაზე (ნალენჯიხა).

**ნაკალმახ(გ)/ნაკალმახლალ(გ)** – ოციმღალის ზემო წელი, სადაც უწინ კალმახი სცოდნია. მოედინება ენგურის პარალელურად (ჭველე).

**ნაკალმახლალ(გ)** – ოციმღალის ზემო წელი. იგივე **ნაკალმახ(გ)** (ჭველე).

**ნაკალუ** „ნაკალოვარი“ – მინდორი სამებონიოში, მოხილის ძირას (ჯალირა). აქ ჰქონიათ **კალო**, სადაც ყრიდნენ შეტეხილ სიმინდს და აცლიდნენ ფუჩჩის.

**ნაკანატ(გ)** „ნაბაგირალი“ – 1. ბაქანი ყვირას კალთაზე, საიდანაც ხე-ტყე ჩამოჰქონდათ საჰაერო-საბაგირო გზით **კანატიმდუდამდე** (ჯვარის სატყეო); 2. ტყე ფორტაშის ქვემოთ, საიდანაც ხე-ტყე ჩამოჰქონდათ (მუჟავა) და სხვ. შდრ. რუს. кабат. იხ. კანატიმდუდი.

**ნაკანტორ(გ)** „ნაკანტორალი“ – 1. მინდორი ლესალეს უბანში, ლაჩხვათრას მარჯვ. მხარეს, სადაც კოლმეურნეობის კანტორა (კანცელარიის შენობა) მდგარა (ლესალე); 2. დავაკება. იხ. ნაკოლმეურნე (მუჟავა) და სხვ. გერმანული ლექსემა kontor რუსულში შესულია ფორმით , ხოლო რუსულიდან ქართულში – როგორც კონტორა, ისე კანტორა. რა თქმა უნდა კანტორა რუსულიდან ზეპირი მეტყველების გზითაა შეთვისებული.

**ნაკანტორეში სუკი//ვერამ სუკი** – გორა ლანჯიმის სამხრ. ნაწილში. რესპ.: „სანამ ყველას კვიტოულში გადაასახლებდნენ, ამ გორაზე კოლმეურნეობის კანტორის შენობა იდგა. ვერა, მარტოხელა ქალი, ერთადერთი იყო, რომელიც ამ გორაზე დარჩა“ (ფახულანი).

**ნაკანწილუ** (ოკანწილაია „საქანელა“) – ბორცვი ინწირას მარცხ. მხარეს, სადაც ბავშვები ხეზე აშვებულ ვაზზე ქანაობდნენ (საჩინო). **კანწაფი** – რწევა; ქანაობა“ ოკანწაია//ოკანწილაია „საქანელა, სარწეველა“ ნაკანწილუ ნაკანწილუ.

**ნაკანწილუმ წყურგილი** – წყარო ნაკანწილუში (საჩინო).

**ნაკარდამ(გ)** (აკარდამა „აკლდამა“) – დავაკება ნოჟალაში, გზისპირას (კუხეში). რესპ.: „ჭირით დახოცილ ხალხს ქვით ამოშენებულ საერთო საფლავში ყრიდნენ. ისაა აკარდამა“.

**ნაკარუ** „ნაკარვალი“ – 1. ჩაის ფართობი ლაფთარას სათავესთან, სადაც უწინ მდგარა **კარე** – მწყემსის დროებითი სადგომი (ობუჯი); 2. ბუჩქნარი სახუბულოში, სქვერმენჯის სათავესთან (ლეთკანთი); 3. ბორცვი ლეღვინჯილეში (ლეჯოლიხე); 4. დავაკება ჩხაპელკის სამხრ. კალთაზე, საშონიოში (ენერფერდი); 5. საბალახო ჯიხატყას ზემოთ (წყოუში); 6. ბორცვი. იგივე **ჩიტლული** (ჯგალი) და სხვ. მრ. ო. ქაჯაია: „**კარე** – კარავი, მწყემსის

საზაფხულო ბინა“. თ. მიბჩუანი სწორად აღნიშნავს, რომ **ნაკ**- სვანური სიტყვაა და აღნიშნავს **ვაკეს**, მაგრამ ტენდენციურია, როცა მეგრულ **ნაკარს** განმარტავს ასე: „ვაკეები, დაბლობი ადგილი“ (მიბჩუანი, 1989, 214).

**ნაკარუ//ძორგოიამ ნაკარუ** – ბორცვი საშელიოსა და სკურეფიას შუა. ძორგოია პირსახელია (საჩინო).

**ნაკარუმ წყარი** – წყარო-ნაკადული. მოედინება ნაკარუდან და იქვე ერთვის ოკიბო-იალალს (ენერფერდი).

**ნაკატარუ** – სერი, სასაფლაო ტარჩიასა და უჩა ღალს შუა, სადაც, გადმოცემით, გვარად კატარია ესახლა. გავრცელებულია გამოთქმა, „ნაკატარუმა გილინდასია“, რაც გარდაცვალებას ნიშნავს. დღეს კატარების ორი კომლი სოფ. ეკში ცხოვრობს. შდრ. ალ. ქობალია: „**კატარა** – პატარა, წვრილი, ჩია“, რაც ადვილად გადაიქცეოდა მეტსახელიად.

**ნაკამ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ნაკაში (ლექარდე).

**ნაკეკუ(ში)** – ტყე-საძოვარი მაგანას ზემოთში, ჯარალას ხეობის ფერდობზე, დოხვილის ჩრდ-ით (მაგანას სატყეო). **კეკუა** მცირერიცხოვანი გვარია (სულ 392 სული, ძირითადად ზუგდიდის რ-ში). -ში სუფიქსს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მატოპონიმბელი ფუნქცია უჩანს.

**ნაკელუ** – ორი ვაკე-ბორცვი. იხ. **ნაკილუ** (ნაგურუ).

**ნაკვათა** „ნაკაფი“ – ტყე მაგულიამ ტყის აღმ-ით, წგფემსა და ტყვიშს შუა. უნინ სახ-ნავი ყოფილა (მაგანას სატყეო).

**ნაკვარაცხელუ** ( კვარაცხელია) – 1. ტყე-ფერდობები ჯოგომ ღალსა და ქალაღალს შუა, კგლის ხეობაში (წყოუში); 2. ბორცვი სასონგულიოში. რესპ.: „აქედან კვარაცხელები განუდევნიათ მეზობელ ბორცვზე მცხოვრებ ზაქარაიებს“ (ობუჯი).

**ნაკვალგ** ( კვალა „ცული“) – ვაკე-სახნავი ტარჩიას ნაპირას, საკაციოს გვერდით (სამესხიო). რესპ.: „კაციებს ეს მიწა კვალაში („ნალდი“) გაუცვლიათ“.

**ნაკვეჭუ//ნაკვიჭუ** – ტყე-ფერდობი ენერში, რობულალის სათავის დას-ით (საჩინო). გადმოცემით, კვიჭი ზოგადად პატარა ტანის კაცია და, შესაძლებელია, მეტსახელიც იყოს. შდრ. ალ. ქობალია: „კვიჭალი – პატარა, ქორორა ბიჭი“.

**ნაკვეჭუმ ღალ(გ)** – მცირე ღელე და ხევი, რობუმ ღალის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ნაკვეჭუში (საჩინო).

**ნაკვირკუ** ( კვირკვია) – ბორცვი ლაჩახვას მარჯვ. მხარეს (ფუქი). კვირკვია გვარსახელია. რესპ.: „ქალი ძაფს ართავდა და აქ კვირკვი (გორგალი) დაუგორდა თურმე“ („ოსურს გეუოლუა კვირკვიქ თუხუნდუნ თეში“), თორემ კვირკვიებს აქ არასოდეს უცხოვრიათ“.

**ნაკვიჭუ** – ტყე-ფერდობი. იგივე ნაკვეჭუ (საჩინო).

**ნაკიკ(ო)უ** – უბანი ენგურისა და კგლის წყალგამყოფზე, რვანლიან სკოლასთან. აქვეა ბორცვი ნაკიკუსუკი (წყოუში). უნინ აქ კიკავები (საქართველოში 135 სულია დაფიქსირებული) სახლებულან. ამჟამად კი სხვადასხვა გვარის ხალხი ცხოვრობს.

**ნაკიკუსუკი** – ბორცვი ნაკიკ(ო)უს სამხრეთით, სახასაიოსა და ღელე კგლს შუა (წყოუში).

**ნაკიკუმ ნაჯიხ(გ)** – ნაციხარი ნაკიკუსუკზე (წყოუში).

**ნაკილუ//ნაკელუ** – ორი ვაკე-ბორცვი ჩელალსა და ლეჩიქვანეს შუა. განასხვავებენ: **დიდი ნაკილუ**, **ჭიჭე ნაკილუ**. მათ შორის 1 კმ-ია (ნაგურუ). **კელი** „კეერი, კალო“. ამასთანავე, კილავა ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია (სულ 65 სული, ძირითადად ზუგდიდის რ-ში).

**ნაკილუმ წყურგილი** – წყარო ლეჯლანჯლეში, ჩელალის მარჯვ. ნაპირას (ნაგურუ).

**ნაკინტირლალ(გ)** „ნაკიტრალი ღელე“ – ღელე ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 74).

**ნაკ(ი)რეში** „ნასაკირალი“ – ფერდობი ოჩხარჩხალაისთან (ლეკაკულე).

**ნაკ(ი)რეში//ნაონკირეში** „ნასაკირალი“ – ფერდობი სოფლის აღმ. ნაწილში. ამ ფერდობიდან ჩამოჰქონდათ ქვა კირის გამოსაწვავად (მაზანდარა).

**ნაკიტაუ** – ვაკე-მინდორი ქვაბლალის სათავესთან (ნაკიფუ). რესპ.: „ეთესა კიტაია. მანიკუპრას (მანანის ბურღული) მსგავსი მარცვალი აქვს“. **კიტაია** ეწოდება ჩვეულებრივ სორგოსაც და საადრეო ჯიშის სიმინდსაც (**კიტაია** – ჩინეთი). ალ. ქობალია: „**კიტაია** – ჩინური ჯიშისა, ცოცხის ჯიში, ქათმის ჯიში“.

**ნაკიფუ** – სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ნაკიფუ** „ნაკანაფარი“ – ტყე-საძოვარი ფერდობზე, ეწრის მაღლობის სამხრ. ნაწილში (ფოცხოენერი).

**ნაკლას(გ)** ( კლასი „სკოლა“) – სახნავი ლეჩიქვანეში, დაფერდებაზე, სადაც უნინ კლასი იდგა. რუს. , მეგრულში კლასი, იგივეა, რაც სკოლა, ე.ი. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება (ნაგურუ).

**ნაკოლგ** ( კოლი „კალია“) – ჩაის ფართობი საშონიოში, სადაც დიდი ხნის წინათ სიმინდის ყანა კალიას გაუნადგურებია (ჭალე). ქართ. კალ-ია : მეგრ. კოლ-ი

**ნაკოლმეურნ(გ)/ნაკანტორ(გ)** – დავაკება ხუმათიაში, მახასქურის ნაპირას, სადაც უნინ კოლმეურნობის კანტორა ყოფილა (მუჟავა).

**ნაკოპ(ე)რატივ(გ)** – ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში, სადაც გზისპირას კოპერატივი (კოპერაციული მაღაზია) მდგარა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (მაზანდარა).

**ნაკორზუ** ( კორზაია კორძაია) – უბანი, ბორცვი საკაციოში. გადმოცემით, ოდესღაც აქ ესახლნენ კორზაიები (სამესხიო).

**ნაკორთხონ(ჯ)უ/ნისქვილიშკარი** – დავაკება ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ლუღერასა და ხვითერს შუა (ნაკიფუ). კორთხონჯია ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია (სულ 339 სული. ძირითადად მარტვილის რ-ში). ცრუ ხალხური ეტიმოლოგიები: ა. კორთხო იგივე ჩალამ-კალამია, რომლითაც ღვინოს სვამდნენ ან იყენებდნენ სიმინდის საწყაოდ; ბ. ამ უბანში კარგი ღვინო მოდიოდა, ქეიფობდნენ – ღვინოს კორთხოებით სვამდნენ. ამიტომ დარქმევია ნაკორთხონჯუ. კორთხო იგივეა, რაც ქართული კოთხო, კათხა. ო. ქაჯაია: „**კორთხო** – კოთხო“. ალ. ქობალიას განმარტებით, კორთხონჯი მცენარეა, კერძოდ, ნარგიზი. შდრ. „**ნაკორთხონუ** – სათ. ნალენჯიხაში“ (დლონტი, 1971, გვ. 74).

**ნაკრამენტ(გ)/ნანანგურ(გ)** – საკარმიდამოები საჩანგელიოში, სადაც ერთ დროს კრამიტს და აგურს ამზადებდნენ (ჯგალი).

**ნაკრეში** – სერი ფუქის საზღვართან (მაზანდარა). აქედან ეზიდებოდნენ კირქვას კირის გამოსაწვავად. სწორედ მაშინ დაერქმეოდა ოკირეში. შემდეგ ეს საქმიანობა შეწყდა და ადგილსაც ნა-ო-კირ-ე-ში ნაკრეში ეწოდა.

**ნაკრეში/ნანკ(ი)რეში** ( ოკირეში) – ფერდობი ჯალრალალის მარჯვ. მხარეს (ჯალირა).

**ნაკურდღელე** – ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში (მაზანდარა). ტოპონიმისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს როგორც კურდღელი „კურდღელი“, ისე გვარი კურდღელია.

**ნაკენტგრ(გ)/ნაკენტგრალ(გ)** – ტყე-ხეობა ენწერის კალთაზე. გაედინება ნაზმატუსა და საკალანდიოს შუა და ერთვის ჭანისწყალს მარცხნიდან (ნალენჯიხა). ნაკენტგრ(გ) შეიძლება ეწოდოს იმ ადგილს, სადაც კენტგრი „კიტრი“ მოჰყავდათ ან სადაც კინტირია (გვარი ან სახელი) ესახლა.

**ნაკენტგრალ(გ)** – ტყე-ხეობა ენწერის კალთაზე. იგივე **ნაკენტგრ** (ნალენჯიხა).

**ნალაგვან(გ)** „ნაქვევრალი“ – 1. მცირე დავაკება ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ნაოჭკადგრის კალთაზე, სადაც დარჩენილია უზარმაზარი ქვევრის ფსკერი (ჯალირა); 2. ფერდობი ოჭანეში, ზედა ლიას საზღვართან, სადაც მოიპოვებდნენ საქვევრე მინას (ჯვარი, ზედა ლია) და სხვ. შარდენი თავისი მოგზაურობის დღიურში („მოგზაურობა სამეგრელოში“) აღნიშნავს: „სამეგრელოს ღვინო საუცხოოა, იგი მაგარი და ბლანტია, მეტად სასიამოვნოა სასმელად და კუჭისთვისაც მარგებელია. მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევ... ამოღარავენ დიდ ხეებს, ყრიან მასში ყურძენს და წურავენ. დაწურვის შემდეგ ყურძნის წვენს ასხამენ ქვევრში, რომლებიც ან სახლში, ან სახლის გარეთ მინაში

არის ჩაფლული. გავსილ ქვევრს ახურავენ ხის სარქველს და ზევიდან მიწას აყრიან“ (მარდენი, 1975, გვ. 111).

**ნალაგვანიშ ჩაი** – ჩაის ფართობი ზედა ლიას ჩრდ.-დას. ნაწილში, ნალაგვანთან (ზედა ლია).

**ნალაზუტ(გ)** – ბუჩქნარი რუსეფიშ ღალის მარჯვ. მხარეს, ნაქობალის გვერდით. აკ. შანიძის განმარტება: „**ლაზუტი** – სიმინდი; ლაზური მარცვალი“ (ნალენჯიხა).

**ნალაკად(გ)/ბათაშ ნალაკად(გ)** – საძოვარი ნისქვილარას ზემოთში (სქურის სატყეო). როგორც გადმოსცემენ, მწყემს ბათას შემოდგომაზე აქ ჰყავდა საქონელი. **ლაკადუა** ეწოდება შემოდგომაზე ან გაზაფხულზე საქონლის ძოვებას ტყის ზონაში. „დამორჩილს დო ზარხულს შუშელს რგილი ჰავა რე დო ვეგიცადინე“ და სექტიმბერშივე საქონელი დაბლა ჩამოჰყავთ. ზამთარში კი საქონელი, რა თქმა უნდა, კოლხეთის დაბლობზე ჰყავთ.

**ნალალუმე** – კლდე სოფლის სამხრ. ნაწილში (ლია). რესპ.: „ზუგდიდი-ჯვარის გზის გაყვანასთან დაკავშირებით ლალუმით (ნალმით) აფეთქებდნენ ამ კლდეს“.

**ნალებიუ** ( ლებია „ლობიო“) – დავაკება ნოლიმერის ხეობაში (სქურის სატყეო).

**ნალებუ** – 1. ბუჩქნარი ნოჟალას ზემოთში (ჯვარი). რესპ.: „აქ შავი მიწაა. ამიტომ დაერქვა“; „აქ ლობიო მოჰყავდათ და ამიტომ არის ნალებუ“; 2. საძოვარი ენგურის მარჯვ. ნაპირზე, მერაშის ქვემოთ (ჭალე); 3. ტყე-ბუჩქნარი ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას (ობუჯი) და სხვ. სინამდვილეში ნალებუ ის ადგილია, სადაც ლები (იხ.) მოიპოვებოდა.

**ნალებუსუკი** – ბორცვი საკალანდიოში, ობუჯის საზღვართან. რესპ.: „ერთ დროს ამ ბორცვზე მანდარინი გააშენეს, მაგრამ ვერ იხეირა“ (ნალენჯიხა).

**ნალეგეჯერუ** – ბორცვი ვეჯინჯში, სოფლის ცენტრის აღმ-ით (საჩინო). რესპონდენტთა ვარაუდით, ეს ბორცვი გეჯერიების ნაცხოვრებ ადგილად ითვლება. ამ შემთხვევაში: გეჯერია (გვარი) ლეგეჯერე (გეჯერიების უბანი) ნალეგეჯერუ (გეჯერიების ყოფილი უბანი). გვარი გეჯერია ამჟამად აღარსად ჩანს.

**ნალმა კონკი//პაჭკორიეფიშ კონკი** – კუნძული ენგურზე (პალური, ფახულანი). აქ მომხდარა **ლგმა** „ომი, ბრძოლა, შეტაკება“ ჩხოტუებსა (თავადები) და პაჭკორიებს (ფიოში, ანუ თავისუფალი გლეხები) შორის. თოფის სროლა სამ დღეს გაგრძელებულა. მერე კი ეს მიწა შუა გაუყვიათ. **კონკი** კუნძულია. **ნალმა** ნალგმა „ნაომარი“. ოლგმმა ულა „საომრად წასვლა“. კონკი კუნძულია.

**ნალგმა სუკი** „ნაომარი ბორცვი“ – ბორცვი ოჭანეში (ჯვარი). რესპ.: „გლეხებმა დათესეს ღომი. აფაქიძეებმა მოინდომეს მათი გადარეკვა. მოხდა „ლგმა“. გაიმარჯვეს გლეხებმა“. იხ. ნალმა კონკი.

**ნამალამ(გ)/ნამალან(გ)** – ფერდობები ნამალამღალის ზემოთში. ეს ადგილები მალანიების ნასახლარად ითვლება (ჯალირა). ფონეტიკური პროცესი: მალანია ნამალან ნამალამ (მ-ნ მ-მ).

**ნამალამღალ(გ)/ნამალანღალ(გ)** – ღელე, კინესქურის მარცხ. შენაკადი, გაედინება ნამალამში (ჯალირა).

**ნამალან(გ)** – ფერდობი. იგივე **ნამალამ(გ)**. (ჯალირა).

**ნამალანღალ(გ)** – ღელე. იგივე ნამალამღალე (ჯალირა).

**ნამანდარინ(უ)** – ესქედას ფერდობი ოლორის მარჯვ. ნაპირას (ფახულანი).

**ნამანდარინ(გ)/** – 1. ტყე ოქაჯელალის სათავესთან, სადაც ერთ დროს მანდარინი გაუშენებიათ (საჩინო); 2. სახნავი ლეფიფიეში, ნარსსა და ნაფაცხეს შუა (კუხეში); 3. ბუჩქნარი ხუმათიაში, მახასქურის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე (მუჟავა); 4. სახნავი ლეაფშილეში (ნაკიფუ); 5. საბალახო ფერდობი ლეგვილეში (ნაგურუ) და სხვ. მრ. ნამანდარინ ის ადგილია, სადაც ერთ დროს მანდარინი იყო გაშენებული. ტოპონიმი ნამანდარინგ ზოგ სოფელში ორგანაც კი გვხვდება.

**ნამან(ოუ)** ( ომანე „ნადირის ბუნავი“) – ტყე-ფერდობი ბულგას კალთაზე, ღულა ღანჩოს გვერდით, სადაც ბევრია მაჩვის სორო (ნაშამგუ).

**ნამანუ** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარითა და საძოვრით ოლორის ხეობაში (ფახულანი). შესაძლოა, ტოპონიმისათვის ამოსავალი იყოს გვარი მანია ( ნამანუ) ან ლექსემა ომანე ( ნაომანუ ნამანუ).

**ნამანცხვარი(ია)** ( მანცხვარი „მაცხოვარი“) – უბანი ლეფონჯარას ნაპირას, სადაც ერთ მცირე ბორცვზე ეკლესიის ნაშთია. აქვეა ძველი სამარხები, სადაც ადამიანთა ძვლებიც ჩანს (ნალენჯიხა).

**ნამარაკ(ე)** – 1. სახნავი საგერგედაში, ფერდობზე. კონტექსტი: „ნამარაკს ბხარქენქე ყვანას“ (ფახულანი); 2. დავაკება ნამალამთან, სადაც მდგარა **მარაკა** – თხის დასამწყვდევი ნაგებობა (ჯალირა).

**ნამარანგ** „ნამარნევი“ – ბუჩქნარი სახარჩილოში, დავაკებასთან, ნაქვათუს ქვემოთ (ჯალირა).

**ნამარუ** (ნაკვირალი) — ადგ., სათ. ორჯონიკიძის სს, ნალენჯიხის რ. (ლლონტი, 1971, გვ. 75).

**ნამარულ(უ)** – ვაკე, ჩაის ფართობი ლეძაძამეში, ქკადუაშის საზღვართან, სადაც უნინ მარულა და სხვა სპორტული თამაშობანი იმართებოდა (პ. ენერი).

**ნამატკუ** – ბორცვი ნაპერტუსა და ოტოფუეს შუა. ითვლება მატკავეების ნასახლარად (ფუქი). საქართველოში 713 სული მატკავაა დადასტურებული (1995 წლის მონაცემებით). რესპ.: „მატკავეები წარმოშობით არიან მანკავეები, თურქები“. სამეგრელოში თურქებად ლაზებსაც მოიხსენიებენ.

**ნამალაზ(ე)** – ტყე-ბორცვი ოხვილსუკსა და ჩერსუკს შუა (ნაკიფუ). მალაზა „სასიმინდე, ნალია“ ძველ დროს ყანაშივე იგებოდა. ი. ყიფშიძეც აღნიშნავს: „მალაზა “

**ნამალაზ(ე)/ზიქტორიმ ნამალაზ(ე)** – სახნავი ნაწულუში, ტარჩიას მარჯვ. ნაპირას. მალაზა „სასიმინდე“ ყანაში ედგათ (სამესხიო).

**ნამალაზ(ე)/ტულუმ ნოხორი** – სახნავი სოფლის სამხრ. ნაწილში. დგას დანგრეული სასიმინდე, ტულუ არქანიას ნასახლარია (ნაგურუ).

**ნამალაზგში სუკი** – ბორცვი ლეჟაში, გგნძე სუკის განშტოება (ნაკიფუ).

**ნამაშინ(უ)** – დავაკება ენგურის მარჯვ. მხარეს, ფურაში (ხუდონის სატყეო). უნინ აქ მდგარა სახერხი ქარხანა. მაშინას ( რუს.: ) სწორედ მას უწოდებდნენ. შდრ. ნაზავოდ(ე). (შდრ. **მაშინა** მეგრულში მანქანასაც აღნიშნავს, მაგრამ აქ სამანქანო გზა არასოდეს ყოფილა).

**ნამაჭკადუ//ნაოჭკადგრ(ე)** – ბორცვი ჭანისწყალსა და ჯალრალაღს შუა, სადაც ბევრგან ყრია კინანინდა, ე.ი. რკინის ნიდა (ჯალირა). **მაჭკადე** „მჭედელი“; **ოჭკადგრე** „სამჭედლო“, თუმცა აღარავის ახსოვს, აქ სამჭედლო თუ იყო.

**ნამესხუ** ( მესხია) – ტყე-ფერდობი სამიქაოში, ლაჩახვას სათავესთან (ფუქი).

**ნამეშხურუ** ( მემეხურე „მეცხვარე“) – მინდორი ერთიშში. რესპ.: „ძველი სახელია, ახლა ეწოდება **ნაზავოდ(ე)**“ (ჭალეს სატყეო).

**ნამეჩხომუ** – მინდორი მაგანას ნაპირას (ლექარდე). ღამე აქ იბანაკებდნენ მეთევზეები და თევზაობდნენ. **მეჩხომე** „მეთევზე“ ნამეჩხომუ „ადგილი, სადაც მეთევზენი იყრიდნენ თავს“.

**ნამეხწყონი** „ნამეხარი მუხა“ – ტყე, მინდორი ლეცინდეში, კინესქურის მარცხ. ნაპირას. ამჟამად აქ მუხა არ დგას (ნაკიფუ).

**ნამეჯოგე** – სერი, საძოვარი მაგანა-ჯარალას წყალგამყოფზე. მთავრდება ბორცვით „ნამეჯოგეში კუდელი“ (მაგანას სატყეო, სქურის სატყეო). **მეჯოგე** „ჯოგის მფლობელი“.

**ნამეჯოგეში კუდელი** – ბორცვი, ნამეჯოგის კუდი ჯარალასა და მაგანას შესართავთან (მაგანას სატყეო).

**ნამინჯალუ** – ბორცვი საკაკაჩიოში, ხუფინას მარჯვ. მხარეს, მისარონსუკის აღმ-ით, სადაც, გადმოცემით, ოდესღაც გვარად მინჯარაიას თუ მინჯაიას უცხოვრია (სამესხიო, ობუჯი).

**ნამ(ი)ქოუ** – ვაკე-ბორცვი. იგივე **ნამიქუ** (ჩქვალერი).

**ნამიქუ//ნამ(ი)ქოუ** – ვაკე-ბორცვი ლემეროზეში, გენძე ბულთან, ოყაყალუს მარცხ. ნაპირას. უნინ გვარად მიქავას სამოსახლო ყოფილა, აჟამად საკარმიდამოებია (ჩქვალერი).

**ნამკოლუ** ( მიკოლავა) – ბუჩქნარი ვე(ი)ჯინჯსა და ოლაკვეს შუა, მალლობზე. მიკოლავას (ოფიც. ვარიანტი: ნიკოლავა) აქ ყანა ჰქონია (საჩინო). ნიკოლავა მცირერიცხოვანი გვარია (249 სული). პირსახელ ნიკოლა-საგანაა წარმოქმნილი გვარები: ნიკოლავა, ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლეიშვილი.

**ნამოსინუ** – ბორცვი ნაპერტულალის სათავესთან, ჯგალისა და მაზანდარას საზღვარზე (ფუქი). **მოსინა** გვარია, იგივე მოსიძე.

**ნამსარჩულ(ე)** – სახნავი საქებურიოში, კინესქურის მარცხ. მხარეს (ჯალირა).

**ნამუხუტუ** – სამზიანო ფერდობი ნემელალის მარცხ. მხარეს (ფახულანი). **მუხუტო** იგივე მუხუდოა.

**ნამქელუ//ნანქელუ** – ბორცვი ხუფინასა და ლაფთარას შუა, საფიფიოში. მიქელიას ნასახლარად ითვლება (ობუჯი). გვარი მიქელია დღევანდელ საქართველოში არ დასტურდება, მაგრამ XVII ს. I მეოთხედის საეკლესიო საბუთში დასახელებულნი არიან სოფ. ობუჯში მცხოვრები მიქელიები. ნამქელუ მათი ნასახლარი ჩანს. ნა- პრეფიქსის დართვის შედეგად ამოვარდნილია ანთროპონიმული ფუძის **ი** ხმოვანი.

**ნამქოუ** – ვაკე-ბორცვი. იგივე **ნამიქუ** (ნაგურუ).

**ნანაჩვა** – მინდორი. იგივე **ნანეჩვა** (მაგანას სატყეო).

**ნანაჩხე//ნანისქვილგ** – ნანისქვილარი ნკვიბლალზე, ლელვინჯილემ სუკის ქვემოთ. აქ ყოფილა **ნაჩხე** – მცირე ჯებირი ნისქვილის არხის სათავესთან. სავარაუდოა: ნაჩხა ნანაჩხე ნანაჩხე (ლეჯოლიხე).

**ნანგურუ** – ჩაის ფართობი ლეგაბელეში (ნაკიფუ). აქ აგურისა და ქვევრის გამოწვა ხდებოდა. მაშასადამე: ნანგურუ ნანგურუ.

**ნანდულ პალური** „ნამდვილი პალური“ – სოფლის სამხრ. ნაწილი. პალ(ო)ური თავდაპირველად სწორედ აქ ერქვა. აქვეა **ნაკარდამ** (პალური).

**ნანეჩვა//ნანაჩვა** – გრძელი და დაბალი ქედი, რაც მაგანაში ჩადის მენჯფოქვას დასით. აქ ყავარს ამზადებდნენ (მაგანას სატყეო).

**ნანკირეში** ( ნაონკირეში) – 1. ტაფობი, ბუჩქნარი კერცხასა და სააქბარდოს შუა (ჯვარი); 2. ბუჩქნარი, ტაფობი მახასქურის ზედა წელზე, საარქანიოში (მუჟავა); 3. თეთრი ქვა, კლდოვანი ფერდობი ჯალირალალის მარჯვ. მხარეს (ჯალირა); 4. საძოვარი ბზაკალონში, ლურჯიამ ტობას ზემოთ (ნაშამგუ) და სხვ.

**ნანკ(ი)რეში** – ფერდობი. იგივე **ნაკრეში** (ჯალირა).

**ნანკირეშიმ წყურგილი** – წყარო ნაონკირეში. რესპ.: „ხვიმამ გვიმი ინოდგდგ დო ირკორი ათაქიან წყარს შუნდუ“ (ჯვარი).

**ნანკირ(ე)** ( ნაონკირ ონკირე „საკირე“) – მორევი ერისწყალზე, ფარტობასთან, სადაც საკირის ორმოსათვის მდინარეს გადაუვლია და მორევი დარჩენილა (ქალაღალი).

**ნანოური** – მინდორი ლაბაღვასა და ისნათიას შუა (მაგანის სატყეო). ამოსავალი უნდა იყოს გვარი ნანავა ან საზოგადო სახელი ნანია „ნალია“ (აღნიშნავს სასიმინდესაც და ქართაში წვიმისგან თავდასაცავად აგებულ ფარდულსაც). მეგრულში -ურ სუფიქსი გამოხატავს, რომ სახელდებული ობიექტი ეკუთვნოდა (ან ეკუთვნის) ფუძით გამოხატულ პიროვნებას. მაშასადამე ნანავა ნანა-ური ნანოური.

**ნანოხორ(ე)//კოსტამ ლულეფი** – ნასახლარი უსქერაფლალის ხეობაში (ნალენჯიხა). **ნოხორი, ნანოხორი** „ნასახლარი“. **ლული** „ლელვი“. კოსტა პირსახელია.

**ნანტყოლა** – ჩადაბლებული ადგილი ხენწკერში, სადაც ძველად გარეული ღორების სალაფაო ყოფილა (ფახულანი). **ნტყოლუა** „ტოპვა ლაფში, საფლობში“ **ნანტყოლა** „ლაფში ნადები“, ნალაფარი“ (ალ. ქობალია).

**ნანქელუ** – ბორცვი. იგივე ნამქელუ (ობუჯი).

**ნანწყვი** „ნამენყრი, ჩამონამენყრი“ – 1. ტყე-ფერდობი მოროჟას მარცხ. მხარეს (ჩქვალერი); 2. კარსტული ორმო საქებურიოში (ჯალირა); 3. ტყე-ხეობა ერისწყლის მარცხ.

ნაპირას (ქალაღალი); 4. ტაფობი ოლორის მარჯვ. ნაპირას, სალი კლდის ქვემოთ. აქ ყრია ზემოდან გაგორებული უზარმაზარი ლოდები (ნაშამგუ); 5. ფერდობი ცხონოხორში. აქედან გაედინება ოხარჩალაია და ერთვის ჩხაპიაღალს (ფახულანი) და სხვ. **ნწყულა** „ჩაქცევა, დაქცევა, ჩაძირვა, დამენყრვა“ ნანწყვი „ნამენყრი, ჩამონაქცევი, ჩაქცეული“.

**ნა(ნ)წყუ** — ჭისებური ორმო. იგივე ნონწყვი (ლეჯოლიხე).

**ნანჯარუ** — ვაკე-სერი, უბანი ულურიანყარსა და ოტოფუეს შუა, სამმხრივ უვლის კვარჩხიღალი (ნაკიფუ). უბანს, სოფელს, ჩვეულებრივ, ამორჩეული ჰქონდა ადგილი, სადაც ტარდებოდა **ჯარობა, ჯარალა, (ნ)ჯარალუა** „მასობრივი ხალხური თამაშობა, გართობა, სიმღერა, ცეკვა-თამაში, რელიგიური დღესასწაული“. ამ ადგილთაგან ზოგს შერჩა სახელი ნანჯარუ, ზოგსაც — ოჯარიეში, ზოგს კიდეც — ოსხაპუე და ა.შ. შდრ. რესპ.: „თურქეთის თუ რუსეთის ჯარი ყოფილა დაბანაკებული. ამიტომ დარქმევი“. აღ. ლლონტის მიერ ნაკიფუში ჩანერილი **ნანჭარუ** კალმის(ან ბეჭდვის) შეცდომაა.

**ნანჯოლ(გ)** ( (ნ)ჯოლა „სათრეველა“) — ნაგზაური ლიარსანეს ხეობის აღმ. ფერდობზე (ნალენჯიხა). ამ გზით გამოჰქონდათ ხე-ტყე, რისთვისაც იყენებდნენ **(ნ)ჯოლას**. ესაა ჭაპანი (ღვლერჭი ან ჯაჭვი), რომლითაც წასათრევი ხე გამოებმებოდა უღელს. შდრ. ო. ქაჯაია: „**ჯოლა//ჯოლო** — სათრიელი; სათრეველა; მთიდან ხეების ჩამოსათრევი ღვლერჭი; ხის სათრევი მსხვილი ჯაჭვი“. აღ. ქობალია: „**ნჯოლა, ჯოლა** — მძლავრი, მსხვილი ჯაჭვი ტვირთის სათრევადა; სათრიელი; ტვირთი“.

**ნანჯორ(გ)** ( ჯორი) — გზა ჭითაგვალაში (მაგანას სატყეო, სქურის სატყეო). ამ გზით მწყემსებს გადაჰყავდათ საქონელი მაგანის ზემოთიდან და სქურიდან ხობისწყლის ზემოთში. მაგრამ კლდეებს შორის ცუდი გასასვლელია, ცხენი ვერ გაივლიდა და ტვირთი ჯორით გადაჰქონდათ.

**ნაობინახ(გ)** — ჩაის ფართობი ნორსელიაში (ფახულანი). **ობინახე** „ვენახი“ **ნაობინახ(გ)** „ნავენახარი“.

**ნაობინეხ(გ)** „ნავენახარი“ — 1. საძოვარი ფერდობზე, ლეიჩიეში (კუხეში); 2. ჩაის ფართობი შუა მაზანდარაში, სადაც უნინ ვენახი ყოფილა გაშენებული (მაზანდარა) და სხვ. **ბინეხი** „ვაზი“ ობინახე „ვენახი“ ნაობინეხ(გ).

**ნაოისგრე** ( ოისგრე „საისლე“) — ბუჩქნარი ლექარდეში, ნანიორას ნაპირებზე (პ. ენერი).

**ნაოლორე** — ოლორის ძველი კალაპოტი. მდინარე არხით შეუერთეს ენგურს ფახულანის ცენტრთან (წყოუში).

**ნაონკირეში** ( ონკირეში „საკირე“) — ფერდობი საქაროს კალთაზე, ჩექუას გვერდით, სადაც მოიპოვებდნენ საკირე ქვას (ენერფერდი).

**ნაო(ნ)კირეში** — თეთრი კლდე ლურჯიამ ტობასთან (ნაშამგუ).

**ნ(ა)ონკირეში** — თხმელნარი ჭანისწყლის მარჯვ. ჭალასა და ფერდობზე. აქვე ერთვის ჭანისწყალს ნ(ა)ონკირეშლალე (ლესალე).

**ნა(ო)ონკირეში** — საძოვარი კერცხსა და ლექანთარეს შუა (ჯვარი).

**ნ(ა)ონკირეშლალ(გ)** — ღელე, ჭანისწყლის შენაკადი. იხ. **ნ(ა)ონკირეში** (ლესალე).

**ნა(ო)რაგუ** ( ორაგვე) — ტყე-ფერდობები ქუანწყილსა და ტობემს შუა (ნაგურუ); ორაგვე არის ადგილი, სადაც დგამდნენ რაგვს — ნადირის დასაჭერ მახეს. მაშასადამე, რაგვი ორაგვე ნაორაგუ ნარაგუ.

**ნაორტვინ(გ)** „ნაბოსტნარი“ — 1. სახნავი ტახილში (ლახარჩილე); 2. ბუჩქნარი ნახვამენის გვერდით (ფახულანი) და სხვ. აღ. ქობალია: „**ორტვინი, ორტვილი** — მტილი, ბოსტანი“.

**ნაოსქე** ( ოსქე „სალორე“) — 1. ტყე ბარხაში, ბზაკალგეშალის დას-ით, სამშიამ ნასოფას გვერდით (ჯვარის სატყეო); 2. ბორცვი ლეჯიორში, დიდი ტებენეს მარჯვ. მხარეს. ვარ.: **თფფე**. რესპ.: „ტყარი ლეჯეფიში თფფე ცოფე თაქი“. თფფე ის ადგილია, სადაც ღამით თავს იყრის საქონელი (ფახულანი); 3. ტყე ოხარჩუეს კალთაზე, ყალიშს ზემოთ (ჭალეს სატყეო) და სხვ.

**ნაოსქლალ(გ)** — ერთიშწყარის მდგენელი (ჭალეს სატყეო).

**ნა(ო)სხაპუ** ( ოსხაპუე) – ვაკე-ბორცვი ზედა ლეჟაში. აქ იმართებოდა „შაყარუა“, „ჯარობა“, რასაც თან სდევდა **სხაპუა** – ცეკვა-თამაში, გართობა (ნაკიფუ). შდრ. ო. ქაჯაია: „**სხაპუა** – ა. ცეკვა; ბ. გადახტომა“. ალ. ქობალია: „**ოსხაპუე** – საცეკვაო ადგილი, ჯარობა“.

**ნაოფთერ(გ)** – კუნძული ენგურზე, შქა ლიაში, მიშახონთან. გამოყენებული იყო საქონლის საძოვრად, მეტივეთა გადასალამებლად, როცა კი შეერთებული იყო ნაპირთან (ლია). სავარაუდოა: აფთერა (იხ. აფთარა) ო(ა)ფთერე ნაოფთერ(გ).

**ნაოლუმუ** ( ოლუმე) – საძოვარი ჩხაპელკის კალთაზე, ჭუჭუმ რზენის გვერდით. მზისკენ მიქცეული ფერდობია, სადაც უნინ ითესებოდა ლუმუ, ე.ი. ღომის მარცვალი, ჩხვე-რი; ფეტვი (ენერფერდი). კონტექსტი: „საქონელი მიკორე ნაოლუმუს დო იდიარს“. ლუმუ (მცენარე ღომი) ოლუმუ „სალომე“ (ღომის ყანა) ნაოლუმუ „ნალომარი; სადაც ღომი ეთესა“.

**ნაოშხვარუ** – ღელე-ხეობა. იგივე **ნა(ო)ჩხვარუ** (სამესხიო).

**ნა(ო)ჩხვარუ//ნაოშხვარუ** – ტარჩიას მდგენელი და მისი ხეობა. სათავეა ელისპირიმ წყურგილი (სამესხიო). ამ ღელეზე ყოფილა გამართული ოჩხვარუე – ფეტვის („ჩხვერი“) საცხები“ ( ჩხვარუა „ლენვა; ცეხვა“). ალ. ქობალია: „**ოჩხვარუე** – საცხებელი ადგილი“.

**ნაოჩე** – ვაკე-სათიბი ზაკალონღალის მარჯვ. ნაპირას, ლეტონას ჩრდ. ნაწილში (მაზანდარა). რესპ.: „დადიანს აქ ნადისათვის ოჩი „ვაცი“ დაუკლავს“; ცრუმოტივაცია: ნაოჩე ნავაცარია. გ. ელიავას „განმარტება“ ასეთია: „**ოჩე** – სათეთრო“. სინამდვილეში კი უნინ აქ ყოფილა **ოჩე** „ფართო ყანა; დადიანის ყანა“. ალ. ლლონტი: „ნაოჩე – სათ. ნალენჯიხაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 75). ალ. ქობალია: „**ოჩე** – ნათეს-ნარგაობა, ცენების ადგილი; დიდი, 5-6 ქცევა ყანა, ხოდაბუნი, დიდი და ნაყოფიერი ადგილი; ძველად უხუცესის კუთვნილი მიწა, საუფროსო, საუხუცესო“. მაზანდარელი რესპოდენტისეული განმარტება: „უნინ აქ ადგილს ერქვა ოჩე, ე.ი. ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი“. იხ. აგრეთვე: 1. „**მიმომხილველი**“, 6-9, გვ. 529-530; 2. ცხადაია, ოჩე – აპელატივი და ტოპონიმი, 2010, გვ. 356-371. **ნაოჭკადრე//ნაოჭკადური** ( ოჭკადრე „სამჭედლო“) – დავაკება ლებლეში. იშვიათი ვარიანტია „სოლომონიმ ნაოჭკადრე“ (ფახულანი).

**ნაოჭკადური** – დავაკება. იგივე ნაოჭკადრე (ფახულანი).

**ნა(ო)ჭკადგრ** ( ოჭკადგრე) – 1. მინდორი ინჭირიშსა და ქალიშს შუა (ჭალეს სატყეო); 2. მინდორი კელის მარჯვ. მხარეს (წყოუში) და სხვ.

**ნაოჭკადგრე//სოლომონიმ ნაოჭკადგრე** – მინდორი ბორცვზე, ლებლეში (ფახულანი).

**ნაოჭკადგრი** – მინდორი. იგივე ნაჭკადური (წყოუში).

**ნაოჭკადგრე** ( ოჭკადგრე „სამჭედლო“) – 1. ჩაის ფართობი ლეაფშილეში (ნაკიფუ); 2. სერი ლეიჩიეში (კუხეში); 3. მინდორი ბორცვის თავზე, კელის მარჯვ. ნაპირას (წყოუში) და სხვ.

**ნაოჭკადგრეში მიკაცვენჯი** „გზა, რომელიც ნაოჭკადგრს მიუყვება“ – ერქვა მწყემსთა გზას ნაოჭკადგრიდან ქალიშამდე (ჭალეს სატყეო). **მიკაცვენჯი** ის ბილიკია, რომელიც ირიბად მიუყვება მთისძირს, მდინარისპირს ან კლდეს. **მიკაცვენჯი** არაა დაფიქსირებული მეგრულ ლექსიკონებში.

**ნაოჭკადგრეში ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლეაფშილეში. რესპ.: „ამ ადგილას სამჭედლო მართლაც რომ იდგა, ამას ადასტურებს აქ დარჩენილი **კინანინდა** „რკინის ნიდა“ (ნაკიფუ).

**ნაოჭნახ(გ)** ( ოჭნახე „სანნახელი“) – ტყე ოლორის მარცხ. მხარეს, სადაც მუხის სანნახლებს თლიდნენ (მუჟავა). ქართ. წნეხვა//წნეხა „წურვა (ყურძნის); სა-წნახ-ელ-ი : მეგრ. ჭინახ-უა „წნეხვა“ ო-ჭინახ-ე ოჭნახე (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 671).

**ნაოხვამ(გ)** „ნაეკლესიარი“ – 1. დავაკება დიდაქირსას კალთაზე (ლია); 2. ბორცვი ლემოსიძეში. აქ მდგარა ხის ეკლესია, სადაც ესვენა ღვინჯილიების, კვარაცხელიების, ჯოლოხავებისა და მოსიძეების სალოცავი ხატები – მანცხვარი და წმინდა ბარბაღე. გასული



საუკუნის 30-იან წლებში ეს ეკლესია დაშალეს და მისი მასალით სოფლის ცენტრში სკოლა ააშენეს (ფუქი); 3. ნასაყდრალი, სასაფლაო ჯალრალისა და ჭანისწყლის წყალგამყოფი სერის ჩრდ-ით მდებარე მაღალ გორაზე. მოჩანს ძველი გალავნის ფრაგმენტები (ჯალირა); 4. სასაფლაო, ნასაყდრალი ბირგულამისა და კვარჩხილალის წყალგამყოფ სერზე. მოსწრებთან, რომ აქ ხის ეკლესია იდგა (ნაკიფუ); 5. სასაფლაო ლეზოხუეში, ბორცვის თავზე (კუხეში) და სხვ. მრ.

**ნა(ო)ხვამ//ჭიჭე ოხვამე** – ნაეკლესიარი ცანაშში, ძვაძვალამ სუკზე. 1924-25 წლებში ხალხის მოთხოვნითა და მთავრობის ნებართვით აქაურმა მორწმუნეებმა **ჭიჭე ოხვამე** „პატარა სამლოცველო“ ააგეს (დიდ ოხვამეს დიდ სოფლებში აგებდნენ). იგი ქარმა დაანგრია. სოფელმა გადაწყვიტა, ღმერთს, არ უნდაო და არ განუახლებიათ (ქალაღალი).

**ნა(ო)ხვამენი** ( ოხვამე) – ტყე-ხეობა ერთიშსა და ხულუყვას შუა, ტებენეს სათავესთან. ტოპონიმი წარმოქმნილია ნა – ენ პრეფიქს-სუფიქსით (ჭალეს სატყეო).

**ნაოხვამ(ერი)** – სასაფლაო მახარისა და უჩაღალს შუა (პალური). აქ იდგა წმ. გიორგის ეკლესია. ეკუთვნოდა სამ გვარს – ფიფიებს, მეზონიებსა და კუხალიევილებს, ეს უკანასკნელი გვარი კინჩხადან ჩამოსულა საცხოვრებლად. დათვია კუხალიევილს სწორედ ამ ადგილას დაუსვამს ჯვარი და აქვე საყდარიც აუშენებია. ეკლესია საბჭოთა პერიოდში დაუნგრევიათ. ტოპონიმი წარმოიქმნა ნა – ერ კონფიქსით (პალური).

**ნაოხვამკლასი** – მინდორი. იგივე **ჩე(ლა)კლასი** (პ. ენერი).

**ნაოხვამუ** – 1. ნასაყდრალი თარზენში (სქურის სატყეო); 2. ბორცვი ულურიანყარის მარჯვ. მხარეს. შემორჩენილია გალავნის საძირკველი. რესპ.: „გადმოცემით, აქ მდგარა მუხის მორებით აშენებული ეკლესია, მაგრამ მისი ნაშთიც არ ჩანს“ (ულურია). 3. სასაფლაო მისარონსუკზე. რესპ.: „ჩვენს ძველებსაც კი არაფერი სმენიათ იმის თაობაზე, იყო თუ არა აქ სალოცავი“ (სამესხიო); 4. სასაფლაო ლეჩიქვანეში. უნინ აქ ეკლესია მდგარა (ნაგურუ); 5. მინდორი ნასაბუს გორაზე. აქ დგას ძველთაძველი ცაცხვი, სადაც ქალები ახლაც ამოდიან, აანთებენ სანთელს, დაყრიან ხურდა ფულს (წალენჯიხა) და სხვ. მრ.

**ნაოხვამ(უ)** – 1. ბორცვი ქვედა ლეჟაში, შემალღებაზე. გადმოცემით, აქ თურქებთან ომში დაღუპულები დაუმარხავთ და ამიტომ ეწოდება ნაოხვამ(უ) (ნაკიფუ); 2. ნასაყდრალი, სასაფლაო ლეციმინტიეში. მდგარა ხის ეკლესია (პ. ენერი) და სხვ. მრ.

**ნა(ო)ხვამუ** – 1. სასაფლაო ოტოფუესა და ლაჩახვას წყალგამყოფზე, სამიქაოში. გადმოცემით, აქ ყოფილა ეგვიპტისა და აბშილავების სალოცავი „ჯინჯიხატი“. აფშილავების შთამომავლები დღესაც მოდიან აქ მოსალოცავად (ფუქი); 2. ბორცვი ჯიხასა და სალაფერდს შუა. გადმოცემით, ძველად აქ სალოცავიც ყოფილა და სასაფლაოც (ლესალე); 3. ძველი სასაფლაო მაღალი ბორცვის თავზე, ლეჩიეში (კუხეში) და სხვ.

**ნაოხვამუ//ლემოსიქუ ნაოხვამუ** – ნასაყდრალი, სასაფლაო ლემოსიქეს უბანში, კვიციანიშ გას ჩრდ-ით. აქ ჯვარმიჭედებული ჭადარი დგას. აქვე იდგა ხის ეკლესია მანცხვარხატითა და წმინდა გიორგის ხატით. აქ სალოცავად მოდიოდნენ მოსიძეები, ღვინჯილიები, კვარაცხელიები, ჯოლოსხავეები. შესაწირავი იყო თიკანი (ფუქი).

**ნაოხვამუშ კლასი//ჩე(ლა)კლასი** – ერქვა სკოლას ლეციმინტიეში. XX ს-ს 30-იან წლებში აქ ეკლესია დაანგრეს და მისი ფიცრით ააგეს შვიდწლიანი სკოლა. რესპ.: „ეკლესია თეთრად იყო შეღებილი და გადახურული იყო თეთრი ცინკით (თუნუქით)“. ჩელა „თეთრი“ (საჩინო).

**ნაოხვამუშ სუკი** – ბორცვი. იგივე **ლეჩიეშ სუკი** (კუხეში).

**ნაპაპუუ** – სერი. იხ. **ჯეგეფაცხა** (ფუქი).

**ნაპატიმარი//პატიმრეფიშ ნაკარგ** – მინდორი ლაყორიასთან (სქურის სატყეო). რესპ.: „პატიმრებს ამუშავებდნენ ჩელალის ხეობაში და აქ სადგომი ჰქონდათ“.

**ნაპერტუ** ( პერტაია) – ხეობა სამიქაოში. დიდი ხნის წინათ აქ პერტაიებს უცხოვრიათ (ფუქი, მაზანდარა).

**ნაპერტულალე** – ლეფონჯარას მთავარი მდგენელი. გაედინება ნაპერტუდან (მაზანდარა, ფუქი).

**ნაპერტუშ ტყა** – ტყე ნაპერტუში (მაზანდარა).

**ნარაგუ** ( რაგვი „მახე, ხაფანგი“) – 1. ყოფილი დასახლ. უბანი, ხეობა და ქალაქ-ლის მარჯვ. მდგენელი. აქაურ მცხოვრებლებს უწოდებდნენ ნარაგვალევს. უწინ უღრანი ტყე ყოფილა. რესპ. ნ. გოგობია: „ნანწყვი რე დო რაგვაფუნია ირფელი ართიანს, აკონთხა-ფენია დო აკონწყენია. ეთიშენ ჯოხონია ნარაგუ, თქუანდეს ჯვეშეფი, მარა მა მობჭიმა-ფუქუნე, თეჟი ირფელი დონწყილი რდჷ“. სხვათა შორის, **რაგვაფი** მართლაც შეჯახებას და დაჯახებას აღნიშნავს. რესპ. ბ. გოგობია: „რაგვი გინოდგენა ჯვეშო დო თითგ ნოჭოფუნა თუნთის, ირემს“. რესპ. ი. გერგედავა: „აქ, უღრან ტყეში, მდგარა რაგვი – მცირე ჯარგვა-ლი: ნადირი შევიდოდა, მისწვდებოდა ჭერზე ჩამოკიდებულ სატყუარას, კარი დაიკეცებო-და და ემწყედოდა“ (ქალაღალი); 2. ბორცვი საქუთელიოში, ხუფინასა და სქურდილას შუა (ობუჯი); 3. სერი. ჩამოჰყვება ტობეშიდან ქუანწყილამდე (ნაგურუ) და სხვ. აღ. ქობალია: „**რაგვი** – ხაფანგი, დანახსლეტი, მახე, კაკანათი; სარეგვაგი; ჯებირი, ლობე“.

**ნარაგუმ წყარი** – ღელე. გაედინება ნარაგუდან და ერთვის ქალაღალს (ფახულანი).

**ნარატუ** – ფერდობები სახარჩილოში, ჭანისწყლის მარცხ. მხარეს. რატიას თუ რატი-ანის ნასახლარად ითვლება. გვარი რატია დასახელებულია XVI ს-ის საეკლესიო საბუთში (ქსძ, III, გვ. 449). რატი სამეგრელოში გავრცელებული სახელია, მაგრამ გვარსახელი რატია შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სვანურ რატიანთან. შდრ.: რატიშვილი, რატიამშვილი (ჯალირა). მ. ჩუხუა: რატია მეგრულია, ხოლო -იან-ი – ქართულია, სვანური ვერ იქნება, ვი-ნაიდან მეგრულს 2000-წლიანი უშუალო კონტაქტი აქვს ქართულთან, რაც იმას ადასტურებს, რომ -იან-ი -ია მეგრულის ნიადაგზე მოხდა, სვანურის გარეშე.

**ნარზენა//ნარზენი//ნარზენუ** „მონავაკები“ – ვაკე-შემალღება გგნძე სამესხიოში, ტარჩიას მარჯვ. მხარეს, სადაც ფერდობი ჩამომენწყრილა და ადგილი მოუვაკებია (სამეს-ხიო). რზენუა „მოვაკება“.

**ნარზენი** – ვაკე. იგივე ნარზენა (სამესხიო).

**ნარზენუ** – ვაკე. იგივე ნარზენა (სამესხიო).

**ნა(რ)ზგმაკორჩუ** – უბანი. იგივე ნაზმაკორჩუ (ფუქი).

**ნარიკუ** – ვაკე, ჩაის ფართობი ნაპერტულალის მარცხ. მხარეს, სადაც რიკის (რიკ-ტაფელას) სათამაშო ადგილი ჰქონიათ (მაზანდარა). **რიკუა** „რიკაობა, რიკითა და ტაფე-ლათი თამაში“ ნარიკუ (იხ. დანვრილებითი აღწერა რიკაობისა: ქაჯაია, II, გვ. 527). შდრ. „**ნარიკუ** – ადგ. ნალენჯიხაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 75).

**ნარსი** – მაღალი გორა ნოჟალასა და ქორსუს წყალგამყოფზე, მეფორიას სათავეს-თან, ლეფიფიეში (კუხეში, ნაგურუ). **ნარსი//ნარცი** „უვარგისი, გამოფიტული მინა“ (ო. ქა-ჯაია იშველიებს ჩვენეულ განმარტებას). აღ. ქობალია: „**ნარცი** – გამოფიტული, უნაყოფო მინა“.

**ნარტიახე** – საძოვარი თხუმლონღალის სათავესთან (სქურის სატყეო). რესპ.: „ხე ნიშნავს უიღბლოს. აქ კანთელი ნარტია (ნატრია) კვარაცხელია იდგა. ამიტომ დარქმევია ნარტიახე“; „ნარტიამ საქონლის გამტაცებელ სვანებთან შეტაკებაში ერთი ხელი დაკარგა და ამიტომაც ნარტიახე შეერქვა“. -ხე, ჩვეულებრივ, ემატება გათხოვილი ქალის გვარს. აღ. ქობალია: „ხე – ხელი, სახელური... ქალის გვარის მანარმოებელი სუფიქსი...“ (იხ. ვრცლად: ქაჯაია, III, გვ. 526-527).

**ნარუს(გ)** „ნარუსალი“ – ტყე და შურო მოროჟას მარჯვ. მხარეს. შურო მოემართება ნოყუჯინიდან (ჯვარის სატყეო). რესპ.: „ეს გზა სამხედროებს გაუჭრიათ. სამხედროები კი რუსები იყვნენ“.

**ნარნუბელუ** – ბორცვი. იგივე ნარნუბელუ (ნაკიფუ).

**ნა(რ)ნულუ//ნაწილუ** – ვაკე-ფერდობები, ტარჩიას ხეობის ნაწილი საკონჯარიოში (სამესხიო). გადმოცემით, აქ წულაიები ესახლნენ. წილაია ამ გვარის ადგილობრივი (არაო-ფიციალური) ვარიანტია. სხვა გადმოცემა: **წუ** არის „სელი“, ხოლო **წული** „წვრილი; ყრმა, მოზარდი“.

**ნასაბუ//ნაცაბუ** – გორა ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, სადაც უცხოვრია საბა კალან-დიას (ნალენჯიხა). ა. შანავას მონათხრობი ლეგენდა: „სვანეთიდან მობრუნებულ თამარ მეფეს სამეგრელო მოსწონებია და აქ ეკლესიის აგება განუზრახავს. ხარისა და ფურისათ-

ვის დაუთხრიათ თვალები. ხარი ამ ნაცაბუზე უნახავთ, ხოლო ფური – მოშორებით. თამარ მეფეს უპირატესობა ფურისათვის მიუნიჭებია. წაღენჯიხის მაცხოვრის ეკლესია სწორედ ამ ადგილას აუშენებიათ“.

**ნასანდარუ//ნაცანდარუ** – ბორცვი ხუფინასა და ლაფთარას წყალგამყოფზე (ობუჯი). **ცანდარია//სანდარია** გვარი ჩანს: ცანდარია **ცანდარი** (მეტსახელი) „მარდად სიარული მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით“. შდრ. აღ. ქობალია: „**ცანდალი** – ციდას, ციცქნას სიარული; კინკილი და სწრაფი ნაბიჯებით მარდად სიარული“.

**ნასანუ//ნაცანუ** – ბორცვი გგნძე სამესხიოში. სანაიების ნასახლარია (სამესხიო). საქართველოში 1995 წელს მკვიდრობდა 1590 სული სანაია. გვარსახელია ცანავაც.

**ნასარკინგ** – ვაკე-ბორცვი ჟინი ობუჯში, კინესქურის ნაპირას. აქ იმართებოდა ჯარობა, ბურთაობა, გართობა (ნაკიფუ).

**ნასაყარულ(უ)** ( საყარულო „საყარაულო“) – ბორცვი ჟინი ობუჯში, მარჩხილს ზემოთ. გადასცქერის ჭანისწყლისპირა სოფლებს. აქ ყარაულობდნენ, რათა აბრაგებს საქონელი არ მოეპარათ (ნაკიფუ).

**ნასვიმონ(გ)** „ნაზვავარი; ნაშვავარი“ – ფერდობები ენგურის მარჯვ. მხარეს, კაშხალთან. აქ მთიდან ხევი ჩამოდიოდა და ზამთარში ზვავი ჩამოჰყვებოდა. ორია: **დიდი ნასვიმონ** (ჰესის საგუბრის ზემოთ) და **ჭიჭე ნასვიმონ** (უშუალოდ საგუბართან) (ფოცხოენერი). **სვიმონი** „ზვავი, შვავი, თოვლის მენყერი“ (ჩამოეშვებოდა ზამთრობით). რესპ.: „1911 წელს ჩამონოლილა ზვავი სოფ. ნაგურუში. მომსწრენი იხსენებენ: „სვიმოს ქაყუნუ ართი ოჯახიქი – 4 კოჩქი დო ჯარნეჩდოვითი თხაქე“.

**ნასვირა//ნასურა** – ჩახევება, ტყე-ფერდობი ინწირას მარცხ. მხარეს, ლეძობეს თავზე (ჩქვალერი). რესპონდენტები ამოსავალი ფუძის მნიშვნელობაზე: „**სვირა(ლი)** – მაღალი და წვრილტანა; ბლის ქერქისაგან მონწული ხელჩანთა; შემოუსვლელი ნუში, ჭერამი, ტყე-მალი; **სვირი** – არყის გამოსახდელი მილი; **სვირო, სურო** – სურო (შდრ. მეგრ. ცურუ). ჩვენი ვარაუდი: სვირავა (მცირერიცხოვანი გვარსახელია: 135 სული საქართველოში) **ნასვირა** „რაც სვირავას ეკუთვნოდა“ ან „სადაც სვირავა ესახლა“. ვი უ არცთუ იშვიათია მეგრულში.

**ნასკალი** „ნაფუტკრალი“ – 1. ტყე-ბუჩქნარი ლესოსილეს აღმ. ნაწილში (სქურის სატყეო); 2. ტყე-ხეობა. იგივე **ნაფსკალი** (უბადოლალი) და სხვ.

**ნასკალუ** „ნაფუტკრალი“ – ფერდობი საფიფიოში, ლაფთარას მარჯვ. ნაპირას (ობუჯი).

**ნასკალგ** ( სკა „სკა; ფუტკარი“) – 1. დავაკება მოროჟას მარცხ. მხარეს, გორნულესთან (ლეშამუგე); 2. მინდორი ტებენეს მარჯვ. ნაპირას, რლემის თავზე (ფახულანი).

**ნასკალგ//დათაშ ნაფსკალგ** – მინდორი ლეთოფურეს უბანში, ლაკადას ფერდობზე (ლეთკანთი). **სკა** „ფუტკარი“ ნასკალგ „ნაფუტკრალი“ ( ე.ი. სადაც უწინ სკა ედგათ).

**ნასკალგში წყარი** – წყარო რლემის თავზე. ნასკალგში ღალის სათავეა (ფახულანი).

**ნასკოლ(გ)** – 1. ჩაის ფართობი ლეჭანტურეში, სადაც ოთხნლიანი სკოლის შენობა მდგარა (ფახულანი); 2. მინდორი ბუჭუემ ნაოხვამთან. აქ სკოლა იდგა და სოფლის ცენტრში გადაიტანეს (პ. ენერი); 3. სერი. იგივე ოსქალე (წაღენჯიხა).

**ნასკოლ(გ)//ლანჯიშიშ სკოლა** – მინდორი სოფლის დას. ნაწილში, ერისწყლის მარცხ. ნაპირას, ორ გორას შუა მდებარე ჩადაბლებაზე. აქ იდგა სოფ. ლანჯიშის დაწყებითი სკოლის შენობა (ფახულანი).

**ნასორგა** – კინჩხას ერთ-ერთი მდგენელი და მისი ხეობა, სადაც ზვავს დიდძალი ხე-ტყე ჩაჰქონდა (ჯვარის სატყეო). **(დო)სორგუა** „რაიმეს უხვად დაყრა, დახვავება ერთ ადგილას“ **ნასორგა** „დანახვავები, დაზვინული“. რესპ.: „თქუანა, ჯალეფი ინოსორგედუა თე სოროს“. მართლაც, აქ ლელე-ხევს დიდძალი ხე-ტყე ჩამოჰქონდა ადიდების შემდეგ.

**ნასტაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, სოფლის სამხრ. ნაწილში. ნასტა ქალის სახელია (ობუჯი).

**ნასულუ(ა)** ( სუ „სელი“) – სახნავი ლეჩანგელიეში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირის დაფერდებაზე (ჯგალი).

**ნასურა** – ტყე-ფერდობი. იგივე **ნასვირა** (ჩქვალერი).

**ნასქალ(გ)** „ნაფუტკრალი“ – 1. მინდორი ბარხას სამხრ. ნანილში, ყარამანიშ ტანიშ ობონუეს სათავესთან (ჯვარის სატყეო); 2. ტყე-ველი გაუჩაზე (სქურის სატყეო).

**ნასქალ(გ)** — სერი ტყე-ბუჩქნარით. იხ. ოსქალე (ნალენჯიხა).

**ნასქალგში ღალ(გ)** – ღელე, უბადოღალის მარცხ. შენაკადი (ფახულანი).

**ნასქარი//ნასკალი** – ტყე-ხეობა. იგივე **ნაფსკალი** (უბადოღალი).

**ნასქერუ** – ბორცვი ხუფინას ნაპირას (სამესხიო). გადმოცემით, აქ უცხოვრიათ სისქერიებს, განთქმულ მოჭიდავეებს. მაშასადამე: **სისქერია ნასისქერუ ნასქერუ** (ჰაპ-ლოლოგიით). ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“ ასეთი გვარი არაა დაფიქსირებული.

**ნასხაპუ** ( ნაოსხაპუ ოსხაპუე „ცეკვა-თამაშის, ე. ი. დასვენება-დროსტარების ადგილი“) – ბორცვი ჭანისწყლისა და ძანძელის წყალგამყოფ სერზე, სალაფერდის სამხრით. აქ ყოფილა სოფლის თავმესაყარი და საცეკვაო-სათამაშო ადგილი (ლესალე). იხ. აგრეთვე: ნა(ო)სხაპუ. შდრ.: ნანჯარუ.

**ნატაბაკე** – დავაკება ნატაბაკლალის ზემოთში, მოროჟას მარცხ. მხარეს, ჟინრზენის გზაზე (ჯვარის სატყეო). რესპ.: „ზოგი იტყვის, ტაბაკს ჰგავს და ამიტომ დარქმევიაო. სინამდვილეში კი აქ იყო მთაში მიმავალი მწყემსების შესასვენებელი ადგილი: სუფრას ტაბაკზე ან ტაბლაზე გაშლიდნენ და ისადილებდნენ“. **ტაბაკუა** დატკეპნასაც ნიშნავს და დასუფთავება-მოტიტვლებასაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში **ნა-** პრეფიქსიან მიმღეობას ბოლოში **-ა** სუფიქსიც ექნებოდა. მაშასადამე, ტოპონიმისათვის ამოსავალია ლექსემა **ტაბაკი** „ტაბლა, ერთგვარი დაბალი მაგიდა; მაგიდასავით ფართო ლოდი“. შდრ. აღ. ქობალია, 2010, ტაბაკი (გვ. 199).

**ნატაბაკლალ(გ)** – ღელე, გამოედინება ნდემიშ ფოქვადან, ჩაუვლის ნატაბაკს და ერთვის მოროჟას მარცხ. მხრიდან (ჩქვალერი).

**ნატაშ ტობა** – მორევი ტობეშთან, საშონიოში. იგივე **ნადიაშ ტობა** (ფახულანი).

**ნატაშ ფერდი** – ფერდობი. იგივე ნადიაშ ფერდი (ფახულანი).

**ნატახა** – ტყე, წყარო ბულგასა და ნახვამენს შუა (ჭალეს სატყეო). **ტახუა** – ტეხვა, მტვრევა; სიმინდის ტეხა; ტყის მოახოება. ყამირი მინის პირველი ხენა ნატახა.

**ნატუტულ(გ)** ( ტუტულა „აყირო, მწარე კვახი“) – ბორცვი გვაჭკას კალთაზე (ნაშამგუ).

**ნაუჟამუ** – დავაკება ლეშეროზიეში, ინწირას მარჯვ. ნაპირას, უშქურტობასთან (ჩქვალერი). რესპ.: „ცუდი ადგილია, კაცი იჟამება, ე.ი. უჟმური შეეყრება. ვინც აქ დასახლებას მოისურვებდა, ყველას ურჩევდნენ, არ გადაედგა ასეთი ნაბიჯი“. ასეთ შემთხვევაში: ოჟამუე ( **მოჟამუა** „მოჟამვა, უჟმურის შეყრა“) ნაოჟამუ ნაუჟამუ. შდრ.: აღ. ქობალია: „**უჟამე** – დაუჟამავი“.

**ნაურემ(უ)** „ნაურმალი“ – 1. ტყე, ნაგზაური შქაშლალის სათავესთან. გზა ჩადიოდა ჯვარზენში. საბჭოთა პერიოდში ტყე გაჩეხეს და ჩაი გააშენეს (ლემამუგე); 2. ნაგზაური აღმართი, სადაც ენგურის ხეობიდან საურმე გზა ადიოდა ენერფერდში. ეს გზა მოიშალა (ჭალე).

**ნაურემუშ სუკი** – ბორცვი ოჭიკეშის თავზე, ჭალესა და ენერფერდის საზღვარზე. ნაურემუ ენოდება გაუქმებულ საურმე გზას, რომლითაც ენგურისპირა სოფ. ჭალედან ადიოდნენ ენერფერდში (ჭალე, ენერფერდი).

**ნაურემშარა** – ნაგზაური. გზა სააფაქიო ენწერს აკავშირებდა ნალენჯიხასთან (პ. ენერი).

**ნაულ(უ)** უღუ „უღელი“ – ტყე ჩხაპელკასა და ბადაშ სუკს შუა (ენერფერდი). რესპ.: „ერთ აქაურ გლეხს ხარის ქურდი ხატისთვის გადაუცია და ამ ტყეში უღელი ხეზე ჩამოუკიდა“. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ფიტონიმი (ერთეული ხის სახელი) მეტონიმის კანონზომიერებით მიმდებარე ტყის სახელად ქცეულა.

**ნაუშ(ი) ფერდი** (ნაუს ფერდი) — ადგ. ნალენჯიხაში (ლლონტი, 1971, გვ. 76).

**ნაუშ ნადიხ(გ)** – ბუჩქნარი ფერდობი ენგურის მარჯვ. ნაპირას, ომუნჩქევში. აქ ესახლა ნაუ აკობია. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი სხვაგან გადავიდა (ჭალე).

**ნაუშ ნახულუ** – დავაკება ხურჩის სათავესთან, რაც წყაროს სახით გამოედინება ქვა-კლდიდან. **ხული** „მხალი“ ნახულუ „ადგილი, სადაც მხალს ახარებდნენ“. უფრო მისაღებია ვარაუდი: ნაუს აქ ედგა **ხულა** – ქოხი, მცირე ნაგებობა, სადგომი. იგივე ნოხორი (ნაგურუ).

**ნაუშ ნოხორი** – საძოვარი ლეკაკალეს ჩრდ. ნაწილში (ჩქვალერი).

**ნაუშქურუ** „ნავაშლარი“ – ტყე ონნიშის კალთაზე. ვერ იხსენებენ, აქ თუ ვაშლი ხარობდა (მუჟავა).

**ნაუშ ლალ(გ)** – ღელე ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ნალენჯიხა).

**ნაუჩალუ** – დავაკება ინწირის მარცხ. ნაპირას, ოლუელალსა და ქურსოულს შუა. აქ რამდენიმე კომლი ცხოვრობს სხვადასხვა გვარისა. უჩალე „შავა, შავანა“ (მეტსახელი) ნაუჩალუ (ჩქვალერი).

**ნაფანტუ** ( ფანტია) – ფერდობები საქებურიოში, მინაშ ლალის მარცხ. ნაპირის ფერდობზე (ჯალირა). ფანტია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 50 სული) და ძირითადად მეზობელ ზუგდიდის რაიონშია გავრცელებული. რა თქმა უნდა, გვარი ფანტია მომდინარეობს მამაკაცის სახელისაგან „ფანტი“.

**ნაფარონი** – ტყე-ხევი. იგივე **მაფარონი** (ულურია).

**ნაფარონლალ(გ)** – ლაფთარას მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. მოედინება ნაჯიხურუდან. ხეობა ღრმაა და ტყით დაფარული (ობუჯი). ჰიდრონიმის პირველი ნაწილი გულისხმობს ტოპონიმ ნაფარონს. ამოსავალია **ფარონი** „ხშირი ტყე, ტევრი“. ფარონი ჰქვია სასიმინდის მსგავს ხის ნაგებობასაც, სადაც ინახავენ ფუჩეჩს ან ღომის თავთავეების საშრობად იყენებენ.

**ნაფატუ** ( ფატი „ფეტვი“) – 1. ბუჩქნარი საგერგედაში, ჩხაპიაღალის მარჯვ. ნაპირას (ფახულანი); 2. ჩაის ფართობი ჯამპონალალის სათავესთან (საჩინო); 3. ტყე-ბუჩქნარი ოლორის მარჯვ. ნაპირას, საარონიოში (ნაშამგუ) და სხვ. ფეტვის ყუათიანობაზე იხ. თ. სახოკიას მიერ ჩაწერილი თქმულება. აქვეა ნათქვამი: გლეხი იმიტომ იყო ძლიერი, რომ ფეტვის მჭადს ჭამდა (სახოკია, 1886). მეგრული **ფატ-** ქართული **ფეტვ-**ის კანონზომიერი შესატყვისია (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 406). ფეტვის კულტურა საქართველოში (ისევე, როგორც ღომისა) ძველი დროიდანვე ფართოდ იყო გავრცელებული. საამისო ცნობები შემორჩენილია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში. ამასთანავე, სამეგრელოში ფატი იგივეა, რაც ჭკიდი (მჭადი). ჭკიდიმჭკიდი კი ფეტვის მჭადია (უპირატესად იხარშებოდა) (იხ. ქობალია, 2010, გვ. 712). ჭკიდიმჭკიდი ღომთან ერთად მეგრელთა ძირითად საკვებს წარმოადგენდა. ფეტვი, ერთი მხრივ, გვალვამძლე მცენარე იყო, მეორე მხრივ, ზოგან ნელინადში ორჯერაც მოჰყავდათ.

**ნაფატუ//ნაფანყუ** – წყარო, ხევი ენგურის მარჯვ. მხარეს. შესაძლებელია: ნაფანყუ მაფანყუ „მეფის წყარო“ (აღნიშნავს საუკეთესო სასმელ წყალს, გამორჩეულს) (ფოცხოენერი).

**ნაფატ(უ)ლალ(გ)** – 1. ოლორის მარჯვ. შენაკადი საჩხაპელიოში (ნაშამგუ); 2. ღელე. იგივე ხუმლაღალ(გ) (ნაგურუ).

**ნაფატგში რხენი** – მინდორი ცანაშში, ერისწყლის მარცხ. ნაპირას (ქალაღალი). რესპ. ა. გოგობია: „ფატვი ნოჩქვენა ჯვემო. გუნძლო ირდუუდუ. ეთინა თასგდგ თექი“.

**ნაფაჩულუ//უსქერაღლალ(გ)//ივამ ლალ(გ)** – ღელე და ხეობა საკალანდიოში. ჩამოედინება ნაცანუდან (ნალენჯიხა). ფაჩულია გვარია. უსქერაფუ „დაუმშრალი“. ივა სარია კი ფლობდა ამ ხეობას.

**ნაფაცხუ(რუ)//ფაცხა** – ბორცვი ტყე-ფერდობებით სახარჩილოში, ჯალრალალის მარცხ. ნაპირას. აქა-იქ დასახლებებიცაა (ჯალირა). **ფაცხა** წნული ნაგებობაა, ისლით ან ჩალით გადახურული, წნული და უჭერო. ფაცხურიც ფაცხის მსგავსი ნაგებობაა.

**ნაფაცხ(გ)** „ნაფაცხარი“ – 1. ბორცვი ლეფიფიეში (კუხეში); 2. ვაკე-ბორცვი დობერაღალის ხეობაში (ლესალე); 3. ბორცვი ფშქერღალის მარცხ. მხარეს (ჭალე). **ფაცხა** შეიძ-

ლებოდა მდგარიყო ყანაში წვიმისას მუშების თავშესაფრად ან ტყეში ჭლექიანთა საიზოლაციოდ და სხვ.

**ნაფანყუ//მაფანყუ** – წყარო ზედა ჭველეში, საქაროს ძირას, ქვიან ფერდობზე (ჭველე). რესპ. ლ. შონია (95 წ.) და მ. არქანია (89 წ.): „მაფანყუ მეფის წყაროა, ე. ი. გამორჩეული, საუცხოო. ზოგნი ამ ადგილის სახელს უკავშირებენ სიტყვა ფატს, რაც ფეტვია, ან სუს, რაც სელს ნიშნავს“. სინამდვილეში **მაფანყუ** „მეფისწყარო“ (ნაფანყუ) საუკეთესო, გამორჩეული, უხვდებიტიანი წყაროს ეპითეტია.

**ნაფერმ(გ)** – ნიგვზნარი, საძოვარი ჩვინარეში, ოლორის ნაპირას. აქ მდგარა ფარდული კოლმეურნეობის თხის არვესათვის (მუჟავა).

**ნაფერცხელუ** – ბორცვი საკალანდოში, ოწყურგილესა და ნაცანუს შუა (ნალენჯიხა). ფერცხელა(ვა) გვარ ფირცხელავას ვარიანტი ჩანს.

**ნაფომტე** „ნაფოსტარი“ – მინდორი ფუისქურის ნაპირას, სადაც ძველ დროში მდგარა ფოსტა (რუს. ПОСТА). აქ, ჯგალისა და ნალენჯიხის საზღვარზე, ყარაულებად რუსი ჯარისკაცები იდგნენ (ლეკაკულე).

**ნაფსკალი//ნასქარი//ნასკალი** – ტყე-ხეობა უბადოლალის სამხრ. ნანილში, ნორსელიას გვერდით, სადაც ტყეში უნინ ფუტკარი ბინადრობდა, ხოლო შემდეგ აქ ჩაი გააშენეს (უბადოლალი)

**ნა(ფ)სკალ(გ)** (ფსკა „სკა, ფუტკარი“) – 1. თხმელნარი ფერდობზე, ბოგაშთან (ნაშამგუ); 2. მინდორი ლეთოფურეს ლაკადაში (ლეთკანთი) და სხვ.

**ნაფსკალლალ(გ)** – მოკლე ღელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. ნაფუტკრალი ფერდობზეა, ამ ღელის სათავესთან (მაზანდარა).

**ნაფსულუ** (ფსუ „სელი“) – 1. ფერდობი მახასქურის მარცხ. მხარეს, საარქანოში (მუჟავა); 2. ფართო ვაკე ინწირას მარჯვ. მხარეს, ოხოჯურის გვერდით. რესპ.: „სამარულო ადგილი იყო, ფსუ ეთესა თუ არა, არ მახსოვს“ (საჩინო) და სხვ. საჩინოელი ილია შელია (71 წლის): „სუს დოჭკვრგნდეს, ჩხანას დაბჟღერუანდეს, უკული დოგვაგუნდეს, წყარს ქინარღვანდეს, გინოხაშუნდეს, ირბილებუდუ, ბამბუკისი ქილას ქემიციკანდეს კითიშა დო თუხუნდეს... სუმი ძაფის ხესქერიში ოშუალო გემირინუანდეს, ნორჩალს ხოლო შგნდეს. სუმი ოსარეს ეშებრჩქინანდითია შხვაში ოძირაფალო, ჯგვრი რდუა“.

**ნაფურთუხ(უ)** – ტყე ნაქურსუმ სუკის კალთაზე (ლესალე). გვარი ფურთუხია დასახელებულია 1616-1621 წლებში შედგენილ ჯგალის ციხის (ამჟამად სოფ. ლესალეს ტერიტორიაზე) საკათალიკოსო (საეკლესიო) გლეხთა ნუსხაში (იხ.: ქსდ, III, გვ. 478-480). ამჟამად ფურთუხია მცირერიცხოვანი გვარია – სულ 61 სული საქართველოში (მათგან ზუგდიდის რ-ში – 14 სული). ორიოდე კომლი შემორჩენილია მედანშიც. საერთოდ კი, ფურთუხ, ფურდუხ სვანეთში ფართოდ გავრცელებული პირსახელება და არ იყო შეუძლებელი, მეგრელებსაც შეეთვისებინათ.

**ნაფშილუ** – ბორცვი ლაჩახვა-ოტოფუეს წყალგამყოფზე, სამიქაოში (ფუქი). რესპ. მაშკა შენგელაია (80 წ.): „აფშილაგების ნასახლარია. მათი შთამომავლები ყოველ მესამე წელს ახლაც მოდიან აქ, ნაეკლესიარზე, ჯინჯიხატის მოსალოცავად“.

**ნაქალარ(გ)** – უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ვაკე-შემალეებაზე, სადაც, გადმოცემით, ქალარიას გვარის კაცს უცხოვრია (ჯგალი, ლეკაკულე). დღეს ეს გვარი არ დასტურდება, მაგრამ პირსახელი ქალარა გვხვდება 1821 წლის საეკლესიო სამართლის საბუთში (ქსდ, III, 429).

**ნაქაცარუ** – ტყე ლეგობეჩიეში (კუხეში). ტოპონიმისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს როგორც საზოგადო სახელი ქაცარი „თიკანი“, ისე გვარი ქაცარავა, რასაც საქართველოში ატარებს 260 სული. დასახელებულია XVI და XVIII საუკუნეების საეკლესიო საბუთებში (იხ. ქსდ, III, გვ. 365, 1082).

**ნაქერე** „ნაქერალი“ – 1. ბუჩქნარი ჯიხაფერდის კალთაზე (მედანი); 2. სახნავი ლაჩახვას სათავეს დას-ით (ლახარჩილე); 3. ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ოლორისა და ჭიჭე ტებენს წყალგამყოფ გორაზე, დობერაში (ენერფერდი) და სხვ.

**ნაქერლალ(გ)** – ღელე და ხევი ლეჯიორში, ოლორის მარჯვ. შენაკადი (ფახულანი).

**ნაქვათუ** – ფერდობი სახარჩილოში, სადაც თითქოს უცხოვრია ქალს, სახელად ქვა-თას. შდრ. ალ. ქობალია: „ქვათა – დაბალი, ტანმორჩილი“ (ჯალირა).

**ნაქიაჩი//ქიაჩი//ქიაჩიმ ოხვამე** – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში (ობუჯი). **ქიაჩი** მთაა სოფელ ჯგერდის (ოჩამჩირის რ.) ჩრდილოეთით (ამ მთას ამჟამად აფხაზები უწოდებენ ქიაჩაბასს), სადაც შემორჩენილია XI ს. ეკლესია წმ. მიქაელის სახელობისა. ქიაჩის ეკლესია ერთ დროს საეპისკოპოსო ეკლესია ყოფილა. არქანჯელო ლამბერტი ქიაჩის მონასტერს ასახელებს იმ საეპისკოპოსო ეკლესიათა შორის, რომელნიც „ეხლა (ე.ი. 1654 წლისათვის – პ.ც.) გადაკეთებულნი არიან მონასტრებად“. ობუჯში ჩანერილი გადმოცემის თანახმად, კვიტოულიდან გამოქცეულ კაკაჩიებს აქ ჩამოუსვენებიათ ქიაჩის ხატი, რომელსაც **მიქამგარიო ქიაჩსაც** უწოდებენ. ეს მომხდარა ორი-სამი საუკუნის წინათ (ალბათ აფხაზთა მიერ კოდორ-ენგურის შუამდინარეთის დაუფლებისათვის ომის დაწყების შემდეგ). ბოლოს ხატს შენგელაიები დაუფლებიან. ამ ხატისა და ეკლესიის მიხედვით დაირქვა მწერალმა ლეო შენგელაიამ ფსევდონიმი ქიაჩელი (ნაქიაჩე ეწოდებათ ადგილებს გარახაშიც და პირველ გურძემშიც). საერთოდ, ქიაჩის ხატი მთავარანგელოზების (ე.ი. მიქაელისა და გაბრიელის) ხატად ითვლება. ამ ხატს ათარილებენ XIII-XIV სს-ით. აქ ქურდებს, ავაზაკებს და მათს მონმეებს აფიცებდნენ, რომ უდანაშაულონი არიან. აქვე მოდიოდნენ ხატზე გადაცემისა და დაწყებისას. ამავე ხატს ეხვეწებოდნენ სულით ავადმყოფთა განკურნებას. ხატს ჰქონდა ასომთავრული წარწერები. 1885 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 152) აღნიშნული იყო: „ობუჯი არის პატარა საზოგადოება... შეიცავს მხოლოდ 220 კომლს. მათ შორის 40 კომლი აზნაურნი არიან, გვარად შენგელაიები. ესენი არიან მოსულნი ქართლიდამ და უწინ შერგელაძეები ყოფილან“. ეს ჩანს იმ სიგელიდან, რომელიც „ბოძებული აქვთ მათ ბაგრატ დიდისა და დედოფალ ელენესაგან“. ამითაა გამონვეული, რომ შენგელაიებს არაიშვიათად შერგელაიებადაც მოიხსენიებენ. ალ. ქობალია: „ქიაჩი – ჯვარი, ბორჯღალი“.

**ნაქობალუ** – სახნავი დაფერდებაზე, ტარჩიას ალმ-ით, ნანულუში (სამესხიო).

**ნაქობალ(გ)** ( ქობალი „ხორბალი“) – 1. ტყე-ბორცვი ლაჩახვასა და ოტოფუეს შუა (ფუქი); 2. ვაკე-საძოვარი ჟინრზენს ქვემოთ, მოროჟას მარცხ. ნაპირას (ჩქვალერი); 3. მცირე ტყე-ბუჩქნარი ოსქალე//ნასქალის ჩრდ. ფერდობზე, ნალაზუტის გვერდით, კაკიამ ლალიდან ბორცვის თავამდე (ნალენჯიხა); 4. საბალახო ონნიშის ალმ. ფერდობზე (მუჟავა) და სხვ. მრ. გადმოცემით, ყველგან ხორბალი ითესებოდა. მაგრამ არაა გამორიცხული: ქობალია (გვარსახელი) ნაქობალ(გ) „ქობალიას ნასახლარი“. სამეგრელოში მიწა მაინცდამაინც არ იყო ხელსაყრელი ხორბლის მოსაყვანად. ამასთან დაკავშირებით **ჟან შარდენი** აღნიშნავს: „კოლხიდაში ნიადაგი ცუდია. თესვის დროს სამეგრელოში ნიადაგი ისეთი სველია, რომ ხორბლისა და ქერის თესვისას მიწას სრულად არ ამუშავებენ, რათა იგი მეტისმეტად არ დარბილდეს, მარცვლეულს აბნევენ მიწის ზედაპირზე. ამ წესით დათესილი იგი მშვენივრად ამოდის“ (შარდენი, 1975, გვ. 111). ქობალი ( ქართ. ხორბალი) აღნიშნავს მცენარესაც, მის მარცვალსაც და სათანადო საკვებსაც. ლექსემისათვის ამოსავალია სპარსულ-არაბული **ხჟნრბნრ//ხვზრბნრ**, რაც ქართულში შემოსულია **ხორბალი** ფორმით. ს.-საბას ლექსიკონში დაფიქსირებულია „ხვარბალი//ხუარბალი — ყანის მარცვალი“ (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 212). ნ. ჩუბინაშვილი და დ. ჩუბინაშვილი თითქმის ერთნაირად განმარტავენ: „ხვარბალი, ხორბალი „პურის მოსავალი, მარცვალი“. ო. ქაჯაია: „ქობალი — 1. ხორბალი; პური; 2. გამომცხვარი პური“. „ქობალი — პური, ხორბალი; ჯეჯილი (პურეული)“. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიურ მასალებში, კერამიკულ ნივთებში პოულობენ ხორბლისა და ფეტვის ნაშთებს, რაც ადასტურებს მაღალ სამინათმოქმედო კულტურას უძველეს დროში.

**ნაქურუ** – ბუჩქნარი ლეგულორდეში, სქურეფიას სათავესთან. აქ მდგარა ქურა – სამჭედლოს საბერველი (საჩინო).

**ნაქურსუ** – უბანი. იგივე **ლექურსუე** (ჩქვალერი).

**ნაქურსუმ სუკი//ლექურსუემ სუკი** – ბორცვი ლექურსუეში (ლესალე).

**ნალაჟუ** – სახნავი ჟინობუჯის ტყეში, ინჭალალისა და ჯეგემ ფერდიშ ლალის სათავეს შუა (ნაკიფუ). **ლაჟო** მეგრულშიც ლაჟოა. არაა გამორიცხული, **ლაჟ**- გვარსახელის ფუძეც იყოს.

**ნალაჭა//ნალაჭამ კუნთხუ** – ტყე-ბორცვი კუნტა სამესხიოში, ტარჩიასა და ლეარსანეს შუა. აქ ხევიში ცხვარს კრეჭდნენ. სხვა გადმოცემით, აბრაგებს აქ, უღრან ტყეში, მოჰყავდათ მოპარული ცხენები, გაკრეჭდნენ, დაღს გამოუცვლიდნენ და გასაყიდად გაჰყავდათ. ლაჭუა „(გა)კრეჭა“ ნალაჭა „ნაკრეჭი“ (სამესხიო).

**ნალაჭამ კუნთხუ** – ტყე-ბორცვი. იგივე **ნალაჭა** (სამესხიო).

**ნალბატურ(ი)** – ვაკე-ბორცვი, ჩაის ფართობი ხუმათიაში (მუჟავა).

**ნალეჯ(ე)** „ნალორალი“ – ნიფლნარი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, კირნახონას გზაზე (სქურის სატყეო).

**ნალო** – საბალახო, შემალღება საგერგედაში, ნამარაკთან (ფახულანი). ნალო, ნალუ აღნიშნავს: ა. ჩავარდნილ ვაკეს, რომელიც რობუს ჰგავს, მაგრამ მასზე ნაკლებია; ბ. მცირე ღელეს, რომელიც ზაფხულობით შრება. შდრ. ო. ქაჯაია „ნალუ – პატარა ღელე, რომელიც ზაფხულში შრება“. შდრ. ნოლა.

**ნალორათუ** – დაბალი სერი, ბორცვი. იგივე ნალურათუ (ჩქვალერი, მაზანდარა).

**ნალუმ(უ)** „ნალომარი“– 1. სახნავი დობერაში, ფუქის საზღვართან, სადაც ღუმუ „ლომი“ ითესებოდა (ლახარჩილე); 2. სახნავი ჟინჭველეში, ხვიმონას გვერდით (ჭველე); 3. ბორცვი, ბუჩქნარი ტებენეს მარცხ. ნაპირას, სხულტობასთან (ფახულანი) და სხვ. მრ. ღომი ერთნლიანი თავთავიანი მცენარეა ფეტვისნაირთა ჯგუფისა. ძირითადად დას. საქართველოში იყო გავრცელებული. არქეოლოგების დასკვნით, იგი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოჰყავდათ. ღომი (ღუმუ) მცენარესაც ეწოდებოდა და მისი ფქვილისაგან მომზადებულ ფაფასაც. დასტურდება XVI-XVII სს. დას. საქართველოს დავთრებში. XVII-XVIII სს-ში საქართველოში შემოვიდა სიმინდი და სწორედ მისი ფქვილით მომზადებულ საკვებს ეწოდა ღომი. ამის შემდეგ უწინდელი მცენარე ღომისაგან მომზადებულ ღომს **ღომისლომი** ეწოდა. **ღუმუმ ოხვამერს** („ღომის სალოცავს“) სამეგრელოში დიდ ძალას მიაწერდნენ და წარმოადგენდა ღომისა და ფეტვის მოსავლისათვის ლოცვას. იგი სრულდებოდა ელიობას, როცა ნათესი დათავთავდებოდა (იხ. თოფჩიშვილი, 2010, გვ. 430). ღმერთს შეევედრებოდნენ, ბევრი ღომი მოეცა (ალ. ქობალია, 2010, გვ. 647). დაბოლოს, ვახუშტიც აღნიშნავს, რომ დას. საქართველოში ითესებოდა ბრინჯი, ბამბა, ქერი და ხორბალი, ასევე მრავლად მოჰყავთ ღომიც. საერთოდ კი, „ღომი ქართველებისათვის საკრალური ნიშნით დატვირთული უძველესი ტრადიციული მარცვლეული კულტურაა. იგი ხასიათდება საუკეთესო კვებითი და სამკურნალო თვისებებით. დასავლეთ საქართველოში მას პურის ადგილი ეჭირა“ (იქვე, გვ. 431). ჟან შარდენი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ღომი მეგრელთა ყოველდღიური საჭმელია (შარდენი, 1975, გვ. 76). ალ. ქობალია: „**ღუმუ** (მარცვლეული მცენარე); ღომი (მეგრული კერძი, ღომის ან სიმინდის ფაფა)“. სამეგრელოში მიწათმოქმედების ყველაზე პროდუქტიული და გამოსაყენებელი იყო ღომი, ფეტვი და პური. შდრ. არქ. ლამბერტი: „ჩვეულებრივ, კარგი მიწა სადაც არის, ასეთ წესს ადგიან: პირველ წელიწადს თესენ **ღომს**, მეორეს — **ფეტვს** და მესამეს — **პურსა**. შემდეგ ამისა მიწას სამის თუ ოთხის წლით ასვენებენ“ (ლამბერტი, 1991, გვ. 54). მ. ჩუხუას მოსაზრებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მეგრული ღუმ- ქართული ღომ-ის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია: მეგრულში ო უ მ-ს ზეგავლენით.

**ნალუმუუ** – ჩავაკება ფერდობზე, ბულგას ქვემოთ (ნაშამგუ).

**ნალურათუ//ნალორათუ** – 1. დაბალი სერი მოროჟასა და ინგრას შუა, სოფლის სამხრ. ნაწილში (ჩქვალერი); 2. ბორცვი ნაკრემის გვერდით (მაზანდარა). სავარაუდოა, ღურათავა იყოს იგივე ღულათავა – მცირერიცხოვანი გვარი (სულ 93 სული საქართველოში), რომელიც ძირითადად ზუგდიდის რ-ში მკვიდრობს.

**ნალურათუ//ნალორათუ** – დაბალი სერი ლელვინჯილეს ჩრდ. ნაწილში, სამართალასა და კაკაურიას შუა (ლეჯოლიხე).



**ნაყამბარ(უ)** „ნაყავრალი“ – ტყე ენგურის მარჯვ. მხარეს, სადაც ყავარს (მეგრ. ყამბარი) ხდიდნენ (ხუდონის სატყეო).

**ნაყამბარლალ(გ)** – ლელე, ხევი ჟინობუჯში, სადაც ნაბლისა და წიფლის ყავარს ამზადებდნენ (ნაკიფუ).

**ნაყამბარში ლალ(გ)** „ნაყავრალის ლელე“ – ნაკადული, ენგურის შენაკადი. ჩამოედინება ნაყამბარუდან (ხუდონის სატყეო).

**ნაყარაულ(გ)** (ყარაული) – მინდორი თორსასთან. რესპ.: „აქ მდგარა ყარაული, რათა სვანები თავს არ დასხმოდნენ“ (მაგანას სატყეო).

**ნაყაყაბუ** (ყაყაბი „ხის ქოში“) – საძოვარი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ჩხორონწყუს მთაზე. აქ ხარობდა თხმელა, რომელსაც იყენებდნენ ყაყაბის (ხის ქოშის) გამოსათლელად (სქურის სატყეო).

**ნაყანჭგ** – სახნავი. იგივე ნაყანჭგ (მაზანდარა).

**ნაყანჭგ//ნაყანჭგ** (ყანჭი/ყანჭი „აბრეშუმის ჭია“) – სახნავი ოტოფუეს მარცხ. მხარეს, ზედა მაზანდარაში. აქ, თუთნარში, მდგარა აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ფარდული (მაზანდარა).

**ნაყიდერდისა** „ნაყიდი მინა“ – სახნავი სქურჩას მარჯვ. ნაპირის ვაკეზე, ნესტორიმ ლალის შესართავთან. რესპონდენტის ბაბუას ეს მინა XX ს-ის დამდეგს უყიდა. ვარიანტი: **ნაყიდერი** (ნაკიფუ).

**ნაყიდერი** „ნაყიდი“ – სახნავი. იგივე ნაყიდერდისა (ნაკიფუ).

**ნა(ც)იდუ** „ნაყიდი“ – ტყე-ფერდობი ლესალეში, დობერის დას-ით (ლესალე).

**ნაყუდ** – ნასახლარი მდ. ძანძელსა და ჩოხონალალს შუა (ლესალე).

**ნაყუდუ** – 1. ბორცვი ბირგულამისა და ორწყანდეს შესართავთან (ნაკიფუ, ულურია); 2. დაფნარი გგნძე სამესხიოში, ტარჩიას მარჯვ. ნაპირის ვაკეზე (სამესხიო); 3. ტყე ძანძელსა და ჩოხონალალს შუა (ლესალე) და სხვ. **ყუდე** „სახლი“ **ნაყუდ(უ)** „სადაც ყუდე იდგა“.

**ნაყუდ(უ)** (ყუდე „სახლი“) – 1. ჩაის ფართობი ქვედა ჭველეში (ჭველე); 2. ბორცვი ურთხელაღალის სათავესთან (ნაკიფუ) და სხვ.

**ნაყუდუშ ჯურე** – ლელე-ხევი, ბირგულამის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ნაყუდუდან (ნაკიფუ). **დურე, ჯურე** – ჩავარდნილი ადგილი; ორმოსებური ჩაღრმავება.

**ნაშამგუ** – სოფელი მუჟავის თემში (იხ. პირველ ნაწილში).

**ნაშამგუ//შამგიაშ ნოხორი//შამგუგიაშ სუკი** – ბორცვი ტებენეს მარჯვ. მხარეს, ნაოსქის სამხრ.-დას-ით. შამგუგიას ნასახლარად ითვლება (ფახულანი).

**ნაშამგუშ წყარი//ნაშამგუშ წყურგილი** – წყაროები სოფლის დას. ნაწილში. ფერდობის ძირას. ერთმანეთის სიახლოვეს რამდენიმე წყარო ამოდის (ნაშამგუ).

**ნაშამგუშ წყურგილი** – წყაროები. იგივე **ნაშამგუშ წყარი** (ნაშამგუ).

**ნაშამგუ** – ამ ვარიანტითაა წარმოდგენილი სოფ. **ნაშამგუ** 1930 წლის „დაყოფის“ ცნობარში (ჭალის სას. საბჭოში).

**ნაშარაქუ//ნაშარაფუ** – სერი ლეჯოლიხეს საზღვარზე, საიდანაც სხვადასხვა მხარეს გაედინება ლაჩახვა, ონახუე, ნკვიბლალ(გ) (ლესარჩილე, ლელვინჯილე). **შარაქუა** გვარი უნდა ყოფილიყო.

**ნაშარაფუ** – სერი. იგივე **ნაშარაქუ** (ფახულანი).

**ნაშეპუ//ნაშეფუ** (შეფა „სეფა“) – ვაკე ინწირას მარცხ. მხარეს, ქვიშონას გვერდით (საჩინო). საბატონო ყანებში მომუშავე ყმა გლეხებისათვის **შეფა**, გრძელი სასადილო მაგიდა, როგორც წესი, ყანაშივე იდგმებოდა.

**ნაშენ(ი)** – 1. ხეხილნარი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (მედანი); 2. დავაკება ხარხას ქვემოთ, ჩელალის მარჯვ. მხარეს, სადაც უწინ ჭვიტლურის ჯიშის ვაზი ყოფილა კაკლებზე აშვებული და აქა-იქ ახლაცაა შემორჩენილი (ლეთკანთი) და სხვ. **„ნაშენ(ი), ნაშენი, ნაშინგ** – განაშენებული ადგილი; ტყე, სადაც ვაზი ხეებზეა ასული; ბალ-ვენახი; ხეხილიანი ზვარე“. დაახლოებით ასეთივეა განმარტება ალ. ქობალიას ლექსიკონშიც.

**ნაშეფუ** – ვაკე. იგივე **ნაშებუ** (საჩინო).

**ნაშინ(გ)** – საძოვარი ლაკადას ძირას, სადაც მარტვილიდან გადმოხვენილ და ჩიქოვანებთან თავშეფარებულ ჯანჯღავებს კაკალი და ვენახი გაუშენებიათ, მანამდე კი ტყე ყოფილა (ნაგურუ). იხ. ნაშენ(ი).

**ნაშონლალ(გ)** – ინწირას მარჯვ. შენაკადი ბურღეფთან (კუხეში).

**ნაშონგ** – ტყე-ფერდობები ინწირას მარჯვ. მხარეს, სადაც ჩასიძებული ყოფილა შონი „სვანი“. აქედან გაედინება ნაშონლალ(გ) (კუხეში).

**ნაშონგში ოჩაიე** – ჩაის ფართობი ნაშონში (კუხეში).

**ნაშუკუ** ( შუკა „შუკა, ორღობე“) – საძოვარი ოლორის მარცხ. მხარეს, ჩხაპელკას კალთაზე. ატყვია ნაგზაური (ენერფერდი).

**ნაშუქუ** ( შუქი „ქარ-გრიგალი“) – ტყე-საძოვრები ფურაშში, ეცი-ხოხანის წყალგამყოფზე, სადაც ქარ-გრიგალს ტყე დაუღენავს (ხუდონის სატყეო). შდრ. **ოშუქე**.

**ნაშხურუ** „ნაცხვარალი“ – ალპ. საძოვარი ჭითაგვალაში, ნაშხურწყარის მარჯვ. მხარეს (მაგანას სატყეო).

**ნაშხურუშ სუკი** – მთა-საძოვარი წისქვილარას სათავესთან (სქურის სატყეო).

**ნაშხურწყარი** – მაგანას მარჯვ. მდგენელი. იწყება დიდი ტობავარჩხილიდან. ჩაუვლის ნაშხურუს (მაგანას სატყეო).

**ნაჩარდოუ** – დავაკება ოლორის მარჯვ. ნაპირას, დობერაში (ენერფერდი). შესაძლოა, ჩარდია გვარ ჩარტიას ფონეტიკური ვარიანტი იყოს.

**ნაჩაჩანუ** ( ჩაჩანი „ბოშა“) – 1. ვაკე-სახნავი ჭანისწყლის ჭალაში, სადაც ხშირად იბანაკებდნენ ბოშები (ობუჯი); 2. ჩაის ფართობი კვარჩხილალის მარცხ. მხარეს (ნაკიფუ). შდრ. „ნაჩაჩანუ (ნაჩაჩნარი) — ადგ. ობუჯში“ (ლლონტი, 1971, გვ. 77).

**ნაჩიქვანიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი. იხ. ნაჩიქვანგ (ობუჯი).

**ნაჩიქვან(გ)** ( ჩიქ(ო)ვანი) – ვრცელი ვაკე სასონგულიოში (ობუჯი). **ნაჩიქვანიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ჭაჭახში, უჩალალის მარჯვ. ნაპირას, ნაჩიქვანთან (ობუჯი).

**ნაჩიხა** „ნაგუბარი; საგუბარი“ – 1. სანისქვილე არხის სათავე ჩხოუშიაზე, ლემანიეში (პ. ენერი); 2. სანისქვილე არხის ჯებირი მდ. ცურნაზე (ლელვინჯილე) და სხვ. **ჩიხუა** „მდინარის გადაღობვა წყლის გადაკედვლის, გადატიხვრის, დაგუბების ან სანისქვილე არხში მისი გადაგდების მიზნით“ ნაჩიხა.

**ნაჩიხაშ ტომბა** – მორევი მდ. ჩხოუშიაზე, ქიჩოშ ტომბას ქვემოთ (პ. ენერი).

**ნაჩხაპელუ** ( ჩხაპელია) – ნაკარვალი, საძოვარი ტყეში, თეკანაშის კალთაზე. ნა-სახლარების კვალი არ ჩანს. რესპ.: „ჯიმწყარით უჩხაპუნა დო საქონელი ინოდიარუე“. ჩხაპელია მცირერიცხოვანი გვარსახელია. 1995 წელს ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში მკვიდრობდა 333 სული ჩხაპელია. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ჩხაპელია (მაგანას სატყეო). ალ. ქობალიას ლექსიკონის მონაცემები ასეთია: ა. **ჩხაპუა** — შხაპვა; სხურება; პკურება; მორწყვა (ნარგავისა); დანამვა (სარეცხებისა)...“ ბ. **ჩხაპელია** — დანინკლული წერტილოვანი სიჭრელე“. რესპოდენტთა განმარტებანი ასეთია: „**ჩხაპელი** — მორწყული, განუწული; შემთვრალეული“. მაშასადამე: **ჩხაპელი**, ან ჩხაპელია თავდაპირველად ქცეულა მეტსახელად, ხოლო შემდეგ – გვარსახელად.

**ნაცაბუ** – გორა. იგივე ნასაბუ (ნალენჯიხა).

**ნაცალა** – საძოვარი. იგივე ონაცალე (მედანი). ნაცალა აღნიშნავს: 1. ნათიბი (ცალუა „თიბვა“; 2. თიფი; 3. ნაკაფი, ბუჩქნარი.

**ნაცალა(რი)** – ვაკე ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ქვიშონას სამხრეთით. უწინ სათიბად ჰქონიათ გაშვებული (საჩინო). რესპ.: „ჯვეშო ოცალუეთ ნოღვედეს. რზენს ვახაჩქნდეს ნაკლებიშ მეტო, ფერდიშ მგოგაგაფი უსხუნუდუ ჯვეშ კოც“. **ცალუა** „თიბვა“ ოცალუე. **ოცალარი** „სათიბარი“ ნაოცალარი „ნასათიბარი“ ნაცალარი.

**ნაცანდარუ** – ბორცვი. იგივე **ნასანდარუ** (ობუჯი).

**ნაცანუ** ( ცანავა) – 1. ბორცვი ლემოსიძეში, ლაჩახვასა და ოლაჭაჭიელალს შუა (ფუქი); 2. ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (ჯალირა); 3. ვაკე ბორცვი. იგივე ნაზმატუ (ნალენჯიხა); 4. ბორცვი. იგივე ნასანუ (სამესხიო) და სხვ.

**ნაცანუმ სუკი** – კონცხი. იგივე შქასუკი (ნალენჯიხა).

**ნაცატუ** – გორა ნალენჯიხაში (ღლონტი, 1971, გვ. 77).

**ნაციმური** – ფერდობი გალის რ-ნის საზღვართან (ქალაღალი). **ციმა** „ცვენა; დაღუპვა“ ნაციმური „რაც ჩაცვივდა, რაც დაიღუპა“. რესპ.: „ფერდობი ჩამოშლილა და რამდენიმე ოჯახი დაღუპულა“. ნა-ურ ზმნურ ფუძეებთან მეგრულში იშვიათია.

**ნაცი(რ)დუ** ( ცირდავა) – ვაკე-ტაფობი. იგივე ნაზარაკუ. რესპ.: „როგორც ჩანს, უნინ აქ ცხოვრობდნენ ცირდავები, მაგრამ არ ვიცით, სად გადავიდნენ. დარჩენილია ნა-სახლარები, მინაში ხშირად პოულობენ თიხის ჭურჭლის ნამსხვრევებს“ (ლეშამუგე).

**ნაციშარა** – ტყე-ხეობა ჯოლორნაშუმასა და ჭყვეპეს შუა (მაგანას სატყეო).

**ნაძაგანუ** ( ძაგანია) – ხეობა, ნაპერტულალის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზაკალონდალის პარალელურად. ძაგანია გვარსახელია (1153 სული საქართველოში) (ფუქი, მა-ზანდარა). **ძაგან** სომხური სიტყვაა და ნიშნავს ნაშობს, შვილს. ეს სახელი დაფიქსირებულია 1260 წლის ახლო ხანის ქართულ წყაროში (პალ, I, გვ. 66).

**ნაძაგანუმ სუკი** – ბორცვი ნაძაგანუსა და ბზაკალონდალს შუა (ფუქი).

**ნაძმატუ** – ვაკე-ბორცვი. იგივე **ნაზმატუ** (ნალენჯიხა). ალ. ღლონტი ცალ-ცალკე ობიექტებად წარმოგვიდგენს ნაზმატუსა და ნაძმატუს (ღლონტი, 1971, გვ. 74 და 77).

**ნანვერ(გ)/ნანვირ(გ)** ( ნვირე „ნაკელი“) – მცირე მინდორი ნამოსინუში, ობიესთან (ფუქი).

**ნანვირ(გ)** – მინდორი. იგივე ნანვერ(გ) (ფუქი).

**ნანილუ** – ვაკე-ფერდობები. იგივე **ნა(რ)ნულუ** (სამესხიო).

**ნანიორა** „ნანრეტი; ვინრო მდინარე“ – 1. ღელე ლექარდუში, ჩხოუშიას მარჯვ. შენაკადი (პ. ენერი); 2. ღელე, რეკას შენაკადი. სათავეს იღებს მამუკიაშ ჯიხასთან (საჩინო). 3. ღელე-ნაკადული სოფლის ჩრდ. ნანილში. ჩაედინება ენგურში (ფოცხოენერი) და სხვ. რესპ.: „ნანიორა აკნაშაყარა წყარს ჯოხო“. „ნიორის“ სალექსიკონო განმარტებანი ასეთია: ო. ქაჯაია: „**ნიორი, ნიორუა** – წრიალი, უთავბოლო სიარული; ხეტიალი“; „**ნიორილი** – ნელში გამოყვანილი; ტანწერნეტა“; ალ. ქობალია: „**ნანიორა** – წვრილად დართული, დანმენდილი (ძაფი“; აკ. ჭანტურია: „**ნანიორა** – ნაპრალოვანი ადგილი, კერძოდ, მდინარის მიერ შექმნილი“; **ნიორი** – წერნეტი სიარული: **ნიორუა** „წვრილად რთვა“. ჩვენეული განმარტებანი ასეთია: **ნიორუა** ( მინიორე) ვინრო კალაპოტში წყლის დინება; **ნანიარი, ნანიორა** არის ნანრეტი, ნაჟური წყალი, რომელიც ვაკე ადგილას ან დაფერდებაზე მიედინება ვინრო კალაპოტში, ან არხში; ნანვიმარი წყალი, მიმდინარე ან ვინროდ ჩაგუბებული.

**ნანიორალ(გ)** – 1. იწინრას მარჯვ. შენაკადი ნაჯიხთან (საჩინო); 2. ლიარსანეს ზემო წელი ნალენჯიხის ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე (ნალენჯიხა) და სხვ. იხ. ნანიორა.

**ნანისქვილუ//მიხაშ ნანისქვილუ** – ჭალის ნანილი ჭანისწყლის ნაპირზე, მიხაშ ტომბას ზემოთ. ნანისქვილარი არ ჩანს (ლეკაკულე).

**ნანისქვილალ(გ)** – რეკას მარჯვ. შენაკადი ჭყონასთან (მაზანდარა).

**ნანისქვილ(გ)** „ნანისქვილარი“ – 1. ნანისქვილარი ჭანისწყლის ნაპირას, სადაც კონია გურიელის ნისქვილი მდგარა (მედანი); 2. საბალახო ხურჩას ჭალაში, ლეხვიჩიესთან (ნაგურუ); 3. ნანისქვილარი ოლორის მარცხ. ნაპირას, ლეაკობეში. სანისქვილე არხი და ნისქვილი წყალდიდობას მოუშლია (ენერფერდი); 4. ჭალა-სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სადაც უნინ ნისქვილი მდგარა (ჯგალი); 5. მორევი. იგივე **ხუნაშდუდი** (ჯგალი); 6. ნანისქვილარი. იგივე **ნანაჩხე** (ლეჯოლიხე) და სხვ. მრ.

**ნანისქვილ(გ)/გიორგიშ ნანისქვილ(გ)** – მცირე ჭალა ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ბოსელთან (ლეკაკულე).

**ნანისქვილ(გ)/ლომაიეფიშ ნანისქვილ(გ)** – ჭალა-თუთნარი, ხვიჩაშ რზენის ნანილი ინწგრას მარცხ. ნაპირას (კუხეში).

**ნანისქვილ(გ)/მეზონიეფიშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ჯალრალალისა და ჭანისწყლის შესართავთან. ნისქვილი მეზონიებისა იყო. წყლის ნისქვილი გაუქმდა სოფლის ცენტრში მოტორის ნისქვილის გამართვასთან დაკავშირებით (ჯალირა).

**ნანისქვილ(გ)//ჭარაიფიმ ნანისქვილ(გ)** – სახნავი დავაკებაზე, მდ. ქალაღალის მარცხ. ნაპირას (ქალაღალი).

**ნანისქვილგში ტობა** – მორევი ხურჩაზე, ლეხვიჩეში (ნაგურუ).

**ნანრუბელ(უ)//ნარნუბელუ** ( ნრუბელი „ნურბელი“) – ბორცვი, სახნავი ყინობუჯში (ნაკიფუ). რესპ.: „ამ ბორცვიდან ჩამოდიოდა მცირე ლელე, რომელშიც ნურბლები იცოდა“.

**ნანულუ** – ტარჩიის ხეობის მონაკვეთი. ცხოვრობენ კონჯარიები, კაკაჩიები... ნულა-იები კი არ ჩანან (სამესხიო). შდრ. „ნანულუ (ნანულაიარი) — ადგ. ობუჯში“ (ღლონტი, 1971, გვ. 77).

**ნანყათა//ნაჭყათა** – ჯალღალის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა, სადაც მწყემსები საქონელს მარილს უყრიდნენ (ჯალირა). **ნყათუა** „დამარილება“ ზმნას მწყემსები ხმარობენ „საქონლისათვის მარილის დაყრის“ მნიშვნელობით. რესპ.: „ოდიარეს ნყათენდეს თხალეფში, მხურში, საქონელში დო ნანყათაქ ქიგიადუ უკული“.

**ნანყვი//ნანყუ** „ნამენყრი“ – ჩაის ფართობი ლესარეში. აქ ერთგან მცირე გუბურაა, სადაც წვიმის ნყალი დგება (ნალენჯიხა).

**ნანყუ** – ჩაის ფართობი. იგივე **ნანყვი** (ნალენჯიხა). შდრ. „ნანყუ (ნანყურგილარი, ნანყაროვალი) — საჩაიე ნალენჯიხაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 77).

**ნანყურგილ(გ)** ( ნყურგილი „ნყარო“) – მიტოვებული ნყარო ლეიჩიეში (კუხეში). რესპ.: „ნყარო ვენახში იყო და იყენებდნენ როგორც სასმელად, ისე ვენახის შესანამლი ხსნარისათვის. მაგრამ ვენახი გადაშენდა და ნყარომაც ფუნქცია დაკარგა“. მაშასადამე, წინავითარების ნა-პრეფიქსი გამოხატავს არა იმას, რომ ნყარო იყო და აღარ არის, არამედ მის მიერ ფუნქციის დაკარგვას.

**ნაჭანუ** – მალალი გორა. იგივე **ნაჭკანუ** (უბადოღალი, ფახულანი).

**ნაჭანგრე** – ერქვა ჩაის პლანტაციას. აქ ჩაის გაშენებისას აღმოუჩინიათ არყის ქვაბის მსგავსი ჭურჭელი, რომელიც ძალიან ჰგავდა ჭანირს. იგი შემდგომში თბილისში ნაულიათ (ნალენჯიხა). ი. ყიფშიძე: „ჭანგრი — სპილენძის ქვაბი ან ტაშტი“.

**ნაჭარხალ(გ)//ფიფიფიმ ნაჭარხალ(გ)** – მინდორი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, სადაც ერთ დროს ფიფიებს ჭარხალი მოჰყავდათ. **ჭარხალი** „ჭარხალი“ ნაჭარხალ(გ) „ნაჭარხლევი (ადგილი)“. (მედანი).

**ნაჭაჭე (ჭაჭა)//ტიოზი//ქანთარიეფიმ ნოხორი** – სახნავი ლექანთარესა და ლესამ-ლეს შუა, ოხარკალეს სათავესთან (ჯვარი, ლეშამუგე). რესპ.: „აქ ყრიდნენ ჭვიტლურის ჭაჭას, რადგან ჭაჭისაგან არაყს ძველ დროში არ ხდიდნენ. ერთხელ ჭაჭა ძროხებს შეუჭამიათ და დაიხოცნენ“. ჭაჭია გვარიცაა (209 სული საქართველოში). **ტიოზი** ტრიალი, შიშველი მინდორია. უწინ აქ ქანთარიები ესახლნენ.

**ნაჭვარა** „ნაკაფი“ – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში. რესპ.: „აქ ეკალბარდი და ჩირგვნარი იყო. 20-25 წლის წინათ გაკაფეს სიმინდის დასათესად“ (ჯალირა). ამოსავალია ზმნა **ჭვა-რუა**, რაც გულისხმობს მოახოების გზით მინის სათესად გამზადებას.

**ნაჭვეუ** „ნაჭვავარი“ – 1. საბალახო საქებურიოში. უწინ აქ ჭვავი („ჭვე“) ეთესა (ჯალირა); 2. მინდორი ლეხარჩილეში (ფახულანი); 3. საბალახო ხასაიაშ ფერდთან, სადაც „ჭვე“ ჭვავი ითესებოდა (წყოუში) და სხვ.

**ნაჭვეუშ ღალ(გ)** – ლელე ლეხარჩილეში, ტებენეს მარცხ. შენაკადი. მოედინება ნაჭვეუდან (ფახულანი).

**ნაჭვი** „ნამწვი; დამწვარი; ნახანძრალი“ – ტყე-ბორცვი როკმაღალსა და მელტონიმ ღალს შუა. გადმოცემით, ეს ტყე ნახანძრალია (სამესხიო). როგორც ცნობილია, ქართულ **ნუ-** ძირს მეგრულში შეესატყვისება **ჭუ-** (ნუ-ავ-ს მეგრ. ჭუ-ნს, და-ი-ნვ-ა „დი-ჭუ“), რაც სემანტიკურად დაკავშირებულია მნიშვნელობასთან: ცეცხლით (ან ცეცხლში) დაწვა, დახანძვრა. ასეთ შემთხვევაში, **ნაჭვი** იგივეა, რაც ქართ. „ნახანძრალი, დამწვარი“, ხოლო ყველა შემთხვევაში **ნაჭვეუ, ნაჭვიუ, ნაჭოუ, ნაჭუუ** მხოლოდ „ნაჭვავარს“ აღნიშნავს. ამას, ფორმის გარდა, ობიექტის სახელდების მოტივაციის გარკვევაც გვშეველის.

**ნაჭვიტილე** – ტყე-ფერდობი. იგივე **ლეჭვიტილე** (მაზანდარა).

**ნაჭვიუ** „ნაჭვავარი“ – 1. საძოვარი ლაკადაში, ტკიბრასა და მოროჟას შესართავთან, სადაც მარტივილიდან გადმოხვენილი ჯანჯღავეები ჭვავს თესდნენ (ნაგურუ); 2. ბურქნარი. იგივე **ნაჭოუ** (ჭალე).

**ნაჭვიუ//ნაჭოუ** – 1. საძოვარი ენგურის მარჯვ. ნაპირას. აქ მზისკენ მიქცეულ ფერდობზე ჭვავი ეთესა (ჭალე); 2. ბურქნარი ლეჩიქვანეში (კუხეში) და სხვ.

**ნაჭვიუ//ნაჭუუ** – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, დობერას ფერდობზე (ლესალე). ქართ. ჭვავი (პურეული მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა და მისი მარცვალი) მეგრ. ჭვე „ჩვეულებრივი ჭვავი“. ერთხელ კიდეც აღვნიშნოთ: თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში **ნაჭვი** „ნახანძრი“ სემანტიკურად უნდა განვასხვაოთ **ნაჭვეუ**, **ნაჭვიუ**, **ნაჭოუ** და **ნაჭუუ** „ნაჭვავარი“ ტოპონიმებისაგან.

**ნაჭითუ** (ჭითავა) – ჩაის ფართობი ვეჯინჯში (საჩინო). ჯგალში მცხოვრები უღვი-მა მჭითანავა დასახელებულია XVI-XVII სს. საეკლესიო საბუთებში (ქსდ, III, გვ. 450, 647). გვარები ჭითიანი, ჭითანი გვხვდება სვანეთის სულთა მათიანეებში.

**ნაჭკადური//ნაოჭკადერი** (ოჭკადურე, ოჭკადერე „სამჭედლო“) – მინდორი ოსხა-პუესუკზე, კელის მარჯვ. ნაპირას (წყოუში).

**ნაჭკადერ(გ)** (ოჭკადერე „სამჭედლო“) – 1. მინდორი საგერგედაში, ჩხაპიალალის მარცხ. ნაპირას (ფახულანი); 2. მინდორი ინჭირიშის კალთაზე. სადაც უნინ სამჭედლო მდგარა (მუჟავა); 3. ბორცვი ხურჩას მარჯვ. მხარეს (ნაგურუ) და სხვ.

**ნაჭკანუ//ნაჭანუ** – მაღალი გორა უბადოლალისა და ტობეშის წყალგამყოფზე. რესპ.: „აქ ჭანიების ნასახლარია. ისინი ახლაც მოდიან მოსალოცავად“ (უბადოლალი, ფახულანი).

**ნაჭკვდვ** (ჭკვდი „ჭადი, ფეტვი“) – 1. ტყე-ფერდობი ლეფიფიეში, ინწგრას მარჯვ. ნაპირას (კუხეში); 2. ბურქნარი ფარის კალთაზე (ლარა); 3. სათიბი ჭანისწყლის მარცხ. ჭალის შემალღებაზე. აქ მწირი მიწაა და მხოლოდ ფეტვს თესდნენ სასილოსედ (ჯალირა). ი. ყიფშიძე: „ჭკიდი/ჭკვდი – ა) , ; ბ) ; გ) (შდრ. ფატი)“; ო. ქაჯაია: „ჭკიდი/ჭკვდი – 1. ბოტან. ფეტვი; 2. მჭადი; ალ. ქობალია: „ჭკიდი (ჭკვდი) – მჭადი; ფეტვი“; **ჭკიდიშ ჭკიდი** „ფეტვის მჭად“. ძველად სამეგრელოსა და სვანეთში ჭკიდი მთავარი პურეული საკვები იყო.

**ნაჭკვრა** „(გა)ნაჭერი“ – საცალფეხო გზა ბორბოლში. საშელიოდან ჩადის ლეკვირ-კვიეში (საჩინო).

**ნაჭოუ** – 1. საძოვარი. იგივე **ნაჭვიუ** (ჭალე); 2. ბურქნარი. იგივე **ნაჭვიუ** (კუხეში).

**ნაჭ(ო)უ** – ბურქნარი ხუმლაღალის სათავესთან (ჩქვალერი).

**ნაჭოუ//ნაჭვიუ** „ნაჭვავარი“ – ბურქნარი ლაყორიასთან (ჭალე).

**ნაჭუუ** „ნაჭვავარი“ – 1. სახნავი სოფლის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ლექაკულე); 2. სახნავი. იგივე **ნაჭვიუ** (ლესალე).

**ნაჭყათა** – ღელე-სეობა. იგივე **ნაწყათა** (ჯალირა).

**ნახაზუ** – სახნავი ჩელალის მარჯვ. ნაპირას, სამიქაოში (ლარა). სოფელში სიტყვის სემანტიკა და სახელდების მოტივაცია ვერ დადგინდა. მაგრამ შდრ. ალ. ქობალია: „**ნაზა** – გამოსაღები მინდვრებითა და ტყით სარგებლობისათვის“.

**ნახანჭკოლ(გ)** (ხანჭკოლა „ხანჭკოლა; ლოპინარი“) – სახნავი. სოფლის სამხრ. ნაწილში, ტებენეს მარჯვ. მხარეს (ნაშამგუ).

**ნახარებუ** (ხარებავა) – ბორცვი, უბანი ტარჩიას მარჯვ. მხარეს. ცხოვრობენ კაკა-ჩიები და მესხიები. ხარებავებზე არაფერი სმენიათ (სამესხიო).

**ნახარგ** (ხარო „სასიმინდე“) – სახნავი საქებურიოში, კინესქურის მარჯვ. ნაპირას (ჯალირა). ხალხ. ეტიმოლოგია: ა. „ოხარგ, იგივე ონჯარგ, ნიშნავს „შურს“. ამ მცირე მიწის გამო ხშირად ყოფილა შური და დავა. ამიტომაც დარქმევია ნახარგ, ანუ დანახარბი“. რესპ.: „გონჯარგნ თის ჯოხო **დანახარ(გ)** ჩქენი მარგალურო“. სხვა რესპ.: „აქ მალავდნენ მოპარულ ხარებს“ (მეგრულის ლექსიკაში ქართული სიტყვა ხარი შეცვლილია მისი კანონზომიერი ბგერითი და სემანტიკური შესიტყვებით, როგორცაა ხოჯი).

**ნახარგში ღალ(გ)** – ღელე, კინესქურის მარჯვ. შენაკადი ნახართან (ჯალირა).

**ნახატღიხა** „ნახატარი მიწა“ – ტყე ჩელალის ზემო წელზე. ხატზეა გადაცემული და აქ ხეს არ ჭრიან (ნაკიფუ, ლენურნუმე).

**ნახაჯ(გ)** „ნაცერცვალი“ – 1. მინდორი მოროჟას მარჯვ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში. ამჟამად საკარმიდამოებია (ლეშამუგე); 2. დავაკება-სახნავი ბორცვზე, ლეჭან-ტურეში (ჩქვალერი) და სხვ.

**ნახვამენი** ( ოხვამე, ხვამა) – 1. ტყე-საძოვარი დიდი ტებენეს სათავესთან (ჭალეს სატყეო); 2. ბორცვი ჟინეკვეში, სადაც მუხის ძირას ტარდებოდა ესქედობა: ზენას სთხოვდნენ პირუტყვის დაცვას. რესპ.: „ესქედობას უძახედეს ათეს: პირუტყვიმ სახელით მიშეს დო ჭყონს ათახვამანდეს ჯვეშო. მა ჯგგრო ფშე“ (ფახულანი) და სხვ. შდრ. ნა(ო)ხვამენი.

**ნახვამენ(ი)სუკი** – გორა ჟინეკვეში, ნახვამენთან (ფახულანი).

**ნახვამერი** – 1. ტყე-საძოვრები თეკანაშსა და ორულაფუს შუა, წყარგიმალაფუს სათავესთან. აქ უნინ ხუდონელთა და წყავაშელთა სალოცავი ყოფილა. ხანდაზმულები აქ მოსწრებიან ნაგებობის ნაშთებს, თლილ ქვებს, ურთხლის ჯვარს (მაგანას სატყეო); 2. ნა-ეკლესიარი ოლორის მარცხ. მხარეს (მუჟავა) და სხვ. ტოპონიმისათვის ამოსავალი შეიძლება იყოს როგორც ოხვამე „ეკლესია“, ისე ოხვამერი „სალოცავი; შესანიერი“. შდრ. ნაოხვამ(ერი).

**ნახვამსუკი** – მაღალი სერი ნოჟალასა და ოჭანეს შუა. აქ მდგარა ეკლესია, სადაც ქრისტეს ხატი ესვენა (ჯვარი).

**ნახვამუ** – 1. ბორცვი სალაფერდსა და ჯიხას შუა. უნინ აქ ყოფილა სალოცავიც და სასაფლაოც (ლესალე); 2. ბორცვი სოფლის აღმ. ნაწილში, ლეტონას გვერდით. უნინ აქ სალოცავი ჰქონიათ, ამჟამად კი სასაფლაოა. იგივე ჯვეშ ნახვამუ (მაზანდარა) და სხვ.

**ნახვამ(გ)** – საყდრის ნანგრევები თარზენში, ლაკადას თავზე. ირგვლივ მხოლოდ საძოვრები და მწყემსთა სადგომებია. **ოხვამე** „სალოცავი, ეკლესია“ ნაოხვამ(გ) ნახვამ(გ) (ლეთკანთი).

**ნახვერუ** – მღვიმისებური ნაპრალი კლდეზე, ნაწულუში, ტარჩიას აღმ. ფერდობზე. აქედან გამოედინება ხუფინა. შდრ. ალ. ქობალია: „ხვერი – ქვევრის თავზე დაყრილი მიწა. ჰაერში ამდგარი მტვერი“. რესპონდენტი კი განმარტავს: „ხვერი – ღრუ, ხვერელი“; ი. ყიფ-შიძე: „ნა-ხვერი – უსუფთაობა“ (სამეხსიო).

**ნახიბა//მელტომ ნახიბა** – საძოვარი ხურჩას მარცხ. მხარეს, ნაქერსა და დარზენას შუა, სადაც მელიტონს ყანა ჰქონია ყორით შემოზღუდული (ნაგურუ). **ნახიბა** „ყორე, ქვის წყობით გაკეთებული ღობე“ **ხიბუა//ხგბუა** „ქვის დანყობა ღობედ ან ყორედ“. ალ. ქობალია: „ნახიბა – ნახერგი, ხერგილი“.

**ნახინჯე** „ნახინდარი“ – ბონდის ხიდი სქურჩაზე, ლეჟაში (ნაკიფუ). რესპ.: „უნინდელი ხიდი დაძველდა და ჩაიქვა. მაშინ დაერქვა ნახინჯე. ჩვენს დროში აღადგინეს, მაგრამ სახელი წინანდელი დარჩა“.

**ნახინჯა//უბადო მიკოლ(გ)** – ფერდობი ხურჩას ზემოთში (ნაგურუ). (გო)ხინჯუა „ხიდის გადება“ ნახინჯა „სადაც ხიდი გადეს“; უბადო მიკოლ „ცუდი გასასვლელი“.

**ნახიფუ** – სათ. ობუჯში (ღლონტი, 1971, გვ. 77).

**ნახორხანყარი** „ნახერხის წყალი“ – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი (მედანი). ღელის სათავესთან იდგა სახერხი ქარხანა და წყალს ჩამოჰქონდა ნახორხა „ნახერხი“. უფრო ადრე ეწოდებოდა **ძვაბაშ რობუ//ფაშუშ რობუ. ძვაბა(ვა)** გვარია, ხოლო **ფაშუ** – პირსახელი (გვარად ქანთარია ყოფილა). აქედან ღელე ღრმა ხევში მიედინება. იქ გადავარდნილი კაცის სანუხარზეა ეს ხალხური ლექსი:

„ფაშუშ ღალსე ქინიბქოსი,  
მინოტი დო აკანუნცე,  
ვემნმართინე, ვამნმართინე,  
მანგარს მიჭირს მარძგვან ხუცე,  
ხასლა აკოტახილ მაფუ,  
ზესხერი მოსოფუნცუ დუცე,

მინშა ფერდის გივოლუქუ,  
მინშა დაჩხერი ხოლო ბჭუნცგ“.

**ნახოჯარი** „ნახარალი“ – ვაკე-ბორცვი ტახილ ლეხარჩილეში, სადაც ღამით ხარები ნეებოდნენ (ლეხარჩილე).

**ნახუბუ//ნახუფუ//ნახგფუ** ( ხუბუა) – დაბალი სერი ქანისწყალსა და კინესქურს შუა. ამ ორი მდინარის შესართავთან შემორჩენილია პატარა ციხის ნაშთი. იხ. ნახუბუმ ჯიხა//ნახუფუმ ჯიხა (ჯალირა, ნაკიფუ).

**ნახუბუმ კურკუცია** – ბორცვი. იხ. **კურკუცია** (ჯალირა).

**ნახუბუმ ჯიხა//ნახუფუმ ჯიხა** – ციხე-კოშკის ნაშთი ნახუბუში, ქანისწყლისა და კინესქურის შესართავთან (ჯალირა).

**ნახულუ** – 1. ბორცვი ჩაის პლანტაციით სქურდილას მარჯვ. მხარეს, საქუთელიოში (ობუჯი); 2. ბუჩქნარი ლურჯიამ ტობასთან. ვარიანტი: **ნახულუმ ნაოკირეში** (ნაშამგუ) და სხვ. სავარაუდოა: ხულა „სასიმინდე“ (ან ხული „მხალი“) ნახულუ.

**ნახულუმ ნაოკირეში** – ბუჩქნარი. იგივე ნახულუ (ნაშამგუ).

**ნახუფერუ** ( ხუფერია) – ბორცვი ხუფინას სათავესთან. დღეს აქ აღარავინ სახლობს (ობუჯი).

**ნახუფუ** – დაბალი სერი. იგივე **ნახუბუ** (ჯალირა, ნაკიფუ).

**ნახუფუმ ჯიხა** – ციხე-კოშკის ნაშთი. იგივე **ნახუბუმ ჯიხა** (ჯალირა).

**ნახგფუ** – დაბალი სერი. იგივე **ნახუბუ** (ჯალირა, ნაკიფუ).

**ნაჯამპუ** „ნათუთარი“ – ბუჩქნარი საქაროს კალთაზე, ჩექუას გვერდით. თუთა აქაიქაა შემორჩენილი (ენერფერდი).

**ნაჯარგვალგ** ( ჯარგვალი „ხე მრგვალი“) – 1. ტყე ყვირას კალთაზე, ხორგონსა და ჟინრზენს შუა (ჯვარის სატყეო). აქ მწყემსს ჰქონია **ჯარგვალი** – მრგვალი ხის მორებისაგან აგებული ქოხი; 2. საძოვარი ტაფობზე, მოროჟას მარჯვ. ნაპირას (ჩქვალერი).

**ნაჯარჯგ** – ფერდობი ოხვამეგას კალთაზე, ქანისწყლის მარცხ. მხარეს (ნალენჯიხა). სავარაუდოა: **ჯარჯა** ( მიოჯარჯანს) – უშნოდ და ზანტად მოსიარულე კაცის ეპითეტი და, შესაძლებელია, ეპონიმის მეტსახელი გამხდარიყო. გადმოცემით, ჯარჯუას ნასახლარია. ამჟამად ასეთი გვარი არ დასტურდება. შდრ. „**ჯარჯი** – ძეძვი, ძეძვის ღობე“ (ალ. ქობალია).

**ნაჯაჯგ** – მინდორი ინწირას მარცხ. მხარეს, სერზე (ჩქვალერი). რესპ. ი. შეროზია: „ჯაჯუა ეწოდება ღობის ცეხვას ოჩამურში. საცეხველი აქ ახლაც დგას“. მაშასადამე: **ჯაჯუა** ნაჯაჯგ. მაგრამ არაა გამორიცხული, ტოპონიმისათვის ამოსავალი იყოს გვარი **ჯაჯავა** (მხოლოდ 55 სულია დღევანდელ საქართველოში). დასტურდება 1733 წლის საბუთში (იხ. ქსდ, III, გვ.: 731, 767).

**ნაჯვარ(გ)//ნაჯვარსუკი** – ბორცვი ნაპერტულალის სათავესთან, ნაძაგანუსა და ნაპერტუს შუა, ნამოსინუს გაგრძელებაზე (ფუქი, მაზანდარა).

**ნაჯვარსუკი** – ბორცვი. იგივე **ნაჯვარ(გ)** (ფუქი, მაზანდარა).

**ნაჯვარწიფური** – ტყე ნოჯკადგრენში, ნოლიმერის სათავესთან, სადაც ერთ წიფელაზე ჯვარი იყო ამოჭრილი (სქურის სატყეო).

**ნაჯიხ(გ)** „ნაციხარი“ – 1. სამგან ეწოდება სხვადასხვა სახის ობიექტს ერთ სოფელში: ა. მცირე ბორცვი „ქირსემ ხატის“ დას-ით, ი. შეროზიას (91 წ.) ეზოში. აქ მდგარი ჯიხა, ანუ ციხესიმაგრე დაურღვევიათ და ქვა გამოუყენებიათ ახალი ეკლესიის ასაშენებლად; ბ. ბორცვი-ნაციხარი კუკლაიაშ გას სამხრ. ნაწილში. რესპ. კემე ქანტურია, რომლის ეზოშიც შემორჩენილია ნაგებობის ბალავერი, აღნიშნავს: „აქ ყოფილა კოშკი, რომელსაც ჰქონდა „ხატიმ ინასვანჯაფალი“ (ე.ი. ხატის ნიში). კოშკი დაუნგრევიათ და ქვები გამოუყენებიათ ეკლესია „ქირსემ ხატის“ ასაშენებლად. ჩემს ეზოში, ნაკომკართან, ვიპოვე ოქროს სამაჯური და ჩავაბარე ზუგდიდის მუზეუმს, სადაც დაასკვნეს, 1500 წლისა არისო... ჩემს ეზოში რაღაც სარკოფაგის მსგავსი რამ არის მიწაში, მაგრამ არც ვინმე დაინტერესებულა ამით“; გ. მცირე ვაკე-ბორცვი სოფლის სამხრ. ნაწილში. ზედ ძველთაძველი ცაცხვი დგას (სამივე სოფ. ლეშამუგეში). 2. ნაკომკარი, ძველი ციხესიმაგრე კირდეჯინჯის თავზე (წყოუში); 3.

გორა-სასაფლაო ლაჩხვასა და ოტოფუეს წყალგამყოფ სერზე (ფუქი); 4. გორა, ონნიშის ყველაზე მაღალი ადგილი. ციხესიმაგრის ნაშთი არ ჩანს (მუჟავა); 5. ბორცვაკი ინწგრას მარჯვ. ნაპირას, სკურეფიას შესართავთან. ჩანს ციხე-სიმაგრის ნაშთები (საჩინო); 6. ნაცი-ხარი. იგივე **დიდაქირსა** (ლია) და სხვ. მრ.

**ნაჯიხ(გ)** – 1. ბორცვი ოლორის მარჯვ. ნაპირას, ატამ(ბ)ეშთან. ამჩნევია ძველი გალავნის ნაშთი. რესპ.: „აქ მუშაობისას იპოვეს სპილენძის მძივები და სამაჯურები (ფახულანი); 2. ბორცვი და ჩაის ფართობი. იგივე **ნოჯიხი** (მაზანდარა).

**ნაჯიხურუ** „ნაჯიხურევი“ – 1. ბორცვი გალურს ზემოთ, ხუფინას აღმ-ით. ციხესი-მაგრის ნაშთი დღემდეა შემორჩენილი (ობუჯი); 2. ბორცვი, ძველი სასაფლაო აბანალასა და ხუმლალას შუა. ნაჯიხურისათვის ამოსავალი უნდა იყოს ჯიხური (ციხესიმაგრესავით ნაგები სახლი) და არა ჯიხა „ციხესიმაგრე“ (ნაშამგუ) და სხვ.

**ნაჯიხურ(გ)** (ჯიხური) – ბორცვი, ნაციხარი ატამეშში. მოსახლეები აქ პოულობენ მძივებსა და სამაჯურებს. ამჩნევია ძველი გალავნის ნაშთები (ფახულანი).

**ნაჯიხ(გ)/თურქიმ ნაჯიხ(გ)** – ბორცვი, ნაციხარი ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას, ნაგა-მინჯუს ზემოთ. ტყეში ციხის ნაშთია ჩაკარგული. გადმოცემით, აქ, ციხეში, თურქები იდ-გნენ და რუსის ჯარმა გარეკა. რესპონდენტთა ცნობით, ამ ბორცვზე ოქროა დამარხული (ნაკიფუ).

**ნაჯიხ(გ)/ნაბერალ(გ)** – ბორცვი ბარდლუმ ომუნჩქონის თავზე. დღეს აქ არც ჯიხა ჩანს და არც ბერალი. გადმოცემით, აქ დასმული იყო გეომეტრიული წერტილის ნიშანი – ქვის სვეტი (ნალენჯიხა).

**ნაჯიხ(გ)/ჯვეშ ნაჯიხ(გ)** – სასაფლაო ლაჩხვასა და ოტოფუეს წყალგამყოფ სერზე (ფუქი).

**ნაჯიხში ტომბა/ქენჩიშ ნასხაპა** – მორევი ინწირაზე, ნაჯიხთან (საჩინო). რესპ.: „მწყემსი ქაქუჩელა შელია საღამოს სახლში რომ დაბრუნებულა, უთქვამთ, კვარი მოვხარ-შეთ, მაგრამ შენი წილი არ დარჩაო. გული მოსვლია და მდინარისაკენ გაქცეულა, გამოჰკი-დებიან, ვიხუმრეთ, თორემ შენი წილი კვარი აგერააო. მორევი მაინც გადამხტარა. ამის შემდეგ ამ კაცს მეტსახელად დაარქვეს „ქენჩი“ (ხტუნია) ქენჩუა (უშნოდ გადახტომა). ბოლოს ამ მორევს ეწოდა ქენჩიშ ნასხაპაც“.

**ნდემიშ ფოქვა** „დევის მღვიმე“ – მღვიმე ჟინრზენის კალთაზე, მოროჟას მარცხ. მხა-რეს. აქედან გამოედინება **ნატაბაკეში ლალე** (ჩქვალერი). ლეგენდის მიხედვით, აქ დევებს უცხოვრიათ. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში **დევი** (მნიშვნელობანი: „ემმაკი, ვეშაპი, ბოროტი; გველი“) მრავალგანაა დასახელებული (აბულაძე, 1973, გვ. 139. ამავე ლექსიკონში წარმოდგენილია ვირდევიტ). ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ განმარტებულია: „**დევი** – ემმაკი, უნმინდური; გველი“. დასახელებულ ლექსემას შეჰხებია ს.-საბაც: „დევი სომხურად ემმაკსა ჰქვიან“. დ. ჩუბინაშვილიც: „**დევი** (სპარს.) – გველეშაპი, ზღაპარ მეტყველნი სპარსთ მოუთხრობენ რომელ დევი იყუნენ ღვთისაგან კაცისა...“. ლათინურში დევი არის ღმერთი, „...“. დ. ჩუბინაშვილი იმასაც აღნიშნავს დევი გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ი. ყიფშიძე ლექსიკონში ასახელებს ქართული (მ)დევი ლექსემის მეგრულ ვარიანტებს: დემი, ნდემი, ნდიი, ნდი და აღნიშნავს, რომ დასახელებული მეგრული ვარიანტები გამოხატავენ ცრურწმენას, ზღაპრულ არსებას, კაცის მსგავსს, ახოვანსა და გოლიათს, რქიანს; ო. ქაჯაია აქლნიშნავს, რას ნდემი, ნდიი, ნდი იგივეა, რაც ქართული დევი (ამასთნავე, მეგრულში ნდემი ლექსემის მნიშვნელობაა **დიდი** (ზედსართავი სახელიც), მაგ. ნდემისქუა „დიდიშვილი“. რა თქმა უნდა, ქართ. დევი და მის მეგრულ ფონეტიკურ ვარიანტებს ეხება ალ. ქობალიაც. მ. ანდრონიკაშვილი თვლის რომ **ნდემი** სპარსული სიტყვაა (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 192). საერთოდ, სიტყვა „დევი“, როგორც ჩანს ქრისტიანულ ხანაში „ურწმუნოს“ მნიშვნელობით იხმარებოდა.

**ნდურე** – ხევი, რომლითაც ლექანთარედან გზა გადადის ნოჟალაში (ჯვარი). (ნ)დურე „ხევი, ჩავარდნილი ადგილი“.

**ნდურეშ წყარი** – წყარო ნდურეში (ჯვარი).



**ნერა** – ენგურის წყნარი და მშვიდი უბე-მორევი (წყოუში).

**ნერა//ბარდლუმ ნერა** – უბე-საბანაო ენგურის მარჯვ. ნაპირზე (ჭალე). ბარდლუმ შონია აქვე ესახლა. რესპ.: „ინგური მგშაბაყანს აშო დო ნერას ირთუჷ“. **ნერა** – მდოვრი; ღრმა წყალი, რომელიც ძალზე ნელა მიედინება (**მგშაბაყუა** – წყლის ნელი შემოდინება ნაპირისაკენ და უკუქცევია). შდრ. აღ. ქობალია: „**ნერა** – მდორე, ნორიო“.

**ნესტორიამ ნაცვან(გ)** – საბალახო ნოყუჯინსა და ჭყებშიშ შუა (ჯვარის სატყეო).

**ნესტორიმ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი. იგივე **ნესტორიმ ნისქვილი** (ლია).

**ნესტორიმ ნოხორი** – 1. სახნავი ჟინობუჯში, ნარკინუსთან (ობუჯი); 2. სახნავი ლეგვილეში (ნაგურუ) და სხვ.

**ნესტორიმ ტობა** – მორევი ოლორზე, ტობებში, შელიეფიმ ნაჯიხთან (ფახულანი).

**ნესტორიმ ტომბა** – მორევი ხუფაიაზე, ძიკიმ ტობას ქვემოთ (ლია).

**ნესტორიმ ტომბა//შქაჭალუმ ტომბა** – მორევი ინნგრაზე, შქაჭალესთან. ნესტორს ამ მორევთან ყანა ჰქონია (საჩინო).

**ნესტორიმ ფერდი** – 1. მაღალი კლდე-ფერდობი ოლორის მარცხ. ნაპირას, ნესტორიმ ტომბას ზემოთ (ფახულანი); 2. ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ოტოფუეს ჩრდ.-დას. ნაწილში (საჩინო); 3. სახნავი ნესტორიმ ღალის მარცხ. ნაპირის ფერდობზე (ნაკიფუ).

**ნესტორიმ ღალ(გ)** – 1. ღელე-ხეობა, სქურჩას მარჯვ. შენაკადი ქვედა ლეჟაში. ამ ღელის ნაპირას ნესტორ კვარაცხელიას ყანა ჰქონია (ნაკიფუ); 2. ღელე, ოქაჯელალის ქვემო ნელი (ენერფერდი); 3. ოხარკალაიას მონაკვეთი ჯვარზენში (ჯვარი); 4. ხევი. იგივე ოქაჯელალე (ენერფერდი).

**ნესტორიმ ღალ(გ)//ნესტორიმ წყარი** – ღელე. ზემო ნელზე ენოდება ოქაჯელალე (ენერფერდი).

**ნესტორიმ ნისქვილი//ნესტორიმ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ხუფაიას ნაპირას (ლია).

**ნესტორიმ წყარი** – ღელე. იგივე ნესტორიმ ღალ(გ) (ენერფერდი).

**ნესტორიმ წყურგილი** – წყარო ლეგვილეში, ნესტორიმ ნოხორის ტერიტორიაზე (ნაგურუ).

**ნესტორიმ ჭუბურონი** – ბუჩქნარი ჩიქვინოყუნისთან. აქ ადრე ჭუბურონი, ე.ი. ნაბლნარი, ყოფილა, მერე მანდარინი გაუშენებიათ, მაგრამ ზამთრის ყინვებს გაუხშია (საჩინო).

**ნეძიში „კაკლისა“** – თოსქვამიას ვაკე-ხეობა ენგურის მარჯვ. ნაპირას. ამჟამად კაკალი აქა-იქაა შემორჩენილი (ჭალე). კაკლის ხე ერთ-ერთი იყო ხელვთაებათაგან: მისი ფესვის ქვეშ გამოთხრიდნენ ღრუს, რათა იქ გამძვრალიყო ავადმყოფი ბავშვი. იგი გარკვეული ლოცვა-კურთხევით გამოჯანმრთელდებოდა.

**ნეძიმ წყარი** „კაკლის წყარო“ – წყარო ტებენეს მარჯვ. ნაპირას, ონკირეშში. გამოედინება კაკლის ძირიდან (ფახულანი).

**ნეძიმჯინჯი** „კაკლისძირი“ – სახნავი რეყეში (ფახულანი).

**ნეძონა „ნიგვზნარი“** – 1. ტყე ხუფინას ხეობაში (ობუჯი); 2. ფერდობი გვაჭკას ქვემოთ, მოროჟას მარცხ. მხარეს (ჩქვალერი) და სხვ.

**ნეძონი „ნიგვზნარი“** – 1. სახნავი გუჩარას მარცხ. მხარეს. დარჩენილია ორიოდე ძირი კაკალი (მუჟავა); 2. კაკლნარი ჭანისწყლის ნაპირას (სქურის სატყეო) და სხვ.

**ნეძოქონა „კაკლნარი“** – ტყე-ხეობა, სადაც გადის ნეძოქონამ ღალ(გ). კაკლის ხეს არც აქ მოსწრებიან, მაგრამ რესპოდენტები ვარაუდობენ, რომ ოდესღაც აქ კაკლის ხეები ხარობდა (ლესალე).

**ნეძოქონამ ღალ(გ)** – ღელე, კაკილიმ ღალის მარჯვ. შენაკადი (ლესალე).

**ნიკამ წყურგილი** – წყარო. იგივე ონახუე//ონახუე ღალ(გ) (ლელვინჯილე).

**ნიკო ანთიამ წყურგილი** – წყარო ენგურის ნაპირას (ზ. ლია).

**ნიკოლოზიმ დისა//ნიკოლოზიმ ნოხორე** – სახნავი ლეხუბულეს ხეობაში. ნიკოლოზ სალია აქ ცხოვრობდა (ლესალე).

**ნიკოლოზიმ ნადის(გ)** – ტყე უჩაღალის სათავესთან, ლეფიფიეში (კუხეში).

**ნიკოლოზიმ ნოხორე** – სახნავი. იგივე **ნიკოლოზიმ დისა** (ლესალე).

**ნიკომ ნათერ(გ)** – ტყე-ბორცვი. იგივე **ნათერგ** (ლესალე).

**ნიკომ ნამალაზ(გ)** – სახნავი ბორცვზე, რზენიმ ღალის სათავესთან, გორაზე (ჯალი-რა). **მალაზა** სასიმინდე ნაგებობაა.

**ნიკომ ნოხორე** – მინდორი ფუსქურის მარცხ. ნაპირას (ლესარჩილე).

**ნიკომ ნოხორი** – ნასახლარი კერცხაში (ჯვარი).

**ნიკომ წყურგილი** – 1. წყარო ენგურის ნაპირას (ზ. ლია); 2. წყარო წელამსა და ფუქსქურს შუა (ლესარჩილე); 3. წყარო. იგივე კონიამ წყურგილი (ფუქი).

**ნირსობა** – ბორცვი. იგივე მირსობა (ლესოლიხე).

**ნირსობაშ სუკი** – ბორცვი. იგივე ცხვაისუკი (ლესოლიხე).

**ნიჩვიამ რზენი** – მინდორი სახასაიოში. გვრძეზენის ნაწილი ენგურის მარჯვ. ნაპირას. **ნიჩვია** მამაკაცს ერქვა (წყოუში).

**ნობალენი** (ობალილე ბალი „ბელელი“) – ტყე-ხეობა, ინწირას მარჯვ. შენაკადი. გადის თხირიშსა და ნოჯიხენს შუა (ჩქვალერი). ი. ყიფშიძე: „**ნობალილე** – სასიმინდეს კალათა“. შდრ. ალ. ქობალია: „**ნობალილე** – ხილის ჩასაკრეფი გოდორი“.

**ნოდარიშ ორტვინი** „ნოდარის ბოსტანი“ – ბუჩქნარი ოჭვეს ტერიტორიაზე (ფახულანი).

**ნოდარიშ წყურგილი** – წყარო ნოჭალაში, ნახვამსუკის კალთაზე (ჯვარი).

**ნოკარენი** (კარე „მწყემსის სადგომი“) – ტყე ბულგასა და ნუზუონს შუა (ჭალეს სატყეო). დანიშნულების სახელები (წარსული დროის მიმღობანი) იშვიათად წარმოიქმნება **ნო-** პრეფიქსით (-ენ, -ერ, -ურ, -ულ სუფიქსების დართვით): ნო-კარ-ენ-ი „ადგილი სადაც უწინ **კარე** იდგა“; ნო-ნწყვი-ერ-ი (ნწყულა „ჩამეწყვრა, ჩაქცევა, ჩაძირვა“), ნო-შქვიდ-ურ-ი (შქვიდაფა „დახრჩობა“ (ლაზარიაშ ნოშქვიდური „სადაც ლაზარია დაიხრჩო), ნო-ჯიხ-ურ-ი „ნაციხარი და ა.შ.

**ნოკარენიშ(ი) ტყა** – ტყ. მუჟავაში (ლლონტი, 1971, გვ. 78).

**ნოკურცხენი//ნოკვრცხენი** „ნასეტყვარი“ – ტყე-ფერდობები ნოჯიხენის სამხრ-ით, კაპარჭელას სათავესთან (ლესალე). **კვრცხი** „სეტყვა“ **კვრცხანს** „სეტყვავს“ **ნოკვრცხენი**. ტოპონიმისათვის ამოსავალია ან არსებითი სახელი **კირცხი//კვრცხი** („ქვიან-ლიჭიანი ნიადაგი; თავყვითელა ბალახი“) ან ზმნური ფორმა **კვრცხანს** „სეტყვავს“.

**ნოკვრცხენი** – ტყე-ფერდობები. იგივე ნოკურცხენი (ლესალე).

**ნოლიმ(უ)ერი//ნოლემერი** „ნაომარი, ნაჩხუბარი, ნაბრძოლი“ – მთა-საძოვარი მაგანისა და ჭანისწყლის წყალგამყოფზე, ჯარალას სათავესთან (სქურის სატყეო). გადმოცემით, აქ მომხდარა შეტაკება აფაქიებსა და პატონსქუალებს (დადიანებს) შორის. სახელწოდებაც ამას ასახავს. სხვა გადმოცემა (იასონ და მელენტი შეროზიებისა): „შეროზიების, კვარაცხელიებისა და მიქავეების ჯინჯიხატი „მოცინარი“ სვანებს გაუტაციათ. უჩარდია შეროზია და მისი ძმა გაჰკიდებიან და შებრძოლებიან, თერთმეტი მოთარეშე მოუკლავთ, მაგრამ ხატი მაინც ვერ დაუბრუნებიათ (ის ხატი ჩატანებულა ბეჩოს ეკლესიის კედელში). სწორედ ამ ადგილს ეწოდება **ნოლიმერი**. სვანებმა სისხლი აიღეს და მოკლეს უჩარდია იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება **ნასურა//ნასვირა**. უჩარდიას ფეხმძიმე ცოლი დაიძალა **სამაჯინო ფოქვაში** და იქ იმშობიარა. ბავშვს დაარქვეს **ნიწაკოჩი**. ჩვენ მისი შთამომავლები ვართ. იმ გამოქვაბულს **ნიწაკოჩიმ ფოქვაც** დაერქვა“. არის სხვა გადმოცემაც: სვანებს გაჰკიდებიან ძმები ურმამ და შარგუმან შეროზიები, რომელთაც ერთი ქანთარიაც გაჰყოლია. სწორედ მათ გადაუკეტავთ გზა მოთარეშე სვანებისათვის. რესპ. ჩოქო ფიფია: „ნოლიმუნა ჯვეშო ათაქი შონეფი დო მარგალეფი. ჩქიმი ბაბუ ცოფე ყარაული დო შონეფი უყვილგნა. ვითოჟირი შონც მურთუმუნა გიონთხაფუშა“. **ლგმა** „ბრძოლა, შებრძოლება“ **ნალგმა, ნოლიმერი//ნალიმერი** „ნაომარი (ადგილი)“. რესპ.: „ნოლიმუნა თაქი ჯვეშო შონეფი დო მარგალეფი. ჩქიმი ბაბუ რდგ ყარული დო ვითოჟირი შონს მურთუმუ გიონთხაფუშა“.

**ნოლემერი** – მთა-საძოვარი. იგივე **ნოლ(ი)მუერი** (სქურის სატყეო).

**ნონკირეში** – თხმელნარი. იგივე **ნ(ა)ონკირეში** (ლესალე).

**ნონკირეშლალ(გ)** – ლელე. იხ. **ნ(ა)ონკირეში** (ლესალე).

**ნონწყვი//ნანწყვი** „ნამენყრი“ – ჭისებრი ორმო ლეფაფეში, რახვინის გადასახედთან. ამოსავალი ზმნური ფორმაა **ნწყულა** „ჩადირვა, ჩაქცევა“ (ლეჯოლიხე).

**ნონწყვიერი** „ჩანაქცევი, ჩანამენყრი, ჩამონაზვაგი“ – ღრმა ხევი ჩხაპელკას ფერდობის ძირას, ოლორის მარცხენა მხარეს. ფერდობი ჩამონოლილა და ბორცვისებურადაა აღმართული ხევის შუაში (ენერფერდი). შდრ. „**ნონწყვიერი** — ადგ. ჭალეში“ (ლლონტი, 1971, გვ. 79).

**ნოჟალა** – ინწირას მარჯვ. შენაკადი, მისი ხეობა და უბანი ამ ხეობაში. იწყება ლექანთარეში (ლექამუგე). მარცხენა სერია გაუბედი, ხოლო მარჯვენა – ლესამლე (კუხეში). მდინარეს **ნოჟალანყარიც** ეწოდება. მისი მთავარი მდგენლებია **ქანთარიეფიშ ნოჟალა** (სათავა ძიკიშ წყურგილი) და **კვარიშიშ ნოჟალა**, რომელიც მოედინება კვარიშიდან (ლექამუგე). გადმოცემით, ბჟალას ან ბჟანას ნაცხოვრები ადგილებია. კიდევ ერთი მოსაზრება: „ნაჟამა რენია თექი კოჩი“. ალ. ქობალია: „**ნოჟალა** – ნავეძარი“. ალ. ლლონტი თვლის, რომ ნოჟალა არის „გორა“ ჯვარში.

**ნოჟალანყარი** – მდინარე. იგივე **ნოჟალა** (ლექამუგე).

**ნორაკიაშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ციცნაშ გასა და ნათოფურუმ ღალს შუა (კუხეში). ნორაკია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 33 სული საქართველოში. ძირითადად წყალტუბოში, სენაკის რ-ნში, ფოთში).

**ნორსელია//ნორცელია//არხა** – მაღალი კლდოვანი გორა ქალაღალ-უბადოღალის მარცხ. მხარეს. საგუჩუოს განაპირას. ამ უბნის მაცხოვრებლებს ეწოდებოდათ ნორსელიაშარეფი. ვაკეზე ერთგან არის ჩაის ფართობი და ეწოდება **ნასკალუ** „ნასაფუტკრალი“. რესპ.: „ნორცელია დიდი არხა რე, მუთუნს ვემიართენ ფერი“ (ფახულანი, ქალაღალი, უბადოღალი). რესპ.: „**ნორსია** თუ **ნორსელია** გვარი უნდა იყოს. **ნგრსი** ნისლიცაა“. სხვა რესპ.: „ქერქე რე, ვართი ეკი ალინე კოც დო ვართი გიმე. ნგრსი გახვილუუ ირო, ონაფეროშ მეტო. მაღალი რე, თიშენ ჯოხო“. **ნორსი** ნისლია. შდრ. ალ. ქობალია: „**ნორცვი, ნორცვილი** – გაცრეცილი, გაცვეთილი, ნაცვეთი“. **არხა**, იგივე **ახრა**, აღნიშნავს მიუვალ კლდეს, ციცაბოს, ქარაფს, კორტოხს (ალ. ქობალია). ალ. ლლონტი ასახელებს ფორმებს ნორსელია (ლლონტი, 1971, გვ. 75) და ნოსელია (იქვე, გვ. 78).

**ნორსელიაშ კვრდე** – კლდეები ნორსელიაში (უბადოღალი).

**ნორტყი** – ტყე ჯაღრაღალის მარჯვ. მხარეს, სამებონიოში (ჯაღირა). **ნორტყი** არის ცოცხალი ღობე, რასაც ქმნის **რტყულა**, ანუ ბუჩქებისა და ეკალბარდის ერთმანეთში ბუნებრივად ან ხელოვნურად გადახლართვა. რესპ.: „ნორტყი ეშნალობა ცოფე, რტყენა ქუნციოთ. ართიქურე ქათაკვათანა ჯას დო ქედანჯირუანა, უკული ვახუმუ, ირდუუ დო ირტყუუ“. სხვა რესპ.: „ნორტყი, ნორტყი არის ღობე: ორ მესერს ანუ დღვარკალს დაასობდნენ ჯვარედინად და ზედ დააყრიდნენ „ნაჭვარაშ ფეშერს“. შდრ. ალ. ქობალია: „**ნორტყი** – გადაბარდული ეკალ-ბარდი; ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გადახლართული ღეროები, გაუვალი ტყე...“

**ნორცელია** – სერი. იგივე **ნორსელია** (ფახულანი, ქალაღალი, უბადოღალი).

**ნოფაცხენი** ( ფაცხა) – ერქვა ტყეს ფშქერამღალის მარცხ. მხარეს (ჭალე). ამ ფაცხაში მდგარა შარაშიას ცხენების დარაჯი. საბჭოთა პერიოდში აქ ჩაი გააშენეს.

**ნოღა** – ფართო ვაკე ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (მაზანდარა, ლეკაკულე). **ნოღა** სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. მისი მნიშვნელობანი: ვაკე-ხევი; მცირე მდინარე, რომელსაც ჭალეები გასდევს; მდინარისპირა ვაკე, რომელიც ბორცვითაა შემოზღუდული; მდინარისპირა ნოყიერი სახნავები. შდრ. ო. ჭურღულია: „ნოღა, ნოყონყარი არის მდინარე, რომელიც არც ძალიან ღრმაა, არც ძალიან მეჩხერი და მდორე“. ეს სიტყვა გვხვდება გურულ და იმერულ დიალექტებშიც თითქმის ასეთივე მნიშვნელობით. შდრ. ნ. მარი: „ლაზ. ნოღა – ქალაქი; ბაზარი; ნაპირი“ (?). (ნოღა მართლაც ქალაქია ზღვის ვაკე-ნაპირზე, მაგრამ...); ალ. ქობალია: „**ნოღა** – ქალაქი ნოღა; დაბლობი; ხევი; ღელე, რუ, ნაღვარევი, წყალსანრეტი არხი ყანაში; მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი; მდინარის ნაკალაპოტარი; პაჭუა ცხვირი... ზღვისპირა ადგილი“. ნ. ბერძენიშვილი: „ნოღა

გავრცელებული საგეოგრაფიო სახელი ჩანს ზანურ სამყაროში... ჭანურად ქალაქს, სავაჭრო ადგილს ნიშნავს“ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 465). ჭანურში **ნოლა** „ქალაქი“ მეორეული მნიშვნელობა ჩანს. აკ. შანიძე დარწმუნებულია, რომ ნოლა მხოლოდ ჭანურში იხმარება და ბაზარს ნიშნავს. ნ. კაკაბაძე, ზ. ჭუმბურიძე, ალ. ლლონტი ერთხმად ასკვნია, რომ მეგრულში ნოლა მდინარის ტოტს, შესართავს ნიშნავს. როგორც ა. ფაილოძე აღნიშნავს, ნოლა არაა იშვიათი სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, ლაზეთის ტოპონიმიში (ფაილოძე, 2011, გვ. 192). ამასთანავე, ოიკონიმი ნოლა ხშირია იმერეთთან დაკავშირებულ საისტორიო წყაროებში (1545, 1578, 1660, 1819 წლებისა). (ფაილოძე, 2011, გვ. 251). შდრ. ი. ყიფშიძის მოკლე განმარტება: „**ნოლა** — „.

**ნოლურედლალ(გ)/ნოლურელლალ(გ)** – დიდი ტებენეს მარცხ. შენაკადი. სათავეა ბარცხვანლალ ნაშამგუში. მოედინება მხოლოდ ნანვიმარზე (ფახულანი). ინფორმატორის ირონია: „მთლად **ლურელი** (მკვდარი) არ არის, ხანდახან დის წყალი“. „იქნებ: ღვარი „ღვართქაფი, ნიაღვარი“ ნოღვარელი „ნაღვარელი“ ნოლურელლალ „ნაღვარელი ღელე“.

**ნოლურელლალ(გ)** – ღელე. იგივე **ნოლურედლალ(გ)** (ფახულანი).

**ნოყო** – წყარო, ქორსუს შენაკადი ლეაბრალეში (ნაგურუ). **ნოყო** სასმელად უვარგისი წყალია, ნაგუბარი, უსუფთაო, ლორწოიანი; მცირე ღელე. რესპ.: „ნოყო ურგებელ წყარს ჯობო, კოჩი ვახვარენსენ ფერს“. შდრ. გურ. იმერ. – **ნოყო** „პატარა, მდორე და ლორწომოდებული მდინარე“. შდრ.: „**ნოყო** – პატარა, მდორე მდინარე, უბე, ტბორი; ორმოში ჩამდგარი, დაგუბებული, ლორწოვანი წყალი“ (ალ. ქობალია). შდრ. ი. ყიფშიძე: „**ნოყო, ნოლა** — „.

**ნოყუნეი** (ოყუნე „საყანე“) – ორგან ეწოდება ნაყანევს ერთ სოფელში. აზუსტებენ: **ზეყვამ ნოყუნეი** – ლეჯღანჯღეში და **ჭოჭიშ ნოყუნეი** – ლეაბრალეში (ნაგურუ). ზეყვა, ჭოჭი პირსახელებია. ნოყუნეი „ნაყანევი; ადგილი, სადაც უნინ საყანე იყო“.

**ნოყუჯინ(ეი)** – ტყე-საძოვრები მაგანა-ბარხას წყალგამყოფზე, ლექარდეს თავზე (ჯვარის სატყეო). შდრ. ო. ქაჯაია: „**ოყუჯელი** – დიდი ქოთანი (ყურიანი). (უთითებს ს. მაკალათიას); ალ. ქობალია: „**ოყუჯელი** – დიდი, ყურიანი ქოთანი“. სახელდების მოტივაცია გაურკვეველია. შდრ. „ნოყუჯინი (ყუჯი „ყური“) — ტყ. ჯვარში“ (ლლონტი, 1971, გვ. 79).

**ნოყუჯინიშ წყურგელი** – წყარო ნოყუჯინ(ე)იში (ჯვარის სატყეო).

**ნოჩიშ ნოხორი** – 1. სახნავი ლეჩიქვანეში (ნაგურუ); 2. მინდორი ლესალეში, ინწგრას ნაპირას (კუხეში).

**ნოჩიშ ტომბა** – მორევი ინწგრაზე, ლეფიფიეში (კუხეში).

**ნოჩხენი** – გორა. იგივე ნოჩხენსუკი (ჯვარის სატყეო).

**ნოჩხენსუკი/ნოჯიხენსუკი/ნოჩხენი** – გორა ინწირას მარჯვ. მხარეს, კინჩხასთან, ქარდამ გვალასა და ნაჯარგვალს შუა (ჯვარის სატყეო). მასალა ადასტურებს ფონეტიკური პროცესების ასეთ მიმდინარეობას: ჯიხა „ციხესიმაგრე“ ნო-ჯიხ-ენ-ი „ნაციხარი“ ნოჯხენი ნოჩხენი.

**ნონყარენი** (წყარი „წყალი“) – ინწირას მარცხ. შენაკადი. ინყება ლეკვირკვიეში. ზემო წელზე ეწოდება **პანეშონალალ** (საჩინო). ერთგან ღელე ქრება – ნახევარ კმ მანძილზე მინისქვეშ მიედინება. მდინარის სწორედ ამ მონაკვეთს დაერქმეოდა თავდაპირველად **ნონყარენი** „ნაწყლევია“. ნო—ენ კონფიქსი იშვიათია სამეგრელოს ტოპონიმიში. ამასთანავე გვხვდება მხოლოდ არსებით სახელთან: ნო-კარ-ენ-ი, ნო-კვრცხ-ენ-ი, ნო-ფაცხ-ენ-ი, ნო-ჯიხ-ენ-ი, ნო-ჭკადგრ-ენ-ი (ოჭკადგრე) და სხვ.

**ნოჭკადგრენი** (ოჭკადგრე „სამჭედლო“) – მინდორი ნოლიმერის ხეობაში (სქურის სატყეო). **ნო-ენ** პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ფორმები სამეგრელოს ტოპონიმიში იშვიათია.

**ნოხორე** „ნასახლარი“ – 1. ბორცვი ლაჩახვას სათავის დას-ით, წელამის სამხრ. დაბოლოება. დროთა განმავლობაში მოსახლეობა დაბლობში ჩამოსახლებულა (ლესარჩილე); 2. ბუჩქნარი ლექურსუეში (ლესალე) და სხვ.

**ნობორი** „ნასახლარი“ – 1. ბუჩქნარი წყავაშალას ნაპირას, თხინაიასთან (მაგანას სატყეო); 2. კოშკი. ვარ.: ბეკუმ ნობორი. იხ. ოხორა (ჩქვალერი).

**ნობორი** „ნასახლარი“ – 1. ტყე-ბორცვი სქინასქურის მარცხ. მხარეს. აქ ცხოვრობდნენ შანავები და სხვაგან გადასახლდნენ. მაშინ ეწოდა **ნობორი**. მერე გააშენეს ტუნგი და ნასახლარის ნაშთიც კი არ დარჩა, მაგრამ ადგილს ძველი სახელი მაინც შერჩა (მაზანდარა); 2. სახნავი ლეფიფიეში. ნასახლარის რაიმე ნაშთი არც აქ ჩანს (კუხეში); 3. სახნავი. იგივე ჯათუმ ნობორი (ნაკიფუ); 4. საძოვარი ენგურის მაღალი ნაპირის თავზე (ფოცხოენერი) და სხვ.

**ნობორი//თადუმ ნობორი** – სახნავი ოჭკემთან. ამჟამად ნასახლარის კვალიც კი არ ჩანს (ჭალე).

**ნობორი//ნაუმ ნობორი** – მცირე მინდორი ფერდობზე, ლეკაკალეს ჩრდ. ნაწილში. ნაუ ქარდავას ნასახლარია (ჩქვალერი).

**ნობორი//საბაიამ ნობორი** – საბალახო მახასქურის სათავესთან, საარქანიოში (მუ-ჟავა).

**ნობორი** „ნასახლარი“ – საძოვარი კინესქურსა და დიდლას შუა. მხოლოდ ქვევრების ნაშთი მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც სამოსახლო იყო (ჯალირა).

**ნობორი//თადუმ ნობორი** – სახნავი ოჭკემში. ნასახლარობის რაიმე ნაშთი აქ არ ჩანს (ჭალე).

**ნოჯიხენი** „ნაციხარი“ – 1. მაღალი ბორცვი სახნავ-სათესებით სახუბულოს სამხრ. ნაწილში. დასცქერის კანთს სამხრეთიდან (ლეთკანთი); 2. ბორცვი, ტიტველი და ხრიოკი, სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, უბან ლესალეს სიახლოვეს. ციხის ნაშთი არ ჩანს (ლესალე).

**ნოჯიხენი//გესი//ჰესი** – ვაკე-დაბლობი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „ტოპონიმი ნოჯიხენი (ანუ ნოჯიხევი „ნაციხარი“) ადრინდელი შუა საუკუნეებისა უნდა იყოს. გესი//ჰესი კი შეერქვა XX ს-ის 50-იან წლებში, აქ ჰესის აშენების შემდეგ (ჯგალი).

**ნოჯიხენსუკი** – გორა. იგივე ნოჩხენსუკი (ჯვარის სატყეო).

**ნოჯიხი//ნაჯიხ(გ)** „ნაციხარი“ – ბორცვი და ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში, კაცხარის მიდამოებში, ოტოფუეს მარცხ. მხარეს. შემორჩენილია ნაციხარი ქვის გალავნით. ჰქონდა თავდაცვითი დანიშნულება. ათარიღებენ XI-XII საუკუნეებით. აქვს სათოფურები, რაც, რა თქმა უნდა, შემდეგდროინდელი რეკონსტრუქციების შედეგია. დაჰყურებს ოტოფუეს ხეეს (მაზანდარა).

**ნოჯიხური** – 1. ბორცვი სქურდილა-ხუფინას წყალგამყოფზე (ობუჯი). აქ უნდა ყოფილიყო მონასტერი, რომელსაც ახსენებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი. იხ. ობუჯი, ოფუჩი; 2. ბორცვი ფუსქურის მარცხ. მხარეს, ქვემო მაზანდარაში. შემორჩენილია გალავნის ფუნდამენტის ნაშთი (მაზანდარა). შესაძლებელია: ა. ჯიხა „ციხესიმაგრე“

ნო-ჯიხ-ურ-ი; ბ. ჯიხური „მრგვალი მორისაგან აგებული ქოხი, სახლი, კოშკი“ ნო-ჯიხური-ი.

**ნუზონი** „ნაძვარი“ – ტყე ერთიმ-ოხაჩქუეს გზაზე (ჭალეს სატყეო).

**ნუზუმი** „ნაძვისა“ – ტყე-ბორცვი ოლორის მარცხ. ნაპირას, ჟინჭველეში. ტყეში ხარობს ნიფელი, რცხილა, შქერი. ნაძვი კი არსად ჩანს. გადმოცემა კი ასეთია: აქ იდგა უზარმაზარი ნაძვის ხე, რომელიც გადასცქეროდა ოლორის ხეობას (ჭველე).

**ნუზუმ ფერდი** „ნაძვის ფერდობი“ – ფერდობი ფუისქურის ნაპირას, ლეკაკალეს სამხრ.-აღმ-ით. დაფარულია ბუჩქნარით. რესპ.: „ჩემს ბავშვობაში აქ ხშირი ნაძვნარი იყო, ახლა კი ერთადერთი დარჩავებული ხე დგას კლდეზე. ბზა მომრავლდა, ამიტომ ზოგი ამ ფერდობს **ზაკალონსაც** უწოდებს (მაზანდარა, ფუქი).

– ო –

**ობამბუე** ( ბამბე „ბამბა“) – მცირე მინდორი ლეკაკალეში, გვაჭკას ქვემოთ, უნინ აქ ბამბა მოჰყავდათ (ჩქვალერი). აღ. ქობალია: „**ობამბე** – ბამბის ნათესი“. მკვლევართა დასკვნით, მეგრული ბამბე ( ქართ. „ბამბა“) შემოსულია ახალი სპარსულიდან (გვხვდება სომხურ ენაშიც) (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 68).

**ობაცაფუ** „დასატბორი; საგუბარი (ადგილი)“ – ოლორის შესართავი ენგურთან. წყალდიდობისას ენგურის წყლით იტბორებოდა (ფახულანი). შდრ. „**ბაცუა** – მარცვლის განიავება; ბერტყვა, ცემა“ (ო. ქაჯაია); „**ბაცუა** – ბეყვა (სიმინდისა), განიავება მეორე ცეხვის შემდეგ“ (ალ. ქობალია). **წყარიშ ბაცუა** – დატბორილი წყლის რიტმული ლივლივით ნაპირისაკენ მიქცევა და მოქცევა.

**ობიე** „კომპის ბალი“ ( ბია „კომპი“) – ტყე ნაპერტულალის სათავესთან, ნამოსინუში (ფუქი). მ. ანდრონიკაშვილის მტკიცებით, მეგრ. ბია სპარსული წარმომავლობის სიტყვაა (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 204).

**ობინახე** „ვენახი, სავენახე“ ( ბინეხი „ვაზი“) – ვენახი ოხარკალუნყარის მარცხ. მხარეს, საჭანტურიოში (ჯვარი). სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ „ვაზთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდების მონაცემთა ბაზა აერთიანებს 1000-ზე მეტ გეოგრაფიულ ობიექტს და მოიცავს მრავალი სხვადასხვა სახის ინფორმაციას...“ (ნიკოლაიშვილი, 2010, გვ. 172). საერთოდ, ქართველთა წინაპრები ვაზს სიცოცხლის ხედ თვლიდნენ (ბარდაველიძე, 1957, გვ. 57-58).

ლექსემა ობინახესთან დაკავშირებით, მ. ჩუხუა თვლის, რომ „**ვნების** აღმნიშვნელი საერთოქართველური \***ჟინ-** ძირის დერივატია ს.-ქართვ. \***ჟინ-ო** „ღვინო“ ( ქართ. **ღვინო**, ზან. **ღვინ-ი** → **ღინ-ი**, სვან. **ღჟინ-ელ**. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს **ღვინოზე**, როგორც ვნების აღმძვრელ გამაბრუებელ საშუალებაზე“... კომპოზიტი \***ჟინ-**აქ ეტიმოლოგიით **ღვინის ბალს** აღნიშნავდა. „მაშასადამე, \***ჟინ-//ჟინ-**„ვნება, თრობა, გაბრუება, მაჭახი, ღვინო, ნალველი, ღვარძლი“... ამ უნახ-ის ქართველური ვარიანტებია ქართ. ვენახ-ი, ზან. ბინეხი, სვან. **ჟენ-** აჯ. მაშასადამე, საეჭვოა მოსაზრება, რომ ღვინისა და ვენახის სახელწოდებები ქართველურ ენებში ინდოევროპულიდან არის ნასესხები (ჩუხუა, 2002-2003, გვ. 222-223).

**ობინახემ თუდოლენი** „ვენახს ქვემოთა“ – ტყე ლექარდემი (პ. ენერი). შდრ. ამგვარი წარმოების სისტემურობის თვალსაზრისით ამ სოფლისავე მიკროტოპონიმები: **აბრალეფიმ ნოხ(ი)ლენი, ძაძამიეფიმ ნგმეიანი**.

**ობოხუემ სუკი** – გორაკი სქურჩას მარჯვ. ნაპირას, ხუნჯგუშის ჩრდ-ით. რესპ.: „ამ გორაკზე ბოხუებს უცხოვრიათ. ამიტომ დაურქმევიათ **ობოხუეს გორაკი**“. მაგრამ საქმე ისაა, რომ, ჩვეულებრივ, დანიშნულების ო-პრეფიქსი გვარისაგან ადგილის სახელწოდებას არ აწარმოებს. შდრ.: „**ობოხუა** – ოჩოფეხი, ოჩოფეხა“ (ო. ქაჯაია). ალ. ქობალია: „**ობოხუა** – ბრახუნა, ფეხის ხის პროთეზი; ხის ქოში, ოჩოფეხები, ჭაობში სავალი გრძელი ჯოხი...“ ამ გორაკის ფერდობს ეწოდება **უბადო მიკოლი** „ავბედითი გასასვლელი“ (ნაკიფუ, ულუ-რია).

**ობჟათე** „სამზეო (ადგილი); აღმოსავლეთი“ – ჩაის ფართობი ჯვარზენში, სამატუოსა და საჭანტურიოს შუა (ჯვარი). ალ. ქობალია: „ობჟათე – პირიმზითი, მზიანი ადგილი, აღმოსავლეთი კალთა მთისა“. ო. ქაჯაია: „**ობჟათე, ობჟალე** – მზვარე; აღმოსავლეთი“; **ობჟალე, ობჟარე** – სამზეო“.

**ობუჯი** – სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ოგვარგვალია** – ლაჩხვათრას მონაკვეთი, სადაც უწინ მცირე წყალვარდნილი და წყალტრიალა ყოფილა (ლესალე). **ოგვარგვალია** პიდროგრაფიული ნომენია და აღნიშნავს ადგილს მდინარეზე, სადაც წყალი ზემოდან ჩქრიალით ეცემა და „დულს“, თუხთუხებს, ტრიალებს, გრიალებს. ამოსავალია პირველადი მასდარი **გვარგვალი** „დულილი“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წყალი 3 მ სიმალიდან გრიალით ეცემა... ალ. ქობალია: „**გვარგვალი** – ძლიერი დულილი, თუხთუხი, ჩუხჩუხი; **ოგვარგვალია** – მდულარე, ქაფქაფა“.

**ოგინე** „სახბორე“ ( გინი „ხბო“) – ბუჩქნარი ლანჯიშში, რღემის თავზე, სადაც ხბორებისათვის ადგილი ჰქონიათ შემოკავებული (ფახულანი).

**ოგინეტომბა** – მორევი ჩხოუშიაზე, ლექარდემი. ოგინე „სახბორე“ ამ მორევთან ჰქონიათ შემოღობილი. კონტექსტი: „ცხენი ქემოთხია, მიწუთ მეზობელქგ. ოგინეტომბანკემა გემიკირგ მაქგ. მოლუქუნაფუდუ დო ცვანა დუხონგდგ“ (პ. ენერი).

**ოგორდე** „საბაყაყე“ ( გორდი „ბაყაყი“) – 1. ჭაობნარი უჩაღალის დასავლეთით (ჯვარი); 2. ჩაის ფართობი ლეხულორდეში, სადაც უნინ ერთგან გუბე ყოფილა (საჩინო); 3. ჭენჭყობი ლეფიფიეს სამხრ.-აღმ. ნანილში, ოლებეს გვერდით (ლეშამუგე) და სხვ.

**ოგორდეღალ(გ)** „საბაყაყე ლელე“ – ლაჩახვას მარცხ. შენაკადი (ფუქი).

**ოგულე** – გზა, ფერდობი ინწირას მარცხ. მხარეს (ჩქვალერი). **გულენს** „სეირნობს“ (მდრ. რუს. гулять „სეირნობა“) **ოგულე** „სასეირნო (ადგილი)“.

**ოგურგენჯი** – ჩანჩქერი ფშქერღალზე, ფახულანის საზღვართან. წყალი ღრმა ქვაბულში ეცემოდა და საბანაოდ იყენებდნენ (ჭველე).

**ოგურგინე** „წყლის გვრგვინვის ადგილი“ – ჩანჩქერი ოლორზე და ოლორისპირა დავაკება მურზაშ ლალთან (მუჟავა).

**ოგურგინე//მახასქურიშ ოგურგინჯი** – მორევი და ჩანჩქერი მახასქურზე, კლდოვან კალაპოტში, სადაც წყალი რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან ეცემოდა და გრგვინვა ისმოდა (მუჟავა, ჭალე). ოგურგინე და მისი ვარიანტები – **ოგურგენჯი, ოგურგინჯი, ოგურგინე-ში, ოგურგუნჯეში** – აღნიშნავს ადგილს, სადაც გრიალით ეცემა წყალი. ამოსავალია პირველადი მასდარი **გურგინი** „გრგვინვა, ქუხილი“. იხ. მახასქური.

**ოგურგინ(ჯ)ე//დიდი ოგურგინჯი** – ჩანჩქერი ოლორზე, საშონიოში. წყალი რამდენიმე მეტრი სიმაღლიდან ხმაურითა და გრიალით ეშვება კლდოვან კალაპოტში. აქვეა **ჭიჭე ოგურგინჯიც** (ჭველე).

**ოგურგინ(ჯ)ე//ოგურგინჯი** – მორევი ოლორზე, ჩინარეში, სადაც უნინ ჩანჩქერიც ყოფილა (მუჟავა, ნაშამგუ). ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ნანილობრივ ამოივსო. აღ. ქობალია: „**ოგურგენჯი** – საგრილო; ჩანჩქერი; მგრგვინავი (ადგილი)“.

**ოგურგინჯი** „გრილა, მგრგვინავი, ხმაურიანი“ – 1. წყალვარდნილი ფშქერღალზე. წყალი კლდოვან კალაპოტში ეცემა ქვაბულს და დულს (ჭველე, ფახულანი); 2. ეწოდება ორ ჩანჩქერს ოლორზე, საშონიოში. გასარჩევად იტყვიან: **დიდი ოგურგენჯი, ჭიჭე ოგურგენჯი** (ფახულანი). ეს ტოპონიმი ტოპონიმთა სალექსიკონო მასალაში შეტანილია როგორც ოგურგინჯხევი ფორმით და თარგმნილია როგორც საგულხიდხევი (?) (ლონტი, 1971, გვ. 79). ტოპონიმის დასახელებაში შეცდომა დაშვებულია მექანიკურად. ხოლო მისი თარგმანი – გაუგებარია; 3. მორევი. იგივე ოგურგინ(ჯ)ე (მუჟავა) და სხვ. მეგრული -ანჯ (/ენჯ, -ინჯ) ქართული -არ სუფიქსის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია. აწარმოებს აწმყო, ნამყო, მყოფადის მიმღებებს (ვინაობის მანარმოებელ -არ სუფიქსთან კავშირი არა აქვს). (თოფურია, 2002, გვ. 146-148).

**ოღამაზე** ( დამაზი „თეთრი ქლიავი; დამასხი“) – ფერდობი ოსქალის კალთაზე, სადაც უნინ ხილნარი ყოფილა (ნალენჯიხა). იხ. **დამაზონი**.

**ოღაფე** „დაფნარი“ – მინდორი თუღონ ჭველეში, ენგურის ნაპირას, სადაც უნინ დაფნარი ყოფილა. ამჟამად აქ დაფნა არ ჩანს (ჭველე).

**ოღაფე//ჯუტუმ დიხა** – დაფნარი უჩაღალთან. ჯუტუ სამუშია ამ მიწის მფლობელი იყო (პალური).

**ოღიშის ქედი** – ქედი. იგივე ეგრისის ქედი.

**ოღიხაჭუბერი** – 1. სახნავი ლეჯიორში, ოლორის მარჯვ. ფერდობზე, სადაც მოიპოვება დიხაჭუბერი, ანუ საგობავი მიწა (ფახულანი), 2. ფერდობი ლიაკობეში, საქაროს საზღვართან (ენერფერდი). **დიხაჭუბერი** მონაცრისფრო თიხაა. დაასველებდნენ და იყენებდნენ ჭურისთავის მოსაგლესად, კასრ-საწნახლების ღრიჭობის ამოსავსებად, თავის დასაბანად. ი. ყიფშიძე: „დიხა-ჭუბერი – თეთრი მიწა, რომელიც საპნის ნაცვლად გამოიყენება თავის დასაბანად“; „მასალები“ ყურადღებას ამახვილებს სიყვევის სხვა მნიშვნელობაზე: „დიხაჭუბერი – ნითელი მიწა თიხის ჭურჭლის გასაკეთებლად“. მ. ჩუხუას გამოკვლევით, დიხა-ჭუბერი ნიშნავს „თიხა ნითელს“ (ჩუხუა, 2002-2003, გვ. 261).

**ოდურღენე//ოდურღენუ//ოდურღინუ** „მაყვლიანი“ – წყარო, ტყე ლეაფშილეში, კერიშ გინაყვილასთან (ნაკიფუ). **დურღენი** „მაყვალი (მცენარე)“. ი. ყიფშიძე: „**დურღენი** – , . მუცი“; აღ. ქობალია: „**დურღენი** – მაყვლის ბუჩქი, მაყვალ-ეკალი“; ა. მაყაშვილი: „მაყვალი – ... მეგრ. მუცი, მუცია, დურღენი, ძგგერიში მუცი; ომბოლი ძგგერი, ომ-

ბოლი მუცი“. რესპ.: „დურღენი არის იგივე ომბოლი ძეგერი“. სხვა რესპოდენტი: დურღენი ჰქვია საერთოდ უსარგებლო მცენარეს, უპირატესად კი ესაა ომბოლი ძეგერი. ოდურღენე კი სახნავ-სათესად გამოუსადეგარი ადგილია.

**ოდურღენუ** – ტყე. იგივე **ოდურღენე** (ნაკიფუ).

**ოდურღინუ** – ტყე. იგივე **ოდურღენე** (ნაკიფუ).

**ო(ვ)ოჩე** – ვაკე-ხეობა რეკას ზემოთში, საციმინტიოში (საჩინო, პ. ენერი). რესპ.: „ულ-რანი ტყე ყოფილა, სანადირო, რაც შველი და ირემი დაუხოცავთ, სულ ვაცი გამოდგა თურ-მე. ამიტომ დარქმევია“. **ოჩი** ვაცია, მაგრამ ტოპონიმისათვის ამოსავალია **ოჩე** „დიდი ყანა; ბატონის ყანა“. ი. ყიფშიძე: „ოჩე – , . ყონა“. ხალხური ეტიმოლოგია: „ოჩეფი ნოხვე თაქი. ჩქიმი ბაბუს დუჰვილგდგ ოჩი ირემი. თიშენი ქიგიოდვეს ოოჩე“ (ვ. ციმინტია, 55 წ.). იხ. ვრცლად: ცხადაია, 2010.

**ოზაკაია** – დავაკება საქარდაში, ჭიჭე ტებენეს სათავესთან (ნაშამგუ). **უზაკუანს** „არწვეს“; კუდელს უზაკუანს „კუდს აქანქარებს“ (მდრ. მაზაკელა „ბოლოქანქარა“). ამ ადგილზე საქონლის მწყემს ბიჭებს გამართული ჰქონიათ **ოზაკაია**, ანუ ოკვანაია. ასე ეწოდებოდა ფიცრის საქანელას, სარწვევლას. ალ. ქობალია: „**ოზაკაია** – მოტორტმანე, მოქანავე; რყევადი; საქანელა: ძელზე გარდი-გარდმო გადებული ფიცარი. აინონა-დაინონას სათამაშო“.

**ოზმეხე** „სამმერხლე“ ( ზემეხი „მმერხლი“) – ტყე-ხევი ფოცხოში (ფოცხოენერი). სხვა რაიონებში გვხვდება ვარიანტები: **ოზომეხე**, **ოზორმეხე**, **ოზურმეხე**. ალ. ქობალიას ლექსიკონში დასახელებულია ვარიანტი ზო(რ)მეხიც. **ოზმეხე** მაღლარი ვაზის სახელიცაა.

**ოთართფ(უ)** – საძოვარი ოხაჩქუეს კალთაზე, მაღლოკის სათავესთან, სადაც ოთარას (პირსახელია) საქონელი ეყენა (ჭალეს სატყეო). **თფუ/თიფუ** – თივა; საქონლის სადგომი, თავშესაყარი; ბალახი“. რესპ.: „**თიფი** ღამით საქონლის დასაყენებელი ადგილია, ოღონდ შემოუკავებელი. მწყემსი დასვამს ცვაჰას (ე.ი. ჯოხს) და ჩამოჰკიდებს ბაშლაყს. საქონელი ამას რომ შეხედავს, ჩათვლის, რომ კაცის ორანია და იქ მივა დასანოლად“.

**ოთიფურე** – ტყე-საძოვრები ოჭაკესა და გოჭვილნუზუს შუა, ოხაჩქუეს ქედზე (ჭალეს სატყეო). ოთიფურე შეიძლება აღნიშნავდეს სათიფესაც და სათიბარსაც: **თიფი** „თივა“

ოთიფურე „სათიფე“; **თიფუა** „თიბვა“ ოთიფურე „სათიბი; სათიბარი“. ო. ქაჯაია: „ოთიფური/ოთიფურე – სათიბი, სათიფე“. ალ. ქობალია: „**ოთიფურე** — სათიბი; სათიფე“.

**ოთხი ჯიმა ქუა** „ოთხი ძმა ქვა“ – წყარო და მინდორი სქურდიდან გვალაიასაკენ მიმავალ გზაზე, წისქვილარასა და კიკონიას შუა (სქურის სატყეო). ერთი გადმოცემით, ცაშკიბულთან ცამდე აკეთებდნენ კიბეს, მაგრამ დაირღვა და ნაშალმა ქვებმა აქამდე ჩამოაღწია (ოთხკუთხა ნათალი ქვებია); მეორე გადმოცემით, ცაშკიბული რომ დაირღვა, სოფლისაკენ წამოსულა სამი ძმა, ერთი და და წამოუყვანიათ ძაღლიც. ამ ადგილას ძმებს და შეუცდენიათ და ყველანი გაქვავებულან. ვარიანტი: ხუთი ჯიმა ქუა „ხუთი ძმა ქვა“: მოშორებით მე-ხუთე ქვაც დევს, ეს ვითომ მათი ძაღლია. რამდენიმე ათეული წლის წინათ ვილაცამ ერთი ქვა დააგორა და ამიტომაც ზოგი „სუმი ჯიმა ქუას“ უწოდებს.

**ოირემე** „საირმე“ – 1. ტყე-ხევი ლაჩახვას მარჯვ. მხარეს (ულურია); 2. დავაკება და ფერდობები ტყე-ბუჩქნარით ნაგვაჯუს ჩრდ. ნანილში (ნაკიფუ) და სხვ.

**ოირემე/საირმე** – ბუჩქნარი ლექარდეში (პ. ენერი). **ირემი** რამდენიმე საუკუნეა, რაც სამეგრელოში არავის უნახავს, მაგრამ სახელწოდება დარჩა. **ო-** და **სა-** პრეფიქსთა მონაცვლეობა იშვიათია წალენჯიხის რაიონის ტოპონიმიაში. ამასთანავე, **საირმე** ქართული წარმომავლობისაა (მეგრულში უნდა გვექონოდა საირემო). სამეგრელოში ირემებზე ნადირობას (XVII ს.) ასე აგვიწერს ლამბერტი: „ყველაზე უფრო მოწონებაშია ირემებზე ნადირობა, რომელსაც ორი დრო აქვს წელიწადში: ერთი ყველიერის დაწყებიდან დიდმარხვამდე და მეორე — სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე... წინა დღით, დილას ნალარას დაჰკრავენ და მის ხმაზე ადგებიან მონადირეები და ძაღლებით ნავლენ... მეგრელები დიდის ამბით ნადირობაში ატარებენ დროს“. მას შემდეგ, რაც თოფი შემოვიდა, თავდაპირველად სწორედ ირემი გაქრა. დარჩა მხოლოდ ადგილის



სახელწოდებანი. მახსოვს: როცა სტუმარი უხალისოდ იჯდა სუფრასთან, ოჯახის პატრონი ხუმრობით ეტყოდა: „რა იყო, ირმის მწვადი ხომ არ მოგენატრაო“.

**ორემემ ნანისქვილ(გ)** — ნანისქვილარი ყველიშიასთან, მახასქურის მარჯვ. შენაკადის ნაპირას (უყავა).

**ოისინდე „საისინდე“** — მინდორი ენგურ-მაგანას წყალგამყოფ მაღლობზე (ჯვარი). გადმოცემით, აქ. ფართო ვაკეზე, ხშირად იმართებოდა **ისინდუა** — ცხენით ჯირითი და შეჯიბრი შუბის ტყორცნაში, მოისრობაში. **ისინდი** იგივეა, რაც ისარი, შუბი, ჯირითი. შდრ. ალ. ქობალია: „**ისინდი** — ისინდი, ისარი, შუბი; მხედართა შეჯიბრი მოისრობაში (ჯირითის სახეობა)“.

**ოისინდემ სუკი** — ბორცვი ენგურ-მაგანას წყალგამყოფზე, სადაც უნინ ოისინდე ჰქონდათ (ჯვარი).

**ოისგრე „საისლე“** — 1. ჩაის ფართობი ენერში, სადაც თითოეულ ოჯახს საისლე ჰქონდა შემოღობილი, რათა სახლის გადასახურავად თავისი ისლი ჰქონოდა (ენერფერდი); 2. საძოვარი მოროყას მარჯვ. ნაპირას, მაშქანდელის ჩრდ-ით (ლემამუგე); 3. ჩაის ფართობი ენერში. რესპ.: „ენერში თითოეულ ოჯახს შემოღობილი ჰქონდა თავისი საისლე, რათა სახლის გადასახურავად საკუთარი ისლი ჰქონოდა“ (ჭალე) და სხვ.

**ოისგრე//ოლეზე** — ნაჭაობარი ზღვიას ნაპირას. **ლეზი** ტორფისმაგვარი შავი მიწაა, რომელიც შალეულის შესაღებად გამოიყენება (ნალენჯიხა).

**ოისგრემდუდი//ოისგრემ სუკი** — მაღალი და მრგვალი გორა ერწყარის მარცხ. ნაპირას (ქალაღალი).

**ოისგრემ სუკი** — გორა. იგივე **ოისგრემდუდი** (ქალაღალი).

**ოკათაფუ „შესართავი, შერთული, ხერთვისი“** — 1. სამი ღელის შესართავი ლეაფში-ლეში, რაც ქმნის ჩელალს. ვარ.: **ჩელალიმდუდი** (ნაკიფუ); 2. ხერთვისი, სქურჩასა და წკვიპ-ღალის შესართავი (ლეჯოლიხე). სამეგრელოში წყალთშესართავებს ეწოდებათ: ოკათაფური, ოკათუეში, ოკათურეში, ოკათური, ოკაკათაფური, აკაკათაფური. (აკო)კათაფა „შერთვა; ერთმანეთში არევა“ ოკათაფუ. ი. ყიფშიძისეული განმარტება: „**ოკათაფუ** — ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქეელ-ში (გვ. 267) ნ. მარისა და გ. კლიმოვის ენათმეცნიერულ ძიებებზე დაყრდნობით აღნიშნავენ: ქართული **კეთ-** ძირს (**კეთ-**ება, **კეთ-**ილი, **შე-კეთ-**ება — შემატება) კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ-ლაზური **კათ-** (მეგრულში ძირითადი მნიშვნელობაა „შეგროვება, შერევა“, ხოლო ლაზურში „შერევა“). ამ ძირეული ერთეულებისაგანაა წარმოქმნილი სამეგრელოში წყალთშესართავების სახელი **ოკათაფუ** და სხვ. იხ. აგრეთვე ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას სათანადო ენობრივი განმარტებანი.

**ოკათაფუმ(ი) ტყა (კათაფა — შეყრა, შერევა)** — ტყე ნაკიფუში (ღლონტი, 1971, გვ. 79).

**ოკალმახე „საკალმახე“** — 1. ეცის ზემო წელი. იწყება აშთასა და ჭითა წყურგილს შუა (ხუდონის სატყეო); 2. წყარო-ღელე ოხაჩქუეს ჩრდ. კალთაზე, უერთდება ენგურს (ჭალეს სატყეო).

**ოკამბეჩე „საკამეჩო“** — ტლაპო, ტყე უბადოღალის ნაპირას (ფახულანი). რესპ.: „აქ შავი ლენჭყი მიწაა და კამეჩები ხშირად წვებოდნენ“. ლექსიკოგრაფ დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, **კამბეჩი** „კამეჩი“ სომხური სიტყვაა. ს.-საბა ასახელებს როგორც კამეჩი, ისე გამეში ფორმებს. ი. ქერქაძემ **კამეჩ-** ფუძე დაუკავშირა არაბულ-თურქულ **გამეშ-ს**; ი. ქავთარაძის მოსაზრებით კი, **კამეჩ-** ფუძე სპარსულიდანაა შეთვისებული; მ. ჩუხუა შესაძლებლად თვლის, ქართული სიტყვა **კამეჩ-ი** დაკავშირებული იყოს კავკასიურ (ნახურ) **გამ-ეშ-თან**. მეგრული ვარიანტებია: კამბეში, კამბეჩი, კამეში, კამეჩი (ო. ქაჯაია). მ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისით, „**კამბეჩი** იგივეა, რაც არაბულ-ქართული **ჯამეშ**“ (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 228).

**ოკარე „საკარე; კლდეკარი“** — მინდორი, ვიწრო გადასასვლელი ჯარალას სათავესთან, მაგანასა და ჭანისწყლის ზემოთების წყალგამყოფზე. ვარ.: **კარგეშალე** „გასასვლელი კარი“ (მაგანას სატყეო, სქურის სატყეო). აქ ერთგან კლდეში ვიწრო გასასვლელია, სადაც გადადის ერთადერთი გზა მაგანას ხეობიდან ჭითაგვალას გავლით ხობისწყლის ზემოთში. შდრ. ალ. ქობალია: „**ოკარე** — საკარვე; მწყემსების საბანაკო ადგილი. იხ. საკარა“.

**ოკარკაცუ** „საკისკისო, სახორხოცო“ – ტყე-ბორცვი ოტოფუესა და მარჩხილს შუა. გადასცქერის ლულერასა და ჭანისწყლის ხეობას. აქ იყრიდნენ თავს ლულერალები ჭიაკოკონობა ღამეს (ნაკიფუ). რესპ.: „ოკარკაცუ ტყამ მავას საკასკასო ადგილი ყოფილა“. კარკაცი „კასკასი, ხორხოცი, ხმამალალი სიცილი, კისკისი“. აქ მოდიოდნენ გინაარჩქილუმა (ე.ი. მისაყურადებლად) ჭიაკოკონობა ღამეს და ამიტომაც **„გინორჩქილამ სუკიც“** ეწოდება. მიყურადებობას თუ ვინმეს ეზოდან შეშის პობის ხმა მოისმოდა, იმ ოჯახში მამაკაცი მოკვდებოდა... იხ. „გინორჩქილაფა“ ვრცლად ალ. ქობალიას ლექსიკონში. რესპ.: „რომელიღაც მეფეს აქ კისკისი დაუწყია და ამიტომ დარქმევია ოკარკაცუ“.

**ოკვანნაია ხინჯი** „მოქანავე ხიდი“ – ბონდის კიდული ხიდი ჭანისწყალზე (ლესალე).

**ოკვანნილაია//ურუმიაშ ოკვანნილაია** – ნიფელი ონაცალეში, ბოგამთან. ახალგაზრდა მონადირე ურუმია ფიფიას, რომელიც შემდეგ მთაში დაღუპულა, ბავშვებისათვის დიდი ნიფლის ტოტზე ოკვანნი(ილ)აია „საქანელა“ გაუმართავს. შემდგომში ეს ხე გადატყდა და დიდხანს ეგდო (მედანი). ამოსავალი ფორმაა **კვანნი** „რწევა; ქანაობა“. შდრ. ქართ.: კონნიალი.

**ოკიბოილალ(გ)** „საკიბორჩხლე ღელე“ – ფშქერღალის მარცხ. მდგენელი. სათავეს იღებს ჩხაპელკას კალთაზე. მარჯვნიდან ერთვის **ოქაჯელალ(გ)** და მიემართება ენგურისაკენ (ენერფერდი).

**ოკიბოლი** „საკიბორჩხლე“ – ღელე-ხეობა. იგივე ოკიბუალალ (ლეჯოლიხე, ულურია).

**ოკიბოლალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე ოკიბუალალ(გ) (ულურია, ლეჯოლიხე).

**ოკიბორჩხალე** „საკიბორჩხლე“ – ლეარსანეს შენაკადი ოფაკილეს ჩრდ-ით, ყოფილი ნალენჯიხის ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე (ნალენჯიხა, სამესხიო).

**ოკიბუალალ(გ)/ოკიბოლი/ოკიბოლალ(გ)** – ღელე-ხეობა, ლაჩახვას მარცხ. შენაკადი. მოედინება ლეჯოლიხედან, სათავე აქვს სოფლის ცენტრში (ლეჯოლიხე, ულურია). ოკიბოლი, ოკიბუა „საკიბორჩხლე“. **ოკიბოლალ(გ)** „საკიბორჩხლე ღელე“ ან „საკიბორჩხლეს ღელე“.

**ოკონწყილი** „დაქცეული, დამწყრილი“ – ტყე-ხევი, დახრამული ადგილი ოკონწყილღალის სათავესთან (ნაკიფუ). **აკონწყულა** „დაქცევა, ჩარღვევა (მინისა)“ ოკონწყილი. შდრ.: ქიანაქ აკინწყუ „ქვეყანა დაიქცა“.

**ოკონწყილღალი** – ღელე, სქურჩას მარცხ. შენაკადი. მოედინება ოკონწყილიდან (ნაკიფუ).

**ოლაკაციე** ( ლაკაცია „აკაცია“) – 1. აკაციის ტყე ყარას ზემოთ, დობერაზე. შედიოდა საკოლმეურნეო სატყეოში (წყოუში); 2. აკაციის ტყე ლელვინჯილემ სუკის ფერდობზე (ლეჯოლიხე).

**ოლაკაციელალ(გ)** – ღელე, ნკვიბღალის შენაკადი ლელვინჯილემში. გამოედინება ოლაკაციედან (ლეჯოლიხე). **ლაკაცია** „აკაცია“.

**ოლაკაციონი** – აკაციის ტყე ოლებღალის ხეობაში (სამესხიო). -ონ სუფიქსით წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულის ფუნქციური სისუსტითაა ახსნილი ო- პრეფიქსის გამოყენების აუცილებლობა. მართლაც, ოლაკაციონის ტიპის ტოპონიმი ორმაგი ფუნქციისაა: აღნიშნავს ადგილის დანიშნულებას (ფუძით აღნიშნული მცენარისა თუ სულიერი საგნისა) და სიმრავლე-კრებითობასაც (**ონ**- სუფიქსით).

**ოლაკვე** „სალეკვე“ – ტყე-ფერდობები იწირას მარცხ. მხარეს (კუხეში, საჩინო, ლესალე). რესპ.: „მგლები მრავლად იყვნენ ბუნაგებში და ლეკვებსაც ბევრს ყრიდნენ“. რესპ.: „ოლაკვე ჯვეშო ცოფე ჭყონალა დო ურთხელონი“.

**ოლარჭემე** ( ლარჭემი „ლერნამი; მცენარე და მისგან გაკეთებული ჩასაბერი საკრავი“) – ტყე-ხეობა, ენგურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ინჭირიშიდან (ფოცხოენერი). რესპ.: „ლარჭემი ბამბუკის მსგავსი მცენარეა“; ქართ. ლერნამი : მეგრ. ლარჭემი. ალ. ქობალია: „ლარჭემი – ლერნამი, კალამი; ჩასაბერი საკრავი...“ იხ. ლარჭემონი.

**ოლებე** – 1. ტორფნარი, ბუჩქნარ-ჭაობნარი ნაპერტულალის ნაპირას (მაზანდარა); 2. ტლაპო ლელვინჯილეს საზღვართან, სადაც წყალი მლაშეა და საქონელი ეტანება (ლეთკანთი); 3. ტლაპო ლემესხიეში (მედანი); 4. მცირე ტლაპო-საფლობი უბადოღალის მარცხ.

ნაპირას. რესპ.: „ლართის მითოდვანდეს ოლაფალო. ლეფონით ლაფილს მაჟია დღას დონა-ხუნდეს დო ნოშქერცალი რდგ“ (ქალაღალი); 5. ჭაობნარი ოლორჯუეს სათავესთან. რესპ.: „ონდვალი რე, საქონელქე გემშართასგნ, დინდუუ“ (ნაკიფუ); 6. ფერდობი ნითელოურს ქვე-მით, საქარდოს სამხრ.-დას-ით. რესპ.: „ახალ მთვარეზე მინა მაგრდება (ამიტომაც წყალიც ნაკლებ მოჟონავს), ძველ მთვარეზე კი რბილდება. სწორედ მაშინ იღებენ შავ მინას ნაბდის შესაღებად“ (ნაშამგუ); 7. დავაკება ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, სადაც ვენახია და მცირე ჭაობნარიცაა შემორჩენილი. აქ იყო **ზგზგბი**, ე.ი. შავი ჭაობი, სადაც კამეჩებიც ეფლობოდნენ“ (ლესალე); 8. ნაჭაობარი. იგივე **ლები** (სამესხიო); 9. ნაჭაობარი. იგივე **ოისგრე** (ნალენ-ჯიხა) და სხვ. მრ. ამოსავალი სიტყვაა **ლები**, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ა. მერგელი, მომწვანო ფერის მკვრივი ქანი. მზეზე იშლება და ყანაში შეაქვთ მინის გასანო-ყიერებლად (ჩხორონწყუს რ-ნი); ბ. შავი მინა, ნებოვანი. იზილება ახალ მთვარეზე, წყალს არ ატარებს, ძველ მთვარეზე კი იჟღინთება, რბილი და ნესტიანი ხდება. სწორედ ამ დროს იყენებდნენ ნაბდის, ჩოხის, საერთოდ, მატყლის ქსოვილის შესაღებად: ჩამარხავდნენ, 3-4 დღის შემდეგ ამოიღებდნენ და გარეცხავდნენ (ნალენჯიხის რ-ნი); გ. რბილი, ტორფისნაირი შავი მინა, რომელიც წყალს არ ატარებს და ამიტომ ტლაპო-საფლობს აჩენს. იყენებენ სამკურნალოდაც: ტანზე ისვამენ როგორც ქარისა და რევმატიზმის წამალს. რესპ.: „ლები უჩა დიხა რე, ნოშქვერიჯგურა, იზაფუუ დო ნებოჯგურა ულუ დო გემირინუანდეს ოლაფა-ლო, გვალო ნოშქვერიჯგურა ვართი რე, ლურჯი-მწვანე ფერი ულუ უმოსო, სიშუა („სისველე“ - პ.ც.) ულუნ ფერი დიხა რე, ჭყოჭყო დიხა, ლამე დიხა, ირო ლამე რე წყარპი-ჯეფს დო მონდომა დიხეფს“. შდრ.: ო. ქაჯაია: II, გვ. 89; ალ. ქობალია, გვ. 380; ჭოხონელიძე, 1996, გვ. 109-116).

**ოლებე/ზგზგბი** – ჭაობი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს. რესპ.: „აქ იყო კამეჩების საფ-ლობი ჭაობი, ანუ ზგზგბი – ღრმა და გაუვალი ჭაობი“ (ლესალე). ზგზგბი მეგრულ ლექსიკონებში არ ჩანს.

**ოლებე/ლეფიფიემ წყარი** — წყარო ლეფიფიეში, უერთდება ტკიბრას. ფერად ნითელია. იყენებენ ქსოვილების შესაღებად (ლესალე).

**ოლებე(მ)სუკი** – ბორცვი ნაკატარუსა და ჯგვიჯგვიტონას შუა. ოლებე ამ ბორცვის დას. ფერდობზე ჭაობნარს, საფლობს წარმოადგენს (სამესხიო).

**ოლებემ ფერდი** – ფერდობი ტატუმ ღალის ჩრდ-ით. რესპ.: „ლები ფშხირი რე თექი. ასე მის ოკო, მარა ჯვემო ნაბადის დო ლართის თექი ლაფუნდეს“ (საჩინო).

**ოლებიე** – 1. ბუჩქნარი თხინას ფერდობზე, ლაკადაში. აქ კოლმეურნეობას მოჰყავდა ლებია „ლობიო“ (ლარა). არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „ბოსტნებში ყველა მცენარეზე მეტად მოჰყავდათ თურქული ლობიო, ეს ერთადერთი მათი სამარხო საჭმელი. მათში ხომ მარხვა ხშირია და გრძელი. დროს შესაფერისად მარხვაში ან ახალ ლობიოს სჭამენ, ან ძველსა. რადგან სინოტიეს გამო მინაზე დაშვებული ლობიო დაღებოდა, საკმაოდ მაღალ ჭიგოებს დასმენ ხოლმე და მასზე აუშვებენ ლობიოს. ლობიო აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში. ისე რომ ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოსა სჭამენ, გაახმობენ და საზამთროდ შეინახავენ“ (ლამბერტი, 1991, გვ. 54); 2. წყარო ლეფიფიეში. მისი ნითელი წყალი უერთდება ტკიბრას. იყენებდნენ ქსოვილის შესაღებად (ჩქვალერი).

**ოლებიე/სალეპიო „სალობიო“** – ფერდობი ლაკადაში, თხინასთან, სადაც კოლმეურ-ნეობას ეთესა ლობიო (ლარა). ერთსა და იმავე ფუძესთან **ო-** და **სა-** პრეფიქსების მონაცვლეობა შეუძლებელი არაა, ოლონდ **ო-** პრეფიქსი უფრო ადრეულია, ვიდრე ქართულიდან შემოსული **სა-**.

**ოლებ(ი)ელალ(გ)** – ტარჩიის მარჯვ. შენაკადი გგნძე სამესხიოში (სამესხიო).

**ოლებუ(მ)სუკი** – ბორცვი ტარჩიასა და უჩაღალის წყალგამყოფ სერზე. ოლებუ ამ სერის დას. ფერდობზე ჭაობნარს, საფლობს წარმოადგენს (სამესხიო).

**ოლენჭყე „ჭეჭყობი“** ( ლენჭყი „ჭენჭყი“) – ნაჭაობარი გგნძე სამესხიოში. ვარიანტი: **ანდროშ ოლენჭყე**. ანდრო ჭანია ესახლა ამის გვერდით (სამესხიო).

**ოლისგრე** „საისლე“ ( ოლისგრი „ისლი“) – ჩაის ფართობი სქურდილასა და ლესარეს შუა (ნალენჯიხა).

**ოლორი** – ენგურის მარჯვ. შენაკადი. იწყება ჩვინარეში (მუჟავა, ენერფერდი, ჭველე, ფახულანი). წარმოქმნილია ოდენ ო- პრეფიქსით. **ლორი** ენოდება გრძლად ნაპობ სქელ ფართო ფიცარს, რითაც ხურავდნენ მწყემსის ბინას (დიდხანს ძლებდა). საამისოდ ჭრიდნენ თხმელას, რაც ამ მდინარის ხეობაში უხვად ხარობდა. შდრ. ხალხური ეტიმოლოგია: „ოლორი იმიტომ დაურქმევიათ, რომ მდინარეს ოლე-ოლე (ე.ი. გაღმა-გამოღმა) ორო („ჩრდილი“) ჰქონია“. ოლორი მიჰყვებოდა დობერის ძირებს და ერთოდა ენგურს სოფ. გამფერდში, მაგრამ XX ს-ის 50-იან წლებში გაუჭრიათ არხი და მდინარე შეუერთებიათ ენგურისათვის ფახულანის ცენტრში. ამასთანავე, ოლორის ნაწილი არხშია ჩასმული წისქვილები გასამართავად და მიჰყვება ენგურის მარჯვ. ნაპირს რამდენიმე კმ-ზე გალის რ-ნის საზღვრამდე. ოლორი ერთ დროს ერქვა ენგურჰესის მშენებელთა დროებით დასახლებასაც, რომელიც ერისწყლისა და ოლორის ხეობებს შუა მდებარეობდა (იხ. ცხადაია, 1999, გვ. 65-66). შდრ. ალ. ქობალია: „**ოლორე** – სამორე (ტყე); **ოლორი//ოლორუე** – მორების დამზადების ადგილი; მორების დასაცურებელი მდინარე“. შდრ.: სუფიქსი **-ორ** ადგილმდებარეობის სახელწოდების მანარმოებელია, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში გვხვდება (ოკუჯავა, 1992, გვ. 22). ერთ-ერთ საამისო სახელწოდებად დასახლებულია „ოლორი“ – ენგურის მარჯვენა შენაკადი. ამ ვარაუდის მხარდასაჭერად, როგორც მინიმუმი, აუცილებელია ჰიდრონიმის თავკიდური ოლ- კომპონენტის რაობის გარკვევა. ქართველ მკვლევართა ერთი ჯგუფი კოლხეთის ზოგი ტოპონიმის ლექსიკურ-სემანტიკურ პარალელებს პოულობს შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, სამეურნეო საქმიანობაში, რელიგიაში და, განსაკუთრებით, ტოპონიმიაში. დავასახელებთ რამდენიმე პარალელურ ნიმუშს ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ სახელწოდებასთან: **ოლორი** (მდინარე, ენგურის მარჯვ. შენაკადი სოფ. ფახულანში); **ოხვილიში** „სამწყვედი“ (კლდე და ენგურის ყურე აგრეთვე სოფ. ფახულანში); **მერე** „წყლისპირა ფართო ვაკე“ (ფართო ველი მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას სოფ. ჭველეში); **ოხომა** „სალოცავი“ და სხვ. (იხ. მიქელაძე, 1974, გვ. 27-28).

**ოლორპიჯი** – ოლორისპირა დავაკება (მუჟავა). შდრ. **ლორიშკარე** – საძოვარი ჩხორონწყუს სატყეოში.

**ოლულე** „სალელვე, ლელვნარი“ – ბორცვი ოლულელალის სათავესთან (ნაკიფუ).

**ოლულელალ(გ)** – ლელე. იგივე პეტრემ ლალ (ნაკიფუ).

**ომანდარინესუკი** – ბორცვი ტობეშსა და სქულუბურს შუა, ოლორის მაეჯვ. მხარეს, ნამანდარინესთან (ფახულანი). გასული საუკუნის შუა ხანებში ამ ბორცვის ფერდობზე გაშენებული იყო მანდარინი.

**ომანე** „ტურის, მელიის სორო; ბუნაგი“ – ფერდობი ოლაჭაჭუელალის მარცხ. მხარეს (ფუქი). ო. ქაჯაია: „**ომანე** – ბუნაგი, სორო“. შდრ. გურული **ომანო** – სორო, სამალავი. ალ. ქობალია: „**ომანე** – სორო, ხვრელი, ბუნაგი, სამალავი“. შდრ. ი. ყიფშიძე: „**ომანე** –“.

**ომარიშ ნაკარ(უ)** – ბუჩქნარი გვიმარაში, ლელოს ზევით. აქ იდგა მწყემსი ომარ არქანია (მუჟავა).

**ომელიშიე** „სამოცვე“ ( მელიშია „მოცვი“) – ბუჩქნარი ვეჯინჯში, სადაც მოცვი უხვად ხარობს (საჩინო).

**ომენჯე** „სავეძე“ – სახნავი, ლენჭუბი ჩელალის სათავესთან, ლაკადას კალთაზე (ლარა). **მენჯი** ფონეტიკურად და მნიშვნელობით შეესაბამება ქართ. **ვეძა** ლექსემას (იხ. ქეელ, 2000, გვ. 202). ტოპონიმი წარმოქმნილია ო-ე პრეფიქს-სუფიქსით. ალ. ქობალია: „**ომენჯე** – მუჟავე წყლით მდიდარი ადგილი“.

**ომერიშ ოისგრე** – ჩაის ფართობი გაძლარაში (ლია).

**ომისორელალ(გ)** – ხევი და ოტოფუეს მარჯვ. შენაკადი ზედა მაზანდარაში (მაზანდარა).

**ომუნე** – ბორცვი, უბანი ენგურ-მაგანას წყალგამყოფი სერის დასაწყისში. აქვეა კომ-  
კი **ომუნემ ჯიხა** (ჯვარი). თ. ბერაძის დასკვნა ასეთია: ადრეფეოდალურ ციხეთა ახლოს,  
მდ. ენგურისა და მაგანას წყალგამყოფ ქედზე არსებული ციხის მახლობლად რამდენიმე  
კმ-ის დაშორებით აგებულ იქნა ომუნეს ციხე (ბერაძე, 1970, გვ. 44). ტოპონიმისათვის ამო-  
სავალი მუნ- ფუძე, როგორც ჩანს, იგივეა, რაც გამოიყოფა სიტყვაში მუნ-აფ-ა „ღრუბელი;  
მოღრუბლვა“: ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა დაკვირვებით, ამ გორას ხშირად  
ანეკს ნისლი, ღრუბელი. მაშასადამე, საფუძვლიანია, ვივარაუდოთ: ომუნე „სანისლე“.  
შდრ. ი. ყიფშიძე: „**ომუნე//ომგნე**-სათვის ამოსავალია სომხური ფუძე“. აღ. ქობალია:  
„**ომუნე** – ნისლიანი, ღრუბლიანი ადგილი, ნისლოვანება“. საერთოდ მეგრულში ომუნე  
ენოდება მთის ჩრდილოეთ მხარეს, უმზეოს.

**ომუნემ ჯიხა** – ციხე-კომკი ომუნეში, ენგურ-მაგანას წყალგამყოფი ქედის სამხრეთ-  
ში, სვანეთ-სამეგრელოს საავტ. ტრასაზე. იგი მაღალი და მრავალსართულიანია და ნაგე-  
ბია რიყის ქვით XV-XVI სს. მიჯნაზე. აქედან ენგურისპირეთის მრავალი „ჯიხა“ მოჩანს.  
მკვლევართა ერთი ნაწილი მას ათარილებს XIII-XIV სს-ით, მეორე ნაწილი თვლის, რომ XV  
ს-ისაა (აღდგენილია 1989 წელს). „მდ. ენგურისა და მაგანის წყალგამყოფ ქედზე არსებული  
ადრეფეოდალური ციხის მახლობლად რამდენიმე კილომეტრის დაშორებით აგებულ იქნა  
„ომუნეს ციხე“, ხოლო ჭანისწყლის ხეობაში ადრეფეოდალური ხანის ციხის ნანგრევთა  
გვერდით – „ლაყორიას“ საყარაულო კომკი“ (ბერაძე, 1970, გვ. 44). ანა ანტონოვსკაია „დი-  
დი მოურავის“ ერთ ეპიზოდში გვამცნობს, რომ ენგურის მარცხ. ნაპირას დგას „უამისაგან  
გვერდებრამონგრეული ციხე-კომკი“. ჩვენი აზრით, ამ ციხე-კომკში სწორედ **ომუნემ ჯიხა**  
იგულისხმება.

**ომუნჩქვე** „სამაჩვე“ – 1. ფერდობი საშონიოში, სადაც ტყეში ბევრი მაჩვი ბინადრობ-  
და (ჭალე); 2. ტყე-ფერდობები ზედა ლეჟაში, ჭითა ცომურის აღმ-ით (ნაკიფუ); 3. ფერდობი  
კლდე-ღრეებით საგოგოხიოში (ქალალაღი) და სხვ. დადგენილია: ქართ. მაჩუ : მეგრ.  
მუნჩქე-ი : ლაზ. მუნჩქ-ი (ქეელ, 2000, გვ. 321).

**ომუნჩქვე//მუნჩქონა** – ბუჩქნარი კატჭღალის სათავესთან. რესპ.: „აქ მაჩვი ახლა-  
ცაა“ (სამესხიო).

**ომუნჩქვესუკი** „სამაჩვე ბორცვი“ (ან „სამაჩვის ბორცვი“) – 1. ბორცვი ლეცინდეში,  
სქერლალსა და პეტრემ ღალს შუა (ობუჯი); 2. ბორცვი ტყითა და ჩაის ფართობით (ჯალი-  
რა).

**ომუნჩქვეტომბა** – მორევი ჭანისწყალზე. იგივე ჯურუმ ნაშქვიდა (ჯგალი).

**ომუნჩქვეღალ(გ)** – ღელე, ოლორის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ტობეშიდან (ჭვე-  
ლე).

**ომუნჩქვეღალ(გ)** – ღელე და ხეობა, ინწვრალალის მარცხ. შენაკადი ლესალეს  
უბანში. მოედინება ომუნჩქვედან (კუხეში).

**ომუნჩქონი** „სამაჩვე“ – ტყე-ფერდობი სასარიოში (ნალენჯიხა). ტოპონიმი წარმოქ-  
მნილია ორმაგი (ო-ონ) აფიქსაციით.

**ონას(უ)მორე** „სამესამედო“ – ვენახი სამიქაოში, ლაჩახვის სათავესთან, ოტოფუეს  
პირას, ნაზმაკორუში (ფუქი). XIX ს-ში **ონასუმორე** ერქვა საიჯარო მიწას, რომლის დამუშა-  
ვებისათვის გლეხი მემამულისაგან მიიღებდა მოსავლის მესამედს. სუმი „სამი“ ნასუმო-  
რი „მესამედი“ ონასუმორე. რესპ.: „უმოსი დიხა უღუდუნგ თის ქელემათგრებუდუ დიხა  
ვაულუდუნგ თი კორი დო ხაჩქენდეს ართო, საგვერდოს ხოლო ქიმეჩანდგ პატიოსანი კორი  
ქორდგდა, ვარა ნასუმორს, ნანთხალს... ელმათგრე მონაწილე რე“.

**ონაცალე//ნაცალა** – საძოვარი ბოგაშში. ცალუა „თიბვა“ **ნაცალა** „თივა; ნათიბი“;  
**ონაცალე** „სათივე; სათიბარი“ (მედანი).

**ონახუე** – 1. კაკაურიის ზემო წელი ტახილში (ლესარჩილე); 2. მორევი  
ჭუბურღალზე, ხახურში. აქ ქვებია ამოთლილი და ქალებსაც აქვე ჰქონდათ სამრეცხაო  
(ფახულანი). გრადიციულად, სოფლის ქალებს მდინარეზე ამორჩეული ჰქონდათ მოხერ-  
ხებული (ქვიანი ან კლდიანი) ადგილი, სადაც ჩაჰქონდათ სარეცხი. სწორედ ამგვარი ადგი-

ლების სახელებია **ონახუე** და **ონახუეში**. **ნახუა** „რეცხვა“ **ონახუე** „სარეცხელი (ადგილი)“.

**ონახუე//ონახუე ღალ(გ)** – 1. ღელე ტახილში. ერთვის წკვიბლალს. სათავე აქვს ნაშარაქუში (ღებარჩილე); 2. ღელე. სათავეა ნიკაშ წყურგილი. გადის ნაპერტუში. მიუთითებენ გრძელ, ფართო ლოდებზე ღელეში, სადაც სარეცხს რეცხდნენ (ფუქი).

**ონახუეღალ(გ)** – 1. წყაროები, ფშანი ენგურის ნაპირას, კერძოდ, ნაკოლთან. ამ ფშანის წყალი ენგურის წყალთან შედარებით თბილი იყო და ქალებს აქ ჩაჰქონდათ სარეცხი (ჭალე); 2. ღელე ტახილში. იგივე **ონახუე** (ფუქი, ღებარჩილე).

**ონახუემ წყურგილი** – წყარო **ონახუეში** (ღებარჩილე).

**ონთხორუეში//ონძვალეში** – თხრილშემოვლებული ველობი ენგურის მარცხ. ნაპირას (პალური). გ. გრიგოლიას არქეოლოგიურმა ჯგუფმა აქ აღმოაჩინა სხვადასხვა სახის უნიკალური მასალა, რაც ასაბუთებს, რომ ეს საძვალე ფუნქციონირებდა ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებიდან ძვ. წ. V საუკუნემდე და საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა. აქვე იკვებოდა შესანიერი ცხოველიც.

**ონისიმემ ნაკარუ** – ვაკე საძოვარი ჩვინარეში, ოლორის მარცხ. ნაპირას (მუჟავა).

**ონკირეში** „საკირე“ – 1. ფერდობი ჩვინარეში, ოლორის მარჯვ. მხარეს, სადაც XX ს-ის შუა წლებში ჯერ კიდევ მდგარა კირის გამოსანვავი ღუმელი (მუჟავა); 2. ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ტებენეს მარჯვ. ნაპირას, ლეკუკეში (ფახულანი) და სხვ. როგორც მ. ჩუხუა თვლის, კირი საერთო ქართულ-მეგრული ლექსიკური ერთეულია. ჩვენი ვარაუდი: არაა გამორიცხული: ქართ. **კირ**-ი მეგრ.(ნ)კირი.

**ონ(ნ)კირეში** – კლდე-ფერდობი საჩანგელიოში, ლაკადას ქვემო კალთაზე. რესპ.: „აქვე მოიპოვებდნენ საკირე ქვას და აქვე ნვავდნენ კირს“ (ჯგალი).

**ონურზენა** – გორ. ნაკიფუში (ღლონტი, 1971, გვ. 80). უნდა იყოს ინორზენა (იხ.).

**ონტყოლაშე//ონტყოლიში** – ჩაის ფართობი ენნერში, სადაც უნინ დიდი ტლაპო-საფლობი ყოფილა. კამეჩები ლაფაობდნენ. ამიტომაც ჩაის გაშენებისას ეს ადგილი ხეთა კუნძებით აავსეს. ტოპონიმის ამოსავალია **ნტყოლა** „ტალახში ტოპვა, ლაფაობა“ (ენერ-ფერდი).

**ონტყოლაში** – 1. გუბე ყვირას სამხრ. კალთაზე. წყალი ნანვიმარზე დგება და საქონელი ეტანება. ორია: ყინი („ზემო“, რომელიც შრება) **ონტყოლაში** და თუდონი („ქვემო“, რომელიც არ შრება) **ონტყოლაში** (ჯვარის სატყეო). 2. ტაფობი ბოგაშში. იგივე **ონტყოლუე** (ლარა, მედანი).

**ონტყოლიში** – ჩაის ფართობი. იგივე **ონტყოლაშე** (ენერფერდი).

**ონტყოლკუნთხუ** – ბორცვი, ჩაის ფართობი ბირგულამსა და ოცხედელას შუა, ჭიჭე ღალის სათავესთან (ნაკიფუ).

**ონტყოლუ** – გუბურა ბოგაშის ცენტრში, ჩაღრმავებულ ადგილას. სიცხეში კამეჩები და ღორები აქ მოდიან და წვებიან ტალახში. სხვათა შორის, ასეთ გუბურებს ხელოვნურადაც აკეთებდნენ: შიგ ნანვიმარი წყალი დგებოდა (სქურის სატყეო).

**ონტყოლუე//ონტყოლაში** – ტაფობი ბოგაშში, სადაც ნანვიმარზე წყალი დგება და საქონელიც აქ მოდის სალაფაოდ, განსაკუთრებით, კამეჩი და ღორი (ლარა, მედანი).

**ონტყოლ(გ)** „საფლობი; სატოპელა“ – 1. ტაფობი ოხაჩქუეს აღმ. კალთაზე, სადაც ორგანაა გუბურა (ჭალეს სატყეო); 2. წყალჩამდგარი ადგილი გოდგრაკილის აღმ-ით (ხუდონის სატყეო) და სხვ. ამოსავალი ზმნა **ნტყოლა** „ტალახში ტოპვა, ლაფაობა“ დასტურდება ამავე ფუძისაგან წარმოქმნილ სხვა ტოპონიმებშიც: **ონტყოლაშე, ონტყოლაში, ონტყოლ(ე)ში, ონტყოლიში, ონტყოლუ, ონტყოლუე**.

**ონძვალეში** – თხრილშემოვლებული ველობი. იგივე **ონთხორუეში** (პალური).

**ონძილე** „ჯილე, თევზის ბუნაგი“ – 1. მორევი ინნგრაზე, ოხვამეკართან. აქ წყალქვეშა მღვიმე-დარანში დიდძალი თევზი იცოდა (ნაგურუ); 2. ყოფილი სათევზაო ადგილი სქურდილაზე, სოფლის ჩრდ. ნაწილში (ობუჯი); 3. წყალქვეშა მღვიმე და წყარო ენგურის მარცხ. ნაპირზე, კლდის ძირას, საცხადაიოში (ზ. ლია); 4. მორევი ჭანისწყალზე, ფუისქურის შესართავის ზემოთ. აქვს ღრმა დარანი და ზამთრობით თევზი აქ იყრიდა თავს. რესპ.:

„გაზაფხულზე საკმარისი იყო დაედგათ **კუნო**, ანუ **ქუფე**, და თევზი შიგ ცვიოდა“ (მაზან-დარა, ლეკაკულე) და სხვ. ყველა შემთხვევაში **ონძილე** არის დარანი, თევზის თავმოყრის ადგილი წყალქვეშა მღვიმეში, ქვისქვეშა, ლოდისქვეშა, კლდისქვეშა ღრმულში, წყლისგან გამოფლავებულ სივრცეში. ცხადია: ქართ. ჯილე : მეგრ. (ნ)ძილ-ე ონძილე. შდრ. „ონძილე — სათ. ნალენჯიხაში“ (ლონტი, 1971, გვ. 80). იხ. აგრეთვე: ცხადია, 1995, გვ. 112.

**ონძილე//ალემ წყურგილე** – წყარო-ნაკადული ქანისწყლის მარცხ. ჭალაში, ნახუ-ბუს ჩრდ-ით. წყარო წყალუხვია, ხოლო ნაკადული სიგრძით რამდენიმე ასეული მეტრისაა. უნინ აქ ყოფილა ონძილე, სადაც ზამთრობითაც იჭერდნენ თევზს (ჯალირა). შდრ. ალ. ქობალია: „**ონძილე** – საქველთობო ადგილი; ჯილე, დარანი, თევზის სამყოფელი; რისამე სი-უხვის ადგილი“.

**ონძილე//კოკელაძემ წყურგილი** – წყარო საცხადაიოში, ენგურის ჭალაში. წყარო გამოდის კლდის მღვიმიდან. კოკელაძე სახლობს ამ წყაროს თავზე, ამალღებულ ადგილას (ზ. ლია).

**ონძილემ ჭალე** – ჭალა-მინდორი ქანისწყლის მარცხ. ნაპირას, ონძილესთან (ჯალი-რა).

**ონწარე** „ჭაობი“ – ტორფნარ-ჭაობნარი ლექარდეში, ჭითა წყარის სათავე (პ. ენერი). რესპ.: „ონწარე ისეთი ჭაობია, სადაც ვერ გაივლი“. შდრ. ი. ყიფშიძე: „**ონწარე** – ჭაობი“. ალ. ქობალია: „**ონწარე** – წყლიანი ადგილი, ჭანჭრობი“.

**ონწე(ი)ში//ონწიში** „საკვანე; სააკვანო“ – ვინროთხემიანი სერი გუჩარას სათავეს-თან, ხუმათიასა და საარქანიოს შუა (ჭალე, მუჟავა). ხალხური ეტიმოლოგია: „ქალი თოხნი-და და ონწე (სარწევი, ე.ი. აკვანი) გვერდით ედგა თურმე“. სინამდვილეში ტოპონიმი წარ-მოქმნილია მეტაფორიზაციის გზით: ვინროთხემიანი სერი ფორმით მიაშვავეს აკვანს. საერთოდ, ონწე „აკვანი. სარწეველა“, როგორც ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს ვინრო ადგილს: გასასვლელს, კანიონს, სერს. ალ. ქობალია: „**ონწე** — სარწეველა; ჭერიდან დაშვებული თოკზე ცამოკიდებული კალათი, სანოლი, აკვანი“. შდრ. „მეგრული ონწე არის სრულიად კანონზომიერი შესატყვისი ქართული ფორმისა „სარწევი“ (გიგინეიშვილი, 1997, გვ. 92-94). ტოპონიმაში დასტურდება აგრეთვე: **ონწე, ო(ნ)წეში, ონწეტობა**. ერთ-ერთი რესპოდენტი ასე განმარტავს სახელდების მოტივს: „ონწეს ვინრო ზურგი აქვს და აკვანს წააგავს“.

**ონწიში** – სერი. იგივე **ონწ(ე)იში** (ჭალე, მუჟავა).

**ონწილეში** – კლდე-ფერდობი, ბურქნარი ტობეშა და ნაჭკანუს შუა (ფახულანი). რესპონდენტის აზრით, ამ კლდე-ფერდობზე ვინრო ხევია და ამიტომაც დაურქმევიათ ონ-წილეში. კონტექსტი: „ონწილეშის მგკორენია საქონელი“.

**ონწილემღალ(გ)** – ლელე. მოედინება ნაჭკანუმ სუკიდან ვინრო კლდოვან კალაპოტ-ში და ერთვის ომუნჩქველას მარცხ. მხრიდან (ფახულანი).

**ოჩე** – წყარო და ჩაის ფართობი საციმინტიოში, ნანიორას ნაპირას (საჩინო, პ. ენე-რი). პ. ჭარაია: „**ოჩე** — დიდი ყანა, ხოდაბუნი“; ი. ყიფშიძე: „**ოჩე** — დიდი მინდორი“; ალ. ქობალია: „**ოჩე** — ნათეს-ნარგაობა, ცენების ადგილი; დიდი – 5-6 ქცევა ყანა, ხოდაბუნი, დიდი და ნაყოფიერი საყანე ადგილი; უხუცესის კუთვნილი მიწა; საუფროსო, საუხუცესო“. ჩვენეული განმარტება ასეთია: ოჩეს ძირითადი მნიშვნელობებია: საუფროსო, საუხუცესო; რა თქმა უნდა, საუფროსო ყანა პატარა არ იქნებოდა. შდრ. სიმღერა „ოჩემხვე დო ხვარიელი“ (მღერიან სიმინდის ტაროების გარჩევისას). საბოლოოდ, ოჩე ფართო, ვრცელი, ნაყოფიერი მიწის აღმნიშვნელ ნომენად იქცა. იხ. აგრეთვე **ნაოჩე**.

**ოჩელალ(გ)** – ნანიორას მონაკვეთი (საჩინო, პ. ენერი).

**ოჟამაია** – წყარო და ვაკე-მინდორი ენწერში, ლალის მარცხ. მხარეს (ფოცხოენერი). რესპ.: „ოჟამაია ისეთი ადგილია, სადაც ადამიანი „ოჟამება“, ანუ უჟმური შეეყრება, ე.ი. შესცივდება და ტანში მტვრევას დაუნყებს. ასეთ ადგილს ერიდებიან, გვერდს უვლიან“. შდრ. ალ. ქობალია: „**ოჟამალი** – გასაჩხიბი, დამცდელი ადგილი“.

**ოჟამაიაშ წყარი** – წყარო ოჟამაიაში, ერთვის ნანიორას (ფოცხოენერი).

**ორაგვაფუ** ( ორაგვაფი „ძლიერი დაჯახება“) – ტყე-ფერდობები მენჯრალაღის სა-  
თავესთან, რაც ლექარდეს საზღვართანაა. აქ ქარი ძლიერად ეჯახება, ეხლება ფერდობს  
და ამიტომაც დარქმევია „საჯახი“ (ლექარდე, ლემამუგე).

**ორანჟერეა//ქუალონი** – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (მაზანდარა). **ქუალო-  
ნი** „ქვავნარი“ ადრევე ერქვა. კოლექტივიზაციის წლებში „ორანჟერეა“ (სათბური)  
გაუმართავთ და ახალი სახელიც დარქმევია.

**ორდეშ კუჭუხურა** – კონუსისებური ბორცვი ლებუესა და ლებოხუეს შუა, დასცქე-  
რის ნოჟალასა და ბაკურამ ღალს (კუხეში). ორდე ( ორდენი) ამ ბორცვის ძირას ესახლა.  
იხ. კუჭუხურა.

**ორ(ი)კეში** – 1. ვაკე-ბორცვი სამიქაოში, სადაც მწყემს ბიჭებს ჰქონიათ რიკ-ტაფე-  
ლას სათამაშო მინდორი (ფუქი); 2. ვაკე-მინდორი წისქვილარას ხეობაში. რესპ.; „ძველად  
აქ ხალხი ცხოვრობდა და სარიკაო მინდორი ჰქონდათ“ (სქურის სატყეო). **რიკუა** „რიკ-ტა-  
ფელას თამაში“ **ორიკე(ში)** „სარიკტაფელო“ **ორკეში**. ფონეტიკურ-სიტყვანარმოები-  
თი ვარიანტებია: **ორიკუ, ორკეში**. იხ. **ნარიკუ**.

**ორიკუ** „სარიკტაფელო“ – ჩაის ფართობი ზედა მაზანდარაში, ნაკოპერატივსა და  
ნაკურდღელს შუა. აქ ფართო მინდორი იყო და „რიკ დო ლამფას“ (ე.ი. რიკ-ტაფელას) თა-  
მამობდნენ (მაზანდარა).

**ორკეში** – ვაკე-მინდორი. იგივე **ორ(ი)კეში** (სქურის სატყეო).

**ორკიანე** – ხეობა, ტაფობი კირქვიანი ფერდობებით უჩალალის (მოროჟას მარჯვ. შე-  
ნაკადი) სათავესთან (ლემამუგე). შდრ. ალ. ქობალია: „**ორკიანე** – დასაზღვრებული“. შდრ.  
**ორკიალი** „საკივლელი“.

**ორო** „ჩრდილი“ – მაღალი ტყე-ფერდობი ოლორის მარჯვ. მხარეს. მზე არ ადგება.  
ამიტომ დარქმევია ორო, სამხრეთ ფერდობებს კი ეწოდება **ჭყეპრზენი** (მუჟავა).

**ორომელაღ(გ)//რობულაღ(გ)** – უწყლო ხევი ტობემის ქვემოთ (ნაგურუ). ო. ქაჯაია:  
„**ორომე** – ორმო; მრუმე ჩრდილიანი ადგილი“. ალ. ქობალია: **ორომე** – ორმო, ჯურღმული,  
დიდი თხრილი, ბნელი ხეობა“.

**ორულაფუ** „სარბენი, სამარულო; ცხენის საჭენებელი“ – ვაკე-მთა, საძოვარი ეგრი-  
სის ქედზე, ჯოლორნაშუმასა და ქვაბის ხეობას (სვანეთი) შორის (მაგანას სატყეო). ალ.  
ლლონტის „ტოპონიმიკური ძიებანი, I“ (ლლონტი, 1971, გვ. 80) გვაუწყებს, რომ ორულაფუ  
მთაა ჯვარის სს-ში.

**ო(რ)შუაფე** „სველი, ნესტიანი ადგილი“ – ტყე-ლენჭყი ლებოხალალის მარჯვ. მხარეს.  
იყენებენ გარეულ ფრინველებზე სანადიროდ (ზ. ლია). ამოსავალი ფორმა: **შგ** „სველი“.  
შდრ. ოშუაფე. ო. ქაჯაია: „**ო(რ)შუაფე** – სველი ნესტიანი, ჭაობიანი“. ალ. ქობალია:  
„**ოშუაფე** – სისველე“. იგივე ავტორი: „**ორშუაფე** – ნესტიანი ადგილი“.

**ორჩვაშე** – ერქვა ტყეს ზღვაიასთან, ნალენჯიხა-ზუგდიდის გზაზე, სადაც ყაჩაღები  
ხშირად ძარცვავდნენ გამვლელ-გამომვლელებს. შემდგომ ტყე გაიჩეხა და ჩაის პლანტა-  
ცია გაშენდა, რამაც ხელი შეუწყო სახელწოდების ნაწილობრივ დავიწყებას (ნალენჯიხა).  
**რჩულა** „ძარცვა“ **ორჩვაშე** „საძარცვი, საყაჩაღო (ადგ.)“.

**ორჩხელაია** – კლდე-ფერდობი. იხ. **ო(ჩ)ხიორაია** (ჩქვალერი).

**ორჩხიალაია** ( ორჩხიალი „ჩხრიალი“) – 1. ქვაცვენია კლდე-ფერდობი მაგანას  
მარცხ. მხარეს (ლექარდე). სახელი შერქმეულია ქვის ცვენის ხმიანობის მიხედვით; 2.  
კლდე-ფერდობები. იგივე **ო(ჩ)ხიორაია** (ჩქვალერი). შდრ. ალ. ქობალია: „**ორჩხიალაია** –  
ჩხრიალა, ჩხარუნა“. მეგრულში ქართულიდან ნასესხებ სიტყვაში, როგორც **ნესი**, **რ**  
ფონემა თანხმოვნის წინ გადადის: ჩხრიალი **რჩხიალი**, სრიალი **რსიოლი**...

**ო(რ)ცხედელა//ო(რ)ცხედელამ სუკი** – სერი საკვარაცხელიოში, ბირგულამსა და  
კვარჩხილალს შუა, შქაშსუკის პარალელურად (ნაკიფუ). გადმოცემით, ცხედელავას (გვა-  
რია) ნასახლარია. ერთი მხრივ, ასეთი გვარი არ დასტურდება, მეორე მხრივ, ო- გვარსახე-  
ლებს არ დაერთვის. იქნებ სახელდების მოტივაციისათვის მისაღები იყოს ალ. ქობალიას  
განმარტება: „**ცხელი** – ჩრდილიანი, ტენიანი, ნოტიო“.

**ო(რ)ცხედელამ სუკი** – სერი. იგივე **ო(რ)ცხედელა** (ნაკიფუ).



**ორწებელე** „სანურბლე“ – გუბე მენჯრალალის სათავესთან (ლექარდე). ქართ. **წურბელი**//წურბელა „სისხლისმწოველი ჭია“ (ცხოვრობს დამდგარ წყალში“ მეგრ. წურბელი//წრუბელი//წრუბელი.

**ორწყანდე/ონყარდე** – ბირგულამის შენაკადი. გაედინება მეჯოგეფიშ სუკსა და შქაშსუკს შუა, ულურიში ერთვის კვარჩხილალს და მერე ეწოდება ულურიანყარი. სხვა მოსაზრება: „ღელე წყალს იკრებს წყარობიდან და ჭაობებიდან. ამიტომ დარქმევია ორწყანდე“ (ნაკიფუ, ულურია). რესპ.: „სათავეა ორი წყარო – **გვიტიშ წყურგილი** და **ბათაშ წყურგილი**. ამიტომ დარქმევია ორწყანდი“. შენიშვნა: მეგრულ მეტყველებაში არ გამოიყენება რიცხვითი სახელი **ორი**, მას ცვლის **ჟგრი**. ამასთანავე, ოწყარდე მეგრულში ჰიდროგრაფიული ტერმინია და აღნიშნავს წყლიან-ნესტიან, დაჭაობებულ, ან წყალჩამდგარ ადგილს. მეგრულში არაა იშვიათი, როცა ლექსემაში ბგერა **რ** წინ გადადის, როგორც ამ შემთხვევაში: ოწყარდე ორწყანდე.

**ორჯონიკიძე** – ერქვა მეორე ეწერს (იხ.) 1943-1992 წლებში. ამჟამინდელი პირველი ეწერი (იხ.) წარმოადგენს დამოუკიდებელ ადმ.-ტერიტ. ერთეულს (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**ოსენტელაია** „სასრილო“ ( სენტელი „სრიალი“) – შურო კგდაში, **კაჭაშ გიოლაფუს** გვერდით (ჩქვალერი). რესპ.: „ბავშვები დასხდებოდნენ ფიცარზე, ჩელტზე, ციგაზე და ჩამოსრილდებოდნენ ხოლმე“.

**ოსენტელაიაშ ღალ(გ)** – ღელე ოსენტელაიაში (ჩქვალერი).

**ოსიონტაია** „სასრილო; სრილა“ ( სიონტი „სრიალი“) – კლდე, ფერდობი ლეაბრალეში (ნაგურუ). რესპ.: „აქ ერთგან შურო ჩამოჰყვება. ბავშვები გვიმრას დაიფენდნენ და ჩამოსრილდებოდნენ“. ვარ.: **ოსიონტაია კვრდე**. შდრ. აღ. ქობალია: „ოსიოტე, ოსიონტე, ოსიოტაია, ოსიონტაია – სრილა, გლუვი, გალიპული“; ო. ქაჯაია კი იზიარებს ჩემეულ განმარტებას: „სიონტი – სრიალი“.

**ოსიონტაია კვრდე** – კლდე-ფერდობი. იგივე **ოსიონტაია** (ნაგურუ).

**ოსკალე/ოსქალე** ( სკა, სქა, „ფუტკარი“) – 1. მინდორი ლეთოფურეში, ბელერის სათავესთან (ლეთკანთი); 2. ფერდობი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს (მედანი). „მეგრულ ლექსიკონშიც“ ასეა შეტანილი: „სკა/სქა – სკა, ფუტკარი“. შესაძლებელია როგორც სკა სქა, ისე სქა სკა.

**ოსურეფიშ ღალ(გ)** „ქალების ღელე“ – ღელე. ჩამოედინება ეწნერიდან, გამოივლის ნაზმატუსა და ოსქალეს შუა, ჩაივაკებს ქალაქის ცენტრში და ერთვის ჭანისწყალს ხუსენიშ ნადუქანთან. სათავესთან ეწოდება **ჯონდომ ღალი** (ნალენჯიხა). სახელდების მოტივაცია: ერთ დროს ღელისპირებზე ერთ ოჯახში მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ.

**ოსქალე** – მინდორი ლეთკანთში და ფერდობი მედანიში. იხ. ოსკალე/ოსქალე.

**ოსქალე/ნასქალ(გ)** ( სქა „სკა; ფუტკარი“) – სერი ტყე-ბუჩქნარით საკალანდიო-ღალსა და ოსურეფიშ ღალს შუა. ტყეში ხშირია ძველი ნასახლარების ნაშთები. **ოსქალე** „საფუტკრე“ ნასქალე „ნასაფუტკრალი“. გადმოცემით, თურქების შემოსევისას აქ დაუშალავთ სამი ქვაბი სანთელი და ოქრო. საერთოდ კი, ამ სერზე ბევრი ფუტკარი ჰყავდათ (ნალენჯიხა).

**ოსქვერელალ(გ)/ოსქირულალ(გ)** – ტყე-ხეობა, გვრძე ღალის მარჯვ. შენაკადი საკალანდიოში (ნალენჯიხა). პირველი ვარიანტი ნიშნავს საშველელეს, ხოლო მეორე ვარიანტისათვის ამოსავალია სიტყვა **სქირუ** „მშრალი“. შდრ.: **ოსქირუ შარა** „სამშრალი“ (ე.ი. უტალახო) გზა“.

**ოსქერულალ(გ)** – ტყე-ხეობა. იგივე **ოსქვერელალ(გ)** (ნალენჯიხა).

**ოსხაპუე** – 1. სერი ნაპერტულალისა და ლაჩახვას სათავეებს შორის, სამიქაოში. რესპ.: „სალამობით აქ იკრიბებოდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით, უქმე დღეებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე. იყო ცეკვა-თამაში, სიმღერა, გართობა“ (ფუქი, მაზანდარა); ამ უბანში დაბადებულა უტუ მიქავა; 2. მორევი ინწირაზე, ნაბირთუსთან, სადაც მაღალი კლდის ბაქნიდან ხტებოდნენ (საჩინო) და სხვ. **სხაპუა** „ხტომა; ცეკვა-თამაში“ ოსხაპუე „გადასახტომი ადგილი; სალამობით თავშეყრის ადგილი, სადაც რელიგიურ დღე-

სასწაულებსაც აღნიშნავდნენ და ცეკვა-თამაშიც გაიმართებოდა ხოლმე“. ალ. ლლონტის ლექსიკონში დასახელებულია „ოსხაპუე — ადგ. ობუჯში“ (ლონტი, 1971, გვ. 80).

**ოსხაპუე//ნაგუნუ** — გორაკი სამიქაოში, ნაპერტუს სათავესა და ლაჩახვას შუა. ნაგუნუ გუნავა (გვარია). (ფუქი).

**ოსხაპუესუკი** — 1. ვაკე-ბორცვი ჩხაპიაღალის მარჯვ. მხარეს, საგერგედაში. დას-ცქერის ოლორის ხეობას (ფახულანი) რესპ.: „აქ იმართებოდა ჭეჭეთობა („ჭიაკოკონობა“) და მთელი ღამე ცეკვა-თამაში იყო. ცეცხლს დაანთებდნენ და გადაახტებოდნენ ხოლმე“; 2. სერი ჯოგომ ღალსა და კვლს შუა. ვარ.: **ჭეჭეთობაშ სუკი** (ნყოში) და სხვ. სხაპუა „გადახტომა; ცეკვა“ ოსხაპუე „გართობის, ცეკვა-თამაშის ადგილი“ თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა.

**ოტინტილე „სახელიკე“** ( ტინტილა „ხვლიკი“) — მოკლე ხევი, იწირას მარჯვ. შენაკადი ბორბოლის ძირას (საჩინო).

**ოტ(ო)რონჯელაღ(გ)** „სამტრედეს ღელე“ — ტყე-ხეობა, კინესქურის მარცხ. შენაკადი (ნაკიფუ, ჯალირა). „ზღვა რომ ნახდებოდა, მტრედები აქ მოაშურებდნენ და ნიფლის ნაყოფს ჭამდნენ“. სხვა რესპ.: „ზღვა წაურსგნ, ტორონჯეფი თაქი ქემოფურიგნდეს. ართი ყოთამათ სუმი ტორონჯი ქემაფუ ნაღვილა, ღალა („მსუქანი“) ტორონჯეფი რდგ დო ვართი ციკალი („გამხდარი“). ათაქი ნიფურიშ კაკალს ჭკუმუნდეს“.

**ოტოფუე „სატოფე“** — 1. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. იწყება სამიქაოში (ფუქი), გაივლის ლულერას (ნაკიფუ). რესპ.: „ამ ღელეში ყრიდა ქვირითს **ტოფუ**. მრგვალი თევზია, ზღვიდან ამოდიოდა“; 2. დასახლებული უბანი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს. აქ, ჭანისწყალზე, ყოფილა **ონძილე** („ჯილე“), სადაც კუნოთი იჭერდნენ ტოფუს. რესპ.: „მარტ-აპრილში, **ციმაშ დროს** (ე.ი. ქვირითობისას), აქ ამოდიოდა თევზი ტოფუ“ (საჩინო); 3. ღელე ღრმა და ფართო ხეობით ლეზარქუეში. ერთვის ჭანისწყალს. ხევის მარცხ. მხარესაა **ნოჯინი**. რესპ.: „მარტ-აპრილში აქ ამოდიოდა თევზი ტოფუ და ბევრი დამიჭერია კიდეც. ახლა სადღაა“ (ნალენჯიხა, მაზანდარა) და სხვ. **ტოფუა** ქვირითის დაყრას აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, **ოტოფუე** შეიძლება იყოს როგორც ზმნური, ისე სახელური წარმომავლობის ტოპონიმი (სატოფე ან სატობე). **ტოფუ** ჩალრმავებულ ადგილსაც აღნიშნავს. ალ. ლლონტი ასახელებს **„ოტოფუ“** — ღელე ნალენჯიხაში და **ოტოფუე** — ღელე მიქავაში (ლონტი, 1971, გვ. 81).

**ოტუნგოლი** ( ტუნგო „ტუნგი“) — 1. ტუნგის ნარგავები ოქაჯელალის მარცხ. მხარეს (საჩინო); 2. ბუჩქნარი ყამლარასა და ოფუცხოლს შუა (კუხეში) და სხვ. დანიშნულების სახელი წარმოქმნილია ო—ოლ პრეფიქს-სუფიქსით. მეგრ. ტუნგო და ქართ. ტუნგი, ტუნგო ჩინურ-იაპონური ზეთოვანი ხეა რძიანისებრთა ოჯახისა. აქვს მაღალი ღირსების ტექნიკური ზეთის შემცველი თესლი. მოჰყავთ დას. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში (ქეგლ-ი, VI, გვ. 1354).

**ოტუნგოლიშ გინაჯინუ** — მცირე ბექობი ოტუნგოლის თავზე, ქვაჩამურთან, საიდანაც კარგად ჩანს ხეობა. **გინაჯინუ** „გადასახედი (არე)“. (კუხეში).

**ოტუნგონა** — 1. ტყე-ფერდობი მაფარონის მარჯვ. მხარეს, სადაც ტუნგი იყო გაშენებული და ბოლოს გატყვევდა (ულურია); 2. ტუნგის ნარგავები სამარლიოში, ცხიმურონთან (პალური); ტოპონიმი წარმოქმნილია დანიშნულების ო-პრეფიქსითა და კრებითობის აღმნიშვნელი -ონა სუფიქსით (თანმიმდევრობა: ტუნგონა ოტუნგონა).

**ოტუნგონი** — ტუნგის ნარგავები საარქანიოში, ფერდობზე, ტოტიამ მამულონის ქვემოთ (მუჟავა).

**ოტუნგონი//ტუნგონი** — ბუჩქნარი ოლორჯუეს სათავესთან, ლეჟაში (ნაკიფუ).

**ოტურე „სატურე“** — 1. ფართო ხეობა ტყე-ბუჩქნარით ლეხვიჩესა და ლემორგოშიეს შუა, ჩელალის ხეობაში (ნაგურუ); 2. ფერდობი კვაჭალარას მარცხ. მხარეს. ტურის ომანე (ბუნაგი) ახლაცაა ამ ფერდობზე (ჩქვალერი); 3. ტყე. იხ. ტკუცი//ოტურე (ნაგურუ).

**ოფაკილე//ოფაკილონი** — ღელე, ლიარსანეს მარჯვ. შენაკადი ყოფილ ნალენჯიხის ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე (ნალენჯიხა, სამესხიო). რესპონდენტები: **ოფაკილე**

ოკიფალე „საკანაფე“; ოფაკილე ოთაკილე „სათაკილო, არასაკადრისი“. მისალები ჩანს ალ. ქობალიას განმარტება: „**ოფაკილე** – რბილი, წყლიანი ნიადაგი“.

**ოფაკილონი** – დღე. იგივე **ოფაკილე** (ნალენჯიხა, სამესხიო).

**ოფანარე** „საფარნე“ – ნაგზაური, ჩადრეკილი ადგილი ნაკატარუს სერზე. რესპ.: „ამ კუთხეში ესახლა **ქვერსემი** (მდიდარი, შეძლებული) ხალხი და ღამით გზის პირას ფარნები ეკიდა“ (სამესხიო). არაა გამორიცხული: ფანარი ფარანი, რაც ალ. ქობალიას ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ულრანი, დაფუტურობული ტყე“.

**ოფარხალაია** „ჩქრიალა, ჩქაფუნა, მცირე წყალსავარდნი“ – 1. ჩანჩქერი უბადოლალზე. 12-15 მ სიმაღლიდან ჩამოჩქრიალებს. ძირს საბანაო მორევი. ამის შემდეგ მდინარეს ეწოდება **ქალაღალი** (ქალაღალი, ფახულანი); 2. ჩანჩქერი ფშქერღალზე, სოფლის ჩრდ. ნაწილში (ჭველე) და სხვ. ოფარხალაია, როგორც ჰიდროგრაფიული ნომენი და ტოპონიმი, გვხვდება მხოლოდ ენგურ-ერისწყლის შუამდინარეთში. ამოსავალია პირველადი მასდარი **ფარხალი** „წყლის ჩქეფა, დგაფუნი, თქრიალი“. ლექსემები **ფარხალი** და **ოფარხალაია** მეგრულის ლექსიკონებში არ ჩანს.

**ოფარხაფუ** „სარეკი“ – ვაკე-ბორცვი, ჩაის ფართობი ლეკერეს მარჯვ. მხარეს, ჯვარზენში (ჯვარი). **ფა(რ)ჩხაფა** მეგრულში კოლექტიური ნადირობის ერთ-ერთი ხერხია და სემანტიკურად იმასვე ნიშნავს, რასაც ქართული „(გამო)რეკვა“, ე.ი. მარეკების მიერ ტყიდან ნადირის გამოდენა ჩასაფრებული მონადირეების მიმართულებით. შდრ. სხვა განმარტება: „ირემეფი ქას უფარხუანდესია ართიანს ბეტარუამ დროს“. შდრ. დ. ფიფია: „**ოფარხაფუ, ოფარჩხაფუ** – სანადირო ადგილი“. ო. ქაჯაია ეყრდნობა ჩემეულ განმარტებას. ალ. ქობალია: „**ოფარჩხაფუ** – ჯელგით, მორეკვით ნადირობის ადგილი“. არქანჯელო ლამბერტი ასე აღწერს ნადირობის ამ სახეს: „წინა დღით, დილას, ნალარას დაჰკრავენ და მის ხმაზე ადგებიან მონადირეები და ძაღლებით წავლენ, რომ ტყე შეჰკრან, ხმაურობით და ძაღლების ყეფით ნადირს შეაშინებენ და ძლიერ შორიდან მორეკავენ იმ ალაგას, რომელიც დანიშნულია ნადირობისათვის... მონადირეები რომ შენიშნავენ, ნადირი მოახლოვდაო, კიდევ უფრო წინ გამოდევნიან ხმაურობით და ძაღლების ყეფით. როცა ნადირი საკმაოდ მოახლოვდება, თვითეული თავის ადგილიდან დაიძვრის, ცხენს გააჭენებს, მომართავს მშვილდს და გაისვრის ისარს“ (ლამბერტი, გვ. 56). შდრ.: „**სარეკი** – ადგილი, საიდანაც ნადირობის დროს ნადირს ერეკებიან სახუნდარისაკენ“ (ქეგლ-ი, ტ. VI, გვ. 750). სხვათაშორის, სარეკი სოფელია საჩხერის მუნიციპალიტეტში. ოფარჩხაფუს ასახელებს ალ. ლლონტიც, ოლონდ როგორც ჯვარის უბანს (ლლონტი, 1971, გვ. 81). მ. ჩუხუას მოსაზრებით, **გოფარჩხაფა** ნიშნავს „ტყიდან ნადირის გამორეკვას“; ამოსავალია ს.-ქართვ. \***ფიცხ** „გაფიცხება“ ქართ. **ფიცხ** : ზან. **ფიჩხ** //**ფაჩხ**. ი ა გადაბგერება მომდევნო **აფ-ა** სუფიქსისეული **ა-ს** ზეგავლენით აიხსნება: **გო-ფიჩხ-აფ-ა გოფარჩხაფა**. მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისითაც საინტერესოა ტერმინი **გო-ფაჩხ-აფ-ა** „ტყიდან ნადირის გამორეკვა“, რასაც საფუძვლად **გაფიცხება** (= გოფაცხაფა) უდევს“ (ჩუხუა, 2002-2003, გვ. 239).

**ოფსკალე** „სასკე. საფუტკრე (ადგილი)“ – ტყე-ფერდობი ჩვინარეში, ოლორსა და თხიხონს შუა. აქ კოლმეურნეობის ფუტკარს უვლიდნენ (მუჟავა).

**ოფუჩი** „საფუცარი, სალოცავი (ადგილი)“ – 1. ნაეკლესიარი, ძველი სასაფლაო სქურდილას მარჯვ. მხარეს, ნაოხვამუში (ობუჯი). აქ უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების მონასტერი და ოდიშის მთავართა სამარხი, რომელსაც არქანჯელო ლამბერტი (1654 წ.) მოიხსენიებს თავის „სამეგრელოს აღწერაში“. დანგრეული საყდარი მოგვიანებით ქვემოთ ჩაუტანიათ და იმ ადგილისათვის ობუჯი უწოდებიათ. იხ. **ობუჯი, ნაჯიხური**; 2. სალოცავ-შესახვეწარი და შესასვენებელი ადგილი მთაში მიმავალი მწყემსებისათვის (სქურის სატყეო). იხ. აგრეთვე: **ჩხოროცხაცხუ**. ვარიანტი: ნაფუჩუ „ნაფიცარი“.

**ოფუცხოლი** – ტყე-ხევი, ხრამი იწინრას მარჯვ. მხარეს, სადაც კლდე-ფერდობს ძნელადსავალი ბილიკი აუყვებოდა (კუხეში). **ფუცხოლი** „ფხვიერი მიწის ცვენა, მოძრაობა ფერდობზე; სწრაფი სიარული, ფუცხუნი; კლდეზე, ფერდობზე გაჭირვებით სიარული, ცოცვა, ფხოწიალი“; **ფუცხოლუა** „ფიჩხის შეგროვება ტყეში“. რესპ.: „მიფუცხოლუდუა

კორი თექი, ცუნდერი ცოფე მიკალგ“. ო. ქაჯაია: „**ფუცხოლი** — სწრაფი სიარული; ფუცხუნი, რამეზე ხელის ნავლებით ცოცვა“; ალ. ქობალია: „**ფუცხოლი** — ფუცხუნი, ფხაკუნი“.

**ოფუცხოლგში ტომბა** — მორევი ინწერაზე, ოფუცხულთან (კუხეში).

**ოფუცხოლგში ღალ(გ)** — ღრმა ხევი ქუაჩამურსა და უტუმ ნოხორეს შუა. ერთვის ინწერას ლომიაშ რზენთან (კუხეში).

**ოფუჯე** „საფურე“ — ტყე-ხეობა ლანჯიშში, ერისწყლის მარცხ. ნაპირას (ფახულანი).

**ოფშალუე** „სასვიე“ ( ფშალი „სვია“) — ტყე-ფერდობი ლანჯიშში, გუჯუმ ღალის ხეობაში (ფახულანი).

**რეყე** – 1. რიყე. გასდევს ენგურის მარჯვ. ნაპირს გრძლად და ვინროდ. აქვე ენგურ-ჰესის სამშენებლო ბაზასაც რეყე დაერქვა. იხ. **პალიგონი** (ჭალე); 2. სახნავი. იგივე რიყე (პალური) და სხვ. რესპ.: „ჭალა მდინარისპირა, ნაკლებად ქვაგნარი და სათესად ვარგისია. რეყე კი უშუალოდ წყლისპირა ქვაგნარია“.

**რეყე//რიყე** – ვაკე, გვრძეხენის ნაწილი ენგურის ნაპირას. ამჟამად დასახლებულია, რადგან ენგურმა 0.5 კმ-ით გადაინაცვლა აღმოსავლეთისაკენ. რესპ. ძიკი ხასაია (79 წ.): „მართალია, რიყე ჰქვია, მაგრამ სათესად ვარგისია“ (წყოუში). დ. კობიძის დასკვნით, სპარს. რიგ. ქართ. რიყე.

**რეჭი** – ჭანისწყლის ნაპირები ლაქორიასთან, სადაც ხრეშის კარიერია (ჯგალი). **რეჭი**, **რეჭო** ეწოდება წვრილ ქვას, ხვინჭს და სახნავად ვარგის წვრილქვიან ჭალებსაც. ო. ქაჯაია: „რეჭე, რეჭი – იგივეა, რაც **რეკა**, **რეყე**, **რეჩხი** – ქვიანი ნაპირი მდინარისა, რიყე; კენ-

ჭი; ქვიანი ადგილი“. ალ. ქობალია: „**რეჭი** – კენჭი; კენჭოვანი ადგილი; წვრილი ქვა-ლორი...“

**რზენი** „ვაკე, ბარი, დაბლობი“ – 1. ვაკე-საძოვარი საქაცაროს დას-ით (მაგანას სატყეო); 2. უბანი, სოფლის ვაკე ნაწილი ფუსქურსა და სუკს შორის. ამ სოფელში მცხოვრებთ განარჩევენ რელიეფის მიხედვით: რზენში ცხოვრობენ **რზენალეფი**, სუკში – **სუკარეფი** და ტახილში – **ტახილარეფი** (ლესარჩილე); 3. ვაკე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ლულერადან ჩრდ-ით წალენჯიხის საზღვრამდე (ნაკიფუ) და სხვ.

**რზენი//თუდოლენი წყოუში** – სოფლის ის ნაწილი, რაც ენგურის მარჯვ. ნაპირის ვაკეზეა. ამას უპირისპირდება **ჟიმოლენი წყოუში** „ზემოური წყოუში“ (წყოუში).

**რზენი//მებონიეფი რზენი** – ვაკე-ველი სამებონიოში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (ჯალირა).

**რზენი//საარქანიორზენი** – უბანი და ვაკე სოფლის ცენტრში, ოლორის ნაპირას, ეკუთვნოდა საარქანიოს უბანს. აქ შემდეგ გაშენდა ენგურჰესის მშენებელთა დაბა **ოლორი** (მუჟავა).

**რზენი//ჭალე//ხარჩილამ რზენი** – ვაკე-სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სახარჩილოში (ჯალირა).

**რზენია** – დავაკება: ა. ჩელალის მარცხ. ნაპირას (ლია); ბ. ლაკადაში (ლარა) და სხვ.

**რზენი ნაგურუ** – სოფ. ნაგურუს ვაკე ნაწილი ინწვრას მარცხ. ნაპირას (ნაგურუ).

**რზენ(ი)საჩინო** – სოფლის ვაკე ნაწილი ინწვრას ორივე ნაპირას (საჩინო).

**რზენიშდუდი** „ვაკისთავი“ – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს. იხ. რზენი//ჭალე (ჯალირა).

**რზენიშკუდედი** „ვაკის კუდი“ – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, რზენიშდუდის ძირას. რზენის სამხრ. ნაწილი იყო დავინროებული და ამიტომაც „კუდი“. მაშასადამე, ამ ტოპონიმში კუდედი მეტაფორული ნომენია (ჯალირა).

**რზენიშ ლეაბრალე//თუდოლენი ლეაბრალე** – უბანი, ლეაბრალეს ნაწილი ინწვრას მარჯვ. ნაპირას. აქაურ აბრალავებს ეწოდებათ „**რზენიშ აბრალეფი**“ (ხოლო ჟინი სუკში ცხოვრობენ „სუკიშ აბრალეფი“). (ნაგურუ).

**რზენიშ ლალ(გ)** – ლელე. მოედინება ნაცანუდან. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადია (ჯალირა).

**რზენიშ წისქვილი//არქანიეფიშ ნაწისქვილ(გ)** – წყლისპირა მინდორი ოლორის ნაპირას, რზენში. აქ ცხოვრობენ არქანიეფი (მუჟავა, ფახულანი).

**რზენსაჩინო** – სოფლის ვაკე ნაწილი. იგივე **რზენ(ი)საჩინო** (საჩინო).

**(რ)თხინა** „თხილნარი“ – 1. ჩაის ფართობი სამესხიო ენწერში (სამესხიო); 2. ბუჩქნარი ოჩიტოლალთან, რაც უბადოლალის სათავესთანაა (უბადოლალი); 3. ხეობა, ძანძელის შუა წელი თხილნართა და საკარმიდამოებით (ლესალე); 4. დიდი დაქანების ფერდობი ტყე-ბუჩქნართი უბადოლალის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ფახულანი) და სხვ. თხირი „თხილი“ თხირონა „თხილნარი“ თხინა//რთხინა. იხ აგრეთვე: თხინა, თხირონი.

**რიყე** – ვაკე. იგივე **რეყე** (წყოუში).

**რიყე//რეყე** – სახნავი ენგურის ნაპირას. იყოფა: **მელენი რიყე** და **მოლენი რიყე**. შუაშია საწისქვილე არხი (პალური). რესპ.: „რიყეს უწოდებენ მდინარისპირს, ოლონდ ქვაგნარსა და გამოუსადეგარს. ჭალაც მდინარისპირია, მაგრამ სახნავად ვარგისი და ნაყოფიერი“. რეკა და რეყე ლექსებებს ქართველი სპეციალისტები უკავშირებენ სპარსულ სიტყვას: „**რიყ** – ქვიშა, ხრეში“.

**(რ)კინასქური** – ვაკე, უბანი მაგანას მარცხ. მხარეს (ჯვარი).

**რკინის ჯვარი** – უღელტეხილი. იგივე ზანდარაკი (იხ. ქსე, IV, გვ. 481).

**რობაშ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა. ერთვის ჭანისწყალს. მოედინება ფეჩეიამ ფერდიდან (წალენჯიხა).

**რობუ** „ხევი, ღრანტი“ – 1. ტყე-ხევი ლეფიფიეში, ნარსის კალთაზე (კუხეში); 2. ხეობა დობერასა და ლაჩხვათრას შუა. სადაც გაედინება დობერალალ(გ) (ლესალე); 3. ხევი. იგივე

ორომელალ(გ) (ნაგურუ); 4. ტყე-ხეობა ლეაბრალეში. ამ ხეობაში გაედინება ოხარჩალაია (ნაგურუ) და სხვ. ო. ქაჯაია: „რობუ – ხევი, ხრამი; ღრანტე“.

**რობუ//ნაისგრ(გ) //ნაისგრეში რობუ** – მცირე ხევი ლეფიფიეში, ნარსის კალთაზე. ისერი „ისლი“ ნაისგრ „ნაისლარი (ადგილი)“ (კუხეში).

**რობ(უ)ლალ(გ)** – ღრმა ხევი და ლელე, ინწირას მარჯვ. შენაკადი ბორბოლთან. სათავეს იღებს კვირკვიამ კუნთხუდან (საჩინო).

**რობუმ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა. ჩამოედინება ფეჩეიაშ ფერდიდან. ერთვის ჭანის-წყალს ნალენჯისაში (ნალენჯისა).

**როდამ წყურგილი** – წყარო ტყეში, ქოლოს ტერიტორიაზე. აქვე ესახლა ქვრივი ქალი როდა (ლია).

**როზა(ნი)შ წყურგილი** – წყარო სქულუბურის სათავესთან. როზანი გულუა ამ წყაროსთან ესახლა (ფახულანი).

**როკმალალი** – ტყე, ბორცვი სქურდილას მარჯვ. მხარეს (ობუჯი). რესპ.: „როკი არის ნაბლის ან მუხის გამხმარი კუნძი, ტოტი, ჯირკი, ან გამხმარ-დაკორძებული ხე. აქ დიდხანს მდგარა ქერქვაცლილი მალალი მუხა, გამხმარ-გაროკებული“. ს.-საბა: „როკი – ხის შტოს ძირი“. ო. ქაჯაია: „როკი – დაკორძებული მაგარი ჯიშის ხე“ (იხ. აგრეთვე: ქობალია, 2010, გვ. 573).

**როკონა „ჯირკნარი“** – 1. სახნავი ჯადრალალის მარცხ. მხარეს (ჯალირა); 2. ვაკე-ფერდობები ტარჩიას მარცხ. მხარეს (სამესხიო) და სხვ. „როკი „გამხმარი ხე, ტოტი, ჯირკი (მუხისა ან ნაბლისა), ოღონდ მაგარი და არა რბილი, დაფუტუროებული“.

**როკონამ წყურგილი** – წყარო ჯისაშკარის საზღვარზე, ჯუბელარზენის სათავესთან (ჯალირა).

**რომამ ნაცვან(გ)** – სახნავი, მინდორი ენგურის მარჯვ. ნაპირას, ნაკიკუში, საბერიოს (გალის რ.) საზღვარზე. ამ სახნავს ამუშავებდა მილიციის თანამშრომელი რომა წურწუშია (წყოუში).

**რომამ ნოხორი** – ბუჩქნარი. იგივე ანტონიაშ ნოხორი (ლესამუგე).

**რომამ ლალგ** – ლელე, მაგანას შენაკადი (ლექარდე).

**რომამ წყურგილი** – წყარო ლებუეში, ჩქვალერის საზღვართან (კუხეში).

**როსტომ ტობა** – მორევი. იგივე **აქსენტიშ ტომბა** (საჩინო).

**როხონა** – საშემოდგომო საძოვარი ჭითა წყურგილესა და კურორტ სქურს შორის (სქურის სატყეო). **როხი** „მსხვილი ქვა, ლოდი, მცირე კლდე“ **როხონა** „ქვა-ლორდიანი ადგილი“. შდრ. აღ. ქობალია: „როხი – ლოდი.“; „როხონა – ლოდებიანი ადგილი, ქვის კანიონი, ქვაყრილი“.

**როხონი** – 1. მორევი ოლორზე, ლეკუკეში. მორევიში მსხვილ-მსხვილი ქვები ყრია (ფახულანი); 2. კლდე-ფერდობი ვინრო ხევის იმ ადგილას, სადაც იგი, ჩამოედინება რა გვაჭკადან, ერთგან უხვევს და სწორედ აქ ეწოდება როხონი. ამ როხონში წყაროს ეწოდება **როხონიშ წყარი**, ფერდობს – **როხონიშ ფერდი** და ლელეს – **როხონ(იშ)ლალ(გ)** (ჭველე) და სხვ.

**როხონიშ ფერდი** – ფერდობი. იხ. **როხონი** (ჭველე).

**როხონ(იშ)ლალ(გ)** – ლელე, ენგურის მარჯვ. შენაკადი. იხ. **როხონი** (ჭველე).

**როხონიშ წყარი** – წყარო, როხონალის სათავე. იხ. **როხონი** (ჭველე).

**როხონტომბა** – მორევი ინწირაზე, ლესალეს უბანში (კუხეში).

**როხონწყარი** – წყარო როხონიშ ფერდობზე. წყარო დახურულია და სოფელს მიეწოდება მილსადენებით (ჭალე).

**რუსეფიშ ლალ(გ)** – ლელე. იხ. **კალანდიეფიშ ლალ(გ)** (ნალენჯისა).

**რუსკი პასიოლოკი** – ერქვა რუსების მცირე უბანს ქალაქის განაპირას, ზუგდიდისკენ მიმავალი გზის დასაწყისთან. ცხოვრობდნენ „ომამდე“ ჩამოსული რუსები (ნალენჯისა).

**რუსიშ ტომბა** – მორევი ღელე ქალაღალზე, სოფლის ცენტრში. რესპ.: „ერთი მეკას-რე რუსი ესახლა ამ მორევეთან და აქვე ხშირად ანკესით თევზაობდა. სახელად ერქვა თედორე“ (ქალაღალი).

**რლემი** – ტყე-ხრამი, მაღალკლდეებიანი ღრმა ხევი ლანჯიშში, ტებენეს მარჯვ. მხარეს (ფახულანი). სავარაუდოა: ქართ. **ხრამი** : მეგრ. ხრემი რხემი რლემი. შდრ.: ალ. ქობალია: „**რღამი** – ხრამი, ღრანტე...“. მეგრულში თანხმოვანი + რ გვადღევს რ + თანხმოვანი: სრიალი რსიოლი; ჟრიალი რჟიალი; სრული რსული...

**რლემიშ მიკალ(გ)** – საცალფეხო ბილიკი კლდე-ფერდობზე, სადაც უჩა გოთედან რლემის გავლით ჩადიოდა გზა ტებენეს ხეობაში (ფახულანი).

**რლინოიშ ნადიხ(გ)** – სახნავი ლეგვილეში. რლინოია (პირსახელია) ფლობდა ამ სახნავს (ნაგურუ).

**(რ)ჩხინა** – ერქვა უბანს ენგურის მარცხ. მხარეს, ტყაბედინერის ჩრდილოეთით (ხუდონის სატყეო). სავარაუდოა, რომ ამ ტყეში მზადდებოდა **რჩხინა** – გრძელი მრგვალი ჭოკი, რომელსაც ლარტყის ნაცვლად ანყობდენ კაკუტებზე. **ჩხინა** ეწოდება მდინარესაც, რომელიც აქ ჩაივლის და ერთვის ენგურს. რ(ჩ)ხინა შეტანილია ალ. ქობალიას ლექსიკონში. ო. ქაჯაია: „**რჩხინა** — საბერტყი ჭოკი; გრძელი, მრგვალი ჭოკი“. იხ. აგრეთვე ჩხინასთან რესპოდენტის განმარტება: „ჩხინა არის გრძელი ჭოკი, რომელსაც ლარტყის ნაცვლად იყენებდენ. ჩხინა კაკუტზე ეწყო...“

**რწვილე ტობა** – ტყით დაფარული ვინრო ხევი ენერში, დიდი კვრდეს დას-ით.. ჩამოეშვება მაღალი მთის კალთებიდან (ფოცხოენერი). **რწვილე** „ვინრო, წვრილი“. როგორც ჩანს, აქაც რ წინ მოექცა (ორი თანხმოვნის წინ): ქართ. წვრილი მეგრ. რწვილი. ტობა „ჩაყარდნილი ადგილი“. შდრ. ალ. ქობალია: „**რწვილე** — იხ. რწულე. ხოლო რწულე ასეა განმარტებული: **რწულე** — ვინრო, წულილი“.

## – ს –

**სააბლანძო//სააბულაძო** – აბულაძეების უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, მაღლობზე. აქაურ აბულაძეებს ჰქონდათ საკუთარი სალოცავი – **ნიფლის ხე**, რომელსაც სწირავდენ ლობიოიან მჭადს (ნალენჯიხა, ნაკიფუ). საქართველოში 10438 აბულაძე ცხოვრობს (1995 წლის 1 თებერვლის მონაცემებით ამ გვარის სამკვიდროა იმერეთი). გვარი გვხვდება XVI ს-ის საბუთში (იხ. პალ, I). ვარიანტი აბულანძე კი ოფიციალურ წყაროებში არ ჩანს. ალ. ლლონტის ლექსიკონში დასახელებულია ფორმა **სააბულაძე** (ლლონტი, 1971, გვ. 85).

**სააბრაგო** ( აბრაგი) – დიდი მღვიმე-გამოქვაბული სახარჩილოში, ნაქვათუს ქვემოთ. დიდია და სიღრმეში მიდის. ადგილობრივნი შესვლას ერიდებიან. გადმოცემით, აქ აბრაგები იმალებოდნენ (ჯალირა).

**სააბულაძო** – უბანი. იგივე **სააბლანძო** (ნალენჯიხა, ნაკიფუ).

**საკობიო** – აკობიების უბნები ენგურის მარცხ. მხარეს (ჯვარი) და ხუფაიასა და ენგურს შუა, შქა ლიაში (ლია). ნალენჯიხის რ-ნში XX ს-ის დამღევს მკვიდრობდა ამ გვარის მატარებელი 512 სული (საქართველოში – 1744). აკობ იაკობის ვარიანტი ჩანს. გვარი აკობიძე იმერეთში დასტურდება.

**საანგურო** – ერქვა აგურის ქარხანას ოჭკეშსა და მაზანდარაში. აქ აგურს ამზადებდენ (ჭალე, მაზანდარა).

**საანთალო** — ჩაის ფართობი ყულიშკარის საზღვართან, ნალენჯიხა-ზუგდიდის სავტ. გზის აღმ-ით (ნალენჯიხა). უწინ აქ ყოფილა უღრანი ტყე-მუხნარი, რომელიც ეკუთვნოდათ ყულიშკარელ ანთელავებს. ისინი კი აზნაურები იყვნენ და 1904 წელს ცხოვრობდენ ყულიშკარში, ხორგასა და ჭაქვინჯში (იხ. თოფჩიშვილი, 2011, გვ. 32; ზ. ჭუმბურიძე, 2013, გვ. 217-218). 1995 წლის 1 თებერვლის აღწერით კი საქართველოში მხოლოდ 290 სულია ამ გვარისა. მათგან ნალენჯიხის რ-ნში — მხოლოდ 18 (სილაგაძე, თოთაძე, 1997, გვ. 24).

**საანთიო** – ანთიების უბანი ხუფაიას მარცხ. მხარეს, პალურის საზღვართან (ლია). და მდ. ოლორის მარჯვ. ნაპირის ბორცვზე, სადაც შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები (მუყავა). საქართველოში 1995 წელს ცხოვრობდა ანთიას გვარის 2033 სული, მათგან წალენჯიხის რ-ნში – 493. **ანთი** გურიაში აღნიშნავს მწითურ კაცს. გვარი ანთია დასახელებულია 1682 წლის შეწირულობის წიგნში (ქსდ, III, გვ. 583). ზოგი თვლის, რომ ანთი ანთიმოზის ან ანთარის შემოკლებული ვარიანტია. სვანეთში ანთი პირსახელია (ლიპარტელიანი, 1994, გვ. 25). აღ. ქობალიაც აღნიშნავს: **ანთი** ღვთაება ანთარის ბოლომოკვეცილი ფორმაა. ანთია, ანთარის მლოცველი მესაქონლეა. ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ ანთი, ანთარი დაკავშირებულია მეგრულ სალოცავთან. ნ. ჯომიდავა: ანთია მესაქონლეობის ღმერთია; ი. მაისურაძე თვლის, რომ ანთები ქართველთა მონათესავე ტომებია. ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. შდრ. აღ. ლლონტის ლექსიკონში შეტანილია ფორმა საათიო (ლლონტი, 1971, გვ. 85).

**საანჩხოლო** – ვაკე-ფერდობები, იგივე **საონჩხოლო** (ნაშამგუ).

**საარახამიო** – უბანი ყოფილ ჩაის მეურნეობასა და სახარჩილოს შუა. ამჟამად აქ არახამიების მხოლოდ 5-6 კომლი ცხოვრობს (წალენჯიხა). საერთოდ კი, 1995 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში მკვიდრობდა არახამიათა 1522 სული (ძირითადად ზუგდიდისა და ჩხორონყუს რაიონებში). ვარაუდი: აბრაჰამ (ძველებრაული პირსახელი) არახამ არახამია.

**საარონიო** – უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ოლორის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე (ნაშამგუ). არონია გვარსახელია. იგი 1995 წელს საქართველოში წარმოდგენილი იყო 490 სულით (მათგან ზუგდიდის რ-ნში – 181; წალენჯიხის რ-ნში – 153). არონია სამეგრელოში პირსახელიცაა.

**საარქანო** – 1. უბანი ოლორის მარცხ. მხარეს, სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მდ. მახასქურის ზემო ნელზე. აქ, ბორცვზე, მდგარა წმ. გიორგის სახელობის ხის ეკლესია (მუყავა); 2. ბორცვი. იგივე **არქანია**. ხახუ გოგობიამ აქ ადესა გაახარა და ამიტომაც **ხახუმ მამულონიც** დაერქვა (ფახულანი). 1995 წლის 1 თებერვლისათვის საქართველოში მკვიდრობდა 1532 სული არქანია (მათგან წალენჯიხის რ-ნში – 688).

**საარქანიორზენი** – ვაკე ოლორის ნაპირას (მუყავა).

**სააფაქიო//სააფაქიო ენწერი** – მალღობი, ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფი ზეგანი ჯვარიდან ჭკადუამამდე (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი). უწინ აქ ყოფილა გაუვალი ტყე-ენწერი. პირველმოსახლენი მოსულან XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. შემდეგში ამ ტერიტორიაზე სოფლებს ერქვა **ენწერი** (ჯვარის საკრ.) და **პირველი ენწერი** (1942 წელს დაერქვა ორჯონიკიძე). საისტორიო წყაროებში ცნობილია აფაქიძეების სათავადო სამფლობელო. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ამჟამინდელი **სააფაქიოს** ტერიტორიაზე წარწერილია **სააფაციო** (იხ. აქვე: სააფაციო). საისტორიო წყაროში გვხვდება **სააფაქიძო** ვარიანტიც. აფაქია აფაქიძის ადგილობრივი ვარიანტია, ხოლო აფაქიძე პირველად XI-XIII საუკუნეებში შედგენილ ჯვრის მონასტრის აღაპებში მოიხსენიება (მეტრეველი, 1962, გვ. 74). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართულ-მეგრული აფაქიძე-აფაქია უწინარესია და სვანი აფაქიანების წინაპრები კოლხეთის ბარიდან არიან გადასულნი სვანეთში (სოსელია, 1990, გვ. 160). სხვა მოსაზრებით: „ამჟამად, რომ აფაქია-აფაქიძეთა გვარს სვანური წარმოშობა აქვს“ (თოფჩიშვილი, 2011, გ. 39). XVII საუკუნის პირველ ნახევარში აფაქიძეთა თავადური გვარი ოდიშის სამთავროში პირველობს როგორც საერო, ისე საეკლესიო სფეროში (სოსელია, 1980, გვ. 168). ოდიშის თავად აფაქიძეთა წარმომავლობას რამდენიმე წინადადებას უთმობს იოანე ბაგრატიონიც (ბაგრატიონი, 1997, გვ. 132). სწორედ აფაქიძეების ყოფილი საფეოდალო სამკვიდროა დღევანდელი სააფაქიო//სააფაქიო ენწერი ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფ ზეგანზე (იხ. ცხადაია, 2001, გვ. 53-54). სააფაქიო ენწერის ქვემოთ, ენგურის მარცხ. ვაკეზე, იყო **სადადიო**.

აფაქიძეთა სათავადო სამეგრელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეოდალური ერთეული იყო ოდიშის სამთავროში. XV-XVII საუკუნეებში... რეზიდენცია, კარის ეკლესია და

საგვარეულო სასახლე ჰქონიათ სოფ. ზანათში. მათი აზნაურები იყვნენ მზარელუები და საჩინოელი შელიები. აფაქიძეები ცხოვრობდნენ და ყმა-მამულს ფლობდნენ წალენჯიხის რაიონის რამდენიმე სოფელში (მაგალითად, ფახულანში, საჩინოში, ჯგალში, თაიაში. იხ. დანვრილებით: თოფჩიშვილი, 2011, გვ. 39-40; აგრეთვე: ჭუმბურიძე, 2013, გვ. 16-17). აფაქიძეები აზნაურებიც ყოფილან (იქვე, გვ. 226). 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში მკვიდრობდა 1337 სული აფაქია. ამავე პერიოდში გვარ აფაქიძეს ქ. ფოთში ატარებს მხოლოდ 4 კომლი.

**სააფაქიო ენწერი** – მალლობი. იგივე **სააფაქიო** (ენერი, პ. ენერი).

**სააფაქიო რზენი** – ვაკე სქულუბურის მარჯვ. მხარეს. თავადი აფაქიძეები ფლობდნენ მამულებს ენგურის მარჯვ. მხარესაც (ფახულანი).

**სააფაქიძო** – სამეგრელოს სოფელთა შორის გიულდენშტედტი ასახელებს **სააფაქიძოს**. როგორც ცნობილია, ამ მოგზაურმა ცხენისწყალ-ენგურს შუა მდებარე სამეგრელოს შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ხონის ბაზრობაზე გაცნობილ მეგრელთაგან მიიღო (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 323).

**სააფაციო** – ვახუშტი ბატონიშვილის საგეოგრაფიო-საისტორიო ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეგურის (ე.ი. ენგურის – პ.ც.) ლოკალიზაციისას აღნიშნავს: „რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა ზედა, არს **სააფაციო** სათავიდამ“ (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 779). ვახუშტის პირველ ატლასზე სააფაციო ერთ შემთხვევაში დატანილია მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – მარჯვ. მხარეს. საფეოდალო **სააფაციო** თუ გვარი **აფაცია** არც წერილობით წყაროებში ჩანს და არც ოდიშელთა მეხსიერებაშია შემონახული. თ. ბერაძის ვარაუდი ასეთია: „აფაქიძეები ოდიშის ერთ ძლიერ ფეოდალურ გვარეულობას წარმოადგენდნენ. წერილობით წყაროებში XIII საუკუნიდან გვხვდებიან. ადვილად მოსალოდნელია, რომ არსებულყოფილი ფეოდალური ერთეული სააფაქიძო (ხალხური ფორმით სააფაქიო). ამიტომ შესაძლებელია ვახუშტისეულ სააფაციოში **სააფაქიო** დაინახონ (თ. ბერაძე, სიგკ, IV, გვ. 62-63). ხოლო ი. კეკელიას აზრით, მარი ბროსეს მიერ ენგურის მარჯვ. მხარეს ლოკალიზებული **საახოციო** სწორედ **სააფაციოა**. ცხადია, სააფაციო ენგურ-ჭანისწყლის წყალგამყოფ მალლობზე (სადაც დღეს არის სოფელი ენერი და პ. ენერი) მდებარე „სააფაქიოს“ კალმისეული შეცდომაა.

შენიშვნა: ი. კეკელია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სამურზაყანოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში ვახუშტისეული „სააფაციო“ და ბროსესეული „საახოციო“, სამწუხაროდ, არ დასტურდება“ (კეკელია, 2014, გვ. 38). როგორც წესი, სამურზაყანოსა და სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ყველა წიგნში მიზნად ვისახავდით რეგიონის ყველა თანამედროვე (ე.ი. „ცოცხალი“) ტოპონიმისა და მიკროტოპონიმის აღნუსხვას, ხოლო ზოგ საისტორიო წყაროში შეტანილი გეოგრაფიულ სახელწოდება, რომლის რეალურობაც საეჭვოა, ლექსიკონში აღარ შეგვიტანია. ვიმეორებ, სააფაციო, ცხადია „სააფაქიოს“ კალმისეული შეცდომაა. გვარი აფაცია საერთოდ არც საისტორიო წყაროებში ჩანს და არც 1997 წელს გამოცემულ ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“.

**სააქბარდიო** – აქ(უ)ბარდიების უბანი ჯვარზენში, ლეკერეს ზემო წელზე და მიკროუბანი ენგურის მარცხ. ნაპირას, ჯვარი-ზუფდიდის გზაზე (ორივე ქ. ჯვარში). აქუბარდია ოფიციალური გვარია, ხოლო აქბარდია (უ ამოვარდნილია) – არაოფიციალური.

**სააქბარდიოკონკი** – კუნძული ენგურზე, ღონჯორას პირდაპირ და უბანი ენგურის მარცხ. ვაკეზე (ორივე ქ. ჯვარი).

**სააქუბარდიო** – უბანი, გორა ჩხაპელკას აღმ-ით (ენერფერდი). 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 1107 სული აქუბარდია (მათგან წალენჯიხის რ-ში – 346).

**საბაიამ ნოხორი** – ფერდობი, საძოვარი მახასქურის სათავესთან, საარქანოში. საბაია არქანია აქვე ესახლა (მუჟავა).

**საბამ ტომბა** – მორევი. იგივე **სუმტკილი** (წალენჯიხა).

**საბებელიო** – ბორცვი საარქანოში. ცხოვრობენ არქანები. გადმოცემით, უნინ ბებელიები ესახლნენ (მუყავა). გვარი **ბებელია** დღევანდელ საქართველოში არ დასტურდება. ბებე, ბებუ, ბებელი კი კოლხეთში პირსახელებაა.

**საბეკი** – ვაკე, ჩაის ფართობი ენგურის მარჯვ. ნაპირის ფერდობებზე, საქაროსა და ოჭკემს შუა. უნინ ტყე ყოფილა. ამ ტყეში მინდვრებს ერქვა: **თუდოლენი საბეკი**, **შქაშსა-ბეკი**, ანუ **ჭიჭე საბეკი**, და **ჟიმოლენი საბეკი** (ჭალე, ენერფერდი). რესპ.: „შარაშიას ცხენის ჯოგი მდგარა და იმიტომ დარქმევია საბეკი“. საერთოდ, **საბეკი** ის ადგილია, სადაც ცხენები თავს იყრიან და დგანან. ეს უმეტესად ხდება ცუდ, ქარიან-წვიმიან ამინდში: ცხენები წრეს შეკრავენ თავებით შიგნით და გაირინდებიან. საბეკი „სატკეპნი“ ბეკუა (ბაკუა) „ტკეპნა“. შდრ. ძვ. ქართული: „ბეკა – ცხენის მიერ ფეხის ცემა მიწაზე და მიწის მოთხრა“ (ი. აბულაძის განმარტება). მაშასადამე, ქართ. **ბეკ-** : მეგრ. **ბაკ-**. ზოგ შემთხვევაში **საბეკი** აღნიშნავს ზოგადად საქონლის დგომისაგან დატკეპნილ-მოტიტვლებულ ადგილსაც. შდრ.: „საბეკი – ცხენების სადგომი“ (ალ. ქობალია). „**საბაკუა** – მოსაბაკება, მოტკეპნა“ (ო. ქაჯაია, IV, 467). სხვა მოსაზრება: საბეკი ებრაული და არაბული შაბაკ („გადაწვნი-გადახლართვა“) შესულა ბერძნულში და სომხურში და აღნიშნავს „ხშირ ბურჩნარს, ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს“ (შანიძე, 1940, გვ. 55). რესპოდენტები: 1. საბეკი – თავშესაფრელი და სამუსაიფო ადგილი; 2. საბეკი – ცხენებისა და ხარების სამყოფი ადგილი მთაში.

**საბელქანიო** – ა. ბელქანიების უბანი სქურჩასა და ლაჩახვას წყალგამყოფ სერზე, წახნაკიამ სუკის სამხრ-ით (ულურია); ბ. უბანი კვარჩხილალსა და ოტოფუეს წყალგამყოფ სერზე, მაცხოვრის ტაძრის აღმ-ით (ნაკიფუ). 1995 წლის 1 იანვრის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 1381 სული ბელქანია მკვიდრობს (მათგან წალენჯიხის რ-ში – 473). (შდრ.: ლებელქანიე). 1616-1621 წლებში შედგენილ საბუთში დასახელებულნი არიან ჯგალის ციხის ბეგრის გადამხდელები, მათ შორის გურმიხილა ბელქანოა (ქსძ, III, 479). ბელქანოა შეცდომით ჩანერილი ბელქანია უნდა იყოს. შდრ. ბელიქანიძეები გურიაში.

**საბელქანიო** – უბანი. იგივე ლებელქანიე (ჯგალი).

**საბელქანიოსუკი** – სერი საბელქანიოში (ულურია).

**საბერსქუო** – უბანი შქალიაში (ლია). ვანო ბერიშვილის გადმოცემით, მათი წინაპარი ბერიშვილი აქ სურებიდან ჩამოსულა. მაგრამ სამეგრელოში (ზუგდიდში, მარტვილში, გალში, წალენჯიხაში) ბერიშვილთა სიმრავლე ცხადყოფს, რომ გვარი ბერ(ი)სქუა მეგრული წარმომავლობისაა. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ბერიშვილები იმერეთში თავად წერეთლების აზნაურები იყვნენ. 1995 წლის 1 იანვარს ბერიშვილთა რაოდენობა აღწევდა 4107 სულს (მათგან წალენჯიხის რ-ში – 511). გვარი ბერიშვილი დამონმებულია XVII ს-ის საისტორიო წყაროში. სამეგრელოში ამ გვარისაგან წარმოქმნილია ათიოდე მიკროტოპონიმი. ყველა შემთხვევაში ამოსავალია მეგრული ვარიანტი „ბერისქუა“.

**საგეთიო** – გეთიების უბანი ჯვარზენსა (ჯვარი) და ოლორის მარცხ. მხარეს (მუყავა). 1995 წელს საქართველოში აღირიცხა 887 **გეთია** (მათგან წალენჯიხის რ-ში – 192). სხვა სოფლებში მცხოვრები გეთიები თვლიან, რომ მათი წინაპრები ჯვარიდან არიან გადმოსულნი. **გეთი**, **გეთა**, **გეთუ** კოლხეთში პირსახელებაა.

**საგეთიოშ ჯიხა** – ციხე-კოშკი მაღალ მთაზე, ოლორის მარცხ. მხარეს (მუყავა).

**საგერგედა//საგერგედო** – გერგედავების უბანი ოლორის მარჯვ. მხარეს, ჩხაპიალალსა და ომუნჩქველალს შუა (ფახულანი). 1995 წლის 1 იანვარის აღწერით, საქართველოში ცხოვრობს 2051 სული გერგედავა (მათგან წალენჯიხის რ-ში – 676). არაა გამორიცხული: გერგილედა (პირსახელი სვანეთში) გერგედა (ჰაპლოლოგიით) გერგედავა (გვარსახელი სამეგრელოში). შდრ. ლეგერდე. ამასთანავე ცნობილია გვარები **გერგანია** (სამეგრელოშივე) და **გერგაძე** (XVII ს-ის დამლევის საბუთში). იხ. პალ, I, 627. ამოსავალია პირსახელი გერგა. ზუგდიდის რაიონში გვხვდება **გერგაიც** (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 69).

**საგერგედო** – უბანი. იგივე **საგერგედა** (ფახულანი).

**საგიგბერიო** – მიკროუბანი ჭაჭახში (ობუჯი). ამ სოფელში გასული საუკუნის დამლევს ესახლა გიგბერიათა 15 კომლი. გვარი პირველად დამონმებულია XVII ს-ის ბოლო



მეოთხედის შეწირულების წიგნში (იხ. ქსდ, III, გვ. 612). 1904 წლის აღწერის მიხედვით, კოკსა და ხორგაში მცხოვრები გიგებრიები აზნაურები იყვნენ. გიგებრი ნიშნავს გიგის ვაჟს (იხ. აგრეთვე: ჭუმბურიძე, 2013, გვ. 246; გვ. 251-252). XVII ს-ში კი ვარიანტი გეგებერია გავრცელებულია მთელ სამეგრელოსა და აფხაზეთში. შდრ. ალ. ქობალია: „ბერე — ვაჟიშვილი, ძე, პირმო. გვარის მანარმოებელი ნაწილაკი“. მ. ჩუხუას მოსაზრებით ბელ-//ბერ-საერთოქართველური მონაცემია და თავდაპირველად შვილს, ნაშიერს აღნიშნავდა... ს.-ქართვ. \*ბელ- „შვილი, ნაშიერი, ბავშვი“ ქართ. ბელ-ი : ზან. ბერ-(ე) : სვან. ბელ-. გიგებრი ნიშნავდა გიგის შვილს (იხ. ვრცლად: ჩუხუა, 2002-2003, გვ. 54).

**საგოგობიო** — 1. გოგობიების უბანი ლანჯიშის მაღლობზე, ხულოურსა და უჩა გოთეს შუა, ქალაქის ხეობაში (ფახულანი). რესპ.: „აქაური გოგობიები მოსულან ბაბუშარადან, რაც აფხაზეთშია. მეჯოგეები ყოფილან, საქონელს გამოჰყოლიან ტყე-ტყე და აქ გაჩერებულან“: გოგობიების შტოგვარი, ანუ გამნარყი ბევრია: **უჩამ გამნარყი, ბახუმ გამნარყი, ტოჩიამ გამნარყი, სისომ გამნარყი, გერგომ გამნარყი** და სხვ. რესპ.: „გოგობიების ძირითადი საცხოვრებელია ქალაქალი, ლანჯიში, წყოუში.. აქედან გადასულან ლიაში, ზუგდიდში, გალში. ჯინჯიხატი ჰქონიათ ყულიშკარში, ილორში, ჯვარში. **ნიმდა ბარბალებ** (დიხაზურგა) მათი სალოცავია“. ამის გარდა, ქალაქალში სალოცავად მოდიან თოდუებიც; 2. უბანი შქა ლიაში (ლია); 3. უბანი სოფლის ჩრდ. ნაწილში (წყოუში) და სხვ. საქართველოში 1995 წლის 1 იანვარს მკვიდრობდა 6064 სული გოგობია (54-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით). მათგან ნალენჯიხის რ-ში — 1991 სული (IV ადგილი). გვარში გამოყოფენ ხ სუფიქსს (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 289). გოგო მამაკაცის სახელია. საერთოდ, გოგობიების ძირითადი სამკვიდრო ენგურისპირა სოფლებია.

**საგურჩო** — ერქვა გურჩების უბანს ნორსელიასა და ჯიხას შუა. აქ დარჩა ამ გვარის მხოლოდ ერთი ოჯახი (წყოუში, ფახულანი). გურჩა მცირერიცხოვანი გვარია — 516 სული (მათგან ნალენჯიხის რ-ში ცხოვრობს — 143 სული). ცნობილია, რომ გურჩები ბულიებისა და ჭანიების მეჯინჯიხატენი იყვნენ. მეჯინჯიხატე გვარში ასაკით უფროსი უნდა ყოფილიყო. **გურჩა, გურჩი, გურჩუ, გურჩუნია** სვანეთსა და სამეგრელოში დამონმებული პირსახელებია (ქსს, 1986).

**სადადიანო** — ერქვა ენგურის მარცხ. ნაპირზე მდებარე ვაკეს, სადაც ამჟამად არის სოფლები ზემო ლია, ლია და სხვ. „სააფაქიო კი ეწერშია“. ამ ორ სათავადოს შორის საზღვარი იყო მაღლობის კიდე, სადაც „ორკოლი გინიდგინენგ“ (ორკოლი — დოქი). საერთოდ კი, სადადიანოში შედიოდა ენგურის მარჯვ. ნაპირის სოფლებიც (ჭალე, მუჟავა, ფახულანი) და მარცხ. ნაპირის ვაკეც ჯვარიდან ბეჟაშლალამდე (ამჟამად სოფ. ჩხორია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (ზ. ლია, ლია). **დადიანი** ( პირსახელი **დადი**) თავდაპირველად გვარსახელი იყო და მოგვიანებით იქცა სამოხელეო თანამდებობად, შემდგომში კი — სამეგრელოს მთავრის ტიტულად. ითვლება, რომ გვარი დადიანი (იოვანე დადიანი) მოხსენიებულია „ქართლის ცხოვრებაში“ 1046 წლის ამბებთან დაკავშირებით. XI-XIV სს-ში დადიანები უკვე ოდიშის ერისთავები არიან. XVI საუკუნის 50-იან წლებში ლევან პირველი დადიანი იმერეთისაგან დამოუკიდებელი მთავარი გახდა. ამის შემდეგ გადაიქცა „დადიანი“ ოდიშის მთავრის ტიტულის აღმნიშვნელ ცნებად. შემდეგში ეს ტიტული ჩიქოვანებმა მოიპოვეს (იხ. თოფჩიშვილი, 2011, გვ. 102-104). ფრანგი მოგზაური შარდენი (XVII ს.) დარწმუნებულია, რომ „ეხლანდელი სამეგრელოს მთავარი მერვეა მას შემდეგ, რაც სამეგრელო იმერეთისაგან განთავისუფლდა. ის სახელად ატარებს დადიანს, რაც სამართლის თავს უდრის. დად სპარსული სიტყვაა და ნიშნავს სამართლიანობას“ (შარდენი, 1975, გვ. 102). მას შემდეგ, რაც ოდიშის სამთავრო გაუქმდა, დადიანი ისევ გვარსახელად გადაიქცა (იხ. აგრეთვე: ჭუმბურიძე, 2013, გვ. 8; 62-64; 301-305; 313). გვარის ეტიმოლოგიის კვლევისას გასათვალისწინებელია მეგრულ-ლაზურში **დადი** სიტყვის არსებობა. კოლხეთში ეს სიტყვა იქცა პირსახელად, რასაც დართვია -იან კუთვნილებითი სუფიქსი (ბერძენიშვილი, 1964, გვ. 340). იხ. უფრო ვრცლად: ბერაძე, 1967, გვ. 149-183). შდრ. ალ. ქობალია: „**დადი** — სინათლისა და ნაყოფიერების ღვთაება; დიდება, ბერი; კრებითი სახელი ბაბუა-ბებიას დებისა“. მწერალი ზ. ფიფია: „მეგრელთა რწმენით, დადიანი წინამძღოლს ნიშნავს“. 1995 წლის 1 იანვრის აღ-

წერით, საქართველოში ცხოვრობდა 1143 დადიანი (მათგან თბილისში – 284; სენაკში – 241, ზუგდიდში – 204). ფიქსირდება გვარი დადიანიძეც.

**სადადიანო ენწერი** – სერი ჯალირასა და ნაკიფუს საზღვართან. ეკუთვნოდა დადიანებს (ნაკიფუ, ნაგვაზუ).

**სადადიო** – სადადიანო სოფლები უშუალოდ ენგურის მარჯვ. და მარცხ. ნაპირას (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**სადიხაჭუბერო** – 1. დავაკება ლაჩახვას ხეობაში (ფუქი); 2. ტყე-ფერდობი ლეფაფეში (ლეჯოლიხე). იხ. ოდიხაჭუბერე.

**სადოლბაძო** – უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ლუღერასა და ხვითერს შუა, ოზუჯის საზღვართან. დარჩა დოლბაძეთა რამდენიმე კომლი. სხვა გვარები ჭარბობენ, მაგრამ სახელწოდება ძველი დარჩა (ნალენჯიხა). საქართველოში მე-19 ს. ბოლოს ცხოვრობდა 299 სული დოლბაძე (ცალკე გვარებადაა დაფიქსირებული დოლბაია და დოლბანძე).

**საემხვარო შარა//ნაემხვარე** – ნაგზაური და ფერდობები ლეკიკიესა და მახარისა შუა, გადაჭრის ლია-ზუგდიდის ტრასას (ლია, პალური). რესპ.: „ემხვარები – აფხაზი თავადები – ამ გზაზე ცხენებით ადიოდნენ ენგურის ხეობიდან ენერში, ნათესავებთან. აქვეა წყარო **საემხვარო წყურგილი**, სადაც ისინი შეისვენებდნენ“.

**საემხვარო წყურგილი** – წყარო ჩხორიას საზღვართან. იხ. საემხვარო შარა. XX ს-ში აქ ლუკა გოგუა დასახლდა და წყაროსაც **ლუკა გოგუაშ წყურგილი** ეწოდა (პალური, ლია).

**საერცქემო „საარჩვე“** – სანადირო კლდე-ჭიუხები მთა ყვირას ჩრდ.-აღმ. კალთაზე (ჯვარის სატყეო).

**საერცქემოშ ღალ(გ)** – ღელე, წისქვილარას მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს ოკარეში, რაც ჩხორონწყუს რ-ნშია (სქურის სატყეო).

**საეფსიო** – მიკროუბანი ეფსიეფიშ ტომბასთან. აქ მხოლოდ ეფსიები ცხოვრობდნენ (ნალენჯიხა).

**საზარანდიო** – ზარანდიების უბანი შქა ლიაში, ხუფაიას მარცხ. ნაპირას. ცხოვრობენ ზარანდიები. მათი სულადობა XX ს. დამლევს საქართველოში შეადგენდა 2717 სულს (ძირითადად სამეგრელოში). (ლია). გვარი უნდა მომდინარეობდეს სკვითური სიტყვიდან **ზარანდ**, რაც მოხუცს ნიშნავს (ჭუმბურიძე, 1987). სხვა ვარაუდი: ზარავანდი, როგორც პირსახელი, ფშავში დაუფიქსირებია ს. მაკალათიას. მაშასადამე, არაა გამორიცხული: ზარავანდა ზარავანდია ზარანდია. მ. ჩუხუა გვთავაზობს: „იქნებ ზარა//ზარე ზარანჯი ზარანდი ზარანდია“.

**საზარანდიოშარა** – გზა, რომელიც შქა ლიას აკავშირებს ლია-ზუგდიდის გზატკეცილთან. გაივლის საზარანდიოს (ლია).

**საზარქუო** – უბანი. იგივე ლეზარქუე. ვარაუდი: ზარქო (პირსახელი) ზარქო (მდრ. ქართ. ოქრო, მეგრ. ორქო...) ზარქოა ზარქუა (ნალენჯიხა).

**საზრდელი** – ჩაის ფართობი. იგივე საცდელი (ნალენჯიხა).

**სათირო ინჭა „სათოვლე ჭა“** – ვულკანური ჭა ყვირაზე, ქუაოქანცაიას სიახლოვეს. იგი მარადიული თოვლითა და ყინულითაა სავსე. იქიდან ზაფხულშიც კი გრილი ნიავი ამოდის (ჯვარის სატყეო). მიჩნეულია ბუნების ძეგლად. რესპ. ზ. ფიფია: „სათირო ინჭა კვებავს ინწირას, მოროჟასა და ტკიბრას“.

**საირემო//ოირემე „საირმე“** – ტყე, წყარო ლექარდეში, ონწარეს ჩრდ-ით, ჯვარის საზღვართან (პ. ენერი). რესპ.: „ირმები წყაროსთან მოდიოდნენ წყლის დასალევად. ამ წყაროს დღეს **ესტატემ წყურგილი** ეწოდება“.

**საკაკაჩიო** – კაკაჩიების უბანი ტარჩიას აუზში (სამესხიო). კაკაჩია, როგორც გვარი, დასახელებულია XVII ს-ის საბუთში (პალ, II, გვ. 474). კაკაჩი კაკას მოფერებითი ვარიანტია. მეორე მხრივ, კაკაჩი მეგრულში ბადრი მთვართით განათებულ ღამეს აღნიშნავს და პირსახელადაც (მეტსახელად) შეიძლება იქცეულიყო. 1995 წლის 1 ინავრისათვის საქართველოში ცხოვრობდა ამ გვარის 899 წარმომადგენელი (მათგან ნალენჯიხის რ-ნში – 412).

**საკაკაჩიომ ფერდი//კაკაჩიეფიმ ფერდი** – ფერდობი საკაკაჩიომი, ობუჯის საზღვართან. ობიექტს სახელი დაარქვეს ობუჯელებმა, რომლებიც ამ ფერდობის ძირას ცხოვრობენ (სამესხიო).

**საკალანდიო** – ენოდება კალანდიების ორ, ერთმანეთისაგან მოშორებით მდებარე, უბანს ქ. ნალენჯიხაში. განარჩევენ: **თუდოლენი საკალანდიო** – ნაკენტგრალიდან სოფ. ობუჯამდე, ნალენჯიხა-ობუჯის გზაზე (აქ მცხოვრებ კალანდიებს ენოდებათ **დეკოხონარეფი** „ქვემოურები“) და **ჟიმოლენი საკალანდიო** – ქალაქის ცენტრის დას. ნაწილში, ენწერის ფერდობებზე, საიდანაც გაედინება **კალანდიეფიმ ლალ(გ)** (ამ უბანში მცხოვრებ კალანდიებს ენოდებათ **ეკოხონარეფი** „ზემოურები“). კალანდია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში: ითვლის 2780 სულს და უკავია ქვეყნის მასშტაბით 245-ე ადგილი, სამეგრელოში – 39-ე, ხოლო ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 24-ე ადგილი (XX ს. დამლევს ნალენჯიხაში ცხოვრობდა ამ გვარის 118 კომლი). იხ. ლეკალანდე. მოსაზრებანი: ა. კალანდაძე და კალანდია (გურია) მომდინარეობს სიტყვისაგან კალანდა „ახალი წელი“; ბ. გვარისათვის ამოსავალია აღმოსავლური სიტყვა „კალანტარი“, რაც სომხურშიცაა შესული და ციხისთავს ან ქალაქის გამგებელს ნიშნავს.

**საკალანდიოლალ(გ)** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საკალანდიოდან და ჩამოდის ქალაქში ავტოსადგურთან (ნალენჯიხა).

**საკალანდიომ ფერდი** – ფერდობი. იგივე ნაკალანდუ (ნალენჯიხა).

**საკალუო „საკავე“** ( კალუ „კავი“) – აღმართი, რომლითაც წისქვილარას ნაპირიდან გზა ადის ლოლცაცხუში (სქურის სატყეო). რესპ.: „ისეთი ძნელი აღმართია, კალუს („კავი“) დაუხმარებლად ვერ ახვალ, ბურჩებს უნდა გამოსდო“.

**საკაციო** – ერქვა კაციების უბანს ჟინსამესხიოს ჩრდ. ნაწილში. ახლა ძირითადად ჩაის ფართობია, დარჩა სხვა გვარის ორი კომლი (სამესხიო). საერთოდ კი, საქართველოში მკვიდრობს 493 სული კაცია (მათგან ნალენჯიხის რ-ნში – 97). XVI-XVIII სს. „საბუთებში“ ხშირად გვხვდება პირსახელები **კაცი, კაცია** (პალ, II, გვ. 486). შდრ. გვარი კაციაშვილი.

**საკვარაცხელიო** – 1. უბანი ბირგულამსა და კვარჩხილალს შუა. რესპ.: „კვარაცხელები გვარად ვართ კვარციხანები: დადემქელიანს მათი ბავშვი ქვევრში ჩაუხრჩვია. კვარციხანებს ეს დადემქელიანი თავისსავე სახლში მოუმწყვდევიათ და დაუნვაკო. შემდეგ კი სამეგრელოში ჩამოსულან (ნაკიფუში) და კვარაცხელიად ჩანერილან“ (ნაკიფუ); 2. იხ. ლეკვარაცხელიე. ქართულ გვარსახელთა სიაში კვარაცხელიას V ადგილი (13618 ს.) უჭირავს. მათ შორის ნალენჯიხის რ-ნში – 4952 სული. მცირერიცხოვანია გვარი კვარანცხელია (24 სული). (ნალენჯიხა, პ. ენერი). ითვლება, რომ კვარაცხელია სვანეთის საისტორიო ძეგლებში დაფიქსირებული კვარაცხელიანი//კვარცხელიანის -ნ მოკვეცილი ვარიანტია (თოფჩიშვილი, 1997). გვარი დამონმებულია 1634 წლის საბუთში (პალ, II, 499).

**საკვირკვიო** – უბანი. იგივე **ლეკვირკვიე** (საჩინო). აქ კვირკვიები მკვიდრობდნენ, მაგრამ ამჟამად ყველა ქვემოთ, გზისპირებზეა ჩამოსახლებული. XX ს-ის დამლევს საქართველოში აღინუსხა 458 სული ამ გვარისა (მათგან ნალენჯიხის რ-ნში – 322). აღ. ქობალია: „ა. კვირკვე — წმ. კვირიკე, კვირიკობის თვე, ივლისი“. ბ. „კვირკვია — ჩამრგვალებული, კობტად მოყვანილი; კვირიკეზე შესახებებული; კვირიკობას, კვირიკობის თვეს დაბადებული“. მაშასადამე, ამ განმარტებას თუ გავითვალისწინებთ: ა. კვირკვია (მეტსახელი) კვირკვია (გვარსახელი); ბ. კვირიკე კვირკვე კვირკვე (მეტსახელი) კვირკვეა კვირკვია. შდრ.: კალენდარული ნომენი კვირკვე — ქალთა დღესასწაული, მიძღვნილი ოჯახის ბარაქისადმი.

**საკონჯარიო** – კონჯარიების უბანი ჯიხაშკარის საზღვართან, ტარჩიას ხეობაში (სამესხიო). მე-17 საუკუნის საეკლესიო საბუთში დასახელებულნი არიან დღევანდელ სამურზაყანოში მცხოვრები კონჯარიები (ქსე, III, გვ. 422-423).

**საკონჯარიოფერდი** – ფერდობები ჯვარსაღალის სათავესთან (ობუჯი, სამესხიო). კონჯარიები ამ ფერდობის თავზე ცხოვრობენ. საქართველოში XX ს-ის დამლევს დაფიქსირდა 866 სული ამ გვარისა (მათ შორის ნალენჯიხის რ-ნში – 227 სული).

**საკუხალეიშვილო** – უბანი. იგივე **საკუხალესქუო** (ლია).

**საკუხალესქუო//საკუხალეიშვილო** – უბანი მახარიაში. კუხალეიშვილების (ადგ.: ვარიანტი: კუხალესქუა) წინაპრები კინჩხადან ჩამოსულან (ლია). რესპ.: „ჯინჯინხატი კინჩხაში გვაქვს. ბაბუა ლომიკია ჩამოსულა იქიდან“. კუხალაშვილიც ოფიციალური გვარია (1940 სული საქართველოში. წინაპრები გადმოსულან ქვემო იმერეთიდან) და კუხალეიშვილიც (1087 სული. ძირითადად სამეგრელოში ცხოვრობენ, კერძოდ სოფ. ლიაში. გვარსახელის ამოსავალია მეტსახელი **კუხალა** („მკვახე პიროვნება“).

**სალაგვანო დისა//სალაგვანოშ ნდურე** – ხევი სალუკაში, მაფარონის სათავესთან, სადაც მოიპოვება თეთრი და რუხი საქვევრე მინა (ნაკიფუ). სალაგვანო „საქვევრე“; ნდურე „ხევი, ჩავარდნილი ადგილი“.

**სალაგვანოშ ნდურე** – ხევი. იგივე **სალაგვანო დისა** (ნაკიფუ).

**სალაფერდი//ნაბერალ(გ)** – სალკლდეებიანი ბორცვი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ჯაჭვის ხიდთან. ჩრდ. კალთა სალი კლდეებია (ლესალე). ბორცვზე იდგა ბერალი „სატრიანგულაციო სვეტი“. შდრ. ალ . ქობალია: „**სალა** – ბრტყელი და მრგვალი რიყის ქვა“.

**სალეზიო** – ფერდობი. იგივე **ოლეზიე** (მედანი).

**სალემონჯო** – უბანი ნაფატულალის სათავესთან, ფერდობებზე. ცხოვრობენ ლემონჯავები (ნაშამგუ). ვარიანტებია ლიმონჯავა და ლემონჯარია. საქართველოში მკვიდრობს 1935 სული ლემონჯავა (XX ს-ის დამლევს). მათგან ჩხორონწყუს რ-ში – 626; ზუგდიდის რ-ში – 392; წალენჯიხის რ-ში – 275.

**სალიაში** – ჩაის ფართობი ნაჩაჩანუს გვერდით. სალია (გვარსახელი) აქვე ესახლა (ნაკიფუ).

**სალიში** – მაღალი კლდე ენგურის მარცხ. ნაპირას, ხუბერსა და კაშლალს შუა (მაგანას სატყეო). შესაძლოა, ამოსავალი იყოს სალი „სოლი“, მაგრამ ამ შემთხვევაში მოტივაცია (სახელის დარქმევის მიზეზი) არის საძიებელი. სინამდვილეში ქართულში **სალი** იგივეა, რაც **პიტალო**, **ფრიალო** (კლდე, ქვა). სახელდებული კლდეც ფრიალოა. მეგრულის ლექსიკონებში **სალი** ამ მნიშვნელობით არ ჩანს.

**სალმაქვამ ღალ(გ)** – ლელე, ნოჟალას შენაკადი. სალმაქვა მამაკაცის სახელია (კუხეში).

**სალუკა** – 1. ლუკავების უბანი ოტოფუესა და ლაჩახვას შუა, ნაკიფუ-წალენჯიხის საავტ. გზაზე (ნაკიფუ); 2. ბორცვი ლელვინჯილეს ჩრდ. ნანილსა და სამიქაოს შუა (ფუქი). გვარისათვის ამოსავალია ფართოდ გავრცელებული პირსახელი **ლუკა**. 1995 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 1330 სული ლუკავა (მათგან წალენჯიხის რ-ში – 382).

**სალუკამ სუკი** – ბორცვი სალუკაში, სადაც ერთ დროს „გგნახვამალი“ (საკულტო) ურთხელი მდგარა (ფუქი).

**სამანიო** – უბანი. იგივე ლემანიე (პ. ენერი).

**სამართალა** – ლელე, ლაჩახვას მარცხ. შენაკადი. მოედინება ლელვინჯილედან, სათავეა **ოყებურემ წყურგილი** (ლევოლიხე). გადმოცემა: „წყალდიდობისას უსამართლო მღვდელი დამხრჩვალა ამ ლელეში და ამიტომ უწოდებიათ სამართალა“.

**სამართალაპიჯი** – სამართალას ხეობა (ლევოლიხე).

**სამარლიო** – მარღიების უბანი შქალიას საზღვართან (პალური). ამოსავალი სიტყვა **მარღი** ნიშნავს თვალთეთრას. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ლეჩხუმური გვარი მარღიანი (XVI ს.). შეუძლებელი არაა, სამეგრელოში მიგრირების შემდეგ მარღიანი მარღია მარღია. მარღია მცირერიცხოვანი გვარია – 397 სული საქართველოში (მათგან წალენჯიხის რ-ში – 210).

**სამარლიონაყუ** – ენგურის ტოტი ტყაიას საზღვართან, სამარლიოში (პალური). **ნაყუ** აღნიშნავს მდინარის მცირე ტოტს ან მდორეს მდინარეში.

**სამატუო//ლემატუე** – ერქვა მატუების უბანს სქურდილას ხეობაში (ობუჯი). საქართველოში ამ გვარს ატარებს 50 ადამიანზე ნაკლები (იხ. სილაგაძე, თოთაძე, 1997, გვ. 13). მაგრამ ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“ წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი

გვარი **მათუა** (ალბათ ბეჭდვის შეცდომაა). მატო, მატუ, მატუნა კოლხეთში გავრცელებული პირსახელება. გვარი მათუა გავრცელებულია ჯვარში, ჩქვალერში, საჩინოში.

**სამახარიო** – უბანი, ლელე. იგივე **მახარია** (ლია).

**სამაჯინო ფოქვა//წინაკოჩი ფოქვა** – მღვიმე ინწირას ზემოთში (იხ. ნოლ(ი)მუერი).

**მაჯინე** – ჩასაფრებული მონადირე: **სამაჯინო ფოქვა** – სახუნდარი; მღვიმე, სადაც მონადირეა ჩასაფრებული. ალ. ქობალია: „**სამაჯინო** – სანადირო, სახუნდარი (ადგილი); საზევრე (კოშკი) მაჯინე – ჩასაფრებული მონადირე, ნადირის მოდარაჯე, მზირი...“ (სქურის სატყეო). რესპოდენტი იხსენებს: „სვანებმა მოცინარე ხატი მიიტაცეს და ბეროს ეკლესიის კედელში ჩააშენეს. მონადირე უჩარდიამ ამის ჩამდენი რამდენიმე სვანი მოკლა. სვანებმა შური იძიეს. უჩარდიას ფეხმძიმე ცოლი კი სამაჯინო ფოქვაში დაიმალა და იქვე იმშობიარა, ბიჭი ეყოლა და წინაკოჩი დაარქვეს. სწორედ ამის შემდეგ სამაჯინო ფოქვას ეწოდა წინაკოჩი ფოქვა. წინაკოჩი მეგრულში ნიშნავს პანას, უმცროსს“.

**სამებონიო** – 1. უბანი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, მალლობზე (ჯალირა). მამია მებონიას ნაამბობი: „ჯალირას ერთ-ერთი პირველმოსახლენი ყოფილან აფხაზეთიდან ლტოლვილი ჩხეტიები. ოდიშში გადმოსულებს აქ ერთი **ჯა ლულა** („გალუნული ხე“) უნახავთ და იმის ქვეშ ღამე გაუთენებიათ. გვარი დაუმაღავთ, უთქვამთ, საეკლესიო გლეხები ვართო, მებონები. ამიტომაც ახალმოსულებს გვარად **მებონია** მისცეს. ისინი ნახუბუს ციხეში დამკვიდრდნენ, **ბონი** მეგრულში ნიშნავს ლარივით სწორს, მაგრამ ბონი ეწოდება ერთი მეტრის სიგრძის მრგვალ გათლილ ხესაც, რომელზეც ჯვარია წამოცმული და ეკლესიებში აქვთ. მიმართავენ ცოდვების მონანიებისას“; 2. უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ესაზღვრება სასამელიოს (ლია). ალ. ქობალია: „**მებონე** „მებორნე“, თუმცა ბონი ასეა განმარტებული მისსავე „მეგრულ ლექსიკონში“: „**ბონი** – სწორი, მართი; პირდაპირი, მართალი; რიტუალური ხე – ბოძალი...“ (ქობალია, 2010, გვ. 65). მ. ჩუხუას აზრით, შესაძლოა **ბონი** (ქართ. ბან-ი), ხოლო მე-**ბონე** (ქართ. მე-**ბანე**). მამასადაამე, შესაძლებელია მე-ბონე მებონეა მებონია.

**სამეგრელოს ქედი** – ქედი. იგივე **ეგრისის ქედი**.

**სამელიეფი ფერდი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით სასამელიოს აღმ-ით (ლია).

**სამესხიო** – სოფელი ობუჯის თემში (იხ. პირველ ნაწილში).

**სამესხიო ეწერი** – მალლობი ყინი სამესხიოში. აქაურ მცხოვრებთ ეწოდებათ **ეწერი** **რული მესხიეფი**, ხოლო ტარჩიას ხეობაში მცხოვრებთ – **დობერული მესხიეფი** (სამესხიო).

**სამეფორიო//სამეფორიოსუკი** – ბორცვი ჩვახემ ღალის სათავესთან. უკანასკნელი მეფორია აქედან აყრილა 1955 წელს (ფახულანი). მეფორია მცირერიცხოვანი გვარია – 165 სული საქართველოში. დასტურდება 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლო დავთარში“ (ყოფილან საეკლესიო გლეხები ოჩამჩირის რ-ნში). ჩვენი აზრით: მეფორუა „მიხურვა, მიფარვა“ მეფორი „მიმფარველი“. კონკრეტულად: **მეფორია** არის მეტსახელ-ეპითეტი კაცისა, რომელიც მიწის თოხნისას შიგადაშიგ ბალახს კი არ მოჭრის, არამედ თოხით მიწას მიაყრის და დაფარავს.

**სამეფორიოსუკი** – ბორცვი. იგივე **სამეფორიო** (ფახულანი).

**სამიქაო** – 1. მიქაეების უბანი ნაპერტულალისა და ლაჩახვას ზემოთებს შორის (ფუქი) და ფუისქურის მარცხ. მხარეს (მაზანდარა). რადგანაც გვერდიგვერდ მდებარეობენ, განარჩევენ მსაზღვრელებით: **ყინსამიქაო**, **თუდონსამიქაო**; 2. უბანი ჩხოუშიის მარცხ. მხარეს, ჭკადუაშის საზღვარზე. ამ უბანში მიქაეების 40 ოჯახი ცხოვრობს (ნალენჯიხა); 3. უბანი ჩელალის ზემო დინების ნაპირებზე (ლარა). საქართველოში მკვიდრობს 4550 სული მიქავა (96-ე ადგილი), მათგან სამეგრელოში – 3618 (მე-12 ადგილი), ნალენჯიხის რ-ნში – 1571 სული (მე-7 ადგილი). **მიქა** საისტორიო წყაროში დადასტურებული პირსახელია. მიქავა აფხაზეთში მიქამბად ქცეულა (აზნაურის წოდებაც მიუღია). მ. ქალდანის მტკიცებით, მეგრული გვარი **მიქავა** იგივეა, რაც სვანური **მიქ-ელ-იანი** (ქალდანი, 1980, გვ. 72).

**სამოლაშხიო** – უბანი ოტოფუე-კვარჩხილალის წყალგამყოფ სერზე. ესაზღვრება საბელქანისო, ლეცინდეს, საჩიქობაოს (ულურია).

**სამოსიძე//ლემოსიძემ რზენი** – დავაკება წკვიბლალსა და სამართალას შუა (ლეჯო-ლიხე). საქართველოში 1995 წელს მკვიდრობდა 1212 სული მოსიძე. ადგ. ვარიანტები: **მოსი-ნა, მორსინა**. იმერეთში დამკვიდრებული გვარი მოსიძე დასახელებულია 1578 და 1796 წლებში შედგენილ საბუთებში (თოფჩიშვილი, 2011, გვ. 238). რაჭველი მოსიძეები აზნაურები ყოფილან. იშვიათი საპასპორტო ვარიანტია **მოსინა**.

**სამსონიმ ნაკარუ** – ერქვა საძოვარს ოლორის სათავესთან, ჩვინარეში. მესაქონლე სამსონ არქანიას აქ ჰქონია „კარე“ (მუჟავა).

**სამ(უ)შიამ ნასოფა** – მცირე მინდორი უნწაში (ჯვარის სატყეო). **სოფუა** „დაფლეთა, დაგლეჯა, გახლეჩა, დანაკუნება“. ტოპონიმი თითქოს უნდა ნიშნავდეს: „რაც სამუშიამ დაფლეთა“. მაგრამ სინამდვილეში ამ ადგილას თვითონ სამუშია (გვარია) დაგლიჯა დათვმა.

**სამუშიეფიმ ტყა** – ტყე. იგივე **გერასიმემ ტყა** (პ. ენერი). ალ. ღლონტის ლექსიკონში შეტანილია ფორმა „სამუშომ(ი) ტყა“.

**სანანო** – ნანავების უბანი ლია-წალენჯიხის გზაზე, საჭანტურიოსა და საქობალიოს შუა (ლია). 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა 1612 სული ნანავა. 1904 წელს ნაესაკაოში (აბაშის რ-ნი) მცხოვრები ნანავები აზნაურები იყვნენ. **ნანა** ბავშვის მოსაფერებელი სახელია და შეიძლება მონიფულობაშიც შერჩეს ადამიანს როგორც მეტსახელი. ამის გარდა, ნანი, ნანო, ნანუჩა, ნანია, ნანილა... დას. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაფიქსირებულია მამაკაცის სახელებად (მდრ.: ნანაძე, ნანაშვილი, ნანეიშვილი, ნანიკაშვილი, ნანობაშვილი...).

**სანდრომ ნაბინესუ** – ჩაის ფართობი ოყაყალუს მარჯვ. ნაპირის გორაკზე. ლეაბრალეში მცხოვრებ სანდრო აბრალავას აქ „ნოვეს“ ჯიშის ვაზი ჰქონია თხმელებზე აშვებული (ნაგურუ).

**სანდრომ ნადიხ(გ)** – თხმელნარი ლეაბრალეში (ნაგურუ).

**სანდრომ ნაისგრე** – მცირე მინდორი ლეაბრალეში, ნაისგრის ნაწილი (ნაგურუ).

**სანდრომ ნაცვან(გ)** – მცირე ნაყანევი ქანისწყლის მარცხ. მხარეს, ტყის სიღრმეში. სანდრომ ამ ადგილას გაკაფა 1 ჰა ტყე და დათესა სიმინდი კოლმეურნეობისაგან ფარულად... გაიგეს და ჩამოართვეს (ჯალირა).

**სანდრომ ნანისქვილუ** – ნანისქვილარი ოტოფუეზე, ლეკახიეში. ეკუთვნოდა სანდრო კვარაცხელიას (წალენჯიხა).

**სანდრომ ოლენჭყე** – ნაჭაობარი. იგივე **ოლენჭყე** (სამესხიო).

**სანერგე** – ჩაის ფართობი ვეჯინჯში, სადაც უნინ ჩაის სანერგე ყოფილა (საჩინო).

**საონჩხოლო//საანჩხოლო** – ვაკე-ფერდობები ოლორის მარჯვ. მხარეს, მუჟავას ცენტრის პირდაპირ (ნაშამგუ). რესპ.: „ონჩხოლიებს უცხოვრიათ. დღეს კი არქანიების საკარმიდამოებია“. ამჟამად გვარი **ონჩხოლია** საქართველოში არც დასტურდება.

**საოჩო** – საძოვარი ენწერში, ზედა მაზანდარაში. რესპ.: „ვაცებისა და უშობელი თხების სამყოფელი და საძოვარია. ამიტომ ეწოდება საოჩო „სავაცე“. რა თქმა უნდა, დედა თხების საძოვარი ყოველთვის ცალკე იყო (წალენჯიხა).

**სარაპიონიმ წისქვილი** – ნანისქვილარი სასაფლამ ღალზე. სარაპიონი პირსახელია (პ. ოჩე).

**საროგა** – როგავების უბანი ლეარსანეს ხეობაში (სამესხიო). საქართველოში 1995 წელს ამ გვარს ატარებდა 259 სული. გადმოცემით, როგავები წარმოშობით არიან ხორგუანები. სამეგრელოში მიგრირებულან იმერეთიდან.

**საროგალ(გ)** – ღრმა და მოკლე ხევი ყინი სამესხიოში. ჩაედინება ლეარსანეს ხეობაში, სადაც ცხოვრობენ როგავები (სამესხიო).

**სარსალა** „სრიალა“ – ტყე, ქვიანი ფერდობი ოლორ-ჭიჭე ტებენეს შუა (ჭალე). მდრ. ალ. ქობალია: „**სარსალა** – სრიალა, მოსრიალე, ნარნართ, რწვეით მოარული“; „**სარსალა** – ენის მოსავსავე, ვინც ენას ასავსავენს“. როგორც ფონეტიკური კანონზომიერება, ქართ. სრ მეგრ. რს (სრიალი რსიალი).

**სარღელა** – ბორცვი. იგივე **საღელა** (ქალაღალი, უბადოღალი).

**სასამელიო** – უბანი საბერსქოსა და სამეზონიოს შუა (ლია). სამელია მცირერიცხოვანი გვარსახელია, სულ 102 სული საქართველოში. ამ უბანში კი მხოლოდ ორიოდე კომლი დარჩა ამ გვარისა. საერთოდ კი, თითქმის ყველა სამელია სამეგრელოში მკვიდრობდა (90 სული). საეკლესიო გლეხი **სამელია** დასახელებულია XVI ს-ის საეკლესიო გლეხთა სიაში (ქსდ, III, 384). გვარის წარმომავლობა: **სამი** (შდრ. ქართული სამოელი, სამუელი) სამელი სამელია. შდრ. გვარი სამინავა. აქაც ამოსავალია სამეგრელოში გავრცელებული პირსახელი **სამი**.

**სასამუშიო** – სამუშიების უბანი შქალიაში (ლია) და ჯვარზენსა და ოხარკალეს შუა (ჯვარი). 1995 წელს საქართველოში მკვიდრობდა სამუშიების 2783 სული (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 1650 (ე.ი. ნახევარზე მეტი). განსაკუთრებით მრავლად სამუშიები არიან ლიაში, ჯვარში, წალენჯიხაში. გვარისთვის ამოსავალია პირსახელი **სამუ** (სამუელი) სამუ-ში (სამუს შთამომავალი სამუშია (გვარსახელი).

**სასამუშიო-საგოგობიო** – უბანი პალურის საზღვართან (ლია).

**სასარიო//ლესარე** – უბანი წალენჯიხა-ობუჯის გზაზე, სასახოკიოსა და თუდოლენ საკალანდიოს შუა (წალენჯიხა). სარიები ამ უბნის ძირითადი მაცხოვრებლები არიან. საქართველოში მკვიდრობს 359 სული სარია, მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 18 სული. საისტორიო წყაროში დასახელებულია XVII ს-ის დამდეგს: დაახლოებით 1611-1615 წლებში შედგენილი საბუთი გვაუწყებს, რომ ლევან II დადიანს მთაწმინდის ხარების ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს ლესარეს მცხოვრები ყმა ხჭაბაი სარია (პალ, II, გვ. 7). 1706 წლის საბუთში დამონმებულია ვარიანტი საარია. გვარსახელისათვის ამოსავალი ჩანს პირსახელი **სარი** (სარიდანი). ალ. ლლონტის ლექსიკონში დასახელებულია მხოლოდ სასარიო (ლლონტი, 1971, გვ. 87).

**სასაფლა** „სასაფლაო“ – სასაფლაო ლეციმინტიეს უბანში (პ. ენერი).

**სასაფლა//მიხამ სასაფლა** – ტყე-ბუჩქნარი ლეიჩიეში, ბორცვზე, პანემონამ ღალსა და ხურჩას შუა (კუხეში).

**სასაფლამ ოჩაიე** – 1. ჩაის ფართობი ლეციმინტიეში (პ. ენერი); 2. ჩაის ფართობი ლანჯიში, ძველ სასაფლაოსთან (ფახულანი).

**სასაფლამ ღალ(გ)** – ღელე ლეციმინტიეში, რეკა-ჩხოუშიას მარჯვ. შენაკადი. ჩაუფლის სასაფლაოს (პ. ენერი).

**სასახოკიო** – უბანი ქანისწყლის ნაპირას, წალენჯიხა-ობუჯის გზაზე, ჟიმოლენ საკალანდიოსა და სასარიოს შუა (წალენჯიხა). გადმოცემები: ა. სახოკიების წინაპარს ამ მხარეში დახვედრია ოთხი ძირძველი გვარი: ძიძარია, სარია, კვარაცხელია და მოსინა (მოსიძე). „მანცხვარი“ ტყეში ყოფილა ჩაფლული და ვერ ბედავდნენ შესვლას ტახების შიშით. სახოკიას ეს ტახები დაუხოცავს, ეკლესია გაუსუფთავებია და ლოცვა-კურთხევა განუახლებია; ბ. სახოკიას წინაპარს სადღაც მოუკლავს თავადი, რომელსაც მის ახალმოყვანილ ცოლთან პირველი ღამის უფლება მოუთხოვია. გამოქცეულა და ტყეში იმალებოდა. მოუგვრიათ დადიანისათვის, უთქვამს, ქუჩულორია ვარო. პირგაპარსული ყოფილა. გაჰკვირვებიათ. ევროპაში ვარ ნამყოფი და პირის გაპარსვა ვისწავლე. პიჯიმ მოსანწყოც. ანუ სახოკი (პირსაპარსი) მაქვსო. დადიანს შეუფარებია და მპარსავად ჰყოლია. ამის მერე უწოდებიათ სახოკია. მეგრ. **ხოკუა** „პარსვა“ **სახოკი** „საპარსი“. საქართველოში დაფიქსირებულია 976 სული სახოკია. XX ს. დამლევს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში აღინუსხა ამ გვარის მატარებელი 35 კომლი (147 სული).

**სასონგულიო** – სონგულიების უბანი სქურდილას ნაპირას, ობუჯი-წალენჯიხის გზის ორივე მხარეს (ობუჯი). გვარი მცირერიცხოვანია. ობუჯში ცხოვრობს ამ გვარის მატარებელი 28 კომლი. ცნობარში „გვარ-სახელები საქართველოში“ დასახელებულია მხოლოდ ვარიანტი სუნგულია (28 სული). გვარის ფუძეს უკავშირებენ სონლულ სიტყვას, რაც ს.-საბას ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ფრინველი“. საქართველოში პირსახელად გვხვდება სომლულია და სონლულია (ქსდ, 1986). სონგული პირსახელია ლაზურშიც. შდრ. სონლულაშვილი. ალ. ლლონტის ლექსიკონშიც დასახელებულია სასონგულიო (ლლონტი, 1971, გვ. 87).

**სასგრეჯანა** – ტყე-ფერდობი. იგივე სერ(ო)ჯანა (ლექარდე).

**საუბილა//ლეუბილე** – უბილაგების უბანი ენგურის მარცხ. მხარეს, ჯვარზენის მალ-ლობის კიდეზე (ჯვარი). საქართველოში XX საუკუნის დამლევს მკვიდრობდა 1615 სული უბილაგა (მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 591 სული. XV ადგილი). პირსახელი უბილაგა გვხვდება სვანეთის საისტორიო ძეგლებში. გვარიც ძირითადად სვანეთის ახლო-მახლო სოფლებშია გავრცელებული (ჭალეში, ჯვარში, ლიაში, ფახულანში).

**საუბილო** – უბილაგების უბნები მახასქურის ნაპირებზე (ჭალე) და ჩხაპელკასა და ოჭკემს შუა (ენერფერდი).

**საფიფიო** – ფიფიების უბანი ოჭანეში (ჯვარი) და სქურდილასა და ლაფთარას შუა (ობუჯი). გვარი მრავალრიცხოვანია – 7143 სული საქართველოში (33-ე ადგილი). მათგან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში – 2608 (მეორე ადგილი). გვარის ძირითადი სამკვიდროა სამი მეზობელი სოფელი (XX ს-ის დამლევს): საჩინო (93 კომლი), ჯვარი (81 კომლი) და ჩქვა-ლერი (59 კომლი). ლაკადაში მცხოვრებ ფიფიებს სჯერათ, რომ მათი წინაპრები სვანი ფილფანები არიან. **ფიფი** სვანეთში და **ფიფა** გურიაში პირსახელებია, ხოლო ფიფია იმე-რულსა და ქართულში აღნიშნავს ცუდს, გლახას, ფინთს. შდრ. სამეგრელოში პირსახელი: ფიფ-ალ-ი.

**საქანთარიო//თუდოლენი** ლექანთარე – ქანთარიების უბანი. იხ. ლექანთარე (ჯვა-რი).

**საქარდა** – უბანი. იგივე **საქარდო** (ნაშამგუ).

**საქარდო//საქარდა** – ქარდაგების უბანი ფერდობებზე, ჭიჭე ტებენეს სათავესთან, ოლორ-ერისწყლის გზის ქვემოთ (ნაშამგუ). ქარდავა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია როგორც ქვეყანაში (6014 სული, 55-ე ადგილი), ისე სამეგრელოში (5606 სული, მე-8 ადგილი). წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მესამე ადგილზეა (კვარაცხელიასა და ფიფიას შემდეგ). კომლთა რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა ჯვარი (103 კომლი), მეორეზე – ლია (60 კომლი), მესამეზე – პ. ენერი (49 კომლი). გვარის ძირძველი და თავდაპირველი სამკვიდრო ჩანს სოფელი **ლექარდე**, მაგანას მარცხ. ნაპირას (ჯვარის საქალაქო ადმ. ერ-თეული). გადმოცემით, წინაპრები ყოფილან სოფ. ლატალში მცხოვრები ქალდანები. რესპ.: „სამ ძმას ლატალში კაცი მოუკლავს და ჯვარში გამოქცეულან. აქ დადიანს მიუღია და და-უსახლებია“.

**საქარდომ პუნქტი** – ერქვა ჩაის ასანონ ფარდულს საქარდომ ჩაიში (ნაშამგუ).

**საქარდომ ჩაი** – ერქვა ჩაის ფართობს საქარდოში (ნაშამგუ).

**საქარო** – მაღალი სერი ოლორის მარცხ. მხარეს, ფახულანისა და ჭალეს საზღვარზე (ენერფერდი, ჭალე). რესპ.: „ჯვარული ბორია სცემს გამუდმებით; საერთოდ, ქარი ენოდება მასქურ ბორიას, რომელიც შემოდგომაზე ქრის ხეობიდან. მზიან ამინდში აქედან ზღვაც ჩანს“. სერის მთავარ ნაწილს ენოდება „**გაგაჩია სუკი**“. საქაროს მწვერვალია **ნაბერაყე**. ლექსემა **საქაროს** აქვს სხვა მნიშვნელობაც: „სანაახელში დაჭყლეტილ ყურძენზე დადებული ფიცრები, რათა ღვინო დაიწუროს სრულად“. გადმოცემით, საქაროში ერთგან ნააკლდამარია. შდრ. „საქარო — ადგ. ფახულანში“ (ღლონტი, 1971, გვ. 87). „საქარო არის ფიცარი, რომელსაც სანაახელში დებენ დაჭყლეტილ ყურძენზე, რათა ღვინო დაიწუროს. ამაზე იტყვიან, მოსანქარელი რენია“.

**საქარომ ნაბერალ(ე)** – საქაროს მწვერვალი (ენერფერდი, ჭალე).

**საქარომ ოხვამე** – ბორცვი, სასაფლაო საქაროს სამხრ. ნაწილში. საყდარი არ ჩანს, მხოლოდ სასაფლაოა (ჭალე).

**საქარომ ლალ(ე)** – ლეღე. მოედინება საქაროდან და ერთვის ფშქერღალს (ჭველე).

**საქაცარო** „სათიკნე“ – ტყე-საძოვარი მაგანას მარცხ. მხარეს, კასლონჯიას ნაპირას, ჯალარას შესართავთან (მაგანას სატყეო). საქართველოს ზოგ რუკაზე აღნიშნულია როგორც სანაცარო.

**საქებურიო** – ქებურიების უბანი ჭანისწყლისა და კინესქურის მარცხ. მხარეს, მალ-ლობზე. აქვია სასაფლაო, რომელსაც უწოდებენ **ნაოხვამს** (ჯალირა). საქართველოში XX ს დამლევს მკვიდრობდა 1194 სული ქებურია, ძირითადად, ჩხორონყუს მუნიციპალიტეტში



(364 სული). ობუჯის თემში (ჯალირას ქებურიათა ჩათვლით) 12 კომლია დაფიქსირებული. **ქება, ქებუ** კოლხეთში გავრცელებული სახელებია (იხ. ქსს, 1986) და გვავარაუდებინებს **ქებურ** ვარიანტსაც. შდრ. **ქებულაძე** (იმერეთში). შდრ. მ. კვიციანი: „**ქებური** — დიდი ისარი“.

**საქობალიო** ( ქობალია) — უბანი საბერსქუოსა და სანანოს შუა (ლია). ქობალია მრავალრიცხოვანი გვარია (5209 სული. 73-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით), ხოლო სამეგრელოში 3818 სული (მე-11 ადგილი). სოფ ლიაში კი მხოლოდ 12 კომლია დამკვიდრებული (XX ს-ის დამლევს). შდრ. გვარი ქობალავა. ვარიანტი **ქვაბალია** ცნობილია წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიის წარწერიდან (1384-1396 წწ.). ქობალიები ირწმუნებიან, რომ ისინი წარმოშობით არიან ქობალიანები სვანეთიდან და მათი წინაპრები კიდეც ადიოდნენ მოსალოცად სვანეთში, წმინდა კვირიკეს ეკლესიაში.

**საქუთელიო** — უბანი სქურდილას ხეობაში, ლემატუესა და სასონგულიოს შუა (ობუჯი). ქუთელიები მოსულან ლენწურწუმედან. ობუჯში ცოტანი დარჩნენ. მათ გარდა აქ 27 გვარის წარმომადგენლები მოსახლეობენ. გვარი საქართველოში წარმოდგენილია 912 სულით. XIX ს-ში ქუთელიების ერთი ნაწილი აზნაურის წოდებისა ყოფილა (იხ. ჭუმბურიძე, 2013, გვ. 351-352). კოლხეთში დაფიქსირებულია პირსახელი **ქუთა, ქუთუ**, საიდანაც შეიძლება წარმოქმნილიყო მოფერებითი სახელი **ქუთელი**. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გვარი **ქუთათელაძე** ფართოდაა გავრცელებული საქართველოში (3131 სული) და მრავლადაა იმერეთშიც და სამეგრელოშიც.

**საღელა//სარღელა** — ბორცვი უბადოლასა და ნარაგუს შუა. ერთგან კლდეა და გამოდის მჟავე წყალი, რასაც **აბანას** უწოდებენ (ქალაქალი). რესპ.: „აქ მგლების **მაზარი** (ჯგუფი, გროვა, სიმრავლე) იყო, მთელი ღამე „რღიანდეს, ზუმინგდეს“ და ამიტომ დარქმევია“. გადმოცემით, აქ უღრანი ტყე გაუკაფავთ და „კარე“ დაუდგამთ მირდია და მახარებელ გოგოხიებს. სხვა რესპ.: „ტურების გაბმულ ხმიანობას **ყმუილი** ჰქვია, ხოლო მგლებისას — **ღელუა**. საღელა, ანუ ოღელური, ამიტომ დარქმევია“. მაშასადამე, საღელა არის მგლის ხროვის საყმუილო, საზმუილო (ადგილი). შდრ. ალ. ქობალია: „**ღელაფი** — ღელვა, ტირილი, ყვირილი“. გადმოცემით, აქ უღრანი ტყე გაუკაფავთ და კარე („სადგომი“) დაუდგამთ მირდია და მახარებელ გოგოხიებს.

**საღეჯო//ოღეჯური** „საღორე, საღორო“ — ტყე-ფერდობი კილის მარცხ. მხარეს, წყოუშის რვანლიან სკოლასთან. აქ უწინ ბლომად ყოფილა გარეული ღორი. შდრ. **ოღეჯე** — საღორე, ღორების სამწყვდევი (წყოუში). საერთოდ, ერთი და იმავე ფუძისაგან სა-ო და სა-ურ კონფიქსებით წარმოქმნილ ლექსემებს ერთგვარად განსხვავებული სემანტიკა აქვთ. შდრ. ოჩხომე და ოჩხომური, ოხოჯე და ოხოჯური. მაშასადამე, მეგრულში ოღეჯე და ოღეჯური სემანტიკურად განსხვავებული სალექსიკონო ერთეულებია.

**საღეჯომ გინაჯინუ** „საღეჯოს გადასახედი“ — მაღალი ბექობი ნაჯიხის სამხრ-ით (წყოუში).

**საყალმენო** — ფერდობი. იგივე **საყალმერო** (ულურია).

**საყალმერო//საყალმენო//საყალუენო** — ფერდობი ლაჩახვას მარჯვ. მხარეს. აქ დიხაშქუბერის მსგავსი მოთეთრო მიწაა, რომელსაც ყალივნის (მეგრ. ყალმერი, ყალმენი, ყალუენი) გასაკეთებლად იყენებენ (ულურია).

**საყალუენო** — ფერდობი. იგივე **საყალმერო** (ულურია).

**საყარაულო** — ბორცვი. იგივე **თოჩა(ლ)გა** (ლეთკანთი).

**საყოფწყარი** — ენგურის მარცხ. შენაკადი ქალაქის ცენტრში. ზემო წელზე, სახასაიოში, ეწოდება **ლაღვაშია** (ჯვარი). საყოფი არის თევზის მოსაშენებლად მოწყობილი ხელოვნური აუზი, ტბორი. ო. ქაჯაია საყოფს განმარტავს ჩემზე მითითებით. შდრ. ალ. ქობალია: „**საყოფი** — ... საშენი, ხელოვნური წყალსატევი თევზის მოსაშენებლად...“ (იხ. დანვრილებით: ცხადაია, 1999, გვ. 89).

**საშელიო** — უბანი ინწირა-სკურეფიას შესართავთან და ენწერში (საჩინო). საერთოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გასული საუკუნის დამლევს მკვიდრობდა 648 სული შელია, ხოლო კონკრეტულად სოფ. საჩინოში — 114 კომლი. ისტორიულად შელიები თავადებიც ყოფილან, აზნაურებიც და გლეხებიც (სოსელია, 1990, გვ. 166). იხ. თავადი შელიებისა

(„სამეგრელო. თავადები და აზნაურები“, გვ. 320-323) და აზნაური შელიების სია (იქვე, გვ. 202-203; 342-343). იხ. აგრეთვე: თოფჩიშვილი, 2011, გვ. 373; ცხადაია, 2000, გვ. 147; სოსელია, 1990, გვ. 166). გვართა ვარიანტებია: **შელიავა** (საპასპორტო), **ფშელია** (ადგილობრივი, არაოფიციალური), ხოლო ი. ბაგრატიონი ასახელებს შერიასაც: „შერია ანუ შელია აზნაური იყო, თათარი არზრუმის, კერძოდ, და მოვიდნენ დროსა მეფისასა და იქმნა ქრისტიანი და მიიღო გვარად შერაშვილი. ესენი იყვნენ ძველად დიდის თათარიდგან შერედუნებულად ნოდებულნი და ამავე გვარით მიღებულ იქნენ ესენი“ (ჯომიდავა, 2000, გვ. 370. მითითებული წყარო „გაზ. ივერია“, 1883, 11-12; 1884, 1-12).

**საშენგელაიო** – შენგელაიების უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის ვაკეზე (ობუჯი). აქ დაიბადა მწერალი ლეო ქიაჩელი. შენგელაია ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში (სულ 324 სული). ძირითადი საცხოვრისია ობუჯი (19 კომლი). XVIII-XIX სს. მიჯნაზე ობუჯსა და მის ახლომახლო მცხოვრები შენგელაიები საუფლისწულო აზნაურები ყოფილან (სოსელია, 1990, გვ. 97; იხ. აგრეთვე: ცხადაია, 2000, გვ. 147). გამოთქმულია მოსაზრება: გვარისათვის ამოსავალია ზმნური კონსტრუქცია „**შენ გელი**“, რასაც მშობლები წინასწარ შეარჩევდნენ სახელად ახალშობილისათვის. მაშასადამე, წინადადება ქცეულა გვარსახელად -ა სუფიქსის დართვით. კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის წერილობითი მიმართვის შემდეგ სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის ხელმძღვანელობით XIX ს შუა წლებში (კერძოდ, 1850-1854 წწ) შედგა სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა საოჯახო სიები. ამ „საოჯახო სიებიდან“ ჩანს, რომ აზნაური შენგელაიები XIX ს შუა წლებში ქმნიდნენ 20-მდე ოჯახს. 1885 წელს ობუჯში ცხოვრობდა 220 კომლი. აქედან 180 იყო გლეხი, ხოლო 40 კომლი აზნაური (ჭუმბურიძე, 2013, გვ. 252-255). საერთოდ ითვლება, რომ შენგელაიები გადმოსულან ქართლიდან, სადაც მათი გვარი იყო შერგილაძე.

**საშეროზიო** – შეროზიების უბანი ენწერში, საშელიოდან ლეხულორდემდე (საჩინო). საქართველოში XX ს. დამლევს ცხოვრობდა 1851 სული შეროზია (ზუგდიდი – 644, სენაკი – 252, წალენჯიხა – 276). 1995 წელს საჩინოში აღირიცხა ამ გვარის 24 კომლი. შეროზიები ცხოვრობდნენ სხვა სოფლებშიც – ჩქვალერში, წალენჯიხაში.

**საშონიო** – 1. შონიების უბანი ლანჯიშში, ოლორის მარჯვ. ნაპირას. დარჩა ორიოდე კომლი (ფახულანი); 2. უბანი ჩხაპელკას აღმ. ნაწილში. მოსახლეობის უმეტესობა გვარად **შონიაა** (ენერფერდი). ეს გვარი მრავალრიცხოვანია (7648 სული საქართველოში: 27-ე ადგილი), სამეგრელოში კი მე-5 ადგილზეა (5210 სული). გვარს წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც მე-5 ადგილი უკავია. რესპ. მირონ შონია (87 წ.): „გადმოცემით, შონიები წარმოშობით სვანი ჩარკვიანები ყოფილან. მოსალოცად მიდიოდნენ ილორში ან ყულიშკარში. შტოგვარები: **ხოციოაშ გამნარყი, ბაკურაშ გამნარყი, ქვამზაჩიშ გამნარყი, თუთაშხიაშ გამნარყი, ტიტაშ გამნარყი**“. გვარი შონია დასახელებულია ჯერ კიდევ XVII ს-ის პირველ ნახევარში. „ქართული სამართლის ძეგლებში“ რამდენიმე შონია არის დამონმებული ჯგალის ციხის მეზვერეთა შორის (ქსდ, 1970, გვ. 479).

**საჩანგელიო** – უბანი. იგივე **ლეჩანგელიე** (ჯგალი).

**საჩინო** – სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**საჩინოშ წყურგილი** – წყარო ნაგელუში, ჯალრალალის მარჯვ. ნაპირის ბორცვზე. საჩინო ერქვა იმ კაცს, ვინც აქ ესახლა და მხოლოდ ამ წყაროს წყალს სვამდა (ჯალირა).

**საჩიქვანო** – 1. ტყე ლეპოხუეში (ნაგურუ). გადმოცემა: აქაურობა ეკუთვნოდათ აზნაურ ჩიქოვანებს. სა- პრეფიქსი სწორედ დანიშნულებას გამოხატავს; 2. უბანი. იგივე **ლეჩიქვანე** (ნაგურუ). საქართველოში XX ს. დამლევს ცხოვრობდა ამ გვარის მატარებელი 4358 სული. როგორც ვახუშტი გვამცნობს, ჩიქოვანმა „მოსწყვიდნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი და მცირე აზნაურთაგან იქმნა დადიანად“. ეს მოხდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. ი. ბაგრატიონის ვარაუდით, გვარი ჩიქოვანისათვის ამოსავალია „ჩიქოჰან“, რაც სომხურად ნიშნავს „არა ოჰანს, არა სომეხს“. სინამდვილეში, გვარი წარმოქმნილია **-ოვან** სუფიქსით: ჩიქა (პირსახელი)+ოვან ჩიქოვანი; თ. გვანცელაძე: ჩიქვ ( ციქვ). შდრ. მოციქული. იხ. ჩიქოვანთა შესახებ ინფორმაცია: ცხადაია, 2000, გვ., 152; თოფჩიშვილი, 2011, გვ. 382-383; ჭუმბურიძე, 2013, გვ. 71-72, 130-132, 313-318, 369.

**სახსაპელიო** — ჩსაპელიების უბანი მუჟავაში. აქ მკვიდრობს ჩსაპელიათა 28 კომლი (მუჟავა).

**სახსაპელიო გვანჟკა** – სერი. იხ. **გვანჟკა//გვანჟკა** (ნაშამგუ).

**სახსოული** „სადროხო“ – ნავზაური ოჟანეში, ლეხოხალალის მარცხ. მხარეს, სადაც ოჟანედან საურმე გზა ადიოდა ენერში (ჯვარი, ენერი). მოტივაცია: „ენერში წყალი არაა. ზაფხულობით ლეხოხალალში ჩამორეკავდნენ ძროხას. ამ გზას დაერქვა სახსოული“.

**საცდელი//საზრდელი** – ჩაის ფართობი ენერში, ნაზმატუსა და ლესარეს შუა (ნა-ლენჯიხა). მოტივაცია: რაიონში პირველად აქ გააშენეს ჩაი საცდელად. აქ იყო აგრეთვე სუბტროპოკებისა და მეხილეობის საცდელი მეურნეობა.

**საცდელი ნაკვეთი** – ბალნარი ლეცინდემი, სადაც ჯიშთა გამოცდის სადგური იყო (ნაკიფუ).

**საციმინტიო//ლეციმინტიე** – უბანი საჩინოს საზღვართან. აქ ცხოვრობს ციმინტიათა გვარის 25 ოჯახი (პ. ენერი). საქართველოში მხოლოდ 652 სულია ამ გვარისა. მათი უმეტესობა (401 სული) მკვიდრობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (XX ს-ის დამლევის აღწერის მიხედვით). ვარიანტები: **ციმ(ი)ტია//ცემენტია**. იხ. **ლეციმინტიე**.

**საცხადაიო** – 1. ცხადაიების უბანი ზუგდიდ-ჯვარის გზატკეცილზე, ქ. ჯვარის საზღვართან (ზ. ლია). რესპ.: „ორკოლი გინიდგე სუკიშან, თიში აშო ინგირიშა ცხადაიეფიში რდგ“. ამ უბანში XX ს. ბოლოს მკვიდრობდა 17 კომლი; 2. ერქვა ცხადაიების სამკომლიან უბანს ჯვარზენში, მულურონსა და საჭანტურიოს შუა (ჯვარი). მულურონის ნაპირას ტყეს ერქვა **ქორთუმ ნოხორი**. გადმოცემით, ეს „ქორთუმ“ (ე.ი. ქართველი) იმერელი ცხადაძე იყო. სხვათაშორის, იმერეთში ცხადაძე სულადობით თითქმის ორჯერ მეტია, ვინემ სამეგრელოში ცხადაია. ეს გვარი დასახელებულია XVIII ს-ის წყალობის წიგნში (ქსძ, III, გვ. 881). პირსახელი **ცხადა** რამდენიმეგზის გვხვდება „ტბეთის სულთა მატიანეში“ და, საერთოდ, გავრცელებული ყოფილა. ამას ადასტურებს იმერული გვარებიც: **ცხადაბერიძე, ცხადაძე, ცხადაშვილი**. სამეგრელოში გვხვდება ცხადია ვარიანტიც (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 156-157).

**საცხადაიომ კონკი** – ჯაგნარი კუნძული ენგურზე. იხ. **ცხადაიეფი კონკი** (ზ. ლია).

**საცხენო** „საცხენე“ – მთა-სადოვარი ეგრისის ქედზე, მუჰალას გვერდით, საცხენონყარის სათავესთან. იყოფა: **მელენსაცხენო, მოლენსაცხენო** (მაგანას სატყეო).

**საცხენომ ფოქვა** – გამოქვაბული საცხენოში, მუჰალასთან (მაგანას სატყეო).

**საცხენონყარი** – ლელე, მაგანას მარჯვ. მდგენელი ნანეჩვასთან. მოედინება საცხენოდან (მაგანას სატყეო).

**სადანძო** – ერქვა ძანძავეების უბანს კილის მარცხ. მხარეს, გალის რ-ნის საზღვართან (წყოუში). საქართველოში მკვიდრობს 720 სული **ძანძავა** (მათგან წალენჯიხის რ-ნში მხოლოდ 46 სული). ამოსავალი ფუძე **ძანძა** მეტსახელი ჩანს. **ძანძა** – მერყევი, არამტკიცე, უხეში, ტლანქი, ჯვალოს ტანსაცმლიანი (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 157). იხ. ვრცელი განმარტება **ძანძა** ლექსემისა: ალ. ქობალია, 2010, გვ. 683.

**სადანძომ სუკი** – ბორცვი. იგივე ძანძეფი სუკი (წყოუში).

**სადვალო** „სადვლე“ – თხრილშემოვლებული მოედანი (პალური). არქეოლოგიური მასალა განეკუთვნება XIV-XVI საუკუნეებს. ვარაუდობენ, რომ უნდა ჰქონოდა საკულტო დანიშნულება (ბარამიძე, ოქროპირიძე, 1970).

**სადიძარიო** – უბანი. იგივე ლედიძარიე (მაზანდარა). გვარ დიძარიას XX ს-ის დამლევის საქართველოში ატარებდა მხოლოდ 146 სული (მათგან წალენჯიხის რ-ნში – 64). როგორც ჩანს, დიძა (ქართ. „გამდელი; ძუძუს მანოვებელი“) + არ დიძარი დიძარია.

**სადიხვო** „საჯიხვე ( დიხვი „ჯიხვი“) – სანადირო ჭიუხები ეგრისის ქედზე. იგულისხმება: ფართოლალიშდუდი, დიდლალიშდუდი, ჩამვონიშდუდი, ნანქორიშდუდი, ჭითა გვალა, ზანდალაკი (მაგანას სატყეო).

**სანულიო** – უბანი. იგივე **ლენულიე** (ნავურუ).

**საჭანიო** – ჭანიების უბანი კვარჩხილალისა და მაფარონის წყალგამყოფზე (ნაკიფუ). გვარის ძირითადი სამყოფელი სწორედ ნაკიფუა. 1621 წელს შედგენილ საბუთში დასახე-

ლებულია გვარი **ჭანია**, რომელსაც მართებს საეკლესიო ბეგარა (ქსდ, III, გვ. 435). შდრ.: **ჭანიძე** (გურია) და **ჭანიშვილი** (აჭარა). **ჭანი** სატომო სახელია. შდრ. ალ. ქობალია: „**ჭანი** — **ჭანი**, სქესობრივად სუსტი...“

**საჭა(ნ)ტურიო** — 1. **ჭანტურიების** უბანი ჯვარზენში, ლეკერეს ნაპირებზე (ჯვარი); 2. უბანი ხუფაიას მარცხ. მხარეს (ლია). **ჭანტურია** ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (6698 სული, 39-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით). სამეგრელოში კი **X** ადგილზეა (3839 სული). 1904 წლის აღწერით, აზნაურ **ჭანტურიების** 3 ოჯახი ცხოვრობდა სოფ. ონტოფოში (თოფჩიშვილი, 2011, გვ. 420). გვარი დაფიქსირებულია **XVI** ს-ის საეკლესიო საბუთში (ქსდ, გვ. 349). იხ. შედარებით ვრცლად: ცხადაია, 2000, გვ. 161-162). სხვა რაიონების **ჭანტურიები** თვლიან, რომ მათი წინაპრების სამკვიდროა სოფ. ჯვარი, საიდანაც ამ გვარის განსახლება ქვემო სამეგრელოში მომხდარა **XVIII** ს-ის პირველ ნახევარში. გამოთქმული მოსაზრებით, გვარი მომდინარეობს სვანეთის წერილობით წყაროებში (**XV-XVI** სს.) დამოწმებული **ჭანტურიანისაგან**. გვარის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება. მათგან ერთ-ერთი: **ჭანი** თური („**ჭანის** ოჯახისა“) **ჭანითური** **ჭანთური** **ჭანტური** **ჭანტურია** (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 161-162; თოფჩიშვილი, 2013, გვ. 420-421; **ჭანტურია**, 1999).

**საჭარაიო** — **ჭარაიების** უბანი ქალაქალის მარცხ. მხარეს, საბერიოს საზღვართან (ქალაქალი, წყოში). გვარი მცირერიცხოვანია (167 სული საქართველოში). ძირითადად გავრცელებულია სამურზაყანოში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 162).

**სახარჩილო** — 1. ხარჩილავების უბანი **ჭანისწყლის** მარცხ. ნაპირზე, სამებონიოსა და საქებურიოს შუა (ჯალირა). რესპ.: „ჩვენი უბნის სახელია სახარჩილო და არა ლეხარჩილე. ლეხარჩილე ჯგალშია, ჩვენი წინაპრები იქიდან მოსულან“; 2. მცირე უბანი სასონგულიოს გვერდით (ობუჯი). რესპ.: „აქ მცხოვრები რამდენიმე კომლი ხარჩილავას წინაპარი გამოქცეულა საჭყონდიდოდან და თავი აქ შეუფარებია გამოქვაბულისათვის. მერე მფარველობა უთხოვია შენგელაიასათვის და მისგანვე მიუღია სამოსახლო“. საერთოდ კი, საქართველოში მკვიდრობს 2255 სული ხარჩილავა (მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში — 707). გვარი ძირითადად ჯგალში, ობუჯსა და ნალენჯიხაშია დამკვიდრებული.

**სახარჩილო//ლესარჩილე** — უბანი სქურდილას სათავესთან. დარჩენილია ხარჩილავების 3-4 კომლი (ნალენჯიხა).

**სახასაიო** — 1. ხასაიების უბნები ჯვარზენში, საყოფნყარის სათავესთან (ჯვარი) და ენგურის მარჯვ. ნაპირის ვაკეზე, გალის რ-ნის საზღვართან (წყოში); 2. სერი უბადოლალტობების წყალგამყოფზე (ფახულანი); 3. უბანი. იგივე მერაში (ჭალე). საქართველოში **XX** ს-ის დამლევს მკვიდრობდა 1526 სული ხასაია (მათ შორის ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში — 530). **ხას-** ძირს გამოგვაცოფინებს კოლხური პირსახელები **ხასგერ** და **ხასუა** (ქსს, 1986). ალ. ქობალიას მიხედვით, **ხასა** ჯვარდაუნერელი ცოლია, ხოლო **ხასი** — რჩეული, წარჩინებული... ნმინდა, ხალასი...“

**სახასაიონაცუ** — ენგურის ტოტი ტყაიაში (პალური).

**სახასიოს წყურგილი** — წყ. ჭალეში (ასახელებს ალ. ლლონტი). სოფ. ჭალეში უბანს მართლაც ეწოდება სახასიო.

**სახვიჩა** — ერქვა ხვიჩავების მცირე უბანს ლეფიფიეს ჩრდ.-აღმ. ნაწილში (მ. ენერი). ხვიჩავა მცირერიცხოვანი გვარია (321 სული საქართველოში. მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში — 194). ამოსავალი პირსახელი **ხვიჩა** ნიშნავს: სახეგაბადრული, მომღიმარე (დასტურდება ისტორიულ საბუთებშიც).

**სახუბულიო** — ხუბულიების უბანი კანთში (ლეთკანთი). საქართველოში 144 სულია ამ გვარისა. მათგან ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში — 114. **გვარები ხუბუა, ხუბულავა, ხუბულია, ხუბუნაია, ხუბუნია, ხუბუტია** აღადგენს პირსახელ ხუბუ-ს, ხოლო -ულ, -უნ, -ურ, -უტ სუფიქსები პირსახელის მოფერებით ფორმებს აწარმოებს. გვარი **ხუბულავა** დასახელებულია ჯგალის ციხის მებეგრეთა შორის (1616-1621 წწ. დავთარში).

**სახუბულიომ სუკი//ხუბულიამ სუკი** — სერი სახუბულიოში (ლეთკანთი).

**სახუბუტიო** – ხუბუტიების უბანი ჩეოხვამესთან (ენერფერდი). იხ. ჩეოხვამე. აქაური ხუბუტიები გადმოსულან სოფ. ჯვარიდან XIX-XX სს მიჯნაზე. ხუბუტიები თავის დროზე აზნაურები ყოფილან (ჭუმბურიძე, 2013, გვ. 358-360). გვარის წარმოქმნის გზა: **ხუბუ** (პირ-სახელი) **ხუბუტი** (მოფერებითი ვარიანტი) **ხუბუტია** (გვარსახელი).

**სახუბ(უ)ტიოსუკი** – 1. ვაკე-ბორცვი ჯვარზენის პლატოს კიდეზე, ჰავლემ ეკოლის თავზე. დარჩა ორიოდე კომლი ხუბუტია (ჯვარი); 2. გორა, ჩხაპელკას სამხრეთი გაგრძელება. ხუბუტიების წინაპრები სოფ. ჯვარიდან ჩამოსულან, აქ ტყე გაუჩეხავთ და დამკვიდრებულან. მათ შორის ყოფილა ე.წ. სამამულო ომში დაღუპული პოეტი შალიკო ხუბუტია. ხუბუტიები ამ სერზე ცოტანი დარჩნენ. აქვეა **ჩეოხვამე** (ენერფერდი).

**სახუნწარიო** – ხუნწარიების უბანი ნაკატარუს ქვემოთ (სამესხიო). გვარის ფუძე **ხუნწარი** ნიშნავს ხუნწელს, ხუნწის მცხოვრებს (ხუნწი სოფელია მარტვილის მუნიციპალიტეტში). საქართველოში XX ს. ბოლოს დაფიქსირდა ამ გვარის მატარებელი 943 სული. შდრ. გვარი ხუნწელია.

**სახუმ ღალ(გ)** – ღელე-ხევი ორმხრივ მაღალი კლდეებით, ხურჩას ხეობაში (ნაგურუ).

**საჯაიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი გაძღარაში, რაც ენერშია. საჯაია დღეს ახლომახლო აღარავინაა (ლია).

**საჯაიფიშ ონძილე** – წყარო კინესქურის ნაპირზე და ნაკადული, რომელიც ათიოდე მეტრის შემდეგ ერთვის კინესქურს. ცალკე ამ წყაროს ეწოდება **საჯაიფიშ წყურგილი** (ჯალირა). **ონძილე** იგივეა, რაც ქართული **ჯილე**, **დარანი**, თევზის სამყოფელი ადგილი.

**საჯაიფიშ წყურგილი** – წყარო. იხ. **საჯაიფიშ ონძილე** (ჯალირა).

**საჯაიფიშ ჯიხა** – ციხე-კოშკის ნანგრევი გორაზე, კინესქურის დას-ით. ახლოსავე იყო საჯაიფის უბანი (ჯალირა).

**საჯვარო//საჯვარო შარა** – ნაგზაური ცანაშში, სადაც გადიოდა აფხაზეთიდან სოფ. ჯვარისაკენ მიმავალი გზა. ამ გზით სარგებლობდნენ ჯვარის ჯგეგეს ეკლესიის მომლოცავნი (ქალაღალი).

**საჯვარო შარა** – ნაგზაური. იგივე **საჯვარო** (ქალაღალი).

**საჰავო** – ვაკე-ბორცვი, ტყე ჯაღრაღალის მარჯვ. მხარეს (ჯალირა). ახლომახლო მცხოვრებნი საღამოობით აქ იყრიდნენ თავს დასასვენებლად და სამუსაიფოდ ან ე.წ. ჯარობაზე. „ჰავაშა ულა“ ნიშნავს აგარაკზე ან მთაში დასასვენებლად წასვლას. შდრ. ჰავაშ ნეძი.

**სეკრეტი შარა** – ბილიკი. იგივე **კაჭუმ ეკალე** (ფახულანი).

**სერაპიონიშ წისქვილი** – ნანისქვილარი სასაფლაშ ღალზე (პ. ენერი).

**სერაპიონიშ ნოხლენ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლეციმინტიეში, სერაპიონ ციმინტიას სახლის წინ. (პ. ენერი). **ნოხლენი** „წინა, წინა მდებარე; წინანდელი“.

**სეროზენი//ფარნაშ რზენი** – ვაკე-სახნავი ერისწყლის მარცხ. მხარეს, ფარტობას ქვემოთ (ქალაღალი). რესპ.: „საერთო ზენი (ვაკე) იყო, ერთად ვამუშავებდით რამდენიმე კაცი და მოსავალს თანაბრად ვიყოფდით. ამიტომაა სეროზენი, ე.ი. საერთო ვაკე“.

**სერ(ო)ცვანა//სასგრეცვანა** – ტყე-ფერდობი ორაგვაფუსა და ოჩიტოლს შუა, ლემამუგეს საზღვართან (ლექარდე). რესპ.: „ძველად რამდენიმე ოჯახი ერთად ამუშავებდა ყანას. ამიტომ დარქმევიან სერცვანა, ე.ი. საერთო ყანა“. ლექსემა სერო არაა დაფიქსირებული მეგრულ ლექსიკონებში.

**სესიაშ ნოხორი** – საბალახო ბორცვზე, უჩაღალსა და ოფუცხოლს შუა. სესია მამაკაცის სახელია (კუხეში).

**სეფაშ ნაკარუ** – ვაკე-საბალახო სოფლის აღმ. ნაწილში, გაბარს ზემოთ. მწყემს სეფა სამუშიას აქ ჰქონია კარე „სადგომი“ (პალური). სეფა სტეფანე.

**სვერემ ნოხორი** – სახნავი ფერდობზე, ქორსუს ხეობაში, ჩქვალერის საზღვართან (ნაგურუ).

**სვიმოკარიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი. იგივე **სვიმონიკაშკარი** (ობუჯი).

**სვიმონიკაშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ფერდობზე, წიფრონღალის მარჯვ. მხარეს (ჯალირა).

**სვიმონიკაშკარი//სვიმოკარიშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ჭაჭახში. რესპ.: „სვიმონიკაშკარი ერქვა მაშინ, როცა სვიმონი აქ ესახლა. შემდგომ კი ამ ადგილას ჩაი გაშენდა“ (ობუჯი).

**სვიმორჩხილი** – ბორცვი კვარჩხილალის მარჯვ. ნაპირას, ულურიას საზღვართან (ნაკიფუ). რესპ.: „სვიმონს აქ ჰქონია თხინა. თხილი ახლაცაა ამ ხეობაში. ალბათ იმიტომ დაერქმეოდა“. საერთოდ კი მორჩხილი ნიშნავს ჩამორეცხილს, ხოლო რჩხილი – გარეცხილს. **სვიმონი** იგივეა, რაც შვაგი, ზვაგი, ჩამონოლილი თოვლი. ბორცვის ერთი მხარე მართლაც ჩამორეცხილია. შეუძლებელი არაა: **სვიმონიშ რჩხილი სვიმორჩხილი**.

**სვიმომ ბულონა** „სვიმოს ბალნარი“ — ერქვა ველური ბლის ტყეს საკვარაცხელიოს უბანში, მიშამ ჭუბურონას სამხრ-ით. ტყე ეკუთვნოდა სვიმო კვარაცხელიას. კოლექტივიზაციის პერიოდში აქ გაშენდა ჩაის პლანტაცია (ნაკიფუ).

**სვიმოში** – ფერდობი ანთიეფიშ ფერდთან. **სვიმო სვიმონი** (ლია).

**სვიმოშ ნაკარ(უ)** – ტყე-ფერდობები. იგივე ლეფშალე (სქურის სატყეო).

**სვიმოშ ნასკალ(გ)** „სვიმოს ნასაფუტკრალი“ – მცირე მინდორი ლაკადაში, ონკირეშის ზემოთ. სვიმოს აქ სკა ჰყოლია (ჯგალი).

**სვიმოშ ნოხორი** – 1. ბორცვი საჭანტურიოში (ლია); 2. სახნავი ნაჯარჯის სამხრ-ით, მაცხოვრის ეკლესიის დას. ფერდობზე, სადაც ესახლა სვიმო კანკია (ნალენჯიხა).

**სვიმოშ ტომბა** – მორევი ხუფაიაზე, შქალიაში (ლია).

**სვიმოშ ფერდი** – ტყე-ფერდობი ლეობხას ზემო წელის მარცხ. ნაპირას, ჯონდოიამ ფერდის გვერდით (ზ. ლია).

**სვიმოშ წყურგილი//გვიმიშ წყურგილი** – წყარო ლულერაში (ნაკიფუ). სვიმონმა ამ წყაროში ჩადგა გვიმი „კოდი“.

**სვირი(შ)წყუ** – წყარო სალუკაში, კვარჩხილალის სათავესთან (ნაკიფუ). სვირი ხის ან თიხის მილია, რომელსაც სითხის სადინრად იყენებენ და, როგორც ჩანს, ამ წყაროსაც ედგა. ალ. ქობალია: „სვირი — ლულა, ღარი, ღერი, მილი“.

**სიბლოშ წყურგილი** – წყარო კურორტ სქურის ტერიტორიაზე. **სიბლო** მამაკაცის სახელია (სქურის სატყეო).

**სიდომ ნადიხ(გ)** – სახნავი სახასაიოში, ბულიაშის ქვემოთ. სიდო მამაკაცის სახელია (ფახულანი).

**სიდომ ნაცვან(გ)** – ბურქნარი ონნიშის ალმ. კალთაზე, გუჩარეს სათავესთან (მუჟავა).

**სიკოიამ ნისქვილი** – ნანისქვილარი კინესქურის ნაპირას, ლეციდეს უბანში (ნაკიფუ).

**სიკომ ნაცუდუ** – ტყე-ბურქნარი ფერდობზე, ლეკვირკვიეში, ქვიშონას ალმ-ით. ნაცუდუ ის ადგილია, სადაც იდგა ქუდე „სახლი“ (საჩინო).

**სიკომ ნოხორი** – 1. თხმელნარი სხულტობაში. რესპ. „აქ ესახლა სიკო გერგედავა და მოშენებული ჰქონდა მალღარი“ (ფახულანი); 2. სასაფლაო სოფლის ჩრდ. ნაწილში, ინწგრის ველზე (საჩინო).

**სიკომ ტყა** – ტყე და ჩაის ფართობი ქვედა მაზანდარაში, დადიანის ტყის გვერდით. სიკო კვარაცხელია შეძლებული გლეხი ყოფილა, ფლობდა ამ ტყეს. დადიანიც კი ედავებოდა, მაგრამ ამაოდ (ფუქი, მაზანდარა).

**სინესქური** – ლელე-ხეობა. იგივე ს(ქ)ინასქური (ნალენჯიხა, მაზანდარა).

**სისომ ზავოდი//ნაზავოდ(გ)** – მცირე წყლისპირი ადგილი ენგურის მარცხ. ნაპირზე, სადაც ერთ დროს ქარხანა იდგა. აქვე გადიოდა გზა ფახულანისკენ (ლია).

**სკანაჭვი//ფსკანაჭვი** – მინდორი და ტყე ბარხაში, მოროჟაშდუდის დას-ით. ვილაცამ ხეს ცეცხლი წაუკიდა, მის ფულუროში თურმე ფუტკარი ბინადრობდა და დაიწვა (ჯვარის სატყეო).

**სკვამაშ(ი) სუკი** (სკვამას ბორცვი) — ადგ. მიქავაში (ლლონტი, 1971, გვ. 88).

**სკურდილა** – ლელე და ხეობა. იგივე **სქურდილა** (ობუჯი, ნალენჯიხა).

**სკურებია** – ტყე-ხეობა. იგივე **სკურეფია** (საჩინო).

**სკურეფია//სკურებია** – ტყე-ხეობა, ინწირას მარჯვ. შენაკადი. მოედინება მამუკიაშ ჯიხადან (საჩინო, კუხეში). რესპონდენტები: „ღრმა და ფართო ხეობაა, ტყითა და ხევ-ხუვე-ბით. ორასიოდე ჰა იქნება. ამიტომ დარქმევია“. „ლესერა რე, ტყა რე, ჭუბური დგ მანგარი,

თიშენი ჯოხო სკურეფია. სქურს შეუდარ კოჩქე, ითამ სკური ეფია, უმოსი ეფი რენია თაქი ქუბური“.

**სკური** – კურორტი. იგივე **სქური** (სქურის სატყეო). დ. ყანდაშვილი თავის „საქარ-თველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტებაში“ (რომელსაც „სამვილიშვილო წიგნს“ უწოდებს), „**გვასწავლის**“: **სკურა** სკუ „დაკვრა, ცემა“ (უთითებს ს.-საბას „ქართულ ლექსიკონს“). ფაქტობრივად, აქ გაუაზრებელ ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიასთან გვაქვს საქმე (იხ. აქვე სქური).

**სოგრატიშ ნოხორი** – მინდორი ლანჯიშის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ქაშკარესთან. სოგრატი გოგოხიას ნასახლარია (ფახულანი).

**სოლომონ ნაოჭკადური** – ტყე-ბუჩქნარი ლანჯიშში, უჩა გოთეს ხეობაში. სოლომონ შონია, მჭედელი, აქ კოლმეურნეობის სამჭედლოში მუშაობდა (ფახულანი).

**სოლომონ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ჭაჭახს ზემოთ (ობუჯი).

**სოლომონ წყურგილი** – წყარო გზისპირზე. ლექურსუეში, სოლომონ ჭანტურიას ეზო-კარმიდამოს ჭიშკართან (ჩქვალერი).

**სორო//ფსორო** – ხევი ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას, ოქოთომესთან (მაზანდარა). **სორო** იგივეა, რაც შურო – ხეობისებური ღარი ფერდობზე; **სორო** — მცირე ხევი-ჩაღმავება, სვანი; ღარი ფერდობზე, სადაც ნაწვიმარზე წყალი ჩამოდის და იყენებენ ხე-ტყის ჩამოსაცურებლად... ო. ქაჯაია: „**სორო** — სორო, ხეობისებური ღარი ფერდობზე (უთითებს პ. ცხადაიას). აღ. ქობალია: „**სორო** – სორო, ნაპრაღი, გვირაბი; ხევი, ხეობა... ბილიკი“. ჰანს ფოგტის გამოკვლევით, ქართული **სორო** სომხურიდანაა ნასესხები და ნიშნავს „მღვიმეს, გამოქვაბულს“ და მისი ევროპული ეტიმოლოგია კარგადაა ცნობილი (იხ. ჰანს ფოგტი, მიმომხილველი, 6-9, გვ. 293).

**სოროხუ** – ბუჩქნარი, ფერდობი მაგანას მარცხ. მხარეს (ლექარდე). რესპ.: „ფერდობზე არის სორო („შურო“). თავდაპირველად მისი სახელი ყოფილა“. რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს ჰაპლოლოგიასთან: სოროშ როხუ „შუროს ლოდი“ სოროხუ. შდრ.: უჩაროხუ. **როხი** — ლოდი, მსხვილი ქვა, მცირე კლდე.

**სოსელიეფიშ ნადიხ(გ)** – საკარმიდამოები შქალიაში, ხუფაიას მარჯვ. ნაპირას (ლია).

**სოსრანიშ ნაყუდუ** – ნასახლარი სქურში. სოსრანი მამაკაცის სახელია (სქურის სატყეო).

**სოსრანიშ ნოხორი** – სახნავი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ნალაგვანის გვერდით (ზ. ლია).

**სოსრანიშ ჭალე** – მინდორი ინწერას მარცხ. ნაპირას, ნაჭვიურზენთან (ნაგურუ).

**სპირიდონიშ ნაკარგ** — სახნავი. იხ. ინორზენაშ ნაკარგ (მუჟავა).

**სტეფანეშ ნადიხ(გ)** – ჩაის ფართობი ლაჩახვას სათავესთან, ფერდობზე (ფუქი).

**სტეფანეშ ნაყუდუ** – სახნავი ნაშარაქუში (ფუქი).

**სტეფანეშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ოჯოლორელალის ფერდობზე, ხენწკერში (ფახულანი).

**სუკი** „ბორცვი, მაღლობი, გორა, სერი, ბექობი“ – სოფლის შუაგამყოფი სერი და უბანი **ტახილსა** (აღმ-ით) და **რზენს** (დას-ით) შუა. ამის მიხედვით მცხოვრებთ ეწოდებათ: **ტახილარეფი**, **სუკარეფი** და **რზენალეფი** (ლენხარჩილე). დ. ყანდაშვილის „განმარტება“ ასეთია: „**სუკი** – ზურგის ძვლის ხორცი (ქლ)“ (ყანდაშვილი, 2000, გვ. 51).

**სუმარიაშ წყურგილი** – წყარო ლეკვირკვიეში. მიღებითაა ჩამოყვანილი სოფელში (საჩინო). რესპ.: „ახლომახლო წყალი არ ყოფილა და ეს წყარო სუმარს (ე.ი. სტუმარს) უპოვია. ამიტომაც დარქმევია ეს სახელი“. როგორც გაირკვა, წყარო სუმარია ფიფიას ნასახლარზეა.

**სუმი ჯიმა ქუა** „სამი ძმა ქვა“ – წყარო და მინდორი. იგივე ოთხი ჯიმა ქუა (სქურის სატყეო).

**სუმნუზუ** „სამი ნაძვი“ – ბორცვი, საძოვარი ოხაჩქუეს კალთაზე, კვარკვალა ნუზონის გვერდით. რესპ.: „აქ დღესაც ერთ მწკრივზე სამი ნაძვის ხე დგას“ (ჭალის სატყეო).

**სუმტკილი//საბაშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ლეზარქუეში (ნალენჯიხა). რესპ.: „ფერდობიდან მოგლეჯილი სამი ლოდი ეგდო მორევი და ამიტომ ერქვა სუმტკილი. ერთი მათგანი წყალმა წაიღო. სახელად სუმტკილი მაინც შერჩა. მღვდელი საბა კალანდია აქვე ესახლა“. ტკილი მერგელის ქანია.

**სუმქუა** „სამი ქვა“ – 1. ტყე მაგანას ხეობაში, ხეობის ქვემოთ. დავაკებაზე სამი ლოდი დევს (მაგანას სატყეო); 2. ფერდობი ჯვარზენში, ჩელალის მარჯვ. მხარეს (ჯვარი).

**სუმლალ(გ)** „სამი ღელე“ – 1. უბანი, ხეობა რეკას მარჯვ. მხარეს, ლეკვარაცხელიეში. აქ სამი ღელე უერთდება ერთმანეთს და მერე ჩაედინება რეკაში. ღელეებს თავიანთი სახელწოდება არ მოეპოვებათ (პ. ენერი); 2. ტყე-ბუჩქნარი და საბალახოები ბოგაშსა და ბურეხონას შუა, წიფურონში. აქ სამი ღელეუკა მოედინება და ერთდება (სქურის სატყეო); 3. ღელე და ხეობა ნაბირთუში (საჩინო); 4. მშრალი ღელე საფიფიოში, ლაფთარას მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ნაჯიხურიდან (ობუჯი) და სხვ. მრ.

**სუმლალიშდუდი** – სამი ღელის შესართავი ლეკვარაცხელიეში (პ. ენერი).

**სუმლალში ნყურგილი//ვერამ ნყურგილი** – წყარო ლეკვარაცხელიეში, სამი ღელის შესართავთან (პ. ენერი).

**სუმცხაცხვი//ცხაცხვეფი** „სამცაცხვი//ცაცხვეფი“ – მინდორი ოხვამეშგაზე, მაცხოვრის ეკლესიის გვერდით, სადაც სამი ძველისძველი ცაცხვი დგას. აქედან მოჩანს მთელი ნალენჯიხა. სამცაცხვის ირგვლივ ქვითკირის ნაგებობისა და წყალსადენის ნაშთია. ბოლოს აქ ააშენეს რესტორანი და დაარქვეს „სამცაცხვის რესტორანი“ (ნალენჯიხა).

**სუსამ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **გობოგილიშ ღალ(გ)** (ლარა).

**სუხუმლა//ხუმლაღალ(გ)** – 1. ინწირას მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა ლეშეროზიეში. მხოლოდ წვიმისას ჩამოედინება ქუანწყიდან (ჩქვალერი). რესპ.: „ხუმლა თიშენი რე, ართი ნყურგილს ვაძირგნსკ კოჩი“. რესპ.: „აქ სუ „სელი“ მოჰყავდათ, ახმოზდნენ, ძაფს ამზადებდნენ და ართავდნენ“. სავარაუდოა: **სუხუმლა** სქურხუმლა. ხუმლა „გამხმარი, მშრალი, უწყლო“. სხვა რესპ.: „აქ იდგა სხუმლა. აქედანაა წარმოქმნილი სუხუმლა“; 2. ღელე-ხევი, სქურდილას მარცხ. შენაკადი საქუთელიოში (ობუჯი). სუხუმლას ნაცვლად ალ. ლლონტი ასახელებს „სოხუმლა“ ფორმას: „სოხუმლაშ(ი) ტყა (მშრალი ღელის ტყე) — ტყე ობუჯში“ (ლლონტი, 1971, გვ. 89).

**სქვამაიაშ სუკი** – ბორცვი ნაციხარით ოლორ-ენგურის შესართავის შუაში, სოფლის ცენტრთან (ფახულანი). ამ ბორცვზე 1969-1970 წლებში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ძვ. წ. აღ. VII-VI სს-ის კერამიკის ნატეხები, აგრეთვე შუა და გვიანი ფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალა: ვერცხლის მოსართავი, რკინის ლურსმანი, კერამიკის ნამსხვრევები. ყოველივე აქედან კეთდება დასკვნა, რომ სქვამაიას ბორცვზე და ალბათ მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. VII-VI სს-ში წარმოქმნილა დასახლება. შუა ფეოდალურ ხანაში (XI-XIII სს-ში) აუგიათ ციხესიმაგრე და ეკლესია, ხოლო გვიან საუკუნეებში – ნახევარწრიული კოშკი და მინაშენი (გაბისონია, 2009, გვ. 21). დასახელებულია ტოპონიმის ვარიანტი — სქვამაია: „სქვამაია (ლამაზი) — გორა ფახულანში“ (ლლონტი, 1971, გვ. 89).

**სქვამაიაშ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, უჩა ღალის შესართავთან. სქვამაია არაჰამია ამ მორევთან ესახლა (ნალენჯიხა).

**სქვამაიაშ ფერდი** – ბორცვი ენგურსა და მდ. ოლორს შუა (ფახულანი).

**სქვამაშ ნაყუდუ** – დამონმებულია ადგილის სახელად 1913 წლის 5 აპრილს შედგენილ ხელწერილში, რომლითაც კალანდიებს ხარჩილავებისათვის მიუყიდათ „სქვამაიაშ ნაყუდუ“, რომელსაც ესაზღვრება აღმ-ით ონახუე, ხოლო დას-ით – გურა ღვინჯილიას ნახშირიანი ადგილი. საბუთს გავეცანი ბოჩო ხარჩილავას ოჯახში 1976 წელს. მაგრამ სახელწოდება ამ პერიოდში უკვე გამქრალი იყო. წინამდებარე ლექსიკონში ეს ტოპონიმი შეტანილია იმის საილუსტრაციოდ, რომ აგროონიმა უმეტესი ნაწილი ორი თაობის შემდეგ ქრება (ლესარჩილე).

**სქვამთხუმუ(ლ)ონი** „ლამაზი თხმელნარი“ – ერქვა თხმელის კორომს და შესასვენებელ ადგილს ნალენჯიხა-ზუგდიდის გზაზე. რესპ.: „აქვე მგზავრებს თავს ესხმოდნენ აბრაგები და ძარცვავდნენ“. შემდგომ აქ იყო ნალენჯიხის ჩაის მეურნეობის შესასვლელი



(ნალენჯიხა).

**სქვამიანწყუ** – ღელე, ფერდობი კაცხარაში, ოტოფუეს სათავესთან. სქვამია პირსახელია (მაზანდარა).

**სქვამსუკი** „ლამაზი გორა“ – ბორცვი სქურჩას მარჯვ. მხარეს, ლეჟაში. მეჯოგეფი სუკის აღმ. განშტოებაა. სქვამი „ლამაზი“ იმიტომაა, რომ ლამაზია და კონუსისებური თავი აქვს (ნაკიფუ).

**სქვამსუკიმ ღალ(გ)** – მცირე ღელე-ხევი. ჩამოედინება სქვამსუკიდან, ერთვის წყი-ონღალს და იქმნება ინორზენალალი (ნაკიფუ).

**სქვერიმ ნალოტკა** „შვლის ნალოკი“ – კლდეები. იგივე **ლასქვერა** (ჭალე).

**სქვერიმ ოლოტკუე** „შვლის სალოკი“ – კლდეები. იგივე **ლასქვერა** (ჭალე).

**სქვერმენჯი** „შვლის ვეძა“ – 1. ბელერწყარის მარცხ. შენაკადი კანთში. მოედინება ნაკარუდან (ლეთკანთი); 2. წყარო ოყაყალუს მარჯვ. ნაპირას. უნინ გუბურა ყოფილა. რესპ.: „ათენა ცოფე წყეთე დო საქონელი შუნსე თესე დო ათემა სქვერი ხოლო გილნოცვე მუჭოთ საქონელინე“ (ნაგურუ).

**სქინასქური/ს(ქ)ინესქური** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა, ფართო და ტყიანი. იწყება ზედა მაზანდარაში. რესპ.: „სქინესქურის ხეობაში გამოქვაბული იყო და ბავშვებს გვაშინებდნენ, იქ ტყაშ მაფა და ოჩოკოჩი ცხოვრობსო“. არაიშვიათი ვარიანტები: **სკინასქური, სკინესქური** (ნალენჯიხა, მაზანდარა).

**ს(ქ)ინესქური** – ღელე. იგივე **სქინასქური** (ნალენჯიხა, მაზანდარა).

**სქულუბური/სხულუბური** – ოლორის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. სათავეა წყარო გერასიმეს ეზოში. რესპ.: „ოხერი წყარი რე სქულუბური, დიდი ოშაყარუ უღუ. ჟილე ვაჯოხო სქულუბური, თუდო ჯოხო“. **ჟილე** „ზემოთ“, თუდო „ქვემოთ“ (ფახულანი). აღ. ღლონტის ლექსიკონში სქულუბური/სხულუბურის ნაცვლად შეტანილია **სკულუბური** (ღლონტი, 1971, გვ. 88).

**სქუნჩიმ ფართობი** – ჩაის ფართობი ჯვარზენში, ოფაჩხაფუსთან, ლეკერეს მარჯვ. ვაკე-მალლობზე (ჯვარი). სქუნჩი სამუშია აქვე ესახლა. სქუნჩი მეტსახელია. შდრ. აღ. ქობალია: „სქუნჩი – კუმტი, ჯმუხი, გულჩახვეული, ჩაფსკვნილი, მძლავრი“.

**სქუნჩიმ წყურგილი** – წყარო ოხარკალუში. სქუნჩი პირსახელია (ჯვარი).

**სქურდილა/სკურდილა/სქურდილაღალ(გ)** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა – ღრმა და ფართო, ტყიანი, მცირე-მცირე დასახლებებით. მდგენლებია **ქუაშკვერი** და **ს(ქ)უხუმლა**, რომლებიც ყოფილ ნალენჯიხის ჩაის მეურნეობაში იღებენ სათავეს (ობუჯი, ნალენჯიხა). რესპ.: „უნახავს სქურიდან მოსულ კაცს და უთქვამს, რა ტყით მდიდარი ადგილია. წყაროც მრავალგანააო. ამიტომ დარქმევია“. სოფ. ჭალეში მასწავლებელმა იოსებ შამუგიამ განმარტა: „სქურდილა ისეთი ადგილია, სადაც ტყეა და წყალი შეუნყვეტილვ ამოდის. ჩვენს სოფელში სქურდილებს ვერ იპოვი“. სკურდილა შეტანილია აღ. ღლონტის ლექსიკონშიც (ღლონტი, 1971, გვ. 88).

**სქურდილაენწერი** – ვაკე-ბორცვი სქურდილას მარჯვ. ნაპირას, მელტონიმ ღალსა და კუნტა ბარცხონას შუა (ობუჯი).

**სქურდილაღალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **სქურდილა** (ობუჯი, ნალენჯიხა).

**სქურდილაშ წყურგილი** – წყარო, ხეობა სქურდილაში, ლესარეს უბანში. ამ ხეობაში მრავალი წყაროა, მაგრამ მოსახლეობა ამ წყაროს ეტანება (ნალენჯიხა).

**სქური** – სამკურნალო მინერალური წყალი და კურორტი ჭანისწყლის ხეობაში, ჯგალიდან 5 კმ-ზე. იშვიათი ვარიანტი: **სკური** (სქურის სატყეო). სამ მხრივ შემოზღუდულია მთებით, ხოლო დასავლეთით, საითკენაც ჭანისწყალი გაედინება, ზემო სამეგრელოს ზეგანი ესაზღვრება. ამ ორი ოროგრაფიული ზონის საზღვარი იყო ორსართულიანი კოშკი. ამ კლდე-კედელს, რომელიც ეშვებოდა და ხეობას კეტავდა, ერქვა **ლაყორია**. საკუთრივ მინერალურ წყალს უნინ ეწოდებოდა **აბანო/მენჯი**. მას ჩაუდის **აბანოღალ(გ)** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. სქური აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ.). სქური სამეგრელოში გავრცელებული ოროგრაფულ-ჰიდროგრაფიული ნომენია და, როგორც ჩვენი მასალიდან ჩანს, აღნიშნავს ფართო

ტყიან-წყლიან ხეობას (იხ. დანვრილებით: ცხადაია, 1999, გვ. 100-103). მამანტი კვირტიას ვა-  
რაუდი **სქურ-** ჰიდრონომენის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით: საქართველოში მრავალი  
სქურია. „ისინი ყველანი დიდი მდინარეების შენაკადებია. შენაკადი ხომ განუყრელი ნაწი-  
ლია მდინარისა... და ამიტომაც იწოდებიან შვილისებურად (სქუალური სქური). ...მდი-  
ნარეთა შენაკადები, ღელეები მდინარეთა შობილებად, შვილებად, სქუა-სკუად იწოდება –  
სქუალურო, შვილისებურად. სხვანაირი ახსნა ამდენ სქურებს არა მგონია მოენახებოდეს“  
(კვირტია, 2001, გვ. 255-256). ლექსემა სქური//სკური სამეგრელოში 30-ზე მეტ ტოპონიმთან  
გვხვდება და ყველა შემთხვევაში აღნიშნავს ტყიან-წყლიან ხეობას. მაშასადამე,  
სქური//სკური ჰიდროგრაფიულ-ოროგრაფიული ნომენია. აღნიშნულ ლექსემასთან  
დაკავშირებით მ. ჩუხუას მონოგრაფიაში სათანადო მსჯელობის შემდეგ ასეთი დასკვნაა  
ჩამოყალიბებული: „ს.-ქართვე. \*სიმ-(ურ) „წყალი; მუავე წყალი“ ქართ. **სიმ-ურ-ი** : ზან.  
**სქ-ურ-ი** \*სქიმ-ურ-ი : სვან. სგიმ-//სკიმ-, სგიმრ „**სქიმ-ურ**. გამოყოფილი ს.-ქართვე.  
\*სიმ- „წყალი“ ძირი კანონზომიერად შეესატყვისება სხვა იბ.-კავკას. ენათა წყლის  
აღმნიშვნელ ფუძეებს...“ (ჩუხუა, 2002-2003, გვ. 199).




სქურის ეკლესია

სქური, როგორც ჩანს, თავის დროზე დიდი სოფელი ყოფილა ლაყორიის საყარაულო  
კოშკით, ქვითკირის გალავნით შემოსაზღვრული სიმაგრით, „ნოჯიხენით“ (დარჩენილია  
სათოფურები და სარკმლები, რაზეც აგრეთვე დანვრილებით მოგვითხრობს ს. მაკალა-  
თია). სქურის ეკლესიიდან მხოლოდ კედლებია შემორჩენილი. ამ კედლებზე, როგორც ე.  
თაყაიშვილი აღნიშნავს, წარწერა უნდა ყოფილიყო. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე შემორჩე-  
ნილ ციხესიმაგრეს და გალავნის ნაშთს თ. ბერაძე ათარილებს II-IV საუკუნეებით. იგივე  
ავტორი ვრცლად მოგვითხრობს სქურის მაცხოვრის შობის სახელობის მონასტერზე, რო-  
მელსაც აგრეთვე სხვადასხვა ეპოქით ათარილებენ (ზოგი IX-X, ზოგიც XIII-XIV საუკუნე-  
ებით). არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (1654 წ.) სქური სახელდებულია როგორც „სქურო-  
ლი“. 1639 წლის 26 ნოემბერს ცაიშელ ეპისკოპოსთან ერთად სქურის მაცხოვრის მონასტე-  
რი მოინახულეს რუსეთის ელჩებმა პ. ზახარაიევმა და ფ. ელჩინმა. ფრაგმენტი მათი აღწე-  
რიდან: „მონასტერში ქვით ნაგები ეკლესია დგას, რომელსაც ორი ჯვარი ამკობს: ერთი

ჯვარი ხისაა... ხოლო მეორე... – რკინისა“ (ელჩობა, 1888). ნალენჯიხაში დაბინავებულმა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმაც მოინახულა (1665 წელს) სქურის მონასტერი და დაგვიტოვა ცნობები მის შესახებ. აღნიშნული მონასტერი XVII ს-ის შემდგომ საისტორიო წყაროებში არ ჩანს (იხ. ჭითანავა, 2010, გვ. 352-358). აქვე უნდა აღინიშნოს: ლევან II დადიანის დაკვეთით 1652 წელს ერთ ხატ-ჯვარზე გაკეთებულ წარწერაში იკითხება: „მაცხოვარო ხატისაო სქურისაო“. სქურის ხეობის ადგილის სახელწოდებათა დიდი ნაწილი დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე.

ე. თაყაიშვილი და ს. მაკალათია ჯგალი-სქურის გზაზე პირველ სიმაგრედ ასახელებენ ცნობილ „ლაყორიას“ საყარაულო კოშკს, რომლის ნაშთიც არ დარჩა (იგი სამანქანო გზის მშენებლობამ შეინირა). სქურის სალოცავებთან და ციხესიმაგრეებთან დაკავშირებით იხ. ბერაძე, სგკ, II, 1967. P.S. მ. კვიციანი განმარტავს, რომ მასკური სკურის ხეობიდან მონაბერი ქარია. რესპ.: „მასკური, მასქური ზოგადად მთიდან ბარისაკენ მონაბერი საამო და გრილი ნიაჲა“ (იხ. აგრეთვე: ხარჩილავა, კურორტი სქური, 1965).

**სქურიშწყარი** — ღელე, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი კიკონიასა და გარამელას შუა (სქურის სატყეო).



**სქურჩა** ( სქურუჩა „შავი სქური“) – ეწოდება ორ პარალელურ მდინარეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში: 1. იქმნება ლეთკანთში ჩელალისა და ბელერწყარის შეერთებით. ერთვის ხობისწყალს ლენურნუმეში (ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი) აღმოსავლეთ სქურჩას შესართავიდან ქვემოთ ორიოდ კმ-ზე. ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის მცხოვრებნი უწოდებენ დასავლეთ სქურჩას (დასაზუსტებლად იტყვიან: **გალენსქურჩა** „გარეთა სქურჩა“ და **მაჟია სქურჩა** „მეორე სქურჩა“); 2. იქმნება ლაჩახვასა და ულურიანყარის შეერთებით ნაკიფუში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) და ჩაედინება ხობისწყალში მეორე ჯუმიტში (ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტი). დასაზუსტებლად იშვიათად იტყვიან: აღმოსავლეთი სქურჩა, პირველი სქურჩა, დინახალენი („შიგნითა“) სქურჩა.

**სქურჩაპიჯი** „სქურჩისპირი“ – ვაკე-სახნავი სქურჩას ჭალაში, საბელქანიოსუკის აღმ-ით. რამდენიმე ათეული ჰექტარია (ზუმი, ულურია).

**სქურჭალე** „სქურის ჭალა“ – მაგანას მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა ტყე-საძოვრებით. მოედინება სქურჭალეშდუდიდან (მაგანას სატყეო).

**სქურჭალეშდუდი** – მთა სქურჭალეს სათავესთან, სვანეთის საზღვარზე (მაგანის სატყეო).

**სქურხუმილა** – ლელე. იგივე ს(ქ)უხუმლა (წალენჯიხა, ობუჯი).

**ს(ქ)უხუმლა//სქურხუმილა//ხუმ(ლა)სქურდილა** – სქურდილას მარცხ. მდგენელი და მისი ტყიანი ხეობა. იწყება ლესარეში (წალენჯიხა, ობუჯი). რესპ.: „სქურდილაში მრავალი წყაროა. აქ კი ერთსაც ვერ ნახავ, უწყლოა, მშრალია, ამიტომაც ჰქვია ხუმლა „მშრალი“.

**სქერლალ(გ)** „მშრალლელე“ – 1. კინესქურის მარცხ. შენაკადი ლეცინდეში, ჯალირას საზღვართან (ნაკიფუ); 2. ლელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. გამოედინება კუნტა ფოქვადან (მედანი); 3. გარამელას შენაკადი. წყალი დის მხოლოდ წვიმის შემდეგ (სქურის სატყეო) და სხვ. **სქერლალ(გ)** ყველა შემთხვევაში არის მშრალი ლელე, სადაც წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე მიედინება.

**სქერლალ(გ)//გინალაფუშ ლალ(გ)** – მშრალი ლელე გვრძე სუკში. თუმცა ერთგან წყარო ჰქონდა და წყალი მუდამ მოედინებოდა, ლაკადას დამრეც ფერდობზე ჩამოჩქრიალებდა. სწორედ ამის ქვემოთ დაერქვა **გინალაფუშ ლალ(გ)** „გადასავარდნის ლელე“ (ნაკიფუ).

**სხვასხვისუკი** – ბორცვი, სალოცავი. იგივე ცხვაისუკი (ლეჯოლისხე).

**სხულ(ეფ)ურენი ოჩაიე** „მსხლებისკენ (მდებარე) საჩაიე“ – ჩაის ფართობი ლეფიფიეში (პ. ენერი). რესპ.: „უწინ აქ ორი ძირი მსხალი მდგარა და მაშინ დარქმევია“.

**სხული** „მსხალი“ – ბუჩქნარი ქორსუს ხეობაში, რაც ლეაბრალეშია, ჭოჭიმ ნოყუნისთან. რესპ.: „მსხალი დიდია და ამით გამოირჩევა. თანაც ნამყენია და არა ტყისა“ (ნაგურუ).

**სხულნატახა** „(გადა)ნატეხი მსხალი“ – დავაკება ჭყებრზენში (ნაშამგუ).

**სხულონა** „მსხალნარი“ – 1. სახნავი ჩხაპელკაში, ნაკარუსთან. აქა-იქ ტყის მსხალს დღესაც შეხვდები (ენერფერდი); 2. დავაკება ფერდობზე და ჩაის ფართობი საკაციოს უბანში (სამესხიო); 3. ფერდობი. იგივე სხუნელა (ჩქვალერი).

**სხულონამ მესხიეფი** – მიკროუბანი ჭაჭახთან. კონტექსტი: „სხულონამ მესხიეფი ხოლოს რე“ (ობუჯი).

**სხულტობა** – ქვაბული დიდი ტებენეს მარცხ. მხარეს (ფახულანი).

**სხულუბური** – ლელე-ხეობა, იგივე **სქულუბური** (ფახულანი).

**სხუნელა//სხუნოლა//სხულონა** – საძოვარი ფერდობები ლალხუმლას მარჯვ. ნაპირას, ლებალეს ზემოთ (ჩქვალერი). მსხალი ამჟამად აქ აღარ ჩანს. ტოპონიმური ვარიანტების ფონეტიკური გზა: **სხული** „მსხალი“ **სხულონა** „მსხალნარი“ **სხუნოლა** (ლ ნ მონაცვლეობა ჩვეულებრივია).

**სხუნოლა** – ფერდობი. იგივე **სხუნელა** (ფახულანი).

**ტაგუ ქარდაშ ნოხორი** – სოფლის ცენტრი, სადაც ტაგუ ქარდავას ნასახლარზე სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობის შენობები აუშენებიათ (პ. ენერი).

**ტაგუმ გინალეფი** „ტაგუს გადანავარდნი“ – ხრამი ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას. ტაგუ კვარაცხელია აქ წნელს ჭრიდა და გადავარდნილა. გადაარჩინეს (მაზანდარა).

**ტაგუმ ნაკარ(გ)** – ტყე-საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, კურორტ სქურის ტერიტორიაზე (სქურის სატყეო).

**ტაგუმ წყურგილი** – წყარო სუმღალის ტერიტორიაზე (პ. ენერი).

**ტაგუმ ხინჯი** – ერქვა ბონდის ხიდს ენგურზე. აქ ტაგუ აკობიას ბონდის ხიდი ჰქონია გამართული. იხ. ლაყორიამ ხინჯი (ლია).

**ტაიაშ დიხა** – ჩაის ფართობი ფერდობზე, წიფრონღალის ჩრდ-ით (ჯალირა).

**ტაიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სოფლის ჩრდ-აღმ. ნაწილში, მაღლობზე. ტაია კვარაცხელია, როგორც კი ამ მაღლობზე ჩაის გაშენება დაიწყო, მეზობლებთან ერთად ჭანისწყლისპირა ფერდობზე ჩამოსახლებულა (ჯალირა).

**ტაია შონიამ ნოხორი** – ნასახლარი ჭაშკარეში (ფახულანი).

**ტაიაშ რხენი** – ვაკე-საკარმიდამოები ოლორის მარჯვ. ნაპირას. ტაია ფიფიას ნასახლარია (ნაშამგუ).

**ტაიაშ ფერდი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ოტოფუეს ზემოთ, ბორცვზე (საჩინო).

**ტალარი** – მინდორი სადადიოში (წყოუში). რესპ.: „ტალარი ფართო მინდორია, სადაც ერთი ხეც არ დგას“. შდრ. ალ. ქობალია: „ტალარი – ტრიალი, დიდი მწვანე ველი; ნასვენნი, მიშვებული მინდორი“.

**ტანიშ ობონუე** „ტანსაბანი“ – მორევი ლაჩახვაზე, უჩა ქუას ჩრდ-ით. სოფელში ამორჩეული აქვთ საბანაოდ (ფუქი).

**ტანნოხორი//წანნოხორი** – ბორცვი საჭანიოში. რესპ.: „ბევრი ნასახლარი იყო და მათგან ესაა მთავარი“ (ულურია). შდრ.: ტანწყარი – მდინარის მთავარი დინება.

**ტარასიშ გოჭოფილი** – ტყე-ბუჩქნარი ბორცვზე, სოფლის ცენტრის დას-ით (ქალაღალი). **გოჭოფილი** „შემოკავებული, შემოღობილი“.

**ტარასიშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ენგურის მარჯვ. ნაპირას, ფაშტახირთან (ხუდონის სატყეო).

**ტარაშ ნოხორი** – საბალახო ოტურეში, ჩელალის მარცხ. ნაპირას. ტარა ტარასი (ნაგურუ).

**ტარშია** – ღელე-ხეობა. იგივე ტარჩია (სამესხიო).

**ტარჩია//ტარშია** – ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი ჯიხაშკარში, აქვს ღრმა და ფართო ხეობა (ზუგდიდის რ.). იწყება ყოფილი წალენჯიხის ჩაის მეურნეობის საზღვართან (სამესხიო). რესპ.: „ტარჩია რას ნიშნავს არ ვიცი, მაგრამ მეგრულში ჩია წყლის გადასხმას გულისხმობს“.

**ტარჩიაშდუდი** – ბორცვი ტარჩიას სათავესთან (სამესხიო).

**ტასიაშ ნოხორ(ე)ი** – ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ოტოფუეს მარცხ. მხარეს, მაცხოვრის ეკლესიის აღმ-ით. რესპ.: „ტასია ქვრივი, მარტოხელა ქალი ყოფილა. მზითვად მოჰყოლია თვალთვაძეს – წალენჯიხელ აზნაურს, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ადგილები. გათხოვებულა, გვარად ბელქანიას შეურთავს, რათა ომში არ წაეყვანათ. ბოლოს დაქვრივებული ქალი უდაბურ ხევში ჩასახლებულა, ადამიანს ვერ ენყობოდა. შინაური ცხოველები და ფრინველები მრავლად ჰყოლია“ (წალენჯიხა).

**ტატიშ ნოხორი** – სახნავი ბორცვზე, ლემორგოშიეში. ქვრივი ქალი ტატი აქ ესახლა და მოგვიანებით დაბლა ჩავიდა საცხოვრებლად (ნაგურუ).

**ტატუაშ ნაკარუ** – მინდორი, დავაკება ოხაჩქუეს აღმ. კალთაზე, ჯაკონიასა და შემრამ ნაშვანდს შუა (ჭალეს სატყეო). ტატუას (კაცის სახელია) აქ ჰქონია კარე — მწყემსთა საზაფხულო სადგომი.

**ტატუშ ლალ(გ)** – ღელე, სკურეფიას მარჯვ. შენაკადი. მოედინება ენწერიდან (საჩინო).

**ტაფა** – 1. სალი კლდე ფურაშის საზღვართან (ფოცხოენერი); 2. კლდე ეცის ხეობაში (ხუდონის სატყეო) და სხვ.

**ტაფა//ტაფაქუა** – საძოვარი მაგანას მარჯვ. მხარეს, ეგრისის ქედის სამხრ. კალთაზე. აქ, ნიფონასა და ფართოლალიშდუდს შუა, ერთგან ფართო ქვა დევს. მის ქვეშ მცირე მღვიმეა. რესპ.: „ტაფას ბრტყელ, სწორზედაპირიან და ფართო ქვაზე იტყვიან“ (მაგანას სატყეო). შდრ. ალ. ქობალია: „**ტაფე** – ტაფა; **ტაფი** – ტაფობი, ბრტყელი, სწორი ადგილი“.

**ტაფაქუა** „ბრტყელი ქვა“ – 1. ბრტყელი ქვა, დასასვენებელი ადგილი ბოგაშში, მთის გზაზე (მედანი); 2. ფართო ქვა-ლოდი ქანისწყლის მარჯვ. ნაპირას, კურორტ სქურის დასით (სქურის სატყეო); 3. საძოვარი. იგივე **ტაფა** (მაგანას სატყეო) და სხვ.

**ტაფაშდული** – მწვერვალი ეგრისის ქედზე, მაგანასა და ხაიშურას წყალგამყოფზე (მაგანას სატყეო).

**ტაციაშ ნოხორი** – ნასახლარი ლუღერაში, ქვაბიშის გვერდით (ნაკიფუ).

**ტახილი//ტახილი ლეხარჩილე** – სოფლის კუთხე, ონახუეს ხეობა და მიმდებარე ადგილები, დახრამული და ოღრო-ჩორლო. ცხოვრობს 40-ოდე ოჯახი. **ტახილი** – უსწორმასწორო, ოღრო-ჩორლო, ამტვრეულ-დამტვრეული. ტახილს ახალგატეხილ (პირველად მოხნულ, ე.ი. ყამირ) მიწაზეც იტყვიან (ლეხარჩილე). შდრ. ალ. ქობალია: „**ტახილი** – გატეხილი (ახო); ტეხილი, მიხვეულ-მოხვეული (გზა)“.

**ტახილი ლეხარჩილე** – სოფლის კუთხე. იგივე ტახილი. აქაურებს ეწოდებათ ტახილარეფი (ლეხარჩილე).

**ტაჰერიშ ნაკარუ** – საბალახო ბასილიაში, სადაც ტაჰერს ჰქონია „კარე“. აქვე მდგარა ვაშლი „ტაჰერიშ უშქური“, რომლის ძირას ყოფილა წყარო „ტაჰერიშ წყურგილი“ (ფახულანი).

**ტაჰერიშ ნოსქე** – დავაკება ოჯოლორელალის მარცხ. ფერდობზე, სადაც ტაჰერს ედგა ოსქე „სალორე“ (ფახულანი).

**ტაჰერიშ უშქური** – ვაშლის ხე ბასილიაში, ტაჰერიშ ნაკარუსთან. ამ ვაშლის ძირიდან გამოედინება ტაჰერიშ წყურგილი (ფახულანი).

**ტაჰერიშ წყურგილი** – წყარო ტაჰერის ნაკარუსთან, კილის სათავე (ფახულანი).

**ტებენა** – ოლორის ორი მარჯვენა შენაკადი. იხ. ტებენე (ფახულანი, მუჟავა).

**ტებენე//ტებენა** – ოლორის ორი მარჯვენა შენაკადი, რომლებიც პარალელურად, ერთმანეთისგან 1.5 – 2 კმ დაშორებით მიედინება. ორივე იწყება ნაშამგუში და ორივე ერთვის ოლორს ფახულანში. გასარჩევად იტყვიან: 1. **დიდი ტებენე//ლანჯიშიშ ტებენე** (სიგრძე – 5 კმ.). ერთვის ოლორს ლეკუკეში (ფახულანი); 2. **ჭიჭე ტებენე//ტვეფიშ ტებენე**. ერთვის ოლორს ლიაკობესთან (ნაშამგუ, ეწერფერდი). 1962-1982 წლებში ტებენე ერქვა ენგურჰესის მშენებელთა ერთ მცირე დასახლებასაც დიდი ტებენეს სათავესთან (მუჟავა). ხალხური ეტიმოლოგია: „რომელიღაც სოფელს დასცემიან ყურსალები და ტყვეები აქ დაუმწყვდევიან, მაგრამ ისინი „ნტებენა“ (ე.ი. გაქცეულან). ამიტომ დარქმევია“. სხვა რესპ.: „თურქებს სოფლის გაძარცვა სდომებიათ. ადგილობრივებს ისეთი წინააღმდეგობა გაუწევიათ, რომ თავდამსხმელები ნტებენა“ (ე.ი. „გაქცეულან“). სინამდვილეში ამოსავალია ტები (იხ.). **-ენა** ამ შემთხვევაში ცვლის **-ონა** სუფიქსს. შდრ. ალ. ქობალია: „**ტებენე//ტებენი** – ტყიანი, ჩაბნელებული ადგილი; მზემდეგი ტევრი; ჩაქცეული, ნესტიანი ადგილი“, ტებენის მარჯვენა და მარცხენა ნაპირას მინდვრებია: **თადაშ ნოხორი, კონდრატეშ ნოხორი, მახაზიშ ნოხორი**. შდრ.: ალ. ლლონტის ლექსიკონში მდინარეს ეწოდება არა ტებენე//ტებენა, არამედ **ტებენეშ(ი) წყარი** (ტებენეს წყალი) — ლელე ჭალეში (ლლონტი, 1971, გვ. 90).

**ტებენეშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ფერდობზე, ლანჯიშიში (ფახულანი).

**ტებენეშ ტობა** – მორევი ტებენე-ოლორის შესართავთან (ჭალე).

**ტებენეშ წყურგილი** – წყარო ლანჯიშიში, ტებენეს მარჯვ. ნაპირას (ფახულანი).

**ტები** „ტევრი. ხშირი ტყე“ – 1. ტყე ულურიანყარის მარჯვ. მხარეს (ულურია); 2. ტყე-ხევი ხუნჯგუში (ნაკიფუ). რესპ.: „ტები ხშირი ტყეა, დიდრონი ხეებით, მაღალ ადგილებში უფრო იცის. იზრდება წიფელი, რცხილა, მუხა, თელა, ცაცხვი, ნაბლი“. ო. ქაჯაია: „**ტები** –

ტევრი; ხშირი ტყე; უღრანი. ალ. ქობალია: „**ტები** – დიდი ტევრი; დიდი ტყე; ჩერო“ (რა ოქმა უნდა: ქართ. ტევრი „ხშირი დაბურული ტყე“ მეგრ. **ტები**. ქველ-ში წარმოდგენილია მხოლოდ ქართ. **ტევრი** : სვან. ტაჭრ: ქველ (2000, გვ. 410). ტები მეგრულში ფართოდ გავრცელებული ტოპოლექსემაა.

**ტერენტის მწვერვალი** — მწვერვალი ჭითაგვალაში. დაარქვეს მთამსვლელებმა ტერენტი გრანელის პატივსაცემად (სქურის სატყეო).

**ტერენტიშ დისა** — თხმელნარი ლეარდიეში, ძუკაშ ღალის სათავესთან (კუხეში).

**ტერენტიშ მინაძახებუ** „ტერენტის გადასაძახებელი“ — მცირე მინდორი ყარაშ სუკზე, ოხვილიშის მარცხ. მხარეს. ტერენტი მარჯვ. მხარის გორაზე ერთადერთი მოსახლე იყო და შეიძლებოდა გადასაძახება — ხმის მიწვდენა. **მინაძახებუ** ნიშნავს: „გადასაძახებელი (ადგილი), ხმის მისაწვდენი“. ტერენტის მამას ერქვა გუსარი. ვარიანტი: **გუსარიშ მინაძახებუსაც** უწოდებენ (ფახულანი).

**ტერენტიშ რხენი** — ვაკე-მინდორი ხურჩას მარჯვ. ნაპირას (კუხეში).

**ტეფი** — უნაგირა სერი ფურაშში, ბარბალაშა და ლეგვეშარას შუა (ხუდონის სატყეო). ტეფი არის ხის ქერქი (ნაბლისა, ფიჭვისა...) ან ნათალი ფიცარი, რომელსაც დროებითი ნაგებობის გადასახურავად იყენებდნენ და ამ სერის ტყიდან გაჰქონდათ. რესპ.: „ჭუბურში ტყეების მიღანა დო სკას მგნაფორანა. თინა რე ტეფი“ (შდრ. ტეფიშკარე). შდრ.: ო. ქაჯაია: „**ტეფი** — ხის კანი, რომელსაც ძველად გასანათებლად იყენებდნენ“; ალ. ქობალია: „ტეფი — ხის ქერქი; ბრტყელი რამე, ტერფი“. უფრო ზუსტი ჩანს აკ. ჭანტურიას განმარტება: „ტეფი არის „ნათალი ფიცარი“, გინართუაფალი, ყამბარი რე ნწყუმილი“.

**ტეფიშკარე** — 1. საძოვარი ლანჯიშში, ტებენეს მარცხ. მხარეს. რესპ.: „ტეფით რდუ გინორთვილი კარე. ტეფი ჯოხო ნათოლა ფიცარს დო ვარა ნანწყემა ყამბარს“ (ფახულანი); 2. მინდორი ნისქვილარას ზემოთში (სქურის სატყეო). შდრ. ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას განმარტებანი.

**ტვეფი** „ტიტველი ადგილი“ — 1. ტყე-ხეობა ჭიჭე ტებენეს მარჯვ. მხარეს, ფარცხვანღალის პარალელურად (ნაშამგუ); 2. ტყე-ფერდობები ეცის მარცხ. მხარეს, კახრასა და ბერიქედს შუა (ხუდონის სატყეო). შდრ. ო. ქაჯაია: „**ტვეფე**, **ტვეფერე** — მოტიტველებული, უთმო (თავი)“; ალ. ქობალია: „**ტვეფერე** — დიდთავა, დიდშუბლა“; „**ტვეფია** — ტვიფარი, ბრტყელი (ფიცარი)“.

**ტვეფიშ ტებენე** — ღელე, ოლორის შენაკადი. იგივე **ჭიჭე ტებენე** (ნაშამგუ, ენერფერდი).

**ტვირიშ ტომბა** — ნამორევალი უჩაღალზე. რესპ.: „დარანი ჰქონდა და იცოდა ჩე ჩხომი, ანუ „უგვარო“ (ქორჭილა), წვერენდი (წვერა), უჩა ჩხომი, ანუ ღორჯო. ტვირი სამუშია ამ მორევთან ესახლა და თევზაობდა“ (პალური).

**ტიოზი** — 1. ფართო მინდორი ნოლიმერის ხეობაში (სქურის სატყეო); 2. სახნავი, იგივე ნაჭაჭე (ჯვარი, ლეშამუგე). რესპ.: „**ტიოზი** თავისთავადაც ნიშნავს ფართო მინდორს“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ტიოზი** — უდაბნო; ტრიალი მინდორი“; ალ. ქობალია: „**ტიოზი** — ტიალი, ტრიალი, შიშველი (მინდორი)“.

**ტიტოუშ ღალ(გ)** — ღელე, ფშქერღალის შენაკადი ზემო ნელზე. ტიტოუ გვარად გოგონია იყო (ფახულანი).

**ტკვა** „კიბე“ — კლდე ნაკაკაში, ოლორის მარცხ. მხარეს, ლეხელესა და ოჩხარჩხალაიას შუა. წარმოადგენს ქვის ბუნებრივ კიბეს, სადაც გადის საცალფეხო გზა ტკვამ მიკალ(გ) „კიბის გასასვლელი“ (ჭველე).

**ტკვალერი** — ბორცვი ჯიხაფერდსა და ჭანისწყალს შუა, უჩაღალის სათავესთან (მედანი). დასაშვებია: ტკვარტკვალერი „მომწვარი“ ტკვალერი. ალ. ქობალია: „**ტკვარტკვალერი** — დამწვარ-დანახშირებული“.

**ტკვამ მიკალ(გ)** — საცალფეხო ბილიკი კლდეზე. იხ. ტკვა (ჭველე).

**ტკიბრა//ტკიბრაღალ(გ)** — მოროჟას მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება გვაჭკადან და გაივლის ლეკაკალეს. მიედინება დაბურულ ხეობაში (ჩქვალერი).

**ტკიბრაღალ(გ)** — ღელე. იგივე **ტკიბრა** (ჩქვალერი).



**ტკილი** – კლდე. იგივე **მოხილი** (ჯალირა).

**ტკილკაკილი** „ნაკოდი კლდე“ – კლდე ნორსელიასა და ჯიხატყას შუა, ჭიჭე ლეგერ-დეში. სალ კლდეზე საფეხურები იყო ამოკოდილი. ახლა აქ გადის საცხენო გზა ფახულანი-საკენ (ქალაღალი). ტკილი არის მერგელის ქანი: კლდე-ფიქალი ან ნაშალი. გამოიყენებენ მინის გასანოყიერებლად (უფრო ვრცლად: ალ. ქობალია, 2000, გვ. 603).

**ტკილკვლაკვათილი** – კლდე და მორევი. იგივე მიკოკაკილი (ლეკაკულე).

**ტკილმიკოკაკილი** „კლდე დაჭდევებული“ – კლდე. იგივე **მიკოკაკილი** (ლესალე).

**ტკილმკოტახილი** „მომტვრეული კლდე“ – კლდე ლეაბრალეში, ინგრას მარცხ. ნაპირას. გზის გაყვანისას ლალუმით მოუნგრევიათ (ნაგურუ).

**ტკილნატახა** – 1. კლდე-ფერდობი ტახილში, ონახუეს მარჯვ. მხარეს, სადაც უნინ ტკილს, ანუ მერგელის ქანს, ამტვრევდნენ ყანაში შესატანად. მზე და წვიმა შლიდა და ეს ნაშალი მინას ანოყიერებდა (ლენარჩილე); 2. მორევი ჭანისწყალზე, კლდის ძირას. სანის-ქვილე არხის გაჭრისას ეს კლდე ჩამოუმტვრევიათ. ვარ.: **ტკილტობა** (ობუჯი) და სხვ. ნატახა „(მო)ნამტვრევი“. სამეგრელოში უძველესი დროიდანვე „ნაკელთან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებენ დატორფიანებულ მინას, რომელსაც აქ ტკილს უწოდებენ. ტკილ-მოყრილი ნიადაგები დიდხანს ინახავენ სინოყიერეს... დატკილული მინა 15-20 წელიწადს მაღალ მოსავალს იძლეოდა“ (ჯალაბაძე, 1990, გვ. 71).

**ტკილონი** „ტკილიანი“ – 1. ლოდნარი ფერდობი საფიფიოში, ლაფთარას მარცხ. მხარეს (ობუჯი); 2. ფერდობი ლეკვირკვიეში, ნონყარენტან. სწორედ აქაა მინისქვეშა ღრმული, საიდანაც ამოდის პანეშონაშ ლალ(გ) (საჩინო) და სხვ. როგორც ჩანს, ტკილი იგივე მერგელია, ე.ი. მთის კარბონატული ქანი.

**ტკილონია** – მცირე კლდე ბულგასა და ჟინრზენს შუა (ნაშამგუ).

**ტკილტობა** – მორევი კლდის ძირას. იგივე **ტკილნატახა** (ობუჯი).

**ტკილლალ(გ)** – ომუნჩქველალის შენაკადი ტობეშში. ჩამოედინება კლდე-ფერდობიდან (ფახულანი).

**ტკუცი//ოტურე** – ტყე ოყაყალუს მარჯვ. მხარეს (ნაგურუ). რესპ.: „ტკუცი გაუვალი ეკალ-ბარდია, ტურის მეტი ვერაფერი შეაღწევს“. ო. ქაჯაია: „**ტკუცი** – ძეძვი“. ალ. ქობალია: „**ტკუცი** – ტკუც-ტკუცი, შეტკუცებული, ხშირი (შამბნარი, ტყე), გაუვალი ჯაგნარი“. სხვა რესპ.: „ტკუცი რე ბარცხი, ძეგერი, კაკლარი, იბლი, ართო არტყაფილი. თექი ირი მეტრის ომანე რე, ტურაშ მეტის მუთუნს ვემშართე“.

**ტობა** – 1. ხევი ენწერში. რესპ.: „გვარიანი დიხა რე ინოკნელი, სორო ინოძე სქვამას ენწერას. ტომბა ითქუე წყარიშე დო დიხაშე“ (ნაგურუ); 2. ვაკე-ქვაბული ჟინეკვეში. რესპ.: „ტომ(ბ)ა რე ინოკნელი ადგილი დო სუკი რე ეკნელი ადგილი“. აქ ძვლები და კაჟის იარაღებია ნაპოვნი (ფახულანი) და სხვ. ტობა სიტყვას მეგრულში აქვს როგორც ჰიდროგრაფიული (ტბა, მორევი, ღრმა წყალი), ისე ოროგრაფიული (ტაფობი, ქვაბული, ფართო ჩავარდნილი ადგილი) სემანტიკა.

**ტობა//ტობაში//შამუგეიფიშ ტობა** – ღრმა ტაფობი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, ბულგას ქვემოთ. აქ რამდენიმე კომლი ცხოვრობს (ნაშამგუ).

**ტობავარჩილი** – მყინვარული ტბა ჭითაგვალას დას. კალთაზე, საიდანაც ტბისძირა გვირაბით გაედინება **ნაშხურწყარი** – მაგანას მთავარი მდგენელი (მაგანას სატყეო). შენიშვნა: ა. ტობავარჩილის სიმაღლე ქსე-ს მე-4 ტომის მიხედვით (გვ. 26) არის 2643 მ., ხოლო მე-10 ტომის მიხედვით (გვ. 7) – 2650 მ. (რომელი ინფორმაციაა უფრო სწორი?); ბ. ტობავარჩილი ჭითაგვალას მწვერვალზეა? აკ. ჭანტურია ასახელებს ვარიანტს „ტომბა ვარჩილი“. ამასთანავე, მოიშველიებს რესპოდენტ აკაკი ეგუტიას განმარტებას: ტომბა ვარჩილი დარქმევია იმიტომ, რომ „წყალი ვერცხლისფერია და ვერცხლივით ეღვარებს“ (ჭანტურია, 1989, გვ. 189-191). რესპ.: „ტობავარჩილი ვერცხლივით ტბაა, შაბიამნისფერი. ღმერთის წყალია, სუფთა და კამკამა, ცივი. რამე რომ ჩააგდო, ან ხელპირი ჩაიბანო, ატყდება ჭექა-ქუხილი და აუცილებლად ინვიმებს“. ალ. ქობალია: „**ტობავარჩილი** – კამკამა, ვერცხლისფერი ტბა“. სხვათაშორის: ეს ტობავარჩილი მოიხსენიება აგრეთვე როგორც დიდი ტობავარჩილი. საქმე ისაა, რომ ჭიჭე

ტობავარჩხილი უწოდეს ოხოჯეს ტბას, რომელიც მდებარეობს ამ (დიდი) ტობავარჩხილიდან 2,5კმ-ზე, ჩხორონყუს რ-ნში, ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვართან. ტობავარჩხილი „ტბავერცხლი“ კიდევ რამდენიმეა სამეგრელოსა და სამურზაყანოში. ფახულანში დაბადებული პოეტის, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ვლადიმერ უბილაგას კალამს ეკუთვნის პოემა „ტობავარჩხილი“ (იგულისხმება აფხაზეთ-დაღის ხეობის გამყოფ ქედზე). იხ. აგრეთვე: ი. ყიფშიძე „ტობავარჩხილი“ (1994, გვ. 533).

**ტობა(ნ)ნე//ტობაონნე** – საბანაო მორევი ინწირაზე, ჰესთან, ვინრო ქვიანი კალაპოტის ძირას (ჩქვალერი). როგორც ჩანს, ტობაონნე ტობაონნე „ვინრო მორევი“. მეგრ. ონნე იგივეა, რაც აკვანი და, როგორც მეტაფორული ოროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს კანიონს, ქვიან ვინრობს. შდრ. ონნე ალ. ქობალიას ლექსიკონში: „ონნე – „სარწველა... აკვანი“. იხ. ონნე(ი)ში.

**ტობაუჩა//უჩა ტობა** „შავი მორევი“ – მორევი ინწირას ზემოთში. ღრმა და ამიტომ შავად ჩანს (ჯვარის სატყეო).

**ტობა(ში)** – ჩავარდნილი სივრცე, სადაც შამუგიების რამდენიმე კომლი ცხოვრობს (მუჟავა).

**ტობაში** – ღრმა ტაფობი. იგივე **ტობა** (ნაშამგუ).

**ტობეში** – 1. ყოფილი უბანი, ჩავარდნილი ვაკე სახნავ-სათესებით ომუნჩქვედაღის (ოლორის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში (ფახულანი); 2. ტაფობი, ტყე-საძოვარი ლაკადას თავზე, ხუმლალაღის (ინწირას მარცხ. შენაკადი) სათავესთან. მთაში მიმავალი მწყემსები ერთ ღამეს აქ აჩერებდნენ საქონელს. აქვეა **ტობეშიმ მიოხვამუ** – წიფლის ხე, რომელსაც კვერს და სანთელს სწირავდნენ და ღმერთს საქონლის დაცვა-გამრავლებას სთხოვდნენ მთისკენ მიმავალი მწყემსები. ისინი აქ 2-3 დღით ჩერდებოდნენ (ნაგურუ). იხ. მიოხვამუ//ტობეშიმ მიოხვამუ.

**ტობეშიმ მიოხვამუ** – სალოცავი ადგილი ტობეშიში. იგივე **მიოხვამუ** (ნაგურუ). იხ. აგრეთვე: ტობეში.

**ტოტიაშ მამულონი** – ბორცვი საარქანიოში, მახასქურის აღმ-ით (მუჟავა). იხ. მამული.

**ტოტიაშ ნოხორი** – ტყიანი ბორცვი ულურიასა და ჯუმითის (ჩხორონყუს მუნიციპალიტეტი) საზღვართან, აღმ-ითაა ღოშქუა, ხოლო დას-ით – ლაჩახვა. აქ ესახლა ტოტია ბელქანია (ულურია).

**ტოტოშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, სოფლის ჩრდ. ნაწილში. ტოტო კვარაცხელია ესახლა ამ მორევთან, ჰპატრონობდა მას და თევზსაც კი არავის აჭერინებდა აქ (ჯგა-ლი).

**ტოჩიშ ნანისქვილ(გ)** – დავაკება ლეარსანეს ნაპირას, ყოფილ ნალენჯიხის ჩაის მეურნეობაში (ნალენჯიხა).

**ტოჩიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი სახარჩილოში და ღელე გორტყილის სათავესთან. ტოჩი ხარჩილავას ნასახლარია (ნალენჯიხა).

**ტრაბზონი** – ფართო მინდორი. იხ. ხულ(ო)უცვა (ფახულანი).

**ტრანშია//ჯარვამ ნოხორი** – ფერდობი გუჩარეს მარჯვ. მხარეს, სადაც ჩაი გააშენეს ტერასებად. მანამდე ამ ადგილს ერქვა **ჯარვამ ნოხორი** (მუჟავა). რუს. траншея ქართ. ტრანშეა, მეგრ. ტრანშია. ჩაიმ ვერ იხეირა.

**ტრიფოშ ნადიხ(გ)** – ტყე-ბუჩქნარი ნარსის ფერდობზე, ყალმურას მარცხ. ნაპირას (კუხეში).

**ტუნგონა** – ბუჩქნარი ლაგვილალაღის ხეობის ზემო ნაწილში (სამესხიო); 2. ტუნგის ნარგავები ბორცვ ღუდამგაზე (საჩინო). იხ. ოტუნგონი, ოტუნგონა.

**ტუნგონი** – ფერდობი კაცხარასთან, სადაც XX ს. ოცდაათიან წლებში ტუნგი გაუშენებიათ (მედანი).

**ტურაშ ომანე** „ტურის ბუნაგი“ – ბორცვი, ტყით დაფარული, წყუშღალის მარჯვ. ნაპირას, ლესალეს უბანში (ლესალე).

**ტურამ ომანემ ლალ(გ)** – ღელე, წყუმღალის მარჯვ. შენაკადი ლესალეს უბანში. მოედინება ბორცვ ტურამ ომანედან (ლესალე).

**ტურუმ ოლაკაციე** – ბუჩქნარი ჯალრალალის ნაპირას, ნაფაცხურუს ჩრდ-ით. ლაკაცია „აკაცია“ ოლაკაციე „აკაციის ტყე“. ტურუმ მამაკაცის სახელია (ჯალირა).

**ტუტუიამ ნოცუნე** – ბუჩქნარი კანთში, ლაკადასა და თარზენის საზღვარზე. ტუტუია მამაკაცის სახელია. ოცუნე „საყანე“ ნოცუნე „ნაყანევი“.

**ტულულონი** – ფართო და არა ღრმა ვაკე-ხეობა ლაჩახვას მარცხ. მხარეს, სალუკას ბორცვსა და ჯეგეფაცხას შუა, ჩაედინება ლაჩახვაში (ფუქი). რესპონდენტმა სახელწოდების მოტივაციაზე ვერაფერი თქვა, მაგრამ ის კი აღნიშნა, რომ ამ ადგილის სახელის არდავინწყების მიზნით თავის შვილს დაარქვა ტულუ. შდრ. ალ. ქობალია: „**ტულუ, ტულია** – ჩაფსკენილი, ჩაბუსკნული“.

**ტულუმ ნოხორი** – სახნავი. იგივე **ნამალაზ(გ)** (ნაგურუ).

**ტუჩიგესი//ტუჩიჰესი** – ერქვა 100 კილოვატიან ჰესს, რომელიც ტუჩი კვარაცხელიამ 1950 წელს ააშენა მდ. ჭანისწყალზე (სქურის სატყეო).

**ტუჩიჰესი** – მცირე ჰესი. იგივე ტუჩიგესი (სქურის სატყეო).

**ტუჩიმ ნაპრისტან(გ)** – ყოფილი ბაქანი სქურის სატყეოში. ტუჩი კვარაცხელია ხეტყის დამზადების უფროსი იყო (სქურის სატყეო). „ნავმისადგომი“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს ბაქანს, საიდანაც მანქანას ტვირთავენ.

**ტყაბედინერი** „ბედინერი ტყე“ – ტყე ენგურის მარჯვ. მხარეს, ეცის შესართავის ჩრდ-ით (ხუდონის სატყეო). რესპ. „ხის ფულუროები სავსე იყო თაფლის ფიჭებით. სწორედ ამ ხეთა ქვეშ ტარდებოდა ფუტკრის ღვთაება „ჯგერაგუს“, ანუ ნმ. აგუნას, თაყვანისცემის რიტუალი. ამიტომ იყო ტყე სასარგებლო და ბედინერი“. შდრ. ალ. ქობალია: „**ტყაბედინერი** – ხატის ტყე, ნაკრძალი“. გადმოცემა: ახალწლის მეორე დღეს (ე.ი. ფერხობას), დილით, ენგურის პირას, ერთ-ერთი ხის ქვეშ, ფუტკრის ღვთაება „ჯგირაგუს“, ე.ი. ნმ. აგუნას, თაყვანისცემა ტარდებოდა. ახლო-მახლო მცხოვრებნი აქ ლოცულობდნენ ენგურისპირას, ფაშტახირის დავაკებაზე, მლოცველებს მიჰქონდათ მწარე კვახი და მწვანე ხაპი. მათზე აანთებდნენ სანთლებს... უხუცესი სთხოვდა ენგურს, ზიანი არ მოეტანა... შემდეგ სანთლებიან გოგრა-მწარეს წყალს გაატანდნენ (იხ. სამუშია, 1990, მე-8 თავის ქვეთავი „წყალღვთაებისა და ხელღვთაების კულტი ეგრისში“).

**ტყაპა** – ვაკე-ლენჭყოზი ფუისქურის მარცხ. ნაპირას. რკალივითაა შეჭრილი ფერდობში (ლეკაკულე). რესპ.: 1. „აქ ესახლნენ ტყაპავები. მათს ნასახლარს მოსწრებიან, ყურძნის ძველი ჯიში იყო შემორჩენილი“; 2. „მართლაც ტყაპაა, ლენჭყიანი ადგილი, სველი“. ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს.

**ტყანიფონა** – ტყე-ნიფლნარი გარამელას სათავესთან (სქურის სატყეო). შდრ. შუ-შელ-ნიფონა.

**ტყვიში** – ერქვა უბანს ენგურის მარცხ. ნაპირის ტერასზე, ტყვიშიმ ლალის შესართავთან, ხუდონიდან ჩრდ-ით 2,5 კმ-ზე (მაგანას სატყეო). სემანტიკა და მოტივაცია ვერ დადგინდა.

**ტყვიშიმ ლალ(გ)** – ღელე, ენგურის მარცხ. შენაკადი ტყვიშთან. მოედინება თეკანაშიდან (მაგანას სატყეო).

**ტებლალ(გ)** „თბილი ღელე“ – ერქვა მცირე ღელეს, ინწირას მარჯვ. შენაკადს ნაჯიხთან. შემდგომში აქ არხი გაჭრეს და ღელეც დაიკარგა, ხოლო ამ არხს ნანაიორა(ღალე) დაერქვა. იგი მიედინება ვიწრო კალაპოტში და ისევ ინწირას ერთვის. რესპ.: „ნანაიორა ნიშნენს აკნაშაყარა წყარს“ (საჩინო).

## – უ –

**უბადო ეკოლ(გ)** „ავბედითი აღმართი“ – კლდე ჯალრალალისა და ჯვარამლალის შესართავთან, სადაც უწინ ცხენიანი კაციც კი ადიოდა. მაგრამ ამჟამად ამ საცალფეხო გზაზე კაცს ასვლა უჭირს: ფერდობი მთლიანად ჩამოიშალა (ჯალირა). ო. ქაჯაია: „**უბადო**

– ავი, ცუდი, უბედური, უგვანი, ბოროტი“; ალ. ქობალია: „**უბადო** – ბედითი, ავბედი, უბადური; ბოროტი, უბედური“.

**უბადო მიკოლ(გ)** „ავბედითი, საფათერაკო გასასვლელი (კლდეზე)“ – 1. ნაგზაური უბადოლალის მარცხ. მხარეს, კლდოვანი კანიონის თავზე (უბადოლალი); 2. კლდე-ფერდობი სქურჩას მარჯვ. ნაპირას, ნაკიფუსა და ულურჩას საზღვარზე. ამ კლდეზე გადის ულურჩა-ნაკიფუს საცალფეხო გზა. კლდის ძირას კი მორევია. რესპ.: „გადის საცალფეხო გზა ულურიდან ლეჩასა და ხუნჯგუშში: ქვემოთ სქურჩას მორევია, ზემოთ – კლდე. უბადოა, აბა რა არის უბადო მიკოლ(გ)“ (ნაკიფუ, ულურჩა); 3. ფერდობი. იგივე ნახინჯა (ნაგურუ) და სხვ.

**უბადო მიკოლგში ღალ(გ)** – ღელე, სქურჩას შენაკადი (ნაკიფუ).

**უბადოლალ(ი)** „ავი ღელე“ – ერქვა ხეობასა და სოფელს ფახულანის თემში. 1970 წელს აქ ცხოვრობდა 30 კომლი. ამჟამად **უბადოლალ(ი)** ეწოდება სოფლის კუთხეს, ხეობასა და ღელეს – მდ. ქალაღალის მარცხ. მდგენელს (მარჯვ. მდგენელია ნარაგუ). იგი ჩაუვლის უბადო მიკოლს და სახელიც აქედან მიუღია. რესპ.: „გადმოცემით, უბადო ღალ ამ ადგილებს უწოდა საბერიოელმა თავადმა მარშანიამ მას შემდეგ, რაც მისმა ცხენმა აქ ფეხი მოიტეხა“. რესპ.: „ავი და შემბლაღავი ღელეა, რადგანაც ჭინკათა და წყლის დედათა სამყოფელია. უბადოლალი ამიტომ დარქმევია“. ნარაგუსა და უბადო ღალის შეერთების შემდეგ მდინარეს ეწოდება ქალაღალ(ი). (ფახულანი).

**უბილეფიშ ოხვამე** – საყდარი და სასაფლაო ოლორის მარცხ. ნაპირას, ბორცვზე. ნაძვნარში სალოცავი აუგიათ XIX ს-ში. იგი წარმოადგენდა უბილავების საგვარეულო სალოცავსა და სასაფლაოს. ნასაყდრალის ირგვლივ შემორჩენილია ნაძვის ხეები (ენერფერდი).

**უბილეფიშ ტებენე** – მდინარე. იგივე ჭიჭე ტებენე (ნაშამგუ, ენერფერდი).

**უგურყელი** „მუდმივი, მარადიული, უცვლელი, უცვალებელი“ – მცირე მყინვარი ჭითა გვალაში, ჩამფონწყარის სათავესთან (მაგანას სატყეო). რესპ.: „უგურყელი ისეთი ადგილია, სადაც მუდმივად დევს **ჯიშთი** – დაუმდნარი თოვლი“. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სიტყვას მიღებული აქვს ერთი კონკრეტული მნიშვნელობა: იგი მყინვარს აღნიშნავს. შდრ. „**უგურყელი** – მყინვარი“ (კ. სამუშია). ო. ქაჯაია: „**უგურყელი** – გაურყენელი; გაურყელი; გაუყოფელი; გაუვალის; გაუკაფავი ადგილი“. ალ. ქობალია: „**უგურყელი** – განუყრელი; მარადიული თოვლი; მყინვარი; ყინულივით ცივი, შეუსმინარი“. უგურყელი ხატიცაა. უგურყელს იტყვიან მტკიცე, ურყევ კაცზეც.

**უზა დო ქუძუშ ნაცუდუ** – ნასახლარი ლეუჩაგეში. უზა და ქუძუ იყვნენ კვარაცხელიები. სხვაგან გადასახლდნენ (მედანი).

**უზაშ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ბექობზე, ნოლაში (ლეკაკულე).

**უთუთიაშ ღალ(გ)** – ღელე. იგივე **ჭითა ღალ(გ)** (ჭალე).

**უთუთიშ ტომბა** – მორევი. იგივე **კოლიაშ ტომბა**. უთუთი კვარაცხელია აქ ესახლა, კოლია მისი შვილია (ნალენჯიხა).

**უთუშ ნანყურგილ/ქოლო** – წყარო ფუქარეს მარჯვ. ნაპირას, ფერდობის ძირში. ამ წყაროს XX ს-ის ორმოცდაათიან წლებში გაუკეთეს ცემენტის გვიმი („ქოლო“). პატარა გოგონამ კითხვაზე, თუ საიდან მოაქვს წყალი, უპასუხა: „ქოლოშე“ (ლარა).

**უთუშ ტომბა** – მორევი ხურჩაზე, ლეარდიეში (კუხეში).

**უკოშ წყურგილი** – წყარო. კლდიდან გამოდის ხურჩას სათავესთან. უკო ჭიჭალუამ აღმოაჩინა (ნაგურუ).

**უკულიაშ ნანისქვილ(გ)** – მცირე მინდორი ერისწყლის მარცხ. ნაპირას. უკულია მამაკაცის სახელია (ქალაღალი). უკულია, როგორც საზოგადო სახელი, სამი მნიშვნელობის შემცველია: ა. ნაბოლარა; ბ. დღემეხვალე; გ. შთამომავალი.

**ულურჩა** – სოფელი ნაკიფუს ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ულურიანყარი** – სქურჩას მდგენელი. იქმნება კვარჩხილალისა და ოწყარდეს შეერთებით და სიგრძით 1 კმ თუ იქნება. მარჯვ. შენაკადებია: თამანდურე, ჭუბურონი (ულურიანყარი).

**უმარიმ ნაკარუ** – დავაკება ლეჭამაკეს მარჯვ. ნაპირას. უმარ არქანიას აქ ედგა კარე (მუჟავა).

**უნა** – მთა, წყარო და უღელტეხილი მაგანასა და ყვირას შუა. აქ გადადის გზა მოროჟას ხეობიდან მაგანას ხეობაში. დასცქერის წყავაშსა და ჯვარს (ჯვარის სატყეო). რესპ.: „გვალვიან ზაფხულს ამ წყაროში ჩაიბანდნენ ხელს ან ფეხს, ან გარეცხავდნენ რამე ჭინჭს, ე.ი. გააჭუჭყიანებდნენ (ამას მეგრულად **ნნალუა** ჰქვია) და აუცილებლად მოწვიმდა“. რესპ.: „ჯვემო უნაშ წყარს ნნალგნდეს დო ოჭვიმაფუანდეს: კუჩხის ქინიბონანდიდა, ჭვიმილი რდგ, ვარა პინტის ქინანახუანდეს, ხეს ქინიბონგნდეს“. მაშასადამე, უნა თავდაპირველად წყაროს დაერქვა. შდრ. სვან. **ჰანწ** „ნეხვი; ცუდი სუნი“. შდრ. ალ. ქობალია: „**უნა** – ხრიოკი, უწყლო; გაუვალი“. ო. ქაჯაია: „**უნნი**, მუნნი – ტყის რალაც პატარა სულდგმულია. გამოსცემს ერთგვარ სუნს...“ P.S. ზოგ რუკაზე წარწერილია „უნცრა“ (?).

**ურზუმი ტყა** – ერქვა ტყეს მახარბას ჩრდ. ნაწილში, სადაც უნინ გაუვალი ტყე ყოფილა (ლია). პ. ჭარაია: „**ურზუმი ტყა** – უღრანი; დაბურული ტყე“. ო. ქაჯაია: „**ურზუმი** – ხშირი და გაუვალი ტყე“. ალ. ქობალია: „**ურზუმი** – უღრანი, გაუვალი ტყე“.

**ურთხელა** „ურთხელი“ – ტიტველი მინდორი ინწირას მარჯვ. მხარეს, ბორცვზე, ლეგვილეში (ნაგურუ). რესპ.: „ამ მინდორზე უნინ ერთადერთი ურთხელი მდგარა, სალოცავი და სასაფლაო ყოფილა. თურმე ღამით ცეცხლი აიძვრებოდა ამ ადგილიდან და ცისკენ მიიწვდა“. კონტექსტი: „ურთხელას გერენია სქანი საქონელი“. სამეგრელოში არაა იშვიათი, როცა ფიტონიმი (ცალკეული ხის სახელი) ადგილის სახელად ქცეულა ტოპონიმურ სიტყვანარმოებაში პროდუქტიული მეტონიმის კანონის თანახმად. ურთხელა სამეგრელოში ერთერთი ხელვთაებაა.

**ურთხელაშ სუკი/ურთხელონი** – ბორცვი სოფლის ჩრდ. ნაწილში (იხ. ურთხელა), სადაც დღეს ერთადერთი ურთხელაა შემორჩენილი. გადმოცემით, აქვეა ძველი სასაფლაოც (ნაგურუ).

**ურთხელ(იშ)სუკი** „ურთხელის გორა“ – მრგვალთავა ბორცვი მონწყვილში, მდ. ქალაღლის მარცხ. მხარეს, სადაც უნინ ურთხელი მდგარა (ქალაღალი).

**ურთხელ(იშ)ღალ(გ)** – ღელე-ხევი, სქურჩას მარჯვ. შენაკადი ქვედა ლეჟაში. მოედინება ზედა ლეჟადან (ნაკიფუ). **ურთხელიშ(ი) ღალგ** დაფიქსირებულია ალ. ლლონტის ლექსიკონშიც.

**ურთხელონი** – ბორცვი. იგივე **ურთხელაშ სუკი** (ნაგურუ).

**ურუმიაშ ოკვანწილაია** – წიფლის ხე. იგივე **ოკვანწილაია** (მედანი).

**ურუმიაშ სასაფლა** – სასაფლაო სოფლის ჩრდ. ნაწილში, მთავარი გზის გვერდით. რესპ.: „ურუმია ფიფია ახალგაზრდა მწყემსი და ცნობილი მონადირე იყო. მთებში დაიღუპა. დაასაფლავეს იმ ადგილას, სადაც სახლის აშენება ჰქონდა დაწყებული. გულდანყვეტილმა მწყემსებმა და თანასოფლელებმა მასზე ლექსები დანერეს და სიმღერები შექმნეს“ (მედანი).

**ურუმიაშ ქერქე** – ციცაბო კლდე ლაკუმურაშ დუდის კალთაზე, სადაც დაიღუპა მწყემსი და მონადირე, მედანიელი ურუმია მიქავა (სქურჩის სატყეო). ო. ქაჯაია: „ქერქე, ქერქე – ძლიერ დაქანებული ადგილი, ფრიალო, ციცაბო ხევი; ღრანტე, უფსკრული“; ალ. ქობალია: „ქერქე – ქარაფი, ფლატე, ხრამი“.

**ურყი** – ტყე ინწირას ზემოთში. რესპ.: „ურყი არის მაგარი ტყე, უდაბნოსავით ტყე, კაცი რომ ვერ გაივლის“ (ჩქვალერი). შდრ. ქართ.: უყი. ალ. ქობალია: „**ურყი** უყი, ნასვენნი მინა, ახო, უტეხი, ხელუხლებელი რამ“; ო. ქაჯაია: „**ურყი, უყი** – ყამირი მინა; გაუტეხელი (ადგილი)“. **ურყი** ითქმის ურყევ, თავისნათქვამა კაცზეც.

**უსქვერა** – ტყე-ფერდობები ვეჯინჯის კალთაზე, ლაჩხვათრას მარჯვ. მხარეს (ლე-სალე).

**უსქერაფლალ(გ)** „დაუმშრალი ღელე“ – ღელე და ხეობა. იგივე ნაფარულუ (ნალენჯიხა).

**უტამ ნაყუდუ** „სადაც უტას ყუდე, ანუ სახლი ედგა“ – სახნავი ფერდობზე, უბან ლესალეს ჩრდ. ნაწილში, კაკუფარონს ზემოთ (ლესალე).

**უტუმ ნოხორე(ა)** – ტყე-ბუჩქნარი ბორცვზე, ოფუცხოლსა და ყამლარას შუა (კუხეში).

**უტუმ ნოხორი** – ჩაის ფართობი ნაოხვამუს სიახლოვეს, ყოფილი სას. საბჭოს შენობის დას-ით (ნაკიფუ).

**ულვაი** – ტაფობი საარქანიოში, მახასქურის ზემოთში. აქვე მდებარე წყაროზე უღვაიმ წყურგილს იტყვიან (მუჟავა). რესპ.: „ძველების გადმოცემით, უღვაი ყარაჩის სიტყვაა“. სვანურში **ულჴჴ** ნიშნავს მაცვლიანს (იხ. ლიპარტელიანი, 1994, გვ. 271).

**ულვაიმ წყურგილი** – წყარო, რომელიც გაედინება უღვაიდან (მუჟავა).

**ულურია** (ღურა „სიკვდილი“) – ს., ნაკიფუს სს (ღლონტი, 1971, გვ. 90). სინამდვილეში სოფელს ეწოდება ულურია (იხ. პირველ ნაწილში).

**უშამ გინალეფი/უშამ ნადინეფი** – კლდე ნგფეში. ტყეში ცეცხლი გაჩენილა და სატყეოს ინჟინერი უშანგ კვარაცხელია ცეცხლის ჩაქრობისას ამ კლდიდან გადავარდნილა და დაინვალიდებულა (ხუდონი, მაგანას სატყეო).

**უშამ ნადინეფი** – კლდე. იგივე უშამ გინალეფი (ხუდონი, მაგანას სატყეო).

**უშქურონა** „ვაშლნარი“ – 1. ტყე ლუღერაში, ოტოფუეს მარცხ. ნაპირას (ნაკიფუ); 2. მინდორი უჩა ღალის მარჯვ. ნაპირას. აქ რამდენიმე ვაშლის ხე დგას (ნალენჯიხა) და სხვ.

**უშქურონი** – 1. ჩაის ფართობი უჩა ღალის მარჯვ. ნაპირას. ხანდაზმულნი იხსენებენ, რომ ოდესღაც აქ რამდენიმე ვაშლი იდგა (ლარა); 2. ტყე-ფერდობი ლაჩახვას მარცხ. მხარეს, ჯეგეფაცხას ფერდობზე (ფუქი) და სხვ.

**უშქურტობა** „ვაშლის მორევი“ – მორევი ინწირაზე, ოხორასთან, კლდის ძირას. ვაშლი ამ მორევის თავზე მდგარა (ჩქვალერი).

**უჩა გოთე** – ტყე-ხეობა, უბანი ლანჯიშში, დიდი ტებენეს მარჯვ. მხარეს (ფახულანი). რესპ.: „ბნელი ადგილია, დაბურული და მივარდნილი, მზე ვერ აღწევს. ამიტომაც უჩა („შავი“). აქაურებს **უჩაგოთარებს** უწოდებენ“. **გო(ნ)თე**, ანუ **გოყარიე**, საერთოდ, არის განათებული ადგილი. როგორც ლანდშაფტური ნომენი, გოთე აღნიშნავს თავისუფალ, უტყეო და, მაშასადამე, სინათლიან ადგილს ტყეში ან ტყის პირას. შდრ. გობეთე. აღ. ქობალია: „**გოთე** – გასინათლება, ნათელი ადგილი, განათებული ტყისპირი, ველობი ტყეში (იხ. გონთე)“.

**უჩა გოთემ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა უჩა გოთეში. დიდი ტებენეს მარჯვ. შენაკადი (ფახულანი).

**უჩა(ია)ტობა** – მორევი . იგივე უჩა ტობა (ჭველე).

**უჩაკოჩიმ გინალეფი** – კლდე. იგივე **ოჩოკოჩიმ გინალეფი** (ლარა).

**უჩა მართუ** – 1. წყალტრიალა მორევი ინწირაზე, ლენულაიეში (კუხეში); 2. მორევი ჭანისწყალზე, ცურუონღალის შესართავთან (ლესალე). **მართუ** (ვარიანტები: მართოუ, მართუუ), როგორც ჰიდროგრაფიული ნომენი, აღნიშნავს წყალტრიალას, ე.ი. ადგილს მდინარეზე, სადაც წყალი ღრმად, ბრუნავს, ტრიალებს და ყველაფერს ითრევს. ო. ქაჯაია: „**მართუ(უ)** – მორევი; წყალბორბალა, წყალტრიალა“; აღ. ქობალიასთან **მართუ** ლექსიკურ ერთეულს ეს მნიშვნელობა არ უჩანს, მაგრამ განმარტავს „**მართუაფუ** – მბრუნავი“.

**უჩანამ ნადიხ(გ)** – ჩაის ფართობი ლექარდეს სამხრ. ნაწილში, ჩხოუშიას მარჯვ. ნაპირას, ჭანდართან (პ. ენერი).

**უჩანამ ნანოყუნუ** – ტყე-ბუჩქნარი ნაფაცხურუში (ჯალირა). სავარაუდოა: ნოყუნის უკვე ერქვა სახნავს, როცა უჩანა მის დამუშავებას შეუდგა. ხოლო შემდეგ, როცა უჩანა უკვე აღარ ამუშავებდა, „ნოყუნის“ წინ ერთხელ კიდევ დაერთო წინავითარების ნაპრეფიქსი.

**უჩანამ ტომბა** – მორევი ჩხოუშიაზე, ლეციმინტიეში (პ. ენერი).

**ურა როხუ** „შავი ლოდი“ – ტყე-ფერდობები თარზენსა და ქუაურას შუა. აქედან გაედინება ჩელალ(გ), ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი (სქურის სატყეო, ჩხორონწყუს სატყეო).

**ურა ტობა** „შავი მორევი“ – 1. მორევი ჭანისწყალზე, ტკილმიკოკაკილსა და გუჯამ ტობას შუა (ლესალე); 2. მორევი. იგივე ტობაურა (ჯვარის სატყეო) და სხვ. შავი იმ შემთხვევაში ერქმევა მორევს, თუ ღრმაა და ფსკერი შავად ჩანს.

**ურა ტობა//ურა(ია)ტობა** „შავანა მორევი“ – დიდი და ღრმა მორევი ოლორზე, ოჩხარ-ჩხალაიას შესართავთან. ურია პირსახელია (ჭველე).

**ურა ტომბა** „შავი მორევი“ – 1. მორევი ურალზე (ფუქი); 2. დიდი და ღრმა მორევი ჭანისწყალზე, საშონიოში. ფსკერი შავად ჩანს (ლეკაკულე) და სხვ.

**ურა ქუა** „შავი ქვა“ – 1. კლდე ლაჩხვას მარჯვ. მხარეს. კლდეში ერთგან დიდი შავი ლოდია გაჩხერილი (ფუქი); 2. მინდორი ქვედა მაზანდარას აღმ. ნაწილში. პატარა მინდორზე, რომელსაც ნაკრეში ეწოდება, დევს დიდი მოშავო ლოდი, დიამეტრით 10 მ (მაზანდარა).

**ურალალ(გ)** – 1. ლეკერეს მარცხ. შენაკადი ჯვარზენში. მოედინება სააქბარდიოდან (ჯვარი). რესპ.: „ამ ლელეში ქვაც შავია და ლორჯოც. ამიტომ დარქმევია“; 2. ლარანყარის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ჯიხაში, რაც ლესალეშია. რესპ.: „დაბურულ ტყეში მოედინება. ლელეში შავი ქვა ყრია და ამიტომ წყალსაც შავი ფერი გადაჰკრავს“ (ლარა); 3. ლელე და ხეობა. სათავეს იღებს მისარონში და მიემართება ჭანისწყლისაკენ ობუჯის გავლით. რესპ.: „თუკი ლელეში შავია ქვაც, ქვიშაც და ლორღიც, არქმევენ ურა ღალს, ე.ი. შავ ლელეს“ (სამესხიო, ობუჯი); 4. ლელე. იგივე **ოლაჭაჭიე** (ენერი); 5. ლელე და ხეობა სასახოკიომ ჭალის სამხრ. ნაწილში. იწყება ნაკალანდუსთან და ერთვის ჭანისწყალს სქვამაიამ ტობასთან (ნალენჯიხა); 6. ლელე. სათავეს იღებს ლეფიფიეში და მიედინება სამხრეთისაკენ (ლეშამუგე) და სხვ. მრ. რესპ.: „თუკი ლელეში შავია ქვაც, ქვიშაც და ლორღიც, არქმევენ ურალალს, ე.ი. შავ ლელეს“.

**ურალალ(გ)** – ლელე. იგივე ოლაჭაჭიე ღალე (ფუქი).

**ურაშ ნადინეფი** „სადაც ურა დაიკარგა“ – კლდე წიფეში (მაგანას სატყეო). რესპ.: „ურა მეტყევე ინჟინერი იყო. ცეცხლის ქრობისას აქ გადავარდა და დაინვალიდა, არ დაღუპულა“.

**ურაშ ნყურგილი** – წყარო ნოლაში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას. ურა კვარაცხელია აქვე ესახლა (ლეკაკულე).

**ურა წყედონა** – ტყე-ხევი, დაბურული და გაუვალი, ტებენეს მარჯვ. მხარეს (ფახულანი). რესპ.: „აქ ხარობს ურა წყეი, ანუ ტყის შავი წყავი, რომლისაგან ღვინოსაც აყენებენ. წყავი შეიძლება იყოს წითელიც, შავიც და თაფლისფერიც“. იშვიათი ვარიანტი: **ხოზონი**.

**ურაჯალონი** – ნაძვნარი ოხაჩქუეს კალთაზე, ერისწყლის სათავესთან (ჭალეს სატყეო). ურაჯა „შავი ხე“ აღნიშნავს წინვოვან მცენარეს, მაგალითად, ნაძვს, ფიჭვს და სხვ. შდრ. ო. ქაჯაია: „ურა ჯა – შავი ხე“.

**ურცხ(ე)რა** – ვაკე-სახნავი ლექარდეში, ლარანყარის სათავესთან (ლარა). შდრ. სვან.: უცხრა „მსხლის ხე“.

**ურცხერაში//ურცხირაში** – ტყე-სერი ენგურის მარჯვ. მხარეს, ხობანსა და ბარბალაშს შუა. გადმოცემით, აქ, ფურაში, მოუკლავთ არამხუტუ (ხუდონის სატყეო).

**ურცხირაში** – ტყე-სერი. იგივე **ურცხერაში** (ხუდონის სატყეო).

**ურწკე ხვიმა** „უკურკო ხურმა“ – საძოვარი კანთში. რესპ.: „ლაკადას ფერდობზე დგას ერთადერთი ტყის ხურმა, წვრილნაყოფიანი, უკურკო. ირგვლივ საძოვარია“ (ლეთკანთი). შდრ. ო. ქაჯაია: „ურწკე ხვიმა – უკურკო ხურმა (გარეული ხურმის ჯიმი)“.

## – ფ –

**ფაბრიკამ ეკოლ(გ)** „ფაბრიკის აღმართი“ – აღმართი ჭალა-ფახულანის საავტ. გზაზე. რესპ.: „აღმართის თავში ჩაის ფაბრიკა დგას“ (ჭალე).

**ფართოვე** „ფართო ველი“ – ტყე ხახუურის აღმ. ნაწილში, ბორცვზე (ფახულანი).

**ფართო ნოცუნე** „ფართო ნაყანევი“ – საძოვარი ხურჩას მარცხ. ნაპირას, ფერდობზე (ნაგურუ).

**ფარ(თო)ტობა** – ვაკე-ხეობა ერისწყლის მარცხ. ნაპირას, ცანაშის სამხრ-ით (ქალაღალი). ტო(მ)ბა ოროგრაფიული ნომენიცაა და, როგორც ასეთი, აღნიშნავს ჩავარდნილ ადგილს, ტაფობს, ვაკე-ხეობას. რესპ. ს. გოგობია: „ტობას უნიინა ინოლაფირ არდგილს. ფარტობა ჯოხო ფართო ტობა რენ თიშენი, ინოკენელი არდგილი რე“. რესპ. ლ. შელია: „ფერდი რობუცალი რე დუდშე დო უკული ირზენებუ წყარპიც“. მომხდარა რეგრესული ჰაპლოლოგია (არაიდენტური თანხმოვნებისა): ფართო ტობა ფარტობა.

**ფართო საბარგო** – მინდორი გვალაიას სამხრ. კალთაზე. **საბარგო** მთაში მიმავალ მწყემსთა დასაბარგებელი ადგილია (სქურის სატყეო). შენიშვნა: მეგრულის ლექსიკონებში საბარგო არაა დაფიქსირებული. შდრ. ქეგლ, ტ. IV. „საბარგო – ბარგისი, ბარგისთვის განკუთვნილი; სატვირთო, საბაჟო“.

**ფართო ქუა** – მორევი ჩხოუშიაზე. მორევი დიდი ფართო ლოდი აგდია (პ. ენერი).

**ფართოლალ(გ)** – მაგანას მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. ჩამოედინება უგურყელიდან, რაც ჭყერიონიშდუდსა და ლაკუმურაშდუდს შუაა (მაგანას სატყეო). ლალ(ი) არის ოროგრაფიული ნომენიც. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს ხევს, ხეობას, რომელიც შეიძლება იყოს ფართოც, ვიწროც, ღრმაც და ა.შ.

**ფართოლალიშდუდი** – ეგრისის ქედის ერთ-ერთი კლდოვანი მწვერვალი. მდებარეობს ფართოლალის სათავესთან (მაგანას სატყეო).

**ფართო შუშელი** – ალპ. საძოვარი ოხაჩქუეში (ჭალეს სატყეო). **შუშელი, შვიშველი** „შიშველი – უხეტყეო ალპური საძოვარი მთაში“.

**ფართო შუშელიშ გინალ(გ)** – გზა-გადასასვლელი შუშელზე, სადაც ქედი ჩადრეკილია. **გინალ(გ), გინოლ(გ)** – გადასასვლელი (ჭალის სატყეო). ალ. ქობალია: „**გინოლი** – გადასასვლელი“.

**ფართო ხინჯი** „ფართო ხიდი“ – საურმე ხიდი ინწირაზე, ლეფიფიეში, ჰესთან. გვერდითაა ჭგფე ხინჯი (ჩქვალერი).

**ფარი** – სერი ორ ხევს შუა. ზურგით აუყვება ბოგაშის კალთას ფუქარეს სათავეებთან. ფარის თავზე ძველად მდგარა ცაცხვი და ურთხელი და ყოფილა სალოცავი ადგილი. დარჩენილია ქვევრის ნაშთები (ლარა). მეგრულის ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს. ზემორაჭულ მეტყველებაში კი ფარი აღნიშნავს უტყეო საძოვარს დიდი დაქანების ფერდობზე. ლანდშაფტურ-რელიეფური მსგავსება აშკარაა.

**ფარნაშ გოჭოფილი** – ტყე-ბუჩქნარი ონნიშის ალმ. ფერდობზე (მუჟავა). **გოჭოფილი** ნიშნავს შემოკავებულს, შემოღობილს, ღობეშემოვლებულს. გამოიყენება სახბორედ, სათიკნედ ან ტყის დასაცავად. შდრ. ო. ქაჯაია: „**გოჭოფილი** – შემოკავებული ადგილი საქონლის სადგომად; სამწყვდევი...“

**ფარნაშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ფერდობზე, ლანჯიშის დას-ით, ლეუბილეში (ფახულანი).

**ფარნაშ რზენი** – ვაკე-სახნავი. იგივე სეროზენი (ქალაღალი).

**ფარნაშ წყურგილი** – წყარო სახარჩილოში, ნაქვათუს ქვემოთ (ჯალირა).

**ფარნაშ ხეკარა** – ტყე-საძოვარი. იგივე ხეკარა (პ. ენერი).

**ფარცხვანღალ(გ)** – ტყე-ხეობა. იგივე ბარცხვანღალ(გ) (ნაშამგუ).

**ფაფალაშ წყურგილი** – წყარო. იგივე ფაფატიამ ფერდიშ წყურგილი (პალური).

**ფაფატიამ/ფაფატიამ ნოხორი** – ტერასი უჩაღალის მარცხ. მხარეს, მახარიაში, ესაზღვრება ჩხორიას (პალური). გადმოცემით, უძველეს დროში, გაღმა, ფახულანში, მოიპოვებდნენ სპილენძს და აქ ადნობდნენ. ფაფატიამ პირსახელია, შეიძლება ერქვას კაცსაც და ქალსაც. იხ. ბჟენყარი.

**ფაფატიამ(ი) დიხა** (ფაფატიას მინა) — სათ. ლიაში (ღლონტი, 1971, გვ. 91).

**ფაფატიამ ნოხორი** – ტერასი. იგივე **ფაფატიამ** (პალური).

**ფაფატიამ ფერდი** – ფერდობი უჩაღალის მარცხ. ნაპირას, ფაფატიამ ნოხორის ქვემოთ (პალური).



**ფაფატიაშ ფერდიშ ნყურგილი//ფაფალაშ ნყურგილი** – ნყარო ფაფატიაშ ფერ-  
დთან. ფაფატია შელია აქ დადიოდა „ბჟენყარის“ დასალევად. როგორც ჩანს, ფაფალაც  
პირსახელია (პალური). შდრ. ფაფალაშ ნაყუდუ. ყოველ შემთხვევაში წარმოვადგენთ ალ.  
ქობალიას განმარტებას: „**ფაფალა** — ფრიალა; ქანობი, დიდი დაქანება, ქარაფი;  
კლდოვანი, დაცერებული ნაპირი მდინარისა ან ხრამისა...“ იხ. აგრეთვე პ. ჭარაია:  
„**ფაფალა** — ხრამი, ფლატი; ფრიალო, ციცაბო“.

**ფაფატიაშ ნყურგილი** – ნყარო. იგივე **ბჟენყარი** (პალური).

**ფაფატიაშ ნყარი** – ნყარო. იგივე **ბჟენყარი** (პალური).

**ფაფალაშ ნაყუდუ** – ბორცვი ფუქარეს მარცხ. ნაპირას. გადმოცემით, ფაფალა მიქავა  
აქვე ესახლა (ლარა).

**ფაფალაშ ნაყუდუშ ჩაი** – ჩაის ფართობი ფაფალაშ ნაყუდუსთან (ლარა).

**ფაშტახილი** – ფართო ხეობა. იგივე **ფაშტახირი** (ხუდონის სატყეო).

**ფაშტახირი//ფაშტახგრი//ფაშტახილი** – ფართო ხეობა ტყე-ხევებითა და დავაკებე-  
ბით ენგურის მარჯვ. ნაპირას, ფურაშსა და ეცს შუა (ხუდონის სატყეო). ფოლკლორისტი კ.  
სამუშია აღწერს ერთ რიტუალს, დაკავშირებულს წყალღვთაებათა და ხეღვთაებათა კულ-  
ტთან ეგრისში: ფერხობას (ე.ი. ახალი წლის მეორე დღეს) ფაშტახირის დავაკებაზე სრულ-  
დებოდა ასეთი რიტუალი: მომლოცველთ მოჰქონდათ მწარე კვახი და მწვანე ხაპი. მათზე  
აანთებდნენ სანთლებს. უხუცესი შესთხოვდა ენგურს, ზიანი არ მოეტანა... ბოლოს სან-  
თლებიან გოგრა-მწარეს გაატანდნენ მდინარეს (იხ. სამუშია, 1990, VIII თავი). ჩემს წიგნში  
„წალენჯიხის რაიონის ტოპონიმია“ (თბ., 2004) დასახელებული და ლოკალიზებულია ფაშ-  
ტახირი//ფაშტახგრი, მაგრამ არაფერია ნათქვამი სახელდების მოტივაციასა და ეტიმო-  
ლოგიასთან დაკავშირებით. რესპონდენტებმაც ვერაფერი თქვეს და არც ამ დროისათვის  
არსებულ ლექსიკონებში იყო რამე მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი ინფორმაცია. ალ. ქო-  
ბალიას მეტად მნიშვნელოვანი და საეტაპო დანიშნულების „მეგრულ ლექსიკონში“ (90  
ათასი ლექსიკური ერთეული) აღმოჩნდა ასეთი განმარტებანი: „ფაშთა – დიდი, ვრცელი  
(მინდორი)“ და „ფაშტახირი – ფოთლოვანი ხის ნაკაფი, კალოსავით მოსწორებული ნატყე-  
ვარი“, ხოლო ტახილი, ტახირი, ერთი მხრივ, აღნიშნავს უსწორმასწორო, ატეხილ-დატეხილ  
ტერიტორიას, მეორე მხრივ, კი ახოს, ანუ საყანედ გაკაფულ ტყეს (ნატყევარს) ან პირვე-  
ლად მოხნულ ყამირს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ი. კეკელიასეული ეტიმოლოგია მი-  
საღებია: „ფაშთატახირი ფაშტახირი (ჰაპლოლოგიის გზით) უნდა გავიაზროთ, როგორც  
„ნაკაფი ტყე, ნატყევარი, ახოდ აღებული ვრცელი მინდორი“ (კეკელია, მასალები, ქუთაი-  
სი, 2014, გვ. 37). ალ. ლლონტის ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ფაშტახორი** – ტყ.  
წალენჯიხაში“(?).

**ფაშტახგრი** – ფართო ხეობა. იგივე **ფაშტახირი** (ხუდონის სატყეო).

**ფაშუშ ინჭა** – ჭა სოფლის ცენტრში (მედანი).

**ფაშუშ ფერდი** – ფერდობი შქალიაში, ხუფაიას აღმ. მხარეს. ფაშუ (მამაკაცია) გვა-  
რად ზარანდია იყო (ლია).

**ფაშუშ ლალ(გ)** – ლელე, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს კაცხარას აღმ.  
კალთაზე. გაივლის ძვაბაშ რობუს. ვაჭარი ფაშუ ქანთარია აქვე ესახლა თურმე (მედანი).

**ფაჩქვიაშ ლალ(გ)** – ლელე, შქაშლალის მარჯვ. შენაკადი სოფლის დას. ნაწილში (ლე-  
შამუგე). ფაჩქვია მამაკაცის პირსახელია.

**ფაცურიაშ ფერდი** – ფერდობი ლეფაცურეს აღმ. ნაწილში, ინწგრას მარჯვ. ნაპირას.  
ფაცურიები ამ ფერდობს ფლობდნენ (საჩინო).

**ფაცხა** – ტყე-ფერდობი. იგივე **ნაფაცხუ** (ჯალირა).

**ფახულანი** – სოფელი, აღმ.-ტერიტ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ფახულანიშ ცხაცხუ** – ერქვა ძველთაძველ ცაცხვს სოფლის ცენტრში. ბოლოს წაიქ-  
ცა კიდევ. დარგეს ახალი და სახელიც მას შერჩა (ფახულანი). ცაცხვი მთელ სამეგრელოში  
ერთ-ერთი ხეღვთაებაა.

**ფახურია** – ფართო ვაკე, უბანი სქურჩასა და ცხვარკალს შუა (ლევოლიხე, ზუმი). რესპ.: „ფახურია ამ მინის პატრონის სახელი ყოფილა“. საერთოდ კი, ფახურას იტყვიან ფაფხურა კაცზე.

**ფახურიაშ ტყა** – ერქვა ტყეს ფახურიაში (ლევოლიხე). რესპ. კემე ბელქანია: „ფახურიაშ ტყაშა გილეფშით ონადირუშა. ასე ექი მუთუნი ვახე“.

**ფერდი** – ფერდობი სოფლის აღმ. საზღვარზე, რასაც „გაბარს“ უწოდებენ. რესპ.: „ფერდობი აქ ბევრგანაა, მაგრამ „ფერდი“ მხოლოდ ამას ჰქვია“ (პალური).

**ფერდიშჯინჯი** „ფერდობისძირი“ – სახნავი ხუფაიას მარცხ. მხარეს (ლია).

**ფერცველობაშ ოხვამე** „ფერიცვალეების ეკლესია“ – მაცხოვრის ფერისცვალეების ეკლესია. იხ. დიდ(ი)ოხვამე (ნალენჯიხა).

**ფეფიშ ნოხორი** – საბალახო ლეკობახეს გორაზე (ობუჯი).

**ფეფური** – სახნავი ლუღერაში, ოტოფუეს ნაპირას. ამოსავალია პირსახელი ფეფი. მაშასადამე, ფეფური შეიძლება გავიაროთ როგორც ფეფისეული (ნაკიფუ).

**ფეჩეიაშ ნოხორი** – მინდორი ფეჩეიაშ ფერდის თავზე (ნალენჯიხა).

**ფეჩეიაშ ფერდი** – ფერდობი ნალენჯიხიდან ფუქში მიმავალ გზაზე. ფეჩეია ზარქუა, მკითხავი ქალი, ამ ფერდობის თავზე ესახლა (ნალენჯიხა).

**ფილპეშ ნოხორი** – მინდორი ტებენეს მარჯვ. ნაპირას, ბორცვზე, ლებლემი. ფილპე ფილიპე (ფახულანი).

**ფილუმ ნაყუდუ** – 1. ჩაის ფართობი ლემანიეში (პ. ენერი); 2. საკარმიდამოები ნოლი-მერსა და ნისქვილარას შუა. აქ სამიოდე კომლი მკვიდრობს (სქურის სატყეო).

**ფილუმ ნოხორი** – საძოვარი ბორცვზე, ტებენეს ნაპირას, ლებლემი (ფახულანი).

**ფინჯიში//კოჩნაშ ნაშქიდა** – მორევი, კლდე ენგურის მარჯვ. ნაპირას, ონახუელა-ლის შესართვთან. კლდისძირი წყლისგანაა გამორღვეული (ჭალე). რესპ.: „ფინჯიში ღრმა წყალია, სადაც მდინარე კლდეს ეხეთქება და ტრიალებს. კოჩნა შონია ჩასულიყო საბანა-ოდ და დამხრჩვალყო. ამიტომ კოჩნაშ ნაშქიდასაც უწოდებენ. რესპ.: „ფინჯი ფართობი-რიანს ნიშნავს. ფინჯია სენი თხელი, ბრტყელი საინია“. მეგრულის ლექსიკონებში ფინჯი არაა დაფიქსირებული. შდრ. ქართული ფინჯანი.

**ფიფიეფიშ დინა** – საბალახო საფიფიოში, სქურდილას მარჯვ. ნაპირას (ობუჯი).

**ფიფიეფიშ ნათუთუნუ** – ბუჩქნარი შემალღებაზე, ნაჭარხალის გვერდით, სადაც ფიფიებს თამბაქო მოჰყავდათ. თუთუნი „თამბაქო“ ნათუთუნუ „ნათამბაქოვარი“ (მედანი).

**ფიფიეფიშ ნაჭარხალ(ე)** – მინდორი. იგივე ნაჭარხალ(ე) (მედანი).

**ფიფიეფიშ ნოხორი** – სერი. იგივე აბარაგა (ჯვარის სატყეო).

**ფიფიეფიშ ყყონა** – მუხნარი. იგივე ყყონა (პ. ენერი).

**ფონი** – 1. ჩახევებული უღელტეხილი ლაკადას თავზე, სადაც გადადის თარზენის გზა (ლეთკანთი); 2. ფონი ლაგვილალის ქვემო წელზე, სადაც გადის საფეხმავლო გზა. კონტექსტი: „ფონს იბომნი ტანი“. მაშასადამე, ფონი არის როგორც ოროგრაფიული, ისე ჰიდროგრაფიული ნომენი (სამესხიო).

**ფორტაში** – ტყე-ტაფობი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ინჭირიშსა და კოხორას შუა (მუჟავა). რესპ.: „ფორტ(ვ)ა ჯა დამპალი ხეა, ღამით ანათებს“. შდრ.: **ფორტა**, **ფორტვა** „ფუტურო, ფულურო“ (ო. ქაჯაია). აღ. ქობალიას განმარტებაც თითქმის ასეთივეა.

**ფოსონი** „ფესვიანი“ – ტყე-საძოვრები თეკანაშის კალთაზე, სადაც ტყეში გამავალ ბილიკზე წიფლის ხეთა დიდრონი ფესვები ჩანს (მაგანას სატყეო).

**ფოსონია** – ტყე ჭანისწყლის სათავესთან (სქურის სატყეო). ფოსონი „ფესვნარი“. -ა კნინობითობის სუფიქსია და ამ შემთხვევაში ობიექტის სიმცირეზე მიუთითებს.

**ფოტიშ ნოხორი** – ნასახლარი ოლორის მარჯვ. ნაპირას, დობერაში. ქვრივი ქალი ფოტი უბილავა აქ მარტოხელა ცხოვრობდა (ენერფერდი).

**ფოტიშ ტყა** – ტყე სკურეფიას სათავესთან, ფერდობზე (საჩინო).

**ფოქვა** – 1. მღვიმე ლაკადაში, გოშგრილს ზემოთ (ლეთკანთი); 2. მღვიმე ნეძონაში, რაც ფუისქურის სამხრ.-აღმ. ფერდობზეა (ლესალე); 3. ოლორისპირა მღვიმე, ოგურგინ-

ჯთან. რესპ.: „ეს სწორედ ის ფოქვაა, რომლის გამოც წაიკიდნენ შონიები და კუკავები“ (ჭველე); სხვა რესპ.: „ნაჭვიმორს წყარი კვლასოფუნსუ, მარა გოლოფას სქერი რე“ და სხვ. **ფოქვა** აღნიშნავს მცირე გამოქვაბულს, მღვიმეს. ჩვეულებრივ, ესაა შეღრმავებული ადგილი გადმოხურული კლდის ქვეშ, სადაც მწყემსები საზაფხულო სადგომსაც გამართავენ ხოლმე. შდრ.: ბერა. ო. ქაჯაია იზიარებს ჩემეულ განმარტებას: „**ფოქვა, ფოქვი** – გამოქვაბული, მღვიმე; შეღრმავება კლდის ძირას“ (იხ. ქაჯაია, III, გვ. 109). ი. ყიფშიძე: „**ფოქვა** –“?

**ფოქვა//ბეჩა** – ფერდობი ძანძელის ნაპირას, ლეხუბულეში. ამ ფერდობზე დიდი მღვიმე ყოფილა და ჩამოქცეულა. **ბეჩა**, ისევე როგორც **ფოქვა**, აღნიშნავს მღვიმეს, გამოქვაბულს, შეღრმავებას კლდის ძირას (ლესალე). ო. ქაჯაია: „**ბეჩა, ბეჩო, ბეჩუ** – გამოქვაბული; ღრუ მდინარეში, სადაც ბუდობს თევზი“. შდრ. ალ. ქობალია: „**ფოქვა, ფოქვი** – დარანი, გამოქვაბული, მღვიმე“.

**ფოქვაია** – მცირე მღვიმე ოყორანედუდის კალთაზე (ჩქვალერი). შდრ. ალ. ქობალია: „**ფოქვაია** – მცირე მღვიმე“.

**ფოქვაიანწყარი** – ერქვა წყაროს ფოცხოში. გამოედინებოდა მთისძირა მცირე მღვიმიდან. სოფლის მოსახლეობა სასმელად იყენებდა. დაფარა ქვა-ხრეშმა (ფოცხოენერი).

**ფოქვაშდული** – 1. ბუჩქნარი ლაკადაში, ბზაკალონიშ ლალის სათავესთან (ლეთკანთი); 2. ღრმა კლდოვანი ხევი ინჭირიშის კალთაზე, მახასკურის სათავესთან, ჯიგდონას ზემოთ (მუჟავა) და სხვ. ფოქვა „მღვიმე“ ახლომახლო არც ჩანს.

**ფოქვაშკარი//ფუქვაშკარი** – 1. კლდეები მახასკურის სათავეებთან, ჯიგდონას თავზე. მღვიმე აღარსად ჩანს (მუჟავა); 2. კლდე მღვიმის შესასვლელთან, კირდეჯინჯის ზემოთ (წყოუში). ფუქვა იგივე ფოქვაა.

**ფოცხო** – ტყიანი ჭალა ენგურის მარჯვ. ნაპირას. მაღალი კლდის ძირასაა უბესავით შეწეული და ორიოდე ჰა-ს არ აღემატება. **ფოცხო** სოფლის სახელწოდების პირველი კომპონენტი (ფოცხოენერი). კ. ჰანი: – . . . ოტ ფოცხი = . . .

(როგორც ჩანს, გულისხმობს სენაკის რ-ნის სოფ. ფოცხოს). ჩვენი აზრით, მისაღები რესპონდენტთა განმარტებანი: „**ფოცხო** არის მცირე რეჩხი, ე.ი. მშრალი, მცირენაყოფიანი მიწა, ქვა-ღორღიანი ადგილი“. მეგრულის ლექსიკონებში არაა დაფიქსირებული.

**ფოცხოენერი** – სოფელი ჭალეს ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**(ფ)სკანაჭვი** „სადაც სკა დაინვა“ – მინდორი ბარხის ტყეში (ჯვარის სატყეო). რესპ.: „ხისთვის ცეცხლი წაეკიდათ. ფულუროში კი ფუტკარი ყოფილიყო“.

**(ფ)სორო** – ფერდობი ოტოფუეს მარჯვ. მხარეს, სადაც მცირე ხევი ჩამოდის (მაზანდარა). იხ. სორო.

**ფუთუიაშ ნოხორეი** – სახნავი ლექუხილეში. ფუთუია მამაკაცის სახელია (ჩქვალერი).

**ფუთუურამი//ფუთუურონა** „ხავსიანი//ხავსნარი“ – ტყე-თხმელნარი ტობეშსა და ქუანწყილს შუა (ნაგურუ). ტოპონიმისათვის ამოსავალია ფუთუური „ხავსი“.

**ფუთუურონა** – ტყე. იგივე **ფუთუურამი** (ნაგურუ).

**ფუისქური** – ლეღე. იგივე **ფუ(ქ)ისქური** (ლეკაკულე, მაზანდარა).

**ფურაში** – ნასოფლარი ენგურის მარჯვ. მხარეს, ძირითადად ბარბალაშის ხეობაში. ქუალაგვანსა და ლეგვეშარას შუა. შედიოდა ხუდონის სას. საბჭოში (წალენჯიხის რ-ნი). ალ. ქობალია: „**ფურა** – უვარგისი, გაცუდებული, დამძალებული ნაყოფი თხილისა“; „**ფურაში** – ავზიანი, საშიში (ადგილი); ჩახურებული, ალხიანი“. შდრ. „**ფური** – ცუდი“, „**ფურაში**“, „უარესი, უფრო ცუდი“.

**ფურთუხიამ კარე** – ტყე-საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, სქურში. ივანე ფურთუხიას აქ ჰქონია კარე „მწყემსის სადგომი“ (სქურის სატყეო).

**ფურიალე** – მაღალი ფრიალო კლდე ენგურის მარჯვ. ნაპირას, კაშხალთან, დურეს ქვემოთ. სიმაღლე 100-150 მ. (ფოცხოენერი). შდრ. ქართ.: ფრიალო. ო. ქაჯაია მიუთითებს ჩემეულ განმარტებაზე; ალ. ქობალია: „**ფურიალე** – ფრიალო; ფრინველი; ფრენია“.

**ფურკონაშქვიდა** – ჩაის ფართობი ლეცინდეში (ნაკიფუ). რესპ.: „ფურკო ძალს ერქვა. ჭაში ჩავარდნილიყო და დამხრჩვალყო“. ეს მომხდარა კოლექტივიზაციის პირველ წლებში.

**ფუქარე** – ლარანყარის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება ბოგაშის კალთებიდან (ლარა).

**ფუქვაშკარი** – კლდე. იხ. **ფოქვაშკარი** (წყოუში).

**ფუქი** — ისტორიული სოფელი. საბჭოთა პერიოდში უწოდეს მიქავა (იხ. პირველ ნაწილში).

**ფუქისქური** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს ფუქში. ყოფს ლეკაკულესა და მაზანდარას (ლეკაკულე, მაზანდარა).

**ფუჩუმ ნოხორი** – ხეხილნარი ტებენესა და ტვეფის წყალგამყოფ ბორცვზე. ფუჩუ მამაკაცის სახელია (ნაშამგუ).

**ფუცორაშ წყურგილი** – წყარო სოფლის ჩრდ. ნაწილში, ლაკადაშ ღალის მარჯვ. ნაპირას. ფუცორა ფიფია აქ ესახლა. „**ფუცორი**, ფუცორუა – ფაცური, ფუსფუსი, ფაციფუცი

**ფუცორა**, ფუსფუსა, ფაცაფუცა (მეტსახელი). (მედანი).

**ფუცუმ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე (ნალენჯიხა).

**ფშალვონი/ფშალუონი** ( ფშალო, ფშალუ „სვია“) – ტყე-ფერდობი დიდღალსა და ფართოღალს შუა. ჩამოედინება ხბილიშდუდიდან, აქედან გაედინება **ფშალუონღალ(გ)** – მაგანის მარჯვ. შენაკადი (მაგანას სატყეო).

**ფშალუონი** – ტყე. იგივე **ფშალვონი** (მაგანას სატყეო).

**ფშალუონღალ(გ)** – ღელე. იხ. **ფშალუონი** (მაგანას სატყეო).

**ფშალუ(უ)რი/შპალური** – ვაკე-სახნავეები ლეფონჯარას მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „აქ ხარობდა ფშალი, მისგან ამზადებდნენ დროუს პურის ამოსაყვანად“ (მაზანდარა).

**ფშელიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი მახარიაში. ფშელია გვარია. ოფიც. ფორმა: შელია (ლია).

**ფშქერ(ამ)ღალ(გ)** „შქერიანი ღელე“ – ენგურის მარჯვ. შენაკადი. გადის შქერნალში (ჭალე). მდგენლებია ოკიბოიღალ და ოქაჯეღალ(გ) (ენერფერდი).

**ფშქერიშ ღალ(გ)** „შქერის ღელე“ – 1. ერისწყლის შენაკადი. მოკლეა – 1,5 კმ. სათავე აქვს ხულუურში (ფახულანი); 2. ღელე და ხეობა, ხუფაიას შენაკადი (ლია).

**ფშქერონა** „შქერნალი“ – ენოდება ბუჩქნარს ნაპერტუსა და გოხორხილ-ოქაჯეს შუა (ფუქი).

**ფშქერონი** – ტყე-ფერდობი უბადოღალის ზემო დინებასთან. ტყის ქვეშ შქერი ხარობს (ფახულანი).

**ფშქერ(ონ)ღალ(გ)** – ჩხოუშიას მარჯვ. შენაკადი (პ. ენერი).

**ფშქერღალ(გ)** „შქერის ღელე“ – ერისწყლის მარცხ. შენაკადი, მისი ხეობა და ყოფილი დასახლ. უბანი, რომლის მცხოვრებლებს ენოდებოდათ ფშქერღალარეფი (ფახულანი); ღელე და ხეობა, ერისწყლის მარცხ. შენაკადი. აქვე დასახლებულ უბანსაც ფშქერღალი ეწოდება (ლია) და სხვ.

**(ფ)შქერღალ(გ)** — ღელე. ერთვის ენგურს ყოფილ ჩაის ფაბრიკასთან. მოედინება ენერფერდიდან. მდინარის ზემოთში უხვად ხარობს შქერი (ჭალე).

## – ქ –

**ქალაქი** – ერქვა დუქნებიან ადგილს სასოფლო გზაზე, სადაც შემორჩენილი იყო ციხესიმაგრისა და ეკლესიის საფუძვლის ნაშთები. ნასაყდრალთან **XX** ს-ის დამლევსაც მოდიოდნენ მომლოცველნი ჩხორონყუს რაიონიდან (ქალაღალი).

**ქალაღალი** ( ქალაქიშ ღალ „ქალაქის ღელე“) – ერისწყლის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 3 კმ. იქმნება ნარაგუსა (მარჯვ. მდგენელი) და უბადოღალის (მარცხ. მდგენელი) შეერთებით. მიუთითებენ ადგილს მდინარისპირას, სადაც ძმებს – თოდუებს ჰქონიათ დუქნები. ქალაქი სწორედ ამ ადგილს დარქმევია. აქ ჩამდინარე ღელეს ეწოდა ქალაღალი, რაც შემდეგში ოიკონიმად იქცა. სწორედ მდ. ქალაღალის ხეობაში მდებარეობს სოფელი ქალაღა-

ლი (მდრ.: „საკუთრივ ქალაღალთან „ღალ“ ღელეს ნიშნავს. „ქალას“ წარმომავლობა უცნობია“. იხ. გაბისონია, 2009, გვ. 18). ამ ნიგნის რედაქტორის შეკითხვა: იქნებ ქალა მომღინარეობს არა ქალაქ სიტყვიდან: ქვალა „ქვავნარი, ქვიანი“; ქვალა-ღალუ ქალაღალი; მთაგორიან სოფელ ქალაღალიდან მოსახლეობა 1950-51 წწ. გადაასახლეს ოჩამჩირის რაიონში. ამის შემდეგ სოფელმა დაკარგა სასოფლო საბჭოს ცენტრის სტატუსი.

**ქალაღალი** — სოფელი ფახულანის აღმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ქამნა** — ბორცვი, ნასახლარები გუჩუურში, ოჯოლორელალის მარცხ. ნაპირას, ესქედას ქვემოთ. აქაურ მაცხოვრებლებს ეწოდებათ ქამნაშარეფი (ფახულანი). რესპ.: „ქამნა იგივე ქამენია (კამანია) უნდა იყოს. აქ ხარობს“. სხვა რესპ.: „ქამნა ეწოდება, მაგრამ ქამენია არაფერ შუაშია“. ქამენია ყველამ იცის. ნათქვამია კიდეც: „ღეც ქამენია ჯოგღღუაღო ჩხვინღიშ წოხოლე გეურთუა“. სოფელში ყველა იხსენებს, თუ როგორ გამოიყენა ერთმა პიროვნებამ ტოპონიმები: გვარად გუჩუა ქ. ზუგდიღში დაუჭერიათ ჩხუბისათვის. როცა ვინაობა ჰკითხეს, უთქვამს, „ესქედა ქამნას ძე ნორსელია ვარო“. აღ. ქობალია: „**ქამენია//ქამანია//კამანია** — ანაგვირილა, ძაღლქათამა (მცენ.)“.

**ქამფარი** — ფერღობი დობერაში. რესპ. პ. გერგეღავა: „ქამფარი არის ღრმა ღარტაფი, ნაპრალი ფერღობზე“. აღ. ქობალია: „**ქამფარი** — ქარაფი, უფსკრული; ურჯულო...“

**ქანღარონი** — ბორცვი საგუჩუოში (ფახულანი). ქანღარა ზოგადად ძალიან მაღალი ადგილია. კონკრეტული მნიშვნელობანი ასეთია: 1. გასამზეურებელი ქვემაგებელის გადასაკიდებელი გრძელი ჭოკი; 2. საქათმეში ქათმების დასადგომი გრძელი ღატანი (რესპ.: გადატანითი ოროგრაფიული მნიშვნელობა: ქანღარასავით მაღალი ადგილი). დ. ჩუბინაშვილი: „**ქანღარა** — ფრინველთ საჯღომი ხარისხა“ (ზუსტად ასეთივე განმარტება აქვს ნ. ჩუბინაშვილსაც); ს.-საბა: „**ქანღარი** — ფრინველთა საჯღომი ღატანი (ხე)“; აღ. ქობალია: „**ქანღარი, ქანღარა** — ღატანი; ზვინის მისადგმელი განტოტვილი ჭოკი“.

**ქანთარიამ ნოხორი** — სახნავი, ხიღნარი სოფლის ცენტრალურ ნაწილში, ენგურის-პირას. უწინ ენგური მოშორებით დიოდა (პალური).

**ქანთარიეფიშ ნოხორი** — სახნავი. იგივე **ნაჭაჭ(გ)** (ჯვარი, ღეშამუგე).

**ქანთარიეფიშ ნოჟალა** — მღინარე, ნოჟალანყარის მდგენელი. სათავეა ძოკიშ წყურგილი (ღეშამუგე).

**ქარაიაშ ნაკარ(უ)** — საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, კურორტ სქურის ჩრდ.-დას-ით (სქურის სატყეო). ქარაია გვარსახელია (588 სული საქართველოში).

**ქარღამ გვალა** „ქარღა(ვა)ს მთა“ — მთა ტყე-საძოვრებით ინწირას მარჯვ. მხარეს. ეკუთვნოდა ქარღავებს. მათგან უყიღია ნ. ჭანტურიას ბაბუას და სახელიც მასვე დაურქმეღია. (ჩქვალერი).

**ქარღამ ღიხა** — მინღორი სოფლის ცენტრში. ადგილისათვის ეს სახელი დაურქმეღიათ ჭანტურიებს, რომელთაც ეს მინღორი ქარღავებისაგან უყიღიათ (ჩქვალერი).

**ქარღამ ნაკარ(გ)** — საძოვარი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, კურორტ სქურის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (სქურის სატყეო).

**ქარღამ ჩაი//თომაშ ჩაი** — ჩაის ფართობი სოფლის აღმ. ნაწილში, ეწრის მაღლობზე. ჩაი თავის მინაზე გაუშენებია თომა ქარღავას, რომელიც შემდგომში კოღმეურნეობის ბრიგადირი ყოფიღა (ღია).

**ქარღეფიშ ფერღი** — ფერღობი ტყე-ბუჩქნარით სოფლის აღმ. ნაწილში, მებონიეფიშ ფერღის გვერღით. ქარღავები ღებოხაღალის ნაპირას ცხოვრობენ, ქარღეფიშ ფერღის ძირას (ზ. ღია).

**ქართღაში** — საძოვარი ყვირას სამხრ.-დას. კალთაზე, ქართღაშღალის სათავესთან, მთის გზაზე, სადაც მღებარეობს გიღაკიღარი და ღოღწიფური (ჯვარის სატყეო). აღ. ქობალია: „**ქართღაში** — ბაკისა, ნადირთ საჩიხისა; საქონლის დასარწყულებელი ადგილი მღინარეში“.

**ქართღაშღალ(გ)** — ღელე, კინჩხას მარცხ. შენაკადი (ჯვარის სატყეო). ქართიღაშიშ(ი) ღალი დასახელებულია აკ. ჭანტურიას რუკაზეც.

**ქარსამი** – ქარაფი, კლდე, სადაც გადის უბადო მიკოლ (ნაკიფუ, ულურია). ო. ქაჯაია: „**ქარსამი** – უფსკრული“. ალ. ქობალიას ლექსიკონში ეს ლექსემა არაა შეტანილი.

**ქა(რ)ციში** – ფერდობები ლეშამუგეს საზღვარზე, ქაციშლალის//აქბარდიეფიშ ლალის (ლეკერის ზემო წელი) სათავესთან (ჯვარი).

**ქაუშ ნოცუნეი** – მინდორი და მიმდებარე ფერდობი ოლორის მარცხ. ნაპირას, ნაკაკას გვერდით (ჭველე).

**ქაციშ ლალ(გ)//აქბარდიეფიშ ლალ(გ)** – ლელე, ლეკერეს ზემო წელი ლეშამუგეს საზღვართან. იხ. **ლეკერენყარი//ოხარკალუნყარი** (ჯვარი).

**ქეთევანიშ ნოხორი** – სახნავი საგერგედაში, ცხონოხორთან. აქ ესახლა მარტოხელა შინაბერა ქალი ქეთევან გერგედავა (ფახულანი).

**ქეთევანიშ სუკი** – ბორცვი ტყე-ბუჩქნარით ტობეშში (ფახულანი).

**ქეთეშ სასაფლა** – სასაფლაო ლეჩიეში, ბორცვზე, კატიაშ ლალის სათავესთან. ქეთე აქ პირველი დაუკრძალავთ. ახლოსაა **მიხაშ სასაფლა** (კუხეში).

**ქეთეშ წყურგილი** – წყარო ენერში, მაზანდარას საზღვართან, დიდქუაშ ლალის სათავესთან (საჩინო). ქეთე ქეთევანი.

**ქელეყანი** – მორევი. იგივე ქერეყანი (საჩინო, მაზანდარა).

**ქელმეშ შარა** – ნაგზაური. იგივე ლულაშარა (მედანი).

**ქენჩიშ ნასხაპა** – მორევი ინწირაზე (საჩინო). რესპ.: „ერთხელ ქაქუჩა შელია რალა-ცაზე გაბრაზებულა და მალალი კლდიდან ამ მორევიში გადამხტარა. ამის შემდეგ თვით მას მეტსახელად **ქენჩი** დარქმევია, ხოლო მორევს – **ქენჩიშ ნასხაპა**. მანამდე თურმე **ნაჯიხეში ტობა** ერქვა“. **ქენჩუა** „ახტომ-დახტომა“ **ქენჩია** „ხტუნია“.

**ქერაყანი** – კლდე და ნამორევალი. იგივე ქერეყანი (საჩინო, მაზანდარა).

**ქერექიაშ ნოხორე** – ტყე ფერდობზე, უბადოლალის ხეობაში (უბადოლალი).

**ქერექიაშ რზენი** – ვაკე-სახნავი და მოედანი წკვიბლალის მარჯვ. მხარეს (ლეჯოლი-ხე). ქერექია ლემონჯავას ეკუთვნოდა.

**ქერექიაშ წყურგილი** – წყარო საკალანდიოში. ქერექია კალანდია ამ წყაროსთან ესახლა (ნალენჯიხა).

**ქერეყანი//ქელეყანი//ქერაყანი** – კლდე და ნამორევალი ჭანისწყლისა და ინწირას შესართავთან (საჩინო, მაზანდარა). ხალხ. ეტიმოლოგია: „დიდი მორევი იყო კლდისძირას, ყველაფერს ზედ რიყავდა მდინარე. ამიტომ დაურქმევიათ ქერეყანი“.

**ქერეყანიშ ჭალე** – ჭალა-სახნავი შემადლებულ ვაკეზე, ქერეყანთან (საჩინო).

**ქესქინჯიშ ლალ(გ)** – ბურღონალალის მონაკვეთი. ქესქინჯი („ხტუნია“) პირსახელია. კონტექსტი: „ჩქიმი მეზობელს ქესქინჯიშ ლალგშა ქალურაგუაფუდუ ნაბერაღში ქუა“ (ფახულანი).

**ქესქუშ წყურგილი** – წყარო-ნაკადული. გოხინჯილიშ სუკიდან ჩაედინება უბადოლალში (უბადოლალი). ქესქუ მამაკაცის სახელია. გვარად იყო გოგონა.

**ქვაბი** – ხეობა-საძოვრები ხუბერალას სათავესთან, თეკანაშისა და საცხენოს ჩრდით (მაგანას სატყეო). **ქვაბი** „მღვიმე, გამოქვაბული; სივრცე გადმოხურული კლდის ქვეშ, მდინარის რკალისა და ბორცვს შორის მომწყვდეული ვაკე“ ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიში. ქვაბი ქვაბია, მაგრამ ამ შემთხვევაში ოროგრაფიულ ნომენადაა გადაქცეული.

**ქვაბიში** – ჩავარდნილი ადგილი ლულერაში, ფეფურის აღმ-ით. ქვაბი ჭისებური ქვაბულია. ქეგლ-ის ერთ-ერთი განმარტება: ქვაბი იგივეა, რაც გამოქვაბული (ნაკიფუ).

**ქვაბიში//ქვაჯიში** – დავაკება ენგურის მარცხ. ნაპირას, ომუნეს ჩრდ.-დას. ნაწილში, მალალი ფერდობების ძირას (ჯვარი). ქვაჯიშთან დაკავშირებით არსებობს ასეთი მოსაზრება: საერთოქართველურ ჰიპოთეტურ **ქურ-** „სახელური; ხელთათმანი“ ლექსემას ზანურში უნდა მოეცა **ქუჯ-**ი, რაც დაცულია სვანურში ქუჯ (ქუჯ) „სახელური (კოტა, მაჭო)“ ფორმით. „ისტორიულ ზანურში ქვაჯ- ფუძის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს მიკროტოპონიმი ქვაჯ-იშ-ი, რომელიც გვხვდება ენგურჰესის კაშხალთან“ (ჩუხუა, 2003, გვ. 114). შდრ. ალ. ქობალია: „**ქვაჯი** – პატარა გამოქვაბული“.

**ქვაბუმ ნოხორი** – სახნავი ნალეგეჯერუმი. ქვაბუ ( ქვაბლუხუ) მამაკაცის სახელია (საჩინო).

**ქვაბლალი** – ღელე, სქურჩას მარჯვ. შენაკადი, საზღვარი სოფ. ლენურნუმესთან (ჩხორონწყუს რ.). მდინარის ზემოთში ერთგან არის მღვიმე, ღრმა გამოქვაბული, საიდანაც გამოედინება წყარო (ნაკიფუ).

**ქვაბლალეში სუკი** – ბორცვი სქურჩასა და ქვაბლალს შუა. დასცქერის ქვედა ლეჟას (ნაკიფუ).

**ქვაგალავანი** – ფერდობი ბოურში, უჩა ღალის მარჯვ. ნაპირას. ფერდობს გალავნის მსგავსი კლდე-კედელი აუყვება (ლეშამუგე).

**ქვალაჯინჯი** – კლდისძირა მორევი მაგანასა და სოროხუს შესართავთან. გამოყენებულია საბანაოდ. წყალში ლოდი აგდია და შუა ყოფს მაგანას დინებას (ლექარდე). სავარაუდოა: ქვალა ქვალანა „ქვავნარი“.

**ქვამზაჩიშ ნაკარუ** – ტყე-ბუჩქნარი. იგივე **კვამზაჩიშ ნაკარუ** (ფახულანი).

**ქვანა** – 1. კლდისძირა მორევი ლეშეროზიეში, ოღუელალისა და ინწგრას შესართავთან (ჩქვალერი); 2. ვაკე-სახნავი კლდის თავზე, მენჯრალალის სათავესთან. ქვანა ქვალანა „ქვავნარი, ქვიანი“ (ლექარდე) და სხვ.

**ქვანწყი** – ტყე-ფერდობები. იგივე **ქუანწყი(ლი)** (ჩქვალერი, ნაგურუ).

**ქვარჩხანა** „ჯავნარი“ – ჯავნარი ლეკაკალეში (კუხეში). **ქვარჩ(ხ)ი** – ჯავი, ჯავნარი. სუფიქსი -ანა იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც -ონა. შდრ. ალ. ქობალია: „ქვარცხი – ჯავი, ველური ყვავილი, ალპური საძოვრები“.

**ქვარცხაშ კარე** – სახნავი სქურში, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. ქვარცხავა გვარსახელია (სქურის სატყეო).

**ქვარცხეფიშ დიხა** – საძოვარი ბელერის ხეობაში, სახუბულის დას. ნაწილში. რესპონდენტთა ცნობით, ქვარცხავები ამ მიწას „უფლენდეს“ (უფლობდნენ) და ამიტომ დაერქვა (ლეთკანთი).

**ქვატახტი** „ქვის ტახტი“ – მინდორი ქვედა მაზანდარაში, ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (წალენჯიხა). ო. ქაჯაია: „ტახტი — დასაჯდომი ფართო ლოდი“.

**ქვაქანცალ(ი)ა//ქუაოქანცა(ლა)ია//ქუაქანცალია** „მერწევი, მერხევი, მოქანავე ქვა“ – სამი ლოდი ყვირაზე. ერთი ზემოდან ადევს ორ ქვას და მცირე შეხებაზეც ირხევა, ირყევა, ინძრევა (ჯვარის სატყეო). რესპ.: „აქ კაციჭამია დევი მკვიდრობდა. თვეში ერთხელ თავს დაესხმოდა სოფელს და გოგო-ბიჭებს იტაცებდა... დახმარება არამხუტუს სთხოვეს. იგი ოხაჩქუს მთაზე დაბანაკდა და პირველმა სტყორცნა ქვა დევის მიმართულებით. არამხუტუს მიერ ბოლოს ნატყორცნი ქვა ყვირას მთაზე მდგარ დევს მოხვდა და თავი გაუპო. მანამდე კი ერთ-ერთი ლოდი იქვე მდებლობდა დაეცა და უზარმაზარი ორმო ამოთხარა. გამარჯვებული არამხუტუ ყვირაზე აიყვანეს, ორმოდან ლოდი ამოიღო და ისეთი ადგილი მოუძებნა, რომ თითის შეხებით ექანავა. ამასთანავე, ყვირაზე არამხუტუს ნატყორცნი სხვა სამი ქვაც დღემდეა შემორჩენილი, მათ ეწოდებათ **არამხუტუმ ქუალეფი**“. ალ. ქობალია: „ქანცალი – რყევა, ნძრევა, რწევა, ქანაობა (იქანცე „ირწევა“)“. იხ. ვარიანტი **ქუაოქანცაია** აკ. ჭანტურიას ტოპონიმთა რუკაზე. საქართველოს ბუნების სპეციალისტის თვალსაზრისი ასეა გამოხატული: „დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთი მოქანავე ლოდია მიკვლეული. მას „ქუაქანცალიას“ უწოდებენ. იგი მდებარეობს მთა ყვირას უტყეო ზონაში, მდინარე ინწირას სათავეში, 1800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ათი-თერთმეტი ტონის ქუაქანცალიას ეს ლოდი თითის მიბჯენითაც კი ქანაობს და კაკუნის ხმას გამოსცემს. მას ოთხი საყრდენი წერტილი აქვს, მაგრამ ერთი მათგანი ყოველთვის თავისუფალია“ (გერგედავა, 1999, გვ. 196). მწერალი და ჟურნალისტი ზაურ ფიფია ამ ქუაოქანცალიასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ნოველაში გვაუწყებს: „ამხელა ლოდს ოდნავ შეეხები და ქანაობს, თუ ძალუმად მიანვები, ძვრას ვერ უზამ. საოცარია!... ამიტომ ჰქვია ქუაქანცალია — მოქანავე ლოდი“ (ფიფია, 2006, გვ. 81).

**ქვაქვალაშ ნადიხ(გ)ლალეშ დიხა** – სახნავი ტკიბრასა და ლეხულეს შესართავთან, ნახაჯის ქვემოთ. მინა ეკუთვნოდა **ქვაქვალა** ფიფიას. **ლალე** მის შვილს ერქვა (ჩქვალერი).

**ქვაჩამური//ქუაჩამური** „ქვის საცხეველი“ – 1. სახნავი ინწირასა და მოროჟას შე-სართავთან, ლემეროზიეში (ჩქვალერი); 2. ბორცვი ლეფიფიეში, ნაფაცხის გვერდით. აქ დევს დიდი ლოდი, რომელსაც თავთავის ჩასაცხევი ორმო აქვს ამოჭრილი. ვარ. **ლუმუმ ოგემალ(გ)** (კუხეში) და სხვ. მართალია, **გემუა** ნიშნავს ლომის თავთავის მოწყვეტას, მომ-კას (იხ. ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას განმარტებანი), მაგრამ, უდავოა, ქუაჩამურის პარა-ლელურ სახელწოდებას „ლუმუმ ოგემალი“ სხვა სემანტიკამდე მივყავართ. რესპ.: „ქუაჩამური ლუმუმ ოგემალი ქუა რე. თექ ინაჩაჩანდეს ლუმუმ დუდებს“.

**ქვაჩინელი** – წყარო. იგივე **ქვაჩინერი** (ფახულანი).

**ქვაჩინერი//ქვაჩინელი//ქვაჩილორი** – წყარო ლეჯიორში, ნაქერლალის სათავე ქვე-მო ლეკუკეში. ამოქუხს კლდის ძირიდან. ფსკერზე თეთრი ქვა-კენჭებია, წყალი სუფთაა და კამკამა, საუკეთესო, ჩინებული სასმელი (ფახულანი). რესპ.: „ჩინერი, ჩინელი ნიშნავს უცხოს, გამორჩეულს, განსაკუთრებულ წყაროს თეთრი ქვა-ხრებით ფსკერზე. ასეთი ბარ-ში არ მოიპოვება, მხოლოდ მთაშია“. შდრ. ალ. ქობალია: „ჩინელი – ... ცნობილი, გაცნობი-ლი“. ალ. დლონტის ლექსიკონშიც ასეა აღნიშნული: „**ქვაჩინელი** — წყ. ფახულანში“ (დლონტი, 1971, გვ. 98).

**ქვაჩილორი** – წყარო. იგივე **ქვაჩინერი** (ფახულანი).

**ქვაცაიამ ნოხორე//ბელქანია ნოხორე** – სახნავი ხეობაში, ლესხულუხეს ჩრდ. ნა-ნილში. აქ ესახლა ქვაცაია ბელქანია (ლესალე).

**ქვაცამ ტყა** (ქვაცას ტყე) — ტყ. ობუჯში (დლონტი, 1971, გვ. 98).

**ქვაცამ ლალ(გ)** – ლელე-ხევი, სქურდილას მარცხ. შენაკადი სოფლის ჩრდ. ნაწილში. ქვაცა (მამაკაცი) მოუკლავთ და აქ ჩაუგდიათ (ობუჯი).

**ქვაცამ წყურგილი** – წყარო. იგივე **ოხარჩალაია** (მაზანდარა).

**ქვაჯიში** – დავაკება. იგივე **ქვაბიში** (ჯვარი).

**ქვედა ლეჟა//თუდონ(ი)ლეჟა** – უბანი და ვინრო ზოლი სქურჩას მარჯვ. ნაპირას. და-ყოფა „ზედა“ და „ქვედა“ გვიანდელია: 1935 წელს ლეჟას ზემო ნაწილში გაიხსნა ოთხწლია-ნი სკოლა და მიმდებარე ტერიტორიასაც ზედა ლეჟა (ჟიმოლენლეჟა) დაერქვა. შესაბამი-სად, მდინარისპირა ლეჟას ეწოდა **ქვედა ლეჟა//თუდონლეჟა** (ნაკიფუ).

**ქვედა მაზანდარა** – სოფლის ნაწილი, ფართო და ვრცელი დავაკება ქანისწყლის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „ენერში მდებარე მაზანდარას ნიკოლოზის დროიდან ეწოდებოდა ზედა მაზანდარა, ხოლო მდინარისპირა ვაკეს მერე დაერქვა ქვედა მაზანდარა“. მეგრულ-ში მსაზღვრელი სიტყვები „ზედა“ და „ქვედა“ მხოლოდ ოფიციალურ (ქართულ) წყაროებ-შია დაფიქსირებული. ზეპირ (მეგრულ) მეტყველებაში მათ ცვლის „ჟიმოლენი“ და „თუდო-ლენი“ (მაზანდარა).

**ქვედა ოჭკეში** – მიკროუბანი, ოჭკეშის სამხრ. ნაწილი. „ქვედა ოჭკეში“ თავდაპირვე-ლად დაერქვა საარჩევნო უბანს („ქვედა ოჭკეშის საარჩევნო ოლქი“) და შემდეგ ამ მიკრო-უბნის სახელად იქცა (ჭალე).

**ქვიშონა** „ქვიშიანი“ – 1. სახნავი ქანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში, ვაკეზე (ჯგალი); 2. ვაკე-დაბლობი ნონყარენსა და ქანისწყალს შუა. 1925 წელს, არქეოლოგ აკ. ჭანტურიას ჩანაწერების მიხედვით, აქ ნაპოვნია აპოლონის ბრინჯაოს ფი-გურა (ჭანტურია, ძიებანი... 1989, გვ. 179). შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ეს იყო არა „აპოლონი“, არამედ დიოსკურების წყვილის ერთ-ერთი ფიგურა. ერთ დროს, წყალდი-დობისას, ეს ტერიტორია წყალს დაუფარავს და ქვიშაც ბლომად დაუტოვებია (საჩინო). შდრ. „ეტიმოლოგია“: „ტოპონიმი ქვიშონა ასე დაიშლება: ქვი-შონა. **შონა** სვანს (სვანეთს) აღნიშნავს. გაურკვეველია „ქვა“ კომპონენტის მნიშვნელობა“ (მიბჩუანი, გვ. 275). ჭეშმარი-ტად, კალამი ყველაფერს იტანს!

**ქიაჩი//ქიაჩი ოხვამე** – ნაეკლესიარი. იგივე **ნაქიაჩი** (ობუჯი).

**ქირსეიამ ნოხორი** – ბურქნარი ბორცვ ნაგუგულუზე, სამართალას მარცხ. ნაპირას. რესპ.: გადმოცემით, „დიდი ხნის წინათ აქ ესახლა ბავშვების ქურდი ქირსეია მოსიძე“ (ლე-ჯოლიხე).

**ქირსემანცხვარი** „ქრისტემაცხოვარი“ – ეკლესია. იგივე **ქირსემ ხატი** (ლემამუგე).



**ქირსეშხატი//ქირსემანცხვარი//ქირსე ხორციელი** – ახალდგენილი მაცხოვრის ეკლესია სოფლის ცენტრში, ბორცვზე. თავდაპირველი ნაგებობა VI-VII საუკუნეებისა უნდა იყოს (ლემამუგე). ეკლესიასა და მის ეზოში სასაფლაოს ერთად ეწოდება **ოხვამე**. ქირსეშ ხატი ფიფიებისა და ჭანტურიების სალოცავია. ლემამუგეს ქირსე-მანცხვარს ს. მაკალათია „ძლიერ ხატს“ უწოდებს. რესპ.: „აქ ყოველწლიურად ორი საკულტო დღეობა იმართებოდა: **ზარაკუა** – ამალღების მეორე დღეს და გიორგობა – 10 ნოემბერს. აქვე ხდებოდა ხატზე გადაცემა და დაწყევლა. გადაცემულსა და დაწყველილს ეკლესიის კარზე დააბამდნენ, სანამ არ გადაიხდიდა გარკვეულ თანხას, ან ხატის კარებთან არ დააბამდა შეწირულ ხარსა თუ ცხენს“. ეკლესიასა და მასთან არსებულ სასაფლაოს ერთად ეწოდება **ოხვამე**.

**ქირსეხორციელი** – ეკლესია. იგივე **ქირსეშ ხატი** (ლემამუგე).

**ქიქიაშ კარე** – საძოვარი სქურში. რესპ.: „ქიქია სახელია კოლმეურნეობის ფერმის მწყემსისა“ (სქურის სატყეო).

**ქიჩოშ ტომბა** – მორევი ჩხოუშიაზე, ლეჭანტურეში. **ქიჩო** ჭანტურია, რომელმაც 110 წელი იცოცხლა, ამ მორევთან ესახლა (პ. ენერი).

**ქოლო** – 1. სახნავი შქალიაში, ხუფაიას მარჯვ. მხარეს (ლია); 2. ამობეტონებული წყარო ოლორისპირას, ოგურგინჯთან (ფახულანი); 3. წყარო, ფუისქურის სათავე. ამჟამად ცემენტის ქოლო უდგას, უნინ კი გვიმი ყოფილა ჩადგმული (ფუქი); 4. წყარო ლეფიფიეში. ქოლოლალის სათავე (ლემამუგე) და სხვ. მრ. **ქოლო კოღია**, ე.ი. გულამოღებული მორი, რომელსაც წყაროში ჩადგამენ, რათა წყალი სუფთა და აუმღვრეველი იყოს. საამისოდ ეძებდნენ ფულურო ხეს – მუხას, ხურმას, თხმელას. იყენებდნენ გამომწვარ თიხის კოდსაც. ხდებოდა ჭა-წყაროს კედლების ამოშენება-ამოკირვაც ან ჭურის (ოთხკუთხად შეკრული ჯარგვალი) ჩადგმა. ამჟამად ბეტონის კოდსაც ამზადებენ, რადგანაც ქოლო, ჩვეულებრივ, წყალში დგას, სიტყვამ ზოგადად „წყაროს“ მნიშვნელობა მიიღო (ამიტომ შეკითხვა, თქვან კუნთხუს ქოლო ქოიღუნანო? ამას ნიშნავს: „თქვენს კუნთხეში წყარო გაქვთ?“). რესპ.: „ქოლოს ირო ჯგგერი ოშუმალი წყარი რე. კნობ ირო თის ბხვარენდით ინჭეფიმ კეთებაშა. ჯაში გვიმი დინოდგდგ. ხვიმამ ჯას დობგორენდით, დიდ შხუ ლოლამს, დობთოლგენდით დო ქინობდგენდით. დიდხანს გარზდგ. ქოლო ხოლო თინა რე“. შდრ. ი. ყიფშიძე: ქოლო , ე.ი. თავლია კასრი, რომელიც გამოიყენება ფქვილის, ლერღილის ჩასაყრელად (იხ. აგრეთვე: ო. ქაჯაია, ტ. III, გვ. 150; ალ. ქობალია, 2010, გვ. 637).

**ქოლო//ქოლო(შ)წყარი//გვიმიშ წყარი** – წყარო ლეჯიორში. რესპ.: „ამ წყაროს ხის ძველისძველი გვიმი უდგას“ (ფახულანი). ალ. ქობალია: „**გვიმი** — ჭის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან ნკნელის ზღუდე, გვირგვინი“.

**ქოლო//ქოლოწყარი** – წყარო ოსხაპუესუკში. წყაროში თიხის გამომწვარი „გვიმი“ იდგა (წყოუში).

**ქოლოშ ლალ(გ)** – მცირე ლელე ლეფიფიეში. მოედინება ქოლოდან (ლემამუგე).

**ქოლო(შ)წყარი** – წყარო. იგივე **ქოლო** (ფახულანი).

**ქოლო(შ)წყურგილი** – წყარო ლეჭიჭალეში. თხმელის ძირში ჩადგმულია ქოლო. სოფელი ამ წყაროს წყალს მოიხმარს (ნაგურუ).

**ქოლოწყარი** – წყარო. იგივე **ქოლო** (წყოუში).

**ქორთუშ ნოხორი** – ერქვა ტყეს ჯვარზენში, საცხადაიოსა და მულურონს შუა (ჯვარი). თედორე ცხადაიას გადმოცემით, ეს ქორთუ („ქართველი“) იყო იმერეთიდან ჩამოსული ცხადაძე (აქაური ცხადაიების წინაპარი).

**ქორსი//ქორსუ//ქორსო** – ფერდობები და ხევი, ინწირას მარჯვ. შენაკადი ლეაბრა-ლეში, დიხაფალუს ბორცვის სამხრ. კალთაზე (ჩქვალერი, ნაგურუ).

**ქორსო** – ხევი. იგივე **ქორსი** (ჩქვალერი, ნაგურუ).

**ქორსუ** – ხევი. იგივე **ქორსი** (ჩქვალერი, ნაგურუ).

**ქოფეთიანიშ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ოტოფუეს შესართავის ჩრდ-ით (ნაკი-ფუ).

**ქოქი** – მთა-საძოვარი მაგანა-ჭანისწყლის სათავეებს შუა. მისი მწვერვალია ქოქიმ-დუდი (მაგანის სატყეო). შდრ. ო. ქაჯაია: „**ქოქა** – ფულურო, ფუტურე; სიღრუე“. ალ.

ქობალია: „ქოქა — ფულურო, ღრუ, ცარიელი“ (მდრ.: ქოქ სვანურშიც ფულუროს აღნიშნავს). რესპ.: „ქოქი — მწვერვალი მთისა, ხის წვერი“. წყევლაცაა: გოჭყორდუ სქანი ქოქიქ „განყდეს შენი სამკვიდრო“.

**ქოქიმდული** — ქოქის მწვერვალი. იხ. **ქოქი** (მაგანას სატყეო).

**ქოჩომ ნაკარუ** — მცირე საძოვარი ყარაში, ჩხოროცხაცხუსთან. **ქოჩო** პირსახელია (სქურის სატყეო).

**ქოჭორი** — ტყისპირა მინდორი ჯვარზენში, სააქბარდიოსა და საცხადაიოს შუა (ჯვარი). რესპ.: „არამხუტუს ჯვარელი ქალი მოუტაცია. გამოჰკიდებთან და მოუკლავთ. მისი ქოჩორიანი თავი აქ დაუგდიათ. ამიტომ დარქმევია ქოჭორი“ (ვითომ: ქოჩორი ქოჭორი). რესპ.: „სინამდვილეში **ქოჭორი** ბალახია ერთგვარი“. ბალახის სახელის გადაქცევა ადგილის სახელად (კონვერსიის გზით) არაა იშვიათი ტოპონიმიაში. მდრ. აღ. ქობალია: „**ქოჭორი** — მთის ჭაობის ბალახი“.

**ქოჭორიმ გემალ(გ)** — გზის მონაკვეთი. ქოჭორიდან გადის ჯვარზენის მთავარ გზაზე (ჯვარი).

**ქრისტინემ ნოხორი** — სახნავი ენგურისპირა ვაკეზე, სადაც სახერხი ქარხანა იდგა. ქრისტინე ქალის სახელია. ქმარი, თავადი ჩიქოვანი, ადრე გარდაცვლილა, თვითონ კი დიდხანს უცოცხლია. ამიტომ დაერქვა მათს ნასახლარს ქალის სახელი (ჭალე).

**ქსენიამ წყურგილი** — წყარო ლეძაძამეში (პ. ენერი).

**ქუაკოტო** — მდინარის მიერ ბუნებრივად შექმნილი ქოთნის ფორმის უზარმაზარი ორმო ენგურის მარჯვ. ნაპირას, ქუარხვილის მოპირდაპირე მხარეს. ქვიშითაა დაფარული. აღნიშნულია აკ. ჭანტურიას რუკაზე.

**ქულაგვანი** „ქვის ქვევრი“ — დავაკება, ყოფილი დასახლებული უბანი ფურაშში, ხობანელალის ნაპირას, სადაც კლდე-ლოდზე ბუნებრივად ამოჭრილი იყო 100 ლიტრამდე ტევადობის ქვევრი (ხუდონის სატყეო). გადმოცემით, ამ ქვევრში მუდმივად იდგა ღვინო, გვერდით ენყო ხაპი და პურის კვერი. აქ გადიოდა ჯვარიდან სვანეთისაკენ მიმავალი გზა. მგზავრს ღვინო ამ ხაპით უნდა ამოელო, ეს ადგილი დაელოცა, დაეღია ღვინო და პურის ნატეხი დაეყოლებინა. თურქებმა თურმე თოფისნამალი ჩაყარეს და ააფეთქეს, მაშინ გაბზარულა. ზოგნი ირწმუნებიან, რუსის ჯარი რომ შემოვიდა, ეს ქულაგვანი სწორედ მათ ააფეთქესო. სხვა გადმოცემით, აქ ვილაცა დათვრა და ჩაარწყია, ამიტომ მეხი დაეცა და გაიბზარა. „ახალწლის მეორე დილას განგების წყალობით ეს ქვევრი წითელი ღვინით აივსებოდა და მომლოცავნი სვამდნენ. აქ სრულდებოდა ჯგირაგუნასადმი (ფუტკრის ღვთაება) მიძღვნილი რიტუალი. მაგრამ რიგითი ქრისტიანების მიერ ჩადენილი ცოდვების გამო ღმერთმა ქვაქვევრს მეხი დასცა და გაბზარა...“ (სამუშია, 1990, თავი VIII, გვ. 124-144). ბოლოს აქ ჩასობილი იყო ტელეფონის ბოძი, მაგრამ იგი ენგურის წყალსაცავმა დაფარა.

**ქულაონი** „ქვავნარი“ — 1. ქვავნარი ფერდობი ქულაონიმ სუკის დას. კალთაზე (ქალალალი); 2. სახნავი. იგივე **ორანჟერეა** (მაზანდარა) და სხვ.

**ქულაონიმ სუკი** — ბორცვი ღელე ქალალალსა და კვლგს შუა. უნინ ქულაონი ამ ბორცვზე ერთ მცირე ქვავნარ ადგილს ერქვა (ქალალალი).

**ქულაონიმ წყურგილი** — წყარო ქუანწყილში (ნაგურუ).

**ქუამაშვანდებუ** — დავაკება ნაოსქეში მიმავალ გზა-აღმართზე, დიდი ტებენეს მარჯვ. მხარეს (ფახულანი). ამ აღმართზე ბრტყელი ქვა დევს და მოხერხებული ადგილია შესასვენებლად. **ქუამაშვანდებუ**: „ქვა შესასვენებელი“ ან „ქვის შესასვენებელი“ (ე.ი. შესასვენებელი ქვასთან). რესპ.: „ეთექი კორქე ვამიშვანდასგნი, ვაშინერსია“.

**ქუანწყი(ლი)/ქვანწყი** — კლდე-ფერდობი ინნგრას ნაპირას, ჭყონიოხვამეს ქვემოთ (ჩქვალერი, ნაგურუ). სახელის მოტივაციის ორი ვარიანტი: ა. **ქუანწყილი** „ქვადაწყობილი, დალაგებული“ (მართლაც ქვის ფილებია შრეებად დალაგებულ-დაწყობილი ერთმანეთზე); ბ. კლდე-ფერდობზე ხარობს **წყი** „წყავი“. მაშასადამე, ქვანწყი ქუამწყი „ქვის (ქვაზე აღმოცენებული) წყავი“.

**ქუანწყილიმ წყურგილი** — წყარო ქუანწყილში (ჩქვალერი).

**ქუაოქანცაია** — იგივე **ქვაქანცალა** აკ. ჭანტურიას ტოპონიმთა რუკაზე.

**ქუაქანცალია** – სამი ლოდი ყვირაზე. იგივე **ქვაქანცალ(ი)ა** (ჯვარის სატყეო).

**ქუაქანცალია** „მოქანავე ლოდი“ შეტანილია საქართველოს „ნითელ ნიგნში“ როგორც გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური ძეგლი:

**„მდებარეობა“**: ნალენჯიხის რ-ნი, ჩქვალერის სასოფლო საბჭო, მ. ყვირა, მდ. ინწრას სათავეები. 1800 მ ზღვის დონიდან.

**„დახასიათება“**: მთა ყვირას უტყეო თხემურ ზონაში, ამალლებულ კვარცხლბეკზე, „ზის“ კირქვული ლოდი წვიმებისაგან დახრული ზედაპირით. მას აქვს 1,75 — 1,45 მ სიმაღლე, სიგანე, ერთი მხრივ, 1,68 და 2,10 მ, მეორე მხრივ, 1,60 მ. ლოდი დაახლოებით 10-12 ტონას უნდა იწონიდეს. ყვირას თხემური ზონა, სადაც ლოდი ძვეს, ქვედა ცარცული სქელი შრის კირქვებითაა აგებული.

ქუაქანცალიას ლოდი, მის გარკვეულ ნიბოზე თუნდაც სუსტი დაწოლით (მაგალითად, თითის მიბჯენით) ქანაობს და კაკუნის ხმას გამოსცემს. მას ოთხი საყრდენი წერტილი აქვს, მაგრამ ერთი მათგანი ყოველთვის უქმდაა. ყოველ მომენტში ლოდი კვარცხლბეკს ეყრდნობა, ერთი საყრდენი მდებარეობას იცვლის .

მოქანავე ლოდები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია ცნობილი და უმთავრესად მაგმური ქანებისაგან (გრანიტებისაგან, ანდეზიტებისაგან და სხვ.) შედგება. ოდიშის მოქანავე ლოდის — ქუაქანცალიას თავისებურებას განსაზღვრავს მისი შედგენილობა (კირქვა) და ისიც, რომ იგი დაკარსტულ მასივზე მდებარეობს.

**„მისასვლელი“**: ქუაქანცალიასთან მისვლა შეიძლება ნალენჯიხის რ-ნის სოფ. ჩქვალერიდან ჯერ ავტომობილით, შემდეგ კი (უკანასკნელ 3 კმ-ზე) ცხენით ან ფეხით. გზა ძირითადად ნიფლნარ და სოჭნარ ტყეში გადის.

**ინფორმაციის წყაროები**: მარუაშვილი, 1963; , 1971 (ნითელი ნიგნი, 1992, გვ. 209). აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია როგორც ქუაქანცალია.

**ქუაროხი//ქუაროხუ** – ფერდობი ენგურის მარჯვ. მხარეს, ღელოსა და ლაყორიას შუა (ჭალე). **როხი, როხუ** „ლოდი“; **ქუაროხი, ქუაროხუ** „ქვალოდინი ადგილი“. ფერდობი ქვა-ლოდებითაა დაფარული.

**ქუაროხუ** „ქვალოდი“ – 1. მორევი ინწირაზე. შიგ დიდრონი ლოდები ყრია (საჩინო); 2. სახნავი. იგივე **ქუაროხი** (ჭალე).

**ქუარხვილი** „ქვაგახვრეტილი; ქვის ხვრელი“ – კლდე ენგურის მარცხ. მხარეს, ქვა-ჯიშთან. კლდეზე მღვიმის შესასვლელი ჩანს (ჯვარი).

**ქუაურჩა** „ქვაშავი“ – ვაკე-საძოვარი წყავაშალას ნაპირებზე, სადაც შავი ლოდები ყრია. აქ ჩამოდის გზა ყვირადან (მაგანის სატყეო).

**ქუაშ გიოციმ(უ)** „ქვის ჩასაცვინი“ – კლდე-ფერდობი ტებენეს მარჯვ. მხარეს, უჩან-ყეიონთან. ამ კლდე-ფერდობიდან ხშირად ცვივა ქვა-კენჭი (ფახულანი).

**ქუაშკვერი** – სქურდილას ერთ-ერთი მდგენელი და ვაკე-ხეობა მის სათავესთან. იწყება ჩირქში (ნალენჯიხა). **კვერი** „ურო, ჩაქური; მრგვალი პური; საერთოდ, მრგვალი რამე“, ასეთია ძველი და ახალი ქართული და მეგრული ლექსიკონების ჩვენებანი, რაც სახელდების მოტივაციის დადგენას აძნელებს. ალ. ლლონტის ლექსიკონის მიხედვით „ქუაშ(ი) კვერი“ საჩაივა.

**ქუაშ კვცი** – კლდე-ფერდობები ნოჭალას სათავესთან, სადაც მოიპოვება თხელი ფართო ქვა, რომელიც ცეცხლზე არ სკდება (ჯვარის სატყეო). კვცი „კვცი; საკეცე ქვა“.

**ქუა(შ)წყარი** „ქვის წყარო“ – 1. ტყე და წყარო-ნაკადული ჭიჭე ყარაში, ოლორის მარჯვ. ნაპირას. გამოედინება კლდიდან (ჭველე). რესპ.: „ქუა(შ)წყარი ამ მთებში ბევრია, მაგრამ ტყის სახელად მხოლოდ აქ გვხვდება“; 2. ტყე და წყარო ჭალე-ოხაჩქუეს გზაზე ნაოსქესა და შემრამ ნაშვანდს შუა, ნინვოვან-ფოთლოვანი ტყის საზღვარზე (ჭალე, ჭალეს სატყეო).

**ქუაწყარიშ დუდი** — წყარო, ხეობის სათავე (ჭალე).

**ქუაშ წყურგილი** „ქვის წყარო“//**ხაბომ წყარი** – წყარო კვრდეჯინჯში, ხუმლაღალის სათავესთან. გამოედინება ლოდნარიდან (წყოუში). რესპ.: „ხაბო დიხა რე, ქუა რე, ტკილი ქუა, ფერდიშ ნანწყვი. თიშე კვლუურდუ ქუაშ წყურგილი“. სხვა რესპ.: „ხაბო ჯოხო

აკობონილ ქუაღევს, სოდეთ დიდი ქუაღეფი იშაყარუენი“. ო. ქაჯაია: „**ხაბო** — ხრამი, ხევი“; ალ. ქობალაია: „**ხაბო** — ფლატე“.

**ქუაჩამური** „ქვის საცეხველი“ – 1. ბორცვი ინწირას მარცხ. მხარეს, ლეაბრალესა და ლეჯღანჯღეს შუა. საცეხველი ახლაც დგას. გადმოცემა: ა. იყენებდენ ღომის საცეხველად; ბ. მასში თოფის წამალს ნაყავდენენ (ნაგურუ); 2. სახწავი. იგივე **ქვაჩამური** (ჩქვალერი).

**ქუანყარი** – 1. წყარო საქაროს კალთაზე. გამოედინება ქვის ძირიდან (ჭველე); 2. ტყე ოხაჩქუეს კალთაზე (ჭალეს სატყეო).

**ქუანყარიშდუდი** – ტყე ქუანყარსა და შემრამ ნაშვანდს შუა (ჭალე).

**ქუანყარიშ სორო//არმიანსკი სორო** – შურო, ხევი. მოედინება ქუანყარიდან, რაც ტყის სახელია. რესპ.: „არმიანსკი ყოფილა გვარი იმ კაცისა, ვინც **XX** ს. დამდეგს აქ ამზადებდა ხე-ტყეს გასატანად“ (ჭალე, ჭალეს სატყეო)

**ქუაჯვარი** „ქვის ჯვარი“ – ვაკე-ბორცვი ლეკვარაცხელეში, ოტოფუეს მარჯვ. მხარეს, სადაც რკინის საგნები მოჰქონდათ და ილოცებოდნენ. როგორც ჩანს, აქ ქვის ჯვარი იყო აღმართული (ფუქი).

**ქუზუმ ნაკარ(უ)** – ტყე-საძოვარი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (სქურის სატყეო).

**ქუზუმ ტობა** – მორევი ნარაგუზე, ილარიონიშ ღალის შესართავთან. ქუზუ (მამაკაცს ერქვა) მხოლოდ აქ თევზაობდა (ქალღალი).

**ქუთარიშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ეწერში, ჟიმოლენსამესხიოში (სამესხიო).

**ქუთამ წყურგილი** – წყარო საშელიოში, ბახულიამ ნოხორთან (საჩინო).

**ქუთელიეფიშ წყურგილი//ხუტუმ წყურგილი** – წყარო ნახულუს გვერდით. ფერდობიდან წყალი სამი ღარით გადმოდის (ობუჯი).

**ქუთუმ ეკოლ(გ)** – მცირე აღმართი ჯვარი-ლიას საავტ. გზაზე, სასაფლაოსთან, სოფლის სამხრ. ნაწილში (ზ. ლია).

**ქუთუმ ოისგრე** – სახწავი სქულუბურის ნაპირას. ქუთუ გოგობია აქვე ესახლა და ოისირეც (საისლე) მას ეკუთვნოდა (ფახულანი).

**ქუთუმ ღალ(გ)//ნესტორიშ ღალ(გ)** – ღელე, ოხარკალუღალის სათავე ჯვარზენში. ქუთუ მამას ერქვა, ნესტორი – შვილს (ჯვარი).

**ქუთუმ წყურგილი** – წყარო ოტოფუეს მარჯვ. ნაპირას, ლეზარქუეს უბანში. აქედან წყალს მიღგაყვანილობით ღებულობს ქალაქი (წალენჯიხა).

**ქუნარეში** – ტყე-ტაფობი. იგივე **ხუნარეში** (ჩქვალერი).

**ქურსოული** – ტყე-ტაფობი ინწირას მარცხ. მხარეს, ჭყონიოხვამეს ქვემოთ (ჩქვალერი). ქურსუა (გვარსახელი) ქურსოული „ქურსუასელი“.

**ქურსუეფიშ ღალ(გ)** – ღელე, წყუმღალის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ბორცვ ლე-ქურსუედან (ლესალე).

**ქურჩუიშ ომანე** – ხრიოკი ფერდობი, სადაც სორო-ბუნაგებში იმალებოდნენ მეღიე-ბი. ამ ფერდობს ფლობდა **ქურჩუია მიქავა** (მაზანდარა).

**ქურჩურუა წიფური** „ქორორა წიფელი“ – ორი წიფლის ხე სოფლის განაპირას, გვაჭკა-ში. დასაზუსტებლად იტყვიან: **გვაჭკამ ქურჩურუა წიფური, ჟინრზენიშ ქურჩურუა წიფური. ქურჩურუა, ქურჩურია** ნიშნავს არა მხოლოდ ქორორას, არამედ, აგრეთვე მრგვლად ტოტებგაშლილს, ტოტებგაფარჩხულსა და ღამაზს, მოხდენილს (ჩქვალერი).

**ქურჩუმ ნადიხგ** – სახწავი ნოჟალას მარჯვ. ნაპირას. რესპ.: „ქურჩუ ფიფია ასიოდე წლის წინათ აქვე ესახლა, მაგრამ საცხოვრებლად გადასულა წყავაშში, სადაც საძოვარი ჰქონია“ (ჩქვალერი).

**ქურჩულალ(გ)** – ნისქვილარას მარცხ. შენაკადი (სქურის სატყეო). ქურჩუ პირსახელია.

**ქუცონა** – 1. ჯაგნარი კუნძული ენგურზე, ოხარკალუს პირდაპირ (ჯვარი); 2. ვაკე-სახწავი ინწირას მარცხ. მხარეს. ქვაგნარი იყო, მაგრამ წყალდიდობისას შლამითა და მიწით დაიფარა (საჩინო) და სხვ. **ქუცი** „ქაცვი, ხის ეკალი. ეკლიანი მცენარე; კუნელი“. შდრ. ქართ.: ქაცვი : მეგრ. ქოცი ქუცი.

**ქუძუმ ნაისგრ(გ)** – თხმელნარი ღელე უბადოლალის ზედა დინების მარჯვ. ნაპირას, ორიტოლის გვერდით. აქვეა აგრეთვე ტყე-ბურქნარი **ქუძუმ ნაქობალ** (უბადოლალი).

**ქუძუმ ნაქობალ(გ)** – ტყე-ბურქნარი. იხ. **ქუძუმ ნაისგრ(გ)** (უბადოლალ).

**ქგრცხონა//კუნტა ქგრცხონა** – ტყე-ხევი სქურდილას მარჯვ. ნაპირას (ობუჯი). ქგრცხე „ჯაგი, ძეძვი, ეკალ-ბარდი“. ალ. ქობალია: „**ქირცხი** (ქგრცხ) – ბარცხი; **ქირცხონა** (ქგრცხონა) – ეკალნარი, ჯაგი, ბარცხნარი“.

## – ლ –

**ლაბარხა//გაბარხა//ხაბარხა//ლაბახა** – იწირას მარჯვ. შენაკადი და მისი ვინრო ხეობა. მოედინება მამუკიაში ჯიხადან (საჩინო). მდგენლებია **გობეჩიეფიმ ლალ(გ)** და **მა-ლაზონიეფიმ ლალ(გ)** (კუხეში). რესპ.: „ნანვიმარზე ქვებს შორის ბრახუნით მიედინება („მიბარხალ“) წყალი მდინარის ვინრობში, ამიტომაც დარქმევია“. არაა გამორიცხული: ლალიშ ბარხა ლაბარხა, თუკი ბარხა ზოგადად აღნიშნავს ძელის ღობეს. იხ. ბარხა. ალ. ქობალია: „**ლაბახა** – ძველებური ჭიშკარი, ღობეზე გადასასვლელი დირე... ბიჯგი; შემწე, დამხმარე (გადატ.)“. ალ. ქობალია: „**ლაბახა** ძველებური ჭიშკარია, ან ღობეზე გადასასვლელი დირე... ბიჯგი, შემწე, დამხმარე (გადატ.)“.

**ლალ(გ)//ლაკადაშ ლალ(გ)** – ღელე, ჭანისწყლის შენაკადი. ჩამოედინება ყვარანიშ ოგ-ვაჯედან (მედანი).

**ლალხუმლა** „მშრალი ღელე“ – მოროჟას მარცხ. შენაკადი ლებალესთან. ჩამოედინება ჟინი რზენიდან, გაივლის გვაჭკასა და სხულონას შუა. ზაფხულობით შრება და ამიტომაა ლალხუმლა (ჩქვალერი).

**ლალ(გ)** – 1. ხევი, კილის მარცხ. შენაკადი საძანძოში (წყოუში); 2. ენგურის მარჯვ. შენაკადი შქაშეგასთან. მდგენლებია: **ოჟამაია**, **დუდინყარი**. ამ სოფელში სხვა ღელეებიცაა, მაგრამ, ლალ(გ) მარტო ამას ჰქვია (ფოცხოენერი); 3. ღელე და ხეობა ლეაკობეში, ოლორის მარცხ. შენაკადი (ენერფერდი); 4. ხევი და ღელე საჭანოში. ერთვის კვარჩხილალს (ულური) და სხვ.

**ლანჯიში** – მთა-საძოვარი ლანჯიშლალის ზემოთში (ხუდონის სატყეო). ლანჯი „ჟანგი“ შეიძლება დარქმეოდა ჟანგისფერ კლდეს.

**ლანჯიშლალი** – ღელე, ენგურის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება ლანჯიშიდან (ხუდონის სატყეო).

**ლარანჩა//ლარანჩო** – 1. ხევი, ფერდობი ლეობხალალის მარცხ. მხარეს, ანთიეფიმ ფერდზე (ზ. ლია) 2. ხევი ოტოფუეს მარჯვ. მხარეს (მაზანდარა). **ლანჩო**, **ლარანჩო** არის ფერდობზე წყლისაგან ჩამოღარული ღრმა ხევი, ლარტაფი, ნანვიმარი წყლის კალაპოტი. შდრ. ალ. ქობალია: „ლარანჩა, ლარანჩია – ღრანტე, ღრე, ოღრო-ჩოღრო, ჩახრამული გზა... ნაღვარევი, მდინარის ხეობა ჭალითა და განშტოებებით“. ო. ქაჯაია: „**ლარანჩია** – ღვარი-საგან ფერდობზე გაკვალული ღარი“.

**ლარანჩო** – ხევი. იგივე **ლარანჩა** (ზ. ლია, მაზანდარა).

**ლაჭაჭიაშ ლალ(გ)//ოხარჩალაიაშ ლალ(გ)** – ღელე ნარაგუში. უნინ ამ ღელეში იცოდა ლაჭაჭია „კიბორჩხალა“ (ნაგურუ).

**ღელე** – ღელე-ხეობა. იგივე **ღელო** (ჭალე, მუჟავა).

**ღელო//ღელე** – ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა მუჟავას გზაზე. იწყება ონ-ნიშიში. აქვეა მცირე წყარო და ღელე „ხუმლაღალე“ (ჭალე, მუჟავა).

**ღელოშ წყურგილი** – წყარო ღელოში. გამოედინება კლდის მღვიმიდან (მუჟავა).

**ღეჯიაშ გგნაჭკერა** „ღეჯიას განაჭერი“ – ნაგზაური ცალიშიდან ოხარჩუემდე. საცხენო გზა გაუყვანია ცნობილ მოჭიდავე ღეჯია შონიას, რომელსაც დადემქელიანის ფალავანი დაუმარცხებია და დადიანისაგან საჩუქრად ოხარჩუე მიუღია (ჭალეს სატყეო).

**ღეჯიაშ ნეძონი** – ჩავარდნილი ადგილი ღეჯიას განაჭერ გზაზე. ღეჯიას აქ კაკალი და მსხალი მრავლად დაურგავს (ჭალეს სატყეო).

**ლეჯიორი** – ტაფობი და ფერდობები ლეკუკეში, ოლორის მარჯვ. ნაპირას. აქ რამდენიმე კომლი მკვიდრობს. ლეჯია გერგედავას ნასახლარად ითვლება. მაშასადამე, **ლეჯიორი** იგივეა, რაც **ლეჯიასული** (ფახულანი).

**ლვამანდრა** – ეგრისის ქედის განშტოება. იგივე გვამარდა (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**ლვანდრა** – ეგრისის ქედის განშტოება. იგივე გვამარდა (ნალენჯიხის მუნიციპალიტეტი).

**ღვარკალერწყარი** – ნაკადული. იგივე **ღვრკოლირი** (ჭალეს სატყეო).

**ღვეზელია** – საძოვარი ფერდობზე, ფუქარესა და ჩელალს შუა, ბოგაშის კალთაზე (ლარა). რესპ.: „ღვეზელს ჰგავს: შუაში ფართოა, თავსა და ბოლოში – დავინროებული. ამასთანავე, ღვეზელია აღნიშნავს სქელუას, ფუნთუშას და, ამ მნიშვნელობით, შეიძლება და მეტსახელადაც ქცეულიყო“. ღვეზელია მეტაფორულად აღნიშნავს ღვეზელის მსგავს ადგილს, ფერდობს, მინდორს.

**ღვინჯილიეფიშ სასაფლა** – სასაფლაო ოხვამემ გას ბორცვზე, სუმცხაცხუს გვერდით. ღვინჯილიები სოფ. ფუქში ცხოვრობდნენ, მაგრამ გარდაცვლილებს აქ, ნაკურთხ მინაზე, მარხავდნენ (ნალენჯიხა).

**ღინოიამ ნადიხ(გ)** – სახნავი ლეგვილეში, ფერდობზე. (რ)ღინოია ამ სახნავის პატრონს ერქვა (ნაგურუ).

**ღობილი** „(შემო)ღობილი“ – საძოვარი ფერდობზე, ენგურის მარჯვ. მხარეს. უნინ შემოღობილი ყოფილა (ჭალე). შდრ.: „ღობილი – ღელე ნაკიფუში“ (ღლონტი, 1971, გვ. 94).

**ღოლცაცხვი** „ღრუ ცაცხვი“ – დავაკება წისქვილარას მარჯვ. მხარეს. მთისკენ მიმავალთათვის შესასვენებელი ადგილია (სქურის სატყეო).

**ღოლწიფური** „ღრუ წიფელი“ – ტყე ყვირას კალთაზე, ინწირას სათავესთან. აქ ერთგან, მთისკენ მიმავალ ბილიკზე, ოდესღაც მდგარა ფულუროიანი წიფელი (ჯვარის სატყეო). აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია როგორც ღოლი წიფური.

**ღონჯორა** – ვაკე, უბანი ენგურის მარცხ. მხარეს, შქაშლალის შესართავთან, სააქ-ბარდოსა და სააკობიოს შუა (ჯვარი). არქეოლოგ აკ. ჭანტურიას მიერ XX ს-ის 30-იან წლებში შედგენილ რუკაზე „ღონჯორა“ დატანილია შქაშლალის შესართავიდან ქვემოთ 1 კმ-ზე, ენგურთან ლეკერალალის შესართავთან, ჯვარი-ზუგდიდის გზატკეცილსა და ენგურს შუა. რედაქტორის შეკითხვა: ტოპონიმისათვის იქნებ ამოსავალია ღორჯო – თევზი ერთგვარი ღორჯონა ღონჯორა.

**ღორა** – წყარო კანთში, ლაკადას ძირას. უდგას ღარი და გამოიყენება საშხაპე-საბანაოდ (ლეთკანთი). ქართ. **ღარ-ი** „სითხის ღია სადინარი ხისა ან ლითონისა“ : მეგრ. ღორ-ა/ე (იმავე მნიშვნელობით).

**ღორეშწყარი** „ღარისწყალი“ – 1. წყარო ლეხვიჩეში (ნაგურუ); 2. წყარო და მოკლე ღელე. ერთვის ოჯოლორელალს (ფახულანი).

**ღორჯონალი** – ღელე. იგივე **ღორჯუონი** (ლესალე).

**ღორჯუონი//ღორჯონალი//ღორჯულა** – დობერალალის ზემო წელი და მისი ხეობა. იწყება ჯიხაფერდში (ლესალე). ჰიდრონიმისათვის ამოსავალია ღორჯო „ღორჯო“, რაც უხვად იცის ამ ღელეში.

**ღორჯულა** – ღელე. იგივე **ღორჯუონი** (ლესალე).

**ღოლონა** – საძოვარი ჭანისწყლის ზემოთში, გვალაიას ძირას, სადაც უხვად ხარობს ღოლე „დიყი“ (სქურის სატყეო). ქეგლ-ი განმარტავს: „დიყი – მთის მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა...“ ა. მაყაშვილი სალიტერატურო „დიყის“ მეგრულ ვარიანტებად ჩამოთვლის: „დიყე, ფალახარჯი, ღოლე, ღოლელია“. აღ. ქობალია: „ღოლე – დიყი“.

**ღოშქუა** – სქურჩას მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა (ჯუმითი, ხაბუმის თემი). მაგრამ იწყება ღოშქუასუკში (ულურია). გადმოცემით, ღოშქუა ყოფილა ჩხორონწყული აზნაური, რომლისგანაც ეს ადგილები უყიდიათ ადგილობრივ ბელქანიებს.

**ღოშქუასუკი** – სერი ჯუმითის საზღვართან, ტოტიაშ ნოცონის აღმ-ით. ღოშქუას (ღელე და ხეობა) სათავესთან (ულურია, მ. ჯუმითი).

**ლულა ღანჩო** – შურო ბულგას კალთაზე, ხუმლაღალის სათავესთან. გამოყენებულია ხე-ტყის ჩამოსაცურებლად. მიხვეულ-მოხვეულია (ნაშამგუ). **ლულა** „მრუდე, გალუნული, მოხვეული“; **ღანჩო** „ფერდობზე წყლის ჩამოსავალი ღარი, ხევი“. იხ. ღარანჩა. შდრ. ალ. ქობალია: „ღანჩო – მდინარის აუზი ჭალითა და წვრილი განშტოებებით“.

**ლულა შარა//ქელმემ შარა** – ნაგზაური ბოგაშის კალთაზე. გაივლის ყორანიშ ოგვაჯესთან. გზა დაკლაკნილი და გამრუდებულია. ლულაშარა „მრუდე გზა“ გამოუყვანი-ათ ქელმე კვარაცხელიას თაოსნობით (მედანი).

**ლულერიში** „კაკვისი“ – 1. ტყე-ნაბლნარი ტერასზე, ცალრას ხეობის მარცხ. მხარეს (მაგანას სატყეო); 2. ტყე-ფერდობები ოლორის მარცხ. მხარეს, სადაც მზადდებოდა **ლულერი** „ნივნივი. სახურავის საყრდენი გრძელი ხე“ (ჭველე) და სხვ. შდრ. ალ. ქობალია: „ლულერი – ლარტყა, მოაჯირი, ლავგარდანი“. ო. ქაჯაია თვლის, რომ **ლულერი** სიტყვის სემანტიკური ვარიანტი მეგრულში არის „სახურავის კაკუტი“. ცრუ ხალხური ეტიმოლოგია: „ლურელიში თია რდუა დო მიქე ინგარგნ, თიქე ქედეკუნუა თი ადგილი“.

**ლუმუშ ოგმალი** „ღომის საცხები“ – სახნავი. იგივე **ქვაჩამური** (კუხეში).

**ღურჯია//ღურჯია(შ)ტობა** – ვაკე-ტაფობი ჭიჭე ტებენეს სათავესთან (ნაშამგუ). ღურჯია გვარსახელია.

**ღურჯია(შ)ტობა** – ვაკე-ტაფობი. იგივე **ღურჯია** (ნაშამგუ).

**ღულუშ წყურგილი** – წყარო შქაშღალის სათავესთან. ღულუ შამუგია ზემოთ, ბორცვზე, ცხოვრობდა, ამ წყაროს უვლიდა, ღარი შეუდგა (ლემამუგე).

**ღგლოკირწყარი** – ნაკადული. იგივე ღგრკოლირი (ჭალეს სატყეო).

**ღგრკოლირი//ღგლოკირწყარი//ღვარკალერწყარი** – ნაკადული ოთიფურეში, ოხაჩ-ქუეს მასივზე. ასიოდე მეტრს გადის ზიგზაგად, მიხვეულ-მოხვეული კალაპოტით და მერე იკარგება (ჭალეს სატყეო). **ღგრკოლირი**, **ღგლოკირი**, **ღვარკალერი** „დაკლაკნილი, მოღრეკილი, მოკაკვული, მოხრილი“. შდრ. ო. ქაჯაია: „ღირიკუა, ღილოკუა – ღრეკა, გრეხა; კაკვა, მოხრა... **ღგრკოლუა** – იგივეა, რაც ღირიკუა, ე.ი. კლაკნა... **ღგრკოლირი** „(და)კლაკნილი“. ალ. ქობალია: „ღილოკი – ღრეკა, კლაკნა“. „ღიროკი – ღრეკა, ღრეკა... **ღირკოლირი** – დაღრეკილი, კლაკნილი“.

## — ყ —

**ყალიშ(ი) ტყა** — ტყე მუჟავაში (ღლონტი, 1971, გვ. 94).

**ყალმურა** – ხეობა. იგივე **ყამლარა** (საჩინო, კუხეში).

**ყალმურაშ წყურგილი** – წყარო ლებუეში, რაც ყალმურას ხეობაშია (კუხეში).

**ყამზაშ ნაკარ(უ)** – დავაკება, საძოვარი წვეემის ხეობის ზემო ნაწილში. ყამზა იმ კაცის პირსახელია, რომელსაც აქ „კარე“ ედგა (მაგანას სატყეო).

**ყამლარა//ყალმურა//ყალმურა** – ხეობა ნოჟალის მარცხ. მხარეს, სადაც გადის **ყამლარაშ ღალ**. იგი იწყება ლებუეში და ერთვის ნოჟალას ცინღალის შესართავს ქვემოთ (საჩინო, კუხეში).

**ყამლარაშ ღალ(გ)** – ღელე. იხ. **ყამლარა** (საჩინო, კუხეში).

**ყამუ ფიფიაშ ნაკარუ** – სერი. იგივე აბარაგა (ჯვარის სატყეო).

**ყარა** – 1. ნიფლნარი ბოგაშსა და ცვანთს შუა (ღარა); 2. მინდორი ბედიანაშენში, კინჩხას თავიდან შაქამდე. რესპ.: „მინდორი ტყე-ნიფლნართაა შემოზღუდული და ამიტომ ჰქვია ყარა“ (ჯვარის სატყეო); 3. სახნავები ენგურის მარჯვ. ნაპირის ვაკეზე, რიყედან ფერდობების ძირამდე (წყოუში. ამ სოფელში კიდევ ორგან ეწოდება ყარა); რესპონდენტი სოგრატი კუკავა: „ჟი დობრა რე დო თუდო ყარა. ნოხირიში მიშაქუნაფალო დო ოტყობინალო ნოღვედეს აბრაგებს. ლანჯიმ ტყა რდუა ჯვემო დო ასე ხოლო რე აშასქელადირი, მინი თქუანს, ოწყარე დო ოჭოროფე დიხა რენ თიშენ ჯოხონია ყარა, მარა შხვადო ხოლო რე ყარა დო ექი ვარე ოჭყენჭყე“ 4. სერი ოლორის მარცხ. მხარეს. იყოფა: **დიდი ყარა**, **ჭიჭე ყარა**. შუა გადის დიდღალ (ჭველე); 5. ტყე-ნიფლნარი ბოგაშსა და ცვანთს შუა (სქურის სატყეო) და სხვ. მრ. რესპონდენტები: „ყარა მეჩხერი ტყეა, ძირითადად ნიფლნარი, სადაც ადამიანი გრძნობს „სითავისუფლეს“, ე.ი. აქვს **გოყარიე**, ანუ გამინდვრება, ხეთაგან თავისუ-

ფალი ადგილი“; „ყარა რე ტუტელი ადგილი, გოვერჩე, ექი-ექი გედგე ჯა მეჩხერო“; „ყარა არის მინდორი ტყეში – ნიფლნარში, ნაძვნარში, ან მცირე საძოვარი მეჩხერი ტყის განაპირას“. „ყარაში ქვიშა აღარაა“; „ყარა რე დიდი ტყა, ბრელი ჯა ჩანსგნ ფერი, უმოსო გვალა ადგილს რე, ყარას მითუორდია, თქუანდეს მეორინჯეფი“. რესპ.: „ჯამრთელი კოჩი რექე მაქე, უნიი. პასუხი ქომინუე: „მა ვარ ყარას ქიმკოდგე ნიფური, დინახალე ლოლი ულუნ ფერი. ყარა დიდი ჯალონი რე, მანგარ ჯა ჩანსგნ ფერი“. „ყარა დიდი ჯალონი ადგილი რე, მანგარი ჯა ჩანსგნ ფერი. ჯანმრთელი კოჩი რექია მინიინა, მა ხათე ქემებჩანქე პასუხის: მა ვარი ყარას ქიმთოდგედ შხუ-შხუ ნიფურეფი, დინახალე ლოლი რენ ფერი“. როგორც ვხედავთ, **ყარა** ლექსემის განმარტება ზუსტად ერთნაირი არ არის. პ. ჭარაია ასახელებს ყარე სიტყვას და მის სინონიმებს: სარკმელი, ღრიჭო, ჭუჭრუტანა. იხ. აგრეთვე: „**ყარე** – ღია ადგილი კედელზე სასინათლოდ“ (ო. ქაჯაია)... ყარასაც ასეთივე სასინათლოები აქვს ტყეში. ალ. ქობალია: ა. „**ყარა** – გრძელი, მაღალი მოყიალე“; ბ. „**ყარე** – იხ. ორკე. **ორკე** – ღრიჭო, არე, ღიობი, ნახვრეტი, ჭუჭრუტანა, სასინათლო“.

**ყარა//ყარაშ სუკი** – სერი ტებენესა და ოლორის შესართავს შიგნით, ლეგერდესა და ლეკუკეს შორის (ფახულანი).

**ყარაგეშალ(გ)** „ყარას გასასვლელი“ – გზა ბარხასა და უნნას შუა. ბზაკალგეშალიდან გადის ყარაში. რესპ.: „ყარაშა მეურცუ შარა. ეიშა ხოლო ქორე ტყა, მარა სქელი ვარე. ყარა მუს ჯოხოდა, ჯალონს ჯოხო, ყარა რე თე ტყავა, თქუანა ჩქენობურათ“ (ჯვარის სატყეო).

**ყარამანიშ თხინა** – ბუჩქნარი. იგივე **ბიქტორიშ თხინა** (სამესხიო).

**ყარამანიშ მინალე** „ყარამანის შესასვლელი“ – შესასვლელი მოროჟაზე, ყარამანს აქ ყანა ჰქონია (ჩქვალერი).

**ყარამანიშ ნაცვან(გ)** – მინდორი მოროჟას მარცხ. ნაპირას, კალუმ გიშალგს ქვემოთ (ჩქვალერი).

**ყარამანიშ ნოხორი** – 1. ნასახლარი ლეკაკალეში (კუხეში); 2. ტყე-ბუჩქნარი ლანჯიმში (ფახულანი).

**ყარამანიშ ტანიშ ობონუე** „ყარამანის ტანსაბანი“ – ლეღე, მოროჟას მარჯვ. შენაკადი. მოედინება ნასკალიდან. აქვს წყალვარდნილი და მორევი (ლეშამუგე).

**ყარაშ ნადუქან(გ)** – მინდორი სქურჩას მარჯვ. ნაპირას, ქვედა ლეჟაში. ყარამან კვარაცხელიას, ვაჭარს, აქ ჰქონია დუქანი (ნაკაფუ).

**ყარაშ ნოხორი** – ნასახლარი ლესალეს უბანში (კუხეში).

**ყარაშ სუკი** – მაღალი სერი ტებენესა და ოლორის წყალგამყოფზე, ლეგერსამესა და ლეკუკეს შუა. რესპ.: „ამ სერზე გაუვალი ტყე, ანუ ყარა კი იყო, მაგრამ გოყარიე არ ჰქონდა“ (ფახულანი).

**ყაფუ//ცაფუ** – ტყე-საძოვარი ინჭირიშის კალთაზე, ჭველონის გვერდით (მუჟავა). რესპ.: „**ყაფუ** არის საძოვარი მთაში, სადაც აქა-იქ ხეებიც დგას. ამ ხეთა ქვეშ ხარობს მხოლოდ შაფში...“. ალ. ლლონტის ლექსიკონში წარმოდგენილია როგორც **ყაფუშ(ი) სუკი**. ქართველური ენებისა და დიალექტების ლექსიკონებში ცაფუ არ ცანს.

**ყე(ი)ნიაშ ჯიხა** – ნაციხარი გუბანში, ქარდავების ეზოში, სადაც ციხესიმაგრის ნაშთია შემორჩენილი. გადმოცემით, აქ სალოცავიც ყოფილა. ი. ყიფშიძე: „ყენია(შ)ჯიხა ( ) – x “ (ყიფშიძე, 1994, გვ. 619). (ჯვარი).

**ყენიაშ ჯიხა** – ნაციხარი. იგივე ყე(ი)ნიაშ ჯიხა (ჯვარი).

**ყვაბანია** – ჩაის ფართობი ოკიბოიალალის ნაპირას, ენერის მაღლობზე, საბეკის სიხლოვეს (ენერფერდი). **ყვაბანია** კაცის სახელია.

**ყვაბანიაშ ნაცვან(გ)** – ჩაის ფართობი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ნალაგვანის აღმით (ზ. ლია).

**ყვაბანიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლემატუეს დას-ით, საჭანტურიოში, ობჟათესთან. ყვაბანია გვარად ცხადია იყო (ჯვარი).



**ყვარანიშ ოგვაჯე//ყორანიშ ოგვაჯე** „ყორნის ბუდე“ – კლდე-ფერდობი ბოგაშის კალთაზე. აქ უნინ დიდი და მაღალი მუხა მდგარა და ყორანს მის კენწეროზე ჰქონია ბუდე (მედანი).

**ყველიშია** – წყარო, მინდორი საარქანოში. წყარო ქმნის მახასქურის მარცხ. შენაკადს (მუჟავა). რესპ.: „თავისებური წყალია. ყოველთვის ერთ დონეზეა, ფერს არ იცვლის, ნახშირის ნამცეცები გამოაქვს. ეს წყალი საკულტო დანიშნულებისაა: გვალვისას აქ მოჰყავთ სამსხვერპლო ხარი, შესწირავენ ღმერთს და სთხოვენ წვიმის გამოგზავნას“. სხვა რესპ.: „ბავშვი ვიყავი, როცა სოფელში გვალვა დადგა. მწყემსებმა ღმერთს სთხოვეს, მოსულიყო წვიმა. სათანადო ლოცვაც აღავლინეს და მოწვიმა კიდევ დღესაც, როცა გვალვა დადგება, აქ მოჰყავთ ხარი, ლოცვას აღავლინენ, ხარს დაკლავენ, ხორცს მოხარშავენ და ღმერთს წვიმას შესთხოვენ“. 1969 წელს ამ წიგნის ავტორი დაესწრო ერთ ასეთ რიტუალს ამ სოფელში (მუჟავაში). მეორე დღეს ცოტათი მოწვიმა, სამი დღის შემდეგ კი თავსხმა წვიმა წამოვიდა. ხანდაზმულები აღნიშნავენ: ძველთაგან ცნობილია, რომ ამ ადგილას ქრისტემ ლაბაშა ჩაარჭო და წყარო გაჩნდა. ქრისტიანობამდელი ყველიერი იყო გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებული სამინათმოქმედო დღესასწაული, რომელიც გაზაფხულის დამდეგს იმართებოდა. ხომ არ აღნიშნავდა იმასვე **ყველიშია?** შდრ. **ყველიერი** ალ. ქობალიას ლექსიკონში.

**ყვირა** – მთა მაგანას ხეობისა და ჭანისწყლის ზემოთის წყალგამყოფ ქედზე. სიმაღლე 2038 მ. ჩრდილოეთით მაგანას ხეობაა, სამხრეთი კალთებიდან გაედინება მოროჟა და ინწირა. აქვეა ქვაქანცალა (იხ.). (ჯვარის სატყეო). ალ. ქობალია: „ყვირა, ყვირალი – სევდიანად მზირალი“. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ამ მთიდან არამხუტუს ყვირილი ბარშიც კი ისმოდა. ამიტომ დარქმევია ყვირა. მაგრამ **ყვირ** ფუძე ამ მნიშვნელობით მეგრულში არ გვხვდება! რედაქტორის შენიშვნა: „ყვირა მეგრულში გამოხატავს ეულ, ცალკე მდგარ მთას“. ზოგიერთ რუკაზე დატანილია კვირა და არა ყვირა.

**ყვირაში ბორკი** — ყვირას განშტოება მის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ჯვარის სატყეო). დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე). როგორც ჩანს, ქართ. **ბარკ**-აღ-ი : მეგრ. **ბორკ**-ი „ფეხი, კანჭი“ იქცა მეტაფორულ ნომენად და აღნიშნავს ვინროთხემიან სერს, ქედიდან ჩამოშვერილს.

**ყვირაში გაგაჩი** — მთა ყვირას შიშველი თხემი, კინჩხალაღის სათავის ჩრდ.-აღმ-ით (ჯვარის სატყეო. დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე). ალ. ქობალია: „**გაგაჩი** — მოშიშვლებული თხემი მთისა, გორის ზურგის გასწვრივი ხაზი; უტყეო, შიშველი ქედი; ხერხემალი“.

**ყვირაშ ინჭა** – კარსტული ჭა ყვირაში. ოფიციალურად ეწოდება „ცოტნე დადიანის სახელობის მღვიმე“. შიგ წყაროა. საუბარში გამოიყენება შემოკლებული ფორმა. რესპ.: „ჯღათ ინუულა დო ეშუღუნა წყარი“. **ჯღა** – კავებიანი, ტოტებიანი ხე, შტო (ჯვარის სატყეო).

**ყოლბაიამ წყურგილი//კინტირიაშ წყურგილი** – წყარო ენერში, ჯიხასთან. გამოყვანილია სოფელში. ყოლბაია (გვარსახელია) ამ წყაროსთან ესახლა (კუხეში).

**ყოლოფანა** – საძოვარი სალაფერდის კალთაზე. იგივე კოლოფანა (ლესალე).

**ყორანიშ ოგვაჯე** – კლდე-ფერდობი. იგივე ყვარანიშ ოგვაჯე (მედანი).

**ყურუაშ ლეტა** – ტალახნარი ქვიშონაში. ყურუა (გვარსახელია) აქვე ესახლა (საჩინო).

– 6 –

**ყალიში** – ვინრო სერი, რომლითაც დაბალი მთა ხორხი (იხ.) ებმის ოხაჩქუეს მასივს. ჩვინარესა და ბარბალაშის ხეობების წყალგამყოფიცაა. სერის თხემს გზა მიჰყვება (ჭალეს სატყეო). რესპ.: „კისერივითაა: ოხაჩქუე ტანია, ხორხი – თავი. ამიტომ დარქმევია“. ფაქტობრივად **ყალიში**, **ყალიში**, **ყაიში** „ყელისი“ მეტაფორული ოროგრაფიული ნომენია და აღნიშნავს უღელტეხილს, ჩაზნექილ ადგილს სერზე. შდრ. თ. მიბჩუანის „ეტიმოლოგია“: „ყალი“ სვანურად ერთგვარ ფრინველს ჰქვია. მამასადამე „ყალიში“ – ადგილი, სადაც ეს ფრინველი გვხვდება“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 253). ალ. ქობალია: „**ყალი** – ყელი (მდინარისა,

ქედისა, რკინიგზისა); უღელტეხილი, გადასასვლელი ქედზე. ყელ-კისერი არსებისა..“ (იხ. დანვრილებით: ცხადია, 1999, გვ. 108-111). შდრ. ქართ. **ყელ-ი** : მეგრ. **ჯალ-ი**.

**ჯალიშიმ წყურგილი** – წყარო ჯალიშიში, მაციმ ნაკარუსთან. ღარი უდგას (ჭალე).

**ჯალმურა** – ხეობა. იგივე ყამლარა (საჩინო, კუხეში).

**ჯაფუ** – ტყე-საძოვარი. იგივე ყაფუ (მუჟავა).

**ჯამ გიოტახაფუ** „ტოტის მოსატეხი“ – წმინდა ადგილი, აღმართის თავი ენგურის მარჯვ. ნაპირას, ფურაშიდან ეცში მიმავალ გზაზე (ხუდონის სატყეო). გადმოცემა: მგზავრი რომ ამ დიდ აღმართს აივლიდა, მოტეხდა შტოს, გადაივლებდა თავზე და იტყოდა: „ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი“. წმინდა ადგილია, რადგან აქ შეუსვენებიათ და დაუსვენებიათ ხატი, რომელსაც სვანეთში მიაბრძანებდნენ. მეორე ასეთი წმინდა ადგილია არგუანში, რჩინასა და ჭველეთონას შუა. ის ხატი იქაც დაუსვენებიათ.

**ჯვა** „შუბლი“ – ტყე-ფერდობი ყარასა და ჭყეპრზენს შუა (ნაშამგუ). რესპ.: „ჭყეპრზენის შუბლია, ქვემოდან ასე მოჩანს“. ცხადია, **ჯვა** მეტაფორული ნომენია ისევე, როგორც დუდი, კუჩხი, ჩხვინდი, კისერი და სხვ.

**ჯვაბანიაშ ნაჯვან(გ)** – ჩაის ფართობი ლემატუეს დას-ით, საჭანტურიში, ობჟათესთან (ჯვარი). ჯვაბანია პირსახელია.

**ჯვანთი** – დაბალი მთა ტყე-საძოვრებით ინწირა-ჭანისწყლის წყალგამყოფზე. გრძელდება ბოგაშიშდუდიდან წგრლიამდე. ზედ მიჰყვება მთის გზა ხობისწყლის ხეობისაკენ. ამ გზაზეა **მიოხვამუ/ჯვანთიშ მიოხვამუ** (სქურის სატყეო). რესპ.: „ხობისწყლის სათავის საძოვრებისაკენ მიმავალ მწყემსთათვის ეს მიოხვამუ და მასთან მდებარე ველობი ყველაზე დიდი აღმართის თავია. **ჯვანთი** სწორედ დაღლილი კაცის შესასვენებელი, სულმოსათქმელი ადგილია. აქ იდგა ურთხელი და მის ფულუროში ყრიდნენ ქვას. **მოჯვანთილი** ნიშნავს დაღლილ-დაქანცულს. აქ დაისვენებენ, აღავლენენ ლოცვას, ღმერთს შესთხოვენ შენევენას და მერე მხნედ აგრძელებენ გზას“. **ჯვანთ-** ზმნური ფუძე მართლაც შეიცავს თვლემის, დასვენების, ნეტარების სემანტიკას. შდრ.: ო. ქაჯაია: „**ჯვანთაფი** – თვლემა, ყვინთვა“; ალ. ქობალია: „**ჯვანთი**. – თვლემა, რული; მგზავრის ჩათვლემის, შესვენების ადგილი“. რესპონდენტები: „ოჯვანთაიათ ვორდი დო ჯვანთის ქემიბშვანდი“ (დაღლილ-დაქანცული ვიყავი და ყვანთში შევისვენე); „ხანშა გემშაბრთი დო ქედბჭყი გილაჯვანთაფი, გილაგაგაფი“; „ოჯვანთაიათ გინიბრთი დო ვამიბშუანდიდა, ვამალინე“.

**ჯვანთიშ მიოხვამუ** – 1. მინდორი. იხ. მიოხვამუ/ჯვანთიშ მიოხვამუ (სქურის სატყეო); 2. ჩხოროცხაცხუს (იხ.) იშვიათი ვარიანტი (ლარა). იხ. ალ. ქობალია: „**ჯვანთიშ მიოხვამუ** – მგზავრის სალოცავი ხე, შესასვენებელი, ღამის გასათევი გზაზე, ხის ძირას...“ (იხ. ქობალია, 2010, გვ. 654).

**ჯინიორი** – სახნავი ლებოხაში (ზ. ლია). შდრ.: **ჯინიორი** ნეძი „კერკეტი კაკალი“. შდრ. ალ. ქობალია: „**ჯინიორი** – კერკეტი, მაგარი“.

**ჯინლალ(გ)/ჯინწყარი** – ნოჟალანყარის მარჯვ. შენაკადი ლეკაკალეში. იწყება მამუკიამ ჯიხასთან (კუხეში, საჩინო). **ჯინი** „ცივი“

**ჯინწყარი** – ღელე. იგივე **ჯინლალ(გ)** (საჩინო, კუხეში).

**ჯინწყურგილი** „ცივწყარო“ – წყარო ლეაფშილეში (ნაკიფუ).

**ჯომურონა** „ტყემლნარი“ – 1. დავაკება კუნტა სამესხიოში, ტარჩიას მარჯვ. ნაპირის დავაკებაზე (სამესხიო); 2. სერი გალის რ-ნის სოფ. ლეკუხონის საზღვარზე (ჭალეს სატყეო). **ჯომურონი** ( მეგრ. **ჯომურონი** „ტყემლნარი“) მესტიის რაიონის ხუთკომლიანი სოფელია. მდებარეობს სოფ. ხაიშიდან ხაიშურას გაყოლებით მე-15 კმ-ზე. აქ მოსახლეობენ გასვანებული ჭკადუები, რომლებიც სამეგრელოდან მოსულან XIX ს-ის შუა წლებში. მამასა-დამე, სვანურენოვან რეგიონში მეგრული **ჯომურონი** სწორედ ამ ჭკადუების დამსახურებაა (იხ. ჭკადუა, 1974, გვ. 188-189). ცხადია: ქართ. ტყემალ-ი : მეგრ. **ჯომური**, მაგრამ ფონეტიკური გზა?

**ჯომურჯინჯი** „ტყემლისძირი“ – სახნავი რეყეში (ფახულანი).

**ჯუდნათიშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ლანჯიშის დას. ნანილში (ფახულანი). **ჯუდნათი** მამაკაცის სახელია.

**ცურუა//ცურუამ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ბორცვზე, ლემალაზონეში. **ცურუა** გვარ-სახელია (ოფიც. ვარიანტი: ყურუა). (კუხეში). **ცურუ** – ყრუ, ხამი, შეუსმინარი.

**ცურუამ ნადიხ(გ)** – სახნავი ლესალეს უბანში (კუხეში).

**ცურუამ ლეტა** „ყურუას ტალახი“ – ლენჭყი, სახნავი ქვიშონაში, ჭანჭრობის ნაპირას. სადაც ცურუა ესახლა (საჩინო). ცურუა გვარ ყურუას ადგ. ვარიანტია.

**ცურუამ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი. იგივე **ცურუა** (კუხეში).

**ცურუეფიმ კუნთხუ** – ერქვა სახნავს, შემდეგ კი აქ დასახლდნენ ხვიჩები და შეიქმნა უბანი **ლესვიჩე** (კუხეში).

**ცურუეფიმ ოჯამპე** „ყურუების თუთნარი“ – სახნავი ხურჩას მარჯვ. ნაპირას. უნინ ერქვა **ალექსიმ ნოხორე** (კუხეში).

**ცურუეფიმ ნისქვილი** – ნისქვილი ხურჩას ხეობაში. ცურუები აქვე ცხოვრობენ და ნისქვილიც მათია (კუხეში).

**ცურუმტყა** – მუხნარი. იგივე **ჭყონა** (პ. ენერი). ო. ქაჯაია: „**ცურუმი** – უღრანი; ძალიან ღრმა, მრუმე ადგილი მდინარეში; ყურყუმი“. ალ. ქობალია: „**ცურუმი** – ყრუ; ბნელი; ღრმა...“ რესპ.: „ცურუმი ისეთი ბნელი, მრუმე და ხშირი ტყეა, რომ ვერ შეხვალ“. ი. ყიფშიძე: „**ცურუმი** –“.

**ცურხემ ნოხორე** – სახნავი ბელერში, სახუბულის სამხრ. ნაწილში. ქვრივი ქალი ცურ(უ)ხე (= ქალი ცურუას გვარისა) აქვე ესახლა (ლეთკანთი).

## – შ –

**შაბათიმ ნოხორი** – 1. მინდორი ცალიშში, ბარბალაშის სათავესთან. გადმოცემით, შაბათი ქარდავას ნასახლარია (ჭალეს სატყეო); 2. საძოვარი ნალეგეჯერუში (საჩინო).

**შადუმ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი ჭანისწყალზე, შადუმ ტობასთან. აქ ედგა ნისქვილი შადუ კვარაცხელიას (ლეკაკულე).

**შადუმ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, შადუმ ნანისქვილთან (ლეკაკულე).

**შაკარკარა** – სახნავი ბორცვზე. იგივე შაქარკალა (ნაკიფუ).

**შალვამ ნოხორი** – ნასახლარი ლექუხილეს გორაზე. რესპ.: „შალვა ქუხილავა აქ ესახლა, შემდეგ ჯვარში გადავიდა საცხოვრებლად“ (ჩქვალერი).

**შალვამ წყურგილი//ქოლოშ წყურგილი** – წყარო ოჭანეში (ჯვარი).

**შამგიაშ ნოხორი** – ბორცვი. იგივე **ნაშამგუ** (ფახულანი).

**შამგიაშ ფერდი** – ფერდობი უჩაღალის მარცხ. ნაპირზე. შამგია ( შამუგია) გვარ-სახელია (პალური).

**შამუგიაშ სუკი** – ბორცვი. იგივე **ნაშამგუ** (ფახულანი).

**შამუგიაშ ღალ(გ)** – ღელე, მენჯრალალის მარცხ. შენაკადი. შამუგეები ამ ღელის სათავესთან ესახლნენ (ლექარდე, ჯვარი).

**შამყვამ ნაკარუ** – საძოვარი ხორგონსა და გედგრაკილს შუა, წყავაშალას სათავესთან (მაგანას სატყეო).

**შამყვამ ნაკარუმ წყარი** – მდინარე, წყავაშალას ერთ-ერთი მდგენელი (მეორე მდგენელია ხორგონწყარი). მოედინება შამყვამ ნაკარუდან (მაგანას სატყეო).

**შამყვამ ტობა** – მორევი ოლორზე, ოლებესთან (ფახულანი).

**შანამამული//შარამამული** – ტყე დობერალალის მარცხ. მხარეს. შემორჩენილია მაღლარი ვენახი, კერძოდ, იზაბელა, ანუ ადესა (ლესალე). აქ შანავას მამული ყოფილა. შემდეგ გაიყვანეს საავტომობილო გზა. იქნებ ამიტომ დაერქვა შარამამული.

**შარამამული** – ტყე. იგივე **შანამამული** (ლესალე).

**შარდენიმ ნოხორე** – 1. საბალახო ლეჩიქვანეში. შარდენ გერგედავას ნასახლარია (ნაგურუ); 2. აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია: „**შარდენის კოშკი** – ციხე-სიმაგრის ნიშანი წყაბაშში“.

**შარდემ ნანოცუნ(ი)** – ბუჩქნარი ბელერის სათავესთან, ლაკადას კალთაზე (ლეთკანთი).

**შარვანიშ გოჭოფილი** „შარვანის შემოკავებული“ – ბუჩქნარი ფერდობზე, ოოჩეს მარცხ. ნაპირას (პ. ენერი, საჩინო).

**შარვანიშ ნოხორი** – მინდორი ნაიშმარუში. შარვან მებონიას ნასახლარია (ჯალირა).

**შატუმ ნადიხ(გ)** – სახნავი ლეჯურუეს უბანში. შატუ მამაკაცის სახელია (საჩინო).

**შაქარკალა//შაკარკარა** – სახნავი ბორცვზე, ბირგულამსა და მის მარცხ. შენაკად ჯურემ ღალს შუა (ნაკიფუ). რესპ.: „ამბობენ, შაქარს (პირსახელია) აქ კარე ჰქონია და ამიტომ უწოდებიათ“. მოტივაცია და ამოსავალ ფუძეთა სემანტიკა გასარკვევია, თუმცა კი დასაშვებია ასეთი განმარტება: მეგრულში ყარა ნიშნავს მაღალს, მოყიალეს (იხ. ალ. ქობალია). მამასადაძე, შაკარკარა „მაღალი შაკარი“.

**შაყ(ა)** – ინწირასა და მოროჟას სათავეების ვინრო წყალგამყოფი სერი; ყელი, დავაკება, რომლითაც გორა ჟინრზენი ებმის ყვირას (ჯვარის სატყეო).

**შაშგა** – სერი. იგივე **შ(ქ)აშგა** (ფოცხოენერი).

**შაშკარე** – დაფერდება. იგივე **შ(ქ)აშკარე** (ფახულანი).

**შახვინჯიშ(ი) ტყა** – „ტყე მიქავაში“ (ღლონტი, 1971, გვ. 75). მსგავსი ტოპონიმი ჩვენთვის უცნობია (პ.ც).

**შაჰანიშ ნაკარუ** – მინდორი ლანჯიშში, მთის კალთაზე, ტებენეს მარჯვ. ნაპირას. შაჰანი პირსახელია (ფახულანი).

**შაჰანიშ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი უბადოღალის სათავესთან, ხახუმ მამულონის გვერდით (უბადოღალი).

**შევრამ ნაკვათა** – მინდორი ემუმ ღალის ნაპირას, ტყვიშის სამხრ-ით, ენგურის მარცხ. მხარეს. რესპ.: „შევრა იმ სვანის სახელი ყოფილა, რომელიც აქ დაუჭრიათ“ (მაგანის სატყეო). ალ. ქობალია: „კვათუა – კვეთა, ჭრა...“

**შეთემ ნა(ო)ბინეხ(გ)** – ჩაის ფართობი ჟინი სამესხიოს ჩრდ. ნაწილში, კატულალის სათავესთან. შეთე მამაკაცის სახელია (სამესხიო).

**შეკერკელა** – ბორცვი ბირგულამსა და ჯურემ ღალს შუა (ნაკიფუ).

**შელიეფიშ ნადიხ(გ)** – სახნავი ხუფაიის ორივე ნაპირას (პალური).

**შელიეფიშ ოლაკვე** „შელიების სალკვე“ – ფერდობები ინწირას მარცხ. ნაპირას, ოლაკვესთან (საჩინო).

**შელიეფიშ ტყა** – ტყე-ბუჩქნარი ოოჩელალის მარცხ ნაპირას (საჩინო).

**შემრამ ნაშვანდგ** „სადაც შემრა დაასვენეს“ – ტყე ოხაჩქუეს აღმ. კალთაზე, ქუანყარის გვერდით. რესპ.: „აქ, პატარა მინდორზე, დაუსვენებიათ შემრა, რომელიც საყარაჩოში მოეკლათ და მოასვენებდნენ“ (ჭალეს სატყეო).

**შენგელიამ დიხა** – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, რზენიმ კუდელთან. ზოგიერთნი შენგელიამ დიხას კიდეც აიგივებენ **რზენიმ კუდელთან** (ჯალირა).

**შეროზიეფიშ ონისქვილე** – მორევი. იგივე **ონისქვილე** (ნაგურუ).

**შვილაიამ გინაჯვილა** „სადაც შვილაია მოკლეს“ – ვაკე-ბორცვი ჟიმოლენსამესხიოში, ლავილაღალის სათავესთან (სამესხიო). შვილაია გვარია (შდრ. შულიაია).

**შინტომ ბულონი** – ჩაის ფართობი ლეცინდესა და ნაჭკადგრს შუა, სადაც შინტო კვარაცხელიას, რომელიც ოში ორთალი მიწის მფლობელი იყო, ჰქონია ბულონი, ე.ი. ბალნარი (ნაკიფუ). ალ. ღლონტის ლექსიკონში შეტანილია „**შიტომ(ი) ნადიხ** (შიტოს ნამიწარი) – საჩაიე ნაკიფუში“.

**შიომ დიხა** – სახნავი ლეხულორდეში (საჩინო).

**შიოთაში//შიოთაშ ფართობი** – ჩაის ფართობი ჭაჭახში, ნაჩიქვანის გვერდით (ობუჯი).

**შიოთაშ ფართობი** – ჩაის ფართობი. იგივე **შიოთაში** (ობუჯი).

**შიონიმ ოჩაიე** „სვანის საჩაიე“ – ჩაის ფართობი სოფლის სამხრ. ნაწილში. აქ სვანი სახლებულა და ჩაიც მას გაუშენებია (პ. ენერი).

**შიონფოქვა** „სვანის მღვიმე“ – საძოვარი მაგანას ზემოთში. აქვეა მღვიმეც. აქედანვე გადის გზა სამი მიმართულებით: ოკარეში, ხოპწყარში, წყავაშში (მაგანას სატყეო). იხ. ფოქვა.

**შიოშიამ ნაკარ(გ)** – საძოვარი გარამელას ხეობაში (სქურის სატყეო).

**შპალერი** – ვაკე-სახნავი. იგივე **ფშალუ(უ)რი** (ნალენჯიხა).

**შუტუიამ ნყურგილი** – ნყარო ნაჩაჩანუში. შუტუ მოლაშხია ამ ნყაროსთან ესახლა თურმე (ნაკიფუ).

**შუშელი** – ალპური საძოვარი ოხაჩქუეში (ჭალეს სატყეო). **შუშელი** „ალპური (უტყეო) საძოვარი“ (შდრ. ქართ. შიშველი). ო. ქაჯაია: „**შუშელი** — შიშველი; უტყეო ადგილი მთაში; საქონლის (თხის, ცხვრი) საძოვარი — ალპური საძოვრები“; ალ. ქობალია: „**შუშელი** — შიშველი; მოშიშველებული ველი მთაში, სადაც არაფერი იზრდება ბალახისა დაბალი ბუჩქნარის გარდა; იალალი, საზაფხულო საძოვარი, ალპური საძოვარი“. ეთნოგრაფის ჩანაწერი: მეგრელი გლეხი საქონელს აძოვებდა ჯალონში (ტყიანში) ხოლო მაისის შუა რიცხვებში გარეკავდა შუშელში, სადაც რჩებოდა სექტემბრის დასაწყისამდე. როგორც კი აცივდებოდა საქონელს ისევ ჯალონში ჩამორეკავდა (თოფურია, 1970, გვ. 35). სპეციალისტებს ასე აქვთ დადგენილი სამეგრელოს უმაღლესი ვერტიკალური ზონალობანი: დაბლობი — ზღვისპირა ვაკე; დობერა — მთის კალთები; ლაკადა — გვალა, შუშელი.

**შუშელნიფონა** – საძოვარი ნისქვილარას ზემოთში, გვალაიასა და ნათიფურს შუა (სქურის სატყეო). **ნიფონა** „ნიფლნარი“. შდრ. ტყანიფონა.

**შქაბანი** ( შქა აბანი „შუა ადგილი“) – ვაკე-სახნავი მარჩხილის მარცხ. მხარეს (ნაკიფუ). რესპ.: „ტერასივითაა. ზემოთ და ქვემოთ მიუვალი კლდეებია. ეს კი მათ შუა ადგილია“: კონტექსტი: „ტყვიაქ შქაბანია გურს ქემოხვადუ“ (ტყვია შუაგულში მოხვდა).

**შქაგა** „შუა სერი“ – 1. დაბალი სერი ოტოფუეს ორ მდგენელს შუა, ფუქი-ნალენჯიხის გზაზე (ფუქი); 2. სერი ჩაის ფართობით ონასუმორესა და ეფსიეფიმ ღალს შუა (ნაკიფუ).

**შქალია** – სოფლის ცენტრალური უბანი (ლია). შქალიასა და ენგურს შუა მცხოვრებთ უწოდებდნენ **მიშახონარეფს**, ხოლო შქალიასა და ფერდობებს შუა მცხოვრებთ – **გგშახონარეფს**.

**შქანოხორი** „შუა ნასახლარი“ – ბორცვი ფუქარის ორ მდგენელს შუა, ლაკადაში, ფარის გვერდით (ლარა).

**შქასუკი//ნაცანუმ სუკი** – კონცხი ნაცანუში, უსქერაფლალის სათავესთან, ორმხრივ ხეობები ჩამოუდის (ნალენჯიხა).

**შქალალ(გ)** – ღელე და ხევი ნაკალანდუსა და ოხვამემ გას შუა. ერთვის ოტოფუეს. ორ სერს შუა გაედინება, ამიტომ დარქმევია შქალალგ (ნალენჯიხა).

**შ(ქ)აშგა** „შუა სერი“ – სერი ენგურის მარჯვ. მხარეს, ნანორასა და ღალის შესართავს შიგნით (ფოცხოენერი).

**შ(ქ)აშკარე** „შუა კარავი“ – დაფერდება უბადოღალის სათავესთან, პაპამ ცხაცხუს ქვემოთ. ფახულანის ცენტრიდან ხულუურში მიმავალ გზაზე სამი კარე („მწყემსის ბინა“) იდგა. ეს კარე შუა იყო (ფახულანი).

**შქაშლეფიფიე** – უბანი. იგივე შქაშსაფიფიო (ლეშამუგე).

**შქაშმამული** – ვაკე ინგურას მარჯვ. ნაპირას, ფერდობის ძირას, ლესანთესთან. უნინ აქ მამული, ე.ი. ხეხილნარი, ყოფილა და შქაშმამულიც მაშინდელი სახელწოდებაა. მაგრამ ხეხილი მოიჭრა და მის ადგილას ხალხი დასახლდა (ჩქვალერი).

**შქაშნოხორი** „შუა ნასახლარი“ – სახნავი ბორცვზე, ტებენეს მარცხ. ნაპირას (ნაშამ-გუ).

**შქაშნუზონი** – ნაძვნარი. იგივე კვარკვალა ნუზონი (ჭალეს სატყეო).

**შქაშორაიე** – ჩაის ფართობი ძგაშორაიესა და ნაკარუს შუა (ლესალე). ორმხრივ ესაზღვრება ჩაის ფართობი.

**შქაშრთხინა** „შუა თხილნარი“ – ბუჩქნარი ნოჟალას ზემოთში (ჯვარის სატყეო).

**შქაშსაბეკი//ჭიჭე საბეკი** – მინდორი ტყეში. იხ. საბეკი (ჭალე, ენერფერი).

**შქაშსაფიფიო//შქაშლეფიფიე** – ფიფიების უბნის შუა ნაწილი სოფლის აღმ. ნაწილში (ლეშამუგე).

**შქაშსუკი** „შუა სერი“ – 1. სერი ბირგულამსა და ორწყანდეს შუა. სამთაგან შუა სერია. რესპ.: „ჩქიმი იშო ჟგრი მოითერს ხოლო უჯოხოდუ შქაშსუკი“ (ჩემამდე ორი თაობას

უნოდებდა შქაშსუკს) (ნაკიფუ); 2. ჩადაბლება ონნიშის სერზე, საიდანაც ორმხრივ საძოვარი ფერდობები ეშვება (მუჟავა); 3. ბორცვი ფარტობასა და ნარაგუს შორის, სერზე (ქალალა) და სხვ. მრ.

**შქაშტყაია** – ერქვა დღევანდელ შქალიას პალურსა და სოფ. ლიას ცენტრს შუა (ლია).

**შქა(შ)ფერდი** – კლდე-ფერდობი ოლორის მარჯვ. ნაპირას, ოგურგენჯთან (ფახულანი).

**შქაშლალ(გ)** „შუა ღელე“ – 1. ღელე ჯვარზენში, ენგურის მარცხ. შენაკადი. გამოედინება ღრმა ხეობიდან. ზოგის აზრით, „შუა ღელე“ იმიტომ ეწოდა, რომ ჯვარზენს შუა ყოფს (ჯვარი); 2. დიდი ტებენეს მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა (ფახულანი); 3. ლაჩახვას შენაკადი სამიქაოში. მოედინება მაღალ ბორცვებს შორის (ფუქი); 4. ღელე და ხეობა, კაკილიშ ღელის მარჯვ. შენაკადი (ლესალე); 5. ღელე, ნახარგში ღელის შენაკადი. აქ ერთმანეთს ერთვის სამი ღელე და მათგან შუა ღელეს ეწოდება **შქაშლალ(გ)** (ჯალირა); 6. ღელე და ხეობა ონნიშის ფერდობზე (ჭალე, მუჟავა) და სხვ. მრ.

**შქა(შ)ჭალე** „შუა ჭალა“ – კუნძული ჭანისწყალსა და მის შტოს შუა, სასახოკოს უბნის პირდაპირ. აქვე გამოყოფენ **მელენჭალესა** და **მოლენჭალეს**. წყალდიდობისას ზედ რჩება შეშა და ხე-ტყე (ნალენჯიხა).

**შქაჭალე** – 1. სახნავი ჭანისწყალსა და მის სახისქვილე არხს შუა (ჯალირა); 2. ნახევარკუნძული ჭანისწყლისა და ინნგრას შესართავთან (საჩინო).

**შქაჭალეშ ფერდი** – ფერდობი შქაჭალესთან (საჩინო).

**შქერონ(ა)ლალ(გ)** – ღრმა ხევი ჟიმოლენსამესხიოში. ჩაედინება ლეარსანეში (სამესხიო).

**შქერონი** „შქერნალი“ – შქაშლალის შენაკადი და მისი ტყიანი ხევი ხუმათიაში, ონნიშის აღმ. კალთაზე (მუჟავა).

**შქერლალ(გ)/ფშქერ(ამ)ლალ(გ)** – ღელე, ენგურის შენაკადი. იწყება საქაროში. არის ჭალე-ფახულანის საზღვარი (ჭალე, ფახულანი). აღ. ღლონტის ვარიანტია „შქერლალუ“.

**შხელეფონი** – ფერდობი დიდი ტებენეს ხეობაში. რესპ.: „შხელეფონი აღნიშნავს გაუკაფავ გზას უღრან ტყეში, თავდადმართზე. ოდნავ წამოწვიმს და ბუჩქნარი ასველებს მგზავრს“ (ჭალე). მეგრულის ლექსიკონებში **შხელეფი** არ დასტურდება.

**შხუნა** „ყამირი, ახო, ნასვენი მინა“ – სახნავი ვაკეზე, ჩხოუშიას მარცხ. ნაპირას, დიდტობასთან (პ. ენერი). რესპ.: „იყო წიფლნარი, გაჩეხეს, დანვეს და საყანედ აქციეს. ამ პროცესს ეწოდება **მოშხუნაფა** (მოახობა). შედეგად მივიღეთ **შხუნადიხა**, ანუ **გვანილი** (გასუქებული) **მინა**“. შდრ. პ. ჭარაია: „**შხუნა** – ყამირი; დიდი ხნის დაუმუშავებელი ნაყოფიერი მინა“. ო. ქაჯაია: „**შხუნაფა** – მინის დასველება“; აღ. ქობალია: ა. „**შხუნა** – ნასვენი, ნაყოფიერი მინა; უტეხი, უკაფი, ყამირი...“; ბ. „**მოშხუნება** – ხანგრძლივად დაუმუშავებელი მინის გატყევა“; გ. „**მოშხუნებული** – ხანგრძლივად დაუმუშავებელი; ატყევებული, გაყამირებული; მოშენებული, მომრავლებული“ (ქობალია, 2010, გვ. 481). სამეცნიერო ლიტერატურაში **შხუნა** გულისხმობს 2-3 წელიწადს დაუმუშავებელ დასვენებულ მინას. რესპ.: „შხუნა ჯოხო ბრელხანიშ უხაჩქ დიხას, 5-6 წანაში მოშვანდილს. შურო ვარე ნახაჩქანგ ფერს ხოლო ჯოხო შხუნა“. სამეგრელოში ახალგანმენდილ მინას შხუნადიხას უწოდებენ. შხუნადიხა თითქმის სამი წლის განმავლობაში თოხნიდნენ... „შხუნა მინის პირველად მოხვნას, მინის გატეხვას ან ახოს გატეხვას ეძახდნენ“ (რუხაძე, 1968, გვ. 67).

**შგრდენი** – ვაკე-ნასახლარები ენგურის მარცხ. მხარეს, ნულიშის ძირას, სვანეთის საზღვარზე, კაშხალს ზემოთ (მაგანას სატყეო). აქაა ოთხკუთხა კოშკი, რაც აკ. ჭანტურიას რუკაზე აღნიშნულია როგორც „შგრდენიშ ჯიხა“. აქვეა ეკლესია, ირგვლივ შემორტყმული გალავნის ნაშთით. შგრდენი „შევარდენი“ პირსახელიცაა.

**შგრდენიშ ჯიხა** – ციხესიმაგრის ნანგრევები (მაგანას სატყეო). იხ. **შგრდენი**.

**ჩაგუ დო იაკოშ ნანისქვილე** – ნანისქვილარი ჭანისწყალზე, ლესალეს ხიდს ზემოთ. რესპ.: „ჩაგუსა და იაკოს ნისქვილი საზიაროდ ჰქონდათ და ამ ათი წლის წინათ მიატოვეს“ (ლეკაკულე).

**ჩაგუ დო ჯამლეთიშ ნოხორი** – სახნავი ენგურისპირა დაბლობზე. ძმები ჩაგუ და ჯამლეთ აქუბარდიები აქვე ესახლნენ (ჭალე).

**ჩაგუმ ნაკარუ** – მინდორი ნოლიმერის ხეობაში (სქურის სატყეო).

**ჩაგუმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლესამლაში, ლაჩიდას მარცხ. ნაპირას. ჩაი გაუშენებია ჩაგუს და მერე გადაუცია კოლმეურნეობისათვის (მუჟავა).

**ჩაგუმ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, სოფლის ჩრდ. ნაწილში (ლეკაკულე).

**ჩაგუმ წყურგილი** – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას. აქვე ახლოსაა **ჩაგუმ ტობა** (ლეკაკულე).

**ჩამვონი** „ბოკვნარი“ – ტყე-საძოვარი წყავაშში, ჩამვონწყარის ზემოთში (მაგანას სატყეო). ჩამვა, ჩამფა, ჩამპ(ვ)ა, ჩამქა მაღალმთის ბოკვია.

**ჩამვონწყარი** – მდინარე. იგივე ჩამფონწყარი (მაგანას სატყეო).

**ჩამუმ ნოხორი** – ფერდობი, ბუჩქნარი ლანჯიშის აღმ. ნაწილში, ლებლესთან. ჩამუ პირსახელია (ფახულანი).

**ჩამფონიშდუდი** – მთა ეგრისის ქედზე, ჩამფონწყარის სათავესთან. აღ. ქობალია: „ჩამფა – ქორაფი, მაღალი მთის ბოკვი (მცენ.)“; „ჩამფონა – ქორაფიანი, ბოკვიანი“ (მაგანას სატყეო).

**ჩამფონწყარი//ჩამვონწყარი** – მაგანას მარჯვ. შენაკადი. გამოედინება მყინვარ უგურყელიდან (მაგანას სატყეო).

**ჩამქვამ წყარი** „ბოკვის წყალი“ – წყარო ნაოსქში. ჩამქვას ძირიდან მოწვეთავს და ქვეშ ვარცლი უდგას. ახლო-მახლო სხვა წყარო არცაა (ჭალეს სატყეო).

**ჩამჭონი** „ბოკვნარი“ – ტყე-საძოვარი ეგრისის ქედზე, სვანეთ-სამეგრელოს საზღვართან, გვანდრასა (სვანთა საზაფხულო საძოვარი) და ობორიას (მეგრელთა საზაფხულო საძოვარი) შუა, ურაშიშ წყარის ზემო წელის მარჯვ. მხარეს (სქურის სატყეო). (სვანური ვარიანტია ჩამჭ-უნ-ი (-ონ -უნ). ზემოთ დასახელებულ ტოპონიმებში გამოვლინდა რამდენიმე მეგრული ვარიანტი: **ჩამვა, ჩამფა, ჩამქვა, ჩამჭვა**. ამათგან ძირითადი ფორმაა ჩამქვა. მისი ფონეტიკური ვარიანტებია: **ჩამჭვა** (უკანაენისმიერი ყრუ ფშვინვიერი ქ ხორხისმიერი ყრუფშვინვიერი ჰ) **ჩამქვა ჩამფქვა** (ქვ//ჭვ ფ) (სტატიის ავტორი ეყრდობა ქ. ლომთათიძის მოსაზრებებს). ჩამქვას არქეტიპია ქართული ძელქვა „აკაკის ხე“. ქართ. ძელ-ქვა მეგრ. ჯალ-ქუა ჯამ-ქუა **ჯამქუა//ჩამჭუა ჩამფა** (ჭკადუა, თბ., 1974, გვ. 186-187).

**ჩაჩამ ეკოლი** – აღმართი ქალაქის განაპირას, წალენჯიხა-ზუგდიდის საავტ. გზის აღმართის დასაწყისი. აქ ცხოვრობდა გრიგოლ ჩაჩავა (წალენჯიხა).

**ჩაჩამ წყურგილი** – წყარო ლანჯიშში, ნაბადიმ გიომქუმალარის სათავესთან. ჩაჩა ქალს ერქვა (ფახულანი).

**ჩახუმ ნაკარუ** – ტყე-საძოვარი ჩვინარეში, ფერდობზე (მუჟავა).

**ჩეგემი//წიფრონა** – ღრმა და მიუვალი ტყე-ხევი ლეკუკეში, ოლორის მარჯვ. მხარეს (ფახულანი). **ჩეგემი** „ღრმა, მიუვალი ხევი, უფსკრული“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ჩეგემი** – უფსკრული“. ასეთივეა აღ. ქობალიას განმარტებაც. ჩეგემი დიხაზურგამიც (სამურზაყანო) ეწოდება ღრმა ხეობასა და მდინარეს (ცხადაია, ჯოჯუა, 2003, გვ. 197).

**ჩეღისა** „თეთრი მინა“ – სახნავი სამეზონიოში (ჯალირა). ჩეღისას მეგრულში ორი მნიშვნელობა აქვს: ა. თეთრი მინა, ნებოვანი და თავსაბანი. გამოიყენებოდა საწნახლისა და კასრის ღრიჭობის დასაგმანად; ბ. მოთეთრო მინა, ქვიშანარევი და ადვილად დასამუშავებელი.

**ჩეკვრდე** „თეთრი კლდე“ – კლდეები შქაშალის მარცხ. მხარეს, ჯვარზენში (ჯვარი).

**ჩე(ლა)კლასი//ნაოხვამკლასი** – მინდორი ლეციმინტიეში, სადაც უნინ იდგა შვიდ-წლიანი სკოლის თეთრი შენობა თეთრი თუნუქის სახურავით. ნაოხვამკლასი კი იმიტომ დაურქმევიათ, რომ იგი დარღვეული ეკლესიის ფიცრებით ააშენეს. სკოლა სოფლის ცენტრში გადაიტანეს და სკოლის ადგილას მუშათა საერთო საცხოვრებელი გაიხსნა. მაგრამ ჩე(ლა)კლასი მაინც შერჩა სახელად (პ. ენერი).

**ჩელონია** – ტყე-ხევი კანთში, ბელერწყარის მარჯვ. მხარეს (ლეთკანთი). რესპ.: „ჩელი მარადმწვანე მცენარეა. ამ ხევში ხარობს. შქერს ჰგავს. საქონელი არ ეკარება. მისი ღობე 10 წელს ძლებს“.

**ჩეოხვამე** („თეთრი საყდარი“)//**ნაოხვამ** – ეკლესია, სასაფლაო სახუბუტიოში, ბორცვზე, ჩხაპელკასა და საქაროს შუა. ეკლესია წმინდა კვირიკეს სახელობისაა (ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ეს ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა). აუშენებიათ 1838 წელს და მოქმედი იყო მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. „ჭალელებს თავისი საკუთარი ეკლესია აქვთ“, – წერდა ამ ეკლესიის მღვდელი ზებედე გეთია 1888 წელს გაზეთ „მწყემსის“ პირველ ნომერში. მაგრამ არც ახსოვთ, იყო თუ არა ეს ეკლესია ოდესმე თეთრი (ენერფერდი).

**ჩერსუკი** „თეთრი გორა“ – ბორცვი, მეჯოგეფიმ სუკის აღმ. განშტოება სქურჩას მარჯვ. მხარეს (ნაკიფუ).

**ჩერტიშხინჯი** „ჩელტის ხიდი“ – ბონდის ხიდი ინწირაზე, ლენულაიეს უბანში. ბაგირებზე ჩელტი იყო დალაგებული (კუხეში).

**ჩექვიშონა//მოხილი//მენჯრალაღიშდუდი** – კლდე-ფერდობები მენჯრალაღის სათავესთან (ლექარდე). ჩექვიშა „თეთრი ქვიშა“ ცვივა კლდიდან. **მოხილი** „ჩამორღვეული, ჩამოშლილი“.

**ჩექუა** „თეთრი ქვა“ – 1. ფერდობი საქაროს კალთაზე. ბუჩქნართაა დაფარული და აქა იქ თეთრი ქვები ჩანს (ენერფერდი); 2. ერქვა ჭორომს ენგურზე. ტივის დაცურებას ხელს უშლიდა და ააფეთქეს გასული საუკუნის 50-იან წლებში (ჯვარი) და სხვ.

**ჩელალ** „თეთრი ღელე“ – 1. ღელე, ინწერას შენაკადი. მოედინება ლეჭიჭალუედან და გაივლის ლეჯღანჯღეს. ღელეში თეთრი ქვა-კენჭები ყრია (კუხეში, ნაგურუ); 2. ენგურის მარჯვ. შენაკადი პოლიგონთან. ზემო წელზე ეწოდება ხუმლაღალ(გ), ხოლო ქვემო წელზე – ჩელალ, რადგან ღელეში თეთრი ქვები ყრია (ჭალე) და სხვ. მრ.

**ჩელალ(გ)** „თეთრი ღელე“ – 1. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება გაურჩაში. მოფენილია თეთრი ქვებით და წყალიც სუფთა და კამკამაა (სქურის სატყეო); 2. ლარანწყარის მარჯვ. შენაკადი. მოედინება სამიქაოდან (ლარა) და სხვ. ჩელალში, ჩვეულებრივ, თეთრი ქვები ყრია ან წყალი თეთრ კლდოვან კალაპოტში მოედინება.

**ჩელაღიშდუდი** – სამი ღელის შესართავი. იხ. ოკათაფუ (ნაკიფუ).

**ჩეშონა** – ტყე-თხმელნარი უბადოღალის სათავესთან, თხინაში. აქ მაღალ ხეებზე აშვებული იყო ყურძნის ჯიში **ჩეში** „თეთრისა“ (უბადოღალი). რესპ.: „ერთი ძირი ჩეში ჩემს ეზოში დღემდე შემორჩა. მეზობლების ვენახში შეხვდებოდი კოლომს, დღურდღუმს, ჭვიტლურს, აქუშარს“. რესპ.: „ჩეში ნორე უმოსო, ვარა სორდგ ჩენი ადესა დო ვარა ნაწონა“.

**ჩეშონა//ჩეჩონა** – ტყე-ფერდობი ცანაშში (ქალაღალი). რესპ.: „აქ ხარობდა ვაზის ჯიში **ჩეში**, იგივე ჩეშონური, ჩემსყურძენი (მაღალ თხმელებზე იყო აშვებული). ჩე ჭვიტლურსაც უწოდებენ და იზაბელასაც“. რესპ.: „ჯვეშო ირდისხას ჩეში ნორე, ვარა სორდგ ასე-იანი ადესა დო ვარა ნაწონა“. „ჩეში ვაზის საადრეო ჯიშია, პატარა მტევნები და წვრილი მარცვლები ჰქონდა. ღვინო კარგი დგებოდა“ (მასალები, ტ. IV, ნან. III, გვ. 154). შდრ. ალ. ქობალია: „**ჩეში** – თეთრეული; თეთრი ბამბის ქსოვილის სახეობა... **თეთრა** (ვაზის ჯიში)“. ფორმა „ჩეჩონა“ ასიმილაციის (ჩ-შ ჩ-ჩ) შედეგია. ჩეში („თეთრისა“) ვაზის საადრეო ჯიშია, თეთრი ფერისა, წვრილი მარცვლებით) ჩეშონა (-ონ, -ონა პრეფიქსები გამოხატავს კრებულს: ჩეშონი „ადგილი, სადაც ჩეში უხვად ხარობს“. შდრ. „ჩეშონა მეგრულად თეთრ სვანეთს აღნიშნავს“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 275. მიუთითებს გ. ელიავას). (?!?)

**ჩეჩონა** ( ჩეშონა) – 1. ტყე-ფერდობი ლაჩახვას ხეობაში, ოქაჯესთან. ამჟამად იზაბელას, ოჯალემის და სხვ. ჯიშების ძირებია დარჩენილი (ფუქი); 2. ბუჩქნარი საგეთიოში



(მუჟავა); 3. სახნავი ფუისქურის მარცხ. ნაპირის ფერდობზე (ლესარჩილე); 4. ტყე-ფერდობი. იგივე ჩეშონა (ქალალალი) და სხვ.

**ჩენყურგილე** „თეთრი წყარო“ – წყარო ნანულუში, ტარჩიას მარჯვ. შენაკადი. თეთრი კლდიდან გამოდინება. იშვიათი ვარიანტი: **ძაკამ წყურგილე**. წყარო ძაკას სახლის უკანაა (სამესხიო).

**ჩე წყურგილი//მუხრანიშ წყურგილი** – წყარო-ნაკადული თუდოლენსაკალანდიოში. წყაროში თეთრი ქვა-კენჭები ყრია. ამ წყაროს მუხრან კალანდია უვლიდა (ობუჯი, ნალენჯიხა).

**ჩეხიარი** – მაღალი კლდე მენჯრალალის სათავესთან (ლექარდე). **ხიარი** – შიშველი ქვაცვენია კლდე. შდრ. ო. ქაჯაია: „ხიარი – მთიდან ფერდობზე ხის მორების დასაგორებელი ადგილი, ასეთად, როგორც წესი, იყენებენ ნაკადულების ნაკვალევს“. შდრ. ზმნა: **მიხიორ(გ)**, ე. ი. ხიორით ეშვება ფერდობზე. ალ. ქობალიას განმარტებიდან: „ხიორი – წვრილი საგნების ცვენის ხმა, ჩხრიალი“.

**ჩვახეშ ღალ(გ)** – ღელე სააფაქიო რზენში, სქულუბურის მარცხ. შენაკადი. ქვრივი ქალი ჩვახე გუჩუა ამ ღელისპირას ესახლა (ფახულანი).

**ჩვინარე** – ღრმა და ვინრო ხეობა ოლორის ზემოთში, ტყითაა დაფარული. იწყება ოხაჩქუეს კალთის ძირას. ფართოა და ვრცელი, ტყიან-საძოვრიანი (მუჟავა). ჩვინარეში ერთგან ნაგებობების ნაშთია. გადმოცემით, აქ წმ. გიორგის სალოცავი იყო. შდრ. ალ. ქობალია: „ჩვინარე – მდუმარე“.

**ჩვინარეშ(ი) ტყა** – ტყე მუჟავაში (ღლონტი, 1971, გვ.98).

**ჩიკობაშ ღალ(გ)** – ღელე და ხეობა. იგივე **ჩიქობაშ ღალ(გ)** (უღურია).

**ჩირქი** – ლენჭყიანი ტაფობი, ნაჭაობარი ქუაშკვერის (სქურდილას) სათავესთან, ნალენჯიხა-ზუგდიდის გზაზე (ნალენჯიხა). რესპ.: „ჩირქი, ისევე როგორც ჩირე, მცირე ლენჭყიანი ადგილია, ურმები ვერ გადიოდნენ“. ჩირქი სიტყვის ასეთი სემანტიკა არ დასტურდება ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას ლექსიკონებში.

**ჩიტლული//ნაკარუ** – ბორცვი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნანილში (ჯგალი). **ჩიტლული** „ჩიტის ღელევი“ წვრილი ღელვის ერთგვარი ჯიშია, შავია, ადრე მწიფდება და ჩიტი ეტანება.

**ჩიტლულონი** – ვინრო და ღრმა ხევი ლეფიფიეში, უჩალალის დას-ით (ლეშამუე). შდრ. ჩიტლული.

**ჩიქვანეფიშ რზენი** – ვაკე ინწირას ნაპირას. ჩიქოვანები ამ ვაკეზე ესახლენ (ნაგურუ).

**ჩიქვანიშ ნოხორი** – საკარმიდამოები. იგივე **ილარიონიშ ნოხორი** (ნაგურუ).

**ჩიქვინოღუნი** – ტყე ოქაჯელალის სათავესთან (საჩინო). რესპ.: „ჩიქვი ჩხიკვია. აქ სიმინდს ეტანებოდა“. ჩიქვი პირსახელიცაა.

**ჩიქოვანიშ ნოხორი** – საკარმიდამოები. იგივე **ილარიონიშ ნოხორი** (ნაგურუ).

**ჩიქობაშ ღალ(გ)//ჩიკობაშ ღალ(გ)** – ღელე და ხეობა საჭანიოს ჩრდ.-დას. ნანილში. ერთვის კვარჩხილალს (უღურია).

**ჩიყვამწყარი** „ჩიყვიანი წყალი“ – წყარო უბადოლალში, პაპამ ცხაცხუსთან (ფახულანი). რესპ.: „ჩიყვი ჭიაა ერთგვარი, ბრტყელი, მოხრილი, ღვანკაიაზე პატარა, 1,5 სმ სიგრძისაა. ჩქარა მოძრაობს, თევზი ეტანება. იცოდა ამ წყალში“. რესპ.: „ღვანკაიაშ უკლაში რენ ფერი ხე თაქი. ათენა ინოხენ თი წყარს ვაშუნა. მოხრილია და ბრტყელი, სწრაფად მოძრაობს წყალში. ხშირია ღელეებში. თევზი ეტანება“. შდრ.: ჩიყვი ქართულშიც და მეგრულშიც აღნიშნავს ერთგვარ ავადმყოფობას, რომელიც ამახინჯებს ყელის ფორმას.

**ჩონგერი** – ბუჩქნარი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ლეშონიეში (ლესალე). მეგრულის ლექსიკონებში ეს სიტყვა არ ჩანს.

**ჩონთოშ ნაზავოდ(გ)** – წელისპირა ვაკე. იგივე **ნაზავოდ** (მუჟავა).

**ჩონო** – მორკალული ვაკე-მინდორი ენგურის ჭალაში, მაღალი ფერდობის ძირას (ფოცხოენერი). ალ. ღლონტი **ჩონოს** განსაზღვრავს როგორც სათიბის სახელს სოფ. ჭალეში (ღლონტი, 1971, გვ. 97).

**ჩონჩორიშ ნოხორი** – მინდორი დუტულიშ ნოხორის გვერდით. ჩონჩორი მამაკაცის სახელია (ფახულანი).

**ჩოხა** – ტყე-ფერდობი ლაკადის ძირში (ლარა). რესპ.: „აქ, სოფლის განაპირას, ამოდიოდნენ ქალები ზაფხულის ცხელ დღეებში, ქსოვდნენ ჩოხას და მუსაიფობდნენ სიგრილეში“. რესპ.: „როგორც გამიგონია, ჩოხა სოკოა ერთგვარი. მე არ მოვსწრებივარ“.

**ჩოხონა** – ფერდობი ჩოხონალალის ზემოთში (ლესალე). რესპ.: „ათაქი ყურძენს „მეჩოხდ“, ე.ი. უხვად ესხა. ამიტომ დარქმევია“. როგორც ქეგლ-შია განმარტებული, ჩოხაშავა იმერულში ერთგვარი ქუდიანი სოკოა. აღ. ქობალია: „**ჩოხათხირი** – ჩოხათხირი (მცენ.)“. რესპ.: „აქ ბევრი იყო ვაზი და ყურძენი „მეჩოხდ“ (უხვად ესხა) ამიტომ დარქმევია“.

**ჩოხონა(შ)ლალ(გ)** – ღელე და მცირე ხეობა თხინაში, ძანძელის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ჩოხონადან (ლესალე).

**ჩოხომ ნადიხ(გ)** – სახნავი ოყაყალეს სათავესთან. ჩოხო პირსახელია (ნაგურუ).

**ჩოხომ ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, ლასარიაშ ტობას სამხრ-ით (ობუჯი).

**ჩოხომ ლალ(გ)/ხუმლა ლალ(გ)** – ღელე და ხეობა. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი (ნალენჯიხა). ჩოხო, მოხუცებული ქალი, ჭანისწყლისა და ამ ჩოხომ ლალის შესართავთან ცხოვრობდა. **ხუმლა ლალ(გ)** („მშრალი ღელე“) კი იმიტომ ეწოდა, რომ ზაფხულობით შრება.

**ჩოხომ წყურგილი** – წყარო ლეზარქუეს ჩრდ. ნანილში, ჩოხომ ლალის ნაპირას (ნალენჯიხა).

**ჩქვალერი** – სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნანილში).

**ჩქონი** – 1. კონცხი ზედა ლეჟაში, ნაყუდუსა და ნაქობალს შუა, სადაც ორი ხევის შეერთება ქმნის ურთხელიშ ლალს (ნაკიფუ); 2. საძოვარი ინგრას ჭალაში. წყალდიდობისას ნახევარკუნძულს ემსგავსება (კუხეში) და სხვ. **ჩქონი** არის მცირე კუნძული ან ნახევარკუნძული; ჭალა, რომელიც ხანდახან წყლით იფარება. რესპონდენტები განმარტავენ: ა. „**ჩქონი** არის მიუვალი ჭიუხები მთაში. მაგრამ ჩქონი მცირე შემადღებაცაა და ზოგ შემთხვევაში კონცხსაც აღნიშნავს“; ბ. „**ჩქონი** ნახევარკუნძულია. ხანდახან ბორცვს ჰგავს“; გ. „**ჩქონი** ჭალაა, რომელიც წყალდიდობისას წყლით იფარება“; დ. **ჩქონი** დაბალი წყლიანი ადგილია. ლექსიკონთა განმარტებანი: ს.-საბა: „**ჩქონი** – დაბალი ნაშე; დაბალი და მცირე ტყე“ (ნაშე კი არის „რიყე ჯაგნაროვანი“); ბ. (ქეგლ): „**ჩქონი** – პატარა კუნძული; ჯაგნარიანი რიყე მდინარის პირას“. ამასვე იმეორებს ო. ქაჯაიაც. აღ. ქობალია: „**ჩქონი** – კუნძული, კუნძულიკა, ქვა–ლოჯი; მდინარეში ამოზრდილი უსწორმასწორო ხმელეთი, ბუჩქებიანი მეჩეჩი; ჯაგნარიანი რიყე მდინარის პირას...“ შდრ. მისივე: „**რჩქონი** – მეჩეჩი, კუნძული, კუნძულიკა მდინარეში, წყალქვეშა კლდის შვერი; რიფი და მასზე მიყრილი ნამუსრევი მდინარისა; ხე-ბუჩქნარი რიფზე“.

**ჩქოტუხემ ნოხორი** – საბალახო ბორცვზე, ლემალაზონეში (კუხეში).

**ჩხაპელკა** – ნაგრძელებული სერი, უბანი ენერფერდსა და მუჟავას შუა. ოლორისა და ტებენეს წყალგამყოფია. შემორჩენილია შუა საუკუნეების ნაციხარის ნაშთები (ენერფერდი). რესპ.: „ჩხაპელიების ნასახლარია, ამიტომ თუ დაერქმეოდა“. ზოგი მკვლევრის აღწერის მასალაში გვხვდება ვარიანტი **ჩხაპილკა**.

**ჩხაპილალ(გ)** „შხაპუნა ღელე, მშხაპავი ღელე“ – ოლორის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ცხონოხორის კალთაზე (ფახულანი). **ჩხაპუა** „რწყვა. წყლის შესხურება“. **ჩხაპალი** „შხაპუნი. ქვა-კლდეებში მიმდინარე წყლის ხმა“. რესპ.: „**მიჩხაპალ**, მეტი ვარე დო ხმა ულუ დიდი, ქუალეფს მეურცუ ირიათო“. შდრ. „ჩხაპილალუ (წინწკლებიანი ღელე). **ჩხაპუა** –შხეფება, წინწკლება... ღელე ფახულანში“ (ღლონტი, 1971, გვ. 97).

**ჩხაპილკა** – ჩხაპელკას იშვიათი ვარიანტი (ენერფერდი).

**ჩხვინდილულა** „ცხვირმოღრეცილი“ – მთა ცაშკიბულის აღმ-ით, ჭანისწყალ-წისქვილარას სათავეთა წყალგამყოფზე (სქურის სატყეო).

**ჩხინა** – ენგურის მარჯვ. შენაკადი. იხ. **(რ)ჩხინა**. რესპ.: „ამ ღელის ხეობაში ხშირი ტყეა, სადაც ამზადებდნენ რჩხინას, ანუ ლარტყას, რაც გამოიყენებოდა სახურავის სამაგ-

რად“ (ხუდონის სატყეო). ალ. ქობალია: „**რჩინა** – ლარტყა, ცხემლი, ჭოკი; ისლის სახურავის სამაგრი, ლატანი“.

**ჩხიორი** – კლდე-ფერდობი ბოგაშის კალთაზე, თხინას ქვემოთ (მედანი). **ჩხიორი** „ჩხრიალი; ქვის ცვენის ხმა“. აქ ერთგან შუროა, საიდანაც ხშირად ცვივა ქვა და ისმის ჩხრიალი.

**ჩხიჭონი** ( ჩხიჭი „კენჭი. ნვრილი ქვა“) – ერქვა ნვრილქვიან ვაკეს ენგურის მარცხ. მხარეს, გურხუდონიდან ნულიშის ძირამდე. დაფარა ენგურის წყალსაცავმა. ცხოვრობდნენ ქარდავები, ჰქონდათ სალოცავი – ეკლესია და ჰყავდათ მღვდელი... (1949-50 წწ) მთავრობის დადგენილებით მოხდა მათი გადასახლება აფხაზეთში (მაგანას სატყეო). მეგრულის ლექსიკონებში და ქეგლ-ში **ჩხიჭი** არ დასტურდება.

**ჩხოროცხაცხუ** „ცხრა ცაცხვი“ – მცირე მინდორი ყარაში, ცვანთის კალთასა და ხურჩას სათავეს შუა (ლარა). რესპ.: „ზოგი ამას უწოდებს **ცვანთიმ მიოხვამუს**. აქ ერთი ძირიდან ამოსული ცხრა ცაცხვი მდგარა და მთაში მიმავალ მწყემსთა პირველი მოსალოცავი ადგილი ყოფილა. იგი მისცემდა საშუალებას, გაეგრძელებინათ გზა ოფუჩამდე, სადაც ურთხელი იდგა. იქაც მოილოცავდნენ. მესამედ ლოცვა უნდა აღევლინათ ნაოხვამუში. მერე თავისუფლად მიაღწევდნენ ალპურ საძოვრებს. აქვე ყოფილა **ქოჩომ ნაკარუც**.

**ჩხორონყუ** „ცხრანყარო“ – მთა-საძოვარი ჭანისწყლის ზემოთში. აქედან გაედინება ჭანისწყლის მარცხ. მდგენელი **ჩხორონყულაღ(გ)** (სქურის სატყეო). ჩხორონყუ, რომელიც ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში, მეტაფორულად აღნიშნავს უხვდებიტიან წყაროს, ვოკლუსს, სადაც ერთბაშად მთელი მდინარე გამოედინება. შდრ. ქართ.: ცხრანყარო. საერთოდ ქართველურ ენებში „ცხრა“ აღნიშნავს სიმრავლეს. შდრ.: „იარა, იარა და ცხრა მთა გადაიარა“. ქართულ მითოლოგიაში ჩხორო „ცხრა“ მზის წმინდა რიცხვადაც ითვლება (პატარიძე, 1972, გვ. 149). ისიც ცნობილია, რომ ჩვენს წინაპრებს თვლის სისტემა ცხრაობითი ჰქონდათ (ცხაკაია, 1959, გვ. 21-29). იხ. აგრეთვე ქეგლ-ის მე-8 ტომში: ცხრა, ცხრაგვარი, ცხრატყავა და სხვ. მრ. შდრ. ქართულში: „იარა, იარა და ცხრა მთა გადაიარა“. მაშასადამე ცხრა „ჩხორო“ ზოგადად მრავალს, სიმრავლეს გამოხატავს. ამის გარდა, ცხრა ქართულ მითოლოგიაში მზის წმინდა რიცხვად ითვლება. კოლხეთში ხანდაზმულები ჩვეულებრივ ასე განმარტავენ: „ცხრა მზის წმინდა რიცხვია, ხოლო მზე – ღმერთის სიმბოლო – თვალი“.

**ჩხორონყულაღ(გ)** – ღელე. ჭანისწყლის მარცხ. მდგენელი. მოედინება ჩხორონყუდან (სქურის სატყეო).

**ჩხორჩხი** – 1. ტყე-კლდეები ჭანისწყლის ხეობის ზემო წელზე, გაუჩას გადასახედთან (სქურის სატყეო); 2. კლდე-ფერდობები ბოგაშის კალთაზე. აქ გადის **ჩხორჩხიმ შარა** (მედანი). **ჩხორჩხი** ისეთი ადგილია, სადაც მინიდან თავწვეტა ქვებია ამოჩხირული. ჩხორჩხი თავწვეტილა კლდესაც ეწოდება. რესპ.: „ოჩხირჩხინანს ქუალეფი“, ე.ი. ამოჩხირულია ქვები. იხ. ქაჯაია, III, გვ. 193; ალ ქობალია: „**ჩხორჩხი** – აჩონჩხილი, მრავალწვერა კლდე“.

**ჩხორჩხიმ შარა** – გზა ჩხორჩხში. მიემართება ლაკადისაკენ (მედანი).

**ჩხოუშია** „ძროხისა“ – ეწოდება ორ მდინარეს, რომლებიც პარალელურად მიედინება სააფაქიო ენწერში (პ. ენერი) და ერთდება სოფ. ჭკადუაშში, ხოლო შემდეგ გაივლის ქ. ზუგდიდს და შეერთვის ჯუმს. **აღმოსავლეთი ჩხოუშია** (ანუ ჭიჭე ჩხოუშია. იგივე მოლენი ჩხოუშია) ჩხოუშიის მარცხ. მდგენელია და მის ხეობას ჰქვია **რეკა**. იგი ესაზღვრება ქ. ნალენჯიხას. **დასავლეთი ჩხოუშია** (ანუ დიდი ჩხოუშია. იგივე მელენი ჩხოუშია) კი შუა ყოფს სააფაქიო ენწერს. რესპ.: „გვალვისას, ენერში წყალი რომ დაშრებოდა, ძროხა დასარწყულებლად ამ ღელეში ჩაჰყავდათ. ამიტომ დაურქმევიათ ჩხოუშია“. ასეთ სახელს მდინარე მარტვილის რაიონშიც ატარებს. ქსე-ში (ტ. 11, გვ. 288) აღნიშნულია, რომ მდ. ოჩხომურის ზემო დინება ნალენჯიხის რაიონშია. სტატიის ავტორები ალბათ ჩხოუშიას გულისხმობდნენ (ოჩხომური ხობისწყლის მარცხ. შენაკადია ჩხორონყუს რ-ნში და ნალენჯიხის რაიონთან საერთო არაფერი აქვს).

**ცაბუაშ სუკი** – დაბალი ბორცვი ძაბაშ ღალსა და ოხარჩალაიაღალს შუა. ცაბუა ქალის სახელია (ფახულანი).

**ცანაში** „ცანავასი“ – ბორცვი, ყოფილი დასახლებული უბანი ერისწყალსა და ნარაგუს შუა. ესახლენ გოგობიები, მანამდე კი ცანავებს უცხოვრიათ (ქალაღალი). რესპონდენტისეული განმარტება ცრუ ხალხური ეტიმოლოგიის ნიმუშია: „აქ იდგა ცგ („თელა“) და ამიტომ დარქმევია ცანაში“. საეჭვოა ასეთი განმარტებაც: „**ცანაშ** – საძოვარს ჰქვია ფახულანის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტოპონიმი **ცან//ნან//ნანარ** ეთნონიმიდან უნდა მომდინარეობდეს“ (მიზიუანი, 1989, გვ. 255). სწორედ ამ ბორცვზეა შემონახული ნა(ო)ხვამ(გ) „ნაეკლესიარი“. გადმოცემა: „ათაქი ცანა ნოხორუე, ვაქოფე ჯგგრი კოჩი დო გეგურაყგან“. აკაკი ჭანტურიას მიერ XX ს-ის ოციან წლებში შედგენილ ზუგდიდის მაზრის იმ ისტორიულ ძეგლთა ჩამონათვალში, რომლებიც საჭიროებენ დაცვას, აღნიშნულია ცანის ეკლესია (გაბისონია, 2009, გვ. 25). სხვათა შორის, **ცანა** ლაზურში ერთგვარი ჩიტია (მ. ჩუხუა).

**ცანაშ ღალ(გ)** „ცანავას ღელე“ – ღელე და ტყე-ხეობა, კინესქურის მარჯვ. შენაკადი. რესპ.: „გვარი ცანავა ამჟამად ახლო-მახლო არ ჩანს“ (ნაკიფუ).

**ცაღრა** – ცაღრანყარის ხეობა საძოვრებითა და ტყე-ნაბლნარით წყარგიმაღაფუდან წყამელომდე (მაგანას სატყეო). შდრ. -**რა** დაბოლოებიანი: **მენჯრა**, **ტკიბრა**. შდრ. სვან.: **ცაგარ** „ეკლიანი“, **ცაპრა** „თელა“. შდრ. „**ცაღრა** – ღელე ჯვარში“ (ღლონტი, 1971, გვ. 98).

**ცაღრანყარი** – მაგანას მარჯვ. შენაკადი წყამელოში. იწყება თეკანაშის კალთებიდან (მაგანის სატყეო).

**ცაშკიბული//ცაცკიბალი** „ცისკიბე“ – ეგრისის ქედის ერთ-ერთი მწვერვალი, მდ. დიდღალსა (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი) და მაგანას (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეებთან. მთა წვრილია და ცაში ატყორცნილი ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტის საზღვართან. სიმაღლე 3017 მ. სამხრეთისაკენ გაედინება ჭანისწყალი და მისი მარცხ. შენაკადი წისქვილარა (სქურის სატყეო, ჩხორონწყუს სატყეო). გადმოცემით, მწყემსებს გადაუნყვეტიათ, აღნიშნული მწვერვალის კლდეებზე საფეხურები გამოეჭრათ, რათა კიბით ღმერთს მიახლოებოდნენ და საძოვრებზე მუდმივად კარგი ამინდი ეთხოვათ... მაგრამ კიბე ჩამონგრეულა და ქვები მიმოფანტულა... ამის შემდეგ ამ მწვერვალს დარქმევია **ცაშკიბული**, რაც გადატანით აღნიშნავს ცაში ატყორცნილ ტერასებიან წვრილ მწვერვალს. შდრ. აღ. ქობალია: „**ცაშკიბული** – ცის კიბე, ცადაწვდილი“. მაშასადამე, აღ. ქობალიაც უპირატესობას ანიჭებს ცაშკიბულ ფორმას („ცის კიბე, ცადაწვდენილი“).

დასახლებული ორონიმი ორ ვარიანტადაა წარმოდგენილი წალენჯიხისა და ჩხორონწყუს მუნიციპალიტეტების მთისძირა სოფლების მოსახლეობაში, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში, ტოპოგრაფიულ რუკებზე, გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონებში უფრო გაბატონებული ფორმაა „**ცაცკიბალი**“. სინამდვილეში მეგრული-სათვის სწორი ფორმაა „**ცაშკიბული**“ („ცაცკიბალი“ ფონეტიკურ ვარიანტადაც შეუსაბამოა). სწორედ ამის გათვალისწინებით კ. ხარაძე ასკვნის, რომ სწორედ „**ცაშკიბული**“ არის სწორი ფორმა „რამდენადაც იგი ბუნებრივი გეოგრაფიული ტერმინის მხატვრული გამოხატულებაა და დამახინჯებული „ცაცკიბალი“ არ უნდა დამკვიდრდეს“ (ხარაძე, 2004, 270). ჭეშმარიტად, დროა ოფიციალურ სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს **ცაშკიბული** „ცის კიბე“. P.S. ქსე-ში ტ. 11 შეტანილია ფორმით **ცაშკიბული**.

**ცაცელა** – ერქვა დავაკებს ხუდონში, ენგურის მარცხ. მხარეს (მაგანას სატყეო).

**ცაცკიბალი** – მწვერვალი. იგივე **ცაშკიბული** (სქურის სატყეო, ჩხორონწყუს სატყეო).

**ცაცულიაშ რზენი** – ვაკე-საკარმიდამოები ენგურის მარჯვ. ნაპირას. მკითხავი ქალი ცაცულია აქვე ესახლა (ჭალე).

**ცაცუნიაშ ტყა//ბახუიაშ ტყა** – ტყე, მანცხვარტყას ნანლი (ნაკიფუ). ტყე ეკუთვნო-  
და ცაცუნია მოლაშხიას, უფრო ადრე კი – ბახუიას, მამამისს.

**ცელვეშ ნაბარგ(გ)** „სადაც ცელვემ დაიბანაკა“ – მინდორი ლაშქერდაში. მეჯოგე  
**ცელვე** კვარაცხელია, მთის საძოვრებიდან ბარისაკენ დაძრული, რამდენიმე დღით აქ დაი-  
ბარგებდა – დააყენებდა საქონელს (სქურის სატყეო).

**ცვინაკარუ** – ერქვა უბანს. იხ. **ცუ(ც)ნაკარი** (ნაშამგუ).

**ციბაშ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა საკალანდიოში. წყალი მხოლოდ ნანვიმარზე დის. ერ-  
თვის ჭანისწყალს (ნალენჯიხა).

**ციმინტიფიშ სუკი** – ბორცვი ლეციმინტიეში. ცხადია, ბორცვს სახელი დაარქვეს  
არა თვით ციმინტიებმა, არამედ მეზობელი უბნების მცხოვრებლებმა. მაშასადამე, ტოპო-  
ნიმი გარეწოდებაა (პ. ენერი).

**ცისნაშგა** – ბორცვი. იხ. **ციცნაშგა** (ნაშამგუ).

**ციცნაშგა//ცისნაშგა** – ბორცვი ლეგობეჩიესა და ლემალაზონეს შუა (კუხეში).

**ციცნატობა** – მორევი ინწირაზე, ლეგვილეში. რესპ.: „ონძილე იყო. ერთ საათში კუ-  
ნო ივსებოდა თევზით“. **ციცნა, ცისნა** ქალის სახელია (ნაგურუ).

**ცოტნე დადიანიშ ინჭა** — კარსტული ჭა სათირო ინჭას ქვემოთ. მას მიაკვლია  
ლევან მარუაშვილმა, გამოიკვლია და აღმოჩნდა, რომ იგი საქართველოში ყველაზე ღრმა  
კარსტული ჭაა. ამ ჭაში ჩასხმულმა სპეციალურმა სითხემ სოფ. ჩქვალერის ერთ-ერთ  
წყარომდე მოაღწია. ოფიციალურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც „ცოტნე დადიანის  
სახელობის მღვიმე“ (ჯვარის სატყეო).

**ცუდნაკარი** – ერქვა უბანს. იგივე **ცუ(ც)ნაკარი** (ნაშამგუ).

**ცუონა** „თელნარი“ – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მოედინება დოხვილიდან და ნი-  
ფონადან (სქურის სატყეო). **ცგ** „თელა“.

**ცუონი** – 1. ტყე ლანჯიშში. 1861 წელს შედგენილ სამეგრელოს რუსულენოვან რუკაზე  
(„**ცუონი**“ ( ) ფახულანის ცენტრიდან ჩრდ.-დას-ით აღნიშნული დასახლებული უბა-  
ნი „ცუონი“ ( ) სწორედ დღევანდელი **ცუონი** უნდა იყოს (ხუდონის სატყეო); 2.  
ტყე-ხეობა ცუონალის ზემოთში, თეკანაშის კალთაზე (მაგანას სატყეო) და სხვ.

**ცუონლალ(გ)** – ლელე. მოედინება ცუონიდან. ერთვის ტყვიში ლალს კაკილის აღმ-  
ით (მაგანას სატყეო).

**ცურნა** „სუროვანი“ – წკვიბლალის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ტახილ  
ლესარჩილეში (ლესარჩილე, ლელვინჯილე). ცურუ „სურო“ ცურუონა „სუროვანი“  
ცურონა ცურნა.

**ცურონი** „სუროვანი“ – საძოვარი ბოგაშის კალთაზე (მედანი).

**ცურუამნეძი** „სუროიანი კაკალი“ – სახნავი რეყეში (ფახულანი).

**ცურუამლალ(გ)//ცურუონალალ(გ)** „სუროიანი ლელე//სუროვანი ლელე“ – ტყე-ხევი  
ჟინ სამესხიოში, ლიარსანეს მარცხ. ნაპირას (სამესხიო).

**ცურუონალალ(გ)** — ტყე-ხევი. იგივე ცურუამლალ (სამესხიო).

**ცურუონი** – 1. ერქვა შემოღობილ სათიბს ლეუჩანგეში, თავარანგელოზთან. უნინ  
დასახლებული ყოფილა (მედანი); 2. ტყე-ბუჩქნარი ბოგაშში. სურო აქა-იქა ხეზე შემორჩე-  
ნილი (სქურის სატყეო) და სხვ.

**ცურ(უ)ონი** – ტყე-ფერდობი საჩინოს საზღვართან (ლესალე).

**ცურუონლალ(გ)** – 1. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი უჩა მართუსთან. მოედინება ვემ-  
ჯინჯიდან (საჩინო); 2. ტყე-ხევი. იგივე ცურუამლალ (სამესხიო).

**ცულუშ ტომბა** – მორევი სქურდილაზე, საქუთელიოში (ობუჯი).

**ცულუშ წყურგილი** – წყარო საქუთელიოში, სქურდილას მარჯვ. ნაპირას. აქედან  
წყალი გაყვანილი იყო ნალენჯიხის ჩაის მეურნეობაში. ცულუ პირსახელია (ობუჯი).

**ცუ(ც)ნაკარი//ცუდნაკარი//ცვინაკარუ** – ერქვა დასახლ. უბანს ლანჯიშში, დიდი  
ტებენეს ზემოთში (ნაშამგუ).

**ცხადაიეფიშ კონკი//საცხადაიოშ კონკი** – მცირე კუნძული ენგურზე, საცხადაიოს  
ქვემოთ (ზ. ლია).

**ცხაცხვეფი** „ცაცხვები“ – 1. ბორცვი ჭანისწყალ-ჯალრალის წყალგამყოფ სერზე, სადაც უნინ მდგარა საყდარი „ჯალრამ ოხვამე“ (ჯალირა); 2. მინდორი. იგივე **სუმცაცხუ** (ნალენჯიხა).

**ცხაცხუ** „ცაცხვი“ – მინდორი გორა ნოხორეს თავზე. აქ დიდი ცაცხვი მდგარა და სალამოობით დასასვენებლად ამოდიოდნენ. ბოლოს ნაქცეულა დამპალ-დაღრუებული. ამის მიუხედავად, სალამოობით სოფლები აქ მაინც ხშირად ამოდიან და სახელნოდებაც არ შეუცვლიათ (ლენხარჩილე). სამეგრელოში ცაცხვი, ისევე როგორც მუხა, ურთხელი... ხელვთაებაა.

**ცხაცხუონი** „ცაცხვნარი“ – ტყე-ხევი ფაშტახირში (ხუდონის სატყეო).

**ცხაცხუსაბარგო** – 1. ტყე ხურჩას სათავესთან (ნაგურუ); 2. მწყემსის სადგომი ცხიმურსაბარგოს გვერდით, ცაცხვთან (მაგანას სატყეო). **საბარგო**, მწყემსისა და საქონლის რამდენიმე დღით დასაბარგებელი ადგილი, აქ, ცაცხვის ძირას, ყოფილა გამართული.

**ცხედნეძი** – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ნასულუსთან (ჯგალი). ცხედნეძი არის წინიერი, ანუ კერკეტი კაკალი (ლებანი ძნელი ამოსაღებია). შდრ. **ცხედლუმუ** – ღომის ჯიში (საგვიანო). შდრ. ალ. ქობალია: „**ცხელი** – ცხვედა, ჩრდილიანი, ტენიანი, ნოტიო. ჭყინტად დარჩენილი სიმინდი; უმნიფარი, გვიანი ნათესი (საზოგ.)“.

**ცხენიმ გინნალეფი** „ცხენის გადანავარდნი“ – ხრამი, ჩანჩქერი ყამლარას ხეობაში (კუხეში).

**ცხენიმ ნოხენდუერი** „სადაც ცხენს ხედნიდნენ“ – ვაკე-სახნავი ოტოფუეს ხეობაში ( ხენდუა „გახედენა, განვრთნა“) (ნაკიფუ).

**ცხენიმ ტანიშ ობონუე** „ცხენის საბანაო“ – მორევი ჭანისწყალზე (მედანი).

**ცხენსაბეკი** – ვაკე-ფერდობები წულიშის კალთაზე, სადაც, გადმოცემით, ცხენების საბეკი იყო და მიწა იტკეპნებოდა (მაგანას სატყეო). **ბეკუა** „ტკეპნა“ **საბეკი** „საქონლის ხშირად და დიდხანს დგომისაგან დატკეპნილ-მოტიტვლებული ადგილი“. იხ. **საბეკი**. ალ. ლლონტი თვლის, რომ ცხენსაბეკი არის ადგილი ჯვარში (ლლონტი, 1971, გვ. 98).

**ცხვაისუკი//ცხვაცხვისუკი//სხვასხვისუკი//ნირსობაშ სუკი** – ბორცვი სალოცავითა და სასაფლაოთი ლეღვინჯილემ სუკის ყველაზე მაღალ ადგილზე, სადაც დღესაც დგას სამკუთხა ქვა – გეომეტრიული ნერტილის ნიშანი (ლეჯოლიხე). რესპ.: „აქ მდგარა დიდი ცაცხვის ხე. აქვე ყოფილა სალოცავი წმინდა გიორგისა და ესვენა „ჯინჯიხატი“. ნირსობა დღეს (ზამთარში) აქ ამოდიოდნენ ღვინჯილიები, ამოჰქონდათ საჭმელ-სასმელი, შემოუსხდებოდნენ ცაცხვს და ქეიფობდნენ. მერე მთვრალნი თოვლში „მიგერგელგდეს“ (მიგორი-ალობდნენ) სოფლისკენ. „ძველების“ გადმოცემით, ომის დამთავრების შემდეგ ერთმა ღვინჯილიამ გათხარა ცაცხვის ძირი და იპოვა ქვეერი, რომელშიც ენყო ირმის რქა, კერიმ ჩქვა („ტახის ეშვი“) და ვერცხლის ფული. ის ცაცხვი უკვე აღარ დგას“. ნირსობა, იგივე მირსობა, მირსასადმი (ე.ი. მითრასადმი) მიძღვნილი რიტუალი ზამთრობით იმართებოდა.

**ცხვანტა** – ტყე-ბორცვი ინწირასა და რობლალს შუა, ბორბოლის ჩრდ. ნაწილში (საჩინო). რესპ.: „ცხვანტა არის უნაყოფო ფერდობი ლაკადაში: ზემოთ მთაა, ქვემოთ – დობერა“. ოდნავ განსხვავებული იყო **ცხვანტა** სიტყვის განმარტება მარტვილის რ-ში: „ცხვანტა მთისძირია, ძნელი მისასვლელი, კრიახი“; „ცხვანტა მენეკი ადგილია: მაღალი, მიუფალი, ქვარეჭიანი, მოშიშვლებული ან ჯაგიანი“. ალ. ქობალია: „**ცხვანტი** – წვრილი ჭია... **ცხვანტა** – ეკალ-ბარდიანი, ბურჩნარიანი ველი“; ო. ქაჯაია: „**ცხვანტი** – პატარა ზომის მატლი, მოუსვენარი და მუდამ მოძრავი“. ჩემეული განმარტება ასეთია: ცხვან(ნ)ტა — უნაყოფო და მიუფალი ჯაგნარი ადგილი ლაკადაში: ზემოთ მთაა, ქვემოთ დობერა.

**ცხვაცხვეფი** „ცაცხვები“ – 1. ნასაყდრალი, სასაფლაო ნაკატარუში, სკოლასთან, სადაც სამი ცაცხვი დგას. აქ თურმე ეკლესიის აგებას აპირებდნენ და ამიტომ დაურგავთ. რესპ.: „საერთოდ, ცაცხვი ერთგვარი მეხამრიდი იყო და სახლის წინ რგავდნენ“ (სამესხიო); 2. ნასაყდრალი, ცაცხვები. იხ. ჯალრამ ოხვამე (ჯალირა). როგორც ცნობილია, ცაცხვი და მუხა დაკავშირებულია ასტრალურ სამყაროსთან.

**ცხვაცხვისაბარგო** – 1. მწყემსის სადგომი ცხიმურსაბარგოს გვერდით, ცაცხვთან (მაგანას სატყეო); 2. ტყე ხურჩას სათავესთან, ბურეხონას ზემოთ (ნაგურუ).

**ცხვაცხვისუკი** – ბორცვი. იგივე **ცხვაისუკი** (ლელვინჯილე).

**ცხვაცხვიფერდი** – ბორცვი, სალოცავი ადგილი ლაჩახვას სათავესთან, სადაც უნინ ცაცხვი მდგარა (ფუქი).

**ცხვაცხვიმ სუკი** – ბორცვი. იგივე **ცხვაცხვიმ ფერდი** (საჩინო).

**ცხვაცხვიმ ფერდი//ცხვაცხვიმ სუკი** – მაღალი და მრგვალი ბორცვი ოქაჯელალსა და ნაბირთუს შუა. ზედ მინდორზე სალოცავი ცაცხვი მდგარა. აქვეა ძველი სასაფლაოც და აკლდამებიც. ბორცვს შემოვლებული ჰქონია გალავანი (საჩინო).

**ცხიმონა** ( ცხიმურონა) „რცხილნარი“ – ტყე-ფერდობები ტყაპასა და ზაკალონს შუა (მაზანდარა).

**ცხიმრონი** ( ცხიმურონი) „რცხილნარი“ – რცხილნარი თეკანაშის კალთაზე (მაგანას სატყეო).

**ცხი(მუ)რმონწყვილი** – ტყე ნორსელიაში, ქუალონის გაგრძელებაზე, სადაც რცხილა წაქცეულა და ფერდობზე ჩამონოლილა. **(მონ)წყვილი** „წაქცეული; მოთხრილი“ (ქალალა).

**ცხიმურონა//ოცხიმურე** – ტყე-რცხილნარი ლეციმინტეში (საჩინო).

**ცხიმურონწყვილი** – ტყე-ბუჩქნარი ნაბერალის კალთაზე (ფახულანი).

**ცხიმურონა//ზუბამ ფერდი** „რცხილნარი“ – ტყე-ფერდობი სამარლიოში, ხუფაიას მარცხ. ნაპირას. ზუბა იმ კაცის სახელია, რომელიც ფერდობის ძირში ცხოვრობდა (პალური).

**ცხიმურონი** „რცხილნარი“ – ტყე, გორა წყარგიმალაფუსა და წგფემს შუა, თეკანაშიდან გრძელდება სამხრ-ით **ლეტაგეშალამდე** (მაგანას სატყეო).

**ცხიმურსაბარგო** – დავაკება, შესასვენებელი ადგილი რცხილის ძირას, ყვირასა და ქუაურჩას შუა, წყავაში-დგნცხონის გზაზე. რესპ.: „ჭყიშეფი იბარგუუნა ათე ცხიმურიმ თუდო“ (მაგანას სატყეო). შდრ.: **ცხაცხუსაბარგო, ცხვაცხვისაბარგო.**

**ცხიმურტობა** „რცხილის მორევი“ – 1. მორევი კლდის ძირას, ინწირაზე, ლეაბრალეში. რცხილა აქ ამჟამადაც დგას (ნაგურუ); 2. მორევი ჭანისწყალ-სქურდღალის შესართავთან. საბანაო იყო და კლდის თავზე მდგარი რცხილიდან ხტებოდნენ (ობუჯი) და სხვ.

**ცხირმონწყვილი** – ტყე. იგივე ცხი(მუ)რმონწყვილი (ქალალა).

**ც(ხ)იცხონა** – ბორცვი-ჯაგნარი. იგივე **ცხცხონა** (ჩქვალერი).

**ცხონოხორი** – ფერდობი, უბანი ჩხაპიაღალის სათავესთან, საგერგედასა და ტებენეს შუა (ფახულანი). **ცხონო** ხშირია მეტსახელად. ნიშნავს: „გამხდარ-გაბურძგნული, დაჩიავებული“. ამ შემთხვევაში: ცხონომ ნოხორი ცხონოხორი. რესპ.: „აქ ხალხმრავალი უბანი იყო. ამიტომ დაერქმეოდა ცხოდში ნოხორი ცხონოხორი“. რუს. сход „ყრილობა“ სხოდი აღნიშნავდა სოფლის მცხოვრებთა თავშესაყარს. რესპ.: „ცხონოია კაცის სახელად მსმენია“.

**ცხცხონა//ც(ხ)იცხონა** „ქაცვნარი“ – ბორცვი-ჯაგნარი ლეფიფეში, ინწირას მარჯვ. მხარეს (ჩქვალერი). რესპ.: „ქაცვი ხარობს, წვრილნაყოფიანი და ეკლიანი მცენარე“. სხვა რესპ.: „**ცხიცხე** არის ხე, რომელიც არ ითლება ისე როგორც ურთხელი, ბზა (განსაკუთრებით მამალი ბზა), რომელიც ნამცეცივით (ე.ი. ფუჩხაცალო) ცვივა“.

**ცენაკარუ** – დავაკება, სადაც იხდიდნენ ცგ-ს, ხელვთაების, ანუ ჟინიშის, სალოცავს (სამუშია, 1990, გვ. 130).

**ცეშინჯი** „თელის ხიდი“ – ვაკე-მინდორი მაგანას მარჯვ. ნაპირას (მაგანის სატყეო).

– ძ –

**ძაბალამ ნოხორი** – ჩაის ფართობი ლეგულორდეში, სკურეფიას სათავესთან. ძაბალა ქალის სახელია (საჩინო).

**ძაბამ ნაშქვიდა** – მორევი. იგივე **ძაბამ ტომბა** (პ. ეწერი).

**დაბაშ ნოხორი** – 1. ბუჩქნარი ლანჯიშის გორაზე. დაბა, ქვრივი ქალი, 1943 წელს სხვაგან გადასულა საცხოვრებლად (ფახულანი); 2. ვენახი ჩხაპელკას კალთაზე. აქ ესახლა მარტოხელა ქალი დაბა უბილავა. ვენახი კოლმეურნეობამ გააშენა (ენერფერდი).

**დაბაშ ტომბა//დაბაშ ნაშქვიდა** – მორევი რეკა-ჩხოუშიაზე, საკვარაცხელიოში. რესპ.: „დაბა ამ მორევთან ცხოვრობდა. წყალში ბავშვი ჩავარდნილა. დედას მისი ამოყვანა უცდია. ორივე დამხრჩვალა“ (პ. ენერი).

**დაბაშ ლალ(გ)** – ღელე, ტებენეს მარჯვ. შენაკადი ოლებესთან. სათავე აქვს ჯამონწყვილში (ფახულანი).

**დაკალაშ ნოხორი** – მინდორი ლანჯიშის მთავარ გორაზე, ჭაშკარეში. დაკალა აკობია აქვე ესახლა (ფახულანი).

**დაკაშ ნოხორი** – 1. ტყე-ბუჩქნარი ლანჯიშის დას. ნანილში, ცუდნათიმ ნოხორისთან (ფახულანი); 2. ვაკე-სახნავი ინწერას მარცხ. ნაპირას, ქვანას ჩრდ-ით, სადაც დაკა შეროზია ესახლა (ჩქვალერი).

**დაკაშ წყურგილე** – 1. წყარო. იგივე **ჩენწყურგილე** (სამესხიო); 2. წყარო კანთში, ლაკადას ძირას. რესპ.: „დაკა კვარაცხელია ამ წყაროსთან სახლობს“ (ლეთკანთი).

**დაკიშ ტობა** – მორევი ნოჟალაზე, ლენულაიეში (კუხეში).

**დაკიშ წისქვილი** – ნანისქვილარი ტარჩიას მარჯვ. ნაპირას, ნანულუში. წისქვილი დაკი ლომიას ეზოს გვერდით იდგა (სამესხიო).

**დაკიშ წყურგილი** – წყალუხვი წყარო ტარჩიას მარცხ. ნაპირას, ნანულუში. წყარო დაკი ლომიას ეზოშია (სამესხიო).

**დანძელი** – ლაჩხვორას მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ჯიხაფერდში (ლესალე). რესპ.: „აქ ისეთი ეკალ-ბარდი იყო, ერთგან თუ შეარხევი, გაღმა-გამოღმა ირწეოდა“.

**დანძელი** „შენძრეული, დარწეული, მორყეული, შერხეული“. რესპ. იასონ კვარაცხელია (77 წ.): „ძგგერ დო კაკლარი რღუა აკორტყილი, ართიანს მერცხილი დო თაქი ართი მხარეს დო-უძანძუანდინ, მელე დო მოლე იძანძღუა ჯიხაშა“. შდრ. ალ. ქობალია: „**იძანძ** – ირყევა, იძვრის, ტორტმანებს, ზანზარებს“; „**დანძუა** – ძენძვა, დაჯირჯვლება; დახუნძვლა; რყევა, ჯაჯგური; **უძანძუანს** – არყევს, ეჯაჯგურება; **დანძალი** – რყევა, ზანზარი, ტორტმანი, ძვრა. **იძანძგ** „ირყევა“. მაგრამ **დანძავა** გვარიცაა (270 სული საქართველოში).

**დანძეფიშ სუკი//საძანძოშ სუკი** – ბორცვი საძანძოში, ნაკიკუს სამხრ.-ით. **დანძავა** (გვარია) ამ ბორცვზე ესახლა (წყოუში).

**დარგაშ ნოხორი** – ტყე დიდი ტებენესა და ჭიჭე ტებენეს წყალგამყოფ ბორცვზე, გოხორხილთან. დარგა მამაკაცის სახელია (ფახულანი).

**დაძამიეფიშ წმეიანი** „დაძამიების წინა“ – ჩაის ფართობი ლეძამამეს შემოგარენში (პ. ენერი). შდრ. წარმოების თვალსაზრისით: **აბრალეფიშ ნოხილენი, ოზინახემ თუდოლენი**.

**დაძუშ წყურგილი** – წყარო ნაბერალის კალთაზე. დაძუ გუჩუა ამ წყაროსთან ესახლა (ფახულანი).

**ძგაშორჩიე** „განაპირა ჩაის ფართობი“ – ჩაის ფართობი კაკილიშ წყარის მარჯვ. ნაპირას. გვერდითაა **შქაშორჩიე** (ლესალე). **ძგა** „ნაპირი, კიდე, განაპირა, ძგიდე“.

**ძეგვეშ ტომბა** – მორევი ინწერაზე, ლეფიფიეში (კუხეში).

**ძეკუშ ნოხორი** – ჩაის ფართობი ბორცვზე, რომელზეც გადადის ფუქი-ნალენჯიხის საავტ. გზა (ფუქი).

**ძვაბაშ რობუ//ფაშუშ რობუ** – ნახორხანწყარის უწინდელი სახელწოდება. ძვაბა, იგივე **ძვაბავა**, გვარსახელია (ძვაბავეები ამ ხევის გაღმა-გამოღმა ცხოვრობენ). ფაშუ გვარად ქანთარია ყოფილა. რობუ „ხევი“ ძალზე ღრმაა (მედანი). იხ. ნახორხანწყარი.

**ძვაბაში სასხაპო** – საძოვარი ყვირას აღმ. კალთაზე, ქუაოქანციას ჩრდ-ით (ჯვარის სატყეო. დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე). შდრ.: ალ. ქობალია: „**სასხაპო** — საცეკვაო; მახის საძუე“. მახის საძუე, სავარაუდოა, ნიშნავდეს კაკანათს, ანუ ორკაპა ჯოხზე გაკეთებულ ძუის მარყუჟებს ფრინველის დასაჭერად.



**ძვაბანყუ** – წყარო ლეძობეში. გამოედინება კლდიდან. აქ უნინ ძვაბავები ესახლენ (ჩქვალერი). ძვაბა პირსახელიცაა.

**ძვაიამ წყურგილი** – წყალუხვი წყარო ოლორის ნაპირას, მუჟავა-ნაშამგუს საავტ. გზაზე. ოლორის მუშათა დასახლება ამ წყაროთი სარგებლობდა (მუჟავა).

**ძვაძვა//ძვაძვალამ ნოხორი** – საძოვარი საარქანიოში, მახასქურის მარჯვ. მხარეს (მუჟავა). **ძვაძვა(ლა)** კაცის სახელია. ნიშნავს ძუნძულას, მაჩანჩალას (ე. ი., ძუნძულით მოსიარულეს).

**ძვაძვალამ ნაბინეხე** – ბუჩქნარი ბორცვზე, ლაჩახვას მარჯვ. ნაპირას, ჭუკიამ ნაკა-რუსთან (ულური). რესპ.: „აქ ჰქონია ვენახი ძვაძვალა ჭანის, რომელმაც 127 წელი იცოცხლა“.

**ძვაძვალამ ნოხორი** – საძოვარი. იგივე **ძვაძვა** (მუჟავა).

**ძვაძვალამ სუკი** – ბორცვი ცანაშში (ქალალალი).

**ძვაძვალამ ტომბა** – მორევი ლაჩახვაზე, გაბრიეფიმ ტყასთან (ულური).

**ძვაძვამ ნაისგრ(გ)** – მინდორი. იგივე **ნაისგრ(გ)** (ნაგურუ).

**ძვაძვამ ნოხორი** – მინდორი ლანჯიშის სამხრ.-დას. ნაწილში, ნარაგუს ხევში. ძვაძვა გოგონია აქვე ესახლა (ფახულანი).

**ძვიძვიმ ნადიხ(გ)** – ბამბუკის ნაშენი ლეარსანეს ხეობაში (სამესხიო). **ძვიძვი** ადამიანის ერთ-ერთ თვისებას გამოხატავს. შდრ.: ალ. ქობალია: „**ძვიძვი...** გაჩეჩილი, ბანჯგვლიანი, ზონზროხა“.

**ძიკიამ ნაკარუ** – საძოვარი სქურში. აქ იდგა მწყემსი ძიკია კვარაცხელია (სქურის სატყეო).

**ძიკიმ ნადუქანი(ი)** – საკარმიდამო სოფლის ცენტრში, უჩალალის ნაპირას (პალური). ძიკი სამუშაოს აქ ერთ დროს დუქანი ჰქონია გახსნილი. ძიკა, ძიკი სამეტსახელო ლექსემაა, ნიშნავს: ბლენძია, კაცუნა, მუცელგამობერილი (ბავშვი), გამხდარი.

**ძიკიმ ნაკარუ** – მცირე საძოვარი ნოლიმერის ხეობაში. აქ მდგარა განთქმული მე-ჯოგე ძიკი კვარაცხელია (სქურის სატყეო).

**ძიკიმ ნასკალი** „ძიკის ნაფუტკრალი“ – ტყე-ბუჩქნარი კინჩხას სათავესთან, ჭანტურიაშ ნოჟუნის ქვემოთ (ჯვარის სატყეო).

**ძიკიმ ნოხორეი** – მინდორი ბელერის სამხრ. ნაწილში. ძიკი ბელქანიას ნასახლარია. ბელქანიები აქედან გადასახლდნენ უგზობის გამო (ლეთკანთი).

**ძიკიმ წყურგილი** – წყარო ლეთოფურეში, მამულონთან. ძიკი კვარაცხელია, ცნობილი მწყემსი-მესაქონლე, ამ წყაროსთან ესახლა (ლეთკანთი).

**ძიკომ ტომბა//სვიმომ ტომბა** – მორევი ხუფაიაზე, შელიეფიმ ნადიხთან (ლია).

**ძირგიაშ ნაკარუ** – დავაკება მდ. ოლორის სათავესთან (მუჟავა). მწყემსი ძირგია არქანია ზამთრობით აქ აყენებდა საქონელს.

**ძიტუმ ნოხორი** – საბალახო ოხარკალეს სათავესთან. ძიტუ ქანთარეას ნასახლარია (ლემამუგე).

**ძიძარიაშ ლალ(გ)** – ლელე, ეფსიეფიმ ლალის მარჯვ. შენაკადი (ნაკიფუ).

**ძოკიამ ნადიხ(გ)//ძოკიამ ნოხორეი** – ჩაის ფართობი ლემორგოშიეში, ხურჩას მარჯვ. ნაპირის ბორცვზე (ნაგურუ).

**ძოკიამ ნოხორეი** – ჩაის ფართობი. იგივე **ძოკიამ ნადიხ(გ)** (ნაგურუ).

**ძოკიამ ნოხორი** – 1. ნასახლარი მალლობზე, სადაც რკინიგზის ხაზი გადიოდა (ლია); 2. ჩაის ფართობი ლექარდეში (პ. ენერი).

**ძოკიამ ტყა** – ბუჩქნარი ძოკიამ ნოხორისთან (ლია).

**ძოკიამ ფერდი** – ფერდობი პ. ენერის საზღვართან (ლია).

**ძოკომ დიხა** – მინდორი ლაჩახვის ხეობაში. აქვეა წყარო **ქოლო** (ფუქი).

**ძოკომ ნამალაზ(გ)** – ვენახი ჩხაპელკას კალთაზე. ძოკო შონიას აქ ჰქონია მალაზა „სასიმინდე“ (ენერფერდი). **ძოკო** – სუსტი, გამხდარი, ტანმორჩილი და გაბლენძილი (ალ. ქობალია) ძოკო (მეტსახელი).

**ძოკომ ნოხორი** – სახნავი ფერდობზე, საშელიოში (საჩინო).

**ძოკომ ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ლეზარქუეში. ძოკო კვარაცხელია აქვე ესახლა (ნალენჯიხა).

**ძოკომ წყურგილი** – წყარო ლეჭიჭალუეში, ჩელალის ხეობაში. გამოდის კლდის ძირიდან (ნაგურუ).

**ძოკულიმ წყურგილი** – წყარო ლუღერაში. ეკუთვნოდა ძოკულ ნაჭყეობას (ნაკიფუ).

**ძორგოიამ ნაკარუ** – ბორცვი. იგივე ნაკარუ (საჩინო).

**ძოდონა** „ძედნარი“ – 1. ტყე-ფერდობი ბულგას კალთაზე, ტებენეს სათავესთან (ნაშამგუ); 2. სახნავი ერისწყლის კუნძულზე (ქალაღალი). მეგრულის ლექსიკონებში **ძოდ-** ლექსემა არ ჩანს. ჩვენი ვარაუდით, მეგრ. **ძოდ-** იგივეა, რაც ქართული **ძედვ-**.

**ძოდონამ ლალ(გ)** – ლელე, ტებენეს შენაკადი. სათავეს იღებს ძოდონაში (ნაშამგუ).

**ძუბუმ ნოხორი** – საკარმიდამო ჩელალსა და ლეჩიქვანეს შუა (ნაგურუ).

**ძუკამ ლალ(გ)** – ლელე, ინწირას მარცხ. შენაკადი. მოედინება ლეარდიდან (კუხეში).

**ძუკუიამ ლალ(გ)** – ლელე-ხეობა, მარჩხილის ერთ-ერთი მდგენელი. ლელის სათავესთან ესახლა ძუკუ შარტავა (ნაკიფუ).

**ძუკუმ ნოხორი** – ჩაის ფართობი მახარიაში (ლია).

**ძუკუმ წყურგილი** – წყარო მარჩხილის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე, აკარდამას ქვემოთ. რესპ.: „ძუკუ გაბელიამ ამოთხარა ეს წყარო და უვლის კიდევ“ (ნაკიფუ).

**ძღაბეფიმ ტომბა** „გოგონების მორევი“ – საბანაო ჭანისწყალზე, საავადმყოფოსთან. იხ. ეფსიეფიმ ტომბა (ნალენჯიხა).

**ძღვაკამ ნაორტვინგ** „ძღვაკას ნაბოსტნარი“ – ბუჩქნარი, დავაკება მაღალი ბორცვის კალთაზე, ჭანისწყლის მარცხ. მხარეს (ჯალირა).

**ძღვიკიმ წყარი** – წყარო. იგივე ძღვიკიმ წყურგილი (ქალაღალი).

**ძღვიკიმ წყურგილი//ძღვიკიმ წყარი** – წყარო საგოგობიოში, უბადლოღალის მარცხ. ნაპირას. ძღვიკი პირსახელია (ქალაღალი).

**ძღვირი(ნი)ამ ტომბა** – ერქვა მორევს სქურჩაზე, საბელქანიოსუკის ჩრდ-ით. აქვე ესახლა ძღვირია//ძღვირინია. ამჟამად მორევი აღარ არსებობს და სახელწოდებამ გადაინაცვლა მიმდებარე სახნავზე (ულურია). ალ. ქობალია: „**ძღვირინია** — გლახაკი“.

**ძღვირიში** – სახნავი სქურდილა-სუხუმლას შესართავთან. ეკუთვნოდა ძღვირი სონგულიას (ობუჯი). ალ. ქობალია: „**ძღვირი** — ნუნკალი, ჭინჭყლი; სველი, ლანირაკი“.

**ძგგვრონა** „ეკალ-ბარდნარი“ – ტყე-საძოვარი ყვანთის კალთაზე, ხურჩას სათავესთან. აქ ხარობს ე.წ. ომბოლძგგვრი, რომელიც მინაზე გართხმულად იზრდება („დხას გე-ბანდღ“). (ნაგურუ, სქურის სატყეო). ამ ადგილას ხვიჩავეებს ტყე გაუკაფავთ და მოუახოებიათ. ამიტომ ეწოდა აგრეთვე **ხვიჩეფიმ ნაკაკა**. შდრ.: „**ძიგრონი, ძიგრონა** – ეკალნარი; ეკალბარდიანი ადგილი“ (ო. ქაჯაია); ალ. ქობალია: „**ძიგირი** – ეკალი; ეკალ-ბარდი (იგივეა, რაც კაკლარი, კორჩხელი)“; „**ძიგირიმ მუცი** – მაყვალი (იგივეა, რაც ღურღენი, ომბოლძიგირი, მუცია)“; „**ძიგრონა** – ეკლიანი, ბარდნარი“.

**ძგგვრონამ მიოხვამური** – სალოცავი ურთხელი. იგივე მიოხვამუ (სქურის სატყეო).

**ძგგვრონალალ(გ)** – ღრმა ხევი და მცირე ლელე ლეარსანეს მარცხ. ნაპირას, ჟიმოლენ სამესხიოში (სამესხიო).

**ძგგვრონი** „მაყვლიანი“ – ტყე-საძოვრები ინწირას სათავეს ზემოთ. აქვეა წყარო ძგგვრონიმ ინჭა (ჯვარის სატყეო).

**ძგგვრონიმ ინჭა** – მღვიმე და წყარო ძგგვრონის მღვიმის სიღრმეში. რესპ.: „სანთლით შედიან და გამოაქვთ სასმელი წყალი“ (ჯვარის სატყეო).

## – ნ –

**ნაკურთხიამ ლალ(გ)** – ლელე. იგივე **ჯვარსა** (სამესხიო).

**ნალენჯიხა** – ქალაქი, მინიციპალიტეტის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ნამელო(ნი)** – მინდორი. იგივე **ნ(ყ)ამელო** (მაგანას სატყეო).

**ნანნოხორი** – ბორცვი. იგივე **ტანნოხორი** (ულურია).

**ნაქანყარი** – ორგან ენოდება მცირე ტბას ეგრისის ქედზე: ლაკუმურამდუდის კალთაზე (აქედან მდინარე ჩადინება ვედიწყარში) და დიდლალის (ხობისწყლის მარჯვ. მდგენელი) სათავესთან. ორივე ტბის წყალი ფერთა და გემოთი ჰგავს ნაქას, ანუ შრატს, ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილ სითხეს, ნაწურს.

**ნახნაკია//ნახნაკიამ სუკი** – ფართოზურგიანი სერი სქურჩასა და ლაჩახვას შუა. ნახნაკია მცირერიცხოვანი გვარია (159 სული საქართველოში). (ულურია).

**ნახნაკიამ სუკი** – სერი. იგივე **ნახნაკია** (ულურია).

**ნეენჯიხა** – „ნალენჯიხის“ (იხ.) ადგ. ვარიანტი.

**ნელამი//ნელამონი** – ვაკე-სერი ფუისქურისა და ლაჩახვას წყალგამყოფზე, სოფლის დას. ნაწილში. რესპ.: „აქ ხარობს ნელამი (ძირითადი ფორმაა **ნალამი** „შალაფა“). თუმცა ზოგი ასე ფიქრობს: „სერი ერთგან დაწვრილებულია, თითქოს წელი აქვსო. ნელამი სწორედ წელიანს ნიშნავს“. აქ უღელტეხილისებური ჩადაბლებაა და ენოდება **გოხორხილი**. გზა გადის აკარდამაში, რაც სოფ. ჯგალშია (ლენარჩილე).

**ნელამონი** – 1. ტყე ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ხურჩას სათავესთან (სქურის სატყეო); 2. საძოვარი ლაკადას კალთაზე. ნელამი ახლაც ამოდის. ერთი ხეც არსად დგას. ამიტომ **ვერჩეც** ენოდა (ჯგალი, ლეთკანთი); 3. ვაკე-სერი. იგივე **ნელამი** (ლენარჩილე) და სხვ. **ნელა, ნელამი, ნალამი** ბალახია ერთგვარი, კერძოდ, **შალაფა**. რესპ.: „ნელა წვრილღეროიანი ბალახია. მსხვლღეროიანსა და ისლისნაირს კი **ჭითა ნელა**, ანუ **ნერაქვა**, ენოდება“. სხვა განმარტებით: „ნელა ზოგადად არის თივა ან ბალახი“. შდრ. ო. ქაჯაია: „ნელა, ნელამი, ნელამი არის შალაფა“. ალ ქობალიას განმარტება კი ასეთია: „**ნელა** – მთის დაჭაობებული ტყის ბალახი. იგივეა, რაც **თვაზა**“.

**ნელამონია** – 1. სათიბი ხურჩას სათავესთან (ნაგურუ); 2. მინდორი ცეშინჯთან (მაგანას სატყეო) და სხვ.

**ნელამონიშდუდი** – საძოვარი ბოგაში (მედანი).

**ნელონი** – ტყე-საძოვარი ჩვინარეში, ოლორის სათავესთან, სადაც უწინ წელას თიბავდნენ (მუჟავა). შდრ.: ნელამონი.

**ნენდიხა** – „ნალენჯიხის“ (იხ.) ადგ. ვარიანტი (ნალენჯიხის მუნიციპ.).

**ნენწყარი** – „ჭანისწყლის“ (იხ.) ადგ. ვარიანტი (ნალენჯიხის მუნიციპ.). ლიტ. ვარიანტი „ჭანისწყალი“ ადგ. მეტყველებაში არც იხმარება. ი. ყიფშიძე „მეგრულ-რუსულ ლექსიკონში“ **ჭან**- სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას წარმოგვიდგენს ფონეტიკურ პროცესს, რომლის საფუძველზეც წარმოიქმნა **ნენწყარი: ჭანიშ წყარი ჭანიწყარი** (რეგრესული ასიმილაცია **ჭ ნ**) და ა ე (**ჭან წენ**) „ჭანის“ სომხური ვარიანტის ზემოქმედებით (ყიფშიძე, 1994, გვ. 590).

**ნენწყარიშდუდი** „ჭანისწყლისთავი“ – მთა-საძოვარი ჭანისწყლის სათავესთან, კერნახონასა და ქუაურჩას შუა (სქურის სატყეო).

**ნენწყარპიჯი** „ჭანისწყლისპირი“ – ჭანისწყლისპირა ველი სასონგულიოში (ობუჯი).

**ნენჯიხა** – „ნალენჯიხის“ ადგ. ვარიანტი (ნალენჯიხის რ-ნი).

**ნვა(რ)ნვაში//ნვარნვამ ენწერი** – ტყიანი მაღლობი სოფლის აღმ. ნაწილში, გაბარამდე. ზოგი რესპოდენტის ინფორმაციით, ნვარნვა პირსახელია (პალური).

**ნვა(რ)ნვამ ენწერი** – მაღლობი. იგივე ნვარნვამი (პალური).

**ნითელოური** – ჩაის ფართობი ფერდობზე, ნითელოურწყარის სათავესთან (ნაშამგუ). რესპ.: „ნითელი მიწაა, ცუდი დასამუშავებელი“.

**ნითელოურწყარი** – ღელე, ტებენის შენაკადი. სათავე აქვს ნითელოურში (ნაშამგუ).

**ნინაკვა** – დავაკება წულიშის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მაგანას მარჯვ. მხარეს (მაგანას სატყეო).

**ნინაკვამ წყურგილი** – წყარო ნინაკვაში (მაგანას სატყეო).

**ნისქვილარა** – 1. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მდგენლები – **ვეჭგემ ლალ(გ)** და **ლაშქერდამ ლალ(გ)** – ერთდებიან მიქამ კარესთან (სქურის სატყეო); 2. ღელე, ლაჩახვას შენაკადი (ფუქი).

**ნისქვილარაშდუდი** – საძოვარი ნისქვილარის სათავესთან (სქურის სატყეო).

**ნისქვილ(იშ)კარი** – ვაკე. იგივე **ნაკორთხონ(ჯ)უ** (ნაკიფუ). რესპ.: „აქ სახნავი და ვე-  
ნახი ყოფილა შემოლობილი. კარი იმას ჰქონდა. ნისქვილი არხზე იყო აგებული“.

**ნისქვილიშ ნაჩიხა** – ერქვა საგუბარს ჩხოუშიაზე, ლექარდეს უბანში. სწორედ ამ სა-  
გუბრიდან გადიოდა სანისქვილე არხი (პ. ენერი).

**ნისქვილიშ რზენი** – ვაკე-მინდორი ინწერას მარჯვ. ნაპირას, ლეაბრაღეში. ეს მინ-  
დორი საბურთაოდ ჰქონიათ, მაგრამ ნაწილი წყალს წაუღია (ნაგურუ).

**ნიფონი** ( ნიფურონი „ნიფლნარი“) – 1. ტყე-საძოვრები ცუშხინჯსა და ტაფაქუს  
შუა (მაგანას სატყეო); 2. ტყე კიკონიას სათავესთან, გვალაიაში (სქურის სატყეო) და სხვ.

**ნიფრონა „ნიფლნარი“** – 1. ღრმა და მიუვალი ტყე-ხევი. იგივე **ჩეგემი** (ფახულანი); 2.  
ჯაგნარი საქებურიოში, მინამ ლალის ხეობაში (ჯალირა) და სხვ.

**ნიფ(რ)ონა** – ნიფლნარი გვალაიაში, კიკონიას სათავესთან (სქურის სატყეო).

**ნიფრონლალ(გ)** – ჯალრალალის მარცხ. შენაკადი ნაფაცხურუში (ჯალირა).

**ნიფური** – ერქვა საკულტო ნიფელს სააბლანძოში. სწირავდნენ ლობიოიან მჭადს  
(ნაკიფუ).

**ნიფურონა „ნიფლნარი“** – ტყე დიდქუაშ ლალის ხეობაში (საჩინო, მაზანდარა).

**ნიფურსქვამი „ლამაზი ნიფელი“** – ტყე ჩვინარეში, სადაც მაღალი, წერწეტა ნიფლის  
ხეებია (ჭალეს სატყეო).

**ნიფურტობა „ნიფლის მორევი“** – მორევი ჭანისწყალზე. ნიფელი კბოდეზე იდგა  
(ობუჯი).

**ნიწანაშენი** – ბორცვი მაგანას მარცხ. მხარეს, სადაც წინას ჰქონია ნაშენი, ე.ი. ხე-  
ხილ-ვენახიანი ადგილი (ლექარდე). წინავა მცირერიცხოვანი გვარსახელია (სულ 148 სული  
საქართველოში). საბატონო გლეხი ქვაცა **ნიწავა** დასახელებულია დავით დადიანის მიერ  
1848 წელს შედგენილ ერთ-ერთ საეკლესიო საბუთში (იხ. მეუნარგია, 1939). რესპ.: „ნაშენს  
უნოდებენ ყოველგვარ განაშენიანებულ ფართობს“. რესპ.: „ნაშენი ეწოდება ყოველგვარ  
ნარგავს, განაშენებულს, მოვლილს, ე.ი. ხეხილს, ვენახს, ხეებს“.

**ნიწანაშენიშ წყურგილი** – წყარო მაგანას მარცხ. ნაპირას, ნიწანაშენის ფერდობზე  
(ლექარდე).

**ნიწაშ ფოქვა** – მღვიმე ეცის ხეობაში. **ნიწა** ქარდავას ამ მღვიმეში ჰქონია კარე –  
მწყემსის სადგომი (ხუდონის სატყეო).

**ნიწიკორიშ ფოქვა** – გამოქვაბული ინწირას ხეობაში. რესპ.: „ნასვირაში სვანებმა  
მოკლეს უჩარდია შეროზია. მისი ფეხმძიმე ცოლი დაიძალა სამაჯინო ფოქვაში და იქ იშმო-  
ბიარა. ბავშვს დაარქვეს ნიწიკორი. ჩვენ მისი შთამომავლები ვართ. სამაჯინო ფოქვას კი  
ნიწიკორიშ ფოქვაც დაერქვა“. იხ. ნოლ(ი)მუერი (სქურის სატყეო).

**ნიწიში/წგწში** – მაღალი და მიუვალი კლდე, რომელიც მიჰყვება ენგურის მარცხ.  
ნაპირს ოხარკალუდან ლეობხამდე. აქვეა **ნიწიშ წყურგილეც** (ზ. ლია). ნიწი მამაკაცის სა-  
ხელია. აკ. ჭანტურიას XX ს-ის 30-იან წლებში ჩაუნერია კელუცა გეთიას ასეთი ნაამბობი:  
„ერთხელ თურქების ჯარმა დიდ ომში აჯობა მეგრელებს და წამოვიდა ჯვარის  
ასაოხრებლად. იყო ერთი კაცი, რომელსაც სახელად წგწ ერქვა. იგი მივიდა  
ურჯულოსთან და უთხრა, რომ მათ წაუძღვებოდა, თავს დაესხმოდნენ მეგრელების ჯარს  
და მთლიანად ამოწყვეტდნენ. დაიჯერა ურჯულომ და გაჰყვა წგწს. მან ჯარი ენგურის  
ნაპირით წაიყვანა. იმ დროს ენგური აქეთა ფერდობთან იყო. ფერდობთან წგწმ ჯარს  
უთხრა: „ახლა თითო კაცის მეტი ვერ ივლის. თითო-თითოდ იარეთ“. ჯარმა თითო-თითოდ  
იწყო სვლა. წგწ დადგა კლდის თავზე და, როგორც კი კაცი მოვიდოდა, ხელს ჰკრავდა და  
ენგურში აგდებდა. ყველა იქ გადაჩეხა ისე, რომ არცერთი არ გადარჩენილა. ამის შემდეგ  
იმ ადგილს წგწს ადგილი ჰქვია, ხოლო იმის იქით, ლია, რადგან მტრის ჯარი იქ დაილია“  
(ჭანტურია, 1982, გვ. 232).

**ნიწიშ წყურგილე** – წყარო ნიწიშიში (ზ. ლია).

**ნიკვიბლალი** – 1. ლელე. იგივე **ნიკვიპლალი** (ლია); 2. ენგურის შენაკადი და მისი ხეობა.  
იგივე **ნიკვიპლალი** (ჭველე).

**ნკვიბლალი/ნკვიპლალი** „ვინრო ლელე“ – სქურჩას მარჯვ. შენაკადი და მისი ვინრო ხეობა, იწყება ბელერში (ლელვინჯილე, ლეჯოლიხე).

**ნკვიპლალი** – ლელე-ხეობა. იგივე **ნკვიბლალი** (ლელვინჯილე, ლეჯოლიხე).

**ნკვიპლალი/ნკვიბლალი** – 1. ბეჟამ ღალის მარცხ. შენაკადი. იწყება გაძღარაში (ლია); 2. ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ფართო ხეობა. რესპ.: „ხეობა ფართოა, მაგრამ ღელის კალაპოტია ვინრო“; რესპ.: „ნკვიპლალი, ნკვიბლალი ისეთი ლელეა, რომელიც მოედინება ვინრო კალაპოტში, ხევი“ (ჭველე) და სხვ. ო. ქაჯაია: „ნკვიპი, ნკვიბი, ნკიპი – ნვრილი, ვინრო“; ალ. ქობალია: „**ნკვიპი** – ნამახული რამ; ნვრილი, ნვნიკი, ნკიპი, ვინრო“.

**ნკირგოლა** – თავწვეტა მწვერვალი ეგრისის ქედზე. შორიდან ნკირსა ჰგავს. შდრ. ო ქაჯაია: „**ნკირი, ნკვრი** – ნკირი, ჩხირი, შამფური; ნვრილი“.

**ნულაიამ ნაკარუ** – ტყე-საძოვარი სქურში, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. ნულაია გვარსახელია (სქურის სატყეო).

**ნულეში** „ვინროსი“ – სერზე ჩაჭრილი საურმე გზა-გადასასვლელი ნელამში, ლაჩახვას მარჯვ. მხარეს (ლახარჩილე). **(რ)ნულე, (რ)ნვილე** „ნვრილი, ვინრო“. შდრ. ლაზურში: ნულე „პატარა“.

**ნულიში** „ნვრილისა“ – თავწვრილი გორა ენგურ-მაგანას წყალგამყოფზე. მის მარჯვ. კალთას ეყრდნობა ენგურჰესის წყალსაცავის თაღოვანი კაშხლის ერთი მხარე. გადმოცემით, ამ გორის მწვერვალზე არის რკინის რგოლი, რომლითაც წარღვნისას თითქოს გემი იყო დაბმული. სინამდვილეში აქ გადიოდა მერიდიანი (რკინის ნიშანი). იგი XIX საუკუნეში იქნა დასმული (მაგანას სატყეო). ი. ყიფშიძე ასახელებს: „ნულიში – მთა ჩრდილოეთ სამეგრელოში“; ალ. ქობალია განმარტავს „ნულიში – ნულისა, პატარისა, ყრმისა; ვინრობი; ორნოხი“. იხ. ნულიში ი. ყიფშიძესთან (1994, გვ. 586).

**წყაბაშელა** – ლელე. იგივე **წყავაშალა** (მაგანას სატყეო).

**წყაბაში** – ნასოფლარი. იგივე **წყავაში** (მაგანას სატყეო).

**წყავაშალა/წყაბაშელა/წყავაშელა** – მაგანას მარცხ. შენაკადი. იწყება ყვირას კალთებიდან. მდგენლები – **ხორგონწყარი** და **შამყვამ ნაკარუმ წყარი** – ერთდებიან ქუაურჩაში (მაგანას სატყეო). მდინარე გამოივლის წყავაშს. ჰიდრონიმი წარმოქმნილია ოიკონიმის ფუძეზე **-ალა(//-ელა)** ჰიდროფორმანტის დართვით.

**წყავაშელა** – მდინარე. იგივე წყავაშალა (მაგანას სატყეო).

**წყავაში/წყაბაში** – ნასოფლარი, ტყე-ნაკრძალი წყავაშელას ხეობაში. შედიოდა ხუდონის სას. საბჭოში. ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ (1923 წ) ამ სოფლის სახელწოდება წარმოდგენილია ოდენ წყაბა ფორმით. 1948 წელს სოფელი შედგებოდა 30 კომლისაგან. მომდევნო ორ წელიწადში კი სრულიად დაცარიელდა (მაგანას სატყეო). წყავაში სვანური ტოპონიმური სუბსტრატი ჩანს: ქართული მწყავ- („წყავი“) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. წყე-/წყ-წყე-ი/წყ-ი/წყ-ოლ-ი („წყავი“) და სვან. წყაჟ/წყეჟ „წყავი“. გ. კლიმოვის დაკვირვებით, ტოპონიმი **წყაჟ-ამ** ამავე ძირს შეიცავს (იხ. ქეელ, 2000, გვ. 342). გადმოცემა: წყავაშში ესახლენ მხოლოდ ფიფიები და ქარდავები. გადმოცემით, პირველი მოსახლე ყოფილა ჩქვალერიდან გადასული წყავა ფიფია და სწორედ ამიტომ დარქმევია წყავაში. ნიგნში „საქართველო. ზოგადგეოგრაფიული რუკა“ ჩართულია „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“, სადაც წყავაშის ნაცვლად დატანილია **ცხავაში** (რა თქმა უნდა, რუსულის გავლენით).

**წყალსაგვართა/წყარსაგვართა** – წყარო, დავაკება ყვირას დას. კალთაზე. წყაროსთან იყო **საგვართა** – საქონლის დასაბანაკებელი, თავმესაყარი ადგილი. ამოსავალია ზმნური ფუძე **დოგვართუა** „საქონლის დაბარგება“ **საგვართა** – საქონლის დასაბარგებელი ადგილი (ჯვარის სატყეო). შდრ. ალ. ქობალია: „**გვართა** – გროვა, ჯგრო; ერთგვაროვანთა წყება, ზვინი (თივისა); **გვართა-გვართათ** – ... ჯგუფ-გჯუფად; **გვართუა** – ზვინვა“.

**ნ(ყ)ამელო(ნი)/ნამელონი** – მინდორი მაგანას მარცხ. მხარეს, ხოკოდან წყავაშში მიმავალ გზაზე. ზოგნი ნ(ყ)ამელოს უწოდებენ ტყე-ხევსა და ლელეს, რომელიც ემნაბოგასთან იწყება და ერთვის მაგანას (მაგანას სატყეო). სავარაუდოა: წყამელო წყარმელე „წყალგალმა“.

**წყარგეხვილერი** – ჩავარდნილი ვაკე ადგილი ხოკოში, ჯვარი-მესტიის ახალ გზაზე. ნანვიმარზე იტბორება (მაგანას სატყეო). **წყარიშ გეხვილუა** „წყლის ჩაგუბება (ჩამწყვდევა)“ წყარგეხვილერი, წყარგეხვილერი „ჩაგუბებული წყალი, ჩამდგარი წყალი, ჩამწყვდეული წყალი“.

**წყარგეხვილია** „წყალსაგუბარი“ – 1. საძოვარი წისქვილარას ზემოთში. აქ წყალი წვიმისას გუბდება (სქურის სატყეო); 2. მცირე ტბა ჯარალას ხეობაში (სქურის სატყეო).

**წყარგეხვილერი** „წყალჩამდგარი“ – გრძელი და ვიწრო გუბე-ტლაპო ლექარდეში (პ. ენერი).

**წყარგიმალაფუ** „წყალსავარდნი“ – 1. ცალრანყარის ზემო წელი და მისი ხეობა. ინყება ნახვამერში (მაგანას სატყეო); 2. ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. ერთგან აქვს მაღალი წყალვარდნილი (ხუდონის სატყეო).

**წყარიშ ეიობუნუ** – მორევი ინწირაზე, ლეძობესა და ტობანწეს შუა (ჩქვალერი). **წყარიშ ებუნა** „წყლის ამოსხმა-ამოღება“ **წყარიშ ეიობუნუ** „წყლის ამოსაღები (ადგილი); ადგილი, საიდანაც წყალი ამოაქვთ“. ჩვეულებრივ, ქალებს ახლოს ჩამავალ ნაკადულზე შერჩეული ჰქონდათ ადგილი საჭიროების შემთხვევაში წყლის ამოსაღებად. ასეთ ადგილებს ეწოდება **წყარიშ ეიობუნუ**. „წყლის ამოსასხმელი“.

**წყეიონლალ(გ)** „წყავნარის ღელე“ – 1. ფშქერამღალის მარჯვ. შენაკადი (ჭველე); 2. რობუ(მ)ღალის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. ვარ.: **წყეიონლალ(გ)**. წყავი დღეს აქ არ ჩანს (საჩინო). შდრ. წეიონა.

**წყეიონა** „წყავნარი“ – ფერდობები სოფლის აღმ. ნაწილში. ამჟამად წყავი აქ აღარსადაა (მაზანდარა).

**წყეიონლალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **წყეიონლალ(გ)** (2). (საჩინო).

**წყეიონლალ(გ)/აზანაშ ღალ(გ)** – ღელე და მისი ხეობა. ჯამპონაღალის შენაკადი (საჩინო).

**წყეიონლალ(გ)/წყიანლალ(გ)** – ტყე-ხევი, ჯამპონაღალის შენაკადი. გარეული წყავი აქ ჯერ კიდევაა შემორჩენილი (მაზანდარა).

**წყიიონლალ(გ)** – 1. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი (ობუჯი); 2. ღელე-ხეობა, სქურჩას შენაკადი. წყავის („წყიი“) ბუჩქები აქა-იქაა შემორჩენილი (ნაკიფუ).

**წყიანლალ(გ)** – ტყე-ხევი. იგივე წყეიონლალ (მაზანდარა).

**წყი(ღ)ონლალ(გ)** – ტყე-ხეობა ჟინი ობუჯში, ჯეგემ ფერდიშ ღალის სათავესთან (ნაკიფუ).

**წყიონა** „წყავნარი; შქერნალი“ – 1. ტყე-ხევი ბორბოლში. აქედან გადის წყიონლალ(გ) – ინწირას მარჯვ. შენაკადი (საჩინო); 2. ხევი ლეაფშილეში, ცინწყურგილთან (ნაკიფუ) და სხვ. **წყი(ი), წყეი, წყოი, წყოლი, წყოუ** „წყავი, შქერი“. შდრ.: **წყავაში, წყოუში**.

**წყიონლალ(გ)** – 1. ღელე და ხეობა, ინწირას მარჯვ. შენაკადი ბორბოლში (საჩინო); 2. სქურჩას შენაკადი და მისი ხეობა ლეჟაში (ნაკიფუ).

**წყოუში** – სოფელი ფახულანის აღმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**წყუ** „წყარო“ – წყუშღალის სათავე (ლესალე).

**წყუდუდი/წყუდუში** „წყაროსთავი“ – წყარო, ომისორეღალის მარჯვ. შენაკადი (მაზანდარა). სავარაუდოა: წყუშღალის წყუდუდი წყუდუდიში წყუდუში. ვარ.: **ონყურგილე**.

**წყუდუში** – წყარო. იგივე **წყუდუდი** (მაზანდარა).

**წყურგილე** „ცივწყარო“ – წყარო და ჩაის ფართობი ლანჯიშში, ფშქერღალის სათავესთან (ფახულანი).

**წყურგილემ რობუ** – ხევი გოჩიორის აღმ-ით (ლესალე).

**წყურგილი** „წყარო“ – 1. წყარო და ღელე ბულგას ფერდობის ძირში. ტებენეს შენაკადია. ღელის ზემო წელს **ნაშამგუმ წყარიც** ეწოდება (ნაშამგუ); 2. წყარო სოფლის ცენტრის დას-ით (წყოუში) და სხვ.

**წყურგილი/ხურჩამ წყურგილი** – წყარო ხურჩას მიკროკუნძულზე (ნაგურუ, ჩქვალერი).

**წყურგილიშ რობუ** – ხევი გოჩიორეს აღმ-ით (ლესალე).

**წყურგილიშ ღალ(გ)** „წყაროს ღელე“ – ღელე, შქაშღალის მარცხ. შენაკადი (ჯვალ-რა).

**წყურგილტობა** „წყაროს ქვაბული“ – ხეობა ღურჯიატობას გვერდით, ბულგას ფერდობზე. აქვეა მცირე წყარო (ნაშამგუ).

**წყურგილღალ(გ)** – ფშქერღალის შენაკადი ქვედა ჭველეში (ჭველე).

**წყუშღალე** „წყაროს ღელე“ – ლაჩხვათრას მარჯვ. შენაკადი. მოედინება ლექურსუე-დან, სადაცაა წყუ „წყარო“ (ლესალე).

**წგმეიანი რზენი** „წინა (გაღმა) ვაკე“ – ვაკე-სახნავი სკურეფიას მარცხ. მხარეს. მო-სახლეობა მარჯვ. მხარესაა (საჩინო).

**წგმელღალ(გ)** „წინღელე“ – სქულუბურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. ცხოვრობენ გურუები (ფახულანი). „წგმე“ იგივეა, რაც „წოხლენი“, ე.ი. წინ მდებარე.

**წგრლია** – ტყე-ფერდობები ინწირას სათავესთან, ყვირას კალთაზე (ჯვარის სატყეო). **წგრლი** არის ღვლერჭი, ჭაპანი. გადმოცემით, აქ გათლილი ფიცრები ჩამოჰქონდათ წგრლით – დაგრეხილი წნელით. **წირლუ** კატაბარდაცაა. რესპ.: „წგრლი ფიცრის სახეობაა. ჩემს ქმარს ტყიდან თითო წამოსვლაზე თითო ასეთი წგრლის ფიცარი გამოჰქონდა რამდენიმე კმ. მანძილიდან“. შდრ. ა. მაყაშვილი: „კატაბარდა... მეგრ. შხურიში ჭი, ჩიქვიში ჭი... წირლუ“. ო. ქაჯაია: „წირლი – დაგრეხილი წნელი, ღვლერჭი“; ალ. ქობალია: „წირლი – გრეხილი წნელი, ღვლერჭი“.

**წგფეში** – ხეობა, ყოფილი დასახლებული უბანი ენგურის მარცხ. მხარეს, ხუდონის ჩრდ. ნაწილში (მაგანას სატყეო). რესპ.: „ჭგფე, ანუ ვინრო ადგილია“. ალ. ქობალია: „წიფი, ჭიფე – წვრილი, წული“. რესპ.: „ჭგფე ქიანა რე, მორჩილი ადგილი უღუ დო თიშენი ჯოხო წგფეში“.

**წგფეში(იშ)ღალ(გ)** – ღელე, რომელიც გაედინება წგფეშიდან და ერთოდა ენგურს მარცხ. მხრიდან ხუდონში (მაგანას სატყეო).

**წგწგში** – მაღალი კლდე. იგივე **წინწიში** (ზ. ლია).

## — ჭ —

**ჭალე** — სოფელი, ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველი ნაწილი).

**ჭალე** — 1. დავაკება ლაკადას ძირას, კანთში, ვანოშ ღალის სათავესთან (ლეთკან-თი); 2.. ქვავნარი ჭალა ინწგრას მარცხ. ნაპირას, ლეჩიქვანეში (ნაგურუ) და სხვ. მრ. მეგრ. ჭალე ( ქართ. „ჭალა“) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „თხრილი, ორმო, დაბლობი, ჭა“ (ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 175).

**ჭალე//აკაკიშ დისა** — სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (მედანი).

**ჭალე//რზენი//ხარჩილამ რზენი** – ვაკე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირსა და სახარჩილოს შუა. ეს ვაკე-ჭალა საყანედ ჰქონიათ ხარჩილავებს (ჯვალირა).

**ჭანაკარუ** – ბორცვი. იგივე **ჭაშკარე** (ფახულანი).

**ჭანდარი** „ჭადარი“ – ჩაის ფართობი ლექარდეს უბანში, ჩხოუშიას მარჯვ. ნაპირას. აქ ერთადერთი ძველთაძველი ჭადარი დგას ჩაის პლანტაციის შუაგულში. რესპ. „ათე ჭანდარს ჯვარი ქიმკაჭკადეს დო გილახვამუშა ქაცარი მოქუნდეს“ (პ. ეწერი).

**ჭანდარიშ ტომბა** – მორევი ერისწყალზე, სოფლის სამხრ. ნაწილში, ჭადრის ძირას (ქალღალე).

**ჭანიაშ სუკი** – ბორცვი ლაჩხვას მარჯვ. ნაპირას, სოფლის ცენტრის სამხრ-ით. ჭა-ნია გავრცელებული გვარია (ფუქი).

**ჭანისწყალი** (ადგ. ვარიანტი: წენწყარი) – მდინარე, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, 1960 მ სიმაღლეზე. სიგრძე 63 კმ. მდინა-რის ზემოთში მდებარეობს კურორტი სქური, შუა წელზე – ქალაქი წალენჯიხა (წალენჯი-ხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის მუნიციპალიტეტები). აღნიშნულია არქანჯელო ლამ-ბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „სამეგრელოს რუკაზე“ (ორივე 1654 წ). ლათინურ ენაზე გამოცემულ „სამეგრელოს აღწერაში“ დონ არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „ხოფის

შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ქანისწყალად და რუკებზე იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის ხოფს (იგულისხმება ხობისწყალი – პ.ც.) და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას. ჩემის აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავეებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ქანი“ (ლაბბერტი, 1991, 162). ამ მოსაზრებას იზიარებს ს. ჯანაშიაც (ჯანაშია, თუბალი, თაბალი... გვ. 197). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული, ვახუშტისეული ლოკალიზაცია ქანისწყლის ქვემო წელისა და სოფელ ხოფისა ზუსტი აღარაა: როგორც ვახუშტის საისტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომში, ისე ვახუშტისეულ რუკაზეც ქანისწყალი ერთვის შავ ზღვას ხოფაში, ყულევიდან ჩრდ-ით რამდენიმე კმ-ზე. სინამდვილეში ქანისწყალი უერთდება ხობისწყალს ხობიდან ჩრდ-ით რამდენიმე კმ-ზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **საზღვრის** სიახლოვეს.

პროკოპი კესარიელი (ახ. წ. VI ს. ბიზანტიის ჟამთაღმწერელი) ქანების მინა-წყალზე ასახელებს სოფელ **კენას**, რომელსაც „პერიპლუსის“ ანონიმი ავტორი კინასს უწოდებს. ამასთან დაკავშირებით თ. მიქელაძე აღნიშნავს: „სოფ. ჯალრასთან ჩამოდის დელე, რომელსაც კინისქური (ჩვენს წინამდებარე ნიგნში „კინესქური//კინისქური“ ეწოდება“ (პ.ც.). იგი ერთვის ქანისწყალს და ეს განსაკუთრებით ნიშანდობლივად გვეჩვენება“ (მიქელაძე, 1974, გვ. 130). მდ. ქანისწყალს ასახელებს ანტიოქიის პატრიარქი მაკარიც ნალენჯიხის მონასტერში 1665 წელს დაწერილ შთაბეჭდილებათა ნიგნში. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, მდინარეს ქანისწყალი დარქმევია „ჭელენჯიხის გამო“, „გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და მიერთვის ზღუას ხოფს. ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ, ზღვის კიდებედ არს ხოფი“ (ასს, 1973, გვ. 778). ვახუშტი ქანისწყალს „ქანის მდინარესაც“ უწოდებს. ამასთანავე, ნაშრომის ერთ-ერთ ხელნაწერში იმ სტრიქონის გასწვრივ, სადაც დასახელებულია მდინარე „ქანისწყალი“, არშიაზე არის მინანერი „ქანიას წყალი“. **ქანისწყალი**, ამკარად ქართული ფორმაა. მ. ჩუხუას მოსაზრებით, **ქან-წყარ-ი** მთის მდინარეს ნიშნავს

**ქან(ნ)ტურიაშ ეკოლ(გ)** – აღმართი, რომელიც შქა ლიას აკავშირებს ლია-ზუგდიდის საავტ. გზატკეცილთან (ლია).

**ქანტურიაშ ნაკარუ** – საძოვარი ბედიანაშენის სამხრ.-აღმ. ნაწილში (ჯვარის სატყეო).

**ქანტურიეფიშ ტყა** – ნატყევარი, ჩაის ფართობი სოფლის აღმ. ნაწილში, ენერის=ენწერის მაღლობზე (ლია).

**ქანტურიეფიშ ტყა//ლექანტურეშ ტყა//ჭატურიაშ ტყა** – ტყე-ბუჩქნარი სოფ. ენრის (ჯვარის თემი) საზღვართან. ქანტურიეფი აქვე სახლობდნენ და ამ ტყეს ფლობდნენ (პ. ენერი).

**ქანტურიეფიშ წყურგილი** – წყარო საჭანტურიოსა და საზარანდიოს საზღვარზე, სოფლის ცენტრის სამხრ-ით (ლია).

**ჭარაიეფიშ ნანისქვილ(გ)** – ნანისქვილარი. იგივე **ნანისქვილ(გ)** (ქალაღალი).

**ჭატურიაშ ეკოლ(გ)** – აღმართი. იგივე ქანტურიაშ ეკოლ(გ) (ლია).

**ჭატურიაშ ნაკარუ** – საძოვარი ბედიანაშენის სამხრ.-აღმ-ით (ჯვარის სატყეო). აკ. ქანტურიას რუკაზე აღნიშნულია როგორც ქანტურიაშ ნაკარა.

**ჭატურიაშ ტობა** – მორევი ჩხოუშიას ზემო წელზე (პ. ენერი).

**ჭატურიაშ ტყა** – ტყე-ბუჩქნარი. იგივე **ქანტურიეფიშ ტყა** (პ. ენერი).

**ჭატურიეფიშ ნადიხ(გ)** – სახნავი ლეჩიესა და კუკრამ ღალის სათავეს შუა (კუხეში).

**ჭატურიეფიშ ნოხორი//ჯამუიაშ ნოხორი** – ფერდობი ბორცვზე, ნაშონის ქვედა მხარეს. ჩავარდნილი ადგილია (კუხეში).

**ჭაშკარე//ჭანაკარუ** „ჩალის კარავი//ჩალის ნაკარვალი“ – ბორცვი, ყოფილი დასახლებული უბანი ლანჯიშში, ფშქერღალის სათავესთან. აქ ჩალით („ჭა“) გადახურული კარე (მწყემსის დროებითი სადგომი) მდგარა (ფახულანი).

**ჭაჭანა(ნ)გერი** – დავაკება მაგანას მარცხ. ნაპირას (ლექარდე). ჭაჭა პირსახელია, ხოლო **ნანგერი** მეჩხერი ყანაა, ან **ნანვერალზე** (დათესვის გარეშე) **ამოსული სიმინდი**



(ნანგერს უკანონო შვილზეც იტყვიან). შდრ. ს.-საბა: „ნაგერალი – დაუთესავად მოსული... უთესლოდ მოსული“. ო. ქაჯაია: „ნანგერე//ნაგერე – ნაგერალი, დაუთესავად ამოსული... ნაგერე სიმინდი – თავისით, მეორე წელს ამოსული სიმინდი“; ალ. ქობალია: „ნანგერე – ნაგერალი“ (იხ. აგრეთვე: ქეგლ, V, გვ. 1271).

**ჭაჭახი** – 1. ვაკე, უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. უწინ ჭანჭრობი ყოფილა. რესპ.: „30-იან წლებში აქ დავაარსეთ კოლმეურნეობა „სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ამ უბნებს ეწოდებოდა **ჭაჭახარეფი**“ (ობუჯი); 2. ჩაის ფართობი ტარჩიას მარჯვ. მხარეს. გააშენეს სოფ. ობუჯის ჭაჭახის უბნის მცხოვრებლებმა **XX** ს 30-იან წლებში (სამეცხიო). ჭაჭახი ლენჭყიანი ადგილია (შდრ. ქეგლ-ში: „ჭანჭახი, ჭენჭეხი – თხელი ტალახი“; ჭანჭახიანი – სველი, ნოტიო“. შდრ. ქართული ენის დიალექტებში: „ჭანჭახი – ჭაობიანი, წყლიანი ადგილი, სახნავ-სათესად უვარგისი მიწა“. ალ. ქობალია: „**ჭანჭახი** – ჭახჭახი“ (როგორც ჩანს, კალმის შეცდომაა. სინამდვილეში ქართული ჭახჭახი ზოგი ფრინველის მაღალი და მკვეთრი ხმიანობაა. იხ. ქეგლ-ი, ტ. VIII, გვ. 1237). შდრ. ქართ. ჭანჭახი, ჭენჭეხი (იხ. „სიტყვის კონა“, 1984, გვ. 716). მაშასადამე, ქართ. **ჭენჭეხი** : მეგრ. **ჭანჭახი**-ი.

**ჭაჭახიმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ჭაჭახში (ობუჯი).

**ჭენჯიხა** – წალენჯიხის იშვიათი ადგ. ვარიანტი.

**ჭეჭყობაშ სუკი** – სერი. იგივე ოსხაპუემ სუკი (წყოუმი).

**ჭვანტიმ ნოხორი** – საბალახო ბორცვზე, ცანაშის სამხრ-ით. **ჭვანტი** მამაკაცის სახელია (ქალაღალი).

**ჭვარილი** „ნაკაფი“ – მთა-საძოვარი მაგანას მარცხ. მხარეს (მაგანას სატყეო. დატანილია აკ. ჭანტურიას რუკაზე).

**ჭვარილიშდუდი** – მთა ჭვარილის მწვერვალზე (მაგანას სატყეო).

**ჭვატამ ნოხორი** – ჩაის ფართობი ოყაყალუს მარჯვ. ნაპირას, ფერდობზე. ამ სოფელში პირველი ჩაი აქ გაშენდა 1931 წელს. **ჭვატა** კაცის სახელია (ნაგურუ).

**ჭვატამ წყურგილი** – წყარო ჭვატამ ნასახლართან, ოყაყალუს მარჯვ. ნაპირას (ნაგურუ).

**ჭველე** – სოფელი ფახულანის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ჭველეთონა** – ენგურის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა, ყოფილი დასახლებული უბანი სვანეთის საზღვართან (ხუდონის სატყეო). „საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ დასახლებულია არასწორი („გველეთონა“) ფორმით. შდრ. ალ. ქობალია: „ჭველეთონა – ახალამონვერილი, ეკალ-ბარდიანი ადგილი“. ტოპონიმისათვის ამოსავალია ფიტონომენი **ჭველა** „თხმელის ნორჩი ტოტი, ბუჩქი, მოზარდი ხე. ხე საერთოდ“ (ო. ქაჯაია); „**ჭველა** – ამონაყარი; ახალამოსული ნორჩი თხმელა, ნერგი...“ (ალ. ქობალია). „ლაზურ-მეგრულ-გრამატიკაში“ კი განმარტებულია: „ჭველ“-ი, რაც ჯვარში ამჟამადაც იხმარება „ჭორთ“-ის მნიშვნელობით“ და არნ. ჩიქობავას გამოკვლევაზე მითითებით განმარტებულია: „ცხადია, ამ სიტყვაში -ეთ და -ონ მანარმოებელი სუფიქსებია: -ეთ სიმრავლეს გამოხატავს“ (ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 2015, გვ. 188), ხოლო -ონ(ა) გამოხატავს კრებითობას (შდრ. ლაზურში: თხირეფუნა, ბინეხეფუნა. აქედან შეიძლება დავასკვნათ: ამგვარი ორმაგი წარმოება, როგორც ჩანს, დამახასიათებელი იყო ზანური ენისათვის). შდრ. აქვე „**(ო)ჭველეფონი**“, სადაც აშკარად ჩანს სამმაგი სუფიქსაცია. თავის მხრივ, ჭველეთონა და ჭველეფონა რამდენიმეა სამურზაყანოში (იხ. „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“, 2003). სამეგრელოს ადმ. ნაწილის ტოპონიმიაში ეს ფორმები არ ჩანს. აკ. ჭანტურია აიგივებს „ჭველეში ანუ ჭველეთონა“ (ჭანტურია, 1989, გვ. 180).

**ჭველეფონი** – ბუჩქნარი. იგივე (ო)ჭველეფონი (წყოუმი).

**ჭველეში** – სოფ. „ჭველეს“ ადგ. ვარიანტი.

**ჭველემ სუკეფი** – ბორცვები ჭველეში (ფახულანი).

**ჭველონა** „ჩქოლნარი, ნორჩი თხმელის ტყე“ – ტყე ხურჩას სათავესთან, ბურეხონას გვერდით (ნაგურუ).

**ჭველონი** (ჭველა) – 1. სახნავი ლაკადის ძირას. უნინ აქ თხმელნარი ყოფილა (ლარა); 2. თხმელნარი სქურჩას ნაპირას, ქვედა ლეჟაში (ნაკიფუ); 3. თხმელნარი ტებენეს აღმ. ფერდობზე, ოციმუსთან (ენერფერდი) და სხვ. მრ. მაშასადამე, **ჭველონა**, **ჭველონი**, **ჭველონია** ნორჩი თხმელის ტყეა.

**ჭველონია** – ბუჩქნარი ინჭირიშის კალთაზე (მუჟავა).

**ჭვინტიმ ნოხორი** – საბალახო ბორცვზე, ცანაშის სამხრეთით. **ჭვინტი** პირსახელია (ქალაღალი).

**ჭვიტლურონა** – ფერდობი. იგივე ოჭვიტლურე (ობუჯი).

**ჭიდა** – კლდე-ფერდობები. იგივე **ჭვდა** (სქურის სატყეო).

**ჭითაგვალა** „ნითელი მთა“ – მთა ეგრისის ქედზე, ეგრისის ქედის უმაღლესი ნერტილი, მაგანასა და ხობისწყლის სათავეებს შუა (ქსე: „ჭითაგვალა – მთა ეგრისის ქედზე, მდ. ხობის სათავეში. სიმაღლე 3226 მ“). აქვეა ტობავარჩხილი, რომელსაც დიდ ტობავარჩხილსაც უწოდებენ. აქედან ღელე ჩაედინება მაგანასაკენ. აქვეა **ჭითაგვალაშ გინალგ** – გადასასვლელი მაგანა-ჭანისწყლის სათავეებიდან ხობისწყლის ხეობაში (სქურის სატყეო). ზოგ რუკაზე არასწორი წარწერაა „ჩითა გვალა“.

**ჭითაგვალაშ გინალგ** – გადასასვლელი ქედზე. იხ. **ჭითა გვალა** (ჯვარის სატყეო, სქურის სატყეო).

**ჭითა დიხა** „ნითელი მინა“ – 1. ხევი ტყე-ბუჩქნარებით ბოგაშის კალთაზე, ლაკადაში (ლარა); 2. ფერდობი ენრის გზაზე, როხონს ზემოთ (ჭალე).

**ჭითა დიხაშ ეკოლ(გ)** – აღმართი საფეხმავლო გზაზე, როხონს ზემოთ (იხ. **ჭითა დიხა**). რესპ.: „აღმართზე ნითელი მინაა, იგივე „დიხაშჭუბერი“ (ჭალე). მეგრ. ეკოლგ – აღმართი.

**ჭითაკვრდე** „ნითელი კლდე“ – კლდე ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, ნასხაპუსთან, ლარას გვერდით, სადაც კლდე მართლაც ნითელია (ლესალე).

**ჭითა მინდორი** „ნითელი მინდორი“ – ჩაის ფართობი ნათოფურუში (კუხეში). რესპ.: „მინაც ნითელია და იმ არტელსაც „ჭითა მინდორი“ ერქვა, რომელმაც აქ 1930 წ. გააშენა ჩაი“.

**ჭითა მგკონწყვილი** – შიშველი და ნითელი ფერის კლდე-ფერდობი ენერში (ფოცხო-ენერი). **მგკონწყვილი** „ჩამონამეწყვი, მორღვეული, ჩამოქცეული“.

**ჭითასუკი** „ნითელი გორა“ – სერი ლაჩახვასა და სამართალას შუა, სალუკაში (ფუქი). სერის ქანები შედგება ნითელი მინა-ნიადაგისაგან.

**ჭითატომბა** – მორევი სქურჩაზე. ფსკერი და ნაპირები ნითელი ქვითაა მოფენილი. გვალვისას აქ რეცხდნენ ხატს და სთხოვდნენ წვიმიანობას (ლევოლიხე).

**ჭითაფერდი** – 1. ფერდობი ნაპერტულალის სათავესთან (ფუქი); 2. კლდე-ფერდობი ჩერალსა და ცურუონლალს შუა, ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (ჯგალი).

**ჭითალალ(გ)** „ნითელი ღელე“ – 1. ხევი კვარჩხილალის ზემო წელზე, ნანჯარუში. მინაა ნითელი (ნაკიფუ); 2. ოჩხომელალის შენაკადი. მინაა ნითელი და წყალსაც ნითლად ღებავს (სქურის სატყეო) და სხვ. სამეგრელოში ღელეს, რომლის წყალიც ადიდებისას ნითელ ფერს იღებს, როგორც წესი, **ჭითალალ(გ)** „ნითელი ღელე“ დარქმევია. მაგრამ დიდ მდინარეთა სახელწოდებებში, რომელთა წყალიც ადიდებისას ასევე ნითელი ფერისა ხდება (გამოივლის ნითელმინა ნიადაგს), სიტყვა „ჭითა“ არ გვხვდება (ჭანისწყალი, მაგანა, წყავაშელა და სხვ.)

**ჭითალალ(გ)/უთუთიაშ ლალ(გ)** – ღელე, ენგურის მარჯვ. შენაკადი. უთუთია შონია ამ ღელის ნაპირას ცხოვრობდა. წვიმების შემდეგ წყალი მოწითალო ფერისა ხდება, შლამიც ნითელია. ამიტომაც ქვემო წელზე ეწოდება **ჭითალალ(გ)**. იხ. ხუმლაღალ(გ) (ჭალე).

**ჭითაჯომური** „ნითელი ტყემალი“ – წყარო, ჩაის ფართობი ლეაფშილეში, თხინას გვერდით. წყარო ნითელი ტყემლის ძირიდან გამოდიოდა (ნაკიფუ).

**ჭითაწყარი** – ჩხოუშიას მარჯვ. შენაკადი ლექარდეში. გაედინება ოწნარედან. საზღვარი სოფ. ლიასთან (პ. ენერი).

**ჭითა წყურგილი** „ნითელი წყარო“ – 1. წყარო, საძოვარი ოხაჩქუე-ოკალმახეს გზაზე (ჭალეს სატყეო); 2. ტყე-საძოვარი ყვირას აღმ. კალთაზე. აქაა ნითელი მინა, რომელიც ნან-ვიმარზე ნითლად ღებავს ჭანისწყალს (სქურის სატყეო); 3. წყარო ლემანიეში. რესპ.: „აქ ნითელი არაფერია და არც ვიცი, რატომ ეწოდება“ (პ. ენერი) და სხვ.

**ჭითა წყურგილიმ გინალგ** – გზა-გადასასვლელი შუშელიდან (ოხაჩქუე) ოკალმახე-საკენ. გამოივლის ჭითა წყურგილს (ჭალეს სატყეო).

**ჭითაჯა** „ნითელი ხე“ – ურთხელი მეორინჯეფიშ შარაზე. ფულურო ჰქონდა. მწყემ-სები შიგ ყრიდნენ კენჭს ან ხურდა ფულს. იყო საზღვარი მაშინდელი საკოლმეურნეო და სახელმწიფო სატყეოებისა (ნაგურუ).

**ჭიტამ ნაშენი** – ბუჩქნარი დიდი ფოქვას დას-ით (ჭველე).

**ჭიტაქირსა** – გზა და ფერდობი დიდაქირსას გვერდით. გზა მიემართება ეწრისაკენ. იხ. დიდაქირსა (ლია).

**ჭიტალუეფიშ ლაკადა** – საძოვარი ლაკადას კალთაზე, ხურჩას მარჯვ. ნაპირას, ლე-ჭიტალუეს განაპირას (ნაგურუ).

**ჭიტე გილაკვლარი** „მცირე საჩეხი“ – საქონლის საჩეხი. იხ. გილაკვლარი (ჯვარის სატყეო).

**ჭიტე ეხელე** – ხევი-ღრანტე მაღალ კლდეებში, ოლორის მარცხ. ნაპირას, დიდი ეხე-ლეს გვერდით (ჭველე).

**ჭიტე ზურგია** – ბორცვი კანთში, ჩელალის მარჯვ. ნაპირას (ლეთკანთი). გვერდით, სოფ. მუხურში, არის ბორცვი ზურგია//დიდი ზურგია. **ზურგია**, როგორც მეტაფორული ნომენი, აღნიშნავს. მინაზვინულს, მცირე შემალღებას.

**ჭიტე ლაყორია** – ენგურისპირა ვაკე და გზანვრილი. იხ. ლაყორია (ფოცხოენერი).

**ჭიტე ლეგერდე** – ბორცვი ტყე-ბუჩქნარით ჭიტე ტებენეს მარცხ. ნაპირას, ლეგერდეს გვერდით. უნინ აქაც გერგედავები ესახლნენ, ისევე როგორც ლეგერგედეში. როგორც ვხედავთ, ლეგერგედე ლეგერდე ჰაპლოლოგიის ნაყოფია (ფახულანი).

**ჭიტე ნაკილუ** – ბორცვი. იხ. ნაკილუ (ნაგურუ).

**ჭიტე ნასვიმონ(გ)** – ფერდობი. იხ. ნასვიმონ(გ) (ფოცხოენერი).

**ჭიტე ნაქობალ(გ)** – ვაკე-საძოვარი კვდას ფერდობზე, ლეხულეს სათავესთან. ნიშ-ნავს მცირე ნახორბლევს. გვერდითაა **დიდი ნაქობალიც** (ჩქვალერი).

**ჭიტე ნაცვან(გ)** „მცირე ნაყანევი“ – ბუჩქნარი ოწნიიშის კალთაზე, შქაშლალის სათა-ვესთან (მუჟავა).

**ჭიტე ნაჯიხ(გ)//ნაკიკუმ ნაჯიხ(გ)** – ვაკე-ბორცვი ენგურის მარჯვ. მხარეს, ნაკიკუში. შემორჩენილია გალავნისა თუ კოშკის ფუნდამენტი. რესპ.: „ჯიხა ორიოდე ათეული წლის წინათ დაუნგრევიათ სახლების ასაშენებლად“. ნაკიკუში კიკავები ესახლნენ (წყოუმი).

**ჭიტე ოგურგინე** – წყალგრიალა მორევი ოლორზე, დიდი ოგურგენჯის ზემოთ. ენ-გურგისის მშენებლობასთან დაკავშირებით ქვა-ყორით ამოივსო (ნაშამგუ).

**ჭიტე ოგურგინჯი** „მცირე წყალგრიალა“ – 1. მორევი ჩანჩქერის ძირას მდ. ოლორზე, ჩვინარეს ხეობის ყელთან (მუჟავა); 2. მცირე ჩანჩქერი ოლორზე, საშონიოს უბანში. აქვე ახლოსაა **დიდი ოგურგინჯიც** (ჭველე).

**ჭიტე ოხვამე** – ნაეკლესიარი ცანაშში. იხ. **ნა(ო)ხვამ(გ)**. (ქალაღალი).

**ჭიტე საბეკი** – მინდორი. იხ. **შქაშსაბეკი** (ჭალე, ეწერფერდი).

**ჭიტე სამესხიო//თუდონსამესხიო** „პატარა სამესხიო//ქვემო სამესხიო“ – მესხების უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, დაბლობზე, ჯიხაშკარის საზღვართან. შდრ. სამესხიო (სამესხიო).

**ჭიტე ტებენე//უბილეფიშ ტებენე//ტვეფიშ ტებენე** – ოლორის მარჯვ. შენაკადი ლი-აკობესთან. უბილავები ამ მდინარის ნაპირას სახლობენ (ენერფერდი). ჭიტე ტებენე მცირე მდინარეა დიდ ტებენესთან შედარებით. იხ. **ტებენე//ტებენა** (ფახულანი, ნაშამგუ).

**ჭიტე ტობავარჩხილი//ოხოჯეშ ტობა** – ტბა და მისი მიმდებარე ტერიტორია. იხ. **ჭი-თავგალა** (მაგანას სატყეო).

**ჭიტე ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ხვითერში (ნაკიფუ).

**ჭიჭე ფოქვა** „მცირე მღვიმე“ – მღვიმე. იხ. **დიდი ფოქვა** (ჭველე).

**ჭიჭე ლალ(გ)** „მცირე ლელე; ლელუკა“ – 1. ბირგულამის მარცხ. შენაკადი საკვარაცხელიოში. მოედინება ონტყოლკუნთხუდან (ნაკიფუ); 2. ხევი ლეჭიჭალეში, დიდი რობუს გვერდით (ნაგურუ); 3. ლელე ტახილში. ონახუეს შენაკადია (ლახარჩილე) და სხვ.

**ჭიჭე ყარა** – ტყე-ფერდობები. იხ. **დიდი ყარა** (ჭველე).

**ჭიჭე ჩხოუშია** – აღმოსავლეთი ჩხოუშია. იხ. **ჩხოუშია** (ნალენჯიხა).

**ჭიჭე ნიფონა** „მცირე ნიფლნარი“ – ნიფლის ტყე ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, სქურის-დან გვალაიაში მიმავალ გზაზე (სქურის სატყეო).

**ჭიჭი ტომბა** – მორევი ჭანისწყალზე, ხვითერში. ჭიჭი (კაცის სახელია). ამ მორევთან ესახლა (ნაკიფუ).

**ჭკვრილი** „ნაკაფი“ – 1. მინდორი მოროჟას აღმ. ნაპირას, ნაჯარგვალსა და კალუმ გიმალს შუა, სადაც ერთ დროს ტყე გაუკაფავთ (ჯვარის სატყეო); 2. საძოვარი ფერდობზე, მოროჟას აღმ. ნაპირას. ტყეში 3 ჰა-მდე ნაკაფი მინდორია (ჩქვალერი). **ჭკვრუა** „ჭრა; კაფვა

ჭკვრილი „მოჭრილი; ნაკაფი“

**ჭოდანა** – ფერდობი. იგივე **ჭოდონა** (ჯალირა).

**ჭოდონა** – 1. ბორცვი ტკიბრაღალის ნაპირას (ჩქვალერი); 2. საბალახო მოხილის თავზე. ვარ. **ჭოდანა** (ჯალირა). **ჭოდი** ვაზის ჯიშია, ოჯალეშივით მალღარი, თეთრ ყურძენს ისხამს, შემოდის ნოემბერ-დეკემბერში. იგივე **ჩემონური**, ანუ **ჩერგვალი**. აკ. ჭანტურიას ინფორმაციით, „შავი ჭოდი არ მოიპოვება. თეთრი ჭოდის ღვინო ტკბილია, მაგრამ მაგარი არ არის. მტევანი გრძელი და თხელი აქვს“ (ჭანტურია, 1996, გვ. 226). შდრ. ქეგლ: „**ჭოდი** – შავი ყურძნის ჯიში. გავრცელებულია გურია-აჭარაში“.

**ჭოჭი ნოცუნეი** „ჭოჭის ნაყანევი – საბალახო, ხილნარი ქორსუმ ხეობაში, ლეაბრა-ლესთან. ჭოჭი კაცის სახელია (ნაგურუ).

**ჭუბურონა** „ნაბლნარი“ – 1. ნაბლნარი ცხიმურმონწყვილის ჩრდ. ნაწილში, ბორცვზე (ქალაღალი); 2. ტყე-ბორცვი ბაკურამ ღალის ზემო წელზე (კუხეში). ქართ. **ნაბალ-** : მეგრ.

**ჭობორ** **ჭუბურ** (ო უ ბ-ს ზეგავლენით). როგორც ცნობილია, ქართ. ა : მეგრ. უ კანონზომიერ ქართულ-მეგრულ ბგერათმშესატყვისობას არ შეესაბამება. მაგრამ გვაქვს ერთგვარი „გადახრა“: **ნაბ-**ს მეგრულში უნდა მოეცა **ჭობ-**, მაგრამ ბ-ს მეზობლად **ო უ**. მაშასადამე, **ნაბ** — **ჭუბ** ბგერათა გარდაქმნის ერთი ენის შიგნით დადასტურებული ფონეტიკური პროცესია და არა ქართულ-მეგრული ბგერათმშესატყვისობა (იხ. ჩიქობავა, 1938, გვ. 127-128).

**ჭუბურონი** „ნაბლნარი“ – 1. ტყე-ნაკრძალი სალუკასა და მაფარონს შუა. აქ დღეს ნაბლი აღარ ჩანს (ულურია); 2. ჩაის ფართობი ზაკალონის გვერდით (მაზანდარა); 3. ტყე-ნაბლნარი ცხიმურმონწყვილის ჩრდ. ნაწილში (ქალაღალი) და სხვ.

**ჭუბურღალ(გ)** „ნაბლის ლელე“ – 1. ქალაღალის მარცხ. შენაკადი, მოედინება ქუალონიდან (ქალაღალი); 2. ლელე, ტებენეს მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ხახურში (ფახულანი).

**ჭუკელიაშ სუკი** – ბორცვი ქვედა ლეჟაში, სქურჩის მარჯვ. ნაპირას. გადმოცემით, „ნიკოლოზის დროს ეს ადგილები უყიდა ჭუკია ხარჩილავას“ (ნაკიფუ). ჭუკელია იგივე ჭუკიაა.

**ჭუკიაშ ნაკარუ** – 1. ბორცვი, ტყე სოფლის ჩრდ. ნაწილში, ფუქის საზღვართან, ლახახვასა და მაფარონს შუა. მწყემს ჭუკიას აქ ჰქონია „კარე“ (ულურია); 2. მინდორი. იგივე **ბაბუშ ნაკარუ** (მაგანას სატყეო).

**ჭუკ(უ)იაშ ფერდი** – ფერდობი, დასახლ. უბანი ჭანისწყლის აღმ. მხარეს. რესპ.: „ნიკოლოზ მეფის დროს ეს ადგილები უყიდა ვინმე **ჭუკუია** ხარჩილავას“ (ჯალირა).

**ჭუჭუიაშ ნოხორი** – საძოვარი ენერში, ლეგულორდეს უბანში (საჩინო).

**ჭუჭუიაშ რზენი** – საძოვარი ჩხაპელკას ფერდობზე (ენერფერდი).

**ჭუჭუშ ნადიხ(გ)//ჭუჭუშ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლეფიფიეში, უჩაღალის ხეობაში (კუხეში).

**ჭუჭუშ ნოხორი** – მრგვალთავა შემადღება ცანაშში (ქალაღალი).

**ჭუჭუშ ნოცუნნი** — ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ჩხაპელკას დას. ნაწილში (ენერფერდი).

**ჭუჭუშ ოჩაიე** — ჩაის ფართობი. იგივე **ჭუჭუშ ნადიხ(გ)** (კუხეში).

**ჭუჭუშ სუკი** — ვაკე-ბორცვი ჩხაპელკას ჩრდ. ნაწილში. გადმოცემით, ჭუჭუს აქ ყანა ჰქონია (მუჟავა).

**ჭუჭუშ ნყურგილი** — წყარო ლეჩქვანეში, ჩელალის ნაპირას. ჭუჭუ ამ წყაროს სიახლოვეს ესახლა (ნაგურუ).

**ჭყებიში//ჭყეპიში** — ვაკე-ტაფობი სოფლისა და ბარხას სატყეოს საზღვარზე, სადაც გადის ჯვარი-ლეშამუგე-ბარხას საავტ. გზა (ლეშამუგე). რესპ. პ. გოგილავა (77 წ.): „ზოგნი იტყვიან, ნაჭყებიები ესახლენ და ამიტომ დარქმევიაო ჭყებიში, თორემ ჭყეპი ადგილი ახლო-მახლო აღარსადაა“. **ჭყები, ჭყეპი** „წვეთი; ლენჭყი, წყლიანი ადგილი; ჭყაპი“. ალ. ქობალია: „ჭყეპი — ჭენჭყი; ჭყაპი; გამდნარი თოვლისაგან დაყენებული ტბორი... წვეთი, მცირე რამ“. შდრ. ალ. ლლონტი: „ჭყებიში — უბ. ჯვარში“; „ჭყებრზენი — გორა მუჟავაში“ (ლლონტი, 1971, გვ. 102).

**ჭყენჭყი** „ჭენჭყი, ლენჭყი“ — ჭანჭრობი ენგურის მარჯვ. მხარეს, როხონდალის მარცხ. ნაპირას (ჭალე).

**ჭყენჭყონი** — ჭაობნარი ლეღვინჯილეში. იგივე **ოჭყენჭყე** (ლეჯოლიხე).

**ჭყეპიში** — ვაკე-ტაფობი. იგივე ჭყეპიში (ლეშამუგე).

**ჭყეპრზენი** — ტიტველი სერი სათიბებით სოფლის ჩრდ-ით, ოლორის მარჯვ. მხარეს (ნაშამგუ). გადმოცემით, ჭყეპრზენში **ჭყეპი წყალი** (ე.ი. წვეთი წყალი) არსად მოიპოვება. შდრ. ალ. ქობალია: „ჭყეპი — ჭენჭყი, ჭყაპი, გამდნარი თოვლისგან დაყენებული ტბორი; შხეფივით, წვეთივით უმცირესი რამ... წვეთი, მცირე რამ“.

**ჭყერიონი** — მთა, დიდლალისა და ფართო ღალის წყალგამყოფი. აქ ერთგან დევს მლაშე ქვა, რომელსაც, როგორც გადმოსცემენ, ჯიხვები ეტანებოდნენ. რესპ.: „ჭყერია ბალახია ერთგვარი, ცხვარ-ძროხა ეტანება“. ალ. ქობალია: „ჭყეპი — ღვია...“, ხოლო „ჭყერია — არყი, იგივეა, რაც გვალაშ ბული“.

**ჭყერიონიშდული** — ჭყერიონის მწვერვალი. ჭყერია იგივეა, რაც არყა, არყის ხე (იხ. მაყაშვილი, გვ. 12). ალ. ქობალიაც ამ განმარტებას ეყრდნობა.

**ჭყეჭყონი** — ლენჭყიანი ფერდობი ლეჟაში, ურთხელიშ ღალის მარჯვ. ნაპირას (ნაკიფუ).

**ჭყვეპე** — მთა ეგრისის ქედზე, ნაციშარას გვერდით, სვანეთის საზღვართან (მაგანას სატყეო). რესპ.: „ჭყვეპე იგივეა, რაც ჭყეპი, ე.ი. ჭენჭყიანი ადგილი“.

**ჭყვეპეშ წყარი** — წყარო ლეგულორდში. ჭყვეპე კარანაძე პატრონობდა ამ წყაროს (საჩინო).

**ჭყოლოშ ნისქვილი//ხურჩაშ ნისქვილი** — ნანისქვილარი ხურჩაზე, ლეხვიჩეში, ჩელალის ნაპირას. ჭყოლო ერქვა ამ ნისქვილის მფლობელს (ნაგურუ).

**ჭყონა** ( ჭყონონა „მუხნარი“ ჭყონი „მუხა“) — ჩაის ფართობი რეკას მარჯვ. ნაპირას. უწინ უბანი იყო და ეწოდებოდა **ჭყონაშარეფი** (მაზანდარა, პ. ეწერი).

**ჭყონა//ოჭყონე//ფიფიფიშ ჭყონა** — მუხნარი სოფლის დას. ნაწილში, ჩხოუშის მარჯვ. ნაპირას, ლეფიფიესა და ლეძაძამიეს შუა, სოფ. ლიას გადასახვევთან. უწინ ამ ტყეს თურმე **ჭყონიშ სურუმი ტყა** (მუხის უღრანი ტყე) ერქვა (პ. ეწერი).

**ჭყონალა** „მუხნარი“ — 1. ბორცვი ლაჩახვას მარჯვ. მხარეს. დასცქერის სოფლის ცენტრს დასავლეთიდან. ამჟამად მუხა აქ აღარ ხარობს (ფუქი); 2. ბორცვი ლეაფშილეში, ქინწყურგილის აღმ-ით. ამჟამად აქ მუხა აღარსადაა (ნაკიფუ); 3. კლდე-ფერდობი მაგანის ნაპირას, ხოკო-წყავაშის გზაზე (მაგანას სატყეო).

**ჭყონაშარეფი** — ერქვა უბანს. იხ. ჭყონა (მაზანდარა).

**ჭყონაშ სუკი** — ბორცვი-ბუჩქნარი ლეცინდში, პეტრემ ღალსა და დომენტიშ ღალს შუა. გადმოცემით, უწინ აქ მუხნარი ყოფილა (ნაკიფუ).

**ჭყონი** „მუხა“ — ჩაის ფართობი ლექარდში (პ. ეწერი). მუხისა და ცაცხვის კულტი მთელს საქართველოში ყოფილა გავრცელებული, განსაკუთრებით კი — კოლხეთში. „კოლ-

ხი კაცი განუზომლად თაყვანს სცემდა ხეს, განსაკუთრებით მუხას. იქ, სადაც მუხა არ იდგა, მის ადგილს ცაცხვი იკავებდა როგორც საღვთო ხე, რომელიც აუარებელ თაფლსა და წმინდა სანთელს (ცვილს) იძლეოდა“ (კვირტია, 2001, გვ. 362). ქართული ლეგენდები მიუთითებენ წმინდა მუხის კავშირზე წმინდა გიორგისთან. ნ. მარს განხილული აქვს წმინდა გიორგის კულტი ენობრივი თვალსაზრისით: „სვანური **ჯგერაგ** და მეგრული **ჯგაგე** წარმართობისდროინდელი კულტის ტერმინებია და გამოხატავენ მუხისადმი თაყვანისცემას. მუხა წმინდა ხეა, ე.ი. ხე-ღმერთია. ასეთივე საკულტო დანიშნულება აქვთ ცაცხვსაც და ურთხელსაც. ამ ხეებს, ჩვეულებრივ, მიჭედებული ჰქონდა ხის ჯვარი“. საერთოდ, როგორც ჩანს, ხე-ღვთაებათა შორის უპირატესი საღვთო სიყვარულით სარგებლობდა ჭყონი „მუხა“ (იხ. ქისტაური, 2012, გვ. 34-62).

**ჭყონი/ჭყონიშ ფართობი** – ჩაის ფართობი ლეცინდემი, კვარჩხილალის სათავესთან. მუხის ხეები ამოძირკვეს. დარჩა ერთადერთი ძირი, რომელსაც **ხვალახე** („ეული“) **ჭყონი** დაერქვა (ნაკიფუ).

**ჭყონი/ხვალახე ჭყონი** – ჩაის ფართობი ლექარდემი. დგას ერთადერთი მუხა, **ხვალახე** „ეული“ (პ. ენერი). უნინ აქ ტყე იყო და ერქვა „**მანცხვარტყა**“.

**ჭყონიოხვამე** – ერქვა საკულტო მუხას მაღალ გორაზე, ინწგრას მარცხ. ნაპირას, ლეშეროზეში (ჩქვალერი). აქ იდგა ძველთაძველი დიდი მუხა და მასთან მოდიოდნენ სალოცავად. რესპ.: „საუკუნის წინათ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ამ მუხის ძირი – ჯირკი“. ჭყონიოხვამე შეიძლება ნიშნავდეს როგორც ჭყონიშ ოხვამეს (ე.ი. „მუხის სალოცავს“), ისე ჭყონი ოხვამეს („მუხა სალოცავს“). სამეგრელოში თითქმის ყველა **ჯამანგარი** (ო. ქაჯაია: „ჯამანგარი – ხემაგარი“), როგორიცაა ჭყონი „მუხა“, ცხატხუ „ცაცხვი“, **ცგ** „თელა“, **ურთხელი** „ურთხელა“, **ნეძი** „კაკლის ხე“ და **ჭუბური** „ნაბლი“ ხე-ღვთაებებად ითვლებოდა. მკვლევარი ოთარ ონიანი აღნიშნავს: „კაკლისა და ნაბლის ზებუნებრივი წარმოდგენა შეიძლება ეკონომიური მიზეზებითაც აიხსნას, ვინაიდან დასახელებული ხე-მცენარეები ოდითგანვე წარმოადგენდნენ ადამიანის არსებობის ერთ-ერთ საშუალებას“ (იხ. ონიანი, 1969, გვ. 360).

**ჭყონიშ ფართობი** – ჩაის ფართობი. იგივე ჭყონი (ნაკიფუ).

**ჭყონიშ ცურუმი ტყა** – მუხნარი. იხ. ჭყონა//ოხვამე (პ. ენერი).

**ჭყოჭყო** „ჭენჭყო, ლენჭყო“ – მოკლე ლელე, წკვიბლალის მარცხ. შენაკადი (ლელვინჯილე).

**ჭჯდა/ჭიდა** – კლდე-ფერდობები ჭანისწყლის სათავესთან, კირნახონასა და ნაღეჯუს შუა, ყვირას აღმ. კალთაზე (სქურის სატყეო). რესპ.: „ჭჯდა ხრეშიანი, წვრილკენჭებიანი ადგილია. აქ მიწა წითელია და ნაწვიმარზე ჭანისწყალს ღებავს“. ო. ქაჯაია: „**ჭიდა/ჭჯდა** – იგივეა, რაც კიდა, გადატიხრული საღორეში (კიდა ჭიდა გააფრიკატების გზით“ (უთითებს გ. როგავას); შდრ. აღ. ქობალია: „**ჭიდა** – კედელი, ჯებირი, ტიხარი“. შდრ. სვან. ჭჭაღდ „კედელი“.

**ჭჯფე რობუ** „ვიწრო ხევი“ – ხევი. უერთდება წკვიბლალს ლეთკანთის საზღვართან (ლელვინჯილე).

**ჭჯფე სუკი** „ვიწრო სერი“ – სერი სამართალასა და ლაჩახვას შუა (ფუქი, ულურია).

**ჭჯფე ხინჯი** „ვიწრო ხიდი“ – საცალფეხო ხიდი ინწირაზე, ხუნარემთან. აქვეა ფართო ხინჯიც (ჩქვალერი).

## – ს –

**ხაბარხა** – ლელე-ხეობა. იგივე **ლაბარხა** (კუხეში).

**ხაბომ წყარი** – წყარო. იგივე ქუამ წყურგილი (წყოუში). რესპ.: „ხაბო ჯოხოდ აკოპონილ ქუალეფს. ხაბო ტკილი ქუა რე“. აღ. ქობალია: „**ხაბო** – ფლატე; **ხაბა** – ხაბო, ხერგი“.

**ხაზალიამ ჯიხა** – ბორცვი ენგურის მარჯვ. ნაპირას, სამურზაყანოს საზღვართან. ბორცვზე შემორჩენილია ციხესიმაგრის ნანგრევები. რესპ.: „დადიანს აქ დაუსახლებია ხაზალიები და კვარაცხელიები. ამ გვარის მოსახლეთ ახლომახლო ამჟამად ვერ შეხვდებით“ (წყოუში).

**ხაიონა** – ტყე ლეკუკეში, ტებენეს მარჯვ. ნაპირას, ჟინეკვეს ქვემოთ (ფახულანი) ხაია ისლისნაირი მცენარეა (და არა თვით ისლი). იზრდება ჭაობში. საქონელი ეტანება მხოლოდ ზამთრობით. შდრ. ალ. ქობალია: „**ხაია** – ჭაობის ბალახი, ისლურა (იგივეა, რაც მაისირაია)“; ა. მათაშვილი: „**ისლი** – მეგრ. ხაია, მაისირაია“.

**ხაიონალალ(გ)//ხაიონალალ(გ)** – ვიწრო ხევი და ღელე, ტარჩიას მარჯვ. შენაკადი სამესხიო ენწერში (სამესხიო).

**ხაიონამ ნყურგილი** – წყარო ხაიონაში (ფახულანი).

**ხაკუციმ გინალეფი** – კლდე ფურაში (ხუდონის სატყეო). ხაკუცი პირსახელია. **გინალეფი** „გადანავარდნი“.

**ხანგუ** – 1. კლდე-ფერდობი სოფლის ცენტრში, ოლორის მარცხ. ნაპირას. მომწვანო-მოშავო ფერის კლდეა და წყალი მოჟონავს. რესპ.: „სადაც ხანგუა, იქ კლდეებს ფერს უცვლის ჩამონაჟონი წყალი“; „ხანგუ ჭრელი ნიადაგის სახელწოდებაა“; „ხანგუ ნიშნავს მწვანეს, კერძოდ, კლდეს, საიდანაც წყალი წვეთავს და ქვემოთ ტლაპოა“ (ფახულანი); 2. ჭანჭრობი ნაკიკუში, ჩაღრმავებულ ტაფობზე. წყალი ჩამონვეთავს კლდე-ფერდობიდან და ქმნის ჭანჭრობს (წყოუში). მეგრულის ლექსიკონებში **ხანგუ** არ ჩანს.

**ხანგუ//მენჯი** – ლენჭყობი, ბუჩქნარი ნაკიკუსა და გგნძეზენს შუა (წყოუში). რესპ.: „ხანგუ არის ჭრელი ტკილის (მერგელი) შემცველი მლაშე ქანი, რომელსაც, ჩვეულებრივ, ჟანგისფრად ღებავს მენჯი – ჩამონაჟონი წყალი“.

**ხაიონალალ(გ)** – ხევი და ღელე. იგივე **ხაიონალალ(გ)** (სამესხიო).

**ხარჩილამ რზენი** – სახნავი. იგივე **ჭალე** (ჯალირა).

**ხარახენი** – სახნავი. იგივე ხარხონი (ფუქი).

**ხარხა** – ქვიანი ფერდობი კანთში, ლაკადის ძირას (ლეთკანთი). რესპ.: „ხარხა ისეთი ადგილია, სადაც მინიდან წვეტიანი ქვებია ამოჩხირული“. შდრ.: **გეხარხე** – ბევრი რამ აწყვია უწესრიგოდ. იხ. ალ. ქობალია: „**ხარხა** – ხარხა, გრძელი ჭოკი; დაბრკოლება, წინაღობა; ახორხილი; ერთმანეთზე დაწყობილი მცირე ზომის მორები ან დიდი მორების ოთხად გაპობილი ნაჭრები; ხრიხალი, ალაყაფის კარის ნაცვლად გადებული ხეები...“ შდრ. ქართ. **ხარხა**.

**ხარხონი//ხარახენი** – სახნავი ნაზმაკოჩუში, ოტოფუეს მარცხ. მხარეს (ფუქი). რესპ.: „ხარხი მრგვალი ან ნაპობი ხეა ძელური ღობისათვის“. შდრ. ი. ყიფშიძე: „ხარხი – ძველებური მეგრული ღობე, ჯებირი, ანუ ორ მესერს შუა ჩალაგებული ხის ნაპობები, რაც ქმნის ერთგვარ ღობეს“. ალ. ქობალია: „**ხარახენი** – ხერხილი, ხარხა, ჯებირი, მესერი“. რესპ.: „ხარახენი ნაპობი ქვის ან მორის წყობით აგებული კიბეა“. რესპ.: „**ხარხი** – დაპობილი მორები ან მრგვალი ხეები ღობის გასამართავად“.

**ხასაიამ ფერდი** – ფერდობი ჯოგომ ღალის ზემო წელის მარჯვ. ნაპირას. ხასაიები ამ ფერდობზე ესახლნენ (წყოუში).

**ხაფანა** – ღელე-ნაკადული, ტარჩიას მარჯვ. შენაკადი გგნძე სამესხიოში. მოედინება ენრიდან და ქვა-კლდოვან კალაპოტში წყალი ჩხრიალით ეშვება (სამესხიო). ჩვენი აზრით: **ხაფანა** „წყლის ხუფხუფი, ხმამალალი დინება, ხაფხაფა, ჩქრიალა, ჩხრიალა“. რესპონდენტები: ა. „ათე ხაფანა ეშაგვარგვალანსე, ეშახაფაჩანსე დო მიხაფაჩე“; ბ. „წყარი მოხაფა-ლანს“. ორსავე შემთხვევაში სიტყვის ძირია „ხაფ“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ხაფალი** – მალალ ხმაზე სასიამოვნო ლაპარაკი“; ალ. ქობალია: „**ხაფალი** – ძლიერი დენა“; „**ხაფაჩა** – მხიარული, ხალისიანი, ლალი მოსაუბრე“. ხაფანას კალაპოტში მოიპოვებენ სალეს ქვებს. იტყვიან: „აბა მივშათ ხაფანაშა, ოლაშე ღალიშა ქუამ გგშაგორ(გ)შა“.

**ხაფული//ხაფულიმ ნოხორი//ხაფულიმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ლეჭატურეში, ბეჟამ ღალის მარცხ. ნაპირას. რესპ.: „ხაფული მამაკაცს ერქვა. აქ ცხოვრობდა, მერე ზუგდიდში გადასახლდა და ამჟამადაც ცოცხალია“ (პ. ენერი).

**ხაფულიმ ნოხორი** – ჩაის ფართობი. იგივე **ხაფული** (პ. ენერი).

**ხაფულიმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი. იგივე **ხაფული** (პ. ენერი).

**ხახამ კარე** – მცირე მინდორი ოხაჩქუეს აღმ. კალთაზე. ამ კარეში იდგა სატყეო მეურნეობის მუშა-მეკამეჩე ხახა სხულუხია (ჭალეს სატყეო).

**ხახოური//ხახუური** – ერქვა უბანს ლანჯიშში, ნოღურეილალის ორსავე ნაპირას, ცუნაკარსა და აბრაგიშ ნოცონს შუა (ფახულანი). ხახუ პირსახელია. **-ურ** სუფიქსი გამოხატავს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ადგილი წარსულში. მაშასადამე: ხახუური „ხახუსეული“.

**ხახუური** – ერქვა უბანს. იგივე **ხახოური** (ფახულანი).

**ხახუმ მამულონი** – თხმელნარი ფერდობი. იგივე **კვპამ მამული** (ფახულანი).

**ხახუმ ნოხორი** – ტყე ლეფიფიეში, წარსის ფერდობზე (კუხეში).

**ხახ(უ)შოცუნე** „ხახუს საყანე“ – ტყე-ხეობა მაგანას მარცხ. ნაპირას, ლექარდეს ჩრდ.-აღმ-ით (ჯვარის სატყეო).

**ხახუმ რობუ** – ხევი-ღელე, წკვიბლალის შენაკადი. მოედინება ცხვაცხვისუკიდან. ხახუ ღვინჯილიას ამ ხევი შქონია ყანა (ლეჯოლიხე).

**ხახშოცუნე** – ტყე-ხეობა. იგივე ხახ(უ)შოცუნე (ჯვარის სატყეო).

**ხახშოცუნემ ლალ** – ღელე, მაგანას მარცხ. შენაკადი. მოედინება ხახ(უ)შოცუნედან (ჯვარის სატყეო).

**ხეკარა//ფარნამ ხეკარა** – ტყე-საძოვარი ლიას საზღვართან, ქყონაში (პ. ენერი). ფარნა ბერიშვილს აქ შქონია **ხეკარა** – საქონლისათვის (ძირითადად თხისათვის) შემოღობილ-შემოკავებული ადგილი. სიტყვა მომდინარეობს აფხაზური **ახკარა**-საგან. ო. ქაჯაია: „**ხეკარა, ხეკარა** – თხის სადგომი ბაკი“. იხ. აგრეთვე: ახეკრა.

**ხენაგუ** – რიყე, ფერდობი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას (ლესალე). ზოგნი „ხენაგუში“ მიმდებარე დასახლებულ ბორცვსაც გულისხმობენ. მოტივაცია რესპონდენტთათვის უცნობია. სიტყვას ვერც მეგრულის ლექსიკონებში შეხვდებით.

**ხენნ(კ)ერი** – ტყე, უბანი ოჯოლორელალის მარჯვ. მხარეს, ყარასა და ჯათუნაკარუს შუა (ფახულანი). რესპ.: „ხენნკერი თავდაპირველად ერქვა მაღალ კლდეში ვიწროდ შეჭრილ ვაკე-ხევს“; „ხენნკერი საერთოდ არის სერის ვიწრო ზურგი, თხემი“. აღ. ქობალია: „**ხენნკელი** – მეოხი, ხელგანპყრობილი (მაცხოვრის ეპითეტი); მწყალობელი, ხელის გამმართავი, ხელუხვი, ხელშეწყობილი; ხელსამარჯვი, ხელსანყო“.

**ხემ ობონუე** „ხელსაბანი“ – ღელე სოფლის ცენტრში (ჯგალი).

**ხეციეფიმ ნოხორი** – ტყე-ბუჩქნარი ლეფაკილესა და ლიარსანეს შესართავთან. ხეცია გვარსახელია (ნალენჯიხა).

**ხვალახე ქყონი** „ეული მუხა“ – 1. ჩაის ფართობი. იგივე **ქყონი** (პ. ენერი); 2. **ერთადერთი მუხა**. იგივე. **ქყონი//ქყონიმ ფართობი** (ნაკიფუ).

**ხვამცონი** ( ხვამცა „დეკა“) – ხევი ქოქის კალთაზე, რაც ეგრისის ქედზეა (მაგანას სატყეო). მეგრ. **ხვამცა, ხვანცა** იგივეა, რაც ქართული **დეკა** (ა. მაცაშვილი). შდრ. აღ. ქობალია: „**ხვამცა** – სახმილი, ცეცხლის გასაჩაღებელი ხმელი ნაფოტი ან ქერქი...“; „**ხვანცა** – დეკა, სახმილი“. რესპ.: „ხვამცა შქერისნაირი ბუჩქია, წვრილი და გრძელი ფოთლები აქვს“. სვანეთის ტერიტორიაზე არსებული სუბალპური საძოვრის სახელი ხვამცონი მეგრულ მწყემსთა მიერაა დარქმეული (ჭკადუა, 1974, გვ. 188).

**ხველაშია//ხველაშიათფე** – მინდორი ჯიქირას ზემოთ, მთის გზაზე, ენგურის მარჯვ. მხარეს (ხუდონის სატყეო). რესპ.: „ხველაშია, ანუ ბეჟე, არის თხმელის მორი ამოთლილი, რომელშიც საჭმელს უყრიან ღორს, ძაღლს“. ხველაშია წისქვილის ნაწილიცაა (დოლაბში მარცვლის სადენი ღარი); ო. ქაჯაია: „**თიფი** – თივა, თივის ზვინი... **თიფუ** – თეო; თივა, ბალახი; **თფე** – ღამით საქონლის სადგომი (გასაჩერებელი) ადგილი“; აღ. ქობალია: „**თიფე//თიფუ; თიფი** – თივა; საქონლის სადგომი, თავშესაყრელი; ბალახი საზოგადოდ, კონდარზე იტყვიან (იგივეა, რაც თიფუ); **თიფუ** – მწყემსების ბინა, საქონლის სადგომი, ბაკი“; იგივე ლექსიკოგრაფი განმარტავს: „**ხველაშია** – საკაკლე კრიჭა“ (წისქვილისა); ო. ქაჯაია: „ხველაშია – წისქვილის ნაწილი, საკაკლო, პატარა ღარი, კრიჭა“. რესპ.: „ათაქი ოშია ვორექ გინაბარგინა ორინჯამო“.

**ხვითერი** – ვაკე, უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას (ნაკიფუ) და გვერდით მდებარე ტყე-ხეობა, სადაც გადის ჯურუმღალ(გ) (ჯალირა). რესპ.: „გველი იცოდა და ხვითოს (ე.ი. ჯადოს) დებდაო თითქოს“; „ლამაზი ადგილია, უხვმოსავლიანი, კარგი სასიმინდე ადგილი იყო, ხვავიანი. ამიტომ დარქმევია“. ხვითო შესაძლოა მეტაფორულად ადამიანსაც დარქმე-



ოდა. ამ შემთხვევაში -ერ სუფიქსს დაეკისრებოდა კუთვნილების გამოხატვის ფუნქცია. რესპ. არტე ქებურია (84 წ.): „ხვითერი სინამდვილეს რე კინესქურიმ კვარჩხან მხარეს. დიდი ღალი რე თენა, ოჩაიეშა ონჭჳ, რობუ რე დო ტყა, წიფრონა. თექი თიჯგურა ჭუბურს ქემობჭიშაფუქჳ, ათაქი ტყა ჩანსგნ თეში მასქათ გგთოძგდგ, ოტორონჯე ღალიშ იშო რე, წენწყარს ხვითერი მა ვაგამგონებუ“; სხვა რესპ.: „ხვითერი წალენჯიხის საზღვართანაა. ტიოზი რზენი იყო, სახნავი უხვმოსავლიანი. ამიტომ დარქმევიან“; რესპ.: **ხვითერი უკავშირდება სიტყვას ხვე** („ხვავი, ბარაქა“), რადგანაც **კარგი სასიმიინდეა და უხვი მოსავალი იცის**“. ს.-საბა: „ხუთო – ქვა გესლთმკურნალი“; ი. ყიფშიძე: „ხვითო – ძვირფასი ქვა, რომელსაც, ხალხის რწმენით, დებს გველი“. იხ. **ხვითო** ალ. ქობალიას ლექსიკონში.

**ხვიმალონა** „ხურმნარი“ – 1. ტყე-ფერდობი ლაკადას ფერდობზე, კანთის უბანში (ლეთკანთი). 2. ბუჩქნარი. იგივე **ხვიმონა** (ჭალე); 3. ფერდობი. იგივე **ხვიმონი** (ქალაღალი).

**ხვიმალონი** – კლდე-ფერდობი. იგივე **ხვიმარონი** (ნაგურუ); 2. ტყე. იგივე **ხვიმონა** (ჭალე).

**ხვიმანა** – ტყე-ფერდობი უჩა გოთეს სამხრ-ით. ტყეში მრავლადაა ხვიმა „ხურმა“ (ფახულანი). მამასადაამე: ხვიმალონა ხვიმანა. ამოვარდა ლო-.

**ხვიმარონი//ხვიმალონი** – საბალახო ფერდობი ლეხვიჩეში (ნაგურუ).

**ხვიმონა** „ხურმნარი“ — ბუჩქნარი ლაკადას ძირას, ნაშენის გვერდით (ნაგურუ).

**ხვიმონა//ხვიმალონა** ( ხვიმა „ხურმა“) – ტყე ღელოში, სადაც ხარობს ველური (წვრილი) ხურმა (ჭალე).

**ხვიმონი//ხვიმალონი** – ფერდობი ქალაღალის მარცხ. მხარეს (ქალაღალი).

**ხვიმრობა** ( ხვიმამ რობა „ხურმის ხევი“) – ტყე-ხეობა ენგურსა და წგფეშს შუა. ფერდობზე ხურმა ხარობს (მაგანას სატყეო).

**ხვიჩაშ წყურგილი** – წყარო, ჭანჭრობი ლეკიკიეში, დაფერდებაზე. უჩა ღალის სათავეა. ხვიჩა სამუშია სწორედ ამ წყაროს უვლიდა (პალური).

**ხვიჩეფიშ ნადიხგ//ხვიჩეფიშ რზენი** — სახნავი, თუთნარი ინწირას ორივე ნაპირას, ლესალეს უბანში. მიწა ეკუთვნოდა ხვიჩავებს (კუხეში, ნაგურუ).

**ხვიჩეფიშ ნაკაკა** – ტყე-საძოვარი. იგივე ძგგრონა (ნაგურუ, სქურის სატყეო).

**ხვიჩეფიშ რზენი** — სახნავი, თუთნარი. იგივე ხვიჩეფიშ ნადიხ (კუხეში ნაგურუ).

**ხვიჩიეფიშ ტომბა//კოლიაშ ტომბა** – მორევი ოორეღალზე, ლეფიფიეში. რესპ.: „ხვიჩიები ამ ღელის ნაპირას ცხოვრობდნენ. კოლიაც გვარად ხვიჩიაა, ხოლო კოლიაშ ტომბა 30-ოდე წლის წინათ დაერქვა“ (პ. ენერი).

**ხი(ი)ლი** – მინდორი ბარხაში, კლდის ძირას (ლექამუგე). **ხუალა** „რღვევა, ჩამორღვევა; (ჩამო)შლა“ **ხი(ი)ლი** (ხიირი, ხეირი, ხეილი) „ჩამორღვეული, ჩამოფლატული“, როგორც ლანდშაფტური ტერმინი, აღნიშნავს ჩამოშპიშვლებულ კლდეს. ო. ქაჯაია: „**ხიირი** – (და)რღვეული“.

**ხილიაშ გი(ლ)ნალურა** „სადაც ხილია მოკვდა“ – მინდორი ჟინრზენში, სადაც ხილია ქუხილავა გარდაცვლილა (ჯვარის სატყეო).

**ხინდა** – ბუჩქნარი, ფერდობი ჯალრალალის მარცხ. ნაპირას, სარაქონის საზღვართან (ჯალღირა). რესპ.: „**ხინდა**, ხინდი არის ფრიალო, ხრამი, საერთოდ, დიდი დაქანების კლდე, ფერდობი, სადაც კაცი ვერ ავა“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ხინდა** – ჭუჭყი“; ალ. ქობალია: „**ხინდა**, **ხგნდა** – ხინჯი, წიდა, რიოში, მწვირე, გამოქვაბულები, ხვრელები კლდეში“.

**ხინჯიგოჭკადილი** – ხიდი. იხ. **გოჭკადილი** (საჩინო). შდრ. ბოგილი.

**ხინჯიშთუდო** „ხიდისქვევით“ – სახნავი რეყეში (ფახულანი). შდრ. აქვე თანდებულთვე ნაწარმოები აგრონომი **მარანიშ უკახალე**.

**ხირგიში** – ტყე-საძოვარი. იგივე **ხვრგეში** (ჭალეს სატყეო).

**ხობანელალ(გ)** – ღელე, ენგურის მარჯვ. შენაკადი. იხ. ხობანი (ხუდონის სატყეო).

**ხობანი** – ტყე-ხეობა, სადაც გაედინება **ხობანელალ** – ენგურის მარჯვ. შენაკადი ფურაშში. იწყება ნაბორძალში. გადმოცემით, ამ ხეობაში, უცხერაშთან, მოუკლავთ არამ-ხუტუ (ხუდონის სატყეო). რესპ.: „ხობა არის ძალზე დაქანებული კლდე-ფერდობი, ციცა-

ბო“; „ხოზა ჰგავს ხაბოს, ჩამომეწყრილია და ძნელი ასასვლელ-ჩასასვლელი“. მეგრულის ლექსიკონებში ლექსემა **ხოზა** არ ჩანს, თუმცა „ხოფა, ხოფი – ჩაღრმავებული, ღრმა, ჩავარდნილი ადგილები... **ხოპა** – ჩაღრმავება“ (ალ. ქობალია).

**ხოზონი** – ტყე-ხევი. უჩა წყეიონას (იხ.) იშვიათი ვარიანტი. „**ხოზი** – შქერი, იელის-ნაირი მარადმწვანე ბუჩქი“; „**ხოზი** გარეული შქერის სახეობა“ (ქობალია, სამუშია). (ფა-ხულანი).

**ხოკო** – ერქვა უბანს ხუდონში, ნულიშა და თეკანაშს შუა. ამჟამად კი ეწოდება კლდე-ფერდობებს (მაგანას სატყეო). **ხოკო**, როგორც საზოგადო სახელი, აღნიშნავს ხოკე-რა გოგრასაც და თავის ქალასაც, მაგრამ ამ ტოპონიმის წარმომავლობასთან დასახელებული სიტყვების კავშირი გაურკვეველია. თუმცა ხოკო შეიძლება დარქმეოდა კლდეს სიმკვრივის ან სიგლუვის გამო. შდრ. ალ. ქობალია: „**ხოკო** – თავის ქალა, თავრიელა; ხოკე-რის ბაკანი; ხოკერა გოგრა; ფუფხა (იარისა); **ხოკორია** – თავის ქალა; ხოტორა; გახიკინებული; მეჭეჭიანი; ხოკერა გოგრა“. ო. ქაჯაიას განმარტებანი: 1. „**ხოკო** – ხოკერა გოგრა; 2. **ხოკო** – ქალა“.

**ხორონი** – 1. ტყე-საძოვარი ხორგონწყარის სათავესთან, შაქასა და ნაჯარგვალს შუა (ჯვარის სატყეო); 2. მორევი ინწირაზე, ლეაბრალეში. წყალში დიდრონი ქვები ყრია (ნაგურუ) და სხვ. ხორგო არის: ა. ლოდი, ლოდნარი; ბ. ერთ ადგილას დახვავებული ქვები ან ხეები; გ. ყორე, ქვის წყობით ამოშენებული ტერასა; დ. სასაზღვრო ქვის გროვა; ე. თევზის შესაპყრობი ხერგილი მდინარეში... საერთო-ქართველურმა **\*ხარგ-** ფუძემ ქართულში მოგვცა ხერგ-ი, ხოლო მეგრულში – ხორგ-ი. ს.-საბა: „ხორგი წყალთყინული, დიდი მონატეხი“; დ. ჩუბინაშვილი: „**ხორგი, ხორდი** – დიდი ყინულის ნაჭერი, “, თითქმის ამასვე იმეორებს ი. ყიფშიძეც. შდრ. ო. ქაჯაია: „**ხორგი, ხურგი** – 1. საზღვარი; დახერგილი რამ (მაგ.: ქვა, ხე...) საზღვრად გამოყენებული; 2. ხის ან ქვის ღობე; ქვა-ლორღის ზვინი, ხერგი; 3. „საგანგებო ხერგილი მდინარეში თევზის დასაჭერად“. ადგილობრივთა განმარტება: „ხორონი ქვა-ლოდიანი ადგილის საერთო სახელია“. იხ. აგრეთვე ალ. ქობალია: „**ხორონი** – ხერგებიანი, მთიანი ადგილი, გოხნარი, ხრიოკი“.

**ხორონია** – მინდორი მაგანას მარცხ. ნაპირას, სადაც ფერდობიდან ჩამონაცვენი დიდრონი ქვა-ლოდი ყრია (ლექარდე).

**ხორონწყარი** – ღელე, ჯალარას ერთ-ერთი მდგენელი. იხ. წყავაშალა (მაგანას სატყეო).

**ხოროხი** – კლდოვანი მთა ენგურის მარჯვ. მხარეს. ამის ქვემოთ ეწერია, ხოლო ეწერს ქვემოთ – ფოცხოენერი (ჭალე). **ხოროხი, ხორხო** არის ქვიანი ადგილი (მეგრულში ხორხ-სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა „ხერხი“).

**ხობერალა** – ენგურის მარცხ. შენაკადი ნასოფლარ ხობერთან. იწყება ქვაბში (მაგანას სატყეო). -ალა ჰიდროფორმანტია: ადგილის სახელიდან აწარმოებს მდინარის სახელს.

**ხობერი** – ნასოფლარი ენგურის მარცხ. მხარეს. ესაზღვრება ბარჯაშს (სვანეთი). იყოფოდა: ჟინი ხობერი, თუდონი ხობერი. 1930 წლის „დაყოფის“ თანახმად, სოფელი ხობერი შედიოდა ხუდონის სას. საბჭოში (მაგანას სატყეო).

**ხობულიაშ სუკი//სახობულიოშ სუკი** – ბორცვი კანთის დას. ნაწილში, სახობულიოში (ლეთკანთი).

**ხობულიაშ ღალ(გ)** – ღელე ლეხობულეში, ძანძელის ზემო წელი (ლესალე).

**ხობუტიაშ სუკი** – სერი ლეხობუტეში. რა თქმა უნდა, სახელი დარქმევიან სხვაუბნელების მიერ (ლემამუგე).

**ხოდონი** (არაოფიციალური ვარიანტი: ხუჯონი) – ერქვა სოფელს ენგურის ხეობაში, ჯვარიდან 4-5 კმ-ზე, სვანეთის საზღვართან (ხუდონის სატყეო). წერილობით წყაროში პირველად მოიხსენიება 1639 წელს: რუსი ელჩების – ელჩინისა და ზახარიევის – „დადიანის ქვეყანაში“ ყოფნისა და საქმიანობის აღწერაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც გადმოლახეს მაღალი თოვლიანი მთები და გამოიარეს სვანეთი, 13 ნოემბერს მოაღწიეს სოფელ ხუდონს (იხ. ელჩობა, გვ.: 318, 340).

XIX ს. შუა წლებში (დავით დადიანის მთავრობის დროიდან) ხუდონი შედიოდა ჯვარის მაზრაში. 1886 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მასალებში ( , 1893) ხუდონი არ ჩანს. საბჭოთა საქართველოს პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (გამოცა 1930 წ.) ცნობარის მიხედვით, სოფელი ხუდონი შედის წალენჯიხის რ-ნის ჯვარის სას. საბჭოში (109 კომლი, 601 სული). შემდგომში შეიქმნა ხუდონის სას. საბჭო (ცენტრი სოფ. ხუდონი. სოფლები: ფურაში, წყავაში, ლეფიე, ხუბერი), რომლის ტერიტორიაზეც 1948 წელს მკვიდრობდა 249 კომლი (მათგან ხუდონში 100 კომლი). 1949-1950 წლებში ეს სოფლები დაცარიელდა და ნასოფლარებად იქცა. ამჟამად სოფ. ხუდონის ძირითადი ნაწილი მოქცეულია ჯვარის წყალსაცავის ფსკერზე (მაგანას სატყეო). გადმოცემით, ხუდონი თავდაპირველად ერქვა ენგურისპირა დავაკებას სოფლის ცენტრში. სახელწოდება ხუდონი ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს მინის სახეობასთან: ქვემო სამეგრელოში **ხუდონდისა** მინაა ერთგვარი. ყოველი შემთხვევისათვის, აღვნიშნავთ, რომ ზოგი მკვლევრის აზრით, ტოპონიმებში ხუ-დონი, ხუ-ბერი, ხუ-მათია, მა-ხუ-სანია... გამოიყოფა **ხუ**, რაც **ხევ-ხევს ნიშნავს** (სამუშია, 1990, გვ. 130). ხუდონის წარმომავლობა-ეტიმოლოგიაზე ასეთი „მოსაზრებაცაა“ გამოთქმული: „**ხუდონი** – ალანური სიტყვაა და ღორის ქალას ნიშნავს“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 253). მაგრამ როგორ მოხვდა ალანური ენობრივი ელემენტი სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე? თ. მიბჩუანი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ხუდონი ალანური სიტყვაა და ღორის ქალას აღნიშნავს (მიბჩუანი, 1989, გვ. 253).

დაბოლოს, როგორც დ. ჭითანავა აღნიშნავს, ხელოვნებათმცოდნე მ. აბაშიძე თვლის, რომ „ხუდონის ორსართულიანი კოშკი“ მდ. მაგანას ხეობაში მდებარეობს, ნასოფლარ ხუდონში (ჭითანავა, 2010, გვ. 373). სინამდვილეში **ხუდონი** ენგურის ხეობის სოფელი იყო (და არა მაგანას ხეობისა), ხოლო ამჟამად ენგურჰესის წყალსაცავის ფსკერზეა მოქცეული. თ. მიბჩუანის მოსაზრებით, ხუდონი ალანური სიტყვაა და ღორის ქალას აღნიშნავს (მიბჩუანი, 1989, გვ. 253). (???)

**ხუთი ჯიმა ქუა** – წყარო და მინდორი. იგივე **ოთხი ჯიმა ქუა** (სქურის სატყეო).

**ხულორდამ სუკი** – ბორცვი ინგრას მარცხ. ნაპირას, ნაბირთუს ზემოთ. აქ ესახლა სოლომონ ხულორდავა (საჩინო).

**ხულორდეფიმ ნისქვილი** – ნისქვილი ლეხულორდეში, ოჩჩელალის სათავესთან (საჩინო).

**ხულ(ო)ური//ხულუური** – ნასოფლარი სამურზაყანოს საზღვართან, ტებენესა და ერისწყალს შუა, ერთიშუი. 1949 წელს მთელი სოფელი გადაასახლეს აფხაზეთში. შემდგომ აქ იყო მუშათა დასახლება (ერისწყალი, ტებენესა და ერისწყალს შუა). შდრ.: **ხულა** „ბედელი; მარცვლის შესანახი ძელური ნაგებობა, ქოხი“; ხული „მხალი“. რესპ.: „ხულუური მცირე დაქანებული ზეგანია. აქ იყო საძოვარიც და ნიფლნარიც“ (ფახულანი).

**ხულ(ო)უცვა** – ტყე-ფერდობი ხულოურის თავზე, ტებენესა და ერისწყლის სათავეებს შუა (ფახულანი). სავარაუდოა: ხულ(ო)უცვა ხულოურიმ ცვა „ხულოურის შუბლი“. აქ ერთგან შუბლივით ჩამოჭრილი პიტალო კლდეა. მაშასადამე, ცვა „შუბლი“ სიტყვა ოროგრაფიული ნომენადაა ქცეული. აქვე ფართო მონდორს დარქმევია **ტრაბზონი**. რესპ. ა. გოგონია: „**ტრაბზონი** საერთოდ დიდი და ფართო მინდორია“. შდრ. აღ. ლლონტი: „ხელურცვა – საძ. ფახულანში“.

**ხულუური** – ნასოფლარი. იგივე ხულ(ო)ური (ფახულანი).

**ხუმათია** – სერი, უბანი გუჩარას მარჯვ. მხარეს, ზემო ტერასას ეწოდება **ჟინი ხუმათია**, ქვემოს – **თუდონი ხუმათია** (ჭალე, მუჟავა). აღ. ქობალია: „**ხუმათია** – ხმოვანი; ბუ-ხუნა; ხმაურიანი ადგილი“.

**ხუმლა ნოხორი** – ტყე-ფერდობი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, საკალანდიოში (წალენჯიხა). **ხუმლა** „მშრალი, გამხმარი, უწყლო“.

**ხუმლა სუკი** – 1. სერი სამართალასა და ლაჩახვას შუა. აქაურ მცხოვრებთ ეწოდებათ **ხუმლასუკარეფი** (ფუქი); 2. ბორცვი ჯამპონალალის მარჯვ. მხარეს (მაზანდარა) და სხვ. „ხუმლა“ ასეთ შემთხვევაში მწირ ან უწყლო ადგილს აღნიშნავს.

**ხუმ(ლა)სქურდილა** – ღელე, ხეობა. იგივე **ს(ქ)ურხუმლა//სქურხუმილა** (ნალენჯი-ბა, ობუჯი).

**ხუმლა ღალ(გ)** „მშრალღელე“ – 1. ენგურის მარჯვ. შენაკადი ქვედა ჭველეში. წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე დის (ჭველე); 2. ხევი. ინწირას მარცხ. შენაკადი. წყალი მხოლოდ წვიმისას ჩამოედინება ქუანწყიდან (ჩქვალერი, ნაგურუ); 3. ღელე, ჭანისწყლის შენაკადი. ზაფხულობით მთლიანად შრება (ჯგალი); 4. ღელე, ზაკალონღალის შენაკადი (მაზანდარა); 5. ღელე. იგივე **სუხუმლა** (ჩქვალერი); 6. ღელე და ხეობა ნაბირთუში (საჩინო); 7. ენგურის შენაკადი ლაყორიასთან. სათავეს იღებს წყაროდან, რაც ზაფხულში შრება (ჭალე); 8. ჭანისწყლის შენაკადი. გამოივლის სოფლის ცენტრს (ჯგალი) და სხვ. მრ.

**ხუმლაღალ(გ)//ნაფატულალ(გ)** – მოკლე ღელე საარონიოში. ოლორის მარჯვ. შენაკადი. იკვებება გამონაჟონი წყლით და ზაფხულობით შრება. გაედინება ნაფატუში (ნაშამ-გუ).

**ხუმლა ღალ(გ)//უთუთიაშ ღალ(გ)//ჭითაღალ(გ)** – ღელე. სათავე აქვს ოჭკემის მადლობზე და ერთვის ენგურს (ჭალე). რესპ.: „ხუმლა ღალ და უთუთიაშ ღალ ღელის ზემო წელს ეწოდება (უთუთია შონია მადლობზე ცხოვრობს, ღელის სათავესთან), მაგრამ ქვემო წელზე წყალი წითელი („ჭითა“) ფერისაა (გაივლის წითელნიადაგან ქანებს) და ამიტომ ჭითაღალიც დარქმევია“. ამ სოფელში კიდევ ორგანაა ხუმლაღალე.

**ხუნარეში//ქუნარეში** – ტყე-ტაფობი ინწირას მარცხ. მხარეს, ფართო ხინჯსა და ჭფე ხინჯს შუა (ჩქვალერი). შდრ. სვან.: ქუნარეშ „სულთა კვირა“ (შდრ.: აკ. ჭანტურიას რუკაზე: „**თუნარეში** – კინჩხაღალისა და მის მარჯვ. შენაკადს შუა“).

**ხუნაშდუდი//ნანისქვილ(გ)** – მორევი ჭანისწყალზე, სადაც იყო არხის სათავე-ნაგებობა. იგი იკეტებოდა რაბით (ჯგალი). რესპ.: „ხუნაშდუდი ეწოდება ნაგებობას, რაბს, საგუბარს, რომლითაც სანისქვილე არხი გამოეყოფა მდინარეს და იკეტება ხოპით“. **ხუნ** სვანური სიტყვაა: „**ხუნ** – დიდი, მრგვალი ქვები. საძირკვლის ის ნაწილი, რაც მინაშია“ (ვ. ლიპარტელიანი); „**ხუნ** – საძირკველი, საფუძველი, ბალავარი“ (ვ. თოფურია); „**ხუნა** – წისქვილის სათავესთან მთავარ წყალსა და გადმოგდებულს შორის ჩასაკეტი რაბი“ (ო. ქაჯაია). მ. ჩუხუას ვარაუდით, მეგრული ხუნ შეესატყვისება სვანურ **ხუნან**-ს. შდრ. ხუნ-ევი.

**ხუნჯგუში** – ტყე-ხევი სქურჩას მარჯვ. მხარეს, უბადომიკოლსა და ოირემეს შუა (ნაკიფუ). რესპ.: „ხუნჯგი დიდი ნადირის დასაჭერი რკინის მახეა. ხოლო ხუნდგი ხუნდია, ე.ი. ფეხის ბორკილი: ესაა ქვა ან ფიცარი, რომელსაც შუაში აქვს ნახვრეტი დასჯილის ფეხის ჩასაყოფად და შესაკრავად“. ო. ქაჯაია: „**ხუნდი//ხუნჯი//ხუნჯგი** – ხუნდი, რკინის ხაფანგი“ (ეყრდნობა ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით გამოცემულ „მასალებს“...). შდრ. ალ. ქობალიასეული განმარტება. **ხუნჯგუ** მეტსახელიცაა (დიდთავა, უშნოდ გაკრეჭილი). შესაძლებელია, ხუნჯგუა გვარსახელიც ყოფილიყო.

**ხუნჯგუშღალ(გ)** – ღელე. იგივე **ხუნჯგუშწყარი** (ნაკიფუ, ულურია).

**ხუნჯგუშწყარი//ხუნჯგუშღალ(გ)** – ღელე. სათავეს იღებს ხუნჯგუშში (ნაკიფუ, ულურია).

**ხურგონა** – მორევი ჭანისწყალზე. წყალში დიდრონი ქვები ყრია (ლექაკულე). ხორგი „ლოდების გროვა, ყორე; საზღვარი“. შდრ. ო. ქაჯაია: „**ხურგი, ხორგი** – ზღვარი, მიჯნა, საზღვარი“; ალ. ქობალია: „**ხორგი, ხურგი** – გორა, გროვა (რისამე). ხერგილი, ზღვარი, მიჯნა; უკიროდ, მშრალად ნაგები ყორე-კედელი“.

**ხურჩა** ( ხურუ უჩა „შავი ხურუ“) – 1. ლარანყარის მარჯვ. შენაკადი და მისი ხეობა. ჩამოედინება ბოგაშის კალთებიდან. რესპ.: „მიხურჩინგ დო იძახე ხურჩი... ხურჩი... ხურჩა ამიტომ დარქმევია“ (ნაგურუ, კუხეში, ლარა); 2. ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მოედინება ხურჩაშდუდიდან (სქურის სატყეო). **ხურუ** არის კლდის, მთის კალთის ძირას მიმწყვდეული ვაკე, დუბე; მიდამოს კუთხე, წვეტი, რომელიც შეჭრილია კლდეში, ფერდობში; ვაკე-ხევი, თაროსებური დავაკება მთის კალთაზე. ალ. ქობალია: „**ხურუ** – ხეობა; ბნელი და გაუვალი ადგილი; ხურო“. იქნებ: ქართ. მ-ხარ-ე : მეგრ. \*ხორ ხურ-უ. მ. ჩუხუას მოსაზრებით, მეგრ. **ხურუ** ქართ. **ხურელს** შეესატყვისება.

**ხურჩაპიჯი** – ქვაენარი მინდორი ლეხვიჩეში, ხურჩას ნაპირას (სქურის სატყეო).

**ხურჩაშდუდი** – ტყე-ფერდობები ხურჩას სათავესთან (სქურის სატყეო).

**ხურჩაშ ნისქვილი** – ნანისქვილარი. იგივე **ჭყოლოშ ნისქვილი** (ნაგურუ).

**ხურჩაშ წყურგილი** – წყარო. იგივე **წყურგილი** (ნაგურუ, ჩქვალერი).

**ხურცილამ ცუდემ ნოხ(ი)ლენი** – ჩაის ფართობი ლეძაძამეში (პ. ენერი).

**ხურცულა//ხურცულამ სუკი** – ბორცვი თოსქვამიას სათავესთან (ჭალე). ხურცულა ხურცილავას ვარიანტია. ამჟამად აქ არ ცხოვრობენ.

**ხურცულამ ნოხორი** – ნასახლარი ხურცულამ სუკზე (ჭალე).

**ხურცულამ სუკი** – ბორცვი. იგივე **ხურცულა** (ჭალე).

**ხურცულამ წყურგილი** – წყარო. იგივე **თოსქვამია** (ჭალე).

**ხუსენიმ დუქანი** – ძველი ნადუქნევი ქალაქის ცენტრის სამხრეთით, ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს. XIX ს-ის დამდეგს აქ დუქანი ჰქონია თურქ ხუსენს (ნალენჯიხა).

**ხუტამ ნაკარ(უ)** – დავაკება დიდ ეკობონში, სადაც ხე-ტყის დამამზადებელ ხუტა ფიფიას ჰქონია „კარე“ – სადგომი მუშებისათვის (ჭალეს სატყეო).

**ხუტამ ნასორ(გ)** – შურო დიდ ეკობონში. სიგრძე 6-7 კმ (ჭალეს სატყეო). რესპ.: „მუ-ჟაველ ხუტა ფიფიას ამ შუროთი ჩამოჰქონდა ხე-ტყე ხუტამ ნაკარიდან ჩვინარემდე. მაშინ ერქვა **ხუტამ სორო** (ე.ი. ხუტას შურო), ახლა კი ხუტამ ნასორ ეწოდება“.

**ხუტამ სორო** – ერქვა შუროს. იხ. ხუტამ ნასორ(გ) (ჭალეს სატყეო).

**ხგრგეში** – ფერდობი საარქანოს ჩრდ. ნაწილში, ლაჩიდას სათავესთან (მუჟავა).

**ხუფაია** – ლელე, ენგურის მარცხ. შენაკადი (პალური, ლია). შდრ. **ხუფინა**.

**ხუფინა** – წყარო-ნაკადული, ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი. ხუფხუფით გადმოჩხრია-ლებს კლდისქვეშა მღვიმიდან (ობუჯი). **ხუფინა** – ხუფხუფა; წყლის დინების ყრუ და წყნარი ხმა, ხუილი, ხუფხუფი . ო. ქაჯაია: „**ხუფინი** – წყლის დინების ყრუ და წყნარი ხმიანობა“; ალ. ქობალია: „**ხუფინა** – ხაფხაფა, ხუფხუფა (წყარო)“. რესპ.: „წყარი მიხუფინგ, ე.ი. დინე-ბისას ისმის ხუფ... ხუფ...“

**ხუფინაშდუდი** – მიკროუბანი ხუფინას სათავესთან. აქ ცხოვრობს კაკაჩიების რამდენიმე კომლი (ობუჯი).

**ხუჯმაჭყონი** ( ხუთი ჯიმა ჭყონი „ხუთი ძმა მუხა“) – ბორცვი ტყე-ბუჩქნარით ორ-წყანდესა და ხუნჯგუშს შუა, ნაგვაჯუს ჩრდ-ით (ნაკიფუ). რესპ.: „ძველ დროში აქ ერთი ძი-რიდან ამოსული 5 მუხა მდგარა“. მაშასადამე: „**ხუთი ჯიმა ჭყონი**“ („ხუთი ძმა მუხა“) ხუთჯიმა ჭყონი ხუჯმაჭყონი“.

**ხუჯონი** — ოიკონიმ „ხუდონის“ იშვიათი ადგილობრივი ვარიანტი (იხ. ხუდონი წიგნის მეორე ნაწილში). 1880 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ „მეგრულის ეტიუდებში“ დ ჯ (რაგადი „საუბარი“ რაგაჯი, უბედური უბეჯური...) არასისტემური ფონეტიკური პროცესის საფუძველზე ი. ცაგარელმა მეგრული ენის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ (დასავლურ) დიალექტში გამოჰყო **ჯვარული თქმა...** სამი ათეული წლის შემდეგ კი ი. ყიფშიძე, რომელმაც ჯვარში გაატარა რამდენიმე კვირა, დაასკვნა, რომ დ ჯ არასისტემური ფონეტიკური პროცესის საფუძველზე ჯვარული თქმის გამოყოფა უსაფუძვლო იყო (იხ. დანვრილებით: მლა, გვ. 31-32). ცრუ ხალხური ეტიმოლოგია: „გორა ოხვამეგას იქით და აქეთ კალთები ხურჯინივით აქვს გადაკიდებული. ამიტომ დარქმევია ხურჯონი და არა ხუჯონი“.

**ხუჯ(უ)ლური** – ტყე-ხეობა საფიფიოში, ლაფთარას სათავესთან. ერთვის ხუფინას მარცხ. მხრიდან (ობუჯი). ალ. ქობალია: „**ხუჯულია** – მსხვილი, უკისრო, მხრებში თავჩარ-გული სიმსუქნისაგან“. ჩვენი აზრით: ხუჯული (მეტსახელი) ხუჯულური „ხუჯულის კუთვნილი“.

**ხბილი** – კლდე-ლოდებიანი მთა, ეგრისის ქედის სამხრ. განშტოება წისქვილარას სათავესთან. აქედან გაედინება **ხბილწყარი** – მაგანას მარჯვ. შენაკადი (სქურის სატყეო, მაგანას სატყეო). **ხბუა, ხიბუა** „რაიმეს აგება ქვის მშრალი წყობით“ ხბილი, ხიბილი „ქვა-ლოდებისაგან აგებული სადგომი ან ღობე-ყორე“. ო. ქაჯაია: „**ხბილი, ხიბილი** – ქვის ღობე, ყორე“; ალ. ქობალია: „**ხიბილი** – ხერგილი, ყორე, ზღუდე, წინაღობა...“

**ხბილიმ კარე** – მწყემსის სადგომი ხბილში, ნისქვილარას სათავესთან (სქურის სატყეო).

**ხბილწყარი** – მდინარე, მაგანას მარჯვ. შენაკადი, მოედინება ხბილიდან (მაგანას სატყეო).

**ხგდა** – მიუვალი კლდე ნაგუგულში, სამართალას მარცხ. ნაპირას (ლევლოხი). რესპონდენტები: „ხგდა არის კლდე, თუკი ქვა არის ფილებივით ერთმანეთზე დანყობილი“. „ქუა რე ლასარი, კოჩიმ დენანკარაჯგურა“. შდრ. ო. ქაჯაია: „ხინდა „ჭუჭყი“; ალ. ქობალია: „ხინდა (//ხგნდა) ხინჯი, ნიდა, რიოში, მწვირე, გამოქვაბულები, ხვრელები კლდეში. ხიდა//ხგდა — მიუვალი, ხრიოკი კლდე. შდრ. ხინდა.

**ხგრგეში** – ფერდობი საარქანიოს ჩრდ. ნაწილში, ლაჩიდას სათავესთან, სადაც ჩამოდის გზა **ნაკანატ** (მუჟავა). იხ. ხურგონა.

**ხგრგეში/ხირგიში** – ტყე-სადოვარი კოხორასა და ქალიშს შუა (ჭალეს სატყეო). რესპ.: „ქვის ყორეებია აქა-იქ, ალბათ ამიტომ დაერქვა“. **ხგრგე** იგივე ჩანს, რაც **ხორგი** ან **ხურგი**.

**ხგრე** – ხრიოკი ფერდობი ლექურსუეში, ვათამ რზენის გვერდით (ლესალე). **ხგრე** არის: ა. წყლისაგან ჩამორეცხილი და ჩამორღვეული ფლატე; ბ. კლდოვანი, ხრიოკი ადგილი, სადაც არაფერი ხარობს. აკ. ჭანტურია: „**ხგრე** — კლდოვანი უნაყოფო ადგილი“. ალ. ქობალია: „**ხირე (ხგრე)** – ხრამი კლდოვანი ნაპირებით“. ო. ქაჯაია: „ხგრე – ქვა-კლდეებიანი მაღალი კლდე“ (უთითებს ჩემეულ განმარტებას).

**ხფგეში ნუზუ** – ბორცვი უბადოლაში. აქ ხფგე გოგობიას ჰქონია სამჭედლო. მის წინ მდგარა ნაძვი, რომელსაც იყენებდნენ ხატზე გადასაცემად, რაც ლურსმნის მიჭედებით მთავრდებოდა (უბადოლალი).

## – ჯ –

**ჯაბემ წყურგილი** – წყარო ნოჟალაში (ლემამუგე).

**ჯაბემ ჭალე** – ჭალა ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში. ჯაბე სა-მუშისას აქ ჰქონია თხის სადგომი (მედანი).

**ჯაგა(რ)გულია** – საკარმიდამოები სოფლის ცენტრის სამხრ-ით, სამელიოსა და ქვი-შონას შუა. თვლიან ჯაგა გულიასა თუ დაგარგულიას ნასახლარად. რესპ.: დ. ვვირკვია (84 წ.): „მოლართითია ამსერი ჯაგარგულიაშა დო ქიყარულითია თექი, დიძახედ სუკიშე პამორ-ნიკი“ (საჩინო).

**ჯაგრალაღ** (ჯაგრას ღელე) – ღელე ობუჯში (ღლონტი, 1971, გვ. 104). რა თქმა უნდა, იგულისხმება ჯალრალეღ – ღელე, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. მოედინება ჯალირადან (ჯალირა).

**ჯათ(ჟ)ნაკარუ** „ჯათუს ნაკარვალი“ – ბურქნარი საგურჩოში (ფახულანი).

**ჯათუმ ნადიხ(გ)** – ჩაის ფართობი ლემორგოშიეში, ბორცვზე (ნაგურუ).

**ჯათუმ ნაისგრ(გ)** – ტყე-ბურქნარი ფერდობზე, კაკილიმ წყურგილის ზემოთ. ჯათუ სალიას აქ ჰქონია საისლე (ლესალე). **ისგრი** „ისლი“ ნაისგრ „ნაისლარი“.

**ჯათუმ ნამალაზ** – ტყე-ბურქნარი. იგივე **ჯათუმ ნაროკა** (კუხეში).

**ჯათუმ ნაობინეხ(გ)** „ჯათუს ნავენახარი“ – თხმელნარი ბორცვზე, კაკილში, ჯათუმ ნაისგრთან (ლესალე).

**ჯათუმ ნაროკა//ჯათუმ ნამალაზ(გ)** – ერქვა სახნავს ოლაკვეში. ადგილი ეკუთვნო-და ჯათუს (კუხეში). **მალაზა** „სასიმინდე (ნაგებობა)“ ხშირად ყანაშივე ჰქონდათ. **როკუა** „ფოცხის მოსმით მსხვილი ქვისა და ბელტის გატანა ყანიდან“ ნაროკა. ო. ქაჯაიასა და ალ. ქობალიას ლექსიკონებში **როკუა** ასეა განმარტებული: „როკვა, ხტომა“.

**ჯათუმ ნოხორი//ნოხორი** – ბორცვი სქურჩას მარჯვ. ნაპირას, კუჭუხურას სამხრ-ით (ნაკიფუ).

**ჯათუმ ლალ(გ)** – ღელე-ხეობა, ხურჩას მარცხ. შენაკადი ლეარდიეში, მოედინება ოლაკვედან (კუხეში).

**ჯაკონია** – აგარაკი, ტყე-საძოვრები ოხაჩქუეში (ჭალეს სატყეო). ჯაკონია გვარიცაა და კერპის სახელიც (ყიფშიძე, 1994, გვ. 615); ამ განმარტებას ო. ქაჯაია უმატებს: „მუჭო ჯაკონიაცალო გერექ... „როგორ ჯაკონიასავით (კერპივით) დგახარ“; ალ. ქობალია: „**ჯაკონია** – მაგარმერქნიანი ხე, კერპი (უპირატესად ხისა); ხეთაგანი, ხეს დამსგავსებული, გახევებული, უჯიათი, უტეხი, ჯიუტი (გადატ.)“. ბ. გერგედავას სამეცნიერო ნარკვევში „სამეგრელოს მინისქვეშა სამყარო“ აღნიშნულია, რომ **ჯაკონა** (სწორედ ამ ფორმით) არის სახელწოდება ოხაჩქუეს თოვლ-ყინულიანი მყინვარის დას. ნაწილში

**ჯალარა** – ღელე-ხეობა. იგივე **ჯარალა** (ჯვარის სატყეო, მაგანას სატყეო).

**ჯამამ ნადიხ(გ)** – საბალახო ლეჯლანჯღეში, ტაფობზე. ჯამა მამაკაცის სახელია (ნაგურუ).

**ჯამონწყილი** „ხემოთხრილი“ – ტყე-ფერდობი ლანჯიშა და უბადოლალს შუა. ჯოტომ ნარაქა ჭუბურს ქვემოთ (ფახულანი).

**ჯამპანალ(გ)//ჯამპონალ(გ)** – იწგრას მარჯვ. შენაკადი. გამოედინება ხეობიდან, რომელსაც **ჯამპონა** ეწოდება (მაზანდარა).

**ჯამპონა** „თუთნარი“ – 1. სახნავი ქვედა ლეჟაში, ურთხელაშ ღალსა და ოლაჭაჭიე ღალს შუა (ნაკიფუ); 2. ბუჩქნარი ხუფინას მარჯვ. მხარეს, ნეძონას გვერდით (ობუჯი); 3. ნაკრძალი ტყე ზედა მაზანდარაში, ჯამპონალალის ხეობაში (მაზანდარა).

**ჯამპონალ(გ)** – ღელე. იგივე **ჯამპანალ(გ)** (მაზანდარა).

**ჯამპონი** – 1. სახნავი ლეჟურუეში (კუხეში); 2. ბუჩქნარი ლეხვიჩეში (ნაგურუ) და სხვ.

**ჯამუიშ ნოხორი** – ფერდობი. იგივე **ჭატურიეფიშ ნოხორი** (კუხეში).

**ჯამუშ ტყა** – ერქვა ტყეს სოფლის ჩრდ. ნაწილში. ამ ტყეს აზნაური ჯამუ ხუბუტია ფლობდა (პალური).

**ჯანარე** – მორევი ჭანისწყალზე და ფერდობი ჭითა კირდესთან (ლეკაკულე).

**ჯან(ჩი)კიაშ ნადინეფი** „სადაც ჯანჩიკია დაილუპა“ – კლდეები წყამელოდან უნწაში მიმავალ გზაზე (მაგანას სატყეო).

**ჯანჩიკიშ ნოხორი** – ტყე ლექარდეში. ჯანჩიკ ქარდავას ნასახლარია (მაგანას სატყეო).

**ჯარალა//ჯალარა** – მაგანას მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. სათავეს იღებს დოხვილში, გადაჭრის გედგრაკილს. მდინარეს **ჯარალანყარსაც** უწოდებენ (ჯვარის სატყეო, მაგანას სატყეო). ო. ქაჯაია: „**ჯარალა, ჯარალუა** – ჯარობა, ჯარიანობა; დროის სატარებლად ხალხის თავმეყრა“; ალ. ქობალია: „**ჯარალა, ჯარალუა** – ჯარობა, თავყრილობა, ერთობლივი დროსტარება დღესასწაულებზე“.

**ჯარალაშდუდი** – გორა ჯარალას ორ მდგენელს შუა (ჯვარის სატყეო).

**ჯარალანყარი** – ღელე-ხეობა. იგივე **ჯარალა** (ჯვარის სატყეო, მაგანას სატყეო).

**ჯარვამ ნოხორი** – ფერდობი. იგივე **ტრანში** (მუჟავა).

**ჯარნაზიშ ნოხორი** – საკარმიდამოები ოლორის მარჯვ. ნაპირის ფერდობზე. აქ მხოლოდ ჯარნაზ არქანია ცხოვრობდა. ამჟამად კი მისი ბიძაშვილები სახლობენ (ნაშამ-გუ).

**ჯაფაცხა** – ხრიოკი ფერდობი საშუალო სკოლის უკან (ფუქი). რესპ.: „როგორც გამიგონია, აქ ვიღაცას ედგა ჯამ ფაცხა (ე.ი. ხის ფაცხა)“. შდრ.: **ფაცხა** საერთოდ „წნული ქონია“ (ს.-საბა), ალ. ქობალია: „**ფაცხა** – ფაცხა (წნული, უჭერო, მინური ქონი. გადახურული ისლით ან ჩალით); სახელდახელო ბინა განფოთილი ნედლი შტოებისაგან“

**ჯალირა** – სოფელი ობუჯის ადმ. ერთეულში (იხ. პირველ ნაწილში).

**ჯალრა//ჯალგრა** – სოფლის სახელწოდება „ჯალირას“ არაოფიციალური ვარიანტები (ობუჯის ადმ. ერთეული).

**ჯალრალ(გ)** – ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა. იწყება ნაკიფუში. საზღვარია სარაქონთან (ჯალირა, სარაქონი).

**ჯალრამ ოხვამე//ცხაცხვეფი** – სოფლის ყველაზე მაღალი გორა ნასაყდრალითა და საკულტო ცაცხვებით ჭანისწყლის მარცხ. მხარეს. აქ იდგა ეკლესია, რომელიც XX ს-ის 30-

იან წლებში დაუნგრევიან. გორაზე მრავალი ძველთაძველი ცაცხვი მდგარა. მათგან გასული საუკუნის დამლევისათვის მხოლოდ ორიოდ იყო შემორჩენილი (ჯალირა).

**ჯალრა** – სოფ. ჯალირას არაოფიციალური ვარიანტი. იხ. ჯალრა.

**ჯამ გიოყოთამუ** „ხის ჩასაყარი“ – შურო ლეძობეში, ინწერას მარცხ. მხარეს. ჩამოდის ინწირასპირამდე (ჩქვალერი). იხ. აგრეთვე: **გიოყოთამუ**.

**ჯამ ოსხაპუე//თარო** – შურო ბულგაში (ნაშამგუ). **ჯამ ოსხაპუე** „ხის სახტუნებელი“ დარქმევიან ღარს, შუროს, საიდანაც თითო-თითოდ ჩამოასრიალებდნენ (ჩამოახტუნებდნენ) ხოლმე შეშას, სამშენებლო ხე-ტყეს. **თარო** — ფერდობზე შენეული მცირე დავაკება.

**ჯამწყარი** „ხის წყალი“ – ტყე ინწირას მარცხ. მხარეს, ლესუდეს თავზე (ჩქვალერი). უწყლო ადგილებში მწყემსები ხის განტოტვის ადგილას ამოჭრიდნენ მცირე საგუბარს, რათა წვიმის წყალი ჩამდგარიყო.

**ჯაჭვიმ ნახინჯგ** – დავაკება ქანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფლის ჩრდ. ნაწილში (ლეკაკულე). აქ უწინ ყოფილა ჯაჭვის, ანუ ბონდის, ხიდი, რომელიც აერთიანებდა ლესალესა და ლეკაკულეს. მაშასადამე: **ჯაჭვიმ ხინჯი** **ჯაჭვიმ ნახინჯგ**.

**ჯაჭვიმ ხინჯი** – ბონდის ხიდი ენგურზე. იხ. ლაყორია (ჭალე).

**ჯგალარეფიმ ოჩაიე//ვეჯინჯიმ ოჩაიე** – ჩაის ფართობი ვეჯინჯის მაღლობზე. ვეჯინჯი ეკუთვნის საჩინოსა და ლესალეს, მაგრამ ჩაის პლანტაციის ნაწილს მეზობელი სოფელი ჯგალი ამუშავებდა. თვით ჯგალის მცხოვრებნი კი უწოდებდნენ **ვეჯინჯიმ ოჩაიეს** (საჩინო, ლესალე).

**ჯგალი** – სოფელი. ადმ. ერთეულის ცენტრი (იხ. პირველ ნაწილში).

**ჯგეგე//ჯგერგე** – ერქვა წმინდა გიორგის ეკლესიას ჯვარზენში, სასაფლაოსთან, საგეთიოს უბანში (ჯვარი). აქ ყოველი წლის 23 ნოემბერს იმართებოდა გიორგობა, რასაც თან სდევდა ვაჭრობა და სპორტულ-გასართობი შეჯიბრებანი. ჯგეგეს ხატის მოსალოცავად ჯვარზენში მოდიოდნენ ახლო და შორეული სოფლებიდანაც. ამ წიგნის ავტორი XX ს-ის 80-იან წლებში ქ. ტყვარჩელის კუმბის უბანში შეხვდა ხანდაზმულ აფხაზებს, რომლებიც ახალგაზრდობის ასაკში თითქმის ყოველ წელს ჩამოდიოდნენ ჯვარზენში ამ დღესასწაულზე. მათი თქმით, ჯვარში საქსოვი დაზგის მქონე ქალის გაცნობა და ცოლად შერთვაც კი იყო შესაძლებელი. გადმოცემა: „ჯგერგეს ხატი არქანიებს სვანეთიდან ჩამოუსვენებიათ. მნათეები იყვნენ გეთიები და ეფსაიები. ამ ჯგეგეს ხატთან მოჰყავდათ „ხანგები“, ე.ი. სულით ავადმყოფები. აქ მათ უტარდებოდათ „გილახვამა“, ანუ გამოლოცვა: სულით ავადმყოფებს მშვილდში სამჯერ გაატარებდნენ. „ხატობა“ აღინიშნებოდა 10 გიორგობისთვის (ძვ. სტილით). ჯგეგეში მოსულ მლოცველებს მნათეები ამწყალობებდნენ. ჯვარიდან სხვა სოფელში გათხოვილ ქალებს „საჯინჯიხატოდ“ მოჰყავდათ ციკანი, ხოლო შესანიშნავი მოჰქონდათ „ზინდიღვარჩხილი“ (ვერცხლის ძაფი), რაზეც ს. მაკალათიაც მიუთითებს.

ჯვარზენის ჯგეგეს ეკლესია ტრიკონქს წარმოადგენს, ე.ი. სამაფსიდიანი შენობა იყო ჯვრისებური მოხაზულობისა და, შესაბამისად, აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები აფსიდებითაა დასრულებული, დასავლეთი მკლავი კი უაფსიდოა და ნაგრძელებული. ტრიკონქი საქართველოში იშვიათია (ქსე, 10, 1986).

ჯგეგეს ეკლესიის დანგრევისა და მისი მასალის სკოლის ასაშენებლად გამოყენების თაობაზე წალენჯიხის რაიალმასკომს დადგენილება მიუღია 1932 წლის 20 ოქტომბერს. სალოცავი ტაძრის დანგრევის აუცილებლობა ასეა დასაბუთებული: „ეკლესიას არა აქვს სახურავი, კარები, დარჩენილია მხოლოდ კედლები, რომლებიც გაბზარულია და თავისთავადაც ინგრევა. ეს საფრთხეს შეუქმნის მონაფეებს, რომლებიც შეიძლება შიგნით შევიდნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, „ეთხოვოს საქ. ცაკს, ნება დაგვრთონ მისი დარღვევისა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე“ (ოქმის ასლი მოგვანოდა ჯგეგეს აღდგენის ფონდის დამაარსებელმა და თავმჯდომარემ, ყურნალისტმა და მოგზაურმა გვანჯი მანიაშ, რომელმაც ძალა, ენერჯია, მონდომება არ დააკლო, მაგრამ „ჯგეგეს“ აღდგენის ფონდი ცარიელი დარჩა. თუმცა კი ბიზნესმენებმა ეკლესიები ააშენეს ჯვარზენშიც და ოჭანეშიც, აქედან 1,5 კმ-ზე).



როგორც ცნობილია, ლაზეთი ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში (IX ს-მდე) ბერძნული ეკლესიის გავლენას განიცდიდა. ზოგი ყველაზე გავრცელებული ქრისტოლოგიური ტერმინი ბერძნულიდან კოლხურ ენაზე ითარგმნა და დამკვიდრდა. მათ შორის **ჯგირი** „წმინდანი“ (ბერძნ. ჰაგიოს. იხ. ცხადაია, 2004, გვ. 77-101). კერძოდ, **ჯგირი გიორგი წმინდა გიორგია**, რომელმაც მეგრულშიც და სვანურშიც მოგვცა ფონეტიკური ვარიანტები: მეგრულში **ჯგირი გიორგი//ჯგერი გიორგი ჯგერი გივარგი ჯგერგევე ჯგერგე**, ხოლო სვანურში – **ჯგირ გივარგი ჯგირარგი ჯგერზგი ჯგერზგ** (იხ. შანიძე, 1973). შდრ.: **ჯგერეგუნა//ჯგერაგუნა** „წმინდა აგუნა“ (ფუტკრისა და მეფუტკრეთა ღვთაება); **ჯგერიანი** (სოფელი სამურზაყანოში, ღალიძგის მარცხ. მხარეს) ჯგევე მარიანი ჯგევე მარიამი „წმინდა მარიამი“; **ჯგეთა** „წმინდა გიორგის მთა“ (მთა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ცაიშში. გადმოცემით, დღევანდელი ჯგეთაშ ოხვამეს ადგილას უწინ წარმართული სალოცავი ყოფილა); ხალხური გადმოცემით, აქ ყოველწლიურად გამოცხადდება ხოლმე წმინდა გიორგი და ეკლესიაში ტოვებს ერთ ან რამდენიმე ორპირა მახვილს. რამდენადაც მეტია ამ მახვილთა რაოდენობა, მით უფრო ბედნიერია მომლოცავი მთელი წლის მანძილზე; დავასახელოთ ტოპონიმები: **ჯგეხანგარამი** „წმინდა მახვილოსანი“ (ეკლესია სოფ. ნაესაკაოში); **ჯგირელია** „წმინდა ელია“ (მინდორი და წყარო სოფ. საჩიქობავოში, ეკის მთის კალთაზე) და სხვ. ამასთანავე სამეგრელოში **ჯგევე, ჯგერგე, ჯგეშა** მამაკაცის სახელებიცაა (ყიფშიძე, 1994, გვ. 616). როგორც ცნობილია, „ქრისტიანობის გავრცელებას თან ახლდა ადგილობრივი ღვთაებებისა და კულტების ქრისტიანული სინკრეტიზაცია“ (ეთნოგრაფია//ეთნოლოგია, 2010, გვ. 402). ჯგერგე//ჯგევე-ს წარმომავლობასთან დაკავშირებით მ. ჩუხუა ასკვნის, რომ ერგე ( ჯგირერგე) სინამდვილეში უკავშირდება ძველი ქართულის იგრიკა-ს (იგრიკა „აპრილი“), ე.ი. გერგეს არაფერი აქვს საერთო პირსახელ გიორგისთან. შდრ. აგრეთვე: ჯგევე, ჯგევე, ჯგეჰე, გეგე (ყიფშიძე, 1994, გვ. 616).

**ჯგეგეშჯინჯი** – ბორცვი ნაკიკუში. გადასცქერის ენგურის ქალებს. აქ შემორჩენილია საყდრისა და აკლდამის ნაშთები. ერთი ბარის პირზე კი ადამიანის ჩონჩხებს პოულობენ. რესპ.: „ამ ჩონჩხებთან ცარიელი „**ორკოლი**“ (დოქი) დგას. გადმოცემით, თურქებს აქ ხალხი გაუნყვეტია“ (წყოუში). სავარაუდოა, რომ სალოცავ ბორცვს თავდაპირველად ერქვა ჯგევე „წმინდა გიორგი“. რესპ. d. ხასაია: „ჯგეგეშჯინჯის უძახედეს, ბალანობაშე ფშგ, ვარა ასე კოჩი ვაუძახე“.

**ჯგეგეშჯინჯიმ ნაჯინ(გ)** – ნაციხარი ნაკიკუს ჩრდ. ნაწილში (წყოუში).

**ჯგერაგი** – ნაეკლესიარი ლეძობეში. იხ. მოცინარე (ჩქვალერი). შდრ. მ. ჩუხუა: ჯგერაგუ ჯგერაგუნა, ანუ სვანური ჯგერაგ-ის პირველწყაროა. სდრ. ტყაბედინერი.

**ჯგიჯგიტონა** – ბორცვი გენძე სამესხიოში, ტარჩიასა და უჩა ღალს შუა (სამესხიო). **ჯგიჯგიტია** ჭიანჭველაა. -ონა სუფიქსი იშვიათად ცოცხალი არსების სიმრავლე-კრები-თობასაც გადმოსცემს. ი. ყიფშიძე: „**ჭკიჭკიტია, ჯგიჯგიტია** (სენაკური თქმა), **ჭკჭკჭკიტია, ჯგგჯგტია** – ჭიანჭველა (ზუგდიდური თქმა)“. ო. ქაჯაია: „**ჯგიჯგიტია, ჯგგჯგტია** იგივეა, რაც **ჭკიჭკიტია – ჭიანჭველა**“. ალ. ქობალია: „**ჯგიჯგიტია, ჭკიჭკიტია – ჭიანჭველა**“. ქართ. **ჯინჭვ**- ფუძეს მეგრულში **ჭიჭვ**- შეესატყვისება, რაც სრულებით კანონზომიერია... მეგრულში გვაქვს **ჭკიჭკიტია** და **ჯგიჯგიტია** -ტია კნინობითობის აფიქსია (გუდავა, 2000, გვ. 93-94). „ტოპონიმიკური ძიებანი, I“ გვამცნობს: „**ჯგიტონაშ(ი) სუკი** (ჯგიტონას ბორცვი) – ადგ. ობუჯში“ (ღლონტი, 1971, გვ. 105). უნდა ყოფილიყო **ჯგიჯგიტონაშ სუკი**.

**ჯგეგეფაცხა** „ჯგეგეს ფაცხა“ – სერი ციხესიმაგრის ნაშთებით ლაჩახვა-სამართალას წყალგამყოფზე. ვარ.: **ნაპაპუუ** (ფუქი). ამ შემთხვევაში **ჯგევე** პირსახელია. მეორე ვარიანტისათვის ამოსავალი ჩანს **პაპა** „მღვდელი“ ან გვარი **პაპავა**.

**ჯგეგეფერდი** – ფერდობები ჭანისწყლის მარცხ. მხარეს, ჟინი ობუჯში (ნაკიფუ). **ჯგეგე, ჯგეგე** ( ჯგირი გიორგი) წმინდა გიორგის ეპითეტია. აქვე იყო მისი სალოცავი „მიოხვამუ“.

**ჯგეგეფერდიმ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი ხვითერისა და ნაკორთხონუს საზღვარზე. ჩამოედინება ჯგეგეფერდის სამხრეთით და ჩამოუვლის ბორცვს, რომელზეც დგას ნაოხვამუ//მიოხვამუ (ნაკიფუ).

**ჯეგემ გილახვამუ** – სალოცავი ნიფლის ხე ჯეგეფერდში. იხ. მიოხვამუ//ნაოხვამუ (ნაკიფუ).

**ჯეგემ ნოხორი** – მინდორი ნოჟალაში (ლეშამუგე).

**ჯვაბანაში** – ყოფილი დასახლებული უბანი, დიდი ხეობა ტყე-ფერდობებით ენგურის მარცხ. ნაპირას, წულიშის კალთაზე (ჯვარი, მაგანას სატყეო).

**ჯვაბანამ ლალ(გ)** – ლელე, მოედინება ჯვაბანაშიდან და ერთვის ენგურს მარცხ. მხრიდან (ჯვარი, მაგანას სატყეო).

**ჯვარამლალ(გ)//ჯორამლალ(გ)** „ჯვრიანი ლელე“ – ჯალრალალის მარცხ. შენაკადი და მისი ხეობა (ჯალირა, სარაქონი). სახელდების მოტივი: ამ ადგილას შენაკადები ჯვარედინად ერთვიან ჯალრალალს.

**ჯვარ(ამ)ნიფური** „ჯვრიანი ნიფელი“ – ნიფლის ხე, შესასვენებელი ადგილი ცვანთის კალთაზე (ჯვარის სატყეო). სახელდების მოტივი: ორი ნიფლის ხეა ერთმანეთს ჯვარედინად შეზრდილი.

**ჯვარზენი** – უბანი. ჯვარი თავდაპირველად ერქვა დასახლებას ენგურისპირა ვაკეზე, ენგურისა და მაგანის შესართავის მარცხ. მხარეს. რამდენიმე ათეული მეტრით ამალღებულ ფართო ვაკე-პლატოზე მდებარეობდა სოფელი **ჯვარზენი** (ჯვარიმ რზენი „ჯვარის ვაკე-ველი“ ჯვარზენი ჯვარზენი), სადაც ჯგეგეში – წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში – ყოველი წლის 23 ნოემბერს (ახ. სტილით) იმართებოდა გიორგობა (იხ. ჯგეგე). სწორედ ჯვარზენში აშენდა ენგურჰესის მშენებელთა ძირითადი დასახლება. ამ გარემოების გამო სოფელ ჯვარს 1981 წელს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. **ჯვარზენის** ჩვენეული ეტიმოლოგია გადმოცემული იყო 1985 წელს გამოცემულ „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში“. ამ ეტიმოლოგიას გამოეხმაურა ჯვარის საშუალი სკოლის XI კლასის მოსწავლე ნინო გაბულდანი, რომელმაც ნალენჯიხის გაზეთში („კომუნიზმის დროში“, 13 მარტი, 1986 წ. №37) გამოაქვეყნა სტატია „რზენი თუ ზენი?“. რომელშიც სურს დაასაბუთოს, რომ საზღვრული კომპონენტია არა **მეგრული რზენი** „ვაკე“, არამედ **სვანური სიტყვა „ზენი“**, რაც ნიშნავს „უტყეო გაშლილ ადგილს, თუნდაც ვაკესა თუ ციცაბო ფერდობს“. ავტორის დასკვნა ასეთია: „ჯვარზენი ნიშნავს ჯვარის გაშლილ, უტყეო ადგილს და არა ჯვარის ვაკეს, როგორც ეს აქამდე იყო გაგებული. ამ ტოპონიმს, როგორც ვხედავთ, არკვევს სვანური სიტყვა „ზენი“. ნინო გაბულდანის ამ წერილს უპასუხა ბიძინა ლემონჯავამ („ერთი ტოპონიმის შემადგენელი კომპონენტის გაგებისათვის“. იხ. „კომუნიზმის დროში“, N44, 12 აპრილი, 1986), რომელიც არ იზიარებს ნ. გაბულდანის მოსაზრებას. რზენი, როგორც გეოგრაფიული ნომენი, ხშირად გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში. კერძოდ, ნ. გაბულდანის მიერ ნიმუშად დასახლებული **თაზენი** სინამდვილეში არის **თარზენი** (ქართ. მთა მეგრ. თა; რზენი „ფართო ვაკე-ველი“). ნინო გაბულდანის მოსაზრება განხილულია რ. საჯაიასა და მ. ჩუხუას საპასუხო წერილში „ტოპონიმ ჯვარზენის ეტიმოლოგიისათვის“ („კომუნიზმის დროში“, 10 ივლისი, 1986). ჩემს მოსაზრებასთან (ჯვარიმ რზენი ჯვარზენი) დაკავშირებით ავტორები წერენ: „ჩვენი აზრით, ჯვარზენში **ზენ** ნამდვილად უკავშირდება მეგრულ **რზენ** ლექსემას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი (რზენი) ფონეტიკური ვარიანტია...“ წერილის დასასრულს ავტორები ნინო გაბულდანის მისამართით ტაქტიანად შენიშნავენ: მსგავს სიტუაციაში თავშეკავება გვმართებს (იხ. საჯაია, ჩუხუა, 1986).

ჯვარზენში, შქაშლალის მარცხ. ნაპირის ვაკეზე, სადაც დღეს სასაფლაოა, შემორჩენილია ორი ნაეკლესიარი: ერთი უფრო ძველი და მცირე, ხოლო მეორე – უფრო დიდი, ყოფილი საშუალო სკოლის წინ. სწორედ აქ ესვენა წმ. გიორგის ხატი და ჯგეგეც მას ერქვა.

**ჯვარი** – ქალაქი. იხ პირველ ნაწილში.

**ჯვარის ხიდე** – კიდული ხიდი მაგანაზე. იხ. მაგანამ ხინჯი (ჯვარი).

**ჯვარიმ ხინჯი** – კიდული ხიდი მაგანაზე. იხ. მაგანამ ხინჯი (ჯვარი).

**ჯვარსა//ჯვარსალალ(გ)//წაკურთხიამლალ(გ)** – მცირე ლელე და ხეობა საკონჯარიში. ერთვის ჯუბელალალს (სამესხიო). რესპ.: „აქ ტარდებოდა წაკურთხია: ლელეში ჯვარს ჩააგდებდნენ, რათა წყალი სუფთა ყოფილიყო. ამიტომ დაერქმეოდა ჯვარსალალ“. როგორც ჩანს, საქმე ეხება წაკურთხიას „წყალკურთხევის“ (იგივე ნათლისღების) რიტუ-

აღს, რაც აღინიშნება 6 იანვარს ძველი სტილით. ხოლო ნათლისღება, ს.-საბას განმარტებით, არის „უნათლავთაგან ნათლის მიღება“. შდრ. ქეგლ: „წყალკურთხევა – წყლის კურთხევა ნათლისღების დღეს“. აღ. ქობალია: „ნაკურთხია – **წყალკურთხევა**, ნათლისღება“. ფონეტიკური გზა: წყალკურთხევა ნაკურთხეა ნაკურთხია.

**ჯვარსალალ(გ)** – ღელე. იგივე ჯვარსა (სამესხიო).

**ჯვატამ ფოქვა** – მღვიმე მაგანას მარჯვ. ნაპირას, ჯალარასა და მაგანას შესართავთან, წყაბაშში (ჯვარის სატყეო).

**ჯვენდომ ფერდი** – ფერდობი საანთიოში, პალურის საზღვართან. ჯონდი//ჯვენდი ამ ფერდობის ძირას ესახლა (ლია).

**ჯვეშ ნაზავოდ(გ)** – სახნავი ენგურის მარცხ. ნაპირას, სადაც უნინ სახერხი ქარხანა ჰქონიათ (ლია). იხ. ნაზავოდგ.

**ჯვეშ ნაკლას(გ)** – სახნავი ლეციმინტიეს უბანში. აქ თავდაპირველად ორკლასიანი სკოლა მდგარა. შემდეგ იგი გადაუტანიათ 1 კმ-ზე, თეთრად შეუღებავთ და დარქმევია „ჩეკლასი“ (პ. ენერი). საბოლოოდ ეს შენობა აგარაკ სქურში გადაუტანიათ პიონერთა ბანაკისათვის. თავდაპირველად **ჯვეშ ნაკლას** აღნიშნავდა მხოლოდ შენობას, რომელიც უნინ კლასი „სკოლა“ იყო. შემდგომში, მეტონიმიის ძალით, შენობის სახელი სახნავის სახელად იქცა.

**ჯვეშ ნახვამუ/ნახვამუ** – ბორცვი კანთში, ჩელალის მარჯვ. ნაპირას. ჯვეშ ნახვამუ „ძველი ნაეკლესიარი“ (ლეთკანთი). რესპ.: „ჯგალში მცხოვრები ხანდაზმული ჩანგელიები აქ ახლაც მოდიან „გგნახვამუშა“ (ე.ი. მოსალოცავად – პ. ც.), მოძებნიან აქაურ მოხუც კაცს, რომელმაც მომლოცველი უნდა შემოატრიალოს მარჯვნივ, უსურვოს მის ოჯახს სიჯანსაღე და სიკეთე, შემდეგ გაუშვებენ სამსხვერპლო თიკანს, გოჭს, კრავს ან მოიტანდნენ დაკლულს და აქვე ნაიქეიფებდნენ“.

**ჯვეშ ნახინჯ(გ)** „ძველი ნახიდარი“ – ნახიდარი მაგანაზე (მაგანას სატყეო).

**ჯვეშ ნაჯიხ(გ)** – 1. ნაციხარი. იგივე ნაჯიხ(გ) (მედანი); 2. სასაფლაო. იგივე ნაჯიხ(გ) (ფუქი).

**ჯვეშ ოხვამე** „ძველი სალოცავი“ – ასეა მოხსენიებული წალენჯიხის ფერისცვალების (მეგრ. „ფერცველობის“) ეკლესია ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „ჯვეშ ოხვამე – წენდისური“ (წალენჯიხა).

**ჯვიბაშ ნოხორი** – ნასახლარი ღელოს მარცხ. ნაპირას, ფერდობისძირა დავაკებაზე (ჭალე).

**ჯვიბანყუ** – წყარო. იგივე **ჯუბანყუ** (ფუქი).

**ჯიგდონა** – ვაკე-ტერასი მახასქურის სათავესთან, ინჭირიშის კალთაზე, ფოქვაშკარის ქვემოთ. ეტყობა ნასახლარები (მუყავა). ტოპონიმის მოტივაცია და ამოსავალი ფუძის სემანტიკა ვერ დადგინდა.

**ჯიგვაშ მგნაჯინუ** „ჯიგვას შემოსახედი, თვალსანიერი“ – ფერდობები ბურღონღლის ნაპირას, ბასილიაში. რესპ.: „ჯიგვა წყალსგალმა ცხოვრობს და გამოლმა ამ ფერდობს შემოსცქერის“ (ფახულანი).

**ჯიგომ ნოხორი** – დავაკება ოისინდეს დას-ით, ენგურის ხეობის გადასახედზე. ჯიგო გორდულავა აქ მარტო ცხოვრობდა (ლექარდე).

**ჯიმაგა „ძმა სერი“** – ორტოტა ბორცვი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, ვეჯინჯის ზემოთ (წალენჯიხა, მაზანდარა).

**ჯიმაგაშ ფერდი** – ფერდობი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, ჯიმაგას აღმ-ით (წალენჯიხა).

**ჯინიკიმ (მგკ)ნანწყვი** – ხრამი ფერდობებით ენერში, საშელიოს უბანში, რაც რობღალის ხეობაშია. ჯინიკი მამაკაცის სახელია. **ნანწყვი, მგკნანწყვი** ნიშნავს ჩამორღვეულს, ჩამოშლილს, ჩამონამენყრს (საჩინო).

**ჯიქირი** „აღმართული, აშვერილი, აზიდული“ – 1. მაღალი კლდე მაგანას სათავესთან. აქვეა გამოქვაბული და საძოვარი **ჯიქერფოქვა**. ამ მღვიმეს მწყემსები ხშირად სადგომდაც კი იყენებდნენ (მაგანას სატყეო); 2. კლდე. იგივე **ჯიქერი** (ჭალე). შდრ. **ოჯი-**

**ქინანს** „უშნოდ არის აღმართული, ანეული, აზიდული“ (იტყვიან ზორბა და ანონილ მამა-კაცზეც). შდრ.: „**ჯიქა, ჯიქალი** – უშნოდ დიდი, ზორბა; ახმახი, აყლაყუდა“ (ო. ქაჯაია); ალ. ქობალია: „**ჯიქინი** – გაჯიქება; ჯიქივით დგომა, სიკერპე, შეუპოვრობა; სიმაღლე (ციხისა)“. **ჯიქირი** კლდე-სვეტიცაა.

**ჯიქუა** – მინაში ჩარჭობილი სატრიანგულაციო ქვა-სვეტი ნოხორეს ბორცვზე, 5 მ სიმაღლისაა (ლესხარჩილე). ალბათ: **ჯიქირქუა** ჯიქუა. შდრ. ჯიქგრქუა.

**ჯიქგრი//ჯიქირი** – თავნვეტიანი კლდე ლაყორიაში. სიმაღლე 100 მეტრამდე (ჭალე).

**ჯიქგრსუკი** – სვეტივით აღმართული (15 მ სიმაღლისა) ვაკე-ბორცვი მახასქურის სა-თავესთან, მთის კალთაზე. იყო დასასვენებელი და გადასახედი ადგილი საარქანოს უბანში (მუჟავა).

**ჯიქგრფოქვა** – მღვიმე, საძოვარი. იხ. ჯიქირი (მაგანას სატყეო).

**ჯიქგრქუა** – ბუნებრივი ქვა-სვეტი ჭყეპრზენში. სიმაღლე 5 მ (ნაშამგუ).

**ჯიხა** „ციხესიმაგრე, კოშკი“ – 1. ციხესიმაგრე ჯიხაფერდში (ლესალე); 2. პატარა ციხე ინწირას მარცხ. მხარეს., კლდეს მიშენებული, მაღალი და მიუვალი. აქვე კლდე-ფერდობს ეწოდება **ჯიხაფერდი** (ჩქვალერი); 3. ბორცვი ციხესიმაგრით ეცსა და ტყაბედინერს შუა (ხუდონის სატყეო); 4. ნაციხარი საგეთიოს უბანში, ოლორის მარცხ. ნაპირას, მთის დავაკებაზე. ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო ეკლესია და მხატვრობის ნაშთები მის კედლებზე (მუჟავა).

**ჯიხა//დიდი ჯიხა//ნაჯიხ(გ)** – ნაციხარი კვრდეჯინჯის მაღალ გორაზე. ციხესიმაგრე დღესაც დგას ამ გორაზე, მაგრამ **ნაჯიხ(გ)** ალბათ უფუნქციობის გამო დარქმევია (წყოუში).

**ჯიხატყა//დიხატყა** „ციხესიმაგრის ტყე“ – ტყე-ბორცვი, დასახლებული უბანი ბურ-ლონლალის (ოხვილიშის ზემო წელი) სათავესთან (წყოუში, ფახულანი). ამ ბორცვზე ციხე-კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი. ამ უბნის მცხოვრებთ ეწოდებათ **ჯიხატყაშარეფი** (ვდ ცნობილი ფონეტიკური მოვლენაა).

**ჯიხაფერდი** „ციხისფერდი“ – 1. ბორცვი ჭანისწყლის მარჯვ. მხარეს, მედანისა და ლესალეს საზღვარზე. ზედ ციხესიმაგრეა, რომელიც XVII ს. I ნახევრის საისტორიო წყაროებში მოიხსენიება როგორც ჯგალის ციხე (ლესალე); 2. კლდე-ფერდობი. იხ. ჯიხა (2). (ჩქვალერი).

**ჯიხაფერდში ტყა** – ტყე-ბუჩქნარი გორა ჯიხაფერდის დას. კალთაზე, მიქამ ღალის ჩრდ. ნაპირზე (ლესალე).

**ჯიხაფერდში წყურგილი** – წყარო ჯიხაფერდის დას. კალთაზე (ლესალე).

**ჯიხაშ ფერდი** – კლდე-ფერდობი ინწირას მარცხ. მხარეს, ჯიხასთან (ჩქვალერი).

**ჯიხური** – 1. ციხე-სიმაგრის ნანგრევები დიდი ფოქვას თავზე (ლექარდე); 2. ნაკოშკარი ვაკე-ბორცვზე, სკურეფიას სათავესთან. აქ დასახლდა თავადი მამუკია აფაქიძე და **მამ(უ)კიამ ჯიხაც** დარქმევია (საჩინო). ჯიხური ეწოდება ძელის ციხე-კოშკსაც, ძელისგან აგებულ სადგომსაც და საქონლის დასამწყვედვე მცირე ნაგებობასაც. სახელწოდების პირველი ვარიანტი უწინარესია. ეს ციხე-კოშკი, როგორც ვარაუდობენ, გვიანი შუა საუკუნეებისაა. ს.-საბა: „**ჯიხური** – ხის კოშკი“; ი. ყიფშიძე: „**ჯიხური** – “ (ყიფშიძე, 1914, გვ. 619); ო. ქაჯაია: „**ჯიხური** – კოშკი, ციხური ნაგებობა, ჯიხური“; ალ. ქობალია: „**ჯიხური** – ციხე-კოშკი; ციხესავით მკვიდრად ნაგები სახლი (ადრე, მიწის, თიხის ნაგებობა)“.

**ჯოგომ ნაგეჩგ** – რიყე. იგივე **ნაგეჩ(გ)** (ლექარდე).

**ჯოგომ ნატომბ(გ)** – მორევი ინწირაზე, ლეჩიქვანეში. ჯოგო ამ მორევეთან ესახლა (ნაგურუ).

**ჯოგომ ღალ(გ)** – ღელე-ხეობა, ერისწყლის მარცხ. შენაკადი იბლომ ტობასთან. მოედინება ბურლონადან. ჯოგო მამაკაცის სახელია (წყოუში).

**ჯოგომ წყურგილი** – წყარო ლეაბრალეში, ქორსუს ხეობაში. ჯოგო ამ წყაროსთან ესახლა (ნაგურუ).

**ჯონდომ ნაკარუ** – მინდორი-დავაკება ოლორისა და ლეჭამაკას წყალგამყოფ მასივზე (მუჟავა).

**ჯონდოიამ ფერდი** – ფერდობი ლებოხას მარცხ. ნაპირას, ბაკოიამ ფერდის გვერდით (ზ. ლია).

**ჯონდომ გოჭოფილი** – აკაციის ტყე საგოგობიოში. **გოჭოფილი** – შემოლობილი, შემოკავებული. ჯონდო კაცის პირსახელია (ქალაღალი).

**ჯონდომ ნამალაზ(გ)** – მინდორი ტებენეს ნაპირას. ჯონდოს აქ ჰქონდა მალაზა, ანუ სასიმინდე (ფახულანი).

**ჯონდომ ნოხორი** – ჩაის ფართობი ქალაქის დას-ით, ნასქალის გვერდით. აქედან გაედინება ჯონდომ ლალი. ჯონდო კალანდიას ნასახლარია (ნალენჯიხა).

**ჯონდომ ფერდი** – 1. ფერდობი ტყე-ბუჩქნარით ტობეში (ფახულანი); 2. ტყე-ფერდობი სქურდილას აღმ-ით (ნალენჯიხა).

**ჯონდომ ლალი** – ოსურეფიმ ლალის ზემო წელი. მოედინება ჯონდო კალანდიას სამოსახლოდან (ნალენჯიხა).

**ჯონჯომ ნაცვანუ** – საბალახო ნოცუჯინსა და ჭყებიშს შუა (ჯვარის სატყეო).

**ჯორამლალ(გ)** – ღელე-ხეობა. იგივე **ჯვარამლალ(გ)** (ჯალირა, სარაქონი).

**ჯორიმ გინაცვილა** „სადაც ჯორი მოკლეს“ – ჩაის ფართობი მახარის ჩრდ-ით, ივამ ნოხორისთან. კაცს ესროლეს და ტყვია ჯორს მოხვდა. ეს მომხდარა გასული საუკუნის 30-იან წლებში (ლია).

**ჯორომ(ონ)ლალ(გ)/ჯურუმლალ(გ)** – ღელე და ტყე-ხეობა სამატეოში. სქურდილას მარცხ. შენაკადი. ქვემო წელზე ეწოდება **ხვითერი** (ობუჯი, ნალენჯიხა). **ჯურუმი** „ღრმა, ბნელი, მიუვალი“ გვხვდება კომპოზიტებში: **ჯურუმტყა** – უღრანი, დაბურული, ბნელი, საშიში ტყე; **ჯურუმკოჩი** – უხეში, ხეპრე კაცი. **ჯურუმია** ტყის მითიური არსებაა, რომლითაც ბავშვებს აშინებენ. ჯურუ პირსახელიცაა. შდრ.: „**ჯურუმი** – ჯურღმული, უღრანი; პირქუმი, მოქუფრული“ (ალ. ქობალია). ო. ქაჯაია: „**ჯურუმი, ცურუმი, ნკურუმი** – უღრანი; ძალიან ღრმა, მრუმე ადგილი მდინარეში; ყურყუმი; ნკვარამი; სიბნელი; ქვესკნელი; უფსკრული“. რესპ. არველოდი ლავილავა: „ჯურუმი აღნიშნავს შეუვალ, დაბურულ ტყეს, ანუ ურწუმს, ან კიდევ: ჯურუმი ნიშნავს უღრანს, ბნელს, საშიშს, უხეშს. ჯურუმკოჩი უხეში კაცია. ბავშვობაში გვაშინებდნენ, ჯურუმია მოვა და შეგჭამსო“.

**ჯორხუ ჭუბურონი** – ტყე ლეფიფიეში (ნაგურუ). რესპ. ანტონ კონჯარია: „**ჯორხუ** – უვარგისი, მრუდე, ფორტვა, როკი“. შდრ. ალ. ქობალია: „**ჯორხო** – ჯურხა“ (პირსახელი?). ჯორხუ მეგრულ ლექსიკონებში არაა განმარტებული.

**ჯოტიში/ჯოტიმ ნადიხ(გ)** – ბუჩქნარი ოლებესუკსა და ჯგიჯგიტონას შუა. აქ სახნავი ჰქონია აზნაურ ჯოტი შენგელიას (სამესხიო). ტოპონიმის პირველი ვარიანტი წარმოქმნილია მეორისაგან საზღვრული კომპონენტის მოკვეცის გზით: ჯოტიმ ნადიხ(გ) ჯოტიში (სხვა შემთხვევაში -ში შეიძლება დამოუკიდებელი სუფიქსი იყოს).

**ჯოტიმ ნადიხ(გ)** – სახნავი. იგივე ჯოტიში (სამესხიო).

**ჯოტომ ნამალაზ(გ)** – ტყე ტებენეს ნაპირას (ფახულანი).

**ჯოტოგანაკებუ** „ჯოტოს შემონაკავები“ – სახნავი ბოგამის კალთაზე (ლარა).

**ჯოტომ ნარაყა ჭუბური** „ჯოტოს ჩამონაბერტყი ნაბლი“ – ნაბლის ხე ნორსელიაში. ნაბლი ჩამოუბერტყავს ჯოტო უბილავას (ფახულანი).

**ჯოტომ ტყა** – ტყე სკურეფიას სათავესთან (საჩინო).

**ჯოტომ ლალ(გ)** – ღელე, ნაკალმახის შენაკადი ქვედა ჭველეში, მოედინება ეხელედან, კერძოდ, ნაფანყუდან (ჭველე).

**ჯოლორალაქათამუ** „ძალის ჩასაგდება“ – ფერდობი ინწირას მარჯვ. ნაპირას, ლეფიფიეში. მალლობზე მცხოვრები ფიფიები მკვდარ ძაღლებს აქ ყრიდნენ (ჩქვალერი). შდრ.: ოჯოლორე.

**ჯოლორიაშ ნყურგილი** – წყარო საბერესქუოში, დიდაქირსას ჩრდ.-დას-ით. ჯოლორია ბერიშვილი აქვე ესახლა (ლია). არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ წყაროს სიახლოვეს გამოავლინა სამარხი, რაც ახ. წ. I საუკუნითაა დათარიღებული, მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ვერცხლის სამაჯურები, გულსაკიდი, ვერცხლის მონეტა. საერთოდ „დიდაქირსას“

ბორცვზე გათხრების შედეგად აღმოჩნდა ლითონის სადნობი ღუმელიც და რკინის წარმოების ნაშთებიც.

**ჯოლორნალურა** – მინდორი გვალაიას კალთაზე (სქურის სატყეო). **ჯოლორი** ძალი, **ჯოლორია** კი პირსახელია.

**ჯოლორნაშუმამ გინაულარი** – უღელტეხილი საცხენოში, სადაც ეგრისის ქედის საზაფხულო საძოვარზე ჯვარელი მწყემსების საქონელი იდგა (მაგანას სატყეო). **გინაულარი** „გადასასვლელი, უღელტეხილი“. **ჯოლორნაშუმა** („სადაც ჯოლორია დათვრა“) მთაა სვანეთში, საიდანაც გაედინება **ჯოლორნაშუმამ წყარი**. იგი ერთვის ენგურს თოთენასთან.

**ჯოლორნაშუმამდუდი** – მთის თავი ჯოლორნაშუმაში, სვანეთის საზღვართან. ამ მთის სამხრეთითაა საცხენო (მაგანას სატყეო). ხოლო მისი ჩრდ. მხარე უკვე სვანეთია.

**ჯოლორნაშუმამ წყარი** – ღელე, ერთვის ენგურს თოთენასთან (ამჟამად მესტიის მუნიციპალიტეტი, ლენჩხერის ადმ. ერთეული).

**ჯოჯიმ კონკი** – ტყე-ბუჩქნარიანი კუნძული ენგურზე, ტყაიას საზღვართან. ჯოჯი ქარდავას აქ ჰქონია ყანა (პალური).

**ჯოჯუამ ნოხორი** – სახნავი ქვედა ლეჟაში, ფერდობზე, **პავლემ ნაობინების** გვერდით (ნაკიფუ).

**ჯუბანყუ//ჯვიბანყუ** „ჯუბას წყარო“ – წყარო სამიქაოში, ოტოფუეს სათავესთან, ოსხაპუეს კალთაზე (ფუქი).

**ჯუბელარზენი** „ჯუბელას ვაკე“ – ჩავარდნილი ვაკე თუდონსამესხიოში, როკონას ქვემოთ. რესპ.: „თხის მწყემსი ჯუბელა აქ ცხოვრობდა“ (სამესხიო).

**ჯუბელარზენიმ ღალ(გ)** – ღელე. იგივე ჯუბელაღალ(გ) (სამესხიო).

**ჯუბელაღალ(გ)//ჯუბელარზენიმ ღალ(გ)** – მცირე ღელე. ჯუბელარზენიდან გაედინება საკონჯარიოში. საზღვარია სოფ. ჯიხაშკართან (სამესხიო).

**ჯუმითიმ ეკალ(გ)** – გზა-აღმართი ულურიიდან ჯუმითში (ჩხორონწყუს რ.) მიმავალ გზაზე, ლაჩახვას მარცხ. ნაპირას (ულურია).

**ჯურე//ნაყუდუმ ჯურე** – ხევი ზედა ლეჟაში, ნაყუდუს კალთაზე, საიდანაც **ჯურემ წყურგილი** ჩაედინება ბირგულამში (ნაკიფუ). ჯურე იგივეა, რაც **ღურე**, ე.ი. ხევისებური ჩავარდნილი ადგილი; უფსკრული (ჯ დ პროცესის საპირისპირო ფონეტიკური პროცესი ჩანს ხუდონი ხუჯონი). ალ. ქობალია: „ღურე – ჩალრმავებული ადგილი“.

**ჯურემ ღალ(გ)//ჯურემ წყურგილი** – წყარო-ნაკადული ნაყუდუს დას. ნაწილში. ერთვის ბირგულამს ქიჭე ღალის შესართავის პირდაპირ. რესპ.: „ჯურე არის ხევისებური ჩავარდნილი ადგილი“ (ნაკიფუ).

**ჯურემ წყურგილი** – წყარო-ნაკადული. იგივე **ჯურემ ღალ(გ)** (ნაკიფუ).

**ჯურუმიაშ დიხა** – ჩაის ფართობი ნაიშმარუში, სარაქონის საზღვართან. ჯურუმია მამაკაცის სახელია (ჯვადირა). შდრ.: **ჯურუმი**, ჯურუმია, ერთი მხრივ, აღნიშნავს ჯურღმულს, უღრანს, ხოლო მეორე მხრივ – პირქუმ, მოქუფრულ ადამიანს (იხ. ალ. ქობალია), რაც შეიძლება ადამიანის მეტსახელადაც გადაქცეულიყო.

**ჯურუმიაშ ნაწყურგილ(გ)** – წყარო ეწერში, ჯურუმიაშ ღალის სათავესთან (ჯვადირა)

**ჯურუმიაშ ნოხორი** – ჩაის ფართობი **ჯურუმიაშ ღალის** (კინესქურის შენაკადი) სათავესთან, ნაზმაკოჩუსა და სამართალას შუა (ჯვადირა). რესპ.: „როცა მიწების დასაკუთრება დაიწყეს, ჯურუმია მეზონიამ მეზობლების დახმარებით აქ, ტყეში, ერთ ღამეში ააგო ქოხი და შევიდა. მოაკითხა მიწის პატრონმა აზნაურმა, მაგრამ ვერაფერი გაუბედა კაჟის თოფით ქოხის კართან დამდგარ გლეხს“.

**ჯურუმიაშ ღალ(გ)** – ღელე. კინესქურიშ მარცხ. შენაკადი. ქმნის საზღვარს სოფ. ნაკიფუსთან, ღრმა და ტყით დაბურული ხეობა ახლავს (ჯვადირა).

**ჯურუმღალ(გ)** – ღელე ღრმა ტყიანი ხეობით. ჩაედინება ოფაკილეში (ობუჯი, ნალენჯიხა). რესპ.: „ჯურუმი ნიშნავს უღრანს, ბნელს, დაბურულს. აღნიშნავს უხემ კაცსაც. ბავშვებს ხშირად აშინებენ, შორს არ ნახვიდეთ, თორემ ჯურუმია შეგჭამთო“. შდრ. ალ.

ქობალია : „ჯურუმი – ჯურღმული, უღრანი, პირქუმი, მიქიფრული“. იგივე **ჯორომ(ონ)-ლალ(გ)**.

**ჯურუმ ნაჯუღუ** – ტუნგის ნარგავები ფერდობზე, ონახუეს ნაპირას, ლედვინჯილე-ში. ჯურუ გვარად ლუკავა იყო. **ჯუღე** „სახლი“ ნაყუღუ „ადგილი, სადაც სახლი იდგა“ (ლეჯოლიხე).

**ჯურუმ ნაშქვიდა//ომუნჩქვე ტობა** – მორევი ჭანისწყალზე, ლიასგმეს შესართავთან (ჯგალი). გადმოცემით, ომუნჩქვე ტობა „სამაჩვე მორევი“ თავდაპირველი სახელია, ხოლო ჯურუმ ნაშქვიდა „სადაც ჯურუ დაიხრჩო“ მოგვიანებით დარქმევია.

**ჯურუმ ნყურგილი** – წყარო ჯურუმ ნაყუღუსთან (ლეჯოლიხე).

**ჯუტუმ დიხა** – დაფნარი. იგივე **ოდაფე** (პალური).

**ჯღანჯღეფიმ ღალ(გ)** – ლელე, ინწგრას მარცხ. შენაკადი ლეჩიქვანეში. მოედინება ლეჯღანჯღედან (ნაგურუ).

**ჯღერული** – საძოვარი. იგივე **ჟღერული** (ნალენჯიხა).

**ჯგქგრი** – 1. მინდორი ენგურის მარჯვ. ნაპირას, ჭველეთონას ჩრდ-ით. აქ ერთი მაღალი ლოდია აღმართული (ხუდონის სატყეო); 2. მთა ნისქვილარასა და ნოლიმერის სათავეებს შუა (სქურის სატყეო). შდრ.: ჯიქირი.

**ჯგქგრსუკი** „აშვერილი გორა“ – მთა ნისქვილარასა და ნოლიმერის სათავეებს შუა (სქურის სატყეო).

– ჭ –

**ჰავამ ნეძი** – კაკლის ხე ფოცხოში, ოჟამაიას გვერდით. რესპ.: „იყო შესასვენებელი ადგილი ჭალიდან ფურაშში მიმავალთათვის. **ჰავა** იგივე აგარაკია. **ჰავაშა ულა** კი ნიშნავს მთაში დასასვენებლად წასვლას; აგარაკზე წასვლას“. **ნეძი** – კაკლის ხე (ფოცხოენერი). შდრ.: საჰავო.

# დანართები

## დანართი I

### ნალენჯიხის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიიდან

სამეგრელოს (და ლეჩხუმის) პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განახორციელა სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა XIX ს. შუა ხანებში (1840-1856 წწ.). მან სამეგრელო დაყო 8 მაზრად: ზუგდიდის მაზრა, ჯვარის მაზრა, ზუბის მაზრა, სუჯუნის მაზრა, საჭილაოს მაზრა, მარტვილის მაზრა... ჯვარის მაზრა სხვა მაზრებს აღემატებოდა სოფლების რაოდენობით და თითქმის მთლიანად მოიცავდა დღევანდელი ნალენჯიხისა და ჩხორონწყუს რაიონებს, აგრეთვე დღევანდელივე მარტვილის რაიონის დასავლეთ ნაწილს (ნამიკოლოუს ჩათვლით) და ზუგდიდისა და ხობის რაიონების რამდენიმე სოფელს. კერძოდ, ჯვარის მაზრაში შედიოდა სოფლები: ჯვარი, ხუდონი, ღია, ნაგუროუ, კუხეში, საჩინო, ჯგალი, ნალენჯიხა, ობუჯი, ზუბი, ჯუმითი, ლენურნუმე, ალერტი, გურძემი, ნამიკოლოუ, თამაკონი, ყინოთა, ლეცავე, წაჩხური, კურზუ, ხანწკი, ოცინდალე, ჭოლა, მუხური, ლექარჩე, ნაკიკიანო, ნაჯახოუ, ახუთი, სავეკუო, ლეგერსამე, დოშაკი, კინია, მოიდანახე, ნოლა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში სამეგრელოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა შეიცვალა. მისი ტერიტორია და სოფლები დანაწილდა ქუთაისის გუბერნიის ორ – სენაკისა და ზუგდიდის – მაზრაში. მაზრები იყოფოდა საპოლიციო (საბოქაულო) უბნებად ( ). ნალენჯიხის უბანი (ცენტრი – სოფ. ნალენჯიხა) მოექცა ზუგდიდის მაზრაში (ზუგდიდისა და რედუტ-კალეს საპოლიციო უბნებთან ერთად). 1886 წელს ნალენჯიხის საბოქაულოში შედიოდა შემდეგი სასოფლო თემები და სოფლები:

თემები და სოფლები	კომლი	სული
<b>ნალენჯიხის უბანი</b>		
<b>1. ახუთის თემი</b>	531	3313
ახუთი (ც.)	387	2332
ლეგერსამე	59	369
სავეკუო	85	612
<b>2. კირცხის თემი</b>	592	3611
გაშფერდი	95	644
კირცხი (ც.)	334	1910
სარაქონი	90	564
ჯალრა	73	493
<b>3. ლესიჭინეს თემი</b>	402	2414
ლესიჭინე (ც.)	283	1746
ოჩხომური	119	668
<b>4. ლენურნუმის თემი</b>	329	2034
ლენურნუმე (ც.)	173	1034
ჯუმითი	156	1000
<b>5. ლიის თემი</b>	372	2108



ლია (ც.)	279	1600
ტყაია	93	508
<b>6. მუხურის თემი</b>	<b>589</b>	<b>3858</b>
ზუმი	161	902
თაია	190	1294
მუხური (ც.)	238	1662
<b>7. ფახულანის თემი</b>		
ფახულანი (ც.)	<b>305</b>	<b>2189</b>
<b>8. წალენჯიხის თემი</b>		
წალენჯიხა (ც.)	799	4922
<b>9. ჩხორონყუს თემი</b>	<b>632</b>	<b>4435</b>
ლეჯიქე	73	468
მოდინანახე	145	953
ნაკიკიანო	119	788
ნაჯახოუ	185	1384
ჩხორონყუ (ც.)	110	842
<b>10. ქალის თემი</b>		
ქალე (ც.)	382	2388
<b>11. ქოლის თემი</b>	<b>537</b>	<b>3519</b>
ლექარჩე	83	554
ქოლა (ც.)	329	2159
ხანწკი	125	806
<b>12. ჯგალის თემი</b>	<b>531</b>	<b>3870</b>
ნაგურუ	68	469
საჩინო	179	1182
ჯგალი (ც.)	284	2219
<b>13. ჯვარის თემი</b>		
ჯვარი (ც.)	512	3289
<b>ზუგდიდის უბანი</b>		
ობუჯის თემი		
ობუჯი (ც.)	248	1492

მაშასადამე, ამჟამინდელი წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე 1886 წელს იყო 13 თემი და 29 სოფელი, რომლებშიც ცხოვრობდა 3141 კომლი (20258 სული).

საბჭოთა პერიოდში მოხდა რესპუბლიკის ახლებური დარაიონება, შეიქმნა ოლქები და მაზრები. სამეგრელოს რეგიონი ისევ ორ მაზრად დაიყო – **ზუგდიდისა** (ზუგდიდის, ჩხორონყუს, წალენჯიხისა და ხობის რაიონები) და სენაკისა (აბაშის, მარტვილისა და **სენაკის** რაიონები, ფოთის საქალაქო საბჭო).

ქვემოთ წარმოვადგენთ წალენჯიხის რაიონის სასოფლო საბჭოებისა და სოფლების სიას საქართველოს სსრ პირველი (1928 წლის) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით (ტფილისი, 1930):

სასოფლო საბჭოები	კომლი	სული
<b>1. ლიის სას. საბჭო</b>	<b>480</b>	<b>2359</b>
ლია	413	1963
მეორე ენერი	77	396
<b>2. ობუჯის სას. საბჭო</b>	<b>432</b>	<b>1950</b>
ობუჯი	329	1478

ჯალრა	103	472
<b>3. საჩინოს სას. საბჭო</b>	393	1846
კუხეში	110	490
ნაგურუ	113	565
საჩინო	170	791
<b>4. ფახულანის სას. საბჭო</b>	562	2906
ლანჯიში	73	388
უბადოლალი	93	525
ფახულანი	100	497
ქალაღალი	95	479
წყავაშა	80	396
ჭველე	121	621
<b>5. წალენჯიხის სას. საბჭო</b>	1245	5829
მაზანდარა	300	1423
ნაკიფუ	302	1440
ფუქი	313	1531
წალენჯიხა	330	1435
<b>6. ჭალეს სას. საბჭო</b>	573	2914
ენერი-ბინდი	72	360
ენერი	30	158
თურაში	60	297
მუჟავა	138	739
ნაშამუგუ	118	586
ჭალე	144	717
ხუბერი	11	57
<b>7. ჯგალის სას. საბჭო</b>	565	2630
ლარა (მედანის ნან.)	84	361
ლეთოფურიე-კანთი	69	295
ლეკაკულე	112	559
ლესალე	84	390
მედანი	68	313
ჯგალი	148	712
<b>8. ჯვარის სას. საბჭო</b>	710	3500
ლექარდე	101	490
ლეშამუგე	129	628
პირველი ენერი	93	422
ჩქვალერი	115	555
წყავაში	20	108
ხუდონი	109	601
ჯვარზენი	143	693
სულ რაიონში	4960	23934

**შენიშვნა 1.** ტოპონიმის დაწერილობა ძირითადად ისეთივე დავტოვეთ, როგორც სათანადო გამოცემებშია. მსაზღვრელები ზედა, ქვედა, დიდი, პატარა, პირველი, მეორე გადავიტანეთ საზღვრულის წინ. გავასწორეთ აშკარა (ალბათ კორექტურის) შეცდომა (ქართულში არასწორი ფორმაა, რუსულ პარალელში – სწორი). ფახულანის სასოფლო საბჭოში

დასახლებული სოფელი წყავაშა ალბათ წყოუშია, ხოლო ენერი-ბინდის (ჭალის სას. საბჭო) ნაცვლად უნდა იყოს – ენერფერდი, თურამის ნაცვლად – ფურაში.

